ლორთქიფანიძე

ეგზის ო

84 Гр 7—44
Д 32

წიგნში შეტანილ მოთხრობებში ასახულია ჩვენი დაცარიელებული სოფლების სატკივარი და კაცთაშორის გაჩენილი გულგრილობა, რომელმაც ახლობელ ადამიანთა ურთიერთობაშიც იჩინა თავი.

ვრცელი მოთხრობა „უკანასკნელი ზარი“ იმ გმირის ცხოვრებას ასახავს, ვინც ეს-ესაა საშუალო სკოლა დაამთავრა და ცხოვრების გზა უნდა აირჩიოს.

რომანი „მზის მოქცევა“ ეხება აბელ ენუქიძისა და მის თანამებრძოლ რევოლუციონერთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

მეორე გამოცემა

4702170200—036
Д——————————249—88
М 601 (08)88

ISBN 5-529-00114-9

ამოსავალი

მგლეგი

ფაფრის ხევს რომ გასცდა, პირველად მაშინ გაიგონა ყმუილი. ჯერ თმის ძირები შეუცხელდა, მერე ის სიმხურვალე დაბლა ჩაცოცდა, მთელი სხეული ჩაჭინჭრა და კანჭებთან შეაცივდა. ეს მივარდნილი ადგილი ძველადვე წყეული იყო, ყაჩაღებისა და ნადირის სათარეშოდ ითვლებოდა და ახლაც კი უშიშრად ვერავინ გაივლიდა. თუმცა შიში აქ რა სახსენებელია, უნებურად დასცეცხლა ტანში თორემ, მაშ რაღა ფირო იქნებოდა, მშიშარა რომ ყოფილიყო... კიდევ უფრო გამოფხიზლდა და მაშინვე ის გაიფიქრა, ეგებ სჯობდა არ წამოვსულიყავიო. ფეხს მოუჩქარა და ყური გაიმახვილა. მხოლოდ ქარის ხმა ისმოდა, ავად წიოდა იგი და დაფლეთილ ყომრალ ღრუბლებს უწესრიგოდ მიერეკებოდა პირქუშ ზღვასავით მოტორტმანე ცაზე. იმ შავად მოქცეულ ცაზე კი უღვთოდ წვალობდა ღამის მნათობი, ხან საბრალო თრთოლვით ჩაიძირებოდა შავ უფსკრულში, ხანაც რის ვაი-ვაგლახით ამოტივტივდებოდა და უნიათოდ გადმოანათებდა.

ასეთი შემზარავი ცა ჯერ არ უნახავს ფიროს და არც ასე-

თი უემური დაუფლებია არასოდეს. ისე ეჩვენებოდა, თითქოს შავი ჯოჯოხეთი დამხობოდა თავზე და შთანთქმით ემუქრებოდა.

ყმუილი ისევ განმეორდა, ამჯერად ცოტა უფრო მკაფიოდ და გრძლად. ფირო გაქვავდა, სუნთქვაც კი შეაჩერა. თითქმის ნახევარ წუთს იდგა სულშეგუბებული, მაგრამ აღარაფერი გაუგონია, მხოლოდ იმან გააოცა, რომ ამ ქარის ზმუილში საკუთარი გულის ბაგაბუგი ესმოდა.

„იქნებ ქარის ხმა იყო? — გაიფიქრა, — ქარმაც იცის ასე, ხან მგელივით ყმუის, ხანაც გველივით სისინებს და წივის. არ უნდა წამოვსულიყავი". — დაასკვნა ბოლოს და, რადგან უკან მიბრუნებასაც აზრი აღარ ჰქონდა, უწადინოდ განაგრძნო ეს წყეული გზა, ირგვლივ რომ მეჩხერი ჯაგნარი ერტყა.

პირველად რომ აიშალა სუფრა, ნახევარი ხალხი უკან აღარ შებრუნებულა, ნელ-ნელა, გაილალნენ სახლებში. ფიროსაც უთხრეს თანასოფლელებმა, წავიდეთო, მაგრამ ქვეყანაზე თავი როგორღა უნდა გამოეყო, ვიღაცას რომ ეთქვა, სუფრიდან გაიპარაო. ეგეც არ იყოს, ნამდვილი მსმელები ახლა რჩებოდნენ და ნამდვილი ქეიფი და სმა-ჭამა ახლა იწყებოდა. პირიქით, ფირო იმასაც ფიქრობდა, ეს სუფრის ჭიაღუები თუ გათენებამდე არ დაიფანტნენ, დილაზე ცხელ ხაშს დავაყოლებ და შინ ისე წავალო, მაგრამ ეს ვარაუდიც არ გაუმართლდა, შუაღამის შემდეგ აბორიალდა ხალხი, სუფრა მიატოვეს და ბოლოს კისერმოწყვეტილმა თამადამაც ზედ მაგიდაზე ჩამოიძინა. ფიროს კი არა და არ მოეკიდა ღვინო, ქეიფის ეშხზე ახლა მოვიდა.

მასპინძლები გადააკვდნენ ფიროს, ამ ჯოჯოხეთში სად უნდა წახვიდე, თავი არ მოგვჭრაო, მაგრამ ვერ დაიყოლიეს. თავიდანვე ასეთი ჩვევა ჰქონდა, სხვაგან არ დარჩებოდა და მეორეც, რაკი ერთს იტყოდა, ვეღარავინ გადაათქმევინებდა, ჯორიდან ვეღარავინ ჩამოიყვანდა. ბოლოს ვეება ყანწით საყოვლადწმინდაო დალია, მერე თავისი საყვარელი სიმღერა წაიღიღინა: მგელი არ მოშლის მგლობასაო, თან მგელივით დაკრიჭა კბილები, ჩამოძინებულ თამადას რომ გადახედა, და წამოვიდა, ძუნძულით დაადგა გზას ყინვასა და ქარში.

ნათლიამ პაპის სახელი ფირუზა დაანათლა, შინაურები და ნაცნობები კი ფიროს ეძახდნენ. დედისერთა ბიჭი იყო, ნანატრი, თვალისჩინი და ლაღად ნაზარდი. ომის მიწურულში, როცა კაცი ძვირად იშოვებოდა, ფიროს მამა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დააყენეს. სიჭაბუკეში შესული ფირო კარგი ცხოვრებით უფრო გათამამდა და გაზანტდა.

როცა მოეპრიანებოდა, სკოლაში მაშინ წავიდოდა, სამაგიეროდ, ალაზანზე ადრევე ჩაეჩვია, დილიდან საღამომდე წყალში დააჭყლაპუნებდა ზაქივით და ლაღუმის ბათქაბუთქით აყრუებდა ჭალას. გაწყვიტა თევზი, ვინ ოხერიაო, ჩიოდნენ მწყემსები. ვინ არის და, თავმჯდომარის ბიჭიაო, ფირო, ალაზანში ბაყაყიც აღარ დაარჩინა მაგ დედაასატირებელმაო.

საღამოს კი ძმაბიჭებს დააქუჩებდა ფირო და ჭალაშივე ღრეობდა მდინარის პირას.

პირველი ამბავი ან, თუ გნებავთ, პირველი ლეგენდა ფიროს ვაჟკაცობისა, სოფლის სადალაქოში დაიბადა, ქორონიკონსა ამასა და ამასა, დღესა ერთსა წვიმიანსა, როცა შემოდგომის ღრუბლით გაჭედილი ცა დინჯად აწვიმდა დედამიწას. სწორედ იმ დღეს სადალაქოში სალაყბოდ შესულმა ჭორფლიანმა სოლიკომ ამცნო იქ თავშეყრილებს, გუშინწინ თავმჯდომარის ბიჭს ფიროს ოთხი ხელადა ღვინო დაულევია და სამი კილო ცოცხალი დაუყოლებიაო. პირველად ძალიან იტკიცეს, ეგ ტყუილები თქვენს კრუხს დაულაგეო, მაგრამ მერე სოლიკო რომ გაცხარდა და მოწმეების მოყვანაც დააპირა, ურწმუნონი დარწმუნდნენ, ესღა ჩაილაპარაკეს, კაცი კი არა, მგელი ყოფილაო და ჩაჩუმდნენ. ამ სიჩუმეში უცებ ამოიკვნესა ქურთუკწამოსხმულმა, გამხდარმა და ჩია ტანის ბიჭმა: რატომაც არ დალევდა, შვილოსა, რა ჩემსავით მუშაობით არის გამოთავებულიო.

ამის მთქმელს უხმოდ გადახედეს, თვალით აწონ-გაზომეს, ცოტა ხანს დადუმდნენ და ბოლოს ერთმა ვეღარ მოითმინა, ყველას სათქმელი იმან თქვა: გაჩუმდი, ჩანთავ, როცა არ უქნიხარ ღმერთს, არ უქნიხარ... ჩემზე მეტი ჯაფა შენ არ გადევსო.

ბიჭები ახარხარდნენ, ხოლო ქურთუკწამოსხმულმა ჩანთამ საყვედურით გადახედა მოზვერივით ჩასუქებულ ბიჭს და დამუნჯდა.

იმ დღიდან დაედო დასაბამი ფიროს დიდებას — მის ღორმუცელობასა თუ ღორკუჭობას ან, თუ გნებავთ, მუცელღმერთობას.

ცხოვრება კი თავის გზით მიედინებოდა, ბრუნავდა და ბრუნავდა დროის მარადიული წისქვილი და წლებსა ფქვავდა. ფირომ, როგორც იყო, მიაფუჩეჩა საშუალო სკოლაში გამოცდები და მამის ჩიჩინით სასწავლებლად თბილისში ჩაეხეტა. ორიოდე კვირა ცვითა ქალაქის ასფალტი, გემო და მაძღრისობა მოუსინჯა იქაურ სასადილო-რესტორნებს და ისევ უკან დაბრუნდა. ვერა, ლაღად გაზრდილი, მუცელღმერთა ფირო იმ გასათუთებულ ქალაქში ვერ გაძლებდა.

სოფელში დაბრუნებულმა ფირომ ახლა ნადირობას მიჰყო ხელი, მგლის მუხლი გამოიბა, ორიოდე ძმაკაცი აიყოლია და თუ ტყეში რაიმე ბოგინობდა, მუსრი გაავლო. არც ზამთარი იცოდა, არც გაზაფხული, არც დრო, არც ნებართვა... ფეხებზე დაიკიდა ყველა წეს-კანონი. შვლისა და კურდღლის სინსილა გააქრო ტყეში. შვლის ნაკვალევს რომ წააწყდებოდა, მანამდე სდევდა, ვიდრე ნადირს არ მიაგნებდა და თავის ლუკმად არ აქცევდა. მეტადრე ის სიამოვნებდა, როცა დათოფილ ნადირს ჯერ ვიდევ ცოცხალს მიუსწრებდა და ყელში დანას გამოუსვამდა. მონადირეს სისხლიანი ხელი უნდა ჰქონდესო, იტყოდა ფირო, ვეება კბილებს გადმოჰყრიდა და ნახევარ შველს იქვე, ტყეში წამოაგებდა შამფურზე.

ერთ დღეს მამამ მოიხმო ფირო და უთხრა:

— შვილო, მგზავრი კაცი ნაშუადღევს უნდა ეძებდეს ბინას ღამის სათევად, დროა, რაღაც საქმეს მოჰკიდო ხელი. მე ხომ მუდამ თავმჯდომარედ არ ვიქნები.

თავმჯდომარე ხარბიც იყო, ჭკვიანიც და ეშმაკიც. გუმანით ხვდებოდა, რომ უკვე წყალი ჰქონდა შემდგარი, სოფელი თავმჯდომარედ აღარ ინდომებდა და მართლაც, როცა ხალხით გაჭედილ დარბაზს ჰკითხა რაიონიდან მოსულმა კაცმა, თედო თავმჯდომარედ დავტოვოთ თუ გადავირჩიოთო, ვიღაცამ დაიძახა: მიწის ქვემოთ რომ თედოა, ის მოვხსნათ, მიწის ზემოთ რაც არის, ის დავტოვოთო.

როგორც ნათავმჯდომარალი, გამგეობის წევრად მაინც დატოვეს და თედომ იმდენი ივაჟკაცა, შვილსაც გაუჩინა სამსა-

ხური. ტყე მაინც უყვარსო და ახალ თავმჯდომარეს ფერმის გამგედ გააშვებინა.

— ძროხას უთქვამს, შვილო, დასაბმელი მიშოვნეთ და დასაწოლს მე ვიშოვნიო. ესეც დასაბმელი, ახლა შენ იცი, რა მარიფათს გამოიჩენ.

და ფირომაც გამოიჩინა მარიფათი. კვირაში ერთხელ გადაჰკიდებდა ცხენს სავსე ტიკს, რომელიმე ძმაკაცს აიტორღიალებდა და ავიდოდა მთაში გრილ ჰაერზე. როგორც უფროსებს შეშვენის, მწყემსებს წაულრენდა, საქონელს წესიერად ვერ უვლითო, მერე რომელიმე ჩასუქებულ მოზვერს დაადგამდა თვალს და თვითონვე გამოსჭრიდა ყელს. სვავივით დაადგებოდა და ვიდრე მთაში ყოფნა მოსწყინდებოდა, ცერებზე იმტვრევდა ხაშლამის ძვლებს.

გადიოდა დრო. ფირო ცხოვრებაში თანდათან იგეშებოდა და ბოლოს ადამიანების შეჭმაც ისწავლა. პირველი ლუკმა მისივე ავანჩავანი კრაზანა იყო, ვისთანაც ფირო მრავალჯერ ზიარებოდა პურ-მარილს. ფირომ კრაზანა ბინისთავად წაიყვანა ფერმაში, მესაიდუმლედ და სულის ძმად გაიხადა. ექვსი თვის შემდეგ, როცა ფერმიდან ორივენი გამოაპანღურეს, ყველა ცოდვა კრაზანას წამოეკიდა ზურგზე, რადგან საბუთებზე ფიროს ნაცვლად ის აწერდა ხელს. კრაზანამ ციხეს კი დააღწია თავი, მაგრამ ტყავი გასძვრა, ვალებში ჩაფლულმა ერთხანს მუქარა უთვალა ფიროს, მერე კი იბოღმავა, საკუთარ გულს შეასკდა და ცვილივით დადნა.

ღვინის წურბელა, ღაჟღაჟა ნოქარი მიტო რომ ციხეში ჩასვეს, იმასაც ფიროს აბრალებდნენ, მაგას რომ არ დაძმაკაცებოდა, ეს არ მოუვიდოდაო. მესამე კი, ვინც ფირომ ცოცხლად შეჭამა, ხილის დამამაზადებელი ცალთვალა სერგო იყო. ფირომ ოსტატურად უთხარა ძირი, თანამდებობიდან ხელები დააბანინა და დამამზადებლად თვითონ დადგა. ეს კი სწორედ ფიროს შესაფერი საქმე იყო. წელიწადში რამდენიმე თვე წაიმუშავებდა, ფულს ჩაიჯიბავდა და დანარჩენ დროს ხან ვარჭალალეში ატარებდა, ხან ნადირობდა. ღვინით ეშხში შესულს მეტადრე ერთი სიმღერა უყვარდა: მგელი არ მოშლის მგლობასა, კაი ყმა მამაცობასაო. როცა ამას წაიღიღინებდა, მკვეთრად, ხმამაღლა და ჯინიანად ამბობდა სიტყვებს: მგელი არ მოშლის მგლობასაო...

და მაინც ფირო დაფასებული კაცი იყო, ვითარცა დიდი მსმელი და დიდი მჭამელი. ქორწილი თუ წვეულება ისე არ ჩატარდებოდა სოფელში, ფირო რომ არ მოეწვიათ და არ ეთამადებინათ. გუშინაც მეზობელმა ქალიშვილის ქორწილში ათამადა ფირო, მერე როგორც დაუთრობელი მსმელი, მეფის მაყრიონს გააყოლა, გამოსაჩენად. ფირომ იქაც გააკვირვა ხალხი, ყველა მიათრ-მოათრო, იქაურ თამადას ბოლო მოუღო, მერე წაიღიღინა: მგელი არ მოშლის მგლობასაო და წამოვიდა.

მესამედ უკვე ისე ახლოს გაისმა ყმუილი, რომ საეჭვო აღარაფერი დარჩენოდა. ველარც ქარს დააბრალებდა, ველარც მოჩვენებას. ყმუილი იგი ზანზალაკებიან სიკვდილს წააგავდა, სამედისწერო ყღარუნით რომ ახლოვდებოდა.

ფირო შეჩერდა. მთელი სხეული უკანკალებდა. ნაბიჯი ველარ წარსდგა, თითქოს იმ ყმუილმა ჯადო სტყორცნა და ფეხები გაუბორკაო, ირგვლივ მიმოიხედა, მაგრამ საიმედო ვერაფერი დაინახა, ახლომახლო არც ხე იდგა, არც მოსახლე ჩანდა, მხოლოდ თოვლით გათეთრებული, გათოშილი დედამიწა და პირქუში, შემზარავი ცა იყო, ზედ რომ საცოდავად მიტორტმანებდა მთვარე... ცხოვრებით გაუმაძღარ ფიროს ერთი წამით ყველაფერი შესძულდა, ყოველივე ფუჭად და არარაობად მოეჩვენა, რასაც კი თვალით ხედავდა — ეს ჩამოქუფრული ცა თუ დედამიწა და საკუთარი თავიც, რადგან შიში და სხეულის კანკალი ვერა და ვერ დაეძლია, მაგრამ ეს მხოლოდ ცოტა ხანს გაგრძელდა, სიცოცხლის წყურვილმა იფეთქა და ხელახლა შთაბერა ძალა. ერთი კი მოიხედა უკან, საიდანაც ყმუილი ესმოდა, მერე ვეება სხეული მოკუმშა და იფხოჭა. თავქუდმოგლეჯით მირბოდა, თოვლზე ფეხი უსხლტებოდა, ხელებს მარჯვედ დააშველებდა და ისევ გარბოდა გამწარებული. ასე ირბინა ერთხანს, მაგრამ მძიმე და გამაძღარი სხეულის ტარება დიდხანს ველარ შესძლო. ძალა გამოელია, გულს ისეთი ბაგაბუგი გაჰქონდა, სადაც იყო, გასკდებოდა. თვალები უჭრელდებოდა და რაღაც გაურკვეველი ფერის წერტილები დახტოდნენ. შეჩერდა, რომ სული მოეთქვა, ან მეტი რა გზა ჰქონდა, რომ არ შეჩერებულიყო, არაქათგამოცლილი დაეცემოდა. ცოტა სული რომ მოიბრუნა, გზა

ისევ გააგრძელა, მიდიოდა და მიახრაშუნებდა თოვლს, თან ძლივს სუნთქავდა. ცოტაც, ცოტაც და სოფლამდე თუ მიაღწია, მერე საშიში აღარაფერია...

უცებ ალავერდის ტაძარი აღიმართა მის წინ. თითქოს ნისლი ჩამოსვეტილა დედამიწაზეო, ისე ბუნდად ჩანდა ის ზვიადი და ვეება ტაძარი. მის დანახვაზე ფიროს რაღაც იმედი მიეცა და თავის სიცოცხლეში პირველად გადაისახა პირჯვარი. უკან მოხედვას ვეღარ ბედავდა, რამდენჯერმე მოეჩვენა, რომ ზურგიდან რაღაც ეპარებოდა და შეაკანკალა. წინ წახრილი სწრაფად მიდიოდა, ხანაც მიძუნძულებდა და ბუტბუტით იმეორებდა: „ალავერდის მადლო და ძალო, შენ მიშველე! ალავერდის მადლო და ძალო, შემინდე, თუ რამე ცოდვა მაქვს, ალავერდის მადლო და ძალო!..“

და ამ დროს ისევ გაიგონა ყმუილი. ამჯერად ეს ყმუილი უფრო შორიდან ისმოდა, თითქოს სხვა მხრიდან. მგონი, საშიში აღარაფერია, ალბათ, ნადირმა ვეღარ გაბედა გამოყოლა და ახლა გაწბილებულმა სიმწრით შეჰყმუვლა. იქნებ ალავერდის ძალამ უშველა ფიროს?

ამის გაფიქრება იყო და, მაშინვე სულ ახლოდან, თითქმის ზურს უკან მიაყმუვლა მგელმა.

ეს იყო თავზარდამცემი ურვა, ველური ჟრუანტელმომგვრელი ყმუილი. თითქოს ფიროს სხეულში იყო ეს ხმა ჩანაღმული, უცებ აფეთქდა და სულხორცი გაჰყარა ერთმანეთისაგან. ფიროს ეჩვენებოდა ასე, თორემ სინამდვილეში ეს შიმშილით გაწამებული ნადირის მოთქმა იყო. სიცოცხლეს შეჰყმუოდა, შიმშილით სიკვდილი რომ ემუქრებოდა, შიშს შეჰყმუოდა, რაც როგორმე უნდა დაეძლია სიცოცხლის გადასარჩენად.

ფირომ მოიხედა და ოცოდე ნაბიჯის მოშორებით დაინახა მგლები. სამნი იყვნენ, გადალასლასებულნი, მუცელ გალესტულები... თავები მაღლა აეწიათ და ჰაერს ისეთი სიამით ყნოსავდნენ, თითქოს ცას სწოვენო.

ფიროს სისხლი გაეყინა ძარღვებში. პირი დააღო, ნადირს დავჭყიტლებო, მაგრამ ყელიდან სუსტი, ყრუ ხრიწინი აღმოხდა, სწორედ ისე ემართებოდა, სიზმარში რომ წვალობს ხოლმე ადამიანი, როცა დაყვირება უნდა. იქნებ ეს ყველაფერი მართლაც სიზმარი იყო? რა ბედნიერება იქნებოდა, სიზმარი რომ

ყოფილიყო, მაგრამ ფიროს კარგად ახსოვდა, სუფრიდან როგორ წამოდგა და როგორ ეხვეწებოდნენ მასპინძლები, დარჩიო.

ფირომ კიდევ სცადა როგორმე დაეკივლა, ფეხებს აბრახუნებდა, ხრიალითა და ხელების ქნევით ემუქრებოდა მგლებს, მაგრამ ისინი ფეხსაც არ იცვლიდნენ, პირიქით, თოვლზე დაყუნცულები ნელ-ნელა შემზარავად მოჩოჩავდნენ წინ, თან კბილებს აკაწკაწებდნენ და რაღაც უცნაურად წკმუტუნებდნენ თუ ყმუოდნენ.

ერთი წუთი, ერთი მძიმე წუთი გავიდა, ალბათ, ამ ყოფაში, მერე კი შებრუნდა ფირო და ძრწოლვით გააგრძელა გზა. გაქცევა აღარ უცდია, რამდენ ნაბიჯსაც გადადგამდა, იმდენჯერ უკან მოიხედავდა. მგლებიც ნელა მოსდევდნენ, არა ჩქარობდნენ, და ფირო მიხვდა, ახლა გაქცევა საბედისწერო იქნებოდა. შუბლზე ცივი ოფლი დაასკდა, თვალები აუჭრელდა, ვეღარ არჩევდა, რამდენი მგელი იყო, სამი თუ უფრო მეტი. გამალებული იჩხრეკდა ჯიბეებს, მაგრამ ჯიბის დანის მეტს ვერაფერს პოულობდა, რასაც ახლა იმედივით ბღუჯავდა...

დიდთოვლობამ მგლებს შიმშილი მიაყენა კარზე. სამი დღე და ღამე ბუნაგიდან არ გამოსულან, სამი დღე და ღამე შიმშილით გაწამებულები უსმენდნენ, ქარიშხალში როგორ კვნესოდა და ბუბუნებდა ტყე. ძნელი ჟამი დაუდგათ. მეოთხე ღამეს ვეღარ გაუძლეს შიმშილს, მთვარის ავსებას აღარ დაუცადეს, ბუნაგი დატოვეს და ცალ-ცალკე წალასლასდნენ სანადიროდ: ორი ღამე ამაოდ იწანწალეს, ამაოდ უტრიალეს სოფლებს შორიახლო, კბილის გასაკრავი ვერაფერი ნახეს. მთელი ღამის ნაწანწალები განთიადზე სიმწრით შეჰყმუვლებდნენ თავიანთი გაჩენის დღეს და გადალასლასებულები ისევ ბუნაგში შეიძურწებოდნენ. ამ ღამითაც ბევრი იწანწალეს, მაგრამ ნახრავ ძვლებსაც ვერსად წააწყდნენ. შუაღამის შემდეგ კი, როგორც იყო, გაიგონეს ნანატრი ყმუილი, ამდენ ხანს რომ ელოდნენ. ეს ასე მოხდა: ახალგაზრდა ლეგა მგელმა იკრა ადამიანის სუნი, ქარს რომ მოჰქონდა. მგელს თავბრუ დაეხვა, კბილები აუკაწკაწდა და მაშინვე ყმუილით იხმო თანამოძმეები. ისინიც ყმუილით გამოეპასუხნენ და დაოთხილებმა გასწიეს ლეგა მგლისკენ...

ცა კიდევ უფრო ჩამუქდა და დედამიწას თალხი გადაეკ-

რა. ქარიც მიდგა. ეს მოახლოებული გათენების ნიშანი იყო. მალე დაიწყებოდა სამყაროს დიდი სასწაული — გათენება. თუ ცოტა ხანსაც ვერ გაბედავდნენ თავდასხმას, დღის შუქზე თვითონვე დაიფანტებოდნენ. ფირო კვლავ შეჩერდა და უკან მოიხედა, მგლები იმავე მანძილით იყვნენ დაშორებულები. თოვლზე დაყუნცულები ისევ ნელ-ნელა, ჯოჯოებივით მოჩოჩავდნენ წინ.

ფირომ გზა გააგრძელა. იმ სამიდან ერთმა ბალანგაქუცულმა მგელმა გადაუსწრო. ძუნძულით მირბოდა, მერე შეჩერდა და ოციოდე ნაბიჯის მოშორებით წინ დაუყუნცდა.

და ამ დროს მოხდა მოულოდნელი რამ: ფიროს უცებ გაუქრა შიში, გამძვინვარდა, ხმაც დაუბრუნდა, საზარლად დასჭექა, სხეული დაძაბა და ნადირისკენ ჯიქურ წავიდა. ათიოდე ნაბიჯზე რომ მიუახლოვდა, მგელი გაერიდა, წინ წაძუნძულდა. ფირო გათამამდა და ყიჟინა დასცა. მგელი კი ისევ შეჩერდა და ისევ დაყუნცდა, ეს ავად ენიშნა ფიროს, ახლა უკან მოიხედა, თან ყვიროდა, მგლებს ემუქრებოდა. ის ორნი ნელ-ნელა მოსდევდნენ: წინა მგელმა, ბალანდაქუცულმა, ამჯერად უფრო ახლოს მიუშვა ფირო და ისევ გაერიდა, ოღონდ უფრო ზანტად, თანაც ავად შეჰყმუვლა.

ფირო მესამედ უახლოვდებოდა წინ დაყუნცულ მგელს, მაგრამ მგელი აღარ ინძრეოდა. ფირო ლამის ზედ მიადგა, მაგრამ მგელი ისე გაშეშებულიყო, თითქოს მიწაშია ჩარჭობილიო. ფირო შეჩერდა, თვალებში მიაჩერდა ნადირს და წახდა, ხმა ჩაუწყდა — ფარ-ხმალი დაჰყარა.

რამდენიმე წამს იდგნენ ასე, არც ერთი ინძრეოდა, არც მეორე და ამ დროს ზურგიდან საზარელი ღრენით ჩაუქროლა ფიროს მგელმა, თითქმის ზედ გაექლასუნა. ფირო არ წაქცეულა, მარტო ის იგრძნო, ბარძაყი როგორ შეუთბა. სველი სითბო კანჭისაკენ ჩაცოცდა და მაშინვე უმწვავესი ტკივილი იგრძნო.

ღრენა და წკავილი ერთმანეთში აირია. დედამიწა შექანდა და დატრიალდა. უკანასკნელი, რაც ფირომ დაინახა, ეს იყო ლურჯი, ერთ ადგილას გახსნილი, მოკაშკაშებული ცა, დღის ნათელი რომ შეჰპარვოდა უკვე.

წყნარი დღე თენდებოდა. ქარმა ღრუბელი გადაყარა, ცა მოაკრიალა და თვითონაც ჩაცხრა.

ყვავებმა გადაიფრინეს. ისინი ყოველ დილაუთენია მიეშურებოდნენ ხოლმე ალაზანგაღმა, სადაც თოვლი არ იდო და მიწას გადაქექავდნენ. მთიდან ჩამოხვეწილი წიწკანებიც აიშალნენ, გუნდ-გუნდად მიფრინავდნენ ფერმებისკენ. ცაში უკვე ბოინობდა ქორი და თავისი ონავარი თვალებით ზვერავდა დედამიწას.

დილის მატარებელმაც ჩაირა, ხოლო ზემოთ, მთავარ გზაზე უკვე მიგუგუნებდნენ მანქანები. დიდებულად ამოანათა მზემ და კავკასიონი გააბრწყინა.

ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრება იწყებოდა...

ბაქანზე ჩავლილი სიყვარული

მოსკოვის კურსკის ვაგზალი გათენებამდე ფეხზე დგას, ისე როგორც ყველა დიდი სადგური ამ ქვეყანაზე. სხვადასხვა ეროვნების ხალხს ისტუმრებს სადგური შორეულ სოფლებსა და ქალაქებში და, ვინ იცის, ზოგი ცხოვრებამ მეორედ აღარც კი მოაბრუნოს აქ.

ადრეული ზამთარი იდგა და სიცივეს ჯერაც შეუგუებელი ხალხი მოსაცდელ დარბაზს მოსწყდომოდა. ქალაქის ქუჩებში სამოსელიდან ამომხტარი გაშიშვლებული ხეები თრთოდნენ და თითქოს სასოწარკვეთით შეჰყურებდნენ ფეხად ჩამოსულ ცას, რომელიც ქვეყნიერებას ცივი ზამთრით ემუქრებოდა.

სადგურის მოსაცდელ დარბაზში თბილოდა და დარჩენილი ექვსი საათი სხვაგან უნდა გამეტარებინა. შემომსვლელსა და გამსვლელს თვალს ვადევნებდი, იქნებ ამ მილეთის ხალხში ვინმე თბილისელ მგზავრს გადავეყარო-მეთქი, მაგრამ ნაცნობთაგანი არავინ ჩანდა.

მარტოსული ვიჯექი ხალხით გატენილ დარბაზში და თითქოს ვგრძნობდი, ელექტროსაათი მხრებზე როგორ ზანტად მაყრიდა წუთებს.

ფანჯრიდან ვხედავდი, ხვავრიელად თოვდა, ქარიც უბერავდა და თოვლიანი ცა თითქოს ირწეოდა.

ჩემოდანს იდაყვით დავეყრდენ და თვალები დავხუჭე. გამუდმებული ხმაური უფრო მკაფიოდ ისმოდა დარბაზში. ეს

დასაწვავი ჩემოდანი რომ არა, ამ სიცივესაც ჯანდაბაში გავგზავნიდი და იმასაც, რომ ქალაქის ასავალ-დასავალი არ ვიცოდი, — ორიოდე საათით მაინც გავივლიდი და ქალაქს დავათვალიერებდი. მოსკოვში ჩამოსვლა ყოველთვის ხომ არ მოგიწევს კაცს!

უეცრად ჩემს გვერდით ვიღაცამ გაიცინა, ეს თავშეკავებული სიცილი გულზე ისე მომხვდა, თითქოს დიდი ხნის წინათ განშორებული ადამიანის ხმა გამეგონოს. თვალები დავაჭყიტე. ჩემ გვერდით მერხზე ქალიშვილი იჯდა და პატარა ბიჭუნას საქციელზე იცინოდა. ცისფერი მომღიმარე თვალებით პირდაპირ მე მომჩერებოდა და იძულებული გავხდი, მეც ღიმილი შემეგებებინა.

ცინცხალი წითელი პალტო ეცვა და თავზე თეთრი, ფაფუკი ნაქსოვი ქუდი ეხურა. ეტყობოდა, დარბაზში ახალი შემოსული იყო, მხრებზე ჯერაც გაუმდნარი თოვლის ფანტელები უციმციმებდა. ერთი თვალის დაკვრითვე დააბრმავებდა კაცს მისი გარეგნობა.

გამიკვირდა, როგორ ვერ დავინახე, დარბაზში როდის შემოვიდა-მეთქი. წელში გავიშალე და ფარაჯაზე შემორტყმული ქამარი შევისწორე. ვგრძნობდი, მალულად მიმზერდა და მისი ცისფერი თვალების სიღრმეში თითქოს თანაგრძნობის გამომხატველი ალერსიანი ღიმილი კიაფობდა. ამ უჩვეულო, მოულოდნელმა ყურადღებამ სულ დამაბნია. უკვე ოცდაორი წელი მისრულდებოდა და ქალიშვილისაგან ასეთი ყურადღება არ მახსოვდა. ვატყობდი, გამოლაპარაკება უნდოდა და საამისოდ რაიმე მიზეზი უნდა მიმეცა.

პალტოს ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, მუცელგამობერილი პატარა ბიჭუნა არხეინად იდგა და თვალდაუხამხამებლად შემომყურებდა. მივხვდი, ჩემს სამკერდე ნიშანზე დარჩენოდა თვალი. ნიკაპზე ალერსით მოვუცაცუნე ხელი. გამახსენდა, ერთი ცალი შოკოლადიღა მქონდა შემორჩენილი და ხელი ჯიბისკენ წავიღე.

— რა გქვია?

— მიშა, — მკვირცხლად მიპასუხა ბიჭუნამ და თვალი ჯიბისკენ გამოაპარა.

— გიყვარს შოკოლადი?! გამომართვი.

ზანტად, უნდობლად გამომიწოდა ხელი, შოკოლადი გამომართვა და უკუსვლით დედისკენ წავიდა.

— გეტყობათ, ბავშვები ძალიან გიყვართ, — ღიმილით მითხრა ქალიშვილმა.

მე თავი დავუქნიე, აბა სხვა რა უნდა მეთქვა.

— ალბათ, თქვენც გყავთ ბავშვები.

გამეცინა.

— რაზე მატყობთ?

— ისე...

— ბავშვები არა...

მოღიმარე ცისფერი თვალებით მომჩერებოდა. გრძელი, შავი წამწამები ჰქონდა.

— კავკასიელი ხართ?

— კი. ქართველი ვარ.

— კავკასიელები ისე ჰგავხართ ერთმანეთს, კაცი ვერ გაგარჩევთ.

— სულაც არა, — გავუღიმე, — ეგ თქვენთვის არის ძნელი, თვალი არა გაქვთ მიჩვეული.

— ალბათ.

დიქტორმა რომელიღაც მატარებლის გასვლა გამოაცხადა და ბიჭუნას დედა დაფაცურდა, ბავშვს ნიკაპქვეშ ყურებიანი ქუდის ზონარები სასწრაფოდ შეუკრა, თვითონაც თავზე საგულდაგულოდ მოიხვია შალი და წამოდგა. მრავლისმეტყველი ღიმილით გადმოგვხედა, მერე ბიჭუნას ხელი ჩაავლო და ბაქნისკენ გასწია.

ჩემი ჩემოდნიანად ქალიშვილისკენ მივცოცდი, ერთი სული მქონდა, გამეგო, რომელი მატარებლით და როდის მიემგზავრებოდა. ყოველ წუთს შემოდიოდა და გადიოდა ხალხი დარბაზიდან, მაგრამ ახლა აღარც ნაცნობს ვეძებდი და აღარც ელექტროსაათის ისრები მიწყალებდა გულს.

— შვებულებით მიდიხართ? — მკითხა ქალიშვილმა, სახე სულ უცინოდა.

— არა, უკვე მოვათავე სამხედრო სამსახური.

— მართლა? კარგია. მოსკოვში მსახურობდით?

— ტულაში.

— მოსკოვში პირველადა ხართ?

— გავლით გამივლია ერთხელ.

თეთრი ქუდიდან წაბლისფერი, ოდნავ სველი თმა შუბლზე ჩამოშლოდა, პალტოს საყელო ყვრიმალთან შეეკრა და საყელოში თეთრი მანდილი ჰქონდა ჩატანებული. ფეროვანი, ალბათ სიცივისაგან აწითლებული სახე ელექტრონის შუქზე ისე უბრწყინავდა, თითქოს ვარდი გადაჰფენიაო. სრულიად ახალგაზრდა იყო, თვრამეტი წლისაც არ იქნებოდა. კალთაში წიგნი ედო და პატარა მომუჭული ხელები ზედ დაედო. წიგნი გამოვართვი. ჩემთვის უცნობი, რომელიღაც მწერლის რომანი იყო.

— საინტერესოა?

— ჯერ არ წამიკითხავს.

— რომანების კითხვა გიყვართ?

— ხანდახან, — ღიმილით მომიგო მან. უცებ თვალებში შემომხედა და შემეკითხა:

— რა გქვიათ?

— ზურაბი.

— მე ანა მქვია. კარგი სახელია?

— ძალიან.

— მართლა? ყველას მოსწონს და მე — არა. ზურაბი იტალიური სახელია, ხომ?

— რატომ იტალიური, ქართულია.

— მე იტალიური მეგონა.

ლაპარაკისას, სიცივენასუნთქ ფილტვებიდან ორთქლი ამოსდიოდა და არ ვიცი, ამიტომ თუ მისი სველი თმის გამო, შორეულ ტრამალზე მოთიბული ნაწვიმი ბალახის სურნელი მცემდა.

— ჯარისკაცები მუდამ მოწყენილები რათა ხართ? — მკითხა უცებ.

გაოცებულმა შევხედე, ასეთი შეკითხვა პირველად მესმოდა.

— მოწყენილები?! რა ვიცი, სულაც არა.

— წეღან, დარბაზში რომ შემოვედი, სულ გიყურებდით, ისეთი სევდიანი თვალები გქონდათ.

— მართლა?! ალბათ, სიმარტოვის გამო, ამოდენა ქალაქში ნაცნობი რომ არ გეყოლება, აბა რა იქნება.

— საწყალი ბიჭი... — გამიცინა და უცებ თვალებში რომ შევხედე, მომეჩვენა, სადაც არის, ალერსით თავზე ხელს გა-

დამისვამს-მეთქი. უჩვეულო განცდა მომიზღვავდა, თითქოს ბურუსში გავეხვიე. ამ უცხო ქალაქში ვიღაც სრულიად უცნობმა, ალალბედად გადაყრილმა ქალიშვილმა ესოდენი სითბო და სიყვარული რად გამოიჩინა ჩემ მიმართ, მე ხომ რამდენიმე საათში, ვინ იცის, იქნებ სამუდამოდაც, იქაურობა უნდა დამეტოვებინა.

— იცი, საქართველო როგორ მომწონს?

— ყოფილხართ საქართველოში? — უცებ გამოვცოცხლდი.

— არა, მაგრამ ბევრი რამ გამიგონია.

— ეჰ, თქვენ თვითონ უნდა ნახოთ, გაგონილს რა ფასი აქვს.

— ალბათ, როდისმე ვნახავ. ძალიან გეჩქარებათ შინ დაბრუნება, არა?

— რა თქმა უნდა.

— შეყვარებული გელოდებათ?

— შეყვარებული? არა.

— მე რას მიმალავთ, — გამიღიმა და ჯერაც ბავშვურ სახეზე მოჩვენებითმა სიმწყრალემ გადაჰკრა. მინდოდა, როგორმე დამემტკიცებინა, რომ შეყვარებული არ მელოდებოდა.

— რატომ უნდა დაგიმალოთ, სიმართლეს გეუბნებით, — ამოვილუღლუღე და ვიგრძენი, ხმა როგორ ამიკანკალდა.

— შეიძლება, თუმცა ჩემთვის სულ ერთი არ არის? — ღიმილით ქვეშ-ქვეშ გამომხედა და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მკითხა: — ძნელია ჯარში ყოფნა?

— ძნელი რატომაა. პირველ დღეებში ცოტა ჭირს, მერე ეჩვევი. ბოლო დღეები კი მართლაც აუტანელია. შინ დაბრუნების დრო რომ მოგიახლოვდება, ერთი დღე ერთ თვედ გვეჩვენება, თუმცა ზოგიერთს არც უნდოდა შინ დაბრუნება.

დარბაზს მდუმარედ გაჰყურებდა. მილიციელები ვიღაც მთვრალ წვეროსან კაცს მიათრევდნენ, კაცს მუშტი შეემართა და ხალხისა თუ მილიციელების გასაგონად რაღაცას ქადაგებდა. მაგრამ ქალიშვილი იმათ სულაც არ უყურებდა, მისი გონება, ეტყობოდა, დარბაზს გარეთ იყო.

— თბილისის ნახვა ისე მინდა... რამდენი სიმღერა მომისმენია თბილისზე, — უცებ მომიბრუნდა, — ფუნიკულიორი ზღვის დონიდან რამდენ მეტრზეა, შვიდას ოცდაერთზე არა?

— კი-მეთქი, — ვუპასუხე, თუმცა ზუსტად არ ვიცოდი, რამდენ მეტრზე იყო.

— თბილისი თავისებური ქალაქია, მდებარეობა აქვს ლამაზი.

— თქვენ ისე ლაპარაკობთ, ნამდვილად ნამყოფი იქნებით.

— არა, დედას გეფიცებით, — გაიცინა, — გეოგრაფიიდან მახსოვს, იცით, სკოლაში როგორ მიყვარდა გეოგრაფია?

— ახლა სად სწავლობთ?

— საშუალო წელს დავამთავრე, მედალზე, მაგრამ ისეთი გადაღლილი ვიყავი, ეს ერთი წელი რომ არ დამესვენა, არ შეიძლებოდა.

— წამოდით საქართველოში, იქ ისწავლეთ.

ცისფერი ფართო თვალები შემომანათა და მადლიერების ნიშნად გამიღიმა.

— სიამოვნებით წამოვიდოდი, მაგრამ შორსაა, იქ ცხოვრება გამიძნელდება. აქ, მოსკოვში დეიდა მყავს, არაფერს გამიჭირვებს.

— როგორ, თქვენ მოსკოველი არა ხართ? — ვკითხე გაოცებულმა.

— არა, გორკიდან გახლავართ, დეიდასთან ვიყავი და ახლა მივემგზავრები.

— მე მოსკოველი მეგონეთ.

ერთხანს ორივე მდუმარედ ვისხედით. ფანჯარას ქარი აწყდებოდა და მინებს ზრიალი გაჰქონდა. მერე ქარი უცებ მიყუჩდა, თოვამ იმატა. ბრტყელი ფანტელები ამჯერად მშვიდობიანად მოფარფატებდნენ მიწისკენ.

ვიღაც ქალ-ვაჟმა ჩაგვიარა, ქალი მიდიოდა და დიდხანს მოურიდებლად გვაკვირდებოდა. ქალიშვილს ხელები ჯიბეებში ჩაეწყო. გადაჯვარედინებულ ფეხებს იატაკზე ძლივს აწვდენდა.

ბამბის ბუსუსებიან წინდებში გამოწკეპილი, ერთი შეხედვით სუსტი წვივები წითელი პალტოს კალთაში იკარგებოდა. უეცრად საოცარი სიახლოვე ვიგრძენ მისადმი, თითქოს ჩემ გვერდით იყო ადამიანი, რომელთანაც მთელი ცხოვრება მაკავშირებდა და იმის წარმოდგენამ, რომ რამდენიმე საათში უნდა გავშორებოდი, ერთი წუთით გულს ცეცხლი შემოშინთო.

— საინტერესოა, თბილისელები როგორ იცვამენ? — მკითხა მან.

— თბილისელები? გადასარევად. აი, დარბაზში თუ ვინმე ქართველი შემოვიდა, დაგანახვებ.

— აქ არიან ქართველები?

— მოსკოვში ვიღა არ არის, — ვუპასუხე და თვალი ვოვარიდე. არ ვიცი, რა მემართებოდა, თვალს ვერ ვუსწორებდი, უნებლიეთ მის ფეხებზე გადავანაცვლე მზერა, შეიშმუშნა და მუხლებზე პალტოს კალთა შეისწორა. მერე ისევ ჯიბეებში ჩაიწყო ხელები და სახეში შემომაჩერდა. მე ამჯერად მის მხრებზე დაყრილ ნაწნავებს დავადგი თვალი. გვერდიდან ვხედავდი, როგორ ყურადღებით მათვალიერებდა.

— იცი რა, — ღიმილით მითხრა, — სამოქალაქო ტანსაცმელი ძალიან დაგშვენდებოდა.

— რა ვიცი... აი, ჩავალ თბილისში და სულ სამოქალაქო ტანსაცმელი არ მეცმება?

დიქტორმა რომელიღაც მატარებლის გასვლა თუ მოსვლა გამოაცხადა და დარბაზი გამოცოცხლდა.

— შენი მატარებელი რომელ საათზე გადის?

— ჩემი? — კითხვა შევუბრუნე, უკვე „შენობით“ მომმართა. ძალიან მალე არ გავუშინაურდით ერთმანეთს! — ჩემი მატარებელი გვიან, ექვს საათზე.

— ექვსზე? — თვალები გაუფართოვდა და შემომაჩერდა, ხომ არ შეეშალაო. — რას ამბობ, აბა მანამდე აქ რა უნდა გააკეთო, იცი რომელი საათია?

— ვიცი, სამი საათია.

— სამიც არ არის, სამის ნახევარია.

— შენი მატარებელი როდისღა გადის? — იქით შევედავე.

— ჩემი მატარებელი როცა მინდა, მაშინ გავა, — სკამის საზურგეს ბეჭებით მიეყრდნო და კეკლუცად შემომხედა, თან ცალ ფეხს ბავშვური სიანცით აქანავებდა.

— როგორ თუ როცა გინდა?

— გორკისკენ ყოველ ერთ საათში გადის მატარებელი, თუ მინდა, არც წავალ, — ერთხანს გაჩუმდა და მერე უცებ, ვითომც აქ არაფერიაო, მითხრა:

— თუ გინდა დარჩი, მოსკოვი მაინც დაათვალიერე.

— როგორ თუ დავრჩე? — გავიოცე მე.

— ჩვეულებრივ, დეიდაჩემთან წაგიყვან, ღამე იქ გაათევ, კი არ ეწყინება.

— მერე რას ეტყვი, ვინ არისო.

— რა უნდა ვუთხრა, — მხრები აიჩეჩა, ისევ კეკლუცი ღიმილით შემომხედა — ვეტყვი, ამხანაგია საქართველოდან-მეთქი, კი არაფერს იტყვის, დედას გეფიცები. იცი, რა კეთილი ქალია! აი, ეს ქუდი იმან მიყიდა. მიხდება, არა?

— ძალიან. ქუდიც ძალიან გიხდება და პალტოც, — გულწრფელად ვუთხარი. მართლაც, ეს თეთრი, ფაფუკი ქუდი პირდაპირ ხატავდა.

— ჰოდა, შენ როგორც გინდა, მე გულით გთხოვ, დარჩე და...

ვიჯექი და შტერივით ვიღიმებოდი, რაღაც უცნაური და გაურკვეველი სიხარული მომძალებოდა. დარჩენით აბა როგორ დავრჩებოდი, სხვა რომ არაფერი, ბილეთი უკვე აღებული მქონდა, მაგრამ პასუხი ხომ უნდა მეთქვა.

— აი, მომავალ წელს, თქვენ რომ მოსკოვში ისწავლით, ჩამოვალ და გნახავთ, მართალს გეუბნებით, საგანგებოდ ჩამოვალ, მისამართს დაგიტოვებ და მომწერე, რომელ ინსტიტუტში მოეწყობი, მაინც რა ფაკულტეტი გაქვს გუნებაში?— სიტყვა შორს გადავუგდე.

— რა ვიცი, მასწავლებლობა მინდა. დეიდაჩემს არ მოსწონს, მე კი ბავშვობიდანვე სულ იმას ვოცნებობდი, მასწავლებელი გამოვსულიყავი და სადმე მყუდრო სოფელში მემუშავა. თქვენ არ მოგწონთ მასწავლებლობა?!

— ქალისთვის რა უჭირს, კარგია.

— ეგეც, და ბავშვობიდანვე ვოცნებობდი-მეთქი, აკი გითხარი. თქვენ საშუალო სკოლა დამთავრებული გაქვთ?

— კი.

— სწავლა არ უნდა გააგრძელოთ?

— გავაგრძელებ, ალბათ.

— კარგია, თუმცა ბიჭისთვის სულ ერთი არ არის?! იცი რა, ერთი რამე უნდა გითხრა, მაგრამ ვიცი, არ დამიჯერებ.

გამიკვირდა, ისეთი რა უნდა მითხრას-მეთქი.

— ვითომ რატომ არ დაგიჯერებ?!

— ისე... ისეთი უცნაური რაღაცაა... — სახეზე სიწითლემ

გადაჰკრა. პატარა, დაკუთხული ტუჩები წითლად უხასხასებდა.

— მაინც რა არის?

— არ დამცინებ?

— არა.

ცოტა ხანს შეჭოჭმანდა და მერე თქვა:

— წუხელ დამესიზმრე, — შემომხედა, — აი, ხომ გითხარი, არ დამიჯერებ-მეთქი. რა ძალიან გაგიკვირდა, ჯარისკაცი ვნახე სიზმარში, სულ შენა გგავდა, შენსავით სევდიანი თვალები ჰქონდა, თაიგული მომაწოდა მატარებლის ფანჯრიდან და წავიდა. ისე დამწყდა გული...

გაკვირვებით მართლაც რომ გამიკვირდა, მაგრამ რამდენად დასაჯერებელი იყო, ამაზე კი ვერაფერს მოგახსენებთ. გაოცებული შევყურებდი თვალებში და იმდენად გულწრფელი გამომეტყველება ჰქონდა, თანდათან იძულებული ვხდებოდი, მისი ნათქვამი მერწმუნა.

— არა გჯერა ხომ? — სერიოზულად გამიწყრა. — დედას ტყუილად დავიფიცებ? მითხარი, ტყუილად დავიფიცებ?

— როგორ არა, მჯერა, — სასწრაფოდ თავი ვიმართლე, — შეიძლება მართლაც დაგესიზმრა ჯარისკაცი, სიზმარი ისეთი უცნაური რამეა...

— ჰოდა, შენ კი არა გჯეროდა, რა ჩემი ბრალია, რომ დამესიზმრე?

თვალი მომარიდა და განზე გაიხედა. ბავშვური, უდარდელი სახე სევდამ დაუნისლა და მე კვლავ ვიგრძენი საოცარი სიახლოვე მისადმი, ისე მეჩვენებოდა, თითქოს მთელი საუკუნეა ვიცნობდი.

დარბაზში ხალხი მატულობდა, თამბაქოს აბოლებდნენ და ჰაერი ისე იყო დამძიმებული, სუნთქვა ჭირდა.

სულ ცოტა ხანში შეიცვალა, გამხიარულდა და მოღიმარი თვალები შემომანათა.

— რატომ მოიწყინე, თუ ასე გეწყინებოდა, არ გეტყოდი... გინდა, ქალაქში გავისეირნოთ, მეტრო გინახავს?

— არა.

— ჰოდა, გავიდეთ. არ მოგწყინდა ამ დარბაზში ჯდომა?

სულ გადასხვაფერებული იყო.

ქალაქში გასვლა როგორ არ მინდოდა, სხვა არა იყოს რა,

ჯდომისგან დავიხუთე, კიდევ სამი თუ ორი საათი ჩემი მტერი მჯდარიყო. მუხლის გასაშლელად თუ ადგებოდი, მორჩა, სამუდამოდ დაკარგავდი ადგილს.

— მერე შენ არ დაგიგვიანდება? — ვკითხე.

— მე იქნებ სულაც არ წავიდე. დეიდაჩემს კიდეც გაუხარდება.

— ჰო, არ ვიცი, ჩემი გულისთვის საქმეს ნუ წაიხდენ. — დიდსულოვნად გავაფრთხილე. — მეტროს ნახვა მართლაც რომ ღირს... მაგრამ ამ ჩემოდანს რა ვუყოთ? — გამახსენდა უცებ.

— ჩემოდანს?! — ერთი წამით შეწუხდა და მერე სახე გაუნათდა, — საკანში მივაბაროთ. ორ საათში რა უნდა გადაგახდევინონ. თუ ფული არა გაქვს, მე გადავიხდი.

— ფული როგორ არა მაქვს, — გავწითლდი და უნებურად ჯიბისკენ წავიღე ხელი, — მაგრამ საკანი სულ არ გამხსენებია.

მკვირცხლად წამოხტა. თავზე ქუდი შეისწორა და მერე ყავისფერი ტყავის ხელთათმანები გადაიცვა. მარცხენა ხელთათმანს რომ იცვამდე, შევამჩნიე, ხელის ზურგზე პატარა მეჭეჭი ჰქონდა. ჩემზე სულ ოდნავ იყო დაბალი. ფარაჯის ღილები შევიბნიე, ზედ ბრტყელი ჯარისკაცური ქამარი შემოვიწკიბე და პირველად მაშინ აღმოვაჩინე, ეს უშნოდ კალთაჩამოგრძელებული ფარაჯა როგორ არ მშვენოდა. ცოტა მოკლე რომ ყოფილიყო, კიდევ ჯანდაბას...

ქალიშვილმა თავით ბოლომდე შემათვალიერა და ღიმილით შემომხედა. სახეზე ალმურმა ამკრა, ვინ იცის, როგორ გავწითლდი. ჩემოდანს ხელი დავავლე და თაღოვანი ღია კარით მეორე დარბაზში გავედით. ხელში წიგნი ეჭირა და მოკლე, სწრაფი ნაბიჯებით მხარდამხარ მომყვებოდა. სიარულში მოწაფური მანერა ჯერაც შერჩენოდა.

შემნახველ საკანში რომელიღაც სარკმელთან სქელი, ჭაღარა ქალი იდგა, იდაყვებით დახლს დაყრდნობოდა და მხრებში კისერჩარგული დიდი მინების მიღმა სივრცეს ისე გულდაგულ მისჩერებოდა, ნამდვილად თოვლის ფანტელებს თვლიდა. ზედაც არ შემოუხედავს, ჩემოდანი ისე გამოგვართვა, მერე ისევ დახლს დაეყრდნო და ალბათ ფანტელების თვლა დაიწყო.

ქუჩაში გამოვედით. ქარი ჩამდგარიყო და ბარდნიდა.

ქალიშვილს გვერდით მივყვებოდი და ვხედავდი, მხრებზე როგორ სწრაფად ედებოდა თოვლი. ალმაცერად ჩამომავალი ფანტელები სახეზე გვეყრებოდა და ის ოდნავ თავდაღუნული, წითელ პალტოში საიმედოდ შეფუთვნილი ხალისიანად მომყვებოდა, თითქოს ფრთები გამოსხმიაო. უეცრად შემობრუნდა, თოვლის ფიფქებს თვალები მოუჭუტა და გამიღიმა.

ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სხვა, სრულიად სხვა არსება ვიყავი და ჩემ მაგივრად ქალიშვილს ის მოჰყვებოდა, გრძელ, მოძველებულ ფარაჯაში გამოწყობილი.

პატარა მოედანი გადავჭერით თუ არა, მეტროს სადგური ვიცანი, სხვა დროსაც გამივლია აქეთ, მაგრამ ნახვით არ მინახავს. უჩვეულოდ მომეძალა მიწის ქვეშ ჩასვლის სურვილი. რა სისულელე იქნებოდა, მოსკოვიდან ისე წავსულიყავ, რომ მეტრო არ მენახა-მეთქი, გავიფიქრე.

სადგურში შესვლისთანავე ორპირმა ქარმა დაჰკრა. ხამი კაცის ამბავი ხომ მოგეხსენებათ, იქაურობამ ყურადღებაც მომტაცა და ვიდრე გონს მოვიდოდი, ქალიშვილი სალაროსთან გაჩნდა, ფული გადაახურდავებინა, ერთი ცალი ხუთკაპიკიანი მე გამომიწოდა.

— რაზე წუხდებოდი, ფული მე არა მქონდა? — შევიცხადე და უხერხულობისგან, ვინ იცის, მერამდენედ, მთლად გავწითლდი, ჩემს უმწეობაზე ბრაზი მომდიოდა, თითქოს ქვეყანაზე არაფერი მენახოს, განა ახლა ვიგრძენ ეს პირველად. ამ სრულიად უცხო ქალიშვილმა დარბაზშივე ამყარა იარაღი.

— მერე რა მოხდა, — გამიღიმა, იდაყვზე ხელი ნაზად მომკიდა და სალარო-ავტომატთან მიმიყვანა.

ესკალატორს მივუახლოვდი თუ არა, მუხლებში სიძაბუნემ გამიარა და უნებურად ხელზე ხელი მოვკიდე. მერე მალევე მივხვდი, რომ როგორც წარმომედგინა, ისეც არ იყო საქმე. მხოლოდ ერთი ნაბიჯი ჭირდა და ამის შემდეგ ეს მოძრავი კიბე ისეთივე ახლო ურთიერთობას ამყარებდა მენთან, როგორსაც თავის ძველისძველ ნაცნობებთან. მაგრამ ქალიშვილისთვის ხელი მაინც არ გამიშვია. ერთი საფეხურით დაბლა იდგა, დროდადრო შემომხედავდა ხოლმე და გამიღიმებდა. მაინც რა სითბოთი და მზრუნველობით აღსავსე იყო ეს უსიტყვო ღიმილი?!

მის მხრებსა და კისერს დავჩერებოდი და ვხედავდი, მხრე-

ბზე როგორ თანდათან ადნებოდა თოვლი. კვლავ ვიგრძენ ტრამალზე მოთიბული სველი ბალახის სუნი, ალბათ მის თმას ასდიოდა.

დიქტორი რაღაცას აცხადებდა და მე უკვე აღარაფერი მესმოდა, ყველაფერი, რასაც ვგრძნობდი და რასაც ვხედავდი, თითქოს ბუნდოვანი სიზმარი იყო. არ მახსოვს, ესკალატორიდან როდის გადავედით ან ერთმანეთს ხელი როდის გავუშვით, ალბათ, მაშინ, როცა ზურგიდან ვილაცამ მომაძახა: ჯარისკაცო, ერთი წუთით ჩემთან გამოცხადდიო. ამ ბრძანების კილომ ჩემს სულში მყისვე გააღვიძა ჯარისკაცური ბუნება და ბურანიდან გამომიყვანა. ფიცხლად მოვბრუნდი. ჩემს წინ აყლაყუდა ჭაღარა ლეიტენანტი იდგა და მოღიმარე თვალებით მომჩერებოდა.

— თქვენი საბუთები! — თითები გაატკაცუნა.

— ახლავე-მეთქი, დავფაცურდი, სულ დავიბენი, თითქოს დანაშაულზე წაესწროთ. უბის ჯიბეში საბუთებს ძლივს მივაგენი და ყველაფერი ერთად გავუწოდე. ლეიტენანტმა საგულდაგულოდ გადაათვალიერა ყველაფერი, უკანვე დაბრუნა და ღიმილით მითხრა:

— [illegible] სში მიემგზავრები?

— დიახ-მეთქი, ვუთხარი და წელში გავსწორდი.

— ეჰ, თბილისი, თბილისი! — მხარზე ხელი დამკრა და თვალი ჩამიკრა. კეთილი კაცი ჩანდა, თვალები სულ უცინოდა. საბუთები ჯიბეში ჩავიდე და მოვტრიალდი. ქალიშვილი ზურგს უკან ამომდგომოდა, შეცბუნებული სახე ჰქონდა. არ ვიცი რატომ, გავუღიმე და შევეცადე, გულგრილი, მხიარული იერი შემენარჩუნებინა.

— რა უნდოდა იმ კაცს?

— საბუთები გამისინჯა.

— მერე?

— მერე რა?!

ერთმანეთისთვის მეტი არაფერი გვითქვამს. იმ ლეიტენანტმა თითქოს განწყობილება შემიცვალა. კვლავ ჯარისკაცად წრმოვიდგინე თავი და საოცრად მომწყურდა სახლი.

— რად მოიწყინე? — მკითხა უცებ გოგონამ.

— არ მომიწყენია, — სასწრაფოდ გავეპასუხე და ნაძალადევად გავუღიმე.

ეჭვით მიყურებდა. თვალს არ მაცილებდა.

— მე რომ შენს ადგილას ვყოფილიყავი, საბუთებს არ ვაჩვენებდი. — წარბები შეკრა, — რა მეტიჩარა კაცი იყო.

— რატომ იყო მეტიჩარა? — გამეცინა.

— აბა რას გისინჯავდა საბუთებს? მაგისი ბრალია, მატარებელმა რომ გაგვასწრო. რას იცინი?

— არაფერს, ისე...

თვითონაც გაეცინა, წარბგახსნილი თვალებში მიიჩერებოდა.

— ახლა რა ვქნათ, საით გავყვეთ მატარებელს?

— სულ ერთი არ არის? — მხრები ავიჩეჩე, — ოღონდ მალე უნდა დავბრუნდეთ.

სადგურში წასვლა მინდოდა. იქ როგორღაც უკეთ ვგრძნობდი თავს. სადგური თითქოს საკუთარ სახლს მაახლოებდა.

გრიგარისებური ხმაურით შემოჭრილმა ელმავალმა გამომაცოცხლა და ცნობისმოყვარეობა გამიღვიძა. ელმავალი ბაქანზე გაწვა, ყუნწამდე გახსნილი კარებიდან მგზავრები გამოფანტა, მათ სანაცვლოდ სხვებთან ერთად ჩვენც შეგვიტაცა და უცებ მოწყდა ადგილს. რბილ სავარძელზე გვერდიგვერდ ვისხედით. ქალიშვილმა ხელთათმანი წაიძრო, ყდადასველებული წიგნი ხელისგულით გადაამშრალა, კალთაში ჩაიდო და მომუშტული ხელები ზედ დააწყო.

ჩემი ცნობისმოყვარეობა სავსებით და საბოლოოდ ჩაითრია მიწისქვეშეთმა. მიშხუოდა ელმავალი და გვირაბის კედლებზე დაყენებული ნათურები რიგრიგობით სწყდებოდნენ ადგილიდან. სადგურს სადგური სცვლიდა, მგზავრებს — მგზავრები. ჩვენ კი ფეხმოუცვლელად ვისხედით და ფანჯარას მივჩერებოდით.

ხანდახან ღიმილით მომხედავდა და მეტყოდა.

— მოგწონს?

ძალიან-მეთქი, ღიმილითვე ვპასუხობდი.

— ჰოდა, შენ კი არ გინდოდა გენახა მეტრო.

არ მახსოვს, რამდენ ხანს ვიყავით, რამდენი სადგური გავიარეთ. როცა ელმავალი კურსკის ვაგზლისკენ გამოვიდა, ჩემი მატარებლის გასვლამდე ერთი საათიღა იყო დარჩენილი. მე სული მესწრაფოდა, მეშინოდა, მატარებელმა არ გამასწ-

როს-მეთქი და საათს მალიმალ დავჩერებოდი. ამ საათზე ყურებას იგი ვერ იტანდა, მიწყრებოდა.

როგორც კი ელმავლიდან ფეხი გადმოვდგი, დაქანცულობა ვიგრძენი. არ ვიცი შთაბეჭდილებისგან, არ ვიცი შიმშილისგან, — თავი მიბრუოდა.

ესკალატორზე შედგომისას იდაყვზე მომკიდა ხელი და მთელი კიბე ასე ავლიეთ. მე უცებ სითამამე დამიბრუნდა. გავხალისდი და თავი არხეინად მეჭირა. იქნებ იმიტომ, რომ სულ მოკლე ხანში ჩემი მატარებელი უნდა დაძრულიყო?!

ქუჩაში გავედით თუ არა, ხელთათმანები გადაიცვა და ნაბიჯს მოუკლო. შევამჩნიე, თითქოს ერთი წამით გამოიცვალა, მოიწყინა.

ქალაქს უკვე ბინდი დასწოლოდა. ყველგან ნათურები ენთო და მათ შუქზე თოვლს ლილისფერი გადაჰკროდა.

— ანა, — მივუბრუნდი, — დაიღალე?

— არა, — მოკლედ მომიჭრა, თოვლი ამუჭა, ხელში დაადგუნდავა და გაეცინა, მივხვდი, გუნდის სროლას მიპირებდა. გამეღიმა, თავი ისე დავიჭირე, ვითომც ვერც ვხედავდი. ბოშად დაგუნდავებული თოვლი ქუდზე დამაფშვნა. ფიფქები კისერში ჩამეყარა. საყელოს ხელით ვიბერტყავდი და მესმოდა, რა გულიანად იცინოდა.

— აბა, მოსკოვიდან ისე როგორ უნდა წახვიდე... ეს მაინც დაგამახსოვრდება, — დასძინა ბოლოს და ქვეშ-ქვეშ გამომხედა.

მეტი არაფერი უთქვამს, ორივე მდუმარედ შევედით შემნახველ საკანში და ჩემოდანი გამოვიტანე. იგი განზე იდგა, ცალი ფეხით ფილაქანზე თოვლის გუნდას სრესდა.

მოსაცდელ დარბაზში როგორც კი შევედით, დიქტორმა გამოაცხადა, თბილისი მეორე ლიანდაგზე ჩამოდგებაო. თბილისის ხსენებაზე თითქოს შეკრთა, სასოწარკვეთით შემომხედა, მაგრამ შევატყვე, რომ თავი გულგრილად დაიჭირა. მინდოდა, რაიმე გულთბილი სიტყვა მეთქვა მისთვის, მაგრამ ენას ვერ ვაბრუნებდი.

— შენ რომელ საათზე წახვალ? — ვკითხე მერე.

— რა ვიცი. შეიძლება დღეს არც წავიდე. იცი რა? — განზე გაიხედა. — დედას გეფიცები... მწყინს, რომ მიდ[illegible]ან, მე რა უნდა ვქნა ახლა.

ვიდექი და უმწეოდ მეღიმებოდა. ამ უმწეობას თვითონაც ვგრძნობდი, საკუთარ თავს შორიდან უცხო თვალით ვუყურებდი და მძულდა უძლურებისა თუ მერყეობის გამო.

— ყველა მომიკვდეს, მომავალ წელს თუ არ ჩამოვიდე მოსკოვში და არა გნახო.

— მართლა ჩამოხვალ? — თვალები გაუცისკროვნდა.

— მართლა, აბა ტყუილად? მისამართს დაგიტოვებ და მომწერე, რომელ ინსტიტუტში მოეწყობი.

— კარგი, აბა გავიდეთ ბაქანზე, მატარებელმა არ გაგასწროს.

ბაქანზე ციოდა. ცას პირი აჰყროდა და ყინავდა. სუსხიანი, წყნარი საღამო იყო, ლამაზი, დაუვიწყარი. ზევით, განათებული ზეცის სიღრმეში ვარსკვლავების ხომლი თითქოს სიცივისაგან თრთოდა, ხოლო ძირს, რკინიგზის სადგურზე, ჩვეულებრივ მიედინებოდა ცხოვრება. კივილით სტოვებდნენ სადგურს სხვადასხვა მხარეს მიმავალი მატარებლები.

მეთორმეტე ვაგონთან გავჩერდით. ხელი ხელს გვქონდა ჩაჭიდებული და არ მახსოვდა, ერთიმეორეს ხელი როდის ჩავეჭიდეთ.

ლიანდაგის გადაღმა რომელიღაც მატარებელთან აკორდეონს უკრავდნენ და ვიღაც ქალი თავგამეტებით გაჰკიოდა გამოსამშვიდობებელ სიმღერას.

— გცივა?

— რა თქვი? — ვერ გაიგო რა ვუთხარი.

— გცივა-მეთქი?

— არა.

— ისე მომეჩვენა, თითქოს შეგაკანკალა.

— პასუხი არ გაუცია, განზე გაიხედა, სივრცეს თვალი გაუშტერა.

— ადი ახლა, თორემ მატარებელი, სადაც არის, დაიძვრება, — მითხრა ხმადაბლა.

— სად გამექცევა, აგერ არა ვარ!

— თუ გაგასწრო, ნახე ოინი, — გამიღიმა და თვალებში მომაჩერდა. ამ გულუბრყვილო, უდარდელ თვალებში მაინც დავინახე განშორების სევდა.

ჩემოდანი თოვლით დაფარულ ასფალტზე დავდგი და სიცივისაგან გათოშილი მარჯვენა ხელი ფარაჯის ჯიბეში ჩავი-

ყავი. ხელიხელ ჩაჭიდებული ვიდექით და გდუმდით. ქალიშვილი ფეხს ფეხზე არტყამდა, ალბათ, სციოდა.

— იცი რა, წადი, ჩემი გულისთვის არ გაცივდე. ფეხები გაძრება, არა?

— არაფერიც. შენ თუ გინდა, წავალ, იქნება არ გინდა, რომ გაცილებ! — თვალებში შემომხედა.

— აბა, რას ამბობ, — თავი ვიმართლე, — მე შენთვის გითხარი, თორემ...

ლიანდაგების გადაღმა ისევ უკრავდნენ აკორდეონს და ისევ ისმოდა ვიღაც ქალის სიმღერა.

— თბილისში როდის ჩახვალ?

— ზეგ ამ დროს უკვე თბილისში ვიქნები.

— ეჰ, ჩახვალ და მეც დაგავიწყდები. მე კი, სულ მემახსოვრები, სულ... ნეტავ სამოქალაქო ტანსაცმელში როგორი იქნები!

მატარებელი შეინჯღრა და თოვლი დაიბერტყა. გამცილებლები ვაგონებს ფიცხლად სტოვებდნენ. მეც ავჩქარდი. ქალიშვილმა ცალი ხელთათმანი გაიძრო და ხელი გამომიწოდა: პატარა, თეთრი ხელი უზომო სითბოს აწვდიდა ჩემს სხეულს.

— აბა, კარგად იყავი, — ხელი მაგრად მოვუჭირე.

— კარგად, — ერთ წამს მომეჩვენა, რომ ხელს არ მიშვებდა, მერე უნდილად დაუშვა ხელი, შემომხედა და მითხრა:

— მომავალ წელს მართლა ჩამოხვალ მოსკოვში?

— აუცილებლად. პატიოსან სიტყვას გაძლევ, აუცილებლად ჩამოვალ და გნახავ.

ვაგონის კიბეზე ზანტად ავედი. ჩემოდანი კუთხეში მიედგი და კიბის თავზე გავჩერდი. ის იქვე იდგა. მარჯვენა ხელი წითელი პალტოს ჯიბეში ჩაეყო და ბაგეს იკვნეტდა.

მატარებელი ნელა, უხმაუროდ დაიძრა და არ ვიცი, მომეჩვენა თუ რა იყო, აბა იმ სიბნელეში რას გავარჩევდი, ქალიშვილი ფერმიხდილი იდგა ბაქანზე და მოწყლიანებული თვალებით მიაცილებდა მატარებელს. მეჩვენებოდა, თითქოს თვითონ ბაქანი მიდიოდა ჩემგან შორს, ამ ბაქანზე იდგა წითელპალტოიანი, წინ გადმოხრილი ქალიშვილი და ფეხის წვერებზე აწეული ხელთათმანს მიქნევდა. უკანასკნელად მოვკა-

რი თვალი თეთრ ქუდს და სულ ცოტა ხანში ისიც მანძილმა შთანთქა.

უცებ სხვა სამყაროში გადავსახლდი. ვაგონის ღია კარში ვიდექი მარტო და ქარი სხეულს მიხვრეტდა. ცა იწმინდებოდა, დაკუმშული ღრუბლები აღმოსავლეთით მიეშურებოდნენ. გარშემო სიბნელე იყო და ამ სიბნელესა და ვეება ცის წინაშე თითქოს უხილავ, პატარა წერტილს წარმოვადგენდი.

ალბათ, იმ წუთს ვიგრძენი ქალიშვილთან სიახლოვით გამოწვეული სიტკბო და ამასთან ერთად შევიგრძელ ამ სიტკბოებისაგან განშორების ტკივილიც.

„იქნებ სჯობდა, დავრჩენილიყავი?“ — ეს სიტყვები თითქოს ვიღაცამ ჩამძახა და მერე მატარებლის ბორბლებმა აიწყვიტეს.

— იქნებ სჯობდა!..

— იქნებ სჯობდა...

სევდის ბაღი

„სევდის ჩიტი, სევდის ბაღში,
სევდიანად გალობს“.

მონადირენი მწყემსების დანატოვარ ქოხში შეიხიზნენ ღამის გასათევად.

ისინი ორნი იყვნენ, უკვე ხანში ფეხშედგმული ბიბლიოთეკარი რაუდენა სხივიშვილი, ბოლო ხანებზე ზედმეტი სიმსუქნისგან ქოშინი რომ მოსძალებოდა და ექიმის რჩევით ნადირობისთვის მიეყო ხელი, ხოლო მეორე — მწერალი ლადი გომართელი.

ეს ორი არსება დიდად არაფრით ჰგავდნენ და თქვენ წარმოიდგინეთ, არც დიდად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ერთი ეგ იყო, რომ სხვადასხვა ვარსკვლავს ეთამაშებოდნენ და სხვადასხვა გზით ეპოტინებოდნენ უკვდავებას.

დისერტაციისა და კიდევ რაღაც უკეთესის მოლოდინში უცოლოდ დაბერებული რაუდენა ცხოვრობდა თავისთვის მარტოდმარტო და ჩვეულებრივ მოკვდავთაგან რომ რაიმეთი გა-

მორჩეულიყო, მჭევრმეტყველებასღა ეპოტინებოდა. ჭკუასა და გონიერებას მოკლებული არ იყო რაოდენი, გარდა იმისა, რომ რჩეულ ადამიანთა ციტატები ზეპირად იცოდა, თავისი საკუთარი აზრებიც გააჩნდა სიცოცხლესა თუ სიკვდილზე, სამყაროსა თუ ცხოვრებაზე. მაგრამ თავმდაბალ, გულუბრყვილო, და ამავე დროს, უმარიფათო რაოდენს ზოგჯერ მთლად უგნურნი, მაგრამ მარიფათიანები, შემპარავად კიდეც დასცინოდნენ. ალბათ, ამ მიზეზით რაოდენა უბრალო ბიბლიოთეკარობას ვერ გასცდა და ახლა, ერთადერთი, რითაც თავს იქცევდა, მჭევრმეტყველებაღა იყო. როგორც კი რომელიმე უცხო საზოგადოებაში მოხვდებოდა, სხვის აზრებსა თუ საკუთარ აზრებს საკენკივით გადააბნევდა ხოლმე და მიუხედავად იმისა, რომ ქიზიყურ კილოზე ლაპარაკობდა და სიტყვის ბოლო ბგერას სჭამდა, თავისი მჭევრმეტყველებით თვით უუღრმესად ინტელიგენტებსაც კი ხიბლავდა და აოცებდა. ასეთ დროს ყელთამდე ბედნიერი რაოდენა მართლაც უკვდავთა მარაქაში რაცხდა თავს.

ლადის კი სხვა უკვდავების ჭია ღრღნიდა. იგი იმ „დაჩაგრულ ტალანტთა“ რიცხვს ეკუთვნოდა, ესოდენ ცოტანი რომ მოიპოვებიან საქართველოში. ისინი ყველაფერს, რაც იწერება და ქვეყნდება, ზევიდან დაჰყურებენ და ქირქილებენ. ცხვირაწეულნი ყინჩად დააბოტებენ, ტუჩებზე ქედმაღლური ღიმილი დასთამაშებთ და ერთთავად დუმან, დუმან.

ეს დაჩაგრული ტალანტები არაფერს აქვეყნებენ, რადგან მათ ან ეპოქა ვერ უგებთ, ანდა ჭეშმარიტებას ეწირებიან მსხვერპლად. თანამედროვეობაზე გაბუტულნი ტიკჭორებივით დაბერილები დაიარებიან და ისე იბღვირებიან, თითქოს, ესეს არის, ვიღაცამ ძალით მოხადა გვირგვინი და თავად მიიტაცაო.

მაგრამ ამ დაჩაგრულმა ტალანტებმა ჩინებულად იციან საკუთარი თავის ძალა და ფასი. საკმარისია გამოაქვეყნონ რაიმე და მყისვე ცხადი გახდება აქილევსის სუსტი ადგილი. ამიტომაც ურჩევნიათ „დაჩაგრულ ტალანტებად“ იცნობდეს საზოგადოება, იყბედონ თანამედროვე ევროპული პროზისა და პოეზიის მიმდინარეობაზე და ცინიკური ღიმილით უყურონ მათ, ვინც ალალ ოფლს იწმენდს.

ლადიც ერთ-ერთი მათგანი იყო. როგორც „დაჩაგრულ ტა-

ლანტს“ რაჟდენა გარეგნულად პატივისცემით ეექცეოდა, სიამოვნებით ან იქნებ იძულებითაც მეგობრობდნენ ერთმანეთს. თუმცა უნდა ითქვას, რომ ლადი ზოგჯერ აშკარად დასცინოდა მას. ასეთ დროს ხათრიანი რაჟდენა ისედაც ბუთხუზა ლოყებს უფრო დაბერავდა ხოლმე, გაიბუსხებოდა, მაგრამ არაფერს ამბობდა. სამაგიეროს იმით უხდიდა, რომ გულში თავადაც დასცინოდა ლადის, მაგრამ როგორც კეთილი კაცი, თავი ისე ეჭირა, ვითომც მის ტალანტს დიდად აფასებდა. ასე იყო თუ ისე, ერთიმეორესთან მაინც რაღაც აკავშირებდათ და მეგობრებად ითვლებოდნენ. იქნებ იმიტომ, რომ ორივენი ერთ ტაფაში იწვოდნენ?

აი, დღესაც სანადიროდ ძალით წამოიყვანა რაჟდენმა ლადი.

— წამოდი, ლად. სუფთა ჰაერს ჩაყლაპავ და შთაბეჭდილებას გაიმდიდრებ. მწერალ კაცს ნადირობა უნდა უყვარდეს.

ᲫᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲘᲡ მიწურული იყო. ღამემ უკვე ოთხივე კალთა დაუშვა დედამიწაზე და ყველაფერი ბინდში შთანთქა.

გარეთ ცრიდა. ქოხის პირას ცეცხლი გიზგიზებდა და ირგვლივ სიბნელეს სძოვდა.

მიუხედავად დაღლილობისა, მონადირეებს ძილი არ ერეოდათ.

ორი უმწეო არსება, წუთისოფლის ორი ხანმოკლე სტუმარი, იჯდა ცეცხლის პირას ბნელი, მარადიული ცის ქვეშ და მარადისობასა და სიკვდილ-სიცოცხლეზე საუბრობდა.

— სამყარო ერთი ვეება სასწორია, ლად. — საკუთარი თუ სხვისი ფრაზებით მჭევრმეტყველებდა რაჟდენა და სიტყვის ბოლო ბგერას ყლაპავდა, — იმ სასწორის ერთ თეფშზე სიცოცხლე ძევს, მეორეზე — სიკვდილი, საკმარისია ერთი უმათგანობა და ის სასწორი მაშინვე წონასწორობას დაკარგავს. სიკვდილი და სიცოცხლე აწონასწორებს სამყაროს. აი ეს არის, ლად, ყველაფერი, სხვა დანარჩენი ამაოება და თავის შექცევაა. ერთადერთი, რითაც ადამიანი ამართლებს თავის არსებობას, ეს შრომაა. შრომა და ამ ქვეყანაზე რაიმეს შექმნა.

ბოლოს სიტყვა იმაზე ჩამოაგდეს, თუ რანი არიან ადამიანები, როგორ ცრუობენ ისინი ერთმანეთთან თვით მწუხარების ჟამსაც კი და სიკვდილის შემდეგ რამდენ ხანს ინახავენ ერთმანეთის ხსოვნას.

— ხსოვნას!.. — ჩაიჯიჯღინა ლადიმ და ცეცხლში ჩააფურთხა. — ჩემო რაჟდენ, ყველანი ერთმანეთს ვატყუებთ და თავს ვიქცევთ. თვით მწუხარების ჟამსაც კი ვცრუობთ.

რაჟდენამ მწრედ ჩაიცინა და თავი დაუქნია. ამავე წუთს მან ერთი რამ შენიშნა: ლადი გულთბილად ესაუბრებოდა. ყოველთვის ასე ხდებოდა, როცა მარტონი რჩებოდნენ, ხოლო თუ მესამე ან მეოთხე პირი შეუერთდებოდათ, მაშინ ლადი სულ სხვაგვარი კილოთი ელაპარაკებოდა, — შემპარავი ცინიზმით, რაც აშკარად დამცირება იყო.

რაჟდენამ თავჩაქინდრულ ლადის გადახედა, ცეცხლის შუქზე მისი სახე ფერმკრთალი და სევდიანი ეჩვენა.

— ხანდახან რო დავფიქრდები, ლად, ყველაფერი ბითურობად მეჩვენება და თავი მეზიზღება. რა ყალბები ვართ, რა ყალბები! — რაჟდენამ ცეცხლს შეუჩიჩხინა და ქვეშ დაფენილ ტყაპუჭზე საიმედოდ მოკალათდა, — მე გიამბობ ერთ ამბავს, მწერალი კაცი ხარ და გამოგადგება. ალბათ, არ გახსოვს ვანო ირემაძე, გაგონილი კი გექნება. ამ ათიოდე წლის წინათ გარდაიცვალა უკურნებელი სენით. მაშინ მეც გამომცემლობაში ვმუშაობდი.

ერთ ჩვეულებრივ დღეს მოვიდა სამუშაოზე ვანო და დაიჩივლა. მარცხენა მხარი გაკავებული მაქვსო. ეს ჩივილი არაფრად ჩაგვიგდია, ჭვალი იქნება და გაივლისო, გულგრილად დავაიმედეთ. აბა ვინ იფიქრებდა, რომ გარეგნობით სრულიად საღსალამათს, ზვინივით კაცს, რომელსაც ჯერ კიდევ შეეძლო კვირაში ორჯერ ქეიფში გაეტეხა ღამე, მძიმე სნეულება ჩაუჯდებოდა ტანში.

ვანო უცებ ჩავარდა ლოგინად. ერთ დღეს მაცნე მოვიდა და შემზარავი ამბავი მოიტანა: ვანოს მარცხენა ფილტვის კიბო აქვსო.

ჩვენი მყუდრო დაწესებულება ფუტკრის სკასავით აფუტფუტდა და აბზუვლდა. ოთახებიდან ოთახებში ფეხის წვერებზე დაკინკილებდნენ, იმის შიშით აბუზულები, რომ თავადაც მოკვდავნი არიან, რომ როდისმე ეს დღე თავადაც დაუდგებათ.

— საწყალი ვანო, რა კაცი იღუპება! — და ერთმანეთს თვალებში გამომცდელი მზერითა და ეჭვით ჩაჰყურებენ.

— აბა, იმისი წყენა რომ არავის ახსოვს.

— ცხვარივით კაცი იყო!

— ის შერჩა, რაც დრო ატარა.

— ზოგჯერ დაყვირებაც იცოდა, მაგრამ გული კეთილი ჰქონდა საწყალს. — ეს ჩვენი კორექტორი, ტარანივით გამხდარი იულია ამბობს თავის აზრს და თან ეჭვიანად აცეცებს თვალებს, აბა, დამეთანხმებიან თუ არაო. იმისდაგასახარად მაშინვე ეთანხმება უფროსი რედაქტორი ქსენია.

— კი, კი. ხანდახან იცოდა... ცოტა უხეში იყო, მაგრამ ცუდს არაფრით გაგიკეთებდა.

და ყველანი, ქალები თუ კაცები, თანამდებობით უმცროსუფროსნი კვლავ გამომცდელად და ეჭვით უმზერენ ერთმანეთს.

მე გაოგნებული მდუმარედ ვიჯექი და თვალწინ მედგა ვანო. თეთრ კიტელში გამოწყობილი ვესტიბიულში დგას (კაბინეტში ჯდომა არ უყვარდა, საწყალს), ვიღაცას დარბაისლურად ესაუბრება, როგორც სჩვეოდა ხოლმე, ცალი ხელით კედელს მიყრდნობია, ხოლო მეორეთი გამეჩხერებულ ჭაღარა ქოჩორს ისწორებს.

და სწორედ მაშინ, როცა ყველანი ადამიანის საბოლოო განაჩენს უკვე შეეგუვნენ და ყოველდღიურ ცხოვრებას მისცეს თავი, სრულიად მოულოდნელად განვაცხადე:

— ტყუილია, რა კიბო, რის კიბო!

თითქოს ცა ჩამოქცეულიყოს, ყველა ერთბაშად აფორიაქდა.

ჩვენმა კორექტორმა, ქერათმიანმა იულიამ, სარკეში ცქერას თავი მიანება და ცერად გადმომხედა. თხელ მზაკვრულ ტუჩებზე დამცინავი ღიმილი უციმციმებდა. დანარჩენებიც მე მომჩერებოდნენ. აბა ერთი, რა სარწმუნო წყარო აქვსო.

— კიბოს გასინჯვით ვერ იგებენ, რა სისულელეა! — დავძინე მე.

— რავა გეკადრება, შე კაცო, — ჩაიცინა იულიამ, — კაცს ცალი ფილტვი შეჭმული ჰქონია. მაგას რა დიდი გამოცნობა უნდა, ფილტვი აღარ არის, მორჩა და გათავდა. დასაწყისი რომ იყოს, მესმის... — და იულია, დარწმუნებული, რომ საბოლოოდ გამცა ამომწურავი პასუხი, ისევ სარკეს დაუბრუნდა, სპირტიანი ბამბით სახეს იწმენდდა.

— იიჰ, — პროტესტის ნიშნად ხელი ჩავიქნიე და ჩემი საქმე განვაგრძე.

მაგრამ მეორე დღეს ყველაფერი ნათელი გახდა, ბატონი ვანო მართლაც კლანჭებში ჰყავდა სიკვდილს მოქცეული. უნდა გენახა, ლად, ჩვენი თანამშრომლები რა დამცინავად მიმზერდნენ. ყოველ მათ გამოხედვაში ვკითხულობდი: ინდე, რომ არ გეჯერა. აპა, შენ რა გგონიაო. ახლა რაღას იტყვიო. და თან სინანულით ვიშვიშებდნენ.

ვანო ირემაძე... ეს საოცარი კაცი, ეს უკანასკნელი მოჰიკანი, უცაბედად გვეცლებოდა ხელიდან.

მთელი მისი ცხოვრება თვალწინ დამიდგა.

ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი, ირემაძეს შორიდან რომ ვიცნობდი. პაოლო, ტიციანი, კოლაუ და სხვა „ცისფერყანწელები“ ირემაძის განუყოელი მეგობრები იყვნენ. თვითონაც სწერდა ლექსებს, მაგრამ უფრო მეტ დროს ქეიფში ატარებდა. ლამაზი მამაკაცი იყო, დარბაისელი, მშვენიერმეტყველი და პირდაპირი.

გავიდა დრო, უკუღმართმა ბედმა ღვიძლი მეგობრები მოულოდნელად გამოაცალა ხელიდან. ვინც ლექსით ცოცხლობდა, ლექსმავე იმსხვერპლა.

მას აქეთ ირემაძეს თავისი ლექსები აღარ გამოუჩენია, ალბათ აღარც სწერდა. ყველაფერი, რაც კი კარგი შეიქმნებოდა მწერლობასა თუ მეცნიერებაში, ბავშვივით ახარებდა. მთელი თავისი ცხოვრება წიგნისა და მწერლობის სამსახურს დაუთმო, ეს იყო მისი მემკვიდრეობაცა და იმედიც. ვანო ირემაძე იმ ბერს მაგონებდა, რომელმაც ამქვეყნიური ყოველივე დათმო და ღმერთსა თუ მონასტერს მისცა სული თვისი. გამომცემლობა მისთვის უწმინდესი ტაძარი იყო.

თავისი თანამედროვეებისა თუ დაკარგული მეგობრების პოეზიას ხატივით ელოლიავებოდა. ვიდრე წიგნად გამოვიდოდა, სტრიქონ-სტრიქონ კითხულობდა, სტამბაში დაიარებოდა, საბეჭდსა და სატიტულე ქაღალდს თვითონ არჩევდა.

ყოველი სასიგნალო წიგნი პირველად ვანოსთან მიჰქონდათ. ეს მკაცრი, ურღვევი კანონი იყო. აიღებდა ხელში დაბეჭდილ წიგნს, ქაღალდისა და საღებავის მძაფრი სუნი ჯერ კიდევ რომ ასდიოდა და ისეთი სიამით დაყნოსავდა, როგორც თონიდან ახლადამოყრილ ლავაშს. მაშინ უნდა ენახა იგი კაცს.

სულ სხვა ვანო იყო, თითქოს მეცხრე ცაზე ასული კმაყოფილებით გადმოჰყურებდა ქვეყნიერებას. ასჯერ წაკითხული ლექსებით ასმეერთედ ტკბებოდა, ცდილობდა, მხოლოდ კარგი დაენახა, კარგი აღმოეჩინა და იგი სხვისთვისაც გაეზიარებინა, სხვასაც გადასდებოდა მისი სიხარული. იმ დროს სიბერისგან უკვე ლომივით დაჯირჯვებულ მის თვალებში იხატებოდნენ სიყრმის მეგობრები, ლექსის კაცები, სიტყვის რაინდები, სუფრაზე მოთამადენი, ზოგი ნაადრევად ხმაშეწყვეტილი, ზოგიც სიბერით დადუმებული, რა მორევი ტრიალებდა მაშინ ვანოს გულში, ვინ მიხვდებოდა.

გადიოდა დრო და ვანოს ის კანტიკუნტად შემორჩენილი მეგობრებიც ეცლებოდა ხელიდან. თაობა მიდიოდა, ვანო კი, იმ თაობასთან სულით გადაბმული ვანო, ცალულელა ხარივით მარტო რჩებოდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ გამომცემლობაში წიგნის გამოცემის საქმე უარესდებოდა, დაუდევრად ექცეოდნენ ყოველ წიგნს, წლობით აგვიანებდნენ და უხარისხოდ სცემდნენ.

მეტი რა გზა ჰქონდა, ვანომ თავის ირგვლივ შემოიკრიბა ახალი თაობის რამდენიმე პოეტი, ისინი, ვინც მართლა ლექსისა და სიტყვის რაინდები იყვნენ, ვინც წინა თაობას რაღაცით ჩამოჰგავდა და მათთან მეგობრობითღა სულდგმულობდა. ამ უკანასკნელმა მოჰიკანმა შექმნა ისეთი სამყარო, რომელშიც შვებას პოულობდა და თავისი ყოფნის გამართლებას ხედავდა.

კვირაში ერთხელ, ხან ორჯერ შეიყრებოდნენ სუფრასთან, პოეზიაზე, წინაპრებზე საუბარსა და ღვინის სმაში ათევდნენ, ღამეს. ვანო ირემაძისთვის სუფრა იყო წმიდათაწმიდა ადგილი, იქ პოულობდა შვებას, იქ იოხებდა გულს და იკლავდა დიდი სიყვარულის ჟინს. სუფრაზე ირჩეოდა ლიტერატურული მემკვიდრეობა თუ თანამედროვეობა, სუფრაზე ირჩეოდა წინაპართა თუ დღევანდელთა კაცობა და მამულიშვილობა. სუფრაზე ამტკიცებდნენ ფიცით ერთმანეთის მეგობრობასა და სიკვდილის შემდეგ არ დავიწყებას.

მერე, რა შესანიშნავი იყო, ლად, საწყალი ვანო სუფრაზე. იტყოდი, ქეიფისთვის არის გაჩენილიო. რაც უნდა ბევრი ესვა, სიდარბაისლესა და წესიერებას არ დაკარგავდა. თავად ალალ-მართალი და სიტყვის კაცი, ვერ იტანდა მატყუარებსა

და ცრუპენტელებს, მლიქვნელებსა და ქლესებს. თუ ვინმე სუფრაზე ისეთი გამოერეოდა, რომელიც ზომიერების საზღვარს გადაცდებოდა, ანდა წინაპრის გინებას დაიწყებდა, ვანო უხმოდ დატოვებდა სუფრას. სუფრის დატოვება კი მისთვის იგივე იყო, რაც სხვისთვის ცოლ-შვილის დატოვება.

ასეთ დროს ერთი-ორი დღე თავის გუნებაზე აღარ გახლდათ. მოშხამული მოვიდოდა გამომცემლობაში და ზოგჯერ მიზეზიანად, ზოგჯერ უმიზეზოდაც ვინმეს დაჰკივლებდა, სამსახურში დაგვიანებისათვის დატუქსავდა, მოხსნით დაემუქრებოდა, მაგრამ მისი გულის ამბავი ყველამ კარგად ვიცოდით, ბოროტებას ვერ ჩაიდენდა, მეორე დღეს ისევ ის კეთილი, სახეგაბადრული ვანო იქნებოდა და ის მუქარაც ბავშვივით გადაავიწყდებოდა.

გამომცემლობაში ყველა თანამშრომელმა ხუთი თითივით იცოდა მისი ხასიათი.

— ხალხო, დღეს ბატონი ვანო კარგ გუნებაზეა.

— ალბათ, დაპატიჟებულია.

— დილას, მგონი, თოთიამ დაურეკა.

— ჰოდა, აგაშენა ღმერთმა, ქეიფი ელის.

ო, მაშინ უნდა გენახათ ვანო, მართლაც დიდი ბავშვი, როგორც მას ჩუმ-ჩუმად ვეძახდით!.. ერთბაშად გამოიცვლებოდა, პირზე ღიმილი გადასდიოდა, მოუსვენრობა შეიპყრობდა და ეს ზვინივით კაცი მერცხალივით გახდებოდა. ოთახიდან ოთახში დადიოდა, ნახევრად გამელოტებულ თავზე ჰეწით ისვამდა ხელს და თანამშრომელსა თუ მიმსვლელ-მომსვლელს მბიარულად ელაპარაკებოდა.

ქალაქის ერთ-ერთ პატარა ბაღში ჩახუხულავებულ სასადილოში იყრიდნენ ხშირად თავს. გარეგნობით არაფერი, მაგრამ, რა გინდოდა სულო და გულო, იქ არ იპოვებოდა. თანაც შედარებით სიიაფე იყო და ვინაიდან ხშირად ხელმოკლედ იყვნენ, სხვაგან სად წაესვლებოდათ! მე თითქმის არასოდეს არ ვაკლდებოდი იმათ ამქარს, ზოგჯერ შუაღამემდე, ზოგჯერ გათენებამდეც ვუსხედით სუფრას ამ პატარა ბაღში, რომელსაც ვიღაც ჩვენთაგანმა ხუმრობით „სევდის ბაღი" დაარქვა, ღვინით გაბრუებულ ტვინს ძალას ვატანდით, რათა ერთმანეთისთვის ისეთი ქება შეგვესხა, რომ სიმართლეს ძალიან დამგვანებოდა. სუფრაზე ადიდებდნენ ერთიმეორის შემოქმედებას

და კაცობას, არჩევდნენ კლასიკურ თუ თანამედროვე პოეზიას, ისხსენებდნენ პაოლოსა და ტიციანს, გალაკტიონსა და გოგლას, იყო კამათი და აზრთა ჯახაჯუხი.

ვანოს თავის მეგობრებიდან განსაკუთრებით ორი პოეტი უყვარდა — თარხანი და თოთია. თუ სუფრაზე ისინი არ იყვნენ, ისერიგად ფრთებგაშლილი ვეღარ იყო ხოლმე.

— თქვენ უნდა დამმარხოთ და სიკვდილის შემდეგაც თქვენ უნდა მიპატრონოთ, თქვენ! — და ღვინით შეზარხოშებული ვანო თვითონაც აიჩუყებდა გულს და იმათაც აუჩუყებდა ხოლმე.

თოთია და თარხანი ვანოს ჯერ კიდევ მაშინ დაუმეგობრდნენ, როცა პოეზიაში პირველ ნაბიჯებს დგამდნენ. ვანო იყო მათი ყოველი შემოქმედებითი წარმატების მოწმე, მოზიარე და ჰირისუფალი. მაგრამ გადიოდა დრო, ისინი ასაკში შედიოდნენ, სხვა საქმეები უჩნდებოდათ, სხვა ინტერესები. სუფრისთვის ხშირად ვეღარ იცლიდნენ, გარდა ამისა, თანდათან ხვდებოდნენ, რომ სუფრა ხშირად სიყალბე იყო, ხოლო გადაბმული ქეიფი — დროს ფუჭად გაფლანგვა და შემოქმედის ლახვარი.

მაგრამ ასე იყო თუ ისე, მოცლილობის ჟამს მაინც ვანოს ირგვლივ იყრიდნენ თავს, ის იყო მედროშე სუფრის კაცებისა, ახალგაზრდები თუ უკვე მწერლობაში დაბერებულნი, მის გარშემო იკრიბებოდნენ. ყველას უყვარდა როგორც სუფრის კაცი, სიტყვის რაინდი, პოეზიის ტრფიალი და მწერლობის ზვარა.

— შენ ის კაცი ხარ, ვანო, ვინც ქართულ მწერლობას მისცა თავისი გული და სული. შენ შეგეძლო, სხვა სახსარი გეპოვნა ცხოვრებაში და უფრო წელგამართული ყოფილიყავი, მაგრამ პოეზიის ტრფიალმა და წიგნის სიყვარულმა ყველაფერი დაგათმობინა. ქართულ მწერლობას დაუკავშირე შენი ბედი და იგივე მწერლობა უკვდავგყოფს შენ. ყველაზე უკეთ შენ იცი ნაღდი პოეზიის ფასი, იმ პოეზიისა, რომელსაც ეროვნულ ნიადაგში აქვს ფესვები გადგმული.

აი, ამ სიტყვებით ამკობდნენ ყოველ სუფრაზე ვანო ირემაძეს და დარწმუნებული იყავი, ლად, რომ ვერავის გულწრფელობაში ეჭვს ვერ შეიტანდი.

ამ დროს ცამდე ბედნიერ ვანოს ღრმად სწამდა, რომ სიკ-

ვდილის შემდეგ იმასაც ისე მოიხსენიებდნენ, როგორც სხვა წინაპრებს.

გაიწელებოდა სუფრა, ველარ გაძღებოდნენ ერთმანეთის სიყვარულით, ველარ მოიჯერებდნენ გულს პოეზიაზე საუბრით. ბოლო დროს ვანოს, რომელმაც კარგად იცოდა ქართული თუ ევროპული პოეზია, ზოგიერთ თანამედროვე ლექსებზე ეჰვი უჩნდებოდა... კისერგადაგდებული გულზე ხელს დაიდებდა და თარხანს ემუდარებოდა:

— ჩემო თარხან, რუსთაველი მესმის, შექსპირი და ბაირონი მესმის, პუშკინი და ბოდლერი მესმის. გეევდრები, მითხარი, რატომ ვერ ვიგებ, ზოგიერთები დღეს რომ სწერენ იმ ლექსებს?

— ხე, ხე, ხე! — ჩაიროხროხებდა თარხანი და ლამის ჭერი ძირს ჩამოეტანა, — თვითონ თუ ესმით, რასა სწერენ. ნათლად წერა ძნელია და რა ქნან. თავიანთი ჭკუით მკითხველს აბნევენ, ვანო, მკითხველს. ხე, ხე, ხე! — ისევ ჩაიროხროხებდა თარხანი და ვანოსაც აიყოლიებდა.

ერთი უცნაური ჩვევაც ჰქონდა ვანოს. თუ სუფრა ადრე აიშლებოდა, ორიოდე კაცს აიყოლიებდა და რესტორან „საქართველოს“ მიაშურებდა უსიკვდილოდ. ამ ჩვევას არასოდეს უღალატებდა. შევიდოდა, სამიოდე ბოთლ ღვინოს თავის საუზმით მოატანინებდა და მუსიკოსებს „გრენადას“ ანდა „Письмо к матери“-ის დაუკვეთავდა. უსმენდა ამ თავის საყვარელ მუსიკას და ნეტარებით ცაში ლივლივებდა.

ერთი სიტყვით, ასეთი იყო ვანო ირემაძე. უიმისოდ გამომცემლობა ვერც თანამშრომლებსა და ვერც ავტორებს ვერ წარმოედგინათ.

ყველა თაობის ავტორი მის ირგვლივ იყრიდა თავს, ისე როგორ შემოაბიჯებდნენ გამომცემლობაში, რომ ვანო არ მოენახულებინათ, მასთან არ დაყოვნებულიყვნენ და ქართული მწერლობის წარსულსა თუ აწმყოზე, მის ბედ-იღბალზე არ წაესაუბრებინათ ამ დარბაისელ კაცთან.

პარასკევი ისე არ დაღამდებოდა, ვანო სადმე არ დაეპატიჟათ. „სევდის ბაღში“ ან სადმე სხვაგან მოიყრიდნენ თავს, რომ მწერლობასა და ერზე საუბრით გული მოეჯერებინათ.

და აი ასეთი კაცი მოულოდნელად გააკრა ლოგინზე უკურნებელმა სენმა და სიცოცხლის დღეები დაუთვალა.

როგორც გითხარი, პირველ ხანებში მთელი გამომცემლობა აფორიაქდა, სევდამ მოიცვა. ყოველდღე მოდიოდნენ ავტორები და კუშტი სახეებით კითხულობდნენ მის ავ-კარგს. პასუხი მუდამ ერთი იყო, უიმედო.

— დიდი-დიდი, ერთ კვირას კიდევ გასტანოს, საშინელი ტკივილები დასწყებია.

კიდევ უფრო დაეღვრიმებოდათ სახეები, სინანულით თავს გადააქნევდნენ, ამოიოხრებდნენ და ერთსა და იგივეს ჩაილაპარაკებდნენ:

— რა კაცი გვეცლება ხელიდან. ეგღა იყო დარჩენილი იმ საუკეთესო თაობიდან და ეგეც მიდის.

— აბა, აბა!

— სოფელში მინდოდა წასვლა კვირას, — სინანულით ამბობს უფროსი რედაქტორი ქსენია, — მაგრამ, აბა როგორ, კაცი დღე-დღეზეა.

— შაბათ-კვირას ვეღარ გააღწევსო, — ეს ქვრივი იულიაა.

— თუ ეგრეა, ალბათ, ხუთშაბათს დაკრძალავენ. ამინდი მაინც იყოს კარგი. ამ ძველი პალტოს ჩაცმა აღარ მინდა.

— მეც ასე არა ვარ, — არცთუ უხალისოდ გამოეპასუხა ქსენია, — ისევ საზაფხულო პალტო უნდა ჩავიცვა.

— ჩემი საზაფხულო პალტო გასაწმენდია, — დაიწუწუნა იულიამ.

— ჩემიც ასეა, შე ქალო. — გახალისდა ქსენია. — მოდი, რა ვქნათ იცი, მივიტანოთ ქიმწმენდაში. ახლავე დავურეკავ ბუბას, მაგას ნაცნობი ჰყავს და ორ დღეში გაგვიმზადებენ პალტოებს.

— მერე, ცუდი ამინდი რომ იყოს?! — ეჭვი გამოთქვა იულიამ.

— არა მგონია, ახლავე დავრეკავ ამინდის ბიუროში.

აწკრიალდა ტელეფონი, მოგვარდა ქიმწმენდაში საქმე, ხოლო, რაც შეეხება ამინდის ბიუროს, იღბალიც ამას ერქვა. მთელი კვირა თბილი, მზიანი ამინდები იყო თურმე მოსალოდნელი.

— გაიჩარხა საქმე, — ამაყად თქვა ქსენიამ და სიგარეტი საფერფლეზე ჩაქმუჭნა. — საღამოს გელოდები, ბუბა ჩემთან იქნება, წამოიღე საზაფხულო პალტო და წავიდეთ ქიმწმენდაში.

აი, ასე ნელ-ნელა შეეეგუეთ ვანო ირემაძის სიკვდილს. ლაპარაკი და ვიშვიში თანდათან ჩაცხრა, და ჩვეულებრივ ცხოვრებას მივეცით თავი. ახლა რაღაც საეჭვოდ გატრუნულები იმასღა ველოდით, უკანასკნელ პატივს როდის დავდებდით და, ლად, ვიგრძენი, რომ ეს მოლოდინი ცოტათი თითქოს ჭიანურდებოდა. მეც და, ალბათ, სხვასაც თვალწინ გვედგა ცამეტსართულიანი სახლის ერთ-ერთ სადარბაზოსთან შეყრილი ხალხი. სამგლოვიარო მუსიკა გაზაფხულის ნაზ საღამოს სევდით ავსებს. ჯგუფ-ჯგუფად გაფანტული გამოსათხოვრად მოსული ხალხი და ქალაქის ახალ ჭორებს ფქვავს. მერე დგება გაცილების დღე. სხვასთან ერთად თავდაღუნული მივაცილებ კუბოს და ვცდილობ, უკანასკნელად რაიმეთი გამოვიჩინო ზრუნვა განსვენებულისადმი.

ერთი სიტყვით, ვანო ირემაძე სიკვდილამდე გამოვიგლოვეთ და ახლა მის სიკვდილსღა ველოდით. არ გაგიკვირდეს და, ცოტა არ იყოს, მოუთმენლადაც. ვანოს სიკვდილს თითქოს რაღაცით უნდა შეეცვალა ჩვენი ერთფეროვანი ცხოვრება და რამდენიმე დღით საინტერესოც უნდა გაეხადა.

ღმერთო, მაპატიე, და, ასეთი შეგრძნება მქონდა მარტო მე კი არა, აშკარად ვატყობდი, სხვას ჩემზე მეტად ჰქონდა იგი და ხანდახან დამალვას ვერც კი ახერხებდნენ. დილით სამსახურში რომ მოვიდოდნენ და ვანოს ამბავს იკითხავდნენ, ისე მეჩვენებოდა, თითქოს მისი სიკვდილი ეჩქარებოდათ.

იწურებოდა მომაკვდავის დღეები, სიკვდილის სუნიც ახლოვდებოდა და იცით, რა მოხდა? ახლა იწყება მთავარი ამბავი, რამაც მე გამაოცა... აბა კარგად მისმინე, ლად.

გულზე ვსკდებოდი, ბოღმა მახრჩობდა, რომ ვანოს სიკვდილი უკვე ყველას სჯეროდა, ყველა უკვე შეგუებული იყო და ერთ დღეს გადავწყვიტე, მათთვის მოლოდინი ჩამეშხამებინა, გამემწარებინა სხვისი სიკვდილის მომლოდინეები. მივედი სამსახურში და თანამშრომლებს ასეთი ამბავი ვაუწყე:

— არავითარი კიბო არ ჰქონია ვანოს. უბრალო ანთება ყოფილა, ექიმებმა, რამდენიმე დღეში წამოდგებაო.

ეს ახალი, მოულოდნელი უწყება ხომ ყველას უნდა გახარებოდა და ყველას უნდა ერწმუნა კიდეც, მაგრამ შენს მტერს, რაც იქ ამბავი დატრიალდა.

— როგორ და რანაირად. — ყელის ძარღვები უსკდებოდა

იულიას, — საიდან მოჭორე ასეთი სისულელე. კაცი გუშინ მომაკვდავი იყო... არ დაიჯეროთ, ხალხო, ეს იდიოტობა. რენტგენის ფირი ჩემი თვალით ვნახე.

— როგორ გეკადრება, ქალო, — გავჯიქდი და ჩემს სიტყვაზე დავდექი, — ახლა პირდაპირ იქიდან მოვდივარ. პროფესორები თავზე ადგნენ. ცნობილი სპეციალისტი დიომიდე...

— რა დიომიდე, რა?

— დიომიდეც იქ გახლდათ და სწორედ იმან დაასკვნა...

— ტყუილია, — სიხარულით დაიკივლა იულიამ, — დიომიდე გუშინ პარიზში გაფრინდა.

— როგორ შეიძლება მომაკვდავ კაცზე ასეთი ტყუილი! — ცოფს ჰყრის ქსენია.

— რა არის ტყუილი? — გავიოცე, — ვანოს სასიკვდილო არაფერი სჭირს. ერთი კვირაც და ნახავთ, თუ ფეხზე არ წამოდგება.

— იქნებ არ გაფრენილა დიომიდე პარიზში? — ეჭვობს ვიღაცა.

— რას მასწავლით მე, — იფხრიწება იულია და სიამაყით ამბობს, — მისი და ჩემი კარის მეზობელია. ეგ თუ მართალი არ გამოდგა, გალანძღვის ღირსი ხარ, ახლავე დავრეკავ.

— დარეკე, იულია, შენი ჭირიმე, დარეკე. — წააქეზეს დანარჩენებმა.

რამდენიმე წუთის შემდეგ იულიას მეთაურობით თავბრუდამხვევი იერიში მოჰქონდათ ჩემზე.

— რა საკადრისია ტყუილი, აკი დიომიდე იქ იყოო. თან როგორ არხეინად ზის, უყურეთ ერთი. გამოტყდი ახლა, ხომ გვატყუებდი?

მე ვითმინე, ვითმინე, და ბოლოს, თითქოს თონეში ბურბუშელა ჩაყარესო, ისე ავბრიალდი და ვიკივლე:

— არა კვდება კაცი, გაიგეთ. ჩემი თვალით ვნახე, ჩემი ყურით მოვისმინე, რომ ერთ კვირაში ფეხზე წამოდგება. მომეშვით ახლა!..

არ ვიცი, ამ დროს სახეზე რა მეწერა. უცებ სუყველა გაჩუმდა, ჩურჩულ-ტურტურზე გადავიდნენ და ვგრძნობდი, რომ გაწბილებულები ჭიანჭველებივით ჩუმად ფუსფუსებდნენ, ოთახებიდან ოთახებში გადადიოდნენ, მგონი კიდეც გაგზავნეს ვიღაც ნამდვილი ამბის გასაგებად, მე კი აღარაფერს მე-

უბნებოდნენ. ოღონდ ეგ იყო, ერთი ჩემი ახლობელი თანამშრომელი, რეზო სირბილაძე, მომიახლოვდა და ფრთხილად მკითხა:

— რაუდენ, მართლა იყავი ვანოსთან?

მე შევუბღვირე, ნიშნად იმისა, აბა, ეგ რა კითხვაა-მეთქი.

— მაშ, კარგად არის, ხომ?

— მშვენივრად.

ეტყობა, მოგზავნილი იყო. მიყურა, მიყურა და თითქოს უკმაყოფილო, ეჭვით შეპყრობილი გაბრუნდა უკან. ალბათ, იმასაც გაუცრუვდა მოლოდინი.

და უცებ იმ წუთს ჩემი თავიც დავიჭირე. ერთი წამით ვირწმუნე ჩემივე ტყუილი და თითქოს გულში მეწყინა, რომ მოლოდინი გამიცრუვდა. ამაოდღა ინიღბებოდნენ ჩვენი თანამშრომლები, მათ უკვე ჩამოვხადე ნიღაბი, სახეზე აშკარად დაეტყოთ წყენა. გველის ტყავში ძვრებოდნენ, რომ ჩემი ნათქვამი დაეზუსტებინათ და იმავე დღეს კიდეც დააზუსტეს. ჩემი მოტანილი ამბავი ჭორი გამოდგა. უნდა გენახათ, როგორი კმაყოფილები იყვნენ და რა დამცინავად მიყურებდნენ.

— აბა, მიდი და ახსენი, ლად, რად მოხდა ასე, ან რად არის ადამიანი ესოდენ რთული?

სამოდე დღის შემდეგ ვანო ირემაძე მიიცვალა. თავისი წილი პატივი ყველამ მიაგო. მისმა უახლოესმა მეგობრებმა საფლავზე ის სიტყვები წარმოთქვეს, რასაც სუფრაზე ეუბნებოდნენ ხოლმე ვანოს და დაიშალნენ.

ჩვენი გამომცემლობა იმ დღიდან თითქოს დაყრუვდა. აღარ იყო ის უკანასკნელი მოჰიკანი, ვინც თავის დროშის ქვეშ აერთიანებდა სუფრისა და სიტყვის რაინდებს. დაცალკევდნენ და თავიანთ ნაჭუჭში შეიკეტნენ სათითაოდ.

გავიდა ერთი წელი, ორი, სამი... მაგრამ ვანო ირემაძე აღარავის გახსენებია. ერთხელაც არ შეყრილან მისი ღვიძლი მეგობრები მის მოსახსენებლად „სევდის ბაღში“. ერთხელაც არ დაუკვეთიათ მის პატივსაცემად მუსიკოსებისათვის „გრენადა“ ანდა „Письмо к матери“. იმ ცოდვილს კი ეგონა, რომ სიკვდილის შემდეგ თავისი თანამესუფრენი ისევე მოიგონებდნენ, როგორც სხვა წინაპრებს. რომ სუფრაზე დადებული ფიცის ერთგულები იქნებოდნენ. რა იცოდა, რომ სუფრა სხვაა, ცხოვრება სხვაა. თვით უახლოეს მეგობრებსაც კი ერთხელაც

არ უფიქრიათ მისულიყვნენ და ჭიქა ღვინო წაექციათ მის საფლავზე.

აი ამიტომ ვამბობ, ლად, რომ ერთადერთი, რითაც ადამიანს შეუძლია თავისი არსებობა გაამართლოს, ეს შრომაა, რაიმეს შექმნა... სხვა ყველაფერი და, მით უფრო, სუფრაზე დადებული ფიცი, ტყუილია და იმ ღვინოსავით მალე გაქრება...

მწყემსების დანატოვარ ქოხში, სადაც მონადირეები ღამეს ათევდნენ, ცეცხლი უკვე ინავლებოდა. უკუნი სიბნელე დასწოლოდა დედამიწას. გარეთ დინჯი წვიმის ხმა ისმოდა.

ლადის ორივე ხელი თავზე შემოედო და ჩანავლებულ ცეცხლს ჩაჰყურებდა. ახლა ის იმაზე ფიქრობდა, ღირდა თუ არა, ეს ამბავი მოთხრობად დაეწერა.

ცხრა ძე ადამისა

— ნიკავ, გესმის, ნიკავ! იცოდე, არ წახვიდე, თორემა, მამის სული წამიწყდეს, ხმას აღარ გაგცემ!

მაგრამ ნიკას არაფერი ესმოდა, არ უნდოდა და არ ესმოდა, ხელს არ აძლევდა და წაუყრუა.

„ბაიყუში ხარ, ადამ! მიხვდი, რომ გამოვიპარე, მიხვდი, რომ ეკლებზე ვიჯექი, მაგრამ თოფით რომ დამიდგე წინა, ვეღარ მომაბრუნებ. გასკდა ეს ოხერი გული, გასკდა. შენ ოა გესმის, ადამ, რა იცი, რა ბოღმა მჭამს და მღრღნის, შენ გული ხალვათადა გაქვს, გალაღებული ხარ, ახლა მე მკითხე, საკირეს ცეცხლი მინთია მკერდში, მწვავს და ვერცა მწვავს, ეს სატიალე“.

ნიკამ სანადიმო დარბაზის კარი მიხურა და ზურგით მიაწვა. სუფრის ჟრიამული ჩაიხშო. ხუთსაფეხურიან კიბეზე დათვივით ჩაძუნძულდა, ჭიშკარს მხრით დაეტაკა, ეზოდან გავარდა და შეჩერდა.

შემოდგომის სასწაულებრივი ღამე იყო. ჰაერი მჩატე და ხავერდოვანი. მოკრიალებულ ცაზე სავსე, ნავახშმი მთვარე მიცურავდა და ამ პატარა, მთებში ჩაფენილ სოფელს ოქროსფერ სინათლეს აფრქვევდა. ირგვლივ ყველაფერი მიყუჩე-

ბულიყო, რაც დღისით ფეთქავს. ღრმად ეძინა სოფელს, მარტო ადამას სახლი ფხიზლობდა თავის სტუმრებიანად.

ნიკამ სუფთა ჰაერზე ცოტა შვება იგრძნო. ერთხანს გაშტერებული იდგა, აყურადებდა, მაგრამ არავინ გამოდევნებია, აღარავის გახსენებია გამოპარული სტუმარი.

სუფრაზე ჟრიამული შეწყდა და ადამას ნაბოლარა ბიჭმა „წინ წყარო“ წამოიწყო, ისე ტკბილად და ნაზად ჩაახვია, რომ დაბოღმილ ნიკას სიამოვნებისაგან გაბურძგლა. უმცროს ძმას უფროსებიც აჰყვნენ და ეს ჩუმი, დიდებული ღამე უნაზესი ჰანგებით აივსო.

„არა, ახლა რომელი ჭკუათმყოფელი მიატოვებდა სუფრას? სუფრას და რა სუფრას, სადაც ისე ტკბილად მღერიან, რომ სვეგამწარებულ კაცსაც კი სიცოცხლეს განატრებინებს. მერედა ვინ, ნიკამ? ნიკამ მიატოვა სუფრა? სიმღერის გიჟმა, სუფრის პატრიარქმა, უბადლო მსმელმა. ვაი შენს თავს, ნიკავ, როდის იყო, ქეიფიდან იპარებოდი, როდის იყო, პურმარილს წიხლსა ჰკრავდი“... — და უცებ ტირილი მოუნდა, ოღონდ თვითონაც არ იცოდა, რამ აუჩუყა გული, იმან, რომ ასეთი ტკბილი სიმღერებით დამშვენებული სუფრა მიატოვა, თუ იმან, რომ გამოპარულს უკან აღარავინ დაედევნა, აღარავინ მოიკითხა, აღარავის დააკლდა თვალში.

მწარედ დაიგმინა და წაძუნძულდა, მისმა ვეება ჩრდილმა საურმე გზა დაფარა.

რა ექნა, რა თავში ქვა ეხალა. ვერა და ვერ გაამხიარულა სუფრამ, კაეშანი ვერ გაუფანტა. თორემ ვინ ნიკა და სუფრიდან გამოპარვა. უყურებდა ცხრა შვილში ჩამჯდარ (ერთ დროს სოფელში ყველაზე ღარიბს) ბედნიერ ადამას და თავისი ორი ბიჭი ედგა თვალწინ, რჯულნე ხელაღებულები, ერთიმეორის მოშურნენი, მოქიშპენი, შეპლის ძარღვი რომ გაუწყდათ და საძმო სისხლი გაუშრათ. ამან დაბოღმა ნიკა, სასმელს მიეძალა, ვინძლო ღვინომ გამახალისოსო, გულიდან ეს მძიმე ლოდი ამაგლიჯოსო, მაგრამ ვერა და ვერ ჩამოირეცხა დარდი; პირიქით, ისეთმა გრძნობამ აიტანა, თითქოს ღვიძლში რაღაც შეუძვრა და გამოუშვა დაუწყო, სული შეეხუთა, გაუძლისი შეუდგა ადამას ბედნიერების შემყურეს, თავისი შვილების გამხსენებელს და გამოიპარა, გამოიპარა და არც არავინ გამოჰკიდებია, მარტო ადამამ მიაძახა, არ წახვიდეო და, ეტყობა, იმასაც მიავიწყდა, იმანაც ფეხებზე დაიკიდა.

შარაგზის გადაღმა, სოფლის განაპირას, ნიკას სახლი გამოჩნდა. როგორც ცხვრის ფარაში ყოჩი, ისე გამოირჩეოდა სხვა სახლებში. ვეება ეზოში იდგა გაბოტილი. ერთი შეხედვით, თითქოს, პატრონს წააგავდა, ისიც ისეთი იყო, მაღალი, მხრებგანიერი, მიწაზე მყარად მდგარი და სივრცეს ხარბად დაწაფებული. სახლის ვეება აივანი ახლაც განათებულია. იქ, რომელიღაც ოთახში, მარტო ნიკას ცოლია და მძინარეს ალბათ შვილები და შვილიშვილები ესიზმრება.

ნიკა შეჩერდა. თვალები ავად მოჭუტა და ისე გაჰხედა თავის ვეება სახლ-კარს. უყურა, უყურა და უცებ ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს იქაურობა გველ-ბაყაყების საბუდარი ყოფილიყოს.

— პატრონი მოგიკვდეს, — ხმამაღლა, თითქმის ყვირილ თ თქვა ნიკამ, — ოხრად დარჩი და გატიალდი! აკი რჩები კიდეც ოხრად! — ბრაზიანი სიცილი აუვარდა უცებ, მერე ასევე უცებ მოიღუშა და კბილებში გამოსცრა, — დედას გიტირებ პატრონისას, ამაღამვე დაგიდებ ბომბსა და აგაფეთქებ, ნაცრად გაქცევ, ნავთს გადაგასხამ და დაგწვამ, ბულდოზერს მოგაყენებ და დაგანგრევ, მე რაღა ჭირად მინდიხარ, ვისთვის მინდიხარ, ჩემი ჯანი შენ შეგაჭამე, ხალხის ყბაში ჩამაგდე, გარეთ მტერს აბრმავებ და შინ მოყვარეს, პატრონი დედას გიტირებ, დაგწვამ, დაგბუგამ. — უკვე ცოფმორეულმა ნიკამ კბილები გააღრჭიალა, მოჭიდავე ბუღასავით დაღუნა თავი და ისე გაქანდა თავის სახლისაკენ, თითქოს რქებით უნდა დაეტაკოს და გაიტანოსო.

ადამას ბიჭები კი ამ დროს ბარათაშვილს ჩახტომოდნენ და თავზე ბანს აქცევდნენ, ჭერი ცაში აჰქონდათ.

ეს ქვეყანა ვეება ცხრილს წააგავს. ყველას იქ მოუყრია თავი: ცრუსა და მავნეს, ბრძენსა და სულელს, გაიძვერასა და გულმართალს, დიდსულოვანსა და ზნედაცემულს, ზარმაცსა და მუყაითს, ხელმრუდსა და ალალმართალს, ერთგულსა და ორგულს.

გავა დრო, აღზევდებიან უზნეონი და გარეწარნი, ლამის გადასძოვენ ამ ღვთის ნებით გაჩენილ ქვეყანას, წკიპზე მიიყვანენ და რომ იფიქრებ, მორჩა სუნთქვა აღარ შეიძლებაო, აი, ამ დროს მოვა უხილავი ძალა განგებისა, შემოჰკრავს ხელს ამ

ცხრილსა და გაცხრილავს სარეველასაგან, აღაღგენს ქვეყნის წონასწორობას.

ნიკასაც მოუწია ამ ცხრილში გატარება...

ახოვანი ვაჟკაცი დადგა, ძარღვიანი და ჩასკვნილი, წელში ოდნავ მოხრილი, მოუხეშავი, ჩუმი, ალალი და მორიდებული. ქორწილამდე მეტწილ დროს ძმაბიჭებთან ქეიფში ატარებდა, ღვინოს ხარივით სვამდა და რასაც შოულობდა, სასადილოში ჰყრიდა. ასე გადიოდა დრო და აგერ, ოცდაათი წლის ნიკა უცებ პელოზე დაქორწინდა. ამ ამბავს არავინ მოელოდა. ყველას უკვირდა, რაიონში ცნობილი, ნასწავლი ქალი უსწავლელ ნიკას როგორ გაჰყვაო. პელო იმჟამად რაიაღმასკომის ინსტრუქტორად მუშაობდა, დიდთან და პატარასთან, წვრილ ფეხთან თუ მსხვილფეხთან დაახლოებული და შეთამამებული იყო.

აქედან დაიწყო სრულიად ახალი ცხოვრება ნიკასი. რამდენიმე თვეს, ვიდრე ახლადშეუღლებულები ცხოვრებას თავის კალაპოტს მისცემდნენ, ყველაფერი ჩვეულებრივ მიდიოდა. კალაპოტი კი ადვილად იპოვნეს, ადვილად შეთანხმდნენ და შეხმატკბილდნენ, რადგან მოუხეშავი, ხამი ნიკა ცოლის ალერმა ისე დაბნიდა და გააოგნა, რომ წნელივით მოქნილი და მორჩილი გახდა. პელოსაც ეს ეწადა, თავის ფანდურზე მომართა ნიკა, რბილი, მაცდური ლაგამი ამოსდო და გეზი მისცა.

— იცოდე, ნიკავ, თუ გინდა ცხოვრება რიგიანად ავაწყოთ, მე უნდა დამიჯერო.

და ნიკაც უჯერებდა, რადგან მეუღლე ჭკვიანი, განათლებული და ალღოიანი დიაცი იყო.

— აყოლაც უნდა იცოდე და ჩაყოლაც, თუ საჭიროა, უფროსთან მუშტისოდენა უნდა გახდე, ლომი კატად უნდა გადაიქცე და ბუხუნის მაგივრად კნავილი ისწავლო.

ისმენდა ნიკა ამ შეგონებას და უხმოდ, მორჩილად უქნევდა თავს.

იმ დღიდან ნიკას სახლში სტუმრიანობა გახშირდა, სოფლის თავკაცები დადიოდნენ ხშირად. ბულბულის ენა ჰქონდა პელოს, მოქარგული და დათაფლული. ღიმილი იცოდა იმისთანა, კაცს გათანგავდა. მთლად მახინჯს ყველაზე ლამაზად შერაცხდა, მთლად ლენჩსა და უვიცს ბრძენკაცობას დაუბრა-

ლებდა. აბა, ამის შემდეგ ვის არ ესიამოვნებოდა პელოს დიასახლისობა და მასპინძლობა, ხათრს ვინ არ გაუწევდა, ვინ არ გადაეშვებოდა იმის გულისთვის ცეცხლში. და აგერ, მოკლე ხანში ნიკა ფერმის გამგედ დანიშნეს. თითქოს თამაშ-თამაშით გადის დრო და მიათრევს წლებს. ნიკას ოჯახი წელში გაიშალა, ქონი მოიყენა. უფრო მოხშირდა სტუმარი, წვეულება წვეულებაზე იმართება, ამჟამად სოფლის თავკაცებს რაიონის წარმომადგენლებიც ემატებიან, უფრო ხელგაშლით დიასახლისობდა პელო, უფრო ტკბილად იღიმებოდა, ქათინაურებს არ იშურებდა სტუმრებისათვის და ნიკამ კიდევ ერთ საფეხურზე აინაცვლა. — კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ეკურთხა, მამისეული სახლი უმცროს ძმას დაუთმო და თვითონ ახალი აიშენა, გალესა, გამართა, ავეჯით გააწყო და მოკალათდა. ერთი სიტყვით, ცხოვრება თავის ნება-სურვილზე მომართა, ახლა სიცოცხლე და ჯანმრთელობაღა იყო სანატრელი. მაინც რაღაც სტკიოდა ნიკას, ერთ რამეზე ეთანაღრებოდა გული, ორ შვილზე მეტი არ გაუჩინა პელომ, არადა, ადათად ჰქონდა ნიკას გვარის ჩამომავლობას მრავალშვილიანობა. მამამისს რვა ჰყავდა, ბიძამისს შვიდი, აგე, იმის გარეგბიძაშვილს, ადამას, ცხრა ჰყავს და ეს ბოკვერები ერთ პატარა ბუდრუგანაში იზრდებიან.

— პელო, — ეტყოდა ხოლმე შეზარხოშებული ნიკა ცოლს, — ერთი მითხარი, სოფელში ვისზე ნაკლები ვაჟკაცი ვარ, გინდა ქონებითა და გინდა კაცობითა?!

— არავისზე, მერე?

— ავადმყოფი და მახინჯი შვილები გვყავს?

— ღმერთმა დაგვიფაროს.

— მაშ, სხვას რათ უნდა ჰყავდეს ჩემზე ბევრი შვილი? — და ნიკა ამოიოხრებდა.

პელო კისკისებდა.

— ნიკავ, ადამასი ხომ არა გშურს, ღვთის ანაბარა რომ ჰყავს შვილები დაყრილი და ლუკმა ენატრებათ. არ იცი, რა დრო‍ა, შვილების დაჩენა კი არ არის საქმე, აღზრდაა.

— ღმერთის გაჩენილს, ღმერთი დაარჩენს. თვითონ დაიზრდებიან.

— გაზრდა კი არა, აღზრდა-მეთქი, კაცო, წესიერი აღზრ-

და, სწავლა, განათლება. ახლა ისეთი დროა, უსწავლელს ბრიგადირათაც არ გაუშვებენ.

ნიკა ენას მუცელში ჩაიგდებდა. ძუძუს გოჭივით გაინაბებოდა. თვალწინ დაუდგებოდა ნასწავლი შვილები, თანამდებობის პირები. არა, რაღა სხვისი შვილები უნდა იყვნენ ნასწავლები და ნიკასი არა? პელო ჭკვიანი ქალია, იცის, რასაც აკეთებს.

გავიდა დრო. ნიკას უფროსმა შვილმა სკოლა დაამთავრა და ქალაქში წავიდა სასწავლებლად. გაიძრო ნიკამ ერთი პირი ტყავი და როგორც იყო სამედიცინოზე მოაწყო. ახლა მეორემ დაამთავრა, ნიკამ მეორე პირი ტყავიც გაიძრო და ისიც ინსტიტუტში მოაწყო.

...და უცებ მოვარდა ის უხილავი ძალა განგებისა, შემოჰკრა იმ ცხრილს ხელი და სხვა სარეველასთან ერთად ნიკაც გაცხრილა, ნიკაცა და იმისი მეუღლე პელოც. გეყო, რაც თათი ილოკე, ახლა სხვა დროა, წესიერი ხალხის ჯერი დადგაო. დადგა და დადგესო, გულს არ შემოჰყრია ნიკას, შვილები უკვე გზაზე ჰყავდა დაყენებული, სახლ-კარი კარგი ჰქონდა და ძველი ქონიც მოსდევდა. სადაც სხვა ათასი, ნიკაც იქა, ისიც კოლმეურნეობაში გავა და იმუშავებს, ხანაც მამის ხელობას გაიხსენებს, თიხას მოზელავს და ჭურჭელს მოსჭრის.

ამასობაში ნიკას შვილებმაც დაამთავრეს და სამსახურში ჩადგნენ. ეგ არის, და ამოვისუთქეო, იფიქრა ნიკამ, შვილები ახლა აქეთ თუ შემეწევიან, თორემ ჩემი ხელის წახმარება რაში სჭირდებათო, მაგრამ ვაი, რომ ეგრე არ იყო, როგორც თვითონ ბჭობდა; ქორწილი გადაიხადეს ნიკას კისერზე გადაიარა, ბინები მიიღეს ქალაქში და არიქა, მოსაწყობი გვაქვსო, ისევ ნიკამ გაიძრო ტყავი. ვერა და ვეღარ დაიცხრეს მადა, ხან ერთი შვილი გაუშვერდა ხელს, ხან მეორე, თითქოს პირი ჰქონდათ შეკრული, თითქოს ერთმანეთს ედგნენ ჯიბრში, არადა, დაბერდა ნიკა, სამოცდამეექვსე წელი დაკვნიტა, ჯანი გაუტყდა, ხალისი დაკარგა და რაც ყველაზე შემზარავი იყო, გულმა რაღაც ავი უგრძნო, — სიმარტოვის შიში შეუჯდა და ჩუმად ხრავდა. საამისო საბაბიც ჰქონდა, შვილებმა თანდათან მოუკლეს სოფელში ჩამოსვლას. ადრე ყოველ ზაფხულს ცოლშვილიანად ჩამოდიოდნენ, სახლს აახმაურებდნენ ხოლმე, მერე კი ნელ-ნელა ამოიკვეთეს ფეხი, რთვლობისას თუ

ჩამოქაქანდებოდა ან ერთი შვილი ან მეორე, დღესასწაულების წინაც ჩამოეხეთქებოდნენ ღვინის წასაღებად, თანაც სულ ჩქარობდნენ, დრო არა გვაქვსო,. ერთად კი რატომღაც აღარ ჩამოდიოდნენ...

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ერთ ზაფხულს ნიკას რძლები წაკინკლავდნენ, აიკრეს გუდა-ნაბადი და ქალაქში გავარდნენ. არ ეგონა ნიკას, თუ ეს პატარა წაკინკლავება, ეს პატარა ბზარი ეგრე ღრმად გაიდგამდა ფესვებს და ძმებს სამტროდ გადაჰკიდებდა. უთვალა და უთვალა ნიკამ, ორივენი ჩამოდით, სახლის სახურავია გამოსაცვლელი, ფული ჩემი იყოს, უბრალოდ, ხალხმა დაგინახოთ, რომ ამ სახლ-კარს პატრონი ჰყავსო, მაგრამ ორივენი გაჯიქდნენ, ფეხი არ ჩამოდგეს. რა ექნა ნიკას, ადგა და გაბოროტებულმა ცოლს დეპეშა გააგზავნინა, მამათქვენი მძიმედ არის ავად და ჩამოდითო.

ცალ-ცალკე ჩამოვიდნენ. ჯერ უფროსი გამოჩნდა თავის მანქანით, მერე უმცროსი, ავტობუსით. ნიკას პირკატა ეცა, არ ესიამოვნა, უფროსი შვილი რომ მარტო დაინახა.

— ის რატო აღარ წამოიყვანე?

— მეჩქარებოდა, სად მეძებნა. შენ ის მითხარი, რა იყო ის დეპეშა, რა დაგემართა?

პასუხი შეუგვიანა. მიხვდა, შვილმა ბანზე აუგდო სიტყვა.

— ეგრე არ გარგებთ, — ამოიოხრა ნიკამ, — მტრის გასახარად იქცევით. აგე, სახლის სახურავი ჩამოლპა, როგორც გარეთ წვიმს, იგრე შიგნით. მე თავი აღარა მაქვს. იშოვეთ კაცი და გამოაცვლევინეთ.

— მე რაღა ვქნა, მამაჩემო, — გაცხარდა უფროსი ბიჭი,— იმ შენს შვილსა ჰგონია, რომ აქაურობას მე დავეპატრონები. არ მინდა, კაცო, არაფერი... ცოლის ენამ გადარია, მანქანა შენ გიყიდესო, ფული შენი შვილის სახელზე შეაქვთ სალაროშიო. აი, აქა ხარ და თქვი, შენ მიყიდე მანქანა? ფული შენ დადე? ნახევარი ხომ ჩემი იყო.

ნიკა ხმას არ იღებდა. ბოლმას გაექვავებინა და დაემუნჯებინა.

— ამოიღე კაცო ხმა, შეაგნებინე იმ მუდრეგს. არადა, ბინა რომ მიიღო, იმასაც ხომ მიატიალე სამი ათასი, უკან დაგიბრუნა? ჰა, უკან დაგიბრუნა?

— ეეჰ, რა უნდა გელაპარაკოთ, აბა! — ამოიოხრა ნიკამ, თავი გადააქნია და შვილს გაერიდა.

საღამოს უფროს ძმას უმცროსი ძალით ჩაუსვეს მანქანაში და თბილისში ისე გამოისტუმრეს. ნიკამ მერე გაიგო, თურმე თბილისამდე ისე ჩასულან, ერთმანეთისთვის ხმა არ გაუცია.

აი, რა ბოღმა სჭამდა ნიკას, აი, რათ გამოიპარა სუფრიდან, ვაი შენს თავს, ნიკავ, დედაკაცის ჭკუაზე როგორ გაიარე, არ იცი, რომ დედაკაცი ეშმაკზე ადრეა დაბადებული. აგერ, ადამამ ცხრა გაზარდა, უფროსმა უმაღლესი დაამთავრა და რაიკომში მუშაობს, მეორე დურგალია, მესამე კალატოზი, მეოთხე ცხვარშია, მუხუთე სახლებს ლესავს, მეექვსე ბრიგადირია, მეშვიდე — ნოქარი, მერვე ტრაქტორზე მუშაობს, ხოლო ნაბოლარა შოფერია. ადამას ბუდრუგანიდან გამოსულმა ცხრა ბოკვერმა ცხრა სახლი დადგა. სილის სოკოებივით უცებ ამოიზარდნენ სახლები ერთ უბანში. ნაბოლარამ მამისეული ქოხი დაანგრია და ნაფუძვარზე დადგა სახლი, ახლა სწორედ იმის ნადიმს იხდიდა.

ადამა ბედნიერია, ნიკა უბედური. ვის დაუჯერე, კაცო. ან სახლი რათ გინდოდა ან ქონება. შენა ყოფილხარ, ადამ, ბრძენი კაცი, ლუკმას ძლივს აპმევდი შვილებს და ეხლა ხელისგულზე გისვამენ, ნიკას ქონება კიდევ ლიმონივით გამოწურეს შვილებმა და ძაღლივით მიაგდეს. არა, კაცს ერთი ბუდრუგანა უნდა ჰქონდეს, გოჭებივით დაყაროს შვილები და არც გასაყოფი ექნებათ რამე და არც სადავო. ვაი ნიკას თავსა, მარტოობაში ამოძვრება სული. მერე იმ დიდი სახლის მოაჯირზე ნიკას სურათს გააკრავენ და შავ ნაჭერზე წააწერენ: დავტირით საყვარელ მამასაო. ისემც მამა უცხონდებათ! ეგ კი არა, მაშინვე სახლ-კარისა და ქონების გაყოფაზე დაირევიან. რისთვის გაგზავნა იმ სატიალე ქალაქში, აღზრდაო, სწავლაო, ვისები გამოვიდნენ ბოლოს აღზრდილები, ნიკასი თუ ადამასი? ადამას ბიჭები ერთმანეთისათვის არიან გადამკვდარი, ნიკას ნასწავლ შვილებს კიდევ გულზე კუპრი წაუსვიათ და ეშმაკის ძუძუს სწოვენ. ეს ასწავლეს იმ სატიალო უმაღლესში?

ნიკა თავის ჭიშკართან შეჩერდა და როგორც მოსისხლე ჭტერს, ისე გაჰხედა თავის სახლს.

— დედას გიტირებ პატრონისას. მაშ, ნიკა ნუ ვყოფილვარ თუ ნაცარტუტად არ გაქცეო. რისთვის მჭირდები, ვისთვის მჭირდები, დედას გიტირებ პატრონისას, დედას.

მეორე დღეს წყაროსთან შეყრილი ხალხი უცნაურ ამბავს ჰყვებოდა: წუხელ ნიკა მთვრალი მისულა სახლში, ყველაფერი დაულეწია და სახლიდან წასულაო.

არავის ეჯერა, ვინ ნიკა და ამის მქნელიო. ადამა იფიცებოდა: ჩემგან ფხიზელი წავიდა, შუა პურის ჭამიდან გაიპარაო.

მაშ, რას უნდა მივაწეროთ ნიკას საქციელიო, მხრებს იჩეჩავდნენ მეზობლები და ვერაფრით ვერ აეხსნათ, ვერ მიმხვდარიყვნენ, რომელი ეშმაკი და ქაჯი ჩაუჯდა სულში.

აბა, ვინ იცოდა, რა ბოღმა სჭამდა ნიკას და რა ცეცხლით იწვოდა.

დაჭკნება ყვავილი უდაბნოში...

საღამო მშვიდობისა, ძია კაცო!

მოხუცი შეკრთა, ჩემკენ შემობრუნდა და გაოცებით ამომხედა. მუხის ტოტებში ჩამოპარულ მზის სხივს ცალი თვალი მოუკუტა, პირი ოდნავ დააფჩინა და ერთადერთი ობოლი კბილი გამოაჩინა.

— გაგიმარჯოს! — ისეთი რიხით მითხრა, ანაზდეულად რომ შეკრთება ადამიანი და ცდილობს შიშის დაფარვას.

იქაურობას მოვატარე თვალი. შამბს გადაევლო სასაფლაოზე.

აქ ოდესღაც დიდი, ძველისძველი ეკლესია ყოფილა. აქ განისმოდა ციურ დასთა გალობის ზარი და დაუსრულებელ ქამთასრბოლაში, სიცოცხლისა და სიკვდილის ჭიდილში მიედინებოდა ცხოვრება, ჯვარს იწერდნენ წყვილები, ეზიარებოდნენ სიყვარულს, რომ შთამომავლობა არ გადაშენებულიყო.

პატარა ნანგრევიღა დარჩა იმ ეკლესიიდან, ჩაქამებული, პირქუში და სევდიანი, მის შემხედვარეს მუდამ ისე მეჩვენება, თითქოს ოდესღაც მეტყველი ეს ძველი დიდების ნაშთი

სამუდამო ტანჯვით დადუმებულა. არ ვიცი, ეს ეკლესია ჟამთა დინებამ დაანგრია თუ ადამიანებმა, მაგრამ ერთი რამ კი ნათელია, დანგრევას მუდამ ნაკლები ჭკუა სჭირდება, ვიდრე ახლის ისე გაკეთებას, რომ არ დაინგრეს ის, რაც გვქონდა.

სოფელიც დიდი ყოფილა. ამ სოფლიდან საუკუნოდ განსვენებულებს ეს სასაფლაო აძლევდა სამუდამო თავშესაფარს. დრო გავიდა, ხალხი ქალაქებმა მიიზიდა და სოფელიც დაპატარავდა.

რა სწრაფად და ზედიზედ ქრება ჩვენი სოფლების მშობლიური კერები, საწყისი ყოველივესი. დრო გვდევნის მშობლიური სოფლებიდან და მხოლოდ სიბერის ჟამსღა, — როცა სხვა მხარეებში მოვიწყენთ ყიალს და საუკუნის ხმაურითა და მღელვარე ვნებებით გაილევა ძარღვები, — გვიზიდავს მშობლიური კერა, გვიპყრობს მძაფრი წყურვილი, დათენთილი სული სიმყუდროვეში მოვასვენოთ და კვლავ დავუბრუნდეთ ძველს...

სოფელი დაპატარავდა და სასაფლაოც. უჭირისუფლოდ დარჩენილი საფლავის ქვებიც თანდათან უჩინარდებიან, მიწაში ყელყელაობენ და ნელ-ნელა იძირებიან.

მზე ცის ტატნობზე დახრილიყო. ნიავს ახლადმოთიბული ავშანის მძაფრი სუნი მოჰქონდა. მოხუცს სასაფლაოს მესამედი უკვე მოეთიბა, ახლა იჯდა საფლავის ქვაზე და სალესავით ცელს პირს უწყობდა. ცალკე ფოთლების შრიალსა და ცალკე სალესავის ხმაში ისე წავადექი, ფეხის ხმა ვერ გაიგო.

— კეთილ საქმეს აკეთებ, ძია კაცო, მადლიანს, თორემ აქაურობა აღარ ინახვება, — ვუთხარი ბერიკაცს და მეორე, მოპირდაპირე ქვაზე ჩამოვჯექი.

ახლაღა ვიცანი, ჭიოტა იყო. ნამდვილად რას ეძახდნენ, არ ვიცოდი.

ჩემს ბავშვობაში მრისხანე კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. კოლმეურნეობის პურის ყანები და ხეხილის ბაღები ებარა. დიდსა თუ პატარას ჭიოტას სახელი ეკერა პირზე. ყველას იმისი ეშინოდა. მაშინ ისე მეგონა, დიდი, ახოვანი ვაჟკაცი იყო. ახლა, როცა ამ ჩია ტანის მოხუცს ვუყურებდი, მიკვირდა, ყველას როგორ ეშინოდა ჭიოტასი.

ცული გვერდზე გადადო, სალესავი მუხლებშუა ორივე ხე-

ლში მოიქცია და დამაკვირდა. ნაოჭებად ქცეული ვიწრო შუბლი ჰქონდა, წვრილ ბებრულ თვალებში მისი ასაკისთვის უჩვეულო სიმკვირცხლე შეიმჩნეოდა, უფრო მეტიც, მეჩვენებოდა, რომ რაღაც ჭინკები უთამაშებდა.

ისევ ცნობისმოყვარედ მიყურებდა და თვალებში გამჭირდავი ღიმილი უკიაფებდა.

— მაშ რა ვქნა, ძმისწულო, სოფელში ბებრებიღა დავრჩით. ერთი-ორი ჯეელი დაკინკილებს და ისინიც საამისოდ ვერ იცლიან, — მოხუცი ისევ დაჟინებით მიყურებდა, ეტყობოდა, ერთი სული ჰქონდა, დროზე გაეგო ჩემი ვინაობა და სადაურობა.

ჭალის პირას, სასაფლაოდან, რაღაც ას ნაბიჯზე, ოციოდე სული ცხვარი სძოვდა. ჭალის იქით კი, გორებში, სიგრძივ შეჭრილი ჩემი სოფელი მოჩანდა, სადაც დღეს ნასახლარები და მიტოვებული სახლები უფრო სჭარბობდა. მთელი წელი მოლოდინით თვლემენ მიტოვებული სახლები და მხოლოდ ზაფხულში, როცა ქალაქს სიცხე გათანგავს, ახმაურდება ეზოები. წინასწარ ამოვლენ აქედან ლტოლვილი დედაქალაქის ხიზნები, მოსცელავენ შამბს, გაასუფთავებენ ეზოებს და ამორეკავენ სიცხისგან შეღონებულსა და უმადობით მიკნავებულ ბავშვებს, ცოტახნით აერიამულდება ეზოები, ძარღვებში სისხლს აიჩქეფებს სოფელი და მერე ისევ მიწყნარდება, ისევ მიწყნარდება, როცა ფერმოსული, გაკაჟებული ბავშვები დიდ, აურზაურიან ქალაქს დაუბრუნდებიან, მეც იმიტომ ამოვედი დღეს, რომ შამბით დაფარული მამისეული ეზო გავწმინდო და ორ-სამ დღეში ცოლ-შვილი ამოვრეკო.

— ეს ცხვარი ვისია, ძია კაცო?

— ჩემები არიან.

— ყველა?

— ყველა. ადრე უფრო ბევრი მყავდა, მაგრამ ვეღარ შევძელი, მივყიდ-მოვყიდე, ან ამათ რა თავში ვიხლი, მაგრამ შვილები ქალაქში არიან, სჭირდებათ, — ჭიოტა შეჩერდა, ისევ დამაკვირდა თავისი ბებრული, მაგრამ ანცი თვალებით და უცებ მკითხა, — მაინც ვინა ხარ და სადაური ხარ, ძმისწულო?

— აქაური ვარ, — ძიავ, ძირბითელი.

— ძირბითელიო? ვისი ხარ, რატო არ გიცნობ?

— გიორგისა ვარ, გაბიდაურისა.

ჭიოტა შეტოკდა, წელში გასწორდა და თვალები სიბარულით გაუბრწყინდა.

— გიორგას შვილი ხარ შენა, მაშ, გიორგასი ხარ? ღანა არა, ჰგეხარ, ძალიან ჰგეხარ. ჰაი დედასა, გიორგავ. რა ღვთისნიერი ვაჟკაცი იყავ... ქალაქიდან მოდიხარ?

— ქალაქიდან მოვდივარ.

— მერე, ფეხით მოხვედი?

— ამხანაგმა ამომიყვანა მანქანით, მაგრამ ნაშუში ველარ გამოვედით, ტალახი იყო.

— ჰოო, მანდა სუ ტალახია, რა ვიცი, გვპირდებიან, გზას გაგიკეთებთო და ველარ კი გააკეთეს. ან ვისთვის უნდა გააკეთონ, სოფელში აღარავინ ჩერდებით! — ჭიოტამ თვალებზე ხელი მიიჩრდილა და ჭალისკენ გაიხედა.

— ი დედაკაცი აღარ ჩანს, კაცო, სამხარი უნდა ამოეტანა, ნამგზავრი კაცი ხარ, თითო ჭიქა ჩვენებური ჟიპიტაური მოგვიხდებოდა, მამაშენის შესანდობარს დავლევდით. ჰაი დედასა, რა დროს იმის სიკვდილი იყო, მაგრამ დედაკაცის დარღმა გადაიყოლა, მარტოობამ მოუღო ბოლო. ჩემზე ათი წლით იყო პატარა, მაშ!

ჭიოტამ რა იცოდა თორემ, მერჩია, ის ცელი შემოეკრა ჩემთვის, ვიდრე ეს სიტყვა ეთქვა. ზედ იარაზე დამაჭირა ფეხი.

როცა მამაჩემის ასაკს მივუახლოვდი, მაშინღა მივხვდი, რა დიდი ბრალი მიმიძღოდა იმის სიკვდილში. ამაზე ფიქრი სიცოცხლეს მიმწარებდა და სულს მიშხამავდა.

ჭიოტას სიტყვამ ისევ გამიხსნა ეს მძიმე, ფარული იარა და გუნება ერთბაშად წამიხდა. ერთი სული მქონდა, დროზე გავცლოდი ამ ბერიკაცს, რომ კიდევ არაფერი ეთქვა.

— კარგად იყავი, ბიძაჩემო, — ცივად მივუგდე და წავიოვდექი.

ჭიოტაც შეშფოთებული წამოდგა.

— რა გეწყინა, ძმისწულო, მოიცა, ჩემი დედაკაცი ამოვა სადაცაა და თითო ჭიქა დავლიოთ, — მერე ისევ ჭალისკენ გაიხედა და ვაპრაზებულმა დაიძახა, — მზექლოო! ჰაი, მზექლოო!

აღარაფერი ვუპასუხე, ბილიკზე დავეშვი ჭალისკენ, ჭიოტა კი მემუდარებოდა:

— სირცხვილია, ძმისწულო, ეგრე არ შეიძლება.

შემენანა ბერიკაცი და ვუთხარი, იქაურობას ჩავხედავ და იქნება ისევ ამოვიდე-მეთქი.

— არ მომატყუო, ძმისწულო, უშენოდ არ ვისამხრებ. დედაკაცი სადაცაა, ამოვა.

ჭიოტა მიბრუნდა და ცელი აიღო. ერთხანს მესმოდა, როგორ შხუოდა ბერიკაცის მოქნეული ცელი და მერე ის ხმაც მიწყდა. გრილი ნიავი უბერავდა და გუნებამოშხამულს სალბუნად მედებოდა, ჰორიზონტზე აქა-იქ ჩანდა, ღრუბლების ქულები, ცივები, ნაღვლიანები, უძრავად ეკიდნენ ცაზე და თითქოს რაღაც უიმედოდ დაჰყურებდნენ მდუმარებაში ჩაფლულ აქაურობას. ჭალიდან წიწკანების სევდიანი ეღურტული ისმოდა. უარესად მომაწვა ნაღველი. თვალწინ დამიდგა ის დღე, როცა უკანასკნელად ვნახე მამაჩემი, შიშისგან წახდენილი, უღონო და უსასოო.

მე უნდა ვზიდო მამაჩემის ცოდო და მადლიერი ვიქნები განგებისა, თუ სანაცვლოს მომაგებს ოდესმე.

მივდიოდი მამაპაპეულ კერაზე და თავს ვეღარ ვაღწევდი მოგონებას.

...ნაბოლარა ვიყავ, სამი გოგოს შემდეგ ნანატრი ბიჭი, ჩემი სტუდენტობის დროს სამივე და ქალაქში იყო გათხოვილი და დაბინავებული.

ლაღი სტუდენტობა მქონდა. უქმე დღეებში ავიყოლიებდი ძმაკაცებს და სოფელში ავრეკავდი. სამი მეწველი ძროხა გვყავდა, ათიოდე სული ცხვარი, ქათამი — უთვალავი, ფუინასავით იყო გაშლილი ეზოში. გვარიანად რომ შევთვრებოდი, გამოვიტანდი თოფს და ქათმებზე ვნადირობდი ეზოში. ღიმილით მომიახლოვდებოდა დედაჩემი, მხარზე ხელს დამადებდა და თითქმის ჩურჩულით მეტყოდა:

— ქათამს პატრონი მოუკვდეს, შენ არაფერი ივნო, შვილო, თოფი ხიფათიანია.

დედაჩემმა ჩუმი, მოკრძალებული, მაგრამ დიდი სიყვარული იცოდა. ათი წლის უნახავი რომ ვყოლოდი, კოცნას ვერ გამიბედავდა, არადა, იმისთანა თვალებით მიყურებდა, თითქოს უკვე გულში ვყავდი ჩახუტებული და მკოცნიდა, მკოცნიდა.

ბოლო დროს გულს იტკიებდა, ექიმთან წასასვლელად ვერ

იცლიდა, ჩემს დებს კი ვითომ რიგრიგობით მიჰყავდათ პროფესორებთან და „ვერ ახერხებდნენ“.

უცნაური სიკვდილით მოკვდა დედაჩემი. თონე გაუხურებია, ცომი მოუზელია და დაღლილი ცოტახანს მიწოლილა, დაუსვენია. ცომი გადაფუვდა, თონე განელდა, დედაჩემი კი არა დგება თურმე, მისულა მამაჩემი, აღვიძებს... ვეღარ გააღვიძა, საუკუნო ძილში იყო და ვეღარ გააღვიძა.

მე მაშინ მეზობელ სოფელში ვქეიფობდი ორი დღე გადაბმული. მეგობრებმა მომაგნეს და წამიყვანეს, დედა ცუდად არისო. ეზოში შეყრილი ხალხი... აივნის ბოძს მიყუდებული ცოცხალმკვდარი მამაჩემი და... ყველაფერი ნათელი იყო, დედა აღარ მყავდა.

აღაპზეც და აღაპის შემდეგაც ჩემი დები იმედის კოშკებს უგებდნენ მამაჩემს. არ იდარდო, ერთი წუთით ყურადღებას არ მოგაკლებთო. პირველ ორ თვეს მართლაც ადიოდნენ ჩემი დები, მხარში ედგნენ, მერე თანდათან უკლეს იქ ასვლას და ბოლოს მთლად ამოიკვეთეს ფეხი. ერთი წლის შემდეგ ინსტიტუტი დავამთავრე, დონეცკში გამაგზავნეს სამუშაოდ, სოფელში ავედი, რომ წასვლის წინ მამაც მენახა და ცოტა ფულიც გამომერთმია სამგზავროდ.

— შვილო, — მითხრა მამაჩემმა, როცა გაიგო რუსეთში მივდიოდი, — ხათრი გამიწიე, ვიდრე წახვალ, ცოლი მოიყვანე, აქაურობას მიხედოს, თორემ მე ვეღარ ავუდივარ, გავიტანჯე კაცი.

მამაჩემის ნათქვამზე გამეცინა.

— სასაცილო რა არის, შვილო! — ეწყინა მამაჩემს.

— მე რუსეთში მივდივარ და ცოლი აქ დავტოვო?!

მამამ მწარე სიცილი დამიბრუნა.

— ომში კი არ მიდიხარ, ვირგლავ (მოფერებით მეტყოდა ხოლმე ამ სიტყვას), სამუშაოდ გაგზავნიან და თანაც ერთი წლით.

უარის ნიშნად თავი ჯიუტად გავიქნიე. კრინტი არ დაუძრავს, თითქოს თავის ნიჟარაში შეძვრა და დადუმდა, დადუმდა.

რამდენიმე თვის შემდეგ ჩამოვედი რუსეთიდან და თბილისში დავიწყე მუშაობა, მამამ კიდევ გამიმეორა:

— ეხლა ხო თბილისში მუშაობ, მოიყვანე ცოლი. გაიგე, უქალოდ ოჯახი უკუღმა მიდის.

მართლაც უკუღმა მიდიოდა ოჯახი, ეზოში რამდენიმე ქათამილა დაკინკილებდა, ეგ იყო და ეგ. აღარც ძროხები გვყავდა. აღარც ცხვრები. ჩვენი მურა ძაღლიც დაბერებულიყო, გულგრილი გამხდარიყო, ძველებური ხალისით აღარ მეგებებოდა, თვითონ მამაჩემი ისე იყო მოტეხილი და შეცვლილი, ცნობაც კი გამიჭირდა.

ორიოდე თვის შემდეგ სამხედრო სამსახურში გამიწვიეს. ლენინაკანში მგზავნიდნენ. ისევ ავედი სოფელში მამაჩემის სანახავად და სახარჯო ფულის წამოსაღებად, ზამთრის პირი იყო, დღედღეზე თოვლს ჩამოჰყრიდა. კარგა გვარიანად ციოდა. მამას შეშა უკვე მოემარაგებინა ზამთრისთვის, დახერხილი და დაპობილი აივნის ქვეშ დაეხროვებინა. უქმური, პირქუში საღამო იყო. სევდიან ძილს მისცემოდნენ გაძარცული ხეები. სიცივისაგან ბალახი გადახრუკულიყო და მთელ ეზოყურეს უსასოო იერი მისცემოდა.

იმ დღეს რაღაც უჩვეულოდ იქცეოდა მამაჩემი. გვერდიდან არა მცილდებოდა, უკან დამდევდა. მეუცნაურა იმისი საქციელი. ასეთი რამ არა სჩვეოდა ამ უდრეკ ვაჟკაცს. როცა გაიგო, სამთვიანში მივდიოდი, სიცილი აუტყდა:

— ჯერაც არსად წასულხარ. ეჰ, — აგორებული ქვა ხავსს ვერ მოიკიდებს, — ჩაფიქრდა, შევატყვე, რაღაც უნდა ეთქვა და ჭოჭმანობდა, ბოლოს მაინც ამოქექა, — ბოლობოლო აპირებ თუ არა ცოლის მოყვანას?

— არა, — ცივად მოვუჭერი, რადგან მივხვდი, რაღაცით მივხვდი, რომ ეს არ იყო მისი მთავარი სათქმელი.

— მაშინ, შვილო, თუ არ გეწყინება, მე მოვიყვან.

ვიფიქრე, ყურმა მომატყუა-მეთქი.

— რაო, რაო?

თვალი ველარ გამისწორა, გვერდზე გაიხედა და ისევ გაიმეორა.

— მარტოობა აღარ შემიძლია. დარდი მჭამს. ესე მგონია, უდაბნოში ვიყო და გვერდით კაციშვილი არა ჭაჭანებდეს... ვიცი, მალე გადამიტანს ეს სიმარტოვე.

სისხლი ამივარდა თავში და თვალთ დამიბნელდა.

— დედაჩემის ადგილას რომ აქ ვინმე დავინახო, იცოდე,

იმასაც მოვკლავ და შენც ზედ მიგაყოლებ, — უკვე აღარ ვიცოდი, რას ვამბობდი, — გესმის? მე ვერ ავიტან, აქ სხვა ქალი ტრიალებდეს!

მაშინ ჩემი თავი ცამდე მართალი მეგონა. ვითომ დედაჩემის ხსოვნას ვცემდი პატივს და ის აღარ ვიცოდი, ცოცხალს რომ სიცოცხლეს ვუსწრაფებდი.

მომეჩვენა, უფრო სწორად კი არ მომეჩვენა, ნათლად დავინახე, ეს ახოვანი კაცი როგორ დაპატარავდა, როგორ დაჩიავდა. უჩუმრად გაბრუნდა, ტაშტით სალაფავი აიღო და სახლის უკან, საღორეში, წაიღო.

ისე დაღამდა, ერთმანეთისთვის სიტყვა არ გვითქვამს, ჩემს გვერდით ტრიალებდა, მაგრამ არაფერს მეუბნებოდა. გამახსენდა, წინა დღეებში ჩემი დები რაღაცაზე ცხარობდნენ. მე რომ მივედი გაჩუმდნენ. ვკითხე, ვინ გაგაბრაზათ-მეთქი და, არავინო. აღარ ჩავციებივარ. ახლაღა მივხვდი, რათ გაჩუმდნენ. ეტყობა, მამაჩემმა ჯერ იმათ გაანდო თავისი ხვაშიადი, იმათ ცივი უარი სტკიცეს და ახლა ერთი იმედი მეღა ვიყავი, ეგონა, მე მაინც გავუგებდი, როგორც მამაკაცი, მე კი მთლად გადავუწურე წყალი.

ღამე ჩემს ოთახში შევედი დასაძინებლად, ხუთი წუთი არ გასულა, მამამ თავისი ლოგინი ჩემთან შემოიტანა. ამ ამბავმა უარესად გამაოცა. ის ხომ ყოველთვის თავის ოთახში წვებოდა ხოლმე.

— რათ გამოხვედი აქ, შენს ოთახში რატომ არ დაწექი?

— არ ვიცი, შვილო, რა მეძარცება. შიში დამჩემდა ბოლო დროს. აკი გითხარი, ესე მგონია, უდაბნოში ვიყო მარტოდმარტო.

გული ჩამწყდა, ერთბაშად მომაწვა სინანული. ნუთუ ეს მამაჩემი იყო? კაცი, ვინც მარტოდმარტომ მოიგერია მთელი ბანდა. ექვსი წლის ვიყავი მაშინ. მამა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა. ომიდან გამოქცეული, ტყეში გავარდნილი დეზერტირების ბანდა დაეცა ჩვენს სახლს. მამაჩემმა სახლის სიღრმეში, საიმედო ადგილას გაგვიზიზნა, თვითონ შაშხანით ჩასაფრდა და მთელი ორი საათი წუილი გაჰქონდა ტყვიებს. თვით ბანდის მეთაური და ერთი წევრიც მძიმედ დაჭრა, დანარჩენები კი გაბრუნდნენ. დილითღა, — როცა ყველაფერი დაწყნარდა, — გაბედა ხალხმა გარეთ გამოსვლა, რაიონის

მილიციიდანაც ჩამოცვივდნენ, ის ორი დაჭრილი შეიპყრეს, ხოლო მამაჩემი ფულითა და ნაგანით დაასაჩუქრეს.

ნუთუ ეს მამაჩემი იყო, ერთ დროს ყველა გაჭირვებულის მფარველი და შემწყალე, სიკეთის მთესველი და სხვისი ჭკუის დამრიგებელი?!

მთელი ღამე ასეთ ფიქრებში ვბორგავდი და სადღაც, შუაღამის მიღმაღა ჩამეძინა. არ ვიცი, რა დრო იქნებოდა, როცა ავდექი. ეგებ დილა, ეგებ შუადღეც, რას გაიგებდი, ცა ერთნაირი, ნისლა ღრუბლით დაფარულიყო, თოვლის წინ რომ იცის ხოლმე ისეთით. წუთიწუთ თოვას დაიწყებდა. დიდ თოვას.

ჭიშკარში მურა გამეხირა, წკმუტუნებდა, წინ მიდგებოდა, გზას არ მაძლევდა, თან თვალებში შემომყურებდა.

— შენ რაღა გემართება, ძაღლო, დაიკარგე აქედან! — წიხლი წაჰკრა მამაჩემმა.

ჭალამდე მომყვა, შევატყვე, უკან გაბრუნება ეძნელებოდა.

მესამე დღეს, ლენინაკანში გამგზავრების წინ, მამცნეს მამის სიკვდილი. მე რომ წამოვედი, იმ დღეს დიდი თოვლი მოსულა. მთელი დღე და ღამე უთოვია. მეორე ღამეს ქარბუქი ამტყდარა. დილით ძაღლის ყმუილს შეუშფოთებია მეზობლები. ფეხის კვალს გაჰყოლიან და სასაფლაოსთან არ მისული, თოვლში გაგუდული უპოვიათ მამაჩემი. რა მოელანდა, შუაღამისას იმ ქარბუქში რამ გაიყვანა, იქნებ დედაჩემი დაესიზმრა, იქნებ იმან უხმო, არ ვიცი, არაფერი არ ვიცი, მარტო ის ვიცი, რომ ვერ ჩავიხედე მამაჩემის სულში, მარტო ის ვიცი, რომ ჩვენ პირდაპირ მკვლელებს ვასამართლებთ, ირიბ მკვლელებს კი საყვედურსაც არ ვეუბნებით.

— ძმისწულოო!—მომესმა უცებ სასაფლაოდან. მივიხედე, ჭიოტა გადმომდგარიყო და ხელს მიქნევდა. აღმართზე დედაბერი მიდიოდა, ჭიოტას მზექალა. ბოხჩაში გამოკრული სამხარი მიჰქონდა თავის კაცთან. ბეჭებში ოდნავ მოღუნული ისე მსუბუქად მიდიოდა, თითქოს ქარზე ზისო.

— მობრუნდი, ძმისწულო, მზექლო მოდის, მზექლო! — ისევ ხელს მიქნევდა ბერიკაცი.

„ცოლი რომ ჰყოლოდა, მამაშენს რა მოჰკლავდა!“ — ყურში მედგა ჭიოტას ნათქვამი.

ამ წუთში, ამ გუნებაზე გული არ მიმიწევდა, გაპარტახე-

ბულ, შამბით დაფარულ ჩვენს ეზოში შევსულიყავ, დაყრუებული მდუმარე კედლები სიგიჟემდე მიმიყვანდა. უცებ დამებადა სურვილი, მივბრუნებულიყავი და ახლოს მენახა ჭიოტას მზექალა.

გაზაფხული და უცხო ქალიშვილი

მეორე ცვლის მუშები ქარხნიდან გამოდიოდნენ.

— წვიმა მოსულა, — თქვა ერთმა.

— მოსულა, აბა!

ვიღაცამ ჰაერი დაყნოსა და აღტაცებით წამოიძახა:

— ძლივს არ გვეღირსა გაზაფხული! ახლა ფეხით გავლა სასიამოვნოა.

თბილოდა. ახალგადარეცხილ ასფალტს მძიმე და თბილი სუნი უდიოდა. ჩრდილოეთით ქალაქის დასალიერი ჩანდა, ჩანდა ჰორიზონტი და ჰორიზონტზე ელვისაგან დროდადრო განათებული შავი ღრუბლები. გაელვებისას ქუხილი აღარ ისმოდა. ეტყობოდა, წვიმას ძალიან შორს გადაენაცვლებინა.

კოტემ საწვიმრის საყელო აიწია და ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, ჰაერი ღრმად შეისუნთქა.

ქარხნის წინ აღმართული ელექტროსაათის ისრები თორმეტზეა დატყუპულიყვნენ.

„თორმეტი საათია, — გაიფიქრა მან, — სადგურამდე ფეხით გავივლი“.

ვიღაცამ მხარი გაჰკრა, მერე მოტრენდა და ღიმილით უთხრა:

— მოდიხარ?

— არა, ფეხით გავიელი.

ნაცნობმა აღარაფერი უთხრა, შებრუნდა, ზანტად მიმავალი ტრამვაის კიბეს შეახტა და კოტეს ღიმილით დაუქნია ხელი. კოტემაც გაუღიმა, მერე, როცა ტრამვაი დაშორდა, გაიფიქრა:

„კარგი ბიჭია მურმანი, ძალიან ფერმკრთალი კია, ნეტა რატომ არის ფერმკრთალი?“

ისინი ყოველთვის ერთად გამოდიოდნენ ქარხნიდან და ერთად მგზავრობდნენ.

მურმანი ქარხნიდან ორიოდე გაჩერებაზე ცხოვრობს, ტრამვაი მის სახლთან ჩერდება, კოტემ კი სადგურთან უნდა გამოიცვალოს ტრამვაი დ ნავთლუღამდე ორმოციოდე წუთს იხრიგინოს.

ახლა კი აღარ გაჰყვა სადგურამდე მიმავალ ტრამვაის, რატომღაც უნდოდა ფეხით გაევლო, მარტო დარჩენილიყო და გაზაფხული ეგრძნო.

კოტე ტროტუარზე მიდიოდა. ტროტუარის პირად ჩარიგებული გაზუნზლული ხეები ტანს იბერტყავდნენ. გზადაგზა გუბურები იდგა. გუბურები სინათლეს ირეკლავდა და ასფალტი ალაგ-ალაგ ვერცხლისფერი ჩანდა.

ქუჩაში იშვიათად დადიოდნენ ადამიანები. დაცარიელებული ტრამვაი ვაგონების რწევით ბოლო გაჩერებას უახლოვდებოდა.

კოტემ ხიდზე გადაუხვია. ხიდის ქვეშ ქშინვით დაასეირნებდნენ რომელიღაც ორთქლმავალს, როგორც ჭენებით დაქანცულ, ოფლში გახვითქულ ცხენს.

კოტე შუა ხიდზე გაჩერდა და ძირს გადაიხედა. მკრთალ სინათლეზე ერთმანეთზე გადაწნული ცივი და თეთრი ლიანდაგები ჩანდა, რომელნიც ძალიან შორს მიდიოდნენ და პატარა ზოლებად სერავდნენ დედამიწას. სადგურზე ხალხი ფუსფუსებდა.

ხიდზე ფეხის ხმა გაისმა. ქალ-ვაჟი მოდიოდა. ვაჟს მსუბუქად მოჰქონდა დიდი ჩემოდანი. ქალს ვაჟისათვის ხელმკლავი გაეკეთებინა: ქალმა ქვემოდან ახედა ვაჟს და ალერსიანი ხმით უთხრა:

— ხიდზე ნიავი უბერავს, საყელო აიწიე:

— არ ცივა, პირიქით, თბილი ნიავია. ნელა ვიაროთ, თორემ დაიღლები, — უთხრა ვაჟმა.

— არა, — თქვა ქალმა. — ნახევარი საათიღა დარჩა მატარებლის გასვლამდე. იცი, ამ ხიდზე გვიან გავლა საშიშია.

ქალმა ირიბად გამოხედა კოტეს და ვაჟს უფრო მიეკრა.

რომ გაიარეს, ქალმა ხმადაბლა ჩაულაპარაკა ვაჟს, კოტემ ვეღარ გაიგო, რა თქვა. ნაღვლიანად გააყოლა თვალი და გაიფიქრა:

„შეიძლება ცოლ-ქმარი იყვნენ, ქალი გაცილებით ლამაზია, ძალიან ლამაზი... ნეტავ რომელ მატარებელს მიჰყვებიან ასე გვიან?“

კოტეს როგორღაც შეშურდა მათი ბედი, იმიტომ ხომ არა, რომ ისინი ახლა ქალაქიდან მიდიოდნენ და სადღაც უნდა ემგზავრათ.

„კარგია ასეთ ქალიშვილთან ერთად მგზავრობდე მატარებლით და ის შენი საცოლე იყოს“.

ხიდზე აღარავინ ჩანდა. ქალ-ვაჟი თვალს მიფარებოდა, ახლა ისინი ხიდის იქით, ქვის კიბეზე ჩადიოდნენ, ხოლო ხიდზე ჯერ კიდევ ჩანდა მათი მოქანავე ჩრდილები, რომლებიც თანდათან პატარავდებოდნენ.

სადგურს გადახედა. რომელიღაც მატარებელი დაიძრა. ნელა დაიძრა და ხიდის ქვეშ ჩაყვინთა.

სადგურზე გამცილებლები დარჩნენ. მატარებელმა წაიღო ხმაური, წაიყვანა ადამიანები და გამცილებლებს მოწყენილობა და სევდა დაუტოვა.

კოტემ გზა განაგრძო. ხიდიდან ჩანდა, ჩაბნელებულ ქალაქში როგორ ციალებდნენ ნათურები და ხან ერთ, ხან მეორე სახლში როგორ აქრობდნენ სინათლეს.

ხიდის კიბე ჩაიარა და სადგურთან გავიდა. გაჩერებაზე რვა ნომერი ტრამვაი იდგა. კოტე პირველ ვაგონში ავიდა, იქ ორი მგზავრი იყო, წვერმოშვებული ბერიკაცი და ახალგაზრდა ქალი.

ტრამვაი დაიძრა, ზონზოხა კონდუქტორი ვატმანის კაბინიდან გამოვიდა და ბარბაცით გაიარა ვაგონში.

ტრამვაი ნელა მიდიოდა. კოტე იჯდა სკამზე და ფიქრობდა:

„თავის დროზე რომ მეფიქრა, ახლა უკვე მეცოდინებოდა ხელობა, მურმანს უკვე ენდობა ოსტატი და საცაა დამოუკიდებლად ამუშავებს“.

მერე სკოლის მეგობრები გაიხსენა, რაც ჯარიდან ჩამოვიდა, ყველა არც კი უნახავს, მაგრამ მაინც იცის, როგორ ცხოვრობენ.

„ნოდარს მერი შეურთავს, გივის ვიღაც შენგელიას გოგო უყვარდა, კარგი გოგო იყო, ჭკვიანი, მითხრეს, თავი მიანებაო!.. ტყუილია, გივი იმისთანას ვერ მონახავს... ალბათ, არ

იცის ქალიშვილის ფასი — ზოგს ბედი უღიმის და არ კი იცის, როგორ მოიქცეს“.

ტრამვაი გაჩერდა. კოტემ ამოიოხრა და ფანჯარაში გაიხედა. ვაგონში მგზავრები ამოვიდნენ, კოტემ ფანჯარაში დაინახა ქალიშვილი, ქალიშვილმა საზაფხულო ნაცრისფერი პალტოს კალთა გადაიწია და მოპირდაპირე სკამზე დაჯდა.

მეორე ვაგონში დარეკეს, დარეკეს პირველშიც, სახელურზე დაკიდებული პლასტმასის საკიდრები შეირხნენ და ტრამვაი დაიძრა.

კოტე ქალიშვილს დააცქერდა. მას ფიქრიანი სახე და თვალები ჰქონდა. გრძელი, შავი წამწამებით დაფარული თვალები უფრო შავი მოუჩანდა.

ქალიშვილმა იგრძნო, რომ უყურებდნენ და როგორღაც ნაღვლიანად გადმოხედა ვაჟს. კოტეს გაახსენდა ეს ქალიშვილი; ორი თვის წინ ამავე ტრამვაით იმგზავრა. იანვარი იყო, ქალიშვილს შავი პალტო ეცვა და ძალიან უხდებოდა პალტოს საყელოზე გადაკრული თეთრი ბეწვი. ქუდზე თოვლი ედო, თოვლი ედო აგრეთვე საფეთქელთან, ქუდიდან გამოჩრილ შავ თმაზე და პირველი თოვლის სუნი უდიოდა. მაშინაც ეს პაწია ღრმულები ჰქონდა სახეზე, კი არ აუშნოებდა, ძლივს ემჩნეოდა და უხდებოდა კიდეც.

მაშინ კოტემ თვალი ვერ მოსწყვიტა ქალიშვილს, მან კი ზედაც არ შეხედა. გრძნობდა ვაჟის მზერას, მაგრამ აინუნშიაც არ აგდებდა.

მერე კი აღარსად შეხვედრია...

კოტემ თმაზე გადაისვა ხელი და ქალიშვილს ისევ შეხედა. ქალიშვილიც უყურებდა.

„შეიძლება ვახსოვარ“, — გაიფიქრა კოტემ.

ქალიშვილმა თვალი მოარიდა და წინა სკამზე ვიღაც გამხდარ დედაკაცს გაუღიმა. დედაკაცი იღიმებოდა, მერე ამას არ დაჯერდა და გამოელაპარაკა:

— სამუშაოდან მოდიხარ?

— კი.

— მეორე ცვლაში ხარ?

ქალიშვილმა თავი დაუქნია და ოდნავ გაიღიმა. ღიმილი უხდებოდა, როგორც ეს ძუნწად მოღიმარე ადამიანს უხდება ხოლმე.

ქალიშვილმა ფანჯარაში გაიხედა. კოტემაც გაიხედა ფანჯარაში. მინაზე არეკლილიყო ქალიშვილის სახე და მისი წყლიანი, წმინდა თვალები.

ვაჟი ფანჯარაში უყურებდა, ქალმაც ფანჯარაში შენიშნა მისი მზერა და კოტემ თვალი მოარიდა.

ტრამვაი გადასასვლელთან გაჩერდა, ვატმანი ჩამოხტა და ისარი გაასწორა.

— რად გაჩერდა ტრამვაი? — იკითხა ვიღაცამ.

მგზავრები ჩავიდნენ. ნაცნობი დედაკაცი ღიმილით დაემშვიდობა ქალიშვილს და ჩავიდა. იმანაც გაუღიმა, მერე კოტეს გადმოხედა და რატომღაც უხმოდ ამოიოხრა.

ვაგონში, მათ გარდა, ორნიღა დარჩნენ — წვეროსანი მოხუცი და ახალგაზრდა ქალი.

კოტე იჯდა და ტრამვაის ლარტყებს დასცქეროდა. ლარტყებზე ნახევი ბილეთები და პაპიროსის ნამწვავები დაწებებულიყო. კოტე უცქეროდა ლარტყებს, ხელები მუხლებზე დაეწყო და ეჩვენებოდა, რომ ქალიშვილი მას ფეხსაცმელზე უყურებდა. შემდეგ ხელებზე დააქცერდა, მზერა კოტეს ნატკენ თითზე შეაჩერა, რომელიც გუშინ გრდემლზე დაიძეძკა და ახლა შეხვეული ჰქონდა. კოტემ ხელები ჯიბეებში ჩაიწყო.

ქალიშვილისკენ მიიხედა, ის თურმე სულაც არ უყურებდა კოტეს. ამაზე, ცოტა არ იყოს, განაწყენდა, მერე გადაწყვიტა, ყურადღება არ მიექცია მისთვის და სხვა რამეზე ეფიქრა.

„უყურეთ გივის, — გაიფიქრა მან, — რა გოგოსთვის გაუნებებია თავი, იმისთანა გოგოს, სანთლით რომ ეძებოს, ვერ იპოვის. ბედი უღიმით და არც კი იციან, როგორ უნდა მოიქცნენ... ის გოგოც კარგი იყო, წელან ხიდზე რომ მიჰყვებოდა ვაჟს, ნეტავ რა იყო იმ ვაჟისა, ალბათ, ახლა მატარებელში სხედან და მიდიან“.

უცებ ის გოგო ამ ქალიშვილს შეადარა. ქალიშვილს, მუხლის ქვემოდან, სწორ და სავსე წვივზე, შინდისფერი კაბის ბოლო ვიწროდ შემოსალტოდა. კაბას მკრთალ, თავისივე ფერის ზოლად გასდევდა შენაკეცი. შავი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა და ფეხსაცმლის წვერიდან თითები მოუჩანდა.

ქალიშვილმა იგრძნო ვაჟის შემპარავი მზერა, იგრძნო ქ-

ლური უტყუარი ალღოთი, პალტოს კალთა წვივებზე წაიფარა და ფეხი სკამქვეშ შეაცურა.

„მოდი, გამოველაპარაკები“, — გაიფიქრა კოტემ და გულმა ხტუნვა დაუწყო. ქალიშვილს შეხედა. იგი ფანჯარაში იყურებოდა, მისი სუნთქვისაგან მინა დაორთქლილიყო. კოტემაც გაიხედა ფანჯარაში. შავი, ფიქრიანი თვალები პირდაპირ მას უყურებდნენ. ეს ისე მოულოდნელი იყო, ვაჟს ეუხერხულა და თვალი მოარიდა. მინაზე ახლა თავისი ორეული დაინახა. შავი თმა შუბლზე ოდნავ ჩამოშლოდა, უნდოდა გადაეწია, მაგრამ მოეჩვენა, რომ ასე უფრო უხდებოდა. სახეზე წვერი წამოზრდოდა, ინისფერი ხშირი წვერი ჩაბინდულ მინაზე შავად მოუჩანდა.

„კარგი იყო, დღეს პირი გამეპარსა“, — გაიფიქრა.

ტრამვაი კინო „ისანთან“ გაჩერდა. მოხუცი და ახალგაზრდა ქალი ჩავიდნენ. ქალიშვილმა ვაგონი მოათვალიერა და როგორღაც შეიშმუშნა. კოტე მიხვდა, რაც აღონებდა ქალიშვილს. უხერხული იყო, ცარიელ ვაგონში უცხო ვაჟის გვერდით მჯდარიყო, მაგრამ ეტყობოდა, უფრო ეუხერხულა გადანაცვლება.

კოტე ქალიშვილს დააცქერდა. ქალიშვილი ფანჯარაში იყურებოდა და ძლივს შესამჩნევად იღიმებოდა, იღიმებოდა, როგორღაც ეშმაკურად და გამომწვევად.

ტრამვაი დაძვრას არ აპირებდა. ქალიშვილმა ღიმილი დაიოკა, კოტეს შეხედა, მოუსვენრად აცმუკდა და საათზე დაიხედა. ბოლოს, როგორც იყო, დაიძრა ტრამვაი და ქალიშვილი დამშვიდდა.

„მოდი, ვკითხავ, რომელი საათია-მეთქი... მაგრამ არა ღირს, არ ივარგებს, ვაგონში სხვებიც რომ იყვნენ, გამოლაპარაკებას მაშინ უფრო გაბედავდა კაცი“.

ხელმარცხნივ ცა გამოჩნდა. მოწმენდილ ცაზე დიდი, სავსე მთვარე უკვე შემაღლებულიყო. მთვარის ახლოს ცას ღრუბლის თეთრი სწორი ზოლი გასდევდა, თითქოს ცარცით გაუხაზავთო.

ტრამვაი მსუბუქად მიდიოდა და ვაგონი ირწეოდა. ზონზროხა კონდუქტორი თვლემდა. თავი ძირს უვარდებოდა და მერე ისე ილვიძებდა, თითქოს ნემსი უჩხვლიტესო.

მოსახვევში ქალიშვილი ნელა წამოდგა. შავი, დაჩხვლე-

ტილი ხელთათმანები გაისწორა და ცოტა ხანს გაჩერდა, თითქოს ყოყმანობდა, თითქოს არ უნდოდა ჩასულიყო. მერე შებრუნდა და ბაქნისაკენ ზანტად წავიდა. ტრამვაიმ მოუხვია და ქალიშვილი ოდნავ დაბარბაცდა. კოტემ დაინახა მის სავსე წვივებზე ძლივს შესამჩნევად რომ ამოიზნიქა კუნთები. იგი ბაქანზე გაჩერდა და ვაგისკენ მოიხედა — ჩამოდის თუ არაო.

ქალიშვილი ჩავიდა, ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და ტანის მოხდენილი რწევით ტროტუარს გაჰყვა.

ტრამვაი ისევ დაიძრა. როცა ვაგონი დაუპირისპირდა, ქალიშვილმა თავი აიღო და კოტეს დააცქერდა. როგორღაც უკმაყოფილო და მოწყენილი იყო მისი თვალები.

ვაგს გული დასწყდა.

„რატომ არ ჩავედი, ერთი გაჩერება რაღა ბედენაა, უნდა ჩავყოლოდი, — მერე თავი გაიმხნევა, — იქნებ ხვალაც შევხვდე, იქნებ ამ ტრამვაით იმგზავროს... მაგრამ მაინც სჯობდა, რომ ჩავყოლოდი“.

მერე გადაწყვიტა, ამაზე აღარ ვიფიქრებო, კიდევ რომ ეფიქრა, გული დასწყდებოდა.

შემდეგ გაჩერებაზე ჩავიდა. იქით გაიხედა, სადაც წელან ქალიშვილი დარჩა.

სწორი და ფართო ქუჩა, მუდამ ხმაურითა და ადამიანებით სავსე ქუჩა, ახლა უკაცრიელი იყო. ქუჩის პირად ჩარიგებული ნაძვების მძიმე და სველი ტოტები დაზნექილიყვნენ.

ქუჩა და ნაძვები ნაცრისფერი ბინდის ბურუსში იყო ჩაძირული.

„მაშ, გივის თავი გაუნებებია იმ გოგოსთვის... ზოგს ბედი ულიმის და არც კი იცის, როგორ მოიქცეს...“ — ფიქრობდა კოტე და ნელა მიჰყვებოდა გაზაფხულით ავსებულ ქუჩას.

კაცები

ღამით დიდი თოვლი მოვიდა. დილითაც თოვდა. მსხვილი ფანტელები ყველაფერს მარხავდა და მთელი დედამიწა თეთრ ზღუმარებაში თვლემდა.

მიხამ ჭიშკრის თავზე დაგროვილი თოვლი ძირს ჩამოყარა

და ეზოში ბრტყელი ნაფეხურების კვალი შეიტანა. გიგა, ისის იყო, ლოგინიდან წამომდგარიყო, აივანზე გამოსული გადათეთრებულ მიდამოს გაჰყურებდა და იზმორებოდა.

— რა კატასავით იზმორები, ყვაილო, აბა, ჩამო დაბლა.

გიგამ თვალები მოიფშვნიტა, ნაადრევ სტუმარს გაკვირვებით გადმოხედა, გაიღიმა და მაღალი ტანის რწევით კიბეზე დაეშვა.

— ახლა კი გამარჯობა... რამოდენა თოვლი მოვიდა, აბა, ვაიხედე, მომილოცავს! — თქვა მიხამ და ჩაიცინა. მერე ფეხი მოინაცვლა, გაიბოტა და დოინჯი შემოიყარა. მის ბრტყელ ნაჩექმარში თოვლი ნელ-ნელა დნებოდა.

გიგას გულხელი დაეკრიფა, მიხას მაღლიდან დაჰყურებდა და იღრიჭებოდა.

— რატო არ მეკითხები, რათ მოვედი, ყვაილო? — მიხა დაიხარა, მუჭით თოვლი მოხვეტა და ხელში დასრისა.

გიგამ ცხენივით ჩაიხვიხვინა, ხმა დაიწვრილა და გამოაჯავრა:

— აბა, მე რა ვიცი, ყვაილო?

— ცხენები უნდა ვიშოვნოთ და თიანეთში წავიდეთ. მანქანით ვაპირებდი წასვლას, მაგრამ აბა, დაინახე, რა ქნა წუხელ, მანქანით კი არა, ტანკით ვერ ახვალ იქა!

— მოიცა, მოიცა, ნუ დააყარე თედუას წისქვილივით, თიანეთში რა გვინდა?

— ბიჭი გამიჩნდა, ყვაილო, უნდა ავხედო. შენი ამბავი რო ვიცი, მარტოკინას არ გამიშვებ. ეგრე გადავიაროთ ბოსელაზე და ხელათ ავალთ. — ტყისაკენ გაიხედა მიხამ.

გიგამ თვალები ჭყიტა, ერთ წამს უხმოდ უყურა მიხას და მერე გაიბადრა.

— ჰაი, დადადადა, უკეთურო! თავიდანვე ეგრე გეთქო... რა ქალიშვილივით გაწითლდი, ბიჭო! — და ლამის ყური ააგლიჯა. მერე ფართო მარჯვენა ბეჭებზე დაჰკრა და ისევ ახვიხვინდა. ამ ჭიხვინში ველური ძალა და უზომო სიხარული იგრძნობოდა.

დიდხანს ელოდა მიხა შვილს, სასოებითა და ტანჯვით ელოდა, და როცა ერთი, მხოლოდ ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა უზენაეს სიხარულამდე, სწორედ მაშინ გაწყრებოდა ღმერთი, —

ამდენი ხნის მოლოდინი ერთი ხელის დაკვრით გაცამტვერდებოდა ხოლმე. ასე გრძელდებოდა თითქმის ხუთი წელი. ხუთი წლის მანძილზე იმსხვრეოდა იმედები და მოლოდინი და აი, ბოლოს და ბოლოს ადამიანის შემწეობითა თუ ღვთის ნებით, კაცმა არ იცის, მაინც აუსრულდა ნატვრა. ახლა ის ყელამდე ბედნიერი იდგა მეგობრის წინ და ცდილობდა, ვაჟკაცის წესისამებრ, სიხარულს არ აემჩატებინა.

მიხამ იცოდა გიგას ხასიათი, სიმთვრალეში სჩვეოდა ასეთი აღტყინებული ხარხარი. შეატყო, წუხანდელი ნაქეიფარი იყო და ის ღვინო ჯერაც არ გამონელებოდა.

— სად გატიალდი წუხელ, ყვაილო?

გიგამ ამოიოხრა და თავი გაიქნია.

— ნუღა მკითხავ, რესტორანში ჩავიხოცენით. შუაღამეამდე ვუწუწუნებდით ჩაის ჭიქებს.

— მეც შენ დღეში ვარ. რა მოგვარჩენს ახლა, თითო არაყი? მიდი, ჩაიცვი, ჩვენსა გადავიდეთ, წავიხემსოთ და, ჰერი თიანეთისაკენ.

გიგამ თვალები მოჭუტა და ჩაიცინა:

— შენ ეგრე მოგდის, კოლოთოში კოლოთოელ კაცს ახმეტელი რო ეპატიჟებოდა, ჩვენსა წავიდეთო. აქ არა ვართ?

— მაიცა, ყვაილო, ხო იცი, რო ღორი ახალი დაკლული მყავს, ხორცს ჯერ მარილიც არ გაჯდომია. ეგეც არ იყოს, შინ მარტოკა ვარ და ჩვენს ჭკუაზე ვიქნებით.

გიგამ თავი მოიფხანა, მერე ზანტად შებრუნდა და კიბეზე ალაჯა.

გიგა და მიხა თანატოლები იყვნენ. ერთ უბანში ცხოვრობდნენ და ერთად იზრდებოდნენ, ერთად ლახტაობდნენ და ერთად ჩილიკაობდნენ. სხვა ბავშვებისაგან იმით გამოირჩეოდნენ, რომ ორივეს მუხლდაძაბუნებული პაპები ზრდიდნენ. იმათი მამები კი ომმა ჩაყლაპა.

დრო მიიპარებოდა და წლებს ჭამდა. და აი ერთხელ, მარიამობის დღესასწაულზე, სოფელი საოცარი ამბის მოწმე გახდა. საკუთარი თვალებით სჭვრეტდნენ, გიგა და მიხა ათაციან ბრბოს ცემა-ტყეპით როგორ მიერეკებოდნენ. კარგი სანახავი იყო: ორი ულვაშშეღერებული ჭაბუკი, თითქოს ყანას მკიანო, ისე მიიკვლევდნენ გზას და მოჩხუბრებს თითო დარ-

ტყმით სცელავდნენ. ის მოჩხუბრები დღესასწაულზე საგაწ-გებოდ დაძრწოდნენ და ჩხუბის მიზეზს დაეძებდნენ.

აი, იმ დღეს, დიდმაც და პატარამაც, შინაურმაც და გარე-ულმაც მოიფშვნიტა თვალები და ჰოი, საოცრებავ, ახლალა შეამჩნიეს, რომ გიგა და მიხა დავაჟკაცებულიყვნენ, ახლა და-ინახეს, რომ გიგა მაღალზე მაღალი გაზრდილიყო, რომ არყის ხესავით სწორი და მოქნილი ტანი ჰქონდა, ხოლო მიხა მაღა-ლი და კურატივით ჩასკვნილი იყო.

იმ დღეს დაჰკრეს ბეჭებზე ხელი მეზობლებმა, თან თბილი ღიმილი და ქათინაურებიც მიაყოლეს. მათი ომში დაღუპული მამებიც იმ დღეს გაიხსენეს, აფსუს, რა ვაჟკაცები შეიწირა ომმაო! სინანულით გადაიქნიეს თავები და თანაც დასძინეს, რა უჭირთ, სამაგიეროდ აი, როგორი მოზვრებივით ბიჭები და-ეზარდათო, მტერს დედას უტირებენო.

სადაც გიგა იყო, მიხაც იქ გახლდათ. ერთად დადიოდნენ სააღდგომო დღესასწაულზე თუ ალავერდობაში. გრძნობდნენ, ჩუმ-ჩუმად როგორ უთვალთვალებდნენ ნაცნობები, მაგრამ ამას აინუხშიც არ აგდებდნენ. შეზარხოშებულნი ავაზებივით გახაბულები უვლიდნენ ხალხის გარშემო და თვალებით ეძებ-დნენ, სად ჩავარდებოდა განხეთქილების ვაშლი და ისინიც მყი-სვე დააცხრებოდნენ მოჩხუბართა შორის მტყუანთ.

გიგა და მიხა ჩხუბობენო, დაიძრებოდნენ და ჩხუბის ას-პარეზს მიაწყდებოდა ხალხი. უსაშველოდ გრძელი ხელები ჰქონდა გიგას, შორიდანვე გააქანებდა და ვისაც მისი საზამთ-როსავით ზორბა მუშტი დაეძგერებოდა, მყისვე ფეხქვეშ მიწა ეცლებოდა. მიხას კი, დათვივით ღონიერ მიხას, მუშტი მაინც-ულაინც არ ეხერხებოდა. მოწინააღმდეგეს ხელს დაავლებდა, ძიუდან სწრაფად მოსწყვეტდა და ბურთივით გააგორებდა. საკვირველი ის იყო, რომ ამ დროს მიხას სახეზე მრისხანება და ბოროტება კი არ ეხატა, ღიმილი გადასდიოდა.

მაგრამ წარვიდა კვლავ დრო და სიჭაბუკის წლებიც წა-რიტაცა. გიჟი მოზვრები დახარდნენ. მდუღარე სისხლი დაულ-ეინდათ, დაუწყნარდათ და ქედებზე უღელი დაიდგეს. ერთმა შოფრობა აირჩია ხელობად, მეორე კოლმეურნეობის საქო-ნელში მწყემსად გამწესდა. ავაზები ახლა სპილოებს დაემ-გვანენ, დიდ, კეთილ სპილოებს, უწყინრად რომ დააბოტებენ ღედამიწაზე და ცდილობენ, თავიანთი ძლიერებით უნებურად ვინმეს რამე არ ავნონ.

ახლაც, ათასში ერთხელ, ყმაწვილკაცობას გაიხსენებდნენ და ისევ ერთად წავიდოდნენ ხოლმე დღესასწაულებზე. დაინახავდნენ სადმე ჩხუბი იყო, მივიდოდნენ, თავიანთ ღონიერ ხელებს ფრთხილად დაადებდნენ მოჩხუბრებს მხრებზე და დინჯად, და ალერსიანად ეტყოდნენ: აბა, ჩხუბი როგორ შეიძლება, მერე მტყუანსა და მართალს გაარჩევდნენ და ერთმანეთს შეარიგებდნენ. ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ მოჩხუბრები, უსიტყვოდ დაუჯერებდნენ, შერცხვენილები თავს ჩაღუნავდნენ და დაზავდებოდნენ.

მიხა კოლმეურნეობის ერთ ძველისძველ „ზისს“ დაარახრახებდა. ის „ზისი“ ათას მანქანაში გამოირჩეოდა. მაგრამ მიხას ხელში მაინც სული ედგა და არც მანძილს უფრთხოდა, არც უგზოობას. ერთხელ კოლმეურნეობის ბრიგადირთან ერთად მოდის მიხა დასავლეთიდან და ტომრებით სათესლე სიმინდი მოაქვს. შუაღამისას, ქსანს რომ მიუახლოვდნენ, დაიღალნენ და ძილი მოერიათ. მანქანა მინდორზე გადააყენეს, ნაბდები დაიფინეს და ძილს მიეცნენ. გარიჟრაჟისას ღრმად ჩაძინებულ მიხას ბრიგადირი აღვიძებს:

— ადექი, მიხავ, ქურდები მოვიდნენ.

— ეჰა, რა, ვინ მოვიდნენ?

მიხა წამოიზლაზნა და მიიხედ-მოიხედა. მანქანასთან ორი ლანდი დაბორიალობს და ტომრებს ჩხრეკენ. დინჯად, თვალების ფშვნეტით მიუახლოვდა მათ, ორიდან უფრო მოზრდილსა და უფრო ზორბას დაადგა თვალი, საყელოში სწვდა, სასწორივით ააკონწიალა და ეუბნება:

— აი, ყვაილო, ჩვენ რა ვიცით. ახლავე შააყოლეთ აქედან, თორემ გავბრაზდები.

ეს ამბავი ბრიგადირ სოლიკოს სოფელში დიდხანს ჰქონდა სალაყბოდ. მიხას ლაპარაკს აჯავრებდა და ხალხს ახარხარებდა.

თქვენ წარმოიდგინეთ. გიგა და მიხა გუნება-ხასიათით ერთმანეთს ძალიან ჰგავდნენ, რაც ერთს უყვარდა, მეორესაც იმაზე მიუწევდა გული, რაც ერთს ეჯავრებოდა. იმას მეორეც ვერ იტანდა, რისაც ერთს ეშინოდა.... თუმცა შიში რა სახსენებელია, სად მიხა და გიგა, სად — შიში. მხოლოდ ერთი რამისა ეშინოდა ორთავეს, მიცვალებულისა, თუ ეს საფვალეში ჩაიგდება. ტრაქტორით რომ დაგებათ, ვერც ერთსა და ვერც

მეორეს მიცვალებულის სიახლოვეს ვერ გააკარებდით. ეგება ერთნაირმა დუხჭირმა ცხოვრებამ ასე ერთფეროვნად ჩამოაყალიბა მათი ხასიათი. ეგებ სიკვდილისადმი შიში და ძრწოლვა მაშინ გაუჯდათ ძარღვებში, როცა ომში დაღუპული მამების ამბავი დაატყდათ თავს და შინაურებმა უცხედროდ დაიტირეს და ივიშვიშეს. ასე იყო თუ ისე, ბავშვობიდან აკვიატებული ეს ჩვევა ახლაც ვერ დაეთრგუნათ, ვერ ჩამოერეცხათ. როცა მიხას პაპა მოუკვდა, შინ ფეხი აღარ შეუდგამს, დამეს გიგასთან ათევდა. ამოდენა ვაჟკაცი კუბოს ვერ მიაკარეს, რომ გამზრდელ პაპას გამოსთხოვებოდა.

— ბიჭო, მიხავ! — ყბად იღებდა გიგა მეგობარს და დასცინოდა, — პაპაშენს დაუბარებია, ის არგასაზრდელი სად გადაიკარგა, ვენახის ბოლოში ოქროთი სავსე ქილა მაქვს ჩაფლული და უნდა ვუთხრა, ბარი რა ადგილას დაჰკრასო.

მაგრამ, ჰოი საკვირველებავ, როცა იმ აქლემმა გიგას პაპასთან დაიჩოქა, გიგასაც ის დაემართა, რაც მიხას. ისიც დააფრთხო მიცვალებულმა, ისიც შორიახლოს მიაცილებდა პაპის ცხედარს სასაფლაოსაკენ.

და აი, ეს შეხმატკბილებული მეგობრები სწორედ იმ დღეს, როცა თიანეთში წასვლას აპირებდნენ, სულ უბრალო რამეზე წაიჩხუბნენ, კერძოდ ძაღლის, დიახ, ძაღლის გამო დაერივნენ ერთმანეთს.

— მიხავ, მოდი, ერთ სადღეგრძელოს მე ვიტყვი.

— თქვი, ყვაილო.

— ამ ჭიქით კაცებსა და კაცობას გაუმარჯოს.

— გაუმარჯოს. აბა-ბა-ბა, რაცა ხანია ეგ სადღეგრძელო აღარ დაგვილევია!

— აბა, კაცო!

და გვარიანად შემთვრალები ისე ხარხარებენ, ლამის შენობა შეირყეს და კედლები დაიბზაროს. გიგა ცხენივით ჭიხვინებს, სკამზე გადაზნექილა და გულხელდაკრეფილი თითებით კუნთებს ისინჯავს, ხოლო მიხა მაგიდას იდაყვით დაყრდნობია და როხროხებს.

ქვედა სართულის პატარა ოთახი, სადაც გიგა და მიხა სხედან, ღორის მწვადების ოხშივარითა და არყის სუნით გაჟღენთილა. მაგიდაზე ერთი გამოცლილი და მეორე ჩანახევრებული ლიტრიანი ბოთლი დგას. ღუმელი გამომქრალა, მაგრამ

არყით შეხურებულებს ცეცხლი აღარ აგონდებათ. ჩექმებზე თოვლი შემოდნობიათ და იატაკი დატბორილა. გარეთ თოვს. დამძიმებული ხეები მიწისაკენ წაზნექილან და ნეტარებით ელიან ქარის წამოქროლებას, რომ მხრები დაიბერტყონ და ძველებურად წელში აიშალონ.

გიგა ჯაჭვმოგდებულ არყის ჭიქას მაგიდაზე დგამს, ზედ ვეება ხელს აფარებს და მიხას თვალს უშტერებს.

— ისე, რომ მოვთვალოთ, სოფელში რამდენი კაცი იქნება?

— რას ამბობ, ყვაილო, სად არიან კაცები. განა ვისაც შარვალი აცვია, ყველა კაცია!

— ჩვენ ხო ვართ კაცები!

— ჩვენ გლეხები ვართ, ყვაილო.

— მერე, შე უკეთურო, კაცობა განა სწავლა-განათლებას ნიშნავს. კაცობა აი, ეს არის. — და გიგა ბრტყელ ხელს გულზე იდებს.

— შენც მართალი ხარ, ყვაილო. გადაჭარი ეგეცა, უფრო ბრძნული აზრები მოგივა თავში.

და მიხა გულიანად ხარხარებს.

— მაიცა, მაიცა, მერე რა ვუყოთ, რომ გლეხები ვართ, კოტე ხო იტყვის ხოლმე, სასაცილოები არიან, ვინც თავს გვამეტებენ და ცისკენ იყურებიანო. ნასწავლი თუ უსწავლელი, ბრძენი თუ სულელი ყველა მიწაზე დავდივართ და მიწის კერძები ვართ. ამ დიდი ცის ქვეშ საბოლოოდ ყველა თანაბრდებაო.

— ის უფრო ლამაზად ამბობს ხოლმე, გიგავ, ისე ეგ კი გამოდის, რასაც შენ ამბობ... იმ დღეს რომ თქვა, ხო გახსოვს. ამქვეყნად კაცისა არც სიმდიდრე მაკვირვებს, არც განათლება, არც თანამდებობა, ყველაფერი წარმავალიაო. კაცობაა მთავარიო. ერთი დიდი კაცი იყო ძველად, ლამის მთელი დედამიწა დაიპყრო და იმან სიკვდილის წინ ეგრე თქო, ნეტა რო ვიცოცხლე, რისთვის ვიცოცხლეო. ეჰ, კოტე ნასწავლია, ბევრი რამე იცის. ჩვენ უსწავლელები ვართ, გლეხები...

— კოტეს ვენაცვალე, ეს იმის მოგონილი სადღეგრძელოა. ამას ყველა კი ვერ მიხვდება. აი, კაცი ვინ არის. მოდი, კოტეს თამადობით კაცებს გაუმარჯოს, ჰა, რას იტყვი, მიხავ?

— ღმერთში გენაცვალე! გაუმარჯოს და გაუმარჯოს!

კოტე ერთი ჩია ტანის ბიჭია, ხელობით მხატვარი. ახლა ქალაქში ცხოვრობს და წელიწადში ორჯერ ან სამჯერ თუ ჩამოვა სოფელში, ჩამოვა და გიგა და მიხა სიხარულით ცას ეწევიან.

თვითონაც არ იციან, რათა და რისთვის, ერთთავად იმასთან უნდათ ყოფნა. გასუსულები ნეტარებით უსმენენ ხოლმე და გრძნობენ, რომ კოტე სწორედ იმას ამბობს, რაც მათ სულში დუღს და ვერ კი მოუხერხებიათ თქმა. საოცარია, ყველაზე მეტად ეს ჩია ტანის ბიჭი ენათესავებოდა მათ სულს. რაღაც ჰქონდათ საერთო და ამან დააახლოვა ერთმანეთი. აღარ იცოდნენ, როგორ ეზრუნათ, როგორ გამოეხატათ და დაემტკიცებინათ ეს სიყვარული: გაამზადებდნენ პურ-მარილს და კოტეს შეეხმიანებოდნენ, აბა წავედით ცაცხვებთანო. შუაღამემდე ისხდნენ ხოლმე სამივენი სოფლის განაპირას ცაცხვების ჩრდილში და ერთმანეთს გულს უშლიდნენ. როხროხობდნენ და ნეტარების ზღვაში ცურავდნენ. მოხიბლულნი უსმენდნენ ხოლმე კოტეს, რომელიც გატანასა და გაუტანლობაზე, შურსა და სიკეთეზე, სიყვარულსა და სიძულვილზე ათას ამბავს ჰყვებოდა. მიხა და გიგა მიწას დაჰკრავდნენ ხელს, თვინიერი ლომებივით შეხედავდნენ მხატვარს თვალებში და ჩაიბუხუნებდნენ. გვითხარი, რით შეგვიძლია, გემსახუროთ, ხატვაში ვერ წაგეხმარებით და სხვა რა შეგვიძლიაო, ამის მეტი არაფერი გაგვაჩნიაო და დაკუნთულ მკლავებზე დაიხედავდნენ. თუ ვინმეს ჯავრი გჭირს, გვიბრძანეო, სხვა რაში გამოგადგებითო. კოტე ჩაიცინებდა, თეთრ, სუსტ ხელს ვეება ბეჭებზე მოუთათუნებდა ბიჭებს და ეტყოდა: არაო, მიწასთან მებრძოლი ხალხი ხართ და ეგ კუნთები იქ დაგჭირდებათო, თავად გავცემ პასუხს მტერსაც და მოყვარესაცაო...

— ვაი, როგორ მომენატრა კოტე, ერთი მალე ჩამოვიდოდეს! — ნატრობს მიხა და ჭიქას სწევს, — გაუმარჯოს, კარგად იყოს!

— ამას წინათ მითხრა, ერთი ხუთი წელიც და ჩემთავად ქალაქში გამჩერებლის დედაცაო.

— ეგრეც იზამს. ის იქ ვერ გაძლებს. ქალაქელები სულ მატყუარები და ორპირები არიანო. ჩამოვიდეს აქ და რამდენიც უნდა ხატოს. მაშ, ჯუმბერი აქაურ წყალს უნდა სვამდეს და ის კიდევ ქალაქში იყოს!

— აბა, კაცო, ხა-ხა-ხა! — ჭიხვინებს გიგა, — როგორ დადის, ბიჯო, ყეენივით. სალამიც კი ეზარება. რაც თავმჯდომარედ აირჩიეს, მას აქეთ სუ ვარსკვლავებს ითვლის, ვეღარ დათვალა, მე მაგისი.... ეგეც ხო ნასწავლია კოტესავით... მაშ, კოტეც კაცია და ეგეცა?!

— ადრეც ეგეთი იყო, ყვაილო, ვაი დადადადა! ჩვენიანი რო არ იყოს, ერთხელ დავთვრები და აი!.. — მიხამ კბილები გააღრჭიალა და მუშტი ნიკაპზე მიიბჯინა.

— დავლიოთ, კოტე ჯანჯალი არ არის.

და ვინ იცის, უკვე მერამდენე ჭიქას ბოლომდე წრუპავდენ.

მერე ერთხანს თავჩაქინდრულები მდუმარედ სხედან, ეტყობა, არაყი თანდათან სჯაბნით. ეჯიუტებიან, მაგრამ სიფხიზლე ნელ-ნელა მაინც ეცლებათ ხელიდან.

ბოლოს გიგამ ასწია თავი, აჭრელებული, ამღვრეული თვალები ოთახს მოავლო, მერე მიხას დააშტერა და ამოიხვნეშა:

— მოდი, ნუღარ დაკლევთ, მიხავ, თორემ თიანეთში ვეღარ წავალთ. მე უკვე მთვრალი ვარ, — ენა წაებორძიკა.

— მაიცა, გიგავ, დღეს იგრე უნდა დავთვრე, რომ შენც ვეღარ გცნობდე. დღეს იცი, რა დღეა, იცი? ბედნიერი დღე გამითენდა, გიგავ, ბიჭის მამა გავხდი. რა თავი ჩაგიქინდრავს, აბა მამხედე...

— ჰა, რაო? — გიგამ თავი ასწია და დაელმებული თვალებით შეხედა, — მოდი, მაშ, შენს ბიჭს გაუმარჯოს.

— ერთხელ ხო ვადღეგრძელეთ, კაცო.

— კიდევ ვადღეგრძელოთ.

— არა, მაიცა, — მიხამ ხელი ასწია. — იცი რა, ამით მე და შენ გაგვიმარჯოს, ჰა, რას იტყვი?.. დღეს რო თიანეთში არ წავიდე, ცოტას წავუძინებ და შუადღის ხანზე წავალ, ხო წამამყვები, ძმას მარტოკანას როგორ გაეშვებ, მგლები შემჭამენ. ხო ხარ ჩემი ძმა?

— მაშ, ვარ და, თუ გინდა, ეხლავე წავიდეთ!

— ეხლა მთვრალები ვართ... მთვრალები კი არა. ეს რა წამომცდა. ჩვენ როდისა ვთვრებით!

— შენ ეგა თქვი და!.. ხა, ხა, ხა!

— ხო, ხო, ხო!

მიხა ჭიქას გვერდზე აჩოჩებს, გიგას თვალებს ძლივს უსწორებს და ჩახრენწილი ხმით იწყებს:

წუთისოფელი რა არი,
აგორებული ქვა არიი,
რომელ სოფელშიც არ შეხვალ,
სუყველგან ორი გზა არიი.

და გიგას თვალებით ანიშნებს, რატო არ ამყვებიო, მაგრამ ვიგა იდაყვს დაყრდნობია, თვალები მოუჭუტავს და უსიამოვნოდ იჭმაჭნება. ამის შემხედვარე მიხამ სიმღერა შეწყვიტა და ხელი ჩაიქნია.

— არაფერი გამოდის, არა? რას იზამ? შენ მაინც იცოდე, ყვაილო, სიმღერა. ორივენი ეგრე უნიჭოები რამ გაგვაჩინა? ჰა? სწავლა ჩვენ არა გვაქვს, სიმღერა ჩვენ არ ვიცით!.. ჰაი ბედასა, ერთი სიმღერა შეგვეძლოს!..

— არ შეგვიძლია და ნუ ვიმღერებთ.

— მაშინ ვიღრიალოთ... ჰა, კიდევ დავლიოთ და ჰაერზე ვავიდეთ?

გიგა საბერველივით ქშინავს, სული ეხუთება და ერთი სული აქვს, გარეთ როდის გავა.

— ყველა წმინდა დავლიოთ, ისე როგორ შეიძლება, ღმერთი შეგვეწიოს, დროებით დამთავრებას და ჩვენ მგზავრობას ვაუმარჯოს, — მიხამ არაყი უცებ გადაჰკრა, შეყინულ მწვადის ნაჭერს მისწვდა და პირში იკრა.

გიგაც აიყლაყა. სქელი, ბაწრით ნაქსოვი სვიტრი შეისწორა, დოინჯი შემოიყარა. თითქოს ჭერიდან დაჰყურებდა ნამუსრევ სუფრას და მაღალი ტანით ირწეოდა. მერე უხალისოდ დასწვდა სავსე ჭიქას, ეგრე იყოსო, ჩვენი წუთისოფელიც ხომ ასე მწარეაო, ჩაიბუტბუტა და დალია.

დალია და ახლა თვითონ წამოიწყო:

წუთისოფელი ასეაა...

და მიხაც აჰყვა:

დღე ღამეს უთენებიაა,
რაც მტრობას დაუქცევიაა,
სიყვარულს უშენებიაა.

აჰყვა მიხა და სახლი დააზანზარეს. იმათთვის ახლა სულ ერთი იყო, ცუდად გამოდიოდა სიმღერა თუ კარგად. ემღერებოდათ და მღეროდნენ. ეს შეუწყობელი, მედგარი ხმები იქაურობას აყრუებს, გარეთ გადის და მთელს უბანს ედება.

— მიხავ, ამ დილაადრიან არ გადავრიეთ მეზობლები!

— აბა, კაცო! — მიხა სუფრას თვალს აცლებს და ერთი ბოთლის მოტანას კიდევ აპირებს, მაგრამ გიგა კარისაკენ მიაბიჯებს.

— თუ ღმერთი გწამს, გავიდეთ, როდის ცხენს ვიშოვნით, როდის წასვლას მოვახერხებთ.

მიხაც აღარ ეჯიუტება, დაბამბულ ქურთუკებს იცვამენ და ეზოსკენ მიბარბაცებენ.

აღარა თოვს. ღრუბლებიდან მზე იხედება. თოვლით გადათეთრებული დედამიწა თვალისმომჭრელად ელვარებს.

უცებ ჯაჭვმა გაიჩხრიალა და გრძელბალნიანი, მურა ძაღლი ავი ღრენით გამოქანდა. გიგას ტანში დაბურძგლა, უკან დაიწია, და იქაურობას თვალი მოავლო. პირველი, რაც მას თვალში ეცა, იქვე აივნის ქვეშ, კუნძზე ნიღრით დარჭობილი წალდი იყო. მერე შეამჩნია, რომ ძაღლი ეზოში გაბმულ მავთულზე იყო მიბმული, ცოტა დაწყნარდა და მიხას ამრეზით გადახედა. მიხა კი თვალებამღვრეული გიჟივით ხარხარებს და მთელი ტანით ქანაობს, თითქოს სადაცაა დაზვავდებაო.

„ძალიან მთვრალია, ბევრი არაყი დავლიეთ". — ფიქრობს გიგა და თვითონაც გრძნობს, თანდათან როგორ ენისლება გონება და მუხლიც ეკვეთება.

— შეგეშინდა გიგავ! — ბლუკუნებს მიხა და ისევ ხარხარებს. შენ როგორი მწყემსი ხარ, ძაღლისა გეშინია.

— მე ეგეთ წუნკლებთან საქმე არა მაქვს. მიდი, მააწყვიტე თავიდან, ფუი, რა სიფათით იყურება, ამას შინ როგორ აჩერებ.

— რაო, წუნკალი! ვაი, დადადა: ამის შიშით ეზოში ჩიტს ვერ გადაუფრენია.

— შინაური მაგან არ იცის და გარეული. ქალი მაგან არ იცის და ბალღი, ეგეთი წუნკლების ასავალ-დასავალი კარგად ვიცი, ძაღლის ამბავს ნუ მასწავლი. მიდი, გადააბი!

— ეგეთი უნდა ძაღლი, მაშა! პატარაა, მაგრამ ავია. ცუგრიი!.. შენ გენაცვალე გამურულ ცხვირ-პირში! — მიხა ბარბაცით უახლოვდება ძაღლს, უნდა მოეფეროს, მაგრამ ცუგრია უგანებს და გიგასკენ ღრენით იწევს. მიხა წიხლს მოუქნევს, ცუგრია შესწკმუვლებს, განზე გადგება და დაყუნტდება, — წამო, ნუ გეშინია, არ გიკბენს.

— ხელწერილი არ მოუცია და ისე როგორ დავიჯერო.

არა, დილას რომ მოვედით, სად ეტიალა, ეძინა? მიდი, მააწყვიტე თავიდან, თუ კაცი ხარ, თორემ თუ მიკბინა, მაგას ხომ მოვკლავ და შენც ზედ მიგაყოლებ.

მიხა ისევ ხარხარებს, ვერ ამჩნევს, რომ გიგას მართლა ეშინია და სწორედ ამ შიშის გამო სიბრაზე ცეცხლივით წაჰკიდებია.

— წამო, ნუ გეშინია, კრინტსაც ვერ დასძრავს. — მიხამ სიცილი შეწყვიტა, გიგას ხელი გამოსდო და ძაღლს მუქარით ფეხი დაუბრახუნა. მაგრამ როგორც კი ორიოდე ნაბიჯი გადადგეს, ცუგრიამ დაიღრინა და გამოძგრიალდა.

გიგა უკან გადახტა, ბოძს ამოეფარა.

მიხა ხარხარით უახლოვდება გიგას და მოკლედ უჭრის:

— მშიშარა ხარ!

— ვინა, მეე?

მიხას უნდოდა ეთქვა, შენაო, მაგრამ ამ დროს დაასლოკინა და თანხმობის ნიშნად თავიღა დაუქნია. მერე, სლოკინი რომ გაუჩერდა, ენის ბორძიკით გააგრძელა:

— ათი თოფიანი კაცი ვერ შეგაშინებს, მაგრამ ძაღლის ძალიან გშინებია. შენ რა მწყემსი ხარ.

— ახლა, იცი რას გეტყვი, ლაპარაკს თავი დაანებე და ეგ ძაღლი აქედან მააწყვიტე.

— ხე, ხე, ხე! მშიშარა ხარ.

გიგას უარესად წაეკიდა ბრაზი. თვალები მოჭუტა და ჯიქურ დააცქერდა.

— მაგას გულით ამბობ?

— მაშ.

— შენ დღეს გადარეული ხარ, პირდაპირ ვეღარა გცნობ.

— მშიშარა ხარ-მეთქი.

— მაშ, რა სანაძლეო, ეგ ძაღლი მიგისაკლაო.

— ხე, ხე, ხე!

— მიხავ, იცოდე, თუ მიკბინა მოვკლავ და მაგის ცოდო შენ კისერზე იყოს.

გიგას გულში სიბრაზემ იფეთქა და ერთ წამში დაითრგუნა ის შიში, რომელიც ბოლო წუთამდე ამცირებდა და ბორკავდა.

მიხამ ღიმილით წაატანა ხელი:

— მოიცა, ხო, გეხუმრებოდი.

გიგამ ხელის კვრით მოიცილა, კუნჭზე დარჭობილი წალდი

ამოაძრო და ჭიშკრისკენ გასწია. მიდიოდა, ჩექმებით თოვლს მიახრაშუნებდა.

მურა ძაღლმა, აქაოდა, ჩემს პატრონს ხელი ჰკრა და თანაც ასე თამამად მიდისო, ბრაზით ჩაიყეფა და გამოქანდა. გიგა გვერდზე შებრუნდა და ცალი ხელით წალდი მოუქნია. ძაღლმა წაიფორხილა, თავი გვერდზე მიღრიცა და საბრალო, გულსაწყვეტი წკმუტუნით ღობისკენ წაღერღეტდა. თითქოს ადამიანებზე სამუდამოდ შემომწყრალი, ტკივილისგან გამწარებული ძაღლი კვნესითა და წკმუტუნით სამუდამოდ ეთხოვებოდა მათ. ამის შემხედვარე გიგა გაოგნებული დგას და სიბრალულით გული ეწურება. მერე უცებ გამოგონდა, წალდი თოვლზე მიაგდო, ბრაზისგან ნადირივით აეშალა ბალანი და მიხასკენ შებრუნდა. მიხას მგლისფერი ადევს, მისკენ მობარბაცებს და რაღაცას ჰყვირის. და გიგას მეტიც აღარ უნდა, გაგიჟდება, გადაირევა და კალაპოტს გადახეთქავს.

— ეგ გინდოდა, არა? ფუი შენი, რა გამაკეთებინე!— კბილებში გამოსცრის და სილის ტყლაშუნი თოვლზე მქისედ გაისმის. და ოი, დაიქცეს ის დღე და საათი, — პირდაპირ სამარცხვინო ამბავი დატრიალდა.

გიგა და მიხა ერთმანეთს ებდღვნენ.

უამინდობისაგან მიყრუებული სოფელი აყალმაყალმა ფეხზე დააყენა. შინ შეთბუნებულები გარეთ გამოცვივდნენ.

გიგა და მიხა ერთიმეორეს ბდღვნიან და ჯმუჯნიან. ეს არც ხუმრობას ჰგავს და არც თვალთმაქცობას. პირველად ქიტაანთ ბიჭები მოვარდნენ: რა დალიეთ ამისთანა, რაჰ გადაგრიათო. ძაღლის გულისთვის ძმობას როგორ ღალატობთო. მერე ქვემო უბნიდანაც ამოქაქანდნენ და ისინიც შუაში ჩადგნენ. მიხაც მთლად გადარეულა, სიმწრით მაჯებს იკბენს, მაგან სილა გამაწნა და როგორ ვაპატიოო, მე მაგის ასე და ისეო. აბა, მე მაგან შემაგინაო და გიგა გადაირია, გაიწია და ლამის ხუთი კაცი თან გაითრია. მიხა შინ შეიყვანეს, ვაი-ვაგლახით დააშოშმინეს და დააძინეს. გიგაც მიაცილეს სახლამდე, ისიც დააწყნარეს, დაარიგეს და ნელ-ნელა დაიშალნენ.

გიგა ფერმიდან ბრუნდებოდა.

მეწველი საქონლის ფერმა სოფლიდან ოთხიოდე კილომეტრზე იყო და იქ ორ დღეში ერთხელ დაიარებოდა.

რაც ის ამბავი მოხდა, გიგას ფერმიდან ფეხი აღარ მოუცვლია. უბანში გამოჩენა ესიკვდილებოდა და ხუთი ღამე ზედიზედ დარჩა ფერმაში. ორჯერ გააბრუნა თავისი ნაცვალი უკან. წადი, დაისვენე, შენ მაგივრადაც მე ვიქნებიო. დაწვებოდა ღამით გიგა ნაბადზე და ცდილობდა ზუსტად გაეხსენებინა, რაც იმ დღეს მოხდა. ო, რა მწარედ და საბრალოდ წკმუტუნებდა, პირდაპირ კვნესოდა, ალბათ კბილები ჩაემტვრა. მოსაგერიებლად მოუქნია წალდი და ეტყობა, მაგრად მოხვდა. იმ სურათმა შეკზარა გიგა და გული ჩასწყვიტა. ვეღარ მოითმინა და სილაც იმიტომ გაარტყა მიხას. იმ სილის შემდეგ თითქმის აღარაფერი ახსოვს, მერე და მერე, ცოტა რამ აღიდგინა მეხსიერებაში, გაიხსენა, მიხა როგორ იყო გაცოფებული და სიმწრით მაჯებს როგორ იკამდა.

სულ ერთია, სილას არ ვაპატიებო, გაჰკიოდა მიხა. არა, სილა არ უნდა გაერტყა, ეს კი ზედმეტი მოუვიდა...

აი, ახლაც, ფერმიდან არ დაბრუნდებოდა, მაგრამ ამინდებს დაეშურა. სახლი გადასახურავი ჰქონდა. ხვალ მანქანას იშოვნის, სახერხიდან კავს ჩამოიტანს, მერე ორ-სამ ბიჭს იშველიებს და სახლს ხელად წაჰხურავენ.

საღამო ქამია, უსუსური, ფერმიხდილი მზე სოფლის იქით, გორებში ეშვება. თებერვლის ცივი ქარი ძვალ-რბილში ატანს. უხმაუროდ არხევს შარშანდელ დამჭკნარ ბალახს და ფერმიდან საქონლისა და ნაკელის სუნი მოაქვს.

ირგვლივ უკვე აღარ ისმის უამინდობით მთიდან ჩამოხვეწილი წიწკანების წივწივი. ცაში აღარც ნადავლზე გამოსული ძერა დაფრინავს, აღარც ქორი. მხოლოდ ერთხელ გადაიარა გზაზე რუხმა ჩრდილმა. გიგამ თავი ასწია და დაინახა: ალმაცერად მიფრინავდა ყაპყაპი ფერმისაკენ.

გიგა უცნაურ სევდას შეუპყრია. ისე ეჩვენება, თითქოს ამ ყეება დედამიწაზე ეულად იყოს დარჩენილი. თვითონ მზეც კი გულსაკლავი სევდით ეთხოვება ქვეყნიერებას.

უცებ გიგას მანქანის ხმა მოესმა. მოიხედა და რა დაინახა: სწორედ ფერმის მხრიდან ოღროჩოღრო გზაზე მიხას მანქანა მორახრახებს. ქარის წივილში ყრუდ აღწევს მისი ხმა. გიგას მთელ ტანში ჭიანჭველები აცოცდებიან და გული ლოდივით უბაგუნებს. ზანტად შემობრუნდა, გზა განაგრძო და მანქანის

ხმას ყური მიუგდო. ესმის, თანდათან როგორ უახლოვდება მანქანა:

„რა მემართება, ვითომ მეშინია? — ფიქრობს გიგა და ცდილობს, გული დაიწყნაროს. — ნეტავ აქეთ რა უნდოდა მიხას, რა საქმე ჰქონდა, ვითომ ფერმაში იყო? ალბათ მე დამეძებს“.

ალაზნის ველს უკვე მუქი ჩრდილი გადასწოლია, შეღამების წინ რომ იცის ხოლმე, ისეთი. შორს, წითლად მოციმციმე ჰორიზონტზე თეთრად ლივლივებს ნისლი თუ ქარისაგან ატაცებული მტვერი. ქარი მძლავრობს, ახლა გვერდიდან უბერავს გიგას და მარცხენა ყურს უწიწკნის.

მანქანის ხმა კი თანდათან უახლოვდება. გიგას ახსენდება რამდენიმე წლის წინ მომხდარი ამბავი. თითიკაანთ ბიჭმა სწორედ ერთი სილის გამო დაატაკა მანქანა ქვრივ მელანას ბიჭს. მიხაც იმათი ჯიშისაა, იმათი გული უდევს მკერდში, იმნაირი ძაფით არის ნაკერი, სილის გარტყმას ვის აპატიებს...

„არ მიიხედო უკან, — გააფრთხილა გიგამ თავისი თავი,— იფიქრებს ეშინიაო. აი, ასე, ცოტა გვერდზე გადადექი და ისე იარე, მანქანას იმდენი გზა მიეცი, რომ ხალვათად გაიაროს“.

მანქანის ხმა უკვე გიგას ზურგს უკან ისმის და ისეთი შეგრძნება ეუფლება, თითქოს სადაც არის ზედ გადაუვლის და გადათქერავს, მაგრამ უკან მაინც არ იხედება, მოჩვენებითი სიმშვიდით განაგრძობს გზას. აგერ მანქანა დაუპირდაპირდა, ოდნავ გასცდა და დაამუხრუჭა.

მიხამ კაბინიდან გადმოყო თავი და გიგა ფეხებამდე ჩაათვალიერა.

— საღამო მშვიდობისა, ვაუბატონო!

გიგა შეჩერდა, დოინჯი შემოიყარა. უხმოდ მისჩერებიან და თვალებით სჭამენ ერთმანეთს. გიგა გრძნობს, შიში როგორ უქრება.

— მოდი, დაჯექი.

— რა გინდა?

— დაჯექი და გეტყვი! — თვალით ანიშნებს მიხა კაბინაზე.

გიგამ ქურთუკის ჯიბიდან ხელები ამოიღო, მანქანას წინიდან დაუარა, კაბინის კარი გამოაღო და შიგ შეალაჯა.

მიხამ მანქანა დაძრა, გზას მისჩერებოდა და დუმდა. ხეტი, წაბლისფერი თმა შუბლზე ჩამოშლოდა.

გიგა წელში მოღუნული ზის, რომ კაბინის ჭერს თავი არ აახალოს. მანქანა შარაზე გარახრახდა. მიხამ საჭე მარჯვნივ მოღრიჯა და ალაზნისკენ მიმავალ გზას დაადგა.

„სად მიდის, აქეთ რა ჯანდაბა უნდა ნეტავ?“ — ფიქრობს გიგა, მაგრამ კრინტს არ ძრავს, ჯიუტად განაგრძობს დუმილს. ხანდახან ჩაახველებს და ალმაცერად გადახედავს მიხას.

მიხამ მანქანას სიჩქარე შეუცვალა, სქელი, ბუღასავით კისერი მოაბრუნა და გიგას ეუბნება:

— რატო არ მეკითხები, სად მიმყეხარ?

— რა ვიცი, სადაც შენ გაგიხარდება, იქ წავიდეთ. —კუშტად პასუხობს გიგა.

მიხამ საჭე ორივე ხელით ჩაბღუჯა და ჩაიცინა.

აგერ სოფელიც გამოჩნდა. ამ პატარა სოფლის იქით ალაზნის უდაბური ჭალა იწყება, სწორედ ეს ჭალაა ათასი უბედურების ასპარეზი. ბევრი ცოდო დატრიალებულა იქ და ბევრი დანაშაულის კვალი ამ უღრან ჭალას სამუდამოდ შთაუნთქავს. ვითომ მიხა იქით მიდის? თუმცა გიგასთვის სულ ერთია, სადაც უნდა, იქ წაჰყვება. ან აქამდე რატომ არ გაეჩერა მანქანა, სოფლის თავშიც ხო იყო მყუდრო ადგილი? გაეჩერებინა და, თუ ბიჭი იყო, გაესწორებინა ანგარიში. მუშტში გიგას ვერ დაჯაბნის კი არა, ვერ გაუძლებს. ეს განა მიხამ არ იცის. იცის და, ალბათ, სხვა ბოროტი რამ ჩაიდო გულში. მაინც რისი იმედი აქვს? ჭალაში ხომ არავინა ჰყავს ჩასაფრებული? ვაი დედასა, გიგავ! თურმე გველი გჯდომია გულში და ვერ გაგიგია. მერედა რისთვის, ერთი სილისა და ერთი წუნკალი ძაღლის გულისთვის.

გიგამ გულზე მწვავე ტკივილი იგრძნო, მაგრამ ეს მხოლოდ წუთით გაგრძელდა. ტკივილი უცებ ზიზღმა და მრისხანებამ შეცვალა. მიხას მიაჩერდა და თვალებით დაუწყო ჭამა.

ჰე, რა ტიალია ცხოვრება... ჯერ კიდევ ხუთიოდე დღის წინათ, ეს კაცი ახლობელი და საყვარელი იყო გიგასთვის. აი, ამ თაფლისფერ თვალებში რამდენი სიხარული ჩაუდგებოდა ხოლმე გიგას დანახვაზე, ამ მოკლედ შეკრეჭილ შავ ულვაშებში რა კეთილად ჩაიღიმებდა ხოლმე. ახლა კი როგორ გაუცხოვდა, ეგრე უცებ საძულველ მტრად როგორ გადაიქცა... მა-

ინც რა უნდოდა მიხას აქეთკენ, რა საქმე ჰქონდა? ალბათ, ამ ხუთ დღეს რომ ვერსად დაიხელთა, ფერმაში მიადგა გიგას. ეს რომ ეგრე იყო, ეჭვი აღარ ეპარებოდა, მაგრამ ახლა რას უპირებდა მიხა, რა იმედით მიჰყავდა ჭალაში, ან რა განზრახვით, ვერ გაუგო. არა, იმ სილას არ აპატიებს... ნეტავ თვითონ რომ იყოს მიხას ადგილზე, აპატიებდა თუ არ აპატიებდა, ჰა? აპატიებდა თუ არ აპატიებდა?

მიხა გრძნობდა გიგას დაჟინებულ მზერას, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა, მთელი გულისყური გზისკენ მიექცია, ცდილობდა, ორმოებისთვის აერიდებინა მანქანა.

აი, ჩაათავეს სოფელი და სადაცაა ჭალის გზას დაადგებიან, მაგრამ მიხამ მუხრუჭს ფეხი დააჭირა და ვიწრო შუკაში ნელა შეაგორა მანქანა.

გიგას ახლა გაახსენდა, რომ ამ სოფელში მიხას და იყო გამოთხოვილი. იქნებ იქ მიდის მიხა, მაგრამ თვითონ რა შუაშია, რისთვის წამოიყვანა.

მანქანა გაჩერდა. მიხამ ორსართულიან სახლისაკენ გაიხედა. არც ეზოში, არც აივანზე არავინ ჩანდა. მანქანამ ზედიზედ დააპიპინა. განათებულ ფანჯარასთან ვიღაცის ლანდი მოდგა და ფარდა გადასწია.

მიხა კაბინიდან გადავიდა, გიგას მიუბრუნდა და უთხრა:

— აბა, ჩამობრძანდი, ყვაილო!

— აქ რა მინდა, რისთვის ჩამოვიდე?! — გაოცდა გიგა.

— ჩამოდი და გაიგებ.

გიგა გაოცებული მისჩერებია და ვერაფერს მიმხვდარა, მაგრამ ჯანდაბას ყველაფერი, კაბინიდან გადმოალაჯა და ფართო ნაბიჯებით ზანტად მიჰყვა მიხას.

აივანზე ავიდნენ და მიხა ოთახიდან გამოსულ თავის დედას შეეფეთა, გუნება წაუხდა და აიმრიზა.

— გამარჯობა! — პირქუშად მიესალმა დედას, მაგრამ დედამ წარბი შეჰკრა და ისეთი თვალებით მიაჩერდა, მიხა მთლად წახდა და დაჩიავდა. ყველაფერ ამას გიგაც ხედავს და კიბის თავში ატუზულს ენა ჩავარდნია.

— აბა, ძალიანა გვშია და პური გვაჭამე. ღვინო გააქვთ?! — იხტიბარი არ გაიტეხა მიხამ.

— ღვინოს კი არა, ცეცხლსა და ნავთს დაგალევინებთ. თქვე უსინდისოებო, რა პირით ჩნდებით ქვეყანაზე? თქვენ ღვინო

დაგელევინებათ! დაიკარგენით აქედან, ჯანდაბამდე გზაც გქონიათ, სადაც გინდათ, იქ ჩაიხეთქეთ მუცლები! — ქოქოლა მიაყარა, თავშალი შეისწორა. შინ შებრუნდა და კარები მოურაჯგუნა.

მიხა აიწურა, მუშტივით დაპატარავდა და გიგას გადახედა. გიგა უკვე კიბეზე ჩადიოდა, მაგრამ ზურგიდან მაინც ეტყობოდა, რომ სიცილს ძლივს იკავებდა.

მიხაც დაედევნა.

კაბინაში უხმოდ ჩასხდნენ, მანქანა სწრაფად დაქოქეს, შარაზე უკუსვლით გაიყვანეს და იმ მხარეს დასძრეს, საიდანაც მოვიდნენ.

მიხა საჭესთან გასწორდა, სინათლის ფარები ჩართო და გიგას მიუბრუნდა:

— აი, რომ დათვრები და აღარ იცი, რას აკეთებ ხოლმე, ხო დაინახე, რა გვიქნა დედაჩემმა, ძაღლებივით გამოგვრეკა. რა ვიცოდი, აქ თუ იყო, თორემ...

გიგამ ჩაიცინა და კუშტად მიუგო:

— მერე, მე ვტყუივარ?

— კარგი, ყვაილო, მაგრე ნუ მელაპარაკები. იგრეც ლამის ბოლმამ დამახრჩოს... მთელი გზა მგელივით მიბღვერ, თითქოს შენი მტერი ვიყო, კაცები არა ვართ, ეგეთი რა მოხდა! ორჯერ გეახელი და ვერა გნახე. წუხელაც ვიყავი, სახერხიდან კავი ჩამოგიტანე და ეზოში დაგიყარე. რო ველარა გნახე, ფერმაში ამოგაკითხე. დავიჯერო, ეგეთი გული გაქ, რო ერთხელ მაინც არ მიკითხე. ვაი დადადადა... მე კი უშენოდ გაძლება ძალიან გამიჭირდა, შე ულმერთოვ, შენა!

თითქოს გულზე მოჭერილი მარწუხი მოუშვესო, მშფოთვარე, ეჭვით გაჟღენთილი სული განეწმინდა გიგას და ეს ჩაბნელებული, ზამთრის პირქუში ცა, ნათელ რწმენით სავსე სამყაროდ ექცა. მეგობარს დააცქერდა. ნახევრად ბნელ კაბინაში კარგად ვერ ამჩნევდა მის სახეს, მაგრამ გრძნობდა, რომ ყელში მომდგარ ბურთს ყლაპავდა. თავადაც ბალღივით აუჩუყდა გული და გიგას თვალებზე რაღაც ცხლად შემოენთო, ცრემლი თუ იყო.

გიგამ ძალა მოიკრიბა და:

— ვარდისუბნის რესტორანში ადი, ნუ გეშინია, ფული მე

მაქვს, ისეთი დრო უნდა გავატაროთ, ხელმწიფეს შეშურდეს.

ქარი თანდათან ყუჩდებოდა და ცაც იწმინდებოდა. როგორც ჩანდა, მზიანი დილა გათენდებოდა.

ნეტარ არიან მოწყალენი

დღის ორი საათი იყო, როცა კარზე დააკაკუნეს, ერმილე იმ დღეს არავის ელოდა და ყურმა მომატყუაო, გაიფიქრა. ისევ მუყაითად განაგრძო წერა. ის-ის იყო, ახალ კინოსცენარს ამთავრებდა. მაგიდაზე ქაღალდები და წიგნები ჰქონდა მიმოფანტული, წინ შავი ნამწვებით სავსე საფერფლე ედგა, ზედიზედ ახრჩოლებდა და არეულ-დარეული, ისედაც მოწრუტული ოთახი თამბაქოს კვამლით იყო ავსებული.

კარზე უფრო გაბედულად დააკაკუნეს.

„ვინ ოხერია ნეტავი, ყველამ მე უნდა შემიშალოს ხელი", — ჩაიბუზღუნა ერმილემ. ზანტად წამოდგა და სახედაღრეჯილმა კარისკენ გასწია, თან თავისი მარადიული ჩვეულებისთვის, არ უღალატია, რამდენჯერმე ნაძალადევად ჩაახველა, ვიდრე რაზას გამოსწევდა.

ერმილე უკვე ორმოცდახუთ წელს მიტანებული კაცი იყო. ჰატარა ოთხკუთხა ოთახი, ძველისძველი დაჩრჩილული გარდერობი, უბრალო კარადა და მაგიდა — აი, მთელი ის ავლადიდება, რომელიც მის ოთახს ამკობდა და რომელიც თავისი ამქვეყნად არსებობის მანძილზე გამოსტაცა მან ცხოვრებას. ეს იყო და ეს, ცოლი იმას არ გააჩნდა და შვილი. ოთახში ცხვირის შეყოფისთანავე თვალში გეცემოდათ უწესრიგობა, ყოველ ნივთს სიღარიბის ელფერი გადაჰკრავდა, ყველაფერს ქალის გამრჯე ხელი აკლდა.

— შეირთე ცოლი! — ურჩევდნენ ნაცნობები და მოკეთენი ერმილეს და ის კიდევ მზამზარეულ, წლობით გატკეპნილ პასუხს იძლეოდა.

— რა მეცოლება!

— მაშ როდემდე გინდა იყო უპატრონოდ?

— ცოლისთვის სად მცალია, ჯერ საქმე მაქვს გასაკეთებელი.

— მერე, ცოლი რას გიშლის?!

— როგორ არ მიშლის. თქვენ რა იცით!

პირდაპირ ესიკვდილებოდა ერმილეს პირად საქმეში სხვისი ჩარევა. აბა, იმათ რა იცოდნენ, რაში იყო საქმე, რა მიზნები ჰქონდა. ერმილეს ცოლიც უნდოდა შვილიც, მაგრამ... მაგრამ ბარე ორი ათეული წელია ელის იმ ნანატრ დღეს, როცა მისი სახელი პირზე ეკერება ყველას, როცა ქედს მოუხრიან ისინი, ვინც გაჭირვების ჟამს ზურგი აქციეს. ვინც ამჟამად ცხოვრებით ყიმყიმებენ და ალმაცერად უყურებენ ხელმოკლედ მაცხოვრებელ ერმილეს.

ორი ათეული წელია შენდება და იმსხვრევა, იმსხვრევა და შენდება ოცნებები თუ იმედები.

ზუსტად ოცი წლის წინათ ჩაუჯდა გულში შემოქმედების ჭია და ღრღნა და ღრღნა, სამუდამოდ დაუკარგა მოსვენება. მშობლიურ სოფელში დაწყებითი სკოლის მასწავლებლობა მიატოვა. ასე უჩინრად ხომ არ მოვკვდებიო, ნიჭს გასაქანი უნდაო და აქ საამისო ასპარეზი არ არისო, გაიფიქრა და დედაქალაქს მიაშურა. მიაშურა და მყისვე იმ დოღში ჩაება, რომელშიაც ბევრია დიდების მაძიებელი და მინდორიც დიდი უდევთ წინ.

ერთი ხანია ნათესავს მიეკედლა, ცოტა ხანს შემიფარეთ და მერე მე ვიცი. ნათესავმა ორივე კარი გაუღო, აბა, შენ იცი, თუ გვასახელებო, მაგრამ სულ მოკლე ხანში იმ ნათესავს რწმენა შეერყა. მიხვდა, რომ საქმე არცთუ ისე გაიოლებული იყო. ერმილეს ისეთ მორევში შეეტოპნა, საიდანაც რჩეულთ და ძლიერთაც კი უჭირთ ამოტივტივება. ატყობდა, ერმილეს საამისო ფხა და კლანჭი არ გააჩნდა, ჭეშმარიტად ენანებოდა თავის თავში ბრმად დარწმუნებული, ბუნებით კეთილი ბიჭი და რამდენჯერმე ფრთხილად შეაპარა: დაიწყე სამსახური და ოჯახს მოეკიდეო. მაგრამ ერმილე ცივად პასუხობდა, ჯერ სამაგისოდ არ მცალიაო.

ბოლოს მან ველარ აიტანა პირად საქმეში სხვისი ჩარევა, ნათესავს განერიდა და ქალაქის განაპირას ერთი იაფფასიანი ბინა იქირავა. სამი თვე, ნახევარჯერ მშიერი გატაცებით წერდა პიესას და წინდაწინ განიცდიდა იმ ნეტარებას, მის ნაშრომს რომ უნდა მოეტანა. წერით მოქანცული დაწვებოდა და ძილი უფრთხოდა, სულ ტკბილ ოცნებაში იყო, თვალწინ ედ-

გ. ორმოსავით ჩაღრმავებული ბნელი პარტერი, სულგანაბული მაყურებლები... სპექტაკლის დამთავრების შემდეგ იგი პროჟექტორებით გაჩახჩახებულ ავანსცენაზე გამოჰყავდათ, ტაშის გრიალი იქაურობას აყრუებდა... ამის წარმოდგენაზე ცრემლი ერეოდა და ის ნათესავ-მოკეთენი ახსენდებოდა, ვინც ურწმუნოდ იყვნენ მისდამი განწყობილნი. აი, მაშინ კი მიხვდებოდნენ თავიანთ დანაშაულს ისინი, თავადვე მიეტმასნებოდნენ უკვე სახელმოხვეჭილ დრამატურგსა და მწერალს. გარდა სახელისა, პიესა ფულსაც მოუტანდა და მერე კი ერმილე ოჯახისა და მემკვიდრეობის საკითხსაც მოაგვარებდა. მანამდე დაოჯახებაზე ფიქრი ზედმეტიაო, მომავლისთვის ბრძოლაში ხელს შემიშლისო, ფიქრობდა.

სახლის პატრონი გაოცებული იყო მდგმურით, სულ რომ წერდა და წერდა, და თანდათან პატივისცემით იმსჭვალებოდა მისდამი. ჩემი მდგმური დღეს თუ ხვალ სახელოვანი კაცი დადგებაო, ფიქრობდა და, ცოტა არ იყოს, ეჭვი ღრღნიდა. აკი ეტყოდა ხოლმე: მერე საწყალი გოლა აღარ გაგახსენდებაო. ამ სიტყვებით გულაჩუყებული ერმილე ეფიცებოდა, შენ არასოდეს დამავიწყდებიო. მართლაცდა, აბა რა დაავიწყებდა გოლას, ის იყო ჯერჯერობით ერთადერთი კაცი, რომელსაც მისი მომავალი სწამდა. გოლას უხსნიდა გულს, თავის უახლოეს მიზნებს მას ანდობდა, დღეს თუ ხვალ მე ჩემს მიზანს აღვასრულებ და ვინც როგორ მემართლება, იმის მიხედვით ვუზღავ სიკეთესო. გოლაც თავს უქნევდა, ენაზე შაქარს იყრიდა. ბოლო დროს ბინის ქირაც შეუმცირა და ჭიქა ჭიქაზე მიურტყა.

— შენ მალე ბევრი ფული გექნება, კეთილი გოლა დაგავიწყდება.

და კიდევ უფრო რწმუნდებოდა გოლა, რომ მას თავისი მდგმური არ დაივიწყებდა.

სწორედ ამ ხანებში დაამთავრა ერმილემ პიესა და ერთ-ერთ თეატრს ჩააბარა. მოუთმენლად ელოდა პასუხს, თითქმის ყოველდღე აკითხავდა და ერთი თვის თავზე მობოდიშებული უარით გამოისტუმრეს. მართალია ნიჭი გაქვთ, მაგრამ თეატრს ნაკლებ იცნობთ, მართლწერის საკითხებში კი სულ ვერ ერკვევითო.

სამი დღე ქუჩებში დახეტიალობდა და შუაღამისას ბრუნდებოდა შინ. მაგრამ ისევ მოიკრიფა ძალა, ხელახლა აღივსო

ხვალინდელი დღის იმედით, თეატრებში უმეცარი ხალხიაო, ფიქრობდა და ამჯერად რომანის წერა დაიწყო. გოლამ კი ითმინა, ითმინა და ბოლოს იმასაც შეერყა რწმენა.

— დაიწყე, ერმილე, მუშაობა, ქალი მოიყვანე, ცოდო ხარ: სიცოცხლე მოკლეა, კაცო!

ასე დაიწყო ერმილეს ბობოქარი ცხოვრება. ვერც გაჭირვებამ და ვერც წარუმატებლობამ ვერ შეურყია რწმენა. რატომღაც მტკიცედ სწამდა, დიდი საქმისთვის ვარ მოწოდებული და საამისო ძალაც გამაჩნიაო. თვალწინ ედგა დიდებული მომავალი, იმის იქით აღარაფერსა და ვეღარაფერს ხედავდა, ბრმა რწმენით, ჯიუტად მიიწევდა იმ მომავლისაკენ. დროებით დააგდო ყოველგვარი მიწიერი, დათრგუნა, დააოკა ადამიანური ვნებები. ჩაახშო ყოველი, ადამიანთა მოდგმისთვის საარსებო საუკუნოვანი ინსტინქტებიც კი, რათა დროზე მიეღწია მიზნისთვის და მერე ერთბაშად მისცემოდა ამქვეყნიურ ტკბობას, ერთბაშად აენაზღაურებინა თავისი წილი ამ ცხოვრებიდან.

ბინიდან ბინაში გადადიოდა, სამსახურს სამსახურზე იცვლიდა. ხან საბავშვო პიესებს წერდა, ხან მოთხრობებს, უცრუვდებოდა იმედი და ხელახლა აივსებოდა იმედით, ბოლოს და ბოლოს ბედი გამიღიმებსო, ფიქრობდა. ასე გადიოდა დრო, დღე დღეს მისდევდა, წელიწადი — წელიწადს. ერთიხანობა ბიბლიოთეკაში მუშაობდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ხელფასი ურიგო არ ჰქონდა, მაინც ზურგი აქცია. შემოქმედებითი მუშაობისთვის დრო აღარ მრჩებაო. ღამის დარაჯად ირჩია მუშაობა, სამი დღიდან ორი დღე ჩემს ხელთაა და უფრო ნაყოფიერად ვიმუშავებო.

სიბეჯითით წვეთი ქვას ხვრეტს!

ორი ათეული წლის მანძილზე, სისხლის ფასად იმას მიაღწია, რომ რამდენიმე საბავშვო პიესა და მოთხრობა გამოექვეყნებინა. მაგრამ ამას არც სახელი მოუხვეჭია მისთვის, არც ფული. პირიქით, ზოგიერთის თვალში ფასიც დაეწია, რადგან უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნათ მასზე. ფარხმალს მაინც არ ყრიდა. როგორც მღელვარ ოკეანეში განწირული მიფართხალობს შორეულ ხმელეთზე მოციმციმე შუქისკენ, ისე მიიწევდა ერმილე დიდი მწერლობისკენ. ნამდვილი მიზანი ჯერ შორს არისო, ფიქრობდა და თავგადაკლული

მუშაობდა. როგორც იყო, საკუთარი ოთახიც მიიღო და სამსახურს სულ გაანება თავი, საამისო დრო სადღა მაქვსო.

ამ ორი ათეული წლის მანძილზე, ვინ იცის, რამდენჯერ ჰქონდა დაოჯახების საშუალება. ზოგი მდიდარი ეძლეოდა, ზოგიც ღარიბი, ზოგი ბინიანი, ზოგიც უბინაო. რამდენჯერმე სიყვარულმა ზედ გულზე დაუკაკუნა, მაგრამ მაშინვე გაახსენდებოდა თავისი დიდი მიზანი და ყოველგვარ ცდუნებას სძლევდა.

„ვაი თუ!..“ — გაუელვებდა თავში და დანარჩენს თვითონ წარმოიდგენდა. ვაი თუ დაოჯახებამ ხელი შემიშალოს და მიზანს ვეღარ მივაღწიოო.

ისევ იმ ტკბილი ოცნებით ცხოვრობდა, ხვალინდელი დღის იმედით, ორი ათეული წლის მანძილზე ერთხელ არ შეპარვია ეჭვი თავის თავში, ერთხელ არ გაუვლია გულში ფიქრად, მიწიერი ცხოვრებისკენ შემოვბრუნდე და ისე ვიცხოვრო, როგორც ათასები და ათიათასები ცხოვრობენო. ხედავდა, მის თვალწინ, მის გვერდით მისი შემდგომი ოინბებიდან ზოგი საიმედოდ იკიდებდა ფეხს მწერლობაში და ქმნიდნენ ოჯახებს, ზოგიც დროულად იღებდა ხელს და ცხოვრების სხვა სახსარს ეძებდა. ამ უკანასკნელთ დასცინოდა, სახელის მოპოვება იოლად უნდოდათო.

ხვალინდელი დღის მოლოდინში ორმა ათეულმა წელმა გაირბინა და აჰა, ორმოცდახუთ წელს მიატანა უკვე ერმილემ. მისი ზუსტი წლოვანება ნაცნობთაგან თითქმის არავინ იცოდა, ოცდათხუთმეტ წელზე მეტს არავინ იმეტებდა მისთვის და ხანდახან თვითონაც არ ეჯერა თუ ორმოცდახუთი წლის უკან მოევლინა ამ ქვეყანას და დრო ჰქონდა საშური.

ბოლო დროს შიში შეუჩნდა, ჯანმრთელობამ უცაბედად არ მიმუხთლოს ამ შუა გზაზეო. განსაკუთრებით უცაბედი სიკვდილისა ეშინოდა, რომელიც მეტად მოხშირებული იყო. ხანდახან შუაღამისას გაღვიძებულს ეჭვი შეიპყრობდა. იქნებ უკვე მკვდარი ვარ და ის, რასაც ახლა მე შევიგრძნობ, სხეულიდან განტვირთული სულის არსებობაა და არა ნამდვილი სიცოცხლის გაგრძელებაო. მერე როდის-როდის გაიგონებდა ქალაქის ქუჩებში მორიგე ტრამვაის ხმაურს და შემზარავი ეჭვი უქრებოდა.

თავისთავს ზედ დაფოფინებდა. სამეცნიერო წიგნებში მი-

თითებული წესებით ცხოვრობდა და სასარგებლო მცენარეულობით იკვებებოდა.

და აი, ორმოცდამეხუთე წელს მაინც დასძლია ცდუნებამ. ორი ათეული წლის მანძილზე დაოკებულმა ვნებამ ერთბაშად გადმოხეთქა, გათოშილი სისხლი გალხვა, ახმაურდა და აყივლდა. ყველაფერი კი იმ სანატორიუმის ბრალი იყო, სადაც ჯანმრთელობის აღსადგენად ისვენებდა ერმილე გასულ წელს, რამდენს ცდილობდა, არ აჰყოლოდა გრძნობას, აბა ამის დრო სადა მაქვსო, მაგრამ როგორც ხავსი ხეს, ისე ბეჯითად ეკიდებოდა სიყვარული მის გულს.

ეს ამბავი სულ უბრალოდ დაიწყო: უცაბედად გაციებული ერმილე სანატორიუმის პალატაში მარტოდმარტო იწვა და თავის მომავალზე ფიქრობდა. მაგიდაზე ახლად დამთავრებული საბავშვო ზღაპარი ედო: „ოინბაზი ციყვუნიები“, მოულოდნელად კარი გაიღო და ოთახში სრულიად ახალგაზრდა, ტანთხელი ქალიშვილი შემოვიდა. ოდნავ, ელამი, შავი თვალები უცნაურად უციმციმებდა.

— ერმილე ფერაძე თქვენ ბრძანდებით? — გაუღიმა ქალიშვილმა, — აბა, როგორ არის საქმე, რა დაგემართათ?

ბუნებით მოკრძალებული, მანდილოსნებთან ურთიერთობას უჩვევი ერმილე, ქალიშვილის ასეთმა სითამამემ სულ გააბრუა. ექიმი თვალებში ჩაშტერებოდა, თამამობდა და ენაწყლიანობდა. მერე მას თვალი გაექცა მაგიდაზე დალაგებული ხელნაწერებისკენ და ერმილეს გაოცებულმა შეხედა.

— ფერაძე...: გამიგონია ეს გვარი, მარტო ზღაპრებს წერთ? — ქალიშვილს თვალები გაუბრწყინდა.

— არა, ეს ისე... ხანდახან. — ძლივს ამოილუღლუღა ერმილემ და უცებ სურვილი დაებადა, ქალიშვილისათვის მთელი მიზნები გაენდო, მაგრამ ისევ გადაიფიქრა, სხვა დროისთვის იყოსო.

ამის შემდეგ თითქმის ყოველდღე ნახულობდა ექიმი ავადმყოფს. ოთახში შემოსვლისთანავე ღიმილით ჰკითხავდა:

— როგორა ხართ?

და ერმილე ერთსა და იმავეს პასუხობდა:

— არა მიშავს რა!..

მერე კი უხერხული დუმილი დგებოდა.

როგორც ერმილე ვარაუდობდა, მას სალაპარაკოდ უნ-

დოდა ხოლმე დარჩენა, მაგრამ რაკი თვითონ სითამამეს ვერ იჩენდა, სტუმარი გულდაწყვეტილივით მიდიოდა.

ამაოდ ცდილობდა ერმილე თავიდან ამოეძირკვა ქალიშვილზე ფიქრი. ერთთავად თვალწინ ედგა მისი მოგრძო, ნაზი სახე, ოდნავ ელამი სევდიანი თვალები, თითქოს ზეციური ღიმილით რომ უბრწყინავდნენ.

დაღონდა ერმილე, კაეშანს მიეცა. ერთი წამით გადახედა განვლილ ცხოვრებას და თავისი არსებობის მანძილზე პირველად გაკენწლა საზარელმა ეჭვმა თუ სინანულმა. თვალწინ დაუდგა პატარა ღარიბული ოჯახი და გაიფიქრა: განვლილი ორი ათეული წელი წყალში გადაყრილი ხომ არ არისო. მაგრამ ეს იმდენად შემზარავი ფიქრი იყო, მყისვე უკუ იქცა. იგი გულში ცოდვად და წმიდათა წმიდა საქმის ღალატად ჩათვალა, გადაწყვიტა, თავი შორს დაეჭირა და ქალიშვილი გულიდან გადაეგდო, მაგრამ ორიოდე დღის შემდეგ, როგორც ქილოგინიდან წამოდგა, რაღაც უჩინარმა ძალამ უბიძგა და თავისი ნების გარეშე სრულიად უსაქმოდ იმ ტალანში გაიარა, სადაც ექიმის კაბინეტი მდებარეობდა. კაბინეტის კარი ერთთავად ღია იყო, ისე ჩაუარა, კაბინეტისკენ წამით არ გაქცევია თვალი.

— ფერაძე! — მოესმა ზურგიდან. ეს მისი ხმა იყო, იმ ქალიშვილისა. აბა, რაღა უნდა ექნა ერმილეს, რაკი დაუძახეს, ხომ არ წაუყრუებდა. გასაუთოვებელი შარვალი ეცვა და კაბინეტში შესვლა მოერიდა, კედელს ამოფარებულმა მარტო თავი შეყო.

— მოდით ერთი წუთით! — სთხოვა ექიმმა.

— სხვა დროს მოვალ. — დაიბნა ერმილე და გამობრუნება დააპირა, მაგრამ ქალიშვილი აღარ მოეშვა. სკამიდან ფიცხლად წამოხტა, ნაზი თეთრი ხელი მკლავზე მოჰკიდა და კაბინეტში თითქმის ძალით შეიყვანა დაბნეული ერმილე.

— როგორა ხარ? — მზრუნველი, ახლობელი ადამიანის ხმით ჰკითხა ქალიშვილმა და სევდიანი თვალები მიაშტერა.

— არა მიშავს რა! — ძლივს ამოილუღლუღა ერმილემ.

— კარგად ვარო, არასოდეს არ გითქვამს. — ექიმმა გაიღიმა. მერე ალმაცერად გადახედა ერმილეს და განაგრძო: — მოდი, წნევა გაგიზომო. აგერ, სკამზე დაჯექი.

ერმილე ზანტად დაეშვა სკამზე და სახელო დაიკაპიწა.

„ახლა ვეტყვი", — გაუელვა თავში, მარამ თვალწინ დაუდგა პატარა ღარიბული ოთახი, გაახსენდა თავისი წმიდათა წმიდა საქმე, კვლავ ეჭვმა თუ სინანულმა გაკენწლა და იარაღი აჭყარა. ექიმი შავ ტოლუღს გულდაგულ ახვევდა მკლავზე და რაღაც იდუმალი ხმით ეკითხებოდა.

— სად ცხოვრობთ?

— თბილისში.

— მშობლები სადა გყავთ?

— მშობლები არა მყავს.

ქალიშვილი წამით დადუმდა. მერე ისევ განაგრძო:

— წარმოშობით საიდან ხართ?

— ლეჩხუმიდან.

— თბილისში ვისთან ცხოვრობთ?

— არავისთან, მარტო ვარ.

ერმილეს ისეთი წარმოდგენა ჰქონდა, თითქოს ორივენი სადღაც ბნელ სარდაფში იყვნენ მიმალულები და გულის კანკალით ჩურჩულებდნენ.

— შვილები არა გყავთ? — ექიმმა ხმას უფრო დაუწია, მღელვარება დაეტყო.

— ცოლი არა მყავს, შვილები საიდან მეყოლება?!

— ცოლი რატომ არ შეირთეთ?

— რა ვიცი, დავრჩი ასე.

— მაინც რატომ?

— არ შემირთავს... — და ერმილეს უცაბედად ბრაზი მოერია. თითქოს წეღანდელ, წამით დაბადებულ შემზარავ ეჭვს ვიღაცამ ჩაკიდა ხელი და სამზეოზე გამოიტანაო.

ქალიშვილი კიდევ რაღაცის კითხვას აპირებდა, მაგრამ გადაიგუნება. ღიმილის ნაცვლად თვალებში სევდა ჩაუდგა, თანაგრძნობით მიაჩერდა ერმილეს და უთხრა:

— თუ რაიმე დაგჭირდეს, უსათუოდ მნახე, არ მოგერიდოს, შენ ყოველთვის შეგიძლია მოხვიდე ჩემთან, ყოველთვის...

ძირ-ფესვიანად შეძრა ერმილე გულთბილმა მოპყრობამ. ამ დღიდან სამუდამოდ დაკარგა მოსვენება და ქალიშვილი მის წარმოდგენაში რაღაც ღვთიურ არსებად იქცა. ყოველთვის, ძილში თუ ცხადში, მისი მთრთოლავი ხმა ესმოდა, თვალწინ ედგა თეთრი სუსტი თითები, ოდნავ ხეტი წაბლისფერი თმა

და თანაგრძნობის გამომხატველი, სევდით დანისლული თვალები. ყველაფერს, რაც კი მას გააჩნდა, თავის ახლობლად თვლიდა ერმილე. მართალია, მან ზუსტად არ იცოდა, რა ამოძრავებდა ქალიშვილს, უბრალო ადამიანური თანაგრძნობა თუ ნამდვილი სიყვარული, მაგრამ, რაც არ უნდა ყოფილიყო, ერმილე მაინც ველარ ერეოდა თავს და თანდათან ფსკერისკენ ეშვებოდა.

ექიმმა, ორი დღის შემდეგ კიდევ მოდი წნევის გასაზომადო და იმ ორ დღეს ცალკე ფიქრმა მოქანცა ერმილე, ცალკე სურვილმა. ვერ გადაეწყვიტა, რა გზას დასდგომოდა. ისევ ძველებურად ფიქრობდა — ცოლის მოყვანის დრო ჯერ არა მაქვსო. მართალია დააპირა, ყველაფერი გაემხილა ქალიშვილისთვის, იქნებ მანამდე მომიცადოს, ვიდრე მიზანს მივაღწევო. ორ დღეს ამაოდ იმტვრია თავი, ვერაფერი გადაწყვიტა და ბოლოს ხელი ჩაიქნია, რაც იქნება, იქნებაო, ბედს მიენდო, მესამე დღეს იგი ექიმთან გამოცხადდა, მაგრამ ქალიშვილი რატომღაც უგუნებოდ შეხვდა და ველარაფერი გაუბედა. ესღა ჰკითხა: გამგზავრებისას თქვენთან უნდა გამოვცხადდე თუ არაო. ქალიშვილმა: ექთანთან მიხვალთო და ამით დასცილდნენ ერთმანეთს.

ტანჯვით გაატარა დარჩენილი დრო ერმილემ. წამოსვლისას გული სწყდებოდა. ნეტავ შეიძლებოდესო, ფიქრობდა, ჩემი წილი სიცოცხლიდან ათასი დღე წამართვან და ნაცვლად იმისა, აქ ყოფნის დრო ხუთი დღით გამიგრძელონო.

გამომგზავრების დღეს მოჟამული ამინდი იდგა. დილიდან-ვე სცრიდა. ციოდა. ერმილემ ადმინისტრატორისაგან პასპორტი დაიბრუნა და სანატორიუმის ეზოში უმიზნოდ დაიწყო ხეტიალი. სევდა ლოდივით აწვა გულზე. მთელი ქვეყანა ეპატარავებოდა, თავისი ადგილი აღარსად ეგულებოდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს სამგზავრო გემიდან გადმოესვათ და უკიდეგანო ოკეანისთვის მიენდოთ მისი ბედი.

სიგარეტს მოუკიდა და ალალბედად ჭიშკრისკენ გაიხედა. ჭიშკარში ვიღაც მაღალი კაცი შემოდიოდა, ცალი ხელით რაღაც სანოვაგე მიეხუტებინა გულზე, ცალით ქოჩორს ისწორებდა. გადაკრულში ჩანდა და მთელი ქვეყანა თითქოს საკუთარი მხრებით მოჰქონდა.

ერმილეს ბევრი აღარ უფიქრია, მაშინვე ბუფეტისკენ გას-

წია. ორასი გრამი არაყი სულმოუთქმელად გადაჰკრა და გამობრუნდა. გრძნობდა, თანდათან როგორ უქრებოდა კაეშანი, თითქოს ოკეანის ფსკერიდან მაღლა მოტივტივებდა. მალე ბაჯაღლო გუნებაზე დადგა, გაამაყდა და განდიადდა. თვალწინ დაუდგა თავისი დიდი მომავალი. გარშემო მყოფნი ბუზებად ეჩვენებოდა. ესენი ჩვეულებრივი მოკვდავნი არიანო, ფიქრობდა და უბრალოდ ეცოდებოდა ისინი. სიგარეტს მოუკიდა და არყით გაბრუებულმა ტალანში დაიწყო სეირნობა. მოულოდნელად ვიღაცამ მხარზე ხელი დაადო. მოიხედა. ექთანი იყო.

— ექიმმა, ჩემთან მოდიო.

— ვინა?

— ექიმმა.

— ექიმთან რა საქმე მაქვს, სანიტარული წიგნაკი უკვე ავიღე.

თვითონაც ვერ ახსნიდა ერმილე, ასე უცებ უარი რად მიახალა ექთანს, იმიტომ ხომ არა, რომ სიამაყემ შეიპყრო?

— არა, რაღაც საქმე აქვს, უნდა მიხვიდეთ.

— ჩემთან რა საქმე უნდა ჰქონდეს?

— მობრძანდით, მობრძანდით. — ექთანმა ექიმის კაბინეტში შეიყვანა.

ექიმი ვიღაც ავადმყოფს სინჯავდა.

— პასპორტი უნდა დამიტოვოთ. — მოუბრუნდა ექიმი ერმილეს.

— მე მივდივარ და პასპორტიც თან უნდა მქონდეს.

— სანამ წახვალთ, პასპორტი ჩემთან იყოს.

— არა, მე მჭირდება. — ჯიუტობდა ერმილე.

— კარგით, რაკი ასე გინდათ...

ექიმს აღარაფერი უთქვამს. შუბლი შეიკრა და ისევ ავადმყოფს მიუბრუნდა.

ერმილე გამობრუნდა. ნახევარ საათს ხეტიალობდა სანატორიუმის ეზოში და ბოლოს ისევ ტალანში ამოყო თავი. ექიმი კაბინეტიდან გამოვიდა.

— ჩემთან საქმე ხომ არა გაქვთ? — მოწყენილი ხმით ჰკითხა მან.

— არა, ისე შემოვიარე.

— თუ საქმე გაქვთ, მითხარით.

— არა.

— ნუ გერიდებათ...

— არაფერი, უბრალოდ მინდა გამოგემშვიდობოთ, თუ ნებას მომცემთ...

— აჰ, მიდიხართ უკვე?

— დიახ. კარგად ბრძანდებოდეთ.

— კარგად იყავით. არ დაგვივიწყოთ! — ქალიშვილმა მაგრად ჩამოართვა ხელი.

— თქვენ არასოდეს არ დაგივიწყებთ! — უთხრა ერმილემ და ზანტად, უხალისოდ გამობრუნდა.

ნახევარი საათის შემდეგ ის უკვე მატარებელში იჯდა და გული სწყდებოდა თავის გაუბედაობაზე. გული სწყდებოდა, რომ მატარებელი თბილისისაკენ მიდიოდა და არა იქით, საიდანაც წამოვიდა.

იმ დღიდან ერმილემ მეორე ხატი გაიჩინა სალოცავად და საოცნებოდ. სანატორიუმიდან დაბრუნებული ძალაგანახლებული მუშაობდა და უახლოესი იმედით ცხოვრობდა, ეს იმედი კინოსცენარი იყო. უეკველად გამიმართლებს და ერთი ხატიც ხელში მეჭირება, მეორეც, ყველა გზა გაიხსნება და მიზანიც მიღწეული იქნებაო, ფიქრობდა.

სანატორიუმიდან დაბრუნებულ ერმილეს სიყვარული უფრო გაუცხოველდა. ორიოდე თვეს იტანჯა და ბოლოს წერილი გაუგზავნა. შიგ თავისი დაბეჭდილი საბავშვო მოთხრობები ჩადო, დიდი კი არაფერია, მაგრამ მაინც გაეცანიო. ეჭვობდა, ეს ბავშვური საქციელი ხომ არ არისო, მაგრამ სულმა მაინც წასძლია. წერილში გაკვრით გაანდო ქალიშვილს თავისი გრძნობა და უახლოესი მიზნები. მაგრამ პასუხი არ მიუღია. ნამდვილად ბავშვურად მოვიქეცი, ნანობდა და ახლა მეორე წერილი დაწერა, რითაც ბოდიშს იხდიდა პირველზე. ეს წერილი ისევ უკან დაუბრუნდა, კონვერტზე გაკრული ხელით ეწერა, ადრესატი მიღებაზე უარს ამბობსო. ამან კი განარისხა და შეაეჭვა ერმილე. ასეთ ამბავს სრულიად არ მოელოდა. რით უნდა აეხსნა მისი საქციელი, არ იცოდა. ათასი ეჭვი და ფიქრი უტრიალებდა თავში. შეურაცხყოფილმა თავს სძლია, თავმოყვარეობის, სიამაყის გრძნობა გამოიხმო და სწორედ ამ გრძნობის კარნახით დაწერა მესამე წერილი. თქვენი

თავი ბოლოსდაბოლოს ვინა გგონიათო; დრო მოვა თქვენისთანები ჩემს სახელს მოწიწებით ახსენებენო.

ამის შემდეგ აღარც პასუხი მიუღია და აღარც თვითონ გაუგზავნია წერილი. მაგრამ გრძნობდა, რომ ის ქალიშვილი გულში ეჯდა და მოსვენებას აღარ აძლევდა. და მაინც მისთვის არ ეცალა. სცენარის დამთავრებას ჩქარობდა, ეს იყო ახლა მისთვის ყველაზე მთავარი და გადამწყვეტი ორივე ასპარეზზე. უნდოდა, დროულად ჩაებარებინა კინოსტუდიისთვის, გაერკვია ბედი და მერე მეორე ბედის გასარკვევად ისევ იმ სანატორიუმში წასულიყო.

ერმილემ ერთი-ორჯერ კიდევ ჩაახველა და კარი გააღო. კარის უკან ორი უცნობი იდგა. თმაჭაღარა ქალი და მსუქანი მწვანური მამაკაცი. არც ერთს ნაცნობი იერი არ ჰქონდა და ერმილემ იფიქრა, შეიძლება საბინაო სამმართველოდან არიან ბინის გამოცვლის თაობაზეო.

— ერმილე ფერაძე თქვენა ხართ?

— მე ვარ.

— შეიძლება თქვენთან?.. — ჰკითხა ისევ ქალმა. ვიდრე პასუხს მისცემდა, ერმილეს როგორღაც ეცნაურა ქალის გამომეტყველება, მაგრამ მეხსიერებაში ვერ აღედგინა. შეეჭვდა, საბინაოს ხალხს არა ჰგვანანო.

— მობრძანდით! — როგორც იყო, მოახერხა, კიდევ ჩაახველა და დაბალი ტანის, ბეჭებში ოდნავ მოხრილი ერმილე, უცნობებს ოთახში შეუძღვა.

ქალი ყურადღებით ათვალიერებდა არეულ-დარეულ ვიწრო ოთახს.

— ყველა პატიოსანი კაცი ასე ცხოვრობს. — თქვა ქალმა და კაცს გადახედა.

— ჰო... — კვერი დაუკრა კაცმა.

— ჯერჯერობით ცოტა ღარიბულად ვცხოვრობ. — მოიბოდიშა ერმილემ და ისევ თავის ადგილას დაჯდა, საწერ მაგიდასთან.

— აჰ, მაგი არ გამაგონო, — შეიცხადა ქალმა. — პატიოსნები ცოტანილა გვხვდებიან საზოგადოებაში და დასაფასებელნი არიან. ასე არ არის, ბუხუტი?! — ქალმა ისევ კაცს გადახედა და ბუხუტიმაც თავი დაუქნია, სრული ჭეშმარიტებაო.

ქალმა ხელჩანთა მაგიდაზე დადო, სკამს სული შეუბერა

და ფრთხილად დაჯდა. ბუხუტი პირდაპირ ტახტზე დაეშვა.

— რატომ ცოლი არ შეგირთავთ? — დაინტერესდა ქალი.

ერმილემ მხრები აიჩეჩა.

— რა ვიცი, ჯერ სამაგისოდ არ მცალია. ეგეც არ იყოს. აბა აქ ქალი მოიყვანება?!

— უნდა შეგერთოთ ცოლი, ერთმანეთს მხარს მისცემ-დით და უფრო კარგ ოჯახს შექმნიდით. — დაამტკიცა ქალ-მა. — სად მუშაობთ?

— არსად, ისე...

— როგორ არსად? რა პროფესიისა ბრძანდებით...

— ისე, ვწერ რაღაცეებს... — ერმილემ უცებ თავი შეუ-რაცხყოფილად იგრძნო, — ვინ ბრძანდებით?

— მე პედაგოგი ვარ, ლეილა სადუნიშვილის დედა.

ამის გაგონებამ ერმილეს თავზარი დასცა. მთელ სხეულ-ში ჟრუანტელმა დაურბინა და სადღაც მუხლებთან შეაცივ-და. ფეხზე წამოდგა, უნდოდა სტუმრებისთვის ხელი ჩამო-ერთმია, მაგრამ ვეღარ მოახერხა. ისევ სკამზე დაეშვა, ოთახს თვალი მოავლო და წუთიერად კვლავ იმ სინანულმა თუ ეჭვმა გაკენწლა, რომელიც ამ ბოლო დროს შეეჩვია.

— რაშია საქმე, — განაგრძო ქალმა, — ჩემს ქალიშვილს წერილებს სწერთ, ერთი წერილი კიდეც დაგიბრუნდათ უკან.

მაგრამ ერმილეს პასუხის მისაცემად ჯერ არ ეცალა. ხან ნამწვავებით სავსე, დიდი ხნის გაუწმენდავ საფერფლეს გა-დახედავდა, ხანაც კუთხეში მიმდგარ ნარეცხი წყლით სავსე ტაშტს.

— რა იყო? — განმეორებით იკითხა ქალმა.

„მორჩა, დაიღუპა ყველაფერი, აღარაფერი გამოვა..."

— ჰო, მაშინ რაღაც გრძნობა მამოძრავებდა მისადმი, — უპასუხა ერმილემ.

— მაშინ გამოძრავებდათ და ახლა არა?.. აბა, თუ მასეა, ჩემს ქალიშვილს ამ ასანთის ღერად არ უღირხარ. — და ქალმა კოლოფიდან ერთი ღერი ამოიღო.

— კარგი, ქალბატონო... თავს მივანებებ. — ძლივს ამოი-ლუღლუღა ნირწამხდარმა ერმილემ, მერე კალამი აიღო და თავისდაუნებურად, როგორც ნაჩვევი იყო, ქაღალდზე ლ-ს წერა დაიწყო, — ლეილას პირველი ასოსი. ამას სრულიად ინსტინქტურად აკეთებდა. ქალი და კაცი გაკვირვებულნი

მისჩერებოდნენ. მაგრამ ერმილე აზრზე არ მოდიოდა, ზედ
ზედ წერდა ლეილას პირველ ასოებს.

— პატიოსანი კაცი დასაფასებელია, პატიოსნები ცოტან
არიან საზოგადოებაში, — თქვა ისევ ქალმა, მერე ბუხუტის გ
დახედა, ბუხუტიმ დაამთქნარა და თავი დაუქნია.

— პატიოსანს არავინ აფასებს, — ჩაილაპარაკა ერმილემ.

— როგორ გეკადრებათ! — შეიცხადა ქალმა.

— როგორ გეკადრებათ! — ჩახლეჩილი ხმით დაუდასტურ
ბუხუტიმაც.

— ეს ყველაფერი... — ერმილეს აღარ გაუგრძელებია, უ
რალოდ ხელი ჩაიქნია, ამით დაამთავრა სათქმელი.

დუმილი ჩამოვარდა. ერმილე თავჩაღუნული იჯდა დ
კვლავ გულდაგულ გამოჰყავდა ასო ლ. მერე იაზრა, რასა
აკეთებდა და ქაღალდის დამალვა დააპირა, მაგრამ ეს უფრ
უხერხულად ჩათვალა და ზედ ხელი დააფარა.

ელექტროქურაზე ჩაიდნით შემომდგარი წყალი დუღ
და, ჩაიდნის სახურავი მაღლა-მაღლა ხტოდა და გულის გამა
წყალებლად გაჰქონდა რაკუნი. დაბნეულ, დამცირებულ ერმი
ლეს ელექტროქურის გამორთვაც ვერ მოეხერხებინა.

— მითხარით, ხომ აღარ მისწერთ წერილებს? — ისევ ჰკ
თხა ქალმა.

„მაინც ყველაფერი ჩაიფუშა“...

— არა. არ მივწერ. — უპასუხა ერმილემ.

— ასე. შენ პატიოსანი კაცი ხარ, შეგნებული და მასეთ რა
მეს, რა თქმა უნდა, არ იკადრებ. არც მაშინ უნდა გეკადრე
ბინა.

— იქნებ ისე გაძლება არ შემეძლო? — გამოტყდა ერმილ

— მერე?! მოსულიყავი ჩვენთან, უჩემოდ ის ვერაფერ
გადაწყვეტს... ახლა კი, რა თქმა უნდა, გვიან არის, ეგ საქმ
არ მოხდება, მაგაზე ნულარ იფიქრებ. შენ შენი შესაფერის
უნდა ნახო...

ერმილემ მოულოდნელად თვალი დაადგა თავის ნაწერ
ის-ის იყო, სცენარის ბოლო გვერდს ამთავრებდა. და ამ დრო
მოულოდნელი რამ მოხდა, წუთიერად დაბნეული, გათქერილ
ერმილე ერთბაშად აღზევდა. ის, რაც მან ცოტა ხნით დაკარ
გა, ისევ დაიბრუნა, დაიბრუნა ძველი სიამაყე, თვალწინ დაუდ

გა გაცისკროვნებული დიადი მომავალი და იცნო თავი თვისი. იგი დინჯად წამოდგა სკამიდან.

— ბოლოს და ბოლოს ვინა მყავს თქვენი ქალიშვილი, ეგლა მაკლია მაგისთანებზე ვიფიქრო, მაგისთვის სად მცალია, მე ჩემი საქმე მაქვს...

ბუხუტიმ, თითქოს ძილ-ბურანიდან გამოერკვაო, თავი წამოსწია და ჩაახველა.

ქალი წამოდგა. წამოდგა ბუხუტიც.

— კი ბატონო, იყავი შენთვის, წერე და ინახე! — თქვა ქალმა და ისევ იმ ქაღალდს დაეჩერდა, რომელზედაც ჩამწკრივებული იყო ასო ლ. — გისურვებთ ახალი ბინის მიღებას და წარმატებას.

ქალი და კაცი ოთახიდან გავიდნენ. გარეთ გასული ბუხუტი ისევ შემობრუნდა.

— კარგად იყავი, ძმაკაც!

მაგრამ ერმილეს ხმა არ გაუცია. მან კარები ისევ ჩაკეტა. მერე ელექტროქურა გამოთიშა და ტახტზე წამოწვა.

„მეშჩანები, — ფიქრობდა ის. — ყველაფერს დღევანდელი ცხოვრებით ზომავენ. ან რაში მჭირდებოდა, სად მეცალა ახლა სამაგისოდ, ათასი საქმე მაქვს გასაკეთებელი..."

წევს ტახტზე ერმილე და თვალწინ უდგას დიდებით გაცისკროვნებული ხვალინდელი დღე, შორს აღარ არის ის დროც, როცა მისი სახელი პირზე ეკერება ყველას, სახელიც ექნება და სიმდიდრეც, მაშინ მიხვდებიან ურწმუნონი, რომ ცოტა წინაც უნდა გაიხედონ. მაშინ ყველა სიამოვნებით მიეტმასნება ერმილეს, გაწყობილ სუფრას ყველა ხალისით მიუჯდება...

და ხვალინდელი დღის იმედით ისევ ალეგო და გაუღიმა ერმილე.

შეხვედრა ულელბესილზე

ჯერ კიდევ ეძინა ქალაქს, მკრთალი, დიდი ცის ქვეშ ჯერ კიდევ ყუჩდნენ უკაცრიელი სწორი ტუჩები. მარტო ბელურები ახმიანებდნენ მთვლემარე ქვეყანას, ნაწვიმარ ხეებზე ცმუკავდნენ და მადლიერებით შეჰკივლიდნენ ღმერთს, რომ

ჩვეულებისამებრ კვლავ თენდებოდა, რომ მზე მარადიულ ჩვევას არც დღეს უღალატებდა და არ განწირავდა დედამიწის უმწეო არსებებს.

მიუხედავად წუხანდელი უძილობისა, მხცოვანი მეცნიერი სანდრო ხოხობაშვილი უჩვეულო ხალისზე იყო. ეს მშვიდი, ნაწვიმარი დილა, გაყუჩებული ქალაქი და ბეღურების ყივყივი ისე ესიამტკბილებოდა, კალაპოტში ვეღარ ეტეოდა. თითქოს ხელიდან ეცლებოდა ის სიდარბაისლე, მის ასაკსა და პროფესიას განუყრელად რომ ახლდა. გრძელ, ჭაღარა წვერზე მალიმალ ისვამდა ხელს და მანქანის ფანჯრიდან ყველაფერს ხარბი ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა.

ამჩნევდა, თანდათან როგორ მატულობდა დღის ნათელი, ფოთლები როგორ დაეზნიქა წვიმის წვეთებს, სველი ასფალტი როგორ ირეკლავდა დილის ნათელივით გაფერმკრთალებულ ლამპიონებს და როგორ იდგამდა ქალაქი ფეხს, მდინარესავით თანდათან როგორ დიდდებოდა.

„ვოლგა“ კახეთის გზატკეცილზე გაწვა და ქალაქი უკან მოიტოვა. სანდრო უხმოდ მისჩერებოდა აღმოსავლეთის ჰორიზონტს. სამზეურზე გაჩხირული ღრუბელი მთლად გაწითლებულიყო, კაცს ეგონებოდა, სადაცაა ეს ღრუბელი გასკდება და დედამიწაზე ყვითელი, ცხელი მზე გადმოიღვრებაო. რაც უფრო შორდებოდა ქალაქს, მით უფრო მეტად გრძნობდა მიწას და გული უჩუყდებოდა, ერუანტელი უვლიდა. ხოლო, როცა მანქანამ ფართო ქალაქის გზა დააგდო და უღელტეხილისკენ გადაუხვია, როცა ყველაფერს მშობლიური კუთხისა და მიწის ნაცნობმა იერმა გადაჰკრა, სულში უჩვეულო ძვრა იგრძნო. ეს განცდა მისთვის მოულოდნელი არ იყო, ადრევე იცოდა, რომ ამ ბადეს ვერ დაუსხლტებოდა, იცოდა და მაინც ილტვოდა, სული ესწრაფოდა, მშობლიური სოფლისკენ როდის გავემგზავრებიო. იუბილეს შემდეგ უხმობდნენ და უხმობდნენ თანასოფლელები და ვერ იქნა, საიმათოდ ვერ მოიცალა; არც ის იუბილე ეპიტნავებოდა დიდად, არც საიმისოდ ეცალა, ყოველნაირად ეცადა თავი დაეძვრინა, მაგრამ ამაოდ ამტვრევდა ტაბიკებს, საზოგადოების სურვილს ვეღარ გაექცა და ფარ-ხმალი დაჰყარა. იუბილეს შემდეგ კვლავ მიუბრუნდა ადამიანის თავის ტვინის ელექტრულ მოქმედების საკითხს და ფეხზე ბორკილი დაიდო, მაგრამ ბოლო დღეებში

სულ სოფელი ედგა თვალწინ, იქითკენ მიუწევდა გული, ძილ-შიც ვერ ისვენებდა, რამდენჯერმე დაესიზმრა თავისი კარ-მიდამო, სოფლის ახლომახლო მიდამოები, სადაც თვალი ააბილა და დავაჟკაცდა. აშკარად უძახდა ადგილის დედა. სხვა დროსაც მონატრებია მშობლიური სოფელი, მაგრამ ასე არასოდეს გაუტანჯავს ამ სურვილს. ფიქრობდა, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე ხომ არ შევდექი, იქაურობა ასე რამ მომანატრაო. ამ ტანჯვას ვეღარ გაუძლო და ბოლოს გატეხა ნავსი. თავსაყრელი საქმე ორიოდე დღით გადადო და სოფელში წასვლა გადაწყვიტა. შოფერი გააფრთხილა, თადარიგი დაიჭირე, დილის ექვს საათზე ქალაქიდან გავდივართო და მერე სამუშაო კაბინეტში შეიკეტა.

მთელი ღამე ძილ-ბურანში გაატარა, თვალწინ ედგა თავისი წარსული, ბავშვობისა და სიყრმის წლები, ყველაფერი ახლა აგონდებოდა, მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო.

როგორ არ ეცადა, ფიქრები უკუეგდო და ძილს მისცემოდა, ხან უცხოეთიდან გამოგზავნილი წერილები გადაათვალიერა, ხან თავის ახალ ნაშრომს გადახედა, მაგრამ ბორკილი ვერა და ვერ მოიხსნა. მეცნიერულ სამყაროს მთლად მოსწყდა, როგორც ფოთოლს წვეთი და იგრძნო, ამ ღამით ვეღარ დაუბრუნდებოდა მას, როგორც ის წვეთი ვეღარ დაუბრუნდება ფოთოლს, ვიდრე ხელახლა არ აღვლინდება ცად და კვლავ წვიმად არ მოვა. მეტი რა გზა იყო, ისევ წარსულზე ფიქრს უნდა ჩაჰყოლოდა.

აი, ის უკვე დიდების კვარცხლბეკზეა, ალბათ, ათასობით მეცნიერი შენატრის მის ბედს, მაგრამ თვითონ ეს აღარაფრად მიაჩნია. რამდენიმე ათეული წლის წინათ, თუნდაც მაშინ, როცა ის ოდესის უნივერსიტეტში სწავლობდა, ეს კვარცხლბეკი სხვაგვარად ელვარებდა და ბრწყინავდა. მაშინ გულშიც არ გაუვლია, თუ მეცნიერებაში ესოდენ დიდ მწვერვალებს დაიპყრობდა. კაცმა რომ თქვას, საიდან სადამდე მივიდა უბრალო გლეხის შვილი და ახლა თავის ბედს ჩალის ფასად აღარ აგდებს. გაახსენდა სადღაც წაკითხული ფრაზა: ბედნიერება ცისარტყელას წააგავს, მხოლოდ შორიდან რომ ბრწყინავსო. ამ ცისარტყელამდე გზა ძნელადსავალი და დამქანცველი იყო. ყოველ ახალ აღმოჩენას, ყოველ ჰეშმარიტებას თუ მეცნიერებაში გადადგმულ ყოველ გაბედულ ნაბიჯს ფათერაკი ჩასაფრებოდა.

თვალწინ დაუდგა ხალხით გაჭედილი დიდი დარბაზი, სადაც ორი აკადემიის გაერთიანებული საგანგებო სესია მიმდინარეობდა. სესიის მიზანი იყო მედიცინასა და ბიოლოგიაში პავლოვის მოძღვრების დანერგვისათვის სათანადო ღონისძიების შემუშავება. აი, სწორედ მაშინ ანტიპავლოველად მონათლეს იგი და ბეწვის ხიდზე შეაგდეს. რამდენს ეცადნენ, აღეგავათ პირისაგან მიწისა მისი ყველა ნაშრომი, სულსა და გულს უჯიჯგნიდნენ, მაგრამ ერთი ნაბიჯითაც არ დაუხევიეს უკან, წარბი არ შეუხრია. იცოდა, რომ ყოველ დიდსა და ახალ ჭეშმარიტებას თან ახლდა დიდი ან პატარა მსხვერპლი. კაცობრიობამ ვერ იგუა თვით ისინიც კი, ვინც შთამომავლობისიბრძნეს დააწაფა, ვინც თავის თანამედროვეებს ორსაუკუნიანი ნახტომით გაუსწრო. ზოგი ჯვარს აცვა, ზოგს კოცონი არგუნა. წუთითაც არ გაუვლია გულში თავისი მრწამსის ღალატი, მიუხედავად იმისა, რომ თანამგრძნობი და ერთგული კენჭიც კი არ ეგულებოდა. და აგერ, რამდენიმე წლის შემდეგ, რა მიზეზითაც ის ბეწვის ხიდზე შეაგდეს, იმავე მიზეზით დიდების კვარცხლბეკზე აიყვანეს. იგი ხელახლა მიუბრუნდა თავის ნაშრომს და საბოლოოდ შეარყია ყალბი მოძღვრება, პროკრუსტეს სარეცელად რომ იყო ქცეული და მეცნიერებას ახალი სამყაროს კარი გაუხსნა. ფიზიოლოგიურ სამყაროს გრგვინვად გადაუარა ამ ახალმა მოძღვრებამ და შორეულ ქალაქში, ბოსტონში, დაისტამბა. მოზღვავდა წერილები სხვადასხვა ქვეყნებიდან. ყოველ წერილზე თვითონ აძლევდა პასუხს ავტორებს, მერე თვითონ ავტორებმაც იწყეს მოსვლა მხცოვან მეცნიერთან.

საოცარი იყო, იმ ძნელ ჟამს, სხვათა უწინარეს, ისინი განუდგნენ და ტალახის სროლაც იმათ დაუწყეს, ვისაც თავის უერთგულეს ადამიანად რაცხდა. ეს მეტწილად მეცნიერულ გაქანებას მოკლებული ხალხი იყო, არც პავლოვის ფასი იცოდნენ და არც ფიზიოლოგიაში იყვნენ ღრმად ჩახედულნი; ხოლო შემდეგ, როცა ცხოვრების კეხი შებრუნდა, სწორედ იგივე ხალხი დაუახლოვდა. მიუხედავად მტკიცე, ჯიუტი ხასიათისა, ბავშვივით გული ჰქონდა, სიყრმეშივე გაფოთლილ სიკეთეს სიძულვილით ვერ შეცვლიდა. ადამიანების შეცნობა უჭირდა, მიმნდობი და გულღია იყო. მას არ შეეძლო, სამაგიერო მიეზღო ამ კაცუნებისათვის ან ხელი ეკრა. ისინი

საერთოდ ყველაფერს ოლად ახერხებდნენ სინდისის ხარ-ჯზე.

აი, ასე გამოიარა ეს დიდი და ძნელი გზა და აჰა, დიდების კვარცხლბეკიც, მის თვალში რომ დიდი აღარაფერი ფასი აქვს და ცისარტყელასავით მხოლოდ შორიდან რომ ელვარებს. აჰა, სამოცდამეჩვიდმეტე ზარმაც ჩამოჰკრა და მაინც მხნედ არის, სამეცნიერო დაწესებულებას კვლავ მესვეურობს.

მეცნიერული ჯაფისაგან დაქანცულსა და ადამიანებზე გულ-მოსულს რამდენჯერ უნატრია ბავშვობა ან უბრალო კაცობა. განსაკუთრებით ბავშვობას შენატროდა, იმ ასაკს, როცა არა-ვითარი საზრუნავი არა გაქვს, როცა არც მოშურნე გყავს და არც დიდი ვნებანი გაღონებს. იმ ასაკში ხომ ადამიანს ჯერ არა აქვს ის ტვირთი წამოკიდული, ღმერთმა რომ მიუსაჯა მას ადამიანად გაჩენისათვის. ეს არის ტვირთი ვნებისა, სურვილე-ბისა, შურისა, სიხარბისა....

განსაკუთრებით ამ ბოლო დღეებში შემოეჩვია ეს ფიქრი. თითქოს როგორღაც მობეზრდა ის დიდი მეცნიერული საქმე, მთელი ცხოვრება რომ ზედ შეალია და უფრო სხვა, პირველ-ყოფილი ბავშვობის სამყარო ეძახდა. აი, ახლაც, სოფელში გამგზავრების წინა ღამეს, თავისი ბავშვობა ედგა თვალწინ.

გარეთ წვიმდა და წვიმა ისე შრიალებდა მყუდრო ღამე-ში, თითქოს ცხვრის დიდი ფარა მიედინებაო. ამ ხმამ გაახ-სენა სოფელი და მამისეული სახლი. გზისკენ გადამდგარ აი-ვანზე წევს იგი, მყუდრო, მთვარით გაქათქათებული ღამეა. ურმების ქარავანი მიჭრიალებს გზაზე. ისმის მეურმის დინჯი შეძახილი და კამეჩების ფშვინვა. საით მიდიან მეურმეები ან საიდან მოდიან ამ შუაღამით? ნეტავ ახლა რომელიმე შეე-ურემზე იწვეს თვითონაც და დაუსრულებლად, ქვეყნის კი-დემდე მიდიოდეს. არც ეს ღამე გათავდეს და არც ეს გზა. რამდენჯერ უნატრია და ეს ნატვრა ერთხელაც არ ასრულე-ბია.

...სადღაც უკან და შორს დარჩა სოფლები, ასფალტიანი გზა, ხმაური, მზეს რომ ამოჰყვა, და დაიწყო უკაცრიელი გზა-ტკეცილი. სანდროს არ დაუნახავს, მის ზურგს უკან როგორ ამოფრთხიალდა მზე და ირგვლივ ყვალაფერს როგორ უცვალა ნირი. სპილენძივით კრიალებდა ვეება ცა. ლაპლაპებდნენ გზა-ტკეცილზე მიმოფანტული პატარა გუბურები. ნაწვიმარ მიწას

უკვე დასძროდა ორთქლი. გზას მარჯვნივ ტყე ემიჯნებოდა, მარცხნივ — დიდი, ბორცვებიანი მინდორი. მინდორზე გაფანტულიყო შვიდკომლიანი სოფელი ოთარაანთ კარი. ამ პაწია სოფელს ქვეყანა გამიჯვნოდა და მაინც ჯიუტად ედგა ცხოვრებას კვალში.

სამოცი წლის წინათ, როცა სანდრო ეტლით წამოიყვანეს ქალაქში, უცნაური განცდა აღუძრა ტყესა და მინდორში განცალკევებულმა ამ მყუდრო სოფელმა. მას აქეთ ეს სოფელი არც გადიდებულა, არც დაპატარავებულა. ეს პაწია სოფელიც ახლა ჩვეულებრივი ცხოვრებით ხვდებოდა განთიადს. აქა-იქ იზლაზნებოდა ადამიანის განუყრელი კვამლი და ნიავს მოჰქონდა ახლადგადახნული მიწისა და დამწვარი ნაკელის სუნი.

სწორედ ამ სოფლიდან იწყებოდა უღელტეხილი. მანქანა ოღროჩოღრო გზაზე აკანტურებდა თავს. ეს ერთადერთი გზა ზედ ტყეზე გადიოდა, მერე უღელტეხილს წვერზე მოექცეოდა და იქიდან ხელისგულივით გადაიშლებოდა სიცხის ბუღში ჩაძირული ალაზნის ველი. გზა თანდათან უსიერ ტყეში შედიოდა. ნახევარი საუკუნის წინათ ამ გზით დადიოდნენ ქალაქში ეტლები. მერე ეს უღელტეხილზე გადამავალი მოკლე გზა ღვთის ანაბარა მიაგდეს. იმ ეტლებსაც და იმათ პატრონებსაც გაუვიდათ ამ ცის ქვეშ სიარულის ყავლი და ახლა ათასში ერთხელ, ისიც ზაფხულობით, კერძო მანქანების პატრონები თუ დაიტკბობდნენ თვალს იქაური სილამაზით.

სანდრომ მყისვე იგრძნო ტყის ნესტიანი, მაცოცხლებელი სიგრილე, ნეშოსა და წყლით გაჟღენთილ ხის ქერქს რომ დაჰკრავს ხოლმე.

სიცხისა თუ რაღაცის მოლოდინში ისე გარინდულიყო მთელი მიდამო, ადამიანს უნებური შიში შეიპყრობდა. ტყეში ოდნავ ჟონავდა მზე და ნაწვიმარ ბალახს თუ ფოთოლს უცნაურ ფერს აძლევდა. ათასში ერთხელ მოსახვევში ამაოდ იძლეოდა „ვოლგა“ სიგნალს, არავინ ეპასუხებოდა. მის ხმაზე წვიმის წვეთებით დამძიმებული ფოთლები თრთოდნენ მხოლოდ და სველ ტანს იბერტყავდნენ.

რაც უფრო მაღლა და მაღლა მიიწევდნენ, მით უფრო მეჩხერდებოდა ტყე. დროდადრო მწვანედ იელვებდა ხოლმე პატარა, ჯერ კიდევ ნამშეუმშრალი მინდორი, გამოკაშკაშდებოდა მზე და თითქოს გამამხნევებელი ხმაური ჩამოჰქონდა დუ-

დამიწაზე. თანდათან ფართოვდებოდა სივრცე, თვალს სარბიელი ემატებოდა. ცოტა ხანიც და ტყე დაილეოდა, გამოჩნდებოდა მაღალი იალაღები, ფრიალო კლდე, ქორის კლდეს რომ ეძახდნენ, და სადღაც ძირს, დაბლობში მიმოფანტულ ფშავ-ხევსურთა პატარ-პატარა სოფლები.

მანქანა მარჯვედ მიიკვლევდა გზას და შავ, სველ მიწაზე ორ ღრმა ზოლს სტოვებდა. შოფერს საჭე რამდენჯერმე შეუქანდა ხელში. იგრძნო, რომ ძნელად ემორჩილებოდა და აქამოძდე უძრავად, მშვიდად მყოფი შოფერი აწრიალდა, ყურადღება დაძაბა. მერე სვლას უკლო. ფანჯრიდან თავი გადაჰყო და წინა საბურავს დააცქერდა. არაფერი უთქვამს, მანქანა ფართო, შედარებით სწორ გზაზე რომ გავიდა, გვერდზე მიაყენა და ჩამოვიდა.

— რა მოხდა? — ჰკითხა სანდრომ.

— საბურავი დაეშვა.

სანდრო მანქანიდან გადმოვიდა. უღელტეხილზე ჯერ კიდევ ცოცხლობდა დილის სუსხი. ჰაერი უჩვეულოდ სუფთა და მჩატე იყო. ხოხობაშვილმა მანქანას წინიდან დაუარა და გულგრილად დახედა დაკეცილ საბურავს; რა ბედენა იყო, ერთი საათით გვიან მივიდოდა თუ ადრე!

— სხვა საბურავი ხომ გვაქვს? — ჰკითხა მან საბარგულში წელამდე შემძვრალ შოფერს.

— გვაქვს, — შეცვლილი ხმით უპასუხა შოფერმა. ეტყობოდა, საბარგულიდან რაღაცას აძრობდა.

— მოხმარება ხომ არ გინდა? — ეს ისე ჰკითხა, თორემ შოფერი მას არასოდეს იხმარიებდა. მარჯვე, ღონიერი ბიჭი იყო.

— გმადლობთ, ნახევარ საათში ყველაფერი რიგზე იქნება.

— აბა, მაშ, გზას შევიმოკლებ, ცოტას გავისეირნებ.

— თქვენი ნებაა.

სანდრო ფეხით გაუყვა გზას.

ზვიადი მდუმარება ბატონობდა ირგვლივ. ათასში ერთხელ რომელიმე ბალახი შეირხეოდა და გზის ერთი ნაპირიდან მეორეზე კულტკალია ისკუპებდა. განმარტოებულ კუნელზე სკვინჩა ჩამომჯდარიყო და ნისკარტით ბეჯითად იწიწკნიდა ტანს. უკან კანტიკუნტად გაიწკრიალებდა ხოლმე ფოლადი, ეტყობოდა, შოფერი თავის საქმით იყო გართული.

ალმართი რომ აიარა, შეჩერდა. მუხლმა ოდნავ უმტყუნა. ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლი შეიმშრალა. მართალია, სუნთქვა გაუხშირდა, მაგრამ გულზე არაფერი უგრძვნია. ირგვლივ ჭაჭანება არ იყო. უკან აღარც მანქანა ჩანდა, აღარც შოფერი, მათ უკვე ალმართი ეფარებოდა.

უცებ წყაროს ხმაური გაიგონა და გაიფიქრა, უღელტეხილამდე უკვე მიმიღწევიაო. ცოტა კიდევ გაიმანძილა და მის წინ მთელი სივრცე გადაიშალა. მარცხნივ ცივ-გომბორის იალაღები მიიგრიხებოდა, მარჯვნივ დაბლობი განრთხმულიყო. იქვე გზის პირას, წყარო მოწანწკარებდა. გამვლელი თუ გამომვლელი, ცეცხლიც რომ ჰკიდებოდა მის სახლს, აუცილებლად უნდა შეჩერებულიყო აქ, მოესვა ეს სასწაულებრივი წყალი, თვალ-გული დაეტკბო და ისე განეგრძო გზა. ამ დაუწერელ კანონს ყველა ემორჩილებოდა.

სანდრო შეჩერდა. იგრძნო, რომ ამის იქით გზა აღარ ჰქონდა. თითქოს აქ რაღაც იდუმალმა კარნახმა მოიყვანაო.

იდგა გახევებული და იალაღებს მისჩერებოდა, დანაოჭებული, სიბერით მოძაბუნებული თვალები თანდათან უფართოვდებოდა.

იალაღზე წერტილებად მოძრაობდა საქონელი. დაბლობში, შორს, მზისა და მდუმარების ქვეშ, ფშავ-ხევსურთა სოფლები გაყუჩებულიყო, იმის იქით კი თეთრად ქათქათებდა თურდოს ხევი.

მისი მეხსიერებიდან ამოტივტივდა შორეული წარსული. ერთი ზაფხული ამ მიდამოებში გაატარა. თორმეტიოდე წლის ბიჭი იქნებოდა. მწყემსი ბიძა ჰყავდა და საგარაკოდ წამოიყვანა. აგერ, ეს იალაღები სულ ფეხით აქვს დავლილი, ყოველი გოჯი ამ მიწისა ბავშვობას აგონებდა. გაახსენდა ქერა, ჭორფლიანი ბიჭი სპირიდონა. ის სპირიდონა დედით ობოლი ბიჭი იყო და მამის მწყემსური ნაბადი ნაადრევად გაეზიარებინა. გაღმაურები იყვნენ, აქ, მთაში, გვერდიგვერდ ედგათ ბინები. ხელად დამეგობრდნენ, ერთმანეთს არც დღე სცილდებოდნენ, არც ღამე, სპირიდონამ ასწავლა ცხენით ჯირითი, ასოვს, ერთხელ, იალაღზე მიაჭენებდნენ ცხენებს, თვითონ კვ-ცხე იჯდა, სპირიდონა ჭაკით მიჰყვებოდა. კვიცს ღარდაში ფეხი ჩაუვარდა და წაიფორხილა. შეშინებული მხედარი გადმოხტა და მიწაზე გაგორდა. სპირიდონამ ცხენი შეაჩერა და,

რომ დაატყო, მეგობარს არაფერი დაშავებიაო, სიცილისაგან ცხენის ზურგზე გაწვა. მისი საქციელი ჯერ ეწყინა, მერე კი როცა იგრძნო, საგანგაშო არაფერიაო, თვითონაც სიცილი აუვარდა.

აი, ამ წყაროზე ჭუმპალაობდნენ, სილაზე კატებს ხატავდნენ. სპირიდონა ისეთ უცნაურ კატებს ხატავდა, სიცილით გული მისდიოდათ. რა უდარდელი, რა სასურველი იყო ის დრო, გასართობს რა გამოლევდა, ერთი მობეზრდებოდათ, მეორეთი შეიქცევდნენ თავს; ქუდებს დაუმალავდნენ ერთმანეთს და ნამალავს რომ მიაგნებდნენ, ეს მათთვის აღმოჩენა იყო. ეს იყო ის გრძნობა, დიდობაშიც რომ გაგდევს, როცა ნამდვილ აღმომჩენად იქცევი.

ხანდახან, ღამღამობით, ნიაურის ვეება მინდორში ჩაიპარებოდნენ, სადაც მეზობელი სოფლის მწყემსებს ბინა დაედოთ. მინდვრის თავში უზარმაზარ მუხას ამოეფარებოდნენ, მგლებივით აყმუვლდებოდნენ და მწყემსებსა და ძაღლებს ააფორიაქებდნენ. მწყემსები ყვირილს ასტეხდნენ, ძაღლები — ყეფასა და წკმუტუნს, თვითონ კი სიცილით იგუდებოდნენ. მაგრამ ყველაზე დიდი სიამოვნება ფერდობზე ქვების დაგორება იყო. უსმენდნენ, რა საზარელი ხმაურით მიექანებოდა ქვა ძირს, როგორ თქერავდა ყველაფერს, რაც წინ ხვდებოდა და რაღაც მამაკაცურ სიამაყეს გრძნობდნენ, მერე, საღამოთი, ერთ ნაბადში გახვეულები ცაზე ვარსკვლავებს თვლიდნენ.

სპირიდონა...

როგორ უყვარდათ ერთმანეთი.

არდადეგების მიწურულს სანდრო სპირიდონას გამოემშვიდობა და ბარისკენ დაეშვა. სპირიდონა თავჩაღუნული იდგა ყალთაღზე, ფეხით მიწას ჩიჩქნიდა და ცრემლს ულაპავდა. მას შემდეგ ის გაღმაური ბიჭი აღარსად შეხვერდია. ვინ იცის, ცხოვრების მიმოქცევამ საით გაიტაცა იმისი ნავი.

უეცრად მოწოლილმა სევდამ სულითხორციანად დაიპყრო, სისხლი გაეყინა ძარღვებში, მოიქანცა და მოძაბუნდა. ამოიხვნეშა, პიჯაკი გაიძრო, წყალს მიადგა და სახეზე რამდენჯერმე შეისხა. ამ ცივმა წყალმა გაახალისა, აამჩატა. გრძელ, ჭაღარა წვერზე წურწურით ჩამომდინარი გულ-მკერდში ეღვრებოდა და მთელი სხეული სიამით უთრთოდა. ჯიბიდან

ცხვირსახოცი ამოიღო, კისერზე ფრთხილად მოისვა. იგრძნო, რომ ტანი საოცრად დაუმჩატდა, დაუმსუბუქდა. თითქოს წყალმა სასწაული მოახდინაო, ერთბაშად აჰყარა რამდენიმე ათეული წელი და სიყმაწვილის სამყაროში გადასტყორცნა. არც დაფიქრებულა, რას ვაკეთებო, მოზრდილი ქვა აიღო და ფერდობზე დააგორა. ქვა საზარელი ხმაურით დაეშვა ძირს, გადათქერა ჩალაგმულები, იელის ბუჩქები და სადღაც ხევში ძიძინა. მერე უფრო დიდი ქვა დააგორა, დაძაბული უსმენდა მის ხმას და ეს უზენაეს სიამოვნებას ანიჭებდა, საოცარ კმაყოფილებას გრძნობდა, თითქოს ყველაფრისაგან განიტვირთა და თავისი აქ გატარებული ბავშვობის დღეები დაიბრუნა. თითით სილაზე კატა დახატა, სპირიდონას მაგივრადაც დახატა. მეორე კი სწორედ ისეთი სასაცილო კატა გამოუვიდა, როგორსაც სპირიდონა ხატავდა ხოლმე. უეცრად სიცილი აუვარდა, ბავშვივით ხითხითებდა, გულიანად და უდარდელად. სიცილით გული რომ მოიჯერა, ისევ წყაროსთან მივიდა და დაეწაფა. ამ დროს სრულიად აშკარად შემოესმა თავისი ბავშვობის სახელი:

— სანდ-ალ!

სპირიდონა ეძახდა, აშკარად იმისი ხმა იყო.

ისევ დაეწაფა წყალს და ისევ მოეყურა თავისი სახელი. რა იყო ეს, მოჩვენება? თუ მართლა ეძახდა ვინმე? იქნებ სხვა სპირიდონა ეძახდა სხვა სანდალას?

მღელვარებისაგან ოფლმა დააცვარა.

ერთხანს კიდევ მიაყურა. არავითარი ხმა არსაიდან არ ისმოდა. და უცებ ეს სიჩუმე მისმა ხმამ გაბზარა.

— სპირიდო-ონ! ჰე, ჰეი, სპირიდო-ო-ონ! — დაიძახა და მყისვე გამოეხმაურა ექო: „ჰე-ჰეი, სპირიდო-ო-ონ!“

მერე ეს ექო მიწყდა და ირგვლივ კვლავ სიჩუმე გაბატონდა. ნელად მოწანწკარებდა წყარო, ცაში ქორი ბოინობდა და იმისი ჩრდილი უხმოდ მიცოცავდა მიწაზე. სხვა არაფერი, არსაით ხმა, არსით ძახილი.

უცებ სადღაც ახლოს მანქანის სიგნალი გაისმა, იგი სხვაგვარი სიცხადით შემოიჭრა ამ პირველყოფილ მდუმარებაში და მყისვე ალაგმა ეს წუთიერად გამოცხადებული ბავშვობის სანუკვარი სამყარო.

ბექა ჩორჩანელი

გზა მდინარე ჩორჩანის ხეობას მიუყვება. ნაზამთრ, ხანგრძლივად მიძინებულ ხეობაში მთელი თავისი სიკეკლუცით მოხეთქილა გაზაფხული. ახლად შეფოთლილი, მწვანედ ახასხასებული ტყე, გზის ნაპირებზე მოფენილი გვირილები და ვიწროდ დამხობილი გამქვირვალე ცა ერუანტელს ჰგვრის ბექა ჩორჩანელს.

უხმაუროდ მისრიალებს ვოლგა და ხანდახან, ალბათ, მოწყენილობისაგან, შოფერი მოკლე სიგნალით არღვევს ხეობაში ჩაწოლილ მყუდროებას.

ჩორჩანელი უხმოდ ზის მანქანაში, დიდრონი, აზროვნებითა თუ სევდით მიბნედილი თვალებით მისციებია ლურჯად ჩამუქებულ ქედებს და ეჩვენება, რომ ეს ქედები კი არა, ზღვის ვეება ტალღებია, რომელიც პოსეიდონმა წამიერ დაამუხრუჭა და გააქვავა.

— თქვით რამე? — ეკითხება შოფერი.

ჩორჩანელმა გაოცებით შეხედა.

— არაფერი. რა უნდა მეთქვა? — ბოხი ხმა ჰქონდა, ვაჟკაცური, თითქოს გამოქვაბულიდან ლომი ბუხუნებსო.

შოფერი გაჩერდა. ჩორჩანელი კი ისევ ფიქრს გაჰყვა.

„სიცოცხლე მართლა წვალებაა, მაგრამ სიკვდილს ცოტათი მაინც სჯობია, თუნდაც იმიტომ, რომ ამ სილამაზეს ველარ იხილავ, ოდეს თვალთა ჰვრეტანი წაგერთმის“.

თითქმის მეორე წელი იყო, რაც მშობლიური კუთხის მშრომელებსა და მესვეურებს ჩორჩანელთან შეხვედრა ეწადათ, მაგრამ პოეტი უარზე იდგა. ბოლო დროს ხალხის წინაშე ლექსების კითხვასა და ტაშს ვერ იტანდა, რადგან უმეტესობა ნახშირისაგან მჭადს ვერ არჩევდა და ყველას და ყველაფერს განურჩევლად უკრავდა ტაშს. ბოლოს მაინც, რის ვაივაგლახით დაიყოლიეს და ისე უწადინოდ გამოემგზავრა, თავის მეგობრებიდანაც კი არავინ იახლა.

ბექა ჩორჩანელი ორმოცდაათ წელს იყო გადაცილებული. ჯერ კიდევ ჭაბუკი წავიდა სოფლიდან ქალაქში, ვითარცა ბევრი სხვა, ბედისა და ასპარეზობის საძიებლად. წავიდა და იმ ძნელ დოღში ჩაება, უმეტესობას რომ ხელი ეცარება და მხოლოდ ერთეულებს გააქვთ ლელო. მისი გამოჩენისთანავე დი-

დი ხმაური ატყდა. ერთნი ურწმუნოდ უყურებდნენ და კრიტიკით მიწასთან ასწორებდნენ. მეორენი, გაცილებით უფრო მცირენი, დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.

ასეც უნდა ყოფილიყო, რამეთუ ჩორჩანელმა, როგორც ყველა ჭეშმარიტ ტალანტს სჩვევია, ერთი ხელის დაკვრით დაარღვია ლექსის დრომოჭმული ფორმა. როცა დახავსებულ, ყალბ და გაცვეთილ კრინში გაბედული აზრით აღჭურვილი მისი მჭექარე ხმა გაისმა. დიდებას ჩვეული, ძველ არტახებში მოქცეული მგოსნები ჯერ შეკრთნენ, ეუცხოვათ მისი ხმა, ხოლო მერე გაავებულებმა კილვა დაუწყეს, მაგრამ მოსახდენი მაინც მოხდა. ჩორჩანელს თაყვანისმცემლები უმრავლდებოდა. შური კი მძლავრობდა, გაავებით ყალყზე დგებოდა, იფაფრებოდა. უკანასკნელი გაბრძოლებით ცდილობდნენ როგორმე დაემტკიცებინათ, რომ მისი გზა არ იყო ჭეშმარიტი გზა პოეზიაში. უკანასკნელად მოიქნიეს ხმალი, მაგრამ საწადელს რომ ვერ მიაღწიეს, დაურჩდნენ, დაოკდნენ, საკუთარ ნიჟარებში შეძვრნენ. შური ახლა ფეხაკრეფით დადიოდა, რამეთუ ჯერ შურზე მაღლა ვერ აღწეულიყო პოეტი და ბევრი ისევ მეტოქედ სახავდა.

ვიდოდა წლები და ვიდრე ჩორჩანელი ნახევარ საუკუნეს გადააბიჯებდა, შურზე მაღლა დადგა, საერთო აღიარება მოიპოვა.

ყველაზე გვიან კი მაინც თავის სოფელ-კუთხეში ირწმუნეს მისი სიდიადე. პროვინციიდან ეჭვით უყურებდნენ მის წარმატებას და დამცინავი ღიმილით ჭუტავდნენ თვალებს. მეტადრე ჩორჩანელის სიყრმის მეგობრები მუყაითობდნენ, ისინი, ვინც ჩორჩანელივით ქალაქში გაიხიზნენ ბედისა თუ დიდების საძიებლად. არ უნდოდათ ერწმუნათ, რომ მათ გვერდით გაზრდილი კაცი, იმათსავით ჩვეულებრივი მოკვდავი, ესოდენ მაღლა, უკვდავებამდე ატყორცნილიყო, რამეთუ ხორცი ამძიმებდა პოეტს. ბოლოს ისე მოიქცნენ, როგორც ყველა სულმდაბალი მოკვდავი იქცევა. ჩორჩანელს მიეტმასნენ, ძაღლის ერთგულება და სიყვარული გამოუცხადეს, კერპად სახავღნენ და მისი ახლო მეგობრობით იყინჩებოდნენ.

— რომელი საათია? — იკითხა ჩორჩანელმა.

შოფერმა მანქანას სიჩქარე შეუცვალა და მაჯის საათს დახედა.

— სამი ხდება, ბატონო ბექა!

— სამი? — მაღალ, ფართო შუბლზე წარბი აჰყარა და თვალები გაუფართოვდა, — დავაგვიანეთ.

როგორც პროგრამაში იყო ნაჩვენები, პირველი ღონისძიება სამ საათზე იწყებოდა, ჩორჩანელი კი მთელ ნახევარ საათს იგვიანებდა. მანქანამ სიჩქარეს მოუმატა, ღრჭიალებდა საბურავები მოსახვევებში. აგერ უღელტეხილიც გადაიარეს და ფერდობებზე მიმოფანტული სოფლებიც გამოჩნდა, რაც ესოდენ მახლობელი და ერუანტელის მომგვრელი იყო პოეტისათვის.

ვოლგა მოსახვევს გასცილდა და სიჩქარე ერთბაშად დააგდო.

— აუჰ! — შეიცხადა შოფერმა.

მიცვალებულს მოასვენებდნენ. თითქმის ნახევარ კილომეტრზე გაჭიმულიყო პროცესია და მთელი გზა დაეხაფრა.

— ეტყობა, ახალგაზრდაა. — დაასკვნა შოფერმა.

— რაზე ატყობ?

— ბევრი ხალხია, სასაფლაო შორს არის?

— საკმაოდ. ათიოდე წუთს კიდევ დავაგვიანებთ. რას იზამ, მოჩქარეს მოუგვიანდესო. ერთი ფეხით რომ ადრე გვევლო, ამ პროცესიას გავასწრებდით.

მანქანა ნელა მიჰყვებოდა პროცესიას. საოცარი დუმილი იდგა. მარტო ადამიანების ფეხის ხმა ისმოდა. ყველაზე უკან ხანში შესულები და დავრდომილები მიდიოდნენ. რამდენიმემ ცნობისმოყვარეობით მოიხედა და მანქანაში მჯდომთ დააკვირდა.

— უხერხულია. გააჩერე. — უთხრა ბექამ შოფერს.

შოფერმა მანქანა გზის ნაპირზე გადააყენა და მოტორი გამორთო.

ჩორჩანელი უხმოდ მისჩერებოდა მდუმარე სახეებით მოზოზინე ხალხს.

„ესენი ხვალ და ზეგ ამ გზაზე ისევე გაივლიან, როგორც ახლა ის მიცვალებული მიჰყავთ, — ფიქრობდა ჩორჩანელი, — საფლავის რიგში დგანან ესენიც და ადრე თუ გვიან მოუწევთ რიგი“.

მიცვალებული ორმოცდაშვიდი წლის ქალი იყო. ორი შვილის დედა. თბილისში ცხოვრობდა. ღარიბი იყო, მაგრამ თავს

ბედნიერად გრძნობდა, რადგან იცოდა, რომ უფრო გაჭირვებულები და უფრო ღარიბებიც იყვნენ ამ ქვეყანაზე. წიგნების კითხვა უყვარდა ქალს, ბევრს კითხულობდა და ბოლოს ისე გაიწაფა, უშეცდომოდ არჩევდა ლიტერატურაში ავსა და კარგს. ქართულ პოეზიაში ჩორჩანელის ლექსებს აღმერთებდა. მტკიცედ სწამდა, რომ მეოცე საუკუნეში მისი ბადალი არავინ იყო. ღრმა აზრით, სისხარტითა და ცხოვრების სიმართლით აოცებდა ჩორჩანელის ლექსები. თითქმის ყოველდღე კითხულობდა და ბევრი ლექსიც ზეპირად იცოდა. გაჭირვებისა და დალხინების ჟამს უნებურად გაახსენდებოდა ხოლმე რომელიმე მათგანი.

ქალი უცებ გახდა ავად. მკერდზე სიმსივნე გამოაჩნდა და რამდენიმე თვეში მოიდნო. თავიდან ქალს სიკვდილის შიში არ უგრძვნია, მაგრამ როცა სიკვდილმა შიგ თვალებში ჩახედა, მაშინ შეიგრძნო მისი საზარლობა, მაშინ მიხვდა, რომ ველარასოდეს დაინახავდა, გაზაფხულზე მიწიდან როგორ ამოხეთქავდა მწვანე ბალახი, როგორ დასკდებოდა კვირტები ხეებზე და როგორ გადაიპენტებოდა ყვავილი.

იმ მძიმე ჟამსაც, სიკვდილის მოლოდინის ჟამს, ჩორჩანელის ლექსებს იგონებდა ქალი და ხმამაღლა, სევდიანი ხმით ამბობდა: „მე მინდა სიკვდილს სიმღერა წავაფარო, ამაოდ ვშვრები, თვალებს ახელს სასაფლაო, ხორცს იხვეწებიან ძვლები“...

ქალმა ანდერძად დაიბარა სოფელში წაესვენებინათ და იქ, სასაფლაოზე, სადაც სამი ნაძვი იდგა, იმის სიახლოვეს დაემარხათ და კიდევ, ჩორჩანელის ლექსების წიგნი ჩაეყოლებინათ საფლავში.

და აგერ, გაზაფხულის ამ ულამაზეს დღეს სწორედ სოფელში იკრძალებოდა ქალი და თან ჩორჩანელის წიგნი მიჰქონდა საუკუნო საგზლად. სასაფლაო ტყის პირას მდებარე, სიმწვანეში ჩაფლულ ზღაპარივით ლამაზ გორაზე იყო.

პროცესიამ მთავარი გზიდან გადაუხვია და აღმართს შეჰყვა. როგორც კი გზა განთავისუფლდა, შოფერმა მანქანა დასძრა და სიჩქარეს უმატა, რათა დაკარგული დრო აენაზღაურებინა, გზაზე მიმოფანტულ წითელ მიხაკებს საბურავები მუსრავდა.

ჩორჩანელმა ერთი შეხედა აღმართზე ამავალ პროცესიას

და მერე გზას მიაცივდა თვალებით. მან არ იცოდა, რომ ამ წუთას იმარხებოდა მისი სულის ყველაზე ახლობელი ადამიანი, მისი სულის დიდი ნაწილი. მან მხოლოდ ის იცოდა, რომ შეხვედრაზე აგვიანდებოდა და შოფერს აჩქარებდა.

ორმოცდაშვიდი წლის ქალის კუბო კი ნელ-ნელა უახლოვდებოდა გორას, სადაც თვალივით გახელილი საფლავი ელოდებოდა.

საკვირაო გასეირნება

მშვენიერ ქალიშვილს, ია ქიბროწაშვილს

მინდვრის ბატონის ასულო, ისეთი ლამაზი და ისეთი მსუბუქი ხარ, რომ შენნაირს ვერც ნახავს კაცის თვალი და ვერც ინატრებს. თავზე ჩიქილა გახურავს, ყვავილიდან ყვავილზე დახტიხარ, შენი საკმელი ყვავილთა მტვერია და შენი სასმელი კიდევ მათი წვენი. შემოჯდები ერთ ყვავილზე, შემოიდებ ფეხს და იწყებ ტიკტიკს. სინაზე ვარდისათვის წაგირთმევია და ენა ბულბულისათვის...

იამზე დიდი სარკის წინ იდგა და უკან გადავარცხნილ თმას ბაფთით იმაგრებდა. ყურადღებით დააკვირდა თავის ორეულს და უცებ გაშეშდა. სწორედ ახლა, ამ წუთში, მთელი არსებით შეიცნო საკუთარი სილამაზე. ნაწვიმარზე მზე რომ გამოანათებს და ჯერ ისევ სველი ჟოლო ბრწყინავს, სწორედ ისე უბრწყინავდა ნუკრივით უწყინარი თვალები. შავი, ხავერდივით რბილი თმა მეტ ელვარებას აძლევდა ოდნავ შეფაკლულ თეთრყირმიზა სახეს. ტუჩები ზომიერად ამობურცოდა. თოთო, ქათქათა მკერდი ოდნავ უფეთქავდა და გახსნილი საკინძიდან ამოვარდნას ლამობდა. ტანი სხარტი ჰქონდა, გატყორცნილი ისარივით სწორი და გაწვართული.

გოგონამ საკინძე შეიკრა, გვერდით შებრუნდა, ერთხელ კიდევ შეავლო თვალი თავის ტანს და სარკეს მოსცილდა. გაახსენდა, დილაუთენია, ძილბურანში მყოფს, დედა რომ ჩასჩიჩინებდა:

— არ დაგავიწყდეს, შვილო, დღეს ათ საათზე ცურვაზე წახვალ, თერთმეტზე — ინგლისური ენის მასწავლებელთან, მე-

რე ბებიასთან გაივლი და მუსიკაში გამეცადინებს. ჩვენ სოფელში მივდივართ, აბა, შენ იცი!

მეშვიდეკლასელი იამზე სამუსიკო სკოლაში მესამე კლასში იყო. ცურვაზეც დადიოდა და ინგლისური ენის გაკვეთილებზეც. მშობლების გარდა, გოგონას მკაცრ ზედამხედველობას უწევდნენ ბებია და დეიდები, რათა არ ეცუღლუტა და რომელიმე გაკვეთილი არ გაეცდინა..

იამზეს ბავშვობა სიზმარს გაჰყვა. სკოლიდან დაბრუნებული გაკვეთილებს ჩაუჯდებოდა, მერე ცოტას შეისვენებდა და ფორტეპიანოს კლავიშებთან ერთად ისმოდა მისი ნაზი, მთრთოლვარე ხმა: დო, რე, მი, ფა... დაწვებოდა და მძინარეს აბოდებდა: იონური დო, მიქსოლოდიური დო, იონური ფა...

ასე გადიოდა წლები. ახლობლები ზედამხედველობას ერთი წამითაც არ ანელებდნენ. აი, ამ დილითაც ბებიამ დაურეკა და შეახსენა, ცურვაზე და უცხო ენის მასწავლებელთან წასვლა არ დაგავიწყდესო. არა, არ დავიწყებია იამზეს თავისი მოვალეობა, ცხრა საათზე ადგა, ინგლისურშიც წაიმეცადინა, მუსიკაშიც და წასასვლელად გაემზადა. ფორტეპიანოსთან, კედელზე, ჩარჩოში ჩასმული ნახატი ეკიდა. რომელიღაც ციხე-სიმაგრესთან სისხლისმღვრელი ბრძოლა იყო გაჩაღებული. ყალყზე შემდგარი ცხენები ლაშებიდან ცეცხლს აფრქვევდნენ, თავმოკვეთილი ყიზილბაში ჩვარივით ეკიდა უნაგირზე. გოგონამ სურათს თვალი მოარიდა და ფანჯარასთან მივიდა, ვეება ფანჯარა, ხეხილითა და ყვავილებით დაბურულ ბაღს რომ მიბჯენოდა, გაზაფხულის სურნელს იწოვდა და სახლიდან გარეთ გიზიდავდა. აყვავებული იასამნები ოთახში შემოჭრას ლამობდნენ, რომელიღაც ჩიტი თავგამოდებით გალობდა, ბაღის მიღმა მთავარი ქუჩა გადიოდა, ქუჩა არ ჩანდა, მაგრამ ისმოდა, ზედიზედ მიმავალი მსუბუქი მანქანების ძრავები როგორ სისინებდნენ. კვირა დღე იყო და მთელი ზამთრის განმავლობაში შინ ყოფნით მობეზრებული ადამიანები თავდავიწყებით მიილტვოდნენ გაზაფხულის ულამაზეს წიაღში.

იამზემ გაიფიქრა, ფანჯარა აღარ დაეკეტა, ჩანთა აიღო და სახლიდან გავიდა.

ქუჩაში გასვლისთანავე ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თი-

თქოს ახალ, თავისუფალ სამყაროში მოხვდაო. ეს სამყარო ერიამულს მოეცვა, დიდი და პატარა ქუჩებსა და ეზოებში გამოშლილიყო.

ქალაქი დიდი არ იყო, მაგრამ გოგონა მაინც კარგად არ იცნობდა აქაურობას. ის რამდენიმე ისტორიული ძეგლიც, რითაც აქაურები ამაყობდნენ და რის სანახავადაც ძალზე შორიდან მოდიოდნენ ადამიანები, გოგონას ან სულაც არ ენახა, ანდა, უბრალოდ, შორიდან თუ შეევლო თვალი.

კვირაში სამჯერ ცურვაზე და უცხო ენის მასწავლებელთან ავტობუსით მიდიოდა, რომელსაც ეწერა: რკ. სადგური — ჩორჩანი. მეხუთე გაჩერებაზე ჩამოდიოდა, საცურაო აუზთან. იქვე, გვერდით მდებარე ქუჩაზე, სულ თხუთმეტიოდე წუთის სავალზე, ცხოვრობდა ინგლისური ენის მასწავლებელიც. იმავე ავტობუსს მიჰყვებოდა უკან. მისმა მახლობლებმა ზუსტად იცოდნენ, რომელ საათზე უნდა დაბრუნებულიყო გოგონა. ბრასოდეს აგვიანებდა. მანქანასავით უსიტყვოდ და ზუსტად ასრულებდა უფროსების ნება-სურვილს.

ქუჩაში გამოშლილი ხალხი რომ დაინახა, სინანულმა დაუწურა გული, საკუთარი თავი შეებრალა. რა ბედნიერი იყო ეს ხალხი, ისინი არც ცურვაზე მიდიოდნენ და არც უცხო ენაზე. თავისუფლები იყვნენ და ტკბებოდნენ გაზაფხულის სილამაზით. რა მოხდება, თუ იამზე გაკვეთილებს გააცდენს? ამის გაფიქრება იყო, და თვალწინ დაუდგა აღშფოთებული მშობლები თუ ნათესავები...

ავტობუსის გაჩერებაზე სამი მგზავრი ადგა. ხანში შესული დარბაისელი მამაკაცი და ახალგაზრდა ქალ-ვაჟი. ქალიშვილი მხარზე მიხუტებოდა ვაჟს, თვალებში შესციცინებდა და გაზაფხულივით კეკლუც, ლამაზ სახეზე ბედნიერება ეხატა.

ავტობუსში შესვლისთანავე მიხვდა, რომ იქ რაღაც უჩვეულო ხდებოდა. მხიარული განწყობილება სუფევდა. მგზავრები იღიმებოდნენ, იღიმებოდა კონდუქტორიც და გაოცებით აქნევდა თავს.

— გაიმეორეთ, ქალბატონო, ერთხელ კიდევ გაიმეორეთ! — მგზავრებიდან ვიღაც შეეკითხა კონდუქტორს. ქალმა მორცხვად გაიღიმა, ისევ გადააქნია თავი და ხმამაღლა დაიძახა:

— ბილეთები, ბილეთები შეიძინეთ!

და იმავე წამს გაისმა მწიკვინა, გამყინავი ხმა:

— ბილეთები შეიძინეთ, ბილეთები შეიძინეთ!

ხალხმა სიცილი ატეხა. იამზემ იქით გაიხედა, საიდანაც ეს ხმა ისმოდა. წინა სკამზე თმაგაბუებული, შავტუხა ბიჭი იჯდა და დიდი ჩიტი ეჭირა ხელში. ყველა იმ ფრინველს მისჩერებოდა. თუთიყუშს ყვითელი ფრთები აეწურა, აბურძგნული თავი შიგ ჩაერგო და ისე გაყურსულიყო, თითქოს ხალხის გაოცებას აინუნშიც არ აგდებსო.

— დედა, რა ზუსტად იმეორებს! — გაოცებით ამბობდა სქელი, ქერათმიანი მანდილოსანი.

— ენა აქვს აცრილი, ქალბატონო! — ცოდნა გამოუმეღავნა მანდილოსანს შუახნის სახეღაჟღაჟა კაცმა.

იამზე წინ წადგა, რათა უფრო კარგად დაენახა ეს საოცარი ფრინველი, ადამიანივით რომ მეტყველებდა. ო, რა ბედნიერი იქნებოდა, ასეთი ფრინველი რომ ჰყოლოდა სახლში.

ავტობუსში ისევ დუმილი ჩამოვარდა. შემდეგ გაჩერებაზე არც არავინ ჩასულა, არც არავინ ამოსულა. მძღოლმა მუსიკა ჩართო და მყისვე გაისმა ქალის ნაზი ხმა:

შეხთვის ძღერის ძხოლოდ
ოგი ოადონი,
რისთვის დადის ქვეყანაზე
სიყვარული...

იამზე ავტობუსის ფანჯარას მიაცივდა. ქუჩაში ზედიზედ მიჰქროდნენ ახლად გაფოთლილი ხეები, მწვანით შემოსილი ღობეები, თეთრად და იისფრად აყვავებული იასამნები. ეს ყველაფერი იმდენად ლამაზი და მომხიბლავი იყო, გულაძგერებული გოგონა თვალს ვეღარ აცილებდა ამ უცაბედად აღმოჩენილ მშვენიერებას და ნატრობდა, დაუსრულებლად ექროლა ავტობუსის ამ ზღაპრულ სამყაროში. მდინარე თორთლა ადიდებულიყო, მღვრიე ტალღებს მოაგორებდა. ეს მდინარე ფურტკალოს მთიდან იღებდა სათავეს. ქალაქის განაპირას, სწორედ ამ მთის კალთაზე იყო გაშენებული ჩორჩანის ბაღი, სადაც ახლა ეს ავტობუსი მიდიოდა: ქალაქის სიამაყე გახლდათ ჩორჩანი. ზაფხულობით, გაგანია სიცხეში, მთელი ქალაქი იქ იყრიდა თავს. მაღალი მთიდან მონაბერ სუფთა ჰაერს ეწაფებოდნენ და შუაღამემდე სეირნობდნენ. პატარაო-

ბისას, ზაფხულობით, იამზეც მოჰყავდათ ამ ბაღში მშობლებს. ჭრიალაზე ან საქანელაზე აქანავებდნენ და უცნობი შიშით შეჰყურებდნენ სიბნელეში ლანდივით აყუდებულ ფურტკალოს მთას.

ჩორჩანის ბაღის ზემოთ, მთის კალთაზე, დიდი ციხე-სიმაგრე გაბოტილიყო. ის ციხე ახლოდან არასოდეს უნახავს იამზეს და ამის სურვილი არც გასჩენია. მერე, როცა წამოიზარდა და წიგნებიდან ამ ციხეში გამართული ბრძოლების ამბავი მოისმინა, წადილმა შეიპყრო ასულიყო და ახლოს ენახა ეს პირქუში ნანგრევები, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხა.

— ჩადის ვინმე? — იკითხა მძღოლმა და სარკიდან გამოხედა მგზავრებს. იამზე შეტოკდა, ჩავიდეს თუ არ ჩავიდეს, ჩავიდეს თუ არა?

ამასობაში ავტობუსი გაჩერებას გასცდა, სწრაფად მიჰქროდა მხიარული მუსიკის ხმაში.

ქალაქის ჭიპი უკვე გათავდა და განაპირა უბნები დაიწყო, უფრო და უფრო გახშირდა სიმწვანეში ჩაფლული ბაღ-ბოსტნები.

თითქოს დედამიწიდან აიყალყაო, ისე უცებ გამოჩდა ფურტკალოს მთა. მის კალთაზე მთვლემარე ბებერი ციხეცა და ჩორჩანის ბაღიც. ავტობუსმა პატარა მოედანს წრე დაარტყა და ბაღის ჭიშკართან გაჩერდა. მანქანა ხალხისგან იცლებოდა. მაღალ ბოძზე მიმაგრებული რადიოდან ტკბილად იღვრებოდა ერუანტელის მომგვრელი ჰანგები. ბზრიალებდნენ ბავშვებით დახუნძლული კარუსელები. ბაღში ხალხის ტევა არ იყო, გაზაფხულის ამ კვირა დღეს თითქმის მთელი ქალაქი აქ მოსულიყო.

იამზე ხალხის ნაკადს გაჰყვა, მაგრამ ისინი უცებ შემოეფანტნენ, სხვადასხვა მხარეს წავიდნენ. მუქლურჯად ბიბინებდა ფეხდაუკარებელი ბალახი და ამ სილურჯეში ალაგ ყვითლად ბრწყინავდა ცხვირსატეხელები, ალაგ კი მატიტელები იწონებდნენ თავს. ჭადრებისა და ალვის ხეთა მწვანე, ხასხასა ფოთლები ოდნავ შრიალებდნენ და, საერთოდ, აქაურობა ისეთი მომხიბლავი იყო, როგორც სიყრმის სიზმარი. მაგრამ იამზე ბაღში არ გაჩერებულა, ბებერი ციხისაკენ აიღო გეზი, დღეს მაინც უნდა ასულიყო იქ და ენახა ბრძოლებგადანახული ციხე. გოგონამ უკან მოიტოვა ბაღიცა და იქ მოჟრიამულე ხა-

ლხიც, ცერად მიმავალ ბილიკს დაადგა და ფურტკალოს მთის ფერდობს შეჰყვა. პატარ-პატარა ბუჩქები მიმობნეულიყო ფერდობზე. მარჯვნივ ტყიანი გორა იყო, ხოლო მარცხნივ, ხევში, მდინარე თორთლა ჩამოჩხრიალებდა. ჭახჭახითა და ფრენა-ფრენით ინაცვლებდნენ შაშვები ბუჩქიდან ბუჩქში. სურო ბალახი მოსდებოდა ფერდობს და იმ ბალახში აქა-იქ ნაკვერჩხალივით გაღუებული ყაყაჩოები ისე ეკეკლუცებოდნენ, გოგონამ ცდუნებას ვეღარ გაუძლო და ბილიკიდან გადაუხვია. თითქოს ხელს უქნევდნენ ყაყაჩოები, თავისკენ უხმობდნენ უფრო ლამაზები, შავხალიანები, და გოგონაც ერთი ადგილიდან მეორეზე ინაცვლებდა, ყაყაჩოებს მისდევდა კრეფა-კრეფით. როცა გული იჯერა, მოიხედა, ციხისკენ მიმავალ ბილიკს კარგა მანძილით დასცილებოდა.

საოცარი სურათი გადაშლოდა თვალწინ. მაღლიდან დაჰყურებდა თავის მშობლიურ ქალაქს, ერთმანეთზე მიწყობილ სახლებს და უცებ იგრძნო, რა პატარა იყო ამ ვეება ცის ქვეშ ეს ქალაქი. უფრო შორს კი, დაბლობზე, ვერცხლისფერ ზოლად მიიკლაკნებოდა მდინარე ჩორჩანი. მდინარის ირგვლივ მიმოფანტულიყო სოფლები და მზის შუქზე თეთრად ბრჭყვიალებდა თუნუქის სახურავები. ჭიანჭველებივით მიბობღავდნენ გზაზე ავტომანქანები, გოგონას ასეთი სურათი არც ენახა და ვერც წარმოედგინა. მისთვის ეს ყველაფერი აღმოჩენა იყო. როცა დაბლობს თვალი მოაცილა და ზევით აიხედა, უარესად გაოცდა. თითქმის თავზე გადმომხობოდა სულ სხვა ციხე, ვეება, შიშისა თუ კრძალვის მომგვრელი. შორიდან ის ხომ სულ სხვანაირი ჩანდა, მცირე და სიბრალულის აღმძვრელი!

იამზემ შიშს სძლია და ციხეს მიუახლოვდა. ირგვლივ ჭაჭანება არ იყო. მარადიული დუმილით დუმდნენ ჩამორღვეული გოდოლები. გოდოლებშუა გაიარა და მთავარ ციხეში შევიდა. ბალახი და შამბი მოსდებოდა იქაურობას. სუნთქვაშეკრული ათვალიერებდა ციხის სქელ, აქა-იქ ჩამოშლილ კედლებს, მორყეულ ლოდებს, ვიწრო სათოფურებს და რატომღაც ეგონა, რომ სადაც იყო ატყდებოდა ბრძოლის ყიჟინა და ამ დანაღმულ სიჩუმეს გახლეჩავდა. მაგრამ არა, დიდი ხნის წინათ ჩამქრალ ყიჟინას აღარაფერი არღვევდა.

ციხიდან გამოვიდა, გოდოლთან შეჩერდა და ისევ ძირს გაშლილ დაბლობს გადახედა. ხელის გულზე ედო ეს პატარა

ქალაქი და ჩორჩანის ველი, თავის სოფლებიანად თუ ბაღვენახებიანად.

მერე ციხისკენ ამომავალ ბილიკებს ამოაყოლა თვალი. ალბათ ოთხივ მხრივ ამ ბილიკებით ამოდიოდა მტერი და ციხეში შეხიზნულებს ერკინებოდა. თვალწინ დაუდგა დაცემული ციხე, შიგ შეხიზნული ქალებისა და ბავშვების გოდება. რა იქნებოდა, იამზეს იმ დროს რომ ეცხოვრა?.. ხმლის ხმარებაც ეცოდინებოდა და ცხენზე ჯდომაც. ო, რა ბედნიერი იქნებოდა, იმ დროს რომ დაბადებულიყო და თანამედროვე რამდენიმე ქვემეხი ჰქონოდა, თუნდაც სამად სამი ცალი. თავის მეგობრებს ამოიყენებდა მხარში და როცა მეციხოვნეებს ძალიან გაუჭირდებოდათ, მაშინ დასცემდა მტერს ყიჟინას, მუსრს გაავლებდა. ცხადზე უფრო უცხადესად წარმოიდგინა ზარბაზნებისაგან დამფრთხალი მტერი, მათი დაზაფრული სახეები და შემზარავი კივილი... უეცრად ცხენის ჭიხვინი და ფლოქვების თქარათქური შემოესმა. რა იყო ეს, მოჩვენება თუ სიზმარი? გოგონა ოცნებიდან გამოერკვა, გაყუჩდა, სმენა დაძაბა და ამჯერად უფრო ცხადად გაიგონა ფლოქვების თქარუნი. შიშმა აიტანა, თვალებს არ უჯერებდა, მთლად თეთრ ცხენზე, თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი ჭაბუკი ამხედრებულიყო და ქვემოთ, ჩორჩანისაკენ მიჰქროდა, იამზემ თვალები მოიფშვნიტა. არა, ეს მოჩვენება არ იყო. ცხენიც ცხადლივ იხილა და მხედარიც, გარკვევით ხედავდა, თხუთმეტიოდე წლის ჭაბუკი ცხენის კისერს გაჰკვროდა, და გოგონას არც აშჩნევდა. საიდან გაჩნდა ეს მხედარი აქ, საიდან მოვიდა და ან სად მიდიოდა?

იამზე თავქვე დაეშვა, თითქოს უნდოდა იმ ცხენოსანს დასდევნებოდა, მაგრამ სულ მალე ცხენიც თვალს მიეფარა და მხედარიც.

ოთხი საათი იქნებოდა, როცა ავტობუსში ავიდა. ბებიასთან გავლას აზრი აღარ ჰქონდა, პირველ საათამდე ელოდებოდა ბებია. მერე შინ არც გაჩერდებოდა. ჩორჩანის ბაღი ისე გამოიარა, იქ მოკრიამულე ხალხს ყურადღება არც მიაქცია, დღევანდელი დღის შთაბეჭდილებით იყო შეპოკილი. მაინც რა საოცრად ლამაზი დღე იყო, ისე ეჩვენებოდა, თითქოს

წყვდიადში მყოფმა ახლაღა აახილა თვალები და პირველად იხილა აქამდე უცხო, ესოდენ ლამაზი სამყარო.

მართალია, ცურვაც გააცდინა, ინგლისური ენის გაკვეთილიც, ვერც ბებიასთან გაიარა მუსიკაში სამეცადინოდ, მაგრამ სამაგიეროდ რამდენი რამ ნახა, როგორ გააკვირვებს მშობლებს, ახლობლებს და მეგობრებს, როცა დღევანდელ თავგადასავალს უამბობს, როცა ეტყვის, ავტობუსში ადამიანივით როგორ ლაპარაკობდა ჩიტი, რამდენი ყაყაჩო ნახა ფურტკალოს მთის ფერდობზე და ბოლოს ის უცნობი და უცნაური მხედარი... ნეტავ საიდან გაჩნდა და ან სად მიდიოდა?

ასე ფიქრობდა გოგონა, ასეთი ვარაუდით ბრუნდებოდა შინ და არ იცოდა და ვერც წარმოედგინა, მისი თვალებით ნახული ეს ლამაზი სამყარო და ლამაზი დღე რამდენად გასაგები იქნებოდა თავისიანებისათვის. გულმა მაშინღა უგრძნო ავი, როცა სახლის კარი შეაღო და დარბაზში, მაგიდასთან შემოჯარული, პირგამეხებული შინაურები დაინახა. ზოგი ფეხზე იდგა, ზოგი იჯდა. ხმამაღლა კამათობდნენ და დავობდნენ. გაიღო თუ არა კარი, ყველა გაჩუმდა, ჯერ ერთმანეთს გადახედეს, მერე კი რამდენიმე წყვილი თვალი შუბის წვერივით მიებჯინა გოგონას. აი, მაშინღა მიხვდა, რომ რაღაც უკადრისი და აკრძალული ჩაიდინა. ადგილზე გაშეშდა, ცალი ხელი, რომელშიც ყაყაჩოები ეჭირა, მოცელილივით ჩამოუვარდა. სწრაფად ჩამოათვალიერა იქ მყოფნი: ბებია, დალი დეიდა, დედა, უკვე სოფლიდან რომ ჩამოსულიყო და თვით ინგლისურის მასწავლებელი, ქალბატონი ჟარმენა. მამა არა ჩანდა, შესაძლოა ჩემს საძებნად წავიდა ქალაქშიო, და ამის გაფიქრებაზე გოგონას მთელი ტანი დაესუსხა.

დუმილი უფრო დაიძაბა. კამარაშეკრული ნახტომისათვის ემზადებოდა და აგერ, პირველი ნახტომიც, პირველი მეხის გავარდნა.

— აბა, გვიბრძანე, სადა ბრძანდებოდი, მიწადასაყრელო!— დალოცა დედამ და დოინჯი შემოიყარა. დანარჩენები ჯერ ხმას არ იღებდნენ. ზოგი დამცინავი ღიმილით მისჩერებოდა, ზოგი სიბრალულით. იამზემ დედას შეხედა და უცებ ის თვალები იცნო, დილას სარკეში რომ ნახა, სველი, ჟოლოსავით მოციმციმე შავი თვალები. ტუჩებიც ასეთივე ჰქონდა, ამობურცული და დადრეკილი.

ამ დროს ტელეფონის ზარმა დაიწკრიალა, ყურმილი დედამ აიღო და სხვებმაც იქით გადაიტანეს მზერა.

„სამი ქვემეხი... თავის მეგობრებს ამოიყენებს გვერდში და თავზარს დასცემს მტერს, მეციხოვნეებს გადაარჩენდა... ნეტავ ის მხედარი საიდან გაჩნდა და ან სად მიდიოდა?..“

— შარლოტა ხარ? — ტელეფონში ეკითხებოდა დედა. შარლოტა იამზეს შინაბერა დეიდა იყო, — კი, მობრძანდა ქალბატონი, აბა, რა ვიცი, არაფერს ამბობს... გააცდინა, ცურვაც გააცდინა და ინგლისურიც... ქალბატონი ჟარმენა აქ არის. დაურეკე მამიდამისს, მობრძანდეს და თვითონ ჰკითხოს, სადა ბრძანდებოდა მაგის საყვარელი ძმისშვილი. კეთილი... გელოდები.

ტელეფონმა ცოტაოდენ გაფანტა დაძაბულობა. დედამ ყურმილი დადო და იქ მყოფთ მოავლო თვალი.

— არა მჯერა, თუ იამზე გაკვეთილებს გააცდენდაო. ასე უბრძანებია მამიდამისს. სასწაული! — მერე ისევ იამზეს მიუბრუნდა, — სად ეგდე, არ იტყვი? რად გააცდინე გაკვეთილები, რა პასუხი გავცე მასწავლებელს?

იამზე დუმდა. ვერ გადაეწყვიტა, ეთქვა თუ არა, სად იყო, რა ნახა. ანდა ჰქონდა კი აზრი ამის თქმას? გაუგებდა ვინმე? და უცებ მიხვდა, რომ იგი ამ წუთას რაღაც უხილავი კედლით იყო გამოყოფილი ყველა იქ მყოფთაგან.

დუმილი აუტანელი გახდა.

— ხმასაც რომ არ იღებს ეს სამიწე? — მოთმინება დაკარგა დედამ.

ისევ ბებიამ გამოიდო თავი. შვილიშვილს მიუახლოვდა, ალერსით დაადო თავზე ხელი და დაუყვავა.

— თქვი, შვილო, რათ გააცდინე, იქნებ მართლაც რამე საპატიო მიზეზი გქონდა?

გოგონა ისევ ჯიუტად დუმდა.

— ეს ყაყაჩოები ვიღამ მოგცა? — უფრო დაუტკბა ბებია.

გოგონას ახლა კი აუჩუყდა გული, თავი ჩაჰკიდა და ამოისლუკუნა:

— ფურტკალოზე დავკრიფე, ციხესთან...

— დედუუ! — ლოყაზე ხელი იტკიცა ბებიამ და იქ მყოფთ გადახედა, — რა გინდოდა, გოგო, იქ, მარტო იყავი?

იამზემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— ტყუის. მარტო როგორ წავიდოდა იქ? — ეჭვი შეიტანა დედამ.

— მერედა მაგისთვის გააცდინე მეცადინეობა? — ეს ქალბატონ ჟარმენას ბოხი, მამაკაცური ხმა იყო.

— სხვა დროს თუ გაუცდენია გაკვეთილი? — გაურკვეველი მისამართით იკითხა დალი დეიდამ.

— სხვა დროს არა, მაგრამ რაკი დღეს გატეხა ნავსი, მერეც გააცდენს, ბატონო! — ბეჭედი დაუსვა დედამ.

— სხვისგან არ გამიკვირდებოდა, მაგრამ იამზესგან მოულოდნელია ასეთი საქციელი. — ხელები გაასავსავა ქალბატონმა ჟარმენამ, — ყოვლად წესიერი გოგოა, არასოდეს გაუცდენია.

ამ დროს გარედან ხმაური შემოიჭრა.

— არა, მაინც არა მჯერა, რომ უმიზეზოდ გააცდენდა! — ეს თამრო მამიდას ხმა იყო. გოგონას ძალიან უყვარდა მამიდა და ახლა მის ხმაზე უარესად აუჩუყდა გული, სლუკუნი დაიწყო.

ერთადერთი მამიდა თუ გაუგებდა ხვაშიადს. მამიდას შარლოტა დეიდა მოჰყვებოდა უკან.

— ჰკითხე ერთი, სადა ბრძანდებოდა შენი ძმისწული. რისთვის გააცდინა ცურვა, ინგლისური, მუსიკა!..

— კიდევ ვერ დამიჯერებია იამზესგან ასეთი საქციელი. უსათუოდ საპატიო მიზეზი იყო! — ჯიუტობდა მამიდა.

დედამ გამქირდავად გაიღიმა, თეძოზე ხელი შემოირტყა გაოცების ნიშნად და დანარჩენებს გადახედა, ვითომდა, ასეთი გაუგებარი ადამიანი თუ გინახავთო.

— პირობა დადოს, რომ ასეთ რამეს აღარ გაიმეორებს. — მოწყალებასავით ისროლა ქალბატონმა ჟარმენამ.

— ეს ერთი ვაპატიოთ, ხომ არ მოვკლავთ! — ეს დალი დეიდას ხმა იყო.

დანარჩენები დუმდნენ, მაგრამ ეტყობოდათ, ისინიც ამ აზრზე იდგნენ, განაჩენს ეთანხმებოდნენ.

იამზემ თავი ჩაღუნა. თვალწინ ედგა დღევანდელი ლამაზი დღე, ფურტკალოს მთის ფერდობზე გაფანტული ყაყაჩოები, ჩორჩანის ველზე მიმობნეული ჩაყუჩებული სახლები და ამწვანებული ბაღ-ვენახები, თუთიყუში, ციხეში გამეფებული დუმილი. აგერ სამივე ზარბაზანი ქუხს და მტერი თავქუდმოგ-

ლეჯილი გარბის. ციხეც გადარჩენილია და მთელი საქართველოც... ო, რა ბედნიერი იქნებოდა იამზე, იმ დროს რომ ეცხოვრა და ზარბაზნები ჰქონოდა... ნეტავ ის მხედარი ვიღა იყო, საიდან გაჩნდა?

— აბა რას იტყვი, კიდევ გაიმეორებ ასეთ რამეს? —ყველას მაგივრად ჰკითხა შარლოტა დეიდამ.

დუმილი ისევ დაიძაბა. ყველა გოგონას მისჩერებოდა, დაძაბულები ელოდნენ პასუხს.

იამზემ თავი ასწია, იქ მყოფნი მოათვალიერა, მერე უნებურად ჰკიდა თვალი ფორტეპიანოს თავზე ჩარჩოში ჩასმულ დიდ სურათს და გაშეშდა.

„ო, მართლა რომ ჰქონოდა ზარბაზნები, რა კისრის ტეხვით გაიქცეოდა მტერი“... და გოგონას გაეღიმა, ტკბილი, ნეტარი ღიმილით გაეღიმა.

ყველა გაოცდა. მის მზერას გააყოლეს თვალი და ნახატს წააწყდნენ. მერე ისევ იამზეს შეხედეს. გოგონა იღიმებოდა, ლამაზ შავ თვალებში ნათელი სხივი ჩასდგომოდა. გაოცებულებმა ჯერ მხრები აიჩეჩეს, მერე რაღაც უცნაური შიში დაეუფლათ, ერთმანეთს მიაწყდნენ, მოიბუზნენ და დაპატარავდნენ. გოგონა კი ისევ იღიმებოდა.

ერთხელ კიდევ გააყოლეს მის მზერას თვალი. მერე ისევ მომღიმარ იამზეს შეხედეს წამით და მდუმარედ გადახედეს ერთმანეთს. ვერა, ვერ გაეგოთ, ვერ მიმხვდარიყვნენ, ასე ტკბილად, ასე უდარდელად რას უღიმოდა გოგონა და რა ბედნიერი იყო დღევანდელი დღე მისთვის.

ლაპუა

ბავშვობიდანვე მეხსიერებაში ჩამემარხა ერთი უცნაური ამბავი. იგი მამაჩემმა მიამბო და ვერც დრომ, ვერც სხვა მრავალმა გაგონილმა ამბავმა ვერ დამავიწყა. ბევრჯერ უნებლიეთ გამხსენებია და ფიქრით თავი მიტეხია. მდინარე თურდოსკენ რომ გავივლიდი, ბაშინვე ცოცხლად წარმომიდგებოდა იმ ადამიანთა სახეები, რომელთაც ის ამბავი გადახდათ.

— მე ლაპუა აი, ასეთი მახსოვს, — მეუბნებოდა მამაჩემი,—

პირში ხშირად ეჩარა თითი და გულმოდგინედ სწუწნიდა. მამა ადრე მოუკვდა, დედა შეესწრო მხოლოდ შვილის უყისმათობას და მასზე დარდი და წუხილი საბრალო დედაკაცს იმ სოფელშიც თან წაჰყვა.

უთვისტომოდ დარჩენილი ბიჭი ცხოვრობდა ერთ ბნელ, სარდაფის მსგავს ოთახში, სადაც სამარისებური სიგრილე და სიმყუდროვე სუფევდა.

ოცდახუთი წლისა იყო და წვერ-ულვაში მაინც არ ამოსდიოდა. ამბობდნენ, ბავშვობისას მდუღარე გადაესხაო, სახეზე. ამობურცულ ზედა ტუჩზე, რომელიც მოთეთრო, მკრთალი ღინღლით ჰქონდა დაფარული, პაწია ღარად დამჩნეოდა ჭრილობა. არავინ იცოდა და არც არავინ კითხულობდა, როდის და რისგან ჰქონდა ასე უშნოდ გახეთქილი ტუჩი.

ბრტყელი სახე და რაღაც ცივად, უგნურად გამომზირალი, მოჭუტული თვალები სიცილს მოჰგვრიდა კაცს ან სიბრალულს, თმაც ულაზათოდ ჰქონდა აფარჩხული. აი ისე — შეშინებული კატა რომ აიბურძგნება ხოლმე. ერთი სიტყვით, სოფელში რომ ვინმესთვის გეთქვათ — ლაპუას ჰგავხარ, ან ლაპუასავით დადიხარო, ალბათ, ცოცხალს ვერ გამოასწრებდით.

ჯან-ღონე არ აკლდა და, თუკი ვინმე სთხოვდა თოხნასა და ბარვაში დამეხმარეო, იოლად დაიყოლიებდა. გასამრჯელოდ კი სულ ერთი იყო, რაც უნდა მიგეცათ, უმადური არ დარჩებოდა.

თაღლითობა არ იცოდა, თავაუღებლად მუშაობდა. როცა თავს მარტოდ დაიგულებდა, ღიღინს დაიწყებდა ისე, თავისთვის, გულის გადასაყოლებლად, მერე კი ხმას უწევდა და მომაჯადოებლად მღეროდა. მღეროდა და ხანდახან არც კი იცოდა, იქვე შუკაში შეჩერებული მგზავრი გულდასმით რომ უსმენდა, მყუდროზე გამოსული მეზობლები კი ერთმანეთს გადაულაპარაკებდნენ ხოლმე:

— გესმის, ლაპუა მღერის, რა ხმა აქვს მაგ სასიკვდილეს!

— მხიარულ ხასიათზე ჩანს!

— მა-რა-ა!..

ამ დროს თუ ვინმე მივიდოდა მასთან, რაღაც უხერხულად შეიშმუშნებოდა, თითქოსდა, სამარცხვინო დანაშაულზე წაასწრესო, ჯერ დაუწევდა ხმას, ღიღინზე გადავიდოდა, მერე კი გაიტრუნებოდა, კრინტსაც აღარ დაძრავდა და მიწას ისე ჩა-

აშტერდებოდა, თითქოს მის სიღრმეში რაღაცის დანახვას ლამობსო.

განგებას ეს მადლი მაინც არ დაეშურებინა მისთვის, ვერც კი იტყოდით, ის საუნჯე მის სასიკეთოდ იყო მოვლენილი თუ საბედისწეროდ.

წყალზე ხშირად აგზავნიდნენ ლაპუას. მხარზე კოკამოკიდებული სეირნობით გაუყვებოდა თემშარას. მიდიოდა თავისთვის, მუდამ რაღაცაზე დაფიქრებული, რაღაცაზე გაბუტული და გზად რომ ვინმე შეხვედროდა, სალამს ვერ მოასწრებდა. თუ ნაქარევი დღე იყო, გზისპირად ჩარიგებულ კაკლის ხეებს ჩაუვლიდა და სველი, წენგოიანი კაკლით უბეს გამოიტენიდა.

ლაპუას ერთ-ერთ მეზობელს ლამაზი ლამარა ჰყავდა. ეგებ ობოლ ბიჭს მართლაც წამოსცდა სადმე ტოლების საქილიკაოდ: ლამარა მიყვარსო ან ეგება ავყია ყმაწვილებმა მოჭორეს, ერთი რამ კი ცხადი იყო: დიდი ხანი გავიდა და მწარე სინამდვილე თუ მოჭორილი არავინ დაივიწყა. უკვე დაქალებულ, გათხოვებას მოწყურებულ ლამარას როცა ჰკითხავდნენ ხოლმე, ვიღას უცდი, რატომ არ გათხოვდებიო, ერთს ჩაიკისკისებდა და ლაპუას გასაგონად იტყოდა: ლაპუას ვუცდიო, მერე გულწასულივით გადაზნექავდა კისერს და ლაპუას გადაუწკრიალებდა: ჰა, ლაპო, რაღას უცდი, წამიყვანე, თორემ ჩვენები სხვაზე გამათხოვებენო.

ლაპუა გაიტრუნებოდა. ეს კია, ერთხელ შეხედავდა უსიტყვოდ და კაციშვილი ვერ ხვდებოდა, მის მოჭუტულ თვალებში რამდენი უთქმელი დარდი იმალებოდა, რამდენი სათქმელი იყო მინაცრებული. ასკილივით დახრიდა თავს, გაწითლდებოდა და უფრო შესაბრალისი, რაღაც ნაღველით მოსილი ხდებოდა. თუ ამოოხვრა იყო, თავისთვის ამოიოხრებდა, რომ არავის დაენახა, არავის გაეგო.

ბიჭები თუ სადმე ჯგუფად იდგნენ, იქით გავლა სიკვდილივით ეზარებოდა. იცოდა: ან სიცილს დააყრიდნენ, ან აბუჩად აიგდებდნენ. მანამ არ მოეშვებოდნენ, სანამ არ ამღერებდნენ. ბევრჯერ აუქცევია მათთვის მხარი და სხვა გზით გაპარულა, მაგრამ ყოველთვის როგორ დაემალებოდა, სად გაექცეოდა სოფელს! სადმე მოიხელთებდნენ აბეზარი ბიჭები და უღვთოდ აწვალებდნენ.

ბევრჯერ სიბრაზისაგან ბოღმა ყელში მოსწოლია და ლამის ატირებულა. მაშინ კი დაკარგავდა მოთმინებას, მიუტრიალდებოდა და გამოედევნებოდა დამფრთხალ ყმაწვილებს, მაგრამ ესეც ვერ უმსუბუქებდა მძიმე ხვედრს.

ისინი უარესად ატეხდნენ ერიამულს და ეს თამაში უფრო ხალისიანი და ხანგრძლივი ხდებოდა. ლაპუა კი, გაწიწმატებული ლაპუა, რადგან ჯავრს ვერავიზე იყრიდა, რაკი იგრძნობდა, რომ ასეთი საქციელით უფრო სასაცილო ხდებოდა, თავს ვეღარ შეიოკებდა და ბავშვივით აქვითინდებოდა.

მივიდოდა შინ, ნახევრად ბნელ ოთახში ჩაიკეტებოდა, ტახტზე გულაღმა დაწოლილი ჭერს შეაშტერებდა თვალებს და, უსასოოდ დარჩენილი, საკუთარ ბოღმას ეურჩებოდა და ეჭიდებოდა. იმ დღეს უგზავნიდა წყევლა-კრულვას, როცა ამ ქვეყანაზე ობლად დარჩა და არავინ უპატრონა.

აი, ასეთ დროს აღარც სიმღერის ხალისი იყო ქვეყანაზე, აღარც ტირილისა. ყველას ისა სჯობდა, ასე პირქუშად, მუნჯურად მჯდარიყო ღრუბელივით წამოშლილ ფიქრთან ერთად და კაციშვილის ხმა აღარ გაეგონა. ამ დროს თუ რომელიმე მეზობელი მივიდოდა და სთხოვდა, რაიმე საქმეზე ხელი წამაშველეო, ცივ უარს ეტყოდა და ისე გაისტუმრებდა.

რა ჭირი შეუდგა, რა ეშმაკები შეუსხდნენო, აბუზღუნდებოდა მეზობელი და გაბრუნდებოდა.

ლაპუას ერთადერთი მოსარჩლე ელისო იყო, — შუახნის დედაკაცი, გულკეთილი, მაგრამ მკაცრი, რის გამოც მათ შორისაც გაირბენდა ხოლმე შავი კატა. ატირებულ ლაპუას რომ დაინახავდა, დედამისი გაახსენდებოდა, ტკბილი და უწყინარი დედაკაცი, რომელზედაც ბევრი საამო მოგონება შემორჩენოდა. გაახსენდებოდა და გულის სიღრმეში რაღაც დაუწყებდა ტეხვას, მტკივნეულად გაკენწლავდა; ერთ წუთს თითქმის დაავიწყდებოდა, რომ ლაპუას დედა, მარიამი გარდაცვლილი იყო. ელისო რომ შინ ბრუნდებოდა, მარიამი კარს გამოაღებდა და ნაღვლიანი ღიმილით გამოვიდოდა პარმაღზე, ჯერ ტკბილ საუბარს გაუბამდა და შემდეგ კი... შემდეგ ლმობიერი საყვედურით ეტყოდა... — ელისო, ჩემო კარგო, დღეს ხომ იქ იყავ, ჩემს უბედურ შვილს რომ აწვალებდნენ. ხმას მაინც ამოიღებდი... ელისო! — და შემდეგ დაინახავდა, მარიამის მკრთალ, დამჭკნარ ღაწვებზე როგორ ჩამოცურდებოდა ცრემლი.

ზმანებაგამოცხადებული, გულჩათეთქული ელისო თავისებურად დაუცაცხანებდა ხოლმე ავყია ყმაწვილებს. ისინი დაფრთხებოდნენ და ქორისაგან დაწიოკებული წიწილებივით სადღაც გაუჩინარდებოდნენ, მაგრამ ზოგიერთი გულზვიადი, წამოზრდილი ბიჭი ყვინჩილასავით გაიჭიმებოდა და აბურდღუნდებოდა: ნეტა შენ ვინა გკითხავს, სხვის საქმეში რომ ეჩრებიო.

ამაზე უარესად გაცეცხლდებოდა ელისო.

— რაო, ვინა მკითხავსო? აბა, მოიცადე მანდ, მოიცადე! — ხილაბანდს შეისწორებდა და მისკენ გაემართებოდა.

ბიჭი არც მოიცდიდა, არც მოკურცხლავდა, პირში წყალს დაიყენებდა და თავისი გზით გასწევდა. ეს კია, ცოტას მაინც შეშინდებოდა, რასაც მისი წამოწითლებული კისერი ადასტურებდა.

ერთ დღეს, ერთმა მეზობელმა, იორამმა ფორნით წისქვილში გაგზავნა ლაპუა საფქვავის მოსატანად. ლაპუამ სადავეებს მოსწია და ისეთი სერიოზული, ამაყი სახე მიიღო, ჯერ რომ არავის უნახავს. ასეთი სახე მას იშვიათად ჰქონდა: ან მაშინ, როცა ვინმეს გვერდით მიდიოდა და რაღაც ძალა-უფლებას გრძნობდა, ანდა მაშინ, როცა ფორნის კოფოზე იჯდა, რასაც, მისი აზრით, შეიძლება ზოგიერთ ყმაწვილში შური გამოეწვია. ურემზე შემოსკუპებულ ბიჭებს წკეპლასაც კი გადმოუშბუილებდა, აქაოდა, დაინახეთ ჩემი ძალაო.

მეწისქვილე იოსება სიხარულით შეხვდა ლაპუას, ხელდახელ სუფრა გაშალა და, მანამ არ გამოუშვა, სანამ თვითონაც არ დატკბა და სხვებიც არ დაატკბო ლაპუას სიმღერით.

ამასობაში მოსაღამოვდა და მზეც ჩაესვენა. ცა შეუმჩნევლად და უცბად დაიბურა, მდინარეზე და ახლომახლო მიდამოებზე რძესავით თეთრი ბურუსი დატრიალდა. მერე ერთიანად გაიფანტა, სადღაც გაიელვა, ირუხრუხა, კიდევ გაიელვა და წვიმამ წამოუშინა. დიდი ხნის ნაგვალმა მიწამ ჯერ რაღაცნაირი, მტვრის თუ მიწის სუნი დააყენა ჰაერში, შემდეგ კი, როცა წვიმამ უფრო და უფრო მოუხშირა, ჰაერი ჯერ თბილი და მძიმე გახდა, მერე ისეთი მსუბუქი და გრილი, რომ კაცი სუნთქვას ვერც კი იგრძნობდა. გახშირდა ელვა-ქუხილი და წვიმა, თითქმის ნიაღვრად გადაიქცა, მაგრამ მალე ყოველივე დაწყნარდა, როგორც ეს ელვა-ქუხილის შემდეგ სჩვე-

ვა. ისღა ისმოდა, თუ როგორი მსუბუქი ჟღურტულით მიიკ-ლაკნებოდნენ ნაკადულები პაწია ხრამებში და როგორ თე-ლავდნენ ბალახს. უფრო შორს კი შიშისმომგვრელად შხუოდა თურდო.

როცა ლაპუამ წისქვილიდან წასვლა დააპირა, მეწისქვილე იოსებამ ურჩია, ცოტა ხანს მოიცადეო, თურდო ადიდებული იქნება და იქ გასვლა გაგიძნელდებაო. მაგრამ ლაპუას როდი დაავიწყდა, იორამმა რომ ლამის სული ხელში ჩააბარა, მგონი ათჯერ უთხრა: ჩქარა დაბრუნდი წისქვილიდანო.

შებინდებული იყო, ლაპუა რომ გზაზე ფორანს მიახრიგინებდა. ცაზე ღრუბლები მიცურავდნენ და აქა-იქ ვარსკვლავები ბეუტავდნენ. ჰაერი ქინძის სასიამოვნო სურნელით გაჟღენთილიყო. სეტყვას თუ დაეკრა სადღაც.

ღრუბლებიდან მთვარემ გამოანათა. ლაპუა გზას უცქერდა და ცხენს აფიცხებდა, მას არც ეს მაღალი, ზვიადი ცა შეუშინებია და არც ამ ცაზე ლამაზი სადაფის ნიჟარა.

დიდი მდინარე არ იყო თურდო, მაგრამ გაზაფხულობით, მთაში რომ თოვლი დაიწყებდა დნობას და ზედ წვიმაც დაერთვოდა, ისე ადიდდებოდა, ურმით თუ გაბედავდნენ გასვლას, თორემ ისე, რაც უნდა გრძელკანჭებიანი ადამიანი ყოფილიყო, ამაოდ შეეცდებოდა მის გადალახვას.

ლაპუას ფორანმა თურდომდე მიაღწია და, ის იყო, მდინარეში უნდა შეეგდო ცხენი, რომ ქალის ხმა შემოესმა, მყისვე სადავეებს მოსწია.

„თუ შეიძლება, გალმა გამიყვანეთ, გზაში წვიმამ მომისწრო და ვარდისუბანში შევეფარე, შინ მიგვიანდება, ბოგირი წაღებული იქნება, თორემ არ შეგაწუხებდით“, — ეეედრებოდა უცნობი. მთვარის მკრთალ სინათლეზე მიმზიდველად ჩანდა მისი მოგრძო სახე და ოდნავ ელამი თვალები. როცა ურემს მიუახლოვდა, უეცრად გაიღიმა, გაიღიმა და ის თავაზიანობაც გაუჩინარდა, წეღან რომ ასე ძალუმად ემჩნეოდა.

— ოი, ლაპო, შენა ხარ! სადა ყოფილხარ, კიდევ კარგი, წევხვდი, აბა, საით უნდა გახვიდე. აი, აქეთ უფრო არ იქნება ღრმა, — ამბობდა და თან ფორანზე ბობღდებოდა, მერე ტომარაზე წამოსკუპდა და ჭალს ჩაეჭიდა, — მაქეთ ღრმა იქნება! აი, აქეთ წადი! — განაგრძობდა ხუმრობის ხასიათზე მო-

სული ქალი. — არკი დამახრჩო, ბიჭო. კი ვერ გამიმეტებ. მაგრამ... არა, მაშ! — და ეშმაკურად გადახედა.

ლაპუამ ხმა არ გასცა. ერთ წამს რაღაცნაირი, უშნო ღიმილით გაიღიმა, მერე უეცრად დასევდიანდა და ჩაფიქრდა.

მდინარე ისე შხუოდა, ყურთასმენას წაართმევდა კაცს. საიდანღაც ადამიანების ხმაური მოდიოდა. ლაპუამ ცხენი წყალში შეაგდო. ფორანი თითქოს ზევით-ზევით წავიდა. მდინარე კი, თიხისფერი მდინარე, თავისი გზით მიიგრაგნებოდა. ისმოდა შხუილი, ლაპუას ყვირილი, რომელიც ცხენს აფიცხებდა... მერე ფორანი ჩაზლაყუნდა. გაჩერდა და ხმაურიც შენელდა. რაღაც ვეება მძლავრად მოხვდა ფორანს და შეატოკა. ისევ ატეხა წამქეზებელი ყვირილი ლაპუამ, მაგრამ ესეც მიწყნარდა. ფორანი ღრმად იყო ჩავარდნილი და ალბათ, ძალე წყალი გადაევლებოდა.

ძნელია, დაღუპვას ისე ელოდო, არ შეგეძლოს თავის გადარჩენისათვის მაინც გაიბრძოლო. ესე იგი, გულხელი დაიკრიფო და უცადო სიკვდილს, რომელიც, იცი, თავზე გადგას.

შემდეგ მდინარის ხმაურს ქალის ყვირილიც შეერთო: გვიშველეთ, გვიშველეთო.

ამ საღამოს მთვარის სინათლეზე ადამიანი შორიდანაც კი შეამჩნევდა, წყალში გაჩხირულ ფორანზე რომ ვიღაც საბრალოდ წრიალებდა. ლაპუა ხან უმწეოდ გადაავლებდა თვალს ადიდებულ მდინარეს, ხანაც ცხენს უტყაპუნებდა უმოწყალოდ და ხანაც წუთიერ მზერას ესროდა უსასოოდ დარჩენილი ქალის შეშფოთებულ სახეს... მდინარე კი, გაგიჟებული მდინარე, სადაც იყო, მიწასა და ლამს გამოაცლიდა ფორანს, ჩაძირავდა და დაფარავდა.

ლაპუამ ბოლოს ყოველგვარ ცდაზე აიღო ხელი. მდინარეს მოავლო თვალი, მერე თითქოს გაშტერდა, გარინდდა და ლამარას შეწუხებულ, მიმზიდველ სახეს შეაშტერდა... ქალის ელამ, შავ თვალებში ჩანდა სასოწარკვეთილება, ჩანდა კიდევ რაღაც სხვა, — ვედრების მსგავსი. ლაპუა უეცრად მიუახლოვდა, ხელი მოხვია და... გაშმაგებით დაუწყო კოცნა. კოცნიდა თვალებში, ტუჩებში. ქალი ჯერ წინააღმდეგობას უწევდა: რას შვრები... რას შვრები, გიჟო, საზიზღარო, — ყვიროდა, მაგრამ მალევე მიყუჩდა და მიინაბა. ლაპუას მკლავე-

ბი მოეხვია და გულზე ისე მიეხუტებინა, თითქოს მის მოტაცებას ვიღაც ლამობს და არ უნდა დაანებოსო. ამ დროს წყალშაც იმატა, ამოიზვირთა და ფორანს გადაევლო... მერე ადამიანების ყიჟინა უფრო ახლოს და გარკვეეით მოისმა.

• •

ეს იყო ის ამბავი.

ქამაჩეძისაგან შევიტყვე, რომ ქალის კიეილზე ხალხი მოკელიკო და ორივე გადაერჩინათ.

ლამარა ძველებურად აღარ ეღლაბუცებოდა ხოლმე ლაპეას. ხათრი და რიდი ჰქონდა, თითქოს მათ შორის რაღაც ანსებობდა საიდუმლოებით მოცული, რასაც სხვა ვერავინ ეიხვდებოდა, და, რაც შეიძლება არც თვითონ ლამარამ იცოდა.

— ჰოდა, აბა აქ რა იყო საკვირველი, შვილო, მე არაფერი გამკვირვებია. ჰა, რა იყო საკვირველი! — თქვა მამამ და მერე თვითონვე დასძინა: არაფერიო.

სუნსულას დატირება

ახლა სოლიკოს ამბავი უნდა მოგწერო, შეიძლება ვერც ხვდები, რომელ სოლიკოზე გელაპარაკები, მაგრამ ახლავე მივახვედრებ.

ლუკა მღვდელი ხომ გახსოვს, ბანაკში ხევსურებმა რომ წაიყვანეს, მიცვალებული გაგვიპატიოსნეო. ჰოდა, ლუკა მღვდელმაც გააპატიოსნა მიცვალებული, აღაპსაც დაესწრო და შეზარხოშებული, ხორაგით დატვირთული საღამოს ჟამზე დაადგა გზას. ტყე-ტყე მიმავალს ნისლი წამოეწია თურმე და მზარი ეცვალა. ერთხანს იბურბუცა ტყეში ღვთის მოსავმა, იბურბუცა, მაგრამ ვერ იქნა, გზა ვერ ინიშნა. ამასობაში დაბინდდა და წვიმაც წამოვიდა. რაღას იზამდა ლუკა, ერთი ვეება გულგამომწვარი წიფლის ხე ნახა და შიგ დურთა თავი, ასე ფეხღგორელამ გაატარა მთელი ღამე იმ წიფლის ხეში. დილაუთენია ფეხის ხმა შემოესმა, გამოძვრა ფუღურიდან და ეს ჩვენი მესოკოვე იოსება არ დაინახა! მთელი ღამის ნატან-

ჯმა ლუკამ სიხარულით შესძახა: შენი ჭირიმე, იოსებ, თვითონ ღმერთმა მომივლინა შენი თავი ჩემს საშველადო. იოსებას კიდევ ეს თავპირგამურული ფუღუროდან გამომძვრალი მღვდელი ეშმაკად შეუცნია, რაც ნაპოვნი სოკო ჰქონია, ისიც იქ დაუყრია და აბა, მიდი, ბიჭო იოსებ, სულ ფხაჭაფხუჭით ვამოქცეულა.

— ლუკა ვარ, იოსებ, ლუკა მღვდელი, ნუ გეშინია! — უძახის თურმე, მაგრამ ვის ესმის.

ეს ამბავი შენც კარგად იცი და ამიტომ გაგახსენე, ჰოდა, სოლიკო იმ ლუკა მღვდლის ბიჭია.

ამჟამად სოლიკოს აღარავინ ეძახის. დიდი ხანია დაივიწყეს საბუთებში ბეჭდით განმტკიცებული მისი ნამდვილი სახელი და სუნსულად მონათლეს. სუნსულა! აბა დააკვირდი, როგორი შეფარული იუმორია, ხომ იცი, რომ ჩვენს სოფელში იშვიათია კაცი, ზედმეტი სახელი რომ არ ერქვას. მე თუ ნკითხავ, ეს ზედმეტი სახელები ნამდვილ სახელებზე უფრო ზუსტია, რადგან ხალხი ჯერ აკვირდება, რა ბუნებისა ან რა ვარეგნობის კაცია მავანი და მავანი და მერე შესაფერის სახელს დაანათლებს, თორემ ისე, ჩემო კარგო, დაარქმევ კაცს ვეფხიას, მერე წამოიზრდება, დაკაცდება და ვეფხვის მაგივრად მელა შეგრჩება ხელში. დადექი და, უძახე მთელი ცხოვრება იმ მელას ვეფხვი. ჰოდა, სუნსულაც იმიტომ შეარქვეს მღვდლის ბიჭს სოლიკოს, რომ ღვინის წურბელა იყო და ერთთავად ჰურ-მარილზე დასუნსულებდა. ერთი სიტყვით, სადაც ქვაბი გარახუნდებოდა, სუნსულაც იქ გაჩნდებოდა. არ გამოეპარებოდა, რომელ არყის ქვაბზე შიშხინებდა მწვადი, ან რომელ წყაროზე უნდა ჩაეციებინათ ბიჭებს ღვინო. ასეთ კაცზე იტყვიან ხოლმე, სახლი რომ ეწვოდეს, მუცელს მაინც არ უღალატებსო. მაგრამ არ გეგონოს სუნსულა ვინმეს ათვალწუნებული ჰყავდა. თვით ამ ზედმეტ სახელში — სუნსულა — თუ კარგად ჩაუკვირდები, სიყვარულიც კია ჩაქსოვილი. ერთი სიტყვით, ყველასათვის სასურველი სტუმარი გახლდათ იგი, რადგან ღვინოშიც ზრდილობიანი იყო, თანაც სიტყვაკაზმული და სიმღერაც არ იცოდა სხვაზე ნაკლები.

სამსახურიც რომ ასეთი იშოვა: — საყველპურო, სოფლის სახერხის უფროსი იყო. დღეში ერთხელ თუ ჩააკითხავდა ბიჭებს. აბა, რასა შვრებით, უჩემოდ ხომ არ გიჭირთო.

— დიდი მადლობა ყურადღებისთვისო, — ჩაიღიმებდნენ მხერხავები, — ვმუშაობთ და გეგმასაც ვასრულებთო. საღამოს ჩამოგვიარე. წავიპურმარილოთო...

ბოდა, იმ სუნსულას რომ ბიჭებმა საქმე დამართეს, მტრისას.

ფარცხი და ფარნაოზა ვენახში შველოდნენ ძია ვანოს (არტისტს რომ ეძახიან ზედმეტ სახელად). საღამოხანს, მუშაობა რომ მოათავეს, იქვე ველად ეზიარნენ პურ-მარილს და შეზარხოშებულებმა მოკლეზე ჩამოიარეს ვენახებზე, ხომ იცი, სამივენი რა ოხერმოხერებიც არიან. აგვისტოს თვეა. ის დროა, როცა მტევანი უკვე ფერს იწმენდს. ჩამოუარეს იას ბიჭის ვენახს და რასა ხედავენ, ისე აყრია მტევანი, ლამის ვაზი წაექცეს. მერე რა მტევანი, კუმსი, კუმსი, თანაც წკრიალა. შეხედავ მიწას და ცხრილში გატარებული გეგონება, ისეა დამუშავებული, ბალახის ნასახიც არსად არის.

— აი, ვენახი ამას ჰქვია! — ამბობს ფარცხი. — ყოჩაღ, იას ბიჭო, გიყვარს ნუნუა და ალალიც ყოფილა შენზე.

— ეგა თავისასაც კარგად უვლის და კოლექტივისასაც, — ასკვნის ფარნაოზა.

ახლა ჯავახიანთ გურამას ვენახს ჩაუარეს. იმას შედარებით თხლად ასხია, მაგრამ მოვლით არანაკლებ არის მოვლილი. ახლა იმის პატრონს დაულოცეს მარჯვენა, მერე ჩეკას ბიჭის ვენახს ჩამოჰყვნენ, იმის პატრონსაც ქება გაუგზავნეს და ბოლოს სუნსულას ვენახთან შეჩერდნენ. უყურებენ და ვალებს არ უჯერებენ. ვაზი შალაფაში აღარა ჩანს, ფოთოლი დათუთქულა და შემჭკნარა, ხოლო ყურძნის მტევანი დაკრიკინებულა. გამტკნარებულები დგანან სამივენი და ხანდახან ერთმანეთს უხმოდ გადახედავენ.

— ასეთი გულგრილობა თუ გაგიგიათ კაცისა! — თქვა ბოლოს ფარცხმა სინანულით, — ყურძენი კი არა, დურდო ასხია. სად დაკარგა ვაზის სიყვარული.

— გამაჰმადიანებულა სუნსულა, მღვდლის შვილი მაინც არ იყოს! — ბანი მისცა ფარნაოზამ.

არტისტი კი ჯერ ხმას არ იღებს, უხმოდ მისჩერებია შეღონებულ ვაზს და თან რაღაცას ფიქრობს, რაღაცას ისაზრებს. მერე ძმაკაცებს გადახედა და ჩაილაპარაკა, რასაც ახლა სუნსულას ვუზამთ, ღირსი იქნებაო, თქვა, სარზე გარჭობილი

ნამგალი ჩამოიღო, ვენახში შევარდა და ბალახის გათიბვა დაიწყო. მეგობრები უცებ ვერ მიხვდნენ, რას აპირებდა, მაგრამ როცა დაინახეს, შ·ლაფა ერთ ადგილას როგორ ააკოკოლავა საფლავის მიწასავით, მაშინ იაზრეს, რა ზრახვა ედო გულში არტისტს. ერთიმეორეს გადახედეს, სუნსულა ასე უღვთოდ გავწიროთ თუ არაო, თან უკვირდათ, საიდან გაიხსენა არტისტმა ეს ძველი ამბავი, ხალხმა რომ თითქმის მიივიწყაო. არტისტსაც ეჭვით თუ მუდარით შეხედეს, ეგებ თავი დავანებოთ ამ ამბავს და სუნსულა სხვანაირად შევაჩვენოთო. მაგრამ არტისტი მტკიცე და შეუვალი იყო. ამ აკოკოლავებულ შალაფასთან მიიყვანა ორივენი, ვითომ სუნსულას სასაფლაო რომ იყო, და ნიშანი მისცა. დაიწყეს და რა დაიწყეს, პირდაპირ ცასა სწვდებოდა იმათი ზარი, შენც ხომ იცი, სამივეს როგორი ხმა აქვს. ვაზის ენით მოსთქვამდნენ მოზარენი, პატრონი მომიკვდა და ხომ ხედავთ, რა დღეში ვარ, გადაშენების პირზე ვდგევარო, ვაი, ჩემო უდროოდ გარდაცვლილო პატრონო, ვიღამ მომხედოს, ვიღამ მომაცილოს სარეველა ბალახი, ვინ გამსხლას, ვინ გამფურჩქნოს, ვინ ამახვიოსო.

უბანში ჯერ ვერ მიხვდნენ, საიდან ისმოდა ეს ტკბილი სამგლოვიარო ზარი, მერე კარგად მიუგდეს ყური და სუნსულას ვენახისკენ დაიძრნენ სეირის სანახავად, მაგრამ მოზარეებმა დიდხანს აღარ გააგრძელეს, ხალხისა მოერიდათ, სიცილ-ფრუტუნით მიატოვეს ვენახი და წავიდნენ. მარტო სასაფლაოსავით აკოკოლავებული ბალახი დატოვეს.

მეორე დღეს დილაუთენია ჩაეხეთქა სუნსულა ყარაჯალაში, ორი თათარი ამოიყვანა ვენახში სათოხნავად, თვითონ წამალი დააყენა და პირუჩუმრად დაიწყო ვაზის შეწამვლა. მეზობლებში ერთი სიტყვაც არ დასცდენია გუშინდელ ამბავზე და არც მეზობლებს შეუხსენებიათ რამე. მარტო ჩუმ-ჩუმად იღიმებოდნენ კმაყოფილები.

ლაზარე

ლაზარეს ცალ ხელში კალათა უჭირავს, მეორეში დოქი და სასაფლაოზე მიდის. გაზაფხულია. მზე შუბის ტარზე შემაღლებულა და გვარიანად აცხუნებს.

— ლაზარე, გვეწყინა საბედას სიკვდილი! — უსამძიმრებდნენ წყაროზე გამოსული დედაკაცები.

— რას იზამ, აბა, — პასუხობს ლაზარე.

— ღმერთმა ყველა იმის ხნისა მოგვყაროს!

— მაინც რამდენი წლისა იყო ცხონებული? — ვითომცდა არ იცოდნენ, ისე ეკითხებიან.

— რა ვიცი, თვითონ ამბობდა, ასს დიდი ხანია გადავცილდიო.

ლაზარე ფეხს უჩქარებს; უკან აღარ იხედება, ეშინია, კიდევ არაფერი მკითხონო, მობეზრდა ერთი და იგივე ლაპარაკი. წყაროზე თავშეყრილი დედაკაცები კი საბედას უცნაურ სიკვდილზე აგრძელებენ ლაქლაქს და შიშით ძრწიან.

ლაზარეს დეიდა — საბედა, ერთი ომახიანი და უშვილძირო ქალი იყო. ჯერ კიდევ ოთხმოცი წლისამ თავის საფლავზე დასადები ქვა წინასწარ იყიდა, მაგრამ გავიდა დრო, ქვა დაიშალა, საბედა კი ისევ ცოცხალი და საღსალამათი იყო.

სიკვდილის წინა დღეს მეზობლის ქალი მოიხმო თურმე საბედამ, წყალი მოაზიდინა, საგულდაგულოდ იბანავა და მერე სკივრს ახადა, სადაც საგარეო ტანსაცმელი ჰქონდა შენახული. კოხტად გამოეწყო, თმა დაიწნა, ლეჩაქი დაიხურა და როცა ჩიხტიკოპიც დაიდგა თავზე, გაკვირვებულმა მეზობლის ქალმა სიცილით ჰკითხა: დეიდა საბედ, საქორწილოდ ხომ არ ემზადებიო. იმან თურმე თავისებურად, დარდიმანდულად გადაიხარხარა და მიუგო:

— საქორწილოდ ვემზადები, შვილო, მაშა, საქორწილოდ. ამაღამ სიკვდილზე უნდა დავიწერო ჯვარი და ხვალ იმის სარეცელი გავიზიარო, რამდენი ხანია, ველოდები, დამღალა მაგ პირშავის მოლოდინმა.

საბედას სასიკვდილო არაფერი ეტყობოდა და როგორ გაუკვირდათ, როცა მეორე დილას მკვდარი ნახეს მეზობლებმა.

აი, ამ უცნაურ ამბავზე ლაპარაკობდნენ ახლა დედაკაცები, ლაზარე კი ამ დროს სოფელს გასცილებია და სასაფლაოსკენ

მიმავალ აღმართს მიუყვება. მადლობა ღმერთს, აქ აღარავინ შეხვდება, გულს აღარ გაუწყალებენ ერთი და იგივე კითხვებით.

ხელმარცხნივ, ფერდაზე, ბუჩქნარი ახალი გაფოთლილია, მარჯვნივ, მშრალი ხევის გაღმა, მწვანედ ხასხასებს ჯეჯილი და სადღაც გორას იქით იკარგება. ზევით, სადაც ხშირი ტყე იწყება, შაშვი გალობს, მკაფიოდ აღწევს მისი ტკბილი ხმა აქაურობამდე. მაგრამ სასაფლაოს გზაზე მაინც ისეთი მდუმარება სუფევს, როგორიც ალბათ სამყაროს გაჩენის წინ იყო.

აგერ ნაძვების სიმწვანიდან გამოკრთა სამების ეკლესია. მზის ელვარე შუქზე ქათქათებს ეკლესიაც და გუმბათიც. ამ დიდ აღმართს აივლის ლაზარე და სასაფლაოც იქვეა.

...ლაზარე სამოც წელს არის მიტანებული, მაგრამ თავისი სიცოცხლის მანძილზე სამოცჯერ არ ჩაუკრავს ბარი მიწაში, სამოცი ვაზისთვის არ გამოუთოხნია ძირი. თაღლია და ყალაღინა კაცია, ღვთის კალთას ამოფარებული. მიწა და მამული ისე უყვარს, როგორც ცეცხლს წყალი.

— ლაზარე, — ეტყვის ცოლი, — ჩადი ვენახში, ორი მწკრივიღაა გამოსათოხნი, მე კოლექტივში მივდივარ.

ლაზარე შეიშმუხნება, ვიწრო ტუჩებს უფრო მოპრუწავს, წინ გაიშვერს და წაილუღლუღებს:

— რას ამბობ, დედაკაცო, დღეს ხომ ბზობაა. დღევანდელ დღესა იერუსალიმს შევიდა უფალი ჩვენი ქრისტე. დღეს მიწის დაძვრა როგორ იქნება, გინდა, ღმერთი გაგიწყრეს?

— მიწა კი დაგაყარე, შე წელანგარავ, პირქვე დასამარხო. დიდიხანია ღმერთიც გაგიწყრა და უფალიცა. კარგი, დღეს ბზობაა, გუშინ? გუშინწინ... იმის წინ?

— გუშინ წმინდა ლაზარეს შაბათი იყო, გუშინწინ დამასტურობა მატანში, იმის წინა — ზღუდოობა... ვენაცვალე იმის მადლსა.

დედაკაცი სელს ჩაიქნევს, მაგრამ ერთხელ კიდევ შეეცდება გასტეხოს ლაზარე.

— ყველა დღე შენთვის არის უქმე. აბა ჭიპრიას შეხედე, უქმე მაგან არ იცის და კვირაძალი. რატო იმას არ უწყრება ღმერთი.

ლაზარე ფართო თვალებს დაახამხამებს და ისე წაილუღლუღებს:

— ჭიპრიას ბიჭი არ მისცა ღმერთმა. სამი ქალი გაუჩნდა, იშრომოს ეშმაკებისათვის.

— ჭიხველაანთ მიხამ სალოცავის გზა არ იცის, სამი ბიჭი ჰყავს.

— ისიც დასაჯა ღმერთმა. შუათანა ბიჭი უშვილო გამოადგა, მაშა! დედაკაცებს ქათმის ჭკუა გაქვთ, რა გელაპარაკოთ.

— ეჰ, ლაზარე, ლაზარე! — ამოიოხრებს ლაზარეს ცოლი და ხელს ჩაიქნევს.

თავის დროზე ლაზარე მშვენიერი შესახედაობისა ყოფილა, ტანმაღალი და ეშხიანი. შენც იცი, ქალებს, მეტადრე სიყმაწვილეში, ჭკუა თვალებში აქვთ. ლაზარეს გარეგნობამ ალბათ თავის საცოლეც დააბრმავა და შინაარსით აღარ აწონ-დაწონა საქმრო. ტყუილად კი არ უთქვამთ, მწიფე მსხალი შავი კერატისაო, თორემ ვინ ლაზარე და ასეთი მეუღლე. გამრჯე დედაკაცი გამოდგა, ხელიდან ცეცხლი სცვიოდა. ამნაირებზე უთქვამთ, კაცს ცარიელა ქვაზე დაასახლებსო. აკი ეგრეც მოხდა, ქალიც ის იყო და კაციც. მამულიც იმის კისერზე იყო, ოჯახიც და კოლმეურნეობაც. ვიდრე ძალა შესწევდა, საბედა ამოუდგა მხარში ლაზარეს ცოლს, ებრალებოდა ბედოვლათი ქმარის პატრონი და ახალი სახლიც კი დადგეს. ამასობაში შვილებიც წამოიზარდნენ და ოჯახი წელში გაიმართა. კიდევ კარგი, ბიჭიც და გოგოც დედის კვალს გაჰყვნენ. მამაილები არ გამოვიდნენ.

ლაზარესაც მეტი არ უნდოდა. ჯერ თავიდანვე არ ექნა ღმერთს და ახლა სულ მოიწყვიტა წელი, ოჯახზე ხელი ჩაიქნია და ეკლესიას მიეტმასნა. როგორც კი მარიამობა მოაწევდა, აღდგომა ან ამაღლება ქრისტესი, ლაზარე თეთრი გიორგის სალოცავში დასახლდებოდა, მლოცველებს ქადებს უჭრიდა ან ზვარაკს უკლავდა. სამაგიეროდ რაღაც აზრები და მოგონებები გაუჩნდა ღვთისმოსავს. თუ ეტყოდნენ, ხელი გაატოკე, ხომ ხედავ, მავანი და მავანი როგორ იქცევაო, კაკლისტოლა თვალებს გადმოკარკლავდა და სხაპასხუპით იტყოდა:

— სჯობს მცირე პური სჭამო გემოთი და უშიშრად, ვიდრე სიცრუითა და არამი შრომით გამდიდრდეო.

— არამ შრომაზე ვინ გელაპარაკება, ლაზარე, ალალი შრო-

მა გიყვარდესო, ალალი, რომ ცოტა რიგიანად იცხოვრო.

— სიმდიდრე და ოქრო-ვერცხლია ბოროტების ძირი, შფოთსაც ეს იწვევს, შურსაც და მტრობასაც, მაშა!

...ლაზარე, ალმართზე აქლოშინდა. აგერ სამების ეკლესია-აც. აქაც მდუმარება სუფევს, როგორც ყველა ეკლესიის ირგვლივ. ჭიშკართან მეჭურჭლე აბრიას გაუშლია თიხის ჭურჭელი, თვითონ ხის სკამზე ჩამომჯდარა და ყური მიუმზერია, ალმართზე როდის ამოიბღავლებს ავტობუსი, როდის მოვა ექსკურსია, რომ თიხის ჯამები, სურები და ყულაბები გაასაღოს.

ლაზარე თავის დაკვრით ესალმება აბრიას, ის კი სალმის მაგივრად პასუხობს:

— მეწყინა, ლაზარე!

— რას იზამ, ოქრო, იმის ხნისა ჩვენც გავხდეთ... — და გზას აგრძელებს.

მკლავები უკვე ჩამოწყვეტაზე აქვს, ასიოდე ნაბიჯიც და იმ ადგილას მიაღწევს, სადაც გურამა და ლექსო, ლაზარეს შვილი და სიძე, საბედასთვის საფლავს სჭრიან. აგერ, იმათაც შენიშნეს ლაზარე, რატომღაც თითქოს აფორიაქდნენ, ორიოდე ნიჩაფი მიწა კიდევ ამოყარეს, მარჯვედ ამოხტნენ, წერაქვი და ნიჩაფი მიწაყრილზე მიაგდეს და კაკლის ძირში, ქვაზე ჩამოსხდნენ, ლაზარეს შვილი და სიძე ტყუპი ძმებივით არიან, ერთი კბილისანი, ორივენი ტანად მოსულები, მხარბეჭიანები, ოღონდ ეგ არის, გურამა პირმრგვალი და ქერაა, ლექსო კი შავტუხა, ეშხიანი და ვაჟკაცური იერისა.

— დილა მშვიდობისა, მუშებო! — მიესალმა ლაზარე, კალათა კაკლის ძირში მიაგდო, დოქიც გვერდზე მიუდგა და ისე ამოიხვნეშა, თითქოს ქვეყნის ტვირთი მოიხსნაო.

— ჰა, ხომ არ დაიღალე, ძველო! — გაუღრიჭა შვილმა ლაზარეს.

— დავიღალე, მაშა, გრძელი ალმართია, გრძელი.

— სამაგიეროდ საბედა არ დაიღლება, ციმციმ ამოიტანენ, ლაზარემ შვილს მწყრალად გადახედა.

— ყველაფერზე ხუმრობა გაგონილა, მამაძაღლო!

ლექსო ჩუმჩუმად იღრიჭება, ლაზარე სასაფლაოსკენ მიდის, რომ ბიჭების ნამუშევარს დახედოს. მიწა უკვე საქამრეზეა ამოღებული, მარჯვედ უმუშავიათ გურამასა და ლექ-

სოს, მაგრამ ლაზარეს გამოცდილი თვალი ამჩნევს, რომ საფლავი ძირში მრუდდება და ვიწროვდება.

ლაზარემ ჩაახველა და უკან გამობრუნდა. ბიჭებს უკვე წამოუპირქვავებიათ კალათა, ძირს დაფენილ გაზეთზე გაუშლიათ ხაშლამა, გუდის ყველი და ქორფა ტარხუნა, შოთები დაუხლეჩიათ და მადიანად იღმურძლებიან.

— ძირში ძაან დაგვიწროვებიათ. უნდა გააგანიეროთ! — თქვა ლაზარემ და თვითონაც სუფრასთან მოკალათდა.

— დაგვიწროვებია? — ეშმაკურად უციმციმებს თვალები გურამას და ლექსოს უყურებს, — შეიძლება, რომელი ოსტატები ჩვენა ვართ. პირველად ვჭრით საფლავს.

— ეჰ, — ოხრავს ლაზარე და ჭიქას ღვინით ავსებს, — ადრე ოთხი-ხუთი კაცი მაინც იყო ხოლმე სოფელში ამ საქმის ოსტატი, თვალის დახამხამებაში ამოჭრიდნენ საფლავს. ახლა ხალხი გაკადნიერდა, ამ საქმეს აღარავინ მისდევს. თვითონ ჭირისუფალმა უნდა იხალოს თავში ქვა... საწყალ საბედას ხსოვნა იყოს, — ლაზარემ ჭიქა გამოსცალა და ლუკმა დააყოლა.

— ახლა რა ეშველება მაგ საქმეს? — კითხულობს ლაზარეს შვილი და ისევ ლექსოს უყურებს ქვეშქვეშად.

— რა ეშველება და უნდა გავაფართოვოთ, თავიდან რა ზომაზეც დაიწყეთ, ბოლომდე ისე უნდა ჩახვიდეთ.

— ბოლომდე, მე ვიცი, ვინ ჩავა, — ისევ იღრიჭება ლაზარეს ბიჭი, — მაგას თავი დავანებოთ. მიდი, ერთი სიკეთე გვიყავ, მამაჩემო, გამოცდილი კაცი ხარ, თვალის ზომა და ვარაუდიც კარგი გქონია. რაც გამრუდებულია, ჩაასწორე და დანარჩენი ჩვენ ვიცით.

ამის გაგონებაზე ლაზარე ისე შეკრთა, თითქოს უხსენებელი დაინახაო, მერე საბრალოდ დაიღრიჯა და წაილუღლუღა:

— აბა, მე მაგისთვის სადა მცალია, დროზე უნდა ჩავხედო, იქ ათასი საქმეა, ჭირისუფალი ვარ, ხალხი მოვა.

— ხუთი წუთიც არ უნდა, ძველო, მიწას ნუ ამოჰყრი, მარტო წერაქვით ჩაასწორე, საბედა დეიდაშენი იყო, უპრიანიც კია იმაზე, ღმერთი გადაგიხდის.

ლაზარე ერთხანს დუმს, ეტყობა ჭოჭმანობს და მერე დასთანხმდება.

— ჯანდაბას თქვენი ეშმაკი, უჩემოდ არაფერი გამოდის. ცოტას მეც წავნაყრდები და უცებ ჩავასწორებ.

ისევ სიჩუმე დგება. სამივენი უხმოდ ილუკმებიან. რაღაცას უგერგილოდ წაიბუტბუტებენ და ღვინოს გადაჰკრავენ.

გურამა კვლავ ჩუმჩუმად უყურებს ლექსოს და იწყებს:

— აგე, მაგ აბრიაზე გამახსენდა, ჭურჭელს რომ ჰყიდის. მაგის მამას იაგორას ნაპოვნი ფულით აუშენებია ის სახლები.

— როგორ თუ ნაპოვნი ფულით? — მაშინვე ეკითხება ლექსო.

— როგორ და, კულაკობის დროს ვიღაც ახმეტელ კაცს თელავის ბაზარზე ნახირი დაუყიდია წვრილფეხიანად. უკან დაბრუნებულს იაგორას სახლის კარზე დაჰკარგვია მთელი ნავაჭრი. ზამთრის ღამე ყოფილა. გადის და გამოდის თურმე შარაგზაზე ის კაცი, ოხრავს და თავში იცემს. იაგორას უპოვნია ის ფული.

— ქონების ხარბი არ უნდა იყო კაცი, — ასკვნის ლაზარე, — არამი ქონება არავის შეერგება.

— რატო არ შეერგო რა, ოთხმოცდაათი წელი იცოცხლა სულძაღლმა.

— სამაგიეროდ, — ეუბნება გურამას ლექსო და თან ჭიქიდან ნეკა თითით ამოჰყავს ბურნა, — ერთი შვილი სულელი გამოუვიდა. ცოდომ მაინც უწია. ეგ კი არა, კელაზე ამბობენ, საღანძილეში რომ ოქროშინდას ეძახიან, იქ იპოვნა დამარხული ოქროო.

გურამა და ლექსო რიგრიგობით შეხედავენ ლაზარეს, ის კი მადიანად შეექცევა საჭმელს, თითქოს არც ესმის, რაზე ლაპარაკობენ, მერე უცებ ამბობს:

— სახარებაში სწერია, სჯობს ქვის საკოდელზე იწვე უშიშრად, ვიდრე ოქროს ზოდები გქონდეს და შიშში იყოო. მაშა, — მერე ქაღალდით იწმენდს ხელებს და დგება, — თქვენ გააგრძელეთ, მე საფლავს ჩავასწორებ და წავალ, თორემ საცაა ხალხი დაიწყებს სამძიმარზე მოსვლას.

ლაზარე სამარესთან მიდის, დოინჯს შემოიყრის და ისე ჩაჰყურებს. ეზარება შიგ ჩასვლა, არა, აუტკივარი თავი რაზე აიტკივა, რა უნდოდა, რა ენა აიქავა! მაინც საკვირველია, ასე როგორ გაამრუდეს?

რაღაც ბუნდოვანი ეჭვი ღრღნის და ხერხავს ლაზარეს, ბიჭებისკენ იყურება, მაგრამ ისინი ყურადღებას არ აქცევენ.

ცალი ხელით სამარის პირს დაეყრდნო, ბიჭივით მარჯვედ ჩახტა, წერაქვი აიღო და ოკრო-ბოკრო კედელი ჩამოთალა. მიწა ფხვიერი და კარგი სათხარი იყო. ერთ დარტყმაზე მთელი გუნჯალი ჩამოსდევდა. კედელი უცებ ჩამოასწორა და ახლა ძირში ჩაინაცვლა. წერაქვი ქვაზე აუსხლტა, ირიბად გაქანდა და რაღაცას მყიფედ დაეტაკა. ლაზარეს ეცნაურა ეს ხმა, იმ ადგილზე ისევ დაუნაცვლა წერაქვი და გატეხილი თიხის ჭურჭელი ამოაგდო. ბიჭოს, ეს რაღა უნდა იყოს. გაოცდა და მყისვე პატარა ქოთნის ძირში ჩაკეცილი ქაღალდი შენიშნა. შეცბუნებულმა აიღო და ხელის კანკალით გაშალა. გახუნებული წარწერა მოჩანდა ზედ. ლაზარეს ტანში ვაპცრა, ხელები უარესად აუკანკალდა, მაგრამ სიმხნევე მოიკრიბა და წაიკითხა: — „მე, კურკა მაყაშვილმა, ფრანციაში წასვლის წინ აქ დავფალი განძი იმ იმედით, რომ როდისმე საფლავს გასჭრიან და იპოვნიან. თუ სამშობლოში დაბრუნება აღარ მეღირსა, მნახველო, ეს განძი ჩემს სოფელს მოახმარე. ჩადი კიდევ ორ მტკაველზე და განძი იქ დევს. 1919 წ. 25 მაისი“.

ლაზარეს რეტი ესხმის, თვალები უჭრელდება და ყურები უწივის. მიწას ჩააჩერდა და ოი, საოცრებავ, ყვითლად გაიბრჭყვიალა ოქრომ, თვალი მოსჭრა ბრილიანტმა. რა ემართება ლაზარეს, ეს ყველაფერი ელანდება თუ ცხადში ხედავს? თვალებს ხუჭავს და ისევ ახელს, მაგრამ ოქრო მაინც ბრჭყვიალებს, ბრილიანტი მაინც ელავს. სიმხნევე მოიკრიბა და ბიჭებს რაღაც მტრულად გახედა, როგორ უნდოდა ახლა ისინი ახლომახლო არა ყოფილიყვნენ, მაგრამ ბიჭები არხეინად წამოწოლილან მწვანეზე და მისკენ არც იყურებიან, აინუნშიც არ არიან.

ლაზარემ ერთხელ კიდევ ჩახედა მიწას და იმავ წუთს საოცარი რამ მოხდა. ეს უფუარი ცომისგან მოზელილი კაცი ლომად იქცა, დუნე, დუბელა სისხლის მაგივრად თითქოს ვიღაცამ სხვა სისხლი გადაუსხაო. მოსისხლე მტერივით ეცა მიწას, გაშმაგებული მიიწევდა სიღრმეში.

— „ორი მტკაველი, ორი მტკაველიც და“... — ყურებში რეკავს ვიღაც უხილავის ხმა, მაგრამ ლაზარე ყურადღებას აღარ აქცევს, ვერც ვერაფერს ხედავს, მარტო მიწას ჩასჩერე-

ბია და გაშმაგებული მიიწევს მიწის სიღრმეში, სადაც ოქრო ბრჭყვიალებს და ბრილიანტი ელავს.

ნიჩაბს ეცა ლაზარე, მოთხრილი მიწა ამოყარა, ალბათ ერთ მტკაველზე უკვე ჩავიდოდა, კიდევ ერთი მტკაველიც და მორჩა... ისევ წერაქვით დაიწყო მოთხრა, მხოლოდ იმ ადგილას თხრიდა, სადაც ქოთანი იდო. პირისახეზე ხვითქი გადასდის, ლამის გული საგულედან ამოუვარდეს, მაგრამ წამს არ აკდენს. ხანდახან ცოფიანი მგელივით გადახედავს ბიჭებს, არეული თვალებით გაბურღავს, ზიზღსა და სიძულვილს სტყორცნის და ისევ მიწას ჩააჩერდება. ო, როგორ უნდა ახლა ისინი აქ არ იყვნენ, მიიწევს და მიიწევს ლაზარე მიწის სიღრმისკენ, მისი ვარაუდით ორი მტკაველი უკვე ექნება მოთხრილი, ცოტა მეტიც, მაგრამ ჯერაც არაფერი ჩანს. თუ იპოვნა აქვე ბუჩქებში მიაფარებს განძს და წასვლისას ჩუმად წაიღებს, უფრო საიმედო ადგილას დამალავს... და ლაზარეს კიდევ ერთხელ მოსჭრა თვალი ოქროს ბრჭყვიალმა და ბრილიანტის ელვარებამ.

— გეყოფა, მამაჩემო, ცოდო ხარ! — ყრუდ ჩაესმის ლაზარეს. იგი შეცბუნებული ამოხედავს შვილს, გაავებული ნადირის თვალებით უყურებს ერთხანს, მერე წერაქვს ნიჩბით ცვლის და სხვისი ხმით ეუბნება.

— დაისვენეთ, ფეხი არ მოდგათ, ვიდრე, მე არ ამოვალ!

და ისევ მიწას ებღაჯნა. ვეღარ ხედავს, ბიჭები სიცილისგან როგორ იგუდებიან.

— ცოდოა, — ხმადაბლა ეუბნება ლექსო გურამას, — ამოიყვანე.

გურამა პასუხს არ აძლევს, სიცილს მოისხეპავს და რაღაცაზე ფიქრობს.

საფლავიდან კი ცვივა და ცვივა მიწა, თითქოს ერთი კაცი კი არა, ხუთი კაცი თხრიდეს.

„ორი მტკაველი, ორი მტკაველი, — იმეორებს ლაზარე, — ორი კი არა, სამზედაც ჩავედი, მაინც არაფერი ჩანს, შეიძლება ავცდი, და ლაზარე ნათხარს აფართოებს, — ქანცი ელევა, სიქა ეცლება, ლამის წაიქცეს, მაგრამ უკანასკნელ ძალას იკრებს და ისევ მხნედ უტევს მიწას, — მტკაველი, ორი მტკაველი, ორი, სამი...“ — კვლავ ჩასძახის ვიღაც უხილავი.

— ბოლოს და ბოლოს აღარ ამოხვალ, იმ საბედას შენც ხო არ უნდა გაჰყვე! — ისევ ჩასძახის შვილი ლაზარეს.

— გამეცალეთ-მეთქი! გამეცალეთ, რას ჩამომკიდებიხართ, ბიჭოს! — რაღაც გაუგებრად ყვირის თითქმის შეშლილი ლაზარე. გურამას პირზე ღიმილი შეაცივდა, თვალებიდან რისხვამ დაკვესა და კბილებში გასცრა:

— ამოდი, ამოდი, ლაზარე. მანდ ვერაფერს იპოვნი, ეგ წერილი ჩვენ ჩავაგდეთ!

ლაზარეს თავზე მეხი დაეცა. გაშეშდა, გაიყინა, დიდი კაკლისტოლა თვალებს აღარც კი ახამხამებს, ჩუჩალასავით მიშტერებია შვილს, მერე თითქოს გულში ტყვიამ გაუარაო, ნელნელა ჩამოუცვივდა ხელები, ნიჩაბი ძირს დაეცა და თვითონაც არაქათგამოცლილი მიწას მიეყუდა. რამდენიმე წამს იყო ასე გაოგნებული, მერე საბრალო თვალებით შეხედა გურამასა და ეშმაკს და წაილულღლუღა:

— ეშმაკი შემიჩნდა, გაგიწყრეთ მაღალი ღმერთი და წმინდა გიორგის სალოცავი! ქრისტეს სჯულს გადასულებო...

დამზარალი, დაბუხული ჭიაყელასავით ამოღოღდა საფლავიდან, ერთხელ კიდევ შეხედა გამტყნარებულ, მაგრამ სიცილით დამუხტულ ბიჭებს და ზიზღით მიუგდო:

— ფუ!..

ლაზარემ მეჭურჭლე აბრიას ისე ჩაუარა, იქით არც ყაუხედავს. სამაგიეროდ აბრია შეეხმაურა:

— რა იყო, ლაზარე, ბიჭებმა ხომ არ გაგაბრაზეს?

ლაზარე პასუხს არ აძლევს, ფეხს უჩქარებს, მაგრამ ატყობს, რომ აბრიამაც რაღაც იცის. ორმა იცის, ღორმა იცისო, აბრია მესამეა, აბრიამაც რომ დამინდოს, სულერთია, ჩემი ბაიყუში მაინც ქვეყანას მოფენს ამ ამბავს. ფუ! ეს რა დაემართა ლაზარეს, რა ფეხზე ადგა დღეს, რა ეშმაკი და ქაჯი შეუჯდა სულში?!

შხამა

ახლა შხამასი უნდა გიამბო, შხამასი და ქალაქელი ლექტორის ამბავი.

შხამა მინდვრის ბალახია, იგი წამალიც არის და საწამლავიც.

ვისზედაც მე გიამბობ, იმ კაცს, არ ვიცი, რად ეძახდნენ შხამას, ეგების იმიტომ, რომ მახვილივით ბასრი და მოწამლული სიტყვა ჰქონდა. ასეა თუ ისე, სოფელში ვერავინ დამისაბუთა, რად გადაარქვეს ნათლობის სახელი და შხამა რაზე დაუძახეს. ვერც ის მითხრეს, ვინ იყო მეორე ნათლია. ეს უჩინმაჩინოსანი მეორე ნათლიები ერთი ხელის დაკვრით გააცამტვერებენ ხოლმე საბუთებში ბეჭდით დამტკიცებულ ვინაობას და ერთადერთი ზედმეტი სახელით ზუსტად დაახასიათებენ ადამიანს. კარგი ბიჭი ხარ და გაიგე, ავთანდილი რომ ჰქვია მავანსა და მავანსა ან აბესალომი, რა აღნაგობისა და რა ხასიათის კაცია. მაგრამ გოგრისა, ხვედა, კონკილა, სკიპიჯალია, კისერა, ცქიმფია (ესენი სულ აქაურებს ჰქვიათ), ანდა ეს ჩვენი შხამა, თუ კარგად ჩაუფიქრდები, ასე თუ ისე მიგანიშნებს, რა კაცი უნდა იყოს ამ სახელის პატრონი.

შვიდი ბიჭის მამა იყო შხამა. ექონელი, მაგრამ მხნე, უჩუმრად ჭირთამთმენი, სიყვარულით სავსე, ოღონდ გულდახურული, პირში მთქმელი, მაგრამ სიტყვამწარე.

შენც გახსოვს, ომამდეც და მით უფრო ომის დროს, სოფელში მცოდნე ხალხი ჭირდა. არც ექიმი ჰყავდათ, არც ბეითალი, არც კბილის მკურნალი. ეგ კი არა, დალაქიც ძვირად მოინახებოდა. შხამა ერთი ხელი ყველაფერი იყო. გაუხდებოდა ვინმეს ძროხა ავად და:

— არიქა, შხამას დაუძახეთო!

ხუნაგშეყრილ ბავშვს სუნთქვა რომ შეეკვრებოდა და საშველი აღარსაით იყო, გულგახეთქილი მშობელი შუაღამით მიადგებოდა შხამას სახლის კარს. აი, მაშინ კი ნურას უკაცრავად, უეჭველად გაიხსენებდნენ ნათლობის სახელს. შენი მარჯვენის ჭირიმე, ივანეო, ბავშვს ხუნაგი მიხრჩობს და ეგებ მიშველოო. შხამა აბუზღუნდებოდა, აქამდე რას უყურებდით, წმინდა გიორგის იმედზე იყავითო, არ გადმოგხედათ წმინდა გიორგიმ და შხამა მერეღა გაგახსენდათო.

ამას კი იტყოდა, მაგრამ მაშინვე დაფაცურდებოდა, თავდაღუნული, უჩუმრად გაჰყვებოდა დაბოღმილ მშობელს.

მიუახლოვდებოდა ავადმყოფ ბავშვს, ლოყაზე ალერსით მოუთათუნებდა ხელს, ყელში ჩახედავდა და შეიცხადებდა:

— მოგიკლავთ ბავშვი და ეგ არის, თქვენ შვილის ღირსები ხართ!

მერე საგულდაგულოდ დაიბანდა ხელებს, სალოკ თითზე რაღაცას წაიცხებდა, მგონი დანაყულ ნიორსა თუ მარილს, ან ეკვე ორივეს ერთად, და დაჩირქებულ ადგილს გამორწყავდა.

ავადმყოფი მაშინვე თვალებში მოიხედავდა.

შხამა კი ისევ რაღაცას წაიბუზღუნებდა, მერე კუშტად დაარიგებდა ავადმყოფის მშობლებს, ბავშვს ასე და ასე მოუარეთო, დაღუნავდა თავს და წავიდოდა. კარგად იცოდნენ ამ უცნაური კაცის ხასიათი, გასამრჯელოს ვერ შებედავდნენ.

როგორც გითხარი, შხამა დალაქობასაც მისდევდა, მაგრამ იმის სადალაქო სკამზე ძვირად თუ ვინმე დაჯდებოდა. ბიჭი იყავ და შეგებედნა, ასე და ასე გამკრიჭეო, მაშინვე შეფხუკიანდებოდა, თუ ხელობა იცოდი, აქ რაღას მორბოდიო, ან დამაცადე, ან არადა მოუსვიო. ამ დროს კიდევ ერთი ზედმეტი სიტყვა და შუა კრეჭაში გაგანებებდა თავს. ერთი სიტყვით, ვინც იმასთან მივიდოდა, კეთილი უნდა ენება და ქვასავით მჯდარიყო, თავის ნებაზე მიეშვა დალაქი.

აბა ასეთ უცნაურ კაცს ვინ შეეგუებოდა. ამიტომ შხამა თითქმის უმეგობროდ იყო, ხალხშემომფრთხალი.

გავიდა დრო, ქვეყანა დაწყნარდა და მოღონიერდა. სოფელში ექიმიც მომრავლდა, ბეითალიცა და დალაქიც. ამასობაში შხამასაც მოადგა კარზე სიბერე. ჯანიც მოუძაბუნდა და მუხლიც, მაგრამ გული, ალბათ, მაინც ძველებურად ერჩოდა, ხასიათს კი, აბა რა გამოუცვლის კაცს.

ადგნენ და კოლმეურნეობაში მეველედ დააყენეს. ერთი იაბო მისცეს და სოფლის თავში რომ პურის ყანები იყო ხოლმე, ის ჩააბარეს. სწორედ რომ შესაფერი ხელობა გამოუჩინეს, ჯაფა აღარ დაადგებოდა.

დიდი გულმოდგინებით მოეკიდა შხამა ახალ თანამდებობას. ცალ გვერდზე ხანჯალი დაიკიდა, მეორე გვერდზე ძველებური დამბაჩა გაირჭო, ალბათ იმისი პაპისპაპა ლეკიანო-

ბის დროს რომ იყენებდა, მხარზე თოფი გადაიკიდა, იაბოზე ამხედრდა და დღე და ღამე გარს უვლიდა ჯეჯილს.

ვინმეს საქონელს ცალი ფეხიც რომ გადასცდენოდა ყანაში, შხამას კლანჭებს ვერ გადაურჩებოდა. მასთან არც მეზობლობა სჭრიდა, არც ნათლიმამობა, ყველას ერთი ადლით ზომავდა, შინაურსაც და გარეულსაც.

აი, ასეთი კაცი გახლდათ შხამა. ერთ დღეს კი, ეს იყო შარშან ზაფხულს, დიდი უცნაურობა ჩაიდინა.

წყნარი საღამო იყო. მზე უკვე ჩადიოდა, მაგრამ ჯერ ისევ სულისშემხუთავი სიცხე იდგა. შხამამ უკვე დამწიფებულ პურის ყანას ერთხელ კიდევ შემოუარა ცხენით და რასა ხედავს: სოფლის მენახირე ბრუტიან ზაქრუას, ცალთვალა დეკს რომ ჰგავდა, ნამკალში მიუშვია საქონელი და აძოვებს. შხამამ ცხენი ზედ მიაგდო და დაჰკივლა: ვინ გიბრძანა ნახირი აქ შემორეკეო. ბრუტალა ზაქრუამ გულგრილად აჰხედა თავით ფეხამდე შეიარაღებულ შხამას და კითხვა შეუბრუნა:

— ლეკები უკვე გააბრუნე?

შხამამ კარგად იცოდა, ზაქრუა რა ღვთის კლანჭიც იყო, იმასთან არაფერი გასჭრიდა და კითხვაზე წაუყრუა.

— შენ რასაც გეკითხებიან, იმაზე უპასუხე.

— ვინა და, თავმჯდომარემ მიბრძანა.

— სტყუი...

— წადი და ჰკითხე.

— თუ ტყუილი გამოდგა, ხანჯალზე წამოგაგებ.

მენახირემ ჩაიცინა.

— ჯერ ცხელა, შხამავ, ხორცი მარილს არ მიიღებს.

მეველემ აღარაფერი უპასუხა, ცხენი შემოაბრუნა და გაცეცხლებული სოფლისკენ დაეშვა.

კანტორაში არავინ დახვედრია, დამლაგებელმა უთხრა, ქალაქიდან ლექტორია ჩამოსული, კლუბში ლექციას კითხულობს და ყველანი იქ არიანო. კლუბი იქვე, კანტორის გვერდით იყო. შხამამ ცხენი ხეზე გამოაბა და კლუბის კარი შეაღო. დარბაზი ხალხით იყო სავსე. სცენაზე, წითელმაუდგაღაფარებულ მაგიდასთან, კოლმეურნეობის მესვეურები ისხდნენ. ლექტორი კი ფეხზე იდგა და ლაპარაკობდა. შუა ხნის კაცი იყო, ქალივით ლამაზი, გადატკეცილი პირისახე ჰქონდა. იარაღასხმულმა მეველემ რომ შემოალაჯა, თავმჯდომარემა და

სხვა თავკაცებმა ერთმანეთს ისე გადახედეს, ეტყობოდათ, არ ესიამოვნათ.

შხამამ თოფი მოიხსნა, სკამზე დაჯდა და მუხლებშუა ჩაიყუდა. იგი სმენად იქცა, უცებ შეიპყრო ცნობისმოყვარეობამ, გაეგო, რას ქადაგებდა ეს ქალაქიდან ჩამოსული კაცი. ის კი რიხიანად განაგრძობდა:

— პირისაგან მიწისა აღიგავენ ისეთი ძლიერი ქვეყნები, როგორიც იყო კართაგენი, ბაბილონი, ასურეთი... ჩვენმა ქვეყანამ დღემდე მოიტანა თავისი ყოფა და თავისი ენა. დღეს კი რა ხდება, ამხანაგებო, აღარავის უნდა ერთ ან ორ შვილზე მეტი იყოლიოს, ლამის გადავშენდეთ ჩვენი კუდაბზიკობით. არადა, ასეთი პირობები არასოდეს არა გვქონია. რა გინდა ბატონო, სწავლა გინდა, გზა ხსნილია, ხელობა გინდა, აირჩიე, მაგრამ რაშია საქმე, რად დავკარგეთ მამულიშვილური გრძნობა? დიდ მშენებლობაზე მოძმე რესპუბლიკები გვახმარებენ სპეციალისტებს, ჩვენ რომ აღარ გვყოფნის ხალხი.

ეშხში შესული ლექტორი შეჩერდა, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და დარბაზს გადახედა. ხალხი ფრთხილად აჩურჩულდა და ამ დროს სკამიდან წამოდგა შხამა.

— თუ შეიძლება ერთი გკითხოთ?

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კისერი წაიგრძელა. შხამას გადმოხედა და ისე აფორიაქდა, თითქოს რწყილები შეესივნენო. რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ლექტორმა დაასწრო:

— ბრძანეთ, ბრძანეთ, დიდი სიამოვნებით.

შხამამ ჩაახველა:

— ვინ გამოგგზავნა აქა?

დარბაზი გაინაბა.

ლექტორი შეცბა ამ მოულოდნელ კითხვაზე, მერე წარბი შეკრა და უპასუხა:

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

— ამას წინათ, — დაიწყო შხამამ, — რაიონიდან ერთი კაცი იყო მოსული, ვიცნობ, რა შვილიც ბრძანდება, აქ გაიზარდა. ჰოდა, ის კაცი პატიოსნებას გვიქადაგებდა. გულზე გავსკდი, სად გაგონილა, მგელი ცხვრებს უქადაგებდეს, მგლობას თავი დაანებეთ და ცხვრებივით იცხოვრეთო. თქვენა შვილოსა, სხვისი ხელით გინდათ ნარის გლეჯა. მე შვიდი გავზარ-

დე, შაშვიაანთ საბამ — ცხრა, ჩანთამ — რვა. ეს მითხარი, თქვენ და თქვენისთანები რამდენსა ზრდით? ვინ გამოგგზავნა აქა, ჩვენ რაში გვჭირდება მაგის ქადაგი!

ხალხი აჩოჩქოლდა. ლექტორი ჯერ მოიღუშა, მერე დამცინავად მოჭუტა თვალები და მოკამათეს ისე მიაჩერდა.

— დაჯექი შხამავ, გეყოფა! — შეუძახა ხალხიდან ვიღაცამ.

— ნუ ჩააშხამებ ხოლმე, შხამავ!

თავმჯდომარემ ვიღაცას რაღაცა ანიშნა, მერე ლექტორისკენ გადაიხარა და ყურში უჩურჩულა:

— არ გაგიკვირდეთ, ბატონო, მაგას ცოტა კრამიტი აქვს დაცურებული.

— რა აქვს დაცურებული? — გაიოცა ლექტორმა.

— კრამიტი. ესე იგი, გვარიანად დაუდის.

— რა დაუდისო, რა კრამიტიო? — დაიბნა ლექტორი.

— ცოტა აკლია, ბატონო, ცოტა კი არა, გვარიანად. ერთი სულელი გვყავს სოფელში და ვინახავთ, ხან მეველად გავუშვებთ, ხან... აბა რა ვქნათ.

— აჰა, გასაგებია, — ახლა მიხვდა ლექტორი და უცებ გაიბადრა — ეტყობა, ეტყობა, მეც არ გამიკვირდა...

ამასობაში კი შხამა ბუზღუნ-ბუზღუნით გაიყვანეს გარეთ.

— სიმართლის მთქმელი არავის გინდათ, შვილოსა! — ესღა თქვა და კარიც მიუხურეს.

ლექტორმა კი რამდენჯერმე ჩაახველა, მერე შვებით ამოისუნთქა, რაკი დაარწმუნეს, რომ მოკამათე სულელი იყო, აჩოჩქოლებულ დარბაზს ხელით ანიშნა, დაწყნარდითო, და, როცა თავმჯდომარე თავის ადგილას დაჯდა, განაგრძო.

— ეგ არაფერი, ამხანაგებო, უნდა მივუტევოთ. ავადმყოფი კაცი ყოფილა. მაშ ასე, იმას ვამბობდი, სად გაქრა ჩვენი მამულიშვილური მოვალეობა, ჩვენი სინდისი და პატიოსნება...

ხალხი ისევ განაბული უსმენდა რაიონიდან ჩამოსულ ქადაგს.

დიდი მარკოზის სიზმარი

მთის ძირში გაშენებულ ამ ძველისძველ ქალაქსაც თავისი საკუთარი სამყარო აქვს, თავისი ხასიათი და ადათი.

როგორც კი ინათებს, ჯერაც უკაცრიელ ქუჩებს გრძელტარიანი ცოცხებით ცელავენ მეეზოვენი. მათი შემხედვარე ისე იფიქრებს, თითქოს ქვეყნიერებამ სიცოცხლე დაასრულა და ეს პირქუში, ზეციდან ჩამოსული აჩრდილები საბოლოოდ შლიან იმ ჭუჭყის კვალს, ადამიანებმა რომ დატოვეს დედამიწაზე თავიანთი არსებობის მანძილზეო. მაგრამ გამოხდება ხანი, მოიქცევა მზე და კვლავ განმეორდება ორომტრიალი. ქუჩები აივსება ჭრელ-ჭრელი ხალხით — დალხინებულებით, გაჭირვებულებით, მატყუარებით, გულუბრყვილოებით, მუყაითებით, რწმენადაკრგულებით, ყალთაბანდებით... როგორც მდინარე წვიმის შემდეგ, ისე აზვირთდება ქუჩები ქალაქისა. ფაბრიკა-ქარხნები, სასწავლებლები თუ სხვა საუწყებონი შეიწოვენ ადამიანებს და ქალაქიც ჩაცხრება.

სადაც არის, გახდება ცხრა საათი. მოედანზე, დიდი შენობის წინ, თავს იყრიან ქალაქის მესვეურები. ისინი თითქოს ვიღაცას თუ რაღაცას ელიან. ცოტა ხანიც და გამოჩნდებიან მთლად უფროსნიც ამა ქალაქისა. თავდაჭერილად მიესალმებიან დიდი შენობის წინ თავმოყრილებს. ეს უკანასკნელნიც ლამის დედამიწამდე დაღუნავენ თავებს და ალერსიანი მზერით გააცილებენ. მერე კი, არც მთლად კმაყოფილნი, არც მთლად უკმაყოფილონი ნელ-ნელა დაიშლებიან. კმაყოფილნი მაშინ რჩებიან, თუ ყველაზე უფროსი გუნებაზეა და ცოტახანს იმათთან ინებებს შეჩერებას. იგი მაშინვე ალყაში მოექცევა, თუ რაიმეს უგერგილოდ გაიხუმრებს, მთელი ხროვა ახარხარდება, ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო მეტად აამებს მლიქვნელური სიცილით.

დიდი მარკოზიც იმათ ამქარშია. იმისი ყოველდღიური ცხოვრება აქედან იწყება, ისიც, ვითარცა ბევრი სხვა, ჯერ აქ უნდა გამოცხადდეს, დიდი შენობის წინ (ეს დაუწერელი კანონია), თავკაცებს დაენახვოს. მიესალმოს, გამოელაპარაკოს, გული დაიარხეინოს და მერე ისე წავიდეს თავის სამწყსოში.

დიდი მარკოზი...

მარკოზი მარკოზია, მაგრამ დიდი რომელმა უჩინმაჩინოსანმა დაუმძღვარა ან რისთვის, — კაცი ვერ მიხვდება.

ვიდრე დიდი მარკოზი თავის სახელისუფლოში მივიდოდეს, ცოტა ხელი მოვინაცვლოთ და გავიცნოთ იმისი ცხოვრების გზა.

თითქმის ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო, ღვინის სარდაფში რომ დაიწყო მოღვაწეობა. ცხოვრებამ მალე დაგეშა და მიხვდა, მუშტარს როგორ უნდა დახვედროდა. ისეთი მოწიწებითა და პატივისცემით მიიპატიჟებდა ყველას, ვინც არ უნდა ყოფილიყო, თითქოს ხელმწიფე ესტუმრაო. სახელდახელოდ გაშლიდა მცირე პურ-მარილს კასრის თავზე, თვითონაც გვერდით მიუჯდებოდა მუშტრებს და ყურებგამახვილებული უსმენდა, რაზე საუბრობდნენ.

ერთი სიტყვით, რამდენიმე ხნის შემდეგ მარკოზმა მარტო ანეკდოტები კი არ გაიზეპირა, უკვე შეეძლო ყველაფერზე გამოეთქვა თავისი აზრი.

— მარკოზი მიპოვეთ, სადაც არ უნდა იყოს! — ბრძანებდა მარკოზის უფროსი, როცა დედაქალაქიდან საპატიოცემლო სალხი ესტუმრებოდა. ენაწყლიან მარკოზსაც თან იახლებდა და ყველანაირად კმაყოფილებს გაისტუმრებდნენ ჩამოსულ ამხანაგებს.

თანდათან ღრმად და ღრმად გაიდგა ფესვი უკვე დიდად წოდებულმა მარკოზმა და მალე კიდეც დააწინაურეს, სარდაფიდან ამოაძვრინეს და წვრილ-წვრილ დამამზადებლებს ჩაუყენეს სათავეში.

მერე უფრო დიდი ადგილი მისცეს.

— სად არის მარკოზ არჩილოვიჩი? — ჰკითხავდნენ დიდი მარკოზის გაპიწკინებულ მდივანს და ისიც ერთსა და იგივეს პასუხობდა, როცა უფროსი კაბინეტში არ იყო:

— მარკოზ არჩილოვიჩი ობიექტებზეა გასული.

ამ დროს დიდი მარკოზი დავლაზე იყო. თავის ხელქვეითებს ჩამოუვლიდა, შეახურებდა, მერე დათვის წილს წამოკრეფავდა და დაბრუნდებოდა. ვისაც ვერა ნახავდა, თავის კაბინეტში დაიბარებდა, მაგიდის უჯრას გამოსწევდა და ვითომ იქით არც იყურებოდა, ვერცა ხედავდა, შიგ როგორ ცვიოდა ხელის ჭუჭყი.

გადიოდა დრო. წლები წლებს მისდევდა და დიდი მარკოზის ხაზინაც იზრდებოდა. ბოლოს დედაქალაქამდე ჩააღწია მისმა სახელმა, იქაც დაიწყეს მითქმა-მოთქმა, დიდი ფულის

პატრონი ყოფილაო. ამ ამბავმა ერთხელ კიდევ წამოაყოფინა თავი მოშურნეებსა და მეტოქეებს, ერთხელ კიდეე მოუსინჯეს კბილი, მაგრამ ვერაფერი დააკლეს და სამუდამოდ ჩაიქნიეს ხელი. მარკოზმა ერთი კი ჩაილაპარაკა ღიმილით: წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო, და იმის შემდეგ თავის ნაჭუჭში ჩაიკეტა, შეეცადა თავისი არსებობა დაევიწყებინა ზოგიერთისათვის და არც არავინ ჩაეხედებინა თავის საქმეში.

აი, მას აქეთ მარკოზი უცვლელი თავმჯდომარეა. იმ დაწესებულების შენობა, სადაც დიდი მარკოზი თავმჯდომარეობს, ქალაქის გულშია, მთავარი ქუჩის პირას. სწორედ იმ შენობის წინ, ქუჩაში დილიდანვე მოკალათდება ხოლმე ერთი ცალფეხა და ცალხელა მათხოვარი. იმ მათხოვარს თხელი ქერა თმა ისე ჩამოშლია, ლამის სევდიანი ცისფერი თვალები მთლად დაუფაროს. კარგახანია, რაც იგი ამ პატარა ქალაქში გამოჩნდა და ქალაქელებიც ისე მიეჩვევნენ მას, თითქმის ქალაქის მკვიდრად მიიჩნიეს, თუმცა არავის მოუწადინებია გაეგო, საიდან მოვიდა ან რა წარსული ჰქონდა მას. არავინ იცოდა, რა ქარიშხალი გამოიარა ამ მათხოვარმა, რა ბეწვის ხიდზე იარა და რომელმა ტალღამ შეაგდო მათხოვრის ტახტზე. ადამიანები, ვინც მუდამ დიდ ცნობისმოყვარეობას ამჟღავნებენ, გულგრილად ჩაუვლიდნენ ხოლმე მას და თითო-ოროლა შაურს ჩაუგდებდნენ ქუდის ძირში. ეგ არის და ეგ.

დიდი მარკოზიც ყოველთვის სიბრალულს ამჟღავნებდა მის მიმართ და ხალისით ჩაუგდებდა ხოლმე მანეთიანს, ხან კი უფრო მეტსაც.

იმ დილით თავისი დაწესებულებისაკენ მიმავალმა მარკოზმა შორიდანვე დაინახა მათხოვარი და მაშინვე გუნება წაუხდა, რადგან წუხანდელი საზარელი სიზმარი გაახსენდა.

წუხელ სიზმარში იმ მათხოვრის ადგილას ვითომ თვითონ იჯდა მარკოზი. სასტიკად აცხუნებდა მზე. ოფლში გახვეულს ლამის გული გაპარვოდა. ტანსაცმელი მთლად შემოფლეთოდა, შიშველი სხეული მოუჩანდა. ცალი ფეხი ზედ მუხლზე ჰქონდა გადაკრილი და იარა ჯერაც არ შეხორცებოდა. გადაკრილი მუხლის თავი ულვთოდ ეწვოდა. წინ ქუდის მაგივრად თავისი მაგიდის უჯრა ედო და შიგ დასტა-დასტა ჰყრიდნენ ფულს გამვლელები. მერე ვიღაც წვერმოშვებულმა კაცმა ჩა-

მოიარა, საზიზღარი ხარხარი ატეხა, უჯრას ფეხი წაჰკრა და ფული ქუჩაში გაფანტა.

ამ ყოფაში გამოეღვიძა მარკოზს, ოფლში ცურავდა, სულს ძლივს ითქვამდა, მუხლი კი ისე ეწვოდა, თითქოს მართლა გადაჭრილი აქვსო.

როგორც იყო მოითქვა სული, მუხლიც დაუამდა, მაგრამ სიზმარმა მაინც ძალიან გაუფუჭა გუნება. არა, რამ დაასიზმრა ის მათხოვარი? მთელი ღამე აღარ დასძინებია, ისეთი ეჭვი და ფიქრი აეკვიატა, თავის დღეში რომ არ მოსვლია აზრად. დილით, როცა ქალაქში გავიდა, სიზმარი მთლად დააკიწყდა და აი, ამ მათხოვრის დანახვამ და სიზმრის გახსენებამ ისევ აუმღვრია სული.

მათხოვარს რომ მიუახლოვდა, შეჩერდა და დააკვირდა. მათხოვარმა, ვინც მარკოზისგან ყოველ დილას დიდ მოწყალებას იღებდა, კეთილად გაუღიმა. ამ ღიმილმა უარესად მოშალა მარკოზი, ოღონდ თვითონაც არ იცოდა, რათ ემწარა ეს ღიმილი.

— აქედან წადი, — ზიზღით უთხრა მარკოზმა მათხოვარს, — დღეიდან აქ აღარ დაგინახო.

მათხოვარი გაოცდა და მოიღუშა.

— მე... მე სულ აქა ვარ, ბატონო, ეს არის ჩემი ადგილი!

— წადი აქედან! — კბილებში გამოსცრა მარკოზმა, მაგრამ მათხოვარი არ ინძრეოდა. ქუჩაში გამვლელებმა რაღაც იყნოსეს და შეჩერდნენ. მარკოზი უცებ აენთო, მათხოვარს ფეხი წაჰკრა და საშინლად იყვირა:

— დაიკარგე აქედან, რომ გეუბნები!

მათხოვარმა ისეთი კივილი მორთო, თითქოს ცხელ თონეში აგდებენო. იმავე წუთში ხალხი შეიყარა. მარკოზის დაწესებულებიდანაც გამოვარდნენ თანამშრომლები და უფროსს შემოეხვივნენ, მთლად რომ გაფითრებულიყო და კანკალებდა.

— მარკოზ არჩილოვიჩ, რა მოხდა? დაწყნარდით, მარკოზ არჩილოვიჩ!

— მეზიზღებიან მათხოვრები! — ჩაილაპარაკა მარკოზ არჩილოვიჩმა და გაშმაგებით გააყოლა თვალი ახანხალებულ ხეიბარს.

ვიღაცამ ვალიდოლი დააძრო ჯიბიდან და მთლად აკანკა-

ლებულ, გაფითრებულ მარკოზს მიაწოდა. მერე ხელი მოჰკიდეს და თავის დაწესებულებაში შეიყვანეს. ქუჩაში დარჩენილები კი გაკვირვებით იჩეჩავდნენ მხრებს და ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

— რა დაემართა მარკოზ არჩილოვიჩს, ეს მათხოვარი სულ აქ არ ზის?

მაგრამ პასუხს ვერავინ იძლეოდა. არავინ იცოდა, რაზ გაეშმაგა დიდი მარკოზი.

ესტატე

კვნესამ გამომაღვიძა. თვალი გავახილე და ყური მივუგდე. ჩქამი არსაიდან ისმოდა. ჩემი თანამოძმენი იდგნენ თითისტარივით გაშიშვლებულები და ზამთრის ძილს მისცემოდნენ. სადღაც შორს მგელი ყმუოდა. ო, რა საბრალოდ ყმუოდა, იმის ცოდვით ჯიგარი დაგეწვებოდათ. ალბათ ძალიან შიოდა. უბედური მგელი, ერთხელ გაძღება და ერთ თვეს მშიერი დაძრწის, დაწანწალებს.

— ბიჭო, ესტატე! — მომესმა უცებ ბუხუნა, მაგრამ მკვნესარე ხმა. ეს ხომ მამაჩემი იყო.

— ვის ეძახი, მამილო?

— შენ გეძახი, შვილო, შენა.

— მერე მე ესტატე როდისა ვარ.

მამაჩემმა გაშიშვლებული მკლავები ჩამოზნიქა და ისევ კვნესით მითხრა:

— დღეიდან შენ იქნები ესტატე, ჩემი ადგილი შენ უნდა დაიჭირო. არ კი შეგეშინდეს, შვილო. მაგრამ გათენებამდე ველარ მივაღწევ, მუხლები მეკეცება და სუნთქვა მიჭირს.

ელდა მეცა, შიშისგან ლამის დავილიე. მამაჩემის გარეშე როგორ უნდა მეცხოვრა და მეარსება, ის იყო ჩემი ერთადერთი პატრონი, იმის ხათრით ჩვენს გარშემო ავს და ბოროტს არავის აკაჭანებდნენ, თორემ აქამდე ან ცულის მსხვერპლი გავხდებოდი ან საქონელი გადამთელავდა.

— რა იყო, მამი, რა გემართება? — ძლივს ამოვიკვნესა საბრალომ.

— ეტყობა, შვილო, ფესვები დამილპა, ველარ ებღაუჭებიან მიწას. დროც არის, ჩემი ტოლი ამ ტყეში აღარავინ დარჩა, მაგრამ სიკვდილისთვის მაინც ყველა სანანელი ყოფილა. ო, როგორ მეკვეთება მუხლები. ცივი ოფლი მასხამს... აბა, ყური დაუგდე გესმის რამე?

— მშიერი მგელი ყმუის, მამი.

— სხვა არაფერი გესმის?

— არა.

— ჰე, — მწარედ ჩაიცინა, — მოდის, სიკვდილი მოდის, ტყე ბუბუნებს. ქარის წინ იცის ასე, სადაც არის ქარიშხალი ამოვარდება და დამცემს. სიზმარიც ოხერი ვნახე, ჩემს ფერხთით ვეება ორმოს დაეღო პირი და ვითომ იქ ის ცხონებული ესტატე უნდა დაემარხათ, ვისი სახელიც მე დამარქვა ხალხმა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი აღსასრულის ჟამმა მოატანა.

— ესტატე, ვიღა იყო, მამი?

— ხმა რათ გიკანკალებს, შვილო, ხომ გითხარი, არ შეგეშინდეს-მეთქი. ყველაფერს გეტყვი, რასაც მოვასწრებ, ო, როგორ მტკივა ფესვები, სხეული მერღვევა, ძლივსღა ვდგავარ ფეხზე, — დაიგმინა მამაჩემმა, მერე ერთი წამით იყუჩა და დაიწყო:

— სამას წელს ბევრი არაფერი მიკლია, შვილო, მაშინ კარგი მოსული ჯეელი ვიყავ, ესტატე რომ მოკლეს მოთარეშე ლეკებმა. ეს ორასი წლის წინათ იყო. ხუნძის ბატონი ნურსალ-ბეგი კახეთს შემოესია და ანაგის ციხეს ალყა შემოარტყა. მეფე ერეკლემ რჩეული ბიჭები გაგზავნა, რათა ღამით ალყა გაერღვიათ და მეციხოვნეთ მიშველებოდნენ. მაშინ ისახელა თავი ესტატე ასპანაშვილმა და მეფის დიდი წყალობაც მიიღო. ხალხი ლექსებს თხზავდა ესტატეზე. და აი მოკლე ხნის შემდეგ, როცა მოთარეშე ლეკები ტყვეებს მიერეკებოდნენ სწორედ აქ, ამ ადგილას წამოეწია ესტატე იმ წუნკლებს. ტყვეებში თურმე თავის საცოლეც ერია. ერთი კაცი ათს შეებრძოლა. მსგავსი სიმამაცე არ მინახავს შვილო, თითქოს ლომი აფთრებში შერეულიყოს. ცხრა გაისტუმრა იმ ქვეყანაში და სწორედ მაშინ უმუხთლა ხმალმა, ვადაში გადაუტყდა. მძიმედ დაჭრილი ჩემს ჩრდილში იწვა სულთმობრძავი. დალალებგაშლილი საცოლე ცრემლად იღვრებოდა, ცოდვით ჯიგარი მეწ-

ვებოდა, მინდოდა მივშველებოდი, მაგრამ რა შემეძლო თავ-მკვდარს. აქ დალია სული, მოკვდა, მაგრამ ტყვეები მაინც გაანთავისუფლა. იმის შემდეგ ხალხი ესტატეს მუხას მეძახის. ჩემს ჩრდილქვეშ თვით მეფე ერეკლესაც დაუსვენია, თავისი მძლავრი ხელით მომფერებია, ლუკმაც გაუტეხია და ჯამით ღვინოც მიურთმევია. რომელ ერთი მოვიგონო, რამდენი მიიბარა მიწამ, ბევრი კაი ყმა და ბევრიც ცუდი კაცი. მე კი ვდგავარ და ვდგავარ ეს სამასი წელი, სამი საუკუნე. ვფიქრობდი ალბათ სიკვდილს დავავიწყდი-მეთქი, საქმეში ხარ, თურმე სიკვდილს არავინ ავიწყდება. რომელ ერთი გავიხსენო, აღარ ვიცი. ამ ას ორმოცდაათი წლის წინათ ერთი საშინელების მოწმე კიდევ გავხდი. აჯანყებულ კახელებსა და მთავრობის კაცებს შორის სისხლისმღვრელი შეტაკება აქ მოხდა. აჯანყებულთა ერთ-ერთ რაზმს კაცო ოსანაშვილი მეთაურობდა. კარგი ვაჟკაცი იყო. ციმბირში გადაასახლეს და დიდი ხნის შემდეგ დაბრუნდა. მოვიდოდა ხოლმე უკვე ბებერი, მოგეფერებოდა, მომეყრდნობოდა როგორც შვილი დედას და მებუტბუტებოდა:

— რამდენი რამის მომსწრე ხარ, მადლიანო, სიკეთისაც და ავისაც, ნეტავ იმ დროს, აქ რომ ჟანდარმებს კუდით ქვა ვასროლინეთ, გახსოვს, მადლიანო. ეჰ, მაშინ ჯეელი ბიჭი ვიყავი, გახსოვს?

როგორ არ მახსოვდა. მე თუ არა, მაშ ვის უნდა ხსომებოდა. თანხმობის ნიშნად ტოტებს შევარხევდი, ფოთლებს ავაშრიალებდი, მახსოვს, კაცო ბატონო, მახსოვს-მეთქი. პირველი კომკავშირლებიც ჩემთან იყრიდნენ თავს, აქ მართავდნენ საიდუმლო კრებებს ახალი ცხოვრების მაძიებლები.

გავიდა დრო, ცხოვრება დაწყნარდა. შფოთი ჩადგა. აგერ ა, ეს ექვსი ათეული წელია საქეიფოდღა ამოდიან ხოლმე ჩორჩანელი ბიჭები, როცა სიცხე შეაღონებთ, მე შემომაფარებენ თავს. სტუმარი თუ მოყავთ დიდი ქალაქიდან, იმასაც აქ ამოიყვანენ, მოვლენ, გადამისვამენ სქელ ქერქზე ხელსა და გაშლიან სუფრას. სტუმართან სიამაყით აცხადებენ, აი, ამ მუხის ქვეშ თვით ერეკლე მეფეს უქეიფიაო, აქ მოკლა სახალხო გმირმა ესტატემ ათი ლეკი და თვითონაც დაეცა ვადაში გადატეხილი ხმალითო. ბევრი რამე ახსოვს ამ მუხას. ამან რომ ლაპარაკი იცოდეს, რამდენ რამეს გვიამბობდაო. ღვინით შე-

ზარხოშებულები ენამჭევრობაში ერთმანეთს ეჯიბრებიან, გაახურებენ სადღეგრძელოებს.

— იმდენ ხანს იცოცხლე, — ერთი ეტყვის მეორეს, — რამდენ ხანსაც აი ეს მუხა ცოცხლობსო.

— იმ ხალხს გაუმარჯოსო, — ამბობს მეორე, — ვისაც ამ მუხის ჩრდილში დაუსვენიაო. ერეკლესა და ესტატეს სადღეგრძელოებს კი ცალკე დალევენ ხოლმე, გამორჩევით, გამოჩინებით.

— ბიჭო, ესტატე! — შემომძახებს ერთი, — გვითხარი რამე, რათა დუმხარ, კაცო, რაო ერეკლემ?

— ბიჭო კი არა, პაპავ-თქო, ვერან! — შეუსწორებს მეორე და ახლა თვითონ მომიბრუნდება, — პაპილო, საყვარელო, სწორედ გვითხარი, შენმა მოსახელემ რამდენი ლეკი მოკლა?

აი ეგრე მეფერებიან ჩორჩანელი ბიჭები, ესტატეც იმათ დამარქვეს. ესტატეს მუხა კი არა, ესტატე უნდა დავუძახოთ პირდაპირო, ეგრე დათქვეს და კიდეც გააკეთეს. კარგი ბიჭები არიან, შვილო, კარგი თაობა მოვიდა. შენც უნდა იცოდე, ვინ არიან ისინი: ოთარი, ლეხუმა, ქიტესა, ბახა... კიდევ ჩამოვთვალო? გვეყოფა, თორემ სათქმელს ვეღარ მოვასწრებ, გესმის, ბიჭო, ქარი ვარდება, სიკვდილი მოაქვს, საცაა წამაქცევს ეს ტიალი, ფეხზე დგომა მიჭირს. არ შეგეშინდეს, შვილო, ის ბიჭები სიყვარულით შენც გიპატრონებენ, ცივ ნიავს არ მოგაკარებენ.

ამ დროს ქარმა დაისისინა, დაიწივლა და თავზე გადაგვიარა. ეს მუქარა იყო, მეორედ და მესამედ უფრო ძაან შემოგვიტევდა. მამაჩემი შებარგანავდა, დაიგმინა, მაგრამ ისევ ფეხზე დადგა.

— შენი უფროსი ძმა ამ სამოცი წლის წინათ მოჭრა ტყის მუსუსმა გარსუამ. გული მომიკლა იმ დასამიწებელმა, აკი დამიწდა კიდეც. მოვიდა ერთ დღეს და ცულით დაუწყო ჭრა. იმას არ ესმოდა ჩემი და ჩემი შვილის კვნესა. ცულს რომ გვცემენ და ვკვნესით, ადამიანები ამას „კაკუნს“ ეძახიან, ჩვენ რომ სისხლი და ცრემლი გვდის, იმას კიდევ ხის წვენს.

ისევ დაიწივლა ქარმა, უფრო მძლავრად შემოგვიტია.

— საცაა წავიქცევი, ბიჭო ესტატე. გული იმაზე მწყდება, ამ გაზაფხულს ვეღარ ვესწრები. ვეღარ დავიმშვენებ ფოთლე-

ბით ტანს. ველარ იღუღუნებენ ქედნები ჩემს ტოტებზე, ველარც ქერონა ჩიტები დაჰკრავენ დაუსრულებელ გალობას, სიამით რომ ვისმენდი ხოლმე, წიპრიებიც სტვენა-სტვენით ველარ იხტუნავებენ ტოტიდან ტოტზე, ველარ მოვლენ ჩორჩანელი ბიჭები, ლუხუმა, ქიტესა, შოთა, ბახა... ხელს ველარ გადამისვამენ ხორხლიან ტანზე, ველარ მეტყვიან, ბიჭო, ესტატე. პაპილო ესტატე, ნუ დუმხარ, გვითხარი, ერეკლემ რა დაგიბარაო, გესმის. ბიჭო, ხმას რატომ არ იღებ.

ცხარედ ვტიროდი, ცრემლი ყელში მეჩხირებოდა და ხმას ველარ ვიღებდი.

— ტირი, ბიჭო? ტირილი არ გამაგონო!.. — მაგრამ ეს ხმა ქარის ღმუილმა ჩაახშო, მერე ქარის ღმუილს რაღაც შემზარავი ხივილი მოჰყვა და დავინახე მამაჩემი როგორ გადაიხარა მიწისკენ. რამდენიმე წამს ხივილით მიექანებოდა და როცა ძირს დაეცა საშინელის ხმაურით, ერთხელ კიდევ წამოიწია, თითქოს უნდა წამოდგესო, მაგრამ ისევ მიწას გაერთხო სამუდამოდ. მამაჩემის ნადგომზე პირდაღებული ორმო დარჩა და იმის პირზე დევივით მოჩანდა შავი ბურჯღო ფესვები.

ჩორჩანის რაიონული გაზეთის რედაქტორის კაბინეტში ტელეფონის ზარმა გაიწკრიალა. რედაქტორმა ყურმილი აიღო.

— ოთარი ხარ?

— მე ვარ, ლუხუმ.

— გაიგე, რა მოხდა?

— რა იყო, რა მოხდა? — შეშფოთდა რედაქტორი.

— ესტატე წაუქცევია წუხელ ქარსა.

— რას ამბობ, კაცო, ვინ გითხრა?

ბახა იყო ჩემთან, სატყეოს უფროსი. ამ დილით თავის თვალით უნახავს.

— ხომ არავინ იმაიმუნა, კაცო, რა ისეთი ქარი წუხელ იყო...

— გამოდი ჩემთან, რაიკომში, ქიტესაც აქ მოვა, გიგუცაც. შოთაც, ბახაც...

— იციან ეს ამბავი?

— იციან. მე დავურეკე.

იმ დღეს პატარა ქალაქი ჩორჩანი შეშფოთებული იყო.

— ესტატეს მუხა წაქცეულა.

— ესტატე აღარა გვყავს! — დამწუხრებულები ამცნობდნენ ერთმანეთს.

როცა გათენდა, შიშმა ცოტა გამიარა და იმედიც მომეცა. დღის ნათელი იმედის მომცემია სასოწარკვეთილთათვის. ვუყურებდი გაშოტილ მამაჩემს და სინანულით გული მეწურებოდა.

შუადღისას ორი მანქანით მოვიდნენ კაცები. მივხვდი. მამაჩემი რომ მეუბნებოდა, ის ხალხი იყო.

დამწუხრებული სახეებით გადმოვიდნენ მანქანებიდან, თავზე დაადგნენ წაქცეულ მამაჩემს და დუმდნენ. ბოლოს ერთმა გატეხა ნავსი, მაღალმა, ჭაღარა თმიანმა.

— ჰაი, გიდი, ესტატე, მაინც მოგერია სიბერე, არა?

— ლუხუმ, — უთხრა მეორემ, ტანდაბალმა, ოდნავ მელოტმა, — ამას ეგრე ყურება არ გამოადგება. ყველამ იცით, ჩვენთვის, ჩორჩანელებისათვის, რაც იყო ეს მუხა.

— რა ვქნათ, თქვით და მზადა ვართ.

— რა უნდა ვქნათ და წესი უნდა ავუგოთ. — დასძინა მესამემ.

— სწორია, სწორი, — ყველა ერთხმად დაეთანხმა ამის მთქმელს.

— დღეს მაინც პარასკევია, — თქვა ლუხუმამ, — ხვალ ამოვიტანოთ პურ-მარილი და შესანდობარი დავლიოთ.

ამ დროს იმათგან ერთი, დაბალი და ოდნავ მელოტი რომ იყო, ჩემკენ წამოვიდა, თან დაჟინებით მიყურებდა, დაიხარა, დამაკვირდა და უცებ თვალებგაბრწყინებულმა დაიყვირა:

— ბიჭებო, მოდით, რა განახოთ, ბიჭებო, პატარა ესტატე დაბადებულა. ყველანი ჩემთან მოვარდნენ, გარს შემომეხვიენ, ხელს ფრთხილად მკიდებდნენ, მაკვირდებოდნენ და მელოლიავებოდნენ. სიხარულისაგან ლამის ავტირდი, ტყუილად კი არ მეუბნებოდა ცხონებული მამაჩემი, ჩემი ხათრით, პატრონობას არავინ მოგაკლებსო.

— დიდება შენდა, განგების ძალავ, — ხელები აიპყრო ლუხუმამ. — ერთს თუ ჰკლავ, მეორეს აჩენ, — მერე ბიჭს მიუბრუნდა, — ბიჭავ, დღეიდან მთელი სატყეოს საზრუნავი ა?,

ეს იქნება, — ჩემზე მიუთითა, — ამას თუ რამე დაუშავდა, დაიხურეთ ქუდი და თქვენით წადით სატყეოდან.

— ეგრე, ეგრე! — დაუმოწმეს სხვებმაც. მერე მანქანებში ჩასხდნენ და გაბრუნდნენ.

მეორე დღეს უფრო ბევრნი ამოვიდნენ. ვიდრე პურ-მარილს გაშლიდნენ, ერთმა მათგანმა ფოტოაპარატი დააძრო, ჯერ წაქცეულ მამაჩემს გადაუღო სურათი, მერე მე. ორ-ორჯერ დააჩხაკუნა, ეტყობა, გაზეთში გამოსაქვეყნებლად უნდოდათ. მერე მამაჩემის ტანზე გაშალეს პურ-მარილი. არ დამსხდარან, იმ სიცივეში ვინ დაჯდებოდა. უხმოდ გატეხეს ლუკმა, უხალისოდ შეექცეოდნენ. მერე ლუხუმამ აიღო ჭიქა და დაიწყო.

— ბიჭებო, ესტატეს შესანდობარი იყოს. ამან უნდა თქვას, კაცურად ვიცხოვრე და კაცურად მოვკვდიო. ბევრი მადლი დაუთესია კაცთათვის და ყველა სულიერთათვის. ჩორჩანელებს უმისობა ვერც წარმოგვიდგენია. ჩვენი სიამაყე იყო, ბევრის მომსწრე და მნახველი. გული დაგვწყვიტა, მაგრამ სიკვდილს ვინ გაქცევია.

— ამინ! ასე იყოს! — დაუმოწმეს სხვებმა, თითო წვეთი მიწაზე დააწვეთეს და დალიეს. ამ დროს სამი კაცი მოგვიახლოვდა. ჩემს ირგვლივ ორმოების თხრა დაიწყეს, მე შემეშინდა, ვიფიქრე, აქედან, ამ ჩემს სამკვიდრებლოდან სხვაგან ხომ არ უნდა გადამიტანონ-მეთქი, მაგრამ ჩემი შიში ამაო გამოდგა. მაღალი ბოძები დაარჭეს და თვალის დახამხამებაში ისეთი ჯავშანი გამიკეთეს, კამეჩიც ვეღარას დამაკლებდა. მერე ის მაღალი, ჭაღარათმიანი მომიახლოვდა, რაღაც ფირფიტასავით დაჭკიდა ჯავშანზე და ამხანაგებს მიუბრუნდა, აბა წაიკითხეთ, რა სწერიაო. ლუხუმამ ხმამაღლა წაიკითხა:

„ეს მუხა ჩვენი საამაყო ესტატეს შვილია. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, როცა ჩვენ აღარ ვიქნებით, მომავალ თაობებს ამან უნდა დაუჩრდილოს და ესტატესავით ჩორჩანის საამაყო გახდეს. გამვლელო, თვალის ჩინივით გაუფრთხილდი მას“.

— კარგია, ბახავ, ჩაგეთვალა! — შეუძახეს ბიჭებმა სატყეოს უფროსს. მერე ლუხუმამ აიღო მეორე ჭიქა და დაიწყო.

— ბიჭებო, ცოდო ის არის, ვისაც ამ ქვეყანაზე არავინ რჩება, ვინც თავის ნაყოფსა და ნაშიერს ვერა სტოვებს. ესტატემ თავისი ვალი პირნათლად მოიხადა და მემკვიდრეც დატო-

ვა. პატარა ესტატეს გაუმარჯოს. სწორად დაუწერია ბახას, ჩვენ აღარ ვიქნებით, მაგრამ ჩვენი მომავალი თაობები ისევ მოვლენ აქა, მაშინ ეს მუხა უკვე დიდი იქნება და იმის ჩრდილში გასტეხენ პურს. შენ გაგიმარჯოს, პატარა ბიჭო, — ჰომიბრუნდა ლუხუმა, — იცოდე, ჩვენ რო აღარ ვიქნებით, ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს უთხარი ჩვენზე, ცუდი სალხი არ იყო-თქო. მამულიც უყვარდათ, პურის ჭამაც და შროშაც-თქო.

— ამინ! გაუმარჯოს პატარა ესტატეს, — ხმა მისცეს დანარჩენებმაც და დალიეს.

გულ მადლიერებით მევსებოდა. როგორ ჰყვარებიათ მამაჩემი და როგორა ზრუნავდნენ ჩემზე იმისი ხათრით. სიხარულის ცრემლი მდიოდა, მაგრამ ვინ შემამჩნევდა ამ უხილავ ცრემლსა და სიხარულს.

ამის შემდეგ ლუხუმამ კიდევ რამდენიმე სადღეგრძელო თქვა: მეფე ერეკლესი, ესტატე ასპანაშვილისა, კაცო ოსანაშვილისა, ბოლოს, ყველა იმათი, ვისაც ამ ადგილას გაუვლია თუ გამოუვლია და დაიშალნენ, თან დამიბარეს, ნუ გეშინია, ესტატე, ჩვენც შენთანა ვართო, და წავიდნენ. წაიღეს ჩემი სული და გული.

იმის შემდეგ გაზაფხულიც მოვიდა, ზაფხულიც. კვირა ისე არ გავა, ორი ან სამი კაცი არ ამოვიდეს, დამხედავენ, ნორჩ ფოთლებზე ხელს მომითათუნებენ და სიამაყით იტყვიან:

— იზრდება ესტატე, ხაროშს ესტატეო!

ი ო

ძველარგოსული მთვარის ღვაება, ზევსის საყვარელი იო არ გეგონოს იგი. ამ მითთან მას საერთო არაფერი აქვს. იო ჩვენი სოფელია. გვიანღა გავიგე, თურმე იოსება დაუნათლებიათ სახელად, მაგრამ დიდი თუ პატარა იოს ეძახდა.

ამბობენ, იო ბავშვობიდანვე შერეკილი იყო. ერისწანს საბავშვო ბაღშიც დადიოდა, იქ, სამზარეულოში შეიპარა, ათი ბავშვის ულუფა შთანთქა და იმიტომ გამოაძევესო. ასე ამბობენ, თუმცა არა მჯერა, მარად ისეთი რწმენა მაქვს, თითქოს იო საერთოდ ბავშვი არც ყოფილა, თითქოს ქვეყანას თუ

ამ ჩვენს სოფელს ასეთივე მოევლინა, უკვდავ-უბერებელი. უფრო მეტიც, ხანდახან ასე მგონია, როცა ჩვენი სოფელი დაარსდა, იო მაშინაც იყო, საუკუნეთა მიღმიდან მოჰყვება თან და წუთისოფლის ბრუნვა ისე ვერ ერევა, როგორც აგერ, სადათვეს გორაზე ატყორცნილ რუხ ტაძარს, მარადიულად რომ დაჰყურებს ჩვენს სოფელს.

საშუალო ტანისაა იო. ტუჩა და თმააბურძგნილი. გორილას შუბლი აქვს, ვიწრო, დაბრეცილი. უგუნურად გამომზირალ ჭრუტა თვალებზე სქელი და შავი წარბები ჩამოხახვია. ზლაუნით დადის, მოუქნელი ბოში ფეხები ძლივს ეზიდება მის ბლარჯ, თითქოს ცომისგან გაკეთებულ ტანს. რაც თავი მახსოვს, სულ ასეთია იო, გარეგნულად არაფერი შეცვლია, არც თმაში შეპარვია ჭაღარა, არც წვერ-ულვაშში, ოღონდ ეგ არის, ბოლო დროს ზედა ტუჩი უფრო აეღრიცა, წარბებიც უფრო მეტად ჩამოეხახა თვალებზე და ზუსტად დაემგვანა გორილას.

ზამთარში ბინდბუნდზე ააგდებდნენ იოს, ცეცხლს დაუთებინებდნენ და მერე წყალზე გაგზავნიდნენ. მიახრაშუნებდა ვაყინულ თოვლს გზაზე და სიცივისგან შეღონებული თან ღიღინებდა, თან მეზობლებს ეხმაურებოდა.

— პარმენუკა, გათენდა, პარმენუკა!

— შალიკო, ბალიკო!

— ბაიყუშო, თუთიყუშოო!

მაგრამ პასუხს ვერავისგან იღებდა და ისევ სიმღერას დაიწყებდა. მეტწილად „სულიკოს“ ჰანგს ღიღინებდა. ეგებ არც დაიჯერო, ხმა ჰქონდა იმისთანა, ბულბულს შეშურდებოდა, როგორც მილიდან გადმოკარკარებს წყალი, ისე ბუნებრივად და ძალდაუტანებლად ამოსდიოდა ეს უტკბილესი ხმა იოს. საოცარია, რათ მისცა ღმერთმა ამ დუხჭირს ეს უზენაესი ნიჭი, რომელიც ასე უსარგებლოდ ტიალდებოდა.

ისევ შეწყვეტდა იო ღიღინს და ახლა იმათ შეეხმიანებოდა, ვის სახლსაც ჩაუვლიდა.

— პატარა ჭოტო, დიდო ჭოტოო!

— კოკლუას ბიჭოო!

— პაშკო, მაშკოო!

და ასე მიჰქონდა იოს მთელი გზა.

ამ დროს ყველას ეღვიძა, მაგრამ ზამთრის ამ დილაბინდზე

ვინ დათმობდა თბილ ლოგინს იოს მეტი. ყველას ესმოდა იოს ხმა, ოღონდ არავინ ეპასუხებოდა. მხოლოდ ერთმანეთს გადაულაპარაკებდნენ:

— შენ მოისპე, იო, აჰა!

— დილაუთენია არ ააგდებენ ხოლმე ამ ბეჩავს!

— დედინაცვალს ცეცხლს დაუნთებდა, წყალს მოუმარაგებს. რა ენაღვლება, რა!

— თორემ მამა ძაან მამობას უწევს.

იოს მამა ერთი არჯალი კაცი იყო, ანჩხლი. ზედმეტ სახელად მჩხავანას ეძახდნენ.

ომის წლებში შიმშილმა ლაჯი აიღო, მთელ ქვეყანაზე დაიწყო წანწალი და იოს კუჭსაც მიაწვდინა კლანჭი. გაგზავნიდა მჩხავანა წისქვილზე ან წყალზე და ჩაიყლაპებოდა იო. ამ დროს იქ იყო ატუზული, სადაც თონე ხურდებოდა. იქიდან ფეხს როგორღა მოიცვლიდა, თბილი პურის სუნი ისედაც მგლის მადას უფრო ცეცხლს უკიდებდა და იოსაც ყველაფერს ავიწყებდა — მამის რისხვასაც და სირცხვილსაც.

— ეხე, ეხე! — ჩაახველებდა ჭიშკართან ატუხული. ამით თავს ახსენებდა მეპურეებს, აქა ვარო. თუ მეპურეები დროზე არ მიაქცევდნენ ყურადღებას, იო უკვე ჩახველებას აღარ დასჯერდებოდა.

— მართა ძიავ, ცოტა პური მომიტეხე!

აბა, თუ მართა ძიაო, ქალები აკისკისდებოდნენ, ბოლოს კუტი პურით გაიკითხავდნენ და ისე გაისტუმრებდნენ. მოვიდოდა იო და ცოფმორეულ მჩხავანას უკვე ჯოხი ჰქონდა გამზადებული. უმოწყალოდ უბაგუნებდა, იმიტომ კი არა, რაი დაიგვიანეთო, თავი რათ მომჭერ, რათ იმათხოვრეო.

იოს კივილი მთელ უბანს ესმოდა:

— ვაიმე, მამიი, მიშველე მამიი, ნუ მცემ მამიი!

იოს დედინაცვალი გულჩვილი, კეთილი ქალი ყელს უწევდა ქმარს:

— ეყოფა, ვანო, ცოდოა, გენაცვალე!

მჩხავანა თვალებს გადაუბრიალებდა და იოს დედინაცვალიც ამაზე შორს ველარ მიდიოდა, იცოდა, მჩხავანა აოც იმას დაზოგავდა.

იმ გაჭირვების ჟამს გამოადგა იოს სიმღერა. ანცი ბიჭები დაიხელთებდნენ თუ არა სადმე, ყელს უწევდნენ იოს, იმღე-

რე და პურს გაპმევთო, თუ მაძღარი იყო, ვერა ხვეწნა ვერ გასჯრიდა, ხოლო მშიერს დიდი ხვეწნაც არ უნდოდა. ასე იყო თუ ისე, სიმღერის ნიჭმა გაატანია თავი იოს.

საღამოობით შერმადინისეულ სახლთან იყრიდა ხალხი თავს. თუ იო გამოჩნდებოდა, მეტი გასართობი რაღა უნდოდათ.

შერმადინი ალბათ გაგიგია, ვინც იყო. აქაური თავადიშვილი გახლდათ. მწუხრის ჟამს შვილები პეტერბურგში დატოვა და თვითონ მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა, რათა აქ გაელია დარჩენილი წუთისოფელი და მამაპაპათა სამკვიდრებელში განსვენებულიყო. ექიმი იყო იმისთანა, სიტყვით უწამლებდა კაცს. გაღმა სოფლებიდანაც კი შერმადინთან გამოდიოდნენ. ფულს არცერთი ავადმყოფისგან არ იღებდა, პირიქით, თუ დაატყობდა ვინმე დავრდომილი და არასრქონები იყო, წამლის ფულსაც თვითონ აძლევდა. ბოლოს, როცა მიიწია დრომ და თავადებს ერეკებოდნენ ჩვენი სოფლიდან, შერმადინიც იმათ რიცხვში მოახვედრეს. მხოლოდ ერთადერთი კაცი აძხედრდა სოფელში და ხალხს უქადაგა:

— შერმადინს რაღას ვერჩით, ხალხო, სიკეთის მეტი რა გაუკეთებია სოფლისათვისო, — ამის მთქმელი ლამის ჩაქოლეს. იმასაც, რაღა უნდა ექნა, ენა გადაყლაპა და გაიპარა.

გავიდა დრო. შფოთი ჩადგა. ქვეყანა მოღონიერდა და განპოხდა. ლაჯაღებული შიმშილი გაიძურწა და ისევ თავის ნიჟარაში შეძვრა.

იო პურს აღარ თხოულობდა, გახურებულ თონესთან ვეღარ ნახავდით ატუზულს. ამასობაში მჩხავანაც დაბერდა და დაძაბუნდა. თავზე დაადგებოდა იოს, ვენახს აწამვლინებდა, აბარინებდა, ასხვლევინებდა, თან ასწავლიდა, როგორ უნდა ეწამლა და ესხლა. როცა მჩხავანა უფალმა მიიბარა, დაკრძალვის დღეს იომ კუბოში ჩასვენებულ მამას გვერდზე ჩაუარა და ხმამაღლა მიაძახა:

— ჰა. ძველო, გაირტყი ახალი ფეხსაცმელები!

სამძიმარზე მისულმა ხალხმა პირზე იტაცა ხელი, ზოგი გარეთ გავარდა, რომ იქ სიცილი არ ატეხოდა, ხოლო უფრო დარბაისლებმა იოს ხელი მოჰკიდეს და გარეთ გამოაბრძანეს. დარჩნენ იო და თავის დედინაცვალი. იო გახდა ოჯახის ბურჯი. ვენახს და ბაღ-ბოსტანს თვითონ უვლიდა, ოღონდ ეგ იყო,

ხანდახან სიზარმაცე გადასძლევდა ხოლმე და დედინაცვალი ხვეწნითა და დაპირებით იმორჩილებდა.

სიცხით გათანგულ მყუდროებაში ნახევარ სოფელს ესმოდა იოს სიმღერა. ყველამ იცოდა, ამ დროს იგი ვენახს წამლავდა, წუთით შეწყვეტდა სიმღერას და მეზობლებს გამოაფხიზლებდა.

— თუთიყუშო, ბაიყუშო!

— დიდო ჭოტო, პატარა ჭოტო!

ზოგჯერ დღიურ მუშად ეპატიჟებოდნენ იოს, მეტწილად სახლის მშენებლობაზე. სხვას თუ თუმანს აძლევდნენ, იოს ხუთ მანეთს აჯერებდნენ, თანაც აჭმევდნენ და ასმევდნენ, საღამოთი შექეიფიანებული იო ხუთმანეთიანს მოუტანდა დედინაცვალს და თვითონ კმაყოფილი, მაძღარი უბან-უბან შეყრილ ხალხში გაერეოდა, ყველას გაამხიარულებდა.

ასე მიდიოდა დრო და მიჰქონდა იოს ცხოვრება. უჩვეულო არაფერი მომხდარა, გარდა იმისა, რომ იოს დედინაცვალთან სტუმრობას მოუხშირა ქობულეთში ჩასახლებულმა მისმა ნამდვილმა შვილმა. ჩამოვიდოდა ერთი კვირით და ისევ გაქრებოდა.

ამ დროს იო პეწიანად გამოწყობილი გამოჩნდებოდა ხოლმე უბანში.

— ვა, იო, ვინ მოგცა ახალი კოსტუმი? — ეკითხებოდა ერთი.

— ეს ტუფლები საიდან, ძაღლან? — იოცებდა მეორე.

— კაკულიკამ მომიტანა, ჩემმა ძმამ, — პასუხობდა გახარებული იო და თან კამფეტს ახრამუნებდა.

— გვაჭამე კამფეტი, იო.

— აადი, ჩემია. არ გაჭმევთ! — და ჯიბეზე ორივე ხელს იტაცებდა.

ერთხელაც დიდიხნით ჩამოვიდა კაკულიკა. ძველი სახლი დაანგრია და ახალი ააშენა. იოც კვერდით ედგა, უხაროდა ახალი სახლის აშენება.

— ახალ სახლს აშენებთ, იო?

— მაშ! — პეიტრობდა იო, — ახალ სახლს რო ავაშენებთ, ცოლი უნდა მომიყვანოს ჩემმა ძამიამ, მაშა!

— მართლა, იო? მერე ვინ მოგყავს, შე ძაღლანავ?

— კაკულიკა მირიგებს ქობულეთელს. ახლა უნდა წამიყვანოს ზღვაზე, დავხურავთ სახლსა და!..

სახლიც დახურეს, ერთი ოთახიც გამართეს და კაკულიკა ისევ წავიდა.

— იო, ცოლი არ მოიყვანე?

— ეხლა უნდა მოვიყვანო, კაკულიკა მირიგებს.

— გატყუებენ, ძაღლან!

— აადი! არაფერსაც არ მატყუებენ. დედაჩემმა მითხრა, კაკულიკა ქობულეთში იმიტომ წავიდა, ცოლი ჩამოგვიყვანოსო.

კაკულიკა ახლა მეუღლითურთ დაბრუნდა და იომ ისევ მოუხშირა კამფეტების კვნეტას. კარგახანს დარჩნენ. მეორე ოთახიც გამართეს და წავიდნენ, წავიდნენ, მაგრამ მალე მობრუნდნენ, რადგან იოს დედინაცვალი მოულოდნელად გარდაიცვალა. კაკულიკამ დაკრძალა დედა და აღარც წასულა, მარტო ცოლი გაუშვა ქობულეთში, თვითონ კი თერძად დაიწყო მუშაობა რაიონში. ერთი თვის შემდეგ მეუღლეც ჩამოუვიდა და ქალიშვილიც.

ისევ ჩვეულებრივად მიდიოდა ჩვენს უბანში ცხოვრება და უცებ მოხდა ყველასათვის მოულოდნელი ამბავი.

იო სოფლიდან გაქრა. დილაბინდზე აღარავის ესმოდა:

— ბაიყუშო, თუთიყუშო!

— პატარა ჭოტო, დიდო ჭოტოო!

აღარც იოს სიმღერის ხმა მოდიოდა ვენახიდან. დღიურ მუშად ვეღარავის მიჰყავდა იგი. ჯერ უბანმა მოიწყინა იოს გარეშე, მერე მთელმა სოფელმა.

— სად არის იო?

— რა იქნა იო?

— სად გააქრეს ის კაცი, ხალხო?

ერთხანს ხმა გავარდა, კაკულიკას იო ქობულეთში ჩაუყვანია და თავის ნათესავებში დაუტოვებიაო. მითქმა-მოთქმა თითქოს ცოტახნით ჩაცხრა, მაგრამ სამი-ოთხი დღის შემდეგ ისევ აქაფდა ეპვი, აქაფდა და მთელ სოფელს გადაუარა.

— იცოდეთ, ხალხო, რაღაცას გვატყუებენ კაკულიკა და იმისი ცოლი.

— ნამდვილად ეგრეა.

— მივუხტეთ და ვათქმევინოთ სიმართლე.

— საბჭოში დავაძახებინოთ, იქ იტყვიან მართალს.

— მილიციაში განვაცხადოთ.

შფოთავდნენ და ბობოქრობდნენ. სოფელს მეტი საფიქრალი და საზრუნავი თითქოს არაფერი ჰქონდა. ყალყზე დამდგარმა ეჭვმა მოიცვა ყველა, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი. ითათბირეს, იფიქრეს, აწონდაწონეს და ბოლოს ყველაზე გონიერებმა გადაწყვიტეს კრინტი აღარ დაეძრათ, კაკულიკასთვის არაფერი გაემხილათ და ქობულეთში საიდუმლოდ გაეგზავნათ კაცი.

მსურველი ბევრი აღმოჩნდა, მაგრამ ბოლოს არჩევანი ბახასა და ლუხუმაზე შეაჩერეს, იოს ახლო მეზობლებზე.

— იქ წასვლას რა უნდა, კაცო, დილას ხუთ საათზე გავალთ და საღამოს აქ ვიქნებით. გზა არ ვიცით თუ კვალი. — კმაყოფილებით ამბობდა ბახა.

— ბენზინის ფულს შეგიქუჩებთ. ცოდო ხარ, ოცდაათი მანეთისა მაინც დაგჭირდება.

— ეგ რა სალაპარაკოა, კაცო. სოფლის საქმეს ვაკეთებთ. — იუარა ბახამ.

გადაწყვიტეს, შეთანხმდნენ და დაიშალნენ. იმავე საღამოს მთელმა უბანმა კი არა, მთელმა სოფელმა იცოდა, ბახა და ლუხუმა დილაადრიან სადაც უნდა წასულიყვნენ.

მეორე დღეს სოფელი მოუთმენლობასა და მოლოდინში იყო ჩავარდნილი. სხვა უბნელები ვითომ შემთხვევით ჩამოივლიდნენ ჩვენს უბანზე და იკითხავდნენ: ბახა და ლუხუმა ხომ არ დაბრუნებულანო. შუადღის შემდეგ აწრიალდა უბანი, გზაზე გაიშალნენ. შუაღამე იყო მიტანებული ბახა და ლუხუმა რომ დაბრუნდნენ და მაშინვე ლოდინით გაწყვეტილი ხალხის ალყაში მოექცნენ. ბახა გადმოვიდა მანქანიდან, ორივე ხელი წელზე იტაცა, ძლივს გაიმართა და გარშემო მყოფთ მიუგო:

— რის ქობულეთი, რა ქობულეთი, სიზმარში ხო არა ხართ!

ხალხმა დაიგმინა, ზოგმა კალთაზე დაიტყაპუნა ხელი, ზოგმა ლოყაზე იტკიცა.

— ამ საქმეს სხვანაირი სუნი ასდის, ხალხო!

— ხვალვე უნდა დავაძახებინოთ საბჭოში კაკულიკა და იმის ქალბატონი.

— ეგრე, ეგრე!

დაიშალნენ, სახლებში შეიმალნენ, მაგრამ იქაც ცალ-ცალკე თავიანთ ოჯახებში იოს ირგვლივ სჯა-ბაასობდნენ.

მეორე დილას, ვიდრე კაკულიკა სამსახურში წავიდოდა, შიკრიკი მიადგა. შენა და შენს ცოლს საბჭოს თავმჯდომარე გიბარებთო. ზაფრანანაცემმა კაკულიკამ ცოლსაც აათრევინა წელი და ბურდღუნ-ბურდღუნით გამოცხადდა საბჭოში. საბჭოს ეზოში მეზობლები მოგროვილიყვნენ. კაკულიკამ, ვიდრე შენობაში შევიდოდა, მეზობლებიდან რამდენიმე კარგად გაარჩია: არჩილა და ბახა, ლუხემა და გურამა, ნასყიდა და ფირუზა, პატარა ოლა და დიდი ოლა, ელიკო და მარგო... დანარჩენები ვეღარ დაიმახსოვრა, ვინ იყვნენ. მგონი ზემოუბნელებიც ჩამოხეტებულიყვნენ.

ნახევარი საათის შემდეგ კაკულიკა და მისი ცოლი მკვდრებივით გამოვიდნენ თავმჯდომარის კაბინეტიდან, ადამიანის ფერი აღარ ედოთ. ერთი კი გახედეს ალმაცერად მეზობლებს და უხმოდ გაიძურწნენ.

ხალხი თავმჯდომარესთან შეყაყანდა.

— რა თქვეს მაგ არსაქნელებმა?

თავმჯდომარე პასუხს აგვიანებდა. მაგიდიდან წამომდგარიყო, ბოლთას სცემდა და იმ არწივივით იმზირებოდა, ეს-ეს არის ნადავლი რომ მოიტანა, — ამაყად და კმაყოფილად. ხალხი მოუთმენლად ელოდა პასუხს.

— რაო და საგიუეთში გაუგზავნია.

ხალხმა დაიგმინა.

— რაო, საგიუეთშიო?

— უყურე მაგას, მაინც რას აშავებდაო?

— მაგ უბედურს გიუები მოკლავენ.

— ჰოდა, მე ვუთხარი, — განაგრძო ისევ თავმჯდომარემ,— ეგ სახლიცა და ეზო-კარიც იოს ეკუთვნის-მეთქი. ამ სოფლის შვილი ის არის, თქვენ ვის დაკარგვიხართ-მეთქი.

— გენაცვალეთ ენა-პირში.

— გაიხარე ამ მზიან ქვეყანაზე. კარგად გითქვამს.

— ჰოდა, ის კაცი როგორც წაიყვანეთ, ეგრევე ჩამოიყვანეთ, თორემ პასუხს აგებთ-მეთქი.

— აგებს კიდეც, მაშა!

— ახლა მე ცნობას დაგიწერთ, თქვენ ხელი მომიწერეთ და საგიუეთიდან გაანთავისუფლებენ იოს.

— რომელ საგიჟეთშიაო მაინც!

— რა ვიცი, გომარეთში ყოფილა რაღაც საგიჟეთიო.

— ცნობა მოგვეცი და დღესვე ჩამოგიყვანთ იოს. — ვეღარ მოითმინა ბახამ.

— შენი ჭირიმე, ბახავ, სადაც ამდენი სიკეთე ჰქენი, ეს ერთიც გააკეთე. — ყაყანებდა ხალხი.

სულ მოკლე ხანში ყველა საბუთი მზად იყო, ბახამ ფრთხილად დაკეცა და გულის ჯიბეში ჩაიდო. ბახას ამჯერად ნასყიდა და არჩილა გაჰყვნენ, დანარჩენებმა კი დიდის ამბით გააცილეს.

ის დღე უჩვეულო დღე იყო მთელი სოფლისათვის. საჭოში მომხდარი ამბავი კიდით-კიდემდე მოედო მთელ სოფელს.

გომარეთიდან დაბრუნების დრო რომ მოახლოვდა, ნახევარი სოფელი იოს უბანში შეიყარა. იდგნენ, ლაყბობდნენ, ენაკვიმატობდნენ და მოუთმენლად ელოდნენ, როდის გამოჩნდებოდა ბახას შინდისფერი მანქანა. ამ დროს საიდანღაც მთვრალი აპარიკა მოეხეტა, შუბლზე ხელი მიიჩრდილა, ვითომდა აქ რა თავყრილობააო, და ხალხს მიმართა:

— ამერიკის პრეზიდენტს ხო არ ელოდებით, ჯიგრებო!

— პრეზიდენტის დედაც... იმაზე კაი კაცს ველოდებით.

— შენ გელოდებოდით, ცქიმფი, მოგვენატრე.

აპარიკამ ამის მთქმელს ცერად გახედა ამღვრეული თვალებით.

— ბუხრიდან გამომძვრალო, შენს სახლში როდის მაქეიფე, რო ცქიმფიას მეძახი?

ხალხი იცინოდა.

— შენზე ამბობენ, აღარა სვამსო, — მიუგო ვიღაცამ აპარიკას.

— არა, შენა გგევარ, მესაზღვრესავით სულ ფხიზელი რო დადიხარ.

— ხე, ხე, ხე!

— საღოლ აპარიკ!

გნიასებდა და ხარხარებდა ხალხი.

— იოს რო მოიყვანენ, დიდ ნადიმს გადაიხდით, აბა, არ დაგავიწყდეთ, დამპატიჟეთ.

— აუცილებლად ცქიმფი, უძაღლოდ ქორწილი ვის უნახავს.

ამის მთქმელს ისევ ცერად გახედა აპარიკამ, თქმით კი ალარაფერი უთხრა, ხელი ჩაიქნია და ზემო უბნისკენ წაბანცალდა, ახალნაშობი ხბოსავით ეხლართებოდა ფეხები.

ამ დროს ვიღაცამ დაიძახა, მგონი ბახას მანქანა გამოჩნდაო და ხალხი გზას მიაცივდა თვალებით.

— ბახაა, ბახა!

— ბახაა და იოც მოჰყავს.

ამასობაში ბახამ ზედ იოს სახლის ეზოსთან მიაგდო მანქანა და მყისვე ბრბოს ალყაში მოექცა.

ისევ ის იო იყო, ოღონდ წვერი გაზრდოდა და ჩვეულებრივზე ცოტა უფრო დამფრთხალი და შეშინებული ჩანდა.

ბახა პირველი გამოხდა მანქანიდან, იოს კარი გაუღო და სიცილით უთხრა:

— აბა, გადმობრძანდი, თქვენო ბრწყინვალებავ!

იოც წრეში მოექცა.

— როგორა ხარ, იო?

— სად იყავი, შე ბეჩავო!

— კაკულიკამ სამოგზაუროდ გაუშო, — თქვა ვიღაცამ და ხალხი აახარხარა.

— შენი ცოდვით დაიწოს, ვინც ამ სოფელს მოგაცილა.

წვერიკმაზიაანთ მართას ცრემლიც კი წამოუვიდა.

ბახა განზე გამდგარიყო და ხალხს უყვებოდა.

— სამივენი შევედით საგიჟეთის ეზოში, დაგვინახა თუ არა იომ, ჩვენსკენ გამოქანდა და შემოგვტირა:

— ბახავ, გენაცვალე, წამიყვანე აქედან, ნასყიდა, არჩილ, არ დამარჩინოთ აქა, თქვენი ჭირიმეთ, არ დამარჩინოთ!

— საბრალო!

— უბედური!

— არ გაიხარონ მაგის ცოდვითა, აჰა!

— კინალამ ავტირდით კაცოო, — განაგრძობდა ბახა, — ვაჩვენეთ თუ არა საბუთი მთავარ ექიმს, მაშინვე ის გვითხრა, კარგს იზამთ თუ წაიყვანთ, ეს ჩვენი ავადმყოფი არ არისო.

— ჰმ, უყურე შენა!

— ხედავთ, ხალხო! — თავს აქნევდნენ მსმენელები.

ასე დასრულდა იოს ამბავი. სოფელს კარგა ხანს გაჰყვა

საზრდოდ და სალაპარაკოდ მთელი ეს თავგადასავალი. მერე, როგორც სხვა ყველაფერი, ესეც ნელ-ნელა მიივიწყეს.

იოს დაბრუნებით სოფელი თითქოს თავის კალაპოტში ჩადგა. სიცხით გათანგულ, მყუდროებაში განაბულ სოფელს ისევ ესმის იოს ტკბილი სიმღერა ვენახიდან, ისევ მიჰყავთ სახლის მშენებლობაზე დღიურმუშად და იქიდან დაბრუნებული, შეზარხოშებული იო ჩამოივლის უბანზე და გაჰკივის:

— ბაიყუშოო, თუთიყუშოო!

— პატარა ჭოტოო, დიდო ჭოტოო!

მერე თავშეყრილ ხალხში გაერევა და გაამხიარულებს სოფელ-ქვეყანას.

ბეთჰოვენის სიკვდილი

— აქეთ მოიხედე, ვახტანგ, რას მიშტერებიხარ ასე დაჟინებით?

ზარიძეს თვალები უკვე უეუეუნებდა და სახეზე ისეთი ბედნიერება ეხატა, თითქოს ამ ცხოვრებიდან ერთი წუთი ბალღამიც არ ეგემოს არასოდეს.

— გისმენ, ოქრო!

— მოდი ამ ჭიქით დღევანდელ დღეს გაუმარჯოს, ღმერთო, მუდამ ასეთ ხასიათზე მამყოფე. დღეს ყველაფერი ლამაზი მეჩვენება, ვახტანგ, ცხოვრებაც, ადამიანებიც, დედამიწაც. ისე მგონია მთელი სამყარო სიკეთედ იყოს გადაქცეული და არცერთი ბოროტი აღარ ჰაჰანებდეს.

პატარა ქალაქის განაპირას, მაღლობზე წამომდგარი სასტუმროს მესამე სართულზე ვისხედით ორადგილიან ნომერში და თითქმის მთელ სამურზაყანოს გადავყურებდით.

მაისის საღამო იყო. ცის ტატანზე წითლად მოქცეული ვეება მზე დედამიწას კოცნით ეთხოვებოდა. ქალაქი უკვე საღამოს მყუდროებაში ჩაფლულიყო. სიმწვანეში გაფანტული სახლები ჭიანჭველის ბუდეებივით მოჩანდა აქედან და ვგრძნობდი, ადამიანები, ეს მიწის კერძები, როგორ ჩაბღაუჭებოდნენ დედამიწას. თითქოს შიშით შეძრწუნებულები, ვიღაცამ არ გამოგგვლიჯოს ხელიდან და არ დავიღუპოთო.

მე და ვაჟა ზარიძე ერთი საათის წინ ჩამოვედით სამურზაყანოში. დილაუთენია დავტოვეთ დედაქალაქი და იმავ წუთიდანვე გავლაღდით, სხვა ადამიანებად ვიქეცით, რამეთუ ყოველდღიურ დამქანცველ და მოსაბეზრებელ ვნებებს მოვწყდით.

გადმოვსერეთ ქართლი, იმერეთი, სამეგრელო და გზამ კი არა, ნატვრამ დაგვქანცა. ჩაუვლი სიმწვანეში ჩაფლულ ოდასახლებს, თვალებით დააკვდები ხასხასა ეზოებს და სილამაზით ურვაშეყრილი ბღავილის მაგივრად ჩუმად ოხრავ, ნეტავ აქ დამასახლა, აქ მამყოფა, აქ მამკლაო.

ორი ჭიქის შემდეგ კახურმა დაღლილობა გაგვიფანტა, ცხოვრება გააფერადა, მიწას მოგვწყვიტა და ცაში ავვიყვანა.

— ვახტანგ, ახლა შენი რიგია. რას უყურებ იქით გამაგებინე ერთი! — მიწყრება შეზარხოშებული ვაჟა.

— რას ვუყურებ და აგერ იმ სვეტებიან სახლს თუ ხედავ?

ზარიძე გადმოიხარა, ჩემს თითს გააყოლა მზერა.

— ვხედავ, მერე?

— ვუყურებ იმ სახლს და ისე მგონია, თითქოს იქ ვიღაც ჩემიანი ცხოვრობს. უფრო მეტიც, თითქოს ოდესღაც მეც მიცხოვრია მაგ სახლში. საკვირველია, რამ გამიჩინა ასეთი გრძნობა?

ზარიძემ მხრები აიჩეჩა, გაოცებით დამაშტერდა.

— აი, მაგ სახლის თამადობით საქართველოში ყველ სახლს გაუმარჯოს. რას იტყვი?

ვაჟა ერთხანს ჩაფიქრებული იჯდა, მერე რაღაც სევდიანი კილოთი დაიწყო:

— კაცმა რომ თქვას, განა ყველა სახლში ჩვენი სისხლი და ჯიგარი არა ცხოვრობს? ყველა სახლში ჩვენი გული არა ფეთქავს? ჰოდა, ეგრე იყოს, ამინ!

და ჭიქა ბოლომდე გამოსცალა.

ერთხანს ორივენი ვდუმდით. თითქოს სათქმელი შემოგვეღია, გრძნობა დაიშრიტა და ამ დროს კედელზე მიმაგრებული პატარა ყუთიდან მკაფიოდ გაისმა ქალის ნაზი ხმა:

— მოისმინეთ ბეთჰოვენის უვერტიურა „ეგმონტი“.

ზარიძე სავარძელზე შეტოკდა, თვალები გაუბრწყინდა და აღფრთოვანებით წამოიძახა:

— ჩვენს გულში ხომ არ ისხდნენ, ვახტანგ!

— ეგრე ჩანს! — დავუდასტურე და სავარძელი მოხერხებულად მოვირგე, რომ ამ ჯადოსნურ მუსიკას მთელი არსებით დავნებებოდი.

სევდიანი, მაგრამ ერეოლის მომგვრელი მძლავრი პაგერები დაირხა ოთახში და ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ღრუბელზე ვიწექი და იმ ქვეყნისაკენ მივექანებოდი, ვისაც ეს მუსიკა ეძღვნებოდა. აგერ მოძალადისაგან ჩაგრული მჭმუნვარე სახის ნიდერლანდები.

მუსიკა დაიძაბა, სევდიანი კილო სიმხნევემ შესცვალა და ამ ღვთიურ ხმაზე მეც ბრძოლის ყინმა ამიტანა. ნიდერლანდებმა სიმხნევე მოიკრიფეს. გაღვიძა ჩაგრულმა სულმა, საბრძოლველად აღსდგა ხალხი. დაიწყო ბრძოლა და მუსიკა ახლა უნაზეს გრიგალად გადაიქცა. ბრძოლა გაჩაფრდა, მუსიკაც ცეცხლოვანი გახდა, სადაც არის გადაწყდება ბრძოლის ბედი და აგერ ავის მომასწავებელი აკორდები და ორი მოწყვეტილი ბგერა...

აჯანყების მოთავე ეგმონტი მოკვდა. წამით ამაზრზენი დუმილი დადგა, მწუხარებისაგან ძარღვებში სისხლი გაიყინა, გული გაჩერდა, გგონია სადაც არის სიცოცხლე გათავდება და ამ დროს გაისმა ნაზი, უტკბილესი ზარი, სალბუნად რომ დაედო გულს და გათოშილი სისხლიც გაალხო. გლოვის ზარს გამამხნევებელი მუსიკა შეენაცვლა და სული რწმენით აავსო.

მუსიკა გათავდა. ოთახში დუმილი გამეფდა. გაოგნებულები ხმას ვერ ვიღებდით, ისევ ზარიძემ გატეხა ნაესი.

— გამარჯვება იმათ კი არა რჩებათ, ვინც გამარჯვების ნაყოფს ეუფლება, არამედ იმათ, ვინც ბრძოლის ველზე რჩება.

— ამ უვერტიურაშიც ეგ არის და იმიტომაა დიდებული. აბა როგორ უნდა დავიჯერო, რომ ეს ღვთაებრივი მუსიკა ადამიანის შექმნილია და არა ღმერთისა.

— მოდი მაშინ, ვახტანგ, ბეთჰოვენის თამადობით მუსიკას გაუმარჯოს. გაჭირვების ჟამს ჩვენ ვუხმობთ მუსიკას, მხოლოდ მუსიკას შეუძლია სასოება გაჰფანტოს და სიცოცხლე კვლავ შეგვაყვაროს.

— საერთოდ, ხელოვნებას გაუმარჯოს, ვაჟა, მუსიკას, მწერლობას, მხატვრობას.

— ეგრე იყოს, მაგრამ მუსიკა მაინც სხვაა, იმიტომ, რომ

უსიტყვოა. ბგერაში კი უფრო მეტი სულია, ვიდრე აზრში. აზრი — ქისაა, შიგ შაურიანები ყრია, ბგერა კი არაფრით არ არის წაბილწული, შინაგანად წმინდაა.

ვიცოდი, ეს ვიღაცის ნათქვამი იყო, და ვაჟა თავისად ასაღებდა. ასე სჩვეოდა ხოლმე, მაგრამ ამას ყურადღებას აღარ ვაქცევდი.

— ერთი რამ უნდა გკითხო და მიპასუხე, თუ ძმა ხარ. ვინც ხელოვნებას ჰქმნის ან ხელოვნება უყვარს, შეიძლება ბოროტი იყოს?

— შეუძლებელია. — ჯიუტად გააქნია თავი ზარიძემ, — წარმოუდგენელია. კალამი, ფუნჯი და ნოტები აკეთილშობილებს ადამიანს, ავის მქმნელი ვერ იქნება ასეთი კაცი. ეს ნიჭი ეძლევათ მხოლოდ კაცთა ღვთით რჩეულთა, ღვთით რჩეული კაცი კი ბოროტი ვერ იქნება, ასე არ არის?

— ასეა. აი, მეც და შენც დღეს სულ სხვა თვალით ვუყურებთ ცხოვრებას. უფრო მეტად მიყვარან ადამიანები და მეტი რწმენაცა მაქვს. ოჰ, რა ლამაზია ეს დღე. აბა ერთიც დაასხი.

და ვიდრე ვაჟა ჭიქებს შეავსებდა, კარზე ვიღაცამ მოაკაკუნა.

— მობრძანდით! — შეეხმიანა ვაჟა, თან ჭიქაში ღვინოს ასხამდა.

კარი მორიდებით შემოაღო შუახნის ჭაღარა კაცმა.

— მაპატიეთ, მე ამ სასტუმროს დირექტორი ვარ.

— მობრძანდით, ბატონო, — ვაჟა წამოხტა და სკამი მიუმარჯვა.

— არა, გმადლობთ, — სკამს ირიბად გადახედა სასტუმროს დირექტორმა. შუა ოთახში უხერხულად გაჩერდა და ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, — მაპატიეთ რომ მყუდროება დაგირღვიეთ, მაგრამ გულმა აღარ გამიძლო. თქვენ თურმე კომპოზიტორები ყოფილხართ და სიმართლე გეცოდინებათ. ნიკო აბუსერიძე მართლა გარდაიცვალა?

არ ვიცი, მისი ნათქვამი ვერ აღვითქვი თუ რა იყო, ყურადღება არც კი მიმიქცევია. ზარიძე დამცინავად იღიმებოდა და გულგრილად პასუხობდა.

— არა, ბატონო, ტყუილია, ჭორი გაუვრცელეს.

— ნამდვილად იცით? — სახე რაღაცნაირად მოეჯღანა დირექტორს.

— როგორ ნამდვილად, — გაღიზიანება შევნიშნე ზარიძეს ხმაში, — გუშინაც ვნახე ნიკო.

სასტუმროს დირექტორმა თავი სინანულით გადააქნია.

— ჰმ, რა არის ხალხი. ეგეთი ტყუილი გაგონილა. ბოდიში, ბატონებო, მაპატიეთ, მაპატიეთ. — და არც კი შებრუნებულა, უკან-უკან დაიხია და ისე გაიძურწა.

თვალებადქცეული შევყურებდი ზარიძეს.

— შენ არ იცი ეს ამბავი, ვახტანგ?

— თუ ძმა ხარ, გამაგებინე, რა ხდება?

— რა და ვიღაცას ჭორი დაუყრია. ნიკო აბუსერიძე გარდაიცვალაო. ატყდა რეკვა ბათუმიდან, ქუთაისიდან, სოხუმიდან, გორიდან, თელავიდან. ისეთი იყო ნიკო, დანა პირს არ უხსნიდა. შენ ეს ამბავი მართლა არ იცოდი?

მაგრამ ვაჟა ზარიძეს ხმა აღარ მესმოდა. ყურები მიშხუოდა. უცებ ვიგრძენ, როგორ დაიმსხვრა ჩემი რწმენის კოშკი, ნანგრევებიღა ეყარა ჩემს ფერხთით და ერთბაშად მოხღვავებულმა ბოღმამ წამლეკა, გამაცამტვერა. თვალი მოვკარ კედელზე მიმაგრებულ პატარა ყუთს, საიდანაც წეღან რწმენით სავსე ღვთიური მუსიკა იფრქვეოდა, როგორ მოადინა ძირს ზღართანი და როგორ დაიმსხვრა.

ნიკო აბუსერიძე ამ რამდენიმე ხნის წინათ დანიშნეს ერთ-ერთი შემოქმედებითი ორგანიზაციის ხელმძღვანელად. სიყრმიდანვე ძნელი ცხოვრება ჰქონდა გამოჭლილი, არ იყო ტკივილი, რომელსაც მის გულში არ გაევლოს, ცხოვრებამ ყოველგვარი ბალღამი შეასვა, ცემა, გვემა და სულით მაინც ვერ დასცა. შუახნის ასაკში, როცა მისი შემოქმედება გაიფურჩქნა, როცა ცხოვრებამ ნამდვილ შვილად მიიღო და თავზე ხელის გადასმით ეფერებოდა, ძველმა ტკივილებმა მაშინ გამოქონა და გული გაუბზარა. მაინც ხარივით სწევდა ჭაპანს. მისი შემოქმედებით ტკბებოდნენ მთელ საბჭოეთში, ევროპასა და აზიის ქვეყნებში და „აღაშფოთნა თვალნი უკეთესობითა ყოფამან სხვისამან, მოიცვა გული შხამმან სიხარბისამან, დააბნელა გონება შურმან და განიხვნა გზა სვლად მორიელისა“.

— რა იყო, ვახტანგ, რამ დაგამუნჯა, აქეთ მოიხედე, კაცო.— მეუბნება ზარიძე. გაოცებულმა შევხედე. მის მუდამ კმა-

ყოფილ; ქალივით ლამაზ სახეს ერთი ნაოჭიც არ ეჯდა ჭმუნვისა. უცნაური ზიზღი ვიგრძენ, ეტყობა, თვალებზე შემატყო ეს ზიზღი, შეცბა და მწყრალად მოიღუშა.

სავარძლიდან წამოვდექი და აივანზე გავედი. სამურზაყანოს გადავხედე. მზე უკვე ჩასულიყო. უქმური ბინდი მოცოცავდა.

„ქალამი, ფუნჯი და ნოტები აკეთილშობილებს ადამიანს. ავის მქნელი ვერ იქნება ასეთი კაცი". — გამახსენდა წეღანდელი ნათქვამი და მეფისტოფელის ხარხარი მომინდა.

ნეტარ არიან მორწმუნენი!

განა საეჭვო იყო, რომ აბუსერიძეს სწორედ თავისმა კოლეგამ გაუვრცელა ეს შემზარავი ჭორი და ამ გზით სცადა მისი მოკვდინება.

ყოვლის შემძლე ღმერთო, რათ ანიჭებ უნარს ხელოვნებით კაცთა ცდუნებისას!

ჩემთვის უკვე აღარ არსებობდა აღარც ბეთჰოვენი, აღარც მუსიკა, აღარც პოეზია. ყოველივე მძულდა ამ წუთას, მძულდა ის სვეტებიანი სახლიც, წეღან რომ ასე მახლობლად და მშობლიურად მიმაჩნდა. ვინ იცის, ეგებ იმ სახლშიც იზრდებოდა გესლით გალექილი ისეთი მორიელი, ვინც ხვალ ან ზეგ მოჰკლავდა ბეთჰოვენს, აბუსერიძეს, მოჰკლავდა ამ ულამაზეს დღეს, ადამიანის ცხოვრებაში ძალზე იშვიათად რომ დგება, მძულდა სასტუმროს დირექტორიც, უკუსვლით რომ გაიძურწა ოთახიდან. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს იმ კაცს ეწყინა, რომ ეს ამბავი ჭორი გამოდგა, თითქოს გაწბილდა. აი, რანი არიან ადამიანები.

ზურგით ვიდექი და მაინც ვიგრძენი, ვაჟა ზარიძემ ჭიქა როგორ აავსო ღვინით. ერთი ხანობა უძრავად იჯდა, მერე ჭიქა აიღო და ძალზე სევდიანად ჩაილაპარაკა.

— მთელ ქვეყანაზე რომ ერთი თოფიც არ დაიცალოს, ადამიანები სიტყვით მოვკლავთ ერთმანეთს.

შემენანა ზარიძე. კაცმა რომ თქვას, იმას რაღას ვერჩოდი, ის რაღა შუაში იყო, მისკენ შევბრუნდი და ხმამაღლა, ღაღადით ვუთხარი:

— ვაი, საშოსა, რომელმაც ასეთი გესლი შობა და ვაი, ძუძუსა, რომელსაც ეს მორიელი სწოვდა.

ჯავარა

— ვინ იძახის?

ჯავარა სულს ნაბავს და აყურადებს, მაგრამ ჩქამიც არსაიდან ისმის.

სექტემბრის მობოჟირე, უკვე გადახრილი მზე ფანჯარას მისდგომია და იატაკს ლოკავს. ნეტარებით კრუტუნებს ჯავარას ფეხებთან ტახტზე მოკრუნჩხული ბებერი კატა. ეგ არის და ეგ, სხვა არაფერი.

ნეტავ რა იყო ეს, მოჩვენება თუ მართლა დაუძახა ვიღაცამ? ვინ უხმობდა, ვის გაახსენდა, ვინ დაუფრთხო ნეტარი ფიქრი და ვინ მოსწყვიტა იმ ლამაზ, დაუბრუნებელ სამყაროს?!

ალბათ, ყურმა მოატყუა, თორემ ბარე ათი-თხუთმეტი წელი იქნება, აქ აღარავინ ამოსულა. აღარავის გახსენებია ჯავარა. ან მის ჯიბრზე შეკრეს პირი, ან, საერთოდ, მიივიწყეს აქაურობა.

ისიც კი აღარ ახსოვს, უკანასკნელად როდის მოაკითხეს ქალაქელებმა.

მწარედ ამოიოხრა და ისევ წარსულზე ფიქრს მინებდა. მაშინ რამდენი წლისა იქნებოდა, ამაღლების დღეს აფხუშოს ხატში რომ წაიყვანეს მშობლებმა. ალბათ თოთხმეტისა ან მეტისა. ზღაპრული იყო, ლამაზი, ტყიანი მთებით გარშემორტყმული აფხუშო. მწვანედ ახასხასებულ მდელოზე რამდენიმე პირად ენთო ცეცხლი. ერთმანეთში ირეოდა ხალხი და ხატის კარ-მიდამო საზვარაკე კურატებითა და ბატკნებით მოფენილიყო, პირდარბაზისკენ რომ დაეყენებინათ მლოცველებს, სადღაც კუნჭულში უკვე მოესწროთ შექეიფიანება და გულშიჩამწვდომ, ნაღვლიან სიმღერას დასძახოდნენ:

სიყვარელმა და ნდომამა,
სოცდილ არ იცის ქალისა,
სიტიკი ნისლად მაქცივა,
გადმოვიღიდი ქარითა,
იქ დავიწყებდი წვიმასა,
საცა შენა ხნავ ხარითა.

რა ღრმად ჩაეჭიდა ჯავარას ეს სიმღერა გულში. ეს სიმღერაც და საერთოდ, ის დღეც — მთელი ცხოვრების საგზალი, ცრემლით მოსაგონარი ის დღე.

ჯეირნებივით ყელმოღერებული დადიოდნენ ჯგუფად შეყრილი ფშავლის ქალები და სინაზითა და ნდომით ელოდნენ, საცეკვაოდ როდის გაიწვევდნენ.

აი, სწორედ იმ დღეს შეუტოკა პირველად გული ჯავარას უცხო და ტკბილმა ჟრუანტელმა. თითქოს მიწიდან ამოვარდაო, მოცეკვავე ქალებში შეერია ვიღაც ვაჟი, წინ ჩამოშლილი თმა მაღალ შუბლს ოდნავ რომ უფარავდა. ფართო თვალებიდან დამწველ ცეცხლსა ჰყრიდა. ვერცხლის ქამარი და ოქროთი მოვარაყებული ხანჯალი წელზე ერტყა და კი არ ცეკვავდა, მთიდან მოწყვეტილი ზვავივით ზანზარებდა. ხალხი საცეკვაო წრეს მიეჯარა და ჯავარას ნათლად ჩარჩა მეხსიერებაში. როგორ უბღვერდნენ იმ მოცეკვავეს სხვა ვაჟები. ისიც კარგად დაამახსოვრდა, რა სიამაყით ამბობდა მამა, ეს ხომ ბუთლიაა, ჩვენი ნინიას ბიჭიო. მამის ნათქვამი თან გაჟღარდა და თან ეწყინა. იმიტომ ეწყინა, რომ ეს უცხო ბიჭიკაცი შორეული ნათესავი გამოდგა მათი ოჯახისა. მერე ბუთლია სუფრაზე მოიწვია მამამ. ჩუმჩუმად უთვალთვალებდა ჯავარა მის განიერ მხარბეჭს და ისე წარმოედგინა, თითქოს ბუთლია ძლიერი მუხა იყო და, ნეტავ იმას, ვისაც ეს მუხა შეიხიზნებდა, ვინც იმის ჩრდილქვეშ დაიდებდა ბინას. ო, რა საიმედოდ შეაფარებდა ჯავარა თავის ოცნებას ამ მუხას.

კარგად იცოდა, რომ ასეთი ფიქრის გულში გავლებაც კი, ადათის მიხედვით, ცოდვად და საძრახისად ითვლებოდა და მაინც როგორ ცდილობდა, რამენაირად მიეპყრო ბუთლიას ყურადღება. ერთხელ მაინც შემოეხედა იმ უგულოს, ერთხელ, თუნდაც ერთი წამით, მაგრამ ბუთლია მას თითქოს ვერც ამჩნევდა, ვერ დაინახა გოგოს ანთებული თვალები, მარტო ხარივით სვამდა და მამას ეგბაასებოდა. ალბათ, ჯავარას „ბატარიკად“ თვლიდა. ვერავინ გაიგო მაშინ, ვერავინ შეამჩნია. ეს „ბატარიკა“ გოგო როგორ გაიპარა სუფრიდან, როგორ განაპირდა და როგორ ატირდა. ეს პირველი განცდა და პირველი ცრემლი ქვეყანაზე არავისთვის გაუმხელია. ეს ის ერთადერთი ცოდვათაგანი იყო, სამარეში საიდუმლოდ რომ ჩაიტანენ ხოლმე ადამიანები. და თუ ეს მართლა ცოდვად ითვლებოდა,

ამის მეტი, ღმერთია მოწმე, არაფერი შეუცოდვია ჯავარას. ერთი წლის შემდეგ კი ამა დღიდან, ორი კაცი ესტუმრათ ლიქოკიდან, სამაზლო და სამამამთილო. ჯავარას არც დაელაპარაკნენ, მამას ეთათბირნენ, ემასლაათნენ და, როცა მამამ სტუმრებს მიმართა: ჰლირხართ თქვენი თესლ-ჯილაგისანი სკამზე დასასხდომადაცა, სოფელში გასასვლელადაცა, სამტეროდაცა, სამოკეთოდაცა, ქალის მისაცემადაცა, ქალსაც მოსწონდით, ქალის პატრონთაცაო, — ჯავარა მიხვდა, რომ დღეიდან უკვე დაწინდული იყო.

ერთი წლის თავზე სამეფოთი მოვიდოდნენ და წაიყვანდნენ დანიშნულს. გულის ფანცქალით ელოდა საქმროს და სჯეროდა, რომ წელიწადის შემდეგ მის წასაყვანად ზვავივით მოგლეჯილი ბიჭი მოვიდოდა, მაღალ შუბლზე ოდნავ ექნებოდა ქოჩორი ჩამოშლილი, ოღონდ ბუთლია არ ერქმეოდა, ბუთლია არ იქნებოდა, რადგან ის შორეული ნათესავი იყო და, როგორ გაწბილდა, როცა მეფედ მაღალი, ხერხერა ვაეკაცი გამოცხადდა, ხირჩლას რომ ეძახდნენ.

გამტკნარებული უსმენდა ჯვრის წერაზე ხუცესის გაუთავებელ ლოცვას და წუთი საუკუნედ ეჩვენებოდა. ბედიანიმც იქნებით, დავლათიანიც იქნებითო, — როგორც იყო დაამთავრა ხუცესმა, თორემ სადაც იყო, გული შეუღონდებოდა.

მერე თვალსა და ხელშუა დანაცრდა ქორწილის დღეები. მიილია დამქანცველი ღრეობა და დაიწყო მოსაწყენი, ერთფეროვანი ცხოვრება. პირველ ხანებში, ჯავარას ვერ გაულხო სისხლი სიყვარულმა. ქორწინებამ ვერ მოჰგვარა ბედნიერება. ქმარს გაუცივგულდა, გამარტოვდა, გული ჩაიხვია და პირზე კლიტე დაიდო. ცოლის საქციელი ხირჩლას სულს უხუთავდა და შხამს ჩუმად სვამდა.

ამ ჩვენს მზეთუნახავს ნეტავ გულში რა მჭვალი აქვსო, ხმამაღლა ჰკვირობდნენ მეზობლები.

ჯერ პატარძალია და მორცხვობსო.

— შენ მაინც გეცოდინება, ხირჩლავ, რათ არის ეგრე გულჩახვეული, შენ ხო არა ხარ მიზეზი, — ეშმაკური ღიმილით საყვედურობდნენ ხირჩლას.

ისედაც დაბოლმილი ხირჩლა ჩუმად ამოიოხრებდა და ლამაზ ცოლს გეზად გადახედავდა, თქმით კი არაფერს ეტყოდა: გეგონებოდათ ხატზე დაუფიციაო, ერთი საყვედურიც არ დას-

ცდებოდა, ერთ ხმამაღალ სიტყვასაც არ დააორთქლებდა, თითქო ავის მომასწავებელი დუმილით დანაღმულაო. მხოლოდ ერთხელ იხელთა დრო და წყნარად, მაგრამ ათრთოლებული, გაბზარული ხმით უთხრა ცოლს:

— ეგრე დარდი შეგვჭამს ორივეს. მოღლილი მზის მადლმა, თუ გეჯავრები, თუ სხვა გიყვარს, მითხარ და... განა მე ქვა ვარ, — უთხრა და გაერიდა, პასუხს აღარ დაუცადა.

ჯავარა ისეთი გახდა, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო. ქმრის სიბრალულმა ჩაწო. იმ დღიდან, ეგებ შმაგი სიყვარული არა, მაგრამ სულში რაღაც სითბო ჩაესახა და გულიდანაც ლოდი გადაიგდო, ქმარს დაუტკბა და გამოიცვალა.

გათხოვება მოუხდა. თექვსმეტი წლის გოგო მთვარესავით აივსო და განაზდა. ფერიც გადაიწმინდა, ისე შეიცვალა, თითქოს სხვა ჯავარა დაიბადაო. გალაღდა და გამხიარულდა. პირშიც აგონებდნენ შინაურები, რაც დრო გადის, უფრო და უფრო იფურჩქნებაო, გასათხოვარი ასეთი რომ ყოფილიყო, ხირჩლასათვის ვინ გაიმეტებდაო. ერთი სიტყვით, მთელი მხარის თვალად იქცა ჯავარა. აშკარად გრძნობდა, შინაური ვაჟკაცები თავს როგორ ატანდნენ ძალას, რომ თვალი არ გაქცეოდათ მისკენ, აუგი საქმე არ ჩაედინათ, არადა უჭირდათ თვალის მოწყვეტა. უცხო კაცნი კი თვალებით სჭამდნენ და ბეჩავად ოხრავდნენ. როცა ხატობაზე ან ლაშარში მიდიოდა, ცდილობდა, რაც შეიძლება ლამაზად გამოწყობილიყო. ხირჩლა ამ დროს ხარბად ათვალიერებდა. სანთელივით ჩამოქნილ მის ტან-ფეხს, სულში ჩამწვდომ თვალებს, შავად რომ უბრწინავდა, ნაწვიმარი ანწლის მარცვლებივით, თეთრყირმიზა პირისახეს, წაბლისფერ, ბუმბულივით რბილ თმას. უყურებდა ხირჩლა, როგორ კოპწიაობდა ისედაც ლამაზი იმისი ცოლი და ერთს სიამაყით ჩაიღიმებდა, მეტი არაფერი.

ერთხელ ლაშარში, (ნეტავ იმ ბედნიერ დროსა) მაშინ ორი შვილის დედა იყო უკვე, მღეროდა, კაცებს ეკაფიებოდა და მთელი ლაშარის მლოცავს მისკენ ჰქონდა თვალი და ყური მიქცეული. ერთმა ბარიდან ამოსულმა ბიჭმა დაადგა თვალი. მიმინოსავით ბიჭი იყო, ეშხიანი, ის ბეჩავი ვიღაცას გაეცუცურაკებინა. ჯავარა გასათხოვარიაო. აჩრდილივით დასდევდა ჯავარას და თვალებით სჭამდა, მაგრამ ქალი აინუნშიც არ აკდებდა, ლაღობდა და მხიარულობდა. იმდენი მოახერხა იმ ბა-

რელმა, რომ თავისი ამქარით ამბავ სუფრის მოეტმასნა. ხოტ-ბით ავსებდა ქალს, სილამაზესა და ეხა-პირს უქებდა და შე-ქეიფიანებული არც მალავდა, რომ ჯავარა საცოლედ მოსწონ-და. ჯავარა კისკისებდა, ხან ქმრისკენ გაიპარებდა თვალს შეც-ბუნებული, მაგრამ ხირჩლა, ალბათ იცოდა, ვინც იმასხრა, არ-ხეინად იჯდა. ლუდს სვამდა და გულიანად იცინოდა. ეს ხუმ-რობა ბოლოს კინაღამ შარად გადაიქცა. თავმომწონე ბარელმა იწყინა ასეთი გამასხარავება, მაგრამ აქაც ჯავარამ იმარჯვა. ბიჭს და-ძმობა შეჰფიცა და კამარაშეკრული ვეფხვი ცხვრად გადააქცია.

როცა რომელიმე ხატობა მოაწევდა, სადაც ადათით დიაცს წასვლა არ ეკრძალებოდა. ჯავარა თითებზე ითვლიდა დღე-ებს. ვერც ვერავის წარმოედგინა ხატობაზე ჯავარა არა ყო-ფილიყო. ლიქოკელი ჯავარა, მთელი ხეობის მშვენება და ეშ-ხი, ვისი დანახვაც თვალს ახარებდა, ვისი ხმაც სმენას ატკ-ბობდა და ვისი გამოჩენაც გადარეულ ცხენსაც კი დააოკებ-და. მაშ, ვის უნდა ეენამზევა, ვის უნდა ეკაფიავა, ვილასთვის უნდა ეთქვათ მამაკაცებს ოხვრითა და გულზე მჯალის ცემა:

მამერევიან ტირილნი,
შემაშეყრება გელსაო.
ვაჰმე, რა ძნელად მიყვარხარ,
შენ კი არ მიგდებ ყელსაო.

ან კიდევ:

სიზმარში მამეჩვენება,
ჩემს წინ ჯავარა ჰყვანდა,
რახან ის მამაგონდება,
სამ დღეს არა ეკვამ ჭელსაო.

ვის უნდა ეკისკისა ისე ლამაზად ამ ხუმრობაზე და ვის უნდა ემღერა ტკბილად და სევდიანად: „სიყვარულმა და ნდო-მამ, სიკვდილ არ იცის ქალისაო“... ის სიმღერა, აფხუშოს ხატ-ში რომ მოისმინა პირველად და პირველი ჟრუანტელიც შე-უყენა.

როცა ხატობები შეწყდებოდა და ხირჩლაც სადმე გადაი-კარგებოდა, ან მთაში, ან ბარში, ჯავარა მოიწყენდა, საოჯახო საქმეებით თავმობეზრებულს მოენატრებოდა თავისი საგარეო ტანსაცმელი, — ქოქლო და ქათიბი. ერთი სული ჰქონდა,

ლამაზად გამოწყობილიყო და ხალხში გასულიყო, იქ გაეტანა, ამ მიყრუებულ სოფელში ჩაკეტილი თავისი სილამაზე. ზოგჯერ, როცა უღვთო და სასტიკი გაუძლისი შეეკიდებოდა, რაიმეს მოიმიზეზებდა და ორიოდე დღით ჩავიდოდა ქალაქში მულთან. ქალაქელები თვალებით სჭამდნენ მთიდან ჩამოხვეწილ მშვენიერებას. ვინც ხელოვნური საკმაზმავებით კი არა, ბუნების პირველქმნილი მადლით ბრწყინავდა და ეს ყურადღება, რასაც ჯავარა ყველგან გრძნობდა, სადაც მულს მიჰყავდა, კი არ აფრთხობდა, პირიქით, ახარებდა და აამაყებდა. ასეთი ყურადღებით განებივრებული იყო ჯავარა.

თუ არადა, ქალაქში წასვლა რად უნდოდა. ზაფხულობით თვითონ ამოდიოდნენ ხან სწავლულები, ხანაც დამთვალიერებლები. ხევწყალას გაღმა, მუხნარში, წყაროსთან გაშლიდნენ სუფრას და მაშინვე ჯავარას მოიკითხავდნენ, მეტადრე კი ის სწავლულები, ვინც ზაფხულობით ხშირად ესტუმრებოდნენ ხოლმე აქაურობას. თუ შენ არ შემოგვიერთდები, ჯავარავ, არაფერს მადლი არ ექნებაო, ვინ უნდა დაგვამშვენოს, სიმღერით ვინ უნდა დაგვატკბოსო, ლექსები ვინ უნდა ჩაგვაწერინოსო. ზოგი სურათს უღებდა, ზოგი ხატავდა და ზოგიც ლექსებს იწერდა. ერთხელ აპარეკას შვილმა გაზეთში დაბეჭდილი სურათიც ამოუტანა ქალაქიდან. ქვეშ მარტო ერთი სიტყვა ეწერა სურათს: „ჯავარა". უყურა თავის სურათს, უყურა და როცა მძივებივით ჩასხმული კბილები შეამჩნია, ვერ გაიხსენა ასე გულიანად როდის გაიცინა, ან როდის გადაუღეს ეს სურათი.

თუ ბარიდან ვინმე უცნობები ამოვიდოდნენ და ჯავარას არ გაიხსენებდნენ (რაც იშვიათად ხდებოდა), მაშინ თვითონ გაახსენებდა თავს. კოხტად გამოეწყობოდა, მხარზე თუნგს მოიგდებდა და ამაყად დაეშვებოდა ბილიკზე. ისე ჩაუვლიდა მოქეიფეებს, ვითომ მათ ვერც ამჩნევდა. სამაგიეროდ ისინი შეამჩნევდნენ თვალებადქცეული კაცები ფუჭი არშიყით ტყუილ-უბრალოდ იცვეთავდნენ პირს, ხოლო ცომივით აფუებული ქალაქელი ქალები შურით სჭამდნენ სახრესავით მოქნილ დიაცს.

უკან გამობრუნებული ჯავარა კვლავ ზვიადად ჩაუვლიდა. ისე მიდიოდა, როგორც წყაროს წყალი ქვებზე. სავსე თუნგით შეუყვებოდა აღმართს და ვითომ არც ეყურებოდა, რა ხოტბას

ადევნებდნენ მამაკაცები გზათა უკან, ვითომ არცა გრძნობდა, რა შურიანი თვალებით მიაცილებდნენ დიაცები. თავმომწონედ მიირხეოდა და გულში სიამაყე უყიეინებდა.

დრო კი მიდიოდა. ბრუნავდა წუთისოფლის ბორბალი. ქალები დაათხოვა ჯავარამ, ქმარი მიწას მიაბარა, ხოლო თვითონ ვერ ასცდა მწარე ხვედრს — მარტოობას.

და აჰა, ბარე თხუთმეტი წელი იქნებოდა, აღარავის გახსენებია, ისიც კი ვეღარ მოუგონებია, უკანასკნელად როდის ამოვიდნენ ქალაქელები. არც ის ახსოვს, ბოლო დროს როდის იყო ხატობასა და ხალარჯობაზე. რაც გაღმა, გზის პირას სასადილო ჩადგეს, წყაროსთანაც აღარავინ ამოდის საქეიფოდ, ან ვიღა ამოვა, სოფელში სამიოდე კომლიღა დარჩა, დანარჩენები აიყარნენ. არადა, როგორ ენატრება ჯავარას, საგარეო ტანსაცმელში გამოეწყოს და ხალხში გაერიოს. ხანდახან მზიან ამინდში, ბექობზე გადმოდგება და ხევწყალას გაღმა მუხნარს გახედავს, ეგებ ვინმეს ღმერთი გაუწყრა და ამოვიდაო, მაგრამ იქ ბიჭებს თუ მოჰკრავს თვალს, ბარისახოს სკოლიდან რომ ჩამოსულან და ბურთს დასდევენ, მეტს არავის. შინ რომ გული ვეღარ დაეტევა, მხარზე თუნგს შეიდგამს და მუხნარში ჩავა წყაროსთან. იქიდან გაჰხედავს გაღმა შარაგზას როგორ მიამტვერებენ მანქანები, ისინი თავიანთი გზით მიდიან, ჯავარასთვის არავის ცხელა. ასე ზის მთელი დღე მოგონებაში ჩაფლული და რაღაცას ელის, ვიღაცას ელის ჯავარა, ვის, თვითონაც არ იცის...

...ამჟამად უფრო მკაფიოდ გაიგონა თავისი სახელი, ტახტიდან წამოიწია და ყური მიუგდო. ისევ ნებივრად კრუტუნებდა ბებერი კატა ხოლო გადახრილი მზე უკვე სხივებს იკრეფდა იატაკიდან.

არა, ამჟამად ყური აღარ ატყუებს: ჯავარას, ამჯერად მკაფიოდ ესმის:

— ჯავარას დაუძახე, ბიჭო, ჯავარას!

გული აუჩქროლდა, ფანჯარას მიეკრო ხევწყალას გაღმა, მუხნარში, ორი კაცი იდგა. გამოღმა აპარეკას შვილიშვილი რაღაცას უხსნიდა იმ კაცებს და ხელს ჯავარას სახლისკენ იშვერდა. მერე ბიჭმა თავი დაუქნია იმ კაცებს და ფაცხაფუცხით ამოჰყვა აღმართს.

„მე მეძახიან, — ჩაილაპარაკა აღელვებულმა — მაინც ხო გაგახსენდათ ჯავარა, ხო გაგახსენდათ“.

თვალებზე ცრემლი მოადგა და მთელ სხეულში საზეიმო ყიჟინამ დარეკა. მაინც მოაკითხეს, რამდენი ხანია ელის ჯავარა და ბოლოს აუხდა მოლოდინი, მაინც არ დაივიწყეს.

ოცდაათი წელი თითქმის ერთ წამში ჩამოირეცხა, მკვირცხლად შებრუნდა და უცებ იმ სკივრთან აღმოჩნდა, რომელშიც საგარეო ტანსაცმელს ინახავდა. სკივრს თავი ახადა და როცა შიგ საგულდაგულოდ შენახულ ქოქლოს დახედა, მაშინღა გაახსენდა, რომ ქვრივობაში ეს ტანსაცმელი აღარ ჩაუცვამს. მაინც რა ძალამ მოიყვანა ამ სკივრთან, რა ხანია აქეთკენ აღარც მოუხედია და ახლა რამ გაახსენა!

ერთხანს გარინდებული დასჩერებოდა ქოქლოს, მერე სკივრს ფრთხილად დაახურა თავი და ცივად გაერიდა. ამ წუთიდან მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რაც შეიძლებოდა კოხტად გამოწყობილიყო. საგარეო თალხი კაბა გადმოიღო, ხალარჯობაზე რომ იცვამდა ხოლმე, როცა მიცვალებულის სულის მოსახსენებლად მიდიოდა, თმა გადაივარცხნა, შავი თავსაფარი კოხტად წაიკრა და წარბებზე სველი ხელისგული გადაისვა. ჩქარობდა, როგორც სჩვეოდა, დინჯად და გულმოდგინედ ემზადებოდა „გარეთ გასასვლელად“.

როცა ბიჭი ოთახში შემოქასქასდა, ის უკვე სარკის წინ იდგა და თავს ამოწმებდა.

— ქალაქელები არიან, ჯავარას ძველი ამბავი უნდა ვკითხოთო.

ბიჭს ზედაც არ მიჰხედა, არც პასუხი აღირსა, მხარზე თუნგი შეიდგა და რომ გამოვიდა, მაშინღა დაუწყნარდა აჩქარებული გული, მაშინვე ძველ, ამაყ ჯავარად იქცა.

ბიჭმა გაოცებით გააყოლა თვალი, ბილიკზე დაეშვა, წელში გამართული, ლაღად მიდიოდა. მაგრამ დინჯად და ზვიადად, როგორც სჩვეოდა.

დაღმართი ჩაათავა და ხევწყალს რომ მიადგა, გულგრილად შეათვალიერა გაღმა მდგარი ქალაქელები. ნაცნობთაგანი არავინ იყო, ვერცერთი ვერ ინიშნა. ორივე ორმოცდაათ წელს იქნებოდა მიტანებული, ერთი საშუალოზე მაღალი იყო, თეთრი, ლამაზი პირისახე ჰქონდა, მეორე — შავგვრემანი, ფერმკრთალი და კუშტი.

ჯავარამ ღელეში საგანგებოდ ჩაყრილ სიპ ქვებზე მარჯვედ

გადაიტანა მჩატე, ჯერაც მოქნილი ტანი და ის ორნიც მიეგებნენ.

— ხელ მაგიმართას! — წაუხევსურა დაბალმა.

ჯავარამ ცერად გადახედა დაბალს.

— მაგრე კაცებს ესალმებიან ჩვენში. დიაცებს არა.

— ეგ კი აღარ ვიცოდი! — მოუბოდიშა დაბალმა.

ჯავარა წამით შეჩერდა, გრძნობდა, ორივენი რა ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ მას, მერე ნელა, თითქმის ტაატით გააგრძელა გზა წყაროსკენ. ისე მჩატედ მიდიოდა, გეგონებოდათ, მიწას არც ეხებაო. ქალაქელებიც გვერდით მიჰყვებოდნენ.

— წყალზე თუ მიდიხართ, არ მოდის, დამშრალია.

ჯავარამ წაუყრუა.

— აქ პატარა ბიჭები იყვნენ ბარისახოდან და იმათ თქვეს, ერთი კვირაა დამშრალაო.

ჯავარამ არც შეიცხადა, არც გაიოცა, ისევ წაუყრუა, მხრიდან თუნგი ჩამოიხსნა და მუხის ჩრდილში შეჩერდა. მარტო შეშუპებულ ქუთუთოებზე ემჩნეოდა, რომ საკმაოდ ხანდაზმული იყო — სპილოსძვლისფერ, თითქმის უნაოჭო სახეზე მაინც ედგა გადამქრალი სილამაზის შარავანდედი.

— ჯავარავ, — უთხრა მაღალმა, — მე წარმოშობით აქაური ვარ, აბა თუ გაგიგონია, სადა ცხოვრობდნენ სამხარაულები?

— სამხარაულები? — დაფიქრდა ჯავარა.

— კი, სამხარაულიანთ კარი ყოფილა აქ სადღაც და მერე ის ადგილი ლიქოკელებისთვის მიუყიდიათ.

შავგვრემანი მოშორებით იდგა და ჯავარას მიშტერებოდა, დაჟინებით ათვალიერებდა დედაბერს, მერე მეგობარს გადახედა. ამოიოხრა და თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა.

— ეჰ, საოცარია, საიდან მოდის სილამაზე, ან სადა ქრება.

— აბა! — მწარედ ჩაიცინა მეგობარმა და ისიც დედაბერს დააშტერდა.

ჯავარა მიწას ჩასჩერებოდა. მერე ტაატით გააგრძელა გზა და თან ჩაილაპარაკა:

— სამხარაულები აქ არ გამიგონია, ეგების ადრე ცხოვრობდნენ, მე თექვსმეტი წლისა მომიყვანეს ამ სოფელში.

— ახლა რამდენი წლისა ბრძანდებით, ქალბატონო? — ჰკითხა შავგვრემანმა.

ჯავარამ დაბალს პასუხი არ გასცა, თითქოს არც გაუგონია, რა ჰკითხეს.

— ერთი ლექსი კი გამიგონია, „გადამიყოლე, გადმოგყვებიო, თუ არ შენ, სხვას ვის გადავყვებიო, გამოდგა სამხარაულაი, მიპირებს გამოკიდებას“.

სამხარაულმა ყურები ცქვიტა, უბის წიგნაკი დააძრო, ფანქარი მოიმარჯვა, ლექსი გაამეორებინა და სწრაფად ჩაიწერა, მერე თვითონაც ზეპირად გაიმეორა.

— მაშ სხვა არაფერი გაგიგონია სამხარაულებზე? — ჰკითხა ჯავარას.

— სხვა არაფერი, თუ ბარისახოში ახვალთ, ჩემი ვაჟი ნახეთ, სკოლაში ასწავლის, იმას ეცოდინება.

ამასობაში წყაროსაც მიაღწიეს. ქალაქელებმა კიდევ შეათვალიერეს წყარო, კიდევ დარწმუნდნენ, რომ დამშრალი იყო, ჯავარას დაემშვიდობნენ და ჩქარი ნაბიჯით გასწიეს გალმა მარაგზისკენ.

— საკვირველია, ხომ იცოდა მაგ ქალმა, რომ წყარო დაშრალი იყო, რაღად მოდიოდა წყალზე თუნგით? — იკითხა შავგვრემანმა.

— მეც ეგ მიკვირს.

ჯავარამ თუნგი ძირს დადგა და წყაროსთან ჩამოჯდა, გამშრალ ხის ღარს უკვე ხავსი მოჰკიდებოდა.

ბზე ჩადიოდა და შარაგზას ჩრდილი დასცემოდა, დაშრეტილ წყაროსთან იჯდა ჯავარა და თვალებით მიაცილებდა თითქმის სირბილით მიმავალ ქალაქელებს. ასე გულგრილად და სწრაფად რომ გასცილდნენ მას. ო, ეს ქალაქელები როგორ არ ჰგავდნენ იმ ხალხს, ადრე რომ ამოვიდოდნენ ხოლმე აქ, მუხნარში.

უცებ ჯავარას წამლეკავი სევდა მოაწვა. თითქოს კუნაპეტი ავის მომასწავებელი ღამე ჩაუსახლდა სულში და ყველა იმედი გაუცამტვერა. სასოწარკვეთილი იჯდა ამ შემზარავ, გაუღწეველ უკუნში და განძრევის თავი არა ჰქონდა, ყოველგვარი ხალისი ჩაჰკვდომოდა. სული ეხუთებოდა და გონებადაბინდულს უცაბედად ძალიან ყრუდ, თითქოს ზეცის სიღრმიდან ჩამოესმა ძველი, საყვარელი სიმღერა.

სიყვარულმა და ნდომამ,
სიკვდილ არ იცის ქალისა,
ნეტავი ნისლად მაქცევა,
გადმოვიელიდი ქარითა,
იქ დავიწყებდი წვიმასა,
სიცა შენა ჰხნავ ხარითა.

და თითქოს წამით განათდა უკუნი, გამოჩნდა ლამაზი ზღაპრული აფხუშო, ზვავივით მოზანზარე ბუთლია და ჩუმად აცრემლებული პატარა გოგო ჯავარა.

ჯავარამ შვება იგრძნო და ვერ მიმხვდარიყო, რომ უნებურად თავისთავად დაძრულმა ცრემლმა გაუხსნა გზა სულში დაგუბებულ გრიგალს.

ეს ის ცრემლი იყო, ყმაწვილქალობაში რომ გადაენახა და ამ ცრემლით უმშვენიერესი დიაცი ჯავარა აწ დაბერებულ, სილამაზისგან გაძარცულ ჯავარას გლოვობდა.

მეოცნებე გაბო

ღამეა. ქალაქი ძილს მისცემია.

განაპირა უბანში ერთ-ერთი ვეება კორპუსიც გარინდულა და საყდრულ მდუმარებას მოუცავს.

მარტო გაბოს არ სძინავს იმ კორპუსში. შუაღამე უკვე გადავიდა, მაგრამ ძილი არ ეკარება. ოცნებებმა ჩაითრია გაბო, ობობასავით შეაცოცდა და აი, ახლა ღრღნის მის სულსა და გულს, ღრღნის და ძილს აღარ აცლის. არცა ცდილობს გაბო ოცნებას მოსწყდეს, სიამით და ნეტარებით გაბრუებული თავის სასურველ სამყაროში დააბიჯებს და ბედნიერად გრძნობს თავს.

გაბოს ბავშვობიდანვე უყვარდა ოცნება. დახუჭავდა თვალებს და უკვე სხვა გაბო იყო. ხან მრისხანე, მაგრამ უსამართლობის დამთრგუნავი, ხანაც ქვეყნის კეთილი განმგებელი და ღატაკთა შემწე. მას აქეთ დიდი დრო გავიდა. გაბო დავაჟკაცდა, მხატვარი გახდა ცოლ-შვილსაც მოეკიდა, თმაც შეეევერცხლა, მაგრამ ეს ჩვევა ვერა და ვერ მოიშალა.

გაბო ნიჭიერი მხატვარი იყო. თავის პროფესიას დიდი პა-

სუხისმგებლობითა და პატიოსნებით ეკიდებოდა. თუ სხვა ერთ სურათს, ანდა წიგნის გაფორმებას ორიოდე დღეში მოათავებდა, გაბო მას ორ კვირას და ხშირად ერთ თვესაც ანდომებდა, ვიდრე ფუნჯს მოკიდებდა ხელს, ბევრს ფიქრობდა, ეძებდა სიუჟეტს და, რაც მთავარია, აუცილებლად ახლებურად და ორიგინალურად უნდა გადაეწყვიტა თემა. ამას კიდეც აღწევდა გაბო. უფრო მეტიც, მისი ნამუშევარი არავისას არა ჰგავდა, სინატიფითა და საკუთარი ხელწერით გამოირჩეოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისეთი სახელი მაინც ვერ მოიხვეჭა, როგორიც თავისმა ტოლ-მეგობრებმა, მათ, ვინც იოლად ხატავდნენ და იოლად გადიოდნენ ფონს.

კეთილ, თავმდაბალ და ყოვლად უპრეტენზიო გაბოს საკუთარ თავზე პატარა წარმოდგენა ჰქონდა. ცდილობდა, მუდამ ჩრდილში მდგარიყო და იქიდან ეცქირა პირველობისათვის გამართული ჭიდილისათვის. თავმდაბლობა ზოგიერთს სიბეჩავეში რომ ეშლებოდა, ბავშვობიდანვე დაჰყვა გაბოს, მაგრამ ბეჩავი არც ბავშვობაში ყოფილა, არც ვაჟკაცობის ხანაში. პირიქით, ადამიანური სიამაყით იყო იმისი სული აღსილი და იშვიათად თუ შეეცდებოდა ვინმე, ტანმომცრო და თეძოთი კოჭლი გაბო გადაეთქერა. თავისი თავმდაბლობითა და მორიდებულობით ვერც იმას მიაღწევდა, რასაც დღეს მიაღწია მხატვრობაში, მაგრამ ხალასმა ნიჭმა მაინც თავისი გაიტანა.

თანატოლებს, რომელთაც გაბოს მეოთხედი არც სიბრძნე გააჩნდათ და არც გემოვნება, სახელიც და სიმდიდრეც უკვე მოხვეჭილი ჰქონდათ. ტრიბუნაზე ხშირად გამოდიოდნენ, ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს აფრქვევდნენ მხატვრობაზე და ძალაუნებურად მუდამ ყურადღების ცენტრში იყვნენ, ნიჭიერ მხატვრებად აღიარებდა მათ საზოგადოება. პირველ ხანებში, როცა გაბო მათ სულელურ აზრებს ისმენდა, გაოცებული იყო, თანაც თავის თავში ეჭვი ეპარებოდა, ეგება მე ვცდები და ისინი მართალნი არიანო, მაგრამ თანდათან დარწმუნდა, რომ უმეტესობა თავისი კოლეგებისა, გემოვნებასა და სიბრძნეს იყვნენ მოკლებულნი და მხოლოდ თავხედობით აღწევდნენ წარმატებას. ალბათ, ამიტომაც, გაბოს თვალში ნელ-ნელა, თანდათანობით ყველამ დაკარგა ფასი, გულში უმოწყალოდ დასცინოდა ამ თვითმარქვიებს და თანაც ებრა-

ლებოდა. ხანდახან ღამით, როცა დაწვებოდა, ფარ-ხმალს აის-ხამდა, თავად შედგებოდა ტრიბუნაზე და ისე დაანიავებდა ორატორებს, იმათგან ბურტყლიც აღარ რჩებოდა. აი ჰაშინ ყველა გაოცებული იყო გაბოს ჭკუითა და გემოვნებით, ეჰთი-მეორეს თვალებით ეკითხებოდნენ, რატომ აქამდე არ ვიცო-დით, თუ ასეთი გემოვნებიანი, განათლებული კაცი იყოო, და იმ დღიდან გაბო მათ თვალში უკვე სხვა კაცი გახლდა. მაგ-რამ ამას მხოლოდ ოცნებით აკეთებდა, მხოლოდ ოცნებაში აღზევდებოდა იგი. გათენდებოდა მეორე დღე, ქვეყანა ანა-ურდებოდა, ფეხს აიდგამდა და იგი ისევ ხათრიანი, თავმდა-ბალი და ფარხმალაყრილი გაბო გახდებოდა.

თავის კოლეგებიდან, ვინც მხოლოდ შორიდან იცნობდა მორიდებულ გაბოს, ყველას ეგონა, რომ ის მათზე ათი თა-ვით დაბლა იდგა. ფიქრობდნენ, ხელმოცარული და საწყალი მხატვარიაო და მას არც მკვდრებში თვლიდნენ და არც ცოცხ-ლებში. ეგ კი არა, მისი არსებობაც ავიწყდებოდათ. ეს კიდევ არაფერი, იყო მეორე სატკივარიც... ვინც ღრმად იცნობდა გაბოს, იმისი ნიჭითა და სიბრძნით ვინც გაოცებული იყო, ისიც კი ისე შეჰგუებოდა მხატვრის თავმდაბლობას, რომ სა-ქმე საქმეზე როგორც მიდგებოდა, მაშინვე ავიწყდებოდათ გაბო. არც იმ დროს გაახსენდებოდათ, როცა ნიჭიერ და მნიშ-ვნელოვან მხატვრებს ჩამოთვლიდნენ, არც იმ დროს, როცა რჩეულნი სადმე სიით იგზავნებოდნენ. ისევ იმათ აქებდნენ, და იხსენიებდნენ, ვისაც ზურგს უკან აგინებდნენ და უნიჭოე-ბად რაცხდნენ. ამის შემხედვარე გაბოს ადამიანების მიმართ თანდათან ეკარგებოდა რწმენა და ირგვლივ ისეთ შმორის სუნს გრძნობდა, ლამის დამხრჩვალიყო.

თავმდაბლობით ვერც სახელი მოიხვეჭა, ვერც გობით ფქვილი დადგა და ვერც კალო ლეწა მოზვრით. ერთი ხანობა ფიქრობდა, როდისმე შევდგები ტრიბუნაზე და ყველას, ვი-საც ყალბი გვირგვინები ადგათ, ვინც ჭიანჭველასავით დამ-ყურებენ, ერთხელ და სამუდამოდ თავს გავაცნობ და საბოლო-ოდ წელში გავწყვეტო. ეს საქმე, კაცმა რო თქვას, გაბოსთვის ძნელი არ იყო, თუკი გაბედავდა. უბრალოდ ყურზე ხელს წა-ავლებდა თითოეულს, მიათრევდა თავიანთ ქმნილებასთან და სწორედ იმ სუსტ ადგილებში ჩააყოფინებდა ცხვირს, სადაც უნიჭოებისა და უვიცობის უტყუარი ნიშანი იმალებოდა. ამით

საბოლოოდ დაარწმუნებდა იმ პატივმოყვარეთა და თვითმარ-ქვიებს, რომ ჭეშმარიტი ხელოვნებისაგან შორს იდგნენ. მაგ-რამ გაბო თანდათან დარწმუნდა, რომ ამის გაკეთებას აზრი აღარ ჰქონდა. ისინი დროთა განმავლობაში თავისთავად კვდე-ბოდნენ როგორც შემოქმედნი, მათ ირგვლივ ატეხილი ხმა-ური მალე მიწყდებოდა ხოლმე და საკუთარ სიკვდილს საკუ-თარი თვალებით სჭვრეტდნენ. ამიტომაც მას აღარ აღიზიანებ-დნენ ყალბი დიდების მაძიებელნი, უბრალოდ ებრალებოდა, ეცოდებოდა ისინი და მის თვალში სასაცილოები ხდებოდ-ნენ. რაც შეეხება მათ შემოქმედებას, გაბო ჩირის ფასად არ თვლიდა და უბრალო დათვალიერების ღირსადაც არ მიაჩნ-და.

იყო თავისთვის გაბო, თავისი ყოფნით არავის აწუხებდა, ბევრს ფიქრობდა, ცდილობდა თუნდაც სისხლის ფასად ისეთი სურათები შეექმნა, რომ ადამიანებისათვის ცოტა სიამოვნება მაინც მიენიჭებინა და სიმართლის ხმა მიეწვდინა.

ერთადერთი სანატრელი და საოცნებო ჰქონდა გაბოს,— ისე მომართოდა ხელი, იმდენი საშუალება ჰქონოდა, რომ ოჯახზე ზრუნვას არ გადაჰყოლოდა და მარტო შემოქმედებაზე ეფიქრა, მთელი დრო და ენერგია მისთვის დაეთმო. გაბომ კარგად უწყოდა, ჭეშმარიტი ხელოვნება მსხვერპლისა და თავ-განწირვის გარეშე არ შეიძლებოდა. ვერა და ვერა, დღემდე ვერ მიაღწია, ვერ შექმნა გაბომ ისეთი პირობები, შემოქმედს რომ ჰაერივით სჭირდება. ბავშვებზე ზრუნვა უამრავ დროსა და ენერგიას ართმევდა მას. არადა, დრო ულმობლად გარ-ბოდა.

მხოლოდ ოცნებით მიაღწევდა ხოლმე გაბო იმ პირობებს, რაც ცხადად ენატრებოდა. ოცნება კი ბავშვობიდანვე უყვარ-და მას. რამდენჯერ უნატრია და უოცნებია, ძვირად ღირებუ-ლი განძი ეპოვნა სადმე. ამ თანხით ქვეყანას მოივლიდა. იხე-ტიალებდა ციმბირის უდაბურ ტყეებში, შორეულ აღმოსავ-ლეთში, ინადირებდა იაკუტებთან ერთად, იწანწალებდა ტრა-მალებში თუ შუა აზიის უდაბნოში და ყოველივე ამას დინ-ჯად, ჭეშმარიტი ოსტატის მოთმინებით ტილოზე გადმოიტან-და. სისხლს ჩააქცევდა თითოეულ ნახატში და ღირსეულს მა-ინც შექმნიდა. თუნდაც ღმერთის წინაშე დაიფიცებდა, რომ იმაზე მეტს, რაც მას შემოქმედებითი მუშაობისათვის დას-

ჭირდებოდა, კაპიკს არ დახარჯავდა. დანარჩენს, გაჭირვებულ ნათესავებს დაახმარებდა და კიდევ იმ შემოქმედებს, ვინც მართლა ნიჭით იყვნენ დაჯილდოებულნი და მუშაობის პირობები არა ჰქონდათ. აი, მხოლოდ ამას ნატრობდა გაბო, სხვა დანარჩენი, თანამდებობაც და სახელიც, დაე, მათ ჰქონდეთ, ვინც მას ძალიან ეტრფის.

ოცნებამ გაიტაცა გაბო, გაიტაცა და თავის ნებაზე აბურთავებს. მთელ ქალაქს სძინავს. გაბო კი წევს თავის ოთახში ძილგამკრთალი და ოცნებობს. აჰა, ღამე იწურება და მას მაინც არ სძინავს. ხან გაჭირვებულებს უწვდის ხელს, ხანაც მნიშვნელოვან ტილოზე მუშაობს.

ამ უძილობის მიზეზი გუშინდელი დღის შთაბეჭდილება იყო. გუშინ გაბო, რაღაც ეშმაკად, მეუღლეს გინეკოლოგთან გაჰყვა და რაც იქ ნახა, იმან აუფორიაქა სული და ძილიც მან დაუფრთხო.

ვეება ოთხოთახიან ბინაში იდგა თავბრუდახვეული გაბო და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. არნახულმა ფუფუნებამ წამში შებოჭა, და მიუხედავად იმისა, რომ ამაყი სული ჰქონდა, ბინის პატრონისადმი მონური მოკრძალება იგრძნო. ჭერზე ჩამოკიდებული ვეება ჭაღის სხივი თითქოს სხეულს უხვრეტდა. ბრწყინავდა და ელვარებდა ძვირფასი ავეჯი თუ ბროლი, ვერცხლით და ოქროთი მოოქვილი ჭურჭელი, გარდა ამისა, იყო კიდევ სხვა რაღაც შემბოჭავი, რომელსაც მხოლოდ იგრძნობ და ვერ მოიხილავ.

ასეთივე განცდაში იყვნენ იქ მომლოდინე ავადმყოფებიც, თავიანთ რიგს რომ ელოდნენ.

გაბოს იქ ყოფნაში გინეკოლოგმა ცხრა ავადმყოფი გაისტუმრა და მეათე გაბოს მეუღლე იყო.

შთაბეჭდილებით გაბრუებული გაბო შინამდე ისე მივიდა, მეუღლეს წესიერადაც არ დალაპარაკებია. საღამოს კი დაწვა თავის ოთახში და ფიქრს მიეცა.

„თითოეული ავადმყოფისაგან ოც მანეთს იღებს. ათჯერ ოცი ორასი მანეთი, კიდევ რამდენი მივიდოდა ჩემამდე და ჩემს შემდეგ? სად მიაქვს ამდენი ფული?“ — ფიქრობდა გაბო გინეკოლოგზე და დღიური შემოსავალი წელიწადზე გადაჰყავდა.

როგორც გაბომ გამოიანგარიშა, წელიწადში, სულ მცირე,

სამოცი ათასი მაინც გამოდიოდა. ორ წელიწადში კი ასი ათასი მანეთი ყოველგვარი ხარჯის გარეშე.

ასი ათასი მანეთი... ასი ათასი რომ ჰქონდეს გაბოს, რას იზამდა?

და სწორედ ასი ათასმა დაუფრთხო ძილი ამ ღამით გაბოს.

ოცნებამოყვარულმა ეს ფული ჯიბეში იკრა და სულ სხვანაირი ცხოვრება დაიწყო. აბა რაღა დააძინებს გაბოს. მან შეისრულა თავისი დიდი ხნის გულისწადილი. ახლა ის უკვე სხვა გაბოა, წელში გამართული, სიკეთისმთესველი და შემოქმედებაზე მიჯაჭვული.

ოქტომბრიდან მაისამდე თავის სახელოსნოში ზის გაბო და წელში გაწყვეტამდე მუშაობს. თითოეულ შტრიხს ასჯერ ამოწმებს, სისხლს აქცევს, რომ ნახატი ხეირიანი გამოვიდეს. აი ახლა ნახონ, რა არის ჭეშმარიტი მხატვრობა, როგორ უნდა ნამდვილი ხატვა. გაბოს ნახატებზე მოშურნენი შურით კვდებიან, ხოლო მოყვარენი და მეგობრები სიხარულით ცას ეწევიან.

ღამე კი მიიზლაზნება. საათის ისარი ოთხს უახლოვდება.

...მაისის თვიდან გაბო მატარებელზე ჯდება და სახეტიალოდ მიდის, მიდის რუსეთის უსასრულო მიწაზე ხან აღმოსავლეთისაკენ და ხან დასავლეთისაკენ. მყუდრო პატარა ქალაქებში რამდენიმე დღით რჩება, იქაურ ადათ-წესებს სწავლობს, მერე კი, მერე ოქტომბრის თვიდან ისევ თავის სახელოსნოში ზის და შთაბეჭდილებებით დატვირთული დღეღამეს ასწორებს. ო, რა დიდი სიამოვნებაა, შემოქმედებითი მუშაობით რომ დაიქანცები და უფრო დიდი ნეტარებაა, როცა რაიმეს შექმნი, და შენი ნახელავით შენვე ხარ კმაყოფილი.

გაბოს ამ ღამით ახსენდებოდა ორი პიროვნება, ერთი თავისი ქვისლი, სასწაულებრივად საუცხოო ადამიანი, პატიოსნების გამო ცხოვრებამ რომ დაჩაგრა და სიღარიბეშია, ხოლო მეორე თავისი მეგობარი მხატვარი, — მუშაობის პირობებიც რომ არ გააჩნია.

გაბო ორივეს ეხმარება მნიშვნელოვანი თანხით. დიახ, ისინი ღირსები არიან ღირსეულად იცხოვრონ ამ ქვეყანაზე.

და გაბო თავისი საქციელით კმაყოფილი ლოგინში ვეღარ ისვენებს, შფოთავს და ბორგავს, სიხარულისაგან გული უბაგუნებს, საოცარი სიცხადით ესახება სახეგაბრწყინებული თა-

ვისი ქვისლი და მეგობარი მხატვარი. თვალწინ ესახებიან სხვა ნათესავები და მეგობრებიც, ვინც თავიანთი კაცობით ამ ქვეყანას ამშვენებენ; გაბო იმათი შემწეა, დახმარების ხელს უწვდის.

ღამე კი ნელ-ნელა იწურება. გაბოს ძილი მაინც არ ეკარება. ო, რა უზენაეს ნეტარებაშია ახლა იგი. მისმა სულმა უკვე დატოვა სხეული და გაბოსთვის სასურველ სამყაროში გადასახლდა.

აი, ახლა თუ ტახტზე მდებარე ნივთად გადაქცეულ გაბოს სხეულს არ ჩავთვლით, ოცნებასა და სინამდვილეს შორის ზღვარი უკვე წაშლილია.

გაბო დაიქანცა. უნდა როგორმე დაუსხლტეს ოცნებას და ძილს მისცეს თავი, მაგრამ ვერა და ვერა, ეს ნათელი სასურველი სამყარო აღარ ეთმობა.

თავში რაღაც მწარედ ჩხვლეტს გაბოს. დახუჭულ თვალებთან ყორანი იქნევს თავის შავ ფრთას, მერე გაბო იმ ყორნის ფრთაზე ჯდება და ხან ზევით აქანდება და ხან ქვევით წყვდიადში ჩაეშვება. ამდენი სიკეთის მქნელს, სულითა და სხეულით ნაგვემ გაბოს, ღრმად ჩაეძინება.

ღამე წელში წყდება. ფანჯრებიდან ლურჯი შუქი შემოჟონავს, ბელურები გაუბედავად დაიწყებენ ჟივილს. დილის გრილი სიო გადაუვლის მძინარე ქალაქს. შორს გაიღრჭიალებს ტრამვაი. დაირხევიან სიცოცხლისა და განთიადის მაუწყებელი, თითქოს დედამიწის წიაღიდან წამოსული, პირველი ხმები და მას შეუერთდება რაღაც სხვა ხმაურიც, ქვეყნის არსებობას რომ გვამცნობს.

ამ დროს გაბოს ღრმად სძინავს, წესით კი სწორედ ახლა უნდა ეღვიძოს, რომ განთიადის მოსვლას უცქერდეს, მაგრამ ღამენათევსა და ოცნებით დაქანცულს ბავშვის ღრმა ძილით სძინავს და სახეზე კმაყოფილების შარავანდედი დაჰფენია.

— ადექი, გაბო, რა ხანია გათენდა!

ეს რა ხმა ჩაესმის, ვინ უფრთხობს ძილს ამდენი სიკეთის მქნელს, სახელმოხვეჭილსა და მდიდარ გაბოს? ვისი ხმა ესმის ამ დილაადრიანად, ცოლისა? იქნებ ეჩვენება?

არა, ეს მოჩვენება არ უნდა იყოს, ეს მოჩვენებას არა ჰგავს.

— ადე, გაბო, კოლიამ სამსახურში არ გაგასწროს, ერთი

ხუთი მანეთი ესესხე და რძე მოიტანე, თორემ მერე გათავდება.

ადექი, გაბო, ადექი და შენი სული და სხეული მიაგებე უკვე ყელში ამოსულ, მოსაწყენ, ერთფეროვან და მძიმე ცხოვრებას. რა უჭირს, კიდევ დაღამდება, კიდევ დადებ ბალიშზე თავს და შენს საოცნებო სამყაროში გაემგზავრები. ოცნება ხომ შენს ხელთაა, შენს ნებაზეა, ვიდრე სამუდამოდ მასდებ თავს ცივსა და მაგარ სასთუმალზე.

უკანასკნელი ზარი

1

წუხელ ძილი გამიკრთა. ოცნებამ გამიტაცა. რა დაგიშალოთ და მიყვარს ოცნება, წევხარ რბილად ლოგინში და ოცნებობ. ხან ოქროს ტახტზე ზიხარ და ხელთ კვერთხი გიჭირია, ხანაც მათხოვრის ჯოხი. ხან უბადლო მეომარი ხარ, ხანაც დიდად სწავლული. თქვენ თუ გნებავთ, ნუ დაიჯერებთ, მე მაინც ჩემსას გეტყვით: ოცნება სასწაულებრივი და თანაც იოლად საშოვარი წამალია. ოცნება რომ არ შეეძლოს კაცს, გული გაუსკდებოდა. ჩვენ ხშირად დავცინით ხოლმე მეოცნებე ადამიანებს, მაგრამ ყველანი ვოცნებობთ; დიდი თუ პატარა, ბოროტი თუ კეთილი, ბრძენი თუ სულელი. ყველა ჩვენებურად ვოცნებობთ და ამ დროს ვამჟღავნებთ მთელ ჩვენს სულს თავისი სიბნელითა და სინათლით. მეოცნებეებს კი მარტო იმათ ვეძახით, ვინც გულუბრყვილონი, კეთილნი არიან და თავიანთ ოცნებას არ მალავენ. ეჰ, კეთილო ხალხო, ვის უბამთ თვალებს, განა თქვენ კი არ ოცნებობთ? ვინ იცის, რამდენი გადაგიყენებიათ თანამდებობიდან და იმისი ადგილი თქვენ დაგიკავებიათ. რამდენისთვის წაგირთმევიათ ნიჭი და თქვენ მიგიბოძებიათ, რამდენი უფრო მეტადაც გაგიწირავთ. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მაშინ ჩაგიდენიათ, როცა მარტო-მარტო დარჩენილხართ თქვენს ფიქრთან, თქვენს ოცნებასთან. მერე გამოდიხართ სოფელ-ქვეყანაში, ინიღბებით და მამა აბრამის ბატკნად მოგაქვთ თავი.

ყველა თავისებურად ოცნებობს, კეთილი კეთილად და ბოროტი ბოროტად. მეც ჩემი საოცნებო მქონდა წუხელ. ხან უნივერსიტეტის აუდიტორიაში ლექციებს ვისმენდი, ხან არდადეგებზე ვიყავი სოფელში და ხანაც მეცნიერულ შრომას ვწერდი ლიტერატურის დარგში. ლიტერატურა ძაან მიყვარს და იმიტომ გამახსენდა. ეგ კი არა და, ჩუმ-ჩუმად ლექსებსა და მოთხრობებსაც ვწერდი.

ერთი სიტყვით, ოცნებამ თავის ნებაზე მაბურთავა. გარიჟრაჟამდე ვიბორგე და მერე დაღლილ-დაქანცულს მკვდარივით ჩამეძინა. ბუნდად მახსოვს, დილით დედაჩემი მაღვიძებდა, მაგრამ ძილს ვერ მოვერიე და თავი დამანება.

ცხრა საათზე გამეღვიძა. ზაფხულის დღეში ცხრა საათი ეს ის დროა, როცა ხალხი მუშაობითაა გამაძღარი და ავადმყოფებისა და მოხუცების მეტი შინ აღარავინ არის დარჩენილი. სოფელი სისხამ დილით იღვიძებს, ბღავილით გაილაღება საქონელი საძოვრებისაკენ, მიწყდება ქათმების კრიახი, ბაღ-ვენახისაკენ გაიკრიფება ქალი თუ კაცი და მინელდება სოფლური დილის ხმაური. მერე ზაფხულის ცხელი მზე ამოიწევს, ცეცხლს დაანთებს და ყოველივეს მიაყუჩებს. ეტყობა, მეც ამ მზის მცხუნვარებამ გამაღვიძა. პირდაპირ ზედ წამოჯდგომოდა.

— დილა მშვიდობისა, ვაეგბატონო! დღეს რა დღეა თუ იცი? — საგარეო ტანსაცმელში გამოპრანჭული ჩემი და კარებში იდგა და მიღიმოდა.

— დღეს ხუთშაბათია.

— არა, რა რიცხვია?

— ათას ცხრაას ორმოცდათოთხმეტი წლის ოცდაათი ივნისი, — ღავუზუსტე.

— ჰო... მერე? შე მძინარავ, დღეს ატესტატებს გირიგებენ. შენმა კლასელებმა რა ხანია გაიარეს სკოლისაკენ. შენ კიდევ ლოგინში გორაობ. ადექი ახლავე და წადი. მე კლუბში მივდივარ, სიმღერის გუნდის მეცადინეობაა.

ჩემი და გადასარევად მღერის. ახლა ოლიმპიადისთვის ემზადებია.

— რატო აქამდე არ გამაღვიძე?

— დილას დედაჩემმა გაღვიძა და ვერ გავაღვიძა. ადექი,

აღარ დაიძინო. მე მივდივარ. საუზმე მზად არის. — შებრუნდა და წასვლა დააპირა.

— მოიცა.

— რა გინდა? — ისევ მობრუნდა.

მე დაჟინებით დავაცქერდი. ცისფერი მოკლესახელოიანი კაბა ეცვა და რატომღაც ახლა ვიგრძენი, რომ ეს კაბა საოცრად შეენოდა. უხმოდ მივჩერებოდი მის ოდნავ ფერმკრთალ, ეშხიან სახეს, შავ თმასა და გრძელწამწამებიან დიდ თვალებს. თითქოს პირველად ახლა ვიგრძენი, რომ ჩემი და დაქალიშვილებულიყო და რაღაც მტკივნეულმა ეჭვმა თუ სინანულმა გამკენწლა.

— რა გინდა, მითხარი ჩქარა, მაგვიანდება!

— ვის ეპრახჭები, ალიწეწიავ?

ეშმაკმა იცის ეს ზედმეტი სახელი საიდან გამახსენდა. ბავშვობაში ჩემი და ერთი ალიკლანჭა ვინმე იყო. მთელ უბანს გარს უვლიდა. სულ ბიჭებთან თამაშობდა და ხან ერთს ააღრიალებდა, ხან მეორეს. როდის-როდის მოვიდოდა შინ, ალიკ[illegible]-გაწეწილი, ფეხებდაკაწრული. მთელი სოფელი ალიწეწიას ეძახდა. მერე, როცა წამოიზარდა, ის ჩვენა დაკარგა და ეს ზედმეტი სახელიც ძივივიწყეთ.

გაოცებით შემომხედა. ეტყობა არ მოელოდა, თუ ეს სახელი კიდევ გამახსენდებოდა.

— ე, — ესღა თქვა და ყურებამდე აწითლდა. არ ვიცი, სიბრაზისაგან თუ სირცხვილისაგან.

— წადი და ჭკუით იყავი, — სიყვარულით გავუღიმე და თვალი ჩავუკარი. ერთხელ კიდევ შემომხედა რაღაც უცნაური ეჭვით, მერე კეკლუცად შებრუნდა და წავიდა. კიბეზე მესმოდა მისი ფეხის ხმა.

ჩემი და!.. ჩემი ერთადერთი და!..

რა უცებ დაქალიშვილდა. უკვე მეთერთმეტე კლასში გადავიდა. ახლა, ამ წუთს ვიგრძენი, რომ აღარ არის ის პატარა ალიწეწია გოგო, ჯერ კიდევ გუშინ ფეხშიშველი რომ დააატლაპუნებდა წვიმისაგან მოდიდებულ რუში, ცალი თითით ოსტატურად უსტვენდა და თანატოლ ბიჭებს ნიშნს უგებდა. რა უცებ შეიცვალა. თითქოს ვიღაც ბრძენი ჯადოსანი მოვიდა,

გადაუსვა თავზე დიდი, ბებრული ხელი და ჩასჩურჩულა: ღმრთისაგან გეშინოდეს, მშობელთაგან გრცხუენოდეს, მოყვარეთა განეკრძალე, დადინჯდი და განაზდიო.

იგი როგორღაც გაუცხოვდა ჩემთვის და ამავე დროს უფრო ახლობლადაც იქცა. დაქალდა, გაივსო, განაზდა და დაყუჩდა. ყურძნის მტევანივით თვალი შეუვიდა. ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე თვალს იტაცებს და სადაც არის გულიდან მოგვწყვეტენ. წავა. სხვის ბუდეში დაიდებს ბინას, სხვის ჯიშსა და ჯილაგს მოამრავლებს.

გულზე ნაღველი შემომაწვა.

ჩემი ობლად გაზრდილი ერთადერთი და!..

საბანს ხელი ვკარი და წამოვხტი. ათ საათზე სკოლაში უნდა ვყოფილიყავი. დღეს უკანასკნელი დღე იყო, სამუდამოდ უნდა გამოვთხოვებოდი სკოლას და ჩემს სიყრმეს...

პირი დავიბანე, წავიხემსე და წავედი.

თაკარა მზიანი დღე იდგა. მთელი მაისი და თითქმის ივნისიც უჩვეულოდ გრილი და ავდრიანი იყო. და აი ეს ათიოდე დღეა ზაფხული გამძვინვარდა. ტყუილად კი არ უთქვამთ, დიდ აღმართს დიდი თავქვე მოსდევსო. ლეკის მთაზე თოვლი უცებ ჩამოდნა და იალაღები ამწვანდა.

ოღლობეზე მივდივარ მოკლე გზით. კაციშვილი არ ჭაჭანებს, ისეთი სიჩუმე ჩამოვარდნილა, თითქოს მთელი სოფელი დიდპატარიანად სადღაც გადაკარგულა. ხანდახან ხვლიკი გაიფხაკუნებს, შემომხედავს თავისი წვრილი, ცნობისმოყვარე თვალებით და მერე ღობეში გაიელვებს მისი მწვანე ზურგი. აგერ, გორაზე თეთრად აღმართული ჩვენი სკოლაც! შორიდანვე იგრძნობა დუმილი და სიმშვიდე, ზაფხულის არდადეგებზე რომ გამეფდება ხოლმე ყოველ სკოლაში.

ჩვენი სკოლა ორსართულიანია, მაგრამ ქვედა სართული მიწიდან რამდენიმე საფეხურითაა დაშორებული. პირველ სართულზე საკლასო ოთახებია, მეორეზე კი დირექცია, სამასწავლებლო და ერთიც სამპატრონიანი კაბინეტი. სამპატრონიანი იმიტომ არის, რომ სამი კაცი იჩემებს: ფიზიკის მასწავლებელი ამბობს, ფიზიკის კაბინეტიაო, ქიმიის მასწავლებელი გვარწმუნებს ჩემიაო, ხოლო ზოოლოგიისას თუ ჰკითხავთ, ერთადერთი სრულუფლებიანი პატრონი მე ვარო. ალბათ თვითეულ მათგანს ჰგონია, რომ ჩვენ გვაჯერებს. ასე

ვართ ადამიანები, როცა გვჭირდება, თავსაც ვიტყუებთ და ვითომ სხვასაც ვატყუებთ.

კლასში, როგორც იყო, თავი შევყავი, ბიჭებმა ერთი ერიამული ატეხეს.

— ბენდელიანს გაუმარჯოს, ჭიჭიკო ბენდელიანს! — ეს ბოდმეტი სახელი გვი კონსტანტინიძემ შემარქვა. რვა კლასი რომ დავამთავრე, ჭიჭიკო ბენდელიანის სახელობის საფრენოსნო სასწავლებელში შევიტანე საბუთები, მაგრამ ჩემი მათემატიკის პატრონს იქ ცხვირს ვინ შემაყოფინებდა. დამემსახურა დიდი ოცნება და ისევ ჩემს სკოლას დავუბრუნდი. იმ დღიდან ბენდელიანად მომნათლეს.

ვიღაცამ დაიძახა, მოდიანო და მთელი კლასი გაინაბა, ყველა თავის ადგილას დავსხედით, ბეწვზე არ მოვუსწარი?!

დერეფანში ჩვენი დამრიგებელი ნინო მასწავლებელი და დირექტორი მოდიოდნენ. უცებ ზარის ხმა გაისმა სკოლის დიდი ზარი რეკდა გაბმით. მთელ სკოლაში ჩვენი, მეთერთმეტე კლასის გარდა არავინ იყო. სწავლა დიდი ხანია შეწყდა, გამოცდებიც დამთავრდა, ჩვენ მხოლოდ ატესტატებისთვის მოვედით და ეს ზარი ვიღას რაში სჭირდებოდა?

მომეჩვენა, რომ ამ სიმშვიდეში სულ სხვაგვარად ისმოდა ზარის ხმა.

ჩვენი სკოლის ზარი პირველად მეოცე საუკუნის დასაწყისში დაირეკა, მაშინ, როცა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თაოსნობით აშენდა ამ გორაზე სკოლა. იმ დღიდან რეკდა ეს ზარი და სწავლისათვის უხმობდა ახლომახლო სოფლების ახალგაზრდებს, რადგან მაშინ საშუალო სკოლა ერთადერთი იყო ალაზნის გაღმა-გამოღმა. მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი გააცილა ამ ზარმა და ცხოვრების მიმოქცევამ ზოგი ბედს სწია, ზოგიც უბედობას. ეს ზარი ახლა ჩვეულებრივ როდი რეკდა, იგი თითქოს მიგვაცილებდა, მისი პირით თითქოს ცხოვრება გვეძახდა, მეორე ცხოვრება გვიხმობდა და ვინ იცის, ვის საით.

უკანასკნელად გაიღარუნა ფოლადმა, დაიკვნესა და დადუმდა.

კლასში ნინო მასწავლებელი და დირექტორი შემოვიდნენ.

— დასხედით, დასხედით! — გვითხრა ნინო მასწავლებელ-

მა და გამხდარ მწვანე სახეზე ღიმილმა გადაუარა. კლასში შემოსვლისთანავე ეს ღიმილი ედგა სახეზე. მისთვის ჩვეული და ჩემთვის კარგად ნაცნობი ღიმილი, თხელი ტუჩების მარცხნივ რომ გაუკრთებოდა ხოლმე. აღტაცებას თუ სიხარულს, საღიმილოს თუ საკისკისოს ამ ნაზი ღიმილით გამოხატავდა. ხმამაღლა გაცინებული იგი ვერც კი წარმომედგინა. ნინო მასწავლებელი მეცხრე კლასიდან გვასწავლიდა ქართულ ლიტერატურას და იქიდან მოყოლებული ჩვენი კლასის ხელმძღვანელიც გახლდათ. საოცრად მიყვარდა იგი, რაღაც მშობლიურს მახლობელს ვგრძნობდი მისგან, ვერ გეტყვით, სხვაც ასე იყო თუ არა, მაგრამ მე ეს გრძნობა არასოდეს შემრყევია. იმ დღიდან, რაც წმიდა შუშანიკის წამება ვისწავლეთ, ჩემს წარმოდგენაში შუშანიკი და ნინო მასწავლებელი ერთ არსებად იქცა. მე შუშანიკი სხვანაირი ვერ წარმომედინა. სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო: სუსტი და გამხდარი. ასეთი ღიმილი უნდა სცოდნოდა, ერთადერთი, რითაც, ჩემი აზრით, შუშანიკისაგან განსხვავდებოდა, ის გახლდათ, რომ მას მეხუთე საუკუნეში არ უცხოვრია, ვარსქენი არ ჰყოლია ქმრად და ქრისტეს სჯულისთვის არ უწამებიათ. ხანდახან ვიფიქრებდი, ეგებ ცად აღვლენილი შუშანიკის წამებული სული დაბრუნდა მიწაზე და ნინო მასწავლებლის სახით მოგვევლინა-მეთქი მეოცე საუკუნეში.

კლასის ხელმძღვანელმა მაგიდის კუთხეში დასტად დააწყო ქაღალდში გახვეული ატესტატები და ყველას თვალი იქით გაგვექცა.

— ალბათ დღეს მაინც იქნებით ყველანი, — გაიღიმა ნინო მასწავლებელმა, მერე საკლასო ჟურნალი გადაშალა და სია ამოიკითხა:

— ბიწკინაშვილი!

— ვარ, მასწავლებელო!

— დათუკაშვილი!

— გახლავართ!

— მარტაშვილი!

ისიც, რა თქმა უნდა, აქვე ზეა. აქვე ზეა ირიან კონსტანტინიძეც, პატარაშვილიც და საერთოდ ყველანი. ოცდაერთივე კაცი უკლებლადაა, გოგოც და ბიჭიც, წარჩინებულიც და წარუჩინებელიც.

მასწავლებელმა დირექტორს შეხედა, დირექტორმა ტუჩები გაატოკა, ალბათ რაღაც თქვა და, ნინო მასწავლებელმაც დაიწყო:

— ბავშვებო, დღეს, როგორც იცით, საშუალო სკოლის ატესტატები უნდა მიიღოთ. პატივცემულ კლიმენტის, — და დირექტორს გადახედა, — სურს ორიოდე სიტყვით მოგმართოთ... გთხოვთ, პატივცემულო კლიმენტი.

კლიმენტა შარშან გამოგვეცხადა თავისი კოდალას ცხვირით რუსული ენის მასწავლებლად. გამოგვეცხადა და ერთ წელში სკოლის დირექტორადაც ეკურთხა. პირველ ხანებში კლიმენტას დასცინოდნენ სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო. ერთ-ერთი მიზეზი ის გახლდათ, რომ პირველ დღესვე ცოტა უცნაურად ჩაცმული მოგვევლინა. გალიფე შარვლის ტოტები მაღალყელიან ბამბის წინდებში ჩაეტანებინა და ზედ მუხლებთან მიება რეზინებით. დადიოდა თავისი გრძელი ცხვირით და დაეფლარტუნებდა ორი-სამი ნომრით დიდ კალოშებს. ეჰი, ჩაიცინეს თურმე, ამას ცოტა კრამიტი უნდა ჰქონდეს დაცურებული. ვითომდა, ცოტა დალაგებული ვერ უნდა იყოსო. მეორე მიზეზი კი კლიმენტას უცნაური და ფათერაკიანი მოგზაურობა გახლდათ თელავიდან ახმეტას. საღამო ხანს შემომჯდარა იგი საბარგო მანქანის ძარაზე, ამოულაგებია ჯიბიდან კაკალი და კაბინის თავზე დაუწყია ქვით მტვრევა. კაკუნზე შოფერს მანქანა გაუჩერებია, რა იყოო.

— არაფერი, ბატონო, აგერ ნიგოზს ვტეხავ! — უთქვამს კლიმენტას და გრძელი ცხვირი შოფრისთვის დაუმიზნებია. დაძრულა მანქანა და ცოტა ხანში ისევ აუტეხია კოდალასავით კაკუნი. კვლავ გაუჩერებია შოფერს მანქანა, ალბათ ახლა მართლა აკაკუნებსო.

— განაგრძე, ყმაწვილო, შენი გზა, ნიგოზს ვამტვრევ-მეთქი, არ გითხარი! — განაწყენებულა ნიგვზით პირაქაფებული კლიმენტა. შოფერს თვალები ეშმაკურად მოუჭუტავს, კაბინაში საგულდაგულოდ შეჭმუჭნულა და მანქანა გაუჭენებია. მაჭარაულში რომ შესულან, კლიმენტა ორივე ხელით უბრახუნებს თურმე კაბინაზე, გააჩერე, აქ ჩავდივარო, მაგრამ შოფერი უფრო დასწოლია და ახმეტამდე აღარ გაუჩერებია. კლიმენტას ჩხუბსა და დავიდარაბაზე თავი ასე უმართლებია შოფერს, მე მეგონა ისევ კაკალს ამტვრევდიო.

რაღას იზამდა კლიმენტა, ხუთ კილომეტრიან გზას უკან დასდგომია, მოდის თურმე ბუზღუნ-ბუზღუნით და მოაფლარტუნებს თავის დიდ კალოშებს. მოუახლოვდა მაჭარაულს და რა ესმის: სოფელში ძაღლებს ერთი გნიასი გააქვთ, გააფთრებით უყეფენ გამვლელ-გამომვლელს, ერთხანს სოფლის გაანაპირას შეჩერებულა, იქნება ვინმემ გამოიაროს და ავემგზავროო, მაგრამ არავის გაუჭაჭანებია, ძაღლები კი თანდათან უახლოვდებიან ყეფით. კლიმენტას არც აუღია, არც დაუღია, დაუხდია კალოშები და ერთ დიდ კაკლის ხეზე აფოფხებულა და ღამე იქ გაუთევია.

მეორე დღეს ეს ამბავი მთელმა სკოლამ იცოდა. ვერ გეტყვით, ვინ იყო დამნახავი, ან ვისთან დასცდა კლიმენტას თავისი გასაჭირი, ერთი კი ცხადია, ამ ამბავს ყველა დაბეჯითებით ირწმუნებოდა.

ასეთი მასწავლებელი ცუღლუტი მოწაფეებისთვის, სულ საეშმაკოზე რომ უჭირავთ თვალი, პირდაპირ ზეიმია. იმის გაკვეთილზე ისე გრძნობდნენ თავს, როგორც აღლუმზე.

— რა გვარი ხარ შენ, ბიჭო? — წამოაყენებდა კლიმენტა რომელიმე მოწაფეს და ისიც, თუ თქვათ, ბატიაშვილი იყო, ჯანდიერი ვარო.

— ჯანდიერო, აბა მომიყევი გაკვეთილი!

— არ ვიცი, მასწავლებელო.

— დაჯექი, ორიანი.

კლიმენტა დიდხანს ეძებდა საკლასო ჟურნალში ჯანდიერს, მაგრამ ვერ პოულობდა. კლასში ფრუტუნებდნენ და ხითხითებდნენ.

— მასწავლებელო, ეგ ჯანდიერი კი არა, ჩოლოყაშვილია.

კლიმენტა ახლა ჩოლოყაშვილს დაუწყებდა ძებნას, კლასი კი უკვე გნიასობდა და ხარხარებდა.

მაგრამ კლიმენტა არც ისეთი გულუბრყვილო აღმოჩნდა, როგორც ზოგიერთებს ეგონათ. იგი ისეთი ხარი არ გახლდათ, ხმაურით რომ ახელებენ. პირიქით, სახედარივით თვინიერი და მომთმენი გამოდგა. იცოდა, სად შეეტია და სად დაეხია. დედის მუცლიდანვე ჰქონდა დაყოლილი ეს მეღამი. არ აჰყვა გადარეულ ყმაწვილებს და ისინიც დაცხრნენ, დაოკდნენ.

ერთი სიტყვით, კლიმენტამ მალე აუღო ალღო აქაურობას და მალე აქაური ქუდიც მოირგო. ისე ლაზათიანად და

მარჯვედ მოირგო, რომ ზოგიერთები ჯერ ბაიბურში არ იყვნენ და გაოცებისაგან მარტო პირი დააღეს, როცა კლიმენტამ სადირექტორო ჩოხა გაისწორა.

ეს ამბავი შარშან მოხდა. ჩვენმა ძველმა დირექტორმა, თუშმა, სკოლას ხურგი აქცია და ცხვარში გამწესდა. სწორედ იმ ხანებში, სამი დღით სადღაც გაქრა კლიმენტა, მეოთხე დღეს შეაღო განათლების განყოფილების კარი, თავისი გრძელი ცხვირი მოწიწებით შეყო და განყოფილების გამგეს წინ რაღაც ქაღალდი დაუდო. ამ ქაღალდით სამინისტროდან იუწყებოდნენ მავანი და მავანი, მაჰარაულის საშუალო სკოლის დირექტორად არის დანიშნულიო. კეთილი და პატიოსანიო, არის და წინ ვიღა დაუდგებაო, ორი თავი ვისა აქვსო. ალბათ ჩვენზე უკეთ იქ იციანო და, კლიმენტას გზა დაულოცეს. ასე გამოავლო პირში ჩალა ყველას, ვინც დიდი იმედით ელოდა, დირექტორად მე მიმიწვევენო.

იმ დღიდან კლიმენტა მთელ სკოლაში პატივცემული კლიმენტი გახდა და ნებსით თუ უნებლიეთ ყველა მოწიწებით ეტყოდა.

...პატივცემულმა კლიმენტამ გრძელი ცხვირი ჯერ ნინო მასწავლებელს დაუმიზნა, მერე მთელ კლასს, ტუჩები აწკაპუნა და დაიწყო:

— ბოვშებო, მე იმიტომ მოგმართავთ სიტყვით, რომ ჩემი დირექტორობის მანძილზე პირველი გამოშვება თქვენა ხართ. ყველანი სასახელოები უნდა გამოხვიდეთ... შენ ყმაწვილო, მომიხმინე და თავში ჩაიდე რამე, — მიმართა დათუკიშვილს და კვლავ განაგრძო, — იმას გეუბნებოდით, პროფესორები თუ არა, დოცენტები მაინც უნდა გამოხვიდეთ.

— კოლმეურნეობაში ვიღამ იმუშაოს, მასწ... — ვეღარ მოითმინა დათუკიშვილმა.

— მაცალე, ყმაწვილო, ვინ იმუშავებს და რეგვენი.

დათუკიშვილმა ჩაახველა. ცალი თვალით გადავხედე, ფრიად სერიოზულად იჯდა. ვისაც თვალი ჰქონდა მიჩვეული და ნისი ასავალ-დასავალი კარგად იცოდა, მხოლოდ ის შეატყობდა, ხშირი გადაბმული წარბების ქვეშ, რა ეშმაკურად უციმციმებდნენ თვალები.

„ჰა, პასკევიჩო!..“ — ვთქვი ჩემთვის.

სოლიკო დათუკიშვილი „პასკევიჩად“ გვყავდა მონათლუ-

ლი. ისტორია უყვარდა თავდავიწყებით და სულ პასკევიჩს გაიძახოდა.

დირექტორს წარბიც არ შეუხრია, მარტო ნინო მასწავლებელმა გადახედა დათუკიშვილს.

— იმას მოგახსენებდით, — განაგრძო პატივცემულმა კლიმენტიმ, — თქვენ რომ ცუდად მოიქცეთ, ეს ჩემი სირცხვილი იქნება, იკითხავენ რომელი სკოლა დაამთავრაო, ვინ არის სკოლის დირექტორიო, ვინა და კლიმენტი საყვედურიანი. ნახევარი ქალაქი მიცნობს და თავი მომეკრება, ისე კი არ არის საქმე, თქვენ რომ გგონიათ, ჩვენს სკოლას უნდა აღუდგინოთ დაკარგული ავტორიტეტი, აბა მე რეიზა დამნიშნეს დირექტორად, კი არ მეხალისებოდა. ამ სკოლიდან წასული მოსწავლე პროფესორი თუ არა, დოცენტი მაინც უნდა გამოვიდეს, აბა სხვა რაღა გითხრათ, მინდა, დაგილოცოთ დიდი ცხოვრების გზა... ახლა კი თქვენი კლასის ხელმძღვანელი დაგირიგებთ ატესტატებს.

თავჩაღუნულმა და აწითლებულმა ნინო მასწავლებელმა ძლივს მოახერხა მადლობა გადაეხადა დირექტორისთვის.

— ტაში რომ არ დავუკარით, მასწავლებელო! — თქვა დათუკაშვილმა, როცა დირექტორი კლასიდან გავიდა.

ნინო მასწავლებელმა რატომღაც ამოიოხრა და სეედიანად ჩაილაპარაკა:

— დღეს მაინც მოიქეცი წესიერად, ბიჭო.

„პასკევიჩმა" გაიღიმა და გვერდზე გაიხედა.

— მაშ, ასე, ბავშვებო. დადგა თქვენი გამოთხოვების ჟამი. მე უკვე ვიცი, ზოგიერთი სად აპირებს სწავლის გაგრძელებას, დანარჩენებიც ალბათ მეტყვით.

ნინო მასწავლებელმა ჟურნალი გადაშალა და სიის მიხედვით დაიწყო:

— ბიწკინაშვილი ლენა!

მერხიდან წამოდგა ტანთხელი. ნაწნავებიანი გოგო, არც ძაან ლამაზი, არც ულამაზო. ნაწნავების რხევით მივიდა მასწავლებელთან. მასწავლებელმა ხელი ჩამოართვა და ატესტატი გადასცა.

— გილოცავ!

— გმადლობთ.

— სად აპირებ სწავლის გაგრძელებას?

— ჯერ არ ვიცი, მასწავლებელო...

— უნდა გათხოვდეს, პატივცემულო!

კლასში თავშეკავებული ფრუტუნი გაისმა.

— პატარაშვილო, — ნინო მასწავლებელმა ნახევრად მწყრალად და ნახევრად ღიმილით ასწია თითი. ყურებამდე აწითლებულ პატარაშვილს ზიზღით გადახედა ბიწკინაშვილმა.

უკვე მეორე წელია თეთრწყლებიდან ჩამოსული ფშაველი ბიჭი შაქარყინულივით უტკბება ბიწკინაშვილს, ხან ელაქუცება, ხან თავს აცოდებს, ხან აბრაზებს, მაგრამ არ იქნა და გული არ გაუხსნა. უიმედო სიყვარულით დადაგული პატარაშვილი მთვარეს შესჩივის, ვარსკვლავებს შესჩივის, მაგრამ იმის გულის მურაზს არავინ იზიარებს.

— დათუკიშვილი! — იძახის მასწავლებელი.

ჩემი გვარი სულ ბოლოსაა. იქამდე დიდი დრო დასჭირდება. აღარც მასწავლებელს ვუსმენ, აღარც მოსწავლეებს. ბუნდად მესმის რომ მასწავლებელი ჩვეულებრივ ეკითხება ყველას, სად აპირებ სწავლასო, ესაუბრება, ისმენს მოსწავლეთა პასუხებს, მაგრამ მე აღარაფერი მესმის. ჩემი ფიქრი იზრდება, ფეხს იდგამს. კლასიდან გადის და წარსულში მოგზაურობს.

2

მე კრასნოდარში დავიბადე. მამაჩემი აქ, ამ სოფელში. პაპაჩემი ალაზნის გაღმა, შილდაში, ხოლო იმისი მამა, ესე იგი, ჩემი დიდი პაპა, ჰელოდან შილდას გადმოხვეწილი თუში ყოფილა. მოსისხლეებს გამოქცევია და ღულულაურის ნაცვლად ღუღულაშვილად დაწერილა. ჩვენი გვარისა და მოდგმისათვის, ეტყობა, მშვიდი ცხოვრება არ დაუკვებებია ღმერთს. დედაჩემს რომ გავუკერპდები, რომ ვერაფერს გამაგონებს, ბრაზით მეტყვის, თქვენ ისეთი ჯიში გაქვთ, ადამიანი ვერაფერს შეგასმენთო, მე ამაყად ჩამეცინება და ბავშვობიდანვე დაზეპირებული სტრიქონებით მივულექსებ ხოლმე:

თუშთ არ იციან ვითარცა,
ვინ არის მათი ბატონი.
თვითონ არიან თავისა,
მბრძანებელი და პატრონი.

— ოი, შე მართლა თუშის ჩამომავლობისავ, შენა! მამა-შენიც ეგრე ჯიუტი იყო და რა მოიგო. ჩემთვის რომ დაეჯერებინა, დღეს ცოცხალი იქნებოდა. ვაჟკაცობაზე დებ თავს...— და უცებ კი არ დავინახავ, ვიგრძნობ, რომ თვალებში ცრემლი აქვს მომდგარი და ხმა უთრთის.

იმას მოგახსენებდით, ჩემს დიდ პაპას უთვალავი ცხვარი ჰყოლია. იმისი ფარები რომ შირვანიდან დაიძვრებოდა და ქალაქს მოადგებოდა, მოძრაობა ჩერდებოდა. ერთი სიტყვით დიდი დოვლათის პატრონი ყოფილა, მაგრამ მიქელ-გაბრიელმა მდიდარი და ღარიბი როდი იცის. ერთადერთი ეს მიქელაა ჯერჯერობით რომ ვერ მოუსყიდიათ. იმისი ცელი, ვენაცვალე იმის სამართალს, ერთნაირად სხეპს მდიდარსაც და ღარიბსაც. ქოლერა შემოჭრილა და ჩემი დიდი პაპაცა და იმისი მეცხედრეც ამ ლამაზი ქვეყნიდან იმ ქვეყანას გაუსტუმრებია.

პაპაჩემი გიორგი თვრამეტი წლისა ყოფილა მაშინ. ქოლერას მთელი ოჯახიდან ეს გადარჩენია და ობოლი ბიჭი დეიდას უშვილებია იმავე სოფელში.

პაპაჩემს თავად უკისრია ცხვრის პატრონობა. ბავშვობიდანვე ისე გაწაფულა მეცხვარეობაში, ვერც ერთი მწყემსი ცხვრის ასავალ-დასავალს ვერ გამოაპარებდა.

გასულა კიდევ ხუთი-ექვსი წელი და პაპაჩემი დავაჟკაცებულა, ულვაში შეღერებია.

— შვილო გიორგი, — უთქვამს ერთხელ მთიდან ჩამოსულ პაპაჩემისთვის თავის დეიდას, — სახლი და კარი კარგი გაქვს, დიდი ძალი ცხვრის პატრონი ხარ, მაგრამ რად გინდა ეს დოვლათი, თუ ოჯახს არ მოეკიდები, ძითა და ასულით არ გაიხარებ, ხვალ ალავერდობაა, ვენაცვალე იმის მადლსა, წამოდი შენც, იქნებ ვინმეს დაადგა თვალი, იქნებ შენი ბედი იქ იყოს. მთაში ყოფნა რა გაგიხდა, შემოგევლოს დეიდა, ცხვარს მწყემსებიც მოუვლიან.

— ეგრე იყოს, დეიდავ, წადით დღეს თქვენ, წაიყვანეთ თოხლი და ხვალ მეც იქ გავჩნდები. — უპასუხია პაპაჩემს. თავადვე მოუჩარდახებია ურემი, ზედ თოხლი დაუკრავს, შეუბამს კამეჩები და როგორც ხატის კარზე მიმავალთ შეფერის, ისე გაუსტუმრებია ბიძა-დეიდა.

იმ ღამეს, ჩვეულებისამებრ, ალავერდს ბევრი ღამის მთეველი ჰყოლია. ბევრი ცხვარ-ძროხა შეწირულა. ხალხი გალა-

ვანს შიკნით რომ ვერ დატეულა, გალავანს გარეთ დაუცია კარები.

მეორე დღეს დილაადრიან შეუკაზმავს პაპაჩემს თავისი იაბო. ამხედრებულა და მზის ამოსვლისას უკვე ალავერდის ველავანთან მიუგდია გაქაფული ცხენი.

— შენ გენაცვალე. სიტყვის კაცო, აბა მოდი სუფრასთან, ნამგზავრი ხარ. გეშიება. — უთქვამს დეიდას და გაწყობილ სუფრასთან მიუწვევია. პაპაჩემი დიდხანს არ გაჩერებულა სუფრასთან, შეზარხოშებულს ხალხში გაუვლ-გამოუვლია. ჯგუფ-ჯგუფად დგანან თურმე ხევსურები, თუშები და ფოლში ეჯიბრებიან. აგერ ერთ ადგილას, ვიღაცას ხალხი შემოსევია, მისულა პაპაჩემი და რას ხედავს, დგას ტანწერწეტა თუში და ცხენს ძლივს იოკებს. ხალხი ხარბად ათვალიერებს გრძელ და წვრილფეხა ლურჯა იაბოს. ერთთავად რომ ფრუტუნებს და თავს ჯიუტად აქნევს, ცდილობს. ლაგამი დაკვნიტოს. ეტყობა, მისი ჯიში და მოდგმა ვერ ეგუება უქმად დგომას. ერთი სული აქვს როდის გაიძაგრება ვაკეზე, რომ ჭენების ჟინი მოიკლას. ცხენსაც და პატრონსაც კარგად იცნობენ მედღეობენი. ეს ის იაბოა. შარშან ალავერდობისას, ყველა ცხენი რომ დაჯაბნა ფოლში. იმ დღიდან ლეგენდები დადის მასზე. ხოლო მისი პატრონი, წოვა თუში იორდანე ბაიხოიძე, კარგი ვაჟკაცი და პატრონი ბევრი ცხვრისა, სუფრას ისე არ დატოვებს თავისი ცხენი თუ არ ადღეგრძელა.

— ათი თოხლი და შემეჯიბროს, ვისაც უნდა! — ამბობს ბაიხოიძე და ფოლის მოთავე ხმამაღლა აცხადებს:

— ათი თოხლი ერთი!

მაგრამ ჩამიჩუმი არსაიდანაა.

— ოცი იყოს! — ფასს უწევს თუში.

და უცებ თითქოს მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდაო, ისე გაისმა:

— ოცდაათი ჩემი!

ყველამ პაპაჩემისაკენ მოიხედა თურმე, ცნობისმოყვარეობით შეეთვალიერებიათ ეს უცხო კაცი და მისი ცხენი. ხალხში მითქმა-მოთქმა ატეხილა.

— ორმოცი ჩემი! — გაბრაზებულა ბაიხოიძე.

— ორმოცდაათი! — მაშინვე მიუხლია პაპაჩემს.

გაოცებულა თუში. ამ კაცს ან ცხენი რა ჰყავს ამისთანა, ან

რა ცხვრის პატრონია, ასე გულდაგულ რომ მომდევსო.

— სამოცი, კახო!

— სამოცდაათი, თუშო!

და თუშს ხმა აღარ ამოუღია, გულმოსული პირდაპირ ცხენს მოახტა. პაპაჩემიც ამხედრებულა თავის იაბოზე. ცხენები თრთიან, ეტყობა, მიხვდნენ, რაც ირგვლივ ხდებოდა, ერთმანეთს ალმაცერად გადახედეს და ტორებით მიწა დაჩხვერეს.

დიდი და პატარა ცნობისმოყვარეობას შეუპყრია. საოცარი დოღის მოწმენი უნდა გამხდარიყვნენ.

ალბათ გინახავთ ალაზნის ჭალიდან თეთრად აზიდული ალავერდი. ეს ტაძარი დაბლობზეა აშენებული და მაინც რა ხვიადად, დიდებულად გაბოტილა. თავისი სიდიადით ყველა ტაძარი დაუჩრდილავს. ალავერდს სამხრეთით შიშველი ვაკე აკრავს, ხოლო ჩრდილოეთით ალაზნის ხშირი და სასწაულებრივად ლამაზი ჭალა.

აქ გოჯი მიწაც არ არის ცხენის ფლოქვით გადაუთელავი. მტკაველი მიწაც არ არის სისხლით გაუჟღენთავი. დროს ჯერაც ვერ წარუხოცია მისი ნაკვალევი, ადამიანის მეხსიერებიდან ვერ აღმოუფხვრია ის ყიჟინა, მტერს რომ დასცემდნენ ხოლმე ამ მიწის ძუძუთი გაზრდილი წინაპრები.

ახლა იმათი შთამომავალნი: კახნი, თუშნი, ხევსურნი თუ ფშაველნი მოდიან ალავერდობას ცხენებზე ამხედრებულნი და დოღში ეჯიბრებიან, სცდიან ვაჟკაცობას, სიმარჯვეს. მთელი წელი გულისფანცქალით ელიან ალავერდობას, ესღაა მათი ასპარეზი, აქ, ამ ერთ დღეს, შეუძლიათ მხოლოდ მოიკლან ის ჟინი, წინაპართაგან რომ გადმოსახლებულა მათ სისხლში. ამ ჟინითა და ვნებით ისე გავსებულა მათი სხეული, გაიგუდებიან, ძარღვები დაუსკდებათ, გასაქანი რომ არ მისცენ. აქ ხარჯავენ, აქ აძლევენ გზას საუკუნეობით გამომუშავებულ ენერგიას. გაუთავებელი ღრეობითა და სმით რომ ვერ იოკებენ ჟინს, დოღსა და ფარიკაობას მიმართავენ. ნასვამნი და აზარტში შესულნი ზოგჯერ ზომიერებას კარგავენ და ერთმანეთს კიდეც დახანჯლავენ ხოლმე.

ამის შემსწრე უცხო თვალს უკვირს ეს ყველაფერი. მან არ იცის, რომ ყველაფერს აქვს თავისი მიზეზი და სარჩული, რომ ის, რაც ისტორიამ ვანაპირობა, რაც მემკვიდრეობითაა გად-

მოსული, უცებ არ დაითრგუნება, რომ ეს ყველაფერი რამდენიმე საუკუნის ინერციაა.

ასეთი იყო ალავერდობა წინათ, ვიდრე ეს ინერცია თანდათან შენელდებოდა და ცხოვრება თავის გეზსა და კალაპოტს მისცემდა.

...მიუშვიათ მხედრებს სადავეები და გაძაგრულან ცხენები. დაურტყამთ ერთი წრე ალავერდისთვის, მეორე და მესამე წრეზე უკვე პაპაჩემი დაწინაურებულა. გაუგიათ, ბამიხოიძეს ვიღაცა სჯაბნისო, და მთელი ხალხი, მლოცველი თუ მოქეიფე, ქალი თუ კაცი, გალავანს გარეთ გამოშლილა დოღის საყურებლად. მოქეიფეებს სუფრა მიუტოვებიათ, მოცეკვავეებს ცეკვა, ხოლო დამკვრელებს — დოლ-გარმონი. მესამე და ბოლო წრეზე თითქმის ათი ნახტომით წინ მოსულა პაპაჩემი. ხალხს დაუჯერებლად მიაჩნდა ბაიხოიძის ცხენის დაჯაბნა. შემოესივნენ თურმე გარშემო პაპაჩემს და მდუმარედ, გაოცებით და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებენ უცხო მხედარსა და მის ცხენს. ბაიხოიძე მოსულა პაპაჩემთან, ხელი გაუწოდებია და უთქვამს:

— ალალი იყოს, კახო, შენზე ეგ ცხენიც და ჩემი წაგებული სამოცდაათი თოხლიც. დღესვე გავგზავნი კაცს და აქ ამოვარეკინებ. ამიერიდან კი ჩემი ცხენის სადღეგრძელოს მე აღარ დავლევ. მხოლოდ ის მითხარი, ვინა ხარ და სადაური ხარ.

— ერთი ობოლი ბიჭი ვარ, შილდელი, — მოუსაწყლებია პაპაჩემს თავი, — ადრე ღულულაურები ვყოფილვართ, ახლა ღუღულაშვილები ვართ...

— ჰე, — თავი გადაუქნევია ბაიხოიძეს, — ერთი ხისაგან ვყოფილვართ გამოთლილები, ეს ხომ დამჯაბნე და დამჯაბნე, წამოდი, დღეს ჩემი სტუმარი ხარ, სუფრა დამიმშვენე.

პაპაჩემს თავპატიჟი დაუდვია. მასპინძელი მე ვიქნები, შენ იყავ ჩემი სტუმარი. შენი წაგებული ცხვარი კი შენვე დაიტოვე, მე ჩემი მკმარა, ნეტავ ის მომახმარა მშვიდობაშიო. მაგრამ თუში არ მოშვებია, პაპაჩემი თავის სუფრაზე წაუყვანია. და გამართულა ღრეობა.

პაპაჩემისთვის დეიდას სწორედ იმ დროს მიუგნია სხვის სუფრაზე, როცა შეზარხოშებული ბაიხოიძე ძმობას ეფიცებოდა.

— შვილო გიორგი, შენ სუფრაზე სტუმრები არიან, შენ აქ გაბმულხარ, ეს რა წესია, წამოდი, თუ გიყვარვარ.

დაემშვიდობა თავის ახალ ძმობილს პაპა, მივიდა თავის სუფრაზე და რას ხედავს: ვიღაც უცხო ხალხი დასწვეია.

— გაიცანი, შვილო, ჩვენი კარგი ნაცნობები არიან, ლაფანყურელები, — ეუბნება დეიდა.

იმ უცხო ხალხში არის ერთი ოციოდე წლის ქალიშვილი, ისეთია, ლამის მზეს შეენაცვლოს. იმის დანახვა და პაპას ფეხქვეშ მიწა შერყევია. იარაღაყრილივით იჯდა სუფრაზე და ჩუმი ოხვრით გადახედავდა ხოლმე იმ ქალიშვილს. ისიც ერთი წამით შეანათებდა ლამაზ, მწველ თვალებს და ცეცხლზე ნავთს უსხამდა. ასე თვალებით სწვავდნენ ერთიმეორეს, თვალებით ესაუბრებოდნენ, თვალებით სიყვარულობდნენ.

— რა იყო, შვილო გიორგი, რაღაც უგუნებოდ ხარ, დღეს შენი დღეა, დოღში გაიმარჯვე, ძმობილი შეიძინე, — უთქვამს დეიდას, თუმცა კი მიხვედრილა, რა ცეცხლიც შემონთებოდა დისწულს. — გამხიარულდი, დღეს ბედნიერ ფეხზე ხარ ამდგარი...

— ჩვენი მოსვლა ხომ არ გეწყინა? — ეუბნება იმ გოგოს ძმა. იმ გოგოს მამას ვითომ არაფერია გაუგონია, შოთ პურს მისწვდა თურმე და შუაზე გატეხა, იმ გოგოს დედამ ჩაიღიმა და პაპაჩემის დეიდას მრავალმნიშვნელოვნად გადახედა, თვითონ იმ გოგომ კი თავი ჩაღუნა და გაწითლდა.

— ეგ რა ბრძანებაა, — ამოიოხრა პაპაჩემმა, — თქვენი მოსვლა რა საწყენია, ცოტა უქეიფოდ შეკიქენი, ალბათ მალე გამოვკეთდები, — და ღვინოს მისძალებია.

შუა ქეიფში, როცა ღვინომ გაათამამა და გაიენაწყლიანა მოქეიფეები, როცა სასიყვარულო ჯიგარი გაეხსნათ, სწორედ მაშინ უჩურჩულა პაპამ დეიდას, მე ეს გოგო მომწონს და თუ წამომყვება, წამომყვება, თუ არა და მე სხვა არავინ მინდაო. დეიდაც თურმე ამის თქმას ელოდა, მოგიკვდეს ჩემი თავი თუ მაგაზე დაგაღონოო და სუფრაზევე მოუკვარახჭინებია საქმე, წაუძვრია ნამზითვი ბეჭედი და საძღლოსთვის წამოუცვია თითზე. და ისევ განახლებულა ლხინი, გაფართოებულა სუფრა, ამაღლებულა, ცამდე აწეულა. მომავალმა სიძე-ცოლისძმამ ხელიხელს გადახვიეს და ერთმანეთს ფიანდაზად დაეგნენ. იმავე სუფრაზე დათქვეს ქორწინების დღე და გაიყარნენ. ვაჟია-

ნებმა შილდისაკენ გასწიეს, ქალიანებმა — ლაფანყურისაკენ.

პაპაჩემმა მეექვსე დღეს დანიშნულთან წასვლა გადაწყვიტა და სწორედ იმ დღეს შეიტყო თავზარდამცემი ამბავი.

3

მეექვსე დღეს, იმ გოგოს ძმამ გაქაფული ცხენი მოაგდო ჭიშკართან, მათრახის ტარით შეაღო ჭიშკარი, ჩამოქვეითდა და დამხვდურთ სალამი არც მისცა, გაიბოტა შუა ეზოში. ისეთია, დანა პირს არ უხსნის, იმის დანახვა პაპამ ავად ინიშნა.

— რა მოხდა ივანე, სალამი რად დაგვიძვირე, სალამი ღვთისაა. — უსაყვედურა სტუმარს პაპამ.

ივანემ. იმ გოგოს ძმამ, დოინჯი შემოიყარა და თვალები ბოლტა:

— ქალი რომ არ მოგეტაცნა, ისე არ გაგატანდით?!

— ვინ ქალი. რას ამბობ, კაცო!

— ჰე, — ჩაიცინა ივანემ, — უყურეთ ერთი, მაშ ჩემი და შენ არ წამოგიყვანია, თავისით წამოვიდა ჩემი და?!

პაპაჩემს გაოცების ნიშნად ხელები გაუშლია და ფერი წასკლია. მაშინ კი თითზე უკბენია ივანეს, ვაი დედასაო, თუ ჩემი და იმ ლეკმა გაიტაცაო. ვინ ლეკმაო, რა ლეკმაო, გაგვაგებინეთო. დაესივნენ ივანეს და იმანაც ჩამოკაკლა. შარშან ერთმა ლეკმა, ქერბალაიმ, დაადგა თვალი, იმის შემდეგ მოსვენებას არ გვაძლევდა, მერე მუქარა შემოგვითვალა, რაკი ნებით არ გინდათ, თქვენს ქალს ძალით წავიყვანო, ნამდვილად იმის ოინები იქნებაო.

პაპაჩემმა წამსვე შეკაზმა ცხენი და იმავე დღესვე სასიძოსამოყვრომ ქვეყანა გადაატრიალეს. ბოლოს ყადორზე გადამავალ ბილიკზე ცხენების კვალს წააწყდნენ და ეჭვი უფრო განუმტკიცდათ. ეს კვალი დაღესტანს მიდიოდა.

გულმდუღარე პაპაჩემი უსიტყვოდ გამობრუნდა უკან, გაამზადა საგზალი და მეორე დილას ამხედრდა თურმე ცხენზე, წინ გადასდგომიან ბიძა-დეიდა, შეევედრებიან, ამ სახიფათო გზაზე ხელი აიღე, ჯვარდაწერილი ქალი ხომ არ წაურთმევიათო, მაგრამ ამაოდ დაიჩქმიტეს ყელი, ვერ დაიყოლიეს. ჰკრა თურმე მათრახი ცხენს და ყადორი გადაიარა.

სალამო ხანს ერთ მოზრდილ აულს მიადგა. ცხენი ტყიაწ-

ში, მოფარებულ ადგილას დააბა და თვითონ აულში შევიდა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ დუქანს მიადგა. იფიქრა, შევალ, კიდეც დავნაყრდები და აქაურ ასავალ-დასავალსაც გავიგებო. შეალაჯა დუქანში და ხედავს, დახლზე გადმოწოლილა ერთი ვეება კაცი და უმუშტრობით მოწყენილი დროდადრო ამთქნარებს.;

გამარჯობაო. — უთხრა პაპამ ლეკურად. იცოცხლეო, — უპასუხა მედუქნემ და მერე ქართულად დაუმატა თურმე, — ქვე შენი ჭირიმე, მგონი, ჩვენი მიწა-წყლისა უნდა იყოო.

ამის გაგონებაზე პაპას ცა გახსნია.

— ბედიც ამას ჰქვია, ქრისტიანო კაცო, თუ მიშველი, შენ უნდა მიშველოო! — უთქვამს პაპას.

— შენი ხმალი და ჩემი კისერიო, ჯერ მოდი, დანაყრდი. ნამგზავრი ჩანხარ, ეგეც არ იყოს, რა ხანია ქრისტიან კაცთან პური არ გამიტეხიაო.

გაშალა თურმე პურ-მარილი რაჭველმა მედუქნემ, შემოუსხდნენ მაგიდას და ერთმანეთს გული გადაუშალეს, მედუქნემ ყოველივე დაწვრილებით რა ისმინა, ერთი ამოიოხრა, ჭიქა ბოლომდე დაცალა, ვეება მაჯა ულვაშზე გაისვა და რაჭული სიდინჯით უთხრა:

— ქვე ვიცი, ვინც არიან მაგის მქნელები. სამნი ძმანი არიან თავგასულნი და მოთარეშენი. თვითონ ლეკებსაც არ უყვართ ეგ ქურდბაცაცები. მგონი, შაბათს უფროსი ძმის ქორწილი აქვთ. ახლა როგორც გეტყვი ისე მოიქეცი, დანარჩენს შენი თვალით ნახავ. ერთი ზედმეტი სიტყვა არ დაგცდეს ქვე შენი ჭირიმე.

შემოხსნა პაპას ქამარ-ხანჯალი, გააძრო ჩოხა-ახალუხი და ისეთი ტანსაცმლით მორთო, ღვთის გლახას დაამგვანა. ბინდისას თავისი ცხენი ამოიყვანა პაპაჩემმა და მედუქნეს მიაბარა. ის ღამე იქ გაატარა, ხოლო მეორე დღეს. ნაშუადღევს, როცა მოთმინების ძაფი უკვე უწყდებოდა, დუქანში სამნი ძმანი დიდოელები შემოვიდნენ.

— გურჯო, — ეუბნებიან მედუქნეს, — შაბათს ქორწილი გვაქვს და მზარეული შენ უნდა იყოო. — მერე პაპაჩემი შეუთვალიერებიათ და შეეჭვებულებს უკითხავთ, ეს უცხო კაცი ვინ არისო.

პაპაჩემი უმალვე მიხვდა იმათ შორის ქერპალაი რომელიც

იყო. წარმოსადეგი ვაჟკაცი გახლდათ, სახეზე ვარდი ეყარა და თვალებში მაისის მზე ენთო. ვინ იცის, უკვე მოინადირა ჩემი ოთხროს გული და ამაოდღა ვირჯებიო, გაუფიქრია პაპაჩემს და გულიდან ათასი ოხვრა აღმოხდენია.

— ეს ერთი ბოგანო კაცია, — ეუბნება მედუქნე ძმებს,— გუშინ მომადგა კარზე, იქნებ მოჯამაგირედ დამიყენოს ვინმეშო. მუშაობა არ მეზარებაო, ჩემი მიწა-წყლისაა და რას ვიზამ, უნდა დავეხმარო, ესეც ღვთის გაჩენილია.

ძმებმა ერთმანეთს გადახედეს და მერე ყველაზე უფროსმა, სწორედ ქერბალაიმ, გადაწყვიტა:

— წამოვიდეს ჩვენთან, სწორედ ასეთი კაცი გვჭირდება. ეამა-სმა არ მოაკლდება, ცოტა ჯამაგირსაც მივცემთ.

მაშინ მიუბრუნდა მედუქნე პაპას და ეუბნება:

— ვგონებ, ღმერთი შენკენაა. წაჰყევი ამათ, რასაც გეტყვიან. გაუგონებ, მერე შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ. იცოდე, სწორედ იქ მიდიხარ... იქ დაგხვდება, ვისაც ეძებდი. ოღონდ ფრთხილად, თავი არ გასცე... ერთი ზედმეტი ნაბიჯი და უფსკრულიც იქვეა. თუ რამ გაგიჭირდეს, ხმა მომაწვდინე, ლეკებში ბევრი ძმობილი მყავს.

— აგაშენა ღმერთმა ძიაკაცო, თუ ცოცხალი დავრჩი, გადაგიხდი სიკეთეს. ჩემს ლურჯას შენ მიმიხედე. თუ არ დამჭირდა, შენი ფეშქაში იყოს. იცოდე, ცხენი კი არა, მიმინოა.

წაიყვანეს ლეკებმა ეს ბოგანო კაცი და შეუძღვნენ ერთ ღიდ, გალავანშემორტყმულ ეზო-ყურეში.

— აი, გურჯო, არც წვიმა ჩამოგივა, არც სეტყვა. ხუთიოდე დღით მივდივართ. ეს მოხუცი მამაჩვენია, რასაც გიბრძანებს, შეუსრულე, როცა დავბრუნდებით, ჯამაგირზე მაშინ მოვილაპარაკოთ.

იმ ბებერმა ლეკმა პაპაჩემს ეჭვის თვალი დაადგა. შვილებთან დიდხანს რაღაც იდავა, მაგრამ ასე იყო თუ ისე, ბოლოს მაინც დაიყოლიეს შვილებმა, პაპაჩემი იქ დატოვეს. თვითონ ძმები კი, ვინ იცის საით, ისევ სათარეშოდ და საქურდბაცაცოდ წავიდნენ.

იმ ვეება ეზო-ყურეში პაპაჩემი და ბებერი ლეკი დარჩნენ. ის ლეკი თავის განუყრელ ყალიონს აბოლებს, ეჭვიანი თვალებით ბურღავს და თან ქართულ-ლეკურად ეკითხება სადაურობას და ვინაობას. ვერ იქნა და ბებერმა ვერ დაიცხრო ცნო-

ბისმოყვარეობის წყურვილი, გულიდან ეჭვის ჭია ვერ ამოიგდო.

საღამოს, როცა აულს ბინდი გადაეფარა და ხალხის ხმაური მიწყნარდა, პაპაჩემი თავისთვის განკუთვნილ ოთახში შევიდა დასაძინებლად. შევიდა კი, მაგრამ რა დააძინებდა. იქაურობას მგელივით ყნოსავს და ათვალიერებს, ათასი თვალი და ყური აქვს გამობმული. იცის, რომ მისი სანუკვარი ოცნება აქ სადღაც ახლოს სუნთქავს, იტანჯება და ილევა დარდისაგან. ის ბებერი ლეკი კი მაინც ფხიზლობს, წრიალებს და ღრუტუნებს. რამდენჯერმე მიადგა პაპაჩემის ოთახს, დააყურა სძინავს თუ არაო, მერე ეზოს შემოუარა, მგელივით ქოფაკები აუშვა, თავლისა და ფარეხის კარები ერთხელ კიდევ შეამოწმა, ალაჰი ახსენა და შეიბუდა.

როცა ქვეყანაზე ღამე გაბატონდა და მიიძინა ყოველმა სულიერმა, საიდანღაც ქალის ოხვრა შემოესმა პაპაჩემს. და თქვენ წარმოიდგინეთ, რა მორევი დატრიალდებოდა მის გულში. მაშინვე წამოხტა თურმე, გამოაღო კარი და რას ხედავს. მთვარის შუქზე განათებულ აივანზე ზის ოდნავ თმაგაწეწილი ქალი. მის სახეს მთვარის ცრიატი შუქი სევდას და სიფერმკრთალეს უარესად მატებს.

— თამრო! — რაღაც ველური ხრიალი აღმოხდა პაპაჩემს, მაგრამ ქალი არ შერხეულა.

სამაგიეროდ ყურმახვილი ძაღლები აგნიასდნენ და იმავ წუთს ბებერმა ლეკმაც ჩაახველა. პაპაჩემმა კარი სასწრაფოდ მიხურა, სარკმელიდან დაუწყო თვალთვალი. ქალი მაშინვე წამოდგა, თავის ოთახში შევიდა. ბებერი ლეკი ეზოში გამოვიდა და ძაღლები გაამხნევა:

— ალაი-ალაა!

მთელ ღამეს პაპაჩემს ძილი არ გაჰკარებია, ამაოდ ეჭირა თვალი იმ აივნისაკენ. სანუკვარი არსება აღარ გამოჩენილა. გათენებამდე ფიქრში ცურავდა პაპა გიორგი, გულზე მჯიღს იცემდა და გათენებას ელოდებოდა. ელოდა გათენებას და თან ბავშვობაში გაზეპირებულ ლექსს იმეორებდა გუნებაში.

რამ გადაგრია, ფშაველო.
რამ შეგაცდინა ჭკვაზედა,
ჩვენ ვართ ხოსობის შვილები
განთქმული დაღესტანზედა.

ზეცას ფრიბველსა ეშინის,
ლომი ვაგვირბის განზედა,
შენ წერას აუტანიხარ,
მიტომ გვიდგები შარზედა,
გიჯობს ჰკვიანად წახვიდე,
სანამ თავ გაბავ ტანზედა.

მერე ფულზე შუშტს დაიბრაგუნებდა და კბილებში ბრაზიანად გამოსცრიდა:

ოუ ეგ ქალ წაგაყვანინოთ,
წვერიმც ნუ მსხმია ყბაზედა,
ნუმც მიტირებენ დედანი,
ნუმც მიმესვლება ჯარზედა.

მეორე დილას პაპაჩემი თავის მოვალეობას შეუდგა. მთელი დღე ხან თავლას ასუფთავებდა, ხან ფარეხს, რასაც ბებერი ლეკი უბრძანებდა, ყველაფერს პირნათლად ასრულებდა, თან იმ აივნისკენ ეკირა თვალი, ყველა კუნჭულსა და ბილიკს ფულმოდგინედ ათვალიერებდა. როგორც კი ბებერი ლეკი დაპირებდა ქოფაკებისთვის სალაფავი ან წყალი მიეტანა, თვითონ გამოსტაცებდა ხელიდან და ჯაჭვით დაბმულ ძაღლებთან სირბილით მიჰქონდა სასმელ-საჭმელი. ისე ხშირად უტრიალებდა იმ ძაღლებს, მოხუცმა ეჭვი აიღო.

— გურჯო, ძაღლებს შენ ნუ აძლევ საჭმელს.

— ძაღლებისა ძალიან მეშინია, მინდა, მივიჩვიო, — თავი მოისაწყლა პაპაჩემმა. მეორე დღე, მესამე და, მეოთხე დღეს როგორც იყო, მიიჩვია ძაღლები. მეცხვარემ იცის ძაღლის მუღამი და ასავალ-დასავალი. მეოთხე დღეს უკვე დრო აღარ იყო ცდისა. შუაღამით, როცა სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა და ბებერმა ლეკმა ხვრინვა ამოუშვა, სწორედ იმ დროს, მთვარის შუქზე, კატასავით ფრთხილად გაიარა კაცის ლანდმა, ავიდა აივანზე, გააღო კარი და ფრთხილადვე შევიდა. კარის გაღებამ ქალი შეაკრთო, აცახცახდა და კუთხეში მიიკუჭა.

— თამრო! — ხმა კი არა, ხრიალი აღმოხდა პაპაჩემს და ისე მოეჩვენა, თითქოს ეს სახელი სხვას დაეძახოს.

ქალი გააოცა სასოწარკვეთითა და ამავე დროს ალერსით ნათქვამმა თავისმა სახელმა, თვალებადქცეული დააცქერდა შემოსულს.

— მოვედი შენი გიორგი.

— გიორგი?

ქალი თითქოს ღრმა სიზმრიდან გამოერკვაო, უფრო ყურადღებით დააშტერდა მოულოდნელ, სასურველ სტუმარს, მერე ათრთოლებულმა ორიოდე ნაბიჯი გადადგა და მის მკლავებში ჩაესვენა. მაგრამ ამ დროს ქოფაკები აყეფდნენ და მოხუცმა ლეკმა ჩაახველა.

. მაშინ კი დაიწერა პირველი პაპამ, ღმერთო, შენ გადმომხედე და ხელი მომიმართეო. ისევ თავის ოთახში შეიპარა და, გაკუჩდა. მერე როცა ლეკმა კვლავ ხვრინვა ამოუშვა, გამოვიდა პაპა და ფრთხილად შეიპარა ფარეხში, ალბათ საქორწილო ცხვრებიდან ერთს გამოსჭრა ყელი, გამოაფეშხვავა და ძაღლებს მიუგდო. ვიდრე ქოფაკები თბილი სისხლით ისველებდნენ ენას, მანამდე ბებერ ლეკსაც მოუღო ბოლო, მერე თავლიდან ორი ცხენი გამოიყვანა, შეკაზმა და თავის საცოლიანად მთვარიან ღამეს მიანდო ბედი.

აულს დიდი სავსე მთვარე დაჰქათქათებს. წყნარი ღამეა. ისეთი ცა დაჰყურებს მიწას, კაცი ვერ წარმოიდგენს თე ამ ვეებერა ღამაზი ცის ქვეშ რაიმე ბოროტება ხდება. ძარცვავენ ადამიანის სიყვარულს, ქელავენ მის გრძნობებს და ილვრება სისხლი ცოდვილ დედამიწაზე.

როცა ლტოლვილნი აულს გამოსცდნენ და ტყის ბილიკს დაადგნენ, ღამის მყუდროებაში ნათლად გაიგონეს ძაღლების შემაძრწუნებელი ყმუილი. ლეკის ეზოში, სადაც ცოტა ხნის წინათ ცოდვა დატრიალდა, სიკვდილი ეყნოსა ორ ქოფაკს და საბრალოდ მოსთქვამდნენ. დაყმუოდნენ პატრონს და საშველად უხმობდნენ აულს.

პაპამ იცოდა, რომ ძაღლების ყმუილზე აული შეიყრებოდა, უსათუოდ მდევრებს დაადევნებდნენ და მათრახი აატკაცუნა. მთელ ღამეს იარეს მხედრებმა, ცხენები გაქაფეს. განთიადისას, როცა არყისფრად ინათა და სუსხიანმა უსიამოვნო ნიავმა დაჰბერა, უკვე დაღესტან-კახეთის მიჯნას, — ყადორს მიაღწენ და ამ დროს პაპაჩემს კიდევ შემოესმა თურმე ქოფაკების შემაზრზენი ხმა. რა თქმა უნდა ეს მოჩვენება იყო, და ამ მოჩვენებამ ძირფესვიანად შეძრა იგი. თითქოს უემური დაეუფლა და სიცოცხლე შეაზიზღა. თითქოს სავსე კასრი ერთბაშად წამოაპირქვავესო, ყველაფრისაგან ისე დაიცალა და დაიწრიტა. თვალწინ დაუდგა ბერი ლეკი, სიკვდილისას

ალაპს რომ შეეეედრა... ყველაფერი არარაობად მოეჩვენა, ყველაფერი შესძულდა, საკუთარი თავიც და ეს უმშვენიერესი დიაციც, გვერდით რომ მიჰყვებოდა, შესძულდა სიცოცხლეც, ყველაფრისადმი აუტანელი ზიზღი იგრძნო, აღარავითარი ხალისი, აღარავითარი მიზანი...

მაგრამ ამ უცბად მოზღვავებულმა უცნაურმა სევდამ მხოლოდ ერთ წუთს გასტანა.

მზემ სხივი ამოსტყორცნა და დათოვლილ მწვერვალებს ხანძარი გაუჩინა. სადღაც შურთხმა დაიწყო სტვენა, ტყე ათრთოლდა, ახმაურდა ყოველი სულდგმული, თითქოს დედამიწა გაიზმორა და სიცოცხლის ხმები დაარხიაო. და პაპაჩემსაც იმავ წამს გაეფანტა სევდა, მის ძარღვებში ისევ იფეთქა სიცოცხლის მძაფრმა წყურვილმა და ენერგიამ. იმ ქოფაკების ყმუილიც მიწყდა და მომაკვდავი ლეკის ლანდიც გაქრა. აღტაცებული, მწყურვალე თვალით გადახედა თავის საცოლეს, ოდნავ წელში მოღუნული, შიშისაგან გაფერმკრთალებული რომ იჯდა ცხენზე და ლაღად, მხიარულად ჩაიღიღინა:

თუ ეგ ქალ წაგაყვანინოთ,
წვერიც ნუ მსხმია ყბაზედა,
ნუმც მიტირებენ დედანი,
ნუმც მიმესვლება ჯარზედა.

მზის შემაღლებისას უკვე საბუეში იყო. იქიდან ერთი ნაცნობი კაცის პირით შეუთვალა ცოლეურებს ლაფანყურში, ამ საღამოს ქორწილი მაქვს და ვისაც ეკუთვნის, ყველა დამიპატიჟეთო.

დიდი ხნის მანძილზე არ შეწყვეტილა სტუმრობა. ბევრი ღვინო დალეულა და ბევრი სადღეგრძელო თქმულა, ბედნიერებას და ერთმანეთს შებერებას უსურვებდნენ ახალყოილებს. ნეტარებითა და სიამით მიდიოდა თურმე პაპაჩემის წუთისოფელი, წაღმა მიგორავდა ურმის თვალი მისი საწუთროისა, მაგრამ უთქვამთ, დედაკაცი კეთილი აღაშენებს სახლსა, ხოლო ბოროტი აღშენებულსა დააქცევსო. ისიც უთქვამთ, ცხოვრება ლამაზი ქალივით რთული და ვერაგია, სწორედ იქ დაგიდებს ფანდს, სადაც არ ელი და ბეჭებზე დაგდებსო.

ერთი წლის თავზე პაპაჩემს უცნაური რამ დასჩემდა თურმე.

მთიდან დაბრუნებული როგორც კი თავის სახლს მიუახლოვდებოდა, რაღაც შიში თუ ეჭვი ჩაუსაფრდებოდა მაშინვე გულში. ფრთხილად, ფეხაკრეფით უახლოვდებოდა სახლს, უკანა ფანჯარასთან ერთხანს სმენადაძაბული იდგა და მერეღა შეეხმიანებოდა ლამაზ ცოლს.

გუნებაში თავის თავს სწყევლიდა თურმე, ეს რა ჯანდაბა მემართებაო, მაგრამ ვერ იქნა და ეს ჩვევა ვერ მოიშალა. პირდაპირ გატანჯა კაცი ეჭვმა და შიშმა. და აი ერთ დღეს, მთაში ორი დღით ასული არც კი იყო, დილით უგუნებოდ წამოდგა, შუადღემდე იწრიალა, იშფოთა, შუადღის ხანს კი გულმა ვეღარ მოუთმინა, მწყემსი ბიჭი მოიხმო და ცხენი შეაკაზმინა:

— თარიმან. — უთხრა თურმე სარქალს, — გული რაღაც ცუდს მიგრძნობს და შინ უნდა ჩავიდე. თუ მშვიდობაა, ხვალვე დავბრუნდები, თუ არა, და შენ იცი და აქაურობამ.

ბინდისას მიადგა ადიდებულ ალაზანს, ფონიც აღარ უძებნია, ისე შეტოპა მდინარეში და მეორე ნაპირზე ძლივს გააღწია.

ცხენი მხედარზე უარესად გადაირია თურმე, ნაპირზე გასული გაავხნდა და გაიტაცა მხედარი.

შუაღამისას მიადგა თავის სახლს პაპაჩემი, ცხენიდან ჩამოხტა, ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა ჭიშკარს, მაგრამ გულს ბაგაბუგი გაჰქონდა თურმე. ცხენი ჭიშკარზე გამოაბა და თვითონ სახლისაკენ გასწია. რატომღაც ზურგიდან შემოუარა სახლს. უკან, ბაღის მხარეს რომ გადიოდა, იმ ფანჯარას მიადგა და გაჩერდა. ოთახში მკრთალად ანათებდა ლამპა. ბაღში იასამნებისა და ვარდების სურნელი იდგა. განახევრებული მთვარე ის-ის იყო ჩადიოდა. მისი შუქი მომხიბლავად, საამოდ იფრქვეოდა ბაღის თავზე. ერთხანს ასე გარინდებული იდგა პაპაჩემი, ვერ გადაეწყვიტა თავისი განზრახვის შესრულება, ყოყმანობდა, თავს ეურჩებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც გადადგა ის საჭოჭმანო ნაბიჯი. კატასავით მიიპარა ფანჯარასთან და გაყუჩდა. ამ დროს ცხენმა დაიბვიხვნა, ოთახში საწოლმა გაიჭრიალა და ლამპით განათებული ოთახის კედელზე ვეება ლანდი გამოჩნდა... თითქოს დედამიწა ინძრაო, მთელი სახლი შექანდა იმ ლანდიანად და პირქვე წამოამხო. მაგრამ ამ ძლიერ დარტყმას გაუძლო პაპაჩემის გულმა. გონება მო-

იკრიბა. ახლა მის გულში მხოლოდ ყინულივით შურისძიება ჩასახლდა. ხანჯლის ტარს უნებლიეთ მოუჭირა ხელი და გაქვავდა, სმენად იქცა. ოთახიდან ცხადად ესმის ქალისა და მამაკაცის ჩურჩული.

— რა იყო? — კითხულობს ბოხი ხმა.

— თითქოს ცხენის ხვიხვინი გავიგონე.

— მოგეჩვენებოდა. ნუ გეშინია, შენი ქმარი ახლა ნაბადში გახვეული და ხმელ მიწაზე ხან ერთ გვერდს იცვლის და ხან მეორეს. მთელ სოფელში ყველაზე მდიდარი კაცი!.. ხე, ხე!

ამ დროს შეილეწა ფანჯარა, ოთახში ისტერიული, გიჟური სიცილი შეიჭრა და ლამპის შუშიდან ალი ავარდა. ქალის წვილმა გაბზარა მყუდრო ღამე, დაიჭიხვინა ცხენმა. მაგრამ ეს ყველაფერი სულ ერთ წუთს გაგრძელდა. სისხლი დატბორა მერყეული საწოლში და ამ სისხლში ცურავდა ხანჯლით ნაგვარეული ორი გვამი. პაპაჩემის საკუთარი მეუღლისა და მისი კეთილი — სოფლის მამასახლისისა, ზედმეტ სახელად მგელკაცად რომ ეძახდნენ. იმ ღამესვე შემჯდარა ცხენზე პაპაჩემი, ისევ მთაში ასულა, მიუყიდ-მოუყიდია მთელი ცხვარი, მწყემსები დაუთხოვია და თვითონ ტყისთვის მიუცია თავი, გასულ ბიჭებს მიჰკედლებია. ასე ტყე-ტყე უვლია ხუთიოდე წელს. მერე, ხუთი წლის რევოლუცია რომ დამარცხებულა, პაპაჩემი გაუკოჭიათ და რამდენიმე წლით შორეულში გადაუსახლებიათ. იქიდან დაბრუნებული ერთ თავის კატორღელ მეგობარსა და თანარაზმელს მაჭარაულელ მიხა ჯიჯიშვილს სტუმრებია. ეს ფეოდობებზე შეფენილი სოფელი ძალზე მოსწონებია და ძმობილისთვის უთქვამს, ჩემს მამულეთზე გული მაინც აღარ მიბდის და ამ სოფელში თუ მახინჯი და შეუხედავი გეგულება, ჩავესიძებიო. მახინჯი შენი რა საკადრისიაო. — უთქვამს მასპინძელს. ლამაზმა ხელი არ დამაყარა და იქნებ უშნომ და გონჯმა მაინც არ მომჭრას თავიო. შორს წასვლა არ დასჭირვებიათ. ამ ჯიჯიშვილს ერთი ციცრის კვერცხივით დალეული და ჭყოლია და იმაზე გაუთავებიათ საქმე. ის დალეული პატარძალი ისეთი მეოჯახე გამომდგარა, თურმე პაპაჩემი სულ რბის მჭეს იფიცავდა.

ის ქალი ბებიაჩემი გახლდათ, რომელმაც ხუთი შვილი გაზარდა. მეხუთე შვილი მამაჩემი იყო, მაგრამ მე ვერც ბებია-

ჩემს მოვესწარი, ვერც პაპაჩემს, ეგ კი არა, მამაჩემიც სიზმარივით მახსოვს.

ხუთი წლისა ვიყავი, მატარებელზე აგვიყვანა მამამ. გადაგვკოცნა, დაგვემშვიდობა. მეხსიერებაში სამუდამოდ და ნათლად ჩამრჩა მისი პრიალა ჩექმები და მხარზე ჯვარედინად გადაჭერილი ბრტყელი ქამარი. მატარებელი დაიძრა, მე ფანჯრიდან დავინახე, დაძრული მატარებლიდან რა მარჯვედ ჩახტა მამა. ერთ ხანს მოგვდევდა დიდი, მტკიცე ნაბიჯებით, ხელს გვიქნევდა და რაღაცას მოგვძახოდა. ახლაც არ ვიცი, რას. ეს წუთი არც არასოდეს დამავიწყდება, რადგან მხოლოდ ამ ერთი წუთით უერთდება მამაჩემი მთელ ჩემს ცხოვრებას.

ეს სამუდამო განშორება კრასნოდარის საღგურზე მოხდა, სადაც მამა ოფიცრად იყო. ომის პირველსავე დღეს აგვეშალა ბუდე, ჩვენ საქართველოსკენ წამოვედით, მამაჩემი ფრონტზე.

4

— ღულულაშვილი! — თითქოს სიზმარში ჩამესმა, — მაგრამ ამ ხმამ ვერ გამომგლიჯა ჩემი ბავშვობის სამყაროს.

ვიღაცამ ფერდში წამკრა.

— არ გესმის, ბიჭო?

უცებ გამოვგონდი და დაბნეულმა ირგვლივ მიმოვიხედე. მთელი კლასი მე მომჩერებოდა. ნინო მასწავლებელს შევხედე, ოდნავ იღიმებოდა და თანაგრძნობით მიყურებდა.

— ილო, ცუდად ხომ არა ხარ?

— არა, მასწავლებელო, რაღაცაზე ვფიქრობდი, — ვიგრძენი როგორ ავწითლდი.

— გაგიჩნდა უკვე საფიქრალი? — გაიღიმა მასწავლებელმა, — ნიშნები ალბათ უკვე იცი, მაგრამ მაინც გაგახსენებ!.. სიჩუმე, ბავშვებო, რა ამბავია! — მაგიდაზე დაარტყა ხელი.— ღულულაშვილი ილო კოტეს ძე. — ოდნავ ამოიოხრა და ერთი წამით გადმომხედა. მე ვუყურებდი მის სუსტ, გამხდარ ხელს, რომლითაც ატესტატი ეჭირა. — ქართული ენა — 5, ქართული ლიტერატურა — 5, რუსული ლიტერატურა — 5, ალგებრა — 3, გეომეტრია — 3, სსრკ ისტორია — 5.

— არ მინდა, მასწავლებელო, ისედაც ვიცი ნიშნები.

— ერთი სიტყვით, ილო, ცოტა რომ გეყოჩაღა, მედალს

აიღებდი. ძაან მინდოდა, მაგრამ მათემატიკურ საგნებში, შენც იცი...

ვიცოდი, როგორ არ ვიცოდი. ერთი და ერთი, რაკი გზაკვალი ამებნა მათემატიკაში, ველარ და ველარ ვიპოვე გასავალი ფონი. მათემატიკა უსიერ ტყეს ჰგავს, თავიდანვე თუ დაადექი სწორ გზას, მთელ ტყეს ისე გადაგატარებს, კვალი არ შეგეშლება, მაგრამ თუ იმ გზას გვერდი უქციე და ტყეში ისე შეხვედი, დაიბნევი და დაიკარგები. მეც ასე დავიკარგე მათემატიკაში.

მასწავლებლის სიტყვამ გული ამიჩუყა, მედალი რომ არ ესსენებინა, ალბათ ასე არ მომივიდოდა, მე ხომ მედალს არც ველოდი, მაგრამ ნდომით კი მინდოდა. თანაც სადღაც გულის კუნჭულში იმედის ნაპერწკალი ციმციმებდა. ჩვენი კლასიდან ორმა მიიღო ვერცხლის მედალი. იმათ რა უჭირთ, გული უკვე დაარხეინებული აქვთ. არ ვიცი, შურმა თუ სიხარბემ უცებ გუნება წამიხდინა და ბრაზი უფრო მომეძალა.

— აბა შენ იცი, ილო, იმედია გვასახელებ. მედალოსნებს არ ჩამორჩები. რომელ ფაკულტეტზე აპირებ?

ნინო მასწავლებელმა ძალზე კარგადი იცოდა, რომ ქართული ლიტერატურა მიტაცებდა, იცოდა და მაინც მეკითხებოდა. უნდოდა, ერთხელ კიდევ შეემოწმებინა თავისი ვარაუდი, მაგრამ იმ წუთს, არ ვიცი, რა ეშმაკი შემიჩნდა, გავჯიუტდი და გავჯიქდი.

— ჯერ არ ვიცი, მასწავლებელო!

— როგორ თუ არ იცი?

— ისე, არ ვიცი.

— ნუ ცრუობ, ღულულაშვილო.

საინჟინროზე ვაპირებ-მეთქი...

პირდაპირ საკვირველია, საიდან დამასკუპდა ენაზე ეს სიტყვა. ვგრძნობდი მთელი კლასი გაოცებით მომჩერებოდა.

— საინჟინროზე? — ეჭვიანი თვალები მბურღავენ. გვერდზე ვიყურები, მაგრამ მაინც ვხედავ მასწავლებლის შეძრწუნებულ თუ გაწბილებულ სახეს.

— გასაგებია, დაჯექი, — როდის-როდის ჩაილაპარაკა ნინო მასწავლებელმა.

დავჯექი. ბოლმა მხეთქავდა. ჩემს საქციელზე ვბრაზობდი. რაში მჭირდებოდა ეს ტყუილი. სამუდამო განშორების წინ

რად ვატკინე გული იმ ადამიანს, ვინც ესოდენ შემაყვარა ქართული ლიტერატურა, იმ ადამიანს, ვინც მთელ სკოლაში ყველაზე ახლობელი იყო და ვინც მშობლიურად ზრუნავდა ჩემზე?

ცრემლი ყელში მებჯინებოდა, ლამის დამახრჩო.

— აბა მშვიდობით, ბავშვებო! არ დაივიწყოთ თქვენი სკოლა და თქვენი აღმზრდელები, თუ როდისმე გვიწყენინებია, ისიც თქვენი თავისთვის... მე პირადად, ყოველთვის მემახსოვრებით, ყოველთვის... — ხმა აუთრთოლდა, კაბის პატარა ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და გამხდარი ხელებით თვალებზე მოისვა.

მთელი კლასი განაბულიყო.

და უცებ საკუთარი თავისადმი აუტანელი სიძულვილი და ზიზღი ვიგრძენი. ალბათ ამ ქვეყანაზე არავის ისე არ ვძულდი, როგორც მევე მძულდა ჩემი თავი იმ წუთს.

— აბა, მშვიდობით, წარმატებას გისურვებთ ყველას!

— კარგად იყავით, მასწავლებელო!

— მშვიდობით!

ნელა, დინჯად უხმოდ გადიოდნენ გარეთ. თითქოს ყველა უცებ დავაჟკაცებულიყო, თითქოს ვიღაცის უხილავმა ხელმა გადასჭრა ცხოვრების გზა და სიგიჟმაჟისა და სიდარბაისლის შუა ზღვარი გაავლო.

რატომღაც ფეხი ავითრიე. უხალისოდ მივაბიჯებდი დერეფანში.

— ილო, — მომესმა მეტად ახლობელი ხმა.

შევჩერდი. ზანტად მოვბრუნდი.

— მოდი ჩემთან, საქმე მაქვს, — ცივად მითხრა ნინო მასწავლებელმა და სამასწავლებლოში შევიდა.

გული ამიბაგუნდა.

— ჭიჭიკო, ეზოში გიცდით, ჩქარა გამოდი რა! — მომაძახა გივი კონსტანტინიძემ.

ნინო მასწავლებელი სკამზე დაჯდა, ცხვირსახოცი სახეზე მოისვა და თითქოს სხვათაშორის მკითხა:

— მაშ, საინჟინროზე აბარებ, ჰა?

ვდგევარ თავჩაღუნული და ტუჩებს ვიკვნეტ.

— მერედა, საინჟინროზე ხომ მათემატიკური საგნებია საჭირო, შეძლებ ჩაბარებას?

ვეკითხობ, ცრემლი მერევა, მინდა გავბრუნდე და გავერიღო აქაურობას.

— ილო, რატომ ხმას არ იღებ? რა გემართება, დღეს პირდაპირ ველარ გცნობ.

— მასწავლებელო... — ხმა მითრთოდა და შევისვენე, რომ ვული დამეწყნარებინა, — მოგატყუეთ, განა თქვენ არ იცით, რომ ფილოლოგიურზე უნდა ჩავაბარო?

— ასეც ვიცოდი, მაგრამ რაში დაგჭირდა ტყუილი? — უკვე ხმა დაიტკბო ნინო მასწავლებელმა, გაიღიმა, გაიბადრა.

— არ ვიცი...

მეტი არაფერი უკითხავს. ალბათ მიხვდა, რა მძიმე დღეში ვიყავი და შევენანე.

— ილო, ყველაზე დიდ იმედს შენზე ვამყარებდი, თუ გაამართლებ, შენ უნდა გაამართლო, უსათუოდ ჩააბარებ, მე ეს ვჯერა. აბა შენ იცი, ჩემო ბიჭო, ყოჩაღად მოიქეცი!

„ჩემო ბიჭო". ასეთი რამ არასოდეს გამიგონია ნინო მასწავლებლისაგან. ეს სიტყვა მთელ სხეულში სიტკბოდ ჩამეღვარა.

ხმა ვერ დავძარ. მადლობით სავსე მოსიყვარულე თვალები მივაპყარ და ალბათ თვალები გაცილებით მეტს გამოხატავდა, ვიდრე ამას ათასი სიტყვა შეძლებდა.

კარგად იყავით-მეთქი, — ესღა წავილუღლუღე და გამოებრუნდი. თითქოს ფრთები შემესხა. გავმხნევდი და საკუთარი თავისადმი რწმენა გამიათკეცდა. მისი ნათქვამი სიტყვა არასოდეს დამვიწყებია.

ეზოში გამოვედი, მზე უკვე საშუადღეოზე ანაცვლებულიყო და ულვთოდ აცხუნებდა. ირგვლივ საკვირველი სიჩუმე სუფევდა. დაბლა, შარაგზაზე მიდიოდნენ მანქანები და მათი ხმა ყრუდ აღწევდა აქამდე. უფრო შორს, კი სოფლის მიღმა, ალაზნის ველზე, ყვითლად გადაჭიმულ მწიფე პურის ყანაში შავ წერტილად მოძრაობდა კომბაინი. უკვე დაეწყოთ ყანის გაჭრა და თითქოს ნიავს მოჰქონდა იქიდან ნამჯის მძაფრი, ცხელი სუნი.

სკოლას გვერდიდან შემოვუარე, ბიჭებს ვათვალიერებდი. როცა პირველ ფანჯარას ჩავუარე, უნებლიეთ შევჩერდი და საკლასო ოთახში შევიხედე. ეს ფანჯარა და ამ ფანჯარასთან მდგარი მერხი ჩემთვის მეტად მახლობელი და ნაცნობი იყო.

ამ ფანჯარასთან, ამ მერხთან გავატარე თითქმის ორი წელი ზედიზედ, მეათე და მეთერთმეტე კლასი.

ფანჯარაში საკუთარ თავს მოვკარი თვალი. მკერდს ზევით ვჩანდი. მომეჩვენა რომ ეს ფანჯარა ძალზე დადაბლებულიყო. სულ ორი-სამი წლის წინათ, მაღალი მეჩვენებოდა, ფეხის წვერებზე უნდა შევმდგარიყავი და ისე შემეხედა საკლასო ოთახში. მაშინ, სკოლის შენობაც მაღალი მეჩვენებოდა. ახლა თითქოს ყველაფერი დაპატარავებულიყო, აივანიც და კედელიც.

— ჭიჭიკო, აქეთ წამო!

ხევის პირას კაკლის ჩრდილში წაყრილიყვნენ დათუკიშვილი, კონსტანტინიძე, გიგაშვილი და პატარაშვილი. ამ კონსტანტინიძემ პირდაპირ შეგვიკლა ხელში, სულ ხუმრობს და ქაქანებს, ლამის ენაზე ოფლი მოადგეს, ნამდვილ სახელს არავის გვეძახის, მაგრამ მისი არაფერი გვწყინს, უწყინარი ხუმრობა იცის, თვითონაც იტანს ხუმრობას. ეგეც არ იყოს, ოქროს გული აქვს. იმისი ნაწყენი კაცი არ გვინახავს. გივი კონსტანტინიძის მამაც არტილერისტი იყო, ისიც ფრონტზე დაიღუპა. დედამისი რუსულ ენას გვასწავლიდა, საოცრად ტკბილი ქალი გახლდათ, მაგრამ დედა-შვილს ერთმანეთი ჰყავდათ შეკლული. აქაო და ჩემს გაკვეთილზე წყნარად არ იქცევიო, ჯიბრით სამიანს უწერდა შვილს, არადა ყველამ ვიცოდით, რომ რუსულ ენასა და ლიტერატურაში მთელ სკოლაში ბადალი არა ჰყავდა. გივი მამის კვალს ადგა. თავისი მომავალი პროფესია ადრევე გაარკვია, რუსული კარგად იცოდა და მათემატიკა, წინ რაღა დაუდგებოდა.

— რაო მასწავლებელმა, ჭიჭიკო?

— ღმერთმა ნუ იცის შენი თავი, რა შენი საქმეა.

— ე, უყურე ჭიჭიკოს, ღმერთმაც ნუ იცის და ხატმაც.

მწვანეზე წამოვწექი. მიწა გრილი და რბილი იყო.

— პატარაშვილო, აქა ხარ?

— მაშ, სად უნდა ვიყო? — გაიცინა პატარაშვილმა და ორჭოფულად შემომხედა.

— მე მეგონა, ისევ ლენას გაეფეთქა.

— ხა, ხა, ხა! — იცინის გიგაშვილი.

— რას იცინი, აბა? — საყვედურობს გიგაშვილს პატარაშვილი.

— სადაც ვისია, იქ რამინიც უნდა იყოს.

„ვისის“ ბიწკნიაშვილ ლენას ვეძახდით, „რამინს“ — პატარაშვილს. ეს ერთი წელია კუდივით დასდევს ეს ფშაველი ბიჭი, მაგრამ ლენას გული ვერ მოიგო. პატარაშვილი კარგი ბიჭია, მაგრამ ცოტა ტყუილები უყვარს, ცოტა წატრაბახება. ოღონდ ისეთ ტყუილს იტყვის, იქვე დავიჭერთ ხოლმე.

— არა, ხო ხედავ, ზედაც არ გიყურებს, რას გადაეკიდე, რა მოგწონს მაგისი, ფეხები ძლივს დააქ, — არიგებს კონსტანტინიძე.

— კი, კი. ზედაც არ მიყურებს. თქვენ რა იცით, ბოლოს გაიგებთ ყველაფერს, — ნიშნის მოგებით იქნევს თავს პატარაშვილი.

„პასკევიჩი“ მაინც არ ერევა ჩვენს საუბარში. ისევ პირქვე წევს, ცხვირ-პირი მკლავებში ჩაურგავს და ღიღინებს: „ჩემი გოგო შენა ხაარ!..“

— აი, რაკი ეგრე ამბობ, — წამოჯდა კონსტანტინიძე, — გიგაშვილსა ვკითხოთ.

— რა უნდა ვკითხოთ, მაგან რა იცის.

— მაგის მეზობელი არ არის?! ამას არაფერს დაუმალავს.

— ერთი სიტყვით ლენას ისე უყვარს ეგა, როგორც ჩვენ ძაღლს ჩვენი კატა, — და პირველი თვითონ გიგაშვილი ხარხარებს. მერე როგორი ხარხარი იცის, გულზე გაგხეთქავს კაცს. დათუკიშვილმაც მიატოვა ღიღინი და იცინის.

ყურებამდე აწითლებული პატარაშვილი თავს იქნევს.

— კარგით, კარგით. იცინეთ. მერე რაღას იტყვით, ვნახოთ.

სიცილით გული რომ ვიჯერეთ, სიჩუმე ჩამოწვა, თითქოს ყოველი ჩვენგანი ერთი წამით გაგვიტაცა ფიქრმა.

— ბიჭებო, წავიდეთ, რაღას ვუყურებთ? — წამოჯდა დათუკაშვილი.

— რა გეჩქარება, რო, განა ხვალაც მოვალთ აქა.

— იცით რა, ბიჭებო, — თქვა გივი კონსტანტინიძემ, — ერთი აზრი დამებადა. სერგო მასწავლებელი უნდა ვნახოთ, თითქმის წელიწადია კაცი ავად არის.

— აბა დათუკიშვილის ხელში რა ხეირი დაეყრებოდა.

დათუკიშვილს მსხვილი წარბების ქვეშ ჭრუტა თვალები აუციმციმდა და გადმომხედა.

— თორემ შენ დააკელი, შენმა მზემ.

— არც ერთი არა ვართ მამა აბრამის ბატკანი, ახლა მაგაზე ლაპარაკი არ ღირს. მე რასაც გეუბნებით, თანახმა ხართ? თუ თქვენ არ წამოხვალთ, მე წავალ.

— მეც შენთან მოვდივარ! — მხარი ავუბი გივის.

— აი კაცი!.. — დაასკვნა გივიმ.

— რა აზრი აქვს ახლა იმის ნახვას, აბა? — ტაბიკების მტვრევა დაიწყო პატარაშვილმა.

— შენ თუ არ გინდა, ნუ წამოხვალ.

— არა, თუ თქვენ წახვალთ, მე რაღა ვარ... — შეჩოჩმანდა პატარაშვილი.

— ძაან კარგს ვიზამთ, ბიჭებო, თქვენ არ იცით, როგორ გაუხარდება. მივიდეთ, ვნახოთ და წამოვიდეთ, ამით რა დაგვაკლდება, ყოჩაღ, გივი, რომ მოიფიქრე. ადრეც ვიცოდი, რომ ჭკუით იყავი გატენილი, მაგრამ ვინ მიჯერებდა!

— ჰაა, ჭიჭიკო!

ჩვენი სამხედრო მასწავლებელი!..

რა უდიერად და უღვთოდ ვექცეოდით. პირდაპირ გატანჯული გვყავდა, რატომ ხდება ასე, რომ ცხოვრებაში ყველაზე მეტად ალალმართალი და გულუბრყვილო კაცი იჩაგრება, რატომ?

ჩვენი სამხედრო მასწავლებელი, სერგო ფრონტიდან იყო დაბრუნებული. პროფესია არაფერი ჰქონდა და სამხედრო გაკვეთილები მისცეს.

შევიდა პირველ დღეს გაკვეთილზე და ბიჭებს განუცხადა, სამხედრო წესი ასეთია: როცა სიას ამოვიკითხავ, რაც შეიძლება ხმამაღლა უნდა დაიძახოთ: Здесь ან я-ო, ბიჭებსაც მეტი არ უნდოდათ, ისე გაჰკიოდნენ, სოფელში ჩადიოდა ხმა. ერთი სული გვქონდა, ჩვენს კლასში როდისღა შემოვიდოდა სერგო მასწავლებელი. და აი, ერთ დღეს ვიღაცა შემოვარდა და ამბავი მოგვიტანა, დღეს სამხედრო გაკვეთილი გვექნებაო. გოგოები კლასიდან გავყარეთ და დიდი ამბით დაველოდეთ მასწავლებლის შემოსვლას. აჰა, ისიც შემოვიდა, გამხდარი, ავადმყოფური სახისა, საკმაოდ გახუნებულ პიჯაკში გამოწყობილი.

სიტყვა არ დაუძრავს, მაგიდასთან დაჯდა და სიის ამოკითხვას შეუდგა.

— დათუკიშვილი სოლიკო!

— Здес! — დაიჭექა სოლიკომ.

მასწავლებელმა ერთი კი გადახედა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ისევ სიის ამოკითხვა განაგრძო. კლასში პირდაპირ ჭექა-ქუხილი იდგა. ჩვენი კლასის გოგონებმა რამდენჯერმე შემოიხედეს ფანჯრიდან. რა ხდებაო, გაიღრიჭეს და წავიდნენ.

აჰა, მორჩა იგი სიის ამოკითხვას და დახურა ჟურნალი, კლასი განაბულია, ყველას ყურები აქვს დამზერილი, რამენაირად იპოვოს მიზეზი გართობისა. და ამ სიჩუმეში, მეტად უცნაური რამ მოხდა. მასწავლებელმა აიღო ჩაჟანგებული ხელყუმბარა და ყოველგვარი შესავლის გარეშე, რაღაც სასაცილოდ დაიწყო:

— გრანატა იმენემ ერგედე!...

კლასში ფრუტუნი ატყდა.

მასწავლებელი შეჩერდა, კლასს საბრალო თვალით გადახედა და პირდაპირ დათუკიშვილს დაებჯინა თვალი.

— შენი გვარი? — ქართულად ეკითხება ამჯერად.

— ჩემი?

— დიახ, შენი.

— დათუკიშვილი.

— გამოდი აქ.

სოლიკო აიზლაზნა და ნელა მიუახლოვდა მაგიდას.

— აიღე ეს გრანატა ხელში.

— მეშინია, მასწავლებელო! — უკან იხევს დათუკიშვილი.

— არ აფეთქდეს, კაცო, ვაიმე, მასწავლებელო! — ყვირის ჭარტაშვილი და კარებისაკენ გარბის, ვითომ და გარეთ გავასწროო. მაგრამ სად წავა, ყასიდად იქცევა ასე, სეირს აწყობს.

კლასში ერთი გნიასია. ზოგი ჩუმად ხითხითებს, ზოგი კივის, ზოგიც სიცილისაგან ჩაოსებულა.

— მოიცათ, მოიცათ, — ხელს მაღლა სწევს სამხედრო მასწავლებელი.

— ჩუმად, აბა ჩუმად! — ვაფრთხილებთ ერთმანეთს და მასწავლებელს ყურს ვაპყრობთ.

— თუ ჭკვიანად მოიქცევით, შემდეგ მეცადინეობაზე შაშხანებს ჩამოვიტან და საველე მეცადინეობაზე გავალთ.

ეს კი ყველას ჭკუაში დაგვიჯდა.

— როდის, მასწავლებელო?

— ჯერ თეორიულად უნდა შევისწავლოთ და მერე პრაქტიკულად.

— აბა, ბიჭებო, მოვუსმინოთ.

სერგო მასწავლებელი რუსულად გვიხსნის, რომ ხელყუმბარა სამი ნაწილისაგან შედგება, ჩვენ ყოველივეს მალე ვიმახსოვრებთ, შაშხანის ხმარებასაც ადვილად ვეჩვევით, ვსწავლობთ დაშლას და აწყობას. რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ, როგორც იყო, მასწავლებელი დავიყოლიეთ, რომ საველე მეცადინეობაზე გავეყვანეთ.

კეთილი, უეშმაკო კაცი იყო და უყუყმანოდ დაგვთანხმდა. ალბათ მამა აბრამის ბატკნები ვეგონეთ. ერთი წუთითაც არ უფიქრია, რომ იმისი გაკვეთილი ფეხებზე გვეკიდა და ჩვენ სულ სხვა მუცლის გვრემა გვქონდა.

გაგვიყვანა სკოლის უკან გორაზე და სამხედრო წესით დაგვამწკრივა. გვიხსნის, როდის უნდა გადავიდეთ შეტევაზე, როდის უნდა დავწვეთ და ისე გავხსნათ ცეცხლი. ხელში ძველი შაშხანები გვიჭირავს და მოუთმენლად ველით შეტევაზე გადასვლის ბრძანებას. სერგო განზე გადგა, როგორც სარდალს შეშვენის, ისე შეგვათვალიერა:

— დათუკიშვილო, შაშხანა კომბალივით ნუ ამოგიჩრია, წესიერად დაიჭირე, შეხედე, როგორ უჭირავს კონსტანტინიძეს.

დათუკიშვილმა შაშხანა, როგორც წესი იყო, ისე დაიჭირა და კვლავ გავინაბენით. აი, უცებ გაისმა, შეტევაზეო და ჩვენც ვაშას ძახილით მყისვე გავჭენდით, გორა გადავიარეთ და გეზი თეთრი გიორგისაკენ ავიღეთ.

— ლაჟიტ! — ისმის ბრძანება, მაგრამ ყურებში ბამბას ვიცობთ, კვლავ გავრბივართ.

— ლაჟიტ! ლაჟიტ! — უკვე ყვირილზე გადადის სერგო.

ჩვენ მაინც თავქუდმოგლეჯილი გავრბივართ. ზოგი იცინის, ზოგი ვაშას იძახის, ზოგი პაჭანიკივით კივის. აღდგომის წინა დღე გახლდათ და თეთრი გიორგის სალოცავისაკენ უამრავი ხალხი მიდიოდა. რა დაინახეს, თოფიანები მორბიანო, მოჩარდახებული ურმები გააჩერეს და გაოცებით დაგვიწყეს მზერა. რამდენიმე მანდილოსანმა პირჯვრის წერა და ლოცვა დაიწყო.

მეტი აღარ შეგვეძლო. სირბილისაგან და სიცილისაგან ქან-

ცგაწყვეტლები პირქვე წავეყარენით. როდის-როდის ამოქაქანდა აღმართზე სერგო მასწავლებელი. სულს ძლივს იბრუნებდა.

— არ გესმით, ლაჟიტ-მეთქი, რომ ვყვირივარ? აბა თქვენგან რა ჯარისკაცი უნდა გამოვიდეს!

— ვერ გავიგეთ, მასწავლებელო, ჩვენ გვეგონა თეთრი გიორგიზე მიგვქონდა იერიში! — თავი მოიკატუნა მარტაშვილმა.

სიცილი აგვიტყდა. მასწავლებელმა ცერად გადახედა მარტაშვილს.

— გაგათეთრგიორგებ მე შენ! — მერე ჩვენ მოგვიბრუნდა, — წამოდით ახლავე, საველე მეცადინეობაზე აღარ გამოგიყვანთ.

ნირშეცვლილმა მლოცველებმა გზა განაგრძეს, თან ცალი თვალით ჩვენკენ იყურებოდნენ. მაგრამ ეს ყველაფერი, აბა რა იყო იმ გაუგონარ თავხედობასთან, მომდევნო დღეებში რომ ჩავიდინეთ. ჩვენი თავისთვის დღესაც ვერ გვიპატიებია ის ამბავი. ასეთ ბარბაროსობას ვერც ერთი კლასი ვერ მოიფიქრებდა.

ერთ დღეს, როდესაც სამხედრო გაკვეთილის მოლოდინში ვიყავით, მერხზე შედგა დათუკიშვილი და გვითხრა:

— ბიჭებო, იცით რა მოვიგონე?

— აბა რა მოიგონე, ამოშაქრე, „პასკევიჩო“.

— მოდი, სუყველამ სიმუნჯე მოვიგონოთ.

— როგორ თუ სიმუნჯე? — წარბები ასწია კონსტანტინიძემ.

— როგორა და კარგად. რომ შემოვა სამხედრო მასწავლებელი, არა?

— ჰო, მერე?

— კრინტი არავინ დავძრათ, ავდგეთ და დავჯდეთ. თუ რამეს გვკითხავს, მაინც ხმა არ ამოვიღოთ. ვითომ და ყველა დავმუნჯდით.

ეს აზრი ჭკუაში დაგვიჯდა. მარტაშვილმა ხელები მოიფშვნიტა და ხბოსავით კუნტრუში დაიწყო.

პირობა შევკარით, ფიცი არც ერთს არ გაგვეტეხა და ახლა მოუთმენლად ველოდით მასწავლებლის გამოჩენას. აი, შემოვიდა ისიც. უხმოდ ავდექით ფეხზე და, როცა გვითხრა, დასხედითო, ისევ — უჩუმრად დავეშვით მერხებზე.

კლასში უჩვეულო სიჩუმე სუფევდა. სერგო მასწავლებელმა ერთი კი გადმოგვავლო ეპვით თვალი, დღეს რა ანგელოზმა მოუარათო, მაგრამ, ეტყობა, საეჭვო ჯერ მაინც ვერაფერი ინიშნა.

— დათუკიშვილი! — დაიწყო სიის ამოკითხვა.

დათუკიშვილი ადგა, მასწავლებელს დაენახვა, აქა ვარო და დაჯდა. კრინტი არ დაუძრავს.

— მარტაშვილი!

ისიც წამოიზლაზნა და უხმოდ დაჯდა.

მასწავლებელს ახლა უფრო გაუღრმავდა ეპვი. მაჩვივით გამოაპარა თვალები, ორივეს დააცქერდა. მერე სიის ამოკითხვა განაგრძო. ყველანი უხმოდ დგებოდნენ და სხდებოდნენ. უკვე ნათელი იყო, რომ რაღაც მზადდებოდა: სერგო ადგა, თავისი გახუნებული პიჯაკის შიგნით ქამარი გაისწორა და ჩაახველა.

— აბა, დღეს რა გვაქვს გაკვეთილი?

ხმა არსაიდან ისმის. მგლოვიარესავით ზის ყველა.

— კონსტანტინიძე, რა გვაქვს გაკვეთილად?

გივი წამოიყალყა და მხრები აიჩეჩა, არ ვიციო.

— ცუდად ხარ?

თავს იქნევს, არაო. მთელი კლასი თითქოს დანაღმულიყო, მარტო თვალები უცინოდათ ბიჭებს.

— გაბრაზებული ხარ?

ისევ თავი გაიქნია, არაო.

— დაჯექი. ღულულაშვილო!

წამოვდექი და რატომღაც ფანჯარაში გავიხედე. ეზოში დიდი კაკლის ხე იდგა. კენწეროზე გვრიტი იჯდა და ნისკარტით იქექებოდა.

„ნეტავ გვრიტები ზამთრობით მიფრინავენ თუ აქა რჩებიან?“ — გავიფიქრე.

— არ გესმის, ბიჭო, რომ გეკითხები, რა მოუვიდა კოსტანტინიძეს?

ლამის ვუთხარი, მე რა ვიცი-მეთქი, მაგრამ დროზე შევიკავე თავი. მხრები ავიჩეჩე.

— დაჯექი! — ხიზლით მომიგდო მასწავლებელმა და შარმაზანაშვილი წამოაყენა. ეს იყო ყოვლად უეშმაკო, ავადმყოფე-

რად ბეჭი და ყველასაგან განდეგილი მოსწავლე. ალბათ მასწავლებელი უკანასკნელ იმედად ძას თვლიდა.

ცოტა შევფიქრიანდით, ვაითუ შარმაზანაშვილმა ფიცი გატეხოსო. იგი ხეხე წამოდგა, ჩაღამებული თვალებით გადმოგვხედა, მერე თავი ჩაღუნა და გაიტრუნა. შევამჩნიე როგორ იტანჯებოდა და შემებრალა. ორწყალშუა იდგა თავჩაღუნული, გამხდარი, გრძელ თითებს მერხზე ნერვულად აცოდვილებდა და დუმდა. არც ჩვენი წყენა უნდოდა და არც მასწავლებლისა.

— აბა, შენ მაინც მითხარი, შარმაზანაშვილო, რა მოხდა, რა მოუვიდა ამ ხალხს?

ბიჭმა ერთი წამით შეხედა მასწავლებელსა და იმანაც მხრები აიჩეჩა, არ ვიციო. კლასში ვიღაცამ ჩაიფრუტუნა.

— შენც აგიყოლიეს, ბიჭო, შენც გადაგრიეს? ამოიღე ხმა.

მაგრამ შარმაზანაშვილს თითქოს მიწით ამოვსებოდა პირი. მარტო ტუჩები გააწკაპუნა და დადუმდა.

სერგო მასწავლებელს ნიკაპი აუცახცახდა. გაშმაგებული ხარივით ერთხელ კიდევ გადააავლო თვალი კლასს და დაიბღავლა:

— რა ეშმაკი შეგიჯდათ, ამოიღეთ ხმა, შეთქმულები ხართ?

მთელი კლასი დუმდა, ისხდნენ ჯიუტად პირმოკუმულნი და ელოდნენ, რა მოხდებოდა. სერგომ უცებ ჟურნალს დასტაცა ხელი და კლასიდან გავარდა.

გულში თითქოს რაღაც ჩამწყდა. სიბრალულმა ლამის დამწვა. კონსტანტინიძეს გადავხედე, ეტყობოდა, ისიც ჩემნაირ გრძნობას შეეპყრო. მაღალი, ფართო შუბლი დანაოჭებოდა, თვალებში სევდა ჩასდგომოდა.

— ცოდოა! — მითხრა ხმამაღლა.

— გადავამლაშეთ, — დავუმატე მე.

ხუთი წუთის შემდეგ ჩვენი კლასის ხელმძღვანელი ნინო მასწავლებელი შემოვიდა. რა დიდი სიბრძნე იმას უნდოდა, ყველამ შეატყო, როგორ იყო გაბრაზებული. დანა პირს არ უხსნიდა. ფეხზე წამოვდექით.

— დასხედით, დასხედით, ვითომ დიდი ზრდილობიანები მყავხართ, — მერე გაჩუმდა, ერთი წუთის განმავლობაში თითქმის ყველა ჩაგვათვალიერა და სრულიად დინჯად, ხმადაბლა დაიწყო:

— როგორ არ გრცხვენიათ, ასე როგორ უნდა გაამწაროთ ადამიანი, ცრემლი სდიოდა. იმ კლასში აღარ შევალო...

ერთი წუთით თავს მოვერიე და კლასს გადავხედე. ხელისგულზე შუბლდაყრდნობილნი, ქვებივით უძრავნი, მგლოვიარეებივით გულჩათუთქულნი ისხდნენ ყველანი. არ ვიცი ნინო მასწავლებელმა ჩვენს სახეზე რა ამოიკითხა, რა იფიქრა, იქნებ თითოეულის გულისხმას, თითოეულის ფიქრს მიხვდა კიდეც, ვინ იცის, სიტყვა აღარ დაუძრავს, აღარც გაიცხვა, აღარც საყვედური. მარტო ისღა გვითხრა, შემდეგ გაკვეთილზე ბოდიშს მოუხდითო და წავიდა.

მომდევნო გაკვეთილი და საერთოდ მას შემდეგ ყველა სამხედრო მეცადინეობა ჩვენს კლასში უჩვეულოდ მიმდინარეობდა. რაღაც უხილავი ძაფი გაიბა ჩვენსა და მასწავლებელს შორის. თვითონვე გრძნობდა ამას და ალბათ უკვირდა კიდეც, ან შეიძლება არც უკვირდა. ასე იყო თუ ისე, იმ დღიდან ჩვენს შორის სულ სხვანაირი ურთიერთობა დამყარდა. ჩვენი სიგიჟმაჟე და ჩვენი კერპი გული უცებ გალხვა, უცებ ვიგრძენით, ადამიანს რა დიდ ტკივილს ვაყენებთ თურმე. ორი კვირის შემდეგ სამხედრო მასწავლებელს უთქვამს, ეს რა უცნაური კლასია, ვერაფერი გავუგეო.

ერთი თვის შემდეგ გავიგეთ, სერგო მასწავლებელს დამბლამ დაარტყა და ცალი მხარი წაართვაო. მას შემდეგ თითქმის წელიწადი გავიდა და სერგო მასწავლებელი ყველას მიავიწყდა.

5

ტახტზე ვწევარ და ისტორიის წიგნს ჩავკირკიტებ, მაგრამ თავში არაფერი ჩადის. იქნებ იმიტომ, რომ გზაზე ვდგავარ? ყველა საბუთი ხელთა მაქვს და ამ საღამოს მიეემგზავრები. დედაჩემი და ჩემი და ერთი ამბით მიუთოვებენ ტანსაცმელს, ფაქიზად კეცავენ და ისე ალაგებენ ჩემოდანში.

— დედი, რომელი საათია?

— შვილი, — მპასუხობს დედაჩემი მეორე ოთახიდან.

— ერთ საათში ჩამოივლის ავტობუსი.

— აი, ჩვენც მოვრჩით, ყველაფერი გაგიმზადეთ.

ისტორიის წიგნი დავკეცე და ჩემოდანში ჩავდე. ფანჯრი-

დან გავხედე ჩამავალ მზეს. დიდი, კაშკაშა და მოწითალო დისკო სევდიანად, მაგრამ რაღაც დიდებულად ჩადიოდა. გეგონებოდათ, ქვეყნიერებას სამუდამოთ ეთხოვებაო. ამ ჩამავალი მზის შუქზე ისეთი წარმტაცი ჩანდა მთელი ალაზნის ველი, გული ამიჩუყდა. გაჭრილ ყანებს თითქოს მზის მტვერი ეყარა. შორს, კავკასიონის ძირას, ყვითლად ელვარებდა გაუჭრელი ყანა და ამ ყანაში თაიგულივით მდგარ კორომს ისეთი ელფერი ედო, თუნდაც ერთი წუთით, იქ ყოფნას ვნატრობდი. სხვა დროსაც შემინიშნავს ეს სილამაზე, მაგრამ ასე არ ამჩუყებია გული. ამ ტიალმა ხომ არ იგრძნო, რომ აქაურობას მალე უნდა გავშორებოდი და თანაც, ვინ იცის, რამდენი ხნით?

აჰა, დადგა გაყრის წუთი, ის წუთი, რომელსაც თერთმეტი წელი ველოდი. აი, ატესტატი ხელთა მაქვს, შიგ რუსულ-ქართულად წერია: ამ ატესტატის მფლობელს უფლება აქვს შევიდეს საბჭოთა კავშირის ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში.

რამდენი უფლება მქონია. წადი, რომელ ქალაქშიც გინდა, და გააგრძელე სწავლა. აირჩიე ფაკულტეტი.

უკვე ჩემი ოცნების კარიბჭესთან ვდგავარ. შევძლებ თუ არა გავაღო კარი და შევიდე ამ ლამაზ საოცნებო სამყაროში?

ჯერ კიდევ ყმაწვილობის დროს, როცა ჟურნალში ან გაზეთში თბილისის უნივერსიტეტის შენობას დავინახავდი, ჟრუანტელი დამივლიდა ხოლმე. ყველაზე ბედნიერ ადამიანებად ისინი წარმომედგინა, ვინც იქ სწავლობდნენ. დავწვებოდი და ვოცნებობდი, როდის დადგებოდა ან დადგებოდა თუ არა ის დღე, როცა მეც იმ წმინდა ტაძრის მკვიდრი გავხდებოდი. ასე თანდათან იქცა ჩემს კერპად უნივერსიტეტი. ჩემი ოცნება იყო გამოვსულიყავი ქართული ენისა და ლიტერატურის დიდი მკვლევარი, ისეთი მკვლევარი, ვინც თექვსმეტ საათს წიგნებს ჩაჰკირკიტებს და მერე დაღლილ-დაქანცული ნელა მისეირნობს თბილისის ქუჩებში და გამვლელ-გამომვლელნი მოწიწებით უცქერენ. ეს ოცნება ისე ჩამისახლდა ძვალსა და რბილში, რომ ჩემს განუყრელ ნაწილად იქცა. უიმოცნებოდ ჩემი ცხოვრება ისევე წარმოუდგენელი იყო, როგორც სულისა და ხორცის უერთმანეთობა. რომ მოხდეს და ვერ ჩავაბარო-მეთქი? ხანდახან გამკენწლავდა ეჭვი და უფსკრულის პირას მდგარივით მყისვე უკუვიქცეოდი ხოლმე ამ საზარელი ფიქრისა-

განგ. მაგრამ ეკვი მაინც სახლობდა ჩემს გულში, თუმცა მიყუჩებული იყო, მტვერწაყრილი, თავს აღარც კი მახსენებდა, მაგრამ ვიცოდი, რომ ჩემი საკუთარი სხეულით დამქონდა იგი.

გუშინ საღამოს გვიან დავბრუნდი. სერგო მასწავლებელი რომ მოვინახულეთ, მერე კონსტანტინიძემ შინ წაგვიყვანა და გვარიანად გადავკარით. როგორ გაიხარა სერგო მასწავლებელმა ჩვენი მისვლით. დიდი კაკლის ქვეშ სავარძელში იჯდა და ვერ გვიცნო, სანამ ზედ არ წავადექით.

— თქვენ სულ სხვანაირი ბიჭები ხართ, უცნაურები, მაგრამ კარგი გულისა. თქვენს გარდა არავის მოუფიქრებია ჩემი ნახვა. ყველას დავავიწყდი. დიდი მადლობელი ვარ, ბიჭებო, რომ გაგახსენდით. — გვეუბნებოდა თვალებზე ცრემლმომდგარი. უცებ მივხვდით, რა დიდი საქმე გავაკეთეთ. ყველანი კმაყოფილნი ვიყავით. ასეა, როცა კაცი კარგ საქმეს გააკეთებ, თითქოს .მძიმე ტვირთი მოიშორეო.

იმას მოგახსენებდით, კონსტანტინიძესთან გვარიანად გადავკარი და შინ გვიან დავბრუნდი-მეთქი. სოფელს თითქმის უკვე ეძინა. ჩემს უმცროს დაიკოსაც. დედაჩემი ფხიზლობდა და ცოტა არ იყოს, შეცბუნებულიც იყო.

— სადა ხარ, შვილო, აქამდე. გული გადამელია შენს ლოდინში, რა აღარ ვიფიქრე...

— აი, აქა ვარ, შენთანა, დედა! — მაგიდაზე ატესტატი დავაგდე და ნაჯაფარი კაციკით საწოლზე მივესვენე.

— მთვრალი ხარ, ბიჭო?

— ისე რა, ატესტატები დავალბეთ.

დედაჩემმა მიყურა, მიყურა და ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით მითხრა:

— დაწექი, შვილო, დაიძინე.

ამ ბოლო დღეებში როგორღაც შეიცვალა დედაჩემი. უფრო გულჩათხრობილი და ალერსიანი გახდა. თითქოს უცებ მობერდა, მოტყდა.

მიუხედავად იმისა, რომ ნასვამი ვიყავ, ძილი არ მერეოდა. ალბათ ღვინო ჭარბად მომივიდა და მაწვალებდა. უცებ დამწვარი სანთლის სუნი ვიგრძენი. თვალი გავახილე და, რას ვხედავ, იქ, სადაც მამაჩემის გადიდებული სურათი ეკიდა. დედაჩემს სანთელი დაენთო და რაღაცას ჩურჩულებდა, ალბათ ჩემს თავს ავედრებდა სალოცავებს.

— დეიდაშენს უთხარი, — მეუბნება დედაჩემი და წერილს ოთხად კეცავს, — ერთი ორი დღით ჩამოდი-თქო. ქვეყნის ხილია. ან კომპოტებს გააკეთებს, ან მურაბებს მოხარშავს, წერილში კი ვწერ, პირადადაც უთხარი. არ დაგავიწყდეს.

— არა.

— აჰა, ეს ფული. ვიდრე გამოცდებს ჩაბარებ, გეყოფა,— ოც თუმანს მაძლევს დედაჩემი.

— არავინ ამოგაცალოს, ბიჭო, წესიერ ადგილას ჩაიდე.

— ოლიას უთხარი, — მეუბნება ჩემი და, — შვებულებაზე აქ ჩამოდი-თქო, გაიგე?

ოლია ჩემი დეიდაშვილია. შარშან უცხო ენების ინსტიტუტი დაამთავრა და ახლა ერთ-ერთ გამომცემლობაში რედაქტორად მუშაობს.

როცა გზაზე გამოვედით, ახალი შებინდებული იყო. მთელი ალაზნის ველი და კავკასიონის მთებიც უკვე ღამის თხელ ნისლში იძირებოდა. შორიდანვე ვიცანი რკინიგზის სადგურზე მიმავალი ავტობუსი. მწვანე შუქი უციმციმებდა მარცხენა გვერდზე, ხოლო ფანჯრიდან ყვითელი სინათლე გამოკრთოდა... იგი თავისი გარეგნობით უკვე ქალაქის განწყობილებას ქმნიდა. როცა ავტობუსში ავედი და დაიძრა, ფანჯრიდან გადმოვხედე დედაჩემს. იგი იდგა და სასოებით მაყოლებდა თვალს, ოჰ, დედაჩემის მაშინდელი თვალები ალბათ სიკვდილამდე არც დამავიწყდება. რამდენს მეტყველებდა, რამდენი რამ შევნიშნე იმ თვალებში. იმდენი სიამაყე, სევდა და დიდი მოლოდინით გამოწვეული დაძაბულობა.

„მშვიდობით, ჩემო კერავ, ჩემო სოფელო!“ — თითქოს ვილაცამ ჩამჩისჩინა ეს სიტყვები და მერე უცებ ყველაფერი გაქრა და გაიფანტა.

6

დეიდაჩემი ვაგზალთან ახლოს, დინამოს სტადიონის გვერდით ცხოვრობდა.

დილის შვიდ საათზე ჩემოდნით ხელში უკვე დეიდაჩემის სახლისაკენ მიმავალ ვიწრო ქუჩას მივყვებოდი. ღრუბლიანი დილა იყო. ნაწვიმარი, მაგრამ ზაფხულის სულისშემხუთავი სიცხე მაინც იგრძნობოდა.

ტრამვაის პარკს ჩავუარე. ლიანდაგებზე უთვალავი ვაგონები ჩამწკრივებულიყო. ღამენათევი ტრამვაები, თითქოს ღრმაძილგამოვლილნი იმშუშნებოდნენ და ქალაქში გასასვლელად ემზადებოდნენ. ერთი სიტყვით, დიდი ქალაქი იღვიძებდა, ფეხზე დგებოდა.

აი, ესეც ტრამვაის ქუჩა და ოცდაერთი ნომერი სახლიც.

რკინის ჭიშკარი ღრჭიალით შევაღე, ხის კიბით მეორე სართულზე ავედი და დეიდაჩემის ბინას მივადექი.

ყველაფერი ძველებურად იყო, ისე, როგორც ამ სამოცდე წლის წინათ მახსოვს. ან კი რა უნდა შეცვლილიყო სამი წლის მანძილზე!

ისევ ის ვიწრო ეზო, დეიდაჩემის ქმრის, ამბროსის ხელით დარგული დიდი ალვის ხე და მაჯის სიმსხო სახეივნე ვაზი, ისიც ბიძია ამბროსის დარგული, მთელ ეზოს და აივნებს აბლაბუდასავით რომ მოსდებოდა.

ყველაფერი ძველებურად იყო დეიდაჩემის ოთახშიც. ოღონდ კედელზე ამბროსის გადიდებული სურათი ეკიდა. მელოტი, ბანში შესული კაცი ოდნავ კუშტად, მაგრამ ჭკვიანი თვალებით პირდაპირ მე მომჩერებოდა. აი, რა შეცვლილა იმ ცნის მანძილზე, რაც მე აქ აღარ ვყოფილვარ.

სამი წლის წინათ, როცა ბენდელიანის სახელობის საცრეწოსნო სკოლაში ვაპირებდი შესვლას, ბიძია ამბროსი ცოცხალი იყო. ჯანმრთელად გახლდათ და სამსახურშიც დაიარებოდა. მერე მოულოდნელად, წნევა დააცხრა და საღსალამათი კაცი წუთში გააქრო.

ამბროსი უცნაური კაცი იყო. ენაბწარე, მაგრამ სამართლიანი. რასაც კი იწინასწარმეტყველებდა, ადრე თუ გვიან აუცილებლად აცხადდებოდა. დიდი სწავლა-განათლება არ ჰქონდა, მაგრამ ჭკვიანი, პრძენი კაცი გახლდათ.

აი ახლა ეს კაცი ცოცხალი ადამიანივით მომჩერებოდა გადიდებული სურათიდან და თითქოს გუშინდელ დღეს მაგონებდა.

ოთახში დეიდა შემოდის და სურათს თვალს ვარიდებ. ოლია სამზარეულოში რაღაცას ფუსფუსებს.

დეიდაც, ბავშვობიდან როგორიც მახსოვს ისეთია, ტანდაბალი, ჯმუხი და შავგვრემანი. ოღონდ ეგ არის, შავებით შემოსილა. ოლია კი ძალზე გამოცვლილა, გავსილა და დამშვენე-

ბულა. მიუხედავად იმისა, რომ საშინაო ტანისამოსი ეცვა და თანაც ნამძინარევი გახლდათ, მაინც ავი თვალით არ ინახვებოდა. პირველი კითხვა, მისი დანახვისას რომ დამებადა, ეს იყო: ნეტავ რომელი ბედნიერი შეირთავს-მეთქი.

სტუდენტობისას ოლია სოფელში ხშირად დადიოდა, მაგრამ რაც სამსახური დაიწყო, აღარ ჩამოსულა, ყოველ შვებულებას ზღვაზე ატარებდა.

სიხარულით აღტაცებულმა დეიდაშვილმა გადამკოცნა, მერე მიყურა, მიყურა, მხარზე ხელი დამკრა და წამოიძახა:

— რამოდენა გაზრდილხარ, ჯოო!

აი, ასეთი იყო ჩემი პირველი შეხვედრა დეიდაჩემის სახლში. ხოლო შემდეგ ჩვეულებრივი საუბარი დაიწყო; როგორ არის დედა, რა არის სოფელში ახალი, მოსავალს როგორი პირი უჩანს და სხვა ამისთანანი.

— მაშ, ფილოლოგიურ ფაკულტეტზე აპირებ, ჰა? — მეკითხება ოლია და თან სარკეში იყურება. სამსახურში წასასვლელად ემზადება.

— ვაპირებ, კი.

— წელს დიდი კონკურსი იქნება.

— ვითომ?

— მე მგონი.

— ნეტა რა ჩაგიძვრა მაგ ფილოლოგიურში, — მსაყვედურობს დეიდა. — შესულიყავ აგრონომიულზე, მაგაზე კარგი რა არის. აფსუს!

— თუ ეგრე მოგწონს, რატომ არ გამაყოლე იმ აგრონომს? — ოლიამ ჩემსკენ მოიხედა, თვალი ჩამიკრა და გამიღიმა.

— მეხი კი დაგაყარე, აჰა! — ყასიდად ბრაზობს დეიდა,— იმისთანა აგრონომს რა თავში იხლიდი.

ოლია ლაღად იცინის, კისკისებს და თან მე მიყურებს, თითქოს მეუბნება, მერე აგიხსნი, რაშიც იყო საქმეო. როცა სიცილით გული იჯერა, ისევ მე მომიბრუნდა და მითხრა:

— კარგ დროს ჩამოხვედი, დღეს ჩემი დაბადების დღეა. ახალგაზრდა პოეტები მესტუმრებიან, არ გაინტერესებს მათი გაცნობა?

ახალგაზრდა პოეტები...

ცხოვრებაში არასოდეს მენახა ნამდვილი პოეტი და, აი,

დღეს ჩემი დეიდაშვილის — ოლიას წყალობით უნდა შევყოფილი მათ. ჩემს თვალში იმ წუთში ოლია უფრო გაიზარდა, უფრო მოწიწებული გავხდი მის მიმართ. პოეტების გაცნობა მართლაც გულით მეწადა, ოლიას ნათქვამიც გამიხარდა, მაგრამ ეს სიხარული ვერაფრით გამოვხატე, გულშივე ჩავიკალ. მარტო მხრები ავიჩეჩე და მორცხვად ჩავიდუდუნე, რა ვიცი-მეთქი.

— ლექსებს კიდევ წერ? — მკითხა ოლიამ, თან გარდერობის დიდ სარკეში იყურებოდა და თან გრძელი თეთრი თითებით კეფაზე თმას ისწორებდა.

— რა ვიცი, ხანდახან.

ერთმანეთისთვის მეტი აღარაფერი გვითქვამს.

ცხრა საათისათვის დეიდაც და ოლიაც სამსახურში წავიდნენ.

ერთ ხანს ვიწრიალე შინ, წიგნის წაკითხვაც ვცადე, ძალიან მაგრამ გული ვერაფერს დავუდე. რატომღაც სული მეხუთებოდა ავეჯით გამოტენილ ამ ოთახში და გული გარეთ მიმიწევდა. ავიღე ჩემი საბუთები და უნივერსიტეტისაკენ გავწიე.

მიუხედავად იმისა, ცა მოღრუბლული იყო, სიცხე მაინც მძვინვარებდა. დილანდელი წვიმის კვალიც არსად ჩანდა, ასფალტი ვარვარებდა და ბული ასდიოდა. სუნთქვა ჭირდა. დინამოს ბაღის წინ, ვაკეში მიმავალი ტრამვაი გაჩერდა და ავედი. დეიდაჩემისაგან ვიცოდი, რომ ვაკეში პირველი ნომერი ტრამვაი დადიოდა. მეექვსე გაჩერება ზედ უნივერსიტეტთან გახლდათ, მივრახრახებდი და ყველა გაჩერებას ვითვლიდი. აჰა, როგორც იყო გავიარე მეხუთე გაჩერება და ჩემი ჩასვლის დრომაც მოაღწია. მაინც თავი დავიზღვიე და სიცხისაგან დაოსებულ ზონზროხა კონდუქტორს ვკითხე, უნივერსიტეტი შემდეგ გაჩერებაზე ხომ არის-მეთქი. რატომღაც გაოცებით შემომხედა და თავი დამიქნია, დიახო. ტრამვაი გაჩერდა, კონდუქტორმა შემომხედა და ხელი ზურგსუკან გაიშვირა, ეგ არის უნივერსიტეტიო.

ჩავედი და ჭადრების ჩრდილში ტროტუარზე გადავედი. ჩემ წინ აღმართულიყო დიდი ნაცნობი შენობა. ეს, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტის შენობა გახლდათ. უცებ ყრუანტელმა დამიარა და გული ამიგერდა. ალბათ ასე ეშინოდა მორ-

წმენდს, როცა მისთვის საბოლოოდ ბედი ტაძარში შედის ხოლმე.

უნივერსიტეტის ახლომახლო ხალხმრავლობა იყო. მოსულიყვნენ ბედის მაძიებელი ახალგაზრდები, იმედებითა და მომაკვალზე ოცნებით აღვსილნი, იდგნენ დიდი ჭადრის ქვეშ ტროტუარზე. ჩამომსხდარიყვნენ გალავანზე, გაფანტულიყვნენ ჯგუფ-ჯგუფად და სჯა-ბაასობდნენ, კამათობდნენ, მხიარულობდნენ. როგორც კი ამ ხალხში შევერიე, მყისვე მარტოობის ნაცნობი, მწვავე სევდა დამეუფლა. ისე მომეჩვენა, თითქოს ისინი სრულიად უცხონი იყვნენ ჩემთვის, თითქოს რაღაც ამოუვსებელი უფსკრული მყოფდა იმათგან. თავი დავღუნე და პირდაპირ უნივერსიტეტის ვესტიბიულში შევედი. ბენზინისა თუ სპირტის მძაფრი სუნი ვიგრძენ, იატაკს რომ დაჭკრავს ხოლმე დიდ დაწესებულებაში. პირველი, რაც ჩემმა თვალებმა იხილა, ეს იყო ოდნავ ბნელი, იდუმალებით მოცული. სვეტებიანი დარბაზი და უცებ მომეჩვენა, რომ ეს დარბაზი ოდესღაც მინახავს და ახლა მეორედ ვიყავი მისი მხილველი. არ ვიცი. საიდან გამიჩნდა ასეთი შეგრძნება, იქნებ როდისმე დამსიზმრებია და ეს ყველაფერი იმ ძველი დავიწყებული სიზმრის აცხადება იყო.

ვესტიბიულშიც ტრიალებდნენ ბედის მაძიებელნი, მაგრამ მაინც სიჩუმე სუფევდა. აქედანვე იწყებოდა ის მოკრძალება და რიდი, იქ შემსვლელთ რომ გააჩნიათ. ერთ ვეება მაგიდას რამდენიმე გოგონა მისჯდომოდა და ალბათ უნივერსიტეტში შესატან განცხადებას წერდნენ. ხელმარცხნივ, კედელზე, პატარა სარკმელების თავზე, კინო-თეატრის სალაროებს რომ წააგავდა, წარწერები იყო ჩარიგებული. „ფილოსოფიის ფაკულტეტი“, „ფილოლოგიის ფაკულტეტი“... მეტი აღარ წამიკითხავს, ამ ბოლო აბრაზე შევაჩერე თვალი. სწორედ ამ სარკმელთან ხუთიოდე კაცი იდგა საბუთებით ხელში. ჩემდა გასაკვირად სხვა ფაკულტეტებთან კაკალი კაცი არ იყო. ოლიას ნათქვამი გამახსენდა, ფილოლოგიურზე წელს დიდი კონკურსიაო.

„ნეტავ ვიცოდე, უკვე რამდენი კაცია?“ — გავიფიქრე.

შუა ივლისი იყო. პირველ აგვისტომდე, ვინ იცის, კიდევ რამდენი შეიტანდა საბუთებს. სარკმელს მივუახლოვდი და შიგ შევიჭყიტე. მაგიდასთან იჯდა ახალგაზრდა ქერა, ლამაზი

ქალი და დინჯად, დაკვირვებით ათვალიერებდა ყველა საბუთს. იქვე ორი ლაზათიანად ჩაცმული ბიჭი იდგა და თვალს წყალს ალევინებდა. მივედი და ვკითხე. თქვენც ფილოლოგიურზე ხომ არ აბარებთ-მეთქი. ერთმა ზედაც არ შემომხედა, ვიღაც გოგოს მიშტერებოდა. მეორემ თავით ფეხამდე ჩამათვალიერა და ღიმილით მკითხა:

— შენ რა, ფილოლოგიურზე აბარებ?

— დიახ.

— ყოჩაღ შენ! — ისევ გაიღიმა და ისევ ჩამათვალიერა.

იმის ღიმილი გულში გველივით ჩამიძვრა და მთელ ტანზე დამბურძგლა. ამ დამცირებას სხვა ადგილას არავის ვაპატიებდი, ყელს გამოვღადრავდი.

ცივად გამოვბრუნდი და მაგიდას მივუახლოვდი, გოგონები რომ მისხდომოდნენ და განცხადებებს წერდნენ. იმ წუთას საშინელი მარტოობა ვიგრძენი, როგორ მინდოდა, გვერდით ვინმე მეგობართაგანი მყოლოდა.

— უკაცრავად, დასაწერი ქაღალდი ხომ არ გექნებათ?

ოდნავ გრძელცხვირა, მაგრამ ლამაზი გოგო იდგა ჩემ წინ. ახალი რვეულიდან წყვილი გვერდი ამოვიღე და მივეცი. გმადლობთო, ლამაზი ციმციმა თვალები შემომანათა და კეკლუცად უკან გაბრუნდა.

მაგიდას მივუჯექი და საბუთები კიდევ გადავსინჯე, რაიმე არ აკლდეს-მეთქი. თან თვალი ლამაზ გოგოსკენ გაძირბოდა. ვატყობდი, განცხადების წერა უჭირდა. რაღაც შეეშალა ალბათ, დახია და სხვა განცხადების წერა დაიწყო. როგორც იყო დაწერა, ისევ გადამიხადა მადლობა და წავიდა. მაგიდაზე დარჩა მისი შავად ნაწერი განცხადება. ავიღე და გადავიკითხე. ზუსტად ასე ეწერა:

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს
დალი იაკობის ასულს ხაჩაპერიძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბოვშეობიდანვე დიდი სურვილი მაქ შევიდე ფილოლოგის ფაკულტეტზე, რისთვისაც გთხოვთ, მიიღოთ ჩემი საბუთები".

გამიკვირდა და გამეცინა. ამ განცხადების პატრონი ფილოლოგიის ფაკულტეტზე როგორ ბედავდა საბუთების შეტანას?

განცხადების წაკითხვამ საკუთარი თავისადმი რწმენა შემმატა და გულში იმედი ჩამისახა. თუ ასეთი ხალხი შედის, დიდი კონკურსი რას დამაკლებს-მეთქი.

— ას ოცდამეათე ვარ, შარშან მეორასე ვიყავ! — ვიღაცამ თითქოს ყურში ჩამძახა. ავიხედე. ჩემ წინ ოდნავ სახეჭორფლიანი, ტანთხელი ბიჭი იდგა. თვალებში ისეთი თბილი, ალალი ღიმილი ედგა, ჩემდა უნებურად ღიმილზე ღიმილითაც ვუპასუხე:

— მერამდენე ხარ?

— ას ოცდამეათე. ეჰ, წელსაც თუ ვერ ჩავაბარე, ჯარში მიკრავენ თავს.

ხალისიანი ბიჭი ჩანდა, ასეთ კაცზე იტყვიან ხოლმე, წყაროს წყალივით გამჭვირვალეაო. ესე იგი, არაფერი დამალული და მიღმა იმას არა აქვსო, ხალასია, ნაღდი. და უცებ, როცა ამ ბიჭის მოღიმარე თაფლისფერ თვალებს ვუყურებდი, სასწაული მოხდა. ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, თითქოს ეს ბიჭი ჩემი ძველი მეგობარი და ახლობელი ყოფილიყოს.

— რომელ ფაკულტეტზე შედიხარ? — ვკითხე და ზეზე წამოვდექი. ჩემზე ორიოდე გოჯით დაბალი იყო.

— ფილოლოგიურზე, შენა?

— მეც.

— შეიტანე უკვე საბუთები?

— არა, აგერ ახლა ვაპირებდი.

— მოდი, დაწერე განცხადება და შეიტანე, ერთ ჯგუფში მოვხვდებით. შენ ას ოცდამეთერთმეტე იქნები, კალამი გაქვს?

— კი.

განცხადება ხელად გამოვაცხე, საბუთები ერთხელ კიდევ გადავათვალიერე და ორივენი მივედით იმ სარკმელთან, სადაც ქერა, ლამაზი ქალი იჯდა და ყველა საბუთს დინჯად ათვალიერებდა ხოლმე.

— რა გქვია? — მკითხა ახლად გაცნობილმა ბიჭმა.

— ილო.

— მე ანზორი მქვია.

ქერა ქალს საბუთები გადავაწოდე. ყურადღებით, სათითაოდ ათვალიერებდა ყველა საბუთს და გულში შიშმა გამირბინა. ვაითუ რამე აკლდეს და უკან გამაბრუნოს-მეთქი. მაგრამ აგერ, ბოლომდე გავიდა, მერე ყველა საბუთი თან-

მიმდევრობით დაალაგა, სამაგრი გაუკეთა და გვერდზე გადა-
დო. შვებით ამოვისუნთქე.

— ოცდახუთში მოხვალთ და საგამოცდოს მიიღებთ,— მითხრა ქერა ქალმა, პატარა ქაღალდი გადმომცა და ამით მორჩა ჩემთან ყველაფერს.

ნომერს დავხედე, მართლაც ასოცდამეთერთმეტე ვიყავი,

— ესეც ეგრე, — მივუბრუნდი ახალგაცნობილ მეგობარს და გავუღიმე. იმანაც გამიღიმა და მის თვალებში ერთხელ კიდევ დავინახე უჩვეულო სითბო და სიყვარული.

— რა ვქნათ ახლა, სად წავიდეთ? — მკითხა ანზორმა და ისე მომაჩერდა, თითქოს ჩემგან ელოდა ხსნას.

— სადაც გინდა!

— წამო, ბაღში დავსხდეთ, ცოტა გრილა იქ.

— რომელ ბაღში?

— აქვე, უნივერსიტეტის ბაღში, არ ყოფილხარ?

— არა!.. პირველად ვარ უნივერსიტეტში.

— მე შარშან ვაბარებდი, მაგრამ... — ხელი ჩაქნია, განზე გაიხედა და მოღიმარე, კეთილი თვალები დაუსევდიანდა.

— შარშან რაზე აბარებდი?

— ფილოლოგიურზე.

— ჩაიჭერი?

— ქართულ წერაში ოთხი მივიღე, ზეპირში ხუთი... ისტორიაში ხუთი, ყველას ეგონა, რომ ჩავირიცხებოდი, წინასწარ მილოცავდნენ, მაგრამ რუსულ წერაში დამავაქაცეს. სოფლიდან ჩამოსულები რუსულში ვფლავდებით. შენ როგორ გაქვს საქმე, გადაურჩები?

თითქოს ნაიარევზე დამადგეს ფეხი, ისე შემაცბუნა ამ კითხვამ. კვლავ გაიღვიძა ჩემს სულში მთვლემარე შიშმა და შემაძრწუნა, მაგრამ ამაზე ფიქრი ხელს არ მაძლევდა და მყისვე უკუვაქციე.

— რა ვიცი, რუსულ ენაში სულ ხუთებს ვიღებდი, ერთი სიტყვით, გრამატიკა კარგად ვიცი... წერა კარნახით არის, არა?

— შარშან ეგრე იყო, წელსაც ალბათ ასე იქნება. ნუ გეშინია, თუ გრამატიკა კარგად იცი, გაძვრები, — დამაიმედა ანზორმა.

უნივერსიტეტის შენობიდან გამოვედით თუ არა, მარცხ-

ნიკ. საღისაკენ ჩავუხვიეთ, მაგრამ მოულოდნელად ისეთი მადისაღმძვრელი სუნი მეცა, ფეხი ამათრევინა, საიდანღაც მოხარშული სოსისის ოხშივარი გამოდიოდა. ახლაღა ვიგრძენ, რომ მშიოდა. თვალწინ დამიდგა, წითლად დაბერილი ტკაცუნა სოსისი. ცივი, ქაფქაფა ლუდი და კუჭი ამიფორიაქდა.

— ანზორ!

ოდნავ წინ მიმავალი ანზორი შეჩერდა და ჩემსკენ შემობრუნდა. და ერთბაშად თვალში მეცა მისი გამხდარი, ვიწრო და ოდნავ შეღუნული ბეჭები. ასეთი აღნაგობის ბავშვებს დუხჭირი ცხოვრება აქვთ ხოლმე გამოვლილი. არც მე მქონია ბავშვობა დალხენილი, მაგრამ ჯიშისა და ჯილაგის წყალობით, ან ეშმაკმა იცის, რის შემწეობით, ფიზიკურად არა მიჭირდა რა.

— ანზორ აქ სადღაც სასადილოა, არა?

— აგერ არის უნივერსიტეტის სასადილო, — ხელი გაიშვერა იმ ღია კარისაკენ, საიდანაც ის მადის აღმძვრელი ოხშივარი გამოდიოდა.

— მოდი, ცოტა შევჭამოთ რამე, დღეს ლუკმა არ ჩამიდვია.

— სიამოვნებით.

სასადილოში ორიოდე ადამიანი სადილობდა. ალბათ ჩვენსავით ჩამოსულები იყვნენ.

— სამი სოსისი და ორი ლუდი, — დავუკვეთე დახლიდარს.

— მოიცა, შენ მაგიდასთან დაჯექი, — მხარზე დამადო თავისი გამხდარი და დაძარღვული ხელი ანზორმა.

გავჯიუტდი, მე დაგპატიჟე-მეთქი. როგორც იყო, დავიყოლიე და ღარიბულ სუფრას შემოვუსხედით.

— ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს! — ჭიქა მომიჯახუნა ანზორმა.

— გაუმარჯოს.

— გვარები არ ვიცით ერთმანეთისა.

— ჩემი გვარი ღულულაშვილია.

— სადაური ხარ?

— კახელი, მაჭარაულია ჩემი სოფელი, ახმეტის რაიონში.

— კეთილი, მე სისაური ვარ, ატენიდან.

ჭიქები უხმოდ გამოვცალეთ, ლუდი ცივი იყო და მეგემრიელა, მადა გამიხსნა. ორი ბოთლი რომ გამოიცალა, ანზორმა ორი კიდევ მოატანინა. ის ორიც გამოვცალეთ და ახლა ოთხი შემოვდგი. ლუდმა გაგვაბრუა, ერთი სიტყვით კარგ გუნებაზე დაგვაყენა და ენა გაგვიხსნა.

— ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს! — მეუბნება ანზორი და თვალებში ღიმილით მომჩერებია, — თუ გაგვიმართლდა და მოვეწყვეთ, ატენში წავიდეთ, იცი, რა სოფელია?

— რაღა ატენში, კახეთში წავიდეთ, ბახტრიონი გინახავს? ალავერდი გინახავს? შუამთა, გრემი. სულ მოგატარებ...

ანზორს სიამით ეღიმება და თავს მიქნევს, არაო, არ მინახავსო, მაგრამ გამიგიაო.

— იქაც წავიდეთ და იქაც, ჩვენი ნება არ არის? რა დაგვიშლის.

აგრე იყოს-მეთქი, მხრებს ვიჩეჩავ. მერე ორივენი ვდუმვართ...

მე თვალწინ მიდგას ჩემთვის უცხო სოფელი ატენი, ჩვენი მომავალი მეგობრობა და სტუდენტობა და თავს ისე ვგრძნობ თითქოს ნეტარების ზღვაში ვცურავდე. ვიცი, ანზორიც ოცნებობს. მას ალბათ კახეთი ელანდება, ბახტრიონი, გრემი, ალავერდი, ლექციები, აუდიტორია და მომავალი მეგობარი, ისეთი ჭეშმარიტი მეგობარი, როგორზედაც სიყრმეში გვიოცნებია, როგორიც რომანებში შეგვხვედრია.

— ილო, — მეუბნება იგი და მაჯაზე თავის გამხდარ ხელს მადებს, — იცი რა, თუ ერთ-ერთი ვერ მოვეწყობით, მაინც ნუ დავკარგავთ ერთმანეთს.

— ეგ არც მიფიქრია.

— იცი, რათ გეუბნები? ზოგი, რაკი უმაღლესში მოეწყობა, ძველ მეგობარს დაკარგავს ხოლმე.

— მაგაზე ნუ ფიქრობ, ორივენი მოვეწყობით.

— დავუშვათ და ვერც ერთი ვერ მოვეწყოთ!

— მოვეწყობით, მოვეწყობით!

— მარტო შენ რომ მოეწყო?

— მაინც არ დაგივიწყებ.

— მე ჯარში წამიყვანენ.

— ჯარიდან რომ ჩამოხვალ, მაშინაც შეიძლება... თუმცა, მოდი, მაგაზე ნუ ვიფიქრებთ.

ანზორმა ამოიოხრა. კუთხეში მსხდომ ბიჭებს მიაჩერდ
მაგრამ შევატყვე, სულ სხვა რამეზე ფიქრობდა, სხვაგან იყ
მისი აზრი და გონება.

— ილო, მამა ხომ გყავს?

— არა, ჯარში დამეღუპა, პოლკოვნიკი იყო, არტილერი
ტი.

— გახსოვს?

— სიზმარივით, ოთხი წლისა ვიყავი. ჩემი და უფრო პ
ტარა იყო, ორი წლისა.

— მართლა პოლკოვნიკი იყო?

— კი, სიკვდილის წინ გახდა პოლკოვნიკი. შენა გყავს მ
მა?

— მე მყავს. დედაცა მყავს, მამაც და ერთი ცოლშვილი
ანი ძმა.

— რას აკეთებს მამაშენი?

— გლეხი კაცია... სულ იმის ნატვრაშია, ნეტავ ამან მა
ინც გამიმართლოს და ნასწავლი გამოვიდესო.

— ნუ გეშინია, გაუმართლებ.

ანზორმა ჩემს ბოლო სიტყვას ყური აღარ ათხოვა. ჭიქ
აიღო და... მოდი, ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოსო. გაუმარ
ჯოს-მეთქი, კვერი დავუკარ, მაგრამ თავი გაიქნია, მაგრე არაო
ფიცი დავდოთ, რომ ერთმანეთს არ დავივიწყებთო. დავდოთ
მეთქი. ხელი მოიტაო და ერთმანეთს ხელი მაგრად ჩამოვარ
თვით. ამ წუთს ორივეს გვჯეროდა, რომ ამ ფიცის შესრულე
ბა ისეთივე იოლი იყო ჩვენთვის, როგორც ამ ერთი ბოთლ
ლუდის გამოცლა.

— ილო, ლექსებს ხომ არ წერ?

— კი, ვწერ.

— მეცა ვწერ. თითო-ოროლა ლექსს „ნორჩ ლენინელ
ში" მიბეჭდავენ. „ახალგაზრდა კომუნისტშიც" დამიბეჭდ
ერთი ლექსი, მერე კი აღარაფერი გააჭაჭანეს.

— მართლა? მერე, გამოცდების დროს შეღავათი არ მოგ
ცეს?

— აბა!.. რუსულ წერაში რომ ჩავიჭერი, დეკანთან მივე
დი და ვუთხარი, ეგრეა და ეგრეა საქმე, ახალგაზრდა პოეტ
ვარ, ნუ დამღუპავთ-მეთქი. გაიცინა და მითხრა: ეგნატე ნი
ნოშვილს უმაღლესი არ დაუმთავრებია, მაგრამ შესანიშნავ

ნწერალი იყოო. მე ვუთხარი, მაშინ სხვა დრო გახლდათ-მეთი, საქმეში ხარ, ყურშიც არ შეუშვა. სჯობს კაცმა სულ არ ეაამხილო, ლექსებს ვწერო.

ამას კი აღარ მოველოდი. სხვას რომ ეთქვა, იქნებ არც დაჭეჯერებინა, მაგრამ ჩემი ახალი მეგობარი ისე დამაჯერებლად, ჩვეულებრივად და უბრალოდ მეუბნებოდა ამას, ეჭვიც კი არ შემპარვია.

— წამაკითხებ ლექსებს?

— ხვალ წამოვიღებ და წაგიკითხავ. შენც წამოაყოლე. თერთმეტ საათზე აქ შევხვდეთ, ბაღში დავსხდეთ და ვიმეცადინოთ. წიგნები წამოიღე.

ბინდი ეფინებოდა ქალაქს, ქუჩაში რომ გამოვედით. აქაიქ ინთებოდნენ ლამპიონები. ლამაზად ღამდებოდა დედაქალაქში. მე და ჩემი ახალი მეგობარი შეზარხოშებულნი, მომავალზე ოცნებით გაბრუებულნი ფეხით მივყვებოდით რუსთაველისაკენ მიმავალ განათებულ ქუჩას და ორივეს გვეჩვენებოდა, რომ ჩვენი საოცნებო, მომავალი სამყარო ლამპიონებით განათებულ ამ ქალაქივით ლამაზი და კაშკაშა იყო.

გვიან ღამით დავცილდით ერთმანეთს მე და ანზორ სისაური. დავეხეტებოდით ქალაქის ქუჩებში, ოცნებობდით მომავალზე და ერთმანეთი აღარ გვეთმობოდა.

როცა მარტო დავრჩი, სინანულმა შემიპყრო. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს დიდი ხნის სიყრმის მეგობარს სამუდამოდ დავცილებოდი. მაგრამ კმაყოფილი და იმედით სავსე ვიყავი. ჩემი ცხოვრების ახალ გზაზე პირველივე შემხვედრი მგზავრი, ანზორ სისაური საოცნებო მწვერვალისაკენ მიმავალს ამემგზავრა და მხარში ამომიდგა. მარტო აღარ ვიყავ ამ დიდ ქალაქში, მარტო აღარ ვიყავ ამ დიდ ჯირითში, სადაც მხოლოდ რჩეულნი იმარჯვებენ. ჩემ გვერდით იყო, ჩემს ჭირსა და ლხინს იზიარებდა, მაქეზებდა და მამხნევებდა, საოცრად კეთილთვალებიანი ბიჭი ანზორ სისაური.

ფიქრსა და ოცნებაში გართული, აღარც კი მახსოვს, დინამოს სტადიონთან როგორ აღმოვჩნდი, ტრამვაის ვაგონიდან სწრაფად ჩამოვხტი და ფეხით გავყევი დეიდაჩემისაკენ მიმავალ ქუჩას.

აგერ ეს მეტად ნაცნობი ჩიხი და ოცდაერთი ნომერი სახლიც. ქუჩიდანვე მეუცნაურა უჩვეულოდ გაჩახჩახებული ფან-

ჯრები და მაშინდა გამახსენდა, რომ ოლიას დაბადების დღე იყო. ფეხი ავითრიე, აგრე ხელცარიელი როგორ მივტლაკუნდე მეთქი. მომაგონდა, რომ იქვე გასტრონომი იყო და გამოვბრუნდი. აბა სხვა რა უნდა მეყიდა, ერთი ტორტი ამოვიიღლიავე, ხელცარიელი აღარ მეთქმოდა. ვიცოდი, დეიდაჩემი გამიწყრებოდა, მაგრამ ყურადღება და პატივისცემა გულში ყველას უხარია. ეგეც არ იყოს, ჩემს სინდისთან ალალ-მართალი ვიქნებოდი.

როგორც კი ავედი კიბეზე, სამზარეულოდან გამოვარდნილი შემწვარ-მოხრაკულის სუნი მეცა. ოთახიდან შეზარხოშებული ხალხის სიცილ-კისკისი ისმოდა.

— სად ხარ აქამდე, შვილო, ლამის ძებნა გამოვაცხადეთ!

კიბის თავში დამხვდა დეიდაჩემი.

— რა ვიცი, გავისეირნე, ქალაქში გზებს ვსწავლობ.

— შედი, შედი, რამდენი ხანია სტუმრები დასხდნენ, ოლია დარდობდა, გზა ხომ არ აებნაო.

— ეს სადმე დადე სამზარეულოში.

— რა არის, ბიჭო?

— არაფერი, ტორტია.

— მეხი კი დაგეცეს, აჰა! — გაიცინა დეიდაჩემმა, ტორტი სამზარეულოში შეიტანა და ისევ მე მომიბრუნდა:

— შვილო ილო, მოდი აქა!

სამზარეულოში შევყევი.

— ოლიას წინ გამხდარი ბიჭი ზის, ულვაშიანი, შავგვრემანი, აბა ერთი დააკვირდი, თუ მოგეწონება. მათემატიკოსია, მეცნიერ-მუშაკიაო.

— რაზე მეკითხები, დეიდ?

— ოლია მოსწონს იმ ბიჭს.

უცებ მივხვდი, რომ დეიდაჩემს გვერდით ისეთი არავინ ჰყავდა, ვისაც გულს გადაუშლიდა. ამიტომ გამანდო თავისი გულის ფიქრი, ვითომ ამ საქმეში დიდი ჭკუა მეკითხებოდა. მეც შევიფერე, კარგი-მეთქი, თავი დავუქნიე და ოთახში შევედი.

რამდენიმე წყვილი თვალი მე მომაჩერდა. სულ დავიბენი, ბუნდად ვხედავდი გოგონებს და ბიჭებს, მაგრამ მკაფიოდ გამოვარჩიე ცისფერ კაბაში გამოწყობილი ოლია. კაშკაშა სინათლეზე უფრო ლამაზი ჩანდა. ეშხიანი, წყლიანი თვალები ისე

უცომციმებდა, მტერსაც კი გული გაეხსნებოდა. გამიღიმა და ელით მანიშნა, აქეთ წამოდიო.

— ჩემი დეიდაშვილი გახლავთ კახეთიდან, უნივერსიტეტში აბარებს. — წარმადგინა ოლიამ სტუმრებს.

საერთო სალამი ვთქვი და ოლიას გვერდით დავუჯექი. თვალები მიჭრელდებოდა, ბუნდად ვხედავდი თანამესუფრეების სახეებს და სუფრაზე დაყრილ ხორაგს. ერთი სული მქონდა ჩემდამი ყურადღება როდის შენელდებოდა და, აჰა, წამოდგა თამადა, ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა არწივივით გადახედა სუფრას და ბოხი, რიხიანი ხმით დაიძახა:

— აბა, ყველამ დალიეთ?.. მაშინ შეავსეთ ჭიქები! —მერე ჩვენსკენ გამოიხედა და ოლიას უთხრა, შემოსწრებულს დაალევინეო. ოლიამ ყანწი ამივსო და მომაწოდა, აბა, კახელო, არ შემარცხვინოო. ოლია ვადღეგრძელე და ყანწი სულმოუთქმელად გამოვცალე.

— ყოჩაღ! — შემაწია თამადამ.

ღვინო სწრაფად ამივარდა თავში. სულ რაღაც ერთ წუთში სითამამე მომემატა. თვალი გადავავლე სუფრაზე მსხდომთ, ყველა ყურადღებით მოვათვალიერე... ხუთი ვაჟი და ორი ქალი იყო.

„ნეტავ პოეტები რომლები არიან?“ — გაკიფიქრე გუნებაში...

თვალში მომხვდა ერთი შავგვრემანი, ულვაშიანი ბიჭი. ის შედარებით მოწყენილი ჩანდა.

ალბათ ეს ის მათემატიკოსი იყო, დეიდაჩემმა რომ მითხრა, დააკვირდიო. ულირსი ბიჭი არ ჩანდა, მაგრამ ოლიას ღირსად მაინც ვერ მივიჩნიე. ოლია იშვიათი სილამაზის ქალიშვილი გახლდათ, სახითაც და ტანადაც.

— გადაიღე რამე, ბიჭო! — წამჩურჩულა ოლიამ და სუფთა თეფში მომიწია.

— ახლა გეახელი, არა მშია.

სოსისით და ლუდით ისე ვიყავი გაბერილი, პირში ლუკმას თუ ჩავუშვებდი, აღარ მეგონა, მაგრამ ღვინომ მაინც გამიხსნა მადა.

— ჰა, სიმონიკა ბიჭო, გაგვაგონე შენი ტკბილი ხმა! — გადაუბუხუნა თამადამ თხელ მომცრო ტანის ბიჭს და უცებ გაისმა საკმაოდ ტკბილი, მელოდიური ხმა:

დაგინახე ჩაის სვამდი,
შიგ შაქარი ჩაგეყარა...

სიმონიკას ქალიშვილებიც აჰყვნენ.

პირველად მეგონა, რომ მასხრობით წამოიწყეს ეს სიმღერა, მაგრამ საამისო ვერაფერი შევნიშნე, მეტად სერიოზულად მღეროდნენ.

მე სუფრა მოვათვალიერე, იქნებ რაიმე მესიამოვნოს-მეთქი. თვალი მოვკარი მოზრდილ თეფშზე ცერად დადებულ გოჭის თავს. პატარა დინგი პირდაპირ ჩემკენ მოეშვირა. წვრილი, დაკრეჭილი კბილებიდან ენა გამოეყო. ალბათ როცა კლავდნენ, სიმწრით დაკრიჭა კბილები და ენა კბილებს შუა მოჰყვა. დავაკვირდი, დავაკვირდი და უცებ შემაზრზენი სიკვდილი შევიცანი. თითქოს იქ, ამ დაკრეჭილ კბილებსა და გამოჩრილ პატარა ენაში ცივი სიკვდილი მოკალათებულიყო. ჩემს წინ, ვაზაზე დაყრილ თხილს მივწვდი.

ვაი და როგორ გიხდებოდაა!
შენი ჭირი შემეყარაა!

განაგრძობდნენ სიმღერას მოქეიფეები.

— აი ის, თამადა რომ არის, პოეტი ვანი გავაშელია, გაგიგია?

— მგონი გამიგია, ვანი სახელია?

— ვანო ჰქვია, ჩვენ კიდევ ვანის ვეძახით, შინაურულად...

— სიმღერა რომ წამოიწყო, ისიც ახალგაზრდაა, მაგრამ ცნობილი პოეტია, სიმონ ბუაძე. ეგეც ჩემს კურსზე სწავლობდა. იცი რა სასიკვდილეა, ვენაცვალე, სუფრაზე მაგასთან ჯდომა ერთ რამედ ღირს. სიმღერა, ანეკდოტები, ხუმრობა... გადასარევი ვინმეა.

— აჰ, ბუაძე ეგ არის? მაგის ლექსები წამიკითხავს.

— გავაშელის გვერდით რომ ზის, თმახუჭუჭა ახალგაზრდა პროზაიკოსი ჟორა ხარაშვილია. ძაან დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

— ის ორნი, ისინიც მწერლები არიან?

— ის ერთი, თმახუჭუჭა, ამათი მეგობარია, კრიტიკოსი. მეორე ულვაშიანი, მათემატიკოსია, — და ოლია გაწითლდა.

ამ დროს სიმღერაც გათავდა და თამადა, პოეტი ვანი გავაშელი, როგორც ოლიამ გამაცნო, მორიგი სადღეგრძელოს სათქმელად წამოდგა. ყურადღებით დავაკვირდი, პირველად ვხე-

დავდი საკუთარი თვალებით პოეტს, პირველად უნდა მესმინა მისი სიტყვა. ბეჭგანიერი გახლდათ, თავგადაკრეჭილი. აულ ჩაკუნთული და მკერდამობურცული იყო. ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, ჯავშანგადაკრული ტანკია-მეთქი.

განიერ მხრებზე და მოკლე კისერზე საოცრად მრგვალი თავი ედგა. საბავშვო წიგნებში, მოლიმარი მზე ხომ გინახავთ? აი, სწორედ ისეთი. ზედ კოსროსთან კისერი ბუღა კამეჩივით ეკეცებოდა. პერანგის გულის ჯიბიდან ოთხად დაკეცილი ქათქათა ცხვირსახოცი მოუჩანდა. მუჭაში ჩაახველა და სუფრას თვალი გადაავლო.

— მეგობრებო, ვიდრე მორიგ სადღეგრძელოს ვიტყოდე, თითო ლექსი წავიკითხოთ. სიმა, დაგვდე პატივი...

სიმამ თავი ასწია.

— მე რა შუაში ვარ, ტო, ფეხზე შენა დგახარ! — თან ხელები გაშალა.

თამადამ თავი ჩაღუნა. სუფრაზე სიცილი გაისმა.

— მაშინ ერთ სადღეგრძელოს ვიტყვი და მერე.

— არა, ახლავე, ახლავე! — აჯანყდნენ ქალიშვილები და თამადას ვედრებით მიაჩერდნენ, თვალებში შესციცინებდნენ.— ვანი, არ გაგვაწბილო!

ვანიმ გულის ჯიბიდან ქათქათა ცხვირსახოცი ამოიღო, ცხვირზე მიისვ-მოისვა, მერე ხელები ზურგსუკან დაიწყო და მკერდი უფრო წინ წამოაგდო. სუფრა გაინაბა, ყველა პოეტს მისჩერებოდა.

— მე წაგიკითხავთ ერთ ლექსს, ჩემი კრებულიდან „მწვანე სივრცეები“, რომელიც ახლა გამოვა. ეხე!.. — და თითქოს ქვეკრში ჩასძახისო, ისეთი ხმით დაიწყო:

მე შემოვედი ნისლიან პორტში,
გემებით სავსე
და მთვარეებით
და ვარკვლავებით
და თეთრი მდინარესავით სოველი თვალებით
მე ზეფირივით ვიყავი სათნო,
ოდეს იმა დღეს მოვედი შენთან.
ჩემში იმდენი კისკისებდნენ თეთრი ალები,
მერე შენ იგრძენი დაკარგული გემის სიმწვავე
და დაგენანა მეზღვაური, რომლის სული ცაში
აღვლინდა.

სუფრაზე ტაშმა იფეთქა. მე არ მეგონა თუ ლექსი დაბოლოებული იყო და ცოტა დაბნეული მივჩერებოდი ხალხს. სახეზე ყველას ნებითი თუ უნებლიე აღტაცება ეხატა, მარტო ულვაშიანი მათემატიკოსი იჯდა გაუნძრევლად, თავჩაღუნული.

— და დაგენანა მეზღვაური, რომლის სულიც ცაში აღვლინდა.

— კარგია, ვანი კარგი! — ფეხზე წამოდგა ხუჭუჭა კრიტიკოსი. — ამას, ამხანაგებო, მიხვედრა უნდა, ჩაკვირვება. საფანდურე პოეზიის დრო აღარ არის ახლა. მომილოცავს, ვანი! — კრიტიკოსი მივიდა და გადაკოცნა. — მე ამ ლექსზე და, საერთოდ, ამ წიგნზე, ჩემს აზრს საჯაროდ ვიტყვი.

ვანი გამარჯვებული ფალავანივით იდგა, ცდილობდა გულგრილად დაეჭირა მზესავით მრგვალი თავი, მაგრამ სახეზე კმაყოფილება მაინც ეტყობოდა.

— სიმა, ახლა შენი რიგია! — ყველას გასაგონად გადასძახა თამადამ და თვითონ დაჯდა, თან არ ვიცი, რათა, ჩემკენ ვამოიხედა.

— მოგეწონა? — ყურში მიჩურჩულა ოლიამ.

— რაზე მეკითხები?

— ლექსი არ მოგეწონა?

— რა ვიცი, ყველას მოეწონა და... ალბათ კარგია, — აღოვილუღლუღე.

სინამდვილეში იმ ლექსისა ვერაფერი გავიგე, ვერც თავი და ვერც ბოლო. ამან ცოტა შემაკრთო და საკუთარი გემოვნებისადმი რწმენა შემირყია.

ამ დროს სიმონ ბუაძეც წამოდგა. ჩია, დაბალი ბიჭი იყო, სახეზე სულ ღიმილი გადასდიოდა.

— დაბადების დღეა, ტო, თუ პოეზიის საღამო! — ღიმილით გადაულაპარაკა მან ვანი გვაშელს და მერე ოლიას მიუბრუნდა, — შენ, ტო, შემთხვევით პოეტი ხომ არა ხარ?

სუფრაზე ხარხარი ატყდა, თვითონ სიმაც იცინოდა. მერე სიცილი უცებ მოსხიპა და რიხიანად ხმამაღლა დაიწყო:

ჩემო მამელო, გფიცავ,
შენს სიყვარულსა ვჩემობ,
რაც კარგია ჩემში,
რაც დიდია ჩემში,
გულის დარდი და ეშხი
ყოველი შენში ვიცან,
დიდო მამელო ჩემო,
შენთან შენს გვერდით ალბათ,
დავძლევ ყოველგვარ ტკივილს.
იყოს ბინდი და ნისლი,
იყოს წვიმა და თოვლი;
იყოს ჯანღი და ბერი,
ველა მომიზლავს კეთილს,
რადგანაც დანყოსავით
ამოვიგლეჯე გული
და შენ ერთს მოგაძღვენი!

საერთო ტაშს და აღტაცებას ჩემი ტაშიც შეუერთდა. რა თქმა უნდა, ლექსის შინაარსი უცბად ვერ აღვიქვი, მაგრამ ჩემზე გარეგნული გავლენა მაინც მოახდინა. სიმონ ბუაძეს, სულ რომ იცინოდა და მხიარულობდა, ახლა დინჯად ეჭირა თავი. ისევ ფეხზე იდგა და თავისი ჩია ტანის მოძრაობით ირგვლივ მადლობას აჩიგებდა.

— მეგობრებო, — უცებ წამოდგა ოლია, — თქვენ იცით, რომ ჩემი დეიდაშვილიც დამწყები პოეტია, ლექსებს წერს?

თავზარი დამეცა, არ ვიცოდი, რა უნდა მომხდარიყო ამაზე უარესი ჩემთვის. ერთიხანობა დავაპირე, ავდგები და აქედან მოვუსვამ-მეთქი, მაგრამ ისე ვიყავი გაოგნებული, ადგილიდან დაძვრა ვერ მოვახერხე.

— იქნებ ერთი ლექსი ამ ყმაწვილმაც შემოგვაწიოს!

ეს თმაჭაღარა პროზაიკოსი ჟორა გახლდათ. ალმაცერად გავხედე. ეშხიანი, ლამაზი ბიჭი იყო, მაგრამ შავი, წვრილი თვალები გველივით უცინოდა.

— მართლა წერთ ლექსებს? — მითხრა თამადამ და ყველა მე მომაჩერდა.

— არა, ათასში ერთხელ... ბავშვობაში დამიწერია. ისე კი მიყვარს ლექსები, პოეზია.

— რა გვარი ბრძანდებით? — მკითხა თმაჭაღარა პროზაიკოსმა.

— ღულულაშვილი.

— ღულულაშვილი? — გაუკვირდა ვანი გავაშელს და მხრები აიჩეჩა. — ქართველი ხარ თუ?

— ჩემი დეიდაშვილი წარმოშობით თუში გახლავთ, მეგობრებო. ამის წინაპრები ღულულაურები იყვნენ, — განმარტა ოლიამ.

— აჰაა!..

— ჰოო... ესე იგი, ქართველი ყოფილა.

ეს უკვე მეორე დარტყმა იყო ჩემი გვარის გამო. პირველი დარტყმა კი თბილისში რომ მოვდიოდი მატარებლით, მაშინ ვიგემე. საგარეჯოში გამთენიისას ერთი გაბერილი კაცი ამოვიდა ჩემს კუპეში.

— აუჰ, რა სიცხეა აქ, — ჩემ გასაგონად თქვა, რაკი სხვა არავინ იყო. საზაფხულო შლაპა მოიძრო და გვერდზე მოისკუპა. სულ ქოშინებდა, ალბათ ასთმა სჭირდა.

— სად მიდიხარ, ბიჭო?

თბილისში-მეთქი, ვუთხარი.

— აუჰ, ხალხი თბილისიდან გარბის და შენ იქ მიდიხარ. იწვის იქაურობა.

რას ვიზამ, უმაღლესში გამოცდებს ვაბარებ-მეთქი.

— ყოჩაღ, — გაიკვირვა იმ კაცმა. — სადაური ხარ?

კახელი ვარ-მეთქი, ახმეტიდან.

— აუჰ, აპა ფული გექნება, კახელები მდიდრები ხართ... ისე, ამ ბოლო დროს კახელებმაც მიჰყავით სწავლას ხელი, უკვე კულტურაში გამოხვედით... რა გვარი ხარ?

ღულულაშვილი-მეთქი.

— სომეხი იქნები.

ისე უბრალოდ მითხრა, კაცს რომ მიესალმები, დილა მშვიდობისაო...

ეს პირველი დარტყმა გულში ეჭვის თესლად ჩამივარდა და შემარყია. აი, დღეს კი დეიდაჩემის სახლში, მეორედ ჩამსისინეს და ჩემს სულში გაჩნდა, ღმერთო, ბზარი, რომელიც შემდეგ იზრდებოდა და იზრდებოდა.

— რომელი პოეტი გიყვარს? — ფიქრებიდან გამომარკვია კრიტიკოსმა.

— რა ვიცი... ვაჟა, ილია, აკაკი, ბარათაშვილი.

— მაგათ თავისი დრო მოჭამეს, გენაცვალე, — ჩაიბუხუნა

ვანი გავაშელმა. — დღეს ვინ, ვინ მოგწონს? ევროპელ პოეტებს თუ არ იცნობ, ჩვენი, ქართველი პოეტებიდან.

ორი ცნობილი ქართველი პოეტის გვარი დავასახელე. ყველაზე ძაან ესენი მომწონან-მეთქი, გახმაურებული, აღიარებული პოეტები იყვნენ ორივენი.

— ვინა, ვინა? — მკითხა სიმონ ბუაძემ.

კვარები გავუმეორე.

— ვინ არიან ესენი, მე არ გამიგონია, — მერე პროზაიკოსს მიუბრუნდა. — შენ გაგიგია, ტო, ასეთი გვარები?

— არა, ტო, საიდან! — დაუდასტურა პროზაიკოსმა ქორამ.

— ლექსებს წერენ? — ისევ მომიბრუნდა ბუაძე.

— კარგით, ნუ გადარიეთ ბიჭი, ოხ, სიმა, რა ხარ! — გაუწყრა ოლია.

— რა ვარ, ტო, — ხელები გაშალა ბუაძემ, — ეგეთი გვარები არ გამიგია და რა ვქნა, ისე კი ვიცნობ მაგათ. აი, მე გამიგია ჭიჭინაძე, გავაშელი, სირაძე...

— სიმონ ბუაძე! — სიტყვა მიაშველა ხუჭუჭა კრიტიკოსმა.

— აი, ესენი ვიცი, რომ პოეტები არიან.

უცებ შევნიშნე, თმაჭაღარა პროზაიკოსს თავი ჩაეღუნა და იცინოდა. ულვაშიანი მათემატიკოსი მოწყენილი იჯდა.

— ოხ, რა ხარ, სიმა! — იცინოდნენ ქალიშვილებიც.

— ამ საძაგლებს ყურადღებას ნუ მიაქცევ! — ხმამაღლა მითხრა ოლიამ, — ამათ ეგრე იციან, ხუმრობა უყვართ.

— არა... მერე რა? — წავილუღლუღე და ნაძალადევად გავიცინე.

ღმერთმა უშველოს ხუჭუჭა კრიტიკოსს, იმან მიხსნა გაჭირვებისაგან, წამოდგა და საღღეგრძელო მოითხოვა. თამადა ერთ ხანს გაჯიუტდა, მაგრამ კრიტიკოსმა დაარწმუნა, ეგრეა საჭიროო, ჭიქა აიღო, სმენა და გაგონება იყოსო.

— მე მინდა, მეგობრებო, დავლიოთ ჩვენი პოეზიის, ჩვენი მწერლობის წარმომადგენლების საღღეგრძელო.

— კარგია, კარგი! — აქეთ-იქიდან გაამხნევეს ქალიშვილებმა.

— სიმადან მინდა დავიწყო... სიმონ ბუაძე, მეგობრებო, ჩვენი პოეზიის ამომავალი მზე გახლავთ. მართალია, ჯერ ახ-

ალგაზრდაა, მაგრამ პოეზია და ახალგაზრდობა ვის გაუყვია ერთმანეთისაგან. განა ჩვენმა სათაყვანებელმა გალაკტიონმა ახალგაზრდობაშივე არ დაწერა თავისი შედევრები?! რა თქმა უნდა, ასეა. სიმას გზა პოეზიაში, მისი სტილი სულ სხვაგვარია... — კრიტიკოსი შეირხა და სავსე ჭიქიდან პერანგზე რამდენიმე წვეთი გადაესხა, მაგრამ არ შეიმჩნია, ენა გააწკაპუნა და ისევ განაგრძო. — იმას ვამბობდი, იგი თავისი სტილითა და ხასიათით პუშკინსა და ბლოკს უახლოვდება ერთდროულად.

სიმონ ბუაძე თამადას მისჩერებოდა და ნიკაპს ატოკებდა. ეტყობოდა, ეს ჩვევად ჰქონდა, ადრეც შევამჩნიე.

— აბსოლუტურად მართალს ამბობ, ჩემო ღუტუ! — დაუმოწმა კრიტიკოსს ვანი გავაშელმა.

— დიახ, მართალს ვამბობ და ვისაც ჩემს სიმართლეში ეჭვი ეპარება, ხვალინდელი დღე დაგვანახვებს ყველაფერს... ახლა მინდა, მეგობრებო, მეორე ამომავალი ვარსკვლავი, ქართველი უიტმენი, ვანი გავაშელი ვადღეგრძელო. ჩემო ვანი, პოეზია ზოგს არ ესმის...

— არც არის საჭირო! — წაეშველა ვანი.

— დიახ, არც არის საჭირო, რადგანაც პოეზია რჩეულთა ხვედრია და მხოლოდ რჩეულები უნდა ჩასწვდნენ. საფანდურე პოეზიამ ჭირი მოგვამათ, ჩვენ ახლა გვესაჭიროება ინტელექტუალური, მაღალი, დახვეწილი პოეზია, ღრმა აზრის პოეზია. მართალია, ჯერჯერობით ზოგისთვის შენი ლექსის მადლი და აზრი მიუწვდომელია, მაგრამ ის რა პოეტია, ვინც წინ არ უსწრებს დროს. გავა ნახევარი ან ერთი საუკუნე და შენი ფასი აიწევს.

პოეტი ვანი გავაშელი გადატყლარჭულიყო, ფეხი ფეხზე შემოედო და დიდ, მზესავით მრგვალ თავს ხან მარცხნივ მიაბრუნებდა, ხან მარჯვნივ.

— ჩვენი პროზის ამომავალმა ვარსკვლავმა, ჩვენმა კაფკამ რაღა დააშავა? — მრავალმნიშვნელოვნად იკითხა ხუჭუჭა კრიტიკოსმა და აქვე დასძინა: — ვადღეგრძელოთ ეგეც, ჩვენი ჟორა ხარაშვილი. პროზაში იგი ახალ გზას ადგა. მან ერთადერთმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, შემოაბრუნა ქართული პროზა.,. მე მინდა, მეგობრებო, ორიოდე სიტყვით გადმოგცეთ მისი ნოველა „ტარაკანა". ადამიანი ტარაკანად გადაიქცევა. შეძვ-

რება ერთ სახლში და ესმენს ადამიანებს. ადრე, როცა ის ადამიანი იყო, უყვარდა მხოლოდ მოსმენა და ეზარებოდა ლაპარაკი. ამიტომ მას საყვედურობდნენ, უნო კაცი ხარო, ახლა აღარავინ საყვედურობს ტარაკანას. ტარაკანად ქცეულ ადამიანს უკვირს, რომ ესმის ადამიანების ენა, თურმე ერთი ენა ჰქონიათ ადამიანებსა და ტარაკანებს და, ვინ იცის, იქნებ ერთი წინაპარიცა ჰყავდათო, ასკვნის მწერალი. ამ ღრმად ფილოსოფიურ მოთხრობაში, მეგობრებო...

— საწყალი ადამიანი, ხან მაიმუნობას აბრალებენ, ხან ტარაკანობას! — ეს მათემატიკოსი იყო, ხმადაბლა ჩაილაპარაკა, ვითომ თავისთვის, მაგრამ კრიტიკოსმა ყური მოჰკრა.

— რა ბრძანეთ?

— არაფერი, არაფერი, ისე... — მოიბოდიშა მათემატიკოსმა.

— ხომ ვერ მეტყვით, ტილი ვისი წინაპარია? — ეს კი მე ვიყავი. ეშმაკმა უწყის, საიდან დამასკუპდა ეს სიტყვა ენაზე. ვიღაცამ ჩაიფრუტუნა, ჭაღარა პროზაიკოსმა რისხვით გადმომხედა, მეც შევუბღვირე და გულზე მომეშვა, რომ წეღანდელ სიცილზე სამაგიერო გადავუხადე. კრიტიკოსმა ისევ გადაიქცია ღვინო თეთრ პერანგზე, ელამივით დაიხედა ზედ, მერე ხელი ჩაიქნია და დაიძახა: ჭიქაში წვეთი არავინ დატოვოსო. მოიყუდა და ბოლომდე გამოცალა.

სადღეგრძელო ყველამ დალია. ჯერი სამადლობელზე მიდგა. მწერლებმა სათითაოდ გადაიხადეს სამადლობელი, მერე ერთმანეთს ფრთები გამოასხეს, ხოტბა-დიდება გაცვალ-გამოცვალეს და ამით დამთავრდა ეს ფრიად მნიშვნელოვანი სადღეგრძელო.

ამ ფრიად მნიშვნელოვანი სადღეგრძელოს შემდეგ თითქმის ყველას მოეკიდა ღვინო, ზოგმა თავი ჩაჰკიდა, ზოგს თვალები დაუელამდა. მარტო ვანი გავაშელი იჯდა ყინჩად, მზესავით მრგვალი თავი მხნედ ეჭირა და არწივის თვალებით იქაურობას ზვერავდა.

მე ორიოდე ყანწი კიდევ გადაეკარი. რატომღაც მინდოდა, გინებისა და აზრის დაკარგვამდე დავმთვრალიყავი.

რაკი ქალიშვილებმა აიკვირაძლეს, მამაკაცებიც აღარ გაჩერდნენ და ღამის თორმეტ საათზე აიშალნენ. თითქმის ყველა გვარიანად იყო ჩაბუქბუქებული... ოთახიდან გასვლისას ხუჭუჭა კრიტიკოსი სკამს წამოედო და ოთხზე დადგა. ულვაშიანმა მათემატიკოსმა ოლიას ხელზე აკოცა, დეიდას ზრდილობიანად დაემშვიდობა და თავს უშველა, ღვინისაგან გაჯანჯლებულ ხალხს გაუსხლტა, შინ მოუსვა.

უკვე მყუდროებას მიცემული ვიწრო ქუჩა ათიოდე წუთით ხმაურმა და ღიღინმა აავსო, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ტაქსები კიდევ მიმოდიოდნენ და ჩვენი სტუმრებიც ჯგუფ-ჯგუფად გაიკრიფნენ.

ოლია შინ რომ შემობრუნდა, საწოლზე მიესვენა და შვებით ამოისუნთქა, ყველაფერმა კარგად ჩაიარაო.

დეიდაჩემი სუფრის ალაგებას შეუდგა. ნელ-ნელა გაჰქონდა ჭურჭელი სამზარეულოში.

— შვილო, ილო, მოდი აქა! — სამზარეულოდან გამომძახა დეიდაჩემმა.

ოლიამ, როცა სამზარეულოში გავდიოდი, თვალი ჩამიკრა და გამიღიმა.

— როგორ მოგეწონა ის ბიჭი? — დეიდაჩემმა დოინჯი შემოიყარა და თვალებში ჩამაჩერდა.

— ძალიან კარგი ბიჭია.

— რაო, რაო, რაო? — თავს ღიმილით წამოგვადგა ოლია. — რას გეკითხება დეიდაშენი?

— რას უნდა ვეკითხებოდე, ის მათემატიკოსი როგორ მოგეწონა-მეთქი და ძალიანაო. რა ვიცი, ყველას მოსწონს და შენ რაღა ეშმაკი შეგიჯდა, შენი მოსაწონი აღარავინ გამოჩნდა.

— კარგი ბიჭია, მაგრამ მათემატიკოსს როგორ უნდა გავყვე, დედაჩემო. ჩემს ქმარს პოეზია უნდა ესმოდეს, მუსიკა, ხელოვნება... რას იტყვი, ილო. დადექი და უყურე იმის ფორმულებს.

— ყოველ შემთხვევაში ამ სუფრაზე ყველაზე სერიოზული კაცი ეგ იყო, — ვთქვი და იმავე წუთას ენაზე ვიკბინე.

ოლიამ გაოცებით შემომხედა, მიყურა, მიყურა და მერე დინჯად მითხრა:

— შენ მაინც არ უნდა ამბობდე მაგას, ბიჭო. მომავალი ფილოლოგი ხარ, პოეზიის მოყვარული.

— ძალიანაც კარგად გითხრა, — მხარი მომცა დეიდაჩემმა. — ჯანდაბას, შენცა და შენი პოეტებიც, ცარიელა მოლაყბეები არიან.

— დედა!.. — შეუწყრა ოლია.

— დედა, დედა!.. სიმართლე ყველას გწყინთ. ხედავ, ამ ბიჭმაც კი შეამჩნია, რა ბრძენი ამხანაგებიცა გყავს. ის აგრონომიაო და დაიწუნე, ეს მათემატიკოსიაო, ეს ის არიო. შინ რომ გამობერდები, მაშინ აგეხილება თვალები, მაგრამ გვიანლა იქნება, — და დეიდაჩემი სამზარეულოდან გავიდა.

ოლიას თვალებში ვეღარ ვუყურებდი, რადგან ამ უსიამოვნების მიზეზად ჩემს თავს ვთვლიდი, მაგრამ ისევ თვითონ გამოიჩინა დიდსულოვნება, გულთბილად გამიცინა და მითხრა, უყურე დეიდაშენს, რა ყოფაშიაო!

მე და ოლიაც ოთახში გამოვედით. დეიდაჩემს მაგიდა განეტვირთა და ცოტა რამ დაეტოვებინა ზედ.

— მოდით, ახლა დასხედით. მე მშიერი ვარ. — მაგიდას მიუჯდა და საცივს მისწვდა.

— ხათრს ნუ გავუტეხთ, ილო! — ხელი გადამხვია ოლიამ, მაგიდასთან მიმიყვანა.

სამივენი მივუსხედით სუფრას. დეიდამ ღვინით შეავსო ჭიქა და ოლია დალოცა:

— ღმერთმა კარგ აზრზე დაგაყენოს, შვილო. შენ ბედნიერებას შემასწროს. — მერე მე მომიბრუნდა, — დალიე, ბიჭო, შენც. — ხათრი არ გავუტეხე, ოლია ერთხელ კიდევ დავლოცე და ღვინო გადავკარი.

სამნი ვისხედით და ტკბილად ვჭუკჭუკებდით, რომ უეცრად კიბეზე მძიმე ფეხის ხმა გაისმა. ერთმანეთს შევხედეთ. ვიღაცა ნელა, მთვრალი კაცის ნაბიჯით ამოდიოდა კიბეზე.

— ვინ უნდა იყოს, ქა? — გაოცდა დეიდა და, ის იყო, ვიღაცამ ვეება სხეულით დაფარა ყუნწამდე გაღებული კარი.

— ზაქრო, შე უსინდისო! — წამოიძახა ოლიამ და სტუმარს მიეგება. ზაქრო რაღაცნაირი ველური თუ ნაძალადევი ღიმილით იღიმებოდა. ამ ღიმილით თითქოს ბოდიშსაც იხდი-

და, უდროო დროს მოსვლით ხომ არ შეგაწუხეთო და სიხარულსაც გამოხატავდა. იგი დაიხარა, ოლიას ნაზად მოხვია ხელი და შუბლზე აკოცა.

— ეს ჩემი თანაკურსელია, ზაქრო გოგოჭური! — ამიხსნა ოლიამ. ზაქრო ნელი ნაბიჯით მოგვიახლოვდა, დეიდაჩემს ხელზე ემთხვია, მერე მე გამომიწოდა ხელი და ჩამომართვა. ბრტყელი ხელი ჰქონდა, მკვრივი და დაძარღვული. შევატყვე, თავს ძალას ატანდა, რომ სიმთვრალე არ გამოემეღავნებინა.

— მაპატიე, უდროო დროს მოვედი! — უთხრა დეიდაჩემს, მერე ოლიას მიუბრუნდა და რაღაც ქაღალდში შეხვეული მიაწოდა. — ეს შენი საკუთრებაო.

დეიდაჩემი უკვე ფუსფუსებდა, სუფრას ხელახლა შლიდა.

გოგოჭური სკამზე გადაწვა და თავისი ბოხი, რიხიანი ხმით სჭექა:

— ნურაფერზე შეწუხდები, დედი, ერთი ბოთლი ღვინო მომიტანე, ოლია დავლოცო და წავიდე.

— არა გრცხვენია, ზაქრო? — გაუღიმა ოლიამ.

— რისი, ქალავ?

— რატომ ადრე არ მოხვედი?

გოგოჭურმა ჩაიხითხითა, დიდი ნაფოტა კბილები გამოაჩინა. მე შევატყვე, რომ ამ კაცს სიცილის დროსაც კი მრისხანე და ველური იერი გადაჰკრავდა. მთლად შავი იყო, გამხდარი. სახეზე ნაიარევი ეტყობოდა. არწივის ნისკარტივით ოდნავ მოღუნული ცხვირი ჰქონდა, თვალები ჯიუტი, უშიშარი.

— სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო, ხომ გაგიგონია! — ღიმილით ჩაილაპარაკა.

— ოხ, შე საძაგელო, შენა! — სიყვარულით ეუბნება ოლია.

ზაქრო კი ოლიას მისჩერებოდა და ხევსურულ კილოზე ღიღინებდა:

ირ ვარგა კაცი უპტეროო...
ირც ძაან მტერმორეულიოო დაა....

— ოხ, შე მართლა ხევსურო, შენა! — აბრაზებდა ოლია, მაგრამ ის ყურადღებასაც არ აქცევდა, ღიღინს განაგრძობდა:

— მოიწი სუფრასთან, მოიწი! — უწყრებოდა ოლია.

— არ გაგიკვირდეს, დედი, ეგრე თამამად რომ ვიქცევი, ეს ოლიას სიყვარულით მომდის. ოლია ჩემი პატარა დაა, — გოგოჭური მაგიდასთან სკამიანად მიჩოჩდა და ღვინის ჭიქა თავის ვეება ხელით დაფარა.

— ეს რა არის, ქალავ, ყანწი მომიტანე, დიდი ყანწი გექნება რამე, ერთი ბოთლი რომ ჩავიდეს, იგეთი. შენი სადღეგრძელო იმით უნდა დავლიო.

ოლიამ ყველაზე დიდი ყანწი გადმოიღო, ალბათ ორი ჩაის ჭიქა ჩავიდოდა.

— აი, ამას კი არა უშავს რა, აბა შამივსე!

— ზაქრო, დათვრები, შენი ჭირიმე.

მაგრამ ზაქრომ ყურიც არ ათხოვა, ყანწი თვითონვე შეავსო და მარჯვენა ხელში გადაინაცვლა.

— მოყვარე გაგეხარებინოს, მტერი დაგეღონებინოს, კარგი ბედი და იღბალი შეგხვედროდეს, ღმერთმა ბრძანოს, გაისად ამ დროს ქმარმა დაგიმშვენოს გვერდი.

— შენს პირს შაქარი! — სიტყვა წააშველა დეიდაჩემმა.

— ამინ! — და გოგოჭურმა ყანწი მოიყუდა, ნელა სვამდა თავგადაწეული და ზამბარასავით ეკუმშებოდა ყელი.

ყანწი წამოაპირქვავა და ტუჩები მაჯით მოიწმინდა. პურის ლუკმას დასწვდა, ცხვირზე იტაკა. კარგა ხანს ყნოსავდა და თან კამეჩივით იბღვირებოდა, მერე, როგორც იყო, სული მოითქვა, თავი აიღო და ჩვენ შემოგვხედა.

— დააყოლე რამე, ზაქრო. აგერ, ქათმის ხორცი.

გოგოჭურმა უარის ნიშნად თავი გაიქნია და ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო.

— ღმერთმანი, არცა მშია, არცა მწყურია, მაგრამ გულმა არ მომითმინა, არ მოვსულიყავი... თორემ მოსვლას თავიდან არც ვაპირებდი. — ენა უბორძიკებდა. ალბათ ყანწმა ერთბაშად დარია ხელი.

— რატომ არ აპირებდი მერე, არა გრცხვენია, ზაქრო? — საყვედურობდა ოლია.

— ჰმ, — ჩაიცინა გოგოჭურმა და იატაკს ჩააცქერდა. რაღაცას ფიქრობდა. მერე თავი ასწია და ოლიას მიაჩერდა, —

იცი, რას გეტყვი? ცოდვა გატეხილი სჯობია. მე თქვენი ამხანაგი ვერ გავხდი... არა, შენი კი არა, შენ სულ სხვა ხარ. აი, დღეს რომ სუფრა დაგიმშვენეს, პოეტები. ხე, ხე, ხე... პოეტები, ოხ, მაგათი... — დიდი კბილები გააღრჭიალა, — ორიოდე აბდაუბდა ლექსს დაწერენ და ქვეყანას ყელში ამოადენენ თავიანთ პოეტობას, ქვეყანას თავიანთ თავს აუვედრიან. ასეთები გავჩნდით და ყველამ ქედი უნდა მოგვიხაროსო. ქვეყანას დასცინიან, ვითომ შაყირობენ, აღარც მკვდაროს ინდობენ, აღარც ცოცხალს, ოხ, ეგ დედიკოსა და მამიკოს მუხლებზე დაზრდილები... მაგათ, ოლია ცხოვრების ძუძუ არ მოუწოვიათ, ნამდვილი დედის ძუძუ დაგძეს და სხვისა უცხო დედის ძუძუს ეპოტინებიან. ყველაფერს დასცინიან და ანქიქებენ, რაც ქართულია. არა, ოლია. ეგენი ამაოდ ეპოტინებიან მწვერვალს, ვერ შესწვდებიან. იქ რომ ახვიდე, იქ, — და გოგოჭურმა გრძელი ხელი შეკაოთა, — საკუთარი დედის ძუძუთი უნდა იყო დანაყრებული... იქ რომ შესწვდე, გული გინდა, ცხელი და მტკივანი, ადამიანის მოსიყვარულე და მოსარჩლე: ნიჭი გინდა, ხატის ჰომადლებული, რაც არ იწვის, ის არც ანათებსო, ხომ გაგიგია. შაყირითა და ცინიზმით დიდი პოეზია არ შექმნილა, ოლია, კაცს შუბლზე ნაოჭი უნდა გქონდეს, სევდის ბეჭედი უნდა გესოს. აი, ის შენი ქმაკაცი და ჩემი ძმაკაციც სიმა, სკოლიდანვე იკეთებდა კარიერას. დაიმახსოვრე, ოლია, ხალხს დიდხანს ვერ აუხვევ თვალს, ვერა. თქვენ კი, შენცა და შენი მეგობრებიც. აღფრთოვანებულები ხართ მაგის მატრაბაზობით, კარგი ბიჭიაო, და ტაშს აწევთ. აი, ის ვანი სხვა კატეგორიის კარიერისტია. ფუფუნებაში გაზრდილი თავხედი ბიჭი. ის მეპროზე ეორა... მოკლედ რომ გითხრა, სულ ერთ ქარგაზე არიან მოჭრილები, მაგათ არც მეგობრობა იციან, ოლია, არ დაიჯერო, ეგენი მეგობრობას სხვანაირად ზომავენ. გჭირდები? — მჭირდები. თუნდა გენიოსებად მონათლავენ ერთმანეთს, თუნდა კრეტინებად, როგორც ხელს აძლევთ. არა, ოლია, მითხარი, ერთი და იგივე ადამიანი გენიოსიც და კრეტინიც როგორ არის? ჰა, მითხარი თუ ჩემი და ხარ, მითხარი...

ვაი, ვის უვარდება ხელში წმინდა კვერთხი!

შენ იცი, ოლია, პოეზია როგორ მიყვარს. როგორ მიყვარან ნადღი და პატიოსანი პოეტები, ჩუმად, უხმაუროდ რომ მი-

აქვთ თავისი წილი ტკივილი. მაგრამ ლამის ისინი ამათ სუფრიდან აჰყარონ.

ოლია გამტკნარებული იდგა. ხანდახან მე გადმომხედავდა თითქოს ჩემგან ელოდა ხსნას.

— შენ კარგი გოგო ხარ, ოლია, და უნდა გამიგო. შური არ მალაპარაკებს, ღმერთმანი... ოჰ, რა ლამაზი და იოლი იქნებოდა ცხოვრება ამ ულამაზეს დედამიწაზე, ცუდი ადამიანები რომ არ იბადებოდნენ. დიდი რამე კი არ უნდა ამას, უბრალოდ. ადამიანს არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ სხვაც ადამიანია. მორჩა და გათავდა, ყველაფერი რიგზე იქნებოდა.

გოგოჭური ერთხანს გაჩუმდა, მერე მაგიდას ორივე ხელით დაეყრდნო და ფეხზე ისე წამოდგა.

— გაწყენინე, ოლია, არა? — ხელი ჩაიქნია. — გაწყენინე, მაგრამ რაც გითხარი, გულწრფელად გითხარი. მაგათ სიყალბეს ვერ ვიტან და იმიტომ არ მოვედი, ვიცი, უსიამოვნებას შეგახვედრებდი. ისიც ვიცი, რომ ჩემი დანახვა არ ესიამოვნებოდათ; ფრთებს ვეღარ გაშლიდნენ, ერთმანეთს გენიოსებს ვეღარ დაუძახებდნენ... კარგად იყავი, ოლია. მაპატიე, რომ გაწყენინე, მაპატიე...

და გოგოჭური ბარბაცით გავიდა ოთახიდან.

— სულ გალოთდა ეს საწყალი, რას ლაპარაკობს, თვითონაც აღარ იცის. აფსუს, იცი, რა ბიჭი იყო? — ჩემ გასაგონად თქვა ოლიამ. მაგრამ მე ვერაფერი გავიგონე. იმ წუთს თავგზა მქონდა აბნეული, არ ვიცოდი, რომელ მხარეს იყო სიმართლე.

მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ მივხვდი, რასაც ამბობდა ის მთვრალი ხევსური.

8

„სად დაიკარგა ის ბიჭი, დღესაც თუ არ გამოჩნდა, იმის თავს კარგი ამბავი არ იქნება".

გაღვიძებისთანავე ეს გავიფიქრე.

მთელი კვირა ისე გავიდა, ანზორ სიხაური აღარ გამოჩენილა. არც კონსულტაციებზე გამოცხადებულა, არც იმ დღეს მოსულა, რა დღესაც საგამოცდოები დაგვირიგეს. თითქმის დილიდან საღამომდე უნივერსიტეტთან ვტრიალებდი, აუარე-

ბა ხალხში ვეძებდი სახეკორფლიან ქერა პიპს. მაგრამ ამაოდ დამაწყდა თვალები.

ცალად დარჩენილი დავღერღეტობდი ქალაქში და სულის ტკივილამდე ვგრძნობდი უანზორობას. როგორ მინდოდა, როგორ მჭირდებოდა ახლა ამ ვეება ქალაქში, ძნელბედობის წინ იმისი ხალასი გული და გამამხნევებელი სიტყვა. ერთთავად თვალწინ მედგა იგი, მახსენდებოდა, როგორ შლიდა თავის გრძელ, გამხდარ ხელებს და როგორ ხალისით მელაპარაკებოდა პოეზიაზე, მომავალზე, სიცოცხლეზე, ყველაფერზე, რაც კი ლამაზია ამქვეყნად.

ქუჩაში როცა მივდიოდით, თვალები აქეთ-იქით გაურბოდა, ხანდახან შეჩერდებოდა, შეწყვეტდა ლაპარაკს და ვინმე გამვლელს დააკვირდებოდა, მერე ჩამჩურჩულებდა, აი, ეგ კაცი, მავანი და მავანი მწერალიაო, ან მეცნიერიაო. თითქმის ყველას იცნობდა შორიდან. ვინც ცოტა თუ ბევრად სახელიანი დაიარებოდა ქალაქში. და უცბად სადღაც გაქრა ანზორ სისაური, ვერც ასავალი გავიგე მისი და ვერც დასავალი, ნეტავ ერთხელ მაინც მეკითხა, სად და ვისთან ცხოვრობდა.

წუხელ დამესიზმრა, ვითომ უნივერსიტეტის ბაღში მოსულიყო, ჩემ წინ იდგა ტანსაცმელშემოგლეჯილი, სახემიფერმკრთალებული და მეუბნებოდა, ზოოპარკიდან გამოვიქეცი, თან ხელს დაბლა იშვერდა, სადაც სამხეცე მდებარეობს. მერე ხელი გადამხვია და უნივერსიტეტის აუდიტორიაში შემიყვანა.

ისე ცხადლივ, ისე მკაფიოდ ვიხილე იმის სახე, როცა გავიღვიძე, კარგა ხანს ვერ გავარჩიე, ცხადი იყო თუ სიზმარი.

უკვე გარიჟრაჟებულიყო. გარეთ სიოც არ იძროდა, მაგრამ ღია ფანჯრიდან მაინც შემოდიოდა დილის სიგრილე. ჯერ კიდევ ეძინა, ჯერ კიდევ ჩაყუჩებულიყო ქალაქი. მეეზოვე ქუჩას ჰგვიდა და ასფალტზე ისე ფხაჭუნობდა ცოცხი, თითქოს ვიღაცა ქვევრს სარცხით ხეხავსო.

ხანდახან მატარებელი შეიკივლებდა და ლიანდაგებზე ბორბლები აძაგძაგდებოდა. დეიდაჩემის სახლი რკინიგზის სადგურიდან სამასიოდე მეტრით იყო მოშორებული და მატარებლების ხმა მთელ ღამეს ისმოდა. მეორე ოთახში საწოლმა გაიჭრიალა. არ ვიცი, დეიდაჩემმა, არ ვიცი, ოლიამ გვერდი იცვალა. ლოგინიდან ფრთხილად წამოვდექი და კარადასე შე-

მოდგმულ საათს შევხედე. ექვსი ხდებოდა. მერე ოლიას მოვკარ თვალი, პირი კედლისაკენ ექცია და მივხვდი, რომ წელან იმის საწოლმა გაიჭრიალა სწორედ. საბანი მხოლოდ ბეჭებამდე ფარავდა და შიშველი ზურგი მოუჩანდა, მოუჩანდა აგრეთვე მარცხენა მხარი და ნაზი, ქათქათა მკლავი. შავად მბზინავი, მოკლედ შეკრეჭილი თმა თეთრ ბალიშზე დაფენოდა ყოველივე ამის დანახვაზე მთელი არსებით შევიგრძენი რაოდენ დიდ, თავბრუდამხვევ სილამაზეს ეძინა ახლა ტახტზე.

გადმოვიღე რვეული, სადაც ქართული ლიტერატურის თემები მეწერა და გადავშალე. „პატრიოტული მოტივი ილიას შემოქმედებაში". „ვაჟა-ფშაველას ბახტრიონის გმირები". „ეროვნული მოტივი აკაკის შემოქმედებაში"... ვფურცლავდი რვეულს, ვკითხულობდი თემების სათაურებს და ვფიქრობდი, ამათგან ნეტავ დღეს რომელს დაგვაწერინებდნენ.

დღეს, ესე იგი, ორ აგვისტოს, უნდა წარვმდგარიყავი პირველად გამოცდაზე. რასა ვგრძნობდი, რას ვფიქრობდი გამოცდის წინ?

არც შიში, არც დაბნეულობა, რადგან ნებისმიერი თემა შემეძლო დამეწერა, ყოველგვარი „შპარგალკის" გარეშე. ჩემს დღეში იგი არ გამომიყენებია. ახლა მხოლოდ საამო ჟრუანტელი მივლიდა, სწორედ ისეთივე, პირველ პაემანზე რომ განიცდის ხოლმე ყმაწვილკაცი. თვალწინ დამიდგა ზაფხულის მსის განათებული ვეება აუდიტორია, ჭალარა ლექტორები... ანზორ სისაური.

სად დაიკარგა ის ბიჭი? ერთ მერხზე უნდა დავმსხდარიყავით დღეს. ასეთი პირობა გვქონდა დადებული.

გუნება წამიხდა. რვეული გვერდზე გადავდე და თვალები დავხუჭე. ალბათ უძილობის გამო, თავი მტკიოდა. ერთსა და იმავე ადგილას ხანგამოშვებით უჩინარი ნემსით ტვინს მიბურღავდა.

„ჯერ ადრეა, უნდა გამოვიძინო. რომ საღი გონებით გამოვცხადდე გამოცდახე", — გაკიფიქრე. თვალებდახუჭული ვიწექი და ვერც კი მიეხვდი, ძილი როგორ წამომეპარა.

თვალები რომ გავახილე, თავს ოლია მედგა. სიყვარულით დამღიმოდა, დაკუთხული, ლამაზი, წითლად მოხასხასე ბაგეებიდან ქათქათა კბილები მოუჩანდა.

— რა ძილქუში დაგაწვა, ბიჭო, ადექი, თორემ გამოც-

დაზე დააგვიანებ, რვა საათი ხდება, — თავზე ხელი წამომისვა და სამხარეულოში გავიდა.

ლოგინიდან წამოვხტი და ტანსაცმელი სწრაფად გადავიცვი. ოლიას სუფრა გაეწყო. დიდ ჭიქებში ჩაის ასხამდა. დეიდაჩემი, როგორც ჩანდა, უკვე წასულიყო. იგი დილაადრიან გადიოდა ქალაქში. დარბოდა გასტრონომებში, ორგან და საჭგან იჭეოდა რიგს, რომ ყველაფერი ცოტა იაფად და ხელსაყრელად ეშოვნა.

სახელდახელოდ ვისაუზმეთ და ქუჩაში გამოვედით. ოლიამ ტაქსი გააჩერა.

— უნივერსიტეტთან! — უბრძანა შოფერს.

ახალგახრდა, ბრგე შოფერმა თავი მოაბრუნა, ჯერ ოლიას დააკვირდა, მერე — მე და უხმოდ დაძრა მანქანა. ცოტა ხანში ისევ მოხედა და ოლიას გადაჰკრა თვალი. კეთილი სახე ჰქონდა, მოღიმარი. პირველი შეხედვისთანავე ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს ახლობელიაო. სხვათა შორის, არიან ადამიანები, შეხედვისთანავე ამნაირ გრძნობას რომ აღგიძრავენ.

— ჯერ შენ მიგიყვან უნივერსიტეტში და მერე მე წავალ, — მითხრა ოლიამ, — იცოდე, კარგი ფეხი მაქვს!

— აბარებს? — სარკიდან გამოიხედა შოფერმა.

— კი, — უპასუხა ოლიამ.

— თქვენი რა არის?

— დეიდაშვილი.

— ღმერთმა გაძლება მისცეს, ამ სიცხეში არ გინდა გამოცდის ჩაბარება?! ფული აქვს?

— ბევრი, — გაიცინა ოლიამ.

შოფერი მიხვდა, როგორ გაიცინა ოლიამ და ენაზე ქვა დაიკიდა.

ტაქსი უნივერსიტეტთან გაჩერდა. ვიდრე კარს გამოვაღებდი და გადმოვიდოდი, შარვლის ჯიბეში ოლიამ ჩამიყო ხელი და გაოცებით გადავხედე:

— დაგჭირდება, გქონდეს. ამაზე ნაკლები ნიშანი არ მოიტანო, აბა. ყოჩაღად იყავი. არ დაიბნე, — მითხრა უკვე დაძრული მანქანიდან.

გაოგნებული და აწითლებული ვიყავი. ჯიბეში ხელი ჩავიყავი და ოლიას ნაჩუქარი ხუთმანეთიანი ამოვიღე. გული

ამიჩუყდა. თვალებზე ცრემლი მომადგა. ჯერ ჩემთვის ფელი არავის უჩუქებია, არავის დედაჩემის გარდა. ახლა რომ ოლია ჩემ გვერდით ყოფილიყო, გადავეხვეოდი, გულში ჩავიკრავდი. რა საყვარელი და დიდსულოვანი იყო ახლა ჩემს თვალში ჩემი დეიდაშვილი.

ვიღაცამ მხარი გამკრა და ფეთიანივით შეიჭრა ალაყაფის კარებთან შეგროვილ ხალხში.

„ამაზე ნაკლები ნიშანი არ მოიტანო“.

გამახსენდა ოლიას ნათქვამი და ჯიბიდან საგამოცდო ამოვიღე.

სადარბაზო კართან ვიღაც კაცი იდგა და რაღაცას ყვიროდა.

— ფილოლოგები, მეორე ჯგუფი, ოცდამეხუთე აუდიტორიაში! სწრაფად!

მეორე სართულზე ავედი და ოცდამეხუთე აუდიტორიის ძებნას შევუდექი.

უცებ ვიღაცამ მკლავზე ხელი ჩამავლო და როგორც კი მოვბრუნდა, გადამეხვია. ჩემ წინ ანზორ სისაური იდგა გაბადრული.

— ანზორ, სად ხარ, ბიჭო!

ამ ერთ სიტყვაში რაოდენი სიხარული იყო ჩანაღმული, ძნელად მიხვდებოდა კაცი. მარჯვენა ბეჭზე თითები მაგრად მოვუჭირე და სახეზე მივაჩერდი. იგი იღიმებოდა. უფრო გამხდარი და ფერმკრთალი მეჩვენა, თითქოს ჭორფლიც მოხშირებოდა და მკვირცხლ, მხიარულ თვალებში სევდის ნაპერწკალი ჩავარდნოდა.

— საავადმყოფოში ვიწექი. ექიმებს ძლივს გამოვუსხლტი, ოპერაცია უნდა გაგიკეთოთო.

— ოპერაციაო?

— კი, კუჭის წყლული აღმომაჩნდა.

— კუჭის წყლულიო? — და მივხვდი, რომ სხვა სიტყვა უნდა მეთქვა. — რას ამბობ, ბიჭო, კუჭის წყლული ახალგაზრდებს როდის უჩნდებათ.

ანზორ სისაურმა ჩემს ნათქვამს ყურადღება არ მიაქცია, მხარზე ხელი დამადო და დინჯად, თითქოს სხვათა შორის მითხრა:

— გამოცდების შემდეგ აუცილებლად უნდა გაიკეთო ოპერაციაო... შევიდეთ, თორემ გამოცდა იწყება.

აუდიტორიაში შევედით. თავისუფალი მერხი ვნახეთ და დავსხედით.

აუდიტორია გაინაბა. ორმა ლექტორმა, ქალმა და კაცმა, შტამპიანი ფურცლები ჩამოარიგეს, მერე ორჯერ თუ სამჯერ გაგვიმეორეს საგამოცდო წერის წესები და დაფაზე, თეთრით შავზე, ჩამოწერეს თემები, სამი თემა იყო და მთელმა აუდიტორიამ, ვერ მიხვდებოდით, სიხარულით თუ სიმწუხარით, სამჯერ დაიქშინა.

მე „ალუდა ქეთელაური“ ავირჩიე. ანზორმა გალაკტიონ ტაბიძის პოეზია.

ე

ოთხ აგვისტოს წვიმდა. შუადღისას ელვა-ქუხილით მოვარდა შხაპი და ხვატისაგან შეღონებულ მთელ ქალაქს ღვთის თვალი დაადგა.

მეორე დილით ისევ მოღრუბლული იყო, მაგრამ აღარ წვიმდა. ხეთა გაყვითნილი ფოთლებიდან ლეშხი და ყღავი ცვიოდა. ნაწვიმარ ქუჩებში შხივილით მიმოდიოდნენ მანქანები და ტროტუარს წუწავდნენ.

ასეთ ამინდშიც თავისებური და ლამაზია თბილისი. მშვენიერი მანდილოსნები, აქაო და ამინდი ანაზდეულად შეიცვალაო, უფრო ლამაზად გამოეწყობიან, გაეხვევიან ლაბადებში, ნაფტალინის სუნი რომ გადაჰკრავს ხოლმე, ან მონატრებულ კოსტიუმებს გადაიცვამენ ხოლმე და, ალბათ უამინდობის გამო, მოწყენილ მერცხლებს დაემსგავსებიან.

დილის ცხრა საათი ხდებოდა. იმ დღეს წერითი ნიშანიც უნდა გამეგო და ზეპირიც ჩამებარებინა.

დერეფნის ბოლოში მოსაწევი ოთახის ფანჯარასთან ვიდექი, სიგარეტს ვაბოლებდი და უაზროდ მივჩერებოდი ღრუბლიან ცას. ცაზე სწრაფად მისრიალებდა უკვე დაწრეტილი, ამჩატებული ღრუბელი და გამჭვირვალე ცისფერ კვალს სტოვებდა. ამ ფანჯრიდან ჩანდა აგრეთვე უნივერსიტეტის უკანა ეზო, სადაც ფრენბურთის მოედანი იყო. მოედანი ახლა ღვთის ანაბარა მიეტოვებინათ. დაჭიმული ბადეები მზისაგან და წვიმისაგან ჩაყვითლებულიყო.

დერეფანში ხალხი ზიმზიმებდა. რამდენიმე წუთში აქ ღვთის განკითხვა დაიწყებოდა. ბევრი სიცილი დაიფრქვეოდა და ბევრი ცრემლი დაიღვრებოდა. დღეს, როგორც წერო გამოაკლდება ხოლმე თავის გუნდს და ფრთებდაკაცელი მოსწყდება თავის საყვარელ ლაქვარდოვან ცას, ისე მოსწყდება რამდენიმე კაცი უნივერსიტეტის საოცნებო კედლებს და დაბოლმილი დაკეცავდა ფრთებს.

გუშინ წერაში ჩაჭრილთა სია გამოაკრეს და ორმოცდაათიანი ნოტო მოსწყვიტეს დიდი ფარას.

არც მე, არც ანზორ სისაური ჩაჭრილთა სიაში არ ვყოფილვართ.

სისაურმა სია ერთხელ კიდევ ჩაათვალიერა და ღიმილით მითხრა:

— ბევრი ჩაჭრილა. ეს კარგია.

— მაგას მიუმატე სამიანის პატრონები. სულ ცოტა ორმოცდაათიც ისინი იქნებიან.

— უეჭველად. ეგეც შენი ასი კაცი და ასიღა დარჩა.

მაშინ მივხვდი, მეც და ჩემს მეგობარსაც, საკუთარი ბედნიერების გამო, სხვისი უბედურება როგორ გვახარებდა. რაც მეტი ჩაიჭრებოდა, რაც მეტი მიიღებდა დაბალ ნიშანს, უფრო მეტი შანსი გვქონდა მოწყობისა. სხვის უბედურებაზე ჩვენი ბედნიერება რომ შენდებოდა, ნუთუ ორივენი იმიტომ ვიყავით ესოდენ გახარებულნი?

გამხდარ გაფერმკრთალებულ სახეზე მივაჩერდი მეგობარს და სულ რაღაც ერთი წამით შემეზიზღა. იგი თვალმოჭუტული მიყურებდა და მის თვალებში მაინც კიაფობდა მისთვის დამახასიათებელი სხივი. მერე ის სხივი უცებ ჩაუქრა და შემცბარმა იკითხა:

— ასე რად მიყურებ, ილო?

თვალი მოვარიდე და დაბნეულმა ჩავიდუდუნე:

— რას იზამ, ვინც ღირსეულია, ის მოეწყობა.

— რა თქვი?

პასუხი აღარ გავეცი.

როგორც გითხარით, ჩაჭრილთა სიაში მე და სისაური არ აღმოვჩნდით, მაგრამ ეს არ იყო გადამწყვეტი. ქართულ წერაში მიღებული სამიანი იგივე ჩაჭრას ნიშნავდა, რადგან კონკურსი დიდი იყო და ბოლოდ მაღალ ნიშნიანებს მოუწევდათ

ჩარიცხვა. ახლა სულ რამდენიმე წუთში დაიწყებოდა გამოცდა და ყველაფერი ნათელი გახდებოდა.

სიგარეტი გადავაგდე და დერეფანში გამოვედი. სისაური მოვათვალიერე, მაგრამ ჯერ არსად ჩანდა. ძველი დერეფანი თითქმის სავსე იყო. ზოგი აუდიტორიის კარებთან მიმდგარიყო, ზოგნი აქა-იქ გაფანტულიყვნენ, წიგნებს ჩაკირკიტებდნენ, ეტყობოდა, გამოცდა უკვე დაწყებულიყო.

აუდიტორიის კარი გაიღო და ვიღაც ქალიშვილი გამოვიდა. სახე აჭარხლებოდა, თმა ოდნავ ჩამოშლოდა შუბლზე. იმ ქალიშვილს სულის მოთქმა არ აცალეს. მაშინვე წრე დაარტყეს და კითხვები დააყარეს.

— რა ნიშანი მიიღეთ?

— ვინ გამოგცადათ?

— რა ბილეთი შეგხვდათ?

ქალიშვილი ძლივს ასწრებდა პასუხის გაცემას, თან ხალხში გზას იკვლევდა. მერე ეს პასუხები კაციდან კაცზე გადადიოდა. ამ დროს კიდევ გაიღო აუდიტორიის კარი და მეორე ქალიშვილი გამოვიდა. აბიტურიენტები ახლა იმას მიუბრუნდნენ, მაგრამ იმ ქალიშვილმა მარჯვედ გაარღვია ხალხის ტალღა და კელანაჭამი დათვივით გავიდა. არც ერთ შეკითხვაზე პასუხი არ გასცა.

— ალბათ ჩაიჭრა! — თქვა ვიღაცამ.

იმ ქალიშვილს თვალი გავაყოლე და დავინახე, რომ დერეფნის ბოლოში ანზორ სისაური წამოეწია და კიბეზე ჩააცილა. თან ხელებით რაღაცას ელაპარაკებოდა.

„რა უცნაური ბიჭია. ცნობისმოყვარე და თანაც გულთბილი. ვიდრე ყველაფერს არ გაიგებს, თავისი დაემართება!“.

დერეფანში გავიარე და კიბის თავში დავდექი. ხუთიოდე წუთის შემდეგ მობრუნდა ანზორი. ვიდექი და ღიმილით მივჩერებოდი. თვითონაც გაიღრიჭა, გრძელი ხელი შორიდანვე გამომიწოდა და მაგრად ჩამომართვა, როგორც იცოდა ხოლმე.

— სადა ხარ, ბიჭო?

— რაო, იმ გოგომ? — კითხვა შევუბრუნე.

— დამინახე? — ღიმილით მკითხა.

— კი.

— რაო და, მესამე წელია თურმე რაც აბარებს. წერაში სამიანი დაუწერიათ, ზეპირში ოთხიანი. შარშან წერაშიც ოთ-

ხი მივიღე და ზეპირშიც და მაინც ვერ მოვხვდიო. სირცხვილით შინ აღარ მიმესვლებაო. სადმე უნდა გადავიკარგოო.

— საწყალი!..

— ილო, ყველანაირად ეცადე, აბდულაძესთან არ მოხვდე. ამბობენ, საზიზღარი გამომცდელიაო, მაღალი კაცია, მელოტი, გენრიხი ჰქვია, გესმის?

— მესმის.

— კომისიის თავმჯდომარე სარჯველაძე ყოფილა.

— რა გვარი?

— სარჯველაძე.

ამ გვარის ხსენებაზე ჩვენი სკოლის დირექტორი კლიმენტა გამახსენდა.

„ნეტავი რა უნდა იყოს იმისი? საიდან სადაო. იქ სარჯველაძე, აქ სარჯველაძე"...

თვალწინ დამიდგა ცოტა მოსულელო და ცოტა გაიძვერა კლიმენტა. იგი ჩემ წინ აუდიტორიაში ზის და მამოწმებს, მართლა ხუთიანზე თუ ვიცი საგანი.

სიმწრით გამეღიმა და თავი გადავაქნიე.

— რა იყო? — მკითხა ანზორმა.

— არაფერი. ჩვენი სკოლის დირექტორიც სარჯველაძე იყო. ცოტა უცნაური კაცი.

— ჰოო... — იქნებ იმის ნათესავი იყოს.

მხრები ავიჩეჩე, რა ვიცი-მეთქი.

ამ დროს აუდიტორიის კარი გაიღო და ოთხი კაცის გვარი ამოიკითხეს, ესენი შემოვიდნენო. მათ შორის სისაურიც იყო. ანზორმა ერთი შემომხედა, რაღაცნაირად გამიღიმა, დაბნეულად და აუდიტორიაში შევიდა.

— აბა შენ იცი! — ესლა მივაძახე და თვალს მიეფარა.

როცა ჩემი გვარი ამოიკითხეს და აუდიტორიაში შევედი, ყურმა გამწივლა და თვალები ამიბრეწდა. დაახლოებით ნახევარ წუთს გაგრძელდა ასე, მერე თანდათან მოვიკრიბე ძალა, თანდათან შევეგუე ჩემთვის უცხო გარემოს და კვლავ დამიბრუნდა საღი, ნათელი აზროვნება. მე რომ შევდიოდი, ანზორ სისაური გამოდიოდა. გამიღიმა, მკლავზე მაგრად მომიჭირა ხელი, გელოდებიო ჩამჩურჩულა. მერე გაშლილი თითები დამანახვა და გავიდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩემმა მეგობარმა ზეპირში ხუთიანი გაირტყა.

„ნეტავ წერაში რაღა ნიშანი მიიღო“, — გავიფიქრე და შევატყვე ჩემს თავს, რომ მეგობრის ბედი შემშურდა. რა უცნაურია ადამიანი, ნუთუ მართლა მშურდა, რომ ანსორ სისაურმა ხუთიანი მიიღო? მიკვირდა, ვინ ააწყო ცხოვრება ასე, ვი გვაიძულა, რომ შენი მეგობრის ბედიც კი გშურდეს. იმიტომ რომ ის შენს მეტოქედ აქციეს, ან შენ — ან ის. ერთი უნდა გაუბედურდეს, რომ შენ გაბედნიერდე. ორისა და სამის ადგილი აქ არ არის. და შენც გიხარია, როცა ვინმე ჩაიჭრება, ან დაბალ ნიშანს მიიღებს. აქედანვე ეჩვევი კაცობრიობის ძველისძველ ბოროტებას — ეგოიზმს. ბავშობიდანვე ჩაგჩიჩინებენ: შენ უღირსი ხარ, ის ღირსეულია. პირველს ყველაფერს უხვად უბოძებენ, ანებივრებენ და ყველგან ფართოდ უღებენ კარს. მეორენი უსამართლოდ იჩაგრებიან. მერე წამოიზრდებიან, უღირსები უღირსებად ირწმუნებენ თავს და გაბოროტდებიან, ან გაბოროტმოქმედდებიან, ღირსეულნი ღირსეულად ირწმუნებენ თავს და გაამაყდებიან, გაყინჩდებიან, ვინ დაყო ღირსეულებად ეს ქვეყანა, ვინ გაარჩია, ვინ დაადგინა? ვინ იდო თავზე ეს ღვთის საქმე, ვინ?

— აქეთ მობრძანდით! თქვენ გეუბნებით, თქვენ! — მივიხედე და ჩემ წინ იდგა, მაღალი, მელოტი კაცი.

„ალბათ ეს არის გენრიხ აბდულაძე. მაღალი, მელოტი კაციაო, მეუბნებოდა სისაური“.

და ერთი წამით აუდიტორიას გადავავლე თვალი. ორი გამომცდელი სხვა იყო. ერთი ხუჭუჭთმიანი, ახალგაზრდა კაცი, ერთიც დაბალი და ჯმუხი, ჭაღარით შემოსილი.

— თქვენ გეუბნებით, აიღეთ ბილეთი და, აი, აქეთ დაბრძანდით! — მერხზე მიმითითა აბდულაძემ. მე პირდაპირ შევხედე. სახე ასწითლებოდა და ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ცხედართან დგასო.

„რას გადამეკიდა ეს კაცი... მორჩა, ამის კლანჭებს ველარ გაღავურჩები“, — გავიფიქრე და ბილეთებისაკენ გავწიე. ჩემზე წინ ერთმა ქალიშვილმა და ერთმა ვაჟმა აიღეს ბილეთები და დასაკლავი საქონელივით მიიზლაზნენ გამომცდელთან. ბილეთებით დაფარულ მაგიდას თვალი მოვავლე და ერთერთ მათგანს ხელი წავატანე, მაგრამ უკანასკნელ წამს გადავიფიქრე, მეორე ბილეთი ავიღე. ნომრისთვის არც დამიხედია, თამამად და მხნედ გავსწიე გამომცდელისაკენ და მერხზე ჩამოვჯექი.

— ბილეთის ნომერი? — მკვახედ მკითხა აბდულაძემ.

მაშინღა დავხედე ბილეთს, მეათე ნომერი იყო.

მერხზე კოხტად მოვიკალათე და მთელი გულისყური ბილეთში ჩავაქციე.

1. მამათა და შვილთა ბრძოლა.

2. დ. კლდიაშვილი — სამანიშვილის დედინაცვალი.

3. გ. ტაბიძე — მე და ღამე.

4. ქცევა. მართლწერის საკითხები ქცევასთან დაკავშირებით.

ბოლომდე რომ ჩავედი, შვებით ამოვისუნთქე. უცებ ჩემს ირგვლივ მთელი სამყარო განათდა და გულში რაღაც მხიარული ჰანგი აჟღერდა. თამამად შევხედე აბდულაძეს. იგი წელში ოდნავ მოხრილი იჯდა, ლოყა ხელისგულზე დაებჯინა და ოდნავი, ირონიული ღიმილით მისჩერებოდა აბიტურიენტ გოგონას. გოგონა ხშირად ჩერდებოდა და ხატივით შეჰყურებდა გამომცდელს თვალებში, რასაც ვამბობ, სწორედ ვამბობ თუ არაო, მაგრამ აბდულაძე არც დასტურს აძლევდა და არც უარის თქმას ინებებდა. გაშეშებული იჯდა, მარტო თვალებს ახამხამებდა და ათასში ერთხელ სეტყვასავით გადმოაგდებდა ერთსა და იმავეს:

— მერე?

მე კვლავ ჩემს ბილეთს დავუბრუნდი. თითოეული საკითხი დაწვრილებით ამოვბოჭე მეხსიერებიდან და გონების თვალით თავიდან ბოლომდე გადავიკითხე. ყველაფერი რიგზე იყო. ყველაფერი ზუსტად მახსოვდა და ისევ ვიგრძენი ჩემს გულში როგორ აჟღერდა მხიარული ჰანგი. როგორ გავამაყდი, როგორ აღმიზევდა რწმენა და საოცარი ფერებით განათდა მთელი სამყარო. აი, ამ ყოფაში ვიყავი, ამ ნეტარ ოცნებაში დავცურავდი, როცა ჩემ გვერდით ქვითინი შემომესა. აბიტურიენტი გოგონა ტიროდა.

— აქ ტირილის ადგილი არ არის! — თითქოს თითოეულ სიტყვას ცოხნისო, ისე ჩაილაპარაკა აბდულაძემ და მერე დასძინა, — თავის დროზე არაფერს ჩაიყრიან გოგრაში და ცრემლით უნდათ თავი შეგაბრალონ.

გოგონამ ერთი კიდევ ამოიფშუკუნა და აუდიტორიიდან გავიდა. სხვა გამომცდელებმა თვალი გააყოლეს, მერე აუდიტორია თავის საქმეს დაუბრუნდა. აბდულაძემ ჩვენ გადმოგვ-

ხედა. მე თვალი გადავკარი დანარჩენებს. დაჩიავებულები და გაშტანარებულნი ისხდნენ. ეტყობა, გამომცდელის რისხვამ და სიმკაცრემ უარესად დათრგუნა და დააბეჩავა ისინი. ამ წუთს, არ კიცი რა ძვრა ჰოხდა ჩემს სულში, შურისძიების გრძნობამ შეშიპყრო თუ რა იყო, მთლად დავკარგე ყოველგვარი შიში და განცდა. ისე გავდიადდი, ისე გავიხარდე, ბუზივით მომეჩვენა ეს მკაცრი გამომცდელი.

— აბა, ვერ მოიფიქრეთ? ვის გაქვთ გამოსვლის სურვილი? — ამოცოხნა აბდულაძემ და ეგრევე წამოვდექი. დანარჩენებმა შვებით ამოისუნთქეს და მადლიერების თვალით გადმომხედეს. გამომცდელს ბილეთი წინ დავუდე.

— რა გვარი ხარ?

— ღულულაშვილი.

— რა გვარიო? — ცივი თვალები მოძაპყრო. — ბულულაშვილიო?

— ღულულაშვილი, პატივცემულო.

— რანაირი გვარია, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა და მერე უფრო ხმამაღლა მკითხა, — სადაური ხარ?

— კახელი.

— ჰოო... გასაგებია, — ისევ თავისთვის ჩაილაპარაკა. მერე ოხელი ტუჩები მაგრად დაკუმა და ნიკაპში გაჩენილ ნაოჭში ხიზღი შევნიშნე. მან ჩემი საგამოცდო ფურცელი მონახა და ეადაშალა.

— წერაში ოთხი მიგიღია, ვნახოთ ახლა ზეპირში...

— ოთხი? რატომ ოთხი?

— აბა ახლა ხუთიანი გინდოდა? ხუთიანი არავისთვის დაგიწერია და შენ რა, წითელი კოჭი ხარ?

— საერთოდ არავისთვის დაგიწერიათ?

— არა. — ცივად მომიჭრა.

ამ პასუხმა უცებ ამყარა ფარ-ხმალი და დამამშვიდა. გულიც არ გამივლია ეჭვი თუ გამომცდელი ცრუობდა.

— აბა დაიწყე. მამათა და შვილთა ბრძოლაა, არა, პირველი საკითხი?

და მეც დავიწყე. ყველაფერი ზუსტად და ნათლად გადმოვულაგე გამომცდელს. ვინ იყვნენ მამები, ვინ იყვნენ შვილები, რაზე წარმოიშვა მათი დავა, ვისკენ იყო სიმართლე...

აბდულაძე ხანდახან შემომხედავდა, თვალდაუხამხამებლად დამაშტერდებოდა და მერე დიდხანს თავჩაღუნული უძრავად იჯდა. ბოლოს ორიოდე შეკითხვა მომცა და იმაზედაც ჩემი აზრით რიგიანი პასუხი გავეცი, ოღონდ ვერ კი გავიგე, რამდენად კმაყოფილი დარჩა.

მერე სამანიშვილის დედინაცვლის ამბავს შევუდექი. მოკლედ ვუყებოდი შინაარსს, ვლაპარაკობდი ნაწარმოების მიზანდასახულობაზე, მწერლის ოსტატობაზე, მაგრამ გამომცდელი ხშირად მაჩერებდა და მიბიძგებდა, მხოლოდ შინაარსს მივყოლოდი თანმიმდევრულად და დაწვრილებით. აბდულაძემ კალმისტარი მაგიდაზე რამდენჯერმე დააკაკუნა და წამოდგა.

— აბა, მითხარი, ვისგან ითხოვა პლატონმა ცხენი, საედედინაცვლოს საძებნელად რომ მიდიოდა?

— მეზობლისაგან.

— რა ერქვა იმ მეზობელს, ან იმ ცხენს რა ერქვა. არ უწერია კლდიაშვილს სახელები?

ორიოდე წამით ჩავფიქრდი და გულახდილად ვეუბარი: არ მახსოვს-მეთქი.

— აბა რაღა გახსოვს?

ერთხანობა შევყოყმანდი და მერე ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოვღერღე:

— ნაწარმოების საერთო შინაარსი... თემა, იდეა...

— მოიცა, მოიცა.... გადადი მესამე საკითხზე, ზღაპრებს თავი დაანებე, — მკვახედ მითხრა.

გალაკტიონის „მე და ღამე" ზეპირად მათქმევინა. ერთ-ორ ადგილას შემეშალა, „სიო სარკმლით მონაბერი ველთა ზღაპარს მეუბნება". ამ სტრიქონში ავურიე. სამაგიეროდ გრამატიკაში ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

— ოთხიანი!

ამის თქმა იყო და როგორღაც, ისე რომ იქით არც ბიმიხედია, ჩემ გვერდით მსხდომ აბიტურიენტების სახეზე გაოცება შევნიშნე.

— როგორ გეკადრებათ, პატივცემულო.

აბდულაძემ ჩაიცინა.

— ვითომ რატომ არ მეკადრება? ლექსი ზეპირად ვერა თქვი. „სამანიშვილის დედინაცვალი" ვერ მოჰყევი... — ორ

თიკის შუა კალამს ატრიალებდა და ქვეშ-ქვეშ მიყურებდა. კიდეც მევაჭრები? იქნებ ხუთიანი გინდა?

— დიახ, ხუთიანი მინდა.

— დიდი წარმოდგენა გქონია თავზე. — აბდულაძემ ისევ ჩაიცინა.

— მე არაფერი არ შემშლია. მედავითნე კი არა ვარ, ყველა წვრილმანი ზეპირად ვიცოდე... — ამის თქმა იყო და ყურებმა წივილი დამიწყო. თვალები ამიჭრელდა და გულში მწუხარედ დარეკა რაღაცამ. ქვეშეცნეულად ვგრძნობდი, რომ უკან დახევა არ შეიძლებოდა და იდუმალი ძალა საიერიშოდ მიბიძგებდა.

— რაო, რაო, მაშ, შენი აზრით, მედავითნე სხვა არის?— ზიზღით ჩაილაპარაკა და თეთრი პერანგის საყელოზე წაჭერილი ჰალსტუხი ოდნავ მოუშვა, მაგრამ სახეზე მაინც წამოწითლებული იყო.

— სხვა კი არა, თქვენა ხართ.

აპიტურიენტებმა თავები ჩაჰკიდეს, აბდულაძემ მეჩხერი, მოკლეწამწამებიანი თვალები დაახამხამა და რისხვით მომაჩერდა. დაძაბული დუმილი ჩამოვარდა, აფეთქების წინ რომ ჩამოვარდება ხოლმე, ისეთი. მე თვალს არ ვაშორებდი, ვგრძნობდი ნიკაპი როგორ მიცახცახებდა და წონასწორობას როგორ ვკარგავდი. არ ვიცი, რა შემატყო, რა მეწერა სახეზე ისეთი; ჩემდამოულოდნელად აბდულაძე სკამზე დაეშვა, საგამოცდო მომიგდო და მშვიდად, მაგრამ ბოლმით მითხრა:

— მე ნიშანს არ გიწერ, მიჩივლე, სადაც გინდა.

— სად არის კომისიის თავმჯდომარე?

— გარეთ გავიდა. ახლავე გეახლებათ! — ნიშნის მოგებით მითხრა და დანარჩენებს მიუბრუნდა. — აბა. შემდეგი მობრძანდით:

აუდიტორიიდან არავინ იძროდა.

— თქვენ გეუბნებით, დროს ნულარ მაკარგვინებთ.

ამ დროს აუდიტორიის კარი გაიღო და ხანდაზმული, ჭაღარით შემოსილი კაცი შემოვიდა. აბდულაძე ისევ მე მომიბრუნდა:

— აგერ კომისიის თავმჯდომარე. მიბრძანდით.

საგამოცდო ავიღე და წელმოწყვეტილი მივედი კომისიის თავმჯდომარესთან. ეს საშუალო ტანის, მეტად სათნო, ფერმ-

კრთალი სახის კაცი არაფრით არ ჰგავდა თავის მოგვარე კლიმენტა სარჯველაძეს, ჩვენი სკოლის დირექტორად რომ დაგვინიშნეს.

— რაშია საქმე? — დაღლილი, ქუთუთოებშეშუპებული თვალები მომაპყრო სარჯველაძემ.

— აბდულაძე ნიშანს არ მიწერს.

— რატომ?

— ოთხიანს მიწერდა და... — აქ კი ნერვებმა მიღალატეს, გული ყელში გამეჩხირა და სიტყვა ვეღარ დავძარი.

— დაწყნარდი, შვილო, მითხარი რა იყო, — ამ თბილად და ალერსიანად ნათქვამმა სიტყვებმა უარესად ამიჩუყა გული, თვალებზე ცრემლი მომადგა და გვერდზე შევბრუნდი.

კომისიის თავმჯდომარე წამოდგა და აბდულაძესთან მივიდა. ცოტა ხნის შემდეგ მობრუნდა, თავისი სუსტი, შემჭკნარი ხელი მხარზე დამადო და მითხრა:

— აბა, დაწყნარდი და დაჯექი. მეათე ბილეთი იყო შენი არა? — ეტყობოდა კბილები აკლდა, ოდნავ ჩიფჩიფებდა.

— დიახ! — მერხზე ჩამოვჯექი და სული მოვითქვი.

— ნუ აღელდები. აბა, დავიწყოთ.

ორიოდე წუთის შემდეგ შემაჩერა.

— კარგია, ყოჩაღ! მეტი აღარ მინდა, აბა, მითხარი, რაზე ჰქონდათ დავა მამებსა და შვილებს?

— ენის სიწმინდეზე. ერთნი, კერძოდ მამები, ორბელიანის მეთაურობით იცავდნენ მაღალფარდოვანი, არისტოკრატიული ენის სტილს...

— კმარა, კმარა... სწორია, რატომ ჩქარობ. შენ როგორი კახელი ხარ... — ალერსით გამიღიმა.

— აბა, „სამანიშვილის დედინაცვალზე" რას იტყვი. შინაარსი არ მინდა. მოკლედ გამირჩიე.

ორიოდე წუთში ყველაფერი, ნაწარმოების თემაც და იდეაც, ზუსტად ჩამოვუყალიბე. „მე და ღამე" ზეპირად აღარ მათქმევინა, ორიოდე სიტყვით გავურჩიე, რატომ დაწერა პოეტმა ეს ლექსი, როდის, რა პერიოდში, რას გულისხმობდა და ამით ამოიწურა მესამე საკითხიც. გრამატიკაში დაწვრილებით გამომკითხა ყველაფერი ქცევის ირგვლივ, თითქმის ჩამაცივდა, მაგრამ ყოველ ჩემს პასუხზე, ვატყობდი, სიხარულსა და

კმაყოფილებას ვერ მალავდა. დასტურის ნიშნად თავს მიქნევდა და სიტყვასაც ამ კელებდა:

— სწორი ხარ, მართალია... ოღონდ ნუ ჩქარობ!

როცა ყველაფერი ამოიწურა, სარჯველაძე ცოტა ხანს ჩაფიქრდა და მერე ღიმილით შემომხედა.

— რაკი ხუთიანი გინდა, ერთ დამატებით შეკითხვას მოგცემ, თუ არ გეწყინება.

— როგორ ვეკადრებათ.

— აბა, მითხარი, რა არის რომანტიზმი?

არ დავაყოვნე. ვუთხარი, სად წარმოიშვა რომანტიზმი. როგორ წარმოიშვა, რა იყო საქართველოში რომანტიზმის წარმოშობის მიზეზი. ვინ იყვნენ რომანტიკოსი მწერლები...

ყურადღებით მისმენდა. არ გავუჩერებივარ. ბოლოს, ვიდრე მე ლაპარაკს მოვრჩებოდი, ჩემი საგამოცდო გადაშალა, შიგ ჩაიხედა და თითქოს თავისთვის — ჩაილაპარაკა:

— წერაში ოთხი მიგიღია, ეგ არაფერი. თუ ასე ჩააბარებ სხვა საგნებსაც, მოხვდები. მე კი მინდა, რომ ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტი გახდე... რომელი სკოლა დაამთავრე?

— მაჭარაულის საშუალო სკოლა.

— ვინ გასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას?

ვუთხარი, ვინც მასწავლიდა.

— აჰ. რუსულში როგორ გაქვს საქმე?

— რა ვიცი, სკოლაში ხუთი მეწერა.

სარჯველაძემ ჩემი ბოლო პასუხი მგონი ვეღარც გაიგონა, აბდულაძეს გადასძახა. ცოტა ხანს მობრძანდიო და ხელში კალამი აიღო. აბდულაძე ზანტად მოვიდა.

— თუ თქვენ საწინააღმდეგო არ გექნებათ, ამ ყმაწვილს ხუთიანს ვუწერ.

— თქვენი ნებაა, ბატონო... — სახე ისე აუჭარხლდა აბდულაძეს, ერთი წამით შემენანა კიდეც.

კომისიის თავმჯდომარემ საგამოცდოში ხუთიანი ჩამიწერა, გადმომცა და ღიმილით მითხრა, წარმატებას გისურვებო.

აუდიტორიიდან გამოსულს ხალხი შემომეჯარა. ვიღაცამ ჩახლეჩილი ხმით დაიძახა: მიეხმარეთ, ხუთიანს მოათრევსო და ხალხი გააცინა. იმ ენაკვიმატისთვის ყურადღებაც არ მიმიქცევია, ამის თავი სადღა მქონდა.

ცნობისმოყვარეთა ტალღა, როგორც იყო, გავარღვიე და

გავნაპირდი. შვებით ამოვისუნთქე, შუბლზე დამსკდარი ოფლი ძოვიწმინდე და სიგარეტი ამოვიღე. დერეფნის ბოლოში თვალი მოვკარი სისაურს. ზურგით იდგა და ვიღაცა ქალიშვილს ხელებით რაღაცას ელაპარაკებოდა. შორიდანვე შევატყვე ლექსს უკითხავდა, ალბათ საკუთარს. ის ქალიშვილი სახეგაბადრული უსმენდა და თვალებში ხატსავით შესციცინებდა. თავზე რომ დავადექი, სისაურმა მოიხედა.

— ილო! როგორ არის საქმე?

— ხუთიანი დამიწერეს.

— მართლა?

საგამოცდო გამომართვა, ნიგ ჩაიხედა, მერე მხარზე დამადო ხელი და სიხარულით შემანჯღრია. რა გულწრფელად უხაროდა სისაურს ჩემი წარმატება.

— ჰო, მართლა, — მიუბრუნდა ქალიშვილს, — იცნობდე, ჩემი მეგობარია, ახალგაზრდა პოეტი ილო ღულულაშვილი.

— კარგი ერთი, ნუ იცი ხოლმე... — გავწითლდი.

ქალიშვილმა ღიმილით ჩამომართვა ხელი. ისიც თერმე ჩვენთან აბარებდა. ეშხიანი გოგო იყო, შავგვრემანი. სათნო. განსაკუთრებით თვალები ჰქონდა კარგი. ნაწვიმარი ღამის ვარსკვლავებივით უციმციმებდა.

„როდის მოასწრო ამის გაცნობა, უცნაური ბიჭია", — გავიფიქრე და სისაურს გადავხედე. გამიღიმა. თითქოს ჩემს ფიქრს მიხვდაო.

— ვინ გამოგცადა?

— პირდაპირ სარჯველაძემ. — ამის თქმაზე თვალწინ დამიდგა ის ჭაღარა, სათნო კაცი თავისი დაღლილი, კეთილი თვალებით და მივხვდი, რომ სიკვდილამდე ჩემი გულიდან, ჩემი მეხსიერებიდან აღარ ამოიშლებოდა.

— როგორ თუ სარჯველაძემ?

— ეჰ, რომ იცოდე რა ამბები დატრიალდა... — და მეგობარს ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე. თვალებგაბრწყინებული, გულისყურით მისმენდა და იღიმებოდა.

— ზუსტად ეგრე უთხარი, მედავითნე ხარო?

— ზუსტად.

სისაურმა ერთხანს გაოცებით მიყურა. მერე ქალიშვილს მიუბრუნდა და ამაყად გაიღიმა: აი, ხომ ხედავ როგორი მეგობარი მყავსო.

— კარგი ადამიანი ყოფილა სარჯველაძე, ყველა აქებს.

სამივენი ქუჩაში გავედით. ზაფხულის მზეს ისე აეშრო წვიმის ნაკვალევიც აღარ ეტყობოდა. სიცხისაგან დაოსებული ბელურები ჭადრებს შეხიზნოდნენ, ალბათ ფოთლებსა და ტოტებზე ჯერ კიდევ შემორჩენილიყო ნესტიანი სიგრილე და სიამოვნებდათ. უნივერსიტეტის წინ ტროტუარი ჭირისუფლებით იყო სავსე. სიცხით გულშეღონებულები, საკინძეგახსნილები მიყუდებოდნენ ჭადრებს და უნივერსიტეტის კარებისაკენ მიეპყროთ თვალი.

ჩვენ შორის რაღაც უხერხულობა ჩამოვარდა. თითქოს ზედმეტი ვიყავი. ხალხს რომ შევერიეთ, დრო ვიხელთე და სისაურს ჩავჩურჩულე:

— როგორ გაიცანი?

— კარგი გოგოა?

— რა უჭირს! — ვუპასუხე და დაწინაურებული ქალიშვილი თავით ფეხამდე შევათვალიერე. ტანმორჩილი იყო, მაგრამ კოხტა. განსაკუთრებით ფეხები ჰქონდა ძალზე ლამაზი.

მეგობარმა თავისებურად გამიღიმა და თვალი ჩამიკრა. მერე ხმამაღლა მითხრა:

— წამოხვალ კინოში? „სპარტაკში" კარგი სურათი გადის ინდიელებზე.

— ვერ წამოვალ, ძალიან დაღლილი ვარ. თანაც დეიდაჩემი მელოდება. აბა შენ იცი, — სისაურს ხელზე ხელი მოვუჭირე და ამ დროს, მთლად დაბნეულმა და აწითლებულმა მობოდიშებითა და პატიების კილოთი წამჩურჩულა:

— ილო, არ გეწყინოს.

— ნუ სულელობ, ერთი!.. — მერე ქალიშვილს ხმამაღლა გადავძახე კარგად იყავით-მეთქი. ისიც ღიმილით დამემშვიდობა.

ქუჩა გადავჭერი და ვიწრო ჩიხით თავქვე დავეშვი, უკან არ მომიხედავს, მაგრამ ვგრძნობდი, ვგრძნობდი და ვიცოდი, რომ სისაური გულდაწყვეტილი, ეჭვით შეპყრობილი იდგა და თვალებით მაცილებდა, პატიებას მთხოვდა.

მარტო რომ დავრჩი, მაშინღა ვიგრძენი ოციოდე წუთის წინ მოპოვებული გამარჯვების სიხარული. თვალწინ დამიდგა დეიდაჩემი, რომელიც შინ მოუთმენლად მელოდა, თვალწინ დამიდგა ჩემი სკოლა და ნინო მასწავლებელი... ნეტავ რა-

ტომ მკითხა კომისიის თავმჯდომარემ მისი გვარი?.. იქნებ წერილი უნდა გაუგზავნოს?

და კვლავ აეღერდა ჩემში ის უცნაური ჰანგი, ისე აეღერდა, რომ მთელი ქუჩა, მთელი ქალაქი გააყრუა. აღარც ტრამვაის ხრიგინი მესმოდა, აღარც მანქანების გუგუნი, მარტო ის დიდებული ჰანგი რეკდა. საოცარი ფერებით განათდა მთელი სამყარო და ამ განათებულ, უცნაურ სამყაროში თვალი მოვკარი გულხელდაკრეფილ დედაჩემს, სწორედ ისეთს, როგორიც იმ საღამოს იყო, როცა ქალაქში მომაცილებდა, სასოწარკვეთილი და დაძაბული.

ისე მივდიოდი, მიწას ფეხს არ ვაკარებდი და ვერც ვერავის ვამჩნევდი ამ ხალხით სავსე, ხმაურიან ქუჩაში.

10

აკი თავიდანვე მოგახსენეთ, ოცნება მიყვარს-მეთქი. მართლაცდა, რა სჯობია ოცნებას. მარტოდმარტო ხარ შენს თავთან. აჰყვები შენს ფიქრს, აჰყვები და თავს ამოჰყოფ შენს სასურველ სამყაროში, სადაც ყველაფერი უცნაურად კაშკაშებს და გბიბლავს.

დეიდაჩემი შინ არ დამხვდა. კედლის სამალავიდან გამოვიღე გასაღები და შევედი. ოთახში სულისშემხუთველი ბული იდგა.

მხეზე გავარვარებული შიფერის სახურავიდან მთელი სიმხურვალე ოთახს შეეწოვა. მაშინვე ფანჯრებს ვეცი და ყუნწამდე დავაღე. ორპირმა ქარმა აბლაბუდასავით ნაქსოვი გამჭვირვალე ფარდები ააფრიალა.

საშინლად დაქანცული ვიყავი. შარვალი და პერანგი გავიძრე. საგამოცდო ფურცელი მაგიდაზე დავდე, მივწექი დივანზე და ჩემს საყვარელ ფიქრებში ისე ლაღად და სიამით შევცურე, როგორც მაშვრალი გრილ და ლივლივა წყალში. აჰა, ესეც ქართული წერა და ზეპირი. ორი გამოცდიდან ცხრა ქულა. უკვე ორი საფეხურით ავინაცვლე იმ ტაძრის კიბეზე, ბავშვობიდანვე რომ შევნატროდი. და სწორედ ახლა, როცა უფრო დავუახლოვდი სანუკვარ მიზანს, გაცილებით უფრო შემიპყრო სასიამოვნო გრძნობამ და ოცნებასაც გამოასხა ფრთები. უკვე თვალწინ მედგა ყველა ახლობელი და ნაცნო-

ბი. რომელნიც სულ მალე გაიგებდნენ ჩემი ჩარიცხვის ამბავს, რომელთა თვალში უფრო ავმაღლდებოდი და გავდიადდებოდი. თვალწინ მედგა დედაჩემი, ჩემს ბედსა და მომავალზე სასოებით მლოცავი, ჩემი ალიწეწია, ახტაჯანა და, ჩემი სათნო და საყვარელი ნინო მასწავლებელი.

ექვს აგვისტოს, ესე იგი ზეგ, რუსულ წერას ვაბარებდი. ეს იყო ერთადერთი ბარიერი, რომლის დაუძლეველობაზე არასოდეს მიფიქრია, მაგრამ გულის კუნჭულში მაინც ბუდობდა თავზარდამცემი შიში და ეჭვი. ეს ეჭვი მე თვითონ დავმარხე და მივეცი დავიწყებას, რადგან მისი არსებობა ყველაფერს მიცამტვერებდა. აი, ახლაც, ამაზე ფიქრი უკუვაგდე და თვალებდახუჭული, ორპირი ქარით შვებამოსილი ოცნებას მივენდე: უკვე სტუდენტად წარმოვიდგინე თავი, უფრო შორსაც წავედი, მეცნიერების ძნელ, მაგრამ დიდებულ შარაზე გავაბიჯე. ო, რა უზენაესი ნეტარებაა, როცა სამყაროსგან მოწყვეტილი ძილბურანში ხარ და ოცნებობ. ამ დროს, დამერწმუნეთ, სული სტოვებს სხეულს და დროებით გადასახლდება ხოლმე შენს სასურველ სამყაროში. ამ დროს, თუ ტახტზე მდებარე ნივთად გადაქცეულ შენს სხეულს არ ჩათვლი, ოცნებასა და სინამდვილეს შორის ყოველგვარი ზღვარი წაშლილია. აქ უკვე მხოლოდ ერთმა ღმერთმა იცის, ამ უსასრულო სამყაროში რომელია ოცნება და რომელია სინამდვილე.

...როდის ჩამეძინა ან რამდენ ხანს მეძინა, ვერაფერი გავიგე. თვალები როგორც კი გავახილე, დავინახე, რომ ჩემი და, მათიკო მედგა თავზე. ღიმილით დამცქეროდა და რაღაცას მეუბნებოდა. ერთხანს ჩემი თავი შინ მეგონა. მერე, თანდათან რომ დამიბრუნდა მეხსიერება და გამოვგონდი, გავოცდი, საიდან და როგორ გაჩნდა აქ ჩემი და-მეთქი.

— ადექი, შე ძილის გუდავ, ადექი! — იღიმებოდა და ხელებს შლიდა.

— მათიკო!..

მომეხვია და გადამკოცნა.

— მომილოცავს ხუთიანი, ყოჩაღ!.. უჰ, როგორ გაოფლილხარ!

ისე ვიყავ ძილისაგან და სიცხისაგან დათენთილი, ლაპარაკის თავიც აღარ მქონდა.

— რა ქარმა გადმოგაგდო, გოგო?

ის კიდევ მეუბნება:

— რამდენი ხანია გიყურებ, ან ახლა გაიღვიძებს, ან ახლა-მეთქი, მაგრამ ღრმად გეძინა, მერე ვეღარ მოვითმინე და გაგაღვიძე! — სხაპასხუპით ლაპარაკობდა, თან ხელებს იშველიებდა. ფერმკრთალი სახე ზაფხულის მზით გარუჯოდა და ცოტა კიდეც გამხდარიყო. ალბათ დედას ეხმარებოდა ვენახის დამუშავებაში. ლამაზად შეკერილი შიფონის კაბა ეცვა, თეთრი, დაკბილულ საყელოიანი და ძალზე შვენოდა მის კოხტა, კაფანდარა ტანს. თმაც ლამაზად დაევარცხნა. ერთი სიტყვით, შეხედვა გესიამოვნებოდა, მაგრამ, რაღაცით, ზუსტად ვერ გეტყვი რით, მაინც შეიმჩნეოდა მის გარეგნობაში, მის ჩაცმულობაში, რომ ღარიბი ოჯახის შვილი იყო.

— შინ რა ამბავია, გოგო, ხომ მშვიდობაა?

— კი. დედაჩემს გულმა აღარ მოუთმინა და გამომგზავნა, ჩადი და ერთი გაიგე, ის ბიჭი რასა იქმსო. დღესვე უნდა გავბრუნდე უკან. როგორ გაუხარდება დედას, შენს ამბავს რომ ჩავუტანი.

— გაიღვიძე თავადიშვილო?! — დეიდაჩემს ასეთი გამოთქმა უყვარდა ხოლმე. იგი დოინჯშემოყრილი დადგა შუა ოთახში და ღიმილით მომაჩერდა. — ყოჩაღ, ყოჩაღ, აბა შენ იცი, შვილო, შენ მაინც გაახარე დედაშენის გული. საწყალი ამბროსი სულ იმას ამბობდა, ამ ბიჭისაგან კაცი დადგებაო. არ ვიცი, რას გატყობდა.

ეს რომ თქვა დეიდაჩემმა, ჩემდაუნებურად თვალი გამექცა კედელზე დაკიდებული სურათისკენ. მეტყველი, ცოცხალი ადამიანის თვალებით მომჩერებოდა სურათიდან ძია ამბროსი, თითქოს ცდილობდა სულში ჩაეხედა. დეიდას თვალებზე ცრემლი მოადგა, ერთი ამოიოხრა და მერე, ხუთიოდე წამის შემდეგ. როცა მწარე მოგონების სევდამ გადაუარა, მშვიდად თქვა:

— უთო არ გადამეწვას, მივხედავ. ამაღამ შენი დეიდაშვილი სოფელში მიბრძანდება და უნდა გავამწესო.

— სოფელში?

— კი, ერთად მივდივართ. როგორც იყო დავითანხმე, მერე დეიდაც ჩამოვა, ხომ ჩამოხვალ, დეიდა? — დეიდაჩემს მიუბრუნდა მათიკო.

— რა ვიცი, შვილო, წანწალის თავი აღარა მაქვს, მაგრამ ვნახოთ.

ოლია სოფელში მიდისო.

თითქმის შვიდი წელია ჩვენთან აღარ ჩამოსულა. ჩავა ახლა და ჩვენს მყუდრო, მოწყენილ ეზო-ყურეს აახმაურებს, დაამშვენებს. ადრე, როცა ის სოფელში ჩამოდიოდა, მთელი გოგო-ბიჭობა იმის ირგვლივ იყრიდა თავს. მიყრუებულ, შრომით დაქანცულ სოფელს გამოაცოცხლებდა ხოლმე, კარნავლებს მართავდა და მეზობელ სოფლიდანაც კი მოდიოდა ახალგაზრდობა. მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი, იმათ მარაქაში ვერ ვერეოდი, მაგრამ ოლიას ჩამოსვლა მაინც უზომოდ მიხაროდა.

წამოვდექი. ცივი წყლით გავგრილდი და ტანთ ვადავიცვი.

მათიკო სულ კუდში დამდევდა, ხან სოფლის ამბებს მიყვებოდა, ხანაც აქაურს მეკითხებოდა. საშველი არ დამაყენა, ვიდრე დაწვრილებით არ მაამბობინა ჩემი გამოცდების ამბავი.

— მაშ, ნინო მასწავლებლის გვარი გკითხა კომისიის თავმჯდომარემ? როგორ გაუხარდება ნინო მასწავლებელს, ამ ამბავს რომ გაიგებს. გუშინ შემხვდა და მკითხა, ილოსი ხომ არაფერი გაგიგიათო.

ღამის თერთმეტ საათზე ოლია და მათიკო ვაგზალზე გავაცილე. თელავის მატარებელში დავაბინავე და დავემშვიდობე. აბა შენ იცი, მითხრა დამშვიდობებისას ოლიამ და გადამკოცნა. მის რბილ, ნაზ თმას გამაბრუებელი სუნამოს სუნი ასდიოდა.

ვიდრე ვაგონიდან ჩამოვიდოდი, მათიკო წამომეწია.

— ილო, კინაღამ დამავიწყდა, ეს დედამ გამომატანა და დამაბარა არ იშიმშილოო, დეიდაშენს ძაან ნუ შეაწუხებო, — ჯიბეში ფული ჩამიდო და სწრაფად გაბრუნდა უკან, მერე შეჩერდა, ერთი კიდევ გამიღიმა და პატარა გარუჯული ხელი დამიქნია. მე ვიგრძენი მის თვალებიდან რაოდენი სიყვარული და მზრუნველობა გამოსჭვიოდა.

თორმეტი საათი ხდებოდა. ისეთი სასიამოვნო, გრილი ღამე იყო, შინ დაბრუნება დამეზარა და ვიფიქრე, ერთ ხანს ბაქანზე ვისეირნებ-მეთქი.

ლამპიონებით გაჩახჩახებული ვაგზალი ხალხით იყო სავსე. თითქოს მთელი ქალაქი აყრილა და სადგურს მოსწყდომიაო. ლიანდაგებზე კი გართხმულიყვნენ სხვადასხვა მხარეს მიმავა-

ლი მატარებლები და ყოველი მათგანი თავის მგზავრს ელოდა. სადგური ცოცხლობდა და ბობოქრობდა.

ყოველ ადამიანს თან დაჰყოლია თავისებური უცნაურობა. ამქვეყნად ზოგს რა იტაცებს, ზოგს — რა. პირადად მე ბავშვობიდანვე სამი რამ მხიბლავდა: გაზაფხული, მუსიკა და მატარებლები. გაზაფხულზე, როცა ტყე გაიფოთლებოდა, როცა იასამნები აყვავდებოდა, როცა დედამიწა ნაზად მორთულ სურნელოვან ქალწულს დაემსგავსებოდა, მაშინ ვიგრძნობდი ხოლმე სიცოცხლის მძაფრ წყურვილს, მაშინ გამახსენდებოდა, რომ ტიალი სიკვდილიც არსებობდა. მუსიკა კი, აი თუნდაც ძველი ქართული სიმღერები, ძვალრბილიანად მშლიდა და ყველა ძარღვი მითრთოდა. რაც შეეხება მატარებლებს, უცნაურ გრძნობას აღმიძრავდნენ, როცა მყუდროებით სავსე ღამეში მატარებლის შორეულ ხმაურს გავიგონებდი, ჟრუანტელი მივდიდა. მე არ ძალმიძდა, ზუსტად გავრკვეულიყავი და გამეგო, რაში იყო არსი ჩემს სულში აღძრული ამ მღელვარებისა. მეჩვენებოდა, რომ ეს იყო თრთოლვა იმ ძარღვისა, მთელ ქვეყნიერებასთან რომ მაკავშირებდა. საით მიდიან ის მგზავრები, რომელი ცის ქვეშ, ან რა ფიქრები მიაქვთ, რა სიხარული და რა მწუხარება. და უეცრად თვალწინ დამიდგებოდა ლიანდაგებით დაფარული ვეება დედამიწა, რომელზეც გრუხუნით მიემართებიან ზუსტად გამწესებული მატარებლები. ისინი არსად არ ჩერდებიან თუ არ განაწესში მითითებულ სადგურებზე. მიდიან მატარებლები და მიჰყავთ სხვადასხვა ხელობის ადამიანები, იმ ადამიანებს თან მიაქვთ სიხარული და დარდი. ისინი ივლიან დღეც და ღამეც, გადაუვლიან ბევრ მდინარეს, მწვანედ აჯეჯილებულ მინდვრებს, გვერდზე ჩაუქროლებენ აყვავებულ იასამნებსა თუ ცაცხვებს და ვაგონებიც ხან ამ იასამნებისა და ცაცხვის ყვავილის სურნელს აიტაცებენ, ხანაც ჯეჯილში გაბნეული ველური ქინძის სუნს.

ახლა მგზავრები ისვენებენ, სძინავთ. მარტო მემანქანეები ფხიზლობენ. პროექტორით განათებულ გზას დაძაბული თვალებით გაჰყურებენ და სიბნელეს ჰკვეთენ.

როგორ მეხარბებოდა იმათი ბედი. როგორ მინდოდა, ამ წუთს მეც ან იმ მატარებლის მგზავრი ვყოფილიყავი, ან მემანქანე, მევლო ქვეყნის კიდემდე, მენახა სხვა ცა, სხვა მიწა, უცხო მდინარეები და ზღვები, ვრცელი ტრამალები.

აი, ახლაც მარტოდმარტო ვდგავარ დიდ ვაგზალში და თვალს ვაღევნებ ზღვა ხალხს. აგერ, პირველ ლიანდაგზე ჩამომდგარი მატარებელი მგზავრებით გაივსო. გამცილებლებმა დატოვეს ვაგონები, გამყოლებმა კიბეები დახურეს და კარებში დადგნენ. მატარებელი ნელა იძვრის, თავისი გრძელი ტანით მიიზლაზნება და თანდათან ინთქმება სიბნელეში. ცივად მოელვარე ორი ლიანდაგი ხელებგაწვდილი რჩება იმ ადგილას. სადაც მატარებელი იდგა. მოდის მეეზოვე და თავისი გრძელი ცოცხით ფხოვნის ბაქანს. ვაგზალზე მყუდროება დგება. კანტიკუნტადღა დადიან ადამიანები. მატარებელი მთლად იყვინთება სიბნელეში და წერტილად მოჩანს მისი წითელი სინათლე.

გულდაწყვეტილმა გავაყოლე თვალი და გავიფიქრე:

„თუ ცხოვრებაში ხელი მომეცარა, რომელიმე მატარებელს შევეკედლები და სხვადასხვა მხარეში ვივლი“.

სადგური იცლებოდა. აქაური ბობოქარი ცხოვრება ნელ-ნელა კვდებოდა, ხოლო ქუჩები მთლად გაუკაცრიელებულიყო. ქალაქი ძილს მისცემოდა. მაღაზიების წინ მარტო ღამის დარაჯები გადი-გამოდიოდნენ, ახლურჩუნებდნენ.

ნელ-ნელა გავყევი დეიდაჩემის სახლისაკენ მიმავალ ქუჩას და უცებ წარმოვიდგინე, ხვალ დილას ოლია და მათიკო დედაჩემს როგორ გაახარებდნენ, როგორ გავარდებოდა ხმა, ილომ ხუთიანი მიიღოო. ამის გაფიქრებამ უცებ მომწყვიტა ქუჩას და ჩემს საოცნებო სამყაროში გადამტყორცნა. ერუანტელმა დამიარა ტანში და ისევ აღერდა ჩემს სულში ის ნაცნობი ჰანგი. ახლა ერთი სული მქონდა, შინამდე დროზე მიმეღწია, დავწოლილიყავი და ჩემს ტკბილ ოცნებაში გადავშვებულიყავი. უკვე ვგრძნობდი, რომ ლამაზი ოცნების ტაძარში ვსახლდებოდი, ეს ტაძარი მე თვითონ შევქმენი, თვით მე აღვაშენე. ეს ტაძარი ყველაზე ლამაზი იყო იმათ შორის, რაც კი დედამიწაზე ტაძრები არსებობენ. მაგრამ რას წარმოვიდგენდი, თუ სამი დღის შემდეგ ეს სასოებით ნაგები ტაძარი თავზე ჩამომემხობოდა.

ეს მოხდა შვიდ აგვისტოს, როცა რუსული წერის ნიშნები გამოგვიცხადეს.

— რუსულ წერაში ჩაჭრილი ხართ, აი თქვენი ნაწერი!

ყურები ჯერ დამიგუბდა, მერე სისხლის შხუილი ვიგრძენი.

წითლად აჭრელებულ ნაწერს უაზროდ დავჩერებოდი და ვგრძნობდი, რომ სამყაროს ვეთიშებოდი.

ბავშვობაში ჩემი თვალით მინახავს, ქარიშხალს როგორ გადმოუპირქვავებია რცხილის ჯაგზე შესკუპებული ბეჯითად და მოთმინებით ნაგები ჩიტის ბუდე. ჯერ კიდევ დაუბუმბლავ ბარტყს მიწაზე ზღარბანი მოუდენია და მხოლოდ წამით გაუღვიძია, რათა იმავე წამს საუკუნოდ დაეძინა.

ახლა, როცა უკვე ჰირისპირ ვიდექი ყოვლად დამაქცეველი სინამდვილის წინაშე, სწორედ ამ ბარტყს ვგავდი. ქარიშხალმა იმ ბუდესავით წამოამხო ჩემი საოცნებო ტაძარი და იმ ბარტყივით ძირს დამახეთქა.

იმ წუთს ყველაფრისგან, რაც კი ადამიანს გააჩნია, გაძარცული ვიყავი. ფორმალ ვიყავი, ჭურჭელი ვიყავი, რომელშიც დაწრეტილი სულიღა ბოგინობდა.

— სამწუხაროა, მაგრამ ხომ ხედავთ, როგორი ნამუშევარი გაქვთ, ამაში ნიშანს ვერ დაგიწერდით. გაისად რუსულში მოემზადეთ და ჩააბარეთ. თქვენ შეგიძლიათ... — უკვე ბუნდად მესმოდა გამომცდელის თანაგრძნობით ნათქვამი სიტყვები. ალბათ სასოწარკვეთილება შემატყო და გული მოულხვა.

ინსტინქტით ჩამოვიარე უნივერსიტეტის კიბე, გამოვედი ეზოდან და ქუჩაში აღმოვჩნდი. ახლაც ვერ ვიხსენებ, ეს მანძილი რანაირად გამოვიარე, ან ვინ შემხვდა გზაში. მარტო ის მახსოვს სისაცრი რომ სევდიანი, სასოწარკვეთილი თვალებით მომჩერებოდა. ქუჩაში მზე აცხუნებდა, სახეზე ოფლი მეყარა, მაგრამ სიცხის შეგრძნებაც დაკარგული მქონდა. ბუნდად წარმომიდგა დედაჩემის სახე, დეიდაჩემის, ნინო მასწავლებლის და სხვა ნაცნობების სახეები.

როცა ტროლეიბუსში ვჯდებოდი, თვალი მოვკარი, რომ უნივერსიტეტის კორპუსი შეირხა, თითქოს სადაცაა უნდა წამოიქცესო.

ვილაცამ მაჯაზე ხელი წამავლო.

— ცუდად ხომ არა ხარ, შვილო? — მეკითხებოდა კონდუქტორი და თვალებში ეპვით ჩამცქეროდა. — მოდი, დაჯექი, თავის სკამი შემომთავაზა.

უცებ გამოვგონდი, თითქოს მძიმე დარტყმამ გადამიარა.

— გმადლობთ, არა მიჭირს რა.

მერე ფული ამოვიღე და გავუწოდე.

„როგორ გავამხილო ჩავიჭერი-მეთქი?“

აი, ეს იყო პირველი აზრი, გაყინულ გონებაში რომ დაძეაბადა. არავინ ელოდა, არავის წარმოედგინა, თუ მე ჩავიჭრებოდი და ალბათ ამიტომაც, ახლა სირცხვილის გრძნობა უფრო მაწუხებდა. ამჟამად ახალი საზრუნავი და საფიქრალი გამიჩნდა, — როგორ დამეფარა სირცხვილი. ამ საზრუნავმა თავს დატეხილი უბედურება ცოტა გამიფანტა და შემიმსუბუქა.

„რა ვუთხრა ნაცნობებს?“

და მივაგენი გამოსავალს. სიცოცხლეში პირველად მოვიგონე ტყუილი, ჩემი აზრით, დიდებული და სარწმუნო.

„რუსულ წერაში სამიანი დამიწერეს, გაბრაზებულმა საგამოცდო დავხიე და აუდიტორიიდან გამოვედი“.

„უჰ, ეგ რა გიქნია, შვილო, — შეცბუნდება დეიდა, ეგეს მიხვიდე, ბოდიში მოუხადო და დაგიშვან გამოცდაზე?“

„სულ ერთია, სამიანი მაინც ორიანს უდრის, აღარაფერი ეშველება“.

„ოჰ, ეგ უღმერთოები, აი ეგრეა, ვისაც პატრონი არა ჰყავს, იბრიყვებენ“.

და ჩემი მოგონილი ტყუილი ფრთებს შეისხამს, ქვეყანას მოედება. ილოსთვის უსამართლოდ დაუწერიათ რუსულში სამიანი, საგამოცდო თავზე გადაუხევია გამომცდელისთვის და აუდიტორია დაუტოვებია. დედაჩემი იტყვის, უცნაური ჯილაგის ხალხია, მაგისი მამაც ეგეთი ჯიუტი და ამაყი იყო. რა რომანტიკულად ელერდა ეს ტყუილი, როგორ აღვზევდებოდი ნაცნობების თვალში.

მორჩა. ყველაფერი რიგზეა. აი, ერთადერთი გამოსავალი, რითაც შეიძლება სირცხვილი ჩამოვირეცხო, ამ გამოგონებამ ცოტა შვება მომცა.

ტროლეიბუსი ელბაქიძის დალმართზე მიაკანტურებდა თავს. ვიღაცამ მაჯაზე მომიჭირა ხელი. მივიხედე. კონდუქტორი უსმოდ მომჩერებოდა თვალებში, რაღაცას მანიშნებდა, მაგრამ ვერაფერს ვხვდებოდი, გამოლენჩებულივით ვიყურებოდი, რა მოხდა-მეთქი. და იმავე წამს საკუთარ მარჯვენა ჯიბეში სხვისი ხელი შევიგრძენი. გამახსენდა, რომ დედაჩემის გამოგზავნილი ოცი მანეთი კიდევ მქონდა შავი დღისთვის გადანახული. ჯიბეზე ვიტაცე ხელი და ვიგრძენი, რა ცივად გასხლტა ვიღაცის თითები. ფული ჯიბის პირამდე იყო ამოჩოჩებუ-

ლი. სისხლი ამივარდა თავში და მთელ ტანზე ჭიანჭველები აფუტფუტდნენ. გაავებულმა მივიხედე. ჩემ უკან თეთრ პერანგში გამოწკეპილი შავტუხა ბიჭი იდგა, ასე ოცდახუთიოდე წლისა. თხელი ტუჩები მაგრად მოეკუმა და ალმაცერად მიმზერდა.

— ჩაეთრიე ახლავე! — კბილები გავაღრჭიალე.

— მოკეტე, შე ხიხოვ! — და ცალი ხელი ჯიბეში ღრმად ჩაიყო.

ეგებ სხვა დროს ყურადღებაც არ მიმექცია, ან შიშს დავეთრგუნე, მაგრამ ახლა ამ წამხდარ გუნებაზე, როცა დასაკარგი თითქმის აღარაფერი მქონდა, უკან რა დამახევინებდა. თავისთავად დამეკუმშა სხეული და ყველაფერი უცებ დასრულდა. ზუსტად ერთი წამის შემდეგ მგზავრების ყაყანიღა მესმოდა და ვხედავდი, ოთხად მოკეცილ შავტუხას როგორ მიათრევდნენ ტროტუარისაკენ. გონებაში მერე აღვიდგინე, რაც მოხდა. მარჯვენა ხელის გული ნიკაპში ვკარი, ხოლო მუცელში ისე მარჯვედ და მძლავრად მივაზილე წიხლი, ადგილზევე ჩაიკეცა.

— წადი, შენ წადი. მაგას მოუვლიან! — დაუძახა ვიღაცამ ტროლეიბუსის მძღოლს და მერე ჩემ გასაგონად თქვა: — იხაროს შენმა მარჯვენამ, აგრე უნდა.

ტროლეიბუსი დაიძრა. ფანჯრიდან დავინახე, იმ შავტუხასთან ორი მილიციელი რომ მივიდა. კონდუქტორმა ფანჯრიდან თავი გადაჰყო და მილიციელებს ხელით რაღაც ანიშნა. მერე ხმამაღლა თქვა:

— იქ დაუმატებენ მაგას!.. რომ განიშნებდი, ვერა ხვდებოდი? — მე შემომხედა.

მხრები ავიჩეჩე, ვერა-მეთქი. ვგრძნობდი, მგზავრები როგორ მომჩერებოდნენ ღიმილითა და მოწიწებით.

— როგორ გაბედე, ჰა, ყოჩაღ შენ, არ შეგეშინდა? — ვიღაც მგზავრს ბილეთი მოუხია კონდუქტორმა და ღიმილით დამაცქერდა. რაღაც მშობლიური, დედობრივი გამოკრთოდა მის იერსა და გამოხედვაში.

ისევ მხრები ავიჩეჩე, აბა რა უნდა მეპასუხა. მაგრამ ახლა, როცა ჩავუკვირდი ჩემს საქციელს, თვალწინ დამიდგა სიფრიფანა, ბასრი სამართებელი. წარმოვიდგინე როგორ გადამისერავდა თვალებს და შიშით გამზრზნა.

— მოდი, დაჯექი, — თავისუფალ სკამზე მიმითითა კონდუქტორმა.

მოწყალეთ დავეშვი რბილ სკამზე და ჩემს ფიქრს დავუბრუნდი.

„მაშ ასე, რუსულში სამიანი უსამართლოდ დამიწერეს და საგამოცდო თავზე დავახიე გამომცდელს... — თვალებზე რომ გადაესვა სამართებელი იმ ბიჭს? გადამისვამდა კიდეც, მაგრამ აღარ ვაცალე... რა მიმიყვანს ახლა შინ, ნეტავ სადმე შორს გადამკარგა, ფული რომ მქონდეს, გავემგზავრებოდი სადმე, გავექცეოდი ამ სირცხვილსა და ტანჯვას“.,

— ბოლო გაჩერებაა, შვილო! — კონდუქტორმა გვერდზე ჩამიარა და ამჯერად ეჭვით თუ თანაგრძნობით დამაცქერდა. მივიხედ-მოვიხედე. მგზავრებისაგან დაცლილი ტროლეიბუსი უკვე დინამოსთან ჩამომდგარიყო. წელმოწყვეტილივით ჩამოვედი მანქანიდან. სტადიონის წინ, სვეტზე დაკიდებული მრგვალი საათის ისრები დატყუპებულიყვნენ. სიცხე უფრო და უფრო მატულობდა. პატარა მოედანი გადავჭერი და მეორე მხარეს გაჩერებასთან დავდექი. უაზროდ მივჩერებოდი გამვლელ-გამომვლელს. ის ბედნიერნი არხეინად და ლაღად მისეირნობდნენ, ყველას თავისი მიზანი ჰქონდა, ყველა თავის საქმეზე მიდიოდა. ერთადერთი მე ვიყავი ამ ხალხში მიტოვებული ნავი, მდინარე რომ თავის ნებაზე აბურთავებს. სულ ერთი იყო, ახლა ჩემთვის, სად წავიდოდი, სად ვიქნებოდი, აღარაფრის ხალისი აღარ გამაჩნდა. ჭადრის ჩრდილში, ტროლეიბუსის გაჩერებასთან ტკბილ წყალს ჰყიდდნენ და როგორც კი დავინახე, მაშინვე ვიგრძენი, რომ წყურვილი მკლავდა. ორი ჭიქა ზედიზედ დავლიე, მერე სიგარეტი ვიყიდე და ცეცხლს რომ ვუკიდებდი, მარჯვენა ხელმა სადრეკში ტეხვა დამიწყო. ალბათ იმ შავტუხას ნიკაპზე მეღრძო.

როგორ არ მეწადა ახლა შინ მისვლა. ჩემი მშფოთვარე სული, ბოღმით გასიებული ჩემი გული და სხეული ოთახში ვერ დაეტეოდა, მით უფრო დეიდა შინ არ მეგულებოდა.

„იქნებ ცოტა ხნით ბაღში დავჯდე!“ — გავიფიქრე, როცა დინამოს მოპირდაპირე ბაღს ჩავუარე და მივხვდი, რომ თავს დატეხილი მეხი ჯერ მთლიანად არ მქონდა შეცნობილი, ჯერ კიდევ ბურანში ვიყავი. ეტყობა, ადამიანს თავდაცვის ინსტინქტი არ აძლევს ნებას ერთბაშად გაერკვეს თავსდატეხილ

უბედურებაში, ვიდრე მისი სხეული და სული არ გამოიწრთობა და წინააღმდეგობის უნარს არ შეიძენს.

ბაღი ახალი მორწყული იყო. გრილოდა. კანტიკუნტად გაფანტულიყვნენ ხანდაზმული ადამიანები, ისინი დილიდანვე მოდიან აქ, სიცხეს აფარებენ თავს და წარსულზე მოგონებით გულს იოხებენ.

თითქმის ყველა სკამი დაკავებული იყო. ორი-სამი ადამიანი ყველგან იჯდა. ერთგან, ვეება ჭადრის ჩრდილოვანში, კენტად ჩამომჯდარიყო ხანდაზმული, გამხდარი კაცი. თავი გაზეთში ჩაერგო. ფერმკრთალი, გამხდარი პირისახე ჰქონდა, ცალი ყბა ოდნავ ჩამოვარდნოდა, როცა მივუახლოვდი, თავი აიღო და ისე დამაკვირდა, თითქოს სულში უნდა ჩაგიძვრესო.

— უკაცრავად, შეიძლება დავჯდე?

— დაბრძანდით, ეს სკამი საზოგადოა, — და როცა გაღიმა, სიკეთის თუ სიბრძნის სხივით გაუბრწყინდა ბებრული თვალები.

გრილი სიო სასიამოვნოდ მესალბუნებოდა სახეზე, მაგრამ როგორც კი მუხლი ჩავკრიფე, მყისვე ვიგრძენ, რომ ერთ ადგილას მაინც არ გამიჩერდებოდა გული.

„აბა შენ იცი, შვილო!“ — უცებ ყურში დარეკა დედაჩემის ნათქვამმა და თვალწინ დამიდგა იგი.

დედაჩემი...

მთელი ცხოვრება ისე გაატარა, სიმწრის მეტი არაფერი უნახავს. ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, მამაჩემი ომში რომ გაიწვიეს და კისლოკოდსკიდან ავიყარენით. დედის ანაბარა დავრჩით მე და ჩემი და. დედა დღისით კოლმეურნეობის კანტორაში აღმრიცხველად მუშაობდა, ღამით შარფებს ქსოვდა. კვირაობით თელავის ბაზარზე ჰყიდდა და ასე თუ ისე. ლუკმაპურის ფულს შოულობდა. რიგრიგობით, ხან ერთ, ხან მეორე მეზობელთან შეიყრებოდნენ ქალები და ხამთრის გრძელ ღამეებს რთვასა და ქსოვაში ათენებდნენ. კვირით კვირობამდე ხუთიოდე ცალს მოქსოვდნენ და კვირა დღით გროშებად ჰყიდიდნენ. ერთხელ დედაჩემმა ბაზარზე მეც წამიყვანა. სუსხიანი ნიავი თოვლს ალმაცერად ჰყრიდა მიწაზე. ხურვზე შარფებმოხვეული, სიცივისაგან აძაგძაგებული. დედაჩემის გვერდით ვიყავი ატუზული და გულში ვნატრობდი, თუნდაც იაფად, ოღონდ კი გაეყიდა შარფები, რომ შინ დროზე დავბრუნებუ-

ლიყავი. ის დღე ჩემი მეხსიერებიდან არ ამოიშლება, არც ის სქელი, ენაბლუკუნა კაცი. იმის მზაკვრული თვალები ახლაც წინ მიდგას. ორჯერ ჩაგვიარა, ორჯერ დააფასებინა დედაჩემს შარფი, თან მგელივით უყურებდა. მერე ეგრე უთხრა, ასეთი ანგელოზი ამ ყინვაში ვინ გამოგიშვაო. მე რომ შენი ქმარი ვიყო, შინიდან ფეხს არ გადმოგადგმევინებდიო. ცეცხლი დავკვესე თვალებიდან, გული ყელში მომებჯინა. დედაჩემი აწითლდა და იმ ავყიას ზურგი აქცია. თან ცალი თვალით მე გადმომბედა.

ოო, მაშინ როგორ ვინატრე, ნეტავ დიდი ვიყო, რომ იმ გაპერილს ჭკუა ვასწავლო-მეთქი.

„რუსულ წერაში ჩაჭრილი ხართ, აი თქვენი ნაწერი!..“

ნუთუ ამ სიტყვებით დასრულდა ყველაფერი, დაინგრა ჩემი ოცნების ტაძარი?

უნებურად დამცდა ოხვრა და თვალები დავხუჭე, რომ მოწოლილი ცრემლისთვის გზა გადამეკეტა.

გამხდარი კაცი შეტოკდა, გაზეთის კითხვას თავი მიანება. თვალებმოჭუტული კარგა ხანს მიყურებდა, გაზეთი გვერდზე გადადო და მითხრა:

— რა გაწუხებს, ყმაწვილო, ხომ არაფერი შეგემთხვა?

გაკვირვებით შევათვალიერე. სამოცდახუთი წლისა იქნებოდა, უბრალოდ ეცვა. თეთრი, ოდნავ გადაღეღილი პერანგის საყელოდან გაჭაღარავებული ბალანი მოუჩანდა.

— ისეთი არაფერი, ძიავ.

და უცებ სურვილმა მომიარა, ამ კაცისთვის გული გადამეშალა. თქვენც ხომ გამოგიცდიათ, როცა საკუთარ ვარამს ვინმეს გაუზიარებთ, თითქოს გულზე მოგეშვება, ბოღმისგან დაიცლები და შვებას იგრძნობ.

ერთხანს თანაგრძნობით მაკვირდებოდა და მერე თითქმის ჩურჩულით მითხრა:

— რა საგანში ჩაიჭერი?

ვაოცებისაგან კინაღამ შევხტი, ვინ იყო ეს გულთამხილავი.

— თქვენ რა იცით, რომ ჩავიჭერი?

— ჰმ! — ჩაიქირქილა, მერე ჩაფიქრდა და მითხრა: —გეტყობა, ძალიან დარდობ. ეგრე არ შეიძლება, ახალგაზრდა კაცი ხარ, გული დაგიბეჩავდება, შენ ჯერ ჩიტივით გული გაქვს.

თანაგრძნობით ნათქვამი მისი სიტყვები სულს მალამოდ მოეცხო და გადავწყვიტე, აღარაფერი დამემალა.

— ეხ ძიავ, სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო. თქვენ რომ იყოთ ჩემს ადგილას...

— რაო? ნეტავ მართლა შენს ადგილას ვიყო, ყმაწვილო.— და ოხვრით დაატანა. — უცნაურები ხართ ახლანდელი ახალგაზრდები. რა იყო, ქვეყანა დაიქცა?

— თქვენთვის არ დაქცეულა, მაგრამ...

იგი შეტოკდა და უფრო ახლოს მიჩოჩდა.

— აბა ერთი მითხარი, ყმაწვილო, შენთვის რაღატომ დაიქცა?

— რატომა და, ყველაფერი წყალში ჩამეყარა. თავს მოვიკლავდი, დედა რომ არ მენანებოდეს!

— უყურე ამას! — ბრაზით და თითქოს თანაგრძნობითაც თქვა. — ღმერთო კი მომკალი, ეს რა მესმის. — მუხლზე დაირტყა ხელი, — ეგრე ვინ დაგიმახინჯა სული ამ მშვენიერ ყმაწვილს. ვინ შთაგაგონა, რომ უმაღლესის გარეშე ცხოვრება არ შეიძლება? ვაი ჩვენი ბრალი, როგორ ვზრდით ბავშვებს... შენ ახლა ისე გგონია, თუ უმაღლესში არ შეხვედი, კაცი ვერ გამოხვალ და ქვეყანას სარგებლობას ვერ მოუტან, ვაი ჩვენს დღეს, — მერე გაშეშდა, თითქოს რაღაც მოაგონდაო, დამაკვირდა, დამაკვირდა და დინჯად მითხრა:

— აბა ერთი მითხარი, ყმაწვილო, რისთვის შედიხარ უმაღლესში?

— რისთვის და სწავლა მინდა.

— ჰმ, სწავლა უნდა!..

ისედაც დაბოღმილ გულზე რაღა მასხრად ავდება მინდოდა. სიბრაზისგან ავენთე.

— იცით რა გითხრათ, ძიავ, მასხრად ნუ მიგდებთ.

ამის თქმაზე სახე შეეცვალა. თვალებმოჭუტული მიყურებდა, დაქანებულ შუბლზე ნაოჭები გასჩენოდა. მერე უცებ შეტოკდა და ხელი მუხლზე ფრთხილად დამადო.

— ნუ გეწყინება, ყმაწვილო, — მშვიდი ხმით მითხრა, — შენ იქნებ მართლა სწავლა გინდა, მაგრამ უმეტესობა დღეს, იცი, რატომ შედის უმაღლესში? პატივმოყვარეობა, პატივმოყვარეობა და დიპლომი, რომ ცხოვრება სხვაზე უკეთ მოიწყოს. დღევანდელ ახალგაზრდებს ისე გგონიათ, თითქოს ცხოვრება

აუცილებლად ინსტიტუტიდან უნდა დაიწყოთ. საშუალო სკოლიდან პირდაპირ იქ შეყოფენ ცხვირს, ხუთი წლის განმავლობაში დაყიალობენ თბილისის ქუჩებში, ეჩვევიან ფუქსავატურ, ნებიერ ცხოვრებას, ხვეწნითა და მუდარით, პროტექციითა და ჯაბირით გადადიან კურსიდან კურსზე, მერე ჩაიდებენ დიპლომებს და მიადგებიან პოლიკლინიკებს, მეურნეობებს, სამშენებლო სამმართველოებს, ქარხნებს, რაიკომებს, მე ნასწავლი კაცი ვარ და თანამდებობა მიბოძეთო, თან გაიყინჩებიან, საკუთარი თავის იქით ველარავის ხედავენ. მერწმუნე. ასეთი ვაიინტელიგენტები და ვაინასწავლები ქვეყანას დაღუპავენ... მე რომ უფლება მომცენ, იცი, რას ვიზამდი? ბავშვობიდანვე მივაჩვევდი ადამიანს შრომასა და კაცურ ცხოვრებას. ბავშვობიდანვე ჩავუნერგავდი თანამოძმის სიყვარულს, სამართლიანობას, ადამიანის მოსარჩლეობას, სიმართლის თქმას, პირდაპირობას... აბა, რა უნდა ელაპარაკო იმ ინტელიგენტს, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ცრუობს, ორპირობს, მლიქვნელობს, ადამიანს გულგრილად ეპყრობა, ქრთამს იღებს. ვაი, ვაი ჩვენი ბრალი! — ისევ მუხლზე დაირტყა ხელი, — მერწმუნე, ყმაწვილო, ორი დიდი ბოროტება არსებობს ამ ქვეყანაზე: ერთი, უვიცი რომ გამდიდრდება და მეორე, უვიცი რომ თანამდებობაზე დაჯდება. სიმდიდრისთვისა და თანამდებობისათვის ყველა როდია მზად. ღარიბი ოჯახის შვილი ჩანხარ, განა არ გეტყობა, ჰოდა, ნუ იდარდებ, რომ უმაღლესში ვერ მოხვდი. აბა გაიხედე, ეს ქვეყანა რამოდენაა, გზებითა და ბილიკებით არის დასერილი. თუ შენ ჭეშმარიტი ნიჭი გაქვს, ის მაინც სადმე გაჟონავს და სასახელო კაცად გაქცევს, რა პროფესიასაც არ უნდა მოკიდო ხელი. შრომა, შრომა აკეთილშობილებს ადამიანის სულს. იცოდე, ცუდი და კარგი პროფესია არ არსებობს, არსებობენ მხოლოდ ცუდი და კარგი ადამიანები, ან ცუდი და კარგი სპეციალისტები. ამ ქვეყანას ვინ უფრო ძალიან სჭირდება დღეს, ვინ უფრო დიდ სარგებელს მოუტანს, მწყემსი თუ ლექტორი, ეგ კაცმა არ იცის. არც ის იცის კაცმა, იმ მწყემსს უფრო ძალიან უყვარს თავისი ქვეყანა, თავისი მოძმე, თუ რომელიმე მოინტელიგენტოს. ნეტავ ახლა შენი ტოლი ვიყო, მე ვიცოდი, როგორც დავიწყებდი ცხოვრებას! — აი, აბა შეხედე, — და მან გვერდზე დაწყობილი გაზეთებიდან ერთ-ერთი აიღო. — რამდენი სასწავლებელი

აცხადებს მიღებას — სასოფლო ტექნიკუმი, სააღმშენებლო... აგერ ჰა, რკინიგზის პროფტექნიკური სასწავლებელი აცხადებს მიღებას. კვება და ბინა სახელმწიფოსია. განა ცუდი პროფესიაა რკინიგზელობა? მომავალი წინა გაქვს, ყმაწვილო. გამოიწრთობი, ჩაწვდები ცხოვრების ავსა და კარგს და თუ სწავლის გაგრძელებას კიდევ მოგთხოვს გული, წინ რა დაგიდგება. დამიჯერე, ყმაწვილო, დარდი ფარ-ხმალს დაგაყრევინებს და დაგაბეჩავებს ან ცუდ გზაზე დაგაყენებს. დაიმახსოვრე დღევანდელი დღე, მე ბევრჯერ გამიხსენებ. თუ რაიმე გაგიჭირდეს, მოდი როგორც შვილი მამასთან, საგურამოს ქუჩაზე ვცხოვრობ, ათ ნომერში. კარგად იყავი. შენდობილები ვიყოთ ერთმანეთთან.

მკვირცხლად წამოდგა, გაზეთები ჩაბღუჯა და სწრაფი ნაბიჯით გაუდგა გზას. ცალი ფეხით კოჭლობდა.

— ძიავ, ერთი წუთით!

შეჩერდა, ჯანსაღ ფეხს დაეყრდნო და გამომხედა.

— რა იყო, ყმაწვილო?

— გვარი და სახელი მითხარით. ვინიცობაა... როგორ მოგაგნოთ?

— არ გინდა. — მტკივან ფეხზე დაიხედა. — ასეთ-ასეთი კაცი-თქო და ყველა მიხვდება.

და ისევ კოჭლობით გაუდგა გზას, თვალს მიეფარა.

„განა ცუდი პროფესიაა რკინიგზელობა?“ — გამახსენდა იმ კაცის ნათქვამი და თვალწინ დამიდგა ლიანდაგებით დასერილი დიდი სადგური, თვალწინ დამიდგა მყუდრო ღამეში გრუხუნით მიმავალი მატარებელი, რომლის ხმაზედაც ჟრუანტელი მივლიდა ხოლმე ტანში.

გაოგნებული ვიჯექი. ვინ იყო ეს უცნაური კაცი, გამოცხადება თუ სინამდვილე? მოჩვენებასავით შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში და გაქრა.

და მაშინ აზრადაც არ მომსვლია, თუ ბედი ისევ შემყრიდა იმ მოხუცთან.

11

ეჰ, რა ადვილად გაცამტვერდება ხოლმე ჭაბუკური ოცნებები. სიყმაწვილეში ყველა დიდებით გაცისკროვნებულ მწვერვალზე ოცნებობს, იმედიანად ილტვის იქითკენ, მაგრამ მწვე-

რვალ'ნ მხოლოდ ერთეულებისათვის არის ადგილი და ისინიც ღვთის ნებით თუ ავლენ იქ.

ვაი შენს დედას, ილო ღულულაშვილო. რას იფიქრებდი, თუ შენი ბედის ჩარხი სხვაგვარად შებრუნდებოდა, სხვანაირად დატრიალდებოდა. მაგრამ ადამიანი, ეტყობა, ყველაფერს იოლად ეგუება. დრო დიდებულად კურნავს ყველა იარას.

ყველაფერი ისე აეწყო, როგორც ჩაფიქრებული მქონდა, დეიდაჩემი შინ დამხვდა. ის-ის იყო ოთახიდან დასარეცხი ჭურჭელი გამოჰქონდა და კიბეზე ამავალს როგორც კი თვალი მკიდა, გაშეშდა. ფერფური წაუვიდა. ალბათ სახეზე ყოველივე აშკარად შემატყო, მაგრამ ხმა არ ამოუღია, პირი ამარიდა, წელში მოიკუზა და სამზარეულოში შევიდა.

„სამიანი დამიწერეს. გაბრაზებულმა საგამოცდო დავხიე და წამოვედი". — კიდევ გავიმეორე, რაც უნდა მეპასუხა დეიდაჩემისთვის და მივხვდი, ჩემსავე მოგონილ ტყუილს თანდათან როგორ ვიჯერებდი. თანდათან ემგვანებოდა იგი სიმართლეს. ეს ტყუილი დიდი შვება იყო ჩემთვის, იმასლა შეეძლო ჩემი განწირული თავმოყვარეობის გადარჩენა.

დეიდაჩემი შემოვიდა. დოინჯშემოყრილი დადგა, დამაშტერდა და მეუბნება:

— რა ჰქენი, ბიჭო?

— არაფერი-მეთქი, ჩავიბუტბუტე.

დეიდაჩემს ხელები ჩამოუვარდა და სკამზე დაეშვა.

— ჩაიჭერი?

— სამიანი დამიწერეს, საგამოცდო დავხიე და წამოვედი.

— უი, მომიკვდეს თავი, — ლოყაზე იტაცა ხელი. — ეგ რა გიქნია, შვილო. მერედა, ახლა როგორ იქნება?

— არც როგორ, ყველაფერი მორჩა. სამიანი მაინც არაფერს მიშველიდა.

დეიდაჩემი დამაშტერდა. მიყურა, მიყურა და მერე თავის ჭკუით ვითომდა გამოსავალი იპოვა.

— იქნებ მიხვიდე, შვილო, და ბოდიში მოუხადო. ან რექტორთან შედი, აუხსენი შენი მდგომარეობა, თავი შეაცოდე. როგორ, მამაშენი ამათ არ შეეწირა?

იმ დროს დეიდაჩემს კი არა, მეც მეჯერა, რომ ვინმეს მართლა შეიძლება შეაცოდო თავი, ხატოვანი, გულამაჩუყებელი სიტყვებით აღწერ შენი ოჯახის ისტორიას, შენს დიდ განც-

დებს და მორჩა. ცრემლად დაღვრება იმისი წამკითხველი. რა გულუბრყვილო ვიყავი. გვიან მივხვდი, რომ ეს ყველაფერი წყლის ნაყვა იყო. თურმე ასეთ ნაჯღაბნს არც კი კითხულობდნენ. ოი, შე საცოდავო ანგელოზო, რომელი ციდან ჩამოფრინდი დედამიწაზე. შენმა ცეცხლმა შენ თვითონ უნდა დაგწვას და დაგხრუკოს.

დეიდაჩემმა ერთ ხანს კიდევ მიყურა, მერე ამოიოხრა და წამოდგა.

— ოხ, ეგ უღმერთოები. ევრეა, კაცო, მე არ ვიცი?! თუ პატრონი არა გყავს, არაფერი გამოვა. გეშიება არა? მოდი, ისადილე, დარდით რას უშველი. — ერთხელ კიდევ ამოიოხრა და სამზარეულოში გავიდა. იქიდან გამომძახა, მათიკოს წერილი მოვიდა და მანდ კარადაზე დევსო.

მათიკოს წერილიო? ამის გაგონებაზე ისევ ვიგრძენი ყურებში სისხლის შხივილი, კვლავ თვალწინ დამიდგნენ დედაჩემი და ჩემი და. რა იციან ახლა მათ, რომ ჩემი მისია დღეს უკვე დასრულდა.

„გამარჯობა, ილო, — მწერდა მათიკო,— ჩვენ კარგად ვიმგზავრეთ. დედაჩემმა ძალზე გაიხარა, შენი ამბავი რომ ჩამოვუტანე. მთელ სოფელს გაეგია, ილომ ხეთიანი მიიღოო. დღეს თქვენი კლასელები შემხვდნენ: ლენა ბიწკინაშვილი და სიდონაშვილი. ეგრე მითხრეს, მედლის ღირსი ილო იყო და სხვას კი მისცესო. აბა შენ იცი. დედაჩემი დიდ მოკითხვას გითვლის. შენი წარმატება ძალიან უხარია, მაგრამ არ იმჩნევს. ოლიამაც მოგიკითხა, შენზე ძალიან დარდობს, განსაკუთრებით რუსული წერისა ეშინია. ისეა გახარებული აქ ჩამოსვლით, რომ ენით ვერ ასწერ. ჰო, მართლა: დათუკაშვილი თელავში აბარებდა და ისტორიაში ჩაიჭრა. კონსტანტინიძე საარტილერიო სკოლაში ჩაურიცხავთ. გიგაშვილი სასოფლოზე აბარებდა და ჩაჭრილა. სხვებისა არაფერი ვიცი.

დიდი სიყვარულით მომიკითხე დეიდა. უთხარი ჩამოვიდეს. აქედან მოკითხვას გითვლიან მეზობლები.

ვწერს შენი დ ა მ ა თ ი კ ო ღ უ ლ უ ლ ა შ ვ ი ლ ი.
1954 წ. 5 აგვისტო.

„განსაკუთრებით რუსული წერისა ეშინია ოლიას... დათუკაშვილი ისტორიაში ჩაიჭრა... ისტორიის მეტი არაფერი იცოდა, როგორ ჩაიჭრა? კონსტანტინიძე მამის კვალს გაჰყოლია, იმის მამაც არტილერისტი იყო. მეც შევიდოდი საარტილერიო სკოლაში, მაგრამ მათემატიკა არ მესმის. კონსტანტინიძემ ზედმიწევნით იცოდა მათემატიკა“.

— რა მოგვივიდა, ბიჭო?

დეიდაჩემი წამომდგომოდა თავზე. მაშინღა ვიგრძენი, რომ ცრემლი ჩამომდიოდა.

— აბა ჰე, გაიხეთქე გული. იმეცადინე და მომავალ წელს ჩააბარებ. მიდი ახლა, ხელები დაიბანე და ისადილე, — გამიწყრა დეიდა.

დეიდაჩემის ნათქვამმა ბაღში შეხვედრილი ის უცნაური კაცი გამახსენა. როგორ მეუბნებოდა, ნუ იდარდებ, უმაღლესში რომ ვერ მოხვდიო. აბა გაიხედე ეს ქვეყანა რამოდენაა, სულ გზებითა და ბილიკებით არის დასერილი, თუ შენ ჭეშმარიტი ნიჭი გაქვს, ის მაინც სადღაც გაეონავსო.

— დეიდ, დღევანდელი გაზეთები მოვიდა?

— გაზეთები? — გაოცდა დეიდაჩემი. — რა გაზეთები გინდა?

— „კომუნისტი".

— კი. აგერ ტახტზეა ყველა გაზეთი, არის რაიმე საინტერესო?

— არა, ისე...

„კომუნისტი" მეოთხე გვერდზე გადავაბრუნე და წავიკითხე:

„თბილისის № 34 რკინიგზის პროფტექნიკური სასწავლებელი აცხადებს მიღებას 1954-1955 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

ელმავლის მემანქანეები, ელმავლის მემანქანის თანაშემწეები, ელმავლის შემკეთებელი ზეინკლები. სპეციალობებზე მიიღებიან ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდები არასრული საშუალო და სრული საშუალო სკოლის განათლებით და იქნებიან მთლიანად სახელმწიფო კმაყოფაზე. სამჯერადი კვება, ჩაცმა-დახურვა და სხვა სახის საყოფაცხოვრებო მომსახურება. საშუალო განათლების მქონეთაგან სასწავლებლის წარჩინებით დამთავრებულებს უფლება ენიჭებათ მოხვდნენ უმაღლეს სასწავლებლებში. სასწავლებელში მყოფი მოსწავლე სარგებლობს ზაფხულისა და ზამთრის არდადეგებით, ამავე დროს რკინიგზის შეღავათიანი ბილეთებით.

მსურველებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ... და შემდეგ ჩამოთვლილი იყო, რა საბუთები უნდა წარედგინათ სწავლის მსურველებს.

დეიდაჩემისთვის არაფერი მითქვამს, გაზეთი დავკეცე, თავისივე ადგილზე დავდე და საათს შევხედე. ხუთი ხდებოდა. დღეს ვეღარ მოვასწრებდი, თორემ წავიდოდი საბჭოს ქუჩაზე, რკინიგზის პროფტექნიკურ სასწავლებელში და ყველაფერს დაწვრილებით გავიგებდი. რა მენაღვლებოდა, ისე მაინც ავ-ხედ-დავხედავდი საქმეს. ეგეც არ იყოს, დაბოღმილ გულს ცოტათი გავიქარვებდი, მაგრამ ახლა რაღას მოვასწრებდი.

ორიოდე ლუკმა უგერგილოდ გავღეჭე და ეგ იყო. ჭამის თავი საადღა მქონდა. სულიან-ხორციანად დაქანცული ვიყავი. ახლა ჩემთვის ცოტა შვება ისღა იქნებოდა, დავწოლილიყავი, დამეხუჭა თვალები და მეფიქრა. მეფიქრა იმაზე, რაც მოხდა. მეფიქრა წარსულსა თუ მომავალზე.

შებინდდა თუ არა, დეიდაჩემს ვუთხარი, ლოგინი გამიშალე-მეთქი და დავწექი. დავწექი და დამაცხრა ფიქრი. უნივერსიტეტი დამიდგა თვალწინ. ის ხანდაზმული დარბაისელი ლექტორი, რომელმაც მითხრა, რუსულ წერაში ჩაჭრილი ხარო. გამახსენდა სისაურის თვალები, რა თანაგრძნობით და სიბრალულით მომჩერებოდა. მე კი ისე გამოვედი აუდიტორიიდან, იმისკენ ერთხელაც არ გამიხედავს. ნეტავ სისაურმა რუსულ წერაში რა ნიშანი მიიღო? მოეწყობა თუ ვერ მოეწყობა?

ის დღე გამახსენდა, როცა მე და ანზორ სისაურმა სამუდამო ძმობა აღვუთქვით ერთმანეთს და მივხვდი, რომ ამის აღსრულება იოლი არ იყო. თითქოს იმწუთსავე, როცა ორიანი გამომიცხადეს, გაჩნდა ჩვენს შორის უფსკრული და გაგვთიშა. მე გამოღმა დავრჩი, ის გაღმა. ნეტავ საით წავა ჩვენი ცხოვრების გზები? კიდევ შეიყრებიან თუ სამუდამოდ დასცილდებიან ერთმანეთს? რადა ხდება ასე, რადა? გადაეყრები ადამიანს, შეიყვარებ და მერე, არ ვიცი რათა, ცხოვრება ნელ-ნელა გაგაცილებს მას. ათასში ერთხელ წამით თუ გაგახსენდება, უცხო ცდომილივით გამობეუნტდება მეხსიერებაში და ჩაქრება. უეცრად მატარებელმა შეჰკივლა, მოძალებული ფიქრი გამიფანტა და მთელი ჩემი გულისყური თავისკენ მიიტაცა. ლიანდაგები მძიმე ვაგონების ქვეშ ძაგძაგებდნენ. გამახსენდა, რომ ხვალ რკინიგზის სასწავლებელში უნდა მივსულიყავი და ყველაფერი დაწვრილებით გამეგო.

„მართლა რომ შევიდე იქ, ნეტავ დედაჩემი რა გუნებაზე

დადგება? რას იზამს. ავდგები და შევალ, რაც უნდა ქნას, ერთ წელში მეელმავლე ვიქნები, თავსაც შევინახავ და ოჯახსაც დავეხმარები... როგორ მითხრა იმ უცნაურმა კაცმა? გაიხედე, ეს ქვეყანა რამოდენაა, სულ გზებითა და ბილიკებით არის დასერილი, რა პროფესიასაც არ უნდა მოჰკიდო ხელი, თუ ნიჭი გაქვს, ის მაინც სადმე გაუონავს და სასახელო კაცად გაქცევსო. ავდგები და შევალ, ვისაც რა უნდა, ისა თქვას, დამცინონ და გამჭორონ. ბოლოს გამოჩნდება, ბოლოს!..“

და ჩემისთანა მეოცნებეს მეტიც არ უნდოდა. ეგრევე ავალაჯე ელმავლის კაბინაში და მატარებელი გავუყენე შორეულ გზას. იმ გზის პირას სულ აყვავებული ხეებია ჩარიგებული, შორს მოჩანს მწვანე სინათლე, ხოლო უფრო შორს, დიდი, ჩემთვის უცხო ქალაქი, რომელზედაც მატარებელი უნდა გავატარო.

...უკვე ცნობილი მემანქანე ვარ. შორიდანვე ვამჩნევ, თუ რამ ხიფათია წინ და ბეწვის ხიდზე შეგდებულ მგზავრებს სიცოცხლეს მოსალოდნელ საფრთხეს ვაცილებ.

...საკმაოდ დიდ ხელფასს ვიღებ, დედასთვის და ჩემი დისთვის საჩუქრებს ვყიდულობ, ოჯახი უკაცობას აღარ გრძნობს, თან ვმუშაობ და თან ვსწავლობ, მემანქანეც პირველი ვარ და სტუდენტიც.

მინდოდა როგორმე გავსხლტომოდი ამ სულელურ ფიქრებს და ძილისთვის მიმეცა თავი, მაგრამ ის ოხერი, ეტყობოდა, მსიამოვნებდა და ამაოდ ვბორგავდი, ვერასდიდებით ვერ ვაღწევდი თავს. ფიქრმა დამქანცა. ისე მეჩვენებოდა, თითქოს ყორანი იქნევდა ფრთას, იმ ფრთაზე ვიჯექი და ხან მაღლა მახტუნებდა, ხან დაბლა დამიშვებდა.

სულიან-ხორციანად დაქანცულს როდის ჩამეძინა, ვერაფერი გავიგე.

— გაიღვიძე, შვილო? შენ რა გითხარი, წუხელ ლამის გული გადამიტრიალე.

დოინჯი შემოეყარა დეიდაჩემს და თავზე ისე დამდგომოდა.

შემაღლებული, გავარვარებული ზაფხულის მზე, ფანჯარას მოსდგომოდა და თავისი საქმე უკვე მოესწრო. მთელი ოთახი სულისშემხუთავი სიცხით აევსო.

— როგორ თუ გული გადაგტრიალე? — გაკვირვებით ვკითხე დეიდაჩემს.

— რა გესიზმრა წუხელ ამისთანა, ვიღაცას ხმამაღლა ედავებოდი.

— მე?

— დიახ შენ. ადექი ახლა, ვისაუზმოთ, უკვე თერთმეტი საათია. — დეიდაჩემი სამზარეულოსაკენ წავიდა.

„რა დამესიზმრა წუხელ?" — გავიფიქრე, როცა მარტო დავრჩი და თითქოს ცა გაიხსნაო, ისე ერთბაშად გამახსენდა წუხანდელი სიზმარი. ჯერ ის ბიჭი დამესიზმრა, ტროლეიბუსში ჯიბიდან ფულს რომ მაცლიდა, მერე... მერე ვითომ იმ ორმა მილიციელმა მეც მტაცა ხელი, წამიყვანეს და ერთ ვეება, შუაზე გატიხრულ ოთახში შემაგდეს. იმ ოთახში სულ შმორის სუნი ტრიალებს და სუნთქვა მიჭირს. ჩემ წინ ულვაშიანი მილიციელი ზის და მეკითხება, ქალაქში რისთვის ჩამოხვედიო. მეც ვეუბნები რისთვისაც ჩამოვედი, მაგრამ არ მიჯერებს, მიჰქარავ, შე მამაძაღლო, საჯიბგიროდა ხარ აქ ჩამოთრეულიო. ვეფიცები და მაინც არ მიჯერებს. მერე იმ მილიციელმა ცარცის ნატეხი აიღო და შავ დაფაზე ვეება ხუთიანი დაწერა. ვითომ იმ ხულიგნობისთვის, რაც შენ ჩაიდინე, ხუთი წელი გეკუთვნისო. არა ვტყუივარ-მეთქი, ქვითინით ვემუდარები, ის ბიჭი ფულს მაცლიდა და იმიტომ დავარტყი-მეთქი. კარგი, აგრე იყოსო, ამ ერთხელ გაპატიებო, ოღონდ თუ კვლავ დაგიჭერთ, ციხე არ აგცდებაო, მითხრა მილიციელმა და თან მეორე ოთახში გავიდა. ამ დროს კი ისევ ჯიბეში მიყოფენ ვითომ ხელს. მივიხედე და რას ვხედავ, ის შავტუხა ბიჭი მიდგას გვერდით და ხელში ჩემი ფული ეჭირავს. მერე ის ბიჭი უცებ მილიციელად იქცა. დგას და ხარხარებს, ლამის ჭერი ჩამოაქციოს...

რა უცნაურია სიზმარი. რამ დამესიზმრა ახლა ასეთი სისულელე. იქნება სისულელე არც იყო და ის მილიციელები მართლა მეძებდნენ?

დეიდაჩემისთვის არაფერი მითქვამს, უბმოდ ავდექი, პირი დავიბანე და ტანსაცმელი გადავიცვი. სუფრა უკვე გაწყობილი იყო.

საუზმის შემდეგ დეიდაჩემს ვაუწყე, ცოტა ხნით ქალაქში გავალ და მალე დავბრუნდები-მეთქი.

— მაინც სად მიდიხარ ამ სიცხეში, არ გეზარება?

— ერთი ამხანაგი უნდა ვნახო, საქმე მაქვს.

არაფერი უთქვამს. ამხედ-დამხედა და კიბეზე ეჭვიანი თვალით მიმაცილა. დღეს, საუზმეზედაც და ამ წუთშიც ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, თითქოს დეიდაჩემის სახლში უკვე ზედმეტი, მოსაბეზრებელი სტუმარი ვიყავი. „თბილისში საქმე აღარაფერი დაგრჩენია. შინ როდის წახვალ?“ მეჩვენებოდა, რომ დეიდაჩემი გუნებაში ასე ფიქრობდა.

სადგურისაკენ მიმავალ მყუდრო და ვიწრო ქუჩას დავადექი. მივდიოდი თავჩაქინდრული და ვფიქრობდი:

„სად მივდივარ, რომ მივდივარ, ნუთუ მართლა გადავწყვიტე, პროფტექნიკურ სასწავლებელში შევიდე?.. ამას რომ ჩემი ნაცნობები გაიგებენ, რას იტყვიან?.. თუმცა მივალ. რა მენაღვლება, ვნახავ მაინც რა სასწავლებელია“.

სული მეხუთებოდა. ცხელი ჰავლი ალმურივით მივლიდა სხეულში.

რკინიგზის ვაგზალზე ისე აღმოვჩნდი, ვერც კი გავიგე. როგორც კი ლიანდაგებისა თუ სადგურის ნაცნობი სუნი ვიგრძენი, ოი, ღმერთო, უცებ ბარტყივით შემიტოკდა გული. თითქოს დაზიანებული ბუდიდან სხვა ბუდეში გადაინაცვლა და იქ საიმედოდ მოკალათდაო. და მაშინ მივხვდი, რომ ჩემს წინაშე ლამაზი და თითქოს მახლობელი სამყარო იშლებოდა, რომ ჩემი საოცნებო ტაძრის ნანგრევებზე, ახალი ოცნების ტაძარი შენდებოდა.

თერთმეტ ნომერ ტრამვაიში ჩავჯექი და ნაძალადევისაკენ გავუტიე. ხალხი ბევრი არ იყო. ამ სიცხის გულზე რომელი ჭკვათამყოფელი გამოვიდოდა უსაქმოდ.

ტრამვაი გულისგამაწყალებლად მიდიოდა. თან ისე ღრჭიალებდა და ჯაყჯაყებდა, საიქიოში მიცვალებულსაც კი დაუფრთხობდა მყუდროებას.

„ნეტავ როგორ მგზავრობენ ამ ბითური ტრანსპორტით, ან ვატმანს რა გული უთმენს, ეგრე რომ მიაზოზინებს! — გავიფიქრე და კონდუქტორს გადავხედე. ზვინივით კაცი იყო, დათვს მოერეოდა და ტრამვაის ბილეთებს კი ჰყიდდა. მშვიდი იერი ჰქონდა, ალბათ არც ტრამვაის ზოზინი ადარდებდა, არც ულვთო სიცხე. მივედი და ვკითხე, რკინიგზის პროფტექნიკური სასწავლებელი სად არის-მეთქი. ტუჩები მაგრად მო-

კუმა და თვალები მოჭუტა, როგორც ჩანდა, გაჩერებას ითვლიდა.

მესამე გაჩერებაზე ჩახვალო, ჩახლეჩილი ხმით მითხრა.

მადლობა გადავუხადე და ისევ ჩემს ადგილას დავჯექი, ფიქრს მივეცი თავი.

მათიკოს წერილი დამიდგა თვალწინ და გულში გლოვის ზარი აგუგუნდა. „მთელ სოფელს გაუგია შენი ხუთიანის ამბავი, აბა შენ იცი“...

ჰმ, მთელი სოფელი მალე იმასაც გაიგებს, რუსულ წერაში როგორ ვითაფე... თუმცა მე ხომ არ ჩავჭრილვარ, სამიანი დაწერეს და საგამოცდო დავხიე, ვინ არის მოწმე, ნეტავ მაცოდინა, დეიდაჩემს ეჭვი ხომ არ ეპარება ჩემს ნათქვამში. იქნებ არცა სჯერა და განგებ თავს იბრიყვებს?!

— ჩვენი ძმა, აი ეგ არის რკინიგზის სასწავლებელი! — ზვინივით კონდუქტორმა ხელით მანიშნა ერთ მოზრდილ შენობაზე. ვაგონიდან ჩამოვხტი და ქუჩა გადავჭერი. ჩემ წინ აღმართულიყო რკინის მესერით შემოღობილი ორსართულიანი სახლი. ღია ჭიშკართან შევჩერდი და იქაურობა მივათვალმოვათვალიერე. ეზოს სიღრმეში ვიღაც ბიჭებმა გაიარეს და თვალს მიეფარნენ, სხვა არავინ გამოჩენილა.

„გამარჯობათ, საბჭოთა ახალგაზრდებო!“ იქვე დარჭობილ აბრაზე რუსულ-ქართულად ეწერა ეს სიტყვები, ხოლო შენობაში შესასვლელ კარის თავზე დაკიდებული ლოზუნგი იუწყებოდა: სასწავლებელდამთავრებულნო, გისურვებთ წარმატებას თქვენს დამოუკიდებელ შრომაშიო. ლოზუნგის ქვეშ ერთი მოზრდილი ნახატი ეკიდა. ჩამავალი ცხელი მზის შუქზე კაშკაშებდა რომელიღაც ბაქანი, ვინ იცის, რომელი, ბაქანზე ელმავალი ჩამომდგარიყო და იქვე ხელებდაკაპიწებული ორი კაცი, რა თქმა უნდა, რკინიგზელები, ერთმანეთში საქმიანად საუბრობდნენ.

შორს მოჩანდა მეორე ელმავალი. იგი უკვე თვალს ეფარებოდა (თავის გზაზე მიდიოდა), უფრო შორის კი — თვალუწვდენელი სივრცე.

ეს ორი ელმავალი, მაღალი რკინის ბოძებზე გაბმული ელექტროხაზები და ორი მოსაუბრე ადამიანი ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა, თითქოს მართლაცდა რომელიმე ჩემთვის უცხო ბაქანს მივჩერებოდი და არა ნახატს. ამ სურათის დანახ-

ვამ გული შემიტოკა. ნეტავ სად, რომელ კუთხეში იყო ის ბაქანი, ან ასეთი მეწამული ცა და ასეთი შეღამება სად იცის?

კარვი ნახატი იყო და თვალი ძლივს მოვწყვიტე.

შენობის კარი შევაღე და შევედი. ისეთი სასიამოვნო სიგრილე იყო, შვება ვიგრძენი.

მეორე სართულზე ვიღაცა გულდახრუკული მთელი ეშხით მღეროდა: „ჩემი გული, შენი გულიი, ჯაჭვით არის გადაბმული“... მერე ღიღინი შეწყვიტა და:

— ბიჭოია, — დაიძახა, — დაგეძინა, შე უპატრონოვ?! მოიტა გაჯი!

ალბათ მლესავები მუშაობდნენ.

მოკლე, ფართო საფეხურებიან კიბეს ავყევი და მეორე სართულზე ავედი. დიდი დარბაზის კედლები სურათებით იყო სავსე, ვის სურათს არ ნახავდით აქ: ილია თუ შოთა, აკაკი თუ პუშკინი. მწერლები და მეცნიერები, გმირები და პედაგოგები, ყველა სახელოვანი ადამიანისთვის აქ მოეყარათ თავი. კიბის პირდაპირ, ისე რომ თვალში მოგხვედროდათ, დიდი ასოებით ეწერა: „ვინც თავის ნაშრომს არა სჭამს, ის სხვას ქურდავს“. ამ წარწერის გვერდით ილიას სურათთან, ერთ სტროფიანი ლექსი მოეყვანათ:

„დედავ, ისმინე ქართლის ვედრება,
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ წარუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან რჩეს კვალი განათებული“.

ეს ლექსი მეშვიდე თუ მერვე კლასში გვასწავლეს, მაგრამ ასე არ ჩავკვირვებივარ. მაშინ ვერ მივხვდი, რამოდენა აზრი იყო შიგ ჩადებული. ახლა გავუგე მადლი და მარილი.

დერეფნის ბოლოში რომელიღაც კარი ყუნწამდე ღია იყო და მეც სწორედ იქითკენ ავიღე გეზი. ვიწრო და გრძელ კაბინეტში შუახნის თმაშეთხელებული კაცი იჯდა და გაზეთებს ათვალიერებდა. კარებზე მოზრდილი ასოებით ეწერა „დირექტორი“.

„იქნებ დირექტორთან არც არის შესვლა საჭირო?“ — გავიფიქრე და ის იყო უკან გამობრუნება დავაპირე, რომ ამ დროს მან თავი მაღლა აიღო და თავისი ზორბა აღნაგობისათვის შეუფერებელი ხმით მითხრა, მობრძანდითო.

მოწიწებით შეკედი. ოთახში ორპირი ნიავი უქიქინებდა და ნამდვილი სამოთხე იყო.

— ბოდიში, მე მინდოდა, გამეგო...

იგი წამოდგა, გამარჯობა შენიო, ხელი ჩამომართვა და სკამზე მანიშნა, დაჯექიო. მრგვალი თვალები ღიმილისაგან უციმციმებდა. ნეტავ კარგ გუნებაზე იყო და იმიტომ იქცეოდა ასე თუ საერთოდ ასეთი ხასიათი ჰქონდა?

— გისმენ, ჩემო ბატონო.

— საბუთები მინდა შემოვიტანო თქვენთან.

— სასიამოვნოა, რა ხელობა გნებავთ?

— ელმავლის მემანქანეობა.

მოკლე სახელოებიანი პერანგი ლამის მხრებზე ასკდებოდა. სულ დაკუნთული იყო, მაგრამ ნაზი სახე ჰქონდა. თავითფეხამდე ჩამათვალიერა, თან მკრთალი ძლივსშესამჩნევი ღიმილი არ შორდებოდა. ვერ მივხვდი, ეს ღიმილი კეთილი კაცობის ღიმილი იყო თუ დამცინავი კაცის ფარი და მახვილი.

— ჯარში ნამყოფი ხომ ხარ?

შინაურივით და თანატოლივით მელაპარაკებოდა და თან იმ ღიმილს არ იშორებდა.

— ჯარში ჯერ არ წავსულვარ.

— მართლა? — გაოცდა, — რომელ წლიანი ხარ?

— ოცდათექვსმეტიანი.

— ბიჭოს. მე უფრო დიდი მეგონე. ალბათ ულვაშმა მომატყუა.

— სხვებსაც ასე ჰგონიათ ხოლმე.

ის კაცი მართალი იყო. ულვაში ადრე დამეძრა და შეიძლება ამიტომ, ყველას უფრო დიდი ვეგონე, ვიდრე ვიყავი.

— ჰოო... მაშ, ეგ საქმე... შენი სახელი?

ილო-მეთქი, ვუპასუხე.

— აი რა, ილო, მემანქანის სპეციალობაზე მხოლოდ ჯარმოვლილებს ვიღებთ. სერიოზულ, უკვე დადინჯებულ ახალგაზრდებს. თქვენ საშუალო გაქვთ დამთავრებული ხომ?

— დიახ.

— მემანქანის თანაშემწის სპეციალობაზე მიგიღებთ თუ გნებავთ.

გუნება წამიხდა. ჯერ საერთოდ აქ შესვლაზე ვფიქრობდი და ახლა მემანქანეობაზედაც უარს მეუბნებიან. გული

დამწყდა. ასეა, რიზედაც უარს გეუბნებიან, ის უფრო ფასდება და გულიც მეტად მიგიწევს.

— ისე სულ ერთია. — მითხრა მან, სახეზე ჭმუნვა რომ შემატყო. — დიდი მნიშვნელობა კი არა აქვს. თუ იყოჩაღებ, სამ თვეში მემანქანედ გადაგიყვანენ. ეგ შენზეა დამოკიდებული. ზოგი ელმავლის მემანქანეობას ამთავრებს და თანაშემწედ მუშაობს, ზოგი პირიქით. ისე საგნები ერთნაირი ისწავლება. ეგ ნუ გაფიქრებს.

— რა ვიცი, რაკი ეგრეა... — მხრები ავიჩეჩე.

— ხომ იცი, რა საბუთებია საჭირო?

— დიახ. გაზეთში წავიკითხე. ხვალვე მოვიტან საბუთებს.

— როდის დაამთავრე საშუალო?

— წელს.

— არსად აბარებდი?

ერთი წუთით შევჭოჭმანდი და ბოლოს ვუთხარი, არა-მეთქი. რა ღვთის წყრომა იყო ჩემს თავს, ორიოდე კვირაა რაც თბილისში ჩამოვედი და უკვე მეორე ტყუილი დავახეთქე. იგი ეჭვით მიყურებდა, მე თვალები მოვარიდე და სირცხვილის ოფლმა დამასხა. ველოდი, რას მეტყოდა, მაგრამ ამ დროს ჩემს იღბლად ვიღაცა ჩამოდგა კარებში და დირექტორმა იქითკენ გაიხედა.

— მობრძანდი, შალვა.

ტანთხელი, დაბალ-დაბალი კაცი შემოვიდა. ხელში ორი ვეება წიგნი ეჭირა.

— გაიცანი, ეს ყმაწვილი შენი მომავალი მოსწავლეა.

კეთილიო, იმ ახალგაზრდა კაცმა ხელი ჩამომართვა და გამიღიმა. ოდნავ ელამი, მაგრამ ჭკვიანი თვალები ჰქონდა. მერე დირექტორს მიუბრუნდა, ერთი წიგნი მაგიდაზე დაუდო და ღიმილით დასძინა, როგორც იქნა გამოვიდაო. ყდაზე დიდი ასოებით ეწერა: ელექტრომავალი.

— მომილოცავს, ჩემო შალვა, — დირექტორს თვალები გაუბრწყინდა. — მაშ ქართულად უკვე გვაქვს სახელმძღვანელო, ჰა? სამნი ხართ ავტორები?

ამის გაგონებაზე ყურები ვცქვიტე. როგორც საუბრიდან ჩანდა, ეს ახალგაზრდა კაცი ამ სქელი წიგნის ერთ-ერთი ავტორი იყო. იგი ყურადღებითა და მოწიწებით შევათვალიერე.

— კარგია, კარგი, მე და ჩემმა ღმერთმა! — ამბობდა დი-

რექტორი და წიგნს ფურცლავდა. ყურადღებით ათვალიერებდა. მერე მე მომიბრუნდა. — აი, ეს იქნება თქვენი სახელმძღვანელო. ერთ-ერთი ავტორი შალვა გახლავთ.

წიგნის რომელიღაც გვერდზე თვალი მოვკარი ორ ელმავალს. ერთს ქვეშ ეწერა: 21 სერიის ელმავალი. ხოლო მეორეს — 23 სერიის ელმავალი. თითქმის ყველა გვერდზე ელმავლის ნაწილები და სქემები იყო დახაზული.

მე უკვე ზედმეტად ვიგრძენი თავი.

— კარგად ბრძანდებოდეთ. ხვალ მოვიტან საბუთებს.

დირექტორმა გადმომხედა და ღიმილით დამემშვიდობა, კარგად იყავიო.

ფრთებშესხმული გამოვედი კაბინეტიდან. რატომ ვიყავი ესოდენ კმაყოფილი და გახარებული? იმიტომ ხომ არა, რომ იქ ასე თბილად და ადამიანურად მომეპყრნენ?

ჭიშკარში რომ გავედი, კვლავ დავაკვირდი იმ სურათს, ელმავალი რომ იყო ზედ გამოსახული. რა ახლობელი და ნაცნობი იყო ახლა ის ჩემთვის.

მზე ცის თავანზე ასულიყო და ქალაქი სიცხით გაეთანგა.

ფეხით გავყევი ფართო ქუჩას და ახლა აღარც სიცხეს ვგრძნობდი, აღარც ვინმეს ვამჩნევდი ჩემს ირგვლივ. თვალწინ მხოლოდ ახალი, ჩემთვის უცხო სამყარო მედგა და იქითკენ ბივილტვოდი.

ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ბარტყი ვიყავი ბუდიდან ახლად აფრენილი, სამუდამოდ რომ ეთხოვება დედას და თავისი სარჩო თვითონ რომ უნდა იშოვოს. და იმ წამს რაღაც ძალა ვიგრძენი, მეჩვენებოდა, რომ უფრო მყარად ვიდექი დედამიწაზე.

ხიდზე რომ გადავდიოდი, ვაგზალს გადავხედე. უთვალავი მატარებლები ჩამწკრივებულიყვნენ იქ. ნარბენი, შორიგზა გაბოვლილი ცხენებივით იდგნენ ისინი და ისვენებდნენ, რომ ღამით ისევ გზას გასდგომოდნენ.

სადღაც აღმოსავლეთით შუქნიშანი მწვანედ ციმციმებდა და მეც იქით გამიწია გულმა.

პირველ სექტემბერს დილაუთენია გამეღვიძა. წყნარი დღე თენდებოდა, ბუნება ისე იყო ჩაყუჩებული, ეტყობოდა, ცხელი დღე დადგებოდა.

ოთახს თვალი მოვავლე და, როცა ქუჩიდან ტრამვაის შორეული ღრჭიალი გავიგონე, მაშინვე მოვედი აზრზე, სადაც ვიმყოფებოდი. თავი ოდნავ მიბრუოდა, მაგრამ მაინც მხნედ და მხიარულ გუნებაზედაც კი გახლდით.

საცვლებისამარა გადაშოტილიყო საწოლზე გიორგი მაისაია და ხვრინავდა. ეტყობოდა, როგორც დაწვა, ეგრევე ჩაეძინა, მხარიც არ უცვლია.

გუშინ საერთო საცხოვრებლის კომენდანტმა ამ ოთახში რომ გამომამწესა, მითხრა, იქ ერთი კარგი ბიჭი დაგხვდება, ისიც დღეს ჩამოვიდაო. კეთილი-მეთქი, გავუღიმე კომენდანტს და ჩემი ოთახისკენ გავეშურე, ოღონდ არ მიკითხავს, საიდან იცოდა იმისი კარგი ბიჭობა. კარი შევაღე და ვხედავ, საწოლზე ოდნავ ქაჩალი, პირხმელი ბიჭი წევს, ჩემზე ორი სამი წლით უფროსი თუ იქნება.

ჩემს დანახვაზე საწოლიდან წამოდგა და უხერხულად გაიღიმა.

— ბოდიში მეგობარო, მობრძანდი.

— გამარჯობა, ხომ არ შეგაწუხე?

— როგორ გეკადრება! — მხიარულად გაიცინა, ოღონდ ღრმად ჩავარდნილ უაზრო თვალებში ღიმილის ნატამალიც არ გაკრთომია.

— აქ გამომგზავნეს საცხოვრებლად, — ავუხსენი.

— კეთილი. მაშ, გამარჯობა შენი, ვიცნობდეთ ერთმანეთს. მე გიორგი მაისაია ვარ, შინაურულად ჟორას მეძახიან!—და დუნე ოფლიანი ხელი გამომიწოდა, — ბოდიში, ასე რომ დაგხვდი. ახლახან ჩამოვედი მეც რაიონიდან და ცოტას დავისვენებ-მეთქი, ვიფიქრე. შენი სახელი?

— ილო ღულულაშვილი! — გვარით დავუსახელე, რაკი თვითონაც გვარითა და სახელით გამეცნო.

— ძალიან კარგი და პატიოსანი, ილო, — ჯიბიდან პრიმის კოლოფი ამოიღო და სიგარეტს დინჯად მოუკიდა. შევამჩნიე,

დაჭორფლილი ხელები ჰქონდა, ცერა თითის ფრჩხილი თაშ-ბაქოს კვამლით ჩაყვითლებოდა.

მაისაიამ მადიანად გააბოლა და მკითხა:

— რატომ არ მახსოვხარ გამოცდებიდან? — იგი ჩაფიქ-რდა, თითქოს უნდოდა გავეხსენებინე. — თუმცა საიდან, — შუბლზე შემოიკრა ხელი, — მთლად არ გამოელენჩდი, მე ხომ გვიან ჩავაბარე გამოცდები.

— ეგ რანაირად? — გამიკვირდა.

— ადგილი იყო დარჩენილი. აქ ყველა ჩემი მეგობარია დი-რექტორიდან დაწყებული. თუ რამე გაგიჭირდეს, აგერ ვარ მე.

— ბიჭოს! — გავიოცე, ოღონდ ვერ გეტყვით, მთლად გულ-წრფელი იყო თუ არა ჩემი გაოცება. გუნებაში კი გავიფიქრე, ასე მოულოდნელად ეს რა მფარველი ანგელოზი გამომიჩნდა-მეთქი.

ოთახი მოვათვალიერე. ოთხი უბრალო საწოლი იდგა, ერ-თი პატარა მაგიდა და ოთხიც სკამი. აი მთელი აქაური ავლა-დიდება. ორი ვეება ფანჯარა მთავარ ქუჩას გადაჰყურებდა, სადაც ყოველ წუთს ტრამვაი მიხრიგინებდა. სისუფთავეზე არაფერი მეთქმოდა, იატაკს პრიალი გაუდიოდა. ჩემოდანი იმ საწოლთან მივაჩოჩე, ფანჯარასთან რომ იდგა და დოინჯშე-მოყრილი დავაჩერდი ჩარსავგადაფარებულ რკინის სა-წოლს.

— აქ წევს ვინმე? — ვკითხე მაისაიას.

— ვინ უნდა იწვეს. თუ გინდა დირექტორს ვეტყვი, ჩვენს მეტი კაცი არ შემოუშვას აქ, მაგრამ რათ გვინდა. დაბრძანდი, გენაცვალე! — სკამი მომაწოდა და თვითონ საწოლზე ჩამოჯ-და. სიმართლე გითხრათ, ასეთი ზრდილობიანი ბიჭი ჯერ არ მენახა. სადაური ხარ-მეთქი, ვკითხე.

— გეგეჭკორიდან ვარ მე.

— მე კი კახეთიდან, ჩემო ჟორა თუ გიორგი?

— შენ როგორც გაგიხარდება, სულ ერთია.

— მე მაინც გიორგის დაგიძახებ. ახმეტა გაგიგონია?

— როგორ არ გამიგონია, კაცო.

— ჰოდა, იქიდან ვარ, სოფელ მაჭარაულიდან.

— გამიგონია, კი, მაგრამ არა ვყოფილვარ.

— ეგ ძნელი საქმე არ არის, წავალთ.

— დიდი მადლობა, გეგეჭკორშიც წავალთ, — ცოტა ხანს დაფიქრდა და მკითხა, — საშუალო წელს დაამთავრე?

— კი, წელს.

— სად აბარებდი?

და უცებ თავში დამკრა, მეპასუხა, არსად ვაბარებდი-მეთქი. აბა რა მექნა, ყელში ამომივიდა ერთი და იგივეს ლაპარაკი.

— ეგ როგორ? — გაოცდა გიორგი.

— ისე. არ მინდა უმაღლესი. არ შეიძლება კაცმა ისე იცხოვრო, რომ უმაღლესი არ დაამთავრო? აი, აქ მინდოდა, სადაც მოვედი.

მაისაია ერთხანს გაოცებული მიყურებდა და მერე, არ ვიცი, რა იფიქრა, ოღონდ ეს კია, ხმა აღარ ამოუღია. საკვირველია, ჩემმა მზემ, რად უნდა გაუკვირდეს კაცს, თუ კი უმაღლესში სწავლა მართლა არ გინდა და სხვანაირი ცხოვრების გზით უნდა იარო?!

— შენ სად აბარებდი? — ვკითხე.

— უმაღლესში ადრე ვიყავი მე მოწყობილი, მაგრამ ჩემი მდგომარეობა სხვაა, შინ მოხუცი დედ-მამა მყავს, ხუთ წელს როგორ დავტოვებ. ისე, შენ მართალი ხარ, ქვეყანა ამ უმაღლესს მიეტანა და აღარცა ღირს.

ესეც კარგისა ჩანდა. ამაზე უთქვამთ, მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო. ერთი კი ვიფიქრე, ხომ არ მამასხარავებს-მეთქი, მაგრამ საამისო ვერაფერი შევნიშნე, ეჭვი არ იყო, ისიც ჩემსავით გულს იკეთებდა.

— ახლა ის მითხარი, ჩემო გიორგი, ხელ-პირი სად შეიძლება დაიბანოს კაცმა?

წამოდგა და ხელით მანიშნა კარებისაკენ.

— აგერ, ბატონო, გახვალ თუ არა, აქვეა ყველაფერი. მერე მოდი და ვისადილოთ, თორემ არაფერი მიჭამია დღეს.

დერეფანში რომ გავედი, სული მოვითქვი. მზე იქ არსაიდან უდგებოდა და შედარებით გრილოდა. საერთო ტუალეტი ჩვენი ოთახის გვერდზე იყო. სეტყვასავით ცივი წყალი მოდიოდა ონკანიდან. პერანგი გავიძრე და ცივი წყლით გემოზე გავგრილდი. ოთახში რომ დავბრუნდი, მაისაიას უკვე სუფრა გაეწყო. პატარა მაგიდა ვეღარ იტევდა ხორაგს. ისეთი სუნი მეცა მოხარშული დედლისა, გეგონებოდა, მდუღარე ქვაბიდან

ეს-ეს არის ამოუღიათო. ჭყინტი ყველი, აჯიკა, ხაჭაპური, ერთი სიტყვით, ყველაფერი ამოელაგებინა მაისაიას, რაც კი სოფლიდან ჩამოეტანა. ისე ბეჯითად უტრიალებდა სუფრას, ისე ფაქიზად ალაგებდა ყველაფერს, პირდაპირ შეგშურდებოდათ. გაშლილ მაგიდას რომ შევხედე, სინანულით თითზე ვიკბინე, რატომ ჩვენი ჯანაანურისა არ გამოვაყოლე-მეთქი. მაგრამ ერთი საშინელი ზნე მჭირს, მომკალი და ხელში ზედმეტი რამე დამაჭერინე.

— აბა, მობრძანდი, ილო, ღარიბი სუფრა მაქვს, მაგრამ ნუ დამძრახავ.

მაისაიამ თავი გადაიკლა, ჩემოდანი არ გახსნაო, მაგრამ მაინც ჩემი გავიტანე. შოთი პური, გუდის ყველი, კიტრი და მწვანილი მივუმატე სუფრას. მაისაია გარეთ გავიდა და იმავე წუთში ჩაციებული ხუთლიტრიანი მოწნული ბოცა შემოიტანა. ახლაღა გამახსენდა, რომ ის ბოცა, რომელიღაც ონკაწის ქვეშ ცივდებოდა წეღან და მე ყურადღებაც არ მიმიქცევია.

ერთი სიტყვით, ნელ-ნელა შევყევით და გემოზეც ვიპურობარილეთ, გული და ჯიგარი გადავუშალეთ ერთმანეთს. ოქრო ბიჭი ჩანდა მაისაია, ოღონდ ტყუილებში კი ვიჭერდი. ერთს მეტყოდა, ათი წუთის შემდეგ ავიწყდებოდა, რა ჰქონდა ნათქვამი და სრულიად საწინააღმდეგოს მეუბნეოდა. სიმართლე გითხრათ, ამ ამბისთვის ყურადღებაც არ მიმიქცევია. მერე რა მოხდა, თითო ნაკლი ამ ქვეყანაზე ყველასა გვაქვს. ეგეც არ იყოს, მაისაია ისეთ უწყინარ ტყუილებს ამბობდა, თვითონ ხომ სიამოვნებდა და სიამოვნებდა და, გულახდილად რომ მოგახსენოთ, მაინცდამაინც არც მე მწყინდა. პირიქით, კაი გუნებაზედაც კი მაყენებდა. თუ არა და, ან რა არის გასაკვირი, ადამ და ევადან მოყოლებული სულ ერთმანეთს არ ატყუებენ ადამიანები?

აი, ახლა ჩემს ახლადგაცნობილ მეგობარს გულის ძილით ეძინა, მე კი ძილი აღარ მეკარებოდა. ასეთი მუდრეგი ჩვევა მაქვს, თუ ერთი გამეღვიძა, მერე ჭოტად უნდა გადავიქცე, გამიტაცებს ფიქრი თუ ოცნება, გამიტაცებს და ქვეყანას შემომატარებს. ამჟამად სოფლისკენ გამექცა ფიქრი, საიდანაც გუშინ გამომისტუმრა დედაჩემმა. ჩემი საყვარელი, საბრალო დედა! რა უსაყვედურო და უდრტვინველად იტანდა ყველა

კაეშანს. გამახსენდა, რანაირად შემხვდა იგი გაწბილებული რომ მივედი სახლში. ქალაქიდან იმ ვარაუდით წავედი სოფელში, რომ, რაც შეიძლებოდა, გვიან ღამით მივსულიყავი. არ მინდოდა ვინმე მეზობელს დავენახე. აბა წარმოიდგინეთ, რა საშინელებაა: ჩახვალ ავტობუსიდან და ვიდრე შინამდე მიაღწევ, გზად ათი კაცი მაინც შემოგეყრება. ათივე ერთსა და იგივე უსიამოვნო კითხვას გაძლევს: აბა, რა ჰქენი, მოხვდი თუ ვერაო. ო, რა მოსაბეზრებელია. ხომ არ გგონიათ, მართლა შენი ბედი აღონებთ. არ დაიჯეროთ. ადამიანები არც ისე კეთილები არიან! თუ გაიგეს, რომ მოეწყვე, მოგილოცავენ, ყოჩაღო. შეგაქებენ, გული კი ბოღმით აევსებათ. თუ მე არა, შენ რათაო. ან კიდევ, მე კი, მაგრამ შენ რათაო. თუ გაიგეს, რომ ვერ მოეწყვე, თავს სინანულით გადააქნევენ, გული არ გაიტეხოო, დაგამშვიდებენ, მაგრამ დარწმუნებული იყავით, სადღაც მაინც უხარიათ, ხელი რომ მოგეცარა. რაღა შორს წავიდეთ, აგერ არა ვარ. ალბათ ბოღმა შემჭამდა, ჩემი კლასელები რომ მოწყობილიყვნენ და მარტო მე ჩავფლავებულიყავი. ასეთები ვართ ადამიანები, ერთნაირი ზნე გვჭირს, მაგრამ ნიღაბში ვიმალებით.

იმას გეუბნებოდით, იმ ვარაუდით წავედი, რომ შინ გვიან მივსულიყავი. მართლაც, კარგა გვარიანად იყო შეღამებული, ავტობუსიდან რომ ჩამოვედი. საავტომობილო გზიდან ჩემს სახლამდე ასიოდე ნაბიჯი იქნება. ეს გზა ისე გავიარე, კაცი-შვილი არ შემხვედრია. მთელ სოფელს ეძინა. მოგეხსენებათ, ერთი ციცქნა ღამეა ზაფხულში. მინდვრიდან რომ მოხვალ დაღლილ-დაქანცული, დროზე უნდა დაწვე, თორემ თავზე დაგათენდება და კარგად მეყოლეთ. გარიჟრაჟზე ლოგინში ვინღა გაგაჩერებს, იქით მენახირე ატეხავს ყვირილს, საქონელი გამორეკეთო, აქეთ ბრიგადირი მოგადგება კარზე საყვედურით, ახლა მინდორში უნდა ვიყოთო. ბიჭი ხარ და ნუ დაიძინებ დროზე.

მთვარიანი, ნათელი ღამე იყო, მაგრამ ცხელი და ჩახუთული. ის ასიოდე ნაბიჯი სწრაფად ავიარე და ჩვენი სახლის ეზოს ჭიშკარი ფრთხილად შევაღე. ეზოში შესვლისთანავე ნაცნობი სუნი მეცა. რომ მკითხოთ, ვერ გეტყვით ეს ნაცნობი სუნი რას ასდის, გვალვისაგან გადამხმარ რომელიმე ბალახს თუ ხეხილს. ერთხანს შევჩერდი და სახლს ყური მივუგდე. ბა-

იბური არ ისმოდა. სინათლეები ყველგან ჩამქრალი იყო. მოწმენდილი ციდან მთვარე დამკაშკაშებდა. ისე ახლოს მეჩვენებოდა, მეგონა, ხელით მივწვდებოდი. კუთხეში, კედლის ძირას ლობიოს ჩეჩქი ეყარა გროვად. დედაჩემს და მათიკოს, როგორც ჩანდა, უკვე აეღოთ ლობიო და კიდეც გაერჩიათ. ღამის მყუდროებას არაფერი არღვევდა, მარტო კრუალები ფხიზლობდნენ, ისე ბეჯითად კრუალებდნენ, თითქოს ქვეყანა ამათ დარჩენიათ და ეგ არისო. ო, როგორ მესიკვდილებოდა ახლა სახლში შესვლა, როგორ არ მინდოდა დედაჩემთან და მათიკოსთან შეხვედრა.

კარს ფრთხილად მივაწექი და ის იყო, გავიგონე დედაჩემის შემკრთალი, ნამძინარევი ხმაც.

— რომელი ხარ!

მაშინვე არ გავპასუხებივარ, ცოტა შევყოვნდი და მერე ვუთხარი, მე ვარ-მეთქი.

დერეფანში სინათლე აინთო და კიბეზე მსუბუქად დაეშვა დედაჩემი. კარი რომ გაიღო, სინათლე შიგ თვალებში მეცა, მაგრამ მაინც გავარჩიე მისი დაღლილი, მზისაგან გარუჯული პირისახე. ო, ის სახე, ის თვალები, არასოდეს დამავიწყდება. რაოდენი თანაგრძნობა, სიყვარული და სინანული ეხატა ზედ. რაღაც ხუთიოდე წამში ისევ შეეცვალა სახე და მივხვდი, რომ მან უკვე ყველაფერი იცოდა, ყველაფერი შემატყო, ნაზად მაკოცა და მითხრა:

— როგორა ხარ, შვილო?

პასუხი არ გავეცი. კიბე ავიარეთ, ისე შევედით ოთახში, აღარაფერი უკითხავს, მარტო ეს ჩაილაპარაკა:

— პეპლებით ივსება ოთახი და სინათლე იმიტომ ჩავაქრე.

დედამ შუქი აანთო და იმწუთში აირივნენ წვრილი ფარვანები ნათურის ირგვლივ.

— მათიკო სად არის?

— აივანზე სძინავს...

ფანჯრიდან გავიხედე, მათიკოს იმ ტახტზე ეძინა, ზაფხულობით მე რომ ვწვებოდი ხოლმე. შავი, ხშირი თმა დაჰფენოდა ბალიშზე. ნათურა მკრთალად ანათებდა აივანს, მაგრამ მაინც გავარჩიე, მათიკოსაც როგორ ჩაჰკიდებოდა მზე. მინდოდა მივსულიყავი და მძინარესთვის მეკოცნა, მაგრამ გადავიფიქრე.

— რა ჰქენი, შვილო, რაში ჩაიჭერი? — მკითხა უცებ დედაჩემმა.

— რუსულ წერაში.

დედას ხმა აღარ ამოუღია. გაირინდა, რაღაც ფიქრმა გაიტაცა, შორეულმა ფიქრმა და მივხვდი, რომ ახლა მას თვალწინ მამაჩემი ედგა. მერე ამოიოხრა და მითხრა:

— ხომ არ დარდობ, ბიჭო, რას იზამ; რუსულია თქვენი კბილის ჭია. სხვებიც რუსულ წერაში ჩაიჭრნენ.

— მე არ ჩავჭრილვარ, სამიანი დამიწერეს და საგამოცდო დავხიე.

ერთხანს იჭვნეულად მიყურა, მიყურა და მერე მითხრა:

— რა მნიშვნელობა აქვს, სამიანიც ხომ იგივე ორიანია იმ გაწამაწიაში.

აი, ასეთი იყო ჩემი შეხვედრა დედაჩემთან. მაგრამ იმ ღამეს არ გამიმხელია პროფტექნიკურ სასწავლებელში შევედიმეთქი. ეს ამბავი მეორე დღეს გავუმხილე და სიმართლე გითხრათ, ჩემი შიში ამაო გამოდგა. დედაჩემს კიდეც გაუხარდა ეს ამბავი, ოღონდ ეს კი მითხრა, ისე არ გააკეთო, უმაღლესი მთლად გადაიფიქროო და თან დასძინა, მაგ ამბავს ნუ იტყვიო. ათიოდე დღე დავრჩი სოფელში, დედაჩემს წავეხმარე საოჯახო საქმეებში და აგვისტოს მიწურულში კაი სტუდენტივით მეც ქალაქის გზას დავადექი.

— შემატყობინე, შვილო, როგორ დაბინავდები, — მთხოვა დედაჩემმა წამოსვლისას.

ურიგოდ არ დავბინავებულვარ დედაჩემო, აგერ, ჩემ გვერდით მაისაია წევს და ისე მამაპაპურად ხვრინავს, მგონი, დღეს არც აპირებს გაღვიძებას.

ბნე უკვე ამოსულიყო და სიცხე მატულობდა. ქუჩიდან ერიამული შემომესმა, ფანჯრიდან გავიხედე, ქუჩის გადაღმა, მოზრდილ შენობასთან, რომელიც, რაღა თქმა უნდა, სკოლა იქნებოდა, მოსწავლეები და მშობლები შეყრილიყვნენ. ერთი სიტყვით, მარტო იმ სკოლის შენობასთან კი არა, მთელ ქუჩაზე თუ მთელ ქალაქში იგრძნობოდა საზეიმო განწყობილება. აი, როგორი ყოფილა პირველი სექტემბერი თბილისში. და უცებ წარმოვიდგინე, რა ამბავი იქნებოდა ახლა უნივერსიტეტის შენობასთან. ანზორ სისაური გამახსენდა, ნეტავ ის თუ მაინც მოეწყო? ტანზე ჭიანჭველები შემომესივნენ, საკუთარი

თავისადმი სიძულვილი და ზიზღი ვიგრძენი. რა სულმდაბლად მოვიქეცი, რომ ვიდრე თბილისში ვტრიალებდი, ერთხელაც არ მივედი და არ გავიგე სისაურის ამბავი. ეგეც ჩვენი ძმადნაფიცობა. რა გულნამცეცები ვართ ადამიანები. ავფორიაქდი, მოსვენება დავკარგე და უცებ მომეძალა სურვილი უნივერსიტეტში წავსულიყავი, გამეგო, მოწყობილი იყო თუ არა სისაური. ერთხელ კიდევ გადავხედე მაისაიას, ისევ მაგრად ეძინა, ველარ მოვითმინე და საკმაოდ ხმამაღლა დავიძახე:

— მაისაია, პაღეთმ!

გიორგი შეიშმუშნა, წამოიწია, ოთახი მოათვალიერა და შეიცხადა:

— დედუ, დედუ, როგორ დამძინებია. რატო არ გამაღვიძე, კაცო.

— აი, აკი გაგაღვიძე, თორემ ღლეს, მგონი, არც აპირებდი გაღვიძებას.

მაისაიამ თვალები მოიფშვნიტა და უხერხულად გამიღიმა. ვიწრო, გამხდარი სახე რაღაცნაირად დაგრძელებოდა და დაჭმუჭნოდა.

— რომელი საათია ახლა? — თვალების ფშვნეტით მკითხა.

— რვა საათი იქნება. შეიძლება მეტიც.

— დედუ, დედუ! — კვლავ შეიცხადა მაისაიამ.

— გიორგი, ერთი რამე უნდა გთხოვო.

მობეუტული თვალებით გადმომხედა და მითხრა:

— ბრძანე, ბატონო!

— აუცილებელი საქმე მაქვს უნივერსიტეტში. ცხრა საათამდე იქ უნდა ვიყო, უფროს ოსტატს უთხარი, გადაუდებელი საქმე ჰქონდა და მალე მოვა-თქო.

— უნივერსიტეტში რა საქმე გაქვს, კაცო? — დაეკვდა მაისაია.

— მაქვს. მერე გეტყვი.

— კეთილი, ბატონო, შენ აქ ნუ გენაღვლება. მე ვიცი, რასაც ვეტყვი. უფროსი ოსტატი მეგობარი კაცია ჩემი.

უფროსი ოსტატი, ილია ჩანკვეტაძე ომგადახდილი კაცი იყო, წარმოშობით რაჭველი. ამ სასწავლებელში მოსვლის დღიდან მისი ქება მესმოდა. პირველი ნახვისთანავე მომეწონა ეს ადამიანი, სათნო სახე ჰქონდა, ისე დაგელაპარაკებოდა, თით-

ქოს ძველი ნაცნობიაო. დიდთან დიდი იყო, პატარასთან პატარა, მაგრამ ის კი აღარ მესმოდა, მაისაიას მეგობარი საიდან უნდა ყოფილიყო. ალბათ ერთი ორჯერ დაელაპარაკა და მაისაიასაც მეტი აღარ უნდოდა, უკვე მეგობრად თვლიდა. გუნებაში გამეცინა, მაგრამ არაფერი მიგრძნობინებია. არც გამკვირვებია, მაისაიას ხასიათი უკვე კარგად ვიცოდი.

სასწრაფოდ წამოვდექი, პირი დავიბანე და ქუჩაში ფეთიანივით გავვარდი. მინდოდა, უნივერსიტეტში მანამდე მივსულიყავი, ვიდრე ლექციები დაიწყებოდა.

უნივერსიტეტის ეზოში სტუდენტების ტევა არ იყო. არასოდეს, ალბათ ჩემს ცხოვრებაში, არ მინახავს ამდენი ბედნიერი სახე, რამდენიც მაშინ ვნახე. ეზოსაც და ქუჩასაც საზეიმო ელფერი ედო, თითქოს ჭადრებზე შეფენილი ბელურებიც გრძნობდნენ ამას, ჟივჟივით აყრუებდნენ იქაურობას. სევდა შემომაწვა და მაშინვე ვინანე, რად წამოვედი-მეთქი. ამ დუნია ხალხში ალბათ ერთადერთი მე ვიყავი გულხინჯიანი და დაჩაგრული. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს უფლებაყრილი ვიყავი, კეთროვანივით შეპარული ამ ხალხში. მეგონა, სადაც არის, ვიღაც მოვა და მეტყვის, აქ რა გინდა, ვინ შემოგიშვაო. გულდამძიმებულს ტირილი მომერია. მწარედ ვფიქრობდი: ვინ, რომელმა ჭკუათამყოფელმა გამოიგონა გამოცდები. როგორ მერწმუნა, რომ იმათ, ვინც ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ჩაირიცხნენ, ჩემზე კარგად იცოდნენ ლიტერატურა. ან ვინ დაიზღვია თავი, რომ სამასი კაციდან ოცს ღირსეულს ამოარჩევს და ოცდამეერთე ან მეორმოცე, ვინც სასწავლებლის გარეთ დარჩება, უფრო ღირსეული არ იქნება? და უცებ გამახსენდა ის წუთი, როცა ანზორ სისაურმა ჩაჭრილთა რაოდენობა გაიგო და გაუხარდა, მეტოქეები შეგვიმცირდნენო. როგორ შემეზიზღა მაშინ სისაურიც და ჩემი თავიც. უმაღლესში შესვლისთანავე გარწმუნებს ცხოვრება, რომ თუ შენს გვერდით სხვა არ გაუბედურდა, სხვა არ ჩაიჭრა, შენ ვერ ჩაირიცხები. ნეტავ ვის სჭირდება, ან ვინ გამოიგონა ეს უაზრო დოღი? მე ვინა მკითხავს, თორემ ყუნწამდე გავხსნიდი უმაღლესის კარებს და ვისაც სურვილი ექნებოდა, ყველას შევუშვებდი, მერე ვნახავდით, თუ კიდევ ამდენი ხალხი მიეტანებოდა. ბოლოს და ბოლოს უმაღლესში ისინი შევიდოდნენ, ვისაც მართლა სწავლა უნდოდა.

იმწუთში ისე შემძულდა იქაურობა. მინდოდა დროზე გავცლოდი, მაგრამ სისაურის ნახვის სურვილი მკლავდა და უკან დახევა აღარ შეიძლებოდა. თვალებგაფაციცებით ვათვალიერებდი ჯგუფ-ჯგუფად შეყრილ სტუდენტობაში სისაურს, თან ჭიშკრისკენ მეჭირა თვალი, საიდანაც ყოველ წამს მოედინებოდა სტუდენტობა. ყველა გამვლელს ვაკვირდებოდი, ეგებ ვინმე იმათგანი მაინც ვიცნო, ვინც ჩემთან ერთად აბარებდა-მეთქი, მაგრამ არავინ მეცნაურებოდა.

„სისაური არსადა ჩანს, ნუთუ ვერ მოეწყო?“ — სინანულით გავიფიქრე და ის იყო, უნივერსიტეტის კარებთან ნაცნობ სახესაც მოვკარი თვალი: ტანწვრილი, წელში ოდნავ მოხრილი ჩემკენ მოდიოდა, ოღონდ ჯერ ვერა მხედავდა. გულმა აღარ მომითმინა. მის შესახვედრად გავემართე. წინ გადაველობე, სისაური ერთი წამით შეცბა, მე კიდევ ვიდექი და ვიღიმებოდი. მერე უკვე ბუნდად ჩამრჩა მეხსიერებაში როგორ გაებადრა სახე, რა აღფრთოვანებით შესძახა, ილოო, და როგორ ჩაბღუჯა.

ალბათ ასე ხვდებიან ხოლმე ერთმანეთს დიდი ხნის უნახავი, უსაყვარლესი მეგობრები.

13

ჩემი ქალაქური ცხოვრება ასეთნაირად აეწყო. კვირაში ოთხი დღე თეორიული მეცადინეობა მქონდა, ხოლო ორ დღეს სახელოსნოში ვიკრიბებოდით და საზეინკლო საქმეს ვსწავლობდით, უფრო სწორად ელმავლის შეკეთებას, რასაც საწარმოო სწავლებას ეძახდნენ. უამისოდ, როგორც ადრეევე აგვიხსნეს და როგორც თავადაც დავრწმუნდი, მეელმავლე ვერ გამოვიდოდი. აი, ის სასწავლო საგნები ყოველდღიურად რომ გვიტარებდნენ: ელმავლის კონსტრუქცია, ავტომუხრუჭები, რკინიგზის საერთო კურსი, მასალათმცოდნეობა, ნახაზებისა და სქემების წაკითხვა, ელექტრონიკა. თუ ყოველივე ამას პოლიტეკონომიასა და ფიზიკურ აღზრდას დავუმატებთ, რვა საგანი გამოდიოდა.

სიმართლე გითხრათ, მათემატიკისა არ იყოს, არც ფიზიკა მეხატებოდა გულზე, მაგრამ ეს საგნები მაინც არ გამჭირვებია. სქემებშიც კარგად ვერკვეოდი და ელექტროტექნიკაშიც.

ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და, ორიოდე კვირის შემდეგ უკვე გამორჩეული მოსწავლე ვიყავი ყველა საგანში... ერთი სიტყვით, სწავლის საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ საერთო საცხოვრებელს ვერა და ვერ შევეგუე. ჩვენს ოთახში ორი ბიჭი კიდევ შემოასახლეს, ერთი ვანელი ყარამან არაბიძე, მეორე ლანჩხუთელი კოტე თენეიშვილი. არაბიძეს ყარამანი კი ერქვა, მაგრამ ისეთი ჩია გახლდათ, მუჭაში მოთავსდებოდა, სამაგიეროდ, ეშმაკი და ქვებუდანი იყო. თუ დასჭირდებოდი, კატასავით გექლასუნებოდა, შემოგციცინებდა და თან თვალებში ეშმაკები უხტოდნენ, თუ არ და, ოსური მოზვერივით სულ განზე იწევდა. გარეგნობით კოხტა ბიჭი იყო და კარგადაც იცვამდა, მაგრამ ისეთი წუწუნი იცოდა, პირდაპირ თავს შეგაბრალებდათ. უფროსებს მამა აბრამის ბატკნად აჩვენებდა თავს, ჩუმჩუმად კი დასცინოდა. პირველ დღიდანვე მაისაიას დაადგა თვალი, ტყუილში გამოიჭერდა და ქირქილებდა, მაგრამ როგორც კი შეუტევდა მაისაია, მაშინვე თაგვივით სოროსაკენ გარბოდა.

ერთ დღეს ფეხბურთის მოედნიდან ვბრუნდებოდი, შევდივარ ჩვენს ოთახში და რასა ვხედავ: ჩამდგარა ბიჭებში ეს ყარამან არაბიძე და რაღაცას ჰყვება. ბიჭები სიცილით იფაჭებიან. ზოგი მუხლზე ირტყავს ხელს, ზოგი ოთხად იკეცება. ყველანი სხვა ოთახის ბინადარნი იყვნენ: ჩვენი ოთახიდან მარტო კოტე თენეიშვილი ესწრებოდა. მაგიდასთან იჯდა, ნიკაპი მუშტზე დაეყრდნო და ილიმებოდა. მაისაია კი არსად ჩანდა. ჩემ დანახვაზე ბიჭები უფრო გამხიარულდნენ და არაბიძეს ხვეწნა დაუწყეს, თავიდან დაიწყე, ამანაც მოისმინოსო. ყარამანი ჯერ ქალივით გაინაზა, მერე ძალიან შეწუხებული, საბრალო სახე მიიღო და მუდარით თქვა:

— არ მინდა, ძმაო, ამბავს მიუტანს ვინმე და უნდა გადავიკიდო ის კაცი.

ეს რომ თქვა, ავილესე, მაგრამ მაინც არ ვაგრძნობინე, ხუმრობით ვუთხარი:

— ესე იგი, მე მივუტან ამბავს, შე ყურუმსაღო?

— ღმერთო კი მომკალი, ეგ სულაც არ მიფიქრია, ილო!— თავი მოიკატუნა ყარამანმა.

— მიდი, მიდი ჩამოფქვი, მეც გავმხიარულდე.

არაბიძე ცოტა ხანს კიდევ გაინაზა და მერე ნამდვილი მსა-

ხიობივით დაიწყო: წასულ კვირას ძალიან ცხელოდა და ლისის ტბაზე წავედით საბანაოდ: მე, მაისაია და კოტე, — თენეიშვილს გადახედა არაბიძემ ღიმილით, — მივდივართ ახლა გზაში და ლაპარაკი ჩამოვარდა, ვინ როგორი ცურვა იცისო. კოტემ თქვა, ცურვა ვიციო, მე, ძმაო, — გულზე ხელი დაიდო არაბიძენ, — თავიდანვე გეუბნებით. ცურვა არ ვიცი და უბრალოდ გავგრილდები-მეთქი. ახლა მაისაიას ვეკითხები, შენ თუ იცი, გიორგი, ცურვა?

არაბიძე ისე კარგად ბაძავდა მაისაიას ლაპარაკში, რომ ბიჭები სიცილით იჭაჭებოდნენ.

— ჰოდა, ეს ჩვენი გიორგი ასეთ ამბავს გვიყვება, — გაიგრძელა ყარამანმა და უკვე მაისაიას კილოზე დაიწყო: — ერთხელ, ბიჭო, წვიმიანი დღეა და ეზივარ სახლში. ისე წვიმს მთელი დღე, რომ პირდაპირ ღვაპი სკდება. უცებ საიდანღაც მესმის კივილი. ვიფიქრე, ტეხურა ადიდდა და ნამდვილად ვიღაცა წაიღო-მეთქი. მერე როგორი ადიდება იცის, ღედე! — და არაბიძემ მაისაიასავით შუბლზე იტკიცა ხელი. — ქვეყნიერება მოაქ, ბიჭო, თან. გავვარდი, შენ ხარ ჩემი ბატონი, და რასა ვხედავ, ჩვენი უბნელი გოგო მოუტაცნია ტეხურას და აგერ არ გაუჩხირია ჩინჩხილზე! არადა, სადაც აერის მოიტაცებს წყალი. დამდგარა ეს ამოდენა ხალხი, თვალებზე, იფარებენ ხელს და ვიშვიშებენ. გავიძრე ტანსაცმელი და მომვარდა ხალხი, რას სჩადი, შე ბრიყვო, თავს რად იღუპავო. მომცილდით იქით-მეთქი, ვუკივლე. შევვარდი წყალში და როგორც იყო, გამოვიყვანე ის გოგო. მომვარდა, ბიჭო, მამამისი, მკოცნის და მეუბნება: შენ გადამირჩინე ეს გოგო და შენზე ალალი იყოსო. გავგიჟდი, ბიჭო. კაცი. შე დურაკო, გასწი იქით, რას მეუბნები-მეთქი.

ბიჭები ხარხარებენ, ერთმანეთს აწყდებიან და მუცელი ხელით უჭირავთ. მეც გულიანად მეცინება. შეიძლება არაბიძე ცოტა აჭარბებდა, მაგრამ მაისაიასეული ბევრი რამ ვინიშნე.

ყარამანი კი ისევ არტისტულად განაგრძობდა თხრობას:

— ავედით ახლა ლისის ტბაზე, გაიხადა კოტემ და შეცურდა. მეც გავიხადე და შევედი. მაისაია დგას და გვიყურებს. რაღას უცდი გიორგი, გაიხადე და შემოდი-მეთქი. ის კიდევ, უყურეთ, რას მეუბნება: არ ვიცი, ბიჭო, მე ცურვა. როგორ არ იცი-მეთქი. — განაგრძობს არაბიძე ბიჭების ხარხარში.—

წელან შენ არ იყავი, ადიდებულ ტეხურას გოგო რომ გამოსტაცე-მეთქი.

— მერე, რა გითხრა? — ეკითხებიან ბიჭები და თვალებიდან ცრემლებს იწმენდენ.

— რა მითხრა და, ნუ იცი შენ, ბიჭო, დურაკული ლაპარაკიო.

როცა ბიჭები ოთახიდან გავიდნენ და სამნიღა დავრჩით, თენეიშვილს ვკითხე, მართლა ასე თუ იყო-მეთქი.

— მთლად ასე არ იყო, ცოტას ალამაზებს ყარამანი.

სამიოდე დღის შემდეგ, ყარამანი რომ შემოვიდა ოთახში, მაისაიამ თითით მიიხმო:

— მოდი აქ შენ, ბიჭო!

არაბიძე გაფითრდა, შეშინებულ თაგვს დაემსგავსა.

— რას დგახარ და მაიმუნობ თუ იცი, რა მაქვს მე შენი სასაცილო.

ყარამანი მთლად დაილია, თავი მოისაწყლა და საბრალო თვალებით გადმოგვხედა მე და თენეიშვილს.

— რაზე მეუბნები მაგას? — შეიცხადა არაბიძემ.

— კარგად იცი, რაზედაც გეუბნები. ვინ არის, ბიჭო, შენი სასაცილო?

— რას ამბობ, გიორგი, ღმერთო, კი მომკალი. აჰ, აი, ახლა უყურე ამას. აგერ, არ არიან ბიჭები, — ჩვენ გადმოგვხედა ისევ. — აბა ჰკითხე თუ მითქვამს რაიმე. ვიღაცა გატყუებს, ჩვენი გადაკიდება უნდა. დედას გეფიცები, მაგისი მსგავსი არაფერი ყოფილა. როგორ, მე ძმასავით მიყვარხარ, ჩემო გიორგი, შენ კიდევ ასეთი რამე დაიჯერე. — და არაბიძემ გული ისე აიჩუყა, ცოტას დააკლდა, ცრემლი არ გადმოღვარა.

მაისაია როგორ გავამტყუნო, მეც კი ვირწმუნებდი არაბიძის ცრუ ფიცს, ჩემი ყურით რომ არ გამეგონა, როგორ აცინებდა მაისაიაზე ბიჭებს.

გიორგი გაშრა, ეტყობოდა, იფიქრა ნამდვილად ცილსა ვწამებო და ესღა თქვა:

— ნეტავ ვისა სჭირდება ასეთი ტყუილების მოგონება, კაცო.

— არა, გიორგი, შენ ეგ როგორ დაიჯერე. — იქით დაადო ვალი უკვე დაწყნარებულ მაისაიას. — ხომ იცი, როგორ პატივსა გცემ, ძმა ხარ ჩემი, ძმა. ეგ რამ დაგაჯერებინა.

თენეიშვილს გადავხედე, თავს იქნევდა და გაოცებული იღიმებოდა. მეც გაკვირვებას ვიყავი. როგორ შეეძლო არაბიძეს ან ამდენი ტყუილი ფიცი, ანდა ასეთი გაიძვერობა. კარგად ვიცოდი, მერე წავიდოდა, ისევ ჩადგებოდა ბიჭებში და ახლა ამ ამბავს მოჰყვებოდა, როგორ დააჯერა მაისაია ტყუილი ფიცით. გული მერეოდა ამ მაიმუნის საქციელზე, მაგრამ რა უნდა მექნა, ხელის გასასვრელადაც არ ღირდა, რომ მაისაიას მაგივრად მე მიმეტყიპა. ვინ მომცა ამის უფლება. თორემ ამ ქვეყანაზე რაც კი ყარამან არაბიძეები იყვნენ, ერთად მოვეყრიდი თავს და ჯუნგლებში გავგზავნიდი თავიანთ ოთხფეხა წინაპრებთან.

ჩვენი ოთახის მეორე ბინადარი კოტე იყო, წელან რომ ვახსენებდი. აი, ბიჭი იმას ერქვა. მოდი და ნუ გაგიკვირდება ადამიანს ამ ბუნების ამბავი. თუ კოტე თენეიშვილისთანა ბიჭებს ეჩენს ამ ქვეყანაზე, მაშინ არაბიძეები რაღაში სჭირდება. მაგრამ ეტყობა, ბუნებამ თავისი საქმისა უკეთ იცის, ვაჟა-ფშაველაც სწორედ ამას არა ჩიოდა: საცა პირიმზეს ახარებს, იქვე მთხრელია ზვავისაო. თენეიშვილი ლანჩხუთიდან იყო. სიმაღლით ორ მეტრს აღარაფერი ეკლდა. წელწვრილი და ბეჭგანიერი გახლდათ. ასეთი უწყინარი და გულთბილი ბიჭი იშვიათად შემხვედრია. ჩემი არ იყოს, ისიც მამით ობოლი იყო და იმასაც ერთადერთი და ჰყავდა. ქერა თმა და ცისფერი თვალები ჰქონდა. კოტე მხატვრობით იყო გატაცებული, გვარიანადაც ხატავდა. თერმე სამხატვრო ტექნიკუმში აბარებდა, მაგრამ ჩაჭრილა, გული მაინც არ ჰქონდა გატეხილი, ისევ მხატვრობაზე ოცნებობდა. ვატყობდი, რომ კოტეს ჩვენი სასადილოს ულუფა არ ყოფნიდა და მეც და მაისაიაც ვცდილობდით, რაც შეგვეძლო, წავხმარებოდით. თუ რაიმეს მოგვაწვდიდნენ სოფლიდან უამისოდ ლუკმას არ ჩავუშვებდით პირში.

ორიოდე კვირის შემდეგ დავრწმუნდი, რომ საერთო საცხოვრებელში ყოფნა არ გამომადგებოდა. წიგნის გარეშე ვერ გავძლებდი, არადა, ისეთი ღრიანცელი იდგა დილიდან შუადამემდე, ოცნებაც კი ზედმეტი იყო წიგნის კითხვაზე. გადავწყვიტე, სადმე სასწავლებლის ახლომახლო იაფფასიანი ბინა მექირავებინა. ეს ამბავი მაისაიას გავანდე, თენეიშვილისთვის არაფერი მითქვამს, რადგან ვიცოდი, რომ ის ჩემზე ხელმოკლედ იყო და გასაქანი არაფრისა ჰქონდა. მაისაიას გაუხარდა, მაშინ-

ვე მხარი მომცა და ორიოდე დღეში ჩვენი სასწავლებლიდან სულ რაღაც ას ნაბიჯზე ერთი პატარა ოთახი აღმოვაჩინეთ, სადაც ორი საწოლი და პატარა მაგიდა იმართებოდა. ოც მანეთად გავურიგდით ოთახის პატრონს, მერე ჩვენს უფროს ოსტატს ილია ჩანკვეტაძეს შევუთანხმდით და პატარა ოთახში გადავსახლდით. მყუდროდ აეწყო ჩვენი ცხოვრება, თავისუფალ დროს წიგნების კითხვაში ვატარებდი, მართალია, მაისაია წიგნებზე ძაან გადამკვდარი არ იყო, მაგრამ ხელს არ მიშლიდა. ან გამერიდებოდა ხოლმე, ანდა თვითონაც იძულებული იყო რაიმე წაეკითხა. ხანდახან ანზორ სისაური და თენეიშვილი თუ გვესტუმრებოდნენ და მაშინაც ისეთ კამათს გავმართავდით ლიტერატურაზე, რომ ხმა გვეხლიჩებოდა. ბოლოს ან მე, ან სისაური ჩვენს საკუთარ ლექსებს წავიკითხავდით და ჯგუფურად გავარჩევდით.

ასე დავიწყე თბილისური ცხოვრება. სასწავლებელი და ბინა, ეს იყო ჩემი სამოქმედო ასპარეზი. არსად არ გავსულვარ, არც რედაქციას გავკარებივარ, არც რომელიმე ლიტერატურულ წრეს, კლუბებთან რომ არსებობდა მაშინ. ოციოდე დღის შემდეგ კი პირველად ვესტუმრე მწერალთა კავშირს. იმ დღეს რა დამავიწყებს, პარასკევი იყო, ოცდაერთი სექტემბერი.

გაკვეთილების შემდეგ შინ რომ დავბრუნდი, სისაური დაგვიხვდა ოთახში. იცოდა, გასაღებს სადაც ვინახავდით და კარები თვითონ გაეღო. სისაურის მოსვლა ყოველთვის მიხაროდა, მაგრამ იმ წუთში, ალბათ იმიტომ რომ არ ველოდი, განსაკუთრებით გამიხარდა. სალამ-ქალამის შემდეგ ანზორმა მაშინვე გვამცნო თავისი მოსვლის მიზეზი, საღამოს მწერალთა კავშირში ერთ-ერთი ჟურნალის განხილვაა და დავესწროთო. მართალია, იმ ჟურნალის განხილვა ექვს საათზე იყო დანიშნული, როგორც სისაურმა მითხრა, მაგრამ გადავწყვიტეთ, ცოტა ადრე მივსულიყავით მწერალთა კავშირში. შინ დიდხანს აღარ გავჩერებულვართ, სადგურის ხიდი ფეხით გადავიარეთ და ტროლეიბუსით ლენინის მოედანზე ამოვყავით თავი.

„მაჩაბლის ქუჩა“ ამოვიკითხე წარწერა, ვიწრო, შედარებით მყუდრო ქუჩაზე რომ შევუხვიეთ. ვიცოდი, მწერალთა კავშირი ამ ქუჩაზე იყო და რაღაც იდუმალებამ მომიცვა. აქ ყველაფერს თითქოს საგანგებო იერი დაჰკრავდა, მეგონა,

მხოლოდ მწერლები დადიოდნენ ამ მყუდრო ქუჩაზე და ყველა გამვლელს მოწიწებითა და რიდით ვაკვირდებოდი, თან ვცდილობდი, სურათებში ნანახი ადამიანები ამომეცნო.

— აგერ, დიდი რკინის ჭიშკარიც. ქვის კედელზე რუსულ-ქართული წარწერა გამცნობთ, რომ ამ ჭიშკრის შიგნით მწერალთა კავშირია.

ჩემს ცხოვრებაში ასეთი რამ ალბათ არასოდეს განმიცდია, მაშინაც კი არა, როცა უნივერსიტეტის კედლებში მოვხვდი პირველად. არა, ეს სულ სხვანაირი გრძნობა იყო, რაღაც გამოუცნობი, შიშნარევი, და კრძალვით სავსე. სისაურს გადავხედე. ანზორი, მიუხედავად იმისა, რომ პირველად არ იყო მწერალთა კავშირში, მაინც ფარული მღელვარებით იყო შეპყრობილი. ჭიშკართან შევჩერდით ცოტა ხანს და ამ დროს სისაურის ჩურჩულიც გავიგონე:

— გალაკტიონი მოდის, გალაკტიონ ტაბიძე!

უცებ გამოვგონდი და ქუჩა მოვათვალიერე. სწორედ ჩვენს მხარეს, გაზონზე, დინჯად, ძალიან დინჯად მოდიოდა წვერმოშვებული კაცი. ცალ ხელში მოზრდილი ჩანთა ეჭირა, მეორე ხელი კი პიჯაკის ჯიბეში ჩაეყო. ვერ შევატყვე, საით იყურებოდა, არც მთლად მიწას ჩასჩერებოდა, არც პირდაპირ იმზირებოდა. მოდიოდა ფიქრით მოსილი. განზე გავდექით. თვალს არ ვაცილებდით პოეტს. უბრალოდ ეცვა. ოდნავ დაჭმუჭნული კოსტუმის ღილები ბოლომდე შეეკრა, სქელი ჰალსტუხი დაუდევრად ჰქონდა განასკვული პერანგის საყელოსთან. გრძელი წვერი ფართო მკერდზე დაჰფენოდა და ჩაფიქრებული, იდუმალებით მოსილი მოგვს დამსგავსებოდა. დიახ, ჭეშმარიტად დელფოდან გამოსული მოგვი იდგა ჩემს თვალწინ და უცებ გამახსენდა:

> რა სასწაულით, რა საწყაულით,
> პოეტი უნდა შეიქმნეს მოგვი...

როცა მოგვიახლოვდა, თავი ასწია. ფართო შუბლი დანაოჭებოდა, ხოლო თვალები უცნაურად მოციმციმე თვალები, ღვთაებრივი სხივითა და სიკეთით უბრწყინავდა. ჩვენს დანახვაზე პირისახე გაუნათდა, წვერებზე ხელი ჩამოისვა, დაგვაკვირდა და მოგვესალმა:

— გამარჯობათ, ყმაწვილებო, როგორ გიკითხოთ! — ხელ
ჩამოგვართვა.

— გმადლობთ, ბატონო გალაკტიონ! — მიუგო თვალებგაბ
რწყინებულმა სისაურმა. გალაკტიონმა ერთხელ კიდევ შეგვა
თვალიერა, კარი შეაღო, ფართო ბეჭები ძლივს შეიტანა დ
კიბეს ნელა აუყვა. გაოცებული ვიყავი მისი საქციელით, არ
სისაურს იცნობდა, არც მე და მაინც შინაურებივით მოგვი
კითხა.

შორიახლო მივყევით. იგი მეორე სართულზე ავიდა, ხოლ
ჩვენ მწერალთა კავშირის ბაღში გავედით. შადრევანთან, სკა
მხე, სამი კაცი იჯდა, იმათგან სათვალებიანი ქიაჩელი მაშინვ
ვიცანი. სწორედ ისეთი იყო, სურათში რომ მენახა. ის ორი
შედარებით ახალგაზრდა, ჩემთვის უცნობნი იყვნენ. ქიაჩელ
რაღაცას უამბობდათ. შორიახლო რომ ჩავუარეთ, სისაური
მიესალმა და შევამჩნიე, მათ შორის ქიაჩელიც წამოიწია სკა
მიდან და თავი დაგვიკრა. ჩვენ იქვე გვერდით, მეორე სკამზ
დავსხედით და ყური მივუგდეთ. მხცოვანი მწერალი იმას ჰყვე
ბოდა, მოსკოვში მატარებლით მგზავრობისას, ერთ-ერთ შე
ქეიფიანებულ მწერალს როგორ გაეხსნა ჯიგარი და თავის თა
ნამოკალმეებს საკოცნელად როგორ დასდევდა. ის ორნი ხარ
ხარებდნენ, ქიაჩელი კი ოდნავ იღიმებოდა და დროდადრო
ჩვენ გადმოგვხედავდა ხოლმე სათვალეებიდან. სისაურიც ყუ
რადღებით უსმენდა, მე კი თვალს არ ვაცილებდა მწერლის
სათნო სახეს და თვალწინ მედგა ულამაზესი თავადის ქალ
მაია.

„ვინ არის აქ ისეთი, ვინც არ უნდა იყოს!“ — ჩამესმოდა
ყურში და ცხადად ვხედავდი ერთ დროს სილამაზით მზის სწო
რი აწ უკვე გადამქრალი ვარსკვლავი მაია როგორ მიადგა
ფუნებდა ზღვის ტალღებს, როგორ მიიწევდა მის სიღ
რმეში და ძვირფას ბეჭდებს სათითაოდ როგორ ჰყრიდა.
მაშინ გაათავა ცხოვრება მაიამ, როცა სიბერემ სილამა
ზე ჩაუქრო. საკუთარი თვალით ვუყურებდი ამ დიდე
ბული ნოველის შემქმნელს და ბედნიერი ვიყავ. კიდევ ის მაკ
ვირვებდა, რომ აქ, მწერალთა კავშირში ერთმანეთს ყველა თა
ნატოლივით ექცეოდა, არ იგრძნობოდა ის უხერხულობა და
რიდი, რაც დიდ-პატარას შორის არსებობს ყველგან.

ექვს საათზე მწერალთა კავშირის კლუბი უკვე გაჭედილი

იყო. მე და სისაური უკანა რიგში დავსხედით. გაფაციცებით ვათვალიერებდი თითოეულ მწერალს და მათ ვინაობას სისაურს ვეკითხებოდი. როგორც მან ამიხსნა, უმეტესობა დარბაზში ჩვენსავით იყო მოსული, ლიტერატურის მოყვარულები და დამწყები მწერლები. ლეო ქიაჩელიც ვეღარსად დავინახე.

დარბაზის კედლებზე ქართველ მწერალთა უზარმაზარი სურათები ეკიდა. ილიას სურათი ზუსტად იქ იყო მოთავსებული, სადაც კათედრა იდგა. ისე მკაფიოდ და ცხადად იცქირებოდა ილია იმ სურათიდან, მეგონა, ყველაფერს ისმენს, რასაც მოკამათეები ამბობენ და აქ სიცრუის თქმას ვერავინ გაბედავს-მეთქი.

თავმჯდომარე წამოდგა და დარბაზს ამცნო, დღეს ჩვენ ჟურნალის ბოლო ნომერს ვიხილავთო და მერე სიტყვა მოხსენებისათვის კრიტიკოს ჯაბა მიგრიაულს მისცა.

პრეზიდიუმიდან წამოდგა ფერმკრთალი, ოდნავ მაღალი, ოცდაათიოდე წლის კაცი და ზეპირად დაიწყო ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების განხილვა. მომხსენებელმა ზოგი გაკენწლა, ზოგი შეაქო, ზოგზე დიდხანს ილაპარაკა, ზოგიც გაკვრით მოიხსენია, ოღონდ იმ ჟურნალის ნომრიდან ალმანზორ სირაძის პოემა და გვარამაძის რომანი ცალკე გამოჰყო და ქებით ცამდე აიყვანა. მოხსენების შემდეგ კამათი გაჩაღდა, ზოგი მხარს უჭერდა მომხსენებელს, ზოგიც არ ეთანხმებოდა. საბოლოო სიტყვით სიმონ ჩიქოვანი გამოვიდა. დარბაზი გასუსული უსმენდა მხცოვან პოეტს. მეც გულისფანცქალით ველოდი, რაში დაეთანხმებოდა კრიტიკოსს და რაში არა. ჩიქოვანმა არ გაიზიარა კრიტიკოსის აზრი ალმანზორ სირაძისა და გვარამაძის ნაწარმოებებზე. გადაჭარბებულად მიიჩნია მათი ქება და ოდნავი ღიმილით დაასკვნა, მეგობრობა მეგობრობაა, მაგრამ ლიტერატურაში პრინციპულობას არ უნდა ვუღალატოთო და ამით დაამთავრა კამათი.

14

მე და სისაური ლენინის მოედანთან გავიყარენით. სადგურამდე ტროლეიბუსს გამოვყე და იქიდან ფეხით გავუდექი გზას. ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა, კანტიკუნტათღა მოძრაობდნენ ადამიანები. ეს დრო მიყვარდა, ქუჩებში აზავთებულ

ხალხს ვერ ვიტანდი. სახლამდე ისე მივედი, არც მახსოვს, გზა როგორ გავლილ. კმაყოფილი ვიყავი დღევანდელი საღამოთი, რამდენი შთაბეჭდილება მივიღე, რამდენი რამ გავიგე ამ ერთ საღამოს. ახლა იმაზე ვფიქრობდი, მალე წამეკითხა ის ნაწარმოებები, რომელიც მომხსენებელმა აქო, რომელზედაც ორი აზრი დაიბადა და გამერკვია, რომელ აზრისკენ გადავიხრებოდი. ამით ჩემს გემოვნებასაც შევამოწმებდი.

შინ რომ მივედი, მაისაიამ თან მისაყვედურა და თან მომიბოდიშა:

— სადა ხარ, კაცო, გელოდე, გელოდე და დავწექი.

ლოგინში ჩაწოლილიყო და წიგნს კითხულობდა.

— მაპატიე, გიორგი. მწერალთა კავშირში ვიყავი, ისეთი კმაყოფილი ვარ, ვერ წარმოიდგენ.

— რატომ არ წამიყვანე მე?

— შინ არ იყავი. სისაური მოვიდა და იმან წამიყვანა.

გიორგიმ წიგნი გვერდზე გადადო.

— შენი დეიდაშვილი იყო აქ, — მომისხლიტა უცებ.

— ჩემი დეიდაშვილი?

— ჰო, კაცო, რას შეიცხადე. ფული და წერილი დაგიტოვა, აგერაა მაგიდაზე. დედუ, დედუ, რა ლამაზი დეიდაშვილი გყოლია, ანტიკაა პირდაპირ, კაცო, ანტიკა!

პატარა მაგიდაზე ქაღალდში ჩაკეცილი ათმანეთიანი იდო. ფული გვერდზე გადავდე და ქაღალდი გავშალე:

„ილო, სად დაიკარგე, ბიჭო. რატომ ერთხელ არ გამოსცედი. თუ საერთო საცხოვრებელში არ გინდოდა ყოფნა, ჩვენთან ვერ დაეტეოდი? უცნაური ბიჭი ხარ. აუცილებლად მოდი, თორემ მეწყინება. დასარეცხი მაინც არაფერი გაქვს? ან რა ძალა გადგას, ამ სოროში რომ გამომწყვდეულხარ. გიტოვებ ცოტა ფულს.

ოლია".

უცნაურმა სითბომ დამიარა სხეულში, გული ამიჩუყდა და თვალებზე ცრემლი მომადგა. ჩემი დეიდაშვილი დამიდგა თვალწინ, მართლაც ულამაზესი სათნო და საყვარელი ოლია. როგორ მინდოდა ახლა ჩემს გვერდით ყოფილიყო და მადლობის თვალით შემეხედა.

— საერთო საცხოვრებელში ყოფილა და აქ გამოუსწავლებიათ შენთან, — მეუბნებოდა მაისაია.

გულაჩუყებულსა და შთაბეჭდილებებით დამძიმებულს იმ

ღამით დიდხანს არ დამძინებია, ხან იმ საღამოზე ვფიქრობდი, ხან ოლიაზე. წარმოვიდგინე, რა ყოფაში იქნებოდნენ ჩვენი საერთო საცხოვრებლის ბიჭები, ოლიას რომ დაინახავდნენ.

დილით ცოტა უგუნებოდ გამეღვიძა. მთელი ღამე ფიქრით გართულს ძილი დამაკლდა. ისევ ღრუბლიანი დღე იყო, უემური, სიცოცხლეს რომ შეგაძულებს კაცს, სწორედ ისეთი.

მაისაია უკვე წამომდგარიყო, მაგიდას მისჯდომოდა და ხმადაბლა კითხულობდა: „თვალი შედგება თვლის ცენტრისაგან და მასზე დასმული არტახისაგან. თავის მხრივ თვლის ცენტრი შედგება სამი ნაწილისაგან: მორგვისა, მარგილებისა და ფერსოსაგან“.

ცოტა ხანს ვუსმინე მაისაიას და ბოლოს ვკითხე:

— რას აბულბულებ, გიორგი?

— თვლებსა ვსწავლობ, კაცო,—და თავისი ჩამქრალი თვალებით იჟვნეულად მომაჩერდა.

გულიანად გამეცინა და ვუთხარი:

— თვალი დაგიდგეს შენ, დღეს ხომ პრაქტიკული მეცადინეობა გვაქვს.

ცოტა ხანს მიყურა, მერე თვითონაც გაეცინა და შუბლზე იტკიცა ხელი:

— დედუ, რამ გამომალენჩა, კაცო!

უცნაური ზნე სჭირდა მაისაიას. როდის თეორიული მეცადინეობა გვიტარდებოდა და როდის პრაქტიკული, ეს ხომ ავიწყდებოდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, გაკვეთილად რა გვქონდა, ისიც ეშლებოდა ხოლმე. ხან ერთი გაკვეთილით წინ გადახტებოდა, ხან უკან. ახლაც თეორიულ მეცადინეობაში ღერძები გვქონდა გაკვეთილად, მაისაია კი თვლებზე გადამხტარიყო. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, აღარ შევახსენე, ისედაც უხერხულობაში ჩავარდნილი, უარესად აღარ შევარცხვინე.

— თბილისში მემართება, კაცო ასე, რაღაც გულმავიწყობა დამჩემდა.

— ჰავამ დაგცადა ალბათ, გიორგი, ჰავამ. ეგ არაფერი,— გავუკეთე გული მაისაიას და ლოგინიდან წამოვდექი. ვიდრე პირს დავიბანდი, გიორგის უკვე ჩაი დაესხა, ასეთი რამ ძალიან ეხერხებოდა. თითქმის ყოველ დილით მასწრებდა ადგომას, ჩაის ამზადებდა და მეც მიმასპინძლდებოდა. ერთი სიტყვით, თითო ჭიქა ჩაი დავლიეთ და სასწავლებელში გადავედით. სა-

ზეინკლო საამქროში თავი რომ მოვიყარეთ, ვილაცამ ამბავი მოიტანა, დღეს სტიპენდიები უნდა დაგვირიგონო. პირველი სტიპენდია უნდა მიგვეღო და ისეთი ამბავი ატყდა, თითქოს ეგ არის და საქართველოს დროშა ააფრიალესო. სიმართლე გითხრათ, მეც უცნაურმა სიხარულმა ამიტანა, ჩემს სიცოცხლეში დღეს პირველად უნდა ამეღო საკუთარი ფული.

— აბა, დაწყნარდით, დაწყნარდით. მოესწრებით ფულის აღებას, — სახელოსნოში ღიმილით შემოვიდა უფროსი ოსტატი ილია ჩანკვეტაძე. ვერ გეტყვით, რათა, მაგრამ ამ კაცის დანახვა, რაც უნდა მოშხამულ ხასიათზე ვყოფილიყავი, გუნებას მიკეთებდა, რწმენას და იმედს მაძლევდა.

გაკვეთილი თვითონ ჩანკვეტაძემ ჩაგვიტარა. სათითაოდ გვიძახებდა და გვამოწმებდა როგორ ვეუფლებოდით საზეინკლო საქმეს, კერძოდ, ვაგონის შეკეთებას.

კვეხნაში ნუ ჩამომართმევთ და თუ საზეინკლო ხელობას ასე მარჯვედ და იოლად დავეუფლებოდი, არ მეგონა. რაც მესამე გაკვეთილის შემდეგ ვიცოდი მე, ზოგიერთი მეშვიდე გაკვეთილის შემდეგაც ვერ ახერხებდა იმას.

მეცადინეობის შემდეგ ილია ჩანკვეტაძემ ცალკე გამიხმო და მითხრა.

— ყოჩაღ, ილო, შენ თუ ასე გააგრძელე, მალე გაგიშვებ ელმავალზე. კარგი ბიჭი ხარ და ბოლომდე ასეთი უნდა დარჩე, სხვას ნუ აჰყვები.

არადა, ყველა ჩვენთაგანს სული გვესწრაფოდა, ელმავალს როდის გავატარებდით. ასე გვემართებოდა საშუალო სკოლაშიც, სამხედროს მასწავლებელი შაშხანის ხმარების წესს რომ გვასწავლიდა, შეგვპირდა, თუ წესებს მალე დაეუფლებით, ვაზნებს მოვიტან და მიზანში გასროლინებთო, მაგრამ ზოგიერთი რატომღაც ვერ ეუფლებოდა შაშხანის ხმარების წესს. მაშინაც მე გამომარჩია სამხედროს მასწავლებელმა, შემაქო და შემპირდა, შაშხანას მალე გაგასროლინებო. აქაც ასე მოხდა, უფროსმა ოსტატმა მე გამომარჩია მთელი ჯგუფიდან.

15

მოლარემ გვარი მკითხა და უწყისში ღულულაშვილის ძებნა დაიწყო. გული შემიტოკდა, მეგონა, იმ უწყისში მაინც დამაინც ჩემი გვარი იქნებოდა გამოტოვილი. არ გეგონოთ ფუ-

ლის ხარბი ვიყო და იმიტომ გამიჩნდა ეს გრძნობა, არა, ეს სხვა რამ იყო. სამოცი მანეთი ჩემს სიცოცხლეში პირველად რომ უნდა ამეღო და მას ჩემი საკუთარი სახელი ერქვა, სხვების მილიონებსა და ოქრო-ვერცხლს უდრიდა ის ახლა ჩემთვის. ის სამოცი მანეთი სამოცი სიხარული იყო, მთელი ცხოვრების მანძილზე რომ შეიძლება ვერც კი გადაეყაროს კაცი.

როგორც იქნა მოლარემ მიაგნო უწყისში ჩემს გვარს, თითი დაადო, სადაც ხელი უნდა მომეწერა და გადმომაწოდა. 67 მანეთი და 80 კაპიკი, ამოვიკითხე უცებ და ხელი მოვაწერე. როგორც წესი, მოლარე 80 კაპიკს არავის .გვაძლევდა, რადგან ხურდა არ ჰქონდა და არც არავინ ედავებოდა. ფული არც დამითვლია, პირდაპირ ჯიბეში ჩავიდე და ისეთი საძაგელი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ნაპარავს ვმალავდი. ვერ აგიხსნით რათა, მაგრამ ამ წუთში უმწეობა თუ ზიზღი ვიგრძენი ჩემი თავის მიმართ. სალაროსთან მოხროვილი ბიჭები მოვათვალიერე, მეგონა, ყველა მე მომჩერებია-მეთქი, მაგრამ ყურადღებას არავინ არ მაქცევდა, თავიანთთვის ანგლობდნენ და მასხრობდნენ.

უკვე გაფულიანებული ბიჭები ჯგუფ-ჯგუფად იყრიდნენ თავს. ვისაც ვისთან მიუწევდა გული, თათბირობდნენ, დღევანდელი მნიშვნელოვანი დღე სად აღენიშნათ პურ-მარილით. ერთხელ კიდევ მოვსინჯე ჯიბეში ფული და მაშინვე დედაჩემი და მათიკო დამიდგნენ თვალწინ. ბოლო წერილში მათიკო მწერდა: ვენახი გამოვკრიფეთ, ასი მანეთის ყურძენი ქარხანას ჩავაბარეთ, ცოტაოდენი კიდევ ღვინოდ და ტკბილად გამოვწურეთ. ყურძნის ფული ჯერ არ აგვიღია, როცა ავიღებთ, ცოტაოდენს გამოგიგზავნითო.

ამ წერილის გახსენებაზე გული ისე დამეწურა, თითქოს ვიღაცამ ცხელი შანთი მაძგერა.

— ილო! — მომესმა უცებ. — სადა ხარ, კაცო, შენ გეძებთ. აიღე უკვე ფული? — მაისაია იდგა ჩემ წინ.

—კი, ავიღე.

— რათა ხარ, ბიჭო, მოწყენილი?

— არა ვარ მოწყენილი. შენ აიღე უკვე?

— კი. კოტე გველოდება გარეთ, თენეიშვილი.

კოტეს ხსენებაზე გუნება გამომიკეთდა. ეზოში თენეიშვილი დავინახე. გულზე დაეკრიფა ხელები და გამვლელ-გამომ-

ვლელს ათვალიერებდა. დაგვინახა თუ არა, ვეება ხელები ჩამოუშვა და ჩვენკენ წამოვიდა.

— აიღე სტიპენდია? — მკითხა მან.

— კი, ავიღე.

— მერე რას აპირებთ, არ წავიპურმარილოთ? — გაიღიმა კოტემ. მაისაიამ „პრიმის" კოლოფი ამოიღო და თამბაქოს მოუკიდა. გიორგის უყვარდა ქეიფი და ახლა ვიცოდი, რომ სიამოვნების მოლოდინში ღელავდა.

— როგორც თქვენ იტყვით, კაცო, — მივმართე ორივეს.

— მერე სად წავიდეთ? — მკითხა კოტემ.

— სად წავიდეთ? იცი რა, მოდი, ერთ კარგ აზრს გეტყვით, გადავიდეთ აგერ ბაზარში, ვიყიდოთ ხორცი, მწვანილი, ღვინო და დავსხდეთ ჩვენს ოთახში. აი, ხორცს გიორგი გააკეთებს, არ ეხერხება თუ?

მაისაია სიამოვნებით შეიშმუშნა.

— ძალიან კარგი აზრია, ისეთი „ოსტრი" გავაკეთო, რომ ჭამით ვერ გაძღეთ.

კოტეც სიხარულით დაეთანხმა ჩვენს აზრსა და ნაძალადევის პატარა ბაზრისკენ გავწიეთ. ნიავწანწალას ღრუბელი გადაეფანტა და მცხუნვარე მზეს ქუჩები აეშრო. წეღანდელი, წუთით შემონთებული ნაღველი გამეფანტა და ჩემი მეგობრების მხიარულ განწყობილებაზე დავდექი მეც. პატარა ბაზარში, ჩვეულებისამებრ, ცოტა იყო ხალხი. მიუხედავად იმისა, აქ უფრო მეძვირე გამყიდველები იყრიდნენ თავს, მაინც არ მიყვარდა დიდი ბაზრები, ხალხმრავალი ადგილები ჭირივით მძულდა და თუკი შემეძლო, გავურბოდი. ასე იყო თუ ისე, ჩვენ რაც გვინდოდა, აქაც იშოვებოდა. ყველი და ძეხვი, ხორცი, მწვანილი და წიწაკის მწნილი, აი, ის ავლადიდება რაც უცბად ვიყიდეთ და ახლა საქმე ღვინოზეღა მიდგა, მაღაზიაში რომ უნდა აგვეღო. ვერ გადავწყვიტეთ, რამდენი ბოთლი გვეყოფოდა და ბოლოს ათზე შევჩერდით. ლოთბაია და ღვინის წურბელა არც ერთი არ ვიყავით, მაგრამ ვიფიქრეთ, ეგებ უცებ ვინმე შემოგვესწროსო. მოგეხსენებათ, ასეთი ჩვევა ათაპაპიდან მოგვდევს, ქართველი კაცი არსად ისე არ წავიდოდა, ხატი იქნებოდა, მინდორი თუ ტყე, რომ იმაზე მეტი საჭმელ-სასმელი არ წაეღო, რაც თვითონ სჭირდებოდა, ეგებ ვინმე შემომესწროსო, იტყოდა და, მართლაც, გადამთიელიც რომ

დაენახა, მაინც მიიპატიჟებდა, მოდი, დამლოცეო. ერთი სიტყვით, ათი ბოთლი კახური ამოვიღლიავეთ და ჩვენს მყუდრო სავანეს მივადექით. სამივემ დავიკაპიწეთ ხელები და საქმეს შევუდექით, მე და კოტემ მწვანილი გავარჩიეთ, მაისაიამ ხორცი დაკეპა და ქვაბით ელექტროქურაზე შემოდგა. რამდენიმე წუთში ოთახში ისეთი სურნელი დატრიალდა, სიამოვნებით ლამის დავდნით. ერთი სიტყვით, სუფრა როგორც იყო გავაწყვეთ და ამ დროს ჩვენმა დიასახლისმაც შემოაღო კარი. ამ კეთილ, ხეიბარ ქალს არასოდეს შევუწუხებივართ და მისი მოსვლა, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა.

— საღამო მშვიდობისა, შვილებო! — მერე მე მომიბრუნდა. — ერთი ბიჭი იყო, ილოს მამიდაშვილი ვარო, დედაშენს ღვინო გამოუტანებია და მე დამიტოვა. თუ მოვახერხე, საღამოს გამოვივლიო, ასე დამიბარა.

სამივემ ერთმანეთს გადავხედეთ და მერე ოთახის კუთხეში მიხროვილ ღვინოს ბოთლებისაკენ გაგვექცა თვალი, ღვინოში ფულს რაღად ვყრიდითო. თენეიშვილმა მწარედ ჩაიცინა და ხელი ჩაიქნია.

— ეგ არაფერი, სხვა დროსაც დაგვჭირდება. მიდი, ილო, მოიტა, შინ დაყენებული ღვინო სულ სხვაა.

ათლიტრიანი კასრით გამოეტანებინა დედაჩემს საფერავი ნამდვილი დევის სისხლი, როგორც მამაჩემი ეძახდა ჩვენი ვენახის ყურძნის ნაწურს. ეტყობოდა, ჯერ მთლად არ იყო დაღვინებული და საცობიდან გამონაჟონ ქაფს წითლად შეეღება ჭურჭლის პირი.

— ჩვენი საფერავისაა, ბიჭებო, დევის სისხლია! — მივაძახე მეგობრებს, ღვინო რომ ოთახში შევიტანე.

— რაო, კაცო, ვინ მოიტანაო? — მკითხა მაისაიამ.

— ჩემი გარე მამიდაშვილი სწავლობს აქა, სავაჭრო ტექნიკუმში და იმისთვის გამოუტანებია.

— რა ვქნათ ახლა, ეს დავლიოთ თუ მაღაზიისა? — მკითხა თენეიშვილმა. გაოცებით შევხედე კოტეს.

— მაგას კითხვა უნდა?

— მაშ ბარემ რეზინის მილიც გამოართვი შენს დიასახლისს, რომ გადმოვასხათ. ამას კი მე მოვუვლი, — მითხრა თენეიშვილმა და კასრს მიუბრუნდა, რომ საცობი მოეძრო.

დიასახლისს რეზინი გამოვართვი და როგორც კი ოთახში

შევედი, რაღაცამ დაიბუთქუნა. ამ მოულოდნელმა ხმამ წამით შემაკრთო, ხოლო უკვე აზრზე მოსული ვუყურებდი, კასრიდან ამოხეთქილი წითელი შადრევანი ჭერს როგორ ეცა, მერე მეხსიერებაში ჩამებეჭდა ჩემი მეგობრების დაბნეული, შეშინებული სახეები.

შადრევანმა უცებ იკლო, დადინჯდა, დაცხრა და კასრის პირზე ახლა წითელი ქაფიღა თუხთუხებდა. ხან წითლად შეღებილ ჭერს შევხედავდით, ხან კასრს დავაცქერდებოდით. პირველად მე გავტეხე ნავსი, რაკი დავატყვე, რომ მაინცდამაინც ქვეყანა არ დაიქცა და ყოველივემ მშვიდად ჩაიარა, სიცილი ამივარდა, თენეიშვილი და მაისაია გაოცებულები მიყურებდნენ და ამან სულ გადამრია, სიცილიდან ხარხარზე გადავედი. თენეიშვილმა შუბლი მოიწმინდა, თავი გააქნია და როგორც იყო, გაიღიმა.

— კი, მაგრამ, თუ იცოდი ასე მოხდებოდა, რათ გამახსენეინე! — წყრომით მითხრა მან. სიცილი დავიოკე და შევცბი.

— აბა რას ამბობ, კოტე, მე საიდან ვიცოდი. სულ ერთია, ძე გავხსნიდი თუ შენ, ეს მაინც არ აგვცდებოდა. ჯერ დაღვინებული არ ყოფილა. ისე, შენი იღბალი რომ თავი გვერდზე გქონდა გადაწეული თორემ საცობი შუბლს გაგიხვრეტდა. ეგ არაფერი, ბიჭებო, ბევრი-ბევრი ორი სამი ლიტრა დაღვრილიყო.

— ღვინოს კი არ ვჩივი, კაცო, უხერხულია, დიასახლისი რას იტყვის! — და მაისაიამ დალაქავებულ ჭერს შეხედა.

— მაგასაც ეშველება, გიორგი, დიასახლისი არაფერსაც არ იტყვის. დასხედით თქვენ, ღვინოს მე ჩამოვასხამ.

თენეიშვილმა ველარ მოითმინა, ჭიქა ღვინით აავსო და დაიგემოვნა.

— აუჰ, ღვინო კი არა, ბადაგია, — მერე გაიცინა და დაამატა, — კი ღირდა ეს ფათერაკი ამ ღვინის ფასად.

— მაჩვენე ერთი მეც, — მაისაიამ ჭიქა გამოართვა და თვითონაც გასინჯა, — ანტიკაა, კაცო, დედუ!

სიამოვნებისაგან გამეღიმა, ვიცოდი, რაც იქნებოდა ჩვენი საფერავისა.

უკვე გახალისებულნი მივუსხედით სუფრას და დავიწყეთ ბურობა.

როგორც ყოველთვის, თამადად მაისაია დავაყენეთ, ასე თუ

ისე, სუფრას ენაწყლიანობა და მაღალფარდოვანი სადღეგრძელოები უხდება, რაც გიორგის კარგად ეხერხებოდა. სამი-ოთხი ჭიქის შემდეგ უკვე ხასიათზე მოვდექით. სამყარო ნელ-ნელა ფერადდებოდა ჩვენს თვალში, ცხოვრება მჩატე ხდებოდა ნუნუას წყალობით და ჩვენც თანდათან ვმხიარულდებოდით. ოთხი ჭიქის შემდეგ უკვე ვიცინოდით იმაზე, თუ რა დაგვემართა ღვინის კასრის გახსნისას. ერთი სიტყვით, ღვინომ მეცხრე ცაზე აგვიყვანა, ღმერთების გვერდით მოგვაკალათა და ჩვენც იქიდან ზვიადად გადავყურებდით ამ საცოდავ დედამიწასა და მის უმწეო ბინადრებს.

მეექვსე ჭიქას რომ ვსვამდით, კარზე ვიღაცამ მოაკაკუნა.

— შენი მამიდაშვილი მოვიდა ალბათ, — ივარაუდა მაისაიამ.

გავიხედე და სისაური შემრჩა ხელში. კარებში დაყუდებულიყო, თან იღრიჭებოდა და ადგილიდან არ იძროდა. შევატყვე, ცოტა ნაყლაპი იყო. მეც კარგ გუნებაზე ვიყავი და მისმა დანახვამ უფრო აღმაფრთოვანა.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! — ხმამაღლა შევძახე და ამ დროს დავინახე, მის ზურგს უკან როგორ ინაზებოდა რაღაცნაირად დარცხვენილი ქალიშვილი.

ქალიშვილმა გამიღიმა და თავის ოდნავი დაქნევით მომესალმა. ამ ნათელ ღიმილზე ვიცანი, ეს ის გოგო იყო, სისაურმა უნივერსიტეტში რომ გამაცნო, ზუსტად ასე მითხრა მაშინ, ეს ჩემი მეგობარი გოგოაო, ხოლო ჩემი თავი ასე წარუდგინა, ახალგაზრდა პოეტი ილო ღულულაშვილიო, გამახსენდა, ანზორის სიტყვებზე როგორ გავწითლდი.

— მობრძანდით რა, მობრძანდით! — გავეგებე ქალიშვილს.

სისაურს კოტე და მაიასაია აღტაცებით შეხვდნენ, მერე ქალიშვილი რომ დაინახეს, უცებ ჩაცხრნენ და უხერხულად შეიშმუშნენ. მართლაც, ამისთანა ნაზი და ლამაზი არსების სტუმრობა ჩვენს მირეულ-მორეულ ბუდრეგუნაში ცოტა უხერხული იყო.

— დაბრძანდით ახლა, — გაიღიმა ქალიშვილმა, რაკი დააცყო რომ უხერხულობაში ვიყავით ჩავარდნილი, — თქვენ დაბრძანდით და ის მითხარით, მე რაში მოგეხმაროთ. — და რაკი ბიჭებისაგან პასუხი არ მიიღო, თვითონ დატრიალდა, თან პირისახეზე ისეთი მართალი, მოსიყვარულე ღიმილი ეფინა, რომ

მთელი ჩვენი უხერხულობა მთლად გაფანტა. მე ამასობაში დიასახლისს ერთი სკამი გამოვართვი და ხუთიოდე წუთში ქალის ხელით გაკოპწიავებულ სუფრას ისევ მივუსხედით.

არიან ადამიანები, ვინც უცებ შეგაყვარებენ თავს და იგრძნობ, რომ მათ გვერდით ყოფნა ცხოვრებას გიმსუბუქებს და გიხალისებს. ასეთად შევიცანი ანზორის მეგობარი ქალიშვილი, ვისაც ამიერიდან ეკას დავუძახებთ.

— ცოტა ადრე მაინც მობრძანებულიყო ეკა. არ გაგვახალისა ყაზილარები? — გაიცინა თენეიშვილმა.

— აბა, აბა! — თვითონაც გაიღიმა ეკამ.

ნელ-ნელა ვსვამდით. ბევრს ვლაპარაკობდით და ღვინო მაინცდამაინც არ გვერეოდა. ღვინისაგან ოდნავ ლოყებშეფაკლული ეკა კიდევ უფრო გამხიარულდა, ისეთი კარგი ხასიათის გოგო გამოდგა, რომ ყველას შეგვაყვარა თავი. როცა მაისაიამ ეკას სადღეგრძელო დალია, სიტყვა მოვითხოვე და ისა ვთქვი, რის თქმასაც ფხიზელი ვერ გავბედავდი:

— ჩემო დაო, კარგად იყავი, ისეთი კარგი ხარ, ისეთი საყვარელი ხარ, სულ ჩვენთან მინდა იყო, სულ ჩვენს ანზორთან მინდა იყო. თუ ამან რამე გაწყენინა, — სისაურზე მივუთითე,— ჩვენ გვითხარი, აი, მე, კოტეს, გიორგის და ამას, იცი, რას ვუზამთ, თავით ფეხამდე ჩამოვატყავებთ.

სისაური ხითხითებდა, ხოლო ქალიშვილმა ქედანივით ამოიღიღუნა: მაგრე ვერ გავიმეტებო. არ ვიცი, უხერხულობის გასაფანტავად თუ მართლა გულით ეწადა, თენეიშვილმა უცებ წამოიძახა, ანზორს ვთხოვოთ, ერთი ლექსი წაგვიკითხოსო. ჩვენც მეტი კი აღარ გვინდოდა, მაშინვე მხარი მივეცით. სისაურმა ეკას გადახედა, მან კი ისე შეჰღიმა ანზორს, თავპატიჟიც აღარ დაუდვია და შეზარხოშებულმა უცებ დაიწყო პათეტიკურად:

დასაბამს ქვევით აქ ტყე ბუდობდა,
პირქუში, როგორც ამაოება.
შეხიზნებოდა მთებს ჭურდებივით,
გამოქვაბული და მყუდროება.
სქელი ნისლები მდორედ ხრჩოლავდნენ,
ყრუდ ჭრიალებდა ხევის ანჯამა,
ვარსკვლავნი ისე მოჩანდნენ ღამე,
თითქოს ზეცა ჩრჩილს ამოეჭამა.

დრო იყო, როცა ბნელ სასუფეველს
მდინარე ტახა ჩაუდიოდა,
საიქიოდან წუთისოფელი,
როგორც მამალი ისე ჰყიოდა.

სისაური ტაშით დავაჯილდოვეთ. ტაში იქით იყოს და, ეს მართლაც გვარიანი ლექსი, ყველას გულწრფელად მოგვეწონა.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, კარგა ვიმხიარულეთ და გვიანღა ავიშალენით. სისაური და ეკა მე გავაცილე. ბრწყინვალე საღამო იყო, გრილი, სასიამოვნო. ღამის ათი საათი იქნებოდა, მაგრამ ქალაქი ისევ ცოცხლობდა და ფუსფუსებდა. ვერ გეტყვით, რა მიზეზით, ეს ქალაქიც და მთელი სამყაროც ისეთი კარგი მეჩვენებოდა, თითქოს ცასა და დედამიწას შორის ყველაფერი მოგვარებული და მოწესრიგებული იყო, თითქოს არსად, ქვეყნიერების არც ერთ კუთხეში, არავის არაფერი სტკიოდა, არავის არაფერი აწუხებდა. იმ პოეტისა არ იყოს, მეც სწორედ ის ვინატრე მაშინ: ღმერთო დიდებულო, მამყოფე მარად ისეთ სასიათზე, როგორზეც დღეს ვარ-მეთქი.

ეკას და ანზორს საღგურთან დავეშვიდობე და როგორც კი დრო ვიხელთე, სისაურს წავჩურჩულე:

— იცოდე, ამ გოგოს არ უღალატო!

გაოცებით შემომხედა, მერე ეკას გადახედა და მიპასუხა:

— ეგ გუნებაშიც არ გამივლია, ბიჭო, ისე მივეჩვიე, უმაგისოდ ვეღარც კი ვძლებ. ხო მართლა, პარასკევს უნივერსიტეტში ლიტერატურული წრის სხდომაა შვიდ საათზე, ხომ არ დავესწროთ?

სიამოვნებით-მეთქი, ვუთხარი.

— მაშინ პარასკევს, ექვს საათზე, დინამოს სტადიონთან დამხვდი.

ის ვეღარ ვკითხე, ვაკეში მაცხოვრებელმა, რაღა დინამოს სტადიონთან დამინიშნა პაემანი. მერეღა მოველ აზრზე, სადღაც დინამოსთან ცხოვრობდა ეკა.

სისაური წავიდა, ნელა მიმავალ, დაწინაურებულ ეკას წამოეწია. თვალი გავაყოლე, უცებ მივხვდი, რომ ისინი ბედნიერნი იყვნენ და მათი ბედნიერებით კმაყოფილს სიხარულით შემიტოკდა გული.

როცა ისინი თვალს მიეფარნენ, ჩელიუსკინელების ქუჩაზე

მარტომ გავაგრძელე გზა. ფოსტას ჩავუარე თუ არა, მაშინ-ლა გამახსენდა, სახლიდან რა განზრახვითაც გამოვედი. ცოტაოდენი ფული უნდა გამეგზავნა ჩვენებისთვის. ფოსტაში აღარავინ იყო, თანამშრომლებიც უკვე წასასვლელად ემზადებოდნენ, მაგრამ კედელზე ჩამოკიდებული საათის ისრები ჯერ იმის ნებას არ აძლევდათ, დაეკეტათ და მოთმინებადაკარგულნი მისჩერებოდნენ ამ მრგვალ, მოზოზინე ობობას. კვრინჩხივით შავ ქალს მივუახლოვდი და ვუთხარი, ფული მინდა გავგზავნო-მეთქი. მან თითქოს საყვედურით შემომხედა, რაღაც ქაღალდი მომაწოდა და ცივად მითხრა, შეავსეო. როცა მისამართი დავწერე და თანხაზე მიდგა საქმე, შევყოყმანდი. არ ვიცოდი, ოცი მანეთი ჩამეწერა თუ ოცდაათი. ბოლოს მაინც ოცდაათი ჩავწერე, ჩემდაუნებურად მოხდა ეს და არც მინანია, პირიქით, გამიხარდა კიდეც. ბოლოში მივაწერე: „ჩემო დედა და ჩემო დაო მათიკო, პირველი სტიპენდია ავიღე და გიგზავნით ოცდაათ მანეთს. ჩემზე ნუ იდარდებთ, მე არაფერი მაკლია. ამ ფულით მათიკოს უყიდე რამე".

ქუჩაში რომ გამოვედი, ერთხელ კიდევ გავიმეორე გუნებაში: „ამ ფულით მათიკოს უყიდე რამე". თვალწინ დამიდგა ჩემი ალიწეწია, ობლად გაზრდილი დაიკო და ვიგრძენ, ცრემლმა როგორ ამიწვა თვალები. და მაინც ამაყი და კმაყოფილი ვიყავი, ისეთი წარმოდგენა მქონდა, თითქოს მთელი ეს ქალაქი ჩემს მხრებზე იდგა და მე მიმქონდა. ქუჩაში თანდათან ცოტავდებოდა ხალხი და მივხვდი, რომ ახლა დეიდაჩემთან მისვლა ზედმეტი იქნებოდა. კედელზე ჩამოკიდებული ტელეფონი დავინახე და გადავწყვიტე, დამერეკა. თვითონ დეიდაჩემმა გამაგონა.

— ილო ვარ, დეიდა, როგორა ხართ?

— უი, მეხი კი დაგაყარე შენა, აჰა, სადა ხარ, ბიჭო, დაკარგული?

— რა ვიცი, არ მეცალა, ოლია სად არის?

— ოლია რომ დაინიშნა, იცი?

— დაინიშნა?

— აბა, გუშინ გვქონდა ნიშნობა, გელოდებოდი, შე მამაძაღლო.

— სად არის ახლა ოლია?

— ოლია გვიან მოვა, დაბადების დღეზეა.

— კარგად იყავით და მიულოცე ჩემს მაგივრად.

— რათა შენს მაგივრად, შენ თვითონ მოდი და მიულოცე, არ დაიკარგო, იცოდე.

— კარგი, კარგი.

მგონი, დეიდაჩემს კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ყურმილი დავკიდე.

„ოლია დაინიშნა", — ყურებში მედგა დეიდაჩემის სიტყვები. არ ვიცი და ვერ გეტყვით ოლიას გაბედნიერებამ სიხარულის ნაცვლად რად დამზაფრა. ის დიდებული განწყობილება, რაც იმ საღამოს დამეუფლა, უცბად გამიცამტვერდა. ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, თითქოს სალოცავი ხატი წამგვარეს. სადგურის გადასასვლელ ხიდთან როგორ ავედი, აღარც კი მახსოვს. მაშინღა გამოვფხიზლდი, ხიდის ქვეშ მატარებლის კივილი რომ გავიგონე.

„მათიკო რომ გათხოვდება, იმას როგორღა ავიტან?" და იმის გაფიქრებამ, როდისმე მათიკოსაც მომწყვეტდნენ გულიდან, სულ დამშალა. ხიდზე გადავდექი და მოქოთქოთე მატარებლებს დავუწყე ყურება. ზოგი უკვე მიემგზავრებოდა, ზოგიც ახლა დგებოდა ლიანდაგზე, რომ მგზავრები აეკრიფა. ერთი სიტყვით, მატარებლები მიდიოდნენ სხვადასხვა მხარეს და მიჰქონდათ უამრავი სიხარული თუ დარდი. და მაშინ ვინატრე, როდის დადგებოდა ის დღე, როცა მეც გამოვიყვანდი მატარებელს ჩიხიდან, ჩამოვაყენებდი რომელიმე ლიანდაგზე და მგზავრებით დატვირთულს გავაჭენებდი შორეულ მხარესაკენ.

შინ რომ დავბრუნდი, თორმეტი საათი იყო. მაისაია რაღაც აფორიაქებული დამხვდა.

— სადა ხარ, კაცო, აქამდე?

შემეშინდა, სახლიდან ცუდი ამბავი არაფერი იყოს-მეთქი.

— რა იყო, გიორგი?

— რა უნდა იყოს, კაცო, მეგონა, რამე შეგემთხვა, — მერე მიბრუნდა, მაგიდიდან ქაღალდი აიღო და მითხრა:

— აბა ეხლა, ჩემო ილო, ერთი ლექსი დაწერე და, თუ ძმა ხარ, სიმართლე მითხარ, როგორია.

— ლექსი დაწერე?

— კი.

ო, პოეზიის მაცდუნებელო ძალავ, რა მოსაჩვენებლად

ბრწყინავ და როგორ აცდუნებ ასეულობით მოკვდავს. შენ ის ვერაგი მზეთუნახავი ხარ, ვინც მრავალი ბედის მაძიებელი უნდა შეიწიროს და მხოლოდ რჩეულნი აზიაროს თავის სილამაზეს. მაგრამ ერთი კარგი ზნე მაინცა გჭირს, ვინც შენს კალთას შემოეფარება, იმის სულს ცოტად თუ ბევრად აკეთილშობილებ. მაშ, იმაში რაღა იყო საძრახისი, თუკი მაისაიაც ეზიარებოდა ამ მადლიან მირონს.

16

პარასკევ საღამოს დინამოს მოედანთან ვიყავ დარჭობილი. ტროლეიბუსები რომ ბრუნდებიან, იქ უნდა შევხვედროდი სისაურს. ანზორი იგვიანებდა. მოგეხსენებათ, მოლოდინი რა ძნელია და მეტი რა გზა მქონდა, დროის მოსაკლავად გულშემატკივრებში გავერიე. მეორე დღეს თბილისისა და კიევის „დინამოს“ გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს. მე და ჩემმა ღმერთმა, კარგი მოსასმენი იყო იმათი კამათი, თვითონაც კარგი საყურებლები იყვნენ, მეტი გასართობი რა მინდოდა. კამათისგან ლამის ყელის ძარღვები დასკდომოდათ, ჭეშმარიტების დასამტკიცებლად რა წვრილმან მაგალითებს აღარ იშველიებდნენ, ხუთი თუ ექვსი წლის წინათ რომელმა მოთამაშემ ბურთი როგორ გაიტანა მეტოქის კარში, ან რომელი დამცველი როგორ მოატყუა, ისიც კი ახსოვდათ. კარგა ხანს ვუსმინე მათ კამათს, ავწონ-დავწონე მათი საქციელი და იმ დასკვნამდე მივედი, რომ მათ ფეხბურთი ხეირიანად არ იცოდნენ. უბრალო მოლაყბეები იყვნენ და იმით მოჰქონდათ თავი, აქაო და ხუთი წლის წინანდელი წვრილმანებიც გვახსოვსო. გულზე ხელი დაიდეთ და თქვით, კაცი რომ ხუთი წლის წინანდელ წვრილმანებს დაიმახსოვრებს, როგორი უნდა იყოს ის კაცი. რაღა თქმა უნდა, ან სხვა საფიქრალი აღარ უნდა ჰქონდეს, ან არადა მანიაკი უნდა იყოს. მერე სხვა ჯგუფთან გადავინაცვლე. ხალხის წრეში მოქცეული ერთი დაბალი ბიჭი, მეორეს ეკამათებოდა, ძველისძველ მაგალითებს უხსენებდა, როგორც შევატყვე, იგი უკვე გამარჯვებულად თვლიდა თავს, რადგან მოკამათე გაწბილებული იდგა. კამათი ერთ-ერთი ფეხბურთელის ავ-კარგს ეხებოდა, ყინჩა ბიჭი უკვე ჭკუის დარიგებაზე გადავიდა.

— ასეა, ძმაოსან, რომ მეკამათები, ფეხბურთიც უნდა გესმოდეს. აბა, ერთი დააკვირდი ხვალ, უბურთოდ როგორ მოძრაობს და მერე გაერკვევი.

როგორც მჩვეოდა ხოლმე, უცებ ეშმაკი შემიჯდა და წამაქეზა ეს გაყინჩული ბიჭი რამენაირად გამეცამტვერებინა. გადავწყვიტე და მოულოდნელად მივახალე:

— აბა, შენ გესმის რამე ფეხბურთისა, რაღა დროს უბურთოდ მოძრაობაა, რომელ საუკუნეში ხარ? — და იქაურობას სწრაფად გავშორდი.

— რაო? მოიცა, მოიცა! — გავიგონე მისი შეშფოთებული ხმა. ერთხელ კიდევ მივიხედე, სიცილი ვეღარ შევიკავე და გზა გავაგრძელე. უკან აღარ მიმიხედავს, ვიცოდი, ის ბაქიბუქა როგორ დამჯიჯგნიდა და დამამუშავებდა ხალხში, მაგრამ სულ ერთი იყო, იმ ბოღმას ვეღარაფრით მოინელებდა.

ტრამვაის გაჩერებასთან ავედი და ის იყო, ვაგონიდან სისაურიც ჩამოხტა.

— წესებს რათ არღვევთ, ახალგაზრდა?

ანზორი წამით შეცბა და გაიღიმა. იმ დალოცვილმა, ისეთი გაღიმება იცოდა, პირდაპირ გული გაგინათლდებოდა.

— აბა მოვუსვათ, სანამ გამტყეპავენ.

— ვინ უნდა გაგტყიპოს? — გაოცდა სისაური.

— ფეხბურთის ჭირისუფალნი გავანაწყენე, — დაწვრილებით ვუამბე, რაც მოხდა.

ანზორი გულიანად იცინოდა ჩემს ოინზე.

მზე ჯერ კიდევ არ ჩასულიყო. სუსხიანი ნიავი უბერავდა და უკვე შეყვითლებული ფოთლები ძირს ჩამოჰქონდა.

— გუშინ მაისაია ვნახე რედაქციაში.

— რედაქციაში? იქ რა უნდოდა?

— ლექსს მიბეჭდავენო. ლექსებს წერს?

— ახლა დაწერა პირველად. არ წაგაკითხა?

— წამაკითხა.

— ილოს ძალიან მოეწონაო, მართლა მოგეწონა?

— ისემც მაგას რა ვუთხარი...

სისაურს გაეცინა.

— მერე, რაო, მიბეჭდავენო?

— კი. ჩემი სოფლელი კაცი მუშაობს ამ რედაქციაში და მიბეჭდავენო.

— ღმერთმა ხელი მოუმართოს, შენ ეს მითხარი, რათ დაიგვიანე?

ანზორი მოიღუშა და მიპასუხა:

— ექიმთან ვიყავი და იმიტომ დამაგვიანდა, ცუდად არის ჩემი საქმე, კუჭის წყლულმა შემომიტია.

სახეზე დავაკვირდი, იქნებ ხუმრობს-მეთქი, მაგრამ საამისო ვერაფერი შევატყვე და მისმა ნათქვამმა უცაბედად შემაკრთო.

— შიშისგან ხომ არ გეჩვენება, ბიჭო?

— ეჰ, ილო, ორი დღეა, ტკივილებს კედელზე ავყავარ. ხომ გახსოვს, მისაღები გამოცდების დროს ძლივს გამოვექეცი ექიმებს, ოპერაცია უნდა გაიკეთოო. ოპერაციას კი გავიკეთებ, მაგრამ როგორ... ჩვენებს უნდა შევატყობინო, პატრონი ხომ მინდა...

სისაური დასევდიანდა. ამ სამ დღეში მკვეთრად შეცვლილიყო. ფერმკრთალი, გამხდარი მეჩვენა და იმწამში რაღაც ავისმომასწავებელი ამოვიკითხე მის ცისფერ, სევდიან თვალებში.

— ლექსები თუ წამოიღე? — მკითხა სისაურმა.

— რად მინდოდა, ზეპირად ვიცი.

— წრის ხელმძღვანელმა მთხოვა, კრებულს ვცემთ და ლექსები მოიტანეო, კარგს იზამდი, შენც წამოგეყოლებინა.

— ანზორ, კუჭი ადრეც გტკიოდა?

გაოცებით შემომხედა. ალბათ გაუკვირდა, რომ საუბარი ისევ ძველ საგანზე დავაბრუნე. ალერსიანად გამიღიმა და მიპასუხა:

— პირველად შარშან ამტკივდა. მას შემდეგ ხან მტკივა, ხან არა.

ამასობაში ტროლეიბუსში ავედით. სამუშაო დღე იწყებოდა და ტრანსპორტში ტევა არ იყო. მთელი გზა ისე გავლიეთ, ერთმანეთისთვის ხმა აღარ გაგვიცია იმ ჭედვაში. უნივერსიტეტთან რომ ჩამოვედით, ანზორმა ფეხი აითრია და ჭადარს მიეყუდა, სახეზე ოფლმა დააყარა, მთლად გაფითრებულიყო და მუცელზე სიმწრით იჭერდა ხელს.

— რა მოგივიდა? — შეშფოთებულმა ვკითხე.

— ისევ ამტკივდა, — ჩურჩულით მითხრა.

უმწეოდ ვათვალიერებდი გამვლელებს, ვისი ყურადღებაც

უკვე ნაწილობრივ მივიქციეთ და არ ვიცოდი, რა მეღონა.

— გინდა, სასწრაფოს გამოვუძახო?

— გამივლის, — ძლივს ამოსცრა სიმწრით.

— მაშინ ტაქსს დავიჭერ და შინ წავიდეთ.

თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია. მაშინვე გავაჩერე ტაქსი, ანზორი ჩავსვი და სტუდქალაქისკენ გავაქანე. ტკივილმა ცოტა გადაუარა, ოთახში რომ შევიყვანე, ტახტზე წამოვაწვინე და რაკი დავატყვე, ცოტა შვება იგრძნო, გულმოცემულმა მივდექი და ვთათხე: შე მხდალო, ეგრე რამ შეგაშინა, რომ მაგას ეკვლევინები და აქამდე ოპერაცია ვერ გაიკეთე, მაინცდამაინც მაგის ანაწერა ხომ არ უნდა გახდე, მოსაცილებელი ჭირი უნდა მოიცილო-მეთქი. ის კიდევ იღიმებოდა და თან მეგოდიშებოდა, წრეს ვეღარ დავესწარითო. ბოლოს პირობა მომცა, ჩვენებს შევატყობინებ და ხვალვე დავწვები საავადმყოფოშიო, მაგრამ ძველი ანდაზაა, კაცს ჭირი რომ აღარ ახსენებს თავს, ადვილად ავიწყდებაო.

17

ის ავბედითი დღე არასოდეს დამავიწყდება. მძიმე, სევდიან მოსაგონებლად მიმყვება იგი ალბათ სამარის კარამდე.

შაბათი დღე იყო. ოცდახუთი ნოემბერი. ახალგაზრდა პოეტი გიორგი მაისაია ნადიმს იხდიდა. ოთხმა მოვიყარეთ თავი, თენეიშვილმა, ყარამან არაბიძემ, თვითონ მაისაიამ და მე. ცივი, ღრუბლიანი საღამო იყო, გარეთ ჯერ კიდევ დღის ნათელი იდგა, მაგრამ სუნთქვით გამთბარ ჩვენს ოთახში უკვე ჩამობნელებულიყო და სინათლე გვენთო. გიორგი მაისაიას წინადადებით ყარამან არაბიძე თამადობდა. რა ვიცი, როგორ და რატომ, იმ დღიდან, რაც მაისაიამ ის ლექსი დაბეჭდა გაზეთში, არაბიძე ძალიან დაუახლოვდა. რომ იტყვიან ხოლმე, პირდაპირ მიეტმასნა. მაგრამ, ამას ყველა ამჩნევდა, ჩუმ-ჩუმად მაინც დასცინოდა. იმ ერთი ლექსით მთელ ჩვენს სასწავლებელში სახელი გაუვარდა მაისაიას. მასწავლებლები ყურადღებით ექცეოდნენ და მაისაიასაც მეტი აღარ უნდოდა. მაგრამ ყველაზე მეტად მე მაინც ის მაკვირვებდა, არაბიძე რათ დაუახლოვდა მას. ისეთი მელა იყო, ეჭვი არ მეპარებოდა, რაღაცაში სჭირდებოდა მაისაია, შესაძლოა თვითონაც ლექსებს

წერდა და გიორგი ჰპირდებოდა, დაბეჭდვაში დაგეხმარებიო. მეც ხომ რამდენჯერმე შემომთავაზა ამა და ამ გაზეთში ჩემი სოფლელი კაცი მუშაობს და თუ გინდა მიგყვებიო, მაგრამ მე ეს არც დავიჯერე და არც სურვილი გამიჩნდა, მისი დახმარებით ლექსი დამებეჭდა. იგი მთელ სასწავლებელში უკვე მომავალ პოეტად შერაცხეს და ეს მაშინ, როცა სისაურსაც კი იმ მშვენიერ ლექსებს არ უქვეყნებდნენ...

მაისაიამ რომ ლექსი გამოაქვეყნა, მეორე თუ მესამე დღეს ყარამან არაბიძე ბიჭებში იდგა და თავისი დამახასიათებელი არტისტობით ჰყვებოდა:

— თურმე, ბიჭებო, ამ ჩვენმა გიორგიმ ლექსი რომ დაბეჭდა, აიღო მეორე დღეს ტელეფონი და რედაქტორს ურეკავს: ბატონო რედაქტორო, მე ერთ-ერთი მკითხველი გახლავართ,— ზუსტად მაისაიას კილოთი ლაპარაკობდა ყარამანი, — ეს რა დიდებული ლექსი დაგიბეჭდავთ თქვენს გაზეთშიო.

— რომელ ლექსზეა ლაპარაკი, ჩემო ბატონო? — ამჟამად არაბიძე ზუსტად ბაძავდა იმ გაზეთის რედაქტორს.

— რომელზე, ბატონო და, — პასუხობს უკვე მაისაია, — გიორგი მაისაიას ლექსზე მოგახსენებთო.

— გიცანი, გიცანი, ჩემო გიორგი, — აჯავრებს ისევ ყარამანი იმ რედაქტორს, — ეს შენ თვითონ მაისაია ხარ და უკეთესი იქნება, შენს ლექსზე სხვამ დარეკოსო.

ბიჭები ხორხოცობდნენ და სიცილისაგან გასავათებულები თვალებიდან ცრემლს იწმენდნენ. და მაინც, მიუხედავად ამისა, ერთდროულად შეეძლო არაბიძეს, იქით ბიჭები ეხარხარებინა და აქეთ მაისაიასათვის მოექონა თავი. და აი, დღესაც სწორედ ეს არაბიძე თამადად ჰყავდა მაისაიას.

არაბიძემ ჭიქა აიღო, ფეხზე წამოდგა და თაგვივით მშიშარა და თან ეშმაკური თვალებით გადმოგვხედა:

— ამ ჭიქით, ბიჭებო, ჩვენი შეკრების მიზეზი უნდა ვადღეგრძელო, — წვრილი ხმა ჰქონდა, ყალბი და გაქნილი, — როგორც იცით, მეგობრებო, ჩვენმა ძვირფასმა გიორგიმ, ჩვენმა ძმამ, უკვე ფეხი შედგა ქართული პოეზიის დიდ ტაძარში, შედგა და კარგადაც შედგა. მართალია, ეს ლექსი ჯერ მთლად ვერ გამოხატავს მაისაიას ნიჭსა და შესაძლებლობას, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ მომავალში უფრო ბრწყინვალე შედევრებს შექმნის. — არაბიძემ გადმოგვხედა, რაღაცნაირად ჩაი-

ცინა, და მერე მაისაიას მიუბრუნდა, — ჩემო ჟორა, შესაძლოა ეს ლექსი ზოგს ბუნდოვნად მიაჩნდეს, ვერ გაიგოს, მაგრამ...

— თუ ყველამ გაიგო, ის რაღა პოეზიაა, ჩემო ყარამან. ლექსი ყველას კი არ ესმის, — მიაშველა მაისაიამ.

— მართალია, — მაშინვე დაემოწმა მაისაიას ყარამანი, ისევ ეშმაკური ღიმილით გადმოგვხედა და განაგრძო. — რასაც ყველა ვერ გაიგებს, სწორედ ის არის სიბრძნე.

გული მერეოდა ასეთ სიყალბესა და თვალთმაქცობაზე. იმწუთში ჩემი თავიც მეზიზღებოდა, რადგან არ შემწევდა ძალა იმისა, რომ მეთქვა პირში, როგორ ფლიდობდა არაბიძე და ზურგს უკან როგორ ვერაგობდა.

მაისაია ყველამ დავლოცეთ. დიდი მომავალი ვუსურვეთ. შემდგომ ამისა, არაბიძემ კიდევ რამდენიმე სადღეგრძელო დალია და სწორედ მაშინ, როცა თენეიშვილის სადღეგრძელოს სვამდა, კარზე კაკუნი გაისმა. გავიხედე და გულს შემომეყარა. შეშფოთებული სახით იდგა ანზორ სისაურის მეგობარი გოგონა ეკა. მყისვე ავად ვინიშნე მისი სტუმრობა.

— რა მოხდა, ეკა?

მან სლუკუნ-სლუკუნით ამოთქვა:

— ანზორი საავადმყოფოში წაიყვანეს, მგონი, კუჭის წყლული გაუსკდა. ილოს შეატყობინეო, დამიბარა. თუ წამოხვალ, დაგიცდი.

თავზარი დამეცა. ერთ წუთს გაშეშებული ვიდექი, მერე უცებ შევბრუნდი ოთახში და კოსტუმს ვეცი.

— რა მოხდა? — შეშფოთდნენ ბიჭები, როცა კოსტუმი გადავიცვი.

— სისაური წაუყვანიათ საავადმყოფოში, — მივაძახე ბიჭებს და ფეთიანივით გამოვვარდი.

მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ აღვიდგინე მეხსიერებაში, რას ვეკითხებოდი ეკას გზაში ანზორის თაობაზე და რას მპასუხობდა მთლად დაბნეული და დაზაფრული ქალიშვილი. თუმცა ამას ახლა რაღა აზრი აქვს, ყველაფერი რომ მშვიდობიანად დამთავრებულიყო, კიდევ მესმის. საავადმყოფოში რომ შევედი, მარტო ისღა მახსოვდა ეკას ნათქვამიდან, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაუკეთდეს ოპერაციაო, ახლა ყველაფერს წუთები სწყვეტსო, ასე მითხრა ექიმმაო და მეგონა,

უფრო სწორად, ღრმად ვიყავ დარწმუნებული, რომ ოპერაცია უკვე გაკეთებული ექნებოდათ.

საავადმყოფოს შესასვლელ კარში მეკარე გადაგვეღობა. ასე, ორმოცი წლის კაცი იქნებოდა, ჯან-ღონით სავსე ჩანდა, შავი და ჩაკურატებული.

— შესვლა არ იქნება, — ცივად გვითხრა და წინ დაგვიდგა.

— მეგობარს ოპერაციას უკეთებენ... — მუდარით ყელი ავუწიე.

— მერე შენ რა, ექიმი არის? — გულგრილად მომიგო და თან ჩაიცინა, მაგრამ ეკა რომ დაინახა, გზიდან ჩამოგვეცალა და გაგვატარა.

მეორე სართულზე ავირბინეთ და რომელიღაც კარებიდან გამოსულ ქალს მივარდა ეკა.

— როგორ არის, ქალბატონო, საქმე, გაუკეთეთ ოპერაცია?

ქალი შემობრუნდა, სათვალის ზემოდან ეკას დააკვირდა და ჰკითხა:

— რომელ ოპერაციაზე მეკითხები, გოგონა?

— აი, იმაზე, სისაური რომ მოიყვანეს, კუჭის წყლულიანი.

— აჰა, ახლა დაიწყეს ოპერაცია, რთული მდგომარეობაა. თქვენ რა ხართ იმისი?

ქალიშვილი აწითლდა და ენა დაება.

— მე... მე მეგობარი გახლავართ.

ეკას ისეთი საბრალო სახე ჰქონდა, ისე გაფითრდა, რომ ექთანმა, ეტყობა, ეს შეამჩნია და უთხრა:

— ალბათ ყველაფერი კარგად დამთავრდება. გამოცდილი ღასტაქარი უკეთებს ოპერაციას.

ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა ეს საუბარი გვქონდა. აი, აქედან მოყოლებული თითქმის სამი საათი რაღაც წარმოუდგენელ ჯოჯოხეთში ვიყავი ჩავარდნილი. ეს იყო მძიმე, დამქანცველი მოლოდინი, რამაც შეიძლება სიცოცხლე გაგინახევროს. ორიოდე ნაბიჯზე, საოპერაციო ოთახში ბეწვის ხიდზე გადიოდა ჩემი მეგობარი, საბედისწეროდ მოქანავე სასწორზე სიკვდილი და სიცოცხლე იწონებოდა. თუ ადამიანის დასჯა გინდათ, ასეთ ყოფაში უნდა ჩააგდოთ. როგორი სა-

ქმეა, წამისწამ ელოდე, როდის გამოვა საოპერაციოდან დასტაქარი და რას გამცნობს, სიხარულს თუ უბედურებას და ეს წამები აღარ და აღარ თავდება, გგონია, საუკუნე გადის.

გამახსენდა, ბოლო დროს ანზორმა რომ მითხრა, ხვალვე დავწვებიო საავადმყოფოში. ნუთუ ასეთი დაუდევრობით იქამდე უნდა მიიყვანო საქმე, რომ შენი სიცოცხლე ბეწვის ხიდზე შეიგდო!

მთლად გაფითრებული ეკა ერთ ადგილას ვეღარ ჩერდებოდა, აცახცახებული გადიოდა და გამოდიოდა.

ახლა ვეღარც კი ვიხსენებ, ბოლო წუთებში რაზე ვფიქრობდი და რას ვაკეთებდი, მხოლოდ ისღა მახსოვს, ვიღაც სანიტარი ქალი რომ მიუახლოვდა ეკას და უთხრა, ოპერაცია დამთავრდა და ალბათ ყველაფერი რიგზე იქნებაო. მახსოვს, დაქანცული და ოფლში გახვითქული დასტაქარი ფეხზე ძლივს იდგა და ექთანს რაღაც მითითებას აძლევდა, ხოლო ეს უკანასკნელი ეკას ეუბნებოდა:

— ავადმყოფი ჯერ მძიმედ არის, ბატონმა შალვამ ყველაფერი იღონა, რაც შეიძლებოდა. მოსალოდნელია სისხლის მოწამვლა. თუ ცერაპინს იშოვით, კარგი იქნება.

— ცერაპინს? — ჰკითხა ეკამ.

— დიახ, ეგ წამალი არ იშოვება. ეგებ ვინმე გყავთ ისეთი...

— არც ხელზე იშოვება, ქალბატონო?

ექთანმა ახედ-დახედა და მიუგო:

— ხელზე ძალიან ძვირია.

ეკამ ისეთი თვალებით შემომხედა, უეჭველია ჩემგან მოითხოვდა შველას. როცა ექთანი წავიდა, მომიბრუნდა და მითხრა:

— შენ წადი, ილო, — აცხცახებული ხელებით გახსნა ჩანთა, ფული ამოიღო და გამომიწოდა, — თუ დააკლდეს, ეგებ იშოვო სადმე და დაუმატო.

სირცხვილით დავიწვი, ფულის გამოსართმევად ხელი ვერ გავუწოდე და ძალით ჩამიდო ჯიბეში.

— იქნებ საჭირო ვიყო, დავრჩები, — ესღა ჩავილუღლუღე.

— არა, დილაზე მოდი და ეგ წამალი მოიტანე, თუ იშოვო.

— შენ რაღას გაუკეთებ ამაღამ? — მისი მარტო დატოვება მეუხერხულებოდა და ეს იმიტომ ვუთხარი.

მწარედ ჩაიცინა.

— მე ფეხს ვერ მოვიცვლი აქედან.

კრინტი აღარ დამიძრავს. კიბეზე რომ ჩამოვდიოდი, შევყოყმანდი, ფეხი უკან მიდგებოდა, თითქოს ღალატს ჩავდიოდი. მინდოდა წამოსვლისას საიმედო რამე მეთქვა, მაგრამ საამისო ვერაფერი მოვიფიქრე.

ალბათ ორი საათი იქნებოდა. ქუჩაში კაცი აღარ ჭაჭანებდა. ნაგვიანევმა ტროლეიბუსმა ჩაიარა ორიოდე მგზავრით.

სუსხიანი ქარი უბერავდა, საკმაოდ ციოდა და ამ დაძაბულ ღამეს უფრო მოსაწყენსა და პირქუშს ხდიდა. არც ვიცოდი და არც განმისჯია, სად მივდიოდი, ან ფეხით როდემდე უნდა მევლო, სევდა შემომაწვა გულზე, ისე მეგონა, ამ ვეება ცასა და დედამიწას შორის ვიღაცამ გამომამწყვდია და ეულად დამტოვა.

ზურგიდან აჩქარებული ფეხის ხმა გავიგონე, მერე ლაპარაკიც. მივიხედე და გავოცდი, თვალი ხომ არ მატყუებს-მეთქი. მაისაია და თენეიშვილი მომდევდნენ, ეტყობოდათ, საავადმყოფოს ეზოდან გამოვიდნენ.

— ყველა საავადმყოფო დავიარეთ და ძლივს მოვაგენით,— საყვედურით მითხრა თენეიშვილმა, როცა მომიახლოვდნენ,— როგორ არის საქმე?

პასუხი ვეღარ გავეცი. მათ დანახვაზე სიხარულისგან გული ამიჩუყდა და ცრემლი მომადგა.

18

ისევ ჩემი დეიდაშვილი ოლია თუ მიშველიდა. აბა, სხვას ვის უნდა მივდგომოდი ამ ოხერ ქალაქში. იგი ისეთი კეთილი გულისა იყო, ისეთი კარგი, როგორც კი ავუხსნიდი, რაში იყო საქმე, ქვას გახეთქავდა და წამალს მაშოვნინებდა.

გამეღვიძა თუ არა, ფეთიანივით წამოვვარდი, ოლიამ არ გამასწროს-მეთქი სამსახურში.

მაისაიას ისევ ღრმა ძილით ეძინა. ან რა გაემტყუნებოდა, წუხელ თენეიშვილი საერთო საცხოვრებელში მივაცილეთ და

შინ რომ დავბრუნდით, სამი საათი იყო. მეც ვეღარ წავართვი დროზე ძილს თავი.

ფრთხილად წამოვდექი, რომ მაისაია არ გამეღვიძებინა, იმას რაღაზე უნდა გაემწარებინა ძილი, თუ რამ საშველი იყო, მეც ავუვიდოდი. ტანსაცმელი სწრაფად გადავიცვი და ქუჩაში გამოვედი. მშვენიერი მზიანი დილა იყო, ისეთი კამკამა მზე დაჰყურებდა ქალაქს, ქუჩაშიც ისეთი განწყობილება სუფევდა. როგორ იფიქრებდით, თუ სადმე ვინმეს გასაჭირი ედგა. სკოლისკენ მიქრიამულებდნენ მოწაფეები, ალბათ ჯერ ცხრა საათი არ იყო. პირველსავე ტრამვაის შევახტი და რამდენიმე წუთში დინამოს ბაღთან ამოვყავი თავი. ბაღი სწრაფად გადავეჭერი და დეიდაჩემის ეზოში რომ შევედი, ეჭვმა შემძრა, ვაითუ ოლია შინ არ დამხვდეს-მეთქი, ასეც მოხდა. არც ოლია იყო შინ და არც დეიდაჩემი. კარი საიმედოდ იყო დაკეტილი.

„ალბათ დავაგვიანე, — სიმწრით გავიფიქრე და თვალწინ დამიდგა ჩემ მოლოდინში გაწამებული ეკა. მკვდარივით გამოვბრუნდი. აღარაფერი იმედი არ გამაჩნდა, გაოგნებული ვიდექი ქუჩაში, დეიდაჩემის ეზოს ჭიშკართან და ბოლოს უიმედოდ გავყევი ქუჩას. უცებ თითქოს ვიღაც უხილავმა ჩამძახა ყურში.

„თუ რამე გაგიჭირდეს, მოდი, როგორც შვილი მამასთან, საგურამოს ქუჩაზე ვცხოვრობ, ათ ნომერში“. — და ის უცნობი კაცი დამიდგა თვალწინ. ამაზე მეტი გასაჭირი რაღა უნდა მქონოდა, მეგობარი მეწვა გაფატრული, აღარავინ მეგულებოდა, ვინც წამალს მაშოვნინებდა და ალბათ ამ გაჭირვებამ ამოატივტივა ჩემი მეხსიერებიდან ის კაცი.

საგურამოს ქუჩაც იქვე იყო და უნდა მივსულიყავი, მეტი რა გზა იყო, თავის პირით არ მითხრა, მოდიო?!

საგურამოს ქუჩაზე რომ დავუხვიე, ერთი პირობა მაშინ შევჭოჭმანდი, უხერხული ხომ არ იქნება იმ ბერიკაცთან მისვლა, ვაითუ ვერც გამიხსენოს-მეთქი, მაგრამ ეს ფიქრი მაშინვე უკუვაგდე. საკუთრად რომ მდგომოდა კარზე ჭირი, ალბათ ვერ მივბედავდი, მაგრამ მეგობრის გულისთვის უკან როგორ დავიხევდი. ათ ნომერ სახლთან შევჩერდი, ეზოში კაცის ჭაჭანება არ იყო. ცოტა ხნის შემდეგ ვიღაც ახალგაზრდა ქალი გამოვიდა, ლერწამივით მოირხეოდა, რომ მომიახლოვდა, შეჩერდა, ლამაზი თვალებით კუშტად შემომხედა.

— ქალბატონო, ამ ეზოში ერთი კაცი ცხოვრობს გვარი არ მახსოვს...

— ვინა, ვინა? — წარბი შეკრა, თან ნაბიჯის გადასადგმელად გადახრილიყო გვერდზე.

— ხნიერი კაცია, კოპლი... — ცოტა არ იყოს დავიბენი. როგორი საქმეა, ქალაქში კაცს ეძებ და სახელიც არ იცი.

— აჰ, ეფრემი გინდა ნამდვილად. აგერ, პირდაპირ რომ კარები ჩანს, იქ შედი. — და ქალმა ლამაზი ტანის რხევით გააგრძელა გზა.

ერთხანს ვიდექი და იქით ვიყურებოდი, ქალმა რომ მიმანიშნა. უბრალო, ვიწრო კარები სამსაფეხურიანი ხის კიბით უერთდებოდა მიწას. კარების გვერდზე შუშაბანდის ფანჯარა ღია იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჩემი მასპინძელი შინ იმყოფებოდა და ამ ღია ფანჯრიდან სუნთქავდა ნაწვიმარ სუფთა ჰაერს. გამბედაობა მოვიკრიბე, მოზვერივით დავღუნე თავი და პირდაპირ მივადექი კარზე. კიბეზე არც ავსულვარ, დაბლიდანვე შევწვდი და საკმაოდ მაგრად დავაკაკუნე. რაღაც ნახევარ წუთში ღია ფანჯარა ჩემთვის ნაცნობმა სხეულმა დაფარა. დანახვისთანავე აღიდგინა იგი მეხსიერებამ. ოდნავ გავუღიმე და თავი დავუკარი. თვალებმოჭუტული დამაკვირდა, მერე თავი ოდნავ გვერდზე გადაღუნა და ცალი ყბა ჩამოებერა, რაც მაშინვე მეცნაურა. თვალებით გამიღიმა, მაგრამ მივხვდი, რომ ვერ მიცნო. კარი კი მაშინვე გამოაღო და აგრე ნაცნობი, ოდნავ ჩახრინწული მისი ხმაც გავიგონე:

— მობრძანდი, ყმაწვილო!

კიბეზე ავალაჯე და შევედი. მოხუცი ისევ დაჟინებით მაკვირდებოდა, ცდილობდა როგორმე გავეხსენებინე.

— ვეღარ მიცანით, გახსოვთ, დინამოსთან ბაღში რომ შემხვდით ერთი თვის წინათ, უნივერსიტეტიდან მოვდიოდი ჩაჭრილი... თქვენ მითხარით, თუ რაიმე გაგიჭირდეს, ჩემთან მოდიო...

— აჰ, — რაღაც დარდიმანდულად გადასწია გვერდზე თავი და გაიბადრა, — მოდი, ყმაწვილო, მოდი, აბა როგორა ხარ, სად მოეწყვე, რამ გაგახსენა ჩემი თავი.

შინ შემიძღვა, მორიდებით შევედი და იქაურობა მოვათვალიერე. მოზრდილი უფანჯრო ოთახი ნახევრად იყო ჩაბნელებული. შუშაბანდიდან შემოსული შუქი არა ჰყოფნიდა. ოთ-

ახის ერთი კედელი მთლიანად დაეფარა წიგნებს. ამდენი წიგნი ერთად ჩემს სიცოცხლეში არ მენახა. ერთი მოზრდილი ხის ტახტი, ორი მაგიდა. ორი სავარძელი და ერთი კარადა, აი, მთელი ავლადიდება, ამ ოთახს რომ ამშვენებდა. კედელთან მიდგმული ძველებური კედლის მაგიდა წიგნებითა და ქაღალდებით ჰქონდა დაფარული, ხოლო მეორე, პატარა მრგვალი მაგიდა თავისუფალი გახლდათ, ეტყობა, მას სასადილო მაგიდად ხმარობდა. ოჯახს ქალის ხელი აშკარად აკლდა.

„ნუთუ მარტოხელაა?“ — გავიფიქრე.

მოხუცმა სინათლე ჩართო, სავარძელზე მიმითითა და თვითონაც ჩემ პირდაპირ სავარძელში ჩაჯდა. ოთახს საზეიმო იერი დაედო, ჯერ იმ უამრავ წიგნებს მოვავლე თვალი, მთელი ოთახი სიგრძე სიგანეზე რომ დაეფარა და მერე საწერ მაგიდაზე გაფანტულ ქაღალდებსა და გადაშლილ წიგნებს.

„ნეტავ რა ხელობის კაცია?“

— აბა ყმაწვილო, მითხარი რასა იქ და სადა ხარ? — ცალი მხარი მაღლა აეწია და მოჭუტულ თვალებში ისეთი ღიმილი ედგა, კაცი ვერ მიხვდებოდა, დამცინავი იყო თუ ალერსიანი.

— რკინიგზის პროფტექნიკურ სასწავლებელში მოვეწყვე, გახსოვთ, თქვენ რომ მირჩიეთ ბაღში. თანაც მითხარით, თუ რაიმე გაგიჭირდეს, ჩემთან მოდი, საგურამოს ათ ნომერში ვცხოვრობო.

მაშინვე მივხვდი, რომ ეს აღარ უნდა მეთქვა, მოხუცს შევხედე, აბა, როგორ მიიღო ჩემი ნათქვამი-მეთქი და შევამჩნიე, რაღაც ნათელმა როგორ გაუბრწყინა სახე.

— მახსოვს, ყმაწვილო, მახსოვს, — სევდიანად ჩაიცინა, — მახსოვს, როგორ იყავი დაბოღმილი. ეაშ, ჩემი რჩევა ჭკუაში დაგიჯდა, ჰა?

და მივხვდი, რომ მას ახლაღა გავახსენდი, მანამდე წვალობდა და ვერ გავეხსენებინე.

— კარგია, ყმაწვილო, რომ მოგაგონდი, ოღონდ გულახდილად მითხარი, რა გაგიჭირდა, უამბოდ არ მოხვიდოდი, ხომ ასეა?

უცბად ვერაფერი ვუპასუხე. ერთი კი ვიფიქრე, ეგებ არც უნდა მოვსულიყავი-მეთქი. მიჭირდა იმ მიზეზის თქმა, რისთვისაც მოვედი, მაგრამ უკან დასახევი რა დამრჩენოდა, თანაც მო-

ჭუტული თვალებით ისე ჩამჩერებოდა ეს უცნაური მოხუცი, რომ მეგონა, სულში ჩამყურებდა და ჩემს ზრახვებს ხვდებოდა.

— იცით რა, მაპატიეთ, მაგრამ სხვა არავინ მეგულება ამ ქალაქში ისეთი, რომ დამეხმაროს.

— ნუ გერიდება, თქვი, შვილო, რა გიჭირს?

— მეგობარს ოპერაცია გაუკეთეს, მძიმედ არის, ერთი წამალია საშოვნელი, იქნებ თქვენ დამეხმაროთ.

სავარძელზე შეტოკდა, ცნობისმოყვარეობით დამაკვირდა.

— რის ოპერაცია გაუკეთეს, ყმაწვილო, როდის?

— კუჭის წყლული გაუსკდა, წუხელ გაუკეთეს.

— მეგობარია შენი?

— დიახ. აქ სხვა პატრონი არავინა ჰყავს.

— რა წამალია ასეთი?

— ცერაპინი.

კარგა ხანს იყო ჩაფიქრებული, სახეში ჩამცქეროდა, თითქოს უნდა სიმართლე ამოიცნოსო, მერე სავარძლიდან წამოდგა, კოჭლობით მივიდა მაგიდასთან და ჩაილაპარაკა:

— მრავალ არიან მეგობარნი ჟამსა დღე-კეთილობისასა, ხოლო ჟამსა განსაცდელისასა ძლივს ერთიღა ჰპოვო, — გადმომხედა და ღიმილით დასძინა, — ის ერთი შენ ყოფილხარ, ყმაწვილო და მიხარია. — მაგიდასთან დაჯდა, ქაღალდზე რაღაც დაწერა, კონვერტში ჩადო და მითხრა:

— ეს წერილი სააფთიაქო სამმართველოში წაიღე, იცი სად არის?

— ვიცი, როგორ არ ვიცი, — სიხარულით მივახალე.

— ჰოდა, ხუცურაული იკითხე, მოიცა... — კონვერტს ზემოდან დააწერა გვარი და სახელი — უსათუოდ გიშოვის. თუ ვერ იშოვა, მაშინ სხვა გზას ვნახავ. იცოდე, იშოვი თუ არ იშოვი, მაინც შემატყობინე, აუცილებლად შემატყობინე. ისიც მაინტერესებს, როგორ იქნება შენი მეგობარი.

აუცილებლად შეგატყობინებთ-მეთქი, დავპირდი და გამოვბრუნდი. კარებში შემაჩერა.

— ფული გაქვს, ყმაწვილო?

— მაქვს, როგორ არა მაქვს.

— ნამდვილად? — და თვალები ისევ მოჭუტა.

— ნამდვილად, გეფიცებით.

და ქუჩაში გამოვვარდი. ყველაფერი დამავიწყდა, დაღლილობაც და ის შიშიც. წუხელ საავადმყოფოში რომ დამეუფლა. ღრმად მწამდა, სისაური გადარჩებოდა, გადარჩებოდა თუნდაც იმიტომ, რომ ისეთი კეთილი და გულისხმიერი ადამიანები ცხოვრობდნენ ამ ქვეყანაზე, როგორიც ეს მოხუცი იყო.

ტაქსი დავიჭირე და ვუთხარი, სადაც მივდიოდი. გულმა არ მომითმინა, კონვერტიდან მაინც ამოვიღე წერილი:

„ძმაო, ნოდარ, ამ წერილს იმიტომ გწერ, რომ ვიცი, რა კაცია ხარ და როგორ გიძგერს გული თანამოძმისთვის. ეს ყმაწვილი ჩემი ახლობელია, ძალიან უჭირს, ქვა გახეთქე და აშოვნინე წამალი. ამით შენ იხსნი ანდაგზარდა კაცის სიცოცხლეს და ერთხელ კიდევ მოიხვეჭ იმ ვალს, რომელიც ჩვენ გვიკისრია ჩვენი კაცობით.

შენი ეფრემ ოორდანაშვილი“.

„ეფრემ ოორდანაშვილი, ნეტავ ვინ არის ეს ხვთისნიერი კაცი, რა ხელობისაა?“

სამმართველოში ნოდარ ხელფურაული როგორც კი ვიკითხე, მაშინვე მიმასწავლეს. თურმე მმართველის პირველი მოადგილე იყო და ვის არ ეცოდინებოდა. ეფრემზე გაცილებით უმცროსი ჩანდა, თხელი კაცი იყო, თმაჭაღარა. წერილი წაიკითხა, ამხედ-დამხედა და ყურმოლი აიღო. ერთი არ უკითხავს, ვისთვის გინდა, ან ეფრემი შენი რა არისო.

ერთი სიტყვით, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ათიოდე წუთის შემდეგ ხელში მქონდა წამალი და თავი ისე წარმომედგინა, თითქოს ქვეყნის ბატონ-პატრონი ვიყავი. ეკა კორიდორში დამხვდა. ისეთი თვალებით შემომხედა, დარწმუნებული ვარ, ხელცარიელი რომ მივსულიყავი, იმ შემოხედვას ვერ გავუძლებდი. წამალიც გადავეცი და თავის მოცემული თხუთმეტი მანეთიც, რომელიც აღარ დამჭირებია.

— როგორ არის? — ვკითხე მაშინვე.

— არაფერი არ ვიცი, არაფერი. სულ სძინავს. გაიღვიძებს ერთი წუთით, შემომხედავს, დამაკვირდება და ისევ იძინებს.

კორიდორში ხალხი გადი-გამოდიოდა. შევამჩნიე, უკვე ფეხადგმული ავადმყოფებიც და მნახველებიც თითქოს განზრახ

გამოდიოდნენ, რომ ეკა დაენახათ, ისე უყურებდნენ, თითქოს ციდან მოსული არსება�ო. ქალიშვილი ამას, ეტყობა, გრძნობდა, მაგრამ აინუნშიც არ აგდებდა. ამის გული სადღა ჰქონდა. მერე მივხვდი ყველაფერს. როგორც ჩანდა, მთელმა სართულმა გაიგო, რომ მძიმე ავადმყოფს შეყვარებული ედგა თავზე და ეხლა ეს ჰქონდათ სალაპარაკოდ და თავშესაქცევად.

— ახლაც სძინავს? — ვკითხე ეკას.

— სძინავს. ნახავ?

შევეჩეჩმანდი არაფრით არ შემეძლო, ანზორი ამ ყოფაში მენახა და ესღა მოვიმიზეზე.

— არა. ეძინოს. არ მინდა გავაღვიძო.

— ილო, ძალიან გთხოვ, დეპეშა გაუგზავნე ახლავე ანზორის მშობლებს, სასწრაფოდ ჩამოვიდნენ. მისამართი ხომ იცი?

— ვიცი. როგორ არ ვიცი.

და საავადმყოფოდან გამოსული, როცა დეპეშას ვაგზავნიდი ანზორის მშობლებთან, მაშინ რაღაცამ მიკარნახა, რომ უბედურება გარდუვალი იყო.

19

აჰა, მიიწურა ჩემი ქალაქური თავგადასავალიც. ამ მოკლე ხნის მანძილზე ბევრ რამეში ჩამახედა ცხოვრებამ. ხან რწმენით ამავსო, ხან იმედისგან დამცალა.

გამოგიტყდებით, ჭირივით მძულს, როცა მკითხველის გრძნობებზე სენტიმენტალური ამბებით ვაჭრობენ. ამიტომ არ მინდა, დაწვრილებით აღვწერო სისაურის დაღუპვის ამბავი და ჩემი განცდები.

ყველანი სიკვდილის შვილები ვართ და რას ვიზამთ, ზოგი როდის დავღამდებით ცხოვრების გზაზე, ზოგიც როდის. ეს უზენაესის ნებაა და ამაზე წუწუნი არცა ღირს, ოღონდ სანანებლად ის დამრჩა, რომ სიცოცხლესთან გაყრის წინ ვეღარ ვნახე ჩემი უბედური მეგობარი.

გულახდილად გითხრათ, დაკრძალვაზე წასვლა აღარც მინდოდა. ნეტავ რაღა აზრი ჰქონდა, ვის ვიცნობდი იქ ანზორის გარდა, ვისაც უკვე დაემკვიდრებინა სასუფეველი იმქვეყნად, ვინც ვეღარც დამინახავდა და ვეღარც ჩემს მისვლას გაიგებდა, მაგრამ ამ ფიქრს ხმამაღლა როგორ გავამხელდი.

ცივი, ჟინჟღლიანი დღე. ხალხით გაჭედილი ატალახებული ორღობე. ქოლგიანი ქალები გზას გვითმობდნენ, თან ქოლგის ქვეშიდან ცნობისმოყვარედ გვითვალთვალებდნენ. ფეხით აჭინჭყლულ ეზოში ცეცხლი დაენთოთ და საძროხე ქვაბებთან მზარეულები ფუსფუსებდნენ, ეს ყველაფერი ისეთ საზიზღრობად მომეჩვენა, ვინანე, რათ წამოვედი-მეთქი. გამოთხოვების საბოლოო წუთები დამდგარიყო. დაუმთავრებელ სახლის კიბეზე რიგი დუმილით მიიწევდა წინ.

სამივენი გაქვავებულებივით ვდგავართ ცხედართან. ქალებში ჩამჯდარმა პირისახედაბურულმა ქალმა ჩვენ რომ დაგვინახა, რაღაც დაატირა მიცვალებულს. ვერ გავიგეთ, რა დაატირა, ის კი დავინახე, რომ მაისაიამ და თენეიშვილმა ვეღარ გაუძლეს და თვალები დაისრისეს. მე კი პირდაპირ ქვად გადავიქეცი. წარბშეკრული დავცქეროდი გულზე დაკრეფილ მის დიდრონ ხელებს, მუგუზალივით გაშავებულ პირისახეს, ოდესღაც რომ ლამაზი ღიმილით გაბრწყინდებოდა ხოლმე და სულერთთავად ჩამესმოდა ყურებში: „საიქიოდან წუთისოფელი, როგორც მამალი, ისე ყიოდა“.

უცებ მოვცილდი ცხედარს. მაისაია და თენეიშვილიც გამომყვნენ. აივანზე რომ გამოვედი, ეკას მოვკარ თვალი. ფერმიხდილი ქალიშვილებს ჩაეყენებინათ შუაში და რაღაცას ეჩურჩულებოდნენ. ალბათ ანუგეშებდნენ თუ არწმუნებდნენ, რომ „ყოველი მიწით გამოსრული მიწა არს თანად და კუალად მიწად მიმავალ“.

სოფლის უბრალო სასაფლაოზე მისცეს სისაურს უკანასკნელი და სამუდამო თავშესაფარი. აღარ გავჩერდი და წამოვედი, რადგან ახლა გულს მირევდა ის წესი და ადათი, რაც დაკრძალვის შემდეგ უნდა აღესრულებინათ.

ჩემთვის უღიმღამოდ გაიარა იმ ზამთარმა. უსისაუროდ ობოლივით ვგრძნობდი თავს ქალაქში. ეგ იყო, სწავლას უფრო ბეჯითად მოვეკიდე. ერთი სული მქონდა, როდის დავამთავრებდი სასწავლებელს, როდის გამამწესებდნენ სამუშაოდ.

მარტის ბოლოს გამომიცხადეს, ამა და ამ დღეს ხაშურამდე ელმავალს თანაშემწედ უნდა გაჰყვეო. ამას ველოდი მოუთმენლად. ასე მეგონა, თითქოს რაღაც ახალ ზღაპრულ სამყაროში უნდა მემოგზაურა.

იმ წელიწადს გაზაფხული ადრე მობრძანდა. მზიანი, თბი-

ლი დღეები დაიჭირა და შუა მარტიდანვე გადარია დედამიწა. მწვანედ, თეთრად და ნარინჯისფრად მორთო სამყარო.

ოცდაათ მარტს, ამ დღეს რა დამავიწყებს, დილის ათ საათზე თბილისიდან ხაშურისაკენ დავიძარით საბარგო მატარებლით. მეელმავლე გადასარევი კაცი გამოდგა. სიცოცხლეს რომ შეგაყვარებს, ისეთი. ალბათ ასეთ ადამიანებს უჭირავთ ზურგით ეს ქვეყანა, თორემ სიცოცხლე აღარ ეღირებოდა.

მცხეთასთან დაკლაკნილი მტკვარი, ცაში გამოკიდებული ჯვრის მონასტერი და მზეზე გუმბათმოელვარე სვეტიცხოველი, წარსულზე ფიქრით რომ გარინდულა და, თვითონ მცხეთა, ჩვენი ერეოლვა და ჩვენი დიდი მატიანე.

ეს-ეს არის, ამობიბინებულა მოლი. სხვადასხვაფრად დაფეთქილა ხეხილი. მტკვრის პირებზე მწვანედ ხასხასებენ ტირიფები, იასამნებიც უკვე გადაპენტილან. ამის შემხედვარეს ყველაფერი მავიწყდება და მინდა ვიკივლო: სიცოცხლეს გაუმარჯოს!

სიცოცხლეს გაუმარჯოს, რადგან ასეთი ლამაზია სამყარო, რადგან ქვეყანაზე კიდევ ცხოვრებენ ისეთი ადამიანები, როგორიც ეფრემ იორდანაშვილია, თენეიშვილია, მაისაია, როგორიც ჩვენი ოსტატი ჩანკვეტაძეა, როგორიც ეკაა, ვისაც ასეთი დიდი და ერთგული სიყვარული სცოდნია.

ეფრემ იორდანაშვილი გავაწბილე. პირობა ვეღარ შევუსრულე. ვეღარ მივედი ამ დიდი, მხურვალე გულის კაცთან, მაგრამ მივბრუნდები თუ არა თბილისში, აუცილებლად მივალ, ჩემი მეგობრებიანად მივალ და მადლობას ვეტყვი ყველაფრისთვის.

ჩვენი საბარგო მატარებელი კი მიჰქრის, მისრიალებს, ლიანდაგები ელვარებენ მზეზე, ხანდახან ფანჯრიდან თავს გამოვყოფ, გავხედავ ბოლო ვაგონებს, მოსახვევში რომ მოიკლაკნებიან ხოლმე და ისე მგონია, თითქოს საკუთარი მხრებით მიმქონდეს მთელი ეს შემადგენლობა.

გულში ვნატრობ, ნეტავ ახლა ჩვენები მხედავდნენ-მეთქი, სადღაც მცხეთის იქით მწვანე შუქი ციმციმებს და გზას გვიხსნის.

მე კი უხმოდ ვკივივარ:

— სიცოცხლეს გაუმარჯოს!

ეგზის ეოკანევე



წინათქმა

არქივში ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, როგორც იყო მიკაგენი ყველაზე სასურველ ადამიანს, ვინც ძუნწი ცნობების მაგიერ უფრო ცოცხალ და ხორცსავსე მასალას მომაწვდიდა, რაც ამ წიგნზე მუშაობას გამიადვილებდა. ეს ადამიანი ეთერ გველესიანის უმცროსი და ლუბა გახლდათ, ვისაც მკითხველი ამ წიგნიდან გაიცნობს. ოთხი დიდან ეს ერთიღა დარჩენილიყო.

აწ ღრმად მოხუცებულ ქალბატონ ლუბას ერთმა ჩემმა მეგობარმა შემახვედრა. წინასწარ გაუმხილა, აბელზე წიგნსა სწერსო და თანაც დაარწმუნა, რომ მისი ჩემდამი დახმარება დიდად კეთილშობილური საქმე იქნებოდა.

იგი ალექსანდრეს ბაღთან, დედისეულ სახლში ცხოვრობდა. როცა აივანი გავიარე და სამოთახიან ძველებურ ბინაში შევედი, ჩემდაუნებურად იმ ეპოქაში აღმოვჩნდი, რომელზედაც ეს წიგნი იწერება. თვალწინ დამიდგნენ ულამაზესი ქალიშვილები, მათი ამაყი დედა და აქ სტუმრად მოსული, ეთერ გველესიანზე შეყვარებული ჭაბუკი აბელი.

გაზაფხულის თბილი საღამოა, შეყვარებულნი აივანზე სხედან, შინ კი ოთხი დიდან რომელიღაც როიალზე უკრავს და ტკბილი გალობით ავსებს გაზაფხულის ამ ისედაც უნაზეს საღამოს.

აგერ ის როიალიც!.. უკვე დადუმებული და დრო-ჟამისაგან შელახული. მასაც ყავლი გასვლია, დანაღმული დუმილით დუმს და ბევრმა არ იცის, რამდენი ტკბილი მოგონება თვლემს მტვერდადებულ მის სიმებში.

ირგვლივ ყველაფერს გაფაციცებით ვათვალიერებ, აქაურობამ ხომ ჩემს მომავალ წიგნში უნდა დაიმკვიდროს ადგილი. ჩემი მეგობარი ხმამაღლა უხსნის რაღაცას ლუბას, მას ხელი ცალ ყურზე მიუდვია და ისე უსმენს, მერე ოხვრით გადის მეორე ოთახში, საგულდაგულოდ შეკრული ქაღალდების დასტა და მწვანე, გაქუცული რვეულები შემოაქვს.

— შენ გაბარებ ამას, — ეუბნება იგი ჩემს მეგობარს, — სხვას არც ვანდობდი, მალე უნდა დამიბრუნო. მეც რომ წავალ იქ, ჩემს განსვენებულ დასთან, თან უნდა წავუღო. აბელის წერილი და დღიურებია. ბევრი იყო, მაგრამ ესღა გადარჩა. ზოგი ვინ წაიღო, ზოგი — ვინ. უკან კი აღარ დაუბრუნებიათ.

დავარწმუნე, რომ ყველაფერს უკლებლივ დავუბრუნებდი მოკლე ხანში.

როცა ეს დრო-ჟამით გახუნებული, გაცრეცილი ფურცლები გადავიკითხე, მაშინ დავრწმუნდი, რა ძვირფასი უნდა ყოფილიყო იგი მისთვის.

პირობა ვეღარ შევუსრულე ლუბას, მალე გარდაიცვალა.

ჩემს დანაშაულს იმითღა ვისყიდი, რომ აბელის ჩანაწერები, დღიურები თუ პირადი წერილები თითქმის უცვლელად შემაქვს.

პირველი ნაწილი

1.

სოფრომ ენუქიძის კარმიდამო სოფლის განაპირას, გორის ძირას მდებარეობს. ეზოს პატარა ჭიშკარი აღმოსავლეთით, საურმე გზაზე გადის. ეს გზა ყანებსა და ბოსტნებს შუა მიემართება, მოსაზღვრე სოფელს გაივლის და ამბროლაურის გზას უერთდება. სოფრომის ღარიბული ოდის კედელი საწალიკის მთის კედელს მიბჯენია. სახლის წინ კი, ჩრდილოეთით, თითქოს ერთი ხელისგაწვდაზე, კავკასიონის ქედი მიიგრიხება. ამ ქედზე ადამიანის ხელით ნაშენები კოშკის მსგავსად აღმართულა მარად თოვლიანი მწვერვალი შოდადაკედელი და აგერ, დასავლეთით, სალოს მთაც, ნაქერალას რომ ებმის. ერთი სიტყვიით, ირგვლივ მთებია. აქ დაბადებული ადამიანი, როგორც კი თვალს აახელს, ამ მთებს მიაჩერდება, მისი თვალთახედვა უფრო შორს ვერ აღწევს და პატარაობიდანვე ისე გრძნობს თავს, როგორც აკვნის ბალღი არტახებში.

აქაური კაცი ათაბაბიდან ებრძოდა სიღარიბეს, ებღაუჭებოდა მიწას, ციცაბო ფერდობზე თოკით დაკიდებული ხნავდა და თესავდა, მკიდა და თიბავდა, მაგრამ სიღარიბიდან მაინც ვერ ამოდიოდა.

მიწა არ ჰყოფნიდა, თავისი მარჩენალი მიწა.

მიწა არ ჰყოფნიდა სახნავ-სათესად.

მიწა არ ჰყოფნიდა სამოსახლოდ და არც სასაფლაოსთვის ჰყოფნიდა მიწა.

იძულებული იყო თავისი კერიიდან აყრილიყო და სხვა ცის ქვეშ, სხვა მიწაზე ეძებნა ბედი.

სიღარიბეზე ამხედრებული ადგებოდა ერთ დღეს რაჭველი კაცი და დატოვებდა თავის ლამაზ მთებს.

განშორების სინანულით გულდაწურული მიდიოდა. საკუ-

თარმა კუთხემ და მიწამ იმედი ვერ გაუმართლა, ვერ დაანაყრა, ძუძუ ვერ აწოვა მაძღრისად და თითქოს ხელისკვრით მოიშორა. მიდიოდა რაჭველი კაცი, უკან სტოვებდა აცრემლებულ მშობლებს. ხარბად ათვალიერებდა ამ მაღალ მთებს, ბევრჯერ მოსანატრებელ ხშირ ტყეს, აქაურ ცას... ვინ იცის, ეგებ ბედისწერამ აღარასოდეს მოაბრუნოს აქეთ, ეგებ უკანასკნელად სჭრეტდნენ მისი თვალები აქაურობას. უნდოდა ყველაფერი კარგად დაემახსოვრებინა, გულში ღრმად ჩაეჭედა. მიდიოდა, მიიზლაზნებოდა, რათა სადმე, რომელიმე მიწაზე ეპოვნა ხე ცხოვრებისა.

ზურგზე გუდამოკიდებული მიამტვერებდა გზას. იმ გუდით სამიოდე დღის საგზალი მიჰქონდა, ხოლო გულით თავისი კუთხის მწარე, გაცრუებული სიყვარული, — დიდი საგზალი მთელ ცხოვრებისა...

მაგრამ სოფელი არ უდაბურდებოდა. ისევ ფეთქავდა სიცოცხლის ძარღვი. ერთი ძმა მიდიოდა, მეორე ვერ ელეოდა თავის ფუძეს. მეორეს უნდა ეხნა და ეთესა, რომ კერაზე ცეცხლი არ ჩამქრალიყო და მამა-პაპის საფლავზე ბალახს არ გადაევლო;

დღეს თუ ხვალ სოფრომ ენუქიძეც ისტუმრებდა თავის უმცროს შვილს უცხო მხარეში.

სისხამ დილით აიშალა მთელი ოჯახი, ბალახმორეული კალო გაწმინდეს, წყლით დანამეს და ძნა ჩაშალეს. კევრზე აბელი შედგა, ხარებს ხელით მოეფერა და მსუბუქად გადაჰკრა სახრე. ორთითით მიჰყვებოდა აბელის უფროსი ძმა სერაპიონი კევრს და ნამჯას უქცევდა, კალოზე თანაბრად შლიდა, რომ კევრი მიწას არ წამოსდებოდა.

სამხრობისას მთელი დოვლათი გამოლეწეს, ის იყო, ნალეწი გაანიავეს და ხორბალიც გაცხრილეს, რომ სწორედ ამ დროს, როგორც ფოცხვერი კურდღელს, ისე დააცხრა სოფრომს სამწუხარო ამბავი.

მაღალსერგომ ჭიშკარი შემოაღო, უხალისოდ მოალაჯებდა და წელში იმტვრეოდა. საღამო მშვიდობისაო, ძლივს ამოიბურტყუნა, თავჩაღუნული გაჩერდა და ქალამნის ჭვინტით მიწას დაუწყო ჩიჩქნა. მენახირის დანახვაზე ბარბალე გაფითრდა, ხოლო სოფრომი ავის მოლოდინით მძიმედ წამოდგა და ჰკითხა:

— რაო, სერგო?

— უბედურება, ბიძია სოფრომ. დათვმა, ოი, ჭირმა წაიღოს...

— რა დათვმა, ბიჭო, გამაგებინე!

— თქვენი ძროხა გამოფაშვა. ხევში წავაწყდი შუადღისას, ძია სოფრომ.

სოფრომმა რატომღაც ქუდი მოიხადა, ხელისგულზე დაიბერტყა, ყორეზე ჩამოჯდა და ღრმად ამოიხვნეშა.

ბარბარე კალთაზე ირტყამდა ხელს, უმიზნოდ დაბორიალებდა და ვიშვიშებდა:

სოფრომი დაბოღმილი იჯდა და თვალწინ ედგა ბოგეულის ბაზარი, სადაც გახურებული ვაჭრობაა. ის ძროხა იქ უნდა გაეყვანა და აბელის სახელზე გაეყიდნა, მაგრამ ტყუილად როდი უთქვამთ, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო.

ეზო მოათვალიერა და ახლალა გაახსენდა, რომ აბელმა და სერაპიონმა ხარები წყაროზე ჩარეკეს. წამოდგა, ბრაზით გადააფურთხა და ჭიშკრისკენ წავიდა. მენახირემ ერთხელ კიდევ გადახედა მოვიშვიშე ბარბარეს და ძუნძულით აედევნა უკან.

2.

მზის ჩასვლისას მაღალსერგო და სოფრომი საწალიკის მთაზე ერთ ღრმა ხევში მიადგნენ დაფლეთილ პირუტყვს. ნაჯიჯგნ ლეშს მსხვილი მომწვანო ბუზები ესეოდნენ. დათვს ძროხისთვის ისე გაეძრო ტყავი, გამოცდილ ყასაბსაც კი შეშურდებოდა.

— ფერდობზე რომ ავედი, — თავჩაღუნული ჰყვებოდა მაღალსერგო, — დავინახე, მთელი ქვეყნის ყვავებს მოეყარათ თავი და ხევში რაღაცას დასტრიალებდნენ...

მენახირემ უცებ თავი ასწია, გულუბრყვილო ცისფერი თვალებით გადახედა სოფრომს, და შეატყო, რომ ფიქრში გართული მას არც კი უსმენდა, და უხალისოდ განაგრძო:

— ერიჰაა, აქ რაღაც ცუდი ამბავია-მეთქი, ვიფიქრე და ხევში ჩამოვედი. ყვავები დასეოდნენ... მაშინვე ვიცანი თქვენი ძროხა. მაინც რა უნდოდა ამ ხევში. რა ონავარი პირუტყვი იყოო...

ნადირს გარშემო ყველაფერი მიეთელ-მოეთელა. ვეება ნაფეხურებით მიწა მთლად აეჭინჭყლა, აეთხარა, ტყის სიღრმეში შეეთრია მსხვერპლი და ზედ ფიჩხი წაეფარებინა.

სოფრომმა მხარზე ჩამოცურებული თასმა გაისწორა და შორს გაიხედა, გადამტვრეული ფიჭვის იქით მოჩანდა ნაქერალას მთა, სადაც უკვე ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივიც ქრებოდა.

— სერგო, თუთუნი მომაწევინე, — სოფრომმა ამოიხვნეშა და მენახირისკენ შემობრუნდა.

სერგო დაფაცურდა, ჯიბიდან გახუნებული ქისა ამოიღო.

ორივენი უხმოდ ახვევდნენ უხეშ ქაღალდში მსხვილად დაკეპილ თუთუნსა.

— ცოტა თუთუნი დამიტოვე... აბედიც. ისე უცბად წამოვედი, ტალკვესის მეტი არაფერი წამომიღია. ჩვენებს უთხარი, იქ დარჩა და მალე მოვა-თქო.

მენახირემ კვამლი ღრმად ჩაისუნთქა, გაკვირვებისაგან გძელი ნიკაპი შეუტოკდა და ტუჩები გააცმაცუნა.

— აქა რჩები, ბიძია სოფრომ?

— დავრჩები. ეგება ღმერთი გაუწყრეს ტიალს და ლეშზე მოვიდეს.

ტყეში ნელა, ბეჯითად წვებოდა ბინდი და მედიდური, თითქოს შემზარავი მდუმარება მოჰქონდა. ხეთა კენწეროების თავზე რამდენიმე ვარსკვლავი აინთო. ყორანმა ყრანტალით გადაუფრინა ტყეს და ფრთების ტყლაშუნით სოფლისაკენ დაეშვა.

სოფრომმა ცას ახედა. ფთილა-ფთილა მიცურავდნენ ღრუბლები. ჟამდაჟამ მთვარე გამოკრთებოდა ხოლმე. ტყე ბუბუნებდა, თბილი ქვენა უბერავდა, რაც ავდრის მაუწყებელი იყო.

მონადირე დიდი მოთმინებით უნდა იყოს აღჭურვილი. ეს მონადირული მოთმინება ჯიშად არ მოსდგამდა სოფრომს, მალე მოიწყინა და გული აიცრუა, მოსალოდნელმა ავდარმაც დააფრთხო.

„გამოცდილი მონადირეები ვერაფერს გახდნენ, მე რას ვიზამ“ — ფიქრობდა სოფრომი. მერე თუთუნი გაახვია, კვესა-აბედით მოუკიდა, ერთხელ კიდევ დახედა მსხვერპლს და თავქვე დაეშვა:

ტყე-ტყე მიჰყვებოდა ბილიკს, თუჯივით დამძიმებულ ფეხებს ძლივს მიათრევდა. ვიწრო ბილიკით ავიდა გორაკზე და მაშინღა შეამჩნია, რომ ცა მოქუფრულიყო. აღარც ერთი ვარსკვლავი აღარ ჩანდა, გრილი ქვენა ქროდა. მაღალ, გამხმარ ბალახს ადმოსავლეთით ხრიდა და ნაგოლვი მიწის მძაფრი, ცხელი სუნი მოჰქონდა, რაც უკვე მოახლოებული წვიმის ნიშანი იყო და აგერ, შორს, ნაქერალას მთისკენ, ელვაც გაიკლაკნა, წამით გაანათა დედამიწა, მერე ამას ყრუ, ხანგრძლივი ქუხილიც მოჰყვა. სოფრომმა თუთუნი გააბოლა, ნიავმა ნაპერწკალი შორს გაიტაცა და ჰაერშივე ჩააქრო.

ელვა-ქუხილი უფრო და უფრო ხშირდებოდა და ახლოვდებოდა, აგერ ზედ მის თავზე გადაირახრახა წვიმის ღმერთმა ელიამ თავისი ეტლით და ის დაძაბული სიჩუმე, წვიმის წინ რომ იცის ხოლმე, ჩქარა დაარღვია, ხშირ ბრტყელ ფოთლებზე წვეთები აწკაპუნდნენ.

პირჯვარი გადაისახა და შეჩერდა. დიდი ხნის ნაგოლვ მიწას ცამ მადლით გადმოხედა, ღრუბლების კენწეროზე თვალისმომჭრელად გადაიკლაკნა ელვა, სიბნელე წამით ახვეტა, მერე ისე დაიჭექა, ლამის დედამიწა შეაზანზარა და, წვიმამაც წამოუშინა.

ელვა-ქუხილი მატულობდა და წვიმაც უხშირებდა. ირიბად წამოსული თქეში სახეზე ესხმებოდა და ისედაც ბნელ ღამეში ვარაუდით მიმავალს, თვალებს არ ახელინებდა, სუნთქვას უკრავდა და ფეხს უბორკავდა. ელვის წამიერ შუქზე გაარჩია ღელე, წკადისისა და ხოტევის საზღვრად რომ იყო, და ღელეში ჩამდგარი პატარა წისქვილი. წისქვილიდან მოციმციმე შუქი გამოდიოდა, შუა ცეცხლი დაენთო ვიღაცას. სოფრომს გული მოეცა, მუხლებში ძალა მოემატა, წისქვილამდე დარჩენილი მანძილი სწრაფად გაიარა და მუხის მძიმე კარს მხრით დაეტაკა. ყუნწამდე შეღებულ კარში ნიავი შეიჭრა და ცეცხლი ააპარპალა.

ცეცხლს მიფიცხებული კაცი შეკრთა, შიშით თვალები გადმოეკარკლა, მაგრამ მაშინვე მოესმა მშვიდი, ნაცნობი ხმა:

— საღამო მშვიდობისა, სილოვან ბატონო!

სილოვან ლობჟანიძემ სალამი მიაგება, თუმცა ერთბაშად ვერ იცნო შემოსული, მერე, როცა ცეცხლთან ახლოს მივიდა მგზავრი, ლობჟანიძემ როგორღაც ნაძალადევად ჩაიხითხითა და უცებ ლაპარაკის გუნებაზე მოვიდა.

— თქვენა ხართ, სოფრომ? სადა ბრძანდებოდით ამ წვიმაში?

— ჯანდაბაში, სილოვან ბატონო!

სოფრომმა ქუდი მოიხადა და სოხანეზე დაბღერტა.

— ჯანდაბაში შენი მტერი წავიდეს... რას იზამ, ჩემო კარგო, ყველაფერი ღვთის ნებაა, დიდი ზარალია გაჭირვებული კაცისთვის ძროხის დაკარგვა.... შე საწყალო, როგორ დასველებულხარ.

სიბერისაგან წელში წახრილი მეწისქვილე მზრუნველობით ფუსფუსებდა, ცეცხლში შეშას უმატებდა და მიკნავებულ ხმით ამბობდა:

— აბა, ერთი რიგიანად გათბი და მერე ვახშამსაც შევუდგეთ.

წისქვილში ახლადჩამოყრილი ფქვილის სუნი იდგა. სილოვანს გუდა უკვე ნახევრად მოეყარა ფქვილით. გუდა რაჭველი კაცის განუყრელი მეგზურია. საგზლის სატარებლადაც გუდას ხმარობს, საფქვავიც გუდით დააქვს, ოღონდ საგზლის გუდას, აქაოდა მომცროაო, გუდუნას ეძახის.

ნელა, თანაბრად აბრუნებდა წისქვილის ქვას წყალი და ირგვლივ ყველაფერს თეთრი მტვერი ედებოდა. წისქვილში წვიმის ხმა აღარც ისმოდა, ჭექა-ქუხილით თუ მიხვდებოდი, რომ გარეთ ისევ წვიმდა.

სოფრომის სველ ტანსაცმელს ორთქლი ავარდა, შეცივებულს სითბო ესიამტკბილა.

სილოვანი ახლა ამბართან ფუსფუსებდა. ხვიმერაში ხორბალი გადაასწორა, სარეკელა ჩამოუშვა, გორგოლაჭს დაუჭირა, რომ ცოტა უფრო წმინდად დაფქულიყო და ისევ ცეცხლთან მობრუნდა.

გამოჩორკნილი ხის მაღალ მაგიდაზე სახელდახელოდ გაშლილი რაჭველი კაცის მუდმივი საგზალი: მჭადი, ყველი, ლობიანა და შებოლილი ღორის ნაჭერი. აგერ ღვინოც დოქით და მეტი რაღა უნდა მოშიებულ, მთელი დღის შრომით დაქანცულ გლეხკაცს... ეს ხელმწიფის სუფრის დარია.

გარეთ ალბათ ისევ წვიმს. შიგნით კი ნელა, თანაბრად ისმის წისქვილისა და ბორბალზე დატაკებული წყლის ხმაური.

შუაცეცხლის შუქზე მადიანად შეექცევიან, წრუპავენ ღვი-

ნოს და თავიანთებური სიდინჯით საუბრობენ გლეხკაცის გაუხარელ ცხოვრებაზე, ხან უიმედოდ ოხრავენ, ხანაც ღვთის სახელით უხმობენ სამართალს. წისქვილის ქვა კი ბრუნავდა და ფქვავდა. ხვიმირა ჯერ ნახევრად იყო, ლაკვაროდან ნელ-ნელა ცვიოდა სათითაო მარცვალი დოლაბში და იფქვებოდა.

მოიოხეთ გული ლაპარაკით, მოიოხეთ, თქვენი ცხოვრებაც ხომ იმ ხვიმერას წააგავს, თქვენი ცხოვრების წლებიც იმ მარცვლებივით სათითაოდ ცვივა და ცხოვრების მარად მბრუნავი ქვა აცამტვერებს.

3.

სამზადში ცეცხლი ანთია. სოფრომი შორიახლოს ზის და თუთუნს აბოლებს. ბარბარე ცეცხლთან ფუსფუსებს და, ვინ იცის, მერამდენედ ეუბნება ქმარს:

— ადე, კაცო, დაიძინე, შენ რაღას უცდი, ნეტავ ძილს რად იტეხავ!

მაგრამ სოფრომს ყურები დაუხშვია. ფიქრებთან დარჩენილს არც ძილი ეკარება, არც დაღლილობას გრძნობს.

სოფრომმა თითქოს დღეს იგრძნო მარტოობის სიმწვავე და გაუძლისობა. აი, ხვალ აბელი მიემგზავრება, შინ მეუღლე და უფროსი ბიჭი რჩებიან, მაგრამ მაინც ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს ყველანი გაიქცნენ და ცხოვრების ულმობელ მოედანზე მარტოდმარტო დატოვეს.

ბოლო ორ ღამეს სოფრომს ხეირიანად არც სძინებია, ცალკე შვილის ბედი აწუხებდა, მისი მომავალი ცხოვრება, ცალკე სიზმარმა გატანჯა, ძროხა ესიზმრებოდა, ვითომ ჭიშკართან მოვიდა და მოაბღავლა.

დღეს კი ყველა ზმანებამ გადაუარა და მარტო შვილზე ფიქრობდა.

აბელმა თავის ბიძაშვილის სპირიდონის წყალობით ისწავლა ბავშვობაში წერა-კითხვა. სოფრომის ძმისწული, სპირიდონი, განათლებული, მთავრობაში მიღებული კაცი იყო. უცნაურად დაიწყო სპირიდონის ცხოვრება. მღვდელმა ასწავლა წერა-კითხვა. ნიჭიერი, გონება-გახსნილი ბავშვი თვითონ ბატონსაც კი აოცებდა. მაგრამ გლეხის შვილს სემინარიაში ვინ მიიღებდა. ერთმა გავლენიანმა თავადმა გამოიჩინა კეთილ-

შობილება, მისი ბრწყინვალების სახელზე დაწერა შუამდგომლობა, თხუთმეტიოდე თავად-აზნაურს მოაწერინა ხელი და ქალაქში გაგზავნა.

შუამდგომლობამ გასჭრა. სპირიდონი გორის სამასწავლებლო სემინარიაში ჩარიცხეს. სემინარია წარმატებით დაამთავრა და ახალი სენაკის ნორმალურ სასწავლებელში მასწავლებლად გაამწესეს. სულ მალე დაწინაურეს კიდეც, — სასწავლებლის ზედამხედველად დანიშნეს.

მიუხედავად გაჭირვებისა, სწორედ სპირიდონის დაჟინებით გადაწყვიტეს, აბელი სოფელ ხოტევის სამწლიან სასწავლებელში მიებარებინათ. ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კი სპირიდონმა პატარა ბიძაშვილი ახალ სენაკში წაიყვანა. სამი წლის მანძილზე ერთად ცხოვრობდნენ მოსწავლე და მასწავლებელი, უკვე დავაჟკაცებული მთავრობისაგან დაფასებული სპირიდონი და მისი თორმეტი წლის ბიძაშვილი, ახალი სენაკის ნორმალური სასწავლებლის მოსწავლე აბელი. სპირიდონთან ხშირად იკრიბებოდნენ „ჯანსაღად“ მოაზროვნე პედაგოგები, დავობდნენ, კამათობდნენ. ვინ იცის, იქნებ სწორედ მაშინ ჩაისახა პატარა აბელის სულში ის მარცვალი, რამაც შემდეგ უდრეკ რევოლუციონერად აქცია.

სამმა წელმა უცებ ჩაიქროლა. სიჭაბუკეში ფეხშედგმულმა აბელმა ერთ დღეს აიკრა გუდა-ნაბადი და თბილისის ტექნიკურ სასწავლებელში გაემგზავრა. სასწავლებელი დაამთავრა და თბილისშივე რკინიგზის სახელოსნოში მოეწყო სამუშაოდ. ერთი წლის შემდეგ ბაქოში წასვლა შესთავაზეს და აი ახლა ვიდრე ბაქოში გაემგზავრებოდა, სოფელში ჩამოვიდა, რათა თავისიანები მოენახულებინა.

აი, ასე, თითქოს თამაშ-თამაშით გაირბინა ცხოვრებამ. დროთა დაღმართზე დაქანებულმა წლებმა სოფრომი გააჭაღარავა, ჯაფამ ნაადრევად გასტეხა და მხრებში მოჰხარა, ორმოცდათხუთმეტი წლისას წვერ-ულვაში უკვე ბერიკაცისას მიუგავდა. აბელმა მაშინვე შეატყო მამას ცვლილება, ხოლო სოფრომი შვილის შეხედვამ გააოცა, ერთბაშად დავაჟკაცებულიყო. ულვაში დაეყენებინა. სიმაღლითა და მხარ-ბეჭით მამისთვის უკვე გაესწრო. დინჯი, დარბაისლური გამოხედვა ჰქონდა, თითქოს ათასი ჭირ-ვარამი გამოუვლიაო.

მამის სიხარული საშინელმა ეჭვმა გაბზარა, სოფრომი რა-

ღაც ალღოთი ხვდებოდა, რომ აბელიც იმ ახალ თაობაში ერია, ვინც ხელმწიფის წინააღმდეგ იბრძოდა.

ეს შემზარავი ეპვი ტყვიასავით ჩაეღვენთა სხეულში. მუღამი კარნახობდა, რომ ეს სატკივარი არ განიკურნებოდა, პირიქით, უფრო და უფრო გაიდგამდა ფესვს და ადრე თუ გვიან, უბედურება დაატყდებოდა თავს. მანამდე კი ამ შემზარავი მოლოდინით უნდა ეთქერა დედამიწაზე ბალახი.

სოფრომი წამოდგა და ოდა-სახლში შეევიდა. მძინარე ბიჭებს გადახედა. სერაპიონი გულაღმა გაშოტილიყო და ხვრინავდა, ხოლო აბელს, როგორც ბავშვობაში სჩვეოდა, ახლაც ისე ეძინა. მარჯვენა გვერდზე მობღუნძულიყო და ხელები მუხლებშუა მოექცია.

მდუმარედ დაჰყურებდა შვილს. ფანჯრიდან შემოპარული მთვარის შუქი დაჰფენოდა ჭაბუკს სახეზე. სოფრომს ერთი წამით მოეჩვენა, რომ აბელი ახლაც ის პატარა ბიჭი იყო, როცა ლოგინიდან ამდგარი პერანგის ამარა მამას შემოეხვეოდა ხოლმე კისერზე და შეაფრქვევდა იმ საამურ ნამძინარევ სურნელებას და სითბოს, რაც მხოლოდ ბავშვს აქვს.

როგორ მოუნდა, მისულიყო და მოფერებოდა, ერთხელ კიდევ ეგრძნო ის თბილი საამო სურნელი ბავშვისა.

ბავშვობიდანვე კეთილი გულის აბელი სხვის დაჩაგვრას ვერ იტანდა. ერთხელ, ეს იყო ათიოდე წლის წინათ, მაზრიდან სამი კაცი ესტუმრა სამსონს, ჩენახირე სერგოს მამას. სამსონი ავადმყოფობას ლოგინზე მიეჯაჭვა. მაზრის კაცებმა ბოსლიდან ძროხა გამოიყვანეს, ბეღლიდან ხორბალი ამოხვეტეს და წავიდნენ. ამაოდ ტიროდა და ემუდარებოდა მაღალსერგოს დედა, ამაოდ ღნაოდნენ მშიერი ბალღები, მთავრობის კაცებს გულის მაგიერ ქვა ედოთ. იქნებ ბოღმისაგან ან იმის გამო, რომ სიცხიანი სამსონი ლოგინიდან წამოდგა, ავადმყოფობა შეუბრუნდა და რამდენიმე დღეში მოიდნო.

— რათ წაიყვანეს ის ძროხა იმ კაცებმა?

— რათ წაიღეს ხორბალი ბეღლიდან?

არ ისვენებდა აბელი, ვიდრე მამამ არ დაუტატანა, დიდების საქმეში რათ ერევიო.

ცეცხლი ინავლება. კვამლი გველივით იგრიხება, აი, სადაც არის, მთვარეც ჩავა. ზაფხულის მოკლე ღამე შეუმჩნევლად

იცრიცება, ერთხელ კიდევ მოიქნევს თავის შავ კუდს და გაიძურწება.

სოფრომი ებრძვის და ეურჩება თავის ფიქრებს. გეგმას ალაგებს, დილით, შვილს რომ გააცილებს, რა უთხრას, საიდან დაიწყოს.

ბინდი თხელდება. ცა ფერს იცვლის. ბაღში დილის სიო ფუსფუსებს და კუთხეში თაგვი ცოდვილობს. ჭიშკართან დაბმული ნათხოვარი ცხენი ფრუტუნებს. ეზოში ჩიტებმა ჟიჟილხივილი ატეხეს, მენახირე სერგო სოფელს გადაჰკივის: საქონელი გამორეკეთო. ორღობეში ხლურჩუნითა და ზმუილით მიიზლაზნებიან ძროხები.

ეზოში კი უკვე ფუსფუსებენ. სერაპიონი ცხენს ჰკაზმავს, უნაგირს ადვამს და თან უნდობლად უყვავებს:

— დრრრ!

საგარეო ტანსაცმელში გამოწყობილი აბელი თეთრი კიტელის ღილებს იკრავდა და მამას უღიმოდა. კატა აბელს გაექლასუნა, მერე წინ გაიჭრა, კუდი აპრიხა და ახლა სოფრომს გაებლანდა ფეხებში. სოფრომმა კატა წიხლის კვრით მოიშორა, მერე ვეება ხურჯინს დაავლო ხელი და ცხენთან მიიტანა. აბელი წაეშველა, ცალი მხარე აუწია და ცხენს უნაგირზე გადაჰკიდეს.

აგერ გავიდნენ ნაქერალას უღელტეხილზე. ამ გზით ბევრი წასულა, იმათ ნაკვალევს აბელიც მიჰყვება. მიდის ცხოვრებაში ჯერ კიდევ გზაგაუკვლეველი, მუხლმოუმაგრებელი ჭაბუკი. ამ დიდი ცისა და მიწის შუა წერტილივით პატარა და უჩინარი ადამიანი.

ტყიბულამდე ისე ჩააღწიეს, სოფრომმა ენა ვერ მოიბრუნა, სათქმელი ვერ უთხრა. როცა რკინიგზის პატარა სადგურში ზარი მეორედ დარეკეს, მაშინლა გაბედა:

— შენთან სიტყვა მაქვს, აქამდე ვერ მოვახერხე...

ავადმყოფურად წყნარი და უბირი, დიდთავა სერაპიონი მოშორებით იდგა, ცხენს აოკებდა და მამა-შვილის საუბარს არც უგდებდა ყურს. ის თავის სამყაროში იყო ჩაფლული, ალბათ, იმას ფიქრობდა, პანტას და მაჟალოს ტყეში წელს რატომ არ ესხა, ანდა ეს მატარებელი უხარებოდ როგორ დადიოდა.

სოფრომმა თუთუნი გაახვია, მოუკიდა და მადიანად გააბოლა.

— ფრთხილად იყავი, თავი არ დაიღუპო! — დინჯად თქვა და შვილს ირიბად გადახედა.

აბელმა მამის ნათქვამი არც გაიკვირვა, არც რაიმე ჰკითხა. იგი დუმდა. სოფრომმა განაგრძო:

— მამასახლისი რომ მოვიდა, შენ წიგნები დამალე. ვიცი, მაგისთანა წიგნებისათვის სად აგზავნიან ხალხს...

სოფრომს ხმა უთრთოდა, მიწას ჩაჰყურებდა და ნერწყვს ძლივს ყლაპავდა. აბელს მამისადმი სიყვარული და სინანული ერთად შემოენთო გულზე. ისე ეჩვენებოდა, თითქოს ეს ზორბა კაცი ამ წუთში ერთბაშად დაჩიავებულიყო.

— მთა და ბარი ვის გაუსწორებია, შენ გაასწორო. ვერც სხვები გაასწორებენ. საწყალი კაცის დრო არც დამდგარა და არც დადგება, ღმერთმა დააწესა ასე. თვითონ უფალმა ბრძანა, ერთი ვით ვაცხონო, თუ მეორეს არ წავწყმენდო. აბა, დააკვირდი, — სოფრომმა ფართო, დაკოჟრილი ხელის გული გაშალა, — რომელი თითია თანაბარი, არც ერთი. ცხოვრებაც ასეა.

აბელმა მამას შეხედა და გაიცინა.

— ეჰ, მამაჩემო, ეგ იმათი მოგონილია, ვისაც ასეთი „სიბრძნე" ხელს აძლევს. ღვთის სახელით ჩასჩიჩინებენ, რომ საწყალი ხალხი უფრო ადვილად გაპარსონ და დაიმონონ.

სოფრომი ჩაფიქრდა. აღარ იცოდა, რა ეპასუხა. აბელს უფრო შეენანა მამა.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, შვილო, თუ რამ ხიფათს გადაეყარო, აქეთ წამოდი. ისე ვწიროთ, როგორც ჩვენს წინაპრებს უწირიათ. ოღონდ არ გამამწარო...

— ფიქრი ნუ გაქვს, სადაც ქვეყანა, მეც იქ.

სადგურზე მესამედ დარეკეს ზარი. ორთქმავალმა შეჰკივლა. აბელი მამას გადაეხვია და გადაკოცნა. სერაპიონიც მივარდა, სწრაფად აკოცა ძმას და ისევ განზე დადგა.

გაისმა სტვენა. მატარებელმა თანაბარი რხევით ჩაუარა ბაქანს და თანდათან სვლას უმატა. პრიალა ბორბლები რიტმულად მიძაგძაგებდნენ ლიანდაგებზე. კიბეზე შემდგარ აბელს ისე მოეჩვენა, თითქოს ბაქანი დიდი ტივი იყო და ზედ მოფუსფუსე ხალხიანად უკან-უკან მიტორტმანებდა. იმ ტივ-

ზე იდგა მამამისიც, ეული და შემსარავი ეჭვით გათანგული.

მზე უკვე ჩასულიყო და დასალიერს ცეცხლი ეკიდა.

აბელი კუპეში შევიდა. მგზავრთაგან იქ არავინ იყო. ერთხელ კიდევ გახედა ფანჯრიდან სივრცეს. უკან დარჩენილიყო პატარა ქალაქი. ფეხაკრეფით მოიწევდა ბინდი.

ორთქმავალი მიხვნეშის და მიჰკივის გზას.

აბელი კი წევს და თითქოს მთვარის მკრთალ შუქზე კითხულობს თავის ჯერ კიდევ მოკლე და ღარიბული ცხოვრების წიგნს.

4.

— გამარჯობა, ძმა! — ვიღაც მიესალმა ზურგიდან აბელს.

იგი მიბრუნდა და ფერგადალეული, ჩია ტანის ბიჭი შერჩა ხელში.

— გაგიმარჯოს! — უპასუხა აბელმა და ბიჭი თავით ფეხამდე შეათვალიერა. ვერ გაეგო, რა უნდოდა ამ უცხო ბიჭს.

— მე თომა ბაბილოძე ვარ. ლანჩხუთიდან. ერთ ოთახში უნდა ვიცხოვროთ და ვიცნობდეთ ერთმანეთს.

— კეთილი და პატიოსანი, — მიუგო აბელმა, — მე აბელ ენუქიძე გახლავარ, ონის მაზრიდან.

ასე გაიცნეს ერთმანეთი მიხაილოვის სახელობის რკინიგზის სახელოსნოს ტექნიკური სასწავლებლის საერთო სახოვრებელში აბელმა და თომამ. ტოლი ბიჭები იყვნენ, თვრამეტი წლისანი, მაგრამ ბაბილოძე, სევდიანი ავადმყოფური სახის გამო თუ რაღაც სხვა მიზეზით, დარბაისელი, დაბრძენებული კაცი გეგონებოდათ, ვინც ცხოვრებამ ბევრჯერ გვემა და თავის სიღრმეშიც ჩაახედა.

თომა თითქმის ყოველ საღამოს იკარგებოდა, გვიან ღამით ბრუნდებოდა დაღლილი, ხმაწართმეული და მკვდარივით მიიძინებდა. ეგ იყო, ხანდახან ძილში წამოახველებდა. აბელმა ეჭვით იცოდა, რომ სადღაც ფარულ წრეში დაიარებოდა, მარქსისტული წრეები ფართოდ იყო მაშინ გავრცელებული სასწავლებლებსა თუ ორგანიზაციებში, მაგრამ თომას ამაზე არც არაფერს ეკითხებოდა და არც რაიმეს იმჩნევდა, გუმანი ჰკარნახობდა, რომ თვითონ თომა გაუმხელდა ყველაფერს.

მართლაც, ერთ კვირის თავზე თომამ უბიდან პატარა წიგნი ამოიღო და მისცა:

— აბელ, ეს წიგნი ისე წაიკითხე, არავინ დაგინახოს. წაიკითხავ თუ არა, მაშინვე დამიბრუნე.

აბელმა წიგნი საიმედოდ დამალა და სასწავლებელში ისე წავიდა. იმ დღისით ორი გაკვეთილი გაუცდათ, ღვთისმეტყველება და ორთქლის მექანიკა. აბელი შინ გამოიქცა, ოთახში ჩაიკეტა და ის წიგნი გადაშალა. „ოთხი ძმა“, ასე ერქვა მას. სათაურის ქვეშ წვრილი ასოებით ეწერა: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

ამ წიგნში მოთხრობილი იყო ოთხი ძმის ამბავი — ივანეს, სტეფანეს, გიორგისა და ლუკასი. ისინი თავისთვის ცხოვრობდნენ ტყეში და ადამიანი არც კი ენახათ. ერთ დღეს სამი ძმა სანადიროდ წავიდა, მეოთხე შინ დატოვეს. ტყეში დათვი შეხვდათ, მაგრამ ხელთ ვერ იგდეს. გზა აერიათ, ხეზე ავიდნენ და პირველად იქიდან დაინახეს სოფლები, მინდვრები, ყანები. აქა-იქ ადამიანები ხნავდნენ, ხოდაბუნებში საქონელი სძოვდა, გზებზე დატვირთული ურმები მიჭრიალებდნენ.

— აი, საკვირველება! — წამოიძახა გიორგიმ.

— აი, ბედნიერება სად იქნება! — გაეპასუხა სტეფანე.

— აი, მშვიდობიანი ცხოვრება სად იქნება! — დაატანა ივანემ.

— თურმე ცხოვრება სად ყოფილა და ჩვენ კი ამ ვერანა ტყეს მივჩერებივართო.

წამოვიდნენ გახარებული ძმები სახლში, ლუკაც წაიყვანეს და გავიდნენ სოფელ-ქვეყანაში. პატარაზე რომ გაიმანძილეს, გზაზე ურემი გამოჩნდა, მეურმე მღეროდა, მაგრამ ვაი იმ სიმღერას, პირდაპირ კვნესა იყო. უკუღმართ წუთისოფელზე მოსთქვამდა მეურმე:

> წუთისოფელმა დღე ჩემი,
> სიმწარით დამალევინა,
> არც მომკლა, არ დამარჩინა,
> არც სული დამალევინა.

გაოცებულმა ძმებმა ერთმანეთს შეხედეს, ეს სადაფრი ბედნიერების სიმღერაა. გამოელაპარაკენ მეურმეს და მაშინ შეიტყვეს, რომ ეს ქვეყანა უთანაბრო იყო. ერთი ხარობდა, მეორე იტანჯებოდა. ერთი მაძღარი იყო, მეორეს შიმშილით

სული ხდებოდა. ძმებმა მეურმეს არ დაუჯერეს, ეს როგორ იქნებაო.

გაიარეს კიდევ ცოტა მანძილზე და კვლავ მოესმათ სიმღერა. მოდის მოხუცი, მოდის და ისე გულსაკლავად მღერის, ისე ნაღვლიანად, რომ ოთხივე ძმას ლამის ცრემლი წამოსცვივდათ. ის კაციცს იმას მღეროდა, გლეხკაცისთვის ირგვლივ სიცივე, შიმშილი და უსამართლობა სუფევსო. ძმები დარწმუნდნენ, რომ, სადაც ბედნიერებაა, იქ არ შეიძლება ასეთი სიმღერა იყოსო და ოთხივენი სხვადასხვა მხარეს წავიდნენ. წავიდნენ და ნახეს, რა უსამართლოდ ექცეოდნენ მშრომელ კაცს. რომ მთელი ქვეყანა მართლაც ორნაირად იყო გაყოფილი — მდიდრებად და ღარიბებად, რომ მდიდარი ბატონობდა ღარიბზე, რომ კანონი მხოლოდ ღარიბებზე ვრცელდებოდა. გაოცებული ძმები ფიქრობდნენ, ეს ხალხი რატომ ითმენს ამდენს, რატომ არ შეერთდებიან და მონობის უღელს არ დალეწავენო. და ოთხივემ სიმღერით მოუწოდა ხალხს აღმდგარიყვნენ და დაემხოთ უსამართლობა.

პირველი რვეული

წიგნი „ოთხი ძმა“ თომა ბაბილოძემ წამაკითხა პირველად. ჩემს მეხსიერებაში სამუდამოდ ჩარჩა სიტყვაძუნწი, მოღვრემილი ჭაბუკი. პირველად იგი შორიახლოდან მზვერავდა, სანდო ვიყავი თუ არა, მერე კი ნელ-ნელა გადამიშალა გული. მისი უფროსი ძმა„ კრასნოგორსკაია კომუნის“ საიდუმლო წრეებში დაიარებოდა თურმე და თომას იმისგან მოჰქონდა აკრძალული წიგნები.

ის წიგნი რომ წავიკითხე, ელეთმელეთი მეცა, მაგრამ შიშმა მალე გამიარა და ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს სხვა ადამიანად გადავიქეცი. იმ ადამიანად, ვისაც უცებ აეხილა თვალი და ჭეშმარიტად დაინახა მთელი სამყარო, დაინახა ის, რაც მის ირგვლივ ხდებოდა. დიდება შენდა განგებავ, რა ძალა აქვს ამ პატარა წიგნს.

გული მიღელავდა და ერთი სული მქონდა, როდის შევხვდებოდი თომას. იმ ღამით იგი ჩვეულებრივ გვიან დაბრუნდა. მეორე დილას მკითხა:

— წაიკითხე?

— წავიკითხე. დიდი მადლობა, ჩემო თომა, ასეთი წიგნი რომ წამაკითხე. იქნება კიდევ მომიტანო ამნაირი წიგნი.

იქ წაგიყვან, სადაც ასეთ წიგნებს ვკითხულობთ. ეს ფარული წრეა.

— მერე, რას აკეთებენ ეს ფარული წრეები?

— იქ ვსწავლობთ, რატომ ცხოვრობს ხალხი დუხჭირად და რა გზით ცდილობენ ახალი, უკეთესი ცხოვრების შექმნას.

გაოცებული ვუყურებდი მის ფერმკრთალ სახეს, ნაღვლიან თვალებს, ახლა რომ ალერსით მიღიმოდნენ და უცებ, არ ვიცი, სინანულისა თუ სიხარულისა, ცრემლი მომადგა.

— როდის წამიყვან იმ წრეში?

— ორ დღეში, მანამდე კი აი, ეს წიგნიც წაიკითხე. — და მან პატარა ბროშურა გამომიწოდა.

ასე დამთავრდა იმ დღეს ჩვენი საუბარი. როცა მარტო დავრჩი, უცნაურმა მღელვარებამ შემიპყრო. გაკვეთილებმა როგორ ჩაიარა, არც მახსოვს, არც ერთი საგანი აღარ მიზიდავდა, რომელსაც სასწავლებელში მასწავლიდნენ. იმაზე ვფიქრობდი, რას აკეთებდნენ იმ ფარულ წრეებში, როგორ და რა გზით ტდილობდნენ ახალი, უკეთესი ცხოვრების შექმნას. და ის ადამიანები სულ სხვა, უჩვეულო ადამიანებად წარმომედგინა. მოუთმენლად ველოდი, ის ორი დღე როდის გავიდოდა. მანამდე კი: აჩრდილი დადიოდა ევროპაში — აჩრდილი კომუნიზმისა... მანამდე: ხან მალულად, ხან აშკარად ებრძოდნენ მჩაგვრელი და ჩაგრული ერთმანეთს, ბატონი და ყმა, პატრიცი და პლებეი. მანამდე: ყველა იმ კლასთა შორის, ბურჟუაზიის პირისპირ რომ იდგნენ, მხოლოდ პროლეტარიატი იყო ნამდვილი რევოლუციური კლასი...

ვინ იცის, მერამდენედ ვკითხულობდი ერუანტელისმომგვრელ იმ პატარა წიგნს, თომამ რომ მომცა მეორედ და თან მოლოდინით გული მიფანცქალებდა, როდის გავიდოდა ორი დღე.

და დადგა ჩემთვის დაუვიწყარი ის დღეც. ოქტომბრის თბილი საღამო იყო. მიხაილოვის ქუჩას ფეხით გავუყევით და სულ რაღაც ნახევარ საათში ნაძალადევში ამოვყავით თავი. უკვე ბინდდებოდა. მყუდრო ქუჩაზე აღარავინ მოძრაობდა.

ერთ პატარა სახლთან შევჩერდით. სახლის წინ პატარა, გაბარდული ბაღჩა იყო. ორ ვიწრო ფანჯარას იასამნის ტოტები ფარავდა.

თომამ ხელით მანიშნა, შემოდიო, და ხის მონჯღრეული კარი შეაღო. ბუჩქნარში მიმავალი ვიწრო ბილიკი გავიარეთ და საკმაოდ მოზრდილ ოთახში შევედით. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა აქ თავმოყრილ ათიოდე კაცში დიმიტრი ბაქრაძე და ორიოდე ჩემი სასწავლებლის მოსწავლე ვიცანი. დიმიტრიმ გამიღიმა, ბეჭებზე ხელი დამკრა და მითხრა.

— დღეიდან ერთად ვიქნებით.

— მე კი არ ვიცოდი, თუ შენც აქ დადიოდი. — ვუთხარი დაბნეულმა.

დიმიტრი ბაქრაძესთან მეგობრობა მქონდა, მაგრამ ერთხელ არ გაუმხელია, თუ ფარულ წრეში დაიარებოდა. და მაშინ მივხვდი, რომ თომა ბაბილოძემ მისი რჩევით მიმიყვანა იქ.

— ეს ჩემი მეგობარი გახლავთ, აბელ ენუქიძე, ამხანაგო ლადო. — მიმართა დიმიტრიმ წვერმოშვებულ, ზორბა ტანის ახალგაზრდას. მან გამიღიმა და ხელი გამომიწოდა.

მაშინ გავიცანი პირველად ლადო კეცხოველი. ჩემზე ხუთიოდე წლით უფროსი თუ იქნებოდა. საშუალოზე ოდნავ მაღალი იყო, მხარბეჭიანი. დაძარღვული, ძლიერი კისერი და დაკუთხული ნიკაპი კიდევ უფრო ვაჟკაცურ იერს აძლევდა, მაგრამ ყველაზე მეტად მაშინ მოვიხიბლე, როცა მას ვუსმენდი. მისი ოდნავ ჩახლეჩილი, მაგრამ მკვეთრი ხმა თითქოს წარსულიდან აღწევდა ჩემს ყურამდე, იმედს მიღვიძებდა და რწმენას მინერგავდა. სხვებთან ერთად სულგაკმენდილი ვუსმენდი და თვალწინ მესახებოდა ყველა ხალხის წმინდა საქმე— თავგანწირული ბრძოლა თავისუფლებისათვის. ეს ბრძოლა კი დიდ მსხვერპლს ითხოვდა, საკუთარი სისხლით უნდა განგვეგბანა დედამიწა, რათა ნათელ და სამართლიან ცხოვრებას გაემარჯვა.

— დადგება დრო და არც თუ ისე გვიან, — ამბობდა ლადო, — ყველა ქვეყნის მუშები ამაყად და მტკიცედ იტყვიან: ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია, კმარა, მჩაგვრელო, გეყო, რაც გვატყუე და სისხლი გვწოვე, დაგიდგა განკითხვის

დღე! გაიხსენეთ, მეგობრებო, რა უთხრა ერეკლე მეორემ თავის მეომრებს ბრძოლის წინ. იმისთვის, რათა ორიოდე დღით სიცოცხლე გავიხანგრძლივოთ, მტერთან ბრძოლაში თავს ნუ შევირცხვენთო. სჯობია, ბრძოლაში დავიხოცოთ, ვიდრე ვიღაცამ გვჩაგროს და დაგვამციროს. ჩვენ შეიძლება აღარ ვიყოთ, მაგრამ ჩვენს შთამომავლობას ავაცღენთ დამცირებას.

— სწორია!

— მხოლოდ ბრძოლა გამარჯვებამდე!

თავი სიზმარში მეგონა, მღელვარებისგან თუ სიხარულისგან ცრემლი მადგებოდა თვალზე და უნებურად ვკუმშავდი მუშტებს.

აი, იმ დღეს მოვინათლე პირველად, როგორც რევოლუციონერი, იმ დღეს საბოლოოდ ავირჩიე ის გზა, ნარ-ეკლით რომ იყო მოფენილი, დიდ მსხვერპლსა და ტანჯვას რომ მოითხოვდა, მაგრამ რომელსაც ვერასოდეს ვერ ვუღალატებდი, რამეთუ ნათელი მიზნისკენ მიდიოდა. უკვე ბუნდად მესმოდა წრის წევრთა კამათი, ვიღაცა მონების აჯანყების ამბავს კითხულობდა, მე კი იმაზე ვფიქრობდი, რას გავაკეთებდი მომავალში, რით დავეხმარებოდი იმ კეთილ ძალას, ამ დამყაყებულ ჭაობს რომ ებრძოდა, ამაზედაც ისევ ლადომ გამცა პასუხი: როცა ვიშლებოდით, გამოთხოვებისას მითხრა:

— გახსოვდეს, რევოლუციონერმა ბევრი რამე უნდა იცოდეს. მარტო იარაღითა და ძალით ვერ ვძლევთ ბოროტებას და ვერც სამოთხეს შევქმნით დიდი ცოდნისა და განათლების გარეშე. უნდა ვისწავლოთ და ვასწავლოთ სხვასაც.

იქიდან დაბრუნებულს ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს მთელი ცა მე მეჭირა მხრებით, იმ ახალბედა ჯარისკაცს ვგავდი, ვინც ფიცით ჩარიცხეს საომარ რაზმში და დიდი ბრძოლები ელოდა წინ.

იმ დღიდან ჩემი ბედისა და ცხოვრების ჩარხი სხვანაირად შებრუნდა. სამოსწავლო საგნებზე გული ავიყარე, წიგნებს დავეწაფე და ბეჯითად ვეუფლებოდი რუსულ ენას.

5.

მაისი უჩვეულოდ ლამაზი იყო. მწვანედ დარახტული გაზაფხული საზეიმო ჭიხვინით შემოიჭრა თბილისში.

— როგორ მიყვარს ეს დრო, — ეუბნებოდა თომა აბელს,— იასამანი რომ აყვავდება და მიწიდან ლორთქო ბალახი ამოსკდება, ჩემს ჭკუაზე აღარა ვარ. მაშინ ვგრძნობ სიცოცხლის წყურვილს და... — თომამ ხმას დაუწია, — სიკვდილის შიშსაც. ახლა გურია მთლად გადამწვანებული იქნება. როგორ მომენატრა იქაურობა.

თომამ ამოიოხრა, გვერდი იბრუნა, განზე გაიხედა და სევდიანად წაიღიღინა: ბახმაროს მთები დაუთოვია, ჩემს შეყვარებულს სხვა უთხოვია, იტირე სულო, იტირე გულო, იტირე ჩემო შეყვარებულო... რათ იგვიანებს დიმიტრი, აბელ?

— მოვა, ალბათ რიგია ბილეთებზე.

ერთი კვირაა, რაც თომა საავადმყოფოდან გამოწერეს. ექიმებმა ურჩიეს სასწრაფოდ დაეტოვებინა ქალაქი და მშობლიურ გურიაში გამგზავრებულიყო, ხოლო ზაფხული ბახმაროს მთის ჰაერზე გაეტარებინა. თომა ჯიუტობდა, ქალაქიდან წასვლა არ უნდოდა, მაგრამ როცა ხველებამ ისევ უმატა და დასუსტდა, მეტი რაღა გზა ჰქონდა, ექიმების რჩევა ყურად უნდა ეღო.

სწორედ იმ ხანებში თბილისს ელვის სისწრაფით მოედო ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალების ამბავი. 12 მაისს ყველა გაზეთი მწუხარებით იუწყებოდა: ოცდათოთხმეტი წლის ასაკში, როცა მისი ტალანტი იფურჩქნებოდა, ჭლექით და შიმშილით გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ბელეტრისტი ეგნატე ნინოშვილი, მისი დაკრძალვა მოეწყობა 15 მაისს მწერლის მშობლიურ სოფელ ჩოჩხათშიო.

დედაქალაქიდან ბევრი სახელწარჩინებული გაემგზავრა გურიაში. მაშინ გადაწყვიტეს აბელმა და დიმიტრი ბაქრაძემ მეგობარიც ჩაეცილებინათ გურიაში და ნინოშვილის დაკრძალვასაც დასწრებოდნენ.

— ჩემი სოფელი შუხუთი იქვეა, ჩოჩხათის გვერდით. — ეუბნებოდა გახალისებული თომა მეგობრებს.

თოთხმეტ მაისს, საღამოს, გავიდნენ სამივენი სადგურზე და ბათუმისკენ მიმავალ მატარებელს გაჰყვნენ.

ხველებამ არ დააძინა მთელ ღამეს თომა.

აბელსა და დიმიტრისაც გაუფრთხათ ძილი. მისი ცოდვით იტანჯებოდნენ, მაგრამ ვერაფერს შველოდნენ. შუაღამისას, როცა თომამ ღრმად ჩაიძინა, დიმიტრიმ თავი გადააქნია და აბელს უჩურჩულა:

— მიმძიმს ამის თქმა, ჩემო აბელ, მაგრამ თომას აღარაფერი ეშველება. — და სევდიანად გააგრძელა, — ეგნატე ნინოშვილიც შიმშილმა დააწვლექა. — დიმიტრიმ პასუხი ვეღარ მიიღო. აბელს უკვე ეძინა.

დიმიტრიმაც ჩაიძინა. როცა გამოიღვიძეს, უკვე გვარიანად გათენებულიყო. იშვიათი დღე იდგა. მზე შემაღლებულიყო. მატარებელი კოლხეთის დაბლობზე მიჰქროდა. ცერებზე ცეკვევდა კოლხური გაზაფხული. გურიის მთები ამწვანებულიყო.

პატარა სადგურის მოედანზე ეტლები და ფაიტონები ჩამომდგარიყვნენ და მუშტარს უხმობდნენ. იმ დღეს თითქმის ყველა მგზავრი ჩოჩხათში მიემგზავრებოდა, ეს ამბავი მეეტლეებმა კარგად უწყოდნენ და გაჰკიოდნენ, აბა, ჩოჩხათში ვინ მოდისო.

მოხერხებული, მკვირცხლი დიმიტრი რომელიღაც ეტლთან მივარდა, მეეტლეს, ხელსაყრელ ფასში მოურიგდა, ეტლზე მოიკალათა და მეგობრებს ღიმილით დაუქნია ხელი, ჩქარა მოდითო.

— აბა წავედით, თომა! — მიუბრუნდა აბელი მეგობარს, მაგრამ ის გაშეშებული იდგა და პოლიციელებს აკვირდებოდა, ასე მრავლად რომ ირეოდნენ ამ პატარა სადგურში.

— ამდენი პოლიცია შემთხვევით არ არის დღეს აქ, აბელ. ჯაშუშიც ბევრი იქნება. აბა, შეხედე, რა ყურადღებით აკვირდებიან ხალხს. ნინოშვილის დაკრძალვა ამბოხებად გადაიქცევა. ალბათ „მესამე დასელები“ გამოვლენ სიტყვებით.

ეტლი დაიძრა. მგზავრთა დუმილში, მიცვალებულისკენ მიმავალი გზა რომ იწვევს, როგორც იქნა დაილია მანძილი და აგერ სიმწვანეში ჩაფლული სოფელიც. სოფლის შუაგულში დიდი ეზო და ღარიბული ოდა. ეზოში უამრავი იასამანი აყვავებულა და ირგვლივ მისი ნაზი სურნელი იფრქვევა. ირგვლივ მილეთის ხალხია.

მიცვალებულთან უკვე დაწყებულა გამოთხოვება. რიგი დუმილით მიიწევს.

თომა წინ წაუძღვათ, აბელმა დიმიტრის ჩაჰკიდა ხელი და ისე მიჰყვნენ რიგს. ოთახს რომ მიაღწიეს, აბელს თვალში მოხვდა უსწორმასწორო, დროთა განმავლობაში ჩაჟამებული ხის კედელი. წინ მიმავალი ხალხი ეფარებოდა და მიცვალებულს ჯერ ვერ ხედავდა. ერთბაშად გამოჩნდა წითლად შეღებილი უბრალო კუბო, თითქმის ყვავილებით დაფარულ მიცვალებულს ყველაზე ნათლად სახე მოუჩანდა. ფართო შუბლზე წვრილი, ლურჯი ძარღვები ერთმანეთში გადახლართულიყვნენ. ლოყები ჩაღრმავებოდა, თითქოს ზედ შიმშილის ჭინკა როკავდა. აბელი გააოცა მიცვალებულის ხნოვანებამ, მის წარმოდგენაში მიცვალებული ყოველთვის თეთრთმიანი და თეთრწვერიანი უნდა ყოფილიყო, როცა მან დაინახა შავთმიანი, სრულიად ახალგაზრდა კაცი, გაოცება და შიში ერთად დაეუფლა. ადრევე იცოდა, რომ ეგნატე ნინოშვილს უდროოდ მოუღო ბოლო ჭლექმა, მაგრამ აქამდე ვერ წარმოედგინა ის, რაც ამ წუთში იხილა.

მიცვალებულის სახეზე უზომო ტანჯვა ასახულიყო, თითქოს სიცოცხლის უკანასკნელ წუთს ვინმეს რაღაცას ევედრებოდა და ისე მიიცვალაო.

რამდენიმე წუთში ცხედარი გამოასვენეს და პროცესიამ პატარა სასაფლაოსკენ დაიძრა, სოფლის თავში რომ მდებარეობდა.

სხვებთან ერთად აბელიც მიჰყვებოდა კუბოს, თან მეგობრებს ათვალიერებდა, არ ავცდეო და გუმანით გრძნობდა, რომ აქ თავმოყრილ ხალხში რაღაც უჩვეულო უნდა მომხდარიყო და მართლაც, როცა სასაფლაოზე კუბო დაასვენეს, თითქოს წინასწარ აქვთ დათქმულიო, ხალხი ერთ ადგილას შეეუჩდა და მოლოდინით გაინაბა. მალე ბრბოს გამოეყო საშუალო ტანის ცილინდრიანი ჭაღარა კაცი და ბექობზე შედგა.

— გიორგი წერეთელი! — წაიჩურჩულა ხალხში ვიღაცამ.

აბელს გიორგი წერეთლის „პირველი ნაბიჯი" წაკითხული ჰქონდა, ისიც იცოდა, რომ მან პირველმა შექმნა საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „მეორე დასი", სადაც ახალგაზრდობა იყო გაერთიანებული.

გიორგი წერეთელმა ცილინდრი მოიხადა, ჩაახველა და დაიწყო:

— ამხანაგებო, ძმებო! დღეს ჩვენ საუკუნოდ ვეთხოვებით

სრულიად ახალგაზრდა ნიჭიერ მწერალს, ვინც თავისი დიდებული ნაწარმოებებით ამხილა რუსეთის თვითმპყრობელობა. ნინოშვილმა, როგორც მწერალმა და რევოლუციონერმა, დიდი ღვაწლი დასდო თავის ხალხს. მან პირველმა დააარსა საქართველოში მარქსისტული ორგანიზაცია—„მესამე დასი". ეგნატე ნინოშვილის უდროო სიკვდილი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, თუ ადამიანები როგორ იჩაგრებიან შავბნელი ძალებისაგან. ნინოშვილი კიდევ ერთი მსხვერპლია თვითმპყრობელობისა. უკუღმართი ცხოვრება აიძულებდა აღნაგობით სუსტ ადამიანს, შავ მუშად ემუშავა როტშილდის ქარხანაში. მაზრიდან მაზრაში ეწანწალა ლუკმაპურისათვის. დღეს ჩვენ ეგნატე ნინოშვილის სახით ერთი მაგალითი გვიდევს წინ იმისა, თუ როგორ იწირავს ადამიანებს თვითმპყრობელობა, მაგრამ ამისთანა მაგალითი ბევრი ვიცით, ბევრის მოწმენიც გავხდებით ხვალ და ზეგ, ამხანაგებო, თუ ყველანი არ აღვიმაღლებთ ხმას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. თუ ცხვრებივით ვითმინეთ მოუთმენელი. დადგა დრო, ძმებო, რათა ყველა ქვეყნის ადამიანები შეერთდენ თვითმპყრობელობისა და შავბნელი ძალების დასამხობად. გაუმარჯოს თავისუფლებას, ძირს თვითმპყრობელობა!

— ძირს თვითმპყრობელობა! — იხუვლა ხალხმა.

— გაუმარჯოს თავისუფლებას!

— გაუმარჯოს ძმობას და ერთობას! — და აბელმა დაინახა ახალგაზრდა ტანმომცრო ქალმა პატარა წითელი დროშა როგორ აღმართა.

— ეს ქალი ებრაელია. ჩემს სოფელში ერთი მასწავლებელი ცხოვრობს დოლიძე და იმის ცოლია. რუსეთიდან ჩამოიყვანა. ორივენი რევოლუციონერები არიან.—ჩასჩურჩულა თომამ აბელს.

— მორჩა,—თითქოს თავისთვის თქვა აბელმა, — ამ ხალხს ვეღარაფერი ვეღარ შეაჩერებს, ჩემო თომა.

მეორე რვეული

იმ დღეს მივხვდი, რომ თვითმპყრობელობას დიდი დღე აღარ ეწერა. ვეღარაფერი იხსნიდა მას. რამოდენა ძალაა ხალხში, თუკი ისინი პირს შეკრავენ და გაერთიანდებიან.

ეგნატე ნინოშვილის დაკრძალვა ნამდვილ ამბოხებად იქცა. ხალხი აშკარად და უშიშრად აგინებდა თვითმპყრობელობას. მეგონა, პოლიცია მოვიდოდა და ხალხს დაშლიდა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. გიორგი წერეთელმა რომ სიტყვა დაამთავრა, მიცვალებულის კუბოსთან თავი მოიყარეს ახალგაზრდებმა, ეს ის თაობა იყო, ოთხოცდაათიან წლებში რომ გამოვიდნენ რევოლუციურ ასპარეზზე. გაისმა სილიბისტრო ჯიბლაძის ხმაც, ვინც „ახალი დასის“ სამოღვაწეო პროგრამა ჩამოაყალიბა.

— ჩვენი აწინდელი ცხოვრება, — ამბობდა ის, — წარმოადგენს ორ ახალ, ერთიმეორის მოწინააღმდეგე წოდების კლასს. ერთი მხრით — ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელნი, მეორე მხრით მუქთახორა, ბურჟუა კაპიტალისტები. პირველთა ხვედრია აუტანელი შრომა-გარჯა, მეორეთა კი დასაკუთრება ამ შრომის ნაყოფისა.“

სილიბისტრო ჯიბლაძე მიხა ცხაკაიამ შეცვალა, მერე „ივერიის“ წარმომადგენელი ყიფშიძე გამოვიდა და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა „მესამე დასიდან“.

გვიან დავიშალენით. იმავე საღამოს მე და დიმიტრიმ თომა შუხუთში გადავაცილეთ. უბრალო ხის სახლი ედგა თომას, მაგრამ ეზო ჰქონდა ისეთი ლამაზი, ხეხილით დაბურული, მის ნახვას არაფერი სჯობდა. თომას ხანშიშესული დედ-მამა ჰყავდა. შვილის დანახვაზე დედამ ტირილი მორთო, გულში იკრავდა და ეუბნებოდა, შემომფიცე, რომ ქალაქში აღარ წახვალო. მე და დიმიტრი სოფელ ნიგოითში ვაპირებდით გადასვლას, სადაც მეორე დღეს მიხა ცხაკაიას მეთაურობით „მესამე დასის“ კრება უნდა გამართულიყო, მაგრამ ვინ გაგიშვა. თომას მამა კარებში ჩაგვიდგა, დედამისმა კი ისე შეიცხადა ეს ამბავი, თითქოს მათი შვილისა და ოჯახის მხსნელები ჩვენ ვიყავით.

ეზოში პატარა ტაბლა გამართეს და სწორედ მაშინ, ვარს-

კვლავებით მოჭედილ ცის ქვეშ სამივემ დავდეთ საუკუნო ფიცი, რომ სიკვდილამდე ვიბრძოლებდით თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ადამიანის თავისუფლებისათვის. კარგად გვესმოდა, რასაც ნიშნავდა ეს ფიცი, მთელი ცხოვრება ბეწვის ხიდზე უნდა გვევლო, უარი გვეთქვა ყველა ამქვეყნიურ სიამოვნებაზე, ფიცი კი დავდეთ, მაგრამ თომა იმის შემდეგ აღარ მინახავს, რამდენიმე თვის შემდეგ გავიგე, რწმენითა და ოცნებით სავსე ჭაბუკი ცოცხალთა შორის აღარ იყო.

6

აბელმა გვიან გაიღვიძა. კედელზე ჩამოკიდებული საათის ისრები თორმეტთან დატყუპებულიყვნენ. ნახევრად ბნელ ოთახს მოატარა თვალი და თითქოს ახლაღა შეამჩნია პირველად, იქაურობა როგორ გამოტენილიყო წიგნებით. ამ ბოლო დროს იმდენი წიგნი და ჟურნალი დაუქუჩდა, ოთახში აღარ ეტეოდა. მაგიდაზე, სკამებზე, იატაკზე, საწოლის ირგვლივ წიგნები მოფანტულიყო.

სხეულში მოთენთილობას გრძნობდა, თავი ისე უბრუოდა, როგორც ნამთვრალევს. შუაღამით დაბრუნდა წუხელ რკინიგზის მთავარი სახელოსნოდან, სადაც ორი თვის წინ დაიწყო მუშაობა საამწყობო საამქროში მექანიკოსად და ეს-ეს არის ჩამოაყალიბა მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრე. ეს იყო ჯერ-ჯერობით ერთადერთი, რაც დამოუკიდებლად შექმნა ოცი წლის აბელმა იმ გზაზე, რომელსაც სამიოდე წელია დაადგა. იგი ამ წრის შემქმნელიც არის, აგიტატორიც და პროპაგანდისტიც.

„ნიჟნიგოროდსკი ლისტოკში“ დაბეჭდილი გორკის ნარკვევი საგანგებოდ თარგმნა და ის წაუკითხა წუხელ მუშებს. ამ ნარკვევში აღწერილია შემაძრწუნებელი სურათი, თვითმპყრობელობამ ოთხი წლის წინათ სახრჩობელაზე როგორ დაჰკიდა ორი გორელი გლეხი, სანდრო ხუბულური და ტატე ჯიოშვილი. ამ სამგვერდიან ნარკვევს სულმოუთქმელად უსმენდნენ მუშები. უკვე მერამდენედ წაკითხულს თვითონ აბელიც განიცდიდა და თან იმასაც ფიქრობდა, როგორ იმოქმედებდა წრის წევრებზე. როცა კითხვა მოათავა, ყველა გა-

სუსული იყო, ეტყობოდა, მძაფრად იმოქმედა ამ მართლაც შემაძრწუნებლად აღწერილმა სურათმა.

— ეს მაქსიმ გორკის ნაწერი გახლავთ, — განუმარტა აბელმა, როცა დაინტერესდნენ, ვინ იყო ავტორი. და მერე მოკლედ უამბო ალექსანდრე მაქსიმეს ძე პეშკოვის ბიოგრაფია, დინჯად უყვებოდა რამდენი ტანჯვა გამოიარა ცხოვრებაში, რამდენგან მუშაობდა უბრალო მუშად, რამდენი იხეტიალა და ბოლოს, ხუთი წლის წინათ, როგორ ჩამოვიდა თბილისში და როგორ დაიწყო მწერლობა. რომ გორკი ისეთივე უბრალო მუშა იყო, ისეთივე უბრალო ადამიანი, როგორიც ამ წრის წევრები.

აბელს მაქსიმ გორკი პირადად არ ენახა, მაგრამ ეს ყველაფერი უფროსი ამხანაგებისგან ჰქონდა მოსმენილი, ვისაც პირადი ურთიერთობა ჰქონდა თბილისში ჩამოსულ მწერალთან და ისიც იცოდა, რომ გორკი თავად შეესწრო გორში ამ ორი გლეხის ჩამოხრჩობას.

საწოლიდან გადაწვდა, და ჟურნალ „კვალის“ უკანასკნელი ნომერი გადმოიღო.

ეს ჟურნალი გიორგი წერეთელმა დააარსა და „მესამე დასელები“ შემოიკრიბა, მაგრამ დროთა განმავლობაში, როცა ჟურნალიც და „მესამე დასიც“ ნამდვილ მარქსისტულ მოძღვრებას დასცილდნენ, ბევრი მოღვაწე განზე გაუდგა. გიორგი წერეთელიცა და „კვალის“ რედაქციაც არა მალავდა, რომ მათ სურდათ მარქსიზმი გამოეყენებინათ ძველი, დროგადასული წყობილების წინააღმდეგ ახალი წყობილების დასაცავად ანუ ახალაღორძინებულ ვაჭარ-მრეწველთა კლასის სასარგებლოდ.

აბელმა „კვალში“ დაბეჭდილი ცნობილი კრიტიკოსის ხომლელის წერილი გადაათვალიერა.

იგი საკმაოდ გაქნილი კრიტიკოსი იყო. კაცმა არ იცოდა, საიდან და როგორ, ნიჭიერი კაცის სახელი ჰქონდა დავარდნილი. ამ წერილში ხომლელი აღწერდა საქართველოს ცხოვრებაში მომხდარ ამბებს და კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობასა და პროგრესიულობას ქადაგებდა. სხვაზე ნაკლებ არც ჩვენ ვიცით ძალა კაპიტალიზმისა და ამიტომაც გვითქვამს წინათ და ახლაც ვიმეორებთ იმათ საწინააღმდეგოდ, ვინც ლიბერალიზმისა და ტეტიობის მოტრფიალეა, რომ, თუ არა კა-

პიტალიზმი, ჩვენს ქვეყანასა და ერს სხვა ძალა ვერას უშველისო.

აბელი გააცოფა ამ წერილმა. ამ მართლა გაქნილ კრიტიკოსს კვირაში ხუთი პარასკევი ჰქონდა, ხან აგინებდა კაპიტალიზმს, ხან აქებდა, ხან „მესამე დასელად“ მოჰქონდა თავი, ხან კი აბუჩად იგდებდა მას. და აბელი დღეს დარწმუნდა, რომ ხომლელს საკუთარი რწმენა და აზრი არ გააჩნდა.

ხომლელის წერილს თვალი მოაშორა და განცხადებები გადაათვალიერა.

„იყიდება ახალი წიგნები: „დემონი“, „მარგარიტა გოტიე“. მეორე განცხადება იუწყებოდა, რომ ვინმე პროფესორმა პერინმა გამოიგონა პლანეტარი, რომელიც გვიჩვენებს მზისა და სხვა ცდომილების მიმოსვლას. აქვე დაბეჭდილი იყო ცნობა, გაბრიელ ეპისკოპოსს გარდაცვალებისას ანდერძი დაუტოვებია, ჩემი თანხა ღარიბებსა და ღარიბ მოსწავლეებს დაურიგეთ სხვადასხვა სოფლების სასწავლებლებშიო.

აბელმა ჟურნალი გადადო და ვიწრო ფანჯრიდან გაჰხედა მოკაშკაშე ცას. მზე მაღლა იწევდა და დედამიწას აცხუნებდა. კედლის საათმა ხუთჯერ ჩამორეკა.

წამოდგა, პირი ცივი წყლით დაიბანა, კოხტად გამოეწყო, რამდენადაც თავისი ქონება აძლევდა გასაქანს და ქუჩაში გამოვიდა.

აპრილის საღამო იყო. მზე დასავლეთისაკენ იწვერებოდა. ჭადრების ჩრდილები გრძლად დაჰფენოდა ქუჩებს. კვირა დღე გახლდათ და ხალხი ქუჩებში გამოფენილიყო. ნელი ნაბიჯით მიჰყვებოდა მიხეილის ქუჩას და წყვილ-წყვილად მოსეირნე ახალგაზრდობას ათვალიერებდა.

დღეს, საღამოს შვიდ საათზე, ანდრეევის ქუჩაზე ბოჭორიძის ბინაში რსდმპ თბილისის კომიტეტის სხდომა იყო დანიშნული.

ამ ბინაში იმართებოდა თავიდანვე რკინიგზის საიდუმლო წრის, ხოლო შემდეგ კი თბილისის კომიტეტის სხდომები. აქ გაიცნო ახალგაზრდა სემინარიელი სოსო ჯუღაშვილი, მტკიცედ, დამაჯერებლად რომ ლაპარაკობდა ხოლმე და თან არწივივით იმზირებოდა. აქ გაიცნო სერგო ალილუევი, ნიკოლოზ კოზარენკო, ჟურნალისტი ივანე ლუზინი და თევდორე აფანასიევი, ვინც თავის ბინაში ინახავდა საზღვარგარეთიდან

მიღებულ უამრავ წიგნსა და ბროშურას. მეტწილად კი „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის გამოცემებს. როგორც გუშინ გაიგო, შესაძლოა დღეს სხდომას საზღვარგარეთიდან ახლადჩამოსული ნოე ჟორდანიაც დასწრებოდა, ვისაც აბელი პირადად არ იცნობდა.

სხდომის დაწყებამდე ნახევარი საათი იყო დარჩენილი, ფეხითაც რომ ევლო, თავისუფლად მიასწრებდა.

ანდრეევის ქუჩას რომ მიაღწია, ქალაქს უკვე თალხი ეფინებოდა.

ვერის ეკლესიაში მწუხრის ზარები რეკდნენ.

სახლების წინ, ქუჩაში ჯგუფ-ჯგუფად შეყრილიყვნენ ახალგაზრდები და ამომავალი მთვარის მოლოდინში ლაზღანდარობდნენ. ანდრეევის ქუჩაზე შედარებით სიწყნარე იყო. ყრუდ აღწევდა ვერის ეკლესიის ზარების ხმა.

ბოჭორიძის ბინა ნელ-ნელა ივსებოდა ხალხით. სათითაოდ, ნადირის სიფრთხილით მოდიოდნენ კომიტეტის წევრები.

შვიდ საათზე, თითქმის ყველა ადგილზე იყო. სტუმრებს ხელგაშლილთა და ზრდილობიანად ეგებებოდნენ მიხა და მარო, დეიდა ნინო და დეიდა ბაბე, ვითომდა წვეულებაზე მოდიანო. ყოველი შეკრებისას ქალები თვალის ასახვევად სუფრას გააწყობდნენ ხოლმე, ვინცობა იყო, ჟანდარმერია დასხმოდათ თავს, მიზეზი ექნებოდათ, ვითომ მარო ან ბაბე დაბადების დღეს იხდიდა და მიხას ნაცნობ-მეგობრები ჰყავდა მოწვეული.

ქუჩაში რიგრიგობით იდგნენ მოდარაჯეები. აბელი კეცხოველის გვერდით მოხვდა, ლადომ უხმოდ გაუწოდა ხელი, მაგრად ჩამოართვა და მერე ბეჭებზე მოუთათუნა. აბელმა ხალხს თვალი გადაავლო. ოცდათხუთმეტი კაცი მაინც იქნებოდა, ჯუღაშვილი მოინაკლისა.

მთვარე ცის თაღზე ავიდა, ქალაქი ძილს მიეცა, მიიძინა ყოველმა არსებამ, მხოლოდ კრუალები ბეჯითობენ და თავს ახსენებენ ქვეყანას.

აქ კი, ბოჭორიძის ბინაში, კრება ბობოქრობს, თამბაქოს თამბაქოზე ეწევიან, კამათსა და დავაში ლამის ძარღვები დაეწყდეთ.

თავიდან ყველაფერი მშვიდობიანად დაიწყო, მაგრამ ჟორდანიამ თავისი გამოსვლით განხეთქილების ვაშლი ჩააგდო და იქაურობა ააფორიაქა. აბელი პირველად ხედავდა მას და

გულმოდგინედ აკვირდებოდა. ოცდაექვსი-ოცდაშვილი წლის თუ იქნებოდა, მაგრამ წვერმოშვებული თმაშეთხელებული და ტანმსუქანი უფრო ხნიერს ჰგავდა. მან ჯერ ქართულად დაიწყო, მაგრამ, ეტყობა, გაახსენდა, რომ აქ სხვა ეროვნებისანიც ესწრებოდნენ და რუსულზე გადავიდა.

— ჩვენ და ჩვენმა ქვეყანამ, ამხანაგებო, — ამბობდა ჟორდანია და თან თითის ქნევით არწმუნებდა დარბაზს, — ევროპის მოწინავე ქვეყნების გამოცდილება უნდა გავიზიაროთ. კაპიტალიზმის განვითარება, ბურჟუაზიული დემოკრატია, აი, ჩვენი ბრძოლის მიზანი. მხარი უნდა დავუჭიროთ კაპიტალისტური წყობილების განვითარებას და ამ საქმის მეთაურს ბურჟუაზიას, რადგან დასავლეთ ევროპისგან განსხვავებით მას ჯერ კიდევ თავისი როლი არ შეუსრულებია საქართველოში. განვითარებულ კაპიტალისტურ წარმოებას ბევრ ხინჯთან ერთად ბევრი ღირსებაც გააჩნია, რაც ჩვენი ერის წინანდელ ყოფა-ცხოვრებას არ ჰქონია. ამიტომ, ამხანაგებო, მხარი უნდა მივცეთ ყოველ იმ ღონისძიებას, რაც ქართველ ერს განამტკიცებს და გააღონიერებს პოლიტიკურად თუ ეკონომიურად, ამასთანავე მედგრად გავუწიოთ წინააღმდეგობა ყოველ ისეთ ცდას, რომელსაც შეუძლია ჩვენი ერი დაჩაგროს და ჩვენს მიწაზე სხვა გააბატონოს!..

აბელი ამჩნევდა, ლადო როგორ ღელავდა, ხელებს იფშვნეტდა და თავს ძლივს იკავებდა.

— მარქსიზმის სამოსელში გახვეული ბურჟუაზიული დემოკრატი! — საკმაოდ ხმამაღლა ჩაულაპარაკა ლადომ აბელს.

— სწორია, ამხანაგო ჟორდანია! — წამოიძახა ვიღაცამ. აბელმა იქით გაიხედა და თვალი მოჰკრა თმააწეწილ ჩოფურა სახის ხომლელს ანუ რომანოზ ფანცხავას.

— ამხანაგო ნოე! — ფეხზე წამოდგა ნიკოლოზ კოზარენკო, — თქვენი თვალსაზრისი მარქსისტული ფრაზიოლოგიით შენიღბული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურია. დასავლეთ ევროპის ოპორტუნისტებივით მარქსიზმიდან უარყოფთ ყველაზე მთავარს — მოძღვრებას პროლეტარულ რევოლუციასა და პროლეტარიატის დიქტატურაზე.

— მართალია, ჟორდანიას ნამდვილ მარქსიზმთან აღარაფერი დარჩა საერთო!

ჟორდანია თვალებმოჭუტული აკვირდებოდა ფერმკრთალ,

გამხდარ და ტანმაღალ კოზარენკოს, მერე ამბოხებულ დარბაზს მოავლო თვალი და მშვიდად თქვა:

— მე იმას მოგახსენებთ, რაც ჩემს პატარა ერს სჭირდება და რაც სიკეთეს მოუტანს მას მომავალში, სხვა ყველაფერი წყალსაც წაუღია.

— ევროპიელი! — წაისისინა ვიღაცამ.

ჟორდანია თავის ადგილზე დაჯდა. დარბაზი აქოთქოთდა. მხოლოდ მაშინ დაწყნარდნენ, როცა მიხა ცხაკაია გამოვიდა; მან თავისი სიტყვა ჟორდანიას წინააღმდეგ წარმართა. გაიხსენა მისი ამასწინათ დაწერილი სტატია „რა ვაკეთოთ?“ და ისიც აღნიშნა, „მესამე დასელებმა“ როგორი უკმაყოფილება გამოთქვეს ამ სტატიის მიმართ, რადგან იგი ოპორტუნისტულ ტენდენციას ატარებდა, რომ „მესამე დასმა“ დიდი ხანია ზურგი აქცია მარქსიზმს და ამიტომ ბევრი წევრი ჩამოშორდა მას. რომ დღესაც ნოე ჟორდანია, როგორც ოპორტუნისტი, მარქსიზმს ამახინჯებდა და ცდილობდა რევოლუციური შინაარსისაგან განწმენდილი „მარქსიზმის“ საფარით ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური შეხედულებანი გაეტარებინა.

კრება ისევ აბობოქრდა. უმეტესობა ჟორდანიას წინააღმდეგი იყო და რეპლიკას რეპლიკაზე ისროდნენ, მხოლოდ მცირედნი უჭერდნენ მხარს, უმეტესად „მესამე დასელები“.

შუაღამემ მოატანა. კომიტეტმა საკითხი დასვა მაისობის ჩატარების თაობაზე. ისევ აბობოქრდა კრება. „მესამე დასელები“ წინააღმდეგი იყვნენ მაისობის ჩატარებისა.

— ამაოდ დაიღვრება ხალხის სისხლი! — ხმის ჩახლეჩამდე გაჰკიოდნენ ისინი.

შუაღამემდე დავობდნენ და ბოლოს კენჭისყრამ კომიტეტის რევოლუციური ბირთვის სასარგებლოდ გადახარა სასწორი. ხმის უმრავლესობით მიიღეს დადგენილება, მაისობაც ჩაეტარებინათ და გაფიცვაც მოეწყოთ ფაბრიკა-ქარხნებში.

აბელი და ლადო ერთად წამოვიდნენ. ქუჩაში კაცის ჭაჭანება აღარ იყო, ძილს მისცემოდა მთელი ქალაქი. ფეხით მიჰყვებოდნენ უკაცრიელ ქუჩას და დღევანდელი საღამოს შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ ერთმანეთს.

— ლადო, — უთხრა აბელმა — ამ ბოლო დროს ისე მეჩვენება, რომ ზოგიერთები, როცა ჩვენი ერის ბედ-ილბალზე ლაპარაკობენ ან ადამიანის თანასწორობაზე, ერთიც ფეხებზე

ჰკიდიათ და მეორეც. თითქოს გამორჩენას ელიან. რაღაც უნდა გამოჰგლიჯონ მას. არ ვიცი თანამდებობა, სახელი თუ ამგვარი რამ.

ლადო შეჩერდა, აბელს დააკვირდა და ჰკითხა:

— რამდენი წელია მას შემდეგ, ჩვენ რომ ერთმანეთს შევხვდით პირველად?

— სამი, — მიუგო აბელმა, — რაზე მეკითხები?

— მახსოვს, მთლად ყრმა იყავი. მას შემდეგ რამდენი რამ ისწავლე, როგორ უცებ დავაქაცდი.

— დამცინი, ლადო?

— არა, აბელ, — მხარზე ხელი დაადო ლადომ. — მართალს გეუბნები და მიხარია, რომ ასე უცებ დაბრძენდი. შენ უკვე ჩვენი ღირსეული თანამებრძოლი და მეგობარი ხარ.

აბელს ეუხერხულა მეგობრისგან ქება და სიტყვა ბანზე ააგდო.

— მიხამ მითხრა, ხვალ რაღაც დავალება უნდა მოგცეო და დილიდანვე მოდიო. ნეტავ რა უნდა დამავალოს?

— აკრძალული წიგნების ყვირილაში ჩასატანი. მიხა ყველაფერს გეტყვის დაწვრილებით.

7.

1896 წლის პეტერბურგის გაფიცვამ იმპერიის მმართველნი შეაშფოთა. საიმპერიო ჟანდარმერიამ სასწრაფოდ დაუგზავნა საიდუმლო უწყებანი ჟანდარმთა სამმართველოებს, ატყობინებდა, გაეძლიერებინათ აგენტურა და აღმოეჩინათ, ფარული მარქსისტული წრეები თუ სადმე იყო ჩამოყალიბებული ანდა ყალიბდებოდა იმპერიის სხვადასხვა კუთხეში.

ასეთი უწყება მიიღო თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს შეფმა გენერალ-მაიორმა დებილმა. ამ უწყების მიღებიდან რამდენიმე დღის შემდეგ კი იგი მთავარმართებელმა დაიბარა. გენერალი დათქმულ დროს ეახლა და ადიუტანტმა დაუყოვნებლივ შეუშვა. დილა იყო და მისი ბრწყინვალება ახალი მოსული ჩანდა. ფანჯარა გამოეღო, დილის სუფთა ჰაერს ეწაფებოდა კაბინეტში. დებილმა შორიდანვე ყურადღებით შეათვალიერა მთავარმართებელი. იგი ურიგო გუნებაზე არ ჩანდა,

მხნედ და მხიარულად გამოიყურებოდა და გული საგულეში ჩაიყენა, ოღონდ ვერ მიმხვდარიყო, რა საქმეზე დაებარებინა ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი.

თავის ასაკისთვის უჩვეულო სიმკვირცხლით წამოდგა გოლიცინი სავარძლიდან, ხელი ჩამოართვა და სავარძელზე მიუთითა.

— როგორ გიკითხოთ, თქვენო ბრწყინვალებავ? — მოიკითხა დებილმა და ერთხელ კიდევ ფარულად შეათვალიერა, რომ მისი სახის მოძრაობაზე მაინც შეეტყო, რა განზრახვით იბარებდა მას.

— გმადლობთ, გენერალო, ღვთის შემწეობითა და თქვენს ლოცვა-კურთხევით არა მიჭირს რა, — გოლიცინმა ეშმაკურად ჩაიცინა და მერე დასძინა, — ცოტა სიბერეს ვუჩივი.

— ნურცერთი ნუ მოგიშალოთ ღმერთმა, თქვენო ბრწყინვალებავ! — მიუგო გენერალმა, ოღონდ მეფის ნაცვლის ბოლო სიტყვებზე, სიბერეს ვუჩივიო, აღარაფერი თქვა. მისი ბრწყინვალება ჯერ კიდევ მხნედ გამოიყურებოდა. ოდნავ შეთხელებული თეთრი თმა, ფართო შუბლი და ხორბლისფერი, უნაოჭო პირისახე სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდა. დებილს თავისი თავი დაუდგა თვალწინ, გაცილებით ახალგაზრდა იყო, მაგრამ სახეც დანაოჭებოდა და თმაც აღარ ჰქონდა, სიმსუქნისაგან დამრგვალებული ძლივს დაქოშინებდა.

— გენერალო, — მთავარმართებელი პირდაპირ საქმეზე გადავიდა, — თქვენთვის, ალბათ, ცნობილია შარშანდელი მუშათა გაფიცვა პეტროგრადში.

— როგორ არა, თქვენო ბრწყინვალებავ!

— ეს ეპიდემიაა, გენერალო, რომელიც შეიძლება მთელ ქვეყანას მოედოს. დროული წამალია საჭირო. ამ ბოლო დროს თბილისში გავრცელდა ვიღაც მარქსის სურათები და ნაშრომები. მარქსიზმი მოდად იქცა, ახალგაზრდობა დასნეულდა: Hannibal ante portas!* — ეჭვი არ მეპარება, ფარული წრეებიც იქნება. თქვენ, როგორც ჟანდარმთა სამმართველოს შეფი, რა ღონეს ხმარობთ? მარტო ყაჩაღების დევნას გადაჰყევით და იქაც მგონი დიდი წარმატება არ უნდა გქონდეთ.

გოლიცინი შეჩერდა, ჭიქიდან წყალი მოსვა და დებილს

* ჰანიბალი კარზეა მომდგარი, სახელმწიფო საშიშროებაშია.

შეხედა. ჟანდარმთა სამმართველოს შეფი მიხვდა, რომ გოლიცინმაც რაღაც მითითება მიიღო პეტროგრადიდან და იმიტომ დაიბარა.

— თქვენო ბრწყინვალებავ, — დებილმა ჩაახველა, რომ მღელვარება დაეფარა, — ჩვენს აგენტურას მოეპოვება რამდენიმე ცნობა, რომელსაც მალე დავაზუსტებთ და ქმედით ღონისძიებასაც მივიღებთ.

— განსაკუთრებით ადევნეთ თვალი რუსეთიდან გადმოსახლებულებს. პოლიტიკური დამნაშავენი არიან და აქაც იპოვნიან თანამზრახველებს. ისინი სთესენ ცეცხლს, გენერალო.

მთავარმმართებელი სავარძლიდან წამოდგა, რაც იმას ნიშნავდა, რომ აუდიენცია დამთავრებული იყო.

მიუხედავად იმისა, რომ დებილი იოლად გადარჩა, მაინც უგუნებოდ დაბრუნდა თავის კაბინეტში. ფანჯარა გამოაღო და ქალაქს გადახედა. ჰაერში გაზაფხულის სურნელი ტრიალებდა, ცა ფირუზისფრად მოქცეულიყო. მტკვრის პირას ჩამოყოლებული ხეხილის ბაღები თეთრად გადაპენტილიყო, მაგრამ დებილი ამ სილამაზეს ვერ ამჩნევდა, ახლა ის ფიქრში ზუსტად იღდგენდა გოლიცინთან შეხვედრას და მასთან საუბარს. რუსეთიდან გადმოსახლებულნი სთესენ ცეცხლსო. კარგად თქვა მისმა ბრწყინვალებამ. ჟანდარმთა სამმართველოს შეფს დიდი ხანია მიაჩნდა, რომ რუსეთიდან პოლიტიკურ დამნაშავეთა კავკასიაში გადმოსახლება დიდი უგუნურებაა, ეს იგივეს ნიშნავს, რომ შენი ჩამოსახრჩობი თოკი შენი ხელითვე გრიხო, მაგრამ ვინ ფიქრობს ამაზე? გენერალი გამობრუნდა და ტელეფონით როტმისტრი ლუნიჩი იხმო. რამდენიმე წუთის შემდეგ კაბინეტში შევიდა საშუალოზე მაღალი შავგვრემანი ახალგაზრდა კაცი და ჟანდარმერიის შეფს გამოეჭიმა. დებილმა ხელით ანიშნა დაჯექიო.

— მაქსიმ, — კარგა ხნის დუმილის შემდეგ მიმართა შინაურულად გენერალმა, — ახლაანს ვიყავ მის ბრწყინვალებასა გოლიცინთან.

როტმისტრი შეტოკდა და ყურადღება გაამახვილა.

— მერე, თქვენო აღმატებულებავ! — ბოხი ვაიკაცური ხმა ჰქონდა.

გენერალმა ხმას უფრო დაუწია:

— მთავარმმართებელი ჩვენი მუშაობით უკმაყოფილოა. —

ლუნიჩი მოეშვა და თავი ჩაღუნა, — დებილმა კი ისევ ხმადაბალა განაგრძო, — ალბათ, მართალიც არის. მის ნათქვამს სიტყვა-სიტყვით ვიმეორებ. თბილისში გავრცელდა მარქსის სურათები და ნაშრომები. მარქსიზმი მოდად გაიხადა ახალგაზრდობამ, ვრცელდება აკრძალული ლიტერატურა, მოქმედებს ფარული წრეები. ჩვენ კი დღემდე, როგორც მისმა ბრწყინვალებამ ბრძანა, ბევრი ვერაფერი გავაკეთეთ და მარტო ყაჩაღების დევნას გადავყევით.

— თქვენო აღმატებულებავ, — მხნედ და თამამად თქვა ლუნიჩმა, — ჩვენს აგენტურას საკმაო ცნობები მოეპოვება და ახლა სწორედ მათი დაზუსტებაა საჭირო.

— მეც ასე მოვახსენე მის ბრწყინვალებას. ესე იგი არ შევმცდარვარ. იმედი მაქვს, მოკლე ხანში რამე ნაბიჯს გადავდგამთ. განსაკუთრებით ადევნეთ თვალი რუსეთიდან გადმოსახლებულ პოლიტიკურ დამნაშავეებს, ყველას ჯაშუში მიუჩინეთ. გასაგებია, როტმისტრო?

— გასაგებია, თქვენო აღმატებულებავ!

ჟანდარმთა სამმართველოს შეფი წამოდგა და როტმისტრს დაემშვიდობა.

ორიოდე დღის შემდეგ კი როტმისტრი ლუნიჩი აგენტურის ახალი ცნობებით ეახლა გენერალ-მაიორს და მოახსენა:

— როგორც ჩვენმა აგენტურამ დაადასტურა, თქვენო აღმატებულებავ, რკინიგზის მთავარ სახელოსნოში მოქმედებს ფარული მარქსისტული წრე, სადაც უკვე შევაგზავნეთ ჯაშუში. აგენტურის ცნობით, ვინმე დარჩიაშვილის ბინაში თავს იყრის საეჭვო ხალხი. დარჩიაშვილის ბინის მისამართი დაზუსტებულია და თვალთვალის ქვეშ არის აყვანილი. ქალაქგარეთ, ღრმაღელეში მდებარე „შავი ვანოს“ სამიკიტნოში ამასწინათ თავი მოუყრიათ აგრეთვე საეჭვო პირებს... იქაც ჯაშუშია შეგზავნილი, თქვენო აღმატებულებავ. გარდა ამისა, აგენტურამ მოგვაწოდა რამდენიმე გვარი, ვინც რუსეთიდან არიან გადმოსახლებულნი და კავშირი აქვთ გაბმული აქაურ მეამბოხეებთან. ესენი არიან: ივანე კიგანი, გრიგოლ ფრანჩესკი, ივანე ლუზინი, ნიკოლოზ კოზარენკო და თევდორე აფანასიევი, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს დანაშაულებრივ ფარულ ამხანაგობას და მიზნად ისახავს შესცვალოს იმპერიაში არსებული მმართველობა. ეჭვი გვაქვს აგრეთვე, რომ მის ბინაზე

ინახება აკრძალული ლიტერატურა. ჩვენი ვარაუდით, სწორედ აქედან უნდა ვრცელდებოდეს ეს ლიტერატურა.

ჟანდარმთა სამმართველოს შეფი ყურადღებით უსმენდა როტმისტრს. მერე მაგიდაზე მსუქანი, კოტიტა თითები ააკაკუნა და სიხარულითა თუ ბრაზით აღელვებულს მოთმინება აღარ ეყო:

— მოქმედების გეგმა, როტმისტრო, მოქმედების! — დებილი ფეხზე წამოდგა და ბოლთის ცემას მოჰყვა.

— მოგახსენებთ, თქვენო აღმატებულებავ, აფანასიევის ბინას რიგრიგობით უთვალთვალებენ ჯაშუშები. საბუთი გვინდა, რათა დავაპატიმროთ აფანასიევი და გავჩხრიკოთ მისი ბინა. გარდა ამისა, თქვენო აღმატებულებავ, როგორც აგენტურამ გვაუწყა, თბილისში ახლახანს ჩამოყალიბდა ეგრეთწოდებული სოციალ-დემოკრატ მუშათა თბილისის კომიტეტი, სადაც გაერთიანდნენ მარქსისტული წრეების წარმომადგენლები. ამ კომიტეტის გადაწყვეტილებით, უნდა მოეწყოს მუშათა საპირველმაისო დემონსტრაცია და რკინიგზის სახელოსნოების მუშათა გაფიცვა. მაგრამ ეს არ შედგება ჩვენი ოპერატიული ჩარევით. აი, ყველაფერი, რაც ვიცით და რის გაკეთებასაც ვაპირებთ, თვქენო აღმატებულებავ.

ჟანდარმთა სამმართველოს შეფი დუმდა, მაგრამ სახეზე ეტყობოდა, რომ რაც როტმისტრმა მოახსენა, ჯერჯერობით იმითაც კმაყოფილი იყო.

— ეს უკვე რაღაცას ნიშნავს, მაქსიმ. ძაფის ბოლო ხელში გვიჭირავს. იმოქმედეთ სწრაფად და გონივრულად. თუ რამ გაუგებრობა იყოს, შემატყობინეთ.

— გმადლობთ, თქვენო აღმატებულებავ! — ლუნიჩი გამოეჭიმა და კაბინეტიდან გავიდა.

8.

— ვაგზალზე ადრე ნუ გახვალ, იცოდე, შენზეა დამოკიდებული ყველაფერი, სიფრთხილე და სიფრთხილე, აბელ! — ბრიგებდა მიპა, როცა პროკლამაციებით სავსე, შავ ჩემოდანს ატანდა ყვირილაში ვინმე ხურციძესთან.

აბელს სადგურზე მოსვლა ცოტა ადრე მოუვიდა და ახლა

მოუთმენლად ელოდა მატარებლის ჩამოდგომასაც და აფანასიევის მოსვლასაც, ვისაც მეორე ჩემოდნით აკრძალული ლიტერატურა უნდა მოეტანა.

ეს ყველაფერი დაგეგმილი სხვაგვარად იყო, მაგრამ როცა ფარული წრის წევრებმა შეამჩნიეს, რომ აფანასიევის ბინას ჯაშუში უთვალთვალებდა, იქ სხვა ვეღარ შეგზავნეს და თვითონ თევდორემ იკისრა დათქმულ დროს ჩემოდანი აბელისთვის სადგურზე მიეტანა.

ბინდი წვებოდა, როცა ყვირილაში მიმავალი მატარებელი სტვენითა და ქოთქოთით ჩამოაყენეს ლიანდაგზე. ხალხი აჩოჩქოლდა. აბელმა ჩემოდანი მეორე ხელში გადაინაცვლა, ბაქანს ჩაჰყვა და თან გაფაციცებით ათვალიერებდა მეხუთე ვაგონს. სწორედ იმ ვაგონის კიბესთან შეჩერდა, განზე გადგა, რომ ვაგონში შემავალი ხალხისთვის ხელი არ შეეშალა, ჩემოდანი ძირს დადგა და შვებით ამოისუნთქა. ტყვიასავით მძიმე იყო ჩემოდანი, ლამის მკლავი ჩამოსწყვიტა. თან ოფლმა დაასხა და ვეღარ არჩევდა, ეს ჭირის ოფლი იყო თუ დაღლილობისა. იდგა და მღელვარებით ელოდა, როდის გამოჩნდებოდა თევდორე აფანასიევი. მოფუსფუსე ხალხში ათვალიერებდა მის ნაცნობ ფიგურას, ოდნავ მაღალ, თხელ-თხელ, მაგრამ დაძარღვულ სხეულს, გვერდზე გადაყრილი მეჩხერი თმითა და ნიკაპზე მოშვებული წვერითურთ. ის კი ჯერჯერობით არ ჩანდა. აბელი ბუნებით სულსწრაფი იყო, ერთთავად ეჩვენებოდა, რომ აგვიანდებოდა. სადგურზე გამოსვლისასაც ასე დაემართა, მიუხედავად იმისა, გააფრთხილეს, რაც შეიძლება გვიან გადიო, მაინც ვეღარ მოითმინა და ადრე მოვიდა სადგურში. ვაგონები ნელ-ნელა ივსებოდა ხალხით, მას კი მოთმინების ძაფი ელეოდა, ყველა გამვლელს თვალში ატარებდა. ამ ყოფაში იყო, როცა ბაქანზე ხალხის ჩოჩქოლი შენიშნა.

— რა ხდება იქა? — ვიღაცამ იკითხა.

— მგზავრი დააპატიმრეს! — იყო მაშინვე პასუხი.

აბელს ტანში გაბურძგლა. ჩემოდანს ხელი დაავლო და იქით გაეშურა, სადაც ხალხი იყო შეყრილი. ორ პოლიციელს მიჰყავდა თევდორე აფანასიევი, მესამეს კი შავი ჩემოდანი მიჰქონდა. აბელი გაშრა და გაფითრდა.

— გზა, გზა! — იძახდა ულვაშა პოლიციელი და თვალებს ქორივით აბრიალებდა.

ჩემოდანი ხელში უფრო დაუმძიმდა. პატიმარი მის გვერდით ჩამოატარეს და ამკარად დაინახა, რომ აფანასიევი ერთი წამით შეჩერდა, დააკვირდა და რაღაცას ანიშნებდა თვალებით. ამან სულ გააოგნა, აღარ იცოდა, რა ექნა, რა მოემოქმედა. მერე, როცა პატიმარი თვალს მოეფარა, მიხვდა, რაც უნდა გაეკეთებინა. აუცილებელი იყო რომელიმე ამხანაგისთვის შეეტყობინებინა თევდორეს დაპატიმრების ამბავი. ამ წუთიდან შიშის გრძნობა დაკარგა და გამალებით ამუშავდა მისი გონება, რა ღონე ეხმარა.

ყველა ნაცნობი გაიხსენა, ვისთვისაც შეეძლო შეეტყობინებინა ეს ამბავი, მაგრამ დრო აღარ ჰყოფნიდა. ამ ვაი-ვაგლახში მყოფს უცებ გაახსენდა, რომ აქვე, მალაკნების ქუჩაზე, ცხრა ნომერ სახლში ცხოვრობდა ნიკოლოზ კოზარენკო. იქ მისვლა-მოსვლას ათი წუთიც არ სჭირდებოდა, მაგრამ ამ ჩემოდნის თრევა დიდ დროსაც წაართმევდა და სახიფათოც იყო. ამ ფიქრით მიუახლოვდა მეხუთე ვაგონს, ჩემოდანი კიბეზე აათრია და თავისი აღგილი მონახა. კუპეში ხანდაზმული ქალი დახვდა, ძვირფასად ჩაცმული და სანდომიანი.

— ქალბატონო, რამდენი წუთი დარჩა მატარებლის გასვლამდე? — შეშფოთებით ჰკითხა, თან ცდილობდა მღელვარება დაეფარა.

— თხუთმეტი წუთიღა დარჩა, ახალგაზრდავ, რა იყო, დაგრჩათ რამე?

— არა... კი, თუ მოვასწრებ. აქ ორიოდე ნაბიჯზე მივირბენ. შეიძლება ჩემოდანი დავტოვო?

ქალმა დასტურის ნიშნად მხრები აიჩეჩა, აბელმა ერთხელ კიდევ შეათვალიერა მანდილოსანი და ვაგონიდან გავარდა.

„ნეტავ კოზარენკო შინ დამხვდეს, ნეტავ შინ დამხვდეს“.— ფიქრობდა და თან მარჯვედ უქცევდა მხარს სადგურზე მოფუსფუსე მგზავრებს. სადგურიდან პირდაპირ მალაკნების ქუჩაზე გავიდა. იქ ხალხი კანტიკუნტად მიმოდიოდა და სირბილით წავიდა. გულამოვარდნილი შეევარდა ეზოში, კარზე დააკაკუნა და ვიდრე ვინმე გამოეპასუხებოდა, ნახევარი სიცოცხლე გაათავა.

— ვინ არის? — მკაცრმა, ბოხმა ხმამ იკითხა შიგნიდან.

აბელმა შვებით ამოისუნთქა.

— ნიკოლოზ, გააღე კარი!

ჯარი სწრაფად გაიღო, აბელი შიგ შეევარდა, ძლივს სუნთქავდა, ფერი დაჰკარგოდა.

— რა მოხდა, აბელ? — ჰკითხა კოზარენკომ.

— აფანასიევი დააპატიმრეს.

— აფანასიევი? როდის, სად?

— სადგურზე, ნახევარი საათის წინ. მე იქ ველოდებოდი, ჩემოდანი უნდა გადმოეცა ჩემთვის. ყვირილაში მივდივარ დავალებით. ახლავე უნდა შეატყობინო ამხანაგებს. მე წავედი, მატარებელი გამასწრებს. აბელი სირბილით გამობრუნდა, კოზარენკომ რაღაც მიაძახა, მაგრამ ვერ გაიგონა. ვაგონში რომ ავიდა, მატარებელიც დაიძრა. კუპეში ორი მგზავრი კიდევ შემოსულიყო, ქალი და კაცი. აბელმა მაშინვე ჩემოდანი მოათვალიერა. მანდილოსანს მადლობა გადაუხადა და სკამზე მკვდარივით მიესვენა.

* *

ყვირილის სადგურში ჩამომდგარი სტეფანსონის სისტემის ორთქლმავალი ისევ ადგილზე ქოთქოთებდა და დაღლილი მგზავრები მოწყენილნი ათვალიერებდნენ ბაქანს. აბელი სადგურიდან გავიდა და ქალაქის გულისაკენ მიმავალ ქუჩას გაჰყვა. პირველი, ვინც მას შეხვდა, ხანდაზმული კაცი იყო, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი. თავმომწონედ მიჰყვებოდა ქუჩას.

— აფთიაქი სად არის, ძია კაცო? — ჰკითხა აბელმა.

ხანდაზმულმა გრძელი ულვაში პეწკად გადაიგრიხა, უცხო ახალგაზრდა ყურადღებით ჩაათვალიერა და მახლობელ შენობისაკენ მიანიშნა.

— ხურციძე თუ გინდა, მანდვე ცხოვრობს. აფთიაქი კი ჯერ ღია არ იქნება.

რამდენიმე წუთის შემდეგ აბელი ტანად ბრგე კაცის წინ იდგა და უკვე შინაურულად ეგაასებოდა.

— კარგა ხანია გელოდებით. ვიფიქრე, ხომ არაფერი შეემთხვა-მეთქი.

„წინასწარ სცოდნია, რომ ჩამოვიდოდი. ამხანაგებმა თუ შეატყობინეს. მე კი ამის თაობაზე არაფერი მითხრეს“, — გაიფიქრა აბელმა. აფთიაქარს კი ეს უთხრა:

— მე არაფერი, მაგრამ ერთი ჩვენი ამხანაგი დააპატიმ-

რეს სადგურში, აფანასიევი. მას უნდა გადმოეცა ჩემთვის მეორე ჩემოდანი, რომელიც აქ უნდა წამომეღო.

ხურციძე გამოცოცხლდა.

— თქვენთვის უნდა გადმოეცა ჩემოდანი?

— დიახ.

— და მანამდე დააპატიმრეს?

— კი.

— გადარჩენილხართ. პოლიციას რომ ცოტა გვიან ემოქმედა, თქვენც მიგაყოლებდათ. მერე, ეს ამბავი თუ იციან ამხანაგებმა?

— მოვასწარი და ერთ-ერთ ამხანაგს შევატყობინე, იქვე ცხოვრობს, სადგურთან.

— ცუდი ამბავია. — ჩაილაპარაკა აფთიაქარმა. ნაყვავილარი სახე ჰქონდა. სიტყვაძუნწი ჩანდა და მის მოძრაობასა თუ გამოხედვაში სიჯიუტე და სიმტკიცე გამოსჭვიოდა.

ხურციძემ მეორე ოთახიდან მოუარა, აფთიაქი გარედან დაკეტა, კვლავ იმ გზით დაბრუნდა და აბელი თავის საცხოვრებელ ოთახში შეიპატიჟა.

— არ მინდა, ვინმეს თვალში მოხვდე, — გაუღიმა ხურციძემ, — ცოტა ხანს პატიმრობა მოგიწევთ. ნამგზავრი ხართ, გამოიძინეთ და მეც მალე დავბრუნდები. კარს ნურავის გაუღებთ. დღეს დასვენების დღეა, აფთიაქი არ მუშაობს, მაგრამ აბელს ძილი არ გაეკარა, ფიქრმა ჩაითრია, მართლაცდა, პოლიცია რომ არ აჩქარებულიყო, აბელსაც დააპატიმრებდნენ, ამაზე რატომღაც არ უფიქრია წუხელ. მერე ნიკოლოზ კოზარენკო გაახსენდა, ნეტავ ვის შეატყობინა. ეგებ მოასწრეს და ანდრეევის ბინა მანამდე გაცალეს, ვიდრე პოლიცია გაჩხრეკავდა? კოზარენკო ყოჩაღი და გამოცდილი კაცია. ყველაფერს იღონებდა. თვალწინ დაუდგა მაღალი, თხელ-თხელი, ოდნავ ფერმკრთალი, ხუმარა კოზარენკო. საუცხოოდ უკრავდა გიტარაზე და ტკბილი ხმაც ჰქონდა. ორიოდე წლის წინათ ჩამოვიდა თბილისში და მაშინვე დაუახლოვდა ფარული წრის წევრებს. ნიკოლოზი ხშირად ჰყვებოდა თბილისში ჩამოსვლის ამბავს:

— გზის ფულად პარტიამ 65 მანეთი და სარეკომენდაციო წერილი მომცა... კავკასიას არ ვიცნობდი და ვფიქრობდი, სადღაც, ნახევრად ველურ ქვეყანაში მივდივარ-მეთქი. თურმე

როგორ ვცდებოდი. თბილისში ჩამოსვლიდან მესამე დღეს შინ ვბრუნდები და მეზობლები რაღაც ფუთას მაძლევენ. ვიღაცამ დაგიტოვაო. გავხსენი და რას ვხედავ. შაქარი, ჩაი, საპონი, თუთუნი და ხუთი მანეთი ფულია კიდევ შიგ. ერთი საათის შემდეგ კი ამ ძღვენის მომტანი ზაქრო ჩოდრიშვილი, მიხა ბოჭორიძე და არაქელ ოქუაშვილი მესტუმრნენ. ნათესავივითა და ახლობელივით მიმიღეს თავიანთ წრეში. ხარატობა მასწავლეს და სამსახურიც მიშოვეს.

და ამ ამბის გახსენებაზე ცრემლი ადგებოდა ხოლმე თვალებზე.

ხურციძე შუადღისას დაბრუნდა სანოვაგით დატვირთული. პურ-მარილი გააწყო და საღამომდე შეექცეოდნენ იმერულ ღვინოს. ვაგზალზე შებინდებისას გამოვიდნენ. თბილისის მატარებელი უკვე ჩამომდგარიყო. აბელი მასპინძელს დაემშვიდობა და ვაგონში ავიდა.

ო, ის უტკბილესი საღამო...

ადამიანის ტანჯულ ცხოვრებაში ასეთი ნეტარი წუთები იშვიათად თუ გამოერევა. იგი სიკვდილამდე გამახსოვრდება და მის გახსენებაზე ძირმწარე ცხოვრებას ცოტა თუ ბევრად გიმსუბუქებს.

მატარებელი რხევით მიდიოდა და, ვაგონის ფანჯარაში ღამის ნიავს შემოჰქონდა ტენისა და მცენარეულობის სურნელი, მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავები უცნაურად კაშკაშებდნენ.

აბელს არ ახსოვდა, რომელ ზაქანზე ამოვიდნენ მისი თანამგზავრები.

პირველი ცეცხლით გულაჩქროლებული დაბნეული მისჩერებოდა ქალიშვილს, ასეთნაირად თავის დღეში არავის მოუხიბლავს. თეთრი, ბოლოგანიერი კაბა ეცვა. თმა მოკლედ შეეკრიჭა. შავი, ძალზე შავი თვალებიდან კუშტად გამოიყურებოდა და ეს სიმკაცრე მთელ მის გარეგნობაში ირეკლებოდა, მაგრამ საკმარისი იყო, ოდნავ გაეღიმა, რომ ღრუბელი გადაყრილიყო და მის სახეზე მზე აკაშკაშებულიყო. ჩვიდმეტი წლისა იქნებოდა, თხელი, ავაზასავით მოქნილი ტანი ჰქონდა და ავაზასავით მიუკარები ჩანდა.

„ღმერთო, ასეთ სილამაზეს როგორა ჰქმნის ბუნება?“ — გაიფიქრა აბელმა და მიხვდა, რომ ეს გაბედული აზრებიცა და

აღტაცებაც ღვინის ბრალი იყო, ისე ეჩვენებოდა, თითქოს სხვა, უკეთესი სამყაროდან არის მოსულიო.

ქალიშვილს თალხ ტანსაცმელში გამოწყობილი დედა ახლდა. იგი შვილს გარეგნობით არა ჰგავდა. ოღონდ ეგ იყო, დედაც ამაყი და მიუკარებელი ჩანდა. კუპეში რომ შემოდიოდნენ, აბელი გაეგება, ბარგი შემოაზიდინა.

— დიდი მადლობა, შვილო, — უთხრა ქალმა, როცა დაბინავდნენ, — კარგად გაუზრდიხარ დედაშენს, ეტყობა, კეთილშობილი გვარის ხარ.

აბელმა უნწეოდ გაუღიმა.

— არა, ქალბატონო, გლეხი გახლავართ, რაჭველი ენუქიძე.

ქალმა თვალები ოდნავ მოჭუტა, ჭაბუკს დააკვირდა და მშვიდად ჩაილაპარაკა:

— რა ვუყოთ მერე, გლეხებშიც გამოერევიან ხოლმე კეთილშობილი თვისებებით დაჯილდოვებულნი, ქართველი გლეხი ნიჭიერია...

ქალიშვილი მოუსვენრობდა, ნაზი თვალები პირდაპირ აბელისათვის მიეპყრო და ახლა იქიდან სიმკაცრის ნაცვლად თანაგრძნობა გამოსჭვიოდა.

— დედა, ნუ იცი ხოლმე... გაუწყრა დედას, მერე ვაჟს გაუღიმა. აბელი სანაძლეოს დადებდა იმ წუთში, რომ ასეთი მომხიბლავი ღიმილი თავის სიცოცხლეში არ ენახა — ნუ გეწყინებათ, დედა ძველი ქალია, მოგეხსენებათ ადათი...

ხავერდოვანი მთრთოლვარე ხმა ჰქონდა, ისეთი ტკბილი, რომ გაავებულ მხეცს მიწაზე გააკრავდა.

ქალიშვილი უფრო პატარა იყო, ვიდრე მას თავიდან ეგონა, მართალია ცდილობდა დარბაისლურად, მოწიფულ ქალივით დაეჭირა თავი, სიტყვა-პასუხიც კარგი მოსდევდა, მაგრამ სწორედ ამ ცდაში მეღავნდებოდა ბავშვური გულუბრყვილობა და მოზრდილისადმი მიბაძვის სურვილი.

დედამ ცერად გადახედა ქალიშვილს, მერე გაიღიმა და აბელს მიუბრუნდა:

— ო, რა არის ეს ახალი თაობა, მორჩა, ვეღარ გაზრდი ამათ შენს ჭკუაზე... შენი სახელი, შვილო?

— აბელი, აბელ ენუქიძე.

— მუშაობ თუ სწავლობ?

— ვსწავლობ, რკინიგზის ტექნიკურ სასწავლებელში.

— აჰა... მე მარიამი მქვია, ჩემს ქალიშვილს კი ეთერი. ეთერ გველესიანი. ამნაირი სამი კიდევა მყავს სახლში.

— სამივე გოგო?

— დიახ.

დუმილი ჩამოვარდა. მატარებელი შეინჯღრა, ერთხელ კიდევ გაიწია და რომელიღაც სადგურში შეჩერდა. მთვარის შუქზე ცივად ლაპლაპებდნენ გადახლართული ლიანდაგები. აბელი ამით მიხვდა, რომ მოზრდილ სადგურში იდგნენ. გარეთ ალბათ რკინიგზელები ერთმანეთს რაღაცას გადასძახოდნენ, მერე ვიღაც შეძვრა ვაგონის ქვეშ და კაკუნი ატეხა. სადგური კი, მთვარის შუქით განათებული სადგური, ღამის მყუდროებაში თვლემდა. გადაღმა, გაფოთლილი წნორების იქით, ბუნდად იხატებოდა ქალაქის კონტურები.

მარიამი წამოდგა, ფანჯრიდან გადაიხედა, ჭაღარაშერეული, სწორედ დავარცხნილი თმა შეისწორა და ვაგონის კიბისკენ წავიდა. შვილმა უხმოდ გააყოლა თვალი.

კუპეში ორნი დარჩნენ. ჭაბუკს თვალი ვერ მოეწყვიტა ქალიშვილისათვის. ბუნებით მორიდებულს ეს საქციელი უზრდელობად მიაჩნდა, მაგრამ თავს ვერ მორეოდა. ქალიშვილმა შუბლი შეიკრა, ტუჩები მოკუმა და შავი, მკაცრი თვალებით განზე გაიხედა, მაგრამ, ოი, საკვირველებავ, აბელი მაინც ატყობდა, რომ ის კმაყოფილების ღიმილს ძალით იხშობდა.

— სწავლობთ? — აბელს ხმა უთრთოდა.

— დიახ, ქალთა გიმნაზიაში ვსწავლობ. — სახეზე ღიმი გადაეკრა.

— მართლა სამი და გყავთ თუ იხუმრა დედათქვენმა?

— არა, მართლა.

— ყველა თქვენსავით ლამაზია? — ამის თქმა აბელს უნებურად მოუვიდა.

ქალიშვილი წამით მოიღუშა, მაგრამ აბელს რომ შეხედა, ალბათ შეატყო, რა გულწრფელად იყო ნათქვამი და გაიღიმა:

— მობრძანდით და თქვენი თვალით ნახეთ. ჩვენი ოჯახი ძალიან სტუმართმოყვარეა, დედას ნათქვამი არ გეწყინოთ, თავის გვარისშვილობით ამაყობს და ჩვენც მოგვიწოდებს, ვიამაყოთ. მაგრამ იცით, რა კეთილია. თუ გვესტუმრებით, თვითონ დარწმუნდებით. ჩვენს სახლში სულ სიმხიარულეა, დედა

გვეუბნება, მამას უყვარდა მხიარულება და ნურც თქვენ მოიწყენთო. მობრძანდით როდისმე, ალექსანდრეს ქუჩაზე ვცხოვრობთ, ორმოც ნომერში.

გმადლობთ. უსათუოდ მოვალ. დედა დიდი ხანია დაქვრივდა?

— ათი წლისა ვიყავი, კარგად მახსოვს მამა.

კუპეში დედა დაბრუნდა და ქალიშვილს უთხრა:

— მეკურტნე უნდა ვიშოვოთ, შვილო, — და ორ ვეება ჩემოდანს გადახედა.

— ნუ შეწუხდებით. მე მოგეხმარებით.

— ეს კი ნამეტანი გამოვა. — შეწუხდა ქალი.

ვაგზლის მოედნამდე მიაცილა დედა-შვილი, ეტლი დაიქირავა და გაგზავნა. როცა ქალიშვილი ეტლში ჯდებოდა, აბელს ნაღვლიანად გაუღიმა და უთხრა:

— აუცილებლად მობრძანდით ჩვენთან, არ დაგავიწყდეთ, ალექსანდრეს, ორმოცი.

ეტლი დაიძრა. აბელი გაქვავებული იდგა, მდუმარედ მიაცილებდა ეტლს.

„აუცილებლად მობრძანდით ჩვენთან, არ დაგავიწყდეთ, ალექსანდრეს, ორმოცი“.

9.

თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს შეფი, დებილი, სავარძელში ჩასვენებულიყო და უხმოდ უსმენდა ლუნიჩს, აფანასიევის დაპატიმრებისა და მისი ბინის ჩხრეკის შედეგებს რომ მოახსენებდა.

— პატიმრის ბინაში აღმოჩენილია სამას ერთი წიგნი, თოთხმეტი ბროშურა, თერთმეტი ჟურნალი და ოთხი შეკვრა სტატიებისა, რომელიც სხვადასხვა ჟურნალებიდან არის ამოკრებილი. ჩვენი ვარაუდი გამართლდა, თქვენო აღმატებულებავ, როგორც დასტურდება, მის ბინაში იყო მოწყობილი წიგნსაცავი და აქედან ვრცელდებოდა ლიტერატურა თბილისსა და, შესაძლოა, საქართველოს პერიფერიებში მდებარე ფარულ წრეებში. ქაღალდებში აღმოვაჩინეთ აგრეთვე ხელნაწერები. ეს გახლავთ, თქვენო აღმატებულებავ, მიმართვა მუშებისადმი,

რომელიც ასეთი ზოწოდებით ზთავრდება. — ლუნიჩმა საქაღალდე გაბსნა, იქიდან ერთი ფურცელი ამოიღო და წაიკითხა: — „დაირაზმეთ ერთ მრისხანე, დისციპლინირებულ ძალად. თქვენ მხოლოდ ორი გამოსავალი გაქვთ თქვენი მდგომარეობიდან, ან ბრძოლა, ანდა სრული დამორჩილება კაპიტალისადმი. მე მოგიწოდებთ, გაჰყვეთ იმათ, ვისაც სურთ იბრძოლონ".

დებილი სავარძელში შეტოკდა, მერე კელანაკბენივით წამოხტა და სახეზე მრისხანება გამოეხატა.

— როგორ, როგორაო, როტმისტრო, წაიკითხე ბოლო სტრიქონი!

ლუნიჩმა შიშით შეხედა განრისხებულ შეფს, თვალებიდან ცეცხლს რომ კვესავდა და ამჯერად ზეპირად გაიმეორა:

— მე მოგიწოდებთ გაჰყვეთ იმათ, ვისაც სურთ იბრძოლონ.

— რა თავხედობაა ეს! — იყვირა დებილმა, — ეგ ნაწერი ვის ეკუთვნის, როტმისტრო?

— თვითონ აფანასიევს, თქვენო აღმატებულებავ და ამას არც უარყოფს.

— არც უარყოფს? — გაოცდა გენერალი, — სახრჩობელა იხსნის მაგათ ასეთი აზრებისაგან. სხვა გამოსავალი არ არის.— გენერალმა ზურგს უკან დაიწყო ხელები, ჩაფიქრდა და ბოლთის ცემას მოჰყვა. მერე უცებ შეჩერდა, როტმისტრს წამახვილებული მარგილივით მიასო ჭროღა თვალები და ბრაზით უთხრა:

— თქვენ იცით, როტმისტრო, რომ ოპერაცია ცუდად ჩაატარეთ?

გენერალს ენა დაება. ლუნიჩმა კარგად იცოდა, როცა შეფი გაბრაზდებოდა, მაშინ ებმებოდა ხოლმე ენა და გაფითრებულმა ჰკითხა:

— რათა, თქვენო აღმატებულებავ?

— კიდევ მეკითხები, როტმისტრო? ჯერ ერთი, თქვენ აჩქარდით ანდრეევის... ფუ, ეშმაკმა წაიღოს მაგის გვარი, აფანასიევის დაპატიმრებაში. საუკეთესო შანსი გაუშვით ხელიდან, ვერ გაიგეთ, ვისთან მიჰქონდა ის ჩემოდანი. ეს ერთი, მეორე. როდის გაჩხრიკეთ მისი ბინა?

— მეორე დღესვე, თქვენო აღმატებულებავ.

დებილმა მწარედ ჩაიცინა.

— თქვენზე ნიჭიერად და თქვენ'ზე მოქნილად როტმისტრო, — ამ სიტყვებს ხაზი გაუსვა გენერალმა, — აფანასიევის თანამზრახველები მოქმედებენ. მათ იმ საღამოსვე შეიტყეს მისი დაპატიმრება, ნახევარი ლიტერატურა გაზიდეს და გადამალეს.

ლუნიჩმა ეს ამბავი კარგად იცოდა, მაგრამ, თუ გენერლისთვისაც ცნობილი იყო ყოველივე ეს, არაფრით არ ეგონა. ხაფანგში მომწყვდეული თაგვივით ეძებდა გამოსავალს და მღელვარებისაგან ნიკაპი აუცახცახდა.

— თუ ყველა ჩვენი თანამშრომელი ასეთ დოყლაპიაობას გამოიჩენს, სახელმწიფოს ჩვენი იმედი აღარ უნდა ჰქონდეს, როტმისტრო.

დებილი ისევ ბოლთის ცემას მოჰყვა, მერე სავარძელში მძიმედ ჩაეშვა და უკვე მოთვინიერებულ ლომს დაემგვანა. ამჯერად დაყვავებით მიმართა ლუნიჩს:

— პატიმარი რას ამბობს. სად მიმქონდა ჩემოდანიო?

— სიმართლეს არ ამბობს, თქვენო აღმატებულებავ. ეს ჩემოდანი ვიღაც უცხო პიროვნებამ მომაბარაო და საერთოდ, არავითარი კავშირი არა მაქვს ფარულ ამხანაგობასთანო. გარდა ამისა, თქვენო აღმატებულებავ, მის ბინაზე აღმოვაჩინეთ ფოტოსურათი ვინმე პეშკოვისა. მოწმეები დავკითხეთ. ერთმა მოწმემ დაგვიდასტურა, რომ ალექსი პეშკოვი უაღრესად საეჭვო პიროვნებაა, ნაკითხი და კარგად ემარჯვება კალამი. რომ პეშკოვი შარშან აფანასიევთან ხშირად დაიარებოდა. მეორე მოწმემ აღნიშნა, გაოცებული ვიყავ პეშკოვის პოლიტიკური დაკვირვებულობითო. აფანასიევი რომ ასეა გაბოროტებული და მთავრობის წინააღმდეგია, ეს სწორედ პეშკოვის ზეგავლენით არისო.

— ვინ არის ეს პეშკოვი და სად იმყოფება ამჟამად?

— მოწმეთა ჩვენებით, პეშკოვი იგივე მაქსიმ გორკია. მწერალი, რომელიც ამჟამად თბილისში აღარ იმყოფება.

— აჰაა! — დებილმა პირისახე ხელისგულით მოისრისა და სავარძლიდან წამოდგა. — როტმისტრო, ყველა ღონე იხმარეთ, რათა პატიმარი გამოტეხოთ, ეგებ ათქმევინოთ, ვისთან აქვს კავშირი. გარდა ამისა, დააზუსტეთ, სად ცხოვრობს ამჟამად პეშკოვი. ეს ყველაფერი რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა გაკეთდეს.

— მესმის, თქვენო აღმატებულებავ!

მაგრამ გენერლის დავალება დიდხანს გაჭიანურდა. აფანასიევის დაპატიმრებიდან ხუთი თვის შემდეგღა გაუგზავნა ჟანდარმთა სამმართველომ დასკვნა პოლიციის დეპარტამენტს... „არსებობს უეჭველი მითითება, რომ თევდორე აფანასიევი ამოცანად ისახავს, შესცვალოს იმპერიაში არსებული მმართველობის სახე და მიაჩნია, რომ მხოლოდ მუშებს შეუძლიათ, გარდაქმნან ჩვენი საზოგადოებრივი წყობილება“.

ხოლო ნიჟნი-ნოვგოროდში ასეთი დეპეშა აფრინა:

„გაჩხრიკეთ, დააპატიმრეთ და ჩემს განკარგულებაში გადმოგზავნეთ პასუხისგებაში მიცემული ბრალდებული ალექსი მაქსიმეს ძე პეშკოვი“.

„თბილისის საგუბერნიო სამმართველოს უფროსი, გენერალ-მაიორი დებილი“.

ეს დეპეშა 1898 წლის 26 აპრილს გაიგზავნა. თერთმეტ მაისს კი დაპატიმრებული გორკი თბილისში ჩამოიყვანეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. მაგრამ ჟანდარმთა სამმართველოს შეფს იმედი გაუცრუვდა, ვერავითარი ბრალდება ვერ დაუმტკიცა მაქსიმ გორკს. სამაგიეროდ, თბილისის მოწინავე საზოგადოება აიმხედრა და დებილი იძულებული გახდა გორკი გაენთავისუფლებინა.

10.

შაბათ საღამოს აბელმა პროკლამაციების მთელი დასტა მოიტანა შინ. მეორე დღეს, კვირას, კომიტეტის დავალებით ეს პროკლამაციები დიდუბეში, ჭიდაობაზე თავშეყრილ ხალხში უნდა გაევრცელებინა.

მთელი ღამე ძილ-ღვიძილში გაატარა. რაც ყვირილადან ჩამოვიდა, მას აქეთ რაღაც უემური დაეუფლა. აღარაფერი ახარებდა, არც აწმყო, არც მომავალი. ვეღარაფერში ხედავდა ცხოვრების აზრს.

ვერ გაეგო, სად გაქრა ის სიმხნევე და სიხალისე, ის რწმენა მომავლისა, ყოველ წუთს რომ გააჩნდა, ეი, თუნდაც სამიოდე დღის წინათ, როცა მატარებლით ყვირილაში მიემგზავრებოდა. ყვირილადან ჩამოსულს მეგობრები აღფრთოვა-

ნებით შეხვდნენ. მის სიმარჯვეს უმადლოდნენ, რომ აფანასი-ევის ბინიდან მოასწრეს და ნახევარზე მეტი ლიტერატურა ნა-ძალადევში, ჩოდრიშვილის ბინაზე გადაზიდეს. უფროსი ამ-ხანაგების ქებას აბელი უნდა გაეხალისებინა, მაგრამ გული ვერაფერმა გაუხსნა. ყველაფერი იმ ქალიშვილის ბრალი იყო, მატარებელში რომ გადაეყარა, იმან აუფორიაქა სული, ვერა და ვეღარ მოიშორა თვალიდან მისი სახება.

თორმეტ საათზე გამოვიდა სახლიდან. თბილი დღე იყო და მთელ ქალაქს ფეხი აედგა. თადარიგიანები ადრევე დად-გომოდნენ დიდუბის გზას.

თითქმის ყოველ ნაბიჯზე იუწყებოდნენ აფიშები, დღეს, შუადღის შემდეგ, ერთმანეთს ხვდებიან თევდორე ლილოელი და აზერბაიჯანელი ფალავანი ალთი იალუღი ახუნდოვიო. აფ-იშის ბოლოში მიწერილი იყო, ამ ფალავნების შეხვედრამდე საჩვენებელ ჭიდაობას გამართავენ ნესტორ ესებუა და კულა გლდანელიო.

მინაწერი, ეტყობა, ხალხის მისაზიდად გადააგდეს ანკე-სივით და ხალხიც ზღვასავით მიაწყდა ჭიდაობის ასპარეზს. ყველას პირზე ეკერა ნესტორ ესებუა და კულა გლდანელი. ამ ორი ფალავნის დავა წლების მანძილზე გრძელდებოდა და თბილისელებს უნდოდათ, კიდევ ერთხელ ენახათ მათი შერკი-ნება.

კულა გლდანელი, იგივე ვანო ყირიმელაშვილი, რაინდული სულის კაცი იყო, დიდბუნებოვანი და ქველმოქმედი. მუშტაი-დის ბაღსა თუ ცირკში, „დამოჟნიზე“ თუ მთაწმინდის პლა-ტოზე, სადაც კულა სხვადასხვა ფალავნებს ხვდებოდა, ხალ-ხის ტევა არ იყო ხოლმე. „მიკიტნის ბიჭი“, რაც მას ბავშვო-ბიდანვე შემორჩა, ჭიდაობის შემოსავალს ხშირად უგზავნიდა უცხოეთში სასწავლებლად გამწესებულ ქართველ სტუდენ-ტობას.

— ბიჭო, ლუკავ, — ეტყოდა ხოლმე ვაჟას, — წადი, უცხო-ეთში ისწავლე, კულა მოგიკვდეს, თუ რამე დაგაკლოს. წელი-წადში ორ ჭიდაობას შენს სახელზე გავმართავო.

ვაჟა-ფშაველა კულას გაუღიმებდა, ვეება ბეჭებზე ალერ-სით დაუტყაპუნებდა ხელს და ეტყოდა:

— შენ რა გაბადია, მე რით უნდა დამეხმარო, კულავ!

„მიკიტნის ბიჭი“ ზედიზედ აქცევდა ცნობილ ფალავნებს,

ქართველებს თუ უცხოელებს, და თანდათან იწევდა დიდების კვარცხლბეკზე. თბილისელებმა ბოლოს სამუდამოდ ირწმუნეს კულას უძლეველობა, შეიყვარეს და გააღმერთეს.

და აი, დღეს, ხმა გავარდა, კულა და ნესტორი ერთმანეთს დაეჭიდებიანო. გაზეთში ამაზე არაფერი იყო ნათქვამი, მაგრამ ხალხს მაინც სჯეროდა, რომ ამ ორ ფალავანს კიდევ ისილავდნენ საჭიდაო ხალიჩაზე. აბელს ჭიდაობაც უნდა ენახა და თავისი საქმეც მოეგვარებინა. დიდუბისაკენ მარტოდმარტო მიმავალი მაინც სულ სხვა ფიქრს შეეპყრო. რაც ყვირილადან დაბრუნდა, კვირა გავიდა და ეთერ გველესიანს ვეღარსად შეხვდა. იმ ქალიშვილზე ფიქრი და ტკბილი სევდა ტკბილადვე ხრავდა. საამური სიზმარი ნახა წუხელ, მეტად ნეტარი, ვეება მინდორზე მწვანედ ბიბინებდა ჯეჯილი. ჯეჯილს წითელი ყაყაჩოები მოსდებოდა და მთელი მინდორი თვალისმომჭრელად დაემშვენებინა. ერთ-ერთი ყაყაჩო ტურფა ქალწულად იქცა. ნაზი სიო კაბას ოდნავ ურხევდა, თმას უშეწავდა და ღაწვებზე აფენდა.

აბელის ზურგს უკან კი, დაყამირებულ საურმის პირზე, ჩარიგებული ბლის ხეები თეთრად გადაპენტილიყო, ნიავს იმ ბლის ხეებიდან ყვავილები მოჰქონდა და ქალიშვილს თავზე აფენდა. აბელმა ქალიშვილი იცნო. მიუახლოვდა, ხელი ჩააცალო და ხელიხელჩაკიდულნი ბილიკზე დაეშვნენ, მირბოდნენ, იცინოდნენ, წაიქცეოდნენ ბალახმორეულ ბილიკზე, წამოდგებოდნენ და ისევ სიცილით გარბოდნენ. ირგვლივ კი ისეთი ბლის ყვავილების სურნელი იდგა, რომ, როცა გაიღვიძა, ამ სურნელს ისევ გრძნობდა.

მიხეილის ქუჩა გადასჭრა და დიდუბისკენ გაუდგა გზას. ცხენებზე ამხედრებული პოლიციელები ძლივს ამყარებდნენ წესრიგს. დროგები და ფაეტონები ფეხით მიმავალთ მხარს ვერ უცცევდნენ. აბელმა ზურგიდან ბიგძი იგრძნო, მოიხედა და ზედ მიმდგარი პოლიციელი შერჩა ხელში. პროკლამაციები ეცურა მაგრად ჩაბღუჯა, ერუანტელმა ჯერ თმის ძირები აუძაგა, მერე კი ფეხებში გაუარა. მაგრამ პოლიციელს ყურადღებაც არ მიუქცევია, გზა ისე განაგრძო, ჭიანჭველადაც არ ჩაუგდო.

დიდუბის მინდორი ხალხით იქედებოდა. დამკვრელებს უკვე გაეხურებინათ დოლი და ზურნა.

რაც თბილისში ჩამოვიდა, ჭიდაობას არ დასწრებია. ბევრი ფალავნის სახელი ჰქონდა გაგონილი, მაგრამ არც ერთი თვალით არ უნახავს, არც საჭიდაო მოედანზე და არც მოედნის გარეთ. და აი, ახლა, როცა საჭიდაო მუსიკას დასცხეს, სისხლი აუჩუხჩუხდა, კუნთებმა თრთოლვა დაუწყეს და ისე აღტკინდა, ეგონა, მთას მოვგლეჯო.

მთვლემარე წინაპარი იღვიძებდა მის სისხლში...

მილეთის ხალხი ირეოდა. ამაზე უკეთესს ადგილს სად ნახავდა პროკლამაციების გასავრცელებლად. თითქმის მთელი ქალაქი აქ შეყრილიყო. გნოლებივით გუნდგუნდად დადიოდნენ თბილისის ლამაზმანები და ქვეშ-ქვეშად ათვალიერებდნენ ულვაშებშეღერებულ ჭაბუკებს. ყველა ჭიდაობის საყურებლად როდი იყო მოსული, ზოგი თვალს წყალს ალევინებდა, ზოგი თავის ჩაცმულობით ან სილამაზით აბრმავებდა სხვებს. ავაზებივით მიირხეოდნენ ჭაბუკები და ლამაზმანებს თვალებით სჭამდნენ. აბელმა ქალიშვილების ჯგუფს თვალი გააყოლა და ისევ გველესიანების ასული გაახსენდა. ეგებ ისიც აქ სადმე იყოს?

ზურნა გაიტრუნა, დოლი დადუმდა და ხალხი საჭიდაო ასპარეზს მიაწყდა, ეტყობოდა, ჭიდაობა უკვე იწყებოდა.

აბელი ხალხში გაძვრა, წინა რიგში ამოყო თავი, პოლიცმეისტერი ციბრუტივით ტრიალებდა თავისი მოხელეებით და წრეს აფართოვებდა. მშვენიერი სანახავი იყო განიერი წრე. მწვანე მინდორს მჭიდროდ შემოსხდომოდა ფეხმორთხმული ხალხი, მათ უკან ზეზეულები ამოსდგომოდნენ, ხოლო შემდეგ ფაიტონებზე, ფორნებზე და კიბეებზე შემომსხდარნი.

დოლი აბრაგუნდა, ზურნას ჩაჰბერეს...

ხალხი შეიშმუშნა და გაინაბა.

აბელს თვალი იქით ეჭირა, სადაც ჭიდაობის მოთაკენი და მსაჯები ტრიალებდნენ. აგერ კულა გლდანელი, ზვიადი ვაჟკაცი, ფართო თვალები კეთილად უღიმოდა. ვეება ბეჭების რხევით დადიოდა და მსაჯებს რაღაცას ეუბნებოდა.

— ნესტორი სადღაა, ნესტორი? — აჩურჩულდა ხალხი.

ნესტორ ესებუა არა ჩანდა. უნდოდა ეს ჩინებული ფალავანიც საკუთარი თვალით ენახა, მაგრამ ნესტორ ესებუა ქალაქში საერთოდ არ იყო. აბელს გაგონილი ჰქონდა, რომ ნეს-

ტორი რევოლუციონერებს უთანაგრძნობდა, გამოსვლებშიც მონაწილეობდა დასავლეთ საქართველოში. ალბათ ამიტომ, ახლობელ ადამიანად მიაჩნდა.

ზურნა უფრო გახურდა, დოლიც გადაირია, და აჰა, მოედანზე გამოვიდა ბრგე, შავი ვაჟკაცი, ერთი შეხედვით ემჩნეოდა, უცხო ტომისა იყო. ეს გახლდათ აზერბაიჯანელი მოჰიდავე ალთი აილუღ ახუნდოვი.

უკან გადავარცხნილი გრძელი თმა თითქმის მხრებზე დაჰყროდა, მოშვებული ხშირი წვერი ხნიერი კაცის იერს აძლევდა, მაგრამ მკვირცხლ თვალებზე ემჩნეოდა, რომ სრულიად ახალგაზრდა იყო.

ხალხში ისე ჩანდა, როგორც ჯიშიანი ბუღა ნახირში.

ალთი აილუღს თბილისელები კარგად იცნობდნენ. კულა გლდანელთან ორჯერ სცადა ბედი, მაგრამ არ გაუმართლა. ალთიმ მაინც არ დაკარგა იმედი, გული ერჩოდა და მესამედ გამოიწვია კულა. გლდანელმა შეუთვალა, თუ თედო ლილოელს წააქცევ, ჩემს თავს გალახულად ჩავთვლიო. და აი, ახლა, მარტო თედო ლილოელის კი არა, თითქმის კულას ბედიც წყდებოდა.

ხალხი თვალებით ზომავდა აზერბაიჯანელ გოლიათს და გული ეთანაღრებოდა.

ისეთი სიჩუმე იდგა, აფეთქების წინ რომ იცის ხოლმე. ზურნაც დადუმებულიყო და დოლიც. ალთი მოუსვენრად დაიარებოდა წრეში და თან იქით იყურებოდა, საიდანაც მოწინააღმდეგე უნდა გამოსულიყო. და აგერ მეორე მხრიდან გამოვიდა მთლად ახალგაზრდა, ქერა ვაჟკაცი, ლილოელი მწყემსი თევდორე ავალიშვილი, ჭიდაობაში თედო ლილოელად ცნობილი. თავჩაღუნული იდგა, თითქოს ამოდენა ხალხის დანახვამ დააბნია და დაამორცხვაო. ახუნდოვზე დაბალი იყო, მხრებში ოდნავ მოღუნული. კერატივით მოკლე კისერი ჰქონდა. მკლავებიც მოკლე, მაგრამ მსხვილი. ერთი შეხედვით ვერ იფიქრებდით, ღონიერი იქნებაო, მაგრამ თედოს უცნაური გარეგნობა რაღაცით მიანიშნებდა ადამიანს, რომ მის სხეულში უჩვეულო ძალა იმალებოდა.

ალთი აილუღმა ირიბად გადახედა ლილოელ მწყემსს, ეტყობა, იმედი მოეცა და უფრო მხნედ გაიარ-გამოიარა. საეჭვოდ განაბული ხალხი ალთის ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებ-

და. აგერ ჩაპბერეს ზურნას, ააბაგუნეს დოლი და მაყურებელიც გამოცოცხლდა.

თავიდან ფალავნები ერთმანეთს ზვერავდნენ, ძალას უსინჯავდნენ, ორი წუთის შემდეგ კი ლილოელმა მოულოდნელი მოგვერდით წააჩოქა ალთი. ხალხმა ყიჟინა დასცა, ზურნამ ხმას უმატა და დოლმა იქაურობა გააყრუა.

ალთი ზეზე წამოიჭრა, სწრაფად ეკვეთა მეტოქეს და ღაბარბაცა.

მოჭიდავენიც და მაყურებლებიც გამოცოცხლდნენ, აზარტში შევიდნენ. ალთიმ მაგრად ჩაბღუჯა ლილოელი, ხელში აიტაცა, მაგრამ ქართველმა ფალავანმა იმარჯვა და შუაკაური გამოსდო. ბაქოელი ცდილობდა, მარცხენა ფეხი როგორმე დაეძვრინა. კისრის ძარღვები დაპბეროდა, თვალები უფრო გაფართოვებოდა და შმაგი კამეჩივით იბღვირებოდა. ბოლოს იმარჯვა და ლილოელი პირქვე წააგდო.

განაბულმა ხალხმა ერთბაშად დაიგმინა. წამი და ფალავნები ისევ პირისპირ იდგნენ, ქშინავდნენ, თვალებით ერთმანეთს სჭამდნენ. რამდენიმე წუთის განმავლობაში ამაოდ ბრდღვინავდნენ, ამაოდ ხარჯავდნენ ძალ-ღონეს. თედოს გულშემატკივრებს იმედი მიეცათ, ისე აყიჟინდნენ, ზურნისა და დოლის ხმა დაფარეს. აგერ ლილოელი მწყემსი იღლიაში შეუძვრა მეტოქეს, მაყურებელი გაინაბა.

მედოლემაც ჩაიღიმა და გამეტებით დასცხო დოლს, მეზურნემ ლოყები უფრო დაბერა. ამ დროს აბელმა კულასკენ გააპარა თვალი. სახელოვანი ფალავანი გაშეშებული იდგა და იმასაც ულვაშებში ეღიმებოდა. მაყურებელს თითქოს სუნთქვაც შეეწყვიტა. თედო კი ცდილობდა, მკლავებში მოექცია ალთის მხარ-ბეჭი.

აბელმა მაშინღა გაიხედა ფალავნებისკენ, როცა ხალხმა იქაურობა ყიჟინით გააყრუა, ბეჭებზე დადებული გოლიათი ზანტად და უხალისოდ დგებოდა. კულა მოედანზე გადმოფრინდა, თედო გადაკოცნა და ვერცხლის ქამარი შემოარტყა.

აბელს გული დაეწვა. როგორ უნდოდა თანამემამულეს გაემარჯვა და აი, ახლა, როცა დამარცხებული სტუმარი იხილა, სიბრალულმა შეიპყრო, ლამის მისულიყო იმ უცხო ფალავანთან და ორიოდე თბილი სიტყვა ეთქვა, გაემხნევებინა. ის ხომ

ამ ქალაქში უცხოდ არის, თანამგრძნობი და თვისტომი კაკალი კაცი არა ჰყავს.

ხალხი ყიჟინებდა. თედო ლილოელს შემოხვეოდნენ, ალთი აილუღი კი აღარსად ჩანდა. მუსიკას ახლა ტუში გაეხურებინა.

მოედანზე მეორე წყვილი უნდა გამოსულიყო. უცნობი ფალავნები იყვნენ, მაგრამ ჭიდაობის მოყვარულნი მათ გამოჩენას მაინც მოუთმენლად ელოდნენ. კვლავ დატრიალდა პოლიცმეისტერი თავისი მოხელეებით, ხალხი მისწი-მოსწია და საჭიდაო წრე გააფართოვა. ისევ ჩაჰბერა მეზურნემ, ისევ აბრაგუნდა დოლი. ისევ გაინაბა ხალხი და ამ დროს აბელი შეუმჩნევლად ამოქმედდა. ადგილიდან ადგილზე ინაცვლებდა. როცა ხელი დაიცალა, ხალხში მიიმალა. ახლა ის იმ ადამიანის მოთმინებით ელოდა შედეგს, ვინც ნაღმი ჩადო და პატრუქს ცეცხლი მისცა. რამდენიმე წუთში იქაურობა მთლად აირია, დოლი დადუმდა, ზურნამ ხმა ჩაკმინდა. ხალხი ჩოჩქოლობდა, პროკლამაციებს აფრიალებდნენ, ხმამაღლა კითხულობდნენ, პოლიციის მაშველი რაზმი მოვარდა, ცხენოსნებმა ხალხს ალყა დაარტყეს და მათრახები ააზუზუნეს.

აბელს ვერ წარმოედგინა, თუ თავისი ნამოქმედარი ასე არევ-დარევდა იქაურობას. ახლა ხვდებოდა, რამოდენა ცეცხლი დათესა და გულში შიში ჩაუვარდა, მაგრამ ცდილობდა, თავი მშვიდად დაეჭირა და აქედან უვნებლად გამძვრალიყო. დაატყო, რომ აქ ბევრი იყო რევოლუციის თანამზრახველი, ალბათ სწორედ ისინი ეურჩებოდნენ ახლა პოლიციას... მიხვდა, აქ კომიტეტის ხელი ერია, ამხანაგებს წინასწარ ემუშავათ.

აგენტები გაფაციცებით დარბოდნენ, ცხადი იყო, პროკლამაციის გამავრცელებელს ეძებდნენ, ხალხი სხვადასხვა გზით იფანტებოდა, პოლიციელებმა ჰაერში ისროლეს, მაგრამ აბელს აღარაფერი ესმოდა. მხოლოდ ის იგრძნო, რომ ვიღაცა მაჯაში ჩააფრინდა. შიშნაჭამმა გვიან შეიცნო, რომ ეს ხელი ნაზი და რბილი იყო. მოიხედა და გაოცდა. მის წინ ეთერ გველესიანი იდგა.

— ჩქარა წამოდი, აქაურობას გავეცალოთ, — ჩურჩულით უთხრა ქალიშვილმა. აბელი მორჩილი ბალღივით გაჰყვა.

კარგა ხანს მიიკვლევდნენ ხალხში გზას და მაშინღა ამო-

ისუნთქეს შვებით, როცა მიხეილის ქუჩაზე გავიდნენ. აქ თითქმის საფრთხე აღარ ელოდათ. უბმოდ, ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ ხელიხელჩაკიდებულნი.

ეთერი ამ მოკლე ხნის მანძილზე თითქოს დაქალებულიყო ვაეს ზედაც არ უყურებდა, ჯიუტად დუმდა, მერე კუშტად შეხედა და ოი, საოცრებავ, მის თვალებში აბელმა შენიშნა ახლობელი, ძალზე ახლობელი ადამიანის წყრომაც და მხრუნველობაც.

— ეგრე რამ დაგაბნია. კინაღამ არ ჩაგავლეს ხელი, ბედზე შეგხვდი.

— როგორ თუ ჩამავლეს? რაზე უნდა ჩაევლოთ?

ქალიშვილმა დამცინავად, მაგრამ თბილად გაუღიმა.

— მე ყველაფერი დავინახე. ვიფიქრე, თვალი ხომ არ მატყუებს-მეთქი. აი, თურმე ვინა ყოფილხარ, რათ მიმალავ, ჩვენ ხომ უკვე მეგობრები ვართ?

აბელი თასმასავით მოალბო მისმა სიტყვამ.

მიხეილის ქუჩაზე ხალხი შეთხელებულიყო. პოლიციის მხედრიონმა ჩაიარა, ცხენებს აფიცხებდნენ, ეტყობოდა, იქით მიდიოდნენ, სადაც ჭიდაობის ასპარეზი იყო გამართული.

აბელს გვერდით ჰყავდა საყვარელი არსება. ხელში ეჭირა მისი ნაზი, სათუთი ხელი. ნიავი უწეწავდა ოდნავ თხელსა და გიშერივით თმას, გამაბრუებელი სურნელი რომ დაჰკრავდა. წუხანდელი სიზმარი გაახსენდა, ყაყაჩოებით მოფენილი ჯეჯილი, ხელჩაკიდებული რბოლა. ნეტავ ის სიზმარი ახლა ხომ არ გრძელდებოდა?!

— წამოდი ჩვენსა, დედა მეუბნებოდა, ის ბიჭი ხომ აღარსად შეგხვედრიაო. ძალიან მოეწონე. ახლა ჩემი დებიც შინ იქნებიან. ო, როგორ უნდათ შენი გაცნობა. — მერე ხმას დაუწია, წარბი მკაცრად შეკრა და ისე უთხრა: — მაგეებს კი მოეშვი, მე ეგ „ბუნტისტები“ არ მიყვარან, მძულან.

აბელი უცბად გამოფხიზლდა, გუნება ისე აემღვრა, თითქოს სილა გააწნესო, მაგრამ, როგორც კი შეხედა მის უმანკო, ბავშვურ სახეს, ისევ დამშვიდდა და თვალებში ღიმილი ჩაუდგა.

„მთლად ბავშვია, — გაიფიქრა მან, — ბავშვი, ჯერ ქვეყნისა არაფერი იცის. მაგრამ ნეტავ ვისი სიტყვებით ლაპარაკობს?“

11

— ვილაც მადმუაზელ მარგარიტაა ჩამოსული, კაფე-შანტანში მღერის. ხომ არ დავესწროთ, ხვალ ბოლო დღეა. — მუდარით სთხოვა ეთერიმ გუშინ, ერთმანეთს რომ დაშორდნენ.

გადაწყვეტით არ უთქვამს, აუცილებლად მოვალო, მაგრამ ყურებში ედგა, როგორ მიაძახა ზურგიდან, ექვს საათზე შინ გელოდებიო.

მთელი დღე აფორიაქებული იყო, თავს ეურჩებოდა, წასულიყო თუ არა ეთერთან. ციცხლივით უფრთხოდა იმ გრძნობას, რომელსაც, რაღა თქმა უნდა, სიყვარული ჰქვიოდა და რომლითაც მისი არსება თანდათან იმსჭვალებოდა.

ბევრი ჭოჭმანის შემდეგ გადასწყვიტა აღარ წავალო და ამ გადაწყვეტილებით კმაყოფილი იყო, თავს მოვერიეო. სამუშაოდან მოსულმა პლეხანოვის წიგნი გადმოიღო. ეს იყო „ისტორიაზე მონისტური შეხედულების საკითხი". იგი რამდენჯერმე ჰქონდა გადაკითხული, მაგრამ თვალში ახლა ეს მოხვდა და გადაწყვიტა კიდევ გადაეთვალიერებინა. აფორიაქებული გული ვერც ამან დაუწყნარა. ეთერზე ფიქრი ვერ მოიშორა. ხან მისი ნაზი, ტკბილი ხმა ჩაესმოდა, ხანაც ნუკრივით ლამაზი და უმანკო თვალები ელანდებოდა.

მეექვსე საათი რომ დაიწყო, უარესად აფორიაქდა, ვერა და ვეღარ მოისვენა.

„ღმერთო დიდებულო, ვინ იტყვის უარს იმისთანა გოგოსთან ყოფნაზე, როგორიც ეთერია, — ფიქრობდა იგი, — ვინა ჰკრავს ხელს სიყვარულს, განგების ამ დიდ მადლსა და ჯილდოს, ადამიანის გაწამებულ ცხოვრებას რომ ასე ახალისებს".

წიგნი გვერდზე გადადო და ფანჯრიდან გაიხედა. ცა იღრუბლებოდა, გრილი ნიავი უბერავდა, ეტყობოდა, წვიმას აპირებდა.

„ალბათ, ის უკვე ემზადება, როგორ გავაწბილო? წავალ, წავიყვან კაფე-შანტანში და მერე ვეტყვი, რომ ჩვენი გზები სხვადასხვა მხარეს მიდიან. რა უსინდისობაა, ასეთ უმანკო არსებას თავი შეაყვარო და მერე იმედი გაუცრუო".

ნახევარი საათით ადრე მოუწია გველესიანებთან მისვლა.

კარი უცნობმა გოგონამ გაუღო, მკაცრად შეხედა და ჰკითხა: გინა გნებავთო. აბელი მიხვდა, იგი ეთერის უმცროსი და ლუბა უნდა ყოფილიყო. ეთერის სულაც არ ჰგავდა. ცისფერთვალება იყო, წაბლისფერი კულულები ეყარა.

— ეთერი შინ არის? — ჰკითხა აბელმა.

გოგონამ ცალი თვალი მოჭუტა, შეჰღიმა და შინ შეიპატიჟა. როიალთან რომ სავარძელი იდგა, იმაზე მიუთითა, დაბრძანდითო და თვითონაც სავარძელში ჩასკუპდა.

— თქვენ აბელი ხართ, არა?

— ვარ. როგორ გამოიცანით? — გულწრფელად გაოცდა აბელი.

გოგონა სავარძელში შექანდა, ეშმაკურად ჩაიცინა და მიუგო.

— თქვენ ხომ ცისფერი თვალები გაქვთ, იმით გიცანით.

აბელს სადღაც წაეკითხა თუ გაეგონა, ყველა ბავშვი ოჯახის ენით ლაპარაკობსო და რაღა მიხვედრა უნდოდა, რომ ამ სახლში ჰქონიათ ლაპარაკი.

— უყურე ამას! — გაიცინა აბელმა, — შენ კიდევ ლუბა ხარ. აი, მეც ხომ გამოვიცანი!

გოგონამ ტაში შემოჰკრა.

— ეთერმა გითხრათ, არა?

— შენ ვილამ გითხრა, რომ მე ცისფერი თვალები მქონდა?

ლუბამ ისევ ეშმაკურად მოჭუტა თვალები და უპასუხა:

— არავინ.

— ოი, შე კუდრაჭავ... სად არის ეთერი?

— თქვენ გელოდებოდათ და იპრანჭება. — გვერდით ოთახზე მიანიშნა, შუა კარით რომ უერთდებოდა ამ ოთახს. გოგონამ ერთხანს მდუმარედ უყურა აბელს, თან თმის კულულს ეწეწავდა, თითქოს უნდა რაღაც ჰკითხოს და ვერ ბედავსო, ბერე მაინც გაბედა და ჰკითხა:

— მოგწონთ ჩემი და?

აბელი ამ კითხვას არ ელოდა, გულიანად გაიცინა.

— ძალიან. კიდევ რა გაინტერესებს?

— არაფერი, — და სევდიანად დასძინა, — კაფე-შანტანში ბიდიხართ, არა. როგორ მინდა, მეც მოვუსმინო მადმუაზელ ბარგარიტას.

ამ დროს მეორე ოთახიდან ეთერის ხმაც გაისმა.

— ლუბა, მოდი ერთი წუთით.

გოგონა მკვირცხლად წამოხტა.

— ბოდიში, — მიმართა აბელს, — მივალ, თორეძ უჩემოდ ვერ გამოიპრანჭება.

მარტოდ დარჩენილმა იქაურობა მოათვალიერა. ოთახი საკმაოდ დიდი იყო. ერთი როიალი, წიგნებით გატენილი მოჩუქურთმებული კარადა, დივანი, მაგიდა და რამდენიმე სავარძელი.

მარცხენა კედლიდან ბეთჰოვენი და მოცარტი იყურებოდნენ, ხოლო მარჯვნიდან ღვთისმშობელი მარიამი გულზე მიხუტებული ჩვილით და გოიას სურათი „ნაპოლეონის ჯარისკაცების მიერ აჯანყებულთა დახვრეტა 1808 წელს“.

აბელს გაახსენდა, რომ გველესიანების აწ განსვენებული მამა მუსიკოსი იყო და ამ ოჯახში იმიტომაც ტრიალებდა ხელოვნების სული.

„მოცარტი სიღარიბეში მოკვდა და ღარიბთა სასაფლაოზე ერგო სამკვიდრებელი, გოიამ ტორეადორობა დაიწყო, რომ ლუკმა პური ეშოვნა. ბეთჰოვენი... ბეთჰოვენი დაყრუვდა. დიდ ხელოვანთ რატომ აქვთ ყველა ქვეყანაში მწარე ხვედრი? ყველა ქვეყანაში და ყველა დროს, ჩვენ კი მარტო რუსეთის იმპერია გვგონია გამონაკლისი“.

ამ ფიქრში იყო, ეთერი რომ გამოვიდა მეორე ოთახიდან. აბელის დანახვაზე ლამაზი თვალები სინაზით გაუბრწყინდა, სახეზე მოკრძალებული ღიმილი აუთამაშდა. მორთულ-მოკაზმული იყო, ოდნავ თავჩაღუნული მსუბუქი გამართული ნაბიჯით მიუახლოვდა აბელს და მან იმ წამსვე იგრძნო ის უფსკრული, რაც ამ ლამაზი არსებისაგან აშორებდა, რაც ესოდენ მიუწვდომელს ხდიდა მას. იგრძნო და გული ჩაწყდა. ეს ის უფსკრული იყო, რაც ბრძოლითა და ტანჯვით უნდა ამოევსო და რასაც, ვინ იცის, კიდევ რამდენი წელი დასჭირდებოდა.

— საღამო მშვიდობისა, — მიესალმა ეთერი. აბელი წამოდგა, ქალიშვილს ხელი ჩამოართვა და ისე აშკარად შეიგრძნო მისი ხელის სინაზე და ხავერდოვნება, რომ ერუანტელმა დაუარა.

— ხომ არ დავიგვიანე? — ჰკითხა აბელმა.

— არა. ოღონდ ვეჭვობდი, ვაითუ არ მოვიდეს-მეთქი.

— შენ კი უკვე გამზადებულხარ. რომ არ მოვსულიყავ, უჩემოდ წახვიდოდი?

ეთერი გაწითლდა, წყრომით გადახედა და მხრები აიჩეჩა.

მუქი ფერის კოსტიუმი ეცვა, თავზე ამავე ფერის ქუდი ეხურა, საიდანაც ოდნავ მოუჩანდა დახვეული, გიშერივით შავი თმა.

„ნეტავ რით მოვხიბლე, რა მოსწონს ჩემი?“ — გაიფიქრა და უკვე გახალისებულმა ჰკითხა:

— მაშ, წავედით მადმუაზელ მარგარიტას მოსასმენად, არა?

— თუ მაგიტომ მოხვედით, წავიდეთ, — მან ვეღარ დამალა, რომ წეღანდელი კითხვით ნაწყენი იყო. აბელმა დაამირა პატიება ეთხოვა, მაგრამ გადაიფიქრა.

„უხეში და წინდაუხედავი ვარ. რად ვაწყენინე?“ — და გადაწყვიტა მთელი დღევანდელი საღამო ყურადღებით მოქცეოდა და გამოესყიდა ეს დანაშაული.

ჭაღებით გაკაშკაშებული კაფე ხალხით იჭედებოდა. კონცერტის დაწყებამდე ათი წუთი იყო დარჩენილი, სცენასთან ახლოს დაიკავეს მაგიდა. აბელმა ოფიციანტს ორი ბოთლი შამპანური და ტკბილეული დაუკვეთა.

— ორი ბოთლი შამპანური? — გაოცდა ქალიშვილი. —ვინ დალევს, მე ერთ ჭიქაზე მეტს ვერ დავლევ.

— მე დავლევ. დღეს ისეთ ხასიათზე ვარ, რომ მეტსაც დავლევ.

— ოჰო, ასეთი რა მოხდა?

— შენთან ვარ და ბედნიერი ვარ.

— გმადლობთ ქათინაურისთვის! — ეთერი გაწითლდა და უხერხულობის დასაფარავად ჭიქიდან შამპანური მოსვა.

— ეს სულაც არ არის ქათინაური, — აბელმა ჭიქა აიღო,— მოდი დღევანდელ დიდებულ საღამოს გაუმარჯოს.

— გაუმარჯოს.

— მე უკვე მთვრალი ვარ. გინდა დაიჯერე, გინდა არა.

აბელმა შეამჩნია, მეზობელი სუფრიდან ხანდაზმული სანდომიანი ქალი როგორ მისჩერებოდა ეთერს და როგორ გადაულაპარაკა თანამეინახე მამაკაცს:

— მშვენიერებაა.

— ხომ ხედავ, ჯერ არ გადავშენებულვართ. — ხმამაღლა უპასუხა მამაკაცმა.

რამდენიმე ჭაღი ჩაქრა და კაფეში ნახევრად ჩამობნელდა. ხალხი აჩოჩქოლდა. მუსიკოსები სცენაზე გამოლაგდნენ, ადგილები დაიკავეს.

— ჩვენს დედაქალაქში, — აცხადებდა შავ კოსტუმში გამოწყობილი კონფერანსიე, — როგორც პატივცემულმა საზოგადოებამ იცის, რამდენიმე დღეა სტუმრად იმყოფება ფრანგი მომღერალი მადმუაზელ მარგარიტა!

ხალხმა ტაში დასცხო. შემდგომ კონფერანსიემ ილაპარაკა იმაზე, თუ მარგარიტა რამდენად პოპულარული იყო თავის ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ, რა სიმღერებს ასრულებდა და ბოლოს ტკბილი ნუგბარივით დააყოლა:

— სხვათა შორის, ბატონებო, მადმუაზელმა თბილისში ჩამოსვლისას განაცხადა, ისე მომეწონა თქვენი დედაქალაქი, რომ არ არსებობდეს პარიზი, თბილისში ვიცხოვრებდიო.

ხალხმა იხუვლა და ტაში დასცხო.

— ოჰ, ეს საშინელი პროვინციალიზმი, რომელიც ქართველებმა ვერა და ვერ მოვიცილეთ. — ჩაულაპარაკა მამაკაცმა მანდილოსანს. — მძაგს და პირდაპირ გულს მირევს ხოლმე ასეთი კუდაბზიკობა.

— დარწმუნებული ვარ, ახლა ეს ძალად ათქმევინეს მაგ ფრანგს. — უპასუხა ქალმა.

— რა თქმა უნდა, მერე სომხეთში წავა და ახლა იმათ ეტყვის, პარიზი რომ არ არსებობდეს, ერევანში ვიცხოვრებდიო. — სიცილით დაასკვნა კაცმა.

და აგერ თვით მადმუაზელ მარგარიტაც. გნოლივით გამოგოგმანდა სცენაზე. გულამოჭრილი თეთრი კაბიდან სავსე მკერდი უელავდა. ჩამოქნილი ტანი და ფეხები ჰქონდა, შავი თმა გაეშალა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს მისი მოქნილი სხეული სადაც არის ამ სამოსიდან უნდა ამოსხლტესო. ტაშით გაყრუებულ დარბაზს თავი მდაბლად დაუკრა და, როცა მაღლა აიხედა, ჭაღის შუქზე უცნაურად გაიბრწყინა მისმა თვალებმა. აბელმა გაიფიქრა, რომ მეტი წილი აქ შეყრილი ხალხისა, სიმღერის მოსასმენად კი არა, მარგარიტას სანახავად მოსულიყო. ეთერი შეათვალიერა. სახეფერმკრთალი ჩანდა, ნუკრივით განაბული მისჩერებოდა ფრანგ ქალს.

„არა, ეს სათნოება, სინაზე და ღრმა სილამაზეა, რომელიც სულს ატკბობს, ხოლო მარგარიტა თვალში უცაბედად საცემი და ვნებაამშლელია“.

ეთერმა იგრძნო, რომ აბელი დაჟინებით აკვირდებოდა და გაოცებულმა შეხედა.

მარგარიტა მღეროდა. დარბაზი განაბული უსმენდა, ტკბილი, ხავერდოვანი და ისეთივე ვნებიანი, მიბნედილი ხმა ჰქონდა, როგორიც თვითონ იყო.

ეთერმა გაიღიმა, აბელისკენ გადაიხარა და უჩურჩულა:

— იცით, რა თქვა?

— არა.

— საკუთარი ქონებით კმაყოფილი არავინ არის, საკუთარი ჭკუით კი ყველა კმაყოფილიაო.

— ფრანგული გესმით? — გაკვირვებით ჰკითხა აბელმა.

— კი. ბავშვობაში მასწავლეს.

— კიდეც იმიტომ გინდოდათ წამოსვლა ამ კონცერტზე.

— რატომ. მუსიკას ენა არა სჭირდება, განა თქვენ არ მოგწონთ მისი სიმღერა?

— ძალიან, მაგრამ ენა რომ არ ვიცოდი, ეგ სიბრძნე ვერ გავიგე. კარგი ნათქვამია, და რაც მთავარია, სრული ჭეშმარიტებაა.

როცა მადმუაზელ მარგარიტამ ეს სიმღერა მოათავა, დარბაზიდან ვიღაცამ დაიყვირა:

— „მთვრალი ხომალდი!“

ამ შეძახილს სხვებიც აჰყვნენ, მარგარიტამ დარბაზს გაუღიმა, მერე მუსიკოსებთან მივიდა, რაღაც უჩურჩულა და ისევ თავის ადგილზე დაბრუნდა. დარბაზი მოლოდინით გაინაბა.

— „მთვრალი ხომალდი!“ — საზეიმოდ გამოაცხადა კონფერანსიემ და დარბაზმაც კმაყოფილებით ამოისუნთქა.

— ეს ფრანგი პოეტის არტურ რემბოს ლექსია. — გადაუჩურჩულა ეთერმა და მაშინვე შენიშნა, რა დამცინავმა ცეცხლმა გაუელვა აბელს თვალებში.

— მადმუაზელ ეთერ, ფრანგული ენა არ უსწავლებიათ ჩემთვის, თორემ ფრანგული ლიტერატურა ასე თუ ისე ვიცი.

— მაპატიეთ, აბელ. მე ეგ არ მინდოდა მეთქვა... — ქალიშვილი გაწითლდა.

— საპატიებელი არაფერია, ძვირფასო. — გაუღიმა, რომ უხერხულობა გაექარვებინა.

აბელს სწორედ ახლა გაახსენდა კაიდანოვის „იაფფასიანი ბიბლიოთეკა", სადაც თავს იყრიდნენ მოსწავლე ახალგაზრდები და მუშები. ამ წრეში რეფერატებს კითხულობდნენ და პოლიტიკურ თუ ლიტერატურულ საკითხებზე ცხარედ კამათობდნენ.

ფრანგი ქალი სევდიანად მღეროდა უკიდეგანო ოკეანეში ბედს მინდობილ ხომალდზე. გასუსული დარბაზი სიმღერის დამთავრებისთანავე გადაირია და გაშმაგდა. ლამის ჭერი ჩამოაქცია ყვირილითა და ტაშის ცემით.

მარგარიტამ ერთი ხალხური ლექსი იმღერა კიდევ და კონფერანსიემ ათწუთიანი შესვენება გამოაცხადა.

კაფეში ისევ აინთო ჭაღები, ალბათ ჭიქა შამპანურისაგან ეთერს ლოყები წამოწითლებოდა, თვალები უბრწყინავდა. მან ნაზად გადახედა აბელს, შეჰღიმა და მთრთოლვარე ხმით უთხრა:

— ხომ არ ნანობ, რომ წამოხვედი?

— პირიქით, ძალიან კმაყოფილი ვარ.

— მეც ის მინდა, რომ კმაყოფილი იყო.

აბელმა ჭიქები შამპანურით აავსო.

— მოდი, შენ გაგიმარჯოს! — შეჩერდა, უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ მოეფიქრებინა და ის, რაც ენაზე მოადგა, რაც გულიდან დაიძრა, მხოლოდ თავისთვის თქვა:— ცისკრის ვარსკვლავო, იის ნაშობო, ამომავალო მზეო და ამქვეყნიურო ანგელოსო.

— რა თქვი? — ჰკითხა ქალიშვილმა.

აბელი შეკრთა, მერე მიხვდა, რომ ნაფიქრი ხმამაღლა გამოუვიდა და გაეღიმა.

— არაფერი, ჩემთვის ვთქვი რაღაცა.

ამ დროს დარბაზი შეჩოჩქოლდა. უკვე სხვა ტანსაცმელში გამოწყობილი მადმუაზელ მარგარიტა სცენიდან ჩამოვიდა, დარბაზი გაიარა და ერთ-ერთ მაგიდას ესტუმრა. ხალხს ყურაღლება იქით გაექცა. მაგიდიდან საბეგაბრწყინებული წამოდგა მაღალი, გამხდარი, ულვაშიანი ახალგაზრდა, მარგარიტას თავი მდაბლად დაუკრა, ხელზე ეამბორა და მაგიდასთან დასვა. მთელი კაფე მათ მისჩერებოდა, წადილი ჰკლავდათ გა-

ეგოთ, ვინ იყო ის ბედნიერი, ვისთანაც მარგარიტამ იკადრა მისვლა და პატივი დასდო. აბელი და ეთერიც იმ მაგიდისკენ იყურებოდნენ. არა, ის კაცი არც ვინმე დიდ თავადთაგანი იყო, არც ვინმე სახელმოხვეჭილი.

— ნეტავ ვინ არის ის ახალგაზრდა? — იკითხა გვერდით მაგიდაზე მანდილოსანმა და თანამეინახემ მაშინვე მიუგო:

— ეგ მხატვარი ფიროსმანია. გუშინწინ ერთი ურემი ყვავილები მოართვა მარგარიტას.

— ერთი ურემი?

— დიახ, ერთი ურემი. ფრანგი ჭკუიდან შეიშალა, ასეთი რამ არც მინახავს და არც სადმე გამიგონია. თურმე ეგ მხატვარი ატყუებს მადმუაზელს, თავადური წარმოშობისა ვარო.

ის კაცი მართალს ამბობდა. მხატვარი ფიროსმანი საბედისწეროდ გადაეყარა მადმუაზელ მარგარიტას. ერთ საღამოს, კონცერტის შემდეგ, მარგარიტას მოახსენეს, რომ მას ყვავილები მოართვა მხატვარმა ფიროსმანმა. იგი გაოცდა, როცა ძვირფასი ყვავილებით დატვირთული ურემი დაინახა. რაც კი დანაზოგი გააჩნდა, ფიროსმანმა მარგარიტას ძვირფას საჩუქრებში ჩაყარა. ფრანგმა გული გაუხსნა მხატვარს, მართლაც ეგონა, რომ იგი შეძლებული თავადი იყო და ბოლოს, როცა გაიგო, ფიროსმანი არც თავადია, არც მდიდარი, ერთი ღარიბი, ჯერ სახელმოუხვეჭავი მხატვარიაო, დაჰკრა ფეხი და თბილისიდან გაიპარა.

12.

— აგერ არმაზიც, მალე თბილისში შევალთ! — აბელმა ეს სიტყვები რომ გაიგონა, მაშინღა წამოდგა. მატარებელი მტკვრის ბირს მიჰყვებოდა.

არმაზი, სვეტიცხოველი და ცაში ატყორცნილი ჯვრის მონასტერი!.. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მთაზე კი არ იდგეს, პირდაპირ ზეცაში იყოს გამოკიდებული.

Однажды русский генерал
Из гор к Тифлису подъезжал, —

ჯვრის დანახვაზე ყოველთვის ეს ლექსი აგონდება ხოლმე.

აგვისტოს მცხუნვარე დღე დგებოდა. მატარებელი კივილით

მიადგა თბილისს, ნელა-ნელა გაჩერდა და, როცა სხვებთან ერთად მატარებლიდან ჩავიდა, უეცრად ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს მატარებელს გეზი შეეცვალოს და სულ სხვა ქალაქში ჩამოეყვანოს.

მას შემდეგ, რაც ბაქოში წასვლა გადაწყვიტა, იმაზე სულაც არ უფიქრია, თბილისის დატოვება როგორ იმოქმედებდა მასზე, პირიქით, ახალი სამყარო იზიდავდა კიდეც, მაგრამ ახლა, როგორც კი მატარებლიდან ჩამოვიდა, ბარგი შემნახველ საკანში მიაბარა და გაახსენდა, რომ თბილისში ბინაც აღარ ჰქონდა ღამის გასათევად, უცაბედად შემოწოლილმა სევდამ მთლად დაწრიტა და წალეკა: ირგვლივ ყველაფერი ცივი და უცხო ეჩვენებოდა. რაჭაში წასვლის წინ დაცალა ბინა. ნაწილი წიგნებისა თავის ბიძაშვილთან გადაზიდა, სპირიდონის დასთან, ნაწილიც რაჭაში ჩაიტანა. ბაქოში წასაღებად რამდენიმე წიგნი დაიტოვა, ბრენშტეინის „Очерки из истории Социализма", ბიკოვის „Очерки из истории Англии", მარქსის „კაპიტალი" და ვოდოვოზოვის სამტომეული: „Как люди на белом свете живут".

მარტოობას ლამის სიგიჟემდე მიეყვანა, უნდოდა ვინმე ენახა, ვინმესთან ესაუბრა, რომ გულიდან დარდი ჩამოერეცხა, მაგრამ ამ სამ საათში, ვიდრე ბაქოს მატარებელი გავიდოდა, რას მოასწრებდა? ვის ნახავდა.ბაქრაძეც ბაქოშია სამუშაოდ წასული, კოზარენკოც იქ გადასახლდა, ლადო, კაცმა არ იცის, სად იქნება. ბოჭორიძე ალბათ სამუშაოზეა...

უცებ ეთერ გველესიანი გაახსენდა და გული შეუტოკდა, საშინლად ენატრებოდა იგი და პირველად ახლა გამოუტყდა თავის თავს, რომ ჭეშმარიტად უყვარდა. არა, ახლა გველესიანის მეტი არავინ უნდოდა, ის იყო ერთადერთი, ვინც შვებას მისცემდა და ამ კაეშანს გაუქარწყლებდა.

მალაკნების ქუჩაზე გავიდა, რომ იქიდან ალექსანდეს ქუჩაზე მიმავალ ტრამვაის გაჰყოლოდა. მზე უკვე გაცოფებულიყო, ქალაქი, ეტყობა, სიცხეს გარიდებოდა, კანტიკუნტადღა დადიოდნენ ქუჩაში ადამიანები, ტრამვაიც თითქმის ცარიელი მიხრიგინებდა.

აბელს კაფე-შანტანში გატარებული საღამო გაახსენდა, იქიდან რომ ბრუნდებოდნენ, წვიმამ დაუშინა. ეთერმა ქოლ-

გა გაშალა და შეიფარა. ხელმკლავგაყრილებმა გაიარეს მთელი გზა.

იმ საღამოს ეთერი აღარ მოეშვა, შინ შეიპატიჟა. ყველანი სახლში იყვნენ და ისეთი ყურადღებით, ზრუნვით ექცეოდნენ, თითქოს ძალზე ახლობელი, ძვირფასი სტუმარი ყოფილიყოს. დაუვიწყარი საღამო იყო. ყავას შეექცეოდნენ და ფორტეპიანოსთან რიგრიგობით სხდებოდნენ დები. გაზაფხულის ნაზი, ნაწვიმარი საღამო შოპენის, ბეთჰოვენისა და მოცარტის სონეტებით ივსებოდა.

მას შემდეგ თითქმის ორი თვე გავიდა და ეთერი აღარ უნახავს.

„ნეტავ შინ დამხვდებოდეს", — ერთხელ კიდევ ინატრა, როცა ტრამვაიდან ჩამოვიდა და გულაძგერებული გაუყვა ქუჩას. აგერ ორმოცი ნომერი სახლი. უკანა ფანჯრები ქუჩის მხარესაა, მაგრამ იქ არვინ ჩანს, საიმედოდ ჩაუგმანიათ.

შეჩერდა და ირგვლივ მიმოიხედა. გამალებით უცემდა გული.

ბოლოს მაინც მოერია თავს, ეზოში შევიდა და კიბეს აუყვა. შუა კიბემდე როგორც კი მიაღწია, გულმა უკარნახა, რომ შინ არავინ დახვდებოდა. კარებთან შეჩერდა და არც დაუკაკუნებია. რაღაცით შეატყო, რომ კარი დიდი ხნის დაკეტილი იყო.

— გველესიანები გნებავთ? — აივანზე შუახნის ქალი გამოვიდა. ალბათ მეზობელი იყო.

— დიახ, ქალბატონო, სად არიან?

— კაი ხანია სოფელში წავიდნენ, თვის ბოლომდე არ ჩამოვლენ.

მადლობის ნიშნად აბელმა ქალს თავი დაუკრა და მკვდარივით გამობრუნდა.

აი, ეს ერთი იმედიც ჩაქრა, როგორ ეწადა ახლა ეთერის ნახვა, ვინმე მაინც დახვედროდა შინ.

ქუჩაში გამოსული უარესად შებოჭა სევდამ. იგი ახლა დედის კალთას მოწყვეტილი ბავშვივით გრძნობდა თავს, იმ ბავშვივით აუჩუყდა გული, ყელში მოებჯინა და ტირილი მოუნდა.

რკინიგზის ვაგზალზე რომ ამოვიდა, ვერც კი გაიგო. ბაქანზე ზარის ხმამ და ხალხის ჩოჩქოლმა გამოაფხიზლა და გა-

ახსენდა, რომ შემნახველი საკანიდან ბარგი ჰქონდა გამოსატანი.

რკინიგზის ბობოქარმა ცხოვრებამ ერთბაშად გამოსტაცა აბელი უიმედობის სამყაროს. ისევ მიწიერ ცხოვრებას დაუბრუნდა და უკვე გარდაქმნილი, მტკიცე ნაბიჯით გაეშურა შემნახველი საკანისაკენ.

ბაქანზე კი გაისმოდა ჯარისკაცების რიხიანი სიმღერა:

„ღმერთო, ჰფარვიდე მეფესა"...

ნაწილი მეორე

1.

მინკევიჩმა ტელეფონით ვალტერი იხმო, მერე სავარძელში ჩაესვენა, ჩიბუხი ნელა, საგულდაგულოდ გატენა და მადიანად გააბოლა.

გარეთ თავსხმა იყო. წვიმა ალმაცერად ურტყამდა შეფის კაბინეტის ფანჯრებს. ელვა გაიკლაკნა ფანჯარაში და სადღაც ახლოს ისე დაიჭექა, მინკევიჩმა სუნთქვა შესწყვიტა.

ბაქოს ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი ორმოც წელს გადაცილებული კაცი იყო. საშუალო სიმაღლის, მხარბეჭიანი და ჩაკირული. თავისი უცნაური, დარდიმანდული ხასიათით გაოცებაში მოჰყავდა ხელქვეითნი. ზოგჯერ ისე გაკენწლავდა უფროსებს და თვით მის უდიდებულესობა იმპერატორსაც კი, რომ ჟანდარმერიის მოხელეებს შიშისაგან ტანში გასცრიდათ ხოლმე. კაცი ვერ გაიგებდა, მინკევიჩი როდის ლაპარაკობდა დაცინვით და როდის გულწრფელად.

კარი გაიღო და როტმისტრმა ვალტერმა ფრთხილად შემოიტანა მწითური თავი.

— დილა მშვიდობისა, თქვენო აღმატებულებავ! — მიესალმა შეფს.

მინკევიჩი არც შეტოკებულა, ჩიბუხი გააბოლა, ხელქვეითს ცივად გადასედა და თვალში მაშინვე ჭინკები აუთამაშდა:

— ოო, მობრძანდით, როტმისტრო, როგორ გიკითხოთ, ეს საშინელი ამინდი განწყობილებას ხომ არ გიფუჭებთ?

ვალტერმა იშვნეულად შეხედა მომღიმარე შეფს, თვა-

ლები რომ ეშმაკურად უციმციმებდა და თვითონაც იძულებული გახდა გაეცინა, თუმცა ამკარად გრძნობდა, რომ უფროსი დასცინოდა.

— არა, თქვენო აღმატებულებავ, პირიქით, ასეთი ამინდი მიყვარს.

— ოჰო, ნუთუ! — ჩაიცინა ჟანდარმთა შეფმა, საკარძლიდან წამოდგა, მაგიდასთან მივიდა და ვალტერს ანიშნა დაჯდარიყო. როტმისტრი ორივე ხელით დაეყრდნო მაგიდას და უფროსს ისე შეაჩერდა, თითქოს მოწყალებას ელისო. მინკევიჩმა ცხვირ-პირში შეაბოლა, მაგიდის უჯრა გამოაღო, იქიდან რაღაც საქაღალდე ამოიღო და როტმისტრს წინ დაუდო.

ვალტერმა საქაღალდე გადაშალა და ახალგაზრდა კაცის სურათი ეცა თვალში.

„სახელმწიფოსათვის მეტად საშიში პიროვნება, პროფესიონალური რევოლუციონერი ვლადიმერ ზაქარიას ძე კეცხოველი"... — მერე ჩამოთვლილი იყო ლადოს მიერ ჩადენილი „დანაშაულებანი" და აგრეთვე ზუსტი აღწერილობა მისი გარეგნობისა, რომელიც ჟანდარმერიას შეედგინა. როგორც ვალტერმა იქიდან შეიტყო, თბილისში მოწყობილი საპირველმაისო დემონსტრაციის ერთ-ერთი მოთავე კეცხოველი უკვალოდ გაქრა, რამდენიმე თვეა ჟანდარმერია ეძებს და მის კვალს ვერ მიაგნო.

ვალტერი სურათს დააკვირდა. ეს სახე თითქოს ეცნაურა, თითქოს სადღაც ენახა, მაგრამ ვერაფრით ვერ დაედგინა, ვინმეში ეშლებოდა თუ მართლა ნანახი ჰყავდა. მისი მეხსიერებიდან ამოტივტივდა ორი თვის წინათ კოზარენკოს ბინაზე ჩატარებული ჩხრეკა, მაგრამ არა, იქ არც ეს გვარი შეხვედრია, არც სურათი, მარქსისა და კაუცკის შრომები იპოვეს და კიდევ რამდენიმე სურათი ვილაცეებისა.

— ალბათ, ეგ სურათი გეცნობათ, როტმისტრო. იმედი მაქვს უკვე კვალიც გექნებათ აღებული.

ვალტერმა გაოცებით შეხედა შეფს და შეამჩნია, რომ იგი ისევ დამცინავად იღიმებოდა.

— არა, თქვენო აღმატებულებავ, მე ამას პირველად ვხედავ.

მინკევიჩმა ხმამაღლა გაიცინა და, როცა როტმისტრს გაოცება და დაბნეულობა შეატყო, უკვე გულწრფელად მიუგო:

— კმარა, ვალტერ, გეხუმრეთ. თქვენ რომ მართლა ასე მუშაობდეთ, რუსეთის იმპერია უფსკრულის პირას აღარ მივიდოდა, მაგრამ მთლად თქვენ როდი ტყუიხართ. თევზი თავიდან ყროლდება... აი, რა, როტმისტრო, დარწმუნებული ვარ, თუ კეცხოველი უკვე ბაქოში არ არის, ალბათ მალე გამოჩნდება სხვა პასპორტით, სხვა გვარითა და სახელით, — მინკევიჩმა მაგიდაზე თითები დააკაკუნა, — ფხიზლად ადევნეთ თვალი ყველას, განსაკუთრებით იმათ, ვინც თბილისიდან არიან ჩამოსული. ბრძანებაა მოსული, ადგილზევე დავაპატიმროთ კეცხოველი... ჰო, მართლა, რა იცით ახალი საიდუმლო მარქსისტული წრეების თაობაზე?

ვალტერი წელში გაიშალა, თითქოს ეამა, შეფმა ასეთი კითხვა რომ დაუსვა და თამამად უპასუხა:

— თქვენო აღმატებულებავ, როგორც ადრე მოგახსენეთ და ჩვენმა აგენტურამაც დაადასტურა, წელს ბაქოში რამდენიმე მარქსისტული წრე ჩამოყალიბდა რკინიგზის რაიონსა და ბალახანში.

— ყოჩაღ, როტმისტრო. — მინკევიჩმა ხმამაღლა გადაიხარხარა, — თქვენი კარგი მუშაობის წყალობით მარქსისტული წრეები თანდათან ფართოვდება. — ჟანდარმთა შეფი მოიღუშა, სახეზე დაუფარავი ზიზღი გამოეხატა, ცისფერ ჭკვიანურ თვალებში ცეცხლმა დაკვესა და კბილებში გამოსცრა, —მთელი ჩვენი ჟანდარმერია დოყლაპიობასა და უსუსურობას იჩენს. თვალწინ ნაღმს გიწყობენ და გძინავთ. ვაი, ჩვენი იმპერიის ბრალი, როგორ დახავსდა.

ვალტერი გაფითრებული უყურებდა განრისხებულ შეფს და კრინტი ვერ დაეძრა. მინკევიჩმა ბოლთის ცემა დაიწყო, ჩიბუხს მოქაჩა, უცებ შეჩერდა და როტმისტრს ჯიქურ შეხედა.

— მერე, თუ იცით რამე ამ წრეების შესახებ, როტმისტრო?

— როგორც ადრე მოგახსენეთ, თქვენო აღმატებულებავ, და როგორც ჩვენმა აგენტურამ გვაცნობა... — ვალტერი უცებ შეჩერდა, რადგან უფროსს სახე ზიზღით დაემანჭა და ხელის აწევით ანიშნებდა, გაჩუმდიო.

— აგენტურა, აგენტურა. ეშმაკსაც წაუღია თქვენი აგენტურა. თქვენთან მუშაობას ვირების წვრთნა მირჩევნია. რაო,

თქვენმა აგენტურამ, როტმისტრო, ამოშაქრე, — და სიტყვა აგენტურას მკვეთრად და დაცინვით გაუსვა ხაზი.

— რაო, თქვენო აღმატებულებავ და... — როტმისტრს ენა დაება, თითქოს სათქმელი დაავიწყდა დაბნეულობისაგან, — ეს საიდუმლო წრეები ვინმე აბელმა ჩამოაყალიბა. მისი პიროვნება ჯერჯერობით ვერ დავაზუსტეთ. საბუნჩაში სამი დღის წინათ აგენტი შევგზავნეთ...

— როდის დაადგენთ მის პიროვნებას, როტმისტრო? — და მინკევიჩს უცებ გაუარა ბრაზმა. დაწყნარებული ჩაესვენა სავარძელში და თვალები ღიმილმა გაუბრწყინა ისევ.

— მალე, თქვენო აღმატებულებავ, იმ აგენტს დღე-დღე ველით. ზუსტ ცნობას მოგვიტანს.

— აბა, შენ იცი, როტმისტრო, იმპერიას თქვენი და თქვენისთანების იმედი აქვს. სადაც თქვენა ხართ, იქ იმპერიას არ გაუჭირდება. თავისუფალი ბრძანდებით. ველოდები თქვენი აგენტის ცნობებს.

ვალტერი ნაცემი ძაღლივით გაიძურწა კაბინეტიდან და ზურგიდან კვლავ იგრძნო უფროსის დამცინავი გამანადგურებელი მზერა. როცა კაბინეტის კარი გაიხურა, სიცილი მოესმა, ოღონდ ვერ გარკვეულიყო, მოეჩვენა თუ შეფი მართლა იცინოდა.

ვალტერს არ მოჩვენებია. ხელქვეითი რომ გაისტუმრა, მინკევიჩს მართლა აუვარდა სიცილი, მერე წამოდგა, გაიარ-გამოიარა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა: — Ceterum censeo, Carthaginem esse delendam* და დასძინა, — ღიახ, კართაგენი უნდა დაინგრეს, სამწუხაროდ უნდა დაინგრეს. ამას ვეღარაფერი შეაჩერებს და ეს იმის ბრალია, რომ იმპერიას დახავსებული ხალხი მართავს. ღმერთო მაღალო, რისთვის ვალევ ნიჭსა და ნერვებს ამ უმადურ და ამაო სამსახურს? თუმცა პროფესიას ვეღარ შევიცვლი. ვიდრე კართაგენი დაეცემა, მეც დავბერდები... ნეტავ რომელი პოეტი ამბობს: ვიდრე მოვკვდებით, თავი ხომ უნდა შევიქციოთ რაიმეთიო. დიდებული ნათქვამია, ყველანი რაღაცით ვიქცევთ თავს, ეგ მარქსისტებიც და ალბათ ჩვენც. საბოლოოდ კი ყველაფერი ამაოა. ბაქოში შედარე-

---

* თუმცა ვფიქრობ, კართაგენი უნდა დაინგრეს.

ბით სიმშვიდე იყო, მაგრამ, რაც იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან პოლიტიკური დამნაშავენი გადმოასახლეს, აქაც ყველაფერი აირია. ნეტავ ვინ არის ეს აბელი, რა ეროვნებისაა, ებრაელი? ქართველი? ან იქნებ სულაც შერქმეული სახელია. ამას ვალტერი დააზუსტებს მალე. ჰე, ჰე, მაგათი იმედი ჰქონდეს იმპერიას.

მინკევიჩი ახალგაზრდობაში ფილოსოფიითა და ლიტერატურით იყო გატაცებული, მაგრამ ახლობელი ნათესავის რჩევით ჟანდარმერიის სამსახურში ჩადგა. ბუნებით ამპარტავანმა, მაგრამ ნიჭიერმა მინკევიჩმა მოკლე ხანში დიდ წარმატებას მიაღწია, ჩინს ჩინზე იღებდა და ამიტომაც გაიტაცა ჟანდარმერიის სამსახურმა, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ, როცა დაინახა, რომ მის ირგვლივ უნიჭო ჩინოვნიკები ტრიალებდნენ, ხალისი დაკარგა და ისევ ლიტერატურასა და ფილოსოფიას მიუბრუნდა, ამით იქცევდა თავს. მას სძულდა თავისი უნიჭო კოლეგები და აშკარად დასცინოდა, ხოლო უფროსებს შეპარვით კენწლავდა, იმპერიისა და ცხოვრების მიმართ რწმენადაკარგული კაცი პროფესიას ვეღარ შეიცვლიდა, ძალაუნებურად ასრულებდა თავის მოვალეობას ანუ, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, თავს იქცევდა, ვიდრე ცოცხალი იყო.

მესამე რვეული

იმ დღეს არა ვმუშაობდი და გვიან ავდექი. ჩემი ვიწრო, ნახევრად ბნელი ოთახი მივალაგე და თბილისიდან გამოგზავნილი „კვალის“ ახალი ნომერი გადავშალე. ვერა და ვერ დავუდე გული. უემური ამყოლოდა. ასეთი რამ ხშირად მემართებოდა ბაქოში, მეტადრე პირველ ხანებში. ხანდახან ისეთი სევდა შემომაწვებოდა, სიცოცხლის აზრს ვეღარაფერში ვხედავდი. მემანქანის თანაშემწედ ვმუშაობდი, ყოველ მეორე დღეს ბაქოდან აჯიკაბულში გადამყავდა მატარებელი. თავისუფალ დღეებში კი წიგნებს ჩავუჯდებოდი ხოლმე, მაგრამ მაინც თბილისი და იქაური ამხანაგები მედგნენ თვალწინ.

თითქმის ერთი თვე ასეთ კოშმარში გავატარე. მერე და მერე კი, როცა ხალხი გავიცანი და „საქმეც“ გავიჩინე, ცხოვრებას ცოტა აზრი მიეცა. ბიქტორა ბაქრაძის მეტი მეგობარი და ნაცნობი ბაქოში არავინ მყავდა. კოზარენკოს ვერსად მი-

ვაგენი, როგორც მერე გავიგე, ბაქოდან გროზნოში წასულიყო სამუშაოდ. ბიქტორს დავავალე, საიმედო რკინიგზელების სია ჩამოწერე და მომეცი-მეთქი. მეორე თუ მესამე დღეს ათი კაცის სია გადმომცა. რამდენიმე საიმედო კაციც მე დავუმატე, მერე სათითაოდ ფრთხილად გამოველაპარაკე, მთელი ერთი თვე იმას მოვუნდი, ვიდრე სუყველას კბილს მოვუსინჯავდი. თოთხმეტი კაციდან ათი ისეთი იყო, წყალი არ გაუვიდოდა. ამ ათი კაცისაგან შეიქმნა პირველი მარქსისტული წრე ბაქოში. ის დღე არ დამავიწყდება. 1898 წლის ოცდაათი იანვარი იყო. შებინდებისას ივანე მალაგინის ბინაში შევიყარენით. მალაგინი რკინიგზაში მუშაობდა და თავიდანვე ძმასავით დამიახლოვდა, როგორც იტყვიან ხოლმე, ალბათ, სულმა სული იცნო. ოცდაათი წლის კაცი იყო ივანე, მაღალი, თხელ-თხელი, სიტყვაძუნწი, დინჯი და დარბაისელი. ბალალაიკაზე ისე უკრავდა და მღეროდა, სიამოვნებისაგან დადნებოდა კაცი. ქალაქის განაპირას ცხოვრობდა. ალიზით ნაშენი ოროთახიანი ბინა ჰქონდა, საკუთარი ბაღითა და ხეხილით. ივანეს სუფრა გაეწყო, ცოტაოდენი სასმელიც ეშოვნა და ის პირველი მეცადინეობა ისე ჩავატარეთ, ალბათ, მეზობლებს ეგონათ, მალაგინი რაღაც დღეობას იხდისო. შემდეგი ჩვენი თავშეყრაც, წვეთი სასმელიც რომ არ გვქონოდა, ისეთივე მხიარულებით მიმდინარეობდა, თითქოს ვახშამი გვქონდა. ამის შემდეგ ბალახანში გავხსენით კიდევ ერთი წრე. ხოლო ბოლოს საბუნჩაში. აი, სწორედ იმ დღეს მივდიოდი საბუნჩაში. მესამე მეცადინეობა უნდა ჩამეტარებინა. უკმური დღე იყო. დილიდანვე მოიღრუბლა. ყომრალი ღრუბელი დედამიწაზე დაეშვა და თითქოს მთლად შთანთქა იგი. თოვლ-ჭყაპი წამოვიდა, ქარმაც წამოუბერა და ზღვა აბობოქრდა. ჩემი პატარა ოთახის ფანჯრიდან მოჩანდა ერთმანეთზე მიწყობილი დაბალი კედლებგახუნებული სახლები, უფრო შორს კი ნისლში ლივლივებდა ქალწულის კოშკი. ზღვა ნაპირს ეხეთქებოდა, ბაგირით დაბმული გემები ობლად ქანაობდნენ.

ასეთ ამინდში გარეთ გასვლა ჭირისდღესავით მეზარებოდა, მაგრამ თავს ძალა დავატანე და გადავწყვიტე, ვაგზალზე გამეელო. ეგებ ვინმე ნაცნობს გადავეყარო და გული გავიქარვო-მეთქი. საწვიმარი მოვისხი და გარეთ გამოვედი. როგორც ცხვირი გავყავი, გრილი ნესტიანი ჰაერი მესიამოვნა

ბაქოს კვამლის სუნით აშმორებული. თითქოს თავბრუსხვევამაც უცებ გამიარა.

ქუჩაში კანტიკუნტად მოძრაობდა ხალხი. ასეთ ამინდში უსაქმოდ ვინ გამოვიდოდა. უფრო მეტად ჩადრიანი ქალები მხვდებოდნენ. ათი თვე მისრულდებოდა, რაც ბაქოში ჩამოვედი და მაინც მეუცხოვებოდა ჩადრიანი ქალები, როგორღაც მაშინებდა მათი დანახვა.

რკინიგზელთა უბანი გავიარე და ვაგზალს მივადექი. მიყვარდა მოწყენილობის ჟამს ვაგზალი. თბილისის მატარებელს დავხვდებოდი ხოლმე და გაფაციცებით ვათვალიერებდი თანამემამულეებს, ეგებ ვინმე ნაცნობი ვნახო-მეთქი. რომც არ შენახა ნაცნობი, მაინც გულიდან სევდა გადამეყრებოდა, რადგან თბილისის მატარებელს მუდამ იდუმალი სიხარული მოჰქონდა, რაღაცით მაკავშირებდა ნაცნობებთან. მატარებელი ხან შორეული სევდაა, ხან შორეული სიხარული, თვალწინ დამიდგებოდნენ ნათესავ-მეგობრები, მერე იმათგან გამოცალკევდებოდა მკაცრი, მაგრამ ულამაზესი, სათნო სახის ეთერ გველესიანი, ტკბილად შემიტოკებდა გულს და გაქრებოდა.

თბილისის მატარებელი უკვე კარგა ხნის ჩამომდგარი იყო, მგზავრებისაგან დაცლილი ჩიხში იდგა, ხოლო ორთქლმავალი ლიანდაგებზე ბოლთას სცემდა, ქშინავდა და თითქოს დედამიწამდე ჩამოქუფრულ ცას აფურთხებდა.

ათიოდე წუთში ბაქოდან აჯიკაბულში მატარებელი უნდა გასულიყო. ეს მე ნუსხით ვიცოდი.

ბარემ დავიცდი, დიმიტრის მაინც ვნახავ-მეთქი, ვიფიქრე. როგორც მაშვრალს წყალი, ისე მწყუროდა მეგობართან და თანამოძმესთან შეხვედრა. ბიქტორას ბიძაშვილი დიმიტრი სამიოდე თვის ჩამოსული იყო ბაქოში. მემანქანედ მუშაობდა. დიმიტრი ბაქოში ჩამოსვლისთანავე მხარში ამოგვიდგა მე და ბიქტორას.

ბაქანის გადაღმა კრიალა ლიანდაგები ერთმანეთზე გადახლართულიყო, ზოგან ერთდებოდნენ, ზოგან კი ისევ სცილდებოდნენ. განძელებს და საერთოდ მთელ სადგურს მაზუთის სუნი ასდიოდა, ჩემთვის ნაცნობი და სასიამოვნო. ეს სუნი სიცხეში უფრო მძაფრად იგრძნობა ხოლმე.

უნებურად გამექცა თვალი თბილისიდან ჩამოსული მატარებლისაკენ, ახლა რომ ჩიხში იდგა და რაღაც წინათგრძნობამ მიკარნახა, რომ ამ მატარებელს ვიღაც უნდა ჩამოჰყოლოდა თბილისიდან. ეს ფიქრი თუ წინათგრძნობა ისე ამეკვიატა, მოსვენება დამიკარგა. გული შინისაკენ მიმიწევდა, მაგრამ სად წავიდოდი, ჯერ დიმიტრის უნდა შევხვედროდი, მერე კი საბუნჩაში წავსულიყავი წრის სხდომაზე.

ზუსტად თორმეტ საათზე აჯიკაბულში მიმავალი მატარებელი ჩამოდგა. ვაგზალი აფუსფუსდა, მოსაცდელი დარბაზიდან ბაქანზე გამოიშალა ხალხი.

ორთქლმავლისაკენ წავედი, რომ დიმიტრი მენახა. როგორც კი მივუახლოვდი, ბაქრაძემ ფანჯრიდან დამინახა და ორთქლმავლის კაბინიდან მკვირცხლად დაეშვა, საშუალო ტანის, ულვაშებაწკეპილი ბაქრაძე ინტელიგენტს წააგავდა მაღალი შუბლითა და ოდნავ შეთხელებული თმით. ჩემს დანახვაზე ღიმილმა გაუბრწყინა თვალები, მაგრამ იმ წამსვე ფერი ეცვალა.

— გამარჯობა, აბელ, ხომ არაფერი მოხდა? — შეშფოთებით მკითხა და ხელი გამომიწოდა.

როცა ჩემს პირისპირ დადგა, მაშინ შევამჩნიე პირველად, რომ ჩემზე დაბალი იყო.

— არაფერი. რა უნდა მომხდარიყო! — გულგრილად მივუგე.

— მიემგზავრები სადმე?

გამეღიმა. არსადაც არ მივდივარ, შენი ნახვა მომენატრა და მოვედი-მეთქი.

ეჭვით შემომხედა, მაგრამ, როცა შემატყო, არა ვხუმრობდი, სინანულით მითხრა:

— რა ვქნა ახლა, მე რომ აჯიკაბულში მივდივარ?

— თუ იცი, თბილისის მატარებელს ჩვენიანი ხომ არავინ ჩამოჰყოლია?

დიმიტრი გაოცდა.

— არა მგონია, ვინ უნდა ჩამოჰყოლოდა?

— არა ისე... რატომღაც ისე მგონია, ვინმე ახლობელი უნდა ჩამოსულიყო.

დიმიტრიმ მხრები აიჩეჩა, ისევ გაოცებით დამიწყო ყურება.

— მაგიტომ გამოხვედი სადგურზე?

— არა. სახლში მომეწყინა, აღარ ვიცოდი, სად წავსულიყავ. სევდა ამეკვიატა. ვიფიქრე, ვაგზალში გავალ და დიმიტრის ვნახავ-მეთქი. ვიცოდი, დღეს რომ მუშაობდი.

ამის თქმაზე თვალები გაუბრწყინდა, დაფიქრდა და მითხრა:

— წამოდი მაშინ აჯიკაბულში. ერთად ვიყოთ.

— ვერ წამოვალ. საბუნჩაში წრის სხდომაა.

— აბა, მაშ რა ვქნათ, რომელზე მოათავებ წრის სხდომას?

— ალბათ, ექვსზე თავისუფალი ვიქნები.

— შვიდზე მე ჩამოვბრუნდები. დამხვდი აქ და რესტორანში შევიდეთ. გული გადავაყოლოთ. კარგი?

— ეგრე იყოს.

ამასობაში ზარსაც ჩამოჰკრეს. დიმიტრი ორთქლმავლისაკენ გაეშურა და ერთხელ კიდევ მომაძახა, შვიდ საათზე აქ დამხვდიო.

ისევ წვიმდა. წვრილი წვეთები სწრაფად სერავდნენ ჰაერს, თვალი გავაყოლე აჯიკაბულის მატარებელს და სადგურიდან ისევ ქუჩაში გამოვედი. საბუნჩაში წასვლა ჯერ ადრე იყო, ამიტომ გადავწყვიტე ცოტა ხანს სახლში შემევლო, მაინც ისე მეგონა, რომ ვიღაც უნდა მოსულიყო ჩემთან. ეს აკვიატებული წინათგრძნობა ვერა და ვერ მოვიცილე. რაღაც ნახევარ საათში უკვე ჩემი ოთახის კარებთან ვიყავი. ამაოდ ვათვალიერე იქაურობა, არც რაიმე კვალი ჩანდა და არც ვინმეს წერილი დამხვედრია, სადაც ეწერებოდა, ჩამოვედი და ამა და ამ საათზე შინ დამხვდიო.

შინ შესასვლელად გულმა აღარ გამიწია. გაწბილებულივით გამოვბრუნდი და საბუნჩისკენ ფეხით გავყე გზას. ნახევარი საათის სავალი იყო სულხან პაპიაშვილის დუქნამდე. პაპიაშვილი ხილითა და ბოსტნეულით ვაჭრობდა. ზამთარში კი ღვინო და არაყიც მოეპოვებოდა. სამოცდაათ წელს მიტანებული კაცი იქნებოდა, საინგილოდან იყო. უცოლშვილო. ბაქრაძემ წამიყვანა პირველად იმის დუქანში. პურმარილზე ერთთავად იმას ეუბნებოდა ბიქტორას, ეს რა ოქროს კაცი გამზაცანიო, ერთი სიტყვით, პირველ დღესვე გული გადავუშალეთ ერთმანეთს. როგორც გამოირკვა, პაპიაშვილი პოლიტი-

კურზე ყოფილიყო დიდხანს გადასახლებული, ვორონეჟის ოლქში მოეხადა სასჯელი. ეტყობოდა, დიდი ისტორია ჰქონდა გამოვლილი, მაგრამ რატომღაც ერიდებოდა დაწვრილებით ეამბნა თავისი ბიოგრაფია. ალესილი გონება და საოცარი მეხსიერება ჰქონდა ამ კაცს, სძულდა იმპერიის წყობილება, მაგრამ ხელჩაქნეული იყო.

— მე უკვე გამივიდა ყავლი, შვილო, — მითხრა მედუქნემ, — აღარც ბრძოლის ჟინი მაქვს, აღარც კატორღის თავი. რიგი ახლა თქვენზეა. ჩემს დუქანში მეტწილად ღარიბი მუშები იყრიან თავს. მოდიან, ღვინოში იკლავენ ბოღმას. ბრძოლის ჟინი აქვთ, მაგრამ არ იციან, ვის ებრძოლონ, ხელმძღვანელი უნდათ, ჭკუის დამრიგებელი, პროპაგანდისტი. თუ სურვილი გაქვს, მე შეგირჩევ სანდო ხალხს, ხანდახან მოდი და ესაუბრე, გზა მიეცი. ოღონდ დიდი სიფრთხილე გვმართებს.

მეც მეტი რა მინდოდა, რასაც ვეძებდი, იმას გადავეყარე. მადლიერებით გადავხედე ბაქრაძეს ჩემი აქ მოყვანისათვის და დავნიშნეთ დრო — დღე და საათი. პაპიაშვილმა პირველ დღეს ათი კაცი დამახვედრა, ცალკე კუთხეში მყუდროდ დაგვსხა, თვითონ კი მომსვლელ-წამსვლელს ისტუმრებდა და თან თვალი ეჭირა, საეჭვო არავინ შემოხეტებულიყო. პირველ დღეს უბრალოდ ვესაუბრე მუშებს, თან ცოტა-ცოტა ღვინოს ვწრუპავდით. შეკითხვას შეკითხვაზე მაძლევდნენ, ისე რომ პასუხებს ვერ ავუდიოდი. პირველ დღესვე თითქმის სუყველა დავიმახსოვრე სახეზე. თვალი მქონდა გაჩვეული, ვცდილობდი, რაიმე განმასხვავებელი ნიშანი აღმომეჩინა და იმის მიხედვით დამემახსოვრებინა თითოეული. მეორე სხდომაზე სპარტაკის აჯანყების ამბავი გავაცანი. გასუსულები ისმენდნენ, შეთქმულებმა როგორ მოახერხეს გაქცევა, როგორ შეაფარეს თავი ვეზუვის მთის კლდოვან მწვერვალებს, როგორ აირჩიეს უძლიერესი, უმამაცესი და უუკვიანესი სპარტაკი ხელმძღვანელად, როგორ შეუერთდნენ სპარტაკის რაზმს სხვა მონებიც, სხვადასხვა ერისანი, ვინც, მართალია, ერთმანეთის ენა არ იცოდა, მაგრამ ერთი მიზნისათვის — თავისუფლებისათვის იბრძოდნენ.

— სჯობს რკინამ მოგვიღოს ბოლო, ვიდრე შიმშილმა. აი, ასე მიმართა სპარტაკმა ბრძოლის წინ თავის რაზმს, როცა სამი ათასი რომაელი მეომრის წინაშე იდგნენ.

— ვიდრე შიმშილმაო, არა? ხედავთ, ხალხო, ჩვენ კი რამ დაგვაბეჩავა! — წამოიძახა გამხდარმა ოცდაათი წლის ივანე ემელიანოვმა, რომელიც ვოლგისპირეთიდან იყო ჩამოსული ბაქოში სამუშაოდ.

— რომელ წელს მოხდა ეს სპარტაკის ამბავი? — ეს მელიქ მელიქიანცი იყო, დაბალი ჩია ტანის სომეხი.

— ჩვენს წელთაღრიცხვამდე სამოცდათოთხმეტ წელს, დაახლოებით ათას ცხრაას ოცდაათი წლის წინათ.

— ეჰ, დამნაშავე ის არის, ვინც პირველად ჩემი და შენი მოიგონა.

— მოიცათ, ხალხო, მოვისმინოთ, მერე ვიკამათოთ! — ემელიანოვმა დააწყნარა გაფიცხებული ხალხი.

ავუხსენი, რა იყო მიზეზი, სპარტაკის აჯანყება რომ დამარცხდა, როგორ აფასებდა პროლეტარიატის ბელადი ლენინი სპარტაკის გმირობას, რა უნდა აგვეღო იქიდან მაგალითად და რა — არა.

— ჩვენ ის გვინდა ვიცოდეთ, როგორ ვიბრძოლოთ, ამხანაგო აბელ.

— მოითმინეთ, ამხანაგებო, — უცებ წამოიყვირა მელიქიანცმა. ყველანი გაჩუმდნენ და მას შეხედეს. — ვერ გაიგეთ, რას ამბობს კაცი? გონება უნდა გავინათლოთ, ჩვენ უნდა ვუჩვენოთ იმათ, ვინც კისერზე გვაზის და თვალებს გვიხვევს, რომ ყველაფერს ვხედავთ, რომ ჩვენც გვინდა ვიცხოვროთ ისე, როგორც ადამიანს შეეფერება.

ასე ჩაიარა მეორე სხდომამ პაპიაშვილის დუქანში. დღეს მესამედ უნდა ჩამეტარებინა სხდომა.

დუქანში რომ შევედი, პაპიაშვილი გულღიად შემეგება, თან თვალით მანიშნა, იქ უკვე გელოდებიანო. მერე უცებ მკითხა:

— რათა ხარ, აბელ, მოწყენილი?

— მოწყენილი? — გავიოცე.

— ჰო, ხასიათზე ვერა ჩანხარ.

— ალბათ, ამინდის ბრალია, ძია სულხან. ასეთ ამინდს ვერ ვეგუები.

— ჩვენებური საფერავი მაქვს გადანახული, ის მოგიყვანს ხასიათზე.

— არა. გმადლობთ. ყველანი აქ არიან.

— ყველანი. ერთი ახალიც მოუყვანიათ. ოღონდ მე პირველად ვხედავ.

კარი როგორც კი შეაღეს, ხმაური და კამათი მაშინვე შეწყდა.

თამბაქოს კვამლით ავსებულიყო მთელი ოთახი. გრძელ მაგიდას შემოსხდომოდნენ, ცოტაოდენი მეავე, პური და ღვინო დაედგათ წინ. ღვინოს ნელა-ნელა წრუპავდნენ და თამბაქოს აბოლებდნენ.

— გამარჯობათ, ამხანაგებო! — რიხიანად მივესალმე და შევეცადე მხიარულად დამეჭირა თავი. — ხომ არ დაიკარგეთ?

— პირიქით, ჩვენ მოვედით ადრე, ამხანაგო აბელ.

სუყველა მოვათვალიერე და თვალში მეცა ის უცხო, ახლადმოსული კაცი. ოცდახუთი წლის ბიჭი იქნებოდა ან შეიძლება უფრო ახალგაზრდაც. ასე თუ ისე, ჩემი თანაბისა იყო და ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო.

— ეს ჩვენი ახალი წევრია, ამხანაგო აბელ. — მითხრა მელიქიანცმა.

— სასიამოვნოა. რა გვარი ხართ? — ვკითხე ახალმოსულს.

იგი ფეხზე წამოდგა და სუსტი, ავადმყოფური ხმით მომიგო:

— ბერზინი. კარლ ბერზინი გახლავართ.

— სადაური ბრძანდებით?

იგი შეყოყმანდა და მერეღა მიპასუხა.

— აქაური. ბაქოში ვარ დაბადებული.

მეტი აღარაფერი მიკითხავს. გვარის მიხედვით ვერა ვხვდებოდი, რა ეროვნების უნდა ყოფილიყო და არც ჩემს თავს მივეცი უფლება, კიდევ მეკითხა რაიმე.

მელიქიანცმა და ემელიანოვმა სახელდახელოდ დაახასიათეს, როგორც სანდო და კარგი ბიჭი.

საუბარი იმას ეხებოდა, თუ რა არის კომუნიზმი, რა არის პროლეტარიატი. რა აკისრია ვალად პროლეტარიატს, რა გზით უნდა დააღწიოს თავი მონურ შრომას, რომ მხოლოდ პროლეტარიატია ნამდვილი რევოლუციური კლასი.

მალე ვიგრძენი, რომ მათთვის გასაგებ ენაზე ვერა ვლაპარაკობდი, რომ ამ საკითხზე საუბარი ჯერ ნაადრევი იყო, მაგრამ უკან აღარ დამიხევია. მინდოდა, დროზე მომეთავებინა

სხდომა და აქაურობასაც მალე გავცლოდი. ჩემს ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი, რაღაც უკმარისობა თუ ზიზღი იმის მიმართ, რასაც ვაკეთებდი და ამის შეგრძნებამ უფრო ამიცრუა გული, ჩემი თავი ამაო მოლაყბედ წარმოვიდგინე. ბოლოს აღარც კი ვიცოდი, რას ვროშავდი. ბრძოლისაკენ მოვუწოდებდი, ვარწმუნებდი, რომ დღეს მსოფლიო პროლეტარიატი ბორკილების დასამსხვრევად აღსდგა და რომ ჩვენნაირ ცხოვრებას სიკვდილი სჯობია, რომ ადამიანი ერთხელ დაიბადა და ისე უნდა იცხოვროს, მონა არ ერქვას.

როგორ წარმოვიდგენდი, ეს ჩემი არეული საუბარი თუ ასეთ ამბავს გამოიწვევდა. თერთმეტივე კაცი ყალყზე დადგა, მაგიდაზე მუშტებს აბრაგუნებდნენ და ყვიროდნენ:

— გაუმარჯოს თავისუფლებას!

— ძირს უთანასწორობა!

ოთახში გაფითრებული პაპიაშვილი შემოვარდა:

— რა ამბავია, ბიჭებო, თქვენი ხმა გარეთ გამოდის!

გაოცებული ვიყავი, რა ვილაპარაკე ისეთი, რომ ეს ბიჭები ასე აღიგზნენ-მეთქი. ჩვენი დაშლის დრო იყო, ექვსი საათიდან დუქანს უკვე მუშტარი ეძალებოდა. შემდეგი სხდომა მომავალ შაბათს დავთქვით და დავიშალენით. წრის წევრები სათითაოდ გაილალნენ დუქნიდან. პაპიაშვილი მეხვეწა, დარჩი, თითო ბოთლი საფერავი დავლიოთო, მაგრამ რანაირად დავრჩებოდი, როცა უკვე შვიდის ნახევარი იყო და შვიდ საათზე დიმიტრი მელოდებოდა სადგურში. სწრაფი ნაბიჯით დავადექი ქუჩას. წვიმას უკვე გადაეღო და ჰორიზონტზე ჩამავალი მზეც ჩანდა. ზურგიდან აჩქარებული ფეხის ხმა მომესმა. მოვიხედე და კარლ ბერზინი შემრჩა ხელში.

გამახსენდა, რომ ეს ბიჭი სხდომაზე დინჯად იჯდა, თვალს არ მაშორებდა და მისი გამომეტყველება, ცოტა არ იყოს, კიდეც მეუცნაურა, მაგრამ მერე ყურადღება არ მიმიქცევია.

— თქვენთან მაქვს პატარა საქმე. — მითხრა მან, როცა მომიახლოვდა. ეტყობა, გაღიმება დააპირა, მაგრამ ვერ მოახერხა, სახეზე შიში და შეშფოთება გამოეხატა. გაკვირვებული მივაჩერდი. საშუალო ტანის ბიჭი იყო, გამხდარი, მკერდჩავარდნილი. პირისახე ავადმყოფურად ჰქონდა, ფერმკრთალი. თვალები ჩაცვენილი და თითქოს შეშინებული.

— ჩემთან გაქვს საქმე? — ვკითხე.

— დიახ. — თვალი ვეღარ გამისწორა, აფორიაქებულმა განზე გაიხედა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა — მე ჯაშუში გახლავართ.

ყურებს არ დავუჯერე, ტანში ჟრუანტელმა დამიარა, მაგრამ არ შევიმჩნიე.

— როგორ თუ ჯაშუში? — ნაძალადევად გავიღიმე, ეგება ხუმრობს-მეთქი, ვიფიქრე.

ყინული გატეხილი იყო და ბერზინმაც უკვე თავი მოაბა სათქმელს.

— აი, რა, ამხანაგო აბელ. გუშინწინ ქანდარმერიაში დამიბარა როტმისტრმა ვალტერმა და წინადადება მომცა, ჩვენთან ითანამშრომლეო.

— ვალტერმა?

— დიახ, სწორედ ვალტერმა.

გაგონილი მქონდა ეს გვარი, მაგრამ პირადად ჯერ არ ვიცნობდი მას.

— მერე, დაეთანხმეთ?

ბერზინმა თავი დაიქნია და დასძინა:

— დავეთანხმე. ბევრი ვუმტკიცე, არ გამოგადგებით-მეთქი, მაგრამ საიდან აღარ მომიარა. იქ რომ მიხვალთ, ძნელია არ დაეთანხმოთ. მერე ვინანე, რათ დავეთანხმე-მეთქი... და აი, როგორც ხედავთ, მართლა არ გამოვადექი, თუმცა არ ვიცი, ამას რა მოჰყვება.

ზიზღით თუ სიბრალურით მივაჩერდი, ჩაცვენილი თვალები არ იცოდა სად წაეღო.

— ვალტერი თქვენ საიდან გიცნობდათ?

— არ ვიცი. ეტყობა, ჩემი ნაცნობებიდან ვიღაცა ჰყავთ ჯაშუშად და იმან ურჩია ჩემი თავი. არ მითხრა, ვინ მისცა ჩემი სახელი და გვარი.

— მაინც რა დაგავალათ ვალტერმა?

— პირველი დავალება ის იყო, რომ თქვენი პიროვნება დამედგინა. იქ სიგნალია მოსული, რომ პაპიაშვილის ბინაში საეჭვო ხალხი იყრის თავს, რომელთაც ვინმე აბელი ხელმძღვანელობსო... ამიტომ გამომაგზავნა ვალტერმა აქ, მაგრამ თქვენ რომ გისმენდით, ისეთ სიმართლეს ამბობდით, რომ მომეწონეთ, შემიყვარდით და სულ სხვა გადაწყვეტილება მივიღე:

და მაშინ ვიგრძენი, რომ ეს კაცი შესაბრალისი იყო და არა საზიზღარი.

— დიდი მადლობა, მეგობარო, — გულწრფელად მივმართე ბერზინს, — ამ ამაგს გადაგიხდით რამენაირად, ოღონდ რას ეტყვით ვალტერს, იქ რომ მიხვალთ?

— არ ვიცი, — სევდიანად ჩაილაპარაკა, — მაგაზე არც მიფიქრია. ალბათ, სულაც არ მივალ იქ, თუ თვითონ არ მომნახეს. კარგად იყავით. — და ბერზინი სწრაფი ნაბიჯით გამშორდა. ერთხანს თვალი გავაყოლე ამ მართლა საბრალო ადამიანს, ვისაც დღეიდან ადგილი აღარ ჰქონდა ამ ცხოვრებაში.

გაოგნებული მივყვებოდი გზას სადგურისაკენ და ხან ამ უცნაურ ახალგაზრდა კაცზე ვფიქრობდი და ხანაც როტმისტრ ვალტერზე. ჯერ კიდევ ბურანიდან ვერ ვიყავი გამორკვეული, ის, რაც ბერზინმა ჩაიდინა, ვერ დამეჯერებინა და ვერც წარმომედგინა. მაშასადამე, ჟანდარმერიამ უკვე იცის, რომ ვიღაც აბელი ხელმძღვანელობს წრეებს, ოღონდ მისი ზუსტი პიროვნება ვერ დაუდგენიათ. როცა დაადგენენ, რას იზამენ ნეტავ? შიშით არ შემშინებია, პირიქით, რაღაც სიამაყემაც კი შემიპყრო, ესე იგი მე ისეთ პიროვნებას წარმოვადგენდი, რომელსაც ჟანდარმერიამ მიაპყრო ყურადღება.

თქმა არ უნდოდა, პაპიაშვილის დუქანში ველარ შევიყრებოდით, რადგან ეს ადგილი ჟანდარმერიისთვის უკვე ცნობილი იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არ მინდოდა პაპიაშვილი, ეს უკვე ხანდაზმული, გატანჯული კაცი, ჩემი მიზეზით რაიმე ფათერაკს გადაჰყროდა. ახლა საინტერესო ის იყო, რას იზამდა ბერზინი, როცა ჟანდარმერია ანგარიშის ჩასაბარებლად გამოიძახებდა? სუსტი ნებისყოფის ბიჭი ჩანდა და ადვილად შესაძლებელი იყო ორივე მხარის სასარგებლოდ ემუშავნა... დიმიტრის ნახვას ახლა უფრო ვესწრაფოდი, მისი აზრიც მსურდა გამეგო. ის იყო სადგურში მივედი, რომ აჯიკაბულიდანაც შემოვიდა მატარებელი.

— დღეს ლუკმა არ ჩამიდვია პირში. შენც ასე ხარ, არა? — გამიღიმა დიმიტრიმ.

ვაგზლის გადაღმა ვინმე ფრანგ ფალკონეს პატარა რესტორანი ჰქონდა გახსნილი. ბაქოში ჩასული ქართველები იქ ვიყრიდით თავს, იქ ვსადილობდით. სადილი იქით იყოს და, ერთმანეთის ნახვა რომ მოგვინდებოდა, იმ რესტორანში უნდა შეგვეხედა უსათუოდ.

ჩვენც სწორედ იქით გავწიეთ, სხვაგან საჭმელზე გული არც მიგვდიოდა.

ალარ წვიმდა, მაგრამ სუსხიანი ნიავი უბერავდა.

რესტორნის კარებში ახმახი სქელულვაშიანი გამზატა იდგა. ერთადერთი აზიელი, ვინც ამ რესტორანში მუშაობდა, ხუთმტკაველიანი მხარ-ბეჭი ჰქონდა. ლეკი გამზატა რესტორნის პატრონის ერთგული ნაგაზი იყო. თუ ვინმე უგონოდ დაითვრებოდა, გამზატა ამოიღლიავებდა და გაიტანდა. თუ ჩხუბი ატყდებოდა, ერთს დაიღრენდა, ვეება კბილებს გამოაჩენდა და ყველაფერი კალაპოტში ჩადგებოდა.

გამზატა ყველა ქართველს გვიცნობდა, რიღიც ჰქონდა ჩვენი და პატივისცემაც. ჩვენ არც ჩხუბს ვტეხავდით და არც ვინმეს გამოსაყვანი ვხდებოდით, რაც არ უნდა ბევრი დაგველია. პირიქით, გამზატას ვასაჩუქრებდით.

— ქართველებს კარგად ისნობს გამზატა, თბილისში სხოვრობდა და იქ ბევრი კონაღიცა ჰყავს... თუ ვინმემ გასყეინოთ, აი ჩემი პასუხი და საზამთროს ტოლა მუშტს შემართავდა.

ჩვენს დანახვაზე გამზატამ ვეება ღოჯები გამოაჩინა და ქართული დაამტვრია:

— მოდით, ოქროს ბიჭები, გამზატა გენასვალოთ!

და ლეკი დატრიალდა.

რესტორანში ხალხი ბევრი იყო. ეტყობოდა, ცუდმა ამინდმა შემოყარა. გამზატამ იცოდა, რომ მუდამ განცალკევებულ ადგილას ვსხდებოდით და ერთი ადგილი ყოველთვის გადანახული ჰქონდა ჩვენთვის. იმ ადგილამდე მიგვაცილა და ოფიციანტიც მოგვიჩინა.

— გმადლობთ, გამზატ. — გავუღიმე ლეკს. — შენს სიკეთეს როგორმე გადავიხდით.

— გამზატას თქვენი სიკეთე რათ უნდა, გამზატა თქვენი ზმაა.

რესტორნის სითბომა და სამზარეულოდან გამოსულმა სურნელმა გუნება გამოგვიკეთა. წვნიანი, მწვადი და ორი ბოთლი ღვინო დავუკვეთეთ.

ფუტკრის სკასავით ზუზუნებდა დარბაზი. უხმოდ შევექცეოდით საჭმელს, თითო ჭიქა ღვინოც დავაყოლეთ და ცოტა ხასიათზე მოვედით. დარბაზში მუსიკა ახმიანდა.

ჭიქები შევავსე, თუთუნი გავახვიე და მამაპაპურად გავა-

ბოლე. დიმიტრიმ კვამლი ხელით გაფანტა. იგი არც ეწეოდა, არც სასმელს ეტანებოდა მაინცდამაინც, რადგან ღვიძლის ტკივილს უჩიოდა.

დიმიტრიმ ჭიქა ასწია.

— ჩვენ ხვალინდელ დღეს გაუმარჯოს.

გაუმარჯოს-მეთქი, უხალისოდ მივუგე.

ბაქრაძემ ნახევრად მოსვა ჭიქა, ისევ მაგიდაზე დადგა და გამომცდელად მომაჩერდა.

— რა იყო, აბელ, დღეს რაღაც ვეღარა გცნობ. მოწყენილი ჩანხარ.

— კი. იცი რა, დიმიტრი. როცა ბაქოში მოვდიოდი, იმედი მქონდა, რაღაცას გავაკეთებ-მეთქი. წელიწადია აქა ვარ და რა გავაკეთე? ჩვენი ამხანაგები თბილისს აზანზარებენ, ჟურნალს უშვებენ, გაფიცვებს აწყობენ, ჩვენ რას ვაკეთებთ. ეჰ, ახალგაზრდული ოცნებები...

დიმიტრიმ შუბლზე ხელი შემოიდო და მაგიდას დაეყრდნო.

— შენ, ჩემო ძმაო, — მომიგო მან და ჩაიცინა. — ბაქოს და თბილისს ერთმანეთს ადრი? იქ საუკუნეა, რაც მუშათა მოძრაობა დაიწყო. აქ რომ ჩამოვედით, რა დაგვხვდა, ერთი წრეც კი არ არსებობდა ქალაქში. ახლა სტამბაც მოგინდა? ფული რომ გვქონდეს, მუშახელი არა გვყავს. ნუ ჩქარობ, შე კაცო, ერთი ხელის დაკვრით ქალაქი ვის აუშენებია. მაგიტომ იყავი უგუნებოდ? უხმოდ ვიჯექი და ვუსმენდი. მისი დამაჯერებელი კილო, მისი ფიცხი საუბარი მსიამოვნებდა და რწმენას მმატებდა. ამიტომ მიყვარდა უგუნებობის დროს მასთან ყოფნა და საუბარი. ეს ჯანმრთელობით სუსტი, მაგრამ მტკიცე სულის და რწმენის ბიჭი საოცრად გამამხნევებდა ხოლმე.

— ჰო, მართლა, რა ჰქენი, საბურჩაში, ჩაატარე წრის მეცადინეობა?

ალბათ, ამ კითხვას ველოდებოდი, რომ დიმიტრისთვის ის უცნაური ამბავი მეამბნა.

ბაქრაძე გაოცებული მისმენდა, თან ფერფური მისდიოდა.

— საკვირველია, — თქვა, როცა ბოლომდე მომისმინა. — სხვას რომ ეთქვა, არც დავიჯერებდი. მაშასადამე, ჟანდარმერიამ უკვე იცის, რომ არსებობს ვინმე აბელი.

— ასე გამოდის.

დიმიტრიმ ბოლო ჭიქები შეავსო.

— ფრთხილად იყავი. პაპიაშვილი ხვალვე გააფრთხილე და საერთოდ იქ ნულარ ჩაატარებ წრის მეცადინეობას. მოსალოდნელია, იმ ბერზინს მაინც ათქმევინონ შენი ვინაობა. ასეთი ადამიანები ძალიან მერყეევები არიან, თანაც მშიშრები და იოლად დამყოლები.

დიმიტრიმ ჭიქა აიღო და ზეზე წამოდგა.

— ჩვენს რწმენასა და იმედებს გაუმარჯოს.

მეც წამოვდექი, ჭიქა ბოლომდე დავცალე და უკვე შეყინული მწვადის ნაჭერი დავაყოლე. ბაქრაძემ ოფიციანტი მოიხმო და ვიდრე გონს მოვიდოდი, ფული გადაიხადა.

— წახვედით უკვე, ბიჭებო? — გაგვიღიმა გამზატამ.

— წავედით, გამზატ, კარგად იყავი! — ღიმილით გამოვეთხოვეთ.

რკინიგზის უბანში, როცა მე და დიმიტრი ერთმანეთს დაეცილდით, ერთხელ კიდევ შემახსენა:

— პაპიაშვილი გააფრთხილე და შენც ფრთხილად იყავი; იმ დუქანს ნულარ გაეკარები.

2.

ქალაქს უკვე ეძინა. ღამის მყუდროებაში უფრო მკვეთრად ისმოდა ზღვის ხმაური. აბელმა სანთელი აანთო და ვიწრო ოთახი მკრთალად განათდა. რამდენიმე თვეა ამ პატარა ოთახში ცხოვრობს. ერთი ტახტი, მაგიდა, ორი სკამი და იატაკზე ახორხლილი წიგნები. აი, მთელი მისი ავლადიდება.

საწვიმარი სკამზე მიაგდო, ტანთ სწრაფად გაიხადა და ლოგინში ჩაწვა, რომ ცოტა ჩამთბარიყო. ძილი არ უნდოდა, მაგრამ ტანში აციებდა. ჩაწვა და მყისვე ფიქრები დააცხრა. დღევანდელმა კაეშანმა არა და არ გაუარა. ეს დღე მაინც რა უცნაური იყო. ჯერ იმაზე ფიქრმა არ მოასვენა, თბილისის მატარებელს ვიღაც უნდა ჩამოჰყვესო, მერე იყო და იმ ბერზინმა სულ გადარია, ახლა ის აწუხებდა, პაპიაშვილს როდის გააფრთხილებდა ანდა ამ წრის მეცადინეობა სად, ვის ბინაში

უარეს სასოწარკვეთაში ჩავარდა.

სანთელი ლიცლიცებს და უხმოდ იწვის. თანაბრად ხმაურობს ზღვა „ქალწულის კოშკთან“. ღამე ზანტად მიიზლაზნება, აბელს კი ძილი არა და არ ეკარება. ამ ბოლო დღეებში მაინც უცნაურად მოენატრა თავისი კუთხე. ახლა რაჭაში მსუყე შემოდგომა იდგა, ხეები გაძარცულია, ხოლო მიწა უკვე ჭირხლს იგდებს. საწალიკისა და სალოს მთის მწვერვალები თოვლით იქნება გადაქათქათებული. ჭურებში ღვინო დადუღდებოდა... მთელი სიცხადით წარმოუდგა თვალწინ თავისი კარმიდამო, თონიდან ამოყრილი ცხელ-ცხელი ლავაში, ჭყინტი ყველი, ახალი ნიგოზი და დოქით ღვინო ზედ თონის პირზე შემომდგარი. წელიწადზე მეტია აბელს თავისიანები არ უნახავს. ერთ-ორჯერ გაუგზავნა წერილი და ეგ იყო. მამა კი სპირიდონის ხელით ხშირად უგზავნიდა წერილებს, ჩამოდიო, ემუდარებოდა, ყველაფერს თავი დაანებეო. ო, როგორ მოენატრნენ ისინი.

სანთელი კი ისევ ლიცლიცებს, ნელ-ნელა იწვის. შორიდან ისმის ქარხნის საყვირის ხმა, ეტყობა, მეორე ცვლის მუშები გამოდიან სამუშაოდან. აბელმა საათს დახედა. თორმეტი სრულდებოდა. ვიწრო, მტვრით დაფარულ ფანჯარაში სანთლის ალი ირეკლებოდა.

დერეფანში ფეხის ხმა გაისმა. აბელის ვარაუდით, ვიღაცა პირდაპირ მისი კარებისაკენ მოდიოდა. სუნთქვა შეწყვიტა და სმენად იქცა. ზედ მის კარებთან შეწყდა ფეხის ხმა და წამის შემდეგ ფრთხილი კაკუნიც გაისმა. იატაკზე დახროვებულ წიგნებს თვალი გადაავლო და ისევ კარისაკენ გაიხედა. ვინ უნდა ყოფილიყო ამ შუაღამისას, ვის ელოდა აბელი? საწოლიდან წამოდგა, სწრაფად გადაიცვა და ისევ მიაყურა. კაკუნი განმეორდა, თან დაბალი შეძახილი მოჰყვა:

— აბელ!

აბელი დამშვიდდა, რადგან იაზრა, რომ ეს ერთი ადამიანის ფეხის ხმა იყო, პოლიციიდან კი ერთი არ მოვიდოდა, ხმაც ეცნაურა, მაგრამ ვერ იცნო.

სანთელი აიღო, კარებთან მივიდა და ხმადაბლა იკითხა:

— რომელი ხარ?

— მოკეთე.

წმინდა ქართულით ნათქვამმა აბელი გაახარა, კარი გამოაღო და სანთლის შუქზე დაინახა შავწვერიანი, საშუალოზე მაღალი, კუშტი შესახედაობის კაცი.

— ამხანაგო ლადო! — გაოცებულმა შესძახა და სიხარულით გაიბადრა.

* *

— აბა, მითხარით, რა ქარმა გადმოგაგდოთ, საიდან გაჩნდით აქ, ამხანაგო ლადო. დიდი ხნით ჩამოხვედით? — სიხარულისგან ბავშვად გადაქცეულმა აბელმა აღარ იცოდა, საუბარი საიდან დაეწყო, რომელი ერთი კითხვა მიეცა ლადოსთვის, რომ ყველაფერი მალე გაეგო. სანთელი უკვე ჩალეულიყო, აბელი ახლა მეორე სანთელს უკიდებდა და თან ძვირფას სტუმარს კითხვას კითხვაზე აძლევდა.

ლადომ ვეება ჩემოდანი კუთხეში მიდგა, პალტო გაიძრო და ვიწრო ოთახი მოათვალიერა. სახეზე აშკარად ემჩნეოდა დაღლილობა და უხალისობა. მან აბელს თვალი გაუსწორა, გაუღიმა და მიუგო:

— აი, ჩამოვედი. ვიდრე ჟანდარმერია მომაგნებს, აქ ვიმუშავებ.

— ასეა საქმე?

— ასეა. ჩემო აბელ. თუთუნი გაქვს?

აბელმა სათუთუნე მაგიდაზე დადო. ლადო მძიმედ დაეშვა სკამზე და ჩიბუხი ამოიღო.

— თბილისში აღარ მედგომებოდა, — კეცხოველი ნელა სტენიდა თუთუნით ჩიბუხს და ასევე ნელა ლაპარაკობდა,— კონკის მუშების გაფიცვა რომ მოვაწყეთ, ჟანდარმერიამ განკარგულება გასცა, ადგილზევე დაკეპტიმრებინე, როგორც კი მომიხელთავდნენ. ენაგადმოგდებულები დამეძებენ. სხვა გვარზე შევსებული პასპორტი ვიშოვე და ბაქოში წამოვედი. ისე, რომ დღეიდან მე დავით დემეტრაშვილი ვარ. ყველას ასე გააცნობ ჩემს თავს.

თბილისში კონკის მუშების გაფიცვამ მთელი ქალაქი შესძრა. ჟანდარმერია ფეხზე დადგა.

ერთხელ კიდევ გადაქექა კეცხოველის მტვერდადებული საქმე და ოი, საშინელებავ!

თვრამეტი წლის ლადო, მართლმადიდებელი სასულიერო სემინარიის მოსწავლე სასწავლებლიდან გაურიცხავთ გაფიცვაში მონაწილეობისათვის.

თავის სოფელ ტყვიავში ჩადის, გლეხობაში ქადაგად დადის და ცარიზმის სიძულვილს თესავს.

კიევის სასულიერო სემინარიის სტუდენტი ლადო სოციალ-დემოკრატიულ წრეებში მონაწილეობს, იქიდანაც რიცხავენ, ტყვიავში ასახლებენ და პოლიციას უჩენენ მეთვალყურედ. ლადო თბილისში ჩამოდის, სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში შედის და ახლა მუშებში ქადაგებს. მერე სტამბის საქმეს სწავლობს, კერძო პირთა სტამბებში ეწყობა სამუშაოდ, ფარულად ბეჭდავს პროკლამაციებს და აკრძალულ ლიტერატურას. ლადო ურა კვიცია, არ გაიხედნება, არ მოთვინიერდება, მხოლოდ ბორკილი, მაგარი ბორკილი უნდა, რომ დააოკოს. ჟანდარმერია იმპერიის თითქმის ყველა კუთხეში აგზავნის განკარგულებას, თუ სადმე მოიხელთეს კეცხოველი, ადგილზევე დააპატიმრონ. ლადო დევნილი ნადირივით იცვლის ტყავს, კეცხოველის ნაცვლად დემეტრაშვილი ხდება და ბაქოში მიდის.

— გასაგებია, ამხანაგო დავით დემეტრაშვილო. — გაუცინა აბელმა. იგი ბედნიერებისაგან მეცხრე ცაზე იყო, მით უფრო, როცა გაიგო, რომ კეცხოველი ბაქოში აპირებდა დარჩენას. დღეიდან აბელს საიმედო მეგობარი და წინამძღოლი ეყოლება, მხარი მხარს მისცემენ და ბაქოში ნამდვილ ცეცხლს დაანთებენ.

— გული მიგებდა, ამხანაგო ლადო, რომ დღეს ვიღაც უნდა ჩამოსულიყო თბილისიდან. მატარებელსაც დავხვდი, მაგრამ დავაგვიანე. ოღონდ იმას ვერ ვიფიქრებდი, თუ თქვენ ჩამოხვიდოდით. როგორ მიხარია, რომ იცოდეთ. ახლა ის მითხარით, რა ხდება თბილისში, როგორ არიან ამხანაგები?

და თბილისის ხსენებაზე აბელს გააჟრჟოლა. ამ წუთას ყველაზე მეტად ალექსანდრეს ბაღი დაუდგა თვალწინ, ის სახლი, სადაც გველესიანების ასული ცხოვრობდა.

— თბილისი დუღს, ჩემო აბელ, ძალიან ბევრი დააპატიმრეს, მაგრამ ხალხი მაინც არა ცხრება. შენ ის მითხარი, აქ როგორ არის საქმე, რას მოღვაწეობ. თბილისში მითხრეს, ფარული წრეები აქვს ჩამოყალიბებულიო.

— დიდ ვერაფერს ვმოღვაწეობ, — სევდიანად მიუგო აბელმა, — წრეები არ შველის საქმეს. თავიდან, როცა რამდენიმე წრე დაარსდა, მეგონა, რაღაცას ვაკეთებდი, მაგრამ ვერ მიეხვედი, რომ ფართო პროპაგანდა იყო საჭირო. ლიტერატურით ღარიბები ვართ. ბაქოში მგონი ისიც დამავიწყდა, რაც თბილისში ვიცოდი, საჭირო წიგნებს ველარ ვკითხულობ, მხატვრულ ლიტერატურაზე გადავედი.

ლადო წამოდგა, გაიარ-გამოიარა. აბელმა დაინახა, კედელზე როგორ აისახა მისი ვეება ჩრდილი. მერე ის ჩრდილი აბელისკენ შემობრუნდა და უთხრა:

— აი, რა აბელ. ბაქო დიდი სამრეწველო ქალაქია უკვე. ბევრ მუშახელს ითხოვს. მთავრობა განუკითხავად მოერეკება აქეთ ეჭვმიტანილებს. აქ უნდა შეიქმნას და შეიქმნება კიდეც მძლავრი რევოლუციური ბირთვი, — ლადომ ეს სიტყვები მტკიცედ, თითქმის ბრძანების მსგავსად წარმოსთქვა და შეჩერდა, ჩიბუხი გააბოლა. — რაც შეეხება ლიტერატურას, ქვას გავხეთქავთ და ვიშოვით. მაგაზე ნუ დარდობ. მანამდე კი იმ ლიტერატურით გავიდეთ იოლას, რაც მე ჩამოვიტანე. გულს ნუ გაიტეხ, ვეჟო, — ლადომ გაიღიმა. — აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია...

ლადო ჩემოდანთან მივიდა და გახსნა. ვეება ჩემოდანი თითქმის სულ წიგნებით იყო სავსე. დიდხანს აფათურა ხელი და ბოლოს საიდანღაც ერთი ბოთლი კონიაკი ამოაძვრინა.

— შუსტოვის უძველესი კონიაკია. თითო ჭიქა ძილის წინ მოგვიხდება.

აბელი უხერხულობისაგან შეიშმუშნა. ახლაღა დაფიქრდა იმაზე, რომ სტუმარი შეიძლება მშიერიც ყოფილიყო.

— ყველისა და პურის მეტი არაფერი გამაჩნია.

ლადო კონიაკის ბოთლს ხსნიდა და თან მაგიდისკენ მიდიოდა.

— მე ნავახშმი ვარ. ნიკო დოლიძის რესტორანში ვიყავი. არ იცნობ ნიკოს?

— არა.

— გაგაცნობ. ჩვენი კაცია, ბევრჯერ გვექნება მასთან ურთიერთობა.

და აბელი მიხვდა, რომ ლადო კეცხოველს, მიუხედავად იმისა, ბაქოში ახალი ჩამოსული იყო, უკვე ქსელი ჰქონდა

გაბმული. საამისოდ ნიადაგი, ალბათ, თბილისშივე მოამზადა თორემ ასე ბრმად არ ჩამოვიდოდა ბაქოში.

თითო კონიაკი გადაჰკრეს. მართლაც საოცარი დასალევ იყო.

— აბელ, — უთხრა ლადომ, — ამაღამ აქ გავათევ ღამეს ხვალიდან კი ბინას ვიშოვნი.

— რას ამბობ, ამხანაგო ლადო, როგორმე დავეტევით.

ლადომ ჯიუტად გააქნია თავი.

— არა, საქმეს ასე უხდება. ვიდრე ბინას ვიშოვნი, შენ თან ვიქნები. დავესწრები შენს წრეებს, ოღონდ ნუ დაივიწყებ, რომ მე დავით დემეტრაშვილი ვარ.

8.

ბაქოში კეცხოველის ჩამოსვლამ თითქოს ცხოვრება გამოაცოცხლა. დავით დემეტრაშვილად მონათლულმა ლადომ მესამე დღეს მუსულმანთა უბანში დაიქირავა ბინა და იქ გადასახლდა. ყველა წრეს დაესწრო საბუნჩასა თუ ბალახანში და რევოლუციონერთა სული და გული გახდა. აბელს აოცებდა კეცხოველის მოქნილობა და ძალა. ხანდახან ორიოდე დღით სადღაც ჩაიყლაპებოდა, მერე გამოჩნდებოდა და მოიტანდა ათასნაირ აკრძალულ ლიტერატურას, ცხელ-ცხელ ამბებს და აბელის დახმარებით საიდუმლო წრეებში ავრცელებდა. როგორც ჩანდა, მას ბაქოში ვიღაცეებთან ჰქონდა კავშირი და მათი მეშვეობით თბილისიდან იღებდა აკრძალულ წიგნებსა და ჟურნალებს.

შურდა, კეთილად შურდა კეცხოველის მოხერხებულობაც და გამოცდილებაც. სულ ცოტა ხანში საოცარი ცეცხლი დაანთო ბაქოში და მუღამით გრძნობდა აბელი, რომ მისი უფროსი თანამებრძოლი უფრო დიდ ხანძარს ამზადებდა. ლადოს უცნაური ჩვევა ჰქონდა, ვიდრე საქმეს საქმეზე არ მიიყვანდა, წინასწარ თავის გეგმებს არავის გაუმხელდა.

„რატომ მეც არ შემიძლია იმდენი, რამდენიც ლადოს შეუძლია? განა რამდენი წლით არის იგი ჩემზე უფროსი, რა ძალამ ჩაუნერგა ასეთი უნარი. სიძულვილმა? ნუთუ ჩემზე მეტად სძულს ეს წყობილება? ან იქნებ ჩემზე უფრო გაბე-

დულია, ჩემზე უფრო თავგანწირული?“ — ფიქრობდა ხოლმე აბელი.

დრო კი მიდიოდა. მოსაწყენი ზამთარი იწურებოდა. ლადო სიფრთხილეს არა ჰკარგავდა, კარგად იცოდა, რომ ჟანდარმერია ჩხრეკვით იკლებდა თბილისს და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეშიც დაეძებდნენ. ერთსა და იმავე ადგილას ერიდებოდა ღამის გათევას, ხან აბელის სტუმარი იყო, ხან დიმიტრი და ბიქტორა ბაქრაძეებისა.

ერთ საღამოს აჯიკაბულიდან დაბრუნებულ აბელს ბინაში ლადო დახვდა. თბილისიდან მიღებულ ლიტერატურას ათვალიერებდა. „კვალის“ ახალი ნომერი იყო, ლენინის რამდენიმე ბროშურა და მათ შორის „რუსი სოციალ-დემოკრატების ბმოცანები“.

გატაცებით კითხულობდა ლადო ამ ბროშურას, კისერი დასჭიმოდა, ფართო შავი წვერი თითქმის მკერდზე ეფინებოდა, წარბები მოეჭმუხნა და ისედაც კუშტი შესახედაობისას უფრო მრისხანე გამომეტყველება ჰქონდა. ოცდაოთხი წლის ლადო შუახნის ვაჟკაცს ჰგავდა.

— საღამო მშვიდობისა! — მიესალმა აბელი და ცნობისმოყვარეობით გადახედა ახალ წიგნებს.

ლადომ ხშირი, უხეში თმით დაფარული თავი ასწია და მოღუშულ სახეზე ნათელმა გადაუარა. მხოლოდ იმ წუთს შეატყობდა დაკვირვებული თვალი ამ კუშტი გარეგნობის ადამიანს, რამოდენა სიკეთე და სიყვარული გააჩნდა.

— აი, ჩვენი პროგრამა. აი, რით უნდა ვიხელმძღვანელოთ. ოჰ, რა შესანიშნავია. ლენინს ეს ბროშურა გადასახლებაში დაუწერია. ამ ბროშურაში განზოგადებულია პეტერბურგის „ბრძოლის კავშირის“ მოღვაწეობა და დასაბუთებულია რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკური პროგრამა.

აბელმა პალტო გაიძრო, იღლიაში ამოჩრილი სანოვაგე მაგიდაზე დადო, ბროშურა ჩამოართვა და გადაშალა, თავისთვის ჩუმად კითხულობდა ადგილებს.

ლადო წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა, ფანჯრიდან გახედა უკვე შებინდებულ პირქუშ ცას და აბელისაკენ შემობრუნდა.

— ასე, ჯერჯერობით საქმე კარგად მიდის. — ხმაში სიმ-

ტკიცე მოემატა და უფრო ხმამაღლა განაგრძო, — ჩვენ უნდა ვაჩვენოთ თბილისის კომიტეტს, როგორი მუშაობა შეგვიძლია. ბაქოს რევოლუციურ ქალაქად გადავაქცევთ. ოღონდ რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, სტამბა უნდა მოვაწყოთ, სტამბა, გესმის, აბელ?

აბელმა თავი ასწია და მეგობარს შეხედა. ლადო დაჟინებით უცქეროდა და მისგან პასუხს ითხოვდა.

— სტამბა უნდა მოვაწყოთ-მეთქი, სტამბა. უიმისოდ ჩავფლავდებით, არაფერი გამოგვივა, სხვისი ხელის შემყურენი ვიქნებით.

აბელს მომღიმარე თვალები უციმციმებდა და ხმას არ იღებდა. თითქმის ბაქოში ჩამოსვლის დღიდან კეცხოველი სტამბაზე ოცნებობდა, თავს იმტვრევდა, რა გზა გამოენახა, რით ეშოვნა ფული სტამბის შესაძენად. ვერც აბელი და ვერც სხვანი საიმედოს ვერაფერს ხედავდნენ. სად იყო ამის სახსარი! ამიტომ დუმდნენ, ჯიუტად დუმდნენ. კეცხოველი მაინც არ ისვენებდა, ძილში თუ ცხადში სტამბა აბოდებდა. აი, ეს გახლდათ ის ჩვევა, ის სიჯიუტე და რწმენა, რითაც კეცხოველი აბელს აოცებდა. ხშირად ხდებოდა, რასაც სხვანი ურწმუნოდ და უნდობლად უყურებდნენ, დიდი მონდომებისა და გატაცების წყალობით ლადო მას მაინც მიაღწევდა ხოლმე, თითქოს ბედმა გაუღიმა და მოწყალება ციდან ჩამოვარდაო. მაგრამ სტამბაზე ოცნება თვით აბელსაც იმდენად მიუღწეველი ეჩვენებოდა, რო საიმედოს ვერაფერს ეუბნებოდა მეგობარს. რაკი ლადომ აბელისაგან პასუხი და თანაგრძნობა ვერ მიიღო, ფანჯარასთან მივიდა და გაშეშდა, ბნელ ცას მიაშტერდა. შორს ლანდივით ჩანდა „ქალწულის კოშკი". ზღვა ნაპირს ასკდებოდა, ახლა ის შემაძრწმუნებლად ცივი და საშიში იყო, მაგრამ კეცხოველი ვერც ამ ზღვას ხედავდა, ვერც ქალაქსა და ვერც ცას. ფიქრით სხვაგან იყო და თვალთახედვაც ამ ფიქრს გაჰყოლოდა.

— ეროდიონ ხოსიტაშვილს იცნობ?

— ხოსიტაშვილს? — აბელმა ბროშურა დახურა.

— პოეტია, ევდოშვილად იწერება.

— გამიგია, მაგრამ არ ვიცნობ. ამხანაგები იცნობენ. ნობელის ქარხნის კანტორაში უმუშავია.

ლადო აღარ უსმენდა. ეს ყველაფერი კარგად იყო ნაც-

ნობი. ფანჯრის რაფას ახლა ზურგით მიჰყუდებოდა და რაღაცას ფიქრობდა. მერე უცებ დაიწყო:

„შენებ დარბაზს, სახლი არა გაქვს,
ებრძვი მიწასა, კვდები მშიერი,
ვისთვის მუშაობს ეგ შენი მკლავი
და ვისთვისა სცემს მკერდი ძლიერი?
შეხედე ქალაქს, შეხედე სოფელს,
შენ გააკეთე ეს ქანდაკება,
მაგრამ ვისია, გაქვს შენ იქ წილი?
სადა გაქვს ბინა, ცხოვრების გერო?

აბელი გატაცებით უსმენდა კეცხოველს, ლადო შეჩერდა და ცოტა ხნის შემდეგ ისევ განაგრძო:

შესდექი, მუზავ, შენ აქაც სცდები,
ზღვა არ დამარხავს შენს ჩანგის სიმებს!..
არა, შენ ჩემთან დარჩი, იქნები,
ჩვენი ცხოვრება გიძმობს, გიშვილებს?
სიმხდალე არის განდეგილობა.
და მონასტერი საფლავ-სამარე.

— და მუზას დაუბრუნდა იმედი, — განაგრძო ლადომ, — აათრთოლებს ჩანგს და ათასობით ხმას შეუართდება მისი საბრძოლო ჰანგი.

აბელი შესძრა ამ ლექსის შინაარსმა. ევდოშვილი კი, რაც მართალია, გაგონებით გაუგონია, მაგრამ არ წაუკითხავს.

— სემინარიაში ერთად ვსწავლობდით, ჩემზე წინ ის გარიცხეს. მერე სამხედრო სასწავლებელში წავიდა, არმიაში იმსახურა, მაგრამ ჭლექი გაეჩნდა და დაითხოვეს. სამი წელია არ მინახავს და აქ, ბაქოში ვნახე ამას წინათ.

„ჭლექი გაუჩნდა“. აბელს გუნება წაუხდინა ამ სიტყვამ. ჭლექმა მოკლა მისი მეგობარი ბაბილოძე... თვალწინ დაუდგა იმ ჭაბუკის გამხდარი, კეთილი სახე, გაახსენდა ის მშვენიერი მაისის დღე. ამწვანებული გურული სოფელი, იასამნებით გადაფურჩქნული ეზო, ყვავილებით სავსე კუბო ეგნატე ნინოშვილისა. ისიც ხომ ჭლექმა მოკლა.

— ჰოდა, ხვალ ევდოშვილი თბილისში მიემგზავრება. მე და შენ გავაცილებთ, თანაც მინდა თბილისის კომიტეტში წერილი გავატანო, ეგებ ფულით დაგვეხმარონ და სტამბა მოვაწყოთ, შენ რას მირჩევ?

აბელი გაოცებული იყო, ვერ გაეგო, რის იმედი ჰქონდა, ვინ მისცემდა იმდენ თანხას, რომ სტამბა მოეწყო. კეცხოველი კი ისეთი გულუბრყვილო სასოებით შეჰყურებდა, რას იტყვისო, აბელს ლამის სიცილი აუვარდა. თავი შეიკავა და ესღა მიუგო:

— მე მგონი, არაფერი გამოვა.

— გამოვა, — ჯიუტად გააქნია თავი ლადომ, — დაგვეხმარებიან, სხვა გზა არა აქვთ.

— ნეტარ არიან მორწმუნენი. ღმერთმა ქნას.

მეორე დღეს თბილისში გასაგზავნ წერილში სწერდნენ: თუ ფულადი სახსრებით დაგვეხმარებით, კაცს გამოვაგზავნით, გიმეორებთ, ბაქოში ყველა პირობაა შექმნილი, რომ სტამბა მოეწყოსო.

აბელს თავიდანვე იმედი ჰქონდა გადაწურული, სტამბის მოსაწყობ თანხას თბილისის კომიტეტი საიდან გამოჩხრეკავდა, მაგრამ ლადოს გულს არ უტეხავდა.

თორმეტ საათზე ვაგზალში გავიდნენ. თბილისის მატარებელი უკვე ჩამომდგარიყო. მოსაცდელი დარბაზის კართან გაჩერდნენ, სადაც ლადოს პაემანი ჰქონდა დათქმული.

ლადო მალიმალ იყურებოდა, ირგვლივ მოსიარულე ხალხს ათვალიერებდა და აბელმა შენიშნა, რომ კეცხოველი იმ ნადირივით ფრთხილობდა, გეშზე რომ მოსდევენ.

აბელი მაშინ გამოერკვა, როცა ლადომ ვიღაცას ხელი ჩამოართვა, მათ წინ საშუალო სიმაღლის გამხდარი მამაკაცი იდგა.

ტანსაცმელი უკვე მოსძველებოდა, მაგრამ პეწიანად ეცვა. თვალები ჩაცვინოდა, ჩამოწეული ღაწვები ჰქონდა, ულვაში გრძლად გაეშვა.

„ცარიელა თვალები და ულვაშებიღაა“ — გაიფიქრა აბელმა.

— ეს ჩემი მეგობარი აბელ ენუქიძეა.

მგოსანმა გაიღიმა, აბელს ხელი გაუწოდა და სუსტი ხმით ჩაილაპარაკა:

— კეთილი.

„სიცხე ხომ არა აქვს ნეტავი?“ — გაიფიქრა აბელმა, როცა ხელი ჩამოართვა.

— როგორა ხარ, ეროდიონ? — მზრუნველობით ჰკითხა ლადომ.

ევდოშვილმა მხრები აიჩეჩა.

— ვერც თუ კარგად, აქ უარესად დამრია ხელი ავადმყოფობამ, — მერე განზე გაიხედა და ხელი ჩაიქნია, — აღარც ჩემთვის ვარგივარ, ძმაო ლადო, და აღარც ქვეყნისთვის. ეტყობა, მალე გავუდგები შორ გზას.

ლადომ თავი ჩაღუნა, აღარ იცოდა, რით გაემხნევებინა მეგობარი. ბეჭებზე დაადო ხელი მგოსანს და ის იყო, მესამედ ჩამოჰკრეს ზარს.

— ერთ კაცს რაც შეეძლო, იმაზე მეტი გააკეთე, ჩემო ეროდიონ. ეცადე, დარდს არ დაეჩაგვრინო და უეჭველად გამოჯანსაღდები. სიკვდილისთვის ჯერ არა გცალია, ჯერ ქვეყანას სჭირდები.

ევდოშვილმა მხრები აიჩეჩა.

— ვეცდები, როგორმე მოვერიო ამ წყეულ სენს.

დრო აღარ ითმენდა, ლადომ ჯიბიდან წერილი ამოიღო.

— მიხა ბოჭორიძეს გადაეცი, აბა, კეთილი მგზავრობა და რაც გითხარი, დაიხსომე.

ევდოშვილი ორივეს დაემშვიდობა. კიბეზე ავიდა და მატარებელიც დაიძრა.

ლადომ და აბელმა ისე გაიარეს ბაქანი, ხმა არ დაუძრავთ.

4.

შაბათი იყო. შორს, დასალიერში დაისის ღრუბლიანი მზე იფერფლებოდა.

სამუშაოდან დაბრუნებულმა აბელმა ფოსტაში შეიარა. სპირიდონის წერილი დახვდა. მოთმინება აღარ ეყო, წერილი გახსნა და გზადაგზა ჰაიჰარად გადაიკითხა.

„ძმაო აბელ, რასა იქ და როგორა ხარ. ამ წერილს წკადისიდან გწერ, თქვენებთანა ვარ. კარგი, მე აღარ გაგონდები, მაგრამ თქვენები რაღათ დაივიწყე, შე რჯულზე გადასულო. მამაშენი მეუბნება, ის დღე გაქრეს, როცა ხელი ჩაავლე და სასწავლებლად წაიყვანეო. წიგნი რომ არ ესწავლა, სერაპიონივით შინ მეყოლებოდაო. ამ სიშორეს აღარ გადაძევდებო-

�o. როგორ მეგონა, თუ კალოობას ბაიხც არ ჩაძოვიდოდაო.

აბელ, მომწერე როგორ ცხოვრობ, როგორ შეეწყე ბაქოს. ჭკუით მოიქეცი, ტყუილუბრალოდ თავი არ წააგო. ქვეყანა ვის გაუსწორებია: იმ დღიდან, რაც ადამიანი გაჩენილა, სულ თავისუფლებისათვის იბრძვის, იღვრება და იღვრება სისხლი, მაგრამ ერთნი თავისუფლდებიან, მეორენი ბორკილში ექცევიან. ეს ცხოვრების მტკიცე და ძველისძველი კანონია.

აბელ, ველოდები შენს წერილს, ეგებ მართლა ჩამოხვიდე. შენი საქმე აქაც გამოჩნდება. წერილი ახალ სენაკში გამოგზავნე. არ დაგავიწყეს, თქვენებს ორიოდე სიტყვა მისწერე. ნუ ზარმაცობ. მოგიკითხა ყველამ — დედამ, მამამ, სერაპიონმ და ჩვენმა კეთილმა მეზობლებმა.

გწერს შენი უფროსი ძმა და ბიძაშვილი სპირიდონ ენუქიძე".

სამუშაო დღე მთავრდებოდა. დაქანცული ადამიანები უხმოდ მიემართებოდნენ სახლებისაკენ.

აბელმა სასადილოში შეუხვია, რომ დანაყრებულიყო. ლეკმა გამზატამ გაუღიმა და ნადირის კბილები გამოაჩინა.

— რაღაც უგუნებოდ ჩანხარ, ხომ არავინ გასყენია, მოგიკვდეს გამზატა.

— არა, გამზატ, დაღლილი ვარ.

წვნიანი კერძი დაუკვეთა, ასი გრამი კონიაკი დააყოლა და სასადილოდან გამოვიდა. კარებში გამოსვლისას გამზატამ უჩურჩულა:

— თუ ჩემი თავი რამეში დაგჭირდეს, გამზატა მზად არის.

„ნეტავ ვიცოდე, — ფიქრობდა გზად მიმავალი აბელი, — ეს ლეკი გვცდის თუ მართლა ლაპარაკობს. ვინ არის, რა პიროვნებაა? ეგებ მართლა რამეში გამოგვადგეს?"

მაგრამ უცებ გამზატაც და სასადილოც თავიდან ამოუვარდა. ლადო გაახსენდა, ორი დღეა, რაც არ გამოჩენილა. ლადო ვერ ისვენებს, აქეთ-იქით აწყდება, ეძებს გზას, რომ სტამპის საქმე რამენაირად მოაგვაროს. თბილისის კომიტეტიდან პასუხიც არ აღირსეს, თორემ ფულს ვინ ჩივის. ნეტავ ხომ არაფერი შეემთხვა?

ოთახში რომ შევიდა, უკვე ბნელოდა. ერთადერთი ვიწრო ფანჯარა საკმაო სინათლეს ვერ აწვდიდა. ფანჯარაზე შემოდგმული ლამპა გადმოიღო. ცალი ხელი შუშას მოჰკიდა და ფრთხილად შეაჯანჯღარა. მისი ვარაუდით ნავთი ნახევრამდე

იყო, საწოლთან სკამი მიაჩოჩა, ლამპა ზედ დადგა, შუშა ფრთხილად მოაძრო და პატრუქს ცეცხლი მისცა. ყველაფერი უკვე რიგზე იყო. მყუდრო თავშესაფარი, სინათლე ,სითბო, ასე თუ ისე რბილი საწოლი, მაძღარი კუჭი და კაცს მეტი რაღა უნდოდა. წამოწვა და წერილი ერთხელ კიდევ გადაიკითხა. ნელა კითხულობდა და დაფიქრებით. ყოველი სტრიქონის უკან ნაცნობი სამყარო და ახლობელი ადამიანი იდგა.

ბოლომდე რომ ჩაიკითხა, წერილი ლამპის გვერდზე დადო, პატრუქს ოდნავ ჩაუწია, რომ ნავთი ბევრი არ დამწვარიყო და ფიქრს მიეცა.

ფანჯარაში უკვე სიბნელე ჩამოწვა. ფანჯრის იქით კი, შენობებში თანდათან ხშირდებოდა ლამპის შუქები.

რა უნდა აქ, რას ეძებს, დონ კიხოტივით ქარის წისქვილებს ხომ არ ებრძვის!

აბელმა გვერდი იბრუნა... ლამპაში ნავთი ტკაცუნობდა და სინათლე იბუუტებოდა. პატრუქს ოდნავ აუწია და ისევ წერილს დახედა.

„გაიხსენე ჩვენი ბოლო საუბარი"... — სწერდა სპირიდონი.

აი, რას ახსენებს, რას უკიჟინებს ბიძაშვილი, სად უმიზნებს.

...ღამით ისინი ისხდნენ აბელის სახლის უკან, დიდი კაკლის ძირში და ჭეშმარიტების დასადგენად დავობდნენ. ვერა, ვერ დაადგინეს ჭეშმარიტება, ვერც კამათი დაასრულეს, საბოლოოდ ორივე თავის რწმენაზე დარჩა.

აღელვებული სპირიდონი ხშირ წვერზე ისვამდა ხელს და ხმადაბლა ამბობდა:

— მთელი ისტორია აჯანყებისა და სისხლის ღვრის ისტორიაა, მაგრამ ადამიანისთვის სიკეთე არც ერთ რევოლუციას არ მოუტანია. ერთის ბატონობა მეორეთი იცვლება. იცოდე აბელ, ვიდრე ადამიანი არსებობს, მუდამ იქნება მჩაგვრელი და ჩაგრული, მდიდარი და ღარიბი, სუსტი და ძლიერი.

აბელი გაუხედნავი მოზვერივით ჯიუტობდა. მასზე უფრო განათლებულმა ბიძაშვილმა ვერ გატეხა იგი.

— არა ხარ მართალი სპირიდონ. რატომ არ შეიძლება ადამიანები თანასწორად ცხოვრობდნენ. შენც ხომ არ მოგწონს

ეს ცხოვრება, შენც ხომ გრძნობ, რომ ირგვლივ უსამართლობა და მონობა მძვინვარებს. გაიხსენე, მარქსიზმი რას ქადაგებს...

სპირიდონმა თვალები მოჭუტა და გაიცინა:

— ეჰ, ჩემო აბელ, ამ ქვეყანაზე რაც იზმი არსებობს, ისლამიზმი თუ ქრისტიანიზმი, ბუდიზმი თუ ათასი ჯანდაბა, ყველაფერი ბრბოს დასამონებლად არის მოგონილი, რასაც ბოროტად იყენებდა და იყენებს გაბატონებული კლასი. აბელ, რაც ბუდასთვის, ისლამისთვის, ქრისტესთვის და ათასი ჯანდაბური იზმისთვის სისხლი დაღვრილა, ერთად რომ მოაქუჩო, დედამიწას დაფარავდა, მერე და რისთვის, ცხოვრება ხომ მაინც თავის გზითა და კალაპოტით მიდის. იმისთვის, რომ ადამიანებმა თანასწორად იცხოვრონ, იზმები და სისხლის ღვრა სულაც არ არის საჭირო. თვითონ ადამიანი უნდა ავიდეს დიდ შეგნებამდე, — სპირიდონი წამოდგა, გაიარ-გამოიარა, მერე შეჩერდა და საკმაოდ მაღალფარდოვნად დაიწყო: „ოდეს აღმართავ ტაძარს სილანიელი ზევსის და ათენა სილანიელის სახელზე და ოდეს დააწესებ ფილეებსა და ობეებს, შენ მოაწყობ ოცდაათი კაცისაგან შემდგარ გერუსიას ართაგეტების მირიცხვით. დროგამოშვებით ჯერ არს შეკრიბო სახალხო ყრილობა ბაბიტასა და კნაკიონს შუა; აქ საბჭო წარადგენს კანონებს კენჭის საყრელად: ხალხს, დაე, ეკუთვნოდეს უფლება და ძალა". ეს რეტრა ანუ წინასწარმეტყველება გახლავთ, დელფოდან რომ ჩამოიტანა ლიკურგემ. წაიკითხე ლიკურგე, ნახე იმ ერთმა კაცმა უსისხლოდ როგორ გაათანასწორა ცხოვრება სპარტაში.

სპირიდონი ისევ სკამზე დაჯდა და აბელს მიაჩერდა იმ კაცის გამომეტყველებით, ვინც საბოლოო და ამომწურავი პასუხი გასცა მოკამათეს.

— მაშ, შენ ისე ამბობ, სპირიდონ, — მიუგო აბელმა, — რომ საფრანგეთის ან ინგლისის რევოლუციას არავითარი სიკეთე არ მოჰყოლია, არა?

— როგორ არა, — ხმამაღლა გაიცინა სპირიდონმა, რაც აბელმა უკვე დაცინვად მიიღო, — ის სიკეთე მოჰყვა, რომ მეფე ლუი მეთექვსმეტე სიკვდილით დაისაჯა, ხოლო შემდგომ რევოლუციის მოთავეები მარატი და რობესპიერი ბრბომ მოკლა.

— რას იზამ, ყველა დიდ საქმეს მსხვერპლი მოსდევს. და მაინც, ჩემო სპირიდონ, დიდი როლი ითამაშა იმ რევოლუციამ საფრანგეთის მომავლისათვის.

— შეიძლება, — დინჯად თქვა სპირიდონმა, — შეიძლება თქვენმა რევოლუციამაც ითამაშოს დიდი როლი, ეგ საყვარელო, რუსეთის საქმეა. რუსეთი დიდი იმპერიაა, თქვენ თქვენს ქვეყანას მიხედეთ. ერთი ეს და მეორე კიდევ, პოლიტიკაში ნუ ჩაერევი. პოლიტიკა ისეთი მოლიპული გზაა, თვით ქრისტესაც კი დაუსხლტა ფეხი. პოლიტიკოსები ერთმანეთს დასდევენ, გააცამტვერებენ, ცხოვრება კი მაინც თავისი გზით წავა. ისწავლე და შენი ცოდნით პატიოსნად ემსახურე ქვეყანას, გამოადექი ერს. რევოლუციას დიდი მსხვერპლი სჭირდება. ამ მსხვერპლს პატარა ერები ვერ გაუძღებენ. და გარდა ამისა, ჩემო აბელ, ყველაზე საშიში ის არის, რომ ვაითუ ის მოძღვრებაც, რასაც მარქსიზმი ჰქვია, საბოლოოდ მაინც ერთმა მუჭა გაბატონებულმა კლასმა გამოიყენოს თავის სასარგებლოდ და ხალხის დასამონებლად ისე, როგორც ყველა სხვა „იზმმა“, რაზედაც წეღან გელაპარაკებოდი.

აბელს რაღაცა უნდოდა ეთქვა, მაგრამ სპირიდონმა ხელით ანიშნა, მაცალეო და განაგრძო:

— და კიდევ ერთი. რევოლუცია პირველ ხანებში რაღაც სიკეთეს მოუტანს პატარა ერს, ხოლო შემდგომ, როცა ყველაფერი კალაპოტში ჩადგება და გარკვეული დრო გავა, ისევ ის პოლიტიკა გაგრძელდება, რაც იმპერიისთვის არის დამახასიათებელი და რასაც პატარა ერების ასიმილაცია ჰქვია. ეს იმპერიის სისხლხორცეული ჩვევაა და ვერც ერთი მოძღვრება ვერ გასწმენდავს ამ ჩვევისაგან. ასეა, ჩემო აბელ, ამაზე ნუღარ ვიკამათებთ. — და მერე სევდიანად, გულწრფელად დასძინა, — ნეტამც ისე წარიმართებოდეს საქართველოს ბედი და შენი პირადი ცხოვრებაც, რომ ჩემი ნათქვამი არასოდეს გაგხსენებოდეს.

აბელი ჩაფიქრდა, თითქოს რაღაცას ჭოჭმანობდა, მერე ბიძაშვილს ჯიქურ შეხედა და უთხრა:

— სპირიდონ ძმაო, ნუ გეწყინება და ერთ რამეს გეტყვი.

— თქვი. — გაკვირვებით შეხედა სპირიდონმა.

— მძულს ყველა ადამიანი, ვინც უსამართლობას ეგუება. მონად ყოფნას ბრძოლაში სიკვდილი სჯობია. ეს ცხოვრება

რომ ასეთი უკულმართი და ოღროჩოღროა, ამაში შენც მიგიძღვის ბრალი, მეც, სხვასაც, იმიტომ, რომ მხდალები ვართ, იმიტომ, რომ საკუთარ კეთილდღეობაზე ვფიქრობთ, ადამიანებს რომ არ ებრძოლათ, თავი არ შეეწირათ და ყველაფერს შეგუებოდნენ, დღეს ხომ ისევ მონათმფლობელობა იქნებოდა, კაცობრიობა ხომ იმ საფეხურზე ვერ ავიდოდა, რაზედაც დღეს არიან თუნდაც ევროპის ქვეყნები. ნუ გგონია, რომ სპარტაკის, მარატის თუ რობესპიერის სიკვდილმა უკვალოდ ჩაიარა, ისინი დღესაც აფრთხობენ მჩაგვრელებს და აიძულებენ, ანგარიში გაუწიონ ხალხს. ევროპაში დღეს ყველაზე მეტად რუსეთია დამონებული იმიტომ, რომ რუსი კაცი მომთმენი და სულგრძელია. აი, სადამდე მიიყვანა ისინი ამ მოთმინებამ, მაგრამ, ეტყობა უკვე აევსო მოთმინების ფიალა. მაპატიე, ძმაო სპირიდონ, ცოტა მკვახედ გამომივიდა ნათქვამი, მაგრამ ახლაც გიმეორებ, ყველა ადამიანი მძულს, ვინც ეგუება, ვინც ითმენს, ვინც შორიდან მაყურებელია. ბოლოსდაბოლოს ადამიანი ბრძოლისთვის არის გაჩენილი, მე ასე მწამს და ასე უნდა ვიცხოვრო...

ამით დაარულეს კამათი თავთავიანთ სიმართლეში დარწმუნებულებმა. თვალწინ დაუდგა სპირიდონი, ვინც ამდენი ამაგი დასდო, სიკეთე უნდოდა აბელისთვის და მაშინაც იმიტომ ედავებოდა.

ლამპა იბეუტება. ფიქრში ჩაძირული აბელი ჭუჭყიან ჭერს მისჩერებია, ზედ რომ ლამპის შუქი შეიციმციმებს ხოლმე, ეტყობა, ნავთი ილევა, დროა ჩააქროს.

ლამპას აქრობს. ოთახში პატრუქის სუნი ტრიალებს. კედლისაკენ ბრუნდება, გვერდს იცვლის, თვალებს ხუჭავს და უფრო ნათლად უდგება თვალწინ თავისი წკადისი, თავისი სახლ-კარი და ახლობლები.

მეოთხე რვეული

სამი დღე ზედიზედ გავიდა, ლადო აღარ გამოჩენილა. უკვე შეგუებული ვიყავ. მისი გადაკარგვა ჩვეულებრივ ამბად მიმაჩნდა და დარდი გულშიც არ გამივლია. სამი დღის შემდეგ კი მოვიდა და სიხარულით მამცნო, ბაქოში კრასინი ჩამოვიდაო, კრასინი არ ვიცოდი ვინ იყო და გაოცებულმა ვკითხე, ეგ ვიღაა-მეთქი.

— ლეონიდ ბორისის ძე კრასინი. — სიხარულისაგან თვალები უბრწყინავდა ლადოს და ერთ ადგილზე ვეღარ ისვენებდა, — ცნობილი რევოლუციონერია, მოსკოვის ციხეში იჯდა, მაგრამ ვერაფერი დაუმტკიცეს და გამოუშვეს. საქართველოს კარგად იცნობს, ხშირად ყოფილა საიდუმლო დავალებით.

— რაზე ჩამოვიდა?

— ელექტროსადგურის მშენებლობაზე, ინჟინრად. უკვე ველაპარაკე, — ოდნავ დაფიქრდა და ისევ განაგრძო. — აბელ, მალე შენც და სხვა ამხანაგებიც მასთან გადახვალთ სამუშაოდ. საიდუმლო წრეებსაც იქ გადავიტანთ. ისეთი სარდაფებია, პოლიციამ თავი რომ იმტვრიოს, მაინც ვერ მოგვაგნებს. იქ მოიყრის თავს ბაქოს სოციალ-დემოკრატიის ბირთვი.

ამ საუბრით დამთავრდა ჩვენი ბოლო შეხვედრა. მას შემდეგ ლადო აღარ გამოჩენილა, მაგრამ ვიცოდი, რომ იგი უქმად არ იქნებოდა. კრასინის ჩამოსვლის ამბავმა მეც ამაფორიაქა. მუღამით ვგრძნობდი, ბაქოში ახალი ხანა იწყებოდა და ჩვენი ცხოვრება უფრო შინაარსიანი გახდებოდა.

მეოთხე დღეს გამოჩნდა ლადო. კი არ შემოვიდა, შემოვარდა ოთახში. ტუჩები ისე ჰქონდა მოკუმული, თითქოს რაღაც მელოდიას უსტვენსო. სალამს აგვიანებდა და ისევ მე მივესალმე:

— საღამო მშვიდობისა, ლადო. დიდება შენს გამოჩენას.

თავი დამიქნია. ტუჩები ისევ ისე ჰქონდა მოკუმული. უკვე კარგად ვიცოდი მისი ხასიათი. ექვსი თვის მანძილზე მისი ყველა წვრილმანი შევისწავლე. შევატყე, რაღაცით იყო გახარებული, რაღაც ახალი მოეფიქრებინა და ერთი სული ჰქონდა, როდის ვკითხავდი, როდის გაამხელდა თავის სათქმელს. განზრახ არაფერი ვკითხე, ვიცოდი, მოთმინება აღარ ეყოფოდა და თვითონ ჩამოკაკლავდა.

— კრასინთან უნდა წავიდეთ.

— კრასინთან?

— დიახ, გველოდება.

გული რაღაცნაირად შემითამაშა კრასინის ხსენებამ, მაშინვე წამოვდექი, ტანსაცმელი გამოვიცვალე.

— გზად ფოსტაში უნდა შევიაროთ. — მითხრა ლადომ.

— ფოსტაში რაღა გინდა?

ლადო ბოლთას სცემდა, ერთ ადგილზე ვერ ისვენებდ ძალიან იყო აღელვებული.

— შენ იცი, რომ ჩემს უფროს ძმას სპარსეთის საზღვარზ პატარა საიჯაროები აქვს?

— არა. არაფერი გითქვამს ამაზე.

— ჰოდა, არაუშავს, შეძლებულად ცხოვრობს. აბა, მოუ მინე რასა ვწერ.

ჯიბიდან წერილი ამოიღო და კითხვა დაიწყო:

„ჩემო საყვარელო ძმაო, მე ახლა ბაქოში ვიმყოფები. ას მოიტანა ცხოვრებამ. პოლიცია დამდევს, სხვისი პასპორტი ვიმალები. უკვე მომბეზრდა ეს ძაღლუმადური ცხოვრება ვნანობ, რომ დროზე არ დაგიჯერეთ შინაურებს და ამ წყეულ რევოლუციონერობას თავი არ დავანებე, მაგრამ ხომ გაგი გია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო. მადლი ღმერთს, უკვ მოვეგე გონს. გადავწყვიტე, მივატოვო რევოლუციონერობ და უმაღლესში გავაგრძელო სწავლა, მაგრამ ერთი გროში არ გამაჩნია. სწავლის გასაგრძელებლად და ჩემი საქმეები მოსაგვარებლად კი საკმაოდ ბევრი ფული მჭირდება. შეეწი შენს უმცროს ძმას, ვისაც ღვთის საგმობი საქმე დაუგდია დ კეთილ გზას დასდგომია. იცოდე, როდისმე გადაგიხდი ამ სი კეთეს, წინასწარ გიხდი მადლობას.

შენი ძმა ლადო კეცხოველი.

ბოლოში ლადოს მიეწერა, რა მისამართზე და ვის სახელ ზე უნდა გამოეგზავნა ფული.

ბარათი ფაქიზად დაკეცა, ისევ ჯიბეში ჩაიდო და გადმო ხედა, აბა, რას იტყვიო. ერთხანს დავიბენი, ვერ მივხვდი, რ ედო გუნებაში, სად უმიზნებდა. როცა მის ეშმაკურად მომღი მარ თვალებს შევხედე, მაშინღა მოვედი აზრზე. ძმა თუ დი თანხას გამოუგზავნიდა, ლადო სტამბას მოაწყობდა, მაგრამ ა მესმოდა, იმდენს რას გამოუგზავნიდა, რომ სტამბისთვის ჰყო ფნოდა.

ლადოს ეშმაკობამ ცოტა არ ყოს გამაოცა და დამაბნი

— ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ, ბოლოს ხომ გაიგებ რომ ატყუებდი?

ლადომ მიყურა, მიყურა და უცებ ხარხარი აუვარდა.

— შენ მაგაზე ფიქრობ, ბიჭო? მეტი საქმე არა გაქვს

ხომ გაგიგია, მიზანი ამართლებს საშუალებასო. — და ისევ სიცილი აუვარდა. თვალები ცრემლით ამოევსო. თან ბეჭებზე ხელს მირტყამდა და მეფერებოდა.

— კეთილი, მაგრამ განა რამდენს გამოგიგზავნის? — ამის თქმაღა მოვახერხე მისი საქციელით ნირწამხდარმა.

სიცილი შეწყვიტა, სული მოითქვა და მომიგო:

— ფულიანიც არის და გულკეთილიც, მე მგონი, ბევრს გამომიგზავნის. თუ რამე დაგვაკლდება, ვიშოვნით, აბელ, ქვას გავხეთქავთ და ვიშოვნით.

მის აღტაცებულ, აღგზნებულ თვალებს შევხედე და მივხვდი, რომ რაღაც შანსი გვქონდა, სტამბა მოგვეხელთებინა და უცებ ლადოს სიხარული მეც გადმომედო:

— საოცარი კაცი ხარ, ლადო, საოცარი. — ვეუბნებოდი და თან ვეხვეოდი, მაგრამ გულში მაინც ხინჯად ჩამყვა, რომ ლადო ძმას ატყუებდა.

გზად ფოსტაში შევიარეთ, წერილი გავგზავნეთ. იმ პატარა ქალალდმა მთელი ჩვენი იმედი და ოცნება წაიყოლა თან. იქიდან კრასინთან წავედით „ელექტროსილაზე", ლეონიდ ბორისის ძე იქვე ცხოვრობდა, სადაც მუშაობდა. ჩემს წინ იდგა ოცდაათი წლის მაღალი, ტანთხელი კაცი. პირისახეზე ნაადრევად გასჩენოდა ნაოჭები, სწორი მოწითალო თმა და ცისფერი ღრმა თვალები ჰქონდა.

— ეს გახლავთ აბელ ენუქიძე. — გააცნო ლადომ ჩემი თავი. რაღაც ორიოდე წუთში ჩვენს შორის ისეთი უშუალობა დამყარდა, თითქოს ძველი მეგობრები ვყოფილიყავით. ეს ასე ხდებოდა ყოველთვის და ყველას მიმართ, ვინც კი რევოლუციურ საქმეში იყო ჩაბმული. გაცნობისთანავე ვმეგობრობდით ერთმანეთთან, ალბათ იმიტომ, რომ ერთი მიზანი გვქონდა, ერთი საქმე.

— მაშ ასე, მეგობრებო, თუ საიდუმლო წრეებს აქ გადმოვიტანთ, ალბათ უფრო საიმედოდ კიქნებით, გარდა ამისა, — მე მომიბრუნდა ლეონიდ ბორისის ძე, — ალბათ, ამხანაგმა ლადომ უკვე გითხრათ, მინდა ყველა რევოლუციონერი აქ გადმოვიყვანო სამუშაოდ. ყველა პროფესიის ხალხი მჭირდება. მათ შორის თქვენც თუ ჩემთან გადმოხვალთ, ამხანაგო აბელ, კარგი იქნება. ოღონდ ეს თანდათანობით უნდა მოხდეს, რომ ჟანდარმერიას თვალში არ მოხვდეს.

ამის შემდეგ კრასინმა მშენებლობაზე წაგვიყვანა და ის სარდაფები გვაჩვენა, რაზედაც ადრე კეცხოველი მელაპარაკებოდა. ლადო მართალი იყო, იმ ჯურღმულებში ისეთი საიდუმლო და დახლართული კიბეები ჩადიოდა, პოლიცია ვერაფრით ვერ მოგვაგნებდა, თუ ვინმე შეგზურობას არ გაუწევდა. ერთი ეგ იყო, რომ დღისითაც და ღამითაც სინათლე გახლდათ საჭირო, მაგრამ ეს ვერ დაგვაბრკოლებდა. გადავწყვიტეთ ბალახანისა და საბუნჩის წრეები ამიერიდან აქ გადმოგვეტანა და თუ რამ აკრძალული ლიტერატურა გაგვაჩნდა, ისიც ამ სარდაფში მოგვეთავსებინა. ამ საქმის გადადება აღარ შეიძლებოდა და შევთანხმდით, მეორე დღესვე შევდგომოდით საქმეს.

დასრულდა დიდი ხნის მოლოდინი. კეცხოველის ძმამ ორასი მანეთი გამოგზავნა და ლადოს მოსწერა, რაკი კეთილ გზას დადგომიხარ და გადაგიწყვეტია ისწავლო, ორას მანეთს ახლა გიგზავნი, ხოლო სწავლას რომ გააგრძელებ, ცოტა-ცოტას მუდამ მოგაწვდიო. ძალიან გამახარე შენი გადაწყვეტილებითო.

მოლოდინს გადააჭარბა, ლადო ამდენ თანხას არ ელოდა და ახლა სიხარულით ცას სწვდებოდა.

— სტამბის საქმე მოგვარებულია, ხვალვე საქმეს შევუდგებით, ორასი მანეთი აბელ... იცი, ამით რა საქმეებს ჩავიდენთ? — სიხარულით თვალები უბრწყინავდა ლადოს, — ახლავე უნდა მოვიფიქროთ, როგორ და საიდან დავიწყოთ.

საღამო ხანი იყო. დიმიტრი ბაქრაძის ბინაში ისხდნენ ორივენი. გარეთ თავსხმა იყო, ოთახში კი მაინც ჩუმი სიცხე იდგა. პირველმა წვიმამ იცის ასე, ქუჩის სიცხეს სახლებში ერეკება. აბელს ყურებში ედგა ლადოს ძმის სიტყვები, ძალიან გამახარე შენი გადაწყვეტილებითო, იმას მართლა ჰგონია, რომ ლადო რევოლუციონერობას თავს ანებებს. აბელმა ლადოს შეხედა, კოსტიუმი უკვე მოძველებოდა, სახეზეც სიგამხდრე შეტყობოდა, რაც ბაქოში ჩამოვიდა, გახდა, შეიცვალა.

— ფული, მე მგონი გვეყოფა. ახლა სტამბა და სტამბის მოსაწყობი ადგილი უნდა ვიშოვნოთ.

ბევრი იმსჯელეს, ივარაუდეს და აღმოჩნდა, რომ მარტო ფული არა სწყვეტდა საქმეს. ვიდრე ფულს იშოვნიდნენ, ეგონათ, მხოლოდ ეს არის მთავარი, დანარჩენი იოლად მოგვარდებაო. მაგრამ აგერ ფული ხელთა აქვთ უკვე და თავსამტვ-

რევი მაინც გამოუჩნდათ. სად, ვისგან იყიდონ სტამბა, რომ არ ჩაფლავდნენ? ეს საკითხი ძნელი გადასაწყვეტი იყო, ბევრი თათბირის შემდეგ დაასკვნეს, ისევ თბილისის კომიტეტისათვის მიემართათ, გაეგზავნათ საიდუმლო წერილი.

თბილისის კომიტეტს სწერდნენ, რომ ნაღდი ანგარიშით შეისყიდდნენ საბეჭდ მანქანასაც და შრიფტსაც, მიუხედავად ამისა, ეს გზა ზოგიერთებს მაინც ეეჭვებოდათ, საიმედოდ არ მიაჩნდათ, რადგან თვითონ თბილისის კომიტეტი არ იყო მდიდარი არც შრიფტითა და არც საბეჭდი მანქანებით, ამიტომ სხვა გზა უნდა ეძებნათ.

აბელი ლოგინიდან მკვირცხლად წამოდგა. ოთახში ციოდა და შეაკანკალა. დღეს ნავთქურასაც იყიდის და ნავთსაც მოიმარაგებს. ტანზე გადაიცვა და ქუჩაში გავიდა.

მეეტლეები უკვე მიერეკებოდნენ მატარებლიდან ჩამოსულ მგზავრებს, მუშები ქარხნებისაკენ მიეშურებოდნენ, ისინი პირველნი იწყებდნენ მუშაობას, ხოლო შემდეგ მოსამსახურეები და გიმნაზიელები მიჰყვებოდნენ.

ფეხს მოუჩქარა. ერთი ვერსი ჰქონდა გასავლელი მუსულმანთა უბნამდე, სადაც ლადო ცხოვრობდა. იქ გაცილებით ნაკლებად იყვნენ პოლიციელები მუსულმანთა შეუვალი კანონების წყალობით და ლადოც უხიფათოდ იქნებოდა.

ვიწრო ეზოში შევიდა, სადაც მუდამ დამახასიათებელი სუნი იდგა. პირველი სართულის კარზე დააკაკუნა. პასუხი არ იყო, გული შეუქანდა, უსიამოვნო ეჭვმა შეიპყრო. სახლის პატრონიც არსად ჩანდა, თითქოს აქაურობა ბედის ანაბარა იყო მიტოვებული. მეორედ დააკაკუნა, უფრო მაგრად და იგრძნო, მოთმინება ელეოდა. ოთახიდან ყრუდ მოისმა ფეხის ხმა, იმდენად ყრუდ, რომ იფიქრა, შეიძლება მომეჩვენაო, მაგრამ არა, კარი ფრთხილად გაიღო და ლადომ გამოიხედა. ნამძინარევი სახე ჰქონდა. წვერი უფრო წამოზრდოდა, ნაავადმყოფარს ჰგავდა.

— გულთმისანი ყოფილხარ, — უთხრა ლადომ, — შენთან ვაპირებდი წამოსვლას და კარგია, რომ შენ თვითონ მოხვედი.

აბელი ნახევრად ბნელ ოთახს ათვალიერებდა. სადაც შმორის სუნი იდგა და ფიქრობდა:

„ამ ოთახში ლადო დაავადმყოფდება, უნდა სხვაგან გ
დავიდეს“.

კეცხოველი კი განაგრძობდა:

— აქ, ბაქოში, ვიღაც შაპოშნიკოვის სტამბა ყოფილა დ
უნდა დავათვალიეროთ.

— კი მაგრამ, ეგრე რომ მივადგეთ, რა ვუთხრათ, ვინ
ვართო?

— ეგ ნუ გაფიქრებს.

აბელმა იცოდა, რომ ლადო ისე გულუბრყვილოდ არ მ
ადგებოდა ვიღაც შაპოშნიკოვს და თავს საფრთხეში არ ჩაიგ
დებდა.

მზე ანათებდა, მაგრამ სუსხიანი ნიავი შიგ ძვალ-რბილშ
ატანდა. ლადომ ცილინდრი თვალებზე ჩამოიფხატა, იღლ
ში პორტფელი ამოიჩარა, ხელჯოხს დაეყრდნო და ისე ააყო
ლა ნაბიჯი. გეგონებოდათ მხრებზე სიბერე აწევსო. იგი ტან
საცმელს ხშირად იცვლიდა, რამდენადაც თავის ქონება ამ
გასაქანს აძლევდა. რაც თბილისიდან ბაქოში გამოიქცა, წვერ
ულვაში მოიშვა, ყველანაირად ცდილობდა. იმ სურათ
დამსგავსებოდა, დემეტრაშვილის გვარზე შევსებულ პასპორ
ტში რომ ჰქონდა ჩაკრული. დემეტრაშვილი მთელი ათი წლ
უფროსი იყო ლადოზე, ჟანდარმერია კი ოცდახუთი წლ
წვერგაპარსულ ჭაბუკს დაეძებდა.

მიყრუებული ქუჩებით იარეს და, როცა ვინმე საეჭვ
დაინახავდნენ, მაშინვე რუსულად იწყებდა ლადო ლაპ
რაკს. ეს ყველაფერი აბელისათვის გასაგები იყო.

კასპიის ქუჩაზე, ოცდაათ ნომერ სახლთან შეჩერდნენ. ს
ბეჭდი მანქანების დაგადუგი და ქაღალდების შრიალი ქუჩ
შიც კი ისმოდა.

ლადომ ცილინდრი შეისწორა, აბელს ანიშნა, მომყევ
და სტამბის მეპატრონის კაბინეტის კარი დინჯად შეაღო.

განიერ სავარძელში იჯდა ხანში შესული კაცი, ასე სამ
ციოდე წლისა. სქელი, ჭაღარაშერეული წარბები თვალებ
ჩამოფხატოდა, ნიკაპზე თხასავით ჩამოგრძელებოდა თხელ
წვერი.

კაბინეტში შესულებს გულგრილად შეხედა, ეტყობოდ
უცხო ხალხის სტუმრობა მისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყ

— დაბრძანდით! — სკამზე მიუთითა შაპოშნიკოვმა, ს

ვარძელს ზურგით მიესვენა ქანცგამოლეული კაცივით და დაბალი, დინჯი ხმით თქვა:

— გისმენთ, ბატონებო!

ლადომ პორთფელი გახსნა და შაპოშნიკოვს წინ რაღაც ქაღალდი დაუდო. სტამბის პატრონი ქაღალდს ჩააჩერდა, თვალებით კითხულობდა, მაგრამ ტუჩებს მაინც ატოკებდა ოდნავ.

— ბაზოვი თქვენ ხართ? — ლადოს შეხედა მან.

— დიახ, ბატონო.

— თქვენ გინდათ სადარბაზო ბარათების დაბეჭდვა, არა?

— დიახ, ოღონდ შრიფტს ჩვენ შევარჩევთ, ამ საქმეში ცოტა რამ გამეგება.

— კეთილი და პატიოსანი. ჩავიდეთ საამქროში და რომელი შრიფტიც მოგეწონებათ... ნახეთ ჩვენი ნიმუშები, როგორ ვბეჭდავთ.

ვიდრე კეცხოველი და შაპოშნიკოვი საუბრობდნენ, აბელმა ყველაფერი გაიაზრა. მაშასადამე, ლადომ ვიღაც ბაზოვის სახელზე ტყუილად დაუკვეთა სადარბაზო ბარათები, ეს მიზეზია. ლადო უნდა შევიდეს უშუალოდ საამქროში და დაათვალიეროს სტამბა, გაიგოს შრიფტის სიმაღლე, რომ იმის მიხედვით დაუკვეთოს საბეჭდი დაზგა. აი, თურმე რისთვის მოვიდა აქ.

რამდენიმე წუთის შემდეგ სამივენი საამწყობო საამქროში იყვნენ და შრიფტს ათვალიერებდნენ. ლადო გულდასმით სინჯავდა შრიფტებს, მანძილს შრიფტსა და დოლუარებს შორის, მაგრამ აბელი ამჩნევდა, რომ უკმაყოფილო იყო. ლადომ მხარი გაჰკრა აბელს და ქართულად გადაულაპარაკა.

— ერთი მუჭა შრიფტი და დოლუარა მოიპარე. — და იმ წუთში სტამბის პატრონი განზე გადიყვანა.

მაგრამ აბელისთვის ახლა სიკვდილი იყო შრიფტის მოპარვა. უხერხულობაში ჩავარდნილს აღარ იცოდა, რა ექნა. ერთხანს კიდეც დააპირა მოპარვა, მაგრამ ხელი თითქოს გაუშეშდა, არა, გული არ უშვრებოდა.

ლადომ ისევ ჩაუარა ახლოს, მხარი წაჰკრა და ბრაზით წაუსისინა:

— დროზე.

— არ შემიძლია! — ძლივს ამოღერღა აბელმა.

მაგრამ ლადომ ისეთი თვალებით გადახედა, იმხელა სასოწარკვეთა თუ მუდარა ეტყობოდა, რომ აბელს უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა.

ალბათ სიკვდილი ერჩია, მაგრამ რაღას იზამდა. როგორც კი დრო იხელთა, ერთ-ერთ ყუთში ჩაჰკრა ხელი და შრიფტი ჯიბეში ჩაიყარა.

ცოტა ხნის შემდეგ კი, როცა ლადომ სახეზე მთლად გაწითლებულ აბელს შეხედა, მიხვდა, რომ ყველაფერი რიგზე იყო. სტამბის პატრონს დაუთქვა ლადომ, ხვალ გეახლებითო და დაემშვიდობა.

— აბა, ჩემო აბელ, დღესვე უნდა დავიანგარიშოთ ყველაფერი და დაზგა დავუკვეთოთ. — უთხრა, როცა ქუჩაში გამოვიდნენ და გამხიარულებულმა ხელები მოიფშვნიტა. — ქურდობაც ხომ დაგაწყებინე.

აბელმა თავი გადააქნია:

— საიდან მოიგონე მაინც ეს სადარბაზო ბარათები?

— ეჰ, როცა კაცს გაგიჭირდება, ყველაფერს მოიგონებ, კრასინი დამეხმარა. შენ ხომ იცი, რომ ყოველ ღამე სტამბა მესიზმრება. ძილი აღარა მაქვს. ყურებში საბეჭდი მანქანის დაგადუგი მიდგას. სიზმარში ვხედავ, როგორ ეწყობა ერთმანეთზე პროკლამაციები.

მიდიოდნენ მხიარულები, პატარა ბავშვებივით მიხუსხუსებდნენ, კაცობრიობის მომავალზე ოცნებით შეპყრობილნი, სიჭაბუკეგამწარებულები, ჯაფასა და ხიფათიან ცხოვრებასთან ნაადრევად წილნაყარები.

ორიოდე დღის შემდეგ კი, საღამოს, დიმიტრი ბაქრაძის ბინაში გაიმართა თათბირი. თათბირზე შეიყარა ქართველ რევოლუციონერთა მცირე ჯგუფი.

— ვითარება ასეთია, ამხანაგებო, — ამბობდა ლადო, — დაზგა დაკვეთილია, მაგრამ ჩვენი ორასი მანეთით, როგორც აღმოჩნდა, დაზგას ვერ შევისყიდით. არადა, დაზგის გარდა ათასნაირი მოწყობილობა გვესაჭიროება, შრიფტი, ქაღალდი, საღებავი და, რაც მთავარია, ბინა, სადაც საბეჭდი დაზგა უნდა დავდგათ. არავითარი სხვა სახსარი ჩვენ არ გაგვაჩნია, ამიტომ საჭიროა თბილისში მოსალაპარაკებლად კაცი გავგზავნოთ...

— თბილისელებს თავიანთი თავი გასჭირვებიათ, ამხანა-

გო ლადო. ადრეც ვერაფრით დაგვეხმარნენ, ან შეიძლება, არ სურდათ დახმარება, — განაცხადა ვიქტორ ბაქრაძემ.

— ეგ ყველაფერი ვიცი, — დინჯად უპასუხა ლადომ, — მაგრამ ამჯერად ვისაც გავგზავნით თბილისში, ხელცარიელი არ დაბრუნდება. ზეგ, ესე იგი შაბათს, იქ უნდა იყოს ჩვენი კაცი. თუ თქვენც თანახმა იქნებით, ამხანაგებო, ეს საქმე აბელს დავავალოთ.

აბელი შეიშმუშნა.

— ვიდრე აბელი დაბრუნდება, — განაგრძო ლადომ, — ჩვენ სტამბისთვის ბინა უნდა ვიშოვნოთ, საიმედო ბინა, ამხანაგებო.

საღამოს გვიან დაიშალნენ.

ლადო დიმიტრისთან დარჩა, ხოლო დანარჩენები სათითაოდ და ფრთხილად გაიკრიფნენ ბინიდან.

ბაქოს ჟანდარმერიის როტმისტრის ვალტერის ჩანაწერიდან

უცნაური ჩვევა დამჩემდა ბოლო ხანებში. რამდენჯერაც კი შეფი გამომიძახებდა, შიში მათავებდა. ალბათ, ეს იყო მიზეზი, რომ თანდათან მიღვივდებოდა სიძულვილი მინკევიჩისადმი, მაგრამ, მეტი რა გზა მქონდა, ბედს უნდა შევრიგებოდი.

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ ბერზინმა მიმტყუნა, ვერც იმ ვიღაც აბელის ვინაობა დავადგინე და ვერც მის საიდუმლო წრეებს მივაგენი. სწორედ ამიტომ დამატყდა შეფის რისხვა თავზე, დოყლაპია და უნიჭო მეძახა და წარმოიდგინეთ, სამუშაოდან გაგდებითაც კი დამემუქრა. გამწარებულმა ბერზინზე ვიყარე ჯავრი, რამდენიმე დღით საპატიმროში ჩავამწყვდიე, ხოლო ჩემი ორი ჟანდარმით პაპიაშვილის ბინას დავუდარაჯდი, მაგრამ იმ დუქანს აღარავინ გაჰკარებია. ბოღმისაგან თითებს ვიჭამდი. მივხვდი, რომ ჩემს მიერ აყვანილი ჯაშუში, მე კი არ მემსახურა, ის ვიღაც აბელი გააფრთხილა და საქმე გამირთულა.

„მართალი იყო შეფი, ყველაფრის ღირსი ვარ. მე თვითონ დავწერ განცხადებას და თანამდებობიდან გადავდგები-მეთქი". — ვფიქრობდი ჩემს თავზე გულმოსული, მაგრამ მერე რაღაც მონადირულმა ჟინმა ამიტანა, მინდოდა შეფისთვის ჯერ

დამემტკიცებინა, რომ არავითარი დოყლაპია არ ვიყავი და მერე ჯანდაბას, თუ მართლა სამსახურიდან გადავდგებოდი. ამიტომ რაღაც დიდი საქმე უნდა გამეხსნა, რაიმეთი თავი უნდა გამომეჩინა. ეს იყო ახლა ჩემი მთავარი საზრუნავი.

მინკევიჩმა რომ გამომიძახა, შიშისაგან მორღვეული სხეული ძლივს მივათრიე მისი კაბინეტის კარებთან. როგორც ხარს სასაკლაოზე მისვლა ეზარება, ისე მე არ მინდოდა უფროსთან შესვლა. შეფი მაგიდასთან იჯდა და რაღაც ქაღალდებს ჩაჰკირკიტებდა. შევყოვნდი, დაველოდე, ვიდრე ყურადღებას მომაქცევდა, როდის-როდის ასწია თავი, თითით მანიშნა, შემოდიო და ისევ ქაღალდებში ჩაეფლო. ალბომ მიკარნახა, რომ ამჯერად მინკევიჩი რაღაც მნიშვნელოვან საქმეზე მიხმობდა და ჩვენი შეხვედრა საყვედურებითა და ჩემი შეურაცხყოფით არ დამთავრდებოდა.

შორიახლო გავჩერდი მაგიდასთან და უხმოდ ვუყურებდი. მინკევიჩს თითქოს ჭაღარა მომატებოდა.

— დაბრძანდი, როტმისტრო. — ზრდილობიანად მომმართა და შემომხედა. მის თვალებში ის დამცინავი ცეცხლი აღარ ელავდა, სხვა დროს რომ შემიძჩნევია. დაღლილი ჩანდა და როგორღაც შემენანა.

— მისმინე, — დაბალი ხმით მითხრა მან. მერე ისევ ქაღალდებს ჩააჩერდა და ხმამაღლა წაიკითხა, — ჩვენი აგენტურის ცნობით სახელმწიფოსათვის მეტად საშიში პიროვნება ლადო ზაქარიას ძე კეცხოველი ბაქოში აფარებს თავს...

შეფმა კითხვა შეწყვიტა და მითხრა:

— ხომ გახსოვთ, როტმისტრო, როდის გითხარით, თუ კეცხოველი ბაქოში ჯერ არ არის, უსათუოდ მალე გამოჩნდებამეთქი.

— მახსოვს, თქვენო აღმატებულებავ.

მინკევიჩმა ისევ განაგრძო იმ „დანაშაულთა" კითხვა, რაც კეცხოველს ჩაედინა თბილისში.

— დააპატიმრეთ ადგილზევე, — შეფმა თავი აიღო და შემომხედა, — გესმით, როტმისტრო, როგორი ბრძანებაა გაცემული და ვისთან გვაქვს საქმე. თბილისში ჟანდარმერიას ცხვირწინ უფრიალებდა პროკლამაციებს, ვერაფერი მოუხერხეს და ჩვენ გაგვიხადეს თავში სახლელად.

მინკევიჩმა ჩიბუხი დატენა და გააბოლა. თვალებმოჭუტული ერთხანს რაღაცას ფიქრობდა, მერე დაიწყო:

— თუ ატყობთ, ვალტერ, რომ ეგ ეშმაკის მოციქულები ჩვენზე ჭკვიანურად მოქმედებენ? დღემდე ვერ მივაგენით, სად მუშაობენ ფარული წრეები და ვერც იმ აბელის ვინაობა დავადგინეთ.

შეფმა მტკივნეულ ადგილზე დამადგა ფეხი.

— როტმისტრო, გადააბრუნე ქალაქი და დააზუსტე რამდენი აბელი მუშაობს და ვინ არიან.

— მესმის, თქვენო აღმატებულებავ!

— ეს ერთი, — და ისევ კითხვა განაგრძო, — ბაქოში „ელექტროსილაზე" მთავარ ინჟინრად მოვლინებულია ლეონიდ ბორისის ძე კრასინი, ეჭვმიტანილი პიროვნებაა, რევოლუციონერი. გააძლიერეთ ზედამხედველობა მის მიმართ.

მინკევიჩმა საბუთების კითხვა მიატოვა და შემომხედა. ჩემგან ელოდა პასუხს და მეც არ დავაყოვნე.

— „ელექტროსილაზე" ჯაშუშს შევაგზავნით, თქვენო აღმატებულებავ.

ამის თქმა იყო და მინკევიჩს სიცილი აუვარდა, ჭკვიანურ თვალებში ძველებურად აუთამაშდა ჭინკები.

— შენ რომ ჯაშუშები გყავს, როტმისტრო, იმათი იმედი კი უნდა ვიქონიოთ, — მერე სიცილი შეწყვიტა და განაგრძო, — ეჭვი არ მეპარება, რომ ლადო კეცხოველი, თუ მართლა ბაქოშია და ალბათ ბაქოშია, კავშირს დაამყარებს კრასინთანაც და იმ ვიღაც აბელთანაც. ეგენი ყნოსვით მონახავენ ხოლმე ერთმანეთს, როგორც ამძუებული ძაღლები. ხედავ, როტმისტრო, რა საქმეები გვაქვს მოსაგვარებელი. იმოქმედეთ მოქნილად, ფრთხილად და გონივრულად. უჩემოდ ჯაშუშს ნურსად შეგზავნით.

იმ დღეს ასე დამთავრდა ჩვენი შეხვედრა. მე მაშინვე შევუდექი იმ საქმეს, რაც შეფმა მომცა. მოვიხმე თანამშრომლები, გავეცი ბრძანებები და მესამე დღეს ჩვენთვის უკვე ცნობილი იყო ერთი აბელი, გვარად ენუქიძე, რომელიც დეპოში მუშაობდა მემანქანის თანაშემწედ.

მაშინვე შევადგინე საიდუმლო ქაღალდი და თბილისის ჟანდარმერიის სამმართველოს შეკითხვა გავუგზავნე. ვიდრე იქიდან პასუხს მივიღებდი, მანამდე „ელექტროსილაზე" შე-

საგზავნად აკენტი უნდა შემერჩია. ერთი საიმედოდ გაწრთვნილი აგენტი მყავდა, ვასილ ისაევი, გაურკვეველი ეროვნებისა. რომ იტყვიან ხოლმე, პირდაპირ ამ საქმისთვის იყო დაბადებული. რამდენიმე პროფესიას ფლობდა, სამი თუ ოთხი ენა იცოდა. იმაზე შევაჩერე არჩევანი. იმ ხანად ერთ საქმეზე მყავდა გაგზავნილი გროზნოში და მეტი გზა არ იყო, უნდა დამეცადა. სანამ ჩამოვიდოდა. როგორც კი ჩამოვიდა, გავაფრთხილე. უშუალოდ შენთან აქვს შეფს დავალება და უნდა შევიდეთ-მეთქი. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაიხარა, ეს ამბავი რომ გაიგო. სიხარულისგან ძაღლივით ცმუკავდა და იგრიხებოდა. მინკევიჩის თანაშემწეს დავუკავშირდი და ვთხოვე, შესვლა მინდა-მეთქი. შეფმა მაშინვე მიმიღო. კმაყოფილებით მოისმინა, რომ ბაქოში უკვე აღმოჩენილი მყავდა ერთი აბელი და მის ირგვლივ შეკითხვაც გვქონდა თბილისის ჟანდარმერიაში გაგზავნილი, რომ სხვა აბელსაც ვეძებდით, ვინც კი ცხოვრობდა ბაქოში და ბოლოს მოვახსენე, აგენტი მზად არის კრასინის დაწესებულებაში შესაგზავნად-მეთქი. თან დავუხასიათე, რამდენად უტყუარი და გაგეშილი აგენტი იყო ისაევი.

შეფი კმაყოფილი ჩანდა. ყურადღებით მისმენდა შუბლზეხელმიდებული. დინჯი, დარბაისელი კაცი იყო მამაძაღლი, გონებაალესილი. სავარძელში გადაესვენა, შემომხედა და მკითხა:

— სად არის ახლა ის ჯაშუში?

— გარეთ იცდის. თუ ინებებთ, შემოვიყვან. — სკამიდან წამოვიწიე, მაგრამ ხელით მანიშნა, იჯექიო. ზარი დარეკა და მღივანს მოახმობინა ისაევი...

ის სურათი არასოდეს დამავიწყდება. ღია კარებში გამოჩნდა წვრილთვალება, ცხვირწაგრძელებული ისაევი. ბეჭებში ისედაც მოხრილი უფრო მოიხარა. პირისახეზე მლიქნელური ღიმილი დასთამაშებდა და შეფისაკენ წამოვიდა. როგორც გველი, ისე მოხოხავდა, სულ იკლაკნებოდა. მაშინ, მხოლოდ მაშინ ვიგრძენი რაღაც შემზარავი ზიზღი მის მიმართ და მივხვდი, რომ ასეთი ხელობის ადამიანები ბუნებით იბადებოდნენ. შეფისკენ გავაპარე თვალი. მომღიმარე თვალებით მისჩერებოდა აგენტს. მერე ფეხზე წამოდგა და ხელი გაუწოდა. ისაევმა მინკევიჩის გამოწვდილი ხელი რომ

დაინახა, თითქოს ნახტომი გააკეთა, წელში უარესად მოიხარა და ისე ჩამოართვა ხელი. შეფი დაჯდა, აგენტსაც სკამი შესთავაზა. ისაევმა ლამის იატაკს დააბალა თავი მადლობის ნიშნად, სკამის კიდეზე ჩამოჯდა და ერთგული ძაღლი რომ მიაჩერდება ხოლმე პატრონს, ისე მიაჩერდა შეფს. ისევ შევხედე მინკევიჩს და ველარ შევატყე, რა გამომეტყველება ჰქონდა მის თვალებს.

— როტმისტრი ვალტერი ძალიან გაქებთ, საიმედო და უტყუარი აგენტიაო. — უთხრა შეფმა, ისე რომ ზედ არ შეუხედავს.

— ასეა, თქვენო აღმატებულებავ! — დავუმოწმე.

ისაევმა ჩემსკენ გამოიხედა და კუდი ააქიცინა, სკამზე აცმუკდა.

შეფმა თავი ასწია, ორივე მოგვათვალიერა. ბოლოს ისაევზე შეაჩერა მზერა.

— დიდი დავალება მაქვს პირადად მე, — დაიწყო მან, — ისაევი მისკენ მიჩოჩდა და სმენად იქცა. იმ წუთს ისე მომეჩვენა, თითქოს ყურები დაუგრძელდა. შეფმა კი გააგრძელა.

— ვალტერი, ალბათ, გელაპარაკათ ამის თაობაზე.

— დიახ, თქვენო აღმატებულებავ, ჩემთვის თითქმის ყველაფერი ნათელია.

— ბოლოდროინდელი ცნობებით, კრასინთან იყრიან თავს ფარული წრეები. თქვენ იქ მოეწყობით სამუშაოდ ოფიციალურად და დაგვიდგენთ ყველაფერს. — შეფმა უჯრას გამოსწია და უკვე გამრავლებული ლადო კეცხოველის სურათებიდან ერთი აგენტს გაუწოდა. — ყურადღებით იყავით, ხომ არ გამოჩნდება ეს კაცი კრასინთან, მისი სახელი და გვარი ლადო კეცხოველია. იცოდეთ, ისაევ, მთავრობა და ხელისუფლება სათანადოდ დააფასებს თქვენს სამსახურს. ვალტერ, — მომიბრუნდა მე, — წინასწარ, უშუალოდ ჩემი ფონდიდან გამოუწერეთ ერთდროული ჯამაგირი ორმოცდაათი მანეთი.

— არის, თქვენო აღმატებულებავ!

აუდენცია დამთავრებული იყო. შეფი ფეხზე წამოდგა და ისე გამოგვაცილა კაბინეტიდან. მეორე თუ მესამე დღეს ისაევი ელექტრომშენებლობაზე პარიკმახერად მოეწყო, რალა თქმა უნდა, დროებით, ვიდრე ჩვენს დავალებას შეასრულებდა.

ამ დღიდან ერთი კვირის შემდეგ ჩვენ უკვე ვიცოდით

აგენტისგან, რომ „ელექტროსილაზე“ თავს იყრიდნენ ფარული წრეები. ჩვენმა აგენტმა დღეებიც დაგვიდგინა და საათებიც. სამშაბათი და პარასკევი, საღამოს შვიდი საათი. რაც შეეხება კეცხოველს, მისი ასავალ-დასავალი ვერ გავიგეთ. ასეთი კაცი, აგენტის ცნობით, არ გაჭაჭანებულა კრასინის რეზიდენციაში. შეფი კმაყოფილი იყო აგენტის მუშაობით. გორგალის სათავე უკვე ხელთ გვქონდა და შემდეგი ოპერაციისთვის მოვემზადეთ. შევადგინეთ ჯგუფი, რომელიც სამშაბათს, შვიდ საათზე, თავს დაესხმოდა ელექტრომშენებლობას და ფარული წრის წევრებს დააპატიმრებდა. სწორედ შვიდ საათზე, როცა ისინი თავს შეიყრიდნენ, აგენტი გვაცნობებდა და საქმეს შევუდგებოდით. სიმართლე გითხრათ, ძალიან ვღელავდი. საქმე საქმეზე იყო მიყვანილი, თითქოს ხელს აღარაფერი გვიშლიდა, მარტო ის მაფიქრებდა, ვაითუ საიდუმლოება გამჟღავნდეს და წრის წევრები აღარ მოვიდნენ-მეთქი.

სამშაბათს, ექვს საათზე, ჯგუფი მზად მყავდა და აგენტის ცნობასღა ველოდებოდი. ზუსტად რვის ნახევარზე მოვიდა ისაევი და მაცნობა, რომ წრის წევრებმა უკვე მოიყარესო თავი, ოღონდ ისაევმა არ იცოდა, კერძოდ სად იყრიდნენ თავს. მისი ცნობით ეს სხდომა სამ საათს გრძელდებოდა. შეფი ჩემზე ნაკლებად როდი ღელავდა, მაგრამ არ იმჩნევდა. ზუსტად რვა საათზე თხუთმეტი ჟანდარმით თავს დავესხი „ელექტროსილას“. ყველა გამოსასვლელში დარაჯები ჩავაყენე, რამდენიმე ჟანდარმს კი მე შევუძეხი დაწესებულებაში. სულ მოკლე ხანში გამოგვეცხადა კრასინი. ახალგაზრდა კაცი იყო, ნამდვილი ინტელიგენტი.

— რაშია საქმე, ბატონებო? — მკაცრად გვკითხა.

მე ყველაფერი ავუხსენი და ორდერიც ვაჩვენე. კრასინს წარბი არ შეუხრია, მარტო ეს გვითხრა ცივად:

— ეს ცილისწამებაა და თქვენი საქციელით ხელს მიშლით მუშაობაში. ინებეთ და დარწმუნდით ჩემს სიმართლეში.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, სულ მცირე ოთხი საათი მოვუნდით ჩხრეკვას. არაფერი არ დაგვიტოვებია, ფარდულები, საკუჭნაოები, თავლები, ერთი სიტყვით, ყველაფერი გადავჩხრიკეთ, მაგრამ ვერავითარ კვალს ვერ მივაგენით.

მინკევიჩი ლამის გადაირია. არანაკლებ მე ვიყავი გაცო-

ფებული, ისაევი გვარწმუნებდა, ისინი სადღაც საიდუმლო ადგილას იყრიან თავს და ვერ აგნებთო. მეც და შეფიც დარწმუნებული ვიყავით, რომ აგენტი არა სცდებოდა. მაშ, რა უნდა გვექნა? ერთადერთი სწორი გზა ის იყო, ჩვენი ხშირი სტუმრობით არ დაგვეფრთხო ისინი, თავი ისე დაგვეჭირა, ვითომდა საბოლოოდ ჩავიქნიეთ ხელი. ამას კი დრო უნდოდა. სამი კვირა ვაცალეთ. არადა, აგენტი ცნობას გვაწვდიდა, ყოველ სამშაბათს და პარასკევს ძველებურად ისევ თავს იყრიანო. ისაევს დავავალეთ ყველა ხვრელი შეესწავლა მშენებლობაზე, ეგებ იმდენი მოეხერხებინა, გაეგო, სად იყრიდნენ თავს, მაგრამ ეს ვერაფრით ვერ მოახერხა. მეტი გზა არ იყო, ერთხელაც უნდა გვეცადა ბედი. ორი კვირის შემდეგ, როცა აგენტისაგან სიგნალი მივიღეთ, ისევ გადავჩხრიკეთ კრასინის დაწესებულება, მაგრამ ამაოდ.

გადავწყვიტეთ მეორე აგენტი შეგვეგზავნა, ისეთი, ვინც უშუალოდ დაუკავშირდებოდა ფარული წრის წევრებს და ზუსტად გვაცნობებდა, თუნდაც ნახაზით, იმ ადგილს, სადაც ფარული ამხანაგობა იკრიბებოდა. და იმავე დღიდან შევუდექი ასეთი აგენტის ძებნას.

5.

ბაქოდან თბილისამდე დღე-ღამის სავალია მატარებლით.

დღე-ღამის განმავლობაში ქშინავდა მატარებელი და ზოზინით სჭამდა პატარა თუ დიდ სადგურებს, მზითა და ქარით გადახრიოკებულ უდაბურ ადგილებს, სადაც ახლა ლილოჭრილოდ დევს თოვლი.

სადგურებში ყაყანი და გნიასია. სხვადასხვა რჯულის ხალხი ნელი გუგუნით მიდი-მოდის. თითქმის ყველა სადგურში მატარებლის ვაგონებს ჩასდევენ პატარა გოგო-ბიჭები კალათებით ხელში და მგზავრებს ძალით აჩეჩებენ საზამთროსავით მსხვილ, წითლად აბრდღვიალებულ ბროწეულსა თუ ვაშლს, თხილსა თუ ქიშმიშს. ღია ცის ქვეშ მაყლებზე შიშხინებს ცხვრის მწვადები, ვაგონებში ცხელ-ცხელად შემოაქვთ და ჩირის ფასად ჰყიდიან.

იატაკზე პაპიროსის ნამწვავები და ხილის ნაფცქვენები

ყრია, ეროვანეთში არეულა მწვადის, კვამლისა და ნაგვის სუნი. ვაგონიდან ვაგონში დახეტიალობენ თარსა და ჭიანურზე დამკვრელი მუსიკოსები, მგზავრებს ყურებს უჭედავენ აღმოსავლური ბაიათებით. მატარებელი ჭრელი ხალხით არის სავსე, ვინ არ გინდათ, აქ არ იყოს, ინტელიგენტები თუ მათხოვრები, მკითხავები თუ ოინბაზები. ერთი სიტყვით, მატარებელი მთელი ცხოვრებაა თავისი სიგრძე-სიგანით, თავისი ფსკერითა და ზედაპირით, თავისი სირთულითა და სიმარტივით. ამ სამყაროში თითოეული მგზავრი თავისი ფიქრით ცხოვრობს. თითოეული ადამიანის სულშიც ისეთი ორომტრიალია, როგორიც მატარებელში.

აღსტაფის სადგურში მატარებელი დილით ჩამოდგა. ნაქარევი, ცრიატი დღე გათენდა. ღრუბლებიდან ძალადაკარგულმა მზემ გამოანათა.

აქედან უკვე საქართველო იგრძნობოდა. აბელს გული აუძგერდა. ერთ ადგილას ვეღარ ისვენებდა, ახლა აღარც ბაიათების ხმა ესმოდა, მთელი გზა რომ ყურები გამოუჭედა, აღარც ვაგონის შემხუთველ სუნს გრძნობდა. ცოტა ხანიც და თბილისში იქნებოდა, მონატრებულ ქალაქში.

— სადგურთან რომ სასადილოა, იქ დაგხვდებიან. ყველაფერი დაწვრილებით გადაეცი. უსათუოდ რაიმეთი დაგეხმარებიან, — ეუბნებოდა ლადო ბაქოდან გამომგზავრების წინ,— დაარწმუნე. რომ ჩვენთვის სტამბა აუცილებელია, რომ სტამბისთვის ადგილი ნაშოვნი გვაქვს... ფრთხილად იმოქმედე, აბელ, შრიფტს გამოგატანენ... არ ჩავარდე, თორემ ყველაფერი წყალში ჩაგვეყრება.

აბელს ბარგი არ ქონდა. ხვალ ან ზეგ უკან უნდა გამობრუნებულიყო აუცილებლად. ლადოსთან ასე ჰქონდა დათქმული: თუ საქმე რიგიანად მოგვარდებოდა, ასეთი შინაარსის დეპეშას აფრენდა ბაქოში ექიმ სოფიო გინზბურგის ბინაზე: „მომაქვს მედიკამენტები, დამხვდი“. და დროსაც ჩაუწერდა შიგ. დეპეშა კეცხოველს გადაეცემოდა, ისიც დაუყოვნებლივ დახვდებოდა სადგურში და იქიდან პირდაპირ იმ ბინისკენ გაუძღვებოდა, სადაც საბეჭდი დაზგა უნდა დაედგათ. ამ ბინის ადგილსამყოფელი ლადოსა და აბელის გარდა, დიმიტრი და ვიქტორ ბაქრაძეებს ეცოდინებოდათ მხოლოდ.

აბელი სადგურის მოედანზე გავიდა, აგერ მისთვის ნაც-

ნობი, დაბალი სახლები, დუქნები, სამიკიტნოები, ხელმარცხნივ კუთხეში აღმართული სასტუმრო. მან გვერდზე ჩაუარა მუშტრის მომლოდინე მეეტლეებს. ეტლში შებმული ცხენები სიციენასუნთქ პირიდან ორთქლს აფრქვევდნენ და ლაგამს აწვალებდნენ.

მტკვრისაკენ მიმავალ ლარივით გაჭიმულ ქუჩას ჩაეყვა. ქუჩაში ხალხი ზიმზიმებდა. სოფლიდან ჩამოსულები ფართლების დუქნებს მისწყდომოდნენ.

აბელი ქუჩაში მოსიარულეთ ძლივს უქცევდა მხარს. ვაგონიდან ახლადგამოსულს სიციენ ძვალ-რბილში უვლიდა. ცაზე საოოვლე ღრუბელი იყრიდა თავს.

დათქმულ სასადილოს რომ მიუახლოვდა, შეჩერდა და უკან მიიხედა, მაგრამ საეჭვო ვერავინ შენიშნა. სასადილოდან სითბო და მადისალმძვრელი სურნელი გამოდიოდა, რამაც მაშინვე შიმშილი შეახსენა. აბელი შიგნით შევიდა და იქაურობა მიათვალ-მოათვალიერა. დარბაზის შორეულ კუთხეში, მაგიდასთან, ორნი სხედან. თონის პურები, მწვანილი და ერთი ხელადა ღვინო უდგათ წინ. აბელის დანახვაზე იმათგან უფრო ახალგაზრდამ, ასე ოცდაერთი წლის ჭაბუკმა, ცალი ხელი აღმართა და მაგიდასთან მიიხმო. სკამიდან დინჯად წამოდგა, რაც მის ასაკს არ შეეფერებოდა, შემოსულს გაუღიმა და ხელი ჩამოართვა. ახალგაზრდას ნაყვავილარ სახეზე შავი წვერი მოხმირებოდა, საშუალო სიმაღლისა იყო, თხელთხელი. ოდნავ მოჭუტულ თვალებიდან მტკიცედ იმზირებოდა, თითქოს სულში უნდა ჩაგხედოსო. იგი სოსო ჯუღაშვილი იყო.

— გაიცანით, აბელ, სილიბისტრო ჯიბლაძე გახლავთ.

აბელმა ხელი გაუწოდა ტანდაბალ ჯმუხ ჭაბუკს. გაახსენდა ეგნატე ნინოშვილის დაკრძალვა, სადაც ჯიბლაძე სიტყვით გამოვიდა. სილიბისტრო სულ ერთთავად იღიმებოდა და ღიმილშიც და ხმაშიც რაღაც გამყინავი გამოსჭვიოდა.

— სასიამოვნოა, თქვენი გაცნობა. დაბრძანდით.

აბელმა პალტო გაიხადა, თავისივე სკამზე გადაჰკიდა და დაჯდა.

— ვიდრე საქმეზე გადავიდოდეთ, სტუმარი დავანაყროთ, არა. სილიბისტრო? ნამგზავრი კაცია.

სილიბისტრომ ისევ გაიღიმა:

— აუცილებლად, აუცილებლად.

სოსომ დახლიდარს რაღაც ანიშნა და მაგიდაზე გაჩნდა მარილწყალში მოხარშული ბურვაკის ხორცი, მუჟუჟი და მწვადი. სამივენი გემრიელად შეექცეოდნენ. აბელს დიდი ხანია ასეთი გემრიელი სადილი არ უჭამია.

სოსომ ჭიქები აავსო.

— ჩვენს საქმეს გაუმარჯოს, ამხანაგებო.

სამივემ დალია. კახური საფერავი იყო, კუპრივით სქელი და შავი.

როცა კარგად დანაყრდნენ, სოსომ ისევ აავსო ჭიქები, პაპიროსს მოუკიდა, აბელს ჯიქურ შეხედა თვალებში და შეეკითხა:

— აბა, როგორ არის საქმე ბაქოში, ამხანაგო აბელ? რასა იქმს ლადო?

— ლადოს არა უშავს რა, რაც ეგ ბაქოში ჩამოვიდა, ბევრი რამ გაკეთდა. აი, ახლა სტამბის საქმეც გვინდა მოვაგვაროთ. ამას ლადო თაოსნობს.

— ვიცით, — საუბარში ჩაერია სილიბისტრო, — მაგრამ რა უნდა დაბეჭდოთ?

სოსომ ჩამქრალ პაპიროსს ისევ მოუკიდა, თვალები მოჭუტა და სილიბისტროს ცერად გადახედა. ვიდრე აბელი პასუხს გასცემდა, სოსომ დაასწრო:

— დასაბეჭდის მეტი რა არის, ჩვენ მივაწვდით მასალებს. თუ მართლა ეს საქმე განხორციელდა, ბაქოს სტამბა ძალიან დაგვეხმარება... აბა, თითოც დავლიოთ, ამხანაგ ლადოს სადღეგრძელო იყოს. — და ჯუღაშვილმა ჭიქა შუამდე დაიყვანა.

აბელმა ბოლომდე გამოცალა. საფერავი ისე ეამა, პირიდან ვეღარ მოიხსნა. შიგ ძარღვებში მიდიოდა, მსუბუქად აბრუებდა და ხალისს მატებდა.

— ჩვენგან რა დახმარება გჭირდებათ? — იკითხა სილიბისტრომ და გამოცლილი ჭიქა მაგიდაზე დადგა.

— დაზგის შესაძენად თითქმის გვყოფნის ფული. — თქვა აბელმა, — მაგრამ არა გვაქვს შრიფტი, საღებავი, არა გვყავს ასოთამწყობი, ბინა საჭირავებელია. ამხანაგი ლადო სთხოვს თბილისის კომიტეტს ფულადი თანხით დაგვეხმაროს და შრიფტიც მოგვაწოდოს.

სილობისტრომ ჩაიცინა და სოსოს გადახედა. ჯულაშვილი ხმას არ იღებდა.

— ასე გადაეცით ლადოს, — თქვა სილობისტრომ, — რომ მიუხედავად იმისა, ჩვენი თავი ჩვენვე გაგვჭირვებია, ცოტა დახმარებას აღმოვუჩენთ, თუ ჩვენი ხელმძღვანელობით იმუშავებთ.

— ჩვენი ორგანიზაციის გადაწყვეტილებაა, ბეჭდვის საქმე თავის ხელთ იყოს, — დასძინა სოსომ, — თუ ამაზე თანახმა იქნებით, ფულს შევკრებთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ. ყველანაირად დაგეხმარებით, დასაბეჭდი ლიტერატურით, მუშებით. შენ თავად რას იტყვი, აბელ, წინააღმდეგი არ უნდა იყოთ. მე მგონი, საერთო საქმეს ვაკეთებთ. — და აბელს მხარზე მსუბუქად დაადო ხელი.

აბელმა სოსოს შეხედა, როგორ ხიბლავდა ეს ჯიუტი ჭაბუკი. ხან ყინულივით ცივი იყო იგი, ხანაც თბილი, ანდამატივით მიმზიდველი. უცებ დაგიმორჩილებდა და დაგიყოლიებდა.

აბელს მხარზე ედო სოსოს ხელი, ამჩნევდა მისი თვალების მბეჟუტავ ღიმილს და რატომღაც უმწეობას თუ უხერხულობას გრძნობდა.

— მე რა მეთქმის. გადავცემ ყოველივეს ამხანაგ ლადოს, მაგრამ, მგონი, არ დაგეთანხმებათ.

— გადაეცი და დაარწმუნე, რომ ჩვენი ორგანიზაცია მზად არის დაგეხმაროთ, თუ ამ პირობაზე წავა.

სოსომ ხელადას წაავლო ხელი და ჭიქები აავსო.

— როდის გაბრუნდები უკან?

— ალბათ, ხვალ. ჯერ საქმე მაქვს.

— ბინად სად იქნები?

— ძველ მეგობრებთან. წასვლისას კიდევ გეახაეთ.

სასადილოდანვე დასცილდნენ ერთმანეთს. აბელი ფეხით დაჰყვა ქუჩას. ქარი აღარ ქროდა, ამინდი ჩაყუჩებულიყო და სითბო იგრძნობოდა, რაც იმას მოასწავებდა, რომ მალე თოვა დაიწყებოდა. ახლა მარტოდ დარჩენილმა გონებაში განსაჯა წეღანდელი საუბარი. მაშასადამე, თბილისის კომიტეტი მხოლოდ მაშინ დაგვეხმარება, თუ ჩვენი სტამბა იმათ მორჩილებაში იქნება. არა, ლადო ამაზე არ დათანხმდება. ქვას ააგდებს და თავს შეუშვერს.

„უსათუოდ ნახე ვანო ბოლქვაძე, ჩემი წრის წევრი იყო, ისე არ გამოგიშვებს, რაღაცით ხელს წაგვახმარს“. — გაახსენდა ლადოს სიტყვები. ალბათ, კომიტეტიდან უარის თქმას ელოდა და ძველი მეგობრების იმედი უფრო ჰქონდა.

აბელი საპნის ქუჩაზე უნდა მისულიყო, სადაც ვანო ბოლქვაძე ცხოვრობდა. ვორონცოვის ხიდი გადაკვეთა. ამ მიდამოებში ცხოვრობდა ეთერ გველესიანი, ბოლო დროს აქ დასცილდნენ ერთმანეთს. ვგებ შეიაროს, მაგრამ არა, ჯერ გადაუდებელ საქმეზე მიდის, მერე კი უსათუოდ შეივლის, მოინახულებს.

ფიქრებში გართული საპნის ქუჩას მიადგა. ატალახებულ სწორ ქუჩაზე პატარ-პატარა სახლები ერთმანეთზე მიწყობილან. აბელი ვიწრო შესახვევთან შეჩერდა და სახლის კედელზე ძლივს წაიკითხა მკრთალად, უშნოდ მიწერილი „საპნის ჩიხი“. ამ ჩიხში ცხოვრობდა ვანო ბოლქვაძე. აბელი ერთ-ერთ ეზოიან სახლს მიადგა.

ჰიშკარი შეაღო, პატარა ბაღი გაიარა და ძველ, წვიმისაგან ჩაჟამებულ კართან შეჩერდა. კარის ჩარჩოზე ლურსმანი იყო მიჭედებული და ზედ ბაწარმობმული ფანქარი ეკიდა. იმავე ლურსმანზე ქაღალდები იყო ჩამოცმული. „შვიდ საათზე შინ ვიქნები. ვანო“ ეწერა ერთ ქაღალდზე, აბელმა ეს ქაღალდი ჩამოხია და მომდევნოზე მიაწერა: „რვა საათზე აუცილებლად მოვალ. დამხვდი. ბაქოდან ჩამოვედი, აბელი“.

აბელი ვანოს არ იცნობდა, არ უნდოდა კეცხოველის სახელი ეხსენებინა და ბაქოც იმ მიზნით მიაწერა, ეგებ მიხვდეს, რომ ლადო კეცხოველისაგან ვარ გამოგზავნილიო.

ერთხელ კიდევ შეხედა თავის ნაწერს და ეზოდან გავიდა. რვა საათამდე დიდი დრო იყო დარჩენილი. მოდი, შეივლის გველესიანებთან, ისინი ხომ აქვე ახლოს ცხოვრობენ.

„ხომ არ გათხოვდა ნეტავი?“ — ამის გაფიქრებამ გული ატკინა. ძველმა სიყვარულმა ერთბაშად ამოხეთქა.

ალექსანდრეს ბაღში კაცის ჭაჭანება არ იყო. გაძარცული ხეები უძრავად იდგნენ. ზაფხულობით კი ამ ბაღში ხალხის ტევა არ არის.

„თუ ვინმე შემხვდა, ვიდრე ამ ბაღს გავივლი, მაშინ ის გათხოვილი არ იქნება“. — გაიფიქრა და ბაღი კიდითკიდემდე

მოათვალიერა. არავინა ჩანდა, მშიერი ძაღლი დასუნსულობდა მხოლოდ.

აჰა, იმედგაცრუებული სადაც არის ჩაათავებს ბაღს, მაგრამ ამ დროს ვიღაც წელში წახრილმა ბერიკაცმა შემოუხვია, ბაღი გადმოჭრა და გვერდზე ისე ჩაუარა, ზედაც არ შეხედა.

„მაშასადამე. გათხოვილი არ არის"

თაღიან ჭიშკარში შევიდა. გული აუბაგუნდა, ტანში ერუანტელმა დაუარა. აგერ გველესიანების ფართო, ღია აივანი, სადაც ზაფხულში, საღამოობით, მთელი მრავალრიცხოვანი ოჯახი იყრის თავს. აივანზე ახლა არავინ ჩანდა. კიბე გულისძგერით აათავა და კარზე დააკაკუნა. გაიჩხაკუნა საკეტმა, კარი გაიღო და იქიდან წყვილი ვარსკვლავი გამოკაშკაშდა.

— აბელ, საიდან?

„არ გათხოვილა." — საბოლოოდ დარწმუნდა აბელი. ქუდი მოიხადა, პალტო დაიბერტყა და თბილ ოთახში თოვლისა და ზამთრის სიგრილე შეიტანა. ქალიშვილს ხელი ჩამოართვა და ზედ ეამბორა, პატარა, ნაზი ხელი ჰქონდა, სურნელოვანი. საშინაო, უბრალო ტანსაცმელში თითქოს უფრო მომხიბლავი ჩანდა, ოჯახური სითბო და იერი ემჩნეოდა. ამ ერთ წელში ტანი აეყარა, დამშვენებულიყო, დადინჯებულიყო. მისი შემხედვარე აბელი ცხენივით თრთოდა. გუნებაში ერთხელ კიდევ დასწყევლა თავისი ბედი და ინანა, აქ რათ მოვედი, მოშუშებული იარა რათ გავიახლეო. ეგებ სჯობდა, გათხოვილი დახვედროდა. მაშინ ერთხელ და სამუდამოდ შეურიგდებოდა ბედს, ხელს ჩაიქნევდა და ეგ იქნებოდა. პალტოს იხდიდა, თან ქალიშვილს აკვირდებოდა. ატყობდა, სიხარულისაგან როგორ იყო დაბნეული და უცებ ისეთი სიახლოვე იგრძნო მისდამი, თითქოს ბავშვობიდანვე ერთად დაზრდილიყვნენ.

— შინ მარტო ხარ?

— კი. დედა სამუშაოზეა, ლუბა, ნადია და კატო ბიძაჩემთან წავიდნენ, მეც ახლახან მოვედი.

— კატო ხომ არ გათხოვილა?

— არა.

— მე კი მეგონა, გათხოვდებოდი.

ეთერი ამის გაგონებაზე შეცბა, ვაჟს შეხედა და სევდი ანად ჩაილაპარაკა:

— უსინდისო! ქვის გული გქონია.

აბელმა ენაზე იკბინა, მაგრამ ქალიშვილის პასუხმა ის გაახარა, თავის სიტყვაზე აღარ უნანია. გაუცინა და დაუყვა ვა:

— მაპატიე, ეთერ, გაგეხუმრე.

ერთხანს უხერხული დუმილი ჩამოვარდა. კედელზე ქან ქარიანი საათი აწიკწიკდა, ბუხარში შეშა ატკაცუნდა და ბუხ რის გვერდით მობღუნძული კატაც აკრუტუნდა.

ეთერი ტახტზე ჩამოჯდა, გულწრფელად შეწუხებულ აბ ელს შეხედა და უთხრა:

— აბა, დაბრძანდი და მიამბე, რას აკეთებ იმ ოხერ ბაქო ში. ისევ უკან უნდა გაბრუნდე?

— სამწუხაროდ, ისევ უკან უნდა წავიდე.

— საიდუმლო დავალებით იქნები ჩამოსული... ნეტავი ვი ცოდე, როდის უნდა მოეშვა მაგ რევოლუციონერობას. დედ ამბობდა, ახალგაზრდობით მოსდისო, დავაეკაცდება და ჭკუ აში ჩავარდებაო.

აბელმა ჩაიცინა, მერე ქალიშვილის ნათქვამს ჩაუკვირდ და მიხვდა, რომ გველესიანების ოჯახში მასზე ყოფილა სა უბარი.

— ნეტავ რას იცინი, უსინდისო, წერილიც არ მაღირსე ვიფიქრე, ალბათ, რაიმე უბედურებას გადაეყარა-მეთქი... ნა ძალადევად განაწყენებულმა წარბებქვეშიდან გამომხედა. მი მზერაში ისეთი სიყვარული და სითბო იგრძნო, რომ ყოველ გვარი უხერხულობა გაეფანტა და იმ წუთში გადაწყვიტა ბოლომდე გულახდილი ყოფილიყო.

— იცი, რა, ეთერ, მე განზრახ არ გწერდი წერილებს. — სევდიანად ჩაილაპარაკა.

— განზრახ?

— განზრახ, დიახ, განზრახ. არ მინდა, ჩემს გამო გაიტან ჯო.

ქალიშვილი მოიღუშა და ღრმად ჩაფიქრდა.

— არ მესმის, რას ამბობ?

აბელმა ამოიოხრა, შეენანა ეს ნაზი არსება, მაგრამ უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა, გამოსადენი სისხლი უნდა გამო ეშვა.

— ის ხომ გესმის, რა ხიფათიან გზას ვადგევარ. ეგ გზა ჭე შეგნებით ავირჩიე. არ შემიძლია, გულგრილად ვუყურო ადამიანის ტანჯვას. მე მწამს, რომ გავიმარჯვებთ, მაგრამ როდის, ეშმაკმა უწყის. ეგებ შევეწირო კიდევაც ამ ბრძოლას. შენ ახალგაზრდა ხარ, ჩემს გამო რათ უნდა დაისაჯო, გათხოვდები, ბედს ეწევი. ჩემი ლოდინი ხელს არ მოგცემს. — აბელი გრძნობდა, რომ უკვე გულწრფელი აღარ იყო, როგორ უნდოდა, რასაც ახლა ამბობდა, ყველაფერი პირიქით ყოფილიყო. ეთერი გაჯიუტებულიყო და ეთქვა: არა, აბელ, მე დაგელოდები, სიკვდილამდე დაგელოდებიო, — აი, ამიტომ არ გწერდი წერილს, ეგებ სჯობს, ერთმანეთი დავივიწყოთ-მეთქი.

თითქოს ლოდი აიხსნა გულიდან, მაგრამ მაინც მძიმე წუთის წინაშე იდგა, ერთი სული ჰქონდა, ქალიშვილი რა პასუხს გასცემდა, ის კი იატაკს ჩასჩერებოდა, ლამაზი თავი ჩაეღუნა და თვალები სევდით ავსებოდა. „მწუხარე ღვთისმშობელი", — გაიფიქრა აბელმა. მაგრამ ეტყობა ქალურმა თავმოყვარეობამ გაიღვიძა მის სულში, იმ სიზვიადემ გაიღვიძა, მის ჯიშს რომ მოსდგამდა და უცებ შეიცვალა:

— მე არავის გამო არ ვიტანჯები. მე თქვენ სულაც არ გელოდებით. დღეის შემდეგ არც მე მოგწერთ წერილს და ნურც თქვენ შეწუხდებით. თქვენ რევოლუციური საქმით ხართ გატაცებული, სად გცალიათ! — ბოლო სიტყვები ხაზგასმით წარმოთქვა, შუბლი შეიკრა, პალტოს ხელი დააკლო და მეორე ოთახისკენ წავიდა. სწრაფად მიდიოდა და აკაზასავით მიაქნევდა მოქნილ ტანს.

ისევ ახმაურდა ქანქარიანი საათი, ისევ ატკაცუნდა შეშა ბუხარში და აკრუტუნდა კატა.

„ასე ჯიქურ არ უნდა მეთქვა", — ფიქრობდა აბელი. ქალიშვილი მალე გამოვიდა ოთახიდან, ვაჟს წამით შეავლო თვალი და ხმა აღარ დაუძრავს, ისევ თავის ადგილას დაჯდა. მძიმე, აუტანელი სიჩუმე მოციქულობდა ქალ-ვაჟს შორის.

ეთერი მთლად გაფითრებულიყო, მკვდრის ფერი დასდებოდა.

„ეს რამ მათქმევინა", — გაიფიქრა მწარე სინანულით და მაშინვე შეეცადა, როგორმე გამოესწორებინა თავისი შეცდომა.

— გაწყენინე არა? მაპატიე, ეთერ. შენ არ იცი, როგორ ვიტანჯები.

ქალიშვილმა გამოხედა. თვალებში განუზომელი სევდა ედგა.

— იტანჯები? შენ იტანჯები, შენ? უსინდისო! — თვალებზე ხელი აიფარა და მხრები აუცახცახდა.

აბელს ლამის გული დაეწურა, საკუთარი თავისადმი საშინელი ზიზღი იგრძნო.

— მაპატიე, ეთერ, მაპატიე. ჩემი ბრალი არ არის. გამიგონე, მე გამწარებული ცხოვრება მაქვს და არ მინდა, ჩემს გამო შენც გამწარდე. გესმის, ეთერ, მომხედე აქეთ, მომხედე! — სიმწრის ოფლში ცურავდა, აღარ იცოდა, რა ეთქვა ისეთი, რომ ქალიშვილი დაეწყნარებინა.

ეთერმა, თითქოს უცებ გამოფხიზლდაო, ნამტირალევი ნუკრის თვალები თანაგრძნობით მიაპყრო ვაჟს, მაგრამ თქმით აღარაფერი უთქვამს. აბელი მიხვდა, რომ თავისი დანაშაული ცოტა თუ ბევრად გამოისყიდა, რაღაცით მოულბო გული ქალიშვილს. ამ დროს კარი გაიღო და ოთახში ხმაურით შემოცვივდნენ ეთერის დები. აბელს კიდეც გაუხარდა და კიდეც ეწყინა მათი მოსვლა. მართალია, გასაჭირიდან იხსნეს, მაგრამ ხომ შეიძლებოდა სათქმელი ბოლომდე ეთქვა, ბოლომდე გადაეშალა გული. სამივე დას, ერთ მოდაზე შეკერილი პალტოები ეცვათ. მხრებზე თოვლის ფიფქები უბრწყინავდათ.

— ამას ვის ვხედავთ, საიდან, როგორ? — გაიბადრა მუდამ ხალისიანი კატო. აბელმა სამივეს ხელზე აკოცა.

ნადიას და ლუბას წელიწადი აშორებდათ ერთმანეთისაგან, მაგრამ დაკვირვებული თვალიც ვერ შეამჩნევდა მათ შორის ასაკის სხვაობას, ხოლო კატო თითქმის უკვე დაქალებულიყო.

კატოს ცისფერი თვალები ჰქონდა, თმა — ქერა. მხიარული ბუნების ქალიშვილი ადვილად უახლოვდებოდა ადამიანებს. მასზე ორი წლით უმცროსი შავგვრემანი ნადია კი ეთერს წაგავდა, გარეგნობითაც და ხასიათითაც, ოღონდ უფრო სუსტი და ტანმორჩილი იყო.

კატო იმ წამსვე დატრიალდა, ღუმელს შეუკეთა, ზედ ჩაიდანი დადგა და ენა მოიწყლიანა.

აბელი არც თუ ხალისიანად აძლევდა პასუხს, წელან და-

წყებულ საუბარს დასტრიალებდა მისი ფიქრი. კატომ მყისვე რაღაც იყნოსა. ხან ეთერს შეხედავდა, ხან აბელს, ბოლოს მხრები აიწურა, თავი გვერდზე გადასწია და მოწყენით თქვა.

— თქვენ რა, ხომ არ იჩხუბეთ? — ისე ალალად, ისე გულუბრყვილოდ იყო ეს ნათქვამი, რომ უხერხულობა არავის უგრძვნია.

— აბა, მე და ჩხუბი! — ღიმილით თქვა აბელმა.

კატო მდუღარე ჩაიდანს მიუტრიალდა და თქვა.

— ახლავე შეგარიგებთ.

აბელმა საათს შეხედა, რვის ნახევარი იყო. როდის გეპარა დრო?

— მაპატიეთ, ქალიშვილებო, მაგრამ მე უნდა წავიდე, მელოდებიან.

— რას ამბობ, ნუ წახვალ რა? — შეემუდარა ნადია.

კატო გამტკნარებული იდგა.

— ცოტა ხანს მაინც დარჩით! — ხმა ამოიღო ლუბამ. ხოლო ეთერმა ისეთი ვედრებით გადმოხედა, ლამის გული ჩაწყდა.

— ეთერ, ცოტაზე თუ გამაცილებ...

დებმა ეთერს გადახედეს, უხმოდ ევედრებოდნენ, უარს ნუ ეტყვიო. იგი ადგა, მეორე ოთახში გავიდა და მალე პალტომოსხმული დაბრუნდა.

— მე კიდევ გნახავთ, აუცილებლად გნახავთ, არ გემშვიდობებით! — უთხრა აბელმა ქალიშვილებს, პალტო მარჯვედ გადაიცვა და გარეთ გამოვიდა.

ქუჩაში უკვე ბნელოდა. თოვდა. ქვენა ნიავი უბერავდა.

— შორს ნუღარ წამოხვალ, მხოლოდ ორი სიტყვა მინდოდა მეთქვა. — ქალიშვილი პალტოში იბუზებოდა. რაღაცნაირად თრთოდა სიცივისაგან თუ მღელვარებისაგან და კრინტს არ ძრავდა. აბელმა განაგრძო, — ვიცი გაწყენინე, მაგრამ არ მინდოდა... გევედრები, დამელოდე, ოღონდ შენ... წადი ახლა, შეგცივდება. ბაქოში ისე არ წავალ, უსათუოდ გნახავ.— აბელმა მოულოდნელად აკოცა, მერე სწრაფად აქცია ზურგი და სიბნელეში გაქრა. მხოლოდ გვიან მოვიდა ანრზე, კარგა მანძილი რომ გაიარა. თავს ისე გრძნობდა, როგორც წინა ღამით ნამოვრალევი ადამიანი, მეორე დილას რომ გამოიღ-

ვიძებს და იხსენებს სიმთვრალეში ჩადენილ თავის საქციელს. ახლაღა შეიტკბო იმ ამბორის გემოც.

„წასვლისას უსათუოდ ვნახავ, უსათუოდ და მერე წერილსაც მოვწერ. ნეტავ რით მოვაწონე თავი? ვუყვარვარ, ძალიან ვუყვარვარ“.

ქუჩაში იშვიათად თუ გაივლიდა ვინმე. უამინდობას ჩაეკლა ქალაქური ცხოვრება.

ბაღი გადასჭრა. თავი უბრუოდა და ცივი ნიავი სიამოვნებდა, დრო რომ ჰქონოდა, ცოტა ხანს ბაღში შეისვენებდა. ნელი ნაბიჯით აჰყვა აღმართს და საპნის ქუჩაზე გავიდა. აგერ ნაცნობი მყუდრო ჩიხიც და მყუდრო ეზოც. სახლიდან ლამპის შუქი გამოდის, მაშ ბოლქვაძე შინ არის. აბელმა ფეხს აუჩქარა და კარზე მაგრად დააკაკუნა. გარედან შეამჩნია, ლამპის შუქზე ოთახში ორი კაცი ტრიალებდა. ერთი მათგანი ბრგე ვაჟკაცი, შემობრუნდა და კარისაკენ წამოვიდა. კარი გაიღო და იცნო ვანო ბოლქვაძე, იგი სხვა დროსაც შეხვედრია, მაგრამ სახელითა და გვარით არ ახსოვდა.

— მობრძანდით. აბელი ბრძანდებით?

— დიახ, ლადომ მთხოვა, თქვენ მენახეთ.

— ვიცი, ამხანაგო აბელ, ყველაფერი ვიცი. რისთვისაც ჩამოხვედით, ისიც უკვე ცნობილია ჩემთვის.

აბელი გაოცდა. ასე მარჯვედ საიდან უნდა გაეგო ბოლქვაძეს მისი ჩამოსვლის მიზანი. ოთახში თბილოდა. ნავთქურაზე ტაფა იდგა და ხორცი იწვებოდა. მადისაღმძვრელი სუნი იდგა.

— გაიცანით, აბელ, ვიქტორ წულაძე, ჩვენი ამხანაგია.

აბელმა მაღალ-მაღალ, გამხდარ ჭაბუკს ხელი ჩამოართვა.

— გაიხადეთ პალტო, პატარა ვახშამს ვამზადებთ. თავი შევიქცეოთ, აქედან ამაღამ აღარ გაგიშვებთ. აქ დარჩით.

— გმადლობთ.

ბოლქვაძე ჯმუხი ტანისა იყო, ბეჭგანიერი. ფართო მრგვალი პირისახე ჰქონდა.

— როგორ არის ლადო, რას საქმიანობთ?

— ლადო კარგად არის, მაგრამ რა საქმეზედაც გამომგზავნა, მაინცდამაინც კარგი პირი ვერ უჩანს.

— ვიცი, ფულად დახმარებაზე უარი გითხრეს, მაგრამ ჩვენმა მეშობლებმა, ლადოს წრის ყოფილმა წევრებმა, გადაწყვიტეს,

ფული თვითონ შეაგროვონ. გარდა ამისა, სამ ფუთ შრიფტს გაგატანთ. თუ ასოთამწყობი გჭირდებათ, მე წამოგყვებით. ლადოსთან სიამოვნებით ვიმუშავებ.

აბელს ამის გაგონებაზე გუნება გამოუკეთდა და ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რა დიდი უნარი აქვს ლადოს, ადამიანებს ასე შეაყვაროს თავი.

...ისევ ბაქოს მატარებელი, ისევ ნაცნობი გზა და ნაცნობი სადგურები, აღმოსავლური ბაიათები, გნიასი, ჭუჭყი, ნაგავი და შემხუთველი სუნი.

აი, ბაქოს უახლოვდება და შიში უფრო იპყრობს, ვინ იცის, თბილისის სადგურიდან არ აედევნა ჯაშუში, ბაქოში კვალზე არ მიჰყვნენ და თავის თავიც არ დაღუპოს და სხვებიც?! მაშინ ხომ ყველაფერი წყალში ჩაეყრებათ.

მატარებელი კი სადგურს უახლოვდება. საღამოს ხუთი საათია. მზიანი დღე. მატარებელში თბილა. გადაწვერილი მზე ალმაცერად იყურება და მის შუქზე მტვრის პატარა ნაწილაკები არეულად ცეკვავენ.

ბაქოს სადგურზე ჩვეულებრივად ხალხმრავლობაა. გაზაფხულის პირველ სითბოს ბაქანზე მოუხვეტავს ხალხი, ბარგებზე ჩამომსხდარან და მზეს ეფიცხებიან. მატარებელი კივის და სვლას უკლებს. მგზავრები ჩასასვლელად ემზადებიან. აბელმა ხურჯინი ამოიღო და, ვინ იცის მერამდენედ, ვაგონი მოათვალიერა. პოლიციელებმა გაიარეს, მათ თვალი მოარიდა და თავით ფეხებამდე ჭიანჭველებმა დაუარეს.

მატარებელი ხალხმრავალ ბაქანზე შეჩერდა. მგზავრებმა ჩასვლა დაიწყეს, ერთმანეთში ირეოდნენ დამხვდურნი და ჩამსვლელნი. აბელმა ხურჯინი მხარზე მოიგდო და კიბისაკენ გაეშურა. როგორც კი ბაქანზე ფეხი ჩადგა, მაშინვე დაინახა ლადო და ისე გამხნევდა, ლამის სულ გაუქრა შიში. ლადო წვერგაპარსული იყო, შლიაპა შუბლზე ჩამოეფხატა და პალტოს საყელო ყურებამდე აეწია. ახლოს არ მისულა, თვალებით ანიშნა, გამომყევიო და წინ წაუძღვა. თითქოს მას ყურადღებას არ აქცევდა. აბელი მის ფართო მხარ-ბეჭს მისჩერებოდა და უკან მისდევდა. ლადო ჩვეულებრივი ნაბიჯით მიდიოდა. ვითომ გულგრილად ეჭირა თავი. აქეთ-იქით არც იყურებოდა, მაგრამ აბელი მაინც ამჩნევდა, როგორ იყო დაძაბული და მთელი გულისყური მისკენ როგორ ჰქონდა მო-

ქალაქელი. აჰა, გაიარეს სადგური, გადაუხვიეს ვიწრო ქუჩისაკენ და აბელმაც შვებით ამოისუნთქა. მგონი ყველაფერი რიგზეა, თუ რამ მოსახდენი იყო, აქამდე უნდა მომხდარიყო. ლადო მაინც არ იხედება უკან, ისე მიდის თითქოს არავისთან არაფერი ესაქმება, ბალახანის ქუჩისკენ გადაუხვია და ფეხს ოდნავ მოუჩქარა. ყველაფერი ნათელი იყო, ლადო იქ მიდიოდა, სადაც ალბათ სტამბა უნდა მოეწყოთ.

ბალახანის მყუდრო ქუჩა... აქ უმეტესად მუსულმანები და სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს. ამ ქუჩაზე, ეზოს სიღრმეში, პატარა ერთოთახიანი ბინა დგას. ეზო მიხვეულ-მოხვეული ბილიკით უნდა გაიარო და ისე მიხვიდე იმ სახლამდე. გვერდით ორიოდე მეზობელია, მუსულმანები არიან. საეჭვო პირი კი არავინ უნდა ცხოვრობდეს.

იმ მეზობელთან შეჩერდა ლადო, აბელისკენ მოიხედა და ხელით ანიშნა, მომყევიო, აბელიც მიჰყვა. ოთახში შესულმა ხურჯინი მოიხსნა, იატაკზე ფრთხილად დაუშვა და ოფლიანი შუბლი მაჯით მოიწმინდა.

ჯიბეებში ხელჩაწყობილი ლადო აბელს უყურებდა და იღიმებოდა:

— აი, ახლა კი მართლა „საშიში რევოლუციონერი“ ხარ!— უთხრა ლადომ, — თან მხარზე თავისი მაგარი ხელი მოუთათუნა, გადაეხვია და გადაკოცნა. კმაყოფილების ნიშნად ანჯღრეედა.

— აბა, როგორ იმგზავრე და როგორა ხარ?

— არა მიშავს რა, სამი ფუთი შრიფტი წამოვიღე და რაღაც ნაწილები გამომატანეს.

— ყოჩაღ, ბიჭებო! ასეც ვიცოდი. როგორ მოგწონს ჩვენი ოთახი?

აბელმა ოთახი მოათვალიერა, ფართო იყო, მყუდრო და ნათელი.

— მე მგონი, დიდებულია.

— რა გითხრეს ამხანაგებმა თბილისში. როგორ დაგხვდნენ?

აბელმა დაწვრილებით უამბო რაც ჯუღაშვილმა და ჯიბლაძემ უთხრეს, და თან დასძინა, ბოლქვაძე რომ არა, ცარიელ-ტარიელი მოვდიოდიო.

კეცხოველი პალტოიანი იჯდა ძველ მორყეულ სკამზე და შუბლშეჭმუხნული უსმენდა აბელს.

— მაშ ასე არა? ეგრეც ვიცოდი — თქვა მან, როცა ყველაფერი მოისმინა. ფეხზე წამოდგა, გაიარ-გამოიარა. — არაფერი არ მინდა მაგათი, ჩვენ უმაგათოდაც გავძლებთ. კონტროლი! არავითარი კონტროლი, ჩვენ ახლა სასწრაფოდ გვჭირდება ასი მანეთი დაზგის დასახსნელად. რაკი ბოლქვაძე შეგვპირდა, ისევ შენ მოგიწევს თბილისში წასვლა, ოღონდ იცოდე, არავითარი კონტროლი მაგათი მხრიდან. როცა წახვალ, ბოლქვაძე თან წამოიყვანე.

— ახლავე მომყვებოდა, მაგრამ უარი ვუთხარი, ჯერ საჭირო არ იქნები-მეთქი.

— სწორედ მოქცეულხარ, ჯერ დაზგას გამოვიხსნით, მერე კი მართლაც დაგვჭირდება მისი თავი. კარგი ბიჭია, საიმედო, სტამბის საქმეც ზედმიწევნით იცის.

ლადო სწრაფად მივიდა ჭურჭინთან, დაიღუნა და თავი მოხსნა.

— რამდენი ფუთია?

— სამი. — უპასუხა აბელმა.

ლადომ მუჭით ამოიღო შრიფტი, დიდხანს აკვირდებოდა, მერე უცებ მისკენ შემობრუნდა და გაოცებით უთხრა:

— ეს რა არის ბიჭო?

აბელმა გაფითრებულ ლადოს შეხედა და დაიბნა.

— რა იყო?

კეცხოველმა მწარედ ჩაიღიმა, ფეხზე წამოდგა და თავი გადაიქნია.

— რა მოხდა, კაცო, გამაგებინე!

— არეული შრიფტი რომ წამოიღე, რას ფიქრობდი, ამას გადარჩევა არ უნდა? როდის გადავარჩევთ, აბა ერთი მითხარი! — ხელი ჩაიქნია და ოთახში გაიარ-გამოიარა.

აბელი ახლა ყველაფერს მიხვდა, ცოტა დამშვიდდა. თვითონაც უარესობა ეგონა, ისე კი აზრადაც არ მოსვლია აქამდე, შრიფტი გადარჩეული იყო თუ გადასარჩევი. აი, რას ნიშნავს გამოუცდელობა. თავის თავს ამტყუნებდა და საკუთარ უვიცობას სწყევლიდა.

ლადომ რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა, აბელს შეხედა, მერე შეჩერდა, დააკვირდა, ახლოს მივიდა, მხარზე ხელი დაადო და შემრიგებლური ხმით უთხრა:

— კარგი, რაც არის, არის, გამოუცდელობით მოგვიდა, მაგრამ ისინი რას ფიქრობდნენ, ასე რომ გატანდნენ!

მეგობრის სიტყვებზე აბელს გული აუჩუყდა. სიმართლე რომ თქვას კაცმა, არაფერი სწყენია, იცოდა ლადოს ხასიათი, პირდაპირი იყო. რასაც ფიქრობდა, იმას ამბობდა, მაგრამ გული ჰქონდა ისეთი სუფთა, რომ შიგ იოტის ოდენა ჭუჭყი არ მოიპოვებოდა.

— მეტი გზა არ არის, რამდენიმე ღამე უნდა გადავდოთ ამისთვის და შრიფტი სათითაოდ გადავარჩიოთ. დიდ ჯაფას კი მოითხოვს.

— ჩემი გამოუცდელობის ბრალია. — მოიბოდიშა აბელმა.

— ეგ არაფერი, ნელ-ნელა გამოიცდები. დღეს დაისვენე და ხვალიდან შევუდგეთ საქმეს, ეგებ ბიჭებიც დაგვეხმარნონ, თუმცა არ არის საჭირო, ბევრმა რომ მოვიყაროთ თავი, ვინმეს ეჭვში ჩავაგდებთ. ეს ჯერჯერობით მარტო მე და შენ ვიცოდეთ.

— მაშინ ამაღამვე დავიწყოთ. — უთხრა აბელმა.

— დაღლილი ხარ, ეს ეგრე იოლიც ნუ გგონია.

— მატარებელში რა დამღლიდა, სჯობს, ამაღამვე შევუდგეთ საქმეს, ლადო.

— კეთილი. მაშ, შენ ცოტა ხანს დაისვენე. მე გავალ და ერთ საათში დავბრუნდები.

აბელი როგორც კი მარტო დარჩა, ხურჯინს ეცა, თავი წახსნა, შრიფტი მუჭით ამოიღო და დააკვირდა.

„როგორ მომივიდა ეს? — გაიფიქრა მან, — აზრადაც არ მომსვლია, გადასარჩევი მომქონდა თუ გადარჩეული“.

მან თვალით გაზომა თითქმის პირთამდე სავსე ხურჯინის თვლები, და მაშინღა მიხვდა, მის გადარჩევას რა ჯოჯოხეთური შრომა სჭირდებოდა.

ოთახში ნელ-ნელა იპარებოდა ბინდი და თან სიცივე მოჰქონდა. ახლაღა იგრძნო აბელმა, რომ აქ საკმაოდ ციოდა. დაცარიელებული ოთახი, სადაც მხოლოდ ერთი ტახტი და ორიოდე ძველი სკამი იდგა, სიცივის შეგრძნებას უფრო მატებდა ადამიანს. კუთხეში ნავთქურა შენიშნა, ზედ სქლად ედო მტვერი. აბელი მივიდა, ნავთქურა შეაჯანჯღარა, მაგრამ შიგ არაფერი იდგა.

„ნეტავ სად წავიდა ლადო?“ — ფიქრობდა აბელი და ბნელ

ოთახში ისე ეძნელებოდა ყოფნა, წუთი საუკუნედ ეჩვენებოდა.

ტახტზე წამოწვა, ზედ რომ უკვე გახუნებული, გაცრეცილი ფარდაგი ეფინა, თვალები დახუჭა და ფიქრმა წაიღო.

„ნეტავ რამდენ ხანს მოვუნდებით ამ შრიფტის გადარჩევას? როგორ ეწყინა ლადოს, არეული შრიფტი რომ დაინახა. ამაღამ რაღა იქნება და ხვალ კი აუცილებლად იშოვნის ნავთს, თორემ ამ ოთახში ღამღამობით გაიყინებიან“.

კარის ჭრიალმა გამოაფხიზლა. უღიმღამო ბინდში მან იცნო ზორბა ტანის ლადო. აბელი ტახტიდან წამოიწია.

— იწექი, ცოტა ხანს კიდევ დაისვენე, — ხალისიანად უთხრა ლადომ, — ახლავე ყველაფერი რიგზე იქნება.

იგი სწრაფად საქმიანობდა. მაგიდაზე ხმაურით დააწყო რაღაცეები და სულ მოკლე ხანში ოთახი გაანათა ლამპამ, მისმა შუქმა იმედი, სითბო და სიხალისე შემოიტანა ორთავეს გულში.

— ესეც ეგრე, — თქვა ლადომ, — ახლა ჩვენ გვინდა სითბო, აბელ ბიჭო, ხომ არ გეძინება, ამაღამ ბევრი საქმე გვაქვს.

— მეძინება არა... — აბელი ტახტზე წამოჯდა, ორივე ხელით ტახტის კიდეს დაეყრდნო და კედელზე მოძრავ ლადოს ლანდს მიაჩერდა. მისი ფართო, ჩაღრმავებული ნიკაპი კედელზე ზუსტად გამოხატულიყო. მაგიდაზე ქაღალდში შეხვეული სურსათი ეწყო. ეტყობა, ლადო ამისთვის წავიდა წელან.

მალე ნავთქურაც ახრჩოლდა, ოთახში დამწვარი ნავთის სუნი დატრიალდა. ლადომ ზედ აგური დაადო და პატრუქი დაუწია. ერთადერთ ფანჯარას ფარდა საიმედოდ ჩამოაფარა.

ღამე იწელება, ქალაქი ძილს ეძლევა, ირგვლივ ისეთი სიჩუმეა, ხმაურიც კი აღწევს ზღვისა, აქედან რომ კარგა მოშორებითაა. იატაკზე დახვავებულ შრიფტს შემოსხდომიან ლადო და აბელი და საგულდაგულოდ არჩევენ. ყველა შრიფტს თავის ადგილს ურჩევენ, ქაღალდის ყუთებში აწყობენ, ვინაიდან ხის ყუთები არ გააჩნიათ. იშვიათად გაეხმიანებიან ერთმანეთს, ეგეც იმიტომ, რომ გაერთნენ და ძილი არ მოერიოთ, ხან ხმადაბლა წაიღიღინებენ, ხანაც რომელიმე გაზეპირებულ ფრაზებს ან ლექსის სტრიქონებს იხსენებენ.

აბელმა ახლაღა დაინახა ცხადად, თუ რა ჯაფას და ხან-

გრძელ დროს მოითხოვდა ამ შრიფტის გადარჩევა. აი, თუ-რაკე რად გაბრაზდა ლადო.

ღამენათევებმა, სიქაგამოცლილებმა, დილით, როცა ქალაქი უკვე იღვიძებდა, მიატოვეს სამუშაო, ოთახი დაკეტეს და იქა-ურობას ფრთხილად გაერიდნენ. აბელის ბინაში წავიდნენ და იქ დაიძინეს. შუადღისას აბელი დეპოში წავიდა, წასვლის წინ შეთანხმდნენ, რომ საღამოს ისევ განეგრძოთ თავიანთი საქმე.

აბელი შებინდებისას დაბრუნდა დეპოდან, შინ მივარდა, ტანსაცმელი გამოიცვალა და აბანოში წავიდა, მერე პირი გა-იპარსა და ბალახანის ქუჩისკენ გასწია. იცოდა, რომ ლადო უკვე იქ ელოდებოდა.

წყნარი, ცივი საღამო იყო, მაგრამ გაზაფხულის შორეუ-ლი სუნი მაინც იგრძნობოდა ჰაერში. აბანომ ცოტა შვება მი-სცა, ტანი დაუმჩატდა და თითქოს ხალისიც ჩაუდგა ძარღ-ვებში, მაგრამ ალბათ უძილობისაგან, დაღლილობას მაინც გრძნობდა. კისერი სტკიოდა, არადა არ გაუარა, ეს კი წუხან-ღელი შრომის ბრალი იყო. როგორი საქმეა, მთელი ღამე თავ-ჩაღუნული ლამპის მკრთალ შუქზე არჩევდე შრიფტს, უკუღმა რომ ზის ლითონზე. თვალები ეწვოდა, ეცრემლებოდა. ალბათ, ლადოც ასეთ დღეში იქნებოდა, მაგრამ წინ იყო დიდი სიხა-რული და ორივეს ეს ამხნევებდა. ლადოს სიხარული დიდი ხანია აბელსაც გადაედო. მოუთმენლად ელოდნენ, როდის მოიტანდნენ საბეჭდ დაზგას, როდის გამოუშვებდნენ პირველ პროკლამაციას.

ბალახანის ქუჩა ჩაბნელებული და უკაცრიელი იყო. პატა-რა სახლებიდან ბეუტავდნენ ლამპები, სახურავებზე იზლაზ-ნებოდა საკვამურიდან ამოსული კვამლი. მუსულმანებს ჩვე-ვად აქვთ, როგორც კი შებინდდება, სახლებში იკეტებიან და გარეთ იშვიათად გამოდიან.

აბელი ქუჩის შესახვევში შევიდა და შორიდანვე ინიშნა ის სახლი, სადაც წუხელ მთელი ღამე გაათია, დარაბები ისე იყო ჩახურული, სინათლე არსაიდან ეონავდა.

„დავიჯერო ლადო არ მოსულა?“ — გაიფიქრა მან, მაგ-რამ მიხვდა, ეს ლადოს ოსტატობა იყო, ისე შეენიღბა ოთა-ხი, რომ სინათლე არსაიდან გასულიყო.

გვერდზე ვიღაცამ ჩაუარა. ისე მიდიოდა, გეგონებოდა მი-წაზე ფეხს არ ადგამსო, სიბნელეში შავ ლანდად ჩანდა. ჩად-

რიანი ქალი იყო, აბელმა თვალი გააყოლა და დაინახა, რომელიღაც ეზოსთან ისე გაქრა, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. გულში შიშმა გაჰკრა, ამ დროს ჩადრიანი ქალი გარეთ არ გამოვა, ვინმე ხომ არ იყო გადაცმული? იქნებ ეპვი მიიტანეს და უთვალთვალებენ?

მთვარე იგვიანებს, ცაზე ვარსკვლავები უჩვეულოდ კაშკაშებენ, მაგრამ მაინც ბნელი ღამეა.

აბელი ფეხაკრეფით მიუახლოვდა კარს და სამჯერ ხანდაზმით დააკაკუნა. როგორც ადრევე ჰქონდათ დათქმული. ოთახის კარი ფრთხილად გაიღო.

— ხომ არავინ დაგინახა? — ჰკითხა ლადომ და კარი ისევ საიმედოდ ჩაკეტა.

— ვიღაც ჩადრიანი შემხვდა, რომელ ეზოში შევიდა, ვერ დავინახე.

— ვიცი. ერთი ავადმყოფი ქალი ყოფილა, მაგრე დადის ღამღამობით, მაგრამ არავის ხმას არ სცემს. შარშან გაგიჟებულა, მთვარე უკვე ამოვიდა?

— ჯერ არა, ვახშმობს.

— მთვარე რომ ამოვა, შეჰყინავს. ნავთი კიდევ გვაქვს ცოტა, მაგრამ ნავთქურისთვის ვერ გავიმეტებ. ცოტა ხანს გავათბოთ ოთახი და ეს სითბო დილამდე ვიკმაროთ. დილით ძალიან ეცივება.

გათენებას იმით იგებდნენ, რომ მამლები ყივილს მოუხშირებდნენ. მთელი ღამის განმავლობაში აბელი და ლადო ხან ფეხმორთხმით ისხდნენ, ხან წამოწვებოდნენ და ისე არჩევდნენ შრიფტს. დამქანცველი შრომა იყო, უბარაქო და გულისგამაწვრილებელი.

სამი ღამის განმავლობაში ქანცგაწყვეტილი მუშაობა, უძილობა, ნახევრად შიმშილი, სიცივე, შიში... და აი, მეოთხე ღამეს, გათენებისას, ყველაფერი რიგზე იყო, ხოლო ამასობაში დაზგის გამოსყიდვის დღეც კარზე მომდგარიყო. შრიფტი ხელზე ჰქონდათ, ბინა ნაშოვნი. ახლა მხოლოდ ასი მანეთი სჭირდებოდათ დაზგის გამოსახსნელად და გადაწყდა ამ მოკლე ხანში ისევ აბელი გამგზავრებულიყო თბილისში, ის შეპირებული ასი მანეთიც წამოეღო და ვანო ბოლქვაძეც წამოეყვანა.

თებერვლის ბიწურულს თბილისში უჩვეულოდ დათბა. წყნარი მზიანი დღეები ერთმანეთს გადაება. ხეები გამოიკვირტა, წინამასწარა ნუში ვარდისფრად გადაიპენტა.

მთებში თოვლმა დნობა დაიწყო. მტკვარი მოდიდდა და ზედ ნავები გამოჩნდნენ. ათიოდე დღის წინ კი, როცა აბელი აქ იყო ჩამოსული, თოვლქუაპი მოდიოდა. ახლა თბილისში ნამდვილი გაზაფხული იდგა.

წესით, აბელი ცოტა ადრე უნდა გამომგზავრებულიყო თბილისში იმ შეპირებული ასი მანეთისთვის, დაზგის გამოსასყიდად რომ სჭირდებოდათ, მაგრამ ჯერ იყო სამსახურს ვერ დააღწია თავი და ახლა კიდევ შაპოშნიკოვი სამი დღით სადღაც გაემგზავრა. ლადო ცხარობდა, იფურთხებოდა, იგინებოდა და ნერვებს იწყვეტდა. ისე იყო გუნებაწამხდარი, მეგობრებსაც კი უმიზეზოდ ებუზღუნებოდა. ვერა, ლადო ვერ იტანდა, როცა საქმეში ხელი ეშლებოდა.

— იღბალი არა მაქვს, რაღა ახლა წაეთრია ის მამაძაღლი შაპოშნიკოვი...

იგი ყოველდღე დადიოდა შაპოშნიკოვის სტამბაში. ბოლოს სტამბის მეპატრონეც დაბრუნდა და მანქანაც მზად იყო.

აბელი მაშინვე გამოემგზავრა თბილისში, ვანო ბოლქვაძე ნახა და ორივენი მიდგნენ-მოდგნენ, ორ დღეში მოაბეს საქმეს თავი.

ხვალ შუადღისას ორივენი ბაქოში გაემგზავრებოდნენ. აბელს აოცებდა ეს ჩუმი კაცი. ერთი შეხედვით იგი უნიათო, უგერგილო კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა. არადა, რა მოხერხებული და რისკიანი ყოფილა. ერთ დღეში გადაწყვიტა ბაქოში გამგზავრება. უყოყმანოდ სტოვებს თბილისს, შეჩვეულ სამუშაოს და მიდის სადღაც, უცხო ქალაქში. მან ხომ არ იცის, რა ელის იქ?

აბელმა და ვანომ, როცა საქმე მოათავეს, დეპეშა გაგზავნეს, კეცხოველს ატყობინებდნენ, ყველაფერი რიგზეა და მოვდივართო. ეს ლადოს დავალება იყო. წამოსვლისას აბელს უთხრა, წინასწარ გამაგებინე, საქმე როგორ წავაო, აბელმა იცოდა, რომ ლადო, ვიდრე სასიკეთო საქმეს არ შეი-

ტყობდა, თითო დღეში თითო წლის სიცოცხლე აკლდებოდა და დეპეშაც მაშინვე იმიტომ გაგზავნა.

უკვე ღამის ათი საათი იყო, როცა აბელმა გადაწყვიტა გველესიანებთან შეევლო.

— ამ შუაღამით ვისთან მიდიხარ? — გაოცდა ვანო ბოლქვაძე.

აბელი დაიბნა, უცებ ვერ გადაწყვიტა, რა ეპასუხა, მერე რაღაც უხერხულად გაიღიმა და უთხრა:

— აქ ერთი ნაცნობი ქალიშვილია და მინდა ვნახო, — აღელვებამ ერთბაშად გაუარა და სურვილი გაუჩნდა ამხანაგისთვის გული გადაეშალა, მაგრამ ახლა ამის დრო არ იყო. ხვალ მატარებელში უამბობდა ყველაფერს, სასაუბროდ, იცოცხლე, დიდი დრო ექნებოდათ.

ვანომ გულითადად გაუღიმა, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს.

— მაშ, იცოდე, შენ გიცდი, უშენოდ არ ვიკახშმებ.

კარვა გვიან იყო აბელი რომ გველესიანებთან მივიდა. მთელი ოჯახი შინ დაუხვდა. სტუმრის დანახვაზე ისე გამხიარულდნენ, ისეთი ამბით შეხვდნენ, რომ აბელმა ნაგვიანევი სტუმრობისთვის მობოდიშება საჭიროდ აღარ ჩათვალა.

მიუხედავად იმისა, დალხინებული ცხოვრება არა ჰქონდათ, გველესიანები მაინც მხიარულობით გამოირჩეოდნენ, ყველანი საუცხოოდ უკრავდნენ გიტარას და პიანინოს, მშვენივრად მღეროდნენ. უზენაესი სიამოვნებით უსმენდა ხოლმე აბელი, სულში ჩამწვდომი მუსიკა ჟრუანტელს ჰგვრიდა და გუნებას უწმენდდა. რიგრიგობით უყურებდა დებს, მხიარულებს, კეკლუცებს და ვერ გაერკვია, მათში უმჯობესი რომელი იყო.

— აკი ჩამოსვლას ჯერ არ აპირებდი? — ეს იყო პირველი სიტყვა, ეთერმა რომ უთხრა.

ქალიშვილი ცდილობდა შინაგანი მღელვარება დაემალა, მაგრამ ამას იმდენადაც კი ვერ ახერხებდა, რომ გარშემო მყოფთ არ შეემჩნიათ, რაც უფრო უხერხულობაში აგდებდა და თითქოს უმწეოსაც ხდიდა. თვით აბელმა პირველმა შეატყო ეს და გუნებაში ესიამოვნა.

— ისე მოხდა, რომ ჩამოვედი!

— ისევ ცოტა ხნით? — ეს უკვე ნადიამ ჰკითხა.

— ხვალ მივდივარ! — აბელმა ეთერს გადახედა, თითქოს

მას მიეცეს ეს კითხვა და მასვე პასუხობსო. — პირველ საათზე გადის მატარებელი.

დიდხანს არ გაჩერებულა გველესიანებთან, ჯერ ერთი, ძალიან გვიან იყო მეორეც, კარგად ამჩნევდა, რომ ქალიშვილების დედა არც თუ გულთბილად ეექცეოდა.

ყველას დაემშვიდობა და მხოლოდ ის მოახერხა, რომ ეთერის პაემანი დაუნიშნა მეორე დღისთვის.

თორმეტი საათი ხდებოდა, აბელი რომ ბოლქვაძის სახლში დაბრუნდა. ვანოს ღარიბული პურ-მარილი გაეწყო და უცდიდა.

მეორე დღეს ვანომ ადრიანად წაიხემსა და ქალაქში გავიდა ზოგიერთი თავისი შინაურული საქმის მოსაგვარებლად. აბელი თერთმეტ საათზე ალექსანდრეს ბაღთან უნდა შეხვედროდა ეთერს, ხოლო პირველი საათისთვის ვანო პირდაპირ ვაგზალში დაუცდიდა.

გარეთ გაზაფხული ყიჟინებდა. აბელს შინ გული აღარ გაუჩერდა. ქუჩაში გავიდა, სადალაქოში წვერი გაიპარსა და მიხეილის პროსპექტს ფეხით ჩაუყვა.

ალექსანდრეს ბაღისაკენ თქარუნით დაეშვნენ დაღმართზე ეტლები. წინა ეტლში საქორწინო ტანისამოსში გამოწყობილი მეფე-პატარძალი ისხდნენ. ეტლში თეთრი, ლამაზად მორთული ცხენები შეებათ. ტკბილხმოვანი დუდუკებით მიაცილებდნენ მექორწინეებს. ხალხი ეზოდან ქუჩას მოაწყდა, ქუჩისპირა აივნები ცნობისმოყვარეებით დაიფარნენ. ეტყობოდა, ვიღაც გავლენიანი კაცი იწერდა ჯვარს. ოფიცრობა ცხენებით მისდევდა ეტლებს. სიონის ეკლესიიდან, საითაც ალბათ მექორწინეებს ჰქონდათ გეზი, ზარების გუგუნი ისმოდა.

აბელმა კარგად დაინახა საქორწილო ტანისამოსში გამოწყობილი პატარძალი. თეთრყირმიზა სახე ჰქონდა, თვალები მორცხვად დაეხარა დაბლა და შეშინებული ნუკრივით განაბულიყო.

აბელს პატარძლის დანახვაზე ეთერი გაახსენდა, რატომღაც ერთმანეთს შეადარა და თავისი ამჯობინა.

„ბედნიერები", — უნებურად წაიჩურჩულა მან, უნებურადვე ამოიოხრა და იმ წუთშივე კისკისი დააცხრა თავზე. ქუჩისპირა აივანზე ქალიშვილები გადმომდგარიყვნენ და მას უცქეროდნენ. აბელს ჯერ შერცხვა და მერე ღიმილით დაუ-

ქნია ხელი მანდილოსნებს. იმათ ისევ ატეხეს სიცილი და მოაჯირს მოსწყდნენ, ახლა უკვე შორს ისმოდა ეტლების ხმაც, ცხენების ფეხთა თქარუნიცა და დუდუკის კვნესაც. სიონის ეკლესიაში ზარებს გუგუნი შეეწყვიტათ.

ალექსანდრეს ბაღთან ნახევარი საათით ადრე მივიდა და ინანა, რატომ ცოტა ადრე არ დაეუნიშნე პაემანიო. გადაწყვიტა, მტკვრისკენ გაესეირნა, რომ დარჩენილი დროც როგორმე მოეკლა.

ვორონცოვის ხიდზე შეჩერდა, მოაჯირს გადეყუდა და თვალი ჩააყოლა მოდიდებულ, მზეზე ალაპლაპებულ მტკვარს, ზედ რომ ტივები მისრიალებდნენ. ხიდზე გამვლელი თითოეული მგზავრი შეჩერდებოდა და მტკვარს გადახედავდა ხოლმე, მაგრამ რაკი იქ უჩვეულო არაფერი ხდებოდა, უკმაყოფილო, თითქოს გაწბილებული, განაგრძობდა გზას, თან ეპვით შეათვალიერებდა მოაჯირზე გადაყუდებულ აბელს. მტკვრის ჩაყოლებით კი, შორს, კარგად ჩანდა ნარიყალა და მეტეხის ციხე. ახლა ამ ციხეში, მტკვარი რომ ძირზე მიუდის, რამდენი ადამიანი იტანჯება. აბელს გაახსენდა ის ამბავი, რაც შარშან ზაფხულში დატრიალდა თბილისში და რაზედაც ახლაც კი მთელი თბილისი ლაპარაკობდა. ეს ამბავი მან და მისმა ამხანაგებმა ბაქოში გაკვრით შეიტყეს. გუშინ კი ვანო ბოლქვაძემ ყველაფერი ზუსტად აღუწერა.

შარშან, პირველ აგვისტოს, მთავარი სახელოსნოების ყველა საამქროსა და დეპოში მუშაობა შეწყდა. ოთხიათასამდე მუშა ჩაერთო თურმე გაფიცვაში. გაფიცვას თბილისის კომიტეტი ხელმძღვანელობდა. აღფრთოვანებით ყვებოდა ვანო ბოლქვაძე, თუ რკინიგზის საავადმყოფოს ექიმი როგორ უწევდა დახმარებას პოლიციასთან შეტაკებაში დაშავებულ მუშებსა და როგორ გადასცა მან საგაფიცვო კომიტეტის წევრს ვანო სტურუას სამასი მანეთი გაფიცულთა ფონდისთვის, რათა დახმარებოდნენ ხელმოკლე მუშებსა და დაპატიმრებულთა ოჯახებს.

გაფიცულნი სასტიკად დასაჯეს თურმე, რვაასამდე მუშა დააპატიმრეს, ამასთან თითქმის ნახევარი ადმინისტრაციული წესით თბილისიდან ეტაპით გაამწესეს, ხოლო დანარჩენი მეტეხის ციხეში ამოამწყვდიეს.

იმ გაფიცულთაგან ახლა ბევრი ზის მეტეხის ციხეში, სა-

დაც არც ამ თბილი მზის სხივი ატანს და არც პირველი გაზაფხულის სურნელი. გარე სამყაროს მოწყვეტილნი სხედან და მხოლოდ ყრუ ხმაური აღწევს მათ ყურამდე. აბელს გაახსენდა ოდესღაც გაგონილი ხალხური ლექსი:

ტიალო მეტეხის ციხევ,
ნაშენო ტინის ქვითაო,
ბევრი ვაჟკაცის ცოდო გდევს.
გაგიწყრეს მადლი ღვთისაო.

ერთხელ კიდევ შეხედა ამ ჩაქანგებულ კედლებს და უკან გამობრუნდა, ალექსანდრეს ბაღისკენ აჰყვა ხიდს. ალბათ, პაემანის დროც იქნებოდა მოტანებული, მაგრამ გრძნობდა, რომ გუნება ცოტა არ იყოს, წაუხდა. ბაღში მეტწილად მოხუცები შეყრილიყვნენ, განცალკევებულ სკამზე დაჯდა და იქით დაიწყო ყურება, საიდანაც გველესიანი უნდა გამოჩენილიყო. დიდხანს არ დასჭირვებია ლოდინი, შორიდანვე შეამჩნია, როგორ გადმოსჭრა ქუჩა შავპალტოიანმა ქალიშვილმა. შორიდანვე იცნო, მოკლე, არც თუ ისე ნელი ნაბიჯით მომავალი ბშვენიერი არსება. აქედანაც შეიმჩნეოდა მისი სწორი, ლამაზი ფეხები და მოქნილი ტანი, ყველაზე გულგრილ მამაკაცსაც რომ მოსტაცებდა თვალს. აბელს გული გადაუქანდა და ყველაფერი უცებ გადაავიწყდა.

— დილა მშვიდობისა! — თავი დაუკრა ქალიშვილმა.

აბელი ფეხზე წამოდგა.

— მშვიდობა ნუ მოგიშალოს ღმერთმა.

— მერე და, თქვენ რომ ღმერთი არა გწამთ? — სიტყვა „თქვენ“ ხაზგასმით წარმოთქვა.

— თქვენ ხომ გწამთ, სულ ერთია.

ქალიშვილი მოიღუშა, თითქოს ახლა გაახსენდა, რომ ის და აბელი სხვადასხვა სამყაროს წარმომადგენლები იყვნენ. აბელმა ენაზე იკბინა და ნათქვამი რომ შეემსუბუქებინა, ნაძალადევად გაიღიმა.

„ნუთუ კვლავ მწვავე საუბარი გვექნება?“ — გაიფიქრა და შუბლშეკრულ ქალიშვილს გადახედა. მას შავი, ინგლისურ ყაიდაზე შეკერილი პალტო ეცვა, მაშინ რომ ერთობ მოდაში იყო. საყელოზე თეთრი ბეწვი ჰქონდა გადაკრული, რაც მის ხორბლისფერ ნაზ სახესა და შავ, წყლიან თვალებს მეტ სხივს აძლევდა.

— წუხელ გუნებაზე არ იყავი. დედაშენიც ვერ შემხვდა ძველებურად, ხომ არაფერი ვაწყენინე?

— აბა, რა ვიცი, ეგ შენ უნდა იცოდე... რომელ საათზე გადის მატარებელი?

— პირველ საათზე.

— უსათუოდ მიდიხარ დღეს, არა?

— სამწუხაროდ ასეა.

— წუხელ აკი თქვი, შეიძლება არ წავიდეო.

— არა, არ მითქვამს.

ქალიშვილმა ცერად შეხედა და ხმა აღარ ამოუღია, ხოლო აბელი თავს ძალას ატანდა გაეხსენებინა, ამის მსგავსი მართლა ვთქვი რამე თუ არაო, მაგრამ ვერაფერი ვერ გაიხსენა. გაოცებას იყო, საიდან მოიტანა ეს ამბავი ეთერმა?

— გაგაცილო? — კეკლუცად ჰკითხა ეთერმა.

— თუ გამაცილებ, მაგაზე კარგი რა იქნება. მაშინ ეტლს ვიშოვნი ანდა ტრამვაის გავყვეთ სადგურამდე.

— არა, დრო ბევრი გვაქვს, ფეხით წავიდეთ.

აბელს გაუხარდა ქალიშვილის წინადადება. მართლაცდა, დრო ბევრი ჰქონდათ და გზაშიც ბევრს ისაუბრებდნენ. არა, რატომ თვითონ ვერ მოიფიქრა ეს?

ქალიშვილი საკმაოდ ტანადი იყო, მაგრამ მხრებგანიერი, ახოვანი ვაჟის გვერდით მაინც სუსტი და ტანმორჩილი ჩანდა. ერთხანს მდუმარედ მიდიოდნენ. ორივეს ბევრი ჰქონდა საალაპარაკო და შეიძლება ამიტომ, ვერცერთი ვერ იხსენებდა საიდან, ან როგორ დაეწყო. ამ უხერხულობიდან ისევ ქალიშვილმა იპოვნა გამოსავალი:

— შენ ამბობ, დედაშენი ვერ შემხვდა ძველებურადო, არა?

— კი. სწორედ მაგრეა.

— და მერე ეს გიკვირს?

— რატომ არ უნდა მიკვირდეს?

— იცი რა, აბელ, ნუთუ შენ კმაყოფილი ხარ იმ ცხოვრებით, შენ რომ ეწევი?

აბელისთვის ახლა ყველაფერი ნათელი გახდა. გამართლდა ის ეჭვი, გულს რომ უღრღნიდა. აი, თურმე რად შეხვდა ეთერის დედა უგულოდ.

აბელი გრძნობდა, რომ ქალიშვილი პასუხს მოუთმენლად

ელოდა და შეეცადა ნაღელი. დამაჯერებელი პასუხი გაეცა. ამ დროს სწორედ იმ ხიდზე გადიოდნენ, საიდანაც წელან აბელი მტკვარსა და მტკვრის პირას აღმართულ მეტეხს გაჰყურებდა.

— გეტყვი. — მიუგო აბელმა. — შეიძლება ჩემი კერძო ცხოვრებით არ ვიყო კმაყოფილი, რადგან მე ბევრი რამ მაკლია, მაგრამ მე ჩემს ცხოვრებას როდი ვამყარებ პირად კმაყოფილებაზე. ამით ის მინდა ვთქვა, რომ ადამიანის უმთავრესი დანიშნულება თავის კერძო კეთილდღეობაზე ზრუნვა როდია, არამედ საზოგადო მოღვაწეობა...

— ისე რომ, ვინც საზოგადო მოღვაწეა, აუცილებლად ნადირივით უნდა იცხოვროს, არა? — ქალიშვილის ხმაში ბრაზი და საყვედური გამოერია.

— არა, ეთერ, მე მაგას არ ვამბობ. აბა, მისმინე, საზოგადო მოღვაწეობა ბევრნაირია, რა თქმა უნდა, ეს იმას არ გულისხმობს, რომ საზოგადო მოღვაწემ თავის თავზე არ იზრუნოს, ყოველივე ადამიანური თუ ოჯახური მოთხოვნილებანი არ დაიკმაყოფილოს, მაგრამ დღეს სამწუხაროდ უმეტესობისთვის შეუძლებელია ამ ორი მხარის — საზოგადო მოღვაწეობისა და პირადი კეთილდღეობის ერთად შეთვისება. ორი კურდღლის დევნა, იცი, როგორც თავდება. ამიტომ ყოველი გულწრფელი მოღვაწე ერთ-ერთს თმობს. მე ვირჩიე ერთი გზა, ერთი მიზანი და მისწრაფება, ხელი შევუწყო იმ იდეის გავრცელებას, არსებული წყობილების დაქცევას რომ დააჩქარებს. ამიტომ მე დავთმე პირადი კეთილდღეობა. მუშათა კლასი თვით ცხოვრებამ ჩააყენა იმ პირობებში, იბრძოლოს დღევანდელი წყობილების წინააღმდეგ.

— ნუთუ მართლა ასე გიყვარს ხალხი, მუშები?

— აბელმა ჩაიცინა.

— შენ ადრეც მკითხე ეგ. ხომ არ გგონია, რომ მე ხალხის ანუ მუშების სიყვარულის გამო საზოგადოების დანარჩენი ნაწილი მძულდეს?! არა, უბრალოდ მუშებში ვხედავ... იქა სცემს მომავლის ძარღვი. ცხადია, სულით და გულით მძულს დღევანდელი წეს-წყობილება, მძულან ხალხის მტარვალები და სისხლისმწოვლები, მძულან ადამიანები, ვინც სიტყვით და საქმით სუსტებს შეურაცხყოფენ, მაგრამ, ეთერო, მე ეს სიძულვილი ან სიყვარული კი არ მამოძრავებს, არამედ

რწმენა, საიდანაც ეს სიყვარული და სიძულვილი აღმოცენდა.

— იმ შენმა მუშებმა ამას წინათ ტრამვაიში ტყუილუბრალოდ მომაყენეს შეურაცხყოფა. უშვერი სიტყვებით გამომლანძღეს. შენ კი იძახი, ჩაგრული და პატიოსანი ხალხიაო. — ხმა დაიდაბლა, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო.

— რაზე მოგაყენეს შეურაცხყოფა, რა დაამავე?

— რა უნდა დამეშავებინა. ფეხზე ფეხი დამადგეს, ისე გავმწარდი... და იმის მაგივრად რომ ბოდიში მოეხადათ, რაღა არ მკადრეს. მე ვტყუოდი?

აბელმა მის პატარა, კოხტა ფეხებს დახედა, წარმოიდგინა, როგორ დააბიჯებდნენ ზედ ტლანქ ფეხს, როგორ გამწარდებოდა ტკივილისაგან და ეს ლამაზი სახე როგვრ განურისხდებოდა.

— რას იზამ, ჩემო ეთერ, მუშებში ჯერ კიდევ ბევრია შეუგნებელი. ორიოდე მუშის შეუგნებელი საქციელით მთელ მუშათა კლასზე არ უნდა იქონიო ცუდი წარმოდგენა. დღევანდელი პოლიტიკური პირობები ხალხს იმის გასაქანს არ აძლევს, რომ შეგნება აიმაღლოს. შენ, ჩემო ეთერ, ვიცი, რომ დედაშენის ზეგავლენის ქვეშ ხარ მოქცეული. ის ახნაურის ქალია და თავის წარმოშობით კიდეც ამაყობს. ალბათ, თქვენც გინერგავთ ამ სიამაყეს. ისიც ვიცი, რომ ჩემი ცხოვრების გზა არ მოსწონს.

აბელის გასაოცრად ქალიშვილმა ხელი გაუყარა, მკლავზე მაგრად მიეყრდნო და ჩურჩულით უთხრა:

— საძაგელო, ისე შემოიჭერი ჩემს ცხოვრებაში, რომ დედაჩემი რაღას გახდება. არ ვიცი, რა მელის, მაგრამ ჩემი ბედი სამუდამოდ დავუკავშირე შენს ბედს და მეც შენს აზრს ვიზიარებ.

აბელი ასეთ სიტყვას არაფრით არ მოელოდა ამ გულზვიადი ქალიშვილისაგან, უცებ გადაუნათდა გული, მისი რბილი, ნაზი მკლავი მაგრად მიიკრა მკერდზე და იგრძნო, რომ გვერდით ახლობელი, მეტად ახლობელი არსება ჰყავდა.

უხმოდ მიდიოდნენ ქუჩაში, თითოეული თავის ფიქრში ჩაფლული, თავის ოცნებაში გატრუნული და თითქმის ვერც ერთი ვერ გრძნობდა, ვერ ხედავდა ირგვლივ ფეხით მოსიარულეთ თუ ეტლით მოსეირნეებს. მიდიოდნენ გარე სამყაროს

მოწყვეტილები და ბევრი სათქმელისაგან დამუნჯებულები. აგერ რკინიგზის სადგურიც, არეული ხალხი, ორთქლმავლების კვიცილი და მეეტლეების ძახილი. ბაქანზე წასასვლელად გამზადებული მატარებელი — განშორების სევდით დამძიმებული. უკანასკნელი გულის ფეთქვა, ხელზე ხელის მოჭერა, ერთი, მხოლოდ ერთი კოცნა, რისი მადლიც სიკვდილამდე გაგყვება. მერე ბაქანზე დარჩენილი გამცილებელი, ნაზი, მოსიყვარულე გულიდან რომ ცრემლს იწურავს, მოწყლიანებული თვალებით რომ მიაცილებს ვაგონებს და, ბოლოს, ვაგონის ფანჯარაზე გადმოყუდებული გულდამძიმებული ჭაბუკი, სული რომ აქ რჩება და მხოლოდ ლეშს მიათრევს უცხო ქალაქის გზაზე.

როცა ბაქანი თვალს მიეფარა, აბელმა მძიმედ ამოიხვნეშა და ვაგონში შემობრუნდა.

— გული გაიმაგრე, ბიჭო! — ბეჭებზე ხელი დაჰკრა ვანომ და გაუღიმა.

ლადომ ჯერ კიდევ იანვარში შეიტყო, რომ გერმანიაში ლენინმა გამოსცა გაზეთი „ისკრა". ამ გაზეთმა რუსეთში ჩამოაღწია და მალე მთელ იმპერიას მოედო. ლადო ცდილობდა გაზეთი როგორმე ხელში ჩაეგდო. და აი, სწორედ იმ დღეებში, როცა აბელი თბილისში მიავლინა, კრასინის შემწეობით „ისკრის" პირველი ნომერი ხელთ ჰქონდა. გაზეთი უბეში ჩაიდო და ძუნძულით გასწია აბელის ბინისაკენ, მიიჩქაროდა, როგორც დიდი ხნის მშიერი ადამიანი, პური რომ იშოვნა და ერთი სული აქვს როდის განცალკევდეს შიმშილის დასაიკებლად. კარი ჩაკეტა და მთელი არსებით ჩაეფლო გაზეთში, „ჩვენი მოძრაობის საარსებო ამოცანები", ასე ერქვა ლენინის დაწერილ შესავალ სიტყვას. ლენინი მოითხოვდა მტკიცე, ორგანიზებული, მუშათა მოძრაობასთან განუყრელად დაკავშირებული მარქსისტული პარტიის შექმნას, პარტიისა, ურომლისოდაც მუშათა კლასს არ შეუძლია განახორციელოს თავისი დიდი ისტორიული მისია: გაანთავისუფლოს თავისი თავი და მთელი ხალხი პოლიტიკური, ეკონომიური და სულიერი მონობისაგან. გაზეთს წამძღვარებული ჰქონდა პუშკინისადმი დეკაბრისტების პასუხიდან ამოღებული სიტყვები: „ნაპერწკლიდან ალი ავარდება".

ლადომ გაზეთი თავით ბოლომდე გადაიკითხა და უარესად აფორიაქდა, აი, პირველ რიგში ამას დაბეჭდავდა, სტამ-

ბას რომ ღირსებოდა, მაგრამ აღარ დაადგა საშველი. ამ წუთიდან უარესად დაკარგა მოსვენება, შეშლილივით გახდა და დღეში ორჯერ მაინც დადიოდა ფოსტაში, თბილისიდან დეპეშა ხომ არაფერიაო.

ბოლოს, როგორც იყო დაიწყნარა აფორიაქებული სული, უკვე ხელთ ჰქონდა აბელის დეპეშა. განზრახ არეული ტექსტით მიხვდა, რომ ყველაფერი რიგზე იყო. მეორე დღეს რკინიგზის სადგურზე დახვდა მეგობარს. ეჭვი რომ არვის აეღო, ერთმანეთს არ დალაპარაკებიან. დაცალკევებულებმა გაიარეს გზა და იქღა გახეთქეს გულის ბუხარი.

ძველი მეგობრის დანახვამ გულწრფელად გაახარა ლადო კეცხოველი. ბევრ რამეში ჰყავდა ნაცადი ეს ერთგული და ხარივით გამტანი ჭაბუკი. გარდა ამისა, სტამბის საქმე ხუთი თითივით იცოდა, ხოლო მუშაობაში ცეცხლივით იყო და სამი კაცის საქმეს აუდიოდა.

კეცხოველმა ბოლქვაძე გადაკოცნა, ორივე ხელით შეანჯღრია, შეხედა და ღიმილით უთხრა:

— როგორ დავაქაცებულხარ, ყაზილარო!

თბილისში, როცა ერთად მუშაობდნენ, ალერსით ეძახდა ლადო ყაზილარს და ახლაც ის სიტყვა გაახსენდა. ვანო მორცხვად იღიმებოდა და წვერით დაფარულ ლადოს სახეს მისჩერებოდა, ღიმილის დროსაც კი რომ არ კარგავდა სიჯიუტეს.

— როგორ არიან ამხანაგები თბილისში, რა ხდება ახალი?

— რა უჭირთ, ახალი ჯერჯერობით არაფერია!

— ჯერჯერობით არა? — გაიცინა ლადომ.

— თქვენ როგორღა ხართ?

— ვარ რაღა, ისე ვცხოვრობ, როგორც ნადირი. ფეხდაფეხ დამდევენ, — მერე აბელს გადახედა, ტახტზე რომ ჩამომჯდარიყო და ჩექმებს გაჭირვებით იხდიდა, — აბა, ახალს რას მეტყვი, რა ამბავი ჩამოიტანე, გამოვიდა რამე?

აბელმა ცალი ჩექმა გაიხადა და წელში შვებით გაიშალა.

— თითქმის ყველაფერი მოვაგვარე ვანოს დახმარებით. ფული, ზოგიერთი წვრილმანი ხელსაწყოები სტამბისთვის და დასაბეჭდი პროკლამაციებიც ჩამოვიტანეთ.

— პროკლამაციაც? კარგია. აბელ, აი, მანდ, — თითი ერთადერთი ფანჯრისაკენ გაიშვირა, ზედ რომ წიგნები იყო ახორ-

ხლილი, — ლენინის გამოშვებული გაზეთი „ისკრა“ დევს. გადაკითხე, ძალიან დაგვჭირდება ეგ.

აბელს გაგონილი ჰქონდა ამ გაზეთის გამოსვლის ამბავი და ენატრებოდა, თვალით როდის ნახავდა. მეორე ფეხზეც სწრაფად გაიძრო ჩექმა, შუბლზე ჩამოყრილი წაბლისფერი თმა ხელით გაისწორა და ფანჯარასთან მივიდა, რომ გაზეთი მოენახა.

მოთმინებადაკარგული შლიდა გაზეთს და სტატიების სათაურებს ათვალიერებდა.

— აბელ, — უთხრა ლადომ, — ახლა სასწრაფო საქმეზე მოვითათბიროთ, ამ საღამოსვე უნდა მოვახერხოთ საბეჭდი მანქანის გადატანა.

— ამ საღამოს? — გაოცდა აბელი.

— უეჭველად, როგორც კი შებინდდება. ფული რამდენი ჩამოიტანეთ?

— ასი მანეთი.

— ესე იგი დაზგის დასახსნელად გვყოფნის. სულ სამასი მანეთი იყო საჭირო.

აბელი ლადოს დააცქერდა. ბოლო დღეებში საგრძნობლად გამხდარიყო, თვალები ჩაღრმავებოდა.

„ალბათ შიმშილობს, — ფიქრობდა აბელი, — თითქმის მთელი თვეა ძმის გამოგზავნილი ორასი მანეთი ჯიბეში უდევს და კაპიკს არ აკლებს, რადგან ის ფული საბეჭდი დაზგისთვის აქვს გადადებული“.

აბელმა ამოიოხრა, სინანულით გული ჩასწყდა და მერე იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ რამდენად სარისკო საქმე იყო დაზგის გადატანა. ესეც ხომ შრიფტი არ არის, ან პროკლამაცია, რომ დამალო. რით უნდა გადაეტანათ. ეტლის დაქირავება სახიფათო იყო, რადგან თვით მეეტლე ეჭვში ჩავარდებოდა, არადა სანდო კაცი ვინ ეგულებოდათ? აქამდე აბელს არც უფიქრია, მაგრამ ლადომ, ლადომ იფიქრა ამაზე?

— რით უნდა გადმოვიტანოთ?

— სამი დღეა მაგ საქმეს დავდევ. ისეთი კაცი ვიშოვნე, ვინც არ იცის, რა არის სტამბა, ან საბეჭდი მანქანა. ჩვენი ბინის პატრონის ძმას ფორანი აქვს, მაღაზიებს სურსათით ამარაგებს და იმ ფორნით გადმოვიტანთ. თქვენ ახლა დაისვენეთ, ნამგზავრები ხართ. მე დღესვე მოვაგვარებ ყველაფერს.

საღამოთი კი საქმეს შევუდგეთ. დიდი მუშაობა გველის, იცო-
დეთ, ეს ადვილი როდია.

— ადვილი როდია! — გაიმეორა საგორებელში ჩავარდ-
ნილმა აბელმა ლადოს სიტყვები, როცა ის ოთახიდან გავიდა.

— მოდი, ნუ ავჩქარდებით, — თქვა ბოლქვაძემ, — ამ სი-
კეთის დროს არ გავებათ!

— ლადოს სიტყვას ვეღარ გადაათქმევინებ. ალბათ, იმედი
აქვს, ასეთ საქმეში ეგ უფრო გამოცდილია. გეშინია?

— ბოლქვაძემ ჩაიღიმა:

— მე, ჩემო აბელ, რისა უნდა მეშინოდეს, ცარიელი კა-
ცი ქვაზე მაგარია, ხევსურისა არ იყოს: კარჩი თაგვ არას შა-
მიჭამს, შინ შამოტანილს ციცაო. მე მხოლოდ ის მაფიქრებს,
არ ჩავფლავდეთ და ყველაფერი წყალში არ ჩაგვეყაროს.

— არა მგონია, ლადო ის ჩიტი არ არის, ეგრე ადვილად
ძუაში ფეხი ჩაჰყოს.

ხუთ საათზე დაბრუნდა ლადო.

— აბა, ბიჭებო, ყველაფერი მზად არის. ექვს საათზე შა-
პოშნიკოვი მელის. თქვენ შორიახლოს მომყევით და კარგად
ათვალიერეთ, ვინმე არ აგვედევნოს. თუ რაიმე საეჭვო შევ-
ნიშნეთ, ბინა უნდა გამოვიცვალოთ, შრიფტი და დახვაც უნ-
და გადავმალოთ. ექვს საათზე ჩემი ტრანსპორტით შაპოშნი-
კოვის სტამბაში ვიქნები. — და ლადო ისევ ქუჩაში გავარდა.

აბელი და ვანო ექვსის ნახევარზე გავიდნენ სახლიდან.
ღრუბლიანი საღამო იყო, კასპიის ზღვიდან ნელი ქარი აქოჩ-
რილ ღრუბლებს მიერეკებოდა. ქარხნის საყვირები რიგ-
რიგობით გადაბღაოდნენ ქალაქს, სამუშაოს დამთავრებას ამ-
ცნობდნენ მუშებს. ბინდი ეპარებოდა ქალაქს.

აბელი და ვანო ფეხით გავიდნენ კასპიის ქუჩაზე, შაპოშ-
ნიკოვის სტამბასთან მყუდრო ადგილას გაჩერდნენ და, ეჭვი
რომ არვის აეღო, საქმიანი საუბარი გააბეს, ვითომ შემთხვე-
ვით შეხვდნენ ერთმანეთს, თან ცალი თვალით უყურებდნენ,
როგორ დაუდეს ფორანზე საბეჭდი დაზგა და როგორ დაიძ-
რა ფორანი ბალახანის ქუჩისკენ. კეცხოველი ცდილობდა მყუ-
დრო ჩიხებით ეტარებინა ფორანი, აბელი და ვანო შორიახ-
ლო მიდიოდნენ და ყველა კუნჭულს ზვერავდნენ.

ფორანმა ცოტა რომ გაიმანძილა, კეცხოველმა ძვირფას
ტვირთს ძველი, გაცრეცილი ნაბადი გადააფარა, თვითონ ცხენს

გაუძღვა, ხოლო მეურმე უკან გაჰყვა. აბელი და ვანო ფორანს ჩამორჩნენ, ყოველ გზაჯვარედინთან ჩერდებოდნენ და ქუჩებს ათვალიერებდნენ. არა, საეჭვო ნამდვილად არავინ დაუნახავთ, რამდენიმე ადამიანი შეხვდათ, მაგრამ იმათ ყურადღებაც არ მიუქცევიათ.

შებინდებისას მშვიდად მიაღწიეს ბალახანში ნაქირავებ ბინას. როცა საბოლოოდ დარწმუნდნენ, საშიში აღარაფერიაო, ფეხს მოუჩქარეს, რომ დაზგის გადაღებაში მიხმარებოდნენ.

— კაი დროს მოვიდნენ შენი ამხანაგები, რჯულის მადლმა. — ჩაიცინა თათარმა.

— აკი გითხარი უსათუოდ მოვლენ-მეთქი. — უთხრა ლადომ.

დაზგა გაჭირვებით, მაგრამ სწრაფად შეიტანეს ოთახში. ლადომ ორი ბოთლი არაყი აჩუქა მეურმეს და ისე გაისტუმრა.

— იმ თათარმა რაიმე ეჭვი ხომ არ აიღო? — ჰკითხა აბელმა ლადოს, როცა ოთახის კარი დაკეტეს და შვებით ამოისუნთქეს.

— მე მგონი არა, მარტო ის მკითხა, ამ სიმძიმე რა არისო. ხის დასახერხი მანქანაა, ჩემი ძმა უნდა ჩამოვიდეს სპარსეთიდან და იმან უნდა წაიღოს-მეთქი.

რაღა თქმა უნდა, ლადო მოახერხებდა დამაჯერებელი პასუხი გაეცა.

— აბა, ვანო, — უთხრა კეცხოველმა ვანო ბოლქვაძეს, — ახლა შენ იცი და ამ მანქანამ!

ვანო სქელ ტუჩებში იღიმებოდა და მანქანას გარშემო უტრიალებდა, მზრუნველობით უსვამდა ხელს. პრიმიტიული დაზგა იყო, მაგრამ ამას ვიღა დაეძებდა. რაც მთავარია, ხელთ ჰქონდათ ის შორსმსროლელი იარაღი, რის საშუალებითაც სიმართლის სიტყვას მიაწვდიდნენ ადამიანებს.

კეცხოველი სიხარულს ვერ ფარავდა, ღელავდა, ბოლთას სცემდა და მომავლის გეგმას აწყობდა, ლადოს ახლა ის აშფოთებდა, როგორი გამოდგებოდა მანქანა, იმუშავებდა თუ არა კარგად, შეიძლება რაიმე წუნი გამოიყოლოს, ნეტავ როგორი გამოვა პირველი ნაბეჭდი?

მან თბილისიდან ჩამოტანილი პროკლამაცია ერთხელ კიდევ გადაიკითხა. პროკლამაციაში ლაპარაკი იყო თბილისის

მუშათა აგვისტოს გაფიცვასა და მის შედეგებზე, შემდგომ გეგმებზე.

„მართალია ჩვენი უკანასკნელი ბრძოლა მწვავე იყო, — ეწერა პროკლამაციაში, — ჩვენი უკანასკნელი შეტაკება მტერთან სასტიკი შეტაკება იყო, მართალია, ეს ბრძოლა არ დამთავრებულა ჩვენდა სასარგებლოდ, მან გამარჯვების ნაცვლად, რაღა დასამალია, დამარცხება მოგვიტანა, მაგრამ ეს რა თავის გასამართლებელი საბუთია, ვისაც მგლის ეშინია, ის ტყეშიც არ უნდა დადიოდესო, ამბობს რუსული ანდაზა. ვისაც დამარცხების ეშინია, მას ბრძოლისაც არ უნდა ეშინოდეს, ამ ერთადერთი გამანთავისუფლებელი საშუალებისა.

დიახ, ბრძოლაში და მხოლოდ ბრძოლაშია შველა, ამხანაგებო!.. ჩვენი მორიგება შეუძლებელია, ბრძოლა აუცილებელია. მაშ მოვემზადოთ, ამხანაგებო, ამ ბრძოლისათვის, მეტი შეგნებით, მეტის ერთობით“.

კეცხოველმა გადაწყვიტა პროკლამაცია რუსულად ეთარგმნა და ორივე ენაზე დაებეჭდათ. მას ის უფრო აინტერესებდა, ან ერთ, ამ მეორე ენაზე როგორი ნაბეჭდი გამოვიდოდა.

აბელი მეორე დღეს სამუშაოზე უნდა წასულიყო, ხოლო საღამოს, როგორც კი დაბრუნდებოდა, დაზგის გამართვაში მოეხმარებოდა ბოლქვაძეს. ლადო ხვალვე მოაგვარებდა საბეჭდი ქაღალდისა და ზოგიერთი წვრილმანების საქმეს, ბოლქვაძე კი დილიდანვე შეუდგებოდა პროკლამაციების ტექსტის აწყობას.

— ჯერჯერაობით ჩვენ სამს გვეცოდინება ამ ბინის ადგილ-სამყოფელი, — თქვა ლადომ, — ნურავის გავუმხელთ, ყველაზე ახლობელ მეგობარსა და თანამებრძოლსაც კი.

ეს შეთანხმება რკინის კანონი იყო და მისი დამრღვევი მოღალატედ ჩაითვლებოდა. სამივეს კარგად ესმოდა ეს.

საიდუმლო ბინის კარი საიმედოდ დაკეტეს, ფანჯრები დარაბებით დახურეს და სამივემ აბელის ბინისკენ გასწია ღამის გასათევად.

ქუჩაში არავინ ჩანდა. ალიზით ნაშენი პატარა სახლებიდან სინათლეები ბჟუტავდნენ. ცაზე ღრუბლები გადაუყრია ქარს, ცივი კაშკაშა მთვარე დაჰყურებს დედამიწას.

სამი აჩრდილი უხმაუროდ მიდის რკინიგზის უბნისაკენ.

— მკონი ყველაფერი რიგზე უნდა იყოს, — თქვა ლადომ, როცა ბალახანის უბანს გასცდნენ, — არავის არ შევუმჩნეივართ. ახლა მთავარია, ამხანაგებო, როგორი გამოდგება მანქანა.

— მაგას ხვალვე გავიგებთ. — უპასუხა ვანომ.

— ვითომ ხვალვე მოვასწრებთ?

— უნდა მოვასწროთ.

და მართლაც, მეორე დილას, როცა აბელი დეპოში წავიდა, ვანო ბოლქვაძე მაშინვე გაეშურა ბალახანისკენ, ღამით გამზადებული რუსულის ტექსტიც თან წაიღო და პროკლამაციის აწყობა დაიწყო. შუადღისას ლადომ საბეჭდი ქაღალდი მოიტანა, ვანოს ქართული ტექსტი უკვე აეწყო და რუსულზე გადასულიყო. ნახევრად მიხურული დარაბებიდან სინათლე ნაკლებად აღწევდა.

— დღეის შემდეგ მხოლოდ ღამღამობით ვიმუშავებთ. — უთხრა ლადომ ბოლქვაძეს, — დღისით აქ მუშაობა საშიშია. ნავთი უნდა მოვიმარაგოთ.

— მეც ასე მგონია, დიდ რისკს ვეწევით.

საღამოს აბელიც გამოჩნდა და ის იყო, კეცხოველი და ბოლქვაძე საბეჭდი დაზგის გამართვასაც ამთავრებდნენ. აბელმა ერთი ბოთლი არაყი, ძეხვი და ყველი მოიტანა. მუშაობით წელში გაწყვეტილ ბიჭებს აბელის მოსვლაც გაუხარდათ და მისი მოტანილი სურსათიც.

მანქანა თითქმის უკვე მზად იყო, ახლა ერთ წუთში შეიძლებოდა საღებავის წასმა და პროკლამაციის ამობეჭდვა. ლადოს სული მისდიოდა, ვერა, ლუკმას ვერ ჩაიდებდა პირში ისე, ვიდრე არ დარწმუნდებოდა, რანაირი ნაბეჭდი ამოვიდოდა.

ვანომ ლამპას შუქი მოუმატა და დაზგას მიუბრუნდა. ანაწყობები დაუდო და საღებავი წაუსვა. ოთახში ისეთი დუმილი ჩამოვარდა, ზეციდან ანგელოზის ხმას გაიგონებდით. ლადომ და აბელმა სუნთქვაც კი შეაჩერეს, მხოლოდ ბოლქვაძე განაგრძობდა თავის საქმეს მშვიდად, აუღელვებლად.

აი, დაუდო ერთი ფურცელი, გაიძაგუნა მანქანამ, აშრიალდა ქაღალდი და ანაბეჭდი მაღლა ასწია ვანომ. გულისფანცქალით დააცქერდნენ. მშვენიერი ნაბეჭდი იყო, წუნს ვერ დასდებდი. კიდევ დაუდო ვანომ ქაღალდი, კიდევ ამოიღო ანაბეჭდი. ისიც რიგზე იყო...

ადამიანის ცხოვრებაში მილიონი წუთიდან რამდენიმე წუთი თუ იქნება სიხარულისა და ბედნიერებისა. ეს სრულყოფილი ბედნიერება, ერთი ბზარიც რომ არსაიდან ჰქონდა, სამივეს ერთნაირად დასტრიალებდა თავზე.

მუდამ დინჯმა, თავშეკავებულმა ლადო კეცხოველმა ველარ მოითმინა და მეგობრები გადაკოცნა.

გათენებამდე იმუშავეს, რუსულ-ქართული პროკლამაციები დასტებად დააწყეს და გათენების ხანს ჩუმად გაილალნენ. მეორე დღეს ათასი საქმე იყო მოსაგვარებელი. დაბეჭდილ პროკლამაციებს სასწრაფოდ უნდოდა გზის მიცემა. საღამო ხანს ბიქტორა ბაქრაძის სახლში შეიყარა რევოლუციონერთა ჯგუფი და დაადგინეს, ყველა ნაბეჭდი პროკლამაცია, რაც უკვე დაბეჭდილი იყო და რასაც ამიერიდან დაბეჭდავდნენ, თბილისში გაეგზავნათ, რომ ბაქოს პოლიციას ეჭვი არ აეღო, თუ აქ სტამბა არსებობდა. ნარჩენები ბიქტორ ბაქრაძესთან უნდა მიეზიდათ და იქ დაეწვათ, რადგან ღუმელი მხოლოდ მას ედგა. ნაბეჭდი ლიტერატურის გაგზავნა და დასაბეჭდი ლიტერატურის მიღება აბელ ენუქიძეს ევალებოდა.

7.

1901 წლის ღვინობისთვის ერთ დღეს აბელმა მამისაგან წერილი მიიღო:

„გამარჯობა, ჩვენო ძვირფასო შვილო აბელ!

გითვლი უმდაბლეს სალამს მთელი ჩვენი მშობლიური გულით მე და დედაშენი. სალამს გიძღვნის შენი ძმა სერაპიონი, ჩვენი შინაურები და კეთილი მეზობლები.

შვილო აბელ, რაც მარიამობის თვეში შენი წერილი მივიღეთ, იმის შემდეგ აღარაფერი ვიცით. ეგრე რამ გაგიცია გული. აი, მესამედ გიგზავნი წერილს და პასუხს ვერ ვეღირსეთ. დედაშენი დარდით აღარ არის, ძილში სულ შენს სახელს აბოდებს. ეს როგორი დრო დადგა, რომ შვილები მშობლებთან აღარ ჩერდებიანო. მაგ დალოცვილებს ბარემ აქეთ გადმოეყვანე სამუშაოდ, რა იქნებოდა. მაშინ ხომ ჩვენს ბედს ძაღლიც არ დაყეფდა.

შვილო აბელ, ჩვენ არა გვიშავ რა. წელს პურის მოსავალი

კარგი გვქონდა, შვიდი კოდი სულ დარჩეული ხორბალი გამოვლეწეთ. ნახუცარ ილიკოს ვეთხოვეთ ხარი და ჩვენსას ის დავუწყვილეთ. ვენახსაც არა უშავს რა. ამ დღეებში კაკალი მოვრეკეთ, შარშან რომ დეკეული ვიყიდეთ, საფურე მოიგო. ამ შემოდგომას სპირიდონი ქორწინდება. ჰო, მართლა, წმინდა ანას მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოვა მთავრობამ. აი, მაგის პატრონმა უნდა თქვას, შვილი გავზარდეო, ხელისუფლებაში დაფასებული კაცია.

შვილო აბელ, შენი ნახვის ღირსს ხომ არ გვხდი და არა, წერილით მაინც გაგვიხსენე ხოლმე. აბა, შენ იცი, თუ სიბერეს არ გაგვიმწარებ და მე და დედაშენს შენს ნახვას გვაღირსებ.

გწერს მამაშენი სოფრომ ენუქიძე".

კვირა დღე იყო. აბელმა წუხელ მთელი ღამე გაატარა სტამბაში, პროკლამაციები ჩამობეჭდეს და დილით დაიშალნენ.

დღეს კი დაბეჭდილი ლიტერატურა უნდა გაეგზავნათ თბილისში. მას შემდეგ, რაც სტამბა გახსნეს, აბელსა და საერთოდ მთელ ჯგუფს დიდი ჯაფა დააწვათ. მეტადრე ლადო და აბელი იყვნენ დიდ შრომაში. მთელი კორექტურის წაკითხვა თითქმის ამ ორს უწევდა, ლადოს ისე გაუწყალდა თვალები, იძულებული შეიქნა, სათვალეები ეხმარა. საღამოს, წრეებში მეცადინეობის შემდეგ, სტამბაში მუშაობდნენ რიგრიგობით. ცოტა ხნით თუ წაიძინებდნენ ხოლმე და დილით ისევ სამსახურში მიდიოდნენ, მაგრამ აბელისთვის ეს ჯაფა მაინც სასიამოვნო იყო, სტამბის საქმე შეიყვარა და გრძნობდა, რომ თითოეული ბროშურა თუ გაზეთი, აქ რომ იბეჭდებოდა, ნამდვილი ბომბი იყო ხელისუფლების წინააღმდეგ.

წერილის წაკითხვამ აბელი ააფორიაქა, მიუხედავად წუხანდელი უძილობისა, ფიქრი მოეძალა და აღარ დაასვენა:

„ეგრე რამ გაგიცია, გული, შვილო!"

ცხადლივ დაუდგა მამა თვალწინ, თვალწინ დაუდგა კალოზე ჩაშლილი, მზეზე გაფიცხებული მწიფე თავთავი, ქევრი რომ რბილად თქერავს და ჟრუანტელმა დაუარა.

არა, აბელს გული არ გაციებია, პირიქით, მშობლებიც ენატრება და კარ-მიდამოც, თავისი სოფელიცა და რაჭის ლამაზი მთებიც. მაგრამ... მაგრამ სოფრომი ვერ მიხვდება, რა აძ-

ლებინებს აბელს აქ, რატომ აღარ იხედება თავისი სოფლისაკენ თუ ქვეყნისაკენ. მართლაც, რამდენი ხანია აბელი თბილისშიც აღარ ყოფილა, ეთერისაგან ორიოდე წერილი მიიღო, თვითონაც გაუგზავნა პასუხი, აიმედებდა, ალბათ, მალე გნახავო, მაგრამ სტამბის გახსნის დღიდან იმდენი საქმე გაჩნდა, ახლობელზე ფიქრის დროც აღარ რჩებოდა. უკვე რვა თვე ხდებოდა, რაც უკანასკნელად აბელი თბილისში იყო. ამ რვა თვის მანძილზე საქმე ისე კარგად აეწყო, ოცნებაშიც ვერ წარმოიდგენდა ამას და ეს ყველაფერი კეცხოველის წყალობა იყო, ამ მუდამ მოუსვენარი, ცეცხლივით ვაჟკაცისა.

იმ დღიდან ერთი თვის შემდეგ, რაც საბეჭდი მანქანა დადგეს, ლადომ განაცხადა:

— ძმებო, მე მგონი, დროა, ადგილი ვინაცვლოთ, მეზობლებმა ეჭვი აიღეს.

როგორც გამოცდილი ნადირი იკრავს ხოლმე ხიფათის სუნს, ასე იგრძნეს საშიშროება. ამ ბინიდან დღისით ამათ გადაკარგვამ და ღამით გამოჩენამ მეზობლებში ეჭვი დათესა. რაც კი ბუნებაში სულიერი არსებობს, მათ შორის ყველაზე ცნობისმოყვარე ადამიანია. თუნდაც არავითარი მიზეზი არ ჰქონდეს, აუცილებლად უნდა გაიგოს, რა ხდება მის გარშემო, რატომ იკარგებიან ამ ბინიდან დღისით, რად მოდიან მხოლოდ ღამით, რატომ არის ოთახის დარაბები სულ მუდამ დაგმანული? და რა ხდება იქ, შიგნით?

ითათბირეს, სად გადაეტანათ საბეჭდი დაზგა და ბოლოს გადაწყვიტეს დროებით ესარგებლათ ნიკოლოზ დოლიძის სტამბით.

ოცდარვა წლის ნიკოლოზ დოლიძეს საინტერესო რევოლუციური ბიოგრაფია ჰქონდა. ჯერ კიდევ სასულიერო სემინარიის მოსწავლე სასწავლებლის წესების წინააღმდეგ ამბოხდა და გარიცხეს. მერე ძალისძალად მიაბარეს მონასტერში. იქიდანაც გაიპარა ჭაბუკი, ბათუმში ჩავიდა და მანთაშევის ქარხანაში დაიწყო მუშაობა. იქ ჰპოვა მან თავისი ნამდვილი ადგილი, ეგნატე ნინოშვილთან და მიხა ჩოდრიშვილთან ერთად ცხოვრობდა ბინაში, სადაც ბათუმის არალეგალურ კრებებს ატარებდა ეგნატე ნინოშვილი. მერე ნიკოლოზი მანთაშევის ქარხნიდანაც დაითხოვეს მუშათა გაფიცვაში მონაწილეობისათვის. მერე თბილისში ჩადის, რევოლუციურ მუ-

შაობას ეწევა, ხოლო 1900 წელს ორგანიზაციის დავალებით ბაქოში მიემგზავრება და ქართველ მუშებში ქართულ ჟურნალ-გაზეთებს ავრცელებს.

ისევ ორგანიზაციის დავალებით დოლიძე ბალახანში რესტორანს ხსნის. რესტორანი პოლიციისთვის თვალის ახვევაა, სინამდვილეში კი სხვა ამბები ტრიალებს. საიდუმლო თავშეყრაფარია და პატარა სტამბაც მუშაობს. მაგრამ გავიდა კიდევ რამდენიმე თვე და ლადომ განაცხადა:

— ვერც ნიკოს და ვერც ჩვენი სტამბით შორს ვერ წავალთ, ძმებო. რომ მოვკვდე, კარგი სტამბა უნდა შევიძინო, ამერიკული.

ყველამ კარგად იცოდა, ასეთი სტამბა რა დაჯდებოდა, საამისო სახსარი არ გააჩნდათ და ლადოს სიტყვას უპასუხოდ სტოვებდნენ, ლადო კი თავისას არ იშლიდა:

— ძილშიც კი ვხედავ, როგორ ცვივა ათასობით ფურცელი და ბროშურები. ვერ მოვისვენებ, სანამ ჩემსას არ მივაღწევ.

ასეთი სტამბის შეძენას დიდძალი ფულის გარდა სხვა ათასი თავსატეხი ამბავიც სჭირდებოდა, კერძოდ კი გუბერნატორის ნებართვა. ყველაფერი კეცხოველმა ითავა და ამიტომაც ორგანიზაციამ იგი სხვა დანარჩენი საქმეებიდან გაანთავისუფლა.

ადგა ლადო და თბილისში გაემგზავრა, იმ ქალაქში, სადაც ჟანდარმერიას ძილშიც და ცხადშიც ლადო ესიზმრებოდა. კეცხოველმა მოინახულა თბილისელი მეგობრები, ნახა ნებართვის ფორმა და გადაიღო პირი.

დაახლოებით ერთი თვის თავზე დავით იოსების ძე დემეტრაშვილის სახელზე მზად იყო ნებართვა. ნებართვაში ნათქვამი იყო ამიერკავკასიის ერთ-ერთ ქალაქში სტამბა გაიხსნასო, რაც ბაქოს გუბერნატორ სვეჩინის ხელმოწერით იყო დადასტურებული.

კეცხოველი ამჟამად სტამბის მეპატრონე პრომიშლიენსკის მიადგა, შეარჩია ნახმარი, მაგრამ თანამედროვე ყაიდის მანქანა, რაც საწერი ქაღალდის ფორმატზე იყო მორგებული და დიდი ვაჭრობის შემდეგ ცხრაას მანეთად მოურიგდა. ამ თანხას ფეხი არ მოუცვალა სტამბის მეპატრონემ. ისევ დატრიალდა ლადო, ყველა საამედო ამხანაგი მზარში ამოიყენა. ვისაც რო-

გორ შეეძლო, იმ თანხით შეეწია ამ საქმე'ს, მაგრამ რვაას მანეთზე მეტს თავი ვერ მოუყარეს.

— ახლა შენ უნდა გვიხსნა, აბელ, — უთხრა ლადომ, — ერთადერთი იმედი შენღა ხარ.

— რანაირად? — მხრები აიჩეჩა აბელმა.

— სამსახური უნდა შეიცვალო. უკვე ველაპარაკე ლეონიდ ბორისის ძეს, სამუშაოდ მასთან გადახვალ და უფრო მეტი დრო გექნება რევოლუციური მუშაობისათვის, მეტადრე სტამბის საქმისთვის.

— მერე ეს მანქანის დახსნას რას შველის?

— აი, რას, — ლადომ აბელს მხარზე ხელი დაადო, — ელექტროდეპოში ანგარიშს რომ გაასწორებ, მე მგონი, ცოტაოდენ ფულს მოგცემენ.

აბელი უსიტყვოდ დათანხმდა. რევოლუციონერთა უმეტესობა მაინც კრასინთან იყრიდა თავს სამუშაოდ.

დეპოში ანგარიშის გასწორებისას აბელმა საკმაო თანხა მიიღო ზედმეტად გარბენილი მანძილისათვის და ორთქლმავლების შეკეთებისათვის. ისე რომ სტამბის მოწყობის საქმე უკვე მოგვარებული იყო. ორიოდე დღეში საბეჭდი მანქანა ვორონცოვის ქუჩაზე, თურქ ალი ბაბას სახლში გადაიტანეს და მუშაობას შეუდგნენ.

კარჩაკეტილი ცხოვრება მუსულმანებს ათაპაპიდან მოსდგამთ.

ალი ბაბაც ჭეშმარიტი მუსულმანი იყო და ამ ძველ ადათებს ღირსეულად იცავდა. გალავანშემორტყმულ მის ეზოკარში ახლობელიც კი ვერ შემოაბიჯებდა თუ თავისი ნება არ იყო... ალი ბაბამ რუსული არ იცოდა, პოლიტიკისა არაფერი გაეგებოდა და არც პოლიციასთან ჰქონდა რაიმე საერთო. ეს ყოველივე კარგად უწყოდა ლადომ და ამიტომაც ირჩია თურქის სახლი. რამდენიმე დღეში თავდაჭერილი, ზრდილობიანი კეცხოველი ისე დაუმეგობრდა თურქს, რომ იგი ლადოს მზეს იფიცავდა... ესეც მუსულმანური ადათია, თუ ერთხელ იძმე ადამიანი, ბოლომდე უნდა გაიტანო, ძაღლივით ერთგული და უღალატო უნდა იყო.

— რჯულის მადლმა, ლადო ჩემი ძმაა, ძმისთვის კი სისხლსაც არ დავზოგავ, — იტყოდა ხოლმე ალი ბაბა. ეს რა ზრდილობიანი და კეთილი კაცია.

ალი ბაბამ იცოდა, რომ ლადო წიგნებს ბეჭდავდა. ეს საქმე საოცრებად მიაჩნდა და ერთხელაც მუდარით სთხოვა კეცხოველს:

— ძმაო ლადო, ასწავლე ჩემს შვილს ნურის წიგნების ბეჭდვა. მინდა ჩემი ნური შენსავით ნასწავლი და ბრძენი იყოს.

— დიდი სიამოვნებით, ალი, — გაუღიმა ლადომ, — რატომაც არა.

და პატარა ნური თითქმის მთელი დღე საბეჭდ მანქანას უტრიალებდა, აბელსა და ვანოს გვერდიდან არ შორდებოდა. ესენიც ანებივრებდნენ ბიჭს, ტკბილეულით უმასპინძლდებოდნენ.

საბეჭდი მანქანა კი განუწყვეტლივ მუშაობდა, თურქის გალავნიან სახლიდან გადიოდა რუსულ და ქართულ ენებზე ჩამობეჭდილი ბროშურები, საიდუმლოდ იგზავნებოდა კავკასიის სხვადასხვა ქალაქებში და ალი ბაბა აზრადაც არ მოდიოდა, თუ რა საშიშროებაში იმყოფებოდა მთელი მისი ოჯახით. ვერც იფიქრებდა, ეგზომ ზრდილობიანი, განათლებული კეცხოველი მთავრობის საწინააღმდეგოს თუ რამეს იმოქმედებდა.

მეხუთე რვეული

ბაქოში ჩვენი ცხოვრება და მოღვაწეობა ისე კარგად აეწყო, სიმართლე ითქვას, ამას ვერც წარმოვიდგენდი. რაღა თქმა უნდა, ამაში ლადოს ედო დიდი წვლილი, მაგრამ მარტო იმაზე იყო ყველაფერი დამყარებული-მეთქი, ვერ ვიტყვი. ბედია თუ განგების ძალა, არ ვიცი, ერთხელ რომ მოემართება კაცს ხელი, მერე სულ წყაროს თვალივით მოედინება, თუ ერთხელ გიმუხთლა, სულ უკან და უკან მიდის საქმე.

სტამბა კარგი გვქონდა, ადგილი საიმედო და რასაც გვინდოდა, იმას ვბეჭდავდით. ჩვენი დაბეჭდილი ბროშურები თუ პროკლამაციები, რაც ხელისუფლებას თავზარს სცემდა, თითქმის მთელ ამიერკავკასიაში იგზავნებოდა, მეტადრე კი თბილისში.

დიდი სიფრთხილით ვმოქმედებდით, ვიცოდით, ჟანდარმერია რომ გამწარებით დაგვეძებდა. „ელექტროსილა“ სამჯერ გადაჩხრიკეს, მაგრამ ვერ მოგვაგნეს. სამივეჯერ ისეთ დროს მო-

ვიდნენ, როცა სხდომა გვქონდა. ეჭვი არ იყო, ვიღაც ატყობინებდათ ზუსტად ჩვენი თავშეყრის ამბავს ჟანდარმერიას, მაგრამ ისეთი მიუდგომელი სარდაფები გვქონდა, ჩვენც ძლივს ვაგნებდით ხოლმე.

ბოლო დროს მთელმა რევოლუციურმა ბირთვმა ელექტროსადგურის მშენებლობაზე მოიყარა თავი. მე მხაზველად ვმუშაობდი და, რა თქმა უნდა, სტამბის საქმისთვის დრო ბევრი მქონდა ლეონიდ კრასინის შემწეობით. გროზნოდან დაბრუნებული ნიკოლოზ კოზარენკო ბუღალტრად მოეწყო კრასინთან, პავლე ემელიანოვი, მიხეილ ბრაგა, ნიკოლოზ მელენტიევი, ვალოდია მელიქიანცი და ივანე ბალაგინიც იქ გადმოვიდნენ სამუშაოდ. თბილისის კომიტეტმა რომ დაატყო, საკმაოდ მძლავრი საბეჭდი ბაზა გვქონდა, დახმარების ხელი გამოგვიწოდა, საღებავი და ქაღალდი მოგვაწოდა, ხოლო შემდეგ სტამბაში სამუშაოდ ბაგდან კნუნიანცი მოავლინა. ბაქოში ჩამოვიდა აგრეთვე გამოცდილი რევოლუციონერი ვანო სტურუაც, ვინც მაშინვე სტამბისა და გამოცემის საქმეში ჩავრთეთ. ისე რომ ახლა სტამბისა და გამოცემის საქმეს ძირითადად ოთხი კაცი ვემსახურებოდით: ვანო ბოლქვაძე, ბაგდან კნუნიანცი, ვანო სტურუა და მე. ლადო გარე საქმეს აგვარებდა, ხოლო მე და ვანო სტურუას სტამბაში მუშაობასთან ერთად გვევალებოდა საიდუმლო ლიტერატურის მიღება და გაგზავნა.

ჩვენ უკვე საკმაოდ დიდი ორგანიზაცია ვიყავით. თითქმის ოთხმოც კაციანი და 1901 წლის მარტში უკვე კომიტეტი შევქმენით, რომელსაც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბაქოს კომიტეტი ვუწოდეთ... კომიტეტში თხუთმეტი კაცი აგვირჩიეს. სულ მოკლე ხანში მჭიდრო კავშირი დავამყარეთ ლენინური „ისკრის“ რედაქციასთან. გავაჩაღეთ მიმოწერა, მითითებებს ვიღებდით იქიდან. ისე რომ მთელი ჩვენი ორგანიზაცია და ჩვენი სტამბაც ლენინური „ისკრის“ იდეურ ნიადაგზე დადგა.

ერთ დღეს, როცა სტამბაში ვმუშაობდით, ლადო აღელვებული შემოვიდა, ეტყობოდა, რაღაც ახალი მოეფიქრებინა მუდამ მოუსვენარსა და მაძიებელს. ცალი წარბი ასწია, ტუჩები წინ წამოსწია, როგორც სჩვეოდა და უცებ მოსჭრა:

— დროა შევუდგეთ გაზეთ „ბრძოლის“ გამოშვებას და რაც შეიძლება მალე.

ეს აზრი ადრევე დაგეგეგმადა. გვინდოდა „ისკრის“ ყაიდის ქართული გაზეთი გამოგვეშვა, რომელსაც „ბრძოლას“ დავარქმევდით, მაგრამ თბილისის კომიტეტი, კერძოდ კი ჟორდანია და ჯიბლაძე სასტიკ უარზე იდგენ, რატომღაც საჭიროდ არ თვლიდნენ ბაქოში ფარული გაზეთი ყოფილიყო, თანაც არალეგალური.

— მერე, ჟორდანია და ჯიბლაძე უარზე რომ არიან? — შეეპასუხა ვანო სტურუა.

ლადომ თვალები მოჭუტა, სახე უსიამოდ დამანჭა და კბილებში გამოსცრა:

— ჟორდანიას და ჯიბლაძეს უნდათ მარქსიზმი თავის ტანზე მოირგონ. მიმიფურთხებია მაგათთანა რევოლუციონერებისთვის. გაიგეთ, ლეგალური მარქსიზმი გამოშიგნული მიდის ხალხამდე.

ამ საუბრიდან ერთი თვის შემდეგ, ნოემბერში, თბილისის კომიტეტმა მუშათა ჯგუფი გამოგზავნა ბაქოში მოსალაპარაკებლად. ამ ოთხკაციან ჯგუფს იპოლიტე მგელაძე მეთაურობდა — თბილისის დეპოს მუშა.

გადაეწყვიტეთ ნიკო დოლიძის მიერ მოწყობილ ქართველ მუშათა ბიბლიოთეკაში ჩაგვეტარებინა თათბირი. ეს ბიბლიოთეკა არალეგალურად დააარსა თბილისიდან ბაქოში ჩამოსულმა დოლიძემ. მისი რესტორანიც ხომ ჩვენი საიდუმლო შესაკრები ადგილი იყო. კომიტეტიდან სამი კაცი გვესწრებოდა, ივანე კოზარენკო, მიხეილ ბრაგა და თვითონ ნიკო დოლიძე.

სტამბიდან თითქმის ყველანი ვიყავით. ამას დავუმატოთ თბილისელთა ოთხკაციანი დელეგაცია და სულ რაღაც თხუთმეტი კაცი გამოვდიოდით. გარეთ უკვე ბინდი ჩამოწოლილიყო. თოვლ-ჭყაპი მოდიოდა, ცივი, ნესტიანი ნიავი ძვალ-რბილში ატანდა. ოთახში სითბო და თამბაქოს შემხუთველი სუნი იდგა. ლადო მოგვიანებით მოვიდა, უყმურ გუნებაზე ჩანდა, შუბლი არ გაუხსნია, ისე დაიწყო:

— როგორც იცით, ამხანაგებო, ვაპირებთ დავაარსოთ არალეგალური გაზეთი „ბრძოლა“, რომელიც ქართველ მუშებს გააცნობს მარქსიზმის ნამდვილ არსს. თქვენ ყველამ იცით ამ გაზეთის მნიშვნელობა და მასზე აღარ შევჩერდები. ოღონდ არ მესმის არც მე და არც ალბათ თქვენ, თბილისის ორგანი-

ზაცია, კერძოდ კი მისი იპორტენისტული ფრთა რატომ არის წინააღმდეგი?

— თბილისის ორგანიზაციას მიაჩნია, რომ ასეთი გაზეთი ზარალის მეტს არაფერს მოგვიტანს, ამიტომ დაიხარჯება სახსრები. — ფეხზე წამოდგა დელეგაციის ხელმძღვანელი ტანდაბალი, სახემწითური მგელაძე.

ლადომ ჩაიცინა და განაგრძო:

— არა, ამხანაგო იპოლიტე. ჟორდანია და ჯიბლაძე ხარჯს კი არ ერიდებიან, მაგათი მიზანია გამოშიგნული მარქსიზმი მივაწოდოთ მუშებს, აბა დააკვირდით, მათი ლეგალური გაზეთი „ქვალი“ ვის წისქვილზე ასხამს წყალს, რა პოზიცია უჭავია. იგი შორს არის იმ ბრძოლისაგან, იმ იდეებისაგან, რაც მუშათა კლასს სჭირდება.

— ჩვენი ორგანიზაციის თხოვნაა, — ისევ ფეხზე წამოდგა მგელაძე, — თუ აღარ დაგიშლიათ, რედაქცია თბილისში იყოს, ხოლო თქვენმა ჯგუფმა ტექნიკურად შეასრულოს ის, რასაც თბილისის კომიტეტი გადაწყვეტს.

ამის გამგონე ბრაზმა ამიტანა. ლადოს შევხედე, გაფითრებული კბილებს აღრჭიალებდა და თვალებიდან ცეცხლს ჰყრიდა. მერე დანარჩენებს გადავხედე და უცებ ის მოხდა, რასაც არ ველოდი. ოთახში ხარხარი ატყდა და მერე ამას ხმამაღალი შეძახილები მოჰყვა:

— აი, რა სდომნიათ ჯიბლაძეს და ჟორდანიას.

— თავიდანვე ეგრე გეთქვათ!

— ხედავთ, სად არის ძაღლის თავი დამარხული?

— რედაქცია თბილისში იყოს და ჩვენ ბრმად შევასრულოთ მათი დავალება. იიფ!

ხარხარი აღარ ცხრებოდა. ისევ ლადოს შევხედე, იმასაც ღიმილი გადაჰფენოდა მუდამ კუშტ სახეზე.

მთლად აჭარხლებული, დაბნეული მგელაძე თვალებით გვსაყვედურობდა, რა გაცინებთო. როცა სიცილი ჩაცხრა, ლადომ უკვე მშვიდად, ალერსიანად მიმართა თბილისიდან ჩამოსულ ჯგუფს.

— ხედავთ, ამხანაგებო, რა ხდება. თქვენც შეგაცდინეს. მე მინდა დარწმუნდეთ, რომ ბაქოში არალეგალური გაზეთის არსებობა დიდ საქმეს გააკეთებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს იქნება კონსპირაციის საუკეთესო საშუალება. ბა-

ქოში დაბეჭდილი ქართული გაზეთი მხოლოდ თბილისში და კიდევ რამდენიმე ქალაქში გავრცელდება. ჟანდარმერია დიდხანს ვერ მოვა აზრზე, თუ ქართული გაზეთი სადღაც საქართველოს გარეთ იბეჭდება.

იმ დღეს გამაოცა ლადოს ნებისყოფამ, თავშეკავებამ და ლოღიკამ. ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდა. თბილისის მუშათა დელეგაციამ ირწმუნა. რომ ლადო სიმართლეს ამბობდა, ბაქოში საჭირო იყო არალეგალური გაზეთის დაარსება. ამ რწმენით დაბრუნდნენ თბილისში, მაგრამ როგორც შემდეგ გამომეღავნდა, თბილისის ორგანიზაციის ოპორტუნისტულ ფრთას ეძნელებოდა თავის სურვილს შელეოდა და ერთხელ კიდევ მოუსინჯეს ლადოს კბილი, ორი კვირის შემდეგ ბაქოში სევერიან ჯუღელი მოავლინეს — კაცხოველის სიყრმის მეგობარი.

ჯუღელი საშუალო ტანის კაცი იყო. წინ წამოწეული შუბლი ჰქონდა, დაზნექილი ცხვირი და მაღალი კისერი. მის მიმართ რატომღაც უსიამოვნოდ განვეწყვე.

ლადო გულითადად შეხვდა სიყრმის მეგობარს. მან კარგად იცოდა, რა მიზნითაც იყო ჯუღელი ჩამოსული ბაქოში, მაგრამ არაფერი აგრძნობინა. ამ საკითხზე კრინტიც არ დაუძრავს, რამაც თავიდანვე წაახდინა ჯუღელი. როცა სევერიანმა ბოლოს მაინც გაანდო თავისი ჩამოსვლის მიზანი, ლადო ერთბაშად აყვირდა.

— რატომ არ გამანებებთ თავს, იცოდეთ, სულაც გავწყვეტ თქვენთან კავშირს. ასე მოგიხდებათ.

ჯუღელი გაწბილებული გაბრუნდა უკან და თბილისის ორგანიზაციის ოპორტუნისტულმა ფრთამ პირში წყალი ჩაიგუბა.

ჩვენი დაბეჭდილი ბროშურები და გაზეთი „ბრძოლა“ კი, რომელიც „ისკრის“ იდეებს ქადაგებდა, თბილისის გარდა საქართველოს სხვა დიდ ქალაქებშიც იგზავნებოდა.

„ისკრის“ მატრიცები კბილის ექიმ სოფიო გინზბურგის ბინის მისამართზე მოდიოდა. სოფიო ლადოს მეგობარი ქალი იყო და იმან არც იცოდა ამანათებში რა იყო.

იმ დღეს ვანო სტურუას ველოდებოდი. ხუთ საათზე ჩემთან უნდა მოსულიყო, ერთად უნდა წავსულიყავით გინზ-

ბურგთან, რომ „ისკრის“ ახალი მატრიცები მიგვეღო. ექვსის ნახევარი გახდა და ვანო მაინც არ ჩანდა.

მოუთმენლობამ შემიპყრო. გული ცუდს მიგრძნობდა. ვანომ არ იცოდა დაგვიანება. მოთმინებადაკარგულმა რამდენჯერმე ქუჩაში გამოვიხედე, მაგრამ სტურუა არა ჩანდა. მეტი გზა არ იყო, მარტო უნდა წავსულიყავ გინზბურგთან, საღამოს სტამბაში უნდა გადამეტანა მატრიცები და ღამით დაგვებეჭდა. პალტო გადავიცვი და ის იყო, ვანოც შემოვარდა. მთლად გაფითრებული და დაბნეული იყო, სულს ძლივს ითქვამდა.

— გინზბურგი დააპატიმრეს!

— გინზბურგი დააპატიმრეს?

ხმა ვეღარ ამოიღო, თავი დამიქნია დასტურის ნიშნად.

თავით ფეხამდე ჟრუანტელმა დამიარა, შეშფოთებული, დაღლილი ვანო სულს ძლივს ითქვამდა:

— როგორ დააპატიმრეს, რანაირად?

— ყუთი შემთხვევით დაიჭეჭყა. საბაჟოს მოხელეებს ტვირთი ეუცნაურათ, მაგრამ, ეტყობა, ვერ მიხვდნენ, შიგ რა იყო. ადგნენ და ჟანდარმერიას შეატყობინეს. მატრიცები ჟანდარმერიამ წაიღო. დღეს კი გინზბურგი დააპატიმრეს.

— ლადომ თუ იცის ეს?

— ლადო ვერა ვნახე, არც თავის ბინაშია და არც სტამბაში.

— აბა წავიდეთ, ლადო ვნახოთ.

ქუჩაში გამოვედით და პირდაპირ ლადოს სახლისაკენ წავედით. ლადო შინ დაგვხვდა, ახალი მოსული იყო. მან უკვე ყველაფერი იცოდა...

— ახლა დიდი სიფრთხილე გვმართებს. — გვითხრა ლადომ — „ისკრის“ მატრიცების ხელში ჩაგდებით პირველ თბილ ქვალს მიაგნო ჟანდარმერიამ.

ჩვენი რწმენით, ჟანდარმერიამ არ იცოდა, სად იმყოფებოდა სტამბა „ნინა“ და სად იბეჭდებოდა გაზეთი „ბრძოლა“.

— ახლა მთავარია რას იტყვის გინზბურგი! — ამოიკვნესა მთლად გაფითრებულმა ვანომ.

ლადომ მწარედ ჩაიცინა.

— გინზბურგმა რა უნდა თქვას, მან არ იცოდა, რა იყო ყუთში, ან საიდან მოდიოდა ეს ამანათი.

— ვითომ ჩავვარდით? — ვკითხე ლადოს.

— ჩვენი ჩავარდნა არაფერი, — ისევ გულგრილად მომიგო ლადომ. თითქოს ეს მისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო,— მთავარია, სტამბა გადავარჩინოთ. როგორმე უნდა გადავარჩინოთ სტამბა.

სოფიო გინზბურგის მისამართზე ხშირად მოდიოდა ამანათები, აკრძალული ლიტერატურა, მატრიცები, გასაშიფრი დეპეშები. მართალია სოფიომ არ იცოდა, რა იყო ამ ამანათებში, მაგრამ ის ხომ იცოდა, ვისთვის მოდიოდა ეს ამანათები? მთავარი იყო გინზბურგი რას იტყოდა. როგორც გავიგეთ, კბილის ექიმს ვაჟკაცურად ეჭირა თავი, ის მარტო იმას ამბობდა, ასეთი ამანათი პირველად მივიღე და არ ვიცი, ვინ გამოგზავნა ან ვისთვის გამოგზავნესო. სამი დღის შემდეგ სოფიო გაანთავისუფლეს, მაგრამ კარგად ვიცოდით, ჟანდარმერია ისეთი გულუბრყვილო არ იყო, რომ ყველაფერი ბრმად დაეჯერებინა. იგი უსათუოდ ახალ ხაფანგს აგებდა გინზბურგის გზით.

— გინზბურგის ბინას ახლოს არ გაეკაროთ, — გაგვაფრთხილა ლადომ, — ეჭვი არ არის, ჟანდარმერია უთვალთვალებს.

— მაგრამ რა ვუყოთ სტამბას? — სტამბაზე ფიქრი არ მასვენებდა.

ლადო დუმდა, გამოსავალს ვერაფერს პოულობდა. ასეთი დაბნეული იგი არასოდეს მინახავს.

— ამხანაგო ლადო, „ისკრას“ ხომ არ ვკითხოთ რჩევა?

ამის თქმაზე ლადოს სახე გაუბრწყინდა, მადლიერებით შემომხედა და სიხარულით დამეთანხმა. დაყოვნების დრო აღარ იყო. ბაქოს ფოსტიდან წერილის გაგზავნა, ალბათ, სახიფათო იქნებოდა, ამიტომ იმავე დღეს ვანო სტურუა აჯიკაბულში გაეგზავნა ბიქტორასთან ერთად და იქიდან გაგზავნეს წერილი. საზღვარგარეთიდან რამდენიმე დღეში ასეთი პასუხი მივიღეთ: „დროებით შეაჩერეთ მუშაობა. გაუფრთხილდით სტამბას. ჯერჯერობით იმუშავეთ უცხოური ლიტერატურის გავრცელებაზე...“

თითქმის თვე გავიდა და ყველაფერი მშვიდობიანად მიედინებოდა. მაგრამ გული მიგრძნობდა, რომ ჩვენ ირგვლივ ბანლაბუდა იქსოვებოდა, რომ რაღაც ავი და ფარსაგი გველოდა. სტამბა ისევ ავამუშავეთ. მართალია, ამჟამად იმდენი სა-

მუშაო აღარ იყო, რადგან „ისკრას“ ვეღარ ვიღებდით, მაგრამ სამუშაოს მაინც არ ვილევდით. საპირველმაისო პროკლამაციებს ვბეჭდავდით. თან დღე და ღამე ველოდით „ისკრიდან“ ცნობას, ლიტერატურა გამოგზავნილია და მიიღეთო. წინასწარ ასე იყო დათქმული, საფრანგეთის საზღვაო საზოგადოება „პიკე“ გვატყობინებდა, რომელ გემს მოჰქონდა მარქსისტული ლიტერატურა. ბათუმში დავხვდებოდით და იქ ვიღებდით ჩვენთვის ძვირფას ნივთს. მარტის დასაწყისში მივიღეთ ცნობა, გემ „ნეპოლს“ მოაქვს ლიტერატურა და ხუთ მარტს ბათუმში დახვდითო. ეს საპატიო და სახიფათო საქმე მე დამევალა და ბათუმში გასამგზავრებლად სამზადისს შევუდექი.

8.

— აგენტი ისაევი „ელექტროსილიდან“ მოვხსენი, თქვენო აღმატებულებავ, და გაზეთ „კასპიის“ რეპორტიორს მელენტიევს მივუჩინე. მან მელენტიევს წამოაცდევინა, რომ ბაქოში არსებობს საიდუმლო სტამბა, რომ მათ განზრახული აქვთ მოიპარონ ოთხი ფუთი შრიფტი, რაც სტამბას აკლია და მიიტანონ ეს შრიფტი ქარხანა „ელექტროსილაზე“.

როტმისტრი ვალტერი აქ შეჩერდა და უფროსს დააკვირდა. მინკევიჩს საბე უბრწყინავდა, ეტყობოდა, კმაყოფილი იყო იმ წარმატებით, რასაც ბაქოს ჟანდარმერიამ მიაღწია ამ ბოლო დროს და რაშიც გარკვეული წვლილი თვით ვალტერსაც მიუძღოდა. ჩიბუხს აბოლებდა და თავის ხელქვეითს ყურადღებით უსმენდა. ვალტერმა კი ბალისიანად განაგრძო:

— როგორც აგენტურა გვაცნობებს, ფარული წრეების ხელმძღვანელი აბელ ენუქიძე ამჟამად იმ სტამბაში უნდა მოღვაწეობდეს, ხოლო თბილისიდან დევნილი ლადო კეცხოველი, სავარაუდოა, ბაქოში იმალებოდეს. ჩვენს მიერ დაპატიმრებულ სოფიო გინზბურგს ურთიერთობა ჰქონია ვინმე დავით დემეტრაშვილთან. ეს გვარი სხვა საიდუმლო ცნობებშიც გვხვდება... შესაძლოა, იგი კეცხოველის მოგონილი გვარი იყოს. კიდევ ერთი მთავარი, თქვენო აღმატებულებავ, ჩვენი აგენტურის ცნობით, ევრეთწოდებულ ბაქოს ორგანიზაციას, რომელიც ოთხმოცამდე კაცისაგან შედგება, განზრახული აქვს

მოაწყოს საპირველმაისო დემონსტრაცია, აგენტურამ მოგვაწოდა ცნობა, რომ ცამეტ მარტს დანიშნულია ამ ორგანიზაციის კომიტეტის საიდუმლო სხდომა, იგი შედგება ქართულ სამკითხველოში, რომელიც ვიღაც საეჭვო პიროვნებას ნიკოლოზ დოლიძეს მოუწყვია ქართველი მუშებისათვის. ამ სხდომაზე დასახავენ საპირველმაისო დემონსტრაციის ღონისძიებებს. განზრახული გვაქვს ცამეტ მარტს დავაპატიმროთ მთელი კომიტეტი.

ვალტერი ისევ შეჩერდა და დააკვირდა, როგორ იმოქმედა ამ ცნობამ უფროსზე.

ჟანდარმთა შეფმა სიხარული და მღელვარება ვეღარ დამალა, წამოდგა, გაპრიალებული აზიურების ჭრაჭუნით გაიარ-გამოიარა, მერე უცებ შედგა და ვალტერს მიმართა:

— აი, მესმის მუშაობა, როტმისტრო. თითქმის ბოლომდე მივიყვანთ საქმეს, თუ ცამეტი მარტის ოპერაცია კარგად დამთავრდა. მერე სტამბასაც მივაკვლევთ და ამით დასრულდება ყველაფერი. — მინკევიჩი ჩაფიქრდა და ისევ გააგრძელა: — როტმისტრო, როგორ გგონია, ის შრიფტი რათ მიიტანეს „ელექტროსილაზე". იქ ხომ არ უნდა იყოს საიდუმლო სტამბა?

— არა, თქვენო აღმატებულებავ, როგორც აგენტს უთხრა მელენტიევმა, სტამბა „ელექტროსილაზე" არ უნდა იყოს და არც თვითონ სცოდნია, სად შეიძლება მდებარეობდეს. შრიფტი შესანახად გადააქვთ იქ, ხოლო როცა დროს იხელთებენ, სტამბაში გადაიტანენ. კრასინის დაწესებულება საიმედო დასაყრდენია მათთვის.

— გასაგებია, ადევნეთ აგენტი მაგ ვიღაც მელენტიევს. — შეფი შეჩერდა, ვალტერს შეხედა და ჰკითხა: — თუ ხედავ, როტმისტრო, რომ თბილისის ჟანდარმერია აგენტებს ჩვენდადამოუკიდებლად გზავნის და მისი ბრწყინვალების გენერალ დებილის მითითებით ის აგენტები ჩვენ არც გვიმხელენ საიდუმლოებას? ესე იგი, არ გვენდობიან.

შეფმა მისი ბრწყინვალება გენერალი დებილი ხაზგასმითა და დაცინვით წარმოსთქვა.

— ვიცი, თქვენო აღმატებულებავ.

— ვნახოთ, სადამდე წავლენ უჩვენოდ, — ჩაილაპარაკა მინკევიჩმა და ისევ როტმისტრს მიმართა, — როგორ გგონიათ,

ექიმმა სოფიო გინზბურგმა იცოდა თუ არა, იმ ამანათში რა იყო?

— მე მგონი ექიმი ვიღაცის ბრმა იარაღია, თქვენო აღმატებულებავ.

— მეც ასე მგონია. უთვალთვალებთ გინზბურგს?

— აგენტი მივუჩინეთ, მაგრამ მის ბინას აღარავინ გაჰკარებია.

— ფრთხილად იქცევიან, როტმისტრო. დიდი გამოცდილება აქვთ, — მერე ისევ დაფიქრდა და თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა, — საინტერესოა ასეთ ხალხთან მუშაობა და აზარტულიც.

— რა ბრძანეთ, თქვენო აღმატებულებავ? — ვერ გაიგო ვალტერმა.

მინკევიჩმა თვალები მოჭუტა, ხელქვეითს მიაჩერდა და ხმამაღლა გაიმეორა:

— ისა ვთქვი, როტმისტრო, რომ როცა ასეთი ფრთხილი და ჭკვიანი მოწინააღმდეგე გყავს, საინტერესო და აზარტულია მუშაობა. ასე არ არის?

ვალტერმა არ იცოდა, რა ეპასუხა, მხრები აიჩეჩა და ესღა ამოილუღლუღა:

— ალბათ ასეა, თქვენო აღმატებულებავ!

— ფრთხილად იმოქმედეთ, როტმისტრო. საიდუმლოდ დაიცავით აგენტურის ცნობები და ისე მოამზადეთ ცამეტი მარტისთვის ოპერაციაᲐ!

— გასაგებია, თქვენო აღმატებულებავ!

9.

ადექი მეგობარო, ბათუმში მოვედით! — ვიღაცა ანჯღრევს და ღრმა ძილიდან გამოჰყავს.

აბელი თვალებს იფშვნეტს, ჯერ უცხო მგზავრს აკვირდება, უხერხულად უღიმის და მერე ვაგონის ფანჯარაში იყურება. იყურება და მის თვალწინ იშლება მღელვარე ზღვა. თითქოს ზღაპრიდან ამოცურდაო იგი, ისე მოულოდნელი იყო მისი ხილვა.

— გმადლობთ, მეგობარო. — კვლავ გაუღიმა უცნობს და წამოდგა.

მატარებელი ბათუმში შედიოდა. ნაწვიმარი დილა იყო. ჰაერი თბილი და სასიამოვნო. ზღვის პირას უკვე იგრძნობოდა პირველი გაზაფხულის სუნი, რაც ძალზე აღელვებდა ხოლმე აბელს და ამ წუთში გაახსენდა გურიაში მოგზაურობა, სიჭაბუკის წლები და მეოცნებე თომა. ოღონდ მაშინ ნამდვილი გაზაფხული იყო და აქაურობაც უფრო ლამაზად გამოიყურებოდა.

მატარებელმა სვლას უკლო. ზღვა თვალს მოეფარა, ირგვლივ მხოლოდ შენობებიღა ჩანდა. ესეც ბათუმი. აბელი გაფაციცებით ათვალიერებდა ქალაქს და ბაქოს ადარებდა. ეს პატარა ქალაქი წალკოტად ეჩვენებოდა ჭუჭყიან, გადახრიოკებულ ბაქოსთან შედარებით.

მატარებელი უკვე ჩერდებოდა. აბელს პირველ რიგში სილიბისტრო ჯიბლაძე უნდა ენახა, ვინც ამჟამად ბათუმში მუშაობდა და ვისი დახმარებითაც ეს სახიფათო საქმეც უნდა მოეგვარებინა.

ზღვისპირა ქუჩაზე გავიდა. ქალაქი უკვე ფეხზე იდგა. ყოველდღიური ცხოვრების ორომტრიალში იყო ჩაბმული. მაღაზიის ვიტრინაში თავის ორეულს მოჰკრა თვალი. პირისახეზე ბალანი მოხშირებოდა, მეოთხე დღე იყო, წვერი არ გაეპარსა, როგორც კი სადალაქო შეხვდებოდა, აუცილებლად უნდა შესულიყო, წვერიც გაეპარსა და „პაკეს“ საზოგადოების კანტორაც ეკითხა, სად იყო. დიდხანს არ უვლია, უცებ თვალი მოჰკრა აბრას, ზედ რომ მიბრეცილ-მობრეცილი ასოებით ეწერა „სადალაქო“.

დალაქი პატარა ტანისა იყო, წელში მოღუნული და კისერმოღრეცილი.

— გავიპარსოთ? — გაუღიმა აბელმა.

— დაბრძანდით, ბატონო.

აბელი სარკის წინ დაჯდა. სარკეში ხედავდა, როგორ დაფაცურდა დალაქი. სუფთა, ახალი წინსაფარი ჩაიცვა, აბელსაც სუფთა ტილო ააფარა, ალბათ უცხო, საპატიო სტუმრისთვის რომ ჰქონდა გადანახული და საპონი ააქაფა.

— თქვენთან თბილა, უკვე ნამდვილი გაზაფხულია. — უთხრა აბელმა.

დალაქმა საპონი წაუსვა და სარკეში დააცქერდა.

— ბათუმში პირველად ბრძანდებით?

— დიახ, პირველად ვარ.

— თბილისიდან ხართ?

— დიახ. — ყოყმანით მიუგო აბელმა. — ნათესავი მყავს აქ და იმის სანახავად ჩამოვედი. „პაკეს“ კანტორაში მუშაობს. სად არის ეს კანტორა ხომ არ იცით?

დალაქმა ფრთხილად დაადო სამართებელი და ხმადაბლა უთხრა:

— „პაკეს“ კანტორა სანაპიროს ქუჩაზეა. ამ ქუჩას მიჰყვებით და ზღვას რომ მიადგებით, მარცხნივ შემობრუნდებით... ხომ არ გაყწრავთ?

— არა.

— მაგარი წვერი გაქვთ. — სამართებელი თასმახე ალესა და ისევ მიუბრუნდა. — ეს ინგლისური სამართებელია, ალმასივით სჭრის.

წვერგაპარსული აბელი სარკეში ათვალიერებდა თავის თავს. ახლა თითქოს სულ სხვა კაცი იყო, გამშვენიერებული და გაყმაწვილებული.

დალაქს გამოემშვიდობა და ქუჩას გაჰყვა. შორიდანვე დაინახა ზღვა. იგი დაწყნარებულიყო. ახლა უფრო დინჯად აწყდებოდა ნაპირს. ქუჩებში კანტიკუნტად დადიოდა ხალხი, აბელს აოცებდა აქაური სიმშვიდე და სიწყნარე. ზღვის პირზე გასულმა მარცხნივ შემოუხვია, როგორც იმ დალაქმა ასწავლა და შორიდანვე დაინახა ჩუქურთმიანი, ცისფერი შენობა. მისი ვარაუდით ეს უნდა ყოფილიყო, რასაც ეძებდა და არც შემცდარა.

შენობის სადარბაზოსთან შეჩერდა და თითქოს რაღაც უხილავმა იარაღი აჰყარაო, შიში ჩაუდგა სხეულში, მთელი სიცხადით შეიცნო, რა სახიფათო საქმე ელოდა წინ, მაგრამ ჯიბლაძის დახმარების იმედი ამაგრებდა. კიბეს აჰყვა და აგერ ის უკვე ჯიბლაძის წინ ზის.

თავისი ჩამოსვლის მიზეზი გაანდო, დახმარება სთხოვა და მის პასუხს ელის.

სილიბისტრო ისევ ისეთია, როგორიც ახსოვს. შუბლამობურცული, წვრილკისერა, თვალები თავხედური და დამცინავი.

სილიბისტროს თავი ასწია, დამცინავი, ოდნავ ელამი თვალებით აბელს მიაჩერდა და ძლივს ამოღეჭა:

— ეს საქმე კარგად არ დაბოლოვდება, თუ თავის დაღუპვა არ გინდათ, მაგ განზრახვაზე ხელი აიღეთ.

აბელი შეცბა, ასეთ პასუხს არ მოელოდა. მაშ, აქედან ხელცარიელი უნდა დაბრუნდეს? რა იმედით მოდიოდა ბათუმში, რა მოუთმენლად ელიან ამხანაგები და აქ კი ჯიბლაძემ ცივი წყალი გადაასხა ერთბაშად.

— რადაც არ უნდა დამიჯდეს, — მტკიცედ უთხრა აბელმა, — და რანაირი ბოლოც არ უნდა ჰქონდეს ამ საქმეს, მე მაინც ხელცარიელი ვერ დავბრუნდები უკან.

ჯიბლაძე გაოცებით დააკვირდა, ეტყობა, მისგან ასეთ სიმტკიცეს არ მოელოდა.

— რაკი ეგრე გაგიწირავს თავი, მე ერთ გზას გასწავლი. სხვა არაფერი შემიძლია, კანტორაში მუშაობს აჭარელი მამედ დიასამიძე, ცოტა ფული უნდა აჩუქო და ის დაგეხმარება, ოღონდ არ ვიცი, გენდობა თუ არა.

საგონებელში ჩავარდნილ აბელს ბუნდად ესმოდა ჯიბლაძის ხმა. მან ერთი რამ დაიმახსოვრა ყველაზე კარგად, მამედ დიასამიძე. ვნახავ, ვცდიო, სილიბისტროს ასე უთხრა და ცივად გამოემშვიდობა, „არ ვიცი, გენდობა თუ არა". ყურებში ედგა ეს სიტყვა. ბევრი არ უფიქრია, იმ წუთიდან შიშიც დაკარგა და სიფრთხილეც. კანტორიდან გამოიხმო მამედ დიასამიძე და ცალკე გაიყვანა.

მამედა ორმოციოდე წლის კაცი იქნებოდა. ზორბა, ძვალმსხვილი. ქორივით თვალები ჰქონდა, მკვირცხლი და გამჭოლავი. აბელს თავით ფეხამდე ათვალიერებდა, თითქოს ცდილობს ამოიცნოს, ეს კაცი სანდოა თუ არაო. აბელს კი მეტი აღარაფერი დარჩენოდა, სათქმელი პირდაპირ უთხრა:

— ვინ მოგასწავლა ჩემთან? — ჰკითხა აჭარელმა.

აბელი ჩაფიქრდა, არ იცოდა, რა აჯობებდა, თქმა თუ უთქმელობა.

— სანდო მეგობარი მყავს, აქ, სილიბისტრო ჯიბლაძე.

— აჰა, გასაგებია. ჩაილაპარაკა აჭარელმა და ერთხელ კიდევ შეათვალიერა აბელი. — მერე, რით შემიძლია დაგეხმარო?

აბელს გულზე მოეშვა, საქმეს კარგი პირი უჩანდა და უკან აღარ დაიხია.

— თქვენ უნდა გამიგოთ ტვირთი ნამდვილად არის თუ არა გემზე. გარდა ამისა, რამდენადაც ვიცი, გემი ამაღამ გადის ბათუმიდან. ნავი უნდა ვიშოვნოთ და ბინდისას გემთან მივაცუროთ. მზარეული გემბანზე იქნება, მე მას ვეტყვი პაროლს და ტვირთს გადმოგვიყრის.

— გასაგებია. — მოკლედ მოსჭრა აჭარელმა, — მაგრამ ხომ იცით ეს საქმე რა სახიფათოა, ერთი ნაბიჯი და ციხის კარებთანა ხარ.

— ეგეც ვიცი, — მიუგო აბელმა, მერე ჯიბეზე ხელი გაიკრა და თუმნიანი გაუწოდა. — ეს ბე იყოს, როცა ტვირთს მივიღებთ, ხუთმეტ მანეთს კიდევ მოგცემ.

მამედას თვალები აუციმციმდა, ფული ჯიბეში ჩაიდო და აბელს თავისი ვეება ხელი მეგობრულად დაადო მხარზე, ნიშნად იმისა, ყველაფერი რიგზე იქნებაო.

— გაიარ-გამოიარე და ერთი საათის შემდეგ ისევ აქ დამელოდე. ერთ საათში მამედას ყველაფერი ეცოდინება. ნუ გეშინია, მაგ საქმიდან მშრალად ამოვალთ. მამედა ასეთ საქმეში გაწვრთნილია.

ზუსტად ერთი საათის შემდეგ აბელმა გაიგო, რომ გემზე მართლაც იყო ლიტერატურა.

— როგორც კი შებინდდება, ზღვის სანაპიროზე დაგვიხვდი, გემთან ახლოს. მე და ერთი ჩემი მეგობარი ნავით მოვცურდებით ნაპირზე.

ამ პირობით დასცილდნენ ერთმანეთს.

ბინდისას აბელი უკვე ზღვის სანაპიროზე იყო. შორიახლო ჩანდა განათებული გემი, ამ ღამით რომ უნდა მოწყვეტოდა ნაპირს.

ტყლაშუნით ლოკავდა ზღვა ქვიშიან ნაპირს. აბელი მოუთმენლად ელოდა ნავის გამოჩენას, მაგრამ ის ჯერ არსად ჩანდა. მთელი სანაპირო უკაცრიელი იყო. ცაზე უკვე დასხდნენ ვარსკვლავები. სადღაც აქა-იქ აანთეს სინათლეები, აბელის წინ კი უსასრულო, ბნელით მოცული ზღვაა გაშლილი. მან უცებ შიში და უიმედობა შეიგრძნო, თავზე დამხობილი ეს ვეება ცა, მის წინ მდებარე შავი უფსკრული, თითქოს რაღაც საშინელებას უქადდა. თავისი თავი ამ სამყაროში უსუსურ

ზღილად წარმოიდგინა და გული სევდამ დაუმძიმა... ნავი კი ჯერაც არ ჩანდა. ნუთუ არ მოვა? ხომ არაფერი შეემთხვათ, ვაითუ გაებნენ! მაშინ აბელიც ჩავარდება და მთელი გეგმაც ჩაეშლებათ. იქნებ სულაც მოატყუოს და არ მოვიდეს? ლოდინი თანდათან უმძიმდებოდა, ყოველი ჩქამი ჟრუანტელად უვლიდა ტანში. წამისწამ ელოდებოდა, რომ გამოჩნდებოდნენ ვიღაცეები და შებოჭილს წაიყვანდნენ. იგი შორიდან ხედავდა თუ გრძნობდა, როგორ ფაციფუცობდნენ გემზე. ალბათ წასასვლელად ემზადებოდნენ, ნავი კი არა და არ ჩანდა. ზოთმინების ძაფი გაილია, სადაც არის გაწყდება. ზღვა ღელვას უმატებს, აბელს ფეხებზე ურტყამს გამოტყორცნილი ტალღა, თითქოს ცდილობს, როგორმე მისწვდეს ამ უსუსურ არსებას და შთანთქას, ჩაყლაპოს.

ზღვის სიღრმეში სინათლე გაკრთა და ისევ ჩაქრა. აბელმა თვალები ჭყიტა, იმ წერტილს მიაჩერდა და მალე ისევ დაინახა ის პატარა, მაგრამ დიდი იმედის მომცემი შუქი.

გემმა საყვირი მისცა. ალბათ, გასასვლელად ემზადებოდა. ის-ის იყო წყდებოდა ზოთმინების ძაფი, რომ ნაპირისკენ მომავალი ნავი შენიშნა.

„ვაითუ ისინი არ არიან", — გაიფიქრა და მიხვდა, რომ ამ საღამოს რამდენიმე ღერი ჭაღარა მოემატებოდა. ნავი ნაპირზე გაჩერდა, ვიღაცა გადმოვიდა და ჯიქურ წამოვიდა. როცა მთლად ახლოს მოვიდა, მაშინღა იცნო აჭარელი.

— წავიდეთ! — მოკლედ მოსჭრა მამედამ. აბელი უხმოდ გაჰყვა, მერე ნავში ჩასხდნენ და მამედამ ჩურჩულით გასცა ბრძანება:

— გაუტიე, მალე გემი გავა! — ნავი დაიძრა. მენავე ნიჩბებს ფრთხილად უსვამდა.

— თამბაქო არ მოსწოოთ! — ჩურჩულით თქვა მეწავემ. აბელმა პირველად გაიგო მისი ბოხი, ჩახლეჩილი ხმა.

უხმოდ მისრიალდნენ გემთან. მენავე თითქმის აღარ ხმარობდა ნიჩბებს. ნავი ახლა ნელა ირწეოდა ადგილზე და აბელი ვერ მიმხვდარიყო, მიდიოდა თუ იდგა.

ვეება გემი უკვე იძვრებოდა. გემბანზე არავინ ჩანდა. აბელს გული უფანცქალებდა. ენის წვერზე ედგა პაროლი. როგორც კი გემბანზე კაცი გამოვიდოდა, ის, რა თქმა უნდა, მზარეული იქნებოდა, აბელი მაშინვე პაროლს ეტყოდა.

აგერ გემმა ზღვას გადაბღავლა და შეტოკდა. მენავემ ნავი უფრო ახლოს მიაცურა. ამ დროს გემბანზე კაციც გამოჩნდა.

— სალამი პარიზს! — ხმადაბლა დაუძახა აბელმა. ადამიანის ლანდი ცოტა ხანს კიდევ შეყოყმანდა და გემბანს მოსცილდა. გემი თანდათან უმატებდა სვლას, მენავემ ნიჩბები მოუსვა. ორიოდე წუთის შემდეგ გემბანიდან გადმოსროლილმა ბარგმა წყალში მოადინა ტყაპანი. ფრთხილად მიაცურეს და წყალში მოტივტივე ფუთა ნავში გადმოიტანეს. გასანთლულ ქაღალდს, ფუთას რომ ჰქონდა შემოკრული, სისველე არ გაჰკარებოდა. აბელმა გვერდზე მოიდო ფუთა და თითქოს სიყვარულით შემოხვია ხელი. მენავემ ნავი შემოაბრუნა, ნიჩბები მარჯვედ მოუსვა. აბელმა შეამჩნია, რომ იგი ნაპირისკენ წასვლას ჯერ არ ჩქარობდა, გარდიგარდმო სჭრიდა ზღვას. კარგა ხანს იარა ასე და როდის-როდის გეზი ნაპირისაკენ აიღო. ნიავმა დაუბერა, ზღვისა თუ თევზის მძაფრი სუნი მოიტანა.

— ესეც ეგრე, საშიში ახლა აღარაფერია, — სიბნელეში თეთრად გაიელვა მამედას კბილებმა, — მატარებლამდე გაგაცილებთ, ბათუმიდან მშვიდობით გაგისტუმრებთ და მერე შენ იცი.

მენავემ ფუთა ხვნეშით გადმოიღო ნაპირზე და ნავი ბოძზე მიაბა. მატარებლის გასვლამდე დრო ბევრი ჰქონდათ. აბელმა პირობის თანახმად თხუთმეტი მანეთი კიდევ მისცა აჭარელს და ორივენი სამიკიტნოში შეიპატიჟა.

შეზარხოშებულებმა ერთმანეთს ძმობა შეჰფიცეს.

— თქვენი ნავი ხშირად დამჭირდება, ბიჭებო! — ეუბნებოდა აბელი.

— როცა გინდოდეს, ჩვენი თავი შენი ფეშქაში იყოს, საქმე ფული კი არ არის, საქმე ძმობაშია. — გულზე ხელს იდებს მამედა.

აბელმა კარგად იცოდა, რომ ამათი თავი მართლაც ხშირად დასჭირდებოდა და ისიც კარგად უწყოდა, რომ აჭარელები, ერთხელ თუ ძმობას შეჰფიცებენ კაცს, აღარ უღალატებენ.

10.

სანთელი იწვის და იღვენთება. ოთახში გამეფებულ სრულ მყუდროებას საბეჭდი დაზგის თანაბარი ხმაური და ჩამობეჭდილი ფურცლების შრიალი არღვევს. ალბათ, შუაღამე უკვე გადავიდა. მამლების პირველი ყივილი ყრუდ აღწევს. სრული მყუდროების ჟამს უცნაურია მამლების ყივილი, თითქოს ამქვეყნიური ცხოვრება დასრულებულა და იღბლად გადარჩენილი მამლები სევდიანი ყივილით მისტირიანო ქვეყნის მწარე დასასრულს.

ოთახში საღებავისა და თამბაქოს მძაფრი სუნი ტრიალებს. სამი კაცის ლანდი მოძრაობს, დაბეჭდილ პროკლამაციებს აწყობენ, საბეჭდ მანქანას უტრიალებენ და ნაბეჭდს ამოწმებენ.

— აბელ, შენ მაინც წაიძინე, — ემუდარება ბოგდან კნუნიანცი, — საშენო საქმე აქ აღარაფერია.

— ვცადე, მაგრამ არ დამეძინა. — პასუხობს ძილგატეხილი აბელი.

როცა მთელი კორექტურა ჩაიკითხა, აბელმა მართლაც სცადა ცოტა ხნით წაეძინა, მაგრამ რაღაც უემურმა ფიქრმა ჩაითრია, ჩაიყოლია. გაურკვეველი შიში და ავი წინათგრძნობა შეუჩნდა. ხან სოფლისკენ გაექცა ფიქრი, თავისიანები გამოეცხადნენ, ხან ეთერი გაახსენდა.

ვერა და ვერ დააღწია იმათზე ფიქრს თავი, რამაც უარესად წაუხდინა გუნება. ძილგატეხილმა ლენინის ახალი წიგნი „რა ვაკეთოთ“ აიღო და გადაათვალიერა. „ისკრის“ მიერ გამოცემული ეს ნაშრომი იმ ლიტერატურას მოჰყვა, ბათუმში რომ მიიღო აბელმა საიდუმლოდ.

„სრული ჭეშმარიტებაა, — გაიფიქრა მან, — ახლა მართლაც ორი მიმართულება გაჩნდა, ერთი რევოლუციურ-მარქსისტული იდეების დამცველი, ხოლო მეორე ახალი „ოპორტუნისტული, ვინც ვითომდა დოგმატურ მარქსიზმს გმობს, სინამდვილეში კი რევოლუციური ბრძოლის წინააღმდეგ გამოდის“.

ასეთები ხომ თბილისის ორგანიზაციაშიც გამოჩნდნენ. სწორედ ისინი უწევდნენ წინააღმდეგობას ბაქოში გაზეთ „ბრძოლის“ დაარსებას.

ფიქრით დაქანცულს აღარ დაეძინა. ისევ წამოდგა, ბოლ-

ქვაძეს სთხოვა შეგვნაცვლებიო, მაგრამ ვაბო უარზე დადგა. ოთახში, სადაც სტამბა იყო მოთავსებული, ერთადერთი ხის საწოლი იდგა და ხანდახან ვანო ბოლქვაძე ღამესაც ათევდა იქ.

თოთხმეტი მარტი თენდებოდა. გუშინ საღამოს კი, ცამეტ მარტს, კომიტეტის სხდომა იყო დანიშნული. ვინაიდან სტამბა დღეს თუ ხვალ სხვა ქალაქში უნდა გადასულიყო „ისკრის" მითითებით, კომიტეტმა გადაწყვიტა სასწრაფოდ ჩამობეჭდილიყო საპირველმაისო პროკლამაციები. ამიტომ სხდომას სამი წევრი არ ესწრებოდა, ლადო კეცხოველი, აბელ ენუქიძე და ბოგდან კნუნიანცი. გუშინ დილითვე შეუდგნენ საქმეს, ააწყეს პროკლამაციები, კორექტურა ჩაასწორეს და მთელი დღის ჯაფით დაქანცულებმა, გვიან ღამით დაიწყეს ბეჭდვა.

საღამოს კეცხოველი შეუძლოდ გახდა, მეგობრებმა ძლივს დაითანხმეს შინ წასულიყო და დაესვენა. ლადო აღარც იყო საჭირო, კორექტურას აბელიც თავისუფლად აუვიდოდა.

განთიადი ისე მოიპარა, ვერ გაიგეს. ერთადერთი ფანჯრიდან გამოჩნდა მტრედისფერი ცა. უძილობისაგან და ჯაფისაგან ფეხზე ძლივს იდგნენ, მაგრამ მეტი გამოსავალი არ იყო, გათენებამდე უნდა მოესწროთ პროკლამაციების ჩამობეჭდვა. ქარხნის საყვირი უკვე მოუხმობდა მუშებს. მამლებმა ყივილით გააცილეს ღამე და მიჩუმდნენ.

კარებზე კაკუნი გაისმა. სამივემ ერთმანეთს გადახედეს, ვინ უნდა ყოფილიყო ამ დილაადრიანად? სახლის პატრონი ალი ბაბა? ის ასე ადრე არ შეგვაწუხებდა.

— ლადო ვარ, კარი გააღეთ!

და აბელი მიხვდა, იგი უამბოდ არ მოვიდოდა.

ლადო შემოვიდა, დასტად დალაგებულ პროკლამაციებს გადახედა, მერე სამივენი შეათვალიერა, კითხვის გამომხატველი თვალებით რომ მისჩერებოდნენ და ხმადაბლა თქვა:

— წუხელ მთელი კომიტეტი დააპატიმრეს. კიდევ კარგი აქ იყავით და თქვენ მაინც გადარჩით.

ლადოს ფერდაკარგული სახე განაწამებს ჰგავდა, თითქმის ძლივს იდგა ფეხზე. აბელს ასეთი არასოდეს უნახავს იგი.

ერთი წუთით მძიმე დუმილი ჩამოვარდა. აბელმაც და კნუნიანმაც ფერი დაკარგეს და ერთმანეთს გადახედეს. ბოლქვა-

ძე საბეჭდ მანქანას მხრით მიჰყრდნობოდა და გულხელდაკრეფილი იდგა.

— სტამბა რამენაირად უნდა გადავარჩინოთ, — თქვა ლადომ, — დღეიდანვე უნდა ვიზრუნოთ ამაზე, თორემ ჟანდარმერია დღეს თუ ხვალ მოგვაგნებს.

როცა გგონია, ბედის ჩარხი შენს ნებაზე მომართე და წაღმა ტრიალებს, ამ დროს ეშმაკს არა სძინავს. ფხიზლად გითვალთვალებს, მოთმინებით აწყობს გეგმას და საწამებელ კუპრს ხარშავს.

ცხოვრება კეთილისა და ბოროტის ჭიდილია, ცხოვრების გაღმა სიკეთისთვის მებრძოლნი ფუსფუსებენ, გამოღმა სიბოროტის მთესველნი, არც მათ ეძინათ, იმის ცდაში იყვნენ, როგორ გაებათ ობობას ქსელი. ამ ქსელს კი მოთმინებით ქსოვდნენ მინკევიჩი თუ ვალტერი, დებილი თუ რუნიჩი, ჟანდარმერიის ჩინოსნები, უჩინო ჯაშუშები, გროშად რომ მიჰყიდეს ეშმაკს სული. და აი, მოქსოვეს აბლაბუდა და შიგ პირველი მსხვერპლიც გააბეს.

აბელი კვლავ საგონებელში ჩავარდა. ახლა იმაზე ფიქრობდა, სად ან რა გზით შეიძლებოდა დაზგისა და თხუთმეტი ფუთი შრიფტის გადაზიდვა და გადამალვა. უნებურად, თითქოს განგების წყალობით, ბიქტორა ბაქრაძე გაახსენდა და ხსნის გზაც გამოჩნდა. ბიქტორა ხომ მემანქანის თანაშემწედ მუშაობდა ბაქო-აჯიკაბულის გზაზე. აჯიკაბულში აბელს და ბიქტორას საერთო მეგობარი ჰყავდათ საწყობში, სანდო და გამტანი კაცი, მაგრამ ყველაფერ ამას დაზუსტება უნდოდა, წინასწარ შეთანხმება და მოლაპარაკება. არადა დრო აღარ ითმენდა, კაცმა არ იცოდა, ჟანდარმერია როდის მოადგებოდა ბუნაგს.

— ერთი საიმედო გზა არის, ყველაზე საიმედო, — თქვა აბელმა. — ბიქტორა ბაქრაძეს უნდა მოველაპარაკო, თუ დამეთანხმა, შრიფტს აჯიკაბულში გავატან და ის საიმედო კაცთან შეინახავს.

ლადომ ისე შეხედა აბელს, თითქოს სიკვდილმისჯილს მხსნელი მოევლინაო.

თითქოს სიმხნევე ვიღაც უხილავმა შთაბერა აბელს. უძილობა და დაღლილობა გაუქრა. სირბილით გავარდა სახლი-

დან. როცა ალი ბაბას სახლს კარგა მანძილით გასცდა, თავისუფალი ეტლი დაინახა და ხელი დაუქნია.

— რკინიგზის რაიონში! — უბრძანა მეეტლეს.

• • •

„წუხანდელი ნაქეიფარია“, — გაიფიქრა აბელმა, როცა ლოგინიდან ახლადწამომდგარმა ბიქტორამ კარი უხალისოდ გაუღო და გასიებული არეული თვალებით დააშტერდა, უგერგილოდ გაუღიმა ნაადრევად მოსულ სტუმარს და მისალმების ნაცვლად ეს ჰკითხა:

— განა რომელი საათია?

აბელს ეწყინა, ბიქტორა რომ ასეთ ყოფაში დახვდა, რა უნდა გააგებინოს მას? მაგრამ ბაქრაძე ნელა-ნელა მოვიდა აზრზე, სტუმარს სახეზე შეატყო შეშფოთება და მაშინვე ჰკითხა:

— ხომ არაფერი მოხდა?

— მოხდა, — თავი დაუქნია აბელმა. — წუხელ მთელი კომიტეტი დააპატიმრეს.

— კომიტეტი დააპატიმრეს? მერე შენ...

— ჩვენ სტამბაში ვმუშაობდით და გადავრჩით.

ბიქტორა დუმდა, აბელს მოეჩვენა, რომ ეს დუმილი დიდხანს გაგრძელდებოდა და გულმა აღარ მოუთმინა, ისევ თვითონ განაგრძო:

— მისმინე, ბიქტორ. სტამბა ხიფათშია. როგორმე უნდა გადავარჩინოთ. იმიტომ მოვედი შენთან.

— დაჯექი, თუ ღმერთი გწამს! — ბიქტორამ სკამი გამოუდგა, თვითონ ახვეტილი საბანი გაასწორა, მძიმედ ამოიოხრა და მიუგო: — თუ რამეში გამოგადგებით, ჩემი თავი თქვენ გენაცვალოთ.

— ბიქტორ, აჯიკაბულში უნდა გავხიზნოთ შრიფტი, ჯოკარევს მიაბარებ საწყობში.

ბიქტორა ჩაფიქრდა. იგი თანდათან ფხიზლდებოდა და აზრი უბრუნდებოდა.

— რამდენი ფუთი იქნება?

— ხუთმეტამდე, მაგრამ რამდენიმე გზობაზე წაიღებ.

— კი ბატონო, დღესვე შეგვიძლია შევუდგეთ მაგ საქ-

მეს, სამ საათზე გავდივარ აჯიკაბულში, მაგრამ დაზგას რას უშვრებით?

— არ ვიცი, დაზგას დღესვე დაშლიან ბიჭები და რაღაცას მოვუხერხებთ. ალბათ, ლადო მოიფიქრებს რამეს, თუ დაგვცალდა.

— აბელ. — ბიქტორა ცალ ხელს შებლით დაეყრდნო და თვალებმოჭუტულმა გამოხედა მეგობარს. — დაპატიმრებულებიდან ვინ იცის სტამბის ადგილსამყოფელი?

— ვანო სტურუამ და კიდევ ორიოდე კაცმა.

— მერე, ნუთუ ისინი გასცემენ სტამბას?

— რა იქნება, ეგ არავინ ვიცით, ეს ერთი და, მეორეც, გინდაც არ გასცენ, ჟანდარმერია მაინც მოაგნებს კვალს. როგორ და რანაირად ეს რომ დაწვრილებით ავხსნათ, შორს წავალთ. ამიტომ დრო არ ითმენს და ასე შევთანხმდეთ, დღესვე გამოგიტანთ მატარებელზე ნაწილ შრიფტს. წავედი ახლა, სტამბაში მელოდებიან.

ბიქტორაც წამოხტა.

— მეც წამოვალ, მოგეხმარებით.

— არავითარ შემთხვევაში, შენ ამ საქმეში არც უნდა ჩაერიო.

და აბელმა სიხარული ვეღარ დამალა, ბიქტორას გადაეხვია, მხარზე მაგრად დაარტყა ხელი და ისევ სტამბისაკენ გასწია.

სტამბაში კი ასე მოილაპარაკეს, ორი დღე მოუნდებოდა თუ სამი, აბელს უნდა გაეზიდა შრიფტი, ხოლო ლადო დაზგის გაგზავნის საქმეს გაჩარხავდა. იმ დღესვე დაიწყეს შრიფტის შეფუთვა და აბელმა პირველი ფუთა მშვიდობიანად ჩააბარა ბიქტორას ორთქლმავალზე.

მეოთხე დღე კვირა გათენდა. დილიდანვე მოღრუბლული იყო, წვიმდა, მიუხედავად ამისა, ბაქოს რკინიგზის ვაგზალზე ხალხმრავლობა იყო. ამ ხალხში გზას მიიკვლევდა აბელი. ხელში ორი მძიმე ფუთა ეჭირა, თითო ორ ფუთამდე იქნებოდა. შუბლზე ხვითქი გადასდიოდა, მაგრამ ვინც კარგად დააკვირდებოდა, მიხვდებოდა, რომ ეს მარტო ჯაფისა კი არა, ჭირის ოფლიც იყო. დღესაც, დღესაც თუ გადარჩა აბელი, მერე აღარაფრის ეშინია. დაზგა დაშლილია, დღეს უნდა ჩააბარონ ნავსადგურში, ვითომ სახარატო დაზგაა და პეტროვსკში აგზავ-

ნიან. ეს საქმე ლადომ გაჩარხა. ბიჭები აბელის დაბრუნებას მოუთმენლად ელიან. დღეს ბოლო დღეა და ეშინიათ, დანა ხარის კუდზე არ გადაუტყდეთ.

აბელმა ბარგი ძირს დადო. მკლავები დაწყვეტაზე აქვს, მთელი ძალა გამოწურა მძიმე ტვირთმა. გამვლელ-გამომვლელს ყურადღებით აკვირდება. ცდილობს გულგრილად დაიჭიროს თავი, მაგრამ ვერ ახერხებს. ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს, სადაც არის, სტაცებენ ხელს და ეტყვიან, აბა, წამობრძანდი შენი ხელბარგიანად, ვნახოთ, რა მიგაქვსო.

აგერ, აჯიკაბულის მატარებელი უკვე წასასვლელად ემზადება. საქვაბე წყლით აუვსიათ. ორთქლმავალი ქშინავს. ორიოდე წუთიც და ამ ძვირფას ტვირთს ბიქტორას ჩააბარებს. განზე არ გაუხედავს, ისე გაიარა დარჩენილი გზა, ორთქლმავალთან მივიდა და ბარგი ბიქტორას მიაწოდა, მოუთმენლად რომ ელოდა მას.

როცა უკან შემობრუნდა, ერთხელ კიდევ გაუჩნდა ის შეგრძნება, ვინმე ხელს მტაცებსო, მაგრამ მის ახლომახლო არავინ იყო. ორთქლმავლის ქვეშ მექანიკოსი შემძვრალიყო და ბორბლებს სინჯავდა.

აბელის გულში მხიარულმა ჰანგმა დაჰკრა, ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც უნდოდა. სადგურში მესამე ზარმა ჩამოჰკრა. მატარებელმა შეჰკივლა და დაიძრა. აბელმა ორთქლმავალს გახედა. ბიქტორა ხელის აწევით ესალმებოდა. თვითონაც ხელი აუწია, მერე გამობრუნდა და ტვირთისაგან მოსვენებული, მტკიცე ნაბიჯით გაჰყვა გზას. მაგრამ სწორედ მაშინ უმტყუნა ძალამ, მთელი სხეული თითქოს მოერღვა, თვალები აუჭრელდა, ფეხზე ძლივს იდგა. ბარბაცით მივიდა სველ, ჭუჭყიან მერხთან და ჩამოჯდა, რომ არ წაქცეულიყო.

საყელო გაიხსნა, წვიმის ცივ წვეთებს პირისახე შეუშვირა, ცოტა მოხალისდა, უცებ მომწყდარმა წამლეკავმა ტალღამ გადაიარა.

აბელმა იცოდა, ეს საშინელი დღეები, ის მძიმე განცდა სამუდამო დაღად დააჩნდებოდა მთელ მის შემდგომ ცხოვრებას.

11.

როტმისტრი ლავროვი მარტის ბოლოს დაბრუნდა ბაქოდან, სადაც უშუალოდ თბილისის ჟანდარმერიის უფროსმა გენერალ-მაიორმა დებილმა მიავლინა ბაქოს კომიტეტის წევრთა დაპატიმრებასთან დაკავშირებითა და ზოგიერთი საიდუმლო საქმეების მოსაგვარებლად.

დებილი მოუთმენლად ელოდა ლავროვს, რა ახალ ცნობებს ჩამოიტანდა, რომ პოლიციის დეპარტამენტისთვის ანგარიში გაეგზავნა. ახალმა საიდუმლო გაზეთმა „ბრძოლამ", სხვადასხვა პროკლამაციებმა და „ისკრამ", ეპიდემიასავით რომ მოედო თბილისს, ჟანდარმთა შეფს მოსვენება დაუკარგა და თვით მინისტრის სიტყვიერი საყვედურიც კი დაიმსახურა „პასიური მუშაობისთვის".

დებილმა მაშინვე დაითხოვა ხალხი, როგორც კი ბაქოდან დაბრუნებულმა ლავროვმა კარი შემოაღო. მოკითხვისა და მისალმების შემდეგ, ლავროვმა საქაღალდე გადახსნა და მაგიდაზე დადო.

დებილმა მელოტი თავი მოიქექა, სავარძელზე გადაესვენა და სმენად იქცა. ლავროვმა კარგად იცოდა შეფის ჩვევა, უკვე დრო იყო დაეწყო.

— ყველაფერი მიკვლეული და შესწავლილია, თქვენო აღმატებულებავ.

— კერძოდ, როტმისტრო?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, თქვენო აღმატებულებავ, რომ, როგორც გამოკვლევის შედეგად დავრწმუნდი, ყველა პროკლამაცია, ქართული საიდუმლო გაზეთი „ბრძოლა", რომელიც შარშან წლის მიწურულში გამოჩნდა და თვით გაზეთი „ისკრა" იბეჭდება ქალაქ ბაქოში.

ჟანდარმთა შეფი სავარძელში შეტოკდა, თანხმობის ნიშნად ცხენივით დაიქნია გრძელი, მელოტი თავი და ჩაილაპარაკა:

— მაგას აკი მეც ვირწმუნებოდი, როტმისტრო.

— დიახ, თქვენო აღმატებულებავ. — და ლავროვმა ისევ რიხით განაგრძო, — ამ საიდუმლო გამოცემის მოთავეებად ასახელებენ პოლიციისაგან დევნილ ლადო კეცხოველსა და მის მეგობარს ვინმე აბელ ენუქიძეს. როცა საიდუმლო გამო-

ცემები გადავათვალიერეთ, აღმოჩნდა, რომ ძირითადად ეს ის მასალებია, თბილისში რომ ვრცელდებოდა, „ისკრა“ და „ბრძოლა“, აგრეთვე პროკლამაციები, გაფიცვისკენ რომ მოუწოდებდნენ მუშებს. ნიშნეული ის გახლავთ, თქვენო აღმატებულებავ, რომ ამ გამოცემების არც ერთ ეგზემპლარს არ აზის თბილისის კომიტეტის ტვიფრი, მაშინ როცა თბილისის ყველა გამოცემას აქვს თავისი ტვიფრი. ბაქოში ჩხრეკვისას 13—14 მარტს აღმოჩნდა იუმორისტული ნახატი, — ლავროვმა საქაღალდედან ამოიღო ეს ნახატი და შეფს წინ დაუდო, — რომელზედაც გამოხატულია ტვირთისაგან წელში მოკაკვული ხალხი. მათ მხრებზე ასხედან მდიდრები „ვინც მათ ცოცხლად სჭამენ“, — სამღვდელოება...

— განაგრძეთ, ლავროვ! მე გისმენთ. — გენერალ-მაიორი ნახატს მთელი გულისყურით ათვალიერებდა და როტმისტრმა ცოტა უხალისოდ განაგრძო.

— სამღვდელოება, „ვინც მათ ატყუებს“, სალდათები, „ვინც მათ ხვრეტენ“, მინისტრები, „ვინც მათ გამგებლობენ“, ხოლო ნახატის თავზე გამოსახულნი არიან ხელმწიფე იმპერატორი...

— ეს რა თავხედობაა! თვით ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი... ხედავთ, როტმისტრო! — აღშფოთებით წამოიძახა დებილმა, — „ვინც მათ ბრძანებლობს“. არა, ჩვენი იმპერატორი კაცთმოყვარე და ჰუმანისტია, თორემ ასეთი თავხედობისთვის სახრჩობელაც ცოტაა, როტმისტრო.

დებილმა ცხვირსახოცი ამოიღო, პირისახეზე ფაქიზად მოისვა და ისევ ჯიბეში ჩაიდო, მისთვის შეუფერებელი სიმკვირცხლით.

— განაგრძეთ, ლავროვ, განაგრძეთ, შემდეგ?

— ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები და ჩვენი დაკვირვებანი უკვე ცხადყოფენ, რომ ადგილობრივი ლიტერატურა ბაქოში იბეჭდება. მაშასადამე, თქვენო აღმატებულებავ, აგენტურა მართალი იყო, როცა ირწმუნებოდა, თვით გაზეთი „ისკრა“ ბაქოში იბეჭდებაო, ხოლო, რაც შეეხება იმას, თუ სად იყო მოთავსებული ბაქოს საიდუმლო სტამბა, ამ საკითხზე ზუსტად ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით. ბაქოში დაპატიმრებულთაგან არავის უნდა ჰქონდეს ურთიერთობა სტამბასთან და ვერც რაიმე ხელჩასაჭიდი საბუთი ვუპოვეთ.

— ისე, რომ სტამბის საქმე ბნელით არის მოცული, რაც ჩვენთვის ყველაზე მთავარია, როტმისტრო.

— ჯერჯერობით, თქვენო აღმატებულებავ!

— როგორ ფიქრობთ, როტმისტრო, ბაქოს კომიტეტს ცალკე აქვს საიდუმლო სტამბა თუ ვინმეს სტამბით სარგებლობს?

— ცალკე, თქვენო აღმატებულებავ!

— საბუთი?

ლავროვი ჩაფიქრდა, ეტყობოდა, ცდილობდა წინადადებები და სიტყვები ნათლად დაელაგებინა:

— ჯერ კიდევ შარშან, ზამთარში, თქვენო აღმატებულებავ, ჩვენმა აგენტურამ მოგვაწოდა ცნობა, რომ ქართული გამოცემების ამხანაგობის თბილისის სტამბამ სტერეოტიპიული დაზგა მიჰყიდა ბაქოელ პრომიშლენსკის, ერთ-ერთი სოლიდური სტამბის პატრონს. სინამდვილეში დაზგა ნაყიდია ბაქოს საიდუმლო სტამბისათვის და მაშინვე გაიგზავნა სადგურში ბაქოს მატარებელზეო. დაკითხვისას გამოირკვა, რომ პრომიშლენსკის არავითარი დაზგა არ უყიდნია და არც არვინ გაუგზავნია თბილისში ასეთი დავალებით. მაშასადამე, თბილისიდან ბაქოში სტამბის გაგზავნა არალეგალური საქმიანობისთვის იყო გათვალისწინებული.

დებილი სკამიდან წამოდგა, დაფიქრებული ბოლთას სცემდა. ლავროვმა ზურგიდან შეხედა მას და თვალში ეცა კეფასთან ორად მოკეცილი სქელი კანი, რამაც უსიამო გრძნობა აღუძრა შეფისადმი.

— როტმისტრო, — უცებ შემობრუნდა შეფი და ლავროვს ჯიქურ შეხედა, — რა ღონე იხმარეთ საიმისოდ, რომ სტამბას მივაგნოთ?

— თქვენო აღმატებულებავ, — ლავროვმა თავი ჩაღუნა და ისე გააგრძელა, — მელენტიევს ორი ჯაშუში მივუგზავნეთ კვალში ჩაუდგნენ და დაადგინეს, რომ მოპარული შრიფტი ქარხანა „ელექტროსილაზე“ მიიტანა. ამ ქარხნის დირექტორი კრასინი პოლიციის საიდუმლო მეთვალყურეობაშია. უკვე ბოლომდე დავაზუსტეთ და დავრწმუნდით, რომ სტამბა ბაქოშია, მაგრამ მას თბილისი ხელმძღვანელობს და ყოველივე ამაზე ჩვენ უფრო მეტი და ზუსტი ცნობები გაგვაჩნია, ვიდრე ბაქოს სამმართველოს. ჩემი ბრძანებით, ბაქოში დავტოვეთ ორი ჯაშუში, რათა თვალი ადევნონ ენუქიძეს, ვისაც უშუალო

უნდა ჰქონდეს საქმე სტამბასთან. აგენტურის მუშაობის საიდუმლოება რომ არ გამეღავნებულიყო, რამაც შეიძლება ჩვენი წარმატება შეაფერხოს, ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები და ჩემი დასკვნები ბაქოს საგუბერნიო ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსისთვის არ მიცნობებია.

— სწორედ მოქცეულხარ, როტმისტრო. ეს ყველაფერი სრულიად საიდუმლოდ დღესვე უნდა გავუგზავნოთ პოლიციის დეპარტამენტს. გაამზადეთ ტექსტი, ხელს მე მოვაწერ.

12.

საპირველმაისო დემონსტრაციისათვის თითქმის ყველაფერი მზად იყო, პროკლამაციები თუ ლოზუნგები, დროშები თუ კარიკატურები, მარქსისა და ენგელსის სურათები. ქარხანა-ფაბრიკებში მივლინებული ორგანიზაციის წევრები და იქაური ფარული წრის ხელმძღვანელები აგიტაციას უწევდნენ მუშებს, 21 აპრილს, კვირა დილას, პარაპეტზე გამოსულიყვნენ და პირველი მაისობა ჩაეტარებინათ.

ეს ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. 14 მარტს დაპატიმრებული კომიტეტის წევრები, რომელთაც ხელჩასაჭიდი ბრალდება ვერ წაუყენეს, სათანადო ახსნა განმარტებებისა და დასკვნების შემდეგ აპრილის დასაწყისში გამოუშვეს.

და ისევ აგორდა მრისხანე გორგალი.

15 აპრილს ღამით ქარხანა „ელექტროსილაზე“ ბაქოს კომიტეტის საიდუმლო სხდომა გაიმართა.

— ჟანდარმერია ელის, ამხანაგებო, — ამბობდა ლეონიდ კრასინი, — რომ მუშათა დემონსტრაცია პირველ მაისს გაიმართება. ამიტომ საპირველმაისო დემონსტრაცია ცოტა ადრე უნდა მოვაწყოთ, თუ გვინდა რომ ჟანდარმერიამ არ ჩაშალოს.

სხდომაზე ერთი ნაწილი რჩევას იძლეოდა, მაისის შუა რიცხვებში გამართულიყო დემონსტრაცია, რადგან ეს უფრო მოულოდნელი იქნებოდა ჟანდარმერიისათვის.

ამ ვარაუდმა ცხარე კამათი გამოიწვია. მეტი წილი მაინც 21 აპრილს არჩევდა.

— ციცი თონე პურს აღარ იკრავს!

— რაც დღეს შეგვიძლია, ხვალისთვის ნუ გადავდებთ, ძმებო!

— პირველი მაისი რომ ჩაივლის, ხალხს იმდენი ხალისი აღარ ექნება.

იმსჯელეს, აწონ-დაწონეს და ბოლოს მაინც იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ 21 აპრილის კვირა დღე ყველაზე ხელსაყრელი იყო.

კვირა დილით, ცხრა საათზე, ორგანიზაციის ოთხმოცივე წევრი პარაპეტზე მოიყრიდა თავს ლოზუნგებით, დროშებითა და სურათებით. მანამდე კი, მანამდე კომიტეტისა და ორგანიზაციის ყველა წევრს თავისი წილი საქმე ჰქონდა გასაკეთებელი. ვინ დროშებს ამზადებდა, ვინ ლოზუნგებს, ვინ კარიკატურებს, ვინ პროკლამაციებსა და საპირველმაისო მოწოდებებს ავრცელებდა ფაბრიკა-ქარხნებში.

დარჩენილი დღეები ისე სწრაფად მისდევდნენ ერთიმეორეს, რომ აბელს ფიქრის დროც აღარ ჰქონდა.

მხოლოდ ღამღამობით, როცა მთელი დღის განმავლობაში წამწალით დაქანცული ლოგინში ჩაწვებოდა, იდუმალი შიშითა და მოლოდინით გაიფიქრებდა.

„ნეტავ დროზე გათენდებოდეს კვირა“.

გათენებისას, როცა ქარხნის საყვირები აღმუვლდებოდნენ, აბელი ჩაის დალევდა და გარბოდა. ხან ალი ბაბას სახლში მიდიოდა, რომ იქ დარჩენილი პროკლამაციები გაეტანა ქარხნებში დასარიგებლად, ხან ნიკო დოლიძესთან გარბოდა, ვინც თავის რესტორანში პროკლამაციებისთვის ამზადებდა საღებავსა და წებოს, ხან ვანო ბოლქვაძესთან, ლადოს ბინაში რომ ცხოვრობდა.

„ელექტროსილაზე“ საიდუმლოდ მოთავსებულ შტაბში ყოველდღე სასიამოვნო ცნობა მოდიოდა, ამა და ამ ქარხნის თუ ფაბრიკის მუშები ერთსულოვნად ირაზმებიან დემონსტრაციაზე გამოსასვლელადო.

შაბათ ღამით კომიტეტის მითითებით ქუჩებში, სახლების კედლებსა და ღობეებზე გააკრეს ფურცლები, რითაც მუშებს მოუწოდებდნენ კვირას გამოსულიყვნენ საპირველმაისო ზეიმზე.

ღამით გვიან დაბრუნდა აბელი. ნამდვილი გაზაფხულის ღამე იყო, წყნარი და თბილი. ქალაქს უკვე ეძინა. სავსე მთვარე შემაღლებულიყო და ვერცხლისფერ ნათელს აყრიდა შენობებს, ქუჩებს. აბელი დაქანცული იყო, ერთი სულ

ჰქონდა, როდის დაწვებოდა, მაგრამ დაწოლისთანავე მაინც ფიქრმა აიყოლია. თავის ცხოვრებაში ყველაზე მღელვარე წუთები ახლა იყო მისთვის, როგორ ჩაივლიდა ხვალინდელი დემონსტრაცია, რა შედეგი მოჰყვებოდა მას.

ვიწრო ფანჯრიდან მთვარე ოთახში აფრქვევს შუქს. ქალაქს სძინავს, ისეთი მყუდროებაა გამეფებული, თითქოს დედამიწაზე სიცოცხლე დასრულებულაო.

ნეტავ სად არის ახლა ლადო, რომელ ქალაქშია. შეარჩია თუ არა სადმე სტამბისათვის ადგილი? თუ შეარჩია, მაშინ აბელი და რამდენიმე კაცი იქ გადაბარგდებიან. აბელს გული დასწყდა ამის გაფიქრებაზე. უკვე მიეჩვია ბაქოს, აქაურ ორგანიზაციას, თანამებრძოლებს. ესეც არ იყოს, შეჩვეული ჭირი სჯობდა შეუჩვეველს. ეჰ, ნეტავ ლადო ხვალინდელ დღეს გვერდში ედგეს დემონსტრაციის მოთავეებს. ულადოოდ ფრთამოტეხილივით გრძნობდა ხოლმე თავს. ნეტავ ჟანდარმერიამ თუ შეიტყო რამე ხვალინდელ დღეზე? ასე რო იყოს, მაშინ რამდენიმე კაცს მაინც დააპატიმრებდნენ ამაღამვე. ისინი პირველი მაისისთვის ელიან დემონსტრაციას.

მღელვარებისაგან დაქანცულს რამდენიმე წუთით ჩაეძინებოდა და ისევ გაეღვიძებოდა, ეშინოდა, ძილს არ წაერთო თავი და პარაპეტზე არ დაეგვიანა. ასეთი წამებით გაათენა ის ღამე.

ლამაზი, მზიანი დილა იდგა. ცა მოკრიალებული იყო, ჰორიზონტზე ჩაწოლილი ღრუბელი ჯერ არ იძროდა. აბელის სახლიდან პარაპეტამდე ოცი წუთის სავალი იყო ფეხით. ქალაქში კანტიკუნტად მოძრაობდა ხალხი. ეს კვირა დილა ჩვეულებრივი დღეებისაგან თითქოს არაფრით განსხვავდებოდა, მაგრამ აბელი ალღოთი მაინც გრძნობდა, რომ ქალაქი რაღაცით იყო დანაღმული, რაღაცის მოლოდინში განაბულიყო. აგერ პარაპეტიც. აბელი შორიდანვე არჩევს ნაცნობ სახეებს და ფიგურებს: მაღალი, თხელ-თხელი კოზარენკო, ხუჭუჭთმიანი ბოგდან კნუნიანცი, მას ხელში დაკეცილი დროშა უჭირავს, გრძელწვერიანი ნიკო დოლიძე, ბეჭებში ოდნავ მოღუნული, ჩამკვრივებული ვანო ბოლქვაძე და სხვანი და სხვანი, ორგანიზაციის წევრები და დემონსტრაციის მოთავენი, რუსი თუ ქართველი, სომეხი თუ ოსი, აზერბაიჯანელი თუ ებრაელი,

მუშა თუ ინტელიგენტი, ერთნაირ გულისთქმას ჰყოლილნი პირველნი მოსულიყვნენ აქ.

აბელს გული აუძგერდა, ფეხს მოუჩქარა, მართალია, ჯერ ცხრა საათი არ იყო, მაგრამ ისინი უკვე მოსულიყვნენ და გაცხარებით კამათობდნენ:

— ვითომ გვესვრიან?

— ჩვენ მხოლოდ ქუჩებში გავივლით დროშებით და ვიმღერებთ. რად უნდა გვესროლონ. ამ სიმღერაში ჩვენი რწმენა და მოწოდებაა, — ამბობდა ჩაფიქრებული კოზარენკო.

— სიკვდილის წინ მაინც უნდა მოიოხო კაცმა გული. — ეს კნუნიანცი იყო.

— გამარჯობათ, ამხანაგებო, გილოცავთ მუშათა დღესასწაულს! — მიესალმა აბელი.

— სალამი, ამხანაგო აბელ, გეტყობა არც შენ გძინებია წუხელ!

— რა დაგაძინებს, როცა ამისთანა დღეს ელი!

ორგანიზაციის წევრები ღელავდნენ, გამოვიდოდნენ კი მუშები დემონსტრაციაზე, აჰყვებოდათ თუ არა მათ ხალხი?

და აგერ, ზუსტად ცხრა საათზე, ქალაქმა თითქმის ერთბაშად აიდგა ფეხი, ტალღა-ტალღად დაიძრა მუშების ჯგუფი პარაპეტისაკენ. მოჰქონდათ დროშები, ლოზუნგები. ქუჩები მოიფინა პროკლამაციებით.

მზე სულ უფრო მაღლა და მაღლა იწევდა და გაზაფხულის საამო სითბოს აფრქვევდა.

პარაპეტიდან ხალხი დაიძრა. ორგანიზაციის წევრები ჯგუფ-ჯგუფად დალაგებულ ხალხს ჩაუდგნენ სათავეში. ხალხი თანდათან ახმაურდა და გამხიარულდა. აბელი ერთ ჯგუფს მიუძღოდა წინ და ესმოდა ფანჯრებიდან გადმომდგარი ადამიანების ხან გამამხნევებელი, ხანაც მხიარული სიტყვები.

ქუჩის ბოლოს ვიწრო შესახვევში, ასიოდე კაცი შეკრებილიყო, მათ შუაგულში მიხეილ ბრაგა ჩამდგარიყო და ხმამაღლა ღაღადებდა:

— ამხანაგებო, დედამიწაზე მხოლოდ ორნაირი ხალხი ცხოვრობს, მდიდრები და ღარიბები, ისინი შეურიგებელი მტრები არიან ერთმანეთის.

ქუჩიდან განუწყვეტლივ მოდიოდა ხალხი, კისერწაგრძე-

ლებულები ფეხის წვერებზე დგებოდნენ და ცდილობდნენ ყველაფერი კარგად დაენახათ.

გახშირდა წითელი დროშები, ლოზუნგები. დემონსტრანტებს გზადაგზა ემატებოდა ხალხი, იფანტებოდა პროკლამაციები.

— ზურგი ვაქციოთ ჩვენ ძველ ქვეყანას! — გაისმა ნიკოლოზ კოზარენკოს წკრიალა ხმა და ამას მოჰყვა ათეულობით ადამიანის გუგუნი:

— ჩამოვიბერტყოთ ფეხთაგან მტვერი.

აბელი გაჰყურებდა აზვირთებულ ხალხს და გული უჩუყდებოდა. ხალხის რიცხვი კი იზრდებოდა, ქალაქი ფეხზე დგებოდა, დიდი თუ პატარა ქუჩაში გამოეფინა, იტაცებდნენ გაფანტულ პროკლამაციებს, ჯგუფ-ჯგუფად კითხულობდნენ.

აბელს კნუნიანცი ამოუდგა გვერდზე და ყურში უჩურჩულა:

— რაშია საქმე, პოლიცია რომ არსად ჩანს?

აბელმა დაკვირვებით შეხედა და მხრები აიჩეჩა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, ბოგდანს რაც აფიქრებდა. ეჭვი არ იყო, პოლიცია რაღაცა მახეს უგებდათ, უფრო კარგად მოფიქრებულ მახეს და ამიტომ არ ჩქარობდნენ. მაგრამ რაც მოხდება, მოხდეს.

— ხალხი მაინც გავაფრთხილოთ, — ჩურჩულით უთხრა აბელმა კნუნიანცს, — ვინიცობაა პოლიცია თავს დაგვესხას, წინააღმდეგობას ნუ გავუწევთ. თავის შეწირვას აზრი არა აქვს.

აბელმა გაიფიქრა, რომ თუ პოლიცია დღეს არ გამოჩნდებოდა, მაშინ ღამით ჩამოუვლიდნენ დემონსტრაციის მოთავეებს და სათითაოდ წამოკრეფავდნენ.

დემოსტრანტები კი შეძახილებითა და სიმღერით მიიკვლევდნენ გზას, ერთმანეთში არეულიყო მოხუცი თუ ახალგაზრდა, უწესრიგოდ მიმავალნი ერთმანეთს ფეხებში ებლანდებოდნენ, ხანდახან მწყობრიდან გამოდიოდნენ, ფეხსაცმელს სწრაფად ისწორებდნენ და ისევ მწყობრში დგებოდნენ.

ადსდექ, მშრომელო ხალხის შვილო,
ქვეყანა, მშიერ მონების!..

გუგუნებდა ხალხი და ამ გუგუნში იხშობოდა რაღაც ყვავილი და წამოძახილები. აბელი გრძნობდა, რომ ამ ძლევა-

მოსილ სიტყვებსა და სიმღერაში რკინისებური სიმამაცე ყღერდა, რაც ხალხს კეთილი მომავლისაკენ მოუწოდებდა.

— ყოჩაღ, ბიჭებო, კარგია! — გაჰკიოდა ვიღაცა აღფრთოვანებით.

მიდიოდა აბელი და თვალებაჭრელებული ბუნდად ხედავდა მის ირგვლივ ნაცნობ და უცნობ სახეებს, ზოგს შეძრწუნებულს, ზოგს აღტაცებულს. ნიაღვარივით მიემართებოდა სიმღერით აღგზნებული ხალხი და ეს ძლევამოსილი სიმღერა თითქმის ყოველივეს აცამტვერებდა, რაც კი წინ დახვდებოდა.

აღსდექ, მშრომელო ხალხის შვილო,
ქვეყანა, მშიერ მონებისა!..

გულში უხმოდ იმეორებდა აბელი ამ სიტყვებს და ამ წუთში ყველაზე კარგად გრძნობდა მის დიდებულ შინაარსსა და მომხიბვლელობას.

დემონსტრანტები სანაპირო ქუჩაზე დაეშვნენ. უკვე მოდღევებული იყო, სიცხე მძლავრობდა. ხალხი ნელ-ნელა იშლებოდა, გამაყრუებელი ხმაურით მიდიოდნენ სხვადასხვა მხარეს. პოლიცია კი არსად ჩანდა. ცუდად ენიშნა აბელს ეს ამბავი, ავი რამ უგრძნო გულმა და კიდეც აუცხადდა. როცა ქუჩები ხალხით დაიცალა და ორგანიზაციის წევრებიღა დარჩნენ, თითქოს მიწიდან ამოძვრენო, ცხენოსანთა რაზმმა ალყა დაარტყა მათ.

— დაგვმორჩილდით, თუ არ გინდათ, სისხლი დაიღვაროს!

— არ დავმორჩილდეთ, ბიჭებო, მე ამათი! — საპასუხოდ დაიყვირა ვიღაცამ და ცხენოსან პოლიციელს ეცა.

აბელი მიხვდა, რომ ახლა უსისხლოდ არ დამთავრდებოდა საქმე, რომ ყოველი წინააღმდეგობა სისულელე იყო, მით უფრო, ცხენოსნებს ფეხოსნებიც მოეშველნენ და ისეთი კედელი აღმართეს ოთხივ მხრივ, თაგვი ვერ გაძვრებოდა.

ყველაფერი აირ-დაირია. რომელიღაცა პოლიციელმა ხმალი იშიშვლა და იმ წამსვე მწარე გმინვა მოისმა.

— მომკლეს, მე ამათი!

— წინააღმდეგობას ნუ უწევთ, გაჩერდით, ძმებო! —დაიყვირა ვიღაცამ.

აბელს ცხენი დაატაკეს, მერე ხელები გადაუგრიხეს და წინ

გაიგდეს. სწორედ ამ დროს მან თვალი მოჰკრა პოლიციელს, მის ფეხებთან ვილაც ეგდო. შუბლი და მარცხენა ლოყა ირიბად ჰქონდა გადაჩეხილი, ნაჭრილობევიდან სისხლი მოსდიოდა, ცალი ლოყა და ცალი ხილული თვალი სასიკვდილოდ უთრთოდა. ნაყვავილარ სახესა და ხშირ ქერა თმაზე აბელმა იცნო კნუნიანცი, მწარედ დაიგმინა და იქით გაიწია, მაგრამ შაშხანის კონდახმა დააოკა.

აბელს თვალთ უბნელდებოდა, გონებას კარგავდა, მაგრამ ბუნდად მაინც ესმოდა გაქცეული ადამიანების ფეხების ბრაგუნი და შეშფოთებული წამოძახილები:

— ბიჭებო დაიშალენით!

— ნიკოლოზი დასჭრეს!

— ვანო, დოლიძეს მიხედე, დააგდე დროშა!

— ჩააწყვეტინეთ ხმა მაგათი!..

აბელმა ერთხელ კიდევ მოიხედა უკან და დაინახა, რომ პოლიციელები და დემონსტრანტები ერთმანეთში ჭიანჭველებივით არეულიყვნენ.

მეექვსე რვეული

სამი კვირის თავზე დიდი დაკითხვებისა და ჯახირის შემდეგ როტმისტრმა კარპოვმა გამოგვიცხადა:

— მეფის ხელისუფლებამ თქვენს მიმართ დიდი ჰუმანურობა გამოიჩინა და თხუთმეტივეს გაპატიათ პოლიტიკური დანაშაული. ყველანი დაუბრუნდებით თქვენს სამუშაოს, ოღონდ ხელისუფლება რწმენას გამოთქვამს, რომ დანაშაულს მოინანიებთ და აღარ აჰყვებით ასეთ ცდუნებას.

სიმართლე ითქვას, ჩვენთვის ეს განაჩენი არცთუ მოულოდნელი ყოფილა, რადგან ყველას ისე გვეჭირა თავი, ვითომ დემონსტრაციის მოთავენი კი არა, უბრალო მონაწილეები ვიყავით. არადა, გამოძიებას ხელჩასაჭიდი საბუთი არაფერი ჰქონდა. კარპოვი ძალიან ცდილობდა, პირადად ჩემს მიმართ, ბრალდებად წაყენებული „სოციალ-დემოკრატიული საზოგადოების წევრობა“ დაემტკიცებინა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა.

— მაშ, ბატონო ენუქიძე, არც სტამბასთან გაგაჩნიათ რაიმე კავშირი, არა? — მესამედ მეკითხებოდა კარპოვი და

თვალებს ეშმაკურად სჭუტავდა. ხოლო, როცა ციხიდან გვანთავისუფლებდნენ, კარპოვმა მითხრა:

— მწითურო, ჩვენ ისევ შევხვდებით ერთმანეთს. ვფიქრობ მალე და მაშინ მაინც აღიარებთ, რა კავშირი გაქვთ სტამბასთან. ნახვამდის.

— მშვიდობით, ბატონო როტმისტრო! — მივაძახე პასუხად.

მაშინ გავიგე პირველად, რომ ჟანდარმერია და მათი აგენტურა „მწითურად" მიხსენიებდნენ თურმე. როგორც ჩანდა, მნიშვნელოვანი ფიგურა ვიყავი მათთვის.

კარგად გვესმოდა ხელისუფლებისა თუ ჟანდარმერიის ჰუმანურობა რაშიც გამოიხატებოდა. კვალში ჩაგვიდგებოდნენ და ან ორგანიზაციას აღმოაჩენდნენ, ან სტამბას, რაზედაც უკვე გეში ჰქონდათ აღებული და რაც მათი მთავარი მიზანი იყო. ამიტომ ფხიზლად ვმოქმედებდით. სტამბას კი საერთოდ ახლოს აღარ გავკარებივართ. დემონსტრაციაზე დაღვრილმა სისხლმა, ცოტად თუ ბევრად, მაინც დააცხრო ჩვენი ვნება, მძიმე დაღი დაასო ჩვენს სულს.

ვანო ბოლქვაძე შუა ძილში ატეხდა ხოლმე ყვირილს:

— მოჰკლეს, უშველეთ, ბიჭებო!

გამოვაღვიძებდი და ვკითხავდი, რა დაგესიზმრა, ვინ მოჰკლეს-მეთქი, ის კიდევ გაოცებული მიპასუხებდა, რაზე მეკითხები. არაფერი დამსიზმრებიაო. საკუთარი თვალით იხილა ბოლქვაძემ დემონსტრაციაზე ბოგდან კნუნიანცი როგორ მოჰკლეს და იმის შემდეგ გაუჯდა სულში შიში. რამდენიმე დღეს მეც გაოგნებული ვიყავი, ერთავად თვალწინ მედგა უწყინარი, კეთილი ბოგდანი. მეგონა, მის სიკვდილში მე მიმიძღოდა ბრალი. ვერა, თვალიდან ვერ ვიშორებდი მის ირიბად გადაჩეხილ სახეს, გვერდზე მოღრეცილ კისერს და ხილულად დარჩენილ შემზარავად ცივსა და ამოშრეტილ ცალ თვალს. მაგრამ ამ სურათის ხილვამ კი არ დამაფრთხო და დამაძაბუნა, პირიქით, შურისსაძიებლად შემმართა.

— ნეტავ მალე ჩამოვიდოდეს ლადო,—მეტყოდა ხოლმე შეწუხებული ბოლქვაძე, — ჩემი საქმე სტამბაა, უიმისოდ ვერ გავძლებ, აბელ.

მაგრამ ასე თუ ისე, ვანო მაინც მხარში მედგა, გვერდიდან არა მცილდებოდა და მეც ისე მივეჩვიე, უიმისოდ გაძლება გამიჭირდებოდა.

ლადო რუსეთიდან უიმედოდ დაბრუნდა, ვერსად ვერ დაეგულებინა ისეთი ქალაქი, სადაც სტამბის გამართვა შეიძლებოდა. ლადო ასეთი არასოდეს მინახავს, ტანჯვა, უიმედობა და დაღლილობა ეტყობოდა, გამხდარიყო, ნირი შეცვლოდა. ჩვენი დაპატიმრების ამბავმა უარესად დაზაფრა.

— როგორ დაგაპატიმრეს, რანაირად? — გვეკითხებოდა შეშფოთებული და მერე სევდიანად დასძენდა, — მაშ, კნუნიანცი მოჰკლეს, დოლიძე დასჭრეს...

— დოლიძე კოზარენკომა და მალაგინმა გააპარეს, თბილისში წავიდა.

— მძიმედ იყო დაჭრილი?

— ხელში დაიჭრა, მე გადამარჩინა და თვითონ დაიჭრა. — თითქოს დარცხვენით პასუხობდა ბოლქვაძე.

ლადოს რუსეთიდან დაბრუნებისთანავე „ისკრას" ვაცნობეთ, საიმედო ადგილი ვერსად აღმოვაჩინეთ და სტამბა ისევ ბაქოში უნდა გავმართოთო. „ისკრასთან" ჯეროიანცის მეშვეობით გვქონდა კავშირი დამყარებული. ჯეროიანცი ბათუმში აფთიაქის მეპატრონე იყო, ბოლო დროს უცხოეთიდან გამოგზავნილ აკრძალულ ლიტერატურას გემიდან პირდაპირ ის იღებდა და მერე ჩვენთან მოდიოდა. ამ საქმეზე ბუდუ გვათუა და საშა შატალოვი იყვნენ მიმაგრებული. ისინი მე მიკავშირდებოდნენ და სწორედ იმათი მეშვეობით ვატყობინებდი „ისკრას" ყველაფერს. „ისკრიდან" ასეთი პასუხი მივიღეთ. რაკი სხვაგან ვერ იშოვეთ ადგილი, ისევ ბაქოში მოაწყეთო სტამბა. ამ ცნობიდან სამი დღის შემდეგ კეცხოველმა მე და ვანო ბოლქვაძეს მუსულმანთა უბანში, ჩადრის ქუჩაზე, სამოთახიანი ბინა გვიჩვენა.

სახლის პატრონს ჯიბრაილს ლადოს დანახვაზე სიხარულით ცა გაეხსნა.

— აი, ჯიბრაილ, ესენი არიან ჩემი ამხანაგები, თუ საქმე კარგად წავიდა, ოთხივენი ერთად ვიმუშავებთ. — ლადო ჩვენ მოგვიბრუნდა, — ჯიბრაილი ჩემი ძმობილია, ამის ბინაში გავხსნით კოლოფების სახელოსნოს და თვითონაც შეგვიამხანაგდება.

ჯიბრაილი ახალგაზრდა კაცი იყო, ოცდაათიოდე წლისა თუ იქნებოდა, მაგრამ გრძლად მოშვებული წვერი, ძირში გადახარსული თავი, ხანდაზმულს აჩენდა. ტანწერწეტა იყო, ბე-

ჭებგანიერი. კატასავით ფრთხილად და მსუბუქად დადიოდა. ოდნავ მოჭუტულ ცეცხლოვან თვალებიდან უტეხი ნებისყოფა და სიმამაცე გამოსჭვიოდა. ასეთები, გულზე რომ ხანჯლის წვერი ჰქონდეთ მიბჯენილი, მაშინაც არ შეხრიან წარბს.

ჯიბრაილმა თვალით გაგვზომა და ხელი ჩამოგვართვა, მაგარი ხელი ჰქონდა, ძარღვიანი.

ბინა მართლაც საუცხოო იყო, ნათელი და მყუდრო. გარდა ამისა, უშიშარ ადგილას მდებარეობდა, მაგრამ ვერც მე და ვერც ვანო ბოლქვაძე ვერ მივხვედრილიყავით ერთ რამეს, როდის მოასწრო ლადომ ამ კაცთან დაძმობილება, ან ეგრე რიგად თავი როგორ შეაყვარა და ბოლოს, თუ აქ სტამბას მოვაწყობდით, ლადოს ისე როგორ უნდა აეხვია მისთვის თვალები, რომ სტამბა და კოლოფების სახელოსნო ერთმანეთში ვერ გაერჩია.

ჯიბრაილმა თავი გადაიკლა და გაუმასპინძლებლად არ გამოგვიშვა. ლადოს ერთთავად ძმობილს ეძახდა.

მეორე დღიდანვე შევუდექით შრიფტის გადმოტანას აჯიკაბულიდან. ბიქტორა ბაქრაძე მკაცრად გავაფრთხილე, თითო გზაზე მხოლოდ თითო ფუთა წამოეღო, რომ ეჭვი არავის აეღრ. მართალია, თხუთმეტი ფუთი შრიფტის გადმოტანას ერთი კვირა მაინც სჭირდებოდა, მაგრამ ისევ ასე სჯობდა, ვიდრე აჩქარებით საქმე გაფუჭებულიყო.

ბიქტორა ბაქრაძე აჯიკაბულიდან ისევ ბაქოში ეზიდებოდა შრიფტს, თითო წამოსვლაზე, როგორც დავალებული ჰქონდა, თითო ფუთას წამოაყოლებდა ხოლმე, თავის სახლში მიჰქონდა, ხოლო იქიდან მყუდრო, უკაცრიელი ქუჩებით გადამქონდა ჯიბრაილის სახლში, სადაც მალე სტამბა უნდა გაგვეწყო. ნაწილი შრიფტისა ჯიბრაილის სახლში გადავიტანე, მაგრამ ეს საქმე ისე გაჭიანურდა, რომ მოთმინება დაგველია. ათი დღე მიიწურა და შრიფტის გადმოტანასაც ვერ მოვრჩით.

განრიგით ვიცოდი, რომ ორ სექტემბერს მუშაობა ბიქტორას უწევდა. აჯიკაბულიდან საღამოს შვიდ საათზე უნდა ჩამოსულიყო. თითქმის ერთი კვირა გავიდა, ბიქტორასთან ვეღარ მივედი, ანგინა დამეტაკა და სიცხე მქონდა. დღეს ერთ ფუთას კიდევ ჩამოიტანდა ბაქრაძე, ეგებ დღესვე გადავზიდო-მეთქი ერთბაშად, ვიფიქრე და საღამოს შვიდ საათზე წავედი ბიქტორასთან. მართალია, ბაქრაძე პოლიციისგან ეშვ-

მიტანილი კაცი არ იყო, მაგრამ მაინც სჯობდა, შრიფტი ჯიბრაილთან დამებინავებინა.

სექტემბრის მზე უკვე ჩადიოდა. ცაზე ღრუბელი აიშალა და სულშემხუთავი სიცხე აღარ იგრძნობოდა. ერთბაშად ჩამობნელდა. თოლიები ზღვის ნაპირს მოაწყდნენ, ცაზე კი თანდათან მატულობდა შავი, ყომრალი ღრუბელი და ქვეყანას თითქოს წალეკვით ემუქრებოდა. ქარმა დაუბერა და ნაადრევად ჩამომჭკნარი ფოთლები ჩამოყარა ხიდან.

ასეთი ამინდი ადამიანს შიშს ჰგვრის ხოლმე, აჩიავებს და რწმენას უკარგავს. მეც უცებ გამიფუჭდა გუნება, რკინიგზის უბანი სწრაფად გავიარე და ბაქრაძის სახლისკენ ავიღე გეზი. ეს უცაბედად შეცვლილი ამინდი უსიამოვნო იყო, მაგრამ თუ დღეს შრიფტს გადავიტანდი ჯიბრაილის ბინაზე, ასეთი ამინდი უკეთესიც კი იყო, ქუჩაში კაცის ჭაჭანება არ იქნებოდა.

ქარმა უმატა, ცა ღრუბლით დაიფარა და დედამიწას პირქუში ჩრდილი დაადგა. ქარი შიგ თვალებში მაყრიდა მტვერს და გზას ძლივს ვიკვლევდი. ვიწრო ქუჩაზე, სადაც ბიქტორა ცხოვრობდა და სადაც ხშირად ლადოსაც გაუთევია ღამე, არავინ ჩანდა.

შორიდანვე ვიცან შენობებსშუა ვიწრო, უჩინარი შესასვლელი, პირველ ხანებში რომ ძლივს მივაგნებდი ხოლმე. შევედი ამ ვიწრო შესასვლელში, ხელმარცხნივ ბიქტორას ოთახის კარები იყო. ნაჩქარევად დავაკაკუნე და გამოპასუხებას აღარ დაველოდე, კარს მივაწექი, მაგრამ არც კარი დამხვდა ღია და არც არვინ გამომპასუხებია. შემზარავი სიჩუმე იგრძნობოდა ოთახიდან. ერთხელ კიდევ დავაკაკუნე და ყურებმა ჟღრიალი დამიწყო, ავი რამ მიგრძნო გულმა. ბიქტორას დაგვიანება არაფრით არ შეიძლებოდა, მატარებლიდან პირდაპირ შინ უნდა მოსულიყო, იმ სახიფათო ბარგით ფეხს ვერსად გადადგამდა.

რა მოხდა, რა ამბავია ბიქტორას თავს?

ანგარიშმიუცემლად გამოვბრუნდი უკან და პირდაპირ რკინიგზის სადგურისაკენ გავწიე.

მისცურავდნენ და მისცურავდნენ ქარისაგან აყრილი ყომრალი ღრუბლები, მზე უკვე აღარ ჩანდა, ალბათ ჩავიდა ან ღრუბლებში ჩაინთქა. პირველმა ელვამ წამით გაანათა მიდამო და ვა-

გზალში აღმართულ რკინის ბოძს დაეხვია. სადღაც ახლოს გაისმა ქუხილი.

ყურები ისევ მიეღრიალებდა. რკინიგზის სადგურში თითქმის სირბილით მივედი, შორიდანვე დავინახე აჯიკაბულიდან მოსული მატარებელი და აქ უკვე ის პატარა იმედის ნაპერწკალიც ჩამიქრა, აქამდე რომ მიღვიოდა გულში. მუხლები მომიდუნდა და ახლა ყურებს ეღრიალი კი არა, გუგუნი გაჰქონდა.

ბაქანზე თვალი მოვკარ ნაცნობ მემანქანეებს, ეს სულ სხვა ბრიგადა იყო, წესით ისინი დღეს მატარებელს არ უნდა ჩამოჰყოლოდნენ. მემანქანეებმაც მაშინვე შემნიშნეს და ვიდრე მე ვკითხავდი რამეს, თავადვე ამიხსნეს:

— ბიქტორა აჯიკაბულში დააპატიმრეს, რაღაც ფუთა მოჰქონდა, თოკი გაუწყდა და ზედ შუა გზაზე გაიფანტა შრიფტი. მაშინვე შეეცადა წამოეკრიფა, მაგრამ დეპოს უფროსმა შეამჩნია, ყველაფერს მიხვდა და ჟანდარმი დააყენა თავზე. ახლავე დატრიალდით, თუ რაიმე მოსაგვარებელი გაქვთ, მოაგვარეთ. ჟანდარმერია ალბათ უკვე გეძებთ.

ყველაფერი გასაგებია. თითოეული წუთი ახლა ძვირფასია, პირდაპირ ლადოსკენ, ჟანდარმებმა არ დაგვასწრონ. მაინც როგორ გაწყდა თოკი? გასაგებია, ათჯერ გავაფრთხილე, თითო შეკვრაზე მეტი არ წამოიღო-მეთქი. ის კიდევ სულ იმას წუწუნებდა, ეგრე სათითაოდ როდის უნდა გადმოვზიდოთ. ორი შეკვრა კიდევ იყო დარჩენილი, ეტყობა, ბიქტორამ იფიქრა, გასაყოფად აღარ ღირსო, ერთმანეთზე გადააბა და თოკმა ვეღარ გაუძლო, ბიქტორა ხარივით ღონიერია, ორი შეკვრა მსუბუქიც კი იქნებოდა მისთვის. ნეტავ ლადო შინ დამიხვდეს... კიდევ კარგი, აქვე, რკინიგზის რაიონში ცხოვრობს დიმიტრი ბაქრაძის ბინაზე.

გულს ისეთი ბაგაბუგი გაჰქონდა, მეგონა მთელ ქალაქს ესმოდა. თითქმის სირბილით მივდიოდი, წვიმა როდის დაიწყო აღარ მახსოვს, მაგრამ ახლა ეს გრილი წვეთები კიდეც მსიამოვნებდა.

ლადო ბედად შინ დამიხვდა. აბა, ამ უამინდობაში სად წავიდოდა, იჯდა მყუდროდ ლამპის შუქზე და წიგნს კითხულობდა.

— რა მოხდა? — შეშფოთდა ლადო, აქოშინებული რომ დამინახა.

— ბიქტორა ბაქრაძე დააპატიმრეს... ახლავე უნდა გადახვიდე აქედან, სადაც არის ჟანდარმერია მოგადგება...

ლადომ ღრმად ამოიხვნეშა, პაპიროსი ამოიღო და ფანჯრისაკენ შებრუნდა, ერთი წუთით რაღაცას ფიქრობდა, მერე მე მომიბრუნდა.

— რანაირად დააპატიმრეს?

— აჯიკაბულიდან შრიფტი რომ გადმოჰქონდა, თოკი გასწყვეტია...

— ვინ გითხრა?

— მემანქანეებმა, მის ნაცვლად მატარებელი სხვა ბრიგადამ ჩამოიყვანა.

— თუ მე დამპატიმრეს... — მშვიდად თქვა ლადომ და პაპიროსი თითებში მოსრისა, — თუ კი არა, აუცილებლად დამპატიმრებენ, ამიტომ ახლავე, დროს ნუ ჰკარგავ, ნახე ამხანაგები და სასწრაფოდ გაიტანეთ ბიქტორას ბინიდან შრიფტი. ჯიბრაილთან მიდით და დაზგა წამოიღეთ, თუ უჩემოდ არ დაგანებოთ, უთხარით, დავითს მეუღლე გარდაეცვალა და თბილისში წავიდათქო.

— შენ რას აპირებ? რას უყურებ? ახლავე უნდა გადახვიდე აქედან, სადაც არის პოლიცია მოვა, — ვუკიჟინებდი, — ჯიბრაილთან გადადი...

— არა! — კბილებში გამოსცრა ლადომ, — მე აქ უნდა დავრჩე, მოვა პოლიცია და ვეტყვი: ლადო კეცხოველი მე ვარ-მეთქი, ამით იქნებ ბიქტორა გადავარჩინო. ორ კაცს ვღუპავ, დიმიტრის და ბიქტორას.

მე უარესად აღვშფოთდი.

— რას ამბობ, ლადო, გონს მოდი, ამით ვერც ერთს ვერ უშველი და შენს თავსაც დაიღუპავ. კარგად დაფიქრდი.

— არა, აბელ, მე იმის კაცი არა ვარ, რომ ჩემი გულისთვის სხვა ჩავარდეს. წადი ახლავე, დროს ნუ კარგავ, შრიფტი და დაზგა გადაარჩინეთ. მე ჩემს თავს მოვუვლი. ვანო ბოლქვაძე იპოვნე აუცილებლად და ჯიბრაილთან მიდით. ჩქარა, აბელ, ახლა წუთის დაკარგვაც კი არ შეიძლება.

მაგრამ არა ვჩქარობდი. არ მესმოდა, ლადო როგორ უნდა დამეტოვებინა.

— სანამ შენ არ გაიხიზნები აქედან, ვერსადაც ვერ წავალ.

— წადი, აკი გითხარი, მე ჩემს თავს მოვუვლი-მეთქი.

ისე მტკიცედ თქვა ეს ლადომ, ფარ-ხმალი დამაყრევინა. მაშინვე ქუჩაში გამოვვარდი და გზადაგზა მოვიფიქრე, პირველად რა უნდა გამეკეთებინა. იქვე ახლოს მანქანათმშენებელი ქარხანა იყო, იქ სომეხი მუშების წრე მყავდა, საიმედო ხალხი იყო. ზუსტად იმ საღამოს წრის მეცადინეობა მქონდა დანიშნული, იმათ ვთხოვდი და ბიქტორას ბინიდან შრიფტს გადმოზიდავდნენ. ჩემი იქ მისვლა საშიში იყო.

ნახევარი საათის შემდეგ მართლაც ყველაფერი მოგვარდა. ორმა მუშამ „ფხიზელი მეეზოვე" სამიკიტნოში გაიტყუა, ხოლო დანარჩენებმა ყველაფერი, შრიფტი თუ აკრძალული ლიტერატურა, სწრაფად გაზიდეს ბიქტორას ბინიდან.

ახლა პირველ რიგში ვანო ბოლქვაძე უნდა მენახა. ბოლო დროს ვანომ ერთი პატარა ბინა იქირავა და იმ ბინისკენ გავქანდი მაშინვე. მაგრამ ვანო შინ არ დამიხვდა, სად უნდა წასულიყო, ან ჩემთან უნდა წამოსულიყო ღამის გასათევად ან დიმიტრისთან, სადაც ლადო ეგულებოდა. გადავწყვიტე, ისევ ლადოსთან დავბრუნებულიყავი, თუ იგი ჯერ არ იყო გახიზნული, ვაიძულებდი, სასწრაფოდ გასცლოდა იქაურობას.

უკვე შუაღამე იყო მოტანებული. ქალაქს ეძინა. ცაზე ღრუბელი გადაყრილიყო და ნაწვიმარ ქალაქს სავსე მთვარე დაჰყურებდა.

რკინიგზის უბანი სწრაფად გავიარე და დიმიტრი ბაქრაძის სახლს როგორც კი მივუახლოვდი, სადაც ლადო მეგულებოდა, დავინახე პოლიციელებით გარშემორტყმული სახლი, ბოლქვაძეც იქ გახლდათ, თავად ლადოც, დიმიტრი კი, ეტყობა, სამუშაოზე იყო.

ჩემს დანახვაზე ლადომ უსიამოვნოდ დამანჭა სახე, თავი გადააქნია და შემომიღრინა:

— რამ მოგიყვანა აქა, მე ხომ მივქარე და მივქარე, შენ რაღამ გაგაბრიყვა!

ჟანდარმთაგან ერთმა გაიგო ქართულად ნათქვამი, ახარხარდა და მე მომიბრუნდა:

— შენ აგაშენოს ღმერთმა, ბალახანში წამოსვლა მეზარებოდა, რა კარგი ქენი, რომ შენი ფეხით მოხვედი.

ხმა ვერ დავძარ, ნერწყვიც კი გამიშრა პირში.

ჟანდარმები რაღაცას თათბირობდნენ, მერე, კარგა ხნის თათბირის შემდეგ, მე და ბოლქვაძეს გვითხრეს:

— ჩვენ მხოლოდ კეცხოველს ვაპატიმრებთ, რადგან ძებნა მასზეა გამოცხადებული, თქვენ კი თავისუფლები ხართ.

ამის გამგონე ლადომ შვებით ამოისუნთქა და ამ დროს დაინახა, რომ მის სამივე პასპორტს გულდასმით სინჯავდა ჟანდარმი. ლადოს ერთ-ერთ პასპორტში ჩაწერილი იყო ჯიბრაილის ბინის მისამართი, სადაც საბეჭდი მანქანა ინახებოდა. ლადომ ჩემსკენ წამოიწია და ნაჩქარევად მიჩურჩულა:

— ამაღამვე მიდით ჯიბრაილთან და სტამბა გაიტანეთ.

მე უხმოდ დავუქნიე თავი.

ორცხენიანი საფოსტო ეტლი სწრაფად გაიჭრა ქუჩაში. ლადო წაიყვანეს. ეტლი თვალს მიეფარა. ეტლის სიღრმეში ლადო იჯდა. მან ერთი გამოგვხედა და ხელი დაგვიქნია.

გული ჩამწყდა. მიჰყავდათ ჩემი უფროსი მეგობარი და თანამებრძოლი, მუდამ მოუსვენარი, დაუოკებელი ლადო, ვინც ძილს უფრთხობდა მეფის ხელისუფლებას და მთელ ამიერკავკასიას აზანზარებდა. მიჰყავდათ ბაილოვის ციხისკენ და ვინ იცის, შევხვდებოდით თუ არა კიდევ ერთმანეთს?

საეჭვო არ იყო, იმ ღამეს თუ არა, დილით მაინც ესტუმრებოდა პოლიცია ჯიბრაილის საიდუმლო შტაბ-ბინას, სადაც საბეჭდი მანქანა ინახებოდა. ლადოს რომ არ გავეფრთხილებინეთ, ისედაც კარგად ვიცოდით ეს ამბავი. კეცხოველის ერთ-ერთ პასპორტში ხომ სწორედ ეს ბინა იყო მითითებული, ამიტომ მანქანა როგორმე ამაღამვე უნდა გაგვეტანა. ძველი გამოცდილებით ვიცოდი, რომ ყველაზე საიმედო ერთადერთი გზა იყო, — გემ „ნადეჟდაზე" მისი ჩაბარება, ვითომდა ჩვეულებრივი დაზგა იყო, — მაგრამ ამას ფული სჭირდებოდა, სულ მცირე ორმოცდაათი მანეთი, ჯიბეში კი ორივეს სამ მანეთზე მეტი არ აღმოგვაჩნდა. არადა მანქანა ამაღამვე უნდა გაგვერიდებინა.

უკვე ღამის ორი საათი იყო. ქუჩაში არავინ ჭაჭანებდა, ლადოს დაპატიმრების შემდეგ პოლიციელები გაიკრიფნენ, სეირის მაყურებელი მეზობლებიც სახლებში შეილალნენ.

— ჩვენ ვითომ რაზე არ დაგვაპატიმრეს? რაღაცაშია საქმე, აბელ. დიმიტრი გუშინ დაუპატიმრებიათ. — ეჭვში ჩავარდა ბოლქვაძე.

ამაზე ამდენ ხანს არც მიფიქრია. მართლაცდა, რატომ ან
დაგვაპატიმრეს? მერე გამახსენდა, რომ ჟანდარმებმა რაღაც
მოითათბირეს და ისე გამოგვიცხადეს, მარტო კეცხოველს ვა
პატიმრებთო. ალბათ, რაღაც ხრიკებს ამზადებდნენ, ლაპარა
კი რად უნდოდა, ხვალიდანვე ჯაშუშებს ჩაგვიყენებდნენ კვა
ლში, ამიტომ უსათუოდ ამ ღამითვე უნდა მოგვეხერხებინა მა
ნქანის გატანა, თორემ მერე გვიან იქნებოდა. მაგრამ სად უნ
და გვეშოვნა ფული ამ შუაღამისას, ვის ექნებოდა ორმოც
დაათი მანეთი? კრასინს... აი, სად იყო გამოსავალი. ახლა თუ
ვინმეს შეეძლო ხელი გაემართა ჩვენთვის, ეს იყო ლეონიდ
ბორისის ძე კრასინი.

— ვანო, კრასინთან უნდა წავიდეთ ახლავე, იმის მეტ
ვერავინ გვიშველის.

ბოლქვაძე შეიშმუშნა, ეტყობოდა, ეუხერხულებოდა ა
შუაღამისას კრასინის შეწუხება, მაგრამ როცა სხვა გამოსა
ვალი არ იყო, უარს როგორ მეტყოდა.

ისე გავიარეთ ნახევარი ქალაქი, არავინ შეგვხვედრია
ქალაქს გულის ძილით ეძინა. კრასინი „ელექტროსილაზე"
ცხოვრობდა. მის სახლთან რომ მივედით, შევჩერდი, გავიფი
ქრე, ხომ არვინ აგვედევნა-მეთქი, მაგრამ საეჭვო ვერაფერ
შევნიშნე, ასეთ უკაცრიელ ქუჩაში ჯაშუში ვერ გამოგვყვე
ბოდა.

ლეონიდ ბორისის ძე ძლივს გავაღვიძეთ, ტანსაცმელი სწრა
ფად გადაიცვა და შინ შეგვიპატიჟა. ღრმა ძილიდან გამოღვი
ძებული თვალებს იფშვნეტდა, შეშფოთებულებს დაგვაკვირ
და და მიხვდა, რომ კარგი ამბისთვის არ ვიყავით მისუ
ლები.

— მოხდა რამე? — გვკითხა მან.

— კეცხოველი დააპატიმრეს.

— კეცხოველი? როგორ, რანაირად?

დაბნეულად ვუამბე, რაც მოხდა.

ლადოს დაუდევრობის ამბავმა კრასინი აღაშფოთა.

— გამოცდილ რევოლუციონერს, განათლებულ კაცს, ეს
როგორ მოუვიდა? ოჰ, ლადო, ლადო, როგორ ცხვარივით ჩა
ვარდნია ხელში.

აღელვებული კრასინი ოთახში ბოლთას სცემდა და პაპი
როსს ხარბად ქაჩავდა.

— მერე, რას აპირებთ ახლა, როგორ არის საბეჭდი დაზგის საქმე?

— საბეჭდი დაზგა საიდუმლო ბინაში გვაქვს მოთავსებული, მისი სამყოფელი სამი კაცის მეტმა არ იცის არავინ, მაგრამ ლადოს ერთ-ერთ პასპორტში მითითებულია ამ ბინის მისამართი. უეჭველია, პოლიციელები მალე გაჩხრეკავენ იმ ბინას. ლადო რომ მიჰყავდათ, გამაფრთხილა, სტამბა ამაღამვე გადაიტანეთო.

კრასინი შეჩერდა, ჩვენსკენ შემობრუნდა და გვკითხა:

— მერე, გადაიტანეთ?

— ვერა. გემზე რომ ჩავაბაროთ, ორმოცდაათი მანეთია საჭირო... ამიტომ შეგაწუხეთ ამ შუაღამისას.

კრასინი მეორე ოთახში გავიდა, ორიოდე წუთში გამოვიდა და ფული გამოგვიტანა.

— სამოცი მანეთია, აბა, თქვენ იცით, რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, სტამბა უნდა გადაარჩინოთ.

იმედმოცემულები გავეშურეთ ჯიბრაილის ბინისკენ. ჯიბრაილის სახლამდე ერთი საათი მაინც იყო სავალი. ვიდრე მივიდოდით, ირიჟრაჟებდა კიდეც. ფული უკვე ჯიბეზე გვქონდა, მაგრამ ახლა ის გვაღონებდა, ჯიბრაილი არ გაჯიუტებულიყო.

— თუ ჯიბრაილმა ლადო იკითხა, უნდა ვუთხრათ, რომ მეუღლე გარდაეცვალა და თბილისში წავიდა.

— კი მაგრამ, რათ მიგაქვთ მანქანაო, რომ გვკითხოს, რა მოვიმიზეზოთ? — დაეჭვდა ბოლქვაძე.

— ძველ მანქანას ვაგზავნით და ახალი უნდა მივიღოთ.

— გასაგებია.

ჯიბრაილის სახლთან მისულებს დაგვათენდა. უძილობამ, ძღელვარებამ და მთელი ღამის წანწალმა თავისი გაიტანა, — ორივენი ისე ვიყავით მოთენთილები, ლაპარაკის თავიც აღარ გვქონდა. ახლადგაღვიძებული ჯიბრაილი ეზოში გამოვიდა, ალაყაფიდანვე შეგვათვალიერა დილაუთენია მისული სტუმრები და კარი გაგვიღო.

— სალამი, ჯიბრაილ! — ვცდილობდი გულგრილად დამეჭირა თავი.

— სალამ ალეი ქუმ! — მასპინძელმა ზრდილობიანად გვიპასუხა სალამზე და ორივენი ეჭვით შეგვათვალიერა.

ჯიბრაილის გამჭოლ, შეუპოვარ თვალებში მაშინვე შეეამჩნიე ეჭვი თუ უნდობლობა და არ მეჭაშნიკა. ასე დილაადრიანად არ უნდა მოვდგომოდით კარზე, მაგრამ დრო რომ ალარ ითმენდა!

— რაზე შეწუხებულხართ ამ დილაადრიანად? — გვკითხა ჯიბრაილმა.

— დაზგა უნდა წავიღოთ, ჯიბრაილ, გემი გადის და უნდა მივუსწროთ.

— რათ უნდა წაიღოთ?

— წუნი გამოდგა. ქარხნიდან შეგვატყობინეს, გამოგხავნეთ და შეგიცვლითო.

ჯიბრაილმა ორი თითი გრძელი წვერით დაფარულ ნიკაპზე მიიდო, ცოტა ხანს ჩაფიქრდა და მერე თვალი თვალში გამიყარა:

— სად არის დავითი?

— ეჰ, — ამოვიოხრე, — დავითს უბედურება ეწია. ცოლი მოუკვდა და თბილისში გაემგზავრა.

ჯიბრაილი ისევ ჩაფიქრდა, ოდნავ მოჭუტული თვალებით გამომცდელად დაგვაცქერდა და დინჯად თქვა:

— ჯიბრაილს ვერ მოატყუებთ. დავითი მომიყვანეთ. თქვენ იმას ღალატობთ. უიმისოდ დაზგას არ გაგატანთ ჯიბრაილი.

პირკატა მეცა. ამ მუსულმანთან ვერაფერს გავხდებოდით. ამაო იქნებოდა ყველა ცდა, იგი სიტყვას ალარ გატეხავდა, მაგრამ წყლით განწირულისა არ იყოს, მაინც გავფართხალდით.

— რას ამბობ, ჯიბრაილ, ჩვენ დავითს ვღალატობთ?

— ჯიბრაილმა ეგ არ იცის. ჯიბრაილმა მარტო ის იცის, რომ დავითის საქონელი არავის გაატანოს.

— მაშ, რა ვქნათ? — ვანო ბოლქვაძეს შევხედე, თითქოს ხსნას იმისგან ველოდი.

— ლადოს ჩამოსვლას რომ დავუცადოთ, — ქართულად მითხრა შეწუხებულმა ბოლქვაძემ, — დაზგის გაგზავნა დაგვიანდება. — მერე ჯიბრაილს მიუბრუნდა, — დავითი თუ შენი ძმობილია, მაშინ იმის საწყენი საქმე არ უნდა გააკეთო. ჩამოვა და საყვედურს გეტყვის.

— დავითის საწყენ საქმეს არ აკეთებს ჯიბრაილი. თქვენ კი ნამდვილად ღალატობთ მას.

საგონებელში ჩავარდნილი თავს ძალას ვატანდი, რომ სას-

წრაფოდ რამე მომეფიქრებინა, ფოსტაში ერთი ნაცნობი მყავდა და იმას ვთხოვდი დახმარებას. დროს ტყუილად ვკარგავდი, ჯიბრაილთან არაფერი გასჭრიდა.

— კარგი მაშინ და, დავითს შევატყობინებთ ამ ამბავს. — დავემუქრე ჯიბრაილს, — წავიდეთ, ვანო.

— მაშ, არ გვატან დაზგას, ჰა? — ახლა ბოლქვაძე მიუბრუნდა ჯიბრაილს.

— არა. — თავი გაიქნია მასპინძელმა.

მუდამ წყნარი, სიტყვაძუნწი ვანო უკვე მოთმინებიდან გამოდიოდა, სიბრაზისაგან პირისახე აელეწა.

— დაეახრჩობ, მე ამის დედა ვატირე! — ქართულად გადმომილაპარაკა.

— თავი შეიკავე, ვანო, შარს გადავეყრებით. ერთი რამ მოვიფიქრე, ფოსტაში წავიდეთ ახლავე.

— მაინც რა მოიფიქრე? — მკითხა ვანომ, როცა ჯიბრაილის ეზოდან გამოვედით.

— ფოსტაში ერთი ნაცნობი მყავს, ჭყონიშვილი, და ვთხოვ, ყალბი დეპეშა გამიკეთოს. ვითომ ლადო თბილისიდან უგზავნის ჯიბრაილს.

ბოლქვაძე ჩაფიქრდა, მერე მკითხა:

— მაგ ხერხმაც რომ არ გასჭრას, მაშინ?

— მაშინ ერთი გზაღა დაგვრჩენია. სიმართლე უნდა ვუთხრათ ჯიბრაილს, შეეშინდება და მანქანას დაგვანებებს.

— ჰოდა, ბარემ გვეთქვა. რას ველოლიავებით, სადაც არის პოლიცია მიადგება.

— კიდევ ვცადოთ, ვანო. რა ვიცი, სიმართლის თქმა აჯობებს? ეს ბოლოსთვის უნდა შემოვინახოთ.

ერთი საათის შემდეგ უკვე ხელში მქონდა საფოსტო ქაღალდზე დაწერილი სადეპეშო ტექსტი. ვითომ დავითი ატყობინებდა თბილისიდან ჯიბრაილს, დაზგა ჩემს თანამშრომლებს გაატანეო.

უკვე კარგად იყო გათენებული. ქალაქი იღვიძებდა და თავის ყოველდღიურ ფუსფუსში ებმებოდა. ვჩქარობდით, ახლა კი მართლაც წუთები სწყვეტდნენ ყველაფერს.

ისევ ჯიბრაილს მივადექით და დეპეშა მივაჩეჩეთ.

ჯიბრაილმა უგულოდ წაიკითხა, დოინჯი შემოიყარა და კბილებში გამოსცრა:

— ბოლოს და ბოლოს არ მომეშვებით, მე თქვენი დედა ვატირე.

ვანო ახლა კი გაცეცხლდა.

— შენი დედაც და შენი მამაც, მიგალრჩობ! — და კბილები გააღრჭიალა.

ბოლქვაძის შემხედვარე ჯიბრაილი ცოტა არ იყოს შედრკა და სხვა ხერხს მიმართა, ხმაურზე გამოსულ მეზობლის ბიჭს მოუხმო.

— გაიქეცი ახლავე და ზედამხედველს უთხარით, ვიღაც საეჭვო პირები არიან და სასწრაფოდ მოდით-თქო.

— ჯიბრაილის ნათქვამმა ელეთმელეთი დამმართა. მეტი გზა აღარ იყო, ახლა კი ყველაფერი გულახდილად უნდა მეთქვა. ჯიბრაილს ხელი მოვკიდე და განზე გავიყვანე. იგი უნდობლად მომყვა:

— ჯიბრაილ, თავს ნუ იღუპავ, შენთან რომ დაზგაა, ეს საბეჭდი მანქანაა. დავითი მთავრობის საწინააღმდეგო წიგნებს ბეჭდავდა და უკვე დააპატიმრეს. შენ გატყუებდა, კოლოფების საამქრო უნდა გავხსნაო. სადაც არის პოლიცია მოვა ჩხრეკვაზე და ეს დაზგა თუ ნახეს, ჩვენ იმდენს ვერაფერს გვიზამენ, მაგრამ შენ კი ათწლიანი კატორღა ზედა გაქვს. არ გვინდოდა აქამდე სიმართლე გვეთქვა, ახლა შენ იცი.

ჯიბრაილი უსწავლელი, მაგრამ გონიერი კაცი იყო, როგორც აქამდე ხვდებოდა, რაღაცას მატყუებენო, ისე ამ წუთში მიხვდა, რომ ყველაფერი სიმართლე იყო, მყისვე ნათლად წარმოიდგინა, რა ხიფათიც ელოდა.

— ფუ, შაითან! — ჩაილაპარაკა და მაშინვე ეზოდან გავარდა, რომ ზედამხედველთან გაგზავნილ თავის მოციქულს დასწეოდა და უკან მოებრუნებინა. ეზოდან გასულ ჯიბრაილს თვით ზედამხედველი შემოხვდა, ცალი ხელით მაუზერს იმაგრებდა და ისე მოჩაქჩაქებდა.

— ტყუილად შეგაწუხეთ, თქვენო აღმატებულებავ, — მოუბოდიშა ჯიბრაილმა, შევცდი, ჩემი ნაცნობები აღმოჩნდნენ, სოფლიდან ჩამოსულები.

ზედამხედველმა ალმაცერად ახედა ჯიბრაილს, ულვაში გადაიგრიხა და ჩახლეჩილი ხმით ჩაილაპარაკა:

— აჰ, არ უნდა აჩქარდე, ისე მაინც ყოჩაღ, რომ სიფრთხილე გამოიჩინე.

ჯიბრაილმა ერთხელ კიდევ მოუბოდიშა და ნელი ნაბიჯით გამოსწია ჩვენსკენ. ჩვენ კი ერთი სიცოცხლე უკვე გათავებული გვქონდა.

ჯიბრაილმა ქუდი მოიხადა და მელოტი გაოფლიანებული შუბლი მაჯით მოიწმინდა, ეტყობოდა, ეს ჭირის ოფლი იყო.

— ბა, ანას! — შეიგინა თათრულად და მერე დამტვრეული რუსულით გვითხრა:

— მაშ, ასე, დაზგას მაინც ვერ გაგატანთ. ქანდარმები უსათუოდ ეჭვს აიღებენ. დღეს ურემს ვიშოვნი და მე თვითონ გადავიტან თათრების უბანში. საიმედოდ შეგინახავთ, ვიდრე დაგჭირდებოდეთ.

მე და ვანომ ერთმანეთს გადავხედეთ, ჯიბრაილის ნათქვამი ჭკუასთან ახლოს იყო, თუკი დაპირებას მართლა შეასრულებდა.

— ოღონდ სიტყვა სიტყვა უნდა იყოს. — ვუთხარი.

ჯიბრაილმა თვალები მოჭუტა და ჩაიცინა.

— მე სიტყვას არასოდეს არ ვტეხავ, რაკი ვთქვი, ეგრე იქნება.

ჯიბიდან ფული ამოვიღე და ორმოცი მანეთი ჩავუთვალე.

— ეს იმ ხარჯებისთვის, დაზგის გადასატანად რომ დაგჭირდება.

ფულის დანახვაზე თვალები აუციმციმდა და ერთხელ კიდევ განამტკიცა თავისი ნათქვამი.

— ალაჰს ვფიცავარ, ამ მანქანას იმდენ ხანს შეგინახავთ, რამდენ ხანსაც თქვენ გინდათ. ჯიბრაილი თავის სიტყვას აღარ გადავა.

იმ წუთში დავრწმუნდი, რომ იგი მართლაც არ გასტეხავდა სიტყვას. ჯიბრაილს გულთბილად დავემშვიდობეთ და წამოვედით. პირველ რიგში სადმე სასადილოში უნდა შევსულიყავით. ღამენათევებსა და დაღლილ-დაქანცულებს მგლებივით გვშიოდა. გადავწყვიტეთ ფალკონეს სასადილოში წავსულიყავით.

— ფული საკმარისი დაგვრჩა. ან ეს რაში გვჭირდება, დღეს თუ ხვალ შეიძლება მეც ლადოს მიმაყოლონ.

— წამოდი შენც თბილისში. — შემომთავაზა ბოლქვაძემ.

— თბილისში... — და თვალწინ დამიდგა ჩემი საყვარელი ქალაქიცა და იქაური ნაცნობებიც, თვალწინ და-

მიდგა ეთერ გველესიანი. ერთი თვის წინათ წერილი მივიღე მისგან და დღემდე პასუხი ვერ დავუბრუნე. აი, დღეს კი ვანოს გავატანდი წერილს, ვანო ხომ მიდის, აქ რაღა დარჩენია მას. უსტამბოდ ვერ იარსებებს ვანო.

— ხომ არ წამოხვალ, მართლა? — მკითხა ვანომ, რადგან ჩემი დუმილი ყოყმანად მიიჩნია.

— ვერა, ჩემო ვანო. მე აქ უნდა ვიყო, დღეიდან ორალეგალურად ვიცხოვრებ ისე, როგორც ლადო ცხოვრობდა და ვიმუშავებ ორგანიზაციაში, თბილისში ისედაც ბევრნი არიან. ჩემი საქმე აქ არის.

სასადილოში შესულებს ლეკი გამზატა ღიმილით შეგვეგება.

— სალამი, გამზატ, როგორა ხარ? — მივესალმე.

— რამდენი ხანია ოღარ მოსულხარ! — სალმის ნაცვლად მიპასუხა გამზატამ, — სადა ხარ, ვიფიქრე, რამე ხომ არ უჭირს-მეთქი.

ვგრძნობდი, რომ გამზატას მართლაც გულით ვუყვარდი და გასაჭირში უკან არ დაიხევდა, მეც მიყვარდა ეს კეთილი ლეკი.

— გამზატ, მყუდრო ადგილი გვიშოვნე და ნურავის ეტყვი, თუ ჩვენიანი არ არის, რომ აქა ვართ.

— გამზატას თავი შემოგევლოთ, მაგაზე გაწყენინებთ?

ლეკი დატრიალდა და მალე მართლაც საიმედო, მყუდრო ადგილას მოგვათავსა.

— ისეთ გუნებაზე ვარ, დღეს უნდა დავთვრე. შენ რას იტყვი, ვანო, ხომ ხედავ, ლადო წაგვართვეს, შენ თბილისში მიდიხარ, მე კიდევ რა ვიცი, დღეს დამიჭერენ თუ ხვალ. ღვინო დარდის წამალიაო. აბა, ერთი ვნახოთ, ჩვენს დარდს თუ რამეს უშველის... დღეს თუ არავინ არ მომკლა, ძალით გამოვიჭრი ყელსა... არსენა ოძელაშვილი ამბობდა ეგრე და იმ დღეს მართლა მოკლეს.

ბოლქვაძე გაოცებული მიყურებდა.

— შენ რა უცნაური ხარ დღეს, აბელ.

ევროპულად გამოწყობილი ახმახი ოფიციანტი დაგვადგა თავზე.

— მწვადი, ლულა-ქაბაბი, ოთხი ბოთლი ღვინო და თევზეული, რაც კი კარგი გაგაჩნიათ. გამზატას უთხარი, ცოტა ხანს

მოვიდეს, — მერე ვანოს გადავხედე, — ღღეს სიღარიბეს წიხლი უნდა ვკრათ.

ოფიციანტი სწრაფად გაბრუნდა და მალე გამზატამ ფარდაჩამოშვებულ ვიწრო კარღიაში თავისი ვეება მხარ-ბეჭი ძლივს შემოატია.

— გამზატ, ჯერ ადრეა და სასადილოში ხალხი ბევრი არ არის, ლოთები და ამრეკვები გვიან გამოჩნდებიან, მანამდე კი ჩვენთან იყავი.

უცნაურ გუნებაზე ვიყავ, ერთთავად ლაპარაკი და სიყვარული მინდოდა. ვიცოდი, ადამიანი მაშინ იქცევა ასე, როცა სხეული ცუდ დასასრულს უგრძნობს.

ღამენათევებსა და დაქანცულებს ღვინო მალე მოგვეკიდა, ერთი შეთრობა უცებ შეგვათრო, მაგრამ მერე შევისვენეთ და თანდათან გავმაგრდით. ცოტა-ცოტას ვსვამდით, სამაგიეროდ, ბევრს ვსაუბრობდით, რომ დრო როგორმე მოგვეკლა. ახლა ქუჩაშიც საშიში იყო ჩვენი გამოჩენა და ბინას ხომ, თავისთავად ცხადი იყო, ვერც გავეკარებოდით.

— ამ ჭიქით ჩვენს ბიჭებს გაუმარჯოს, მზის შუქი რომ აკლიათ, — ვამბობდი და გულაჩუყებულს ცრემლი მომდიოდა.

— ამ ჭიქით კიდევ ჩვენს საწყალ მშობლებს, ჩვენგან გატანჯულებს, ჩვენზე მლოცველებს!

— აბელ, შენ რაღაც დარდი გაქვს, რჯულის მადლმა, და გამზატას არ ეუბნები, იქნება გამზატას თავი რამეში გამოგადგეს. — ჩამციებოდა ლეკი.

— არაფერია, გამზატ, ისე უბრალოდ გული ამიჩუყდა, რა ხანია, დედაჩემი და მამაჩემი არ მინახავს.

შუადღის ხანს სასადილოში ხალხმა იმატა, ახმაურდნენ მთვრალები. გამზატამ ბოდიში მოიხადა და სუფრა დატოვა. მას ახლა უკვე გაუჩნდებოდა საქმე. დარბაზის თავში დადგებოდა, როგორც ნაგაზი ცხვრის ფარასთან, და, თუ ვინმე დებოშის ამტეხი გამოჩნდებოდა, ღრენით ჩააჩუმებდა.

თბილისის მატარებელი შვიდ საათზე გადიოდა. მე და ვანომ გადავწყვიტეთ, აქედან პირდაპირ რკინიგზის სადგურში წავსულიყავით, საიდანაც ვანო თბილისში უნდა გამგზავრებულიყო.

ექვს საათზე გამოვედით სასადილოდან. ქუჩაში სულის-

შემხუთველი სიცხე იყო, გახურებულ დედამიწას ჯერ კიდევ ასდიოდა სიცხის ბუღი. ფაიტონი გავაჩერეთ და სადგურში რომ მივედით, მატარებელი უკვე ბაქანზე იდგა.

ვანო ბილეთის ასაღებად წავიდა. ბაქანზე დარჩენილი გულაჩუყებული ვათვალიერებდი ვაგონებში მგზავრებს. ის ბედნიერები თბილისში მიემგზავრებოდნენ. უცებ ვიგრძენი, რომ ვიღაც გვერდზე ჩამვლელი დაჟინებით მაცქერდებოდა. აგერ ნაბიჯს უკლო, მთლად შეჩერდა და ისე მაცქერდება. არ მივიხედე, პირისახე უფრო მივაბრუნე, მერე კი, როცა ის უცნობი ჩამცდა, სწრაფად მივხედე და ხალხში თვალი მოვკარ ვიღაცის ოდნავ მოღუნულ ზურგსა და შლაპას. გული ამიბაგუნდა, ნეტავ ვინ იყო ასე დაჟინებით რომ მაკვირდებოდა? ის შორს არ წავიდოდა, უსათუოდ აქ სადმე იყო მიმალული და მე მითვალთვალებდა.

სადგურზე ზარი ჩამოჰკრეს. ბაქანი გამოცოცხლდა. გაფაციცებით ვეძებდი ხალხში იმ უცნობ შლაპიან კაცს, რომ გვერდიდან ბოლქვაძის ხმა მომესმა:

— აქა ვარ, აბელ, — მაგრამ ვანო მაშინვე მიხვდა, რომ მე სხვას ვეძებდი — რა იყო, ვის ეძებ?

— არ ვიცი, ვიღაცამ ჩამიარა და მაკვირდებოდა. მერე უცებ თვალიდან გამიქრა.

— მე ვაგონში ავალ და შენ დროზე გაერიდე აქაურობას. სადგურში ბლომად დაძრწიან.

— აბა, ვანო, კარგად იყავი, მოკითხვა ამხანაგებს. — მერე ხმადაბლა დავძინე. — თუ სტამბა მალე აღვადგინე, ხომ ისევ ჩამოხვალ?

— აუცილებლად.

სიყვარულით შემაჯანჯღარა ვანომ, გადაძკოცნა და გამშორდა. როცა მატარებელი სადგურს გასცდა და თვალს მიეფარა, თითქოს ქარმა მოიტანაო, ისე უცებ ვიგრძენ სიმარტოვის სინანული. მარტოდმარტო ვიყავ ხალხმრავალ ბაქანზეც, ამ ვეება ქალაქშიც და ამ ქვეყანაზედაც. ლადო ბაილოვის ციხეშია, ბიქტორა დაპატიმრებულია, დიმიტრი გუშინ დაუპატიმრებიათ, ვანო თბილისში მიემგზავრება, სტამბა დაიშალა...

გულდაწურული გავედი სადგურიდან და ქუჩაში შევჩერდი. ცა თხელი, გამჭირვალე ღრუბლებით დაფარულიყო, რაც უარესად ხუთავდა ჰაერს. ქუჩები ნელა-ნელა ცარიელდებოდა.

სად უნდა წავიდე ამაღამ? შინ ალბათ ჟანდარმები მელოდებიან. უცებ გამახსენდა ქალაქის განაპირას მცხოვრები ერთი სანდო მეგობარი, მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა ბოგდიანროვი. ამაღამ იქ გავათევ და მერე სადმე ვიშოვნი ბინას.

სადგურს გავცდი თუ არა, ვიწრო ქუჩაზე ჟანდარმები დამხვდნენ.

— საით გაგიწევია, ჭაბუკო? — მომესმა როტმისტრ ვალტერის დამცინავი ხმა, — ჩვენ შინ ველოდებით, ეს კიდევ დასეირნობს ამ უდროო დროს.

მუხლები მომიდუნდა, ტანში უსიამოვნოდ გამცრა.

— ვერაფერი გამიგია თქვენი, ბატონო როტმისტრო, გუშინ იქ არ ვიყავი, რატომ არ დამაპატიმრეთ?

როტმისტრმა პასუხი არ გამცა, იგი ერთ-ერთ ჟანდარმს მიუბრუნდა და უბრძანა:

— კარეტა!

13.

იმ ღამეს აბელი დაკითხეს, ოქმი შეადგინეს და ჟანდარმერიის სამმართველოს საკანში ჩაამწყვდიეს. გადაქანცულს ფიქრის თავიც აღარ ჰქონდა, ქვასავით მაგარ ტახტზე მიწვა და ღრმად ჩაეძინა.

— ენუქიძე, გეყოფა ნებივრობა, ადექი! — ძილში ჩაესმა მკაცრი ხმა. თვალები გაახილა, საკანის კარებში ულვაშიანი ჟანდარმი იდგა.

— მკვირცხლად!

აბელი წამოდგა, მიიხედ-მოიხედა და ღრმა ძილიდან გამორკვეულმა ძლივს იაზრა, სადაც იყო.

— რაშია საქმე?

ჟანდარმმა დამცინავად ჩაიღიმა.

— გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, წამობრძანდეთ!

საკანიდან გამოსულს ორი ჟანდარმი ამოუდგა ტვერდით, კარეტაში ჩასვეს და გააქროლეს.

— საით? — იკითხა აბელმა.

— ბაილოვისკენ, თქვენო აღმატებულებავ.

ბაილოვისკენ, ჰმ, ნაცნობი ადგილია, იმ ციხეს არც თუ ურიგოდ იცნობს, ერთხელ უკვე აყურყუტეს იქ.

ოთხი სექტემბრის გრილი დილა იყო. ღამით ეწვიმა. გზებზე გუბეები იდგა. მეჩხერი ღრუბლებიდან ახლადგამოსული მზე ბჟუტავდა.

კარეტა ციხეს მიადგა, ფართოდ გაიღო ალაყაფის კარი და შიგ შესრიალდა.

— აბელ ენუქიძე, საკანი 234.

საკანის კარი ხმაურით გაიღო, პატიმარი შიგ შეუშვეს და ისევ ხმაურით დაიკეტა, გაიჩხაკუნა საკეტმა. აი, ესეც 234 საკანი. ოთხივ მხარეს სქელი კედელი და ერთადერთი სარკმელი.

ციხეში მარჯვედ შეიტყობენ ხოლმე ახალი პატიმრის მოყვანას. საკანის სარკმელებს მოადგებიან და ცნობისმოყვარეობით იყურებიან, ვინ მოიყვანესო. ახალი პატიმარიც სარკმელს ეცემა, ეგებ ვინმე ნაცნობი დავინახოო. აბელიც ასე მოიქცა და მოპირდაპირე სარკმელში კეცხოველის თავი დაინახა მოულოდნელად. ლადო უხმოდ, თითქოს საყვედურით მისჩერებოდა.

— გამარჯობა, ლადო, როგორა ხარ? — დაუძახა აბელმა.

ლადომ თვალები მოჭუტა, პირისახე ზიზღით დამანჭა და აბელს სალამის ნაცვლად შეუღრინა.

— ვაი, ლაყევ, დაბდურო, მე მივქარე და ხელში ჩავუვარდი ამათ, შენ რაღამ გაგაბრიყვა, რამ. მაშ არ შეგეძლო, სადმე გადამალულიყავი?

— ქუჩაში დამაპატიმრეს, გადამალვა ვინ დამაცადა, ლადო!

— დაიღუპა ყველაფერი, ხომ?

— რა ამბავში ხართ, ლაპარაკი აკრძალულია! — დაიყვირა ზედამხედველმა, მაგრამ პატიმრებმა ყურადღება არ მიაქციეს. აბელი ცდილობდა ყველაფერი სწრაფად და მოკლედ ეამბნა ლადოსთვის.

— ბიქტორას ბინა გავწმინდეთ. „ნინას“ ჯიბრაილი უშენოდ არ გვატანდა, კინაღამ პოლიცია არ დაგვაყენა თავზე. ბოლოს იძულებული გავხდით სიმართლე გვეთქვა, შეეშინდა და შეგვპირდა, „ნინას“ მე თვითონ მივხედავო, არავის დავუთმობ დავითის გარეშეო. მეშინია, ვაითუ პირობა არ შეასრულოს.

ზედამხედველი უფრო აბობოქრდა:

— სიჩუმე, რა ბაზარია!

ლადოს სიხარულით თვალები გაუბრწყინდა, ზედამხედველს ყურადღება არ მიაქცია.

— თუ ჯიბრაილი შეგპირდათ, სიტყვას არ გადავა. უსათუოდ შეასრულებს. ბოლქვაძე სად არის?

— თბილისში გავისტუმრე. შემპირდა, თუ „ნინა“ დაბრუნდება, ისევ ჩამოვალო.

ლადომ მძიმედ ამოიოხრა და სარკმელს მოსცილდა.

ერთი კვირის თავზე აბელი დაკითხვაზე გაიყვანეს კარბოვთან, ვეება კაბინეტში ფართო მაგიდასთან იჯდა ნახევრად ქაჩალი ქერა კაცი და რაღაცას გამალებით სწერდა. გვიან აიღო თავი, მრგვალი ცისფერი თვალებით მიაჩერდა პატიმარს და ჟანდარმს ხელით რაღაც ანიშნა.

აბელი კარპოვის მოშორებით სკამზე ჩამოჯდა. ჟანდარმი მალევე შემობრუნდა და ორი ჩემოდანი შემოიტანა.

აბელს იქით არც გაუხედავს, კარპოვს აკვირდებოდა, მას კი თავი ხელისგულზე დაეყრდნო, მოჭუტული, თითქოს სევდიანი თვალებით ოთახის კუთხეს მისჩერებოდა და საჩვენებელი თითით თავს იქექავდა.

— ენუქიძე, — თქვა მან ბოლოს და დაღლილი თვალებით მიაჩერდა პატიმარს, — გახსოვს, ორი თვის წინ რომ გითხარი, ისევ შევხვდებით-მეთქი ერთმანეთს?

— მახსოვს, თქვენო აღმატებულებავ. გულთმისანი ყოფილხართ! — აბელს თვალები დამცინავად აუციმციმდა.

კარპოვმა თავი დაიქნია და საქმეზე გადავიდა. ოქმი გააცნო პატიმარს.

აბელს ყრუდ ესმოდა კარპოვი როგორ კითხულობდა.

— ენუქიძე აბელ სოფრომის ძე, დაბადებული: რაჭის მაზრა, ქუთაისის გუბერნია, სოფელი წკადისი, ხელობით ტექნიკოსი, უცოლო, პასუხისგებაში მიცემული იყო ქ. ბაქოს დემონსტრაციის საქმეზე...

როცა კარპოვმა ოქმის კითხვა ჩაათავა, ცოტა ხანს შეჩერდა, აბელს თვალებში შეხედა და ჰკითხა:

— მწითურო, სადა გაქვთ სტამბა?

აბელმა უცებ აიღო თავი და როტმისტრს მრისხანედ შეხედა.

— მე სახელი და გვარი გამაჩნია, თქვენო აღმატებულებავ.

კარპოვმა მწარედ ჩაიცინა:

— ბოდიში, ბატონო ენუქიძე. ჟანდარმერია ამ სახელით გიცნობთ და მეც იმიტომ მოგმართეთ. სადა გაქვთ სტამბა?

— მე არავითარი სტამბა არ ვიცი და არც არაფერი საერთო მქონია მასთან. — მკვახედ უპასუხა გულმოსულმა აბელმა.

კარპოვმა ამოიხვნეშა, მერე ჩაიცინა და სკამიდან წამოდგა.

— ენუქიძე, სტამბას დღეს თუ ხვალ მაინც აღმოვაჩენთ, მაგრამ თქვენ თუ გულწრფელი იქნებით და ყველაფერს აღიარებთ, მაშინ ჩვენ დანაშაულს გაპატიებთ.

— ძალიან მოხარული ვიქნებოდი, თქვენო აღმატებულებავ... მაგრამ სტამბისა არაფერი ვიცი.

— იქნებ რევოლუციონერებთანაც არავითარი კავშირი არა გქონდათ? — ჩაიცინა კარპოვმა და ჯიბეებში ხელებჩაყოფილი ბოლთის ცემას მოჰყვა.

აბელი დუმდა.

— ჰა, არა ხომ! — კარპოვი ულვაშიანი ჟანდარმისკენ შებრუნდა. ეს ის ჟანდარმი იყო, ლადოს დაპატიმრების დროს აბელს ხარხარით რომ უთხრა ქართულად, კიდევ კარგი შენი ფეხით მოხვედი, თორემ, ბალახანში შენს ბინაზე წამოსვლა მეზარებოდაო.

— გახსენი ჩემოდნები! — უბრძანა კარპოვმა ჟანდარმს.

ჟანდარმმა ორივე ჩემოდანს თავი აჰხადა.

— დატკბი, ენუქიძე, ეს შენი საკუთარი ნივთებია — კარპოვი ჩემოდნებს მიუახლოვდა და სათითაოდ ათვალიერებდა შიგ ჩალაგებულ წიგნებსა და ჟურნალებს. აბელმა ახლაღა იცნო თავისი ჩემოდნები, იცოდა შიგ რაც ეწყო. ერთში „ისკრისა“ და „ზარიას“ ნომრები, მეორეში კი ლენინის ბროშურა „რა ვაკეთოთ“, პირადი წერილები, სალაროს ანგარიშები და მისი ხელნაწერი. მაშ აბელის ბინა გაუჩხრეკიათ, რატომ არ მოიფიქრა და ვინმეს მაინც არ დაავალა, მისი ბინაც გაეწმინდათ.

— ჰა, ბატონო ენუქიძე, რას იტყვით, ეს თქვენი ნივთები არ არის?

ამ დროს ტელეფონმა დარეკა. ეტყობოდა, კარპოვს უფროსი ეძახდა. იგი სწრაფად გავიდა ოთახიდან. აბელმა ჟანდარმს შეხედა და სთხოვა:

— ჩვენებურო, თუ შეიძლება დავათვალიერებ მაგ ჩემოდნებს.

ჟანდარმმა თავით ანიშნა მიდიო და თან დასძინა:

— ოღონდ ჩქარა!

აბელმა „ისკრის" ოცდამეერთე ნომერი ამოიღო ჩემოდნიდან. ამ ნომერს ბაქოში მოუთმენლად ელოდნენ, რადგან შიგ მოთავსებული იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამის პროექტი. მერე ბროშურა „რა ვაკეთოთ" აიღო და ჟანდარმს მიუბრუნდა.

— ჩვენებურო, არ შეიძლება ეს ორი წიგნი დავმალო?

— რას მელაპარაკები, სხვა რა გინდა კიდევ? — ცივად უთხრა ჟანდარმმა.

აბელი მაინც არ ეშვებოდა.

— რა მოხდა, შე კაცო, იქნებ კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს. გადაგიხდი, ჩვენებური ხარ, ძაან რომ გამოვემცნაუროთ, შეიძლება ნათესავებიც აღმოვჩნდეთ.

ჟანდარმი ჩაფიქრდა.

— რომ გინახონ, ხომ იცი, შენთვისაც უარესია, მეც უნდა შარი მომდონ.

აბელმა დაატყო, რომ ჟანდარმი თანდათან ლბებოდა.

— შენ ნუ გეშინია. მე კიდევ ამაზე მეტი რა უნდა მიყონ. მაინც დაპატიმრებული ვარ. თუ მინახეს, აგრე ვეტყვი, მოვიპარე-მეთქი. ხომ არა გგონია, რომ შენც გაგცე!

— კარგი, ჯანდაბას! — ხელი ჩაიქნია ჟანდარმმა, — ოღონდ ფრთხილად იყავი, არ გინახონ.

აბელმა მადლობა მოუხადა და ბროშურები უბეში ჩამალა.

კარი გაიღო და ოთახში თვით ჟანდარმთა შეფი მინკევიჩი შემოვიდა. ულვაშიანმა ჟანდარმმა გაოცებისაგან თვალები ჭყიტა და ისე გაიჭიმა, ლამის წელში გაწყვეტილიყო. უკან დაბნეული კარპოვი მოსდევდა. მინკევიჩი პატიმარს დააკვირდა, ნელი ნაბიჯით მივიდა მაგიდასთან, სკამზე დაჯდა, ჭაღარაშერეული თმა ხელით გაისწორა, როტმისტრის მაგიდაზე გადაშლილი სქელი წიგნი დახურა და ყდაზე დახედა. აბელმა

შორიდანვე წაიკითხა წიგნის სათაური. ეს იყო: „ცხოვრება და მეფობა იმპერატორ ალექსანდრე პირველისა“. მინკევიჩმა წიგნს გულგრილად მოარიდა თვალი და პატიმარს შეხედა. კარპოვი ფეხზე იდგა.

— ბატონო ენუქიძე, მინდა რამდენიმე კითხვა მოგცეთ, ოღონდ გთხოვთ გულწრფელად მიპასუხოთ. წინასწარ უნდა დაგამშვიდოთ, რომ გამოძიებასთან არც ერთ კითხვას არ ექნება კავშირი.

აბელი გააოცა მისმა ნათქვამმა. მინკევიჩი პირადად არასოდეს ენახა და ახლაც არ იცოდა ეს მშვენიერი გარეგნობის კაცი ნამდვილად ჟანდარმთა შეფი იყო თუ არა.

— მაპატიეთ, ვისთან მაქვს საქმე?

— თვით ჟანდარმთა შეფთან.

აბელი შეიშმუშნა, მაგრამ მინკევიჩმა ხელით ანიშნა, დაწყნარდიო.

— ბატონო ენუქიძე, გთხოვთ ერთი წუთით დაივიწყოთ, რომ მე ჟანდარმთა შეფი ვარ, ხოლო თქვენ ბრალდებული. შეგიძლიათ?

აბელმა გაიღიმა.

— თუ თქვენ შეძლებთ, თქვენო აღმატებულებავ, დაივიწყოთ, რომ ჟანდარმთა შეფი ხართ, მეც, ალბათ, შევძლებ დავივიწყო, რომ პატიმარი ვარ. მგონია, ეს ჩემთვის უფრო ხელსაყრელია.

მინკევიჩმა ისე გულღიად ჩაიცინა, მართლაც, ამ წუთში არაფრით ჰგავდა ჟანდარმთა მრისხანე შეფს.

— როგორც ვატყობ, ბატონო ენუქიძე, საუბარი გულახდილი გამოგვივა. მაშ, მიპასუხეთ, თქვენ და თქვენი ამხანაგები რას მოელით რევოლუციისაგან. ოღონდ კიდევ გთხოვთ, გულახდილი იყოთ.

აბელი ჩაფიქრდა, ცოტა არ იყოს დააბნია და გააოცა ასეთმა კითხვამ. მინკევიჩს დააკვირდა. თვალები უღიმოდა და მოუთმენლად ელოდა პასუხს.

— რაკი გინდათ გულახდილი ვიყო, თქვენო აღმატებულებავ, გიპასუხებთ: თავისუფლებას, ძმობას და თანასწორობას.

მინკევიჩმა ლოყა ხელისგულზე დაიყრდნო, თვალები უფრო მოჭუტა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა: — liberte,— egalite,

fraternite! თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა! საფრანგეთის დიდი რევოლუციის ლოზუნგიც ეს გახლდათ, გესმით, ენუქიძე, მაგრამ რა მიიღეს აქედან? დიდებული ლოზუნგია. მერწმუნეთ, მაგაზე არც მე ვიტყოდი უარს, სრულიად გულწრფელად გეუბნებით ამას, მე — ჟანდარმთა შეფი, — მინკევიჩი გაჩუმდა და აბელს შეხედა.

აბელი რატომღაც გაათამამა ჟანდარმთა უფროსის უშუალობამ და ღიმილით უპასუხა:

— ისე გამოდის, თქვენო აღმატებულებავ, რომ მე და თქვენ ერთი სულისკვეთების ხალხი ვყოფილვართ.

შეფმა გაიღიმა და თავი დაიქნია.

— ასეა. მხოლოდ თქვენ მცდარ გზას ადგახართ, მე შედარებით უფრო სწორს. აი, განსხვავება რაშია, ბატონო ენუქიძე. მითხარით, ვინ მოგცათ იმის გარანტია, რომ თქვენს რევოლუციას, რომელიც უამრავ სისხლსა და მსხვერპლს მოითხოვს, თავისუფლება, ძმობა და თანასწორობა მოჰყვება? დემაგოგიას ხომ არა ხართ აყოლილები თქვენცა და თქვენი თანამზახველებიც? იმაზე თუ დაფიქრებულხართ, ბატონო ენუქიძე, რომ ყოველგვარ ახალ იდეას ავანტურისტებიც ეფარებიან და, შესაძლოა, პირველ რიგში იმათ მოითბონ ხელი, რასაც უსათუოდ პატიოსანი ხალხის მსხვერპლი მოჰყვება?

მინკევიჩი, ეტყობოდა, კამათის აზარტში შედიოდა და თანდათან ცხარობდა.

— დავფიქრებულვარ, თქვენო აღმატებულებავ. მაგაზეც დავფიქრებულვარ და ბევრ სხვა საკითხზეც. ვიცი, რომ რევოლუციამ პატიოსანი ინტელიგენტებისა და თუნდაც რევოლუციონერების ინტელექტი და უნარი უნდა გამოიყენოს და შემდეგ სასტიკად გაუსწორდეს მათ, ისე, როგორც საფრანგეთის რევოლუცია გაუსწორდა რობესპიერსა და სხვათა. მაგრამ მე ეს რევოლუციის კანონზომიერებად მიმაჩნია, თქვენო აღმატებულებავ, გარდა ამისა, ეტყობა, ეს ჩემი შინაგანი ბუნებაა, ვიდრე უსამართლობას ვხედავ, ვიბრძოლებ, თუნდაც სიცოცხლის ფასად დამიჯდეს ეს.

მინკევიჩი წუთით ჩაფიქრდა. აბელს შეხედა და უთხრა:

— O, Sancta simplicitas!* წმინდა გულუბრყვილობავ!

---

* ო, წმინდა გულუბრყვილობავ!

თქვენ რევოლუციის კანონზომიერებად მიგაჩნიათ და კიდეც უნდა მიგაჩნდეთ ის გარკვეული მსხვერპლი პატიოსანი ადამიანებისა, პირველ ხანებში რომ მოსდევს რევოლუციას ანუ როგორც თქვენა თქვით, რევოლუცია თავისთავს რომ გამოიყენებს და მერე სასტიკად გაუსწორდება, მაგრამ შემდეგ, როცა სამსხვერპლოზე ისევ პატიოსანი ხალხი მოექცევა, ამასაც რევოლუციის კანონზომიერებად ხომ არ მიიჩნევდით?

აბელს გაახსენდა სპირიდონთან ბოლოდროინდელი საუბარი. ისიც ხომ დაახლოებით ასე ეკამათებოდა რევოლუციაზე.

— ამაზე რას იტყვით, ბატონო ენუქიძე? — კითხვა გაუმეორა მინკევიჩმა.

— ჩვენ ამას არ ველით, თქვენო აღმატებულებავ. ამის მოლოდინი ერთი წუთითაც რომ მქონდეს, დღესვე შევაქცევდი ზურგს რევოლუციასაც და მარქსიზმსაც.

მინკევიჩმა ჩაიცინა და მერე ცოტა არ იყოს მაღალფარდოვნად წარმოთქვა:

— „რევოლუციას იწყებენ ფანატიკოსები, აღასრულებენ ჯალათები, ხოლო მის შედეგს არამზადები ეუფლებიან!“ იცით ვის ეკუთვნის ეს სიტყვები.

— არ ვიცი, თქვენო აღმატებულებავ.

— ნაპოლეონ ბონაპარტეს. რას იტყვით, ხომ არ არის ეს ზუსტი შეფასება?

— თუ ნაპოლეონი საკუთარი გამოცდილებიდან გამოდიოდა, მაშინ ზუსტი შეფასება იქნება, თქვენო აღმატებულებავ, და მეორეც, იმაზე ნუ ვილაპარაკებთ, რაც ჯერ არ მომხდარა.

მინკევიჩმა ჩაიცინა, მერე ღრმად ჩაფიქრდა და დარბაისლური კილოთი მიმართა:

— თქვენი მარქსიზმი ქადაგებს „თვითეულისაგან უნარის მიხედვით, თვითეულს მოთხოვნილების მიხედვითო“. თქვენ გჯერათ, რომ ამ ლოზუნგს, რაც მხოლოდ უვიც ბრბოს სჯერა, ხოლო განათლებული არამზადები საკუთარი მიზნის მისაღწევად იყენებენ, სააქაოში განხორციელება უწერია? ამას რომ მართლა განხორციელება ეწეროს, მერწმუნეთ, ბატონო ენუქიძე, მაშინ მეც თქვენს მხარეს ვიბრძოლებდი.

აბელი იღიმებოდა. მინკევიჩმა კი ისევ დინჯად განაგრძო:

— თუ არ ვცდები, რუსეთის იმპერიაში სხვა ხალხთან შედარებით ქართველებს მეტი კულტურა და ძველი ტრადიცია გაქვთ. რამდენადაც ვიცი, საკუთარი დამწერლობაც უნდა გქონდეთ. ასე არ არის, ბატონო ენუქიძე?

— ასეა, თქვენო აღმატებულებავ.

— მეც ამიტომ მინდოდა თქვენთან პირადი საუბარი. ჩემს ახალგაზრდობაში, ვიდრე ჟანდარმერიის სამსახურში ჩავდგებოდი, ერთი ხანობა გატაცებული ვიყავი კავკასიელი ხალხების ისტორიით, მაგრამ ბევრი ვერაფერი მოვასწარი. თქვენ რომ მართლა დიდი და კულტურული ერის წარმომადგენელი იყოთ, დარწმუნებული ვარ, დემაგოგიის ანკესს არ წამოეგებოდით და თქვენი ერის საკუთარ ბედზე და მომავალზე იზრუნებდით. მაგრამ, როგორც ჩანს, თქვენს ერს დიდი არაფერი წარსული ჰქონია და არც მომავალი ელის.

მინკევიჩის ნათქვამი აბელს ცეცხლივით მოედო გულზე, მაგრამ გადაწყვიტა, თავს მორეოდა და აუღელვებლად გაეცა პასუხი.

— თქვენო აღმატებულებავ, რაკი თავიდან მითხარით, ერთი წუთით დავივიწყოთ, რომ მე ჟანდარმთა შეფი ვარ და თქვენ ბრალდებულიო, ამიტომ თავს უფლებას მივცემ და მოგახსენებთ, რომ ჩემი ერი ის ერია, ვისაც საკუთარი ანბანი მეხუთე საუკუნიდანვე გააჩნდა თუ უფრო ადრე არა. ამავე საუკუნეში შეიქმნა პირველი ლიტერატურული ძეგლები. ჩემი წინაპრები ამ დროს თარგმნიდნენ ძველი ბერძენი ფილოსოფოსების ნაშრომებს, მეთორმეტე საუკუნეში შეიქმნა უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, მაშინ, როცა ერთი საუკუნით გვიან დაიწყო ევროპის ქვეყნებში რენესანსი. ხოლო ქრისტიანობა გაცილებით ადრე მივიღეთ, ვიდრე ევროპის ზოგიერთმა ქვეყანამ.

— როგორ, ქრისტიანობა ჩვენზე, რუსებზე ადრე მიიღეთ?— იკითხა მინკევიჩმა, აქამდე დუმილით და გაოცებით რომ უსმენდა აბელს.

— მეოთხე საუკუნეში გავინათლეთ, თქვენო აღმატებულებავ.

— წარმოუდგენელია, — ჩაილაპარაკა მინკევიჩმა, — დაუჯერებელია, თუ ყველაფერი ეს მართალია, რაც თქვენ ჩამოთვალეთ, ბატონო ენუქიძე, მაშინ მსოფლიო მეცნიერები რა-

ტომ არ იჩენენ რაიმე ინტერესს თქვენი წარსულის მიმართ, ანდა რამ ჩააქრო ასე დღეს თქვენი ერი?

საუბარი ზუსტად ისე აეწყო, როგორც ბებელს უნდოდა. მას ამ წუთში არც ეჯერა და არც ახსოვდა, რომ პატიმარი იყო და ყანდარმთა შეფს ელაპარაკებოდა.

— თუ ორ წუთს დამითმობთ, ყველაფერს მოგახსენებთ, თქვენო აღმატებულებავ.

— გისმენთ, ენუქიძე, დიდი სიამოვნებით გისმენთ.

— საქართველოს, თქვენო აღმატებულებავ, დასავლეთით ერთმორწმუნე ბიზანტია ესაზღვრებოდა, ხოლო აღმოსავლეთით მუსულმანური სპარსეთი. მართალია, ბიზანტიასთან ხშირად თავდაცვითი ომებიც ჰქონდა, მაგრამ ვინაიდან ზოგჯერ მათ ქვეშევრდომად ითვლებოდა და ჩვენი მართლმადიდებლური ეკლესიაც საბერძნეთის საპატრიარქოს ემორჩილებოდა, ჩვენი წინაპრები ძალაუნებურად ეზიარებოდნენ მათ კულტურას და თვითონაც ჰქმნიდნენ საკუთარს. ასეთივე ურთიერთობა გვქონდა ძველ სპარსულ კულტურასთანაც. მაგრამ მერე, როცა ბიზანტიის სამეფო დაემხო, ქრისტიანული საქართველო გარშემორტყმული დარჩა მტრულად განწყობილი მუსულმანური სამყაროთი, რომელიც ემუქრებოდა მას. მეთოთხმეტე საუკუნეში დიდი მონღოლობა მეორედ მოადგა საქართველოს და ერთიანი სახელმწიფო ცალკე სამთავროებად დააქუცმაცა. ამ დღიდან ჩაქრა ნათელი პოეზიისა, ფილოსოფიისა, ხელოვნებისა. ქართველი ერი მხოლოდ იმისთვის იბრძოდა, რათა არსებობა შეენარჩუნებინა. სამი საუკუნის მანძილზე, თქვენო აღმატებულებავ, ცალკე თურქების, ცალკე სპარსელების და ცალკე კავკასიის მუსულმანური ტომების წინააღმდეგ თავგანწირულმა ბრძოლამ სისხლისაგან დაწრიტა ქართველი ერი. — აბელი შეჩერდა, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და განაგრძო, — ამიტომ ქართველთა წინამძღოლები, საქართველო როგორმე გადაშენებისაგან რომ ეხსნათ, ხან ევროპის ქრისტიანულ ქვეყნებს სთხოვდნენ შველას, ხანაც რუსეთს. მაგრამ დაპირების მეტს ვერაფერს იღებდნენ, ნამდვილი მხსნელი არა ჩანდა, რომის პაპი და რუსეთის ზოგიერთი იმპერატორი თუ იმპერატრიცა შაჰისა და სულთანის მორთმეულ ძვირფას ძღვენზე სცვლიდნენ ერთმორწმუნე საქართველოს. და ბოლოს, ას ოცი წლის წინათ, თქვენო აღმატებულებავ,

ისევ ერთმორწმუნე რუსეთმა შეივრდომა, მაგრამ მალე თვითმპყრობელობამ დაარღვია ტრაქტატის პირობები. თვითმპყრობელობამ ჩაკლა ამ პატარა ერის სულიერი ყოფა, დადუმდა უძველესი ქართული ენა, ჩაკვდა მისი კულტურა. აი, თქვენ, ესოდენ განათლებულმა კაცმაც კი არ იცოდით, რომ საქართველო ძველი ქრისტიანული სახელმწიფო იყო და ბიზანტიასთან ერთად ქმნიდა მსოფლიო მნიშვნელობის კულტურას. არ იცოდით, რადგან თვითმპყრობელობა მთელს იმპერიაში გარუსების პოლიტიკას დაადგა და მახვილით დათრგუნა როგორც თავისი ერის, ისე პატარა ერების აზროვნება. ბნელეთში მოაქცია ყველაფერი. ეს ხომ არ ნიშნავს, თქვენო აღმატებულებავ, არსებული იმპერიისა და მისი პოლიტიკის გახრწნასა და დალპობას? აი, რატომ აღსდგა დღეს მეფის წინააღმდეგ რუსიც და ქართველიც, უკრაინელიც და სომეხიც.

მინკევიჩი წამოდგა, ჭაღარა ხშირ თმაზე ხელი გადაისვა და გაიარ-გამოიარა...

— ბატონო ენუქიძე, საბოლოო კითხვა და ამით დავამთავრებ თქვენთან საუბარს. ვთქვათ, კართაგენი მართლაც განწირულია და უნდა დაინგრეს, მაგრამ იმის ნაცვლად თქვენ და თქვენი თანამზრახველები რას ააშენებდით?

— სოციალიზმს, თქვენო აღმატებულებავ.

მინკევიჩმა ჩაიცინა და თავი გადააქნია.

— თანასწორობისთვის, ერთობისთვის და ძმობისთვის ბრძოლას ხომ არ სჯობდა თქვენი ერის მომავალსა და თავისუფლებაზე გეფიქრათ და გებრძოლათ? მე ამას გირჩევდით აწ რუსეთის ქვეშევრდომი და მოქალაქე, მაგრამ წარმოშობით არა რუსი.

— მხოლოდ სოციალიზმი ააღორძინებს ჩემი ერის მიძინებულ კულტურას და თვით რუსეთის აწ დათრგუნულ აზროვნებას.

— ნეტარ არიან მორწმუნენი, — ჩაილაპარაკა მინკევიჩმა, მერე აბელს მიუბრუნდა და ხმამაღლა უთხრა: — ბატონო ენუქიძე, მადლობას გიხდით გულახდილობისთვის, უკვე დავამთავრე თქვენთან საუბარი. ერთ რამესღა გეტყვით: თქვენ და თქვენს თანამზრახველებს ჰაერში გამოკიდებული ლამაზი სიტყვები გაცდუნებთ, ისე როგორც მორწმუნეებს იმქვეყნიური სამოთხე. თქვენ გინდათ ღატაკი, ჯერ კიდევ თითქმის

ბატონყმური რუსეთიდან სოციალიზმი შექმნათ. ეს სასაცილოა. თქვენ გჯერათ, რომ სოციალიზმი პატარა ერებს თავისუფლებას მოუტანს, ესეც სასაცილოა. იმპერია იმპერიაა, როგორიც არ უნდა იყოს იგი. მე არა მჯერა სოციალიზმს გამარჯვება ეწეროს და თუ ეს მართლა მოხდება, მაშინ ქაოსი დატრიალდება ან ანარქიამდე მივა საქმე. კარგად ბრძანდებოდეთ. დაიხსომეთ ჩემი ნათქვამი ეგებ როდისმე გენიშნოთ. გააგრძელეთ თქვენი საქმე, როტმისტრო! — მიუბრუნდა კარპოვს და ოთახიდან გავიდა.

14.

ამაოდ გაჰყავდათ დაკითხვაზე კეცხოველი, ენუქიძე და ბაქრაძეები, გამოძიებამ ვერაფერი შედეგი ვერ მიიღო. ამაოდ დადგა ფეხზე ბაქოს პოლიცია, სტამბის ადგილ-სამყოფელს ვერაფრით ვერ მიაგნეს. დაპატიმრების დღიდან სამი კვირის შემდეგ თბილისის სასამართლო პალატის ბრალმდებლის მიწერილობის თანახმად პატიმრები ბაილოვის ციხიდან თბილისში გადაიყვანეს და მეტეხის ციხეში ჩაამწყვდიეს.

სექტემბრის სისხამ დილას აბელს ძილში ჩაესმა მოლას გამკივანი ხმა.

მეჩეთი? მინარეთი? სად არის აბელი, თბილისში თუ ბაქოში? რა უნდა აქ მოლას?

თვალები მოიფშვნიტა და აზრი დაიბრუნა, საკანის ფანჯარას მიადგა. სამზეური ისე გავარვარებულიყო, ლავაშს დაიკრავდა ზედ. ძირს მტკვრის ხმაური ისმოდა, ხოლო გაღმა ისევ კიოდა მინარეთიდან მოლა. ახლაღა გაახსენდა, რომ მეტეხის ციხის გადაღმა, თათრის მოედანზე, ერთადერთი მეჩეთი იყო, სადაც თბილისელი მუსულმანები ალაჰს ლოცულობდნენ.

მოლას გამკივანი სადილაო ხმა მალე მიწყდა. ქალაქი ნელა-ნელა იღვიძებდა. სიონში ცისკრის ზარები დააგუგუნეს. სიონის ეკლესიაც ხომ აქვე, მეტეხის ყურის ძირში იყო.

აბელმა თვალი გააყოლა ვორონცოვის ხიდს და იქ შეჩერდა მისი მოგონებებიც. შარშან სწორედ ამ ხიდზე იდგა და იქიდან უყურებდა მეტეხს: იმათ ბედ-იღბალზე ფიქრობდა, ვინც

ციხეში იყვნენ ჩამწყვდეულნი. ახლა კი თვითონ ზის ციხეში და აქედან უყურებს ვორონცოვის ხიდს, ზედ რომ ჭიანჭველებივით მიფუსფუსებენ ადამიანები და აქეთ არც კი იყურებიან.

ნეტავ სოფელში თუ იციან, რომ აბელი ციხეში ზის. ო, როგორ უნდა მამის ყურამდე არ მივიდეს ეს ამბავი. გუშინ შეიტყო, დიმიტრი და ბიქტორა ბაქრაძე მეორედ დაჰკითხესო. დიმიტრიზე ხელჩასაჭიდი საბუთი არაფერი გააჩნდათ, არც მაინცდამაინც ბიქტორაზე. აბელს კი მთელი ბიბლიოთეკა აღმოუჩინეს სახლში. პირველ დაკითხვაზე, რის დამალვასაც აზრი აღარ ჰქონდა, ყველაფერი აღიარა აბელმა. ლუნიჩთან ერთად დაკითხვას ესწრებოდა თბილისის სასამართლო პალატის პროკურორი, უკვე ხანში შესული ხლოდოვსკი, წამდაუწუმ რომ ახლუჩუნებდა. აბელმა აღიარა, რომ ბათუმიდან იღებდა არალეგალურ ლიტერატურას, რომ ხელმძღვანელობდა საიდუმლო წრეს აჯიკაბულსა და შუშაში, რაც ლუნიჩს კარგად მოეხსენებოდა და საამისო მტკიცებანიც ხელთ ჰქონდა, მაგრამ სტამბაზე რომ მიდგა საქმე, ცივი უარი სტკიცა. სტამბასთან არავითარი ურთიერთობა არა მქონია და სად არსებობს არც ის ვიცი. არადა, ჟანდარმერიას სწორედ სტამბის ციებ-ცხელება ჰქონდა შემდგარი, როგორმე უნდა აღმოეჩინა. აგერ ოცი დღე გავიდა და აბელი აღარ გაუძახიათ დაკითხვაზე. ნეტავ რაშია საქმე?

უცებ ციხე პატიმრების ყიჟინმა აახმაურა. იგინებოდნენ და უსტვენდნენ. აბელი სარკმელს ეცა, მიხვდა, რაც ხდებოდა. როცა ლადოს სასეირნოდ გაიყვანდნენ ეზოში, იგი იქვე მტკვრის პირას მდებარე თამბაქოს ფაბრიკის მუშებთან გაბამდა საუბარს. ზედამხედველები უშლიდნენ, მაგრამ ლადო არ იშლიდა. პატიმრები ყვირილითა და გინებით იკლებდნენ იქაურობას. კეცხოველს ესარჩლებოდნენ. საკვირველი იყო, ასე მოკლე ხანში და ისიც ციხეში, ლადომ როგორ მოახერხა და როგორ მოიგო პატიმრების გული. თვით სისხლის სამართლის დამნაშავენიც კი უთანაგრძნობდნენ და შინაურივით ესალმებოდნენ თავიანთი საკნებიდან.

მეტეხში გადმოყვანილმა აბელმა მაშინვე დაამყარა კავშირი ლადოსთან და თუ რამ ახალს შეიტყობდა, სხვა პატიმრების მეშვეობით აცნობებდა.

— ციხეში შემოვაპარე „ისკრის“ 22 ნომერი და ლენინის „რა ვაკეთოთ“, — შეატყობინა ერთ დღეს აბელმა, — პატიმრები ისე დაესივნენ, ლამის შეჭამონ. ნამდვილი წრე გავხსენი.

და მართლაც, მეტეხის პატიმრები, თვით ისინიც კი, ვისაც კატორღა ჰქონდა მისჯილი და დღედღეზე ელოდა შორ გზაზე გამწესებას, გატაცებით კითხულობდნენ „ისკრასა“ და ლენინის ნაშრომს.

ციხეში ატეხილი ხმაური თანდათან ჩაწყნარდა. ეტყობა, ლადო ისევ უკან შეაბრუნეს. აბელის საკანის კარზე საკეტმა გაიჩხაკუნა.

— ენუქიძე, დაკითხვაზე!

აჰა, როგორც იქნა მიჰყავდათ დაკითხვაზე. ეგებ საშველი დაადგეს, ან მიუსაჯონ ან გაანთავისუფლონ ბოლოსდაბოლოს.

აბელმა ბნელი ტალანი გაიარა და ნაცნობ ოთახში შევიდა. მაგიდასთან ამჯერად მხოლოდ ლუნიჩი იჯდა, გვერდით აღარ ჰყავდა პროკურორი ხლოდოვსკი.

— დაბრძანდით, ბატონო ენუქიძე, — სკამზე მიუთითა როტმისტრმა.

ლუნიჩს უკვე საკმაოდ იცნობდა აბელი. ოცდაათიოდე წლის როტმისტრი გარეგნულად მუდამ მხიარული ჩანდა, შეძენილ და არა თანდაყოლილ თავაზიანობას პატიმართანაც კი იჩენდა, თუმცა ამ თავაზიანობაში ყოველთვის შეიმჩნეოდა დამამცირებელი დაცინვა და სიძულვილი.

— ბატონო აბელ, წერილების მიღების ნება თუ დაგრთეს?

— არა, ბატონო როტმისტრო.

ლუნიჩი ჩაფიქრდა, შუბლი მოისრისა და ლურჯი ღრმა თვალებით აბელს მიაჩერდა.

— ვწუხვარ, რომ წერილების მიღების უფლება თავიდანვე არ დაგრთეს. მაშინ თქვენ უკვე გეცოდინებოდათ, რომ ბაქოში სტამბა აღმოჩენილია. — ლუნიჩი შეჩერდა და ყურადღებით დააცქერდა.

აბელს ყურები აუწივლდა, რაო, რა თქვა როტმისტრმა? რა სტამბაა აღმოჩენილი? თუ მართლა ასეა, ნუთუ აბელს როგორმე ვერ შეატყობინეს. არა, ლუნიჩი მახეს უგებს, ანკესი გადმოგიგდო, აბელ, და არ წამოეგო, ფხიზლად იყავი.

— და კიდევ იმას ვწუხვარ, ბატონო ენუქიძე, რომ თქვენ თავიდანვე არ აღიარეთ სიმართლე. მაშინ თქვენ სასჯელი შეგიმსუბუქდებოდათ, უფრო მეტიც, შეიძლება მთლად გაგვენთავისუფლებინეთ... თუმცა არც ახლაა გვიან, თუ გულახდილი იქნებით, სასჯელს აიცდენთ.

— მე მგონი, ბატონო როტმისტრო, ყველაფერი ვაღიარე, რაშიც ბრალი მედება. რაღა გნებავთ, გამასამართლეთ და მომისაჯეთ.

— თქვენ არ გითქვამთ მთავარი, სად არის სტამბა. ეს უთქვენოდაც გაიგეს და აღმოაჩინეს კიდეც, მაგრამ თუ დღეს მაინც იქნებით გულახდილი, ეს თქვენთვის დიდი შეღავათი იქნება.

ლუნიჩი სკამიდან წამოდგა, პაპიროსს მოუკიდა და გაიარ-გამოიარა.

„რას ბოდავს ეს კაცი, რა სტამბა აღმოაჩინეს?“ —ფიქრობდა აბელი.

— ჰა, რას იტყვით, ენუქიძე, რატომ დაფიქრდით?

— რა უნდა გითხრათ, მე სტამბისა არაფერი ვიცი, თუ უკვე აღმოაჩინეთ, რაღა გინდათ?

— მე ის მინდა, — ლუნიჩი ახლოს მივიდა და თვალებში ჩახედა, — რომ თქვენ აღიაროთ. ჩვენ ვიცით, სად არის სტამბა, დამალვას აზრი აღარა აქვს. არა გჯერათ ხომ? თქვენ რომ წერილების მიღების ნება გქონოდათ, მაშინ ეს უკვე გეცოდინებოდათ, ვინაიდან თქვენ სახელზე გამოგზავნილი წერილები მე ჩამივარდა ხელში და არა თქვენ, — ლუნიჩი შებრუნდა, მაგიდის უჯრა გამოაღო და იქიდან ორი წერილი ამოიღო, — აბა, მოუსმინეთ, რასა გწერთ ერთი თქვენი მეგობარი.

„ჩემო მეგობარო აბელ, როგორ არის შენი და ლადოს ან სხვა ჩვენი თანამებრძოლების საქმე, რა ბრალდებას გიყენებენ, ან როდის აპირებენ სასჯელის გამოტანას?

აქ ყველაფერი ჩაფლავდა, რაც, ვიცი, ძალიან გეწყინებათ. პოლიციამ საიდუმლო სტამბას მიაგნო, დააპატიმრეს მთელი რიგი ამხანაგებისა, ტრიფონ ენუქიძე, ვანო და გიორგი სტურუები, სტეფანე გარიშვილი... — ლუნიჩმა წერილის კითხვა შეწყვიტა და აბელს დააცქერდა.

— გავაგრძელო, ბატონო ენუქიძე, თუ კმარა?

— ბოდიში, ვინა სწერს ამ წერილს?

— მაგას თქვენთვის მნიშვნელობა არა აქვს.

— წერილი მგონი ჩემს სახელზეა.

— დიახ, მაგრამ თქვენ წერილების მიღების უფლება არა გაქვთ.

— მე ამაზე პროტესტი განვაცხადე, ბაილოვის ციხეში წერილსაც ვიღებდი და წიგნის კითხვის უფლებაც მქონდა.

ლუნიჩი დაფიქრდა, მღელვარება დაიოკა და წყნარად უთხრა პატიმარს:

— დღესვე დაწერეთ თხოვნა ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსის თანაშემწის სახელზე და დაგრთავენ ნებას, მე გაძლევთ ამის პირობას. აი, ხომ ხედავთ, ყველა თქვენს პროტესტს მხედველობაში ვიღებთ, თქვენ კი ისიც არ გინდათ აღიაროთ, რაც უკვე ჩვენთვის ცნობილია, — სად არის სტამბა?

აბელისთვის ყველაფერი უკვე ნათელი იყო. თუ სტამბას მართლაც მიაგნეს, მაშინ ლუნიჩი აღარც ამ წერილს წააკითხებდა აბელს და აღარც სტამბის ადგილსამყოფელი დააინტერესებდა. მაშასადამე, ეს წერილი თავისი მონაჩმახია. ძალიან გაცვეთილი და იოლი ხერხია, როტმისტრო, მაგ ანკესზე ბალღიც არ წამოეგება. დაწერე განცხადება და წერილის მიღების უფლებას დაგრთავთო, გასაგებია შენი ლმობიერება, ეგებ ჩვენი მიმოწერით გაიგო, სად არის სტამბა, არა, სტამბას ვერ მიაგნებთ. მისი არსებობა მხოლოდ სამმა ვიცით, ლადომ მე და ბოლქვაძემ. ბოლქვაძე თავისუფალია, ლადოს მაგას ვერ ათქმევინებთ, დიმიტრი და ბიქტორა ბაქრაძემ მისი სამყოფელი არ იციან.

— რას იტყვით ამ წერილზე, ენუქიძე?

აბელი იღიმებოდა და ხმას არ იღებდა.

— რაზე იცინით?

— ბატონო როტმისტრო, მე არ ვიცი ამ წერილს ვინ მწერს, არც ის ვიცი, სტამბა მართლა ჩავარდა თუ არა...

— მაგრამ თქვენ კარგად იცით, სად მდებარეობს სტამბა;

— არ ვიცი, სტამბასთან საერთო არაფერი მქონია.

ლუნიჩი გაცეცხლდა, ფეხზე წამოდგა და კბილებში გამოსცრა:

— თქვენ ყველაფერი კარგად იცით, ენუქიძე, არ გინდათ აღიაროთ, არა? კეთილი, ტყუილად ებრძვით თქვენ და თქვე-

ეი ფეგობრები ქარის წისქვილებს, კატორღა შეგრჩებათ და ზეტი არაფერი... დონ კიხოტები! — ჩაილაპარაკა ლუნიჩმა, როცა აბელი ოთახიდან გაიყვანეს.

ნაწილი მესამე

1.

ათას ცხრაას სამი წელი. თიბათვის მიწურული. ღამეა. ცაზე მთვარე ქათქათებს. სოფელს სძინავს. არსაიდან ხმა არ ისმის. ძაღლებიც კი ჩაყუჩებულან. მხოლოდ სოფრომ ენუქიძის სახლიდან გამოკრთის შუქი. ფანჯარაში ხანდახან ქალის ლანდი გამოჩნდება.

სოფრომი ლოგინში წევს. მძიმე ავადმყოფობამ დაასუსტა და ჯერაც ვერ მოუკრეფია ღონე. ფეხზე ადგომა უჭირს.

ბარბარემ სანთლებს მოუკიდა, პირჯვარი გადაიწერა და ჩურჩულდა:

— ღმერთო, შენ გადმოხედე ჩემს ოჯახს. ქმარი გამომიჯანმრთელე და შვილის ნახვას კიდევ მაღირსე. მშვიდობით დააბრუნე ჩემი აბელი, ჩემი სიყრმის შვილი. შენ ჩააგონე სიკეთე და მიეცი ძალა. ღმერთო მაღალო, ყოვლისშემძლე უფალო!

როცა ლოცვა მოათავა, ქმრისკენ შებრუნდა. ტახტმა გაიჭრიალა, სოფრომი შებორგდა.

— ბარბარე, კარებზე ვიღაცამ დააკაკუნა, გაიგონე?

— ალბათ მოგეჩვენა, დაიძინე, კაცო.

— ცოტა ხანს წამეძინა და იცი, რა ვნახე სიზმარში? აბელი მოსულიყო, კარებზე აკაკუნებდა. ო, როგორ ცხადად გავიგონე კაკუნი.

გარეთ ჩქამი არ ისმოდა. მხოლოდ ბაყაყები ყიყინებდნენ შორს.

— ნეტავ სად წავიდოდა, თუ მართლა გამოუშვეს, აქამდე ხომ უნდა ჩამოსულიყო?

— იქნება მოგატყუეს, კაცო?

— არა მგონია, ტყუილი რაში სჭირდებოდათ.

— მაშ, ეგრე გითხრეს, ორი დღის წინ გაუშვესო?

— სწორედ ეგრე. წკადისში გადაასახლესო.

მეტეხში გადმოყვანილი აბელი ნატრობდა, ვიდრე განაჩენს გამოუტანდნენ, შინაურებს არ შეეტყოთ მისი დაპატიმრების ამბავი, მაგრამ უბედურებას გრძელი ფეხები აქვს, ქარივით მალია და სწრაფად ვრცელდება. ენუქიძეებმა ცოტა მოგვიანებით, მაგრამ მაინც შეიტყვეს თავიანთი უბედურება, სოფრომმა გუდა-ნაბადი აიკრა და ქალაქის გზას დაადგა. რაჰველი გლეხისთვის თბილისში გამგზავრება ზღაპარივით მიუწვდომელი იყო, მაგრამ სოფრომს გაჭირვებამ გაბედულება შემატა, კაპიკი კაპიკს დაადო, ხელსახოცში გამოკრა და მართლაც ზღაპრის გმირივით დაადგა ქალაქის გზას.

ტყიბულამდე ფეხით ჩავიდა, იქ თბილისის მატარებელზე დაჯდა და კითხვა-კითხვით მიადგა მეტეხის ციხეს. შვილი არ ანახვეს. იმ ხანებში სისასტიკით ცნობილი მთავარმართებლის თავად გოლიცინის ხელი ციხესაც მისწვდა, აუტანელი რეჟიმი იყო გამეფებული.

გატანჯული, იმედგაცრუებული და შეურაცხყოფილი სოფრომი იმ დღესვე გაექცა ხალხმრავალ ქალაქს.

„რა საჭმელი ასდის ამდენ ხალხს“? — ფიქრობდა შეშინებული და გაოცებული სოფრომი, თანაც ჭინჭარივით უსუსხავდა ზურგს ხალხის დამცინავი მზერა და უსულგულობა. ქალაქურმა წესმა, რაც ყოველ ნაბიჯზე სჭირდებოდა, — დუქანში, ტრანსპორტსა თუ ქუჩაში და რაც მისთვის უცხო იყო, პირდაპირ გააწვალა და შეაზიზღა იქაურობა. ერთი სული ჰქონდა, შინ როდის დაბრუნდებოდა, მაგრამ შინ მიბრუნებულს დარდი მთელი შემოდგომა ხრავდა. მხოლოდ ახალი წლის წინა დღეებში მოეშვა ცოტათი გულზე, როცა აბელის წერილი მიიღო. ჩემზე ნუ იდარდებთ, მალე გნახავთო.

თიბათვეში ისევ აიკრიფა გუდა-ნაბადი სოფრომმა და ისევ მიადგა მეტეხს, მაგრამ დახეთ უიღბლობას, ასე უთხრეს, შენი შვილი ციხეში აღარ არის, დროებით გაანთავისუფლესო. სოფრომი გახარებული მოიჩქაროდა, აბელი შინ დამხვდებაო, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. მთელი ოჯახი საგონებელში ჩავარდა. სად უნდა წასულიყო აბელი?

ამას ისიც დაემატა, რომ თბილისიდან დაბრუნებულ სოფრომს იმ ღამითვე შეამცივნა და სიცხე მისცა. ნაქერალას გზა-

ზე ერთხელ შეისვენა, ცივი ნიავი უბერავდა და ნაოფლარს ესიამოვნა. ეტყობა, მაშინ გაცივდა.

სოფრომი ორ ცეცხლში იწვოდა, სიცხითა და შვილის დარდით. ბარბარემ მეორე დილითვე მოიყვანა ყოვლისმცოდნე მართა. დედაბერმა მეჩხერი კბილები გამოაჩინა და, როგორც სჩვეოდა, ტკბილი ენით დააიმედა ბარბარე:

— გაციებულა. ღვთის მოწყალებით ყველაფერი კარგად იქნება.

ოფლში გახვითქული ავადმყოფი ბოდავდა. მთელი სახლი ოფლითა და ძმრის სუნით იყო გაჟღენთილი. ჯანმაგარმა სხეულმა ავადმყოფობას სძლია და მესამე დღეს სიკვდილმა უკან დაიხია. სოფრომი გამობრუნდა. დღითიდღე უკეთესობისაკენ მიდის, მაგრამ შვილის დარდი არ ასვენებს. ამის გარდა ოჯახში ათასი საქმეა, გათიბული თივა ჩაობდება, თუ ზვინი დროზე არ დადგა, ვენახს ბალახი მოედება.

სერაპიონი სამეგრელოში გაჰყვა სამუშაოდ თავის მეზობელ ხუროს — ამბროსის. ხელობასაც ვისწავლი და ფულსაც ჩამოვიტანო. შემოდგომამდე არ ჩამოვლენ. სოფრომის ანაბარა დარჩა კარ-მიდამო და აი, სად უმუხთლა ავადმყოფობამ.

ოთახში წყვილი სანთელი ნელ-ნელა იწვის, კედელზე წვეთწვეთად იღვენთება გამდნარი ცვილი. ბარბარე დასაძინებლად ემზადება, სოფრომი ცოტა ხნით წათვლემს, ისევ მალევე ეღვიძება და კითხულობს.

— გათენდა თუ მთვარის შუქია?

— რა დროს გათენებაა, მამლის პირველი ყივილიც არ ყოფილა.

— მალე მაინც გათენდებოდეს.

სანთლები უკვე ძირამდე ჩაიწვა. ბარბარემ ორივე ჩააქრო, ერთხელ კიდევ გადაიწერა პირჯვარი და დაწვა.

სწორედ იმ დროს, როცა დედამიწას ყვითელი, სავსე მთვარე რძისფერ შუქს აფრქვევდა და როცა მამლები ყივილით მიაცილებდნენ ღამეს, წკადისისკენ ფეხით მიიჩქაროდა აბელი. თბილისიდან ტყიბულში მზის ჩასვლისას ჩამოვიდა მატარებელი. იქიდან თავის სოფლამდე ორმოციოდე ვერსი ჰქონდა გასავლელი.

წყნარი მთვარიანი ღამეა. არც ცხელა, არც ცივა. მიუყ-

ვება გრძელ, მაგრამ ბედნიერ გზას, მიისწრაფის წინ, სადაც ექვსი წლის უნახავი მშობლები ელიან.

ათი თვის პატიმრობამ სხეულსაც და სულსაც მძიმე დაღი დაასვა.

ციხეშიც ლადო იყო მისი მისაბაძი მაგალითი. დაუდგრომელი ლადო პატიმრებს ამხნევებდა, ციხის ფანჯრიდან ელაპარაკებოდა მტკვრის პირას მდებარე თამბაქოს ფაბრიკის მუშებს და ასამხედრებლად მოუწოდებდა.

ერთ დღეს ვანო ბოლქვაძე მოვიდა სანახავად და უთხრა:

— „ნინა" აღსდგა, აბელ. „ნინა" მუშაობს ბაქოში.

გულაძგერებულმა აბელმა ეს ამბავი სხვა პატიმრების მეშვეობით მაშინვე აცნობა ლადოს. თვითონ კი ისე აფორიაქდა, ერთი დღე ერთ საუკუნედ ეჩვენებოდა. ნატრობდა, დროზე გამომიტანონ განაჩენიო.

თიბათვის ბოლოს მოლოდინით გატანჯულს, როგორც იქნა, დაადგა საშველი. გამოუცხადეს, ვიდრე განაჩენი იქნება გამოტანილი, უფლება გეძლევა მხოლოდ საკუთარ სოფელში იცხოვროო. ეს იმას ნიშნავდა, რომ პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ყოფილიყო, ხოლო განაჩენის გამოტანისთანავე წაავლებდნენ ხელს და ისევ დააპატიმრებდნენ.

ტყიბულამდე ბადრაგით ჩაიყვანეს და იქიდან ნაქერალას გზით გაუშვეს წკადისში. ტყიბულშივე ჩამოართვეს ხელწერილი, რომ თავის სოფლიდან, ვიდრე განაჩენი არ იქნებოდა, ფეხს არ გადადგამდა.

შუალამე იწურება. მთვარე უხმოდ მისრიალებს ცაზე, თითქოს ამ უდროო მგზავრს ასდევნებია, მისი თანამგზავრი გამხდარა.

აბელმა ხევი გადაიარა, სიმინდის ყანებშუა მიმავალ ვიწრო ბილიკს მიადგა და მწვავედ აუძგერდა გული. შეჩერდა, თითქოს იხრჩობაო, ისე ჩაისუნთქა ჰაერი, მუხლები მოეკვეთა და, რომ არ წაქცეულიყო, ყორეზე ჩამოჯდა.

ღამის მყუდროებაში გარინდული სიმწვანეში ჩაფლული პატარა სოფელი და თავისი სახლი. ამ ექვსი წლის მანძილზე არაფერი არ შეცვლილიყო, ყველაფერი ისე იყო, როგორც დატოვა. ეს ცა, ეს სიმინდის ყანა, აი, ეს ვიწრო ბილიკიც...

აბელი იჯდა და სულს ითქვამდა. ყურს უგდებდა, პატარა

ნიავის დაჭროლებაც კი როგორ აშრიალებდა ყანას, თითქოს შიგ ვიღაც ფრთხილად დადისო.

იგრძო, რომ ცრემლი მოსდიოდა. არც გაჰკვირვებია, არც სწყენია, პირიქით, ცრემლმა დამძიმებულ გულს შვება მისცა და სუნთქვაც გაუიოლდა... წამოდგა და თითქოს დამჩატებული, გადახალისებული სწრაფი ნაბიჯით აჰყვა ბილიკს. ჭიშკარი შეაღო, ეზო გაიარა და კარზე დააკაკუნა. ხმა არვინ გასცა. ყური მიუგდო, შიგნიდან სუნთქვის ხმა ისმოდა. უფრო მაგრად დააკაკუნა კარზე.

— ვინ არის? — მოესმა შიგნიდან დედის ხმა.

— დედა, კარი გააღე. მე ვარ.

საწოლი აჭრიალდა. რაღაც გაურკვეველი ლოცვის მსგავსი ჩურჩული გაისმა, ოთახში შუქი გაკრთა და კარიც გაიღო.

სანთლის ხელში გამოვიდა განვლილი დროით და დარდით სახემოტეხილი ბარბარე.

„დედა, ნუთუ ის არის, როგორ შეცვლილა“, — გაიფიქრა აბელმა.

— დედა, — ყრუდ წარმოსთქვა აბელმა, — შენ რა, ვერ მიცანი?

ფეხი გადადგა, სანთლის შუქზე დაინახა, თუ როგორ შეირხა დედა იმის ხმაზე, ეტყობა, უნდოდა პარმაღზე გადმოსულიყო, მაგრამ ძალა აღარ შესწევდა. აბელმა დედას ხელი მაშინ მოჰხვია, როცა უკვე იქცეოდა.

2.

საღამოთი მეზობლები მოვიდნენ სანახავად. სოფრომს ულოცავდნენ შვილის დაბრუნებას, ქუდს იხდიდნენ და მოწიწებით ესალმებოდნენ აბელს. გახარებული დედა ჩუმად იწმენდდა ცრემლს და თან სტუმრებს სუფრასთან იწვევდა. ღვინით შეთამამებული მეზობლები ქვეყნის ამბებს ეკითხებოდნენ, თვითონაც გულისყურით უსმენდნენ შეზარხოშებულ, ენაწყლიან მოსაუბრეს და ოხრავდნენ თავიანთ გაუხარელ ცხოვრებაზე, გულზე მჯიღს იცემდნენ, ბრდღვინავდნენ, იმუქრებოდნენ.

შუაღამისას დაიშალნენ სტუმრები. ნაქეიფრები მიღიღი-

ნებდნენ, მიახმაურებდნენ მიძინებულ ორღობესა და უბნებს, ხოლო სოფრომ ენუქიძის სახლში მარტო ბარბარეღა ტრიალებდა, სუფრას ალაგებდა და თან რაღაცას ბუტბუტებდა თუ ლოცულობდა. რამდენიმე დღის შემდეგ კი...

— რათა ხარ გულჩათხრობილი, ბიჭო? — გაუბედავად ჰკითხა სოფრომმა შვილს.

აბელმა გულგრილად ჩაიცინა და არაფერი უპასუხა.

— დედაშენთან ვერაფერს გეკითხები, დედაკაცის ამბავი ხომ იცი, ძველად ეგრე გამიგონია, შენს განზრახვას ცოლსა ნუ უთხრობ და ნურც შენი გულის სიყვარულს აცნობებო.

სოფრომი გაჩუმდა, შვილს გადახედა. აბელი გალურსულიყო, ალბათ გრძნობდა, მამამ ეს ძველი სიბრძნე რათაც გაიხსენა და ამის შემდეგ რაც უნდა ეთქვა.

— არც საიდუმლოება უნდა გაანდო დედაკაცს, — დაიწყო ისევ სოფრომმა. — მაგრამ შვილი მამას არაფერს უნდა უმალავდეს.

— რის თქმა გინდა, მამაჩემო, პირდაპირ მითხარი.

სოფრომი ჩაფიქრდა, თამბაქოს კვამლი ღრმად ჩაისუნთქა და დინჯად დაიწყო:

— გატყობ, რაღაც მოლოდინი გტანჯავს. გამიმხილე, იქნებ მეც დაგეხმარო და ერთად ვიღონოთ რამე.

— შენთან დასამალი რა მაქვს, მამაჩემო, განაჩენს ველოდები, მაგრამ გადავწყვიტე მაგათ აღარ ჩავუვარდე ხელში.

სოფრომი შვილის პასუხზე ერთბაშად ჩაქრა და ჩაილია.

— მაშ, რას იზამ, სად დაიმალები?

აბელმა ისევ გულგრილად ჩაიცინა.

— ქვეყანა დიდია, მამაჩემო.

— ნურსად წახვალ, მთაში გადაგმალავ ცოტა ხანს და მერე მოგეშვებიან, ან ქვეყანა შეიცვლება.

აბელმა ჯიუტად გააქნია თავი.

— არა, მამაჩემო, მე აქ ვერ გავძლებ. ჩემი მოწოდება სხვა საქმეა. ნუ გეშინია, სიკვდილი ჯერ არ მიწერია.

ამ საუბრიდან ორი კვირის შემდეგ ასეთი ამბავი მოხდა:

მზის ჩასვლისას ქლოშინით მოვარდა მენახირე სერგო.

— ძია სოფრომ, სამი პოლიციელი ვნახე, აბელ ენუქიძე სადა ცხოვრობსო, მკითხეს, ან შინ თუ არისო. აქეთ წამოვიდნენ, მე მოკლეზე გადმოვეჭერი, სადაც არის მოვლენ.

აბელი და სოფრომი გაფითრებულები უძრავად იდგნენ.

წყნარად ჩადიოდა მზე სალოს მთის გადაღმა. სოფელი სიცხეში თითქოს გარინდულიყო, სადღაც შორს უდროო დროს ყიოდა მამალი. ხევს გაღმა, ჭელიაღელეში, ცხენების ფეხის ხმა ისმოდა.

სოფრომმა მგელივით მოაბრუნა კისერი, აბელს შეხედა და თვალებით სასიმინდეზე ანიშნა.

— მიდი, დაიმალე. — მერე სერგოს მიუბრუნდა, — შენ გაიხარე, სერგო, სიკეთეს გადაგიხდი.

ბარბარე თან პირჯვარს იწერდა, თან უაზროდ ფუსფუსებდა.

— დედაკაცო, შედი შინ და გარეთ არ გამოხვიდე. არაფერი შეგატყონ, დაწექი, ვითომ ავადა ხარ, გაიგე, რას გეუბნები, ფუ, დედაკაცის ჯიში, გააგებინებ რამეს?

მაგრამ ბარბარემ ყველაფერი გაიგო და დაიჯერა, შინ შევიდა და ტახტზე მიესვენა.

სოფრომი მარტო დარჩა ეზოში, იგი ხედავდა აბელი როგორ იმალებოდა სასიმინდეში, ფუჩეჩის ღერები ისევ ტოკავდნენ და ფაჩუნობდნენ, ცოტა ხანში აბელი საიმედოდ იყო დამალული.

ხუთი წუთი, ხუთი მძიმე წუთი გავიდა დაუპატიჟებელი სტუმრების მოლოდინში და აგერ ბილიკზე ცხენების ფეხთა თქარუნის ხმაც გაისმა.

დაწინაურებულმა მხედარმა ცხენი სოფრომის ჭიშკართან მიაგდო და წინ გადმოიხარა, მათრახის ტარით გააღო ჭიშკარი, დანარჩენებს ხელით ანიშნა, მომყევითო და სამივენი ეზოში შეჯირითდნენ. მოწინავემ ცხენი პირდაპირ წაიყვანა სოფრომისაკენ. მაგრამ ის არ განძრეულა, უტეხი თვალებით მისჩერებოდა მოწინავე მხედარს. ცხენი ზედ სოფრომის ცხვირწინ გაქვავდა.

— სოფრომ ენუქიძე შენა ხარ? — მრისხანედ ჰკითხა მხედარმა და თვალები გადააბრიალა.

— მე გახლავართ, ბატონო, რაშია საქმე?

— სად არის შენი შვილი?

სოფრომმა დაკვირვებით შეათვალიერა მხედარი, თხელთხელი, მაგრამ ბეჭგანიერი ვაჟკაცი იყო, ასე ოცდაათიოდე წლისა. შავი ულვაში მაღლა აეწკიპა, ხორბლისფერი ხახ

ახლადგაპარსული ჰქონდა და თაფლისფერ თვალებში დამცინავი ღიმილი ედგა. ლამაზი ვაჟკაცი იყო, ყველანაირად შეჭკული, მაგრამ საძულველი სტუმარი.

— რომელს კითხულობთ, ბატონო?

— ჰმ, — ჩაიცინა მხედარმა, — რომელს ვკითხულობ, თუ იცი?

სოფრომმა მხრები აიჩეჩა:

— გეყოფა თავის მოკატუნება, სად არის აბელი?

— აბელი ტყიბულში წავიდა თავის საქმეებზე:

— გვატყუებს, ბატონო პრისტავო, აბელი დღეს აქ უნახავთ.

პრისტავმა ცერად გადახედა ამის მთქმელს და მერე ისევ სოფრომს მიუბრუნდა.

— შენთვისაც და შენი შვილისთვისაც აჯობებს სიმართლე გვითხრა.

— სიმართლეს მოგახსენებთ, ბატონო:

— მაშ ასე, — ახალგაზრდა პრისტავი დანარჩენებს მიუბრუნდა, — გაჩხრიკეთ აქაურობა!

მხედრები ჩამოქვეითდნენ და სახლში შევარდნენ. პრისტავიც მოხდენილად ჩამოხტა ცხენიდან და მათრახი ჩექმის ყელზე დაირტყა. ახლა უფრო მოეწონა სოფრომს ეს არასასურველი სტუმარი. შოლტივით ბიჭი იყო, მტერსაც კი მოეწონებოდა.

— ბიძაჩემო, — ხმადაბლა უთხრა მან სოფრომს, — სიმართლე მითხარი, ვინ შეგატყობინა ჩვენი მოსვლა?

— სიმართლეს გეუბნები, შვილო... — და აქ სოფრომს უკვე ენა დაება, მთლად დაიბნა და სირცხვილმა დასწვა.

— გიჭირს, ბიძაჩემო ტყუილის თქმა, ვიცი, რომ გიჭირს. მენახირე სერგომ შეგატყობინა ჩვენი მოსვლა და აბელმა ნალიას შეაფარა თავი. ხომ ასეა?

მზე უკვე ჩასულიყო. სოფელს ნელა-ნელა ეპარებოდა წყნარი, დიდებული ღამე თავისი იდუმალებით.

სოფრომი ფეხზე ძლივსღა იდგა. უიმედოდ ადევნებდა თვალს პოლიციელებს, გულდასმით რომ ჩხრეკდნენ ეზო-ყურეს და გულისფანცქალით ელოდა, სასიმინდეს როდის მიადგებოდნენ. გადამალულ აბელს კი ყველაფერი ესმოდა, ცდილობდა არ განძრეულიყო და სუნთქვაშეკრულს ბრაზი

ახრჩობდა იმ დამცირების გამო, რომელსაც იგი ამ წუთში განიცდიდა.

ჟანდარმები ნალიისაკენ რომ წავიდნენ, სოფრომს ფერფური წაუვიდა, ერთი სიკვდილი ხელდახელ გაათავა, მაგრამ ამ დროს პრისტავის ბრძანება გაისმა:

— ცხენებზე!

პოლიციელები უკან გამობრუნდნენ. პრისტავმა კი სოფრომს უჩურჩულა:

— აბელს უთხარი, ბიძაჩემო, განაჩენი უკვე გამოტანილია-თქო და თავს უშველოს. გადაეცი, ალიოშა მიქელაძე იყო-თქო.

როცა პოლიციელები ცხენებზე ამხედრდნენ, პრისტავმა ხმამაღლა მიმართა:

— ალბათ, ეს კაცი მართალს ამბობს. — მერე სოფრომს მიუბრუნდა და მკაცრად უთხრა: — როგორც კი დაბრუნდება შენი შვილი, გადაეცი, სასწრაფოდ გამოცხადდეს მაზრაში, ან არადა, ფეხი არსად გადგას, თორემ კანონი მკაცრად იმოქმედებს. ხომ იცოდა, რომ სოფლიდან გასვლის ნება არა ჰქონდა?

— აუცილებლად გადავცემ, ბატონო!

პრისტავმა ცხენი სწრაფად შეაბრუნა, დეზი ჰკრა და იორღით წაიყვანა. პოლიციელებიც მას მიჰყვნენ. ნაგოლვ, გადაბრიოკებულ მიწაზე მტვერი აადინეს.

„დიდება შენდა ღმერთო, ვინ იყო ეს პრისტავი, რატომ სასიმინდე არ გააჩხრეკინა? არაფერი მესმის, ვერაფერი გამიგია ამ ქვეყნისა“. — ფიქრობდა გაოცებული სოფრომი და გზაზე გასული თვალს ადევნებდა მხედრებს.

აბელმა იმ ღამესვე ჩაილაგა თავისი ტანსაცმელი და მცირე საგზალი ზურგჩანთაში, ერთხელ კიდევ გამოეთხოვა გულდათუთქულ მშობლებს. ფეხით დაადგა მთვარით განათებულ გზას. მიდიოდა და თან მიჰყვებოდა მამის უთქმელი დარდი და დედის მხურვალე ლოცვა.

გარიჟრაჟზე ჩააღწია ტყიბულში. მთელი გზა ნადირივით ფრთხილად იარა და ყურებში ერთთავად ის სიტყვები ედგა, სოფრომს რომ დაუბარა ალიოშა მიქელაძემ: „აბელს უთხარი, ბიძაჩემო, განაჩენი გამოტანილია-თქო და თავს უშველოს“.

„ისე, რომ ალიოშა პოლიციის სამსახურში ჩამდგარა და

პრისტავობაც მიუღია“ — ფიქრობდა გზადაგზა მიმავალი აბელი და თავისი სიყრმის მეგობარი ახსენდებოდა. ახალი სენაკის სასწავლებელში ერთად სწავლობდნენ, მშვენიერი ჭაბუკი იყო, ლაღი და მხიარული, ღვიძლი ძმებივით უყვარდათ ერთმანეთი. რას წარმოიდგენდა, თუ იგი პოლიციაში შევიდოდა. საკვირველია, რა აიძულებთ ასეთ ადამიანებს მეფის სამსახურში ჩადგნენ? ალბათ, ცხოვრება, კარგი, უზრუნველი ცხოვრება. ტყუილად როდია ნათქვამი: ფეხებს კი არ მიჰყავთ მუცელი, მუცელს მიჰყავს ფეხებიო.

ტყიბულიდან საღამოთი გადიოდა მატარებელი. საღამომდე აბელის ტყიბულში ყოფნა მიუტევებელი იყო, რადგან პოლიცია უკვე გაფრთხილებული იქნებოდა. ეტლი უნდა დაეჭირა და ორპირში გადასულიყო, საიდანაც საღამოთი გაჰყვებოდა თბილისში მიმავალ მატარებელს.

სადგურიდან პირდაპირ საპნის ქუჩას მიაშურა, სადაც ვანო ბოლქვაძე ეგულებოდა. აგერ ნაცნობი ეზო და ნაცნობი სახლიც, ნეტავ შინ მაინც დამხვდეს ვანო.

კარზე დააკაკუნა და მოლოდინში სუნთქვა შესწყვიტა. ფარდა გადაიწია, ვიღაცამ გამოიხედა, მერე კარი გაიღო და სტუმარი შეიპატიჟა. აბელმა ვანო წულაძე იცნო. მოწყენილი სახე ჰქონდა, უხალისო.

— მობრძანდით, აბელ, როგორა ხართ?

— არამიშავსრა, სად არის ვანო?

— ვანო? როგორ, თქვენ არ გაგიგიათ?

— რა უნდა გამეგო?

— ვანო რომ დააპატიმრეს.

— ვანო? როდის, რატომ?

— მკათათვეში დიდი გაფიცვა მოხდა და სხვებთან ერთად ისიც დააპატიმრეს. მეტეხში ზის, მაგრამ მალე გაანთავისუფლებენ, როგორც კი გამოვა, ალბათ, ბაქოში წავა, იქ თურმე სტამბას აწყობენ. დაბრძანდი, რა ფეხზე დგეხარ, უცხოდ ხომ არა ხარ!

აბელი მძიმედ დაეშვა სკამზე.

— რა იცი, რომ მალე გაანთავისუფლებენ?

— ზოგიერთები უკვე გამოუშვეს. ისიც გამოვიდოდა აქამდე, მაგრამ კეცხოველის მკვლელობამ ყველაფერი არევ-დარია ციხეში.

აბელმა პირველად თითქოს ვერ გაიგო წულაძის ნათქვა-მი. ბოლოს გაიაზრა, რას ამბობდა წულაძე.

— ვისმა მკვლელობამ? — თითქმის კივილით იკითხა მან.

აბელის შემხედვარე წულაძე მთლად დაიბნა, ხმა ჩაუწყდა, ენის ბორძიკით ამოილუღლუღა:

— არ იცით? კეცხოველი... მოკლეს. ჯალათმა ესროლა ციხეში. ორი კვირაც არ არის მას აქეთ.

— კეცხოველი? ლადო კეცხოველი?

ყურები ისე უწიოდა, თითქოს ფუტკრის სკაში იჯდა. ოთახში სამგლოვიარო სიჩუმე იდგა. უხერხულობაში ჩავარდნილ წულაძეს თავი ჩაეღუნა და უძრავად იჯდა, დროდადრო თუ გადახედავდა გაფითრებულ აბელს.

— წყალი მომიტანეთ, — აკანკალებული ხმით უთხრა წულაძეს.

წულაძემ ჭიქა წყალი მიაწოდა, ქვეშ-ქვეშ გახედა და თავი ჩაღუნა.

— მითხარით, რა იყო, როგორ მოკლეს?

ვანო ზანტად წამოდგა, კარადა გამოაღო, იქიდან პროკლამაცია გადმოიღო და წინ დაუდო. აბელი მოღუშული ათვალიერებდა გაზეთს, შიგ ლადოს სურათი იყო დაბეჭდილი, ცოცხალივით შემოჰყურებდა სურათიდან კუშტი სახის ლადო კეცხოველი, უახლოესი, საყვარელი მეგობარი.

აბელმა ბაქოს კომიტეტის პროკლამაციის კითხვა დაიწყო:

«О смелый сокол, в борьбе с врагами истек ты кровью!»

...ამხანაგებო, ჩვენ შეგვეძლო ბევრი რამ გვეთქვა ამ კეთილშობილი მებრძოლის გასაოცარი მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ უკეთეს პირობებამდე უნდა გადავდოთ ეს, რადგან ძალიან ბევრი პიროვნება და ინტერესია გადახლართული მის პიროვნებასთან და დაწვრილებითი ამბავი მისი ცხოვრების შესახებ ხელს შეუშლიდა იმ საქმეს, რასაც ლადომ თავისი სიცოცხლე შესწირა.

მაგრამ ერთი მაინც უნდა გითხრათ: „ჩვენს რიგებს გამოწკლდა ერთი გამბედავი და ძლიერი მუშაკი, ადამიანი, რომელმაც ძვირფას საქმეს შესწირა ყველაფერი, რის შეწირვაც კი შეეძლო ადამიანს — თავისი ბედნიერება, თავისი ძალ-ღონე, თავისი სიცოცხლე და საუკეთესო ჯილდო ასეთი მებრძოლის-

თვის იქნება სასტიკი ბრძოლა თვითმპყრობელობასთან, რომელიც საუკეთესო მეგობრებს გვართმევს...“

უხმოდ, თვალებით კითხულობდა და უეცრად ლადოს ხმა შემოესმა, ცხადლივ გაიგონა, რომ ამ ტექსტს ლადო კითხულობდა თავისი მტკიცე, ეღერადი ხმით. აბელს შუბლზე ოფლი დაასხა, ნაწერს თვალი მოარიდა, კარს მიაჩერდა, მაგრამ ლადოს ხმა ისევ ყურებში ედგა.

— წყალი ხომ არ გინდათ? — შეშფოთდა წულაძე.

— არა, გმადლობთ.

აბელმა ისევ განაგრძო კითხვა:

„ჩვენ იმედი გვაქვს, ამხანაგებო, რომ მოკლული მეგობრის ხსოვნა მტკიცე და ხანგრძლივი იქნება ჩვენს მეხსიერებაში და ეს უფრო გააძლიერებს ჩვენს რწმენას, რომ მოახლოვებულია ჩვენი საქმის გამარჯვება“.

კითხვას რომ მორჩა, ერთხელ კიდევ შემოესმა ლადოს ხმა, ისევ ისე ცხადად და მკაფიოდ.

— ცუდადა ხართ, აბელ. დაწექით ცოტა ხანს, დაისვენეთ, მე გავალ და ახლავე დავბრუნდები.

ვანო ისე გულწრფელად იყო შეწუხებული, რომ აბელმა მადლიერება ვერ დამალა, თანაც უნდოდა ცოტა ხნით მარტო დარჩენილიყო და თვალებში მოჩერებულ წულაძეს უხმოდ დაუქნია თავი.

როცა ვანო ოთახიდან გავიდა და მარტო დარჩა, თითქოს მაშინ შეიგრძნო ეს უბედურება, მწარედ დაიგმინა, მაგიდაზე წაემხო და აზლუქუნდა.

3.

1903 წლის ნოემბერი, კვირა დილა. ცა მოწმენდილი, მზიანი, მაგრამ როგორღაც შემღვრეულია, თითქოს მტვრის ნაწილაკები გაბნეულა ჰაერშიო.

ლეონიდ ბორისის ძე ისვენებდა. ზარის ხმაზე თვითონ გამოიხედა, კარის წინ აყუდებულ მომღიმარე სტუმარს გაოცებით შეხედა. აბელი მიხვდა, რომ კრასინმა უეცრად ვერ იცნო იგი, მერეღა გაუბრწყინდა თვალები.

— აბელ, ეს შენა ხარ? ეგრე რამ შეგცვალა, ღიმილზეღა

გიცანი, — ხელი მოჰხვია, გადაკოცნა. — შემოდი შინ, შემოდი!

სავარძლამდე მიაცილა და თვითონაც სავარძელში ჩაესვენა:

— აბა, მითხარი, როგორ ხარ, სად იყავი ამდენ ხანს. ყველაფერი დაწვრილებით მიამბე. — ჭეშმარიტად გახარებული კრასინი სითბოსა და სიყვარულს ვერ მალავდა. ასეთი აბელს არასოდეს უნახავს იგი.

— ჩემს სოფელში ვიყავი, ლეონიდ ბორისოვიჩ, ციხიდან იქ გამასახლეს, ვიდრე განაჩენს გამოიტანდნენ.

— მერე, მერე? — ცისფერი ცნობისმოყვარე თვალებით მიაჩერდა აბელს.

— ლეონიდ ბორისოვიჩ... — შეყოვნდა და ისე განაგრძო, — მე ახლა გამოქცეული ვარ.

აბელმა ამის თქმა საჭიროდ ჩათვალა, რომ მასპინძელს ახლავე სცოდნოდა ეს ამბავი და უხერხულობაში არ ჩავარდნილიყო, მაგრამ კრასინმა ყურიც არ შეიბერტყა.

— გასაგებია. ყველაფერს ვიღონებთ. განაგრძე, განაგრძე.

აბელმა შვებით ამოისუნთქა, რაკი გამოსაშვები სისხლი გამოუშვა, სავარძელში მიესვენა და განაგრძო:

— ერთი კვირის წინ პოლიციელები მომადგნენ კარზე. მეზობელმა ადრევე შემატყობინა და დავიმალე. იმ ღამესვე წამოვედი თბილისში. ვანო ბოლქვაძესთან მივედი, ისიც დაუპატიმრებიათ, მუშათა გაფიცვაში მონაწილეობისთვის. იქ გაციგე ლადოს უბედურებაც, მანამდე არაფერი ვიცოდი.

კეცხოველის ხსენებაზე კრასინი მოიღუშა, მომღიმარე ცისფერი თვალები დაუნაღვლიანდა.

— ლადო, ლადო, — ჩურჩულით თქვა, — დიდი ძალა დავკარგეთ. მაგრამ იცოდე, აბელ, სიკვდილს მაინც გადაეყრებოდა. ისეთები, როგორიც ლადო იყო, თითქოს თვითონ დაეძებენ სიკვდილს. მე ვიცოდი, რომ მას ასეთი ბოლო უნდა ჰქონოდა, რადგან ზედმეტად მამაცი ვაჟკაცი იყო. გავა დრო და ლადოს სახელი შთამომავლობაში ლეგენდად დარჩება. — კრასინი წამოდგა. კარადა გამოაღო, ჭურჭელი ააჩხაკუნა, მერე მეორე ოთახში გავიდა და ფინჯანით ჩაი შემოიტანა.

— რატომ სწუხდებით, ლეონიდ ბორისოვიჩ?

— სულაც არა ვწუხდები.

მასპინძელი ფუსფუსებდა, მაგიდაზე ალაგებდა შაქარს, პურსა და კარაქს, ყურადღებას არ აქცევდა სტუმრის ხვეწნა-მუდარას, ნუ სწუხდებითო. მერე თვითონაც მიუჯდა სუფრას.

— ისე, რომ დღეიდან ბაქოში არალეგალურად უნდა იცხოვრო, არა? რა გამოგიტანეს განაჩენით?

— აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლება.

კრასინმა ცხელ ჩაის სული შეუბერა.

— ახლა თითქმის ყველას ასე უსჯიან, მოდაშია. აბელ, შენმა ბიძაშვილმა ტრიფონ ენუქიძემ დიდებული საქმე გააკეთა. საიმედო ბინა იშოვნა სტამბისთვის ქალაქის განაპირას, ბინა კი არა, მთელი სახლი ყოფილა, როგორც ამბობენ. მე ჯერ არ მინახავს, მისი ადგილსამყოფელი სამიოდე კაცმა თუ იცის. შეგიძლია, იქვე იცხოვრო, ალბათ კომიტეტიც ასეთ წინადადებას მოგცემს. რაკი არალეგალურად ცხოვრობ, ამიერიდან შენი მუშაობა ლიტერატურის გავრცელებაზე სახიფათო იქნება, ხელს გტაცებენ.

— მეც ასე ვფიქრობ, ლეონიდ ბორისოვიჩ.

— ამისთვის საჭიროა დღესვე შეგახვედრო ამხანაგებს. საღამოს თათბირზე შეხვდები მათ. მანამდე კი დაისვენე ჩემთან. აგერ პარტიის მეორე ყრილობის მასალები, თუ არ გაცნობილხარ, გაეცანი. მეორე ყრილობაზე დიდი ამბები დატრიალდა. ყრილობის დელეგატთა მეტი წილი „ისკრელები" იყვნენ, და მაინც წინააღმდეგობა გაუწიეს „ეკონომისტებმა" და „ბუნდელებმა", მაგრამ ყრილობის უმრავლესობა ლენინს გაჰყვა. ჩვენ ისედაც ვიქნებით ლენინური ისკრის ერთგულები და ჩვენი სტამბაც მის სამსახურში იქნება.

— რა თქმა უნდა, ლეონიდ ბორისოვიჩ.

— მაშ, დაისვენე. მე მშენებლობაზე პატარა საქმე მაქვს, არაფრის მოგერიდოს, ისე მოიქეცი, როგორც შენს სახლში.

აბელმა მადლიერებით გაუღიმა და თავი დაუქნია.

მეშვიდე რვეული

ვიცოდი, ჟანდარმერია გამწარებული დამეძებდა და ამიტომ ბაქოში ჩემი ყოფნა საიდუმლოდ უნდა შენახულიყო. ლაპარაკი რად უნდოდა, რომ პირველ რიგში ბაქოს გადაჩხრეკავდნენ და რომ მისი აღმატებულება ჟანდარმთა შეფი მინკევიჩი და როტმისტრი ვალტერი ყოველ დღე ჩემი სახელის ხსენებაში იქნებოდნენ.

კომიტეტის გადაწყვეტილებით ტრიფონის დაწყებული საქმე მე უნდა დამეგვირგვინებინა. მეც სიამოვნებით მოვკიდე ხელი. ერთი სული მქონდა, როდის ავამუშავებდით ამ მეტად საჭირო მანქანას. ვისაც სტამბასთან ურთიერთობა ჰქონია, დამეთანხმება, ერთხელ რომ გადაჰყლაპავ სტამბის მტვერს, მერე მორჩა, ისე გაგიჯდება მისი სიყვარული, ამ საქმეს, ძალიანაც რომ გინდოდეს, თავს ვეღარ დაანებებ.

ჩემი ბიძაშვილი ტრიფონი, პარტიაში „სიმონად" ცნობილი, ზუსტად ჩვენი დაპატიმრების დროს ჩამოვიდა ბაქოში, ეკატერინოსლავიდან თბილისს მიემგზავრებოდა და ასეთ გაჭირვებაში რომ გვნახა, სტამბის გადამალვაში დაგვეხმარა. ჩვენ კი დაგვაპატიმრეს, მაგრამ თვითონ ბაქოში დარჩა, ფიცი მოგვცა, თქვენს დაწყებულ საქმეს მე გავაგრძელებო. ერთი სიტყვით, ჩვენი საქმე გაიზიარა, საუკეთესო ბინა იშოვნა სტამბისთვის და შემდეგშიაც არ მოგვცილებია.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩემი საქმე ისე აეწყო ბაქოში, რომ ჩემნაირი დევნილი ადამიანი უკეთესს ვერც ინატრებდა. სახლი, სადაც სტამბა ეწყობოდა და საიდუმლო შტაბბინად გადაიქცეოდა, ქალაქის გარეუბანში მდებარეობდა. ირგვლივ მხოლოდ მუსულმანები ცხოვრობდნენ და, თუ ვინმე სხვა პირი გამოერეოდა, მაშინვე შენიშნავდნენ. მთელი სამოთახიანი ბინა ეზოკარიანად ტრიფონს ერთი წლით ჰქონდა დაქირავებული. გარიგების თანახმად, მას ამ ბინაში დედასთან, ძმასთან და დასთან ერთად უნდა ეცხოვრა ვითომ. მუსულმანები საკუთარი თვალებით სჭვრეტდნენ, ქალაქიდან ეტლით დაბრუნებული „სიმონი" როგორ შედიოდა თათრების სავაჭროებში და რა პატივისცემით ექცეოდა თავის ჩადრიან „დედას", როგორც ჭეშმარიტ მუსულმანს შეჰფერის და რითაც მაჰმადიანებში პატივისცემასა და ნდობას იხვეჭდა, სინამდვილეში

კი, „სიმონის „ჩადრიანი დედა“ ხან მე ვიყავი, ხან ვანო სტურუა.

საბეჭდი მანქანა ახალთახალი იყო, საზღვარგარეთული, რაზედაც ოცნებას ლადომ თავის სიცოცხლე შეალია. მარტო აწყობადა უნდოდა. ორი კვირის თავზე მანქანა უკვე ამუშავდა.

ენკენისთვის მიწურულს მეტეხის ციხიდან განთავისუფლებული ვანო ბოლქვაძეც ბაქოში ჩამოვიდა და თავის ძველ მეგობარს „ნინას“ მოაშურა. ერთი სიტყვით, ჩვენი საქმე საათივით აეწყო.

სტამბის ადგილსამყოფელი მხოლოდ ჩვენ ვიცოდით, ვინც შიგ ვმუშაობდით: მე, ტრიფონმა, ვანო ბოლქვაძემ და ძმებმა სტურუებმა. ყოველ ჩვენთაგანს საიდუმლო მტკიცედ უნდა დაეცვა. ეს გახლდათ დაუწერელი კანონი.

„ნინა“ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით მოქმედებდა. კომიტეტსა და სტამბას შორის ვანო სტურუა მოციქულობდა, ყველა მასალას კრასინის საშუალებით ის აწვდიდა სტამბას და ნაბეჭდი ლიტერატურის გავრცელებაც მანვე იდო თავს.

ასე უხიფათოდ გადიოდა დრო, ყველაფერი მშვიდობიანად მიედინებოდა, და აი, ერთ დღეს მოულოდნელად შევფორიაქდით. იმ დღეებში მუსულმანები დიდ დღესასწაულს ნოვროზ-ბაირამობას იხდიდნენ. ნოვროზ-ბაირამობა ძველი მუსულმანების ახალი წელია. ზეიმი რამდენიმე დღეს გრძელდება, ერთმანეთში სტუმრად მიდი-მოდიან მამაკაცები და გაუთავებლად ილხენენ.

საღამო მოტანებული იყო, სტამბაში გახურებული მუშაობა გვქონდა. იმ დროს იღბალზე ტრიფონი შტაბ-ბინაში იყო. ზარმა დარეკა, ეს ხმა ყველას გვეუცხოვა, რადგან ჩვენიანები ასე არ რეკავდნენ. კანონად იყო დაწესებული, სამი გრძელი ზარი უნდა მიგვეცა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ვინმე ჩვენთაგანი ბრუნდებოდა. ეს ორი მოკლე ზარი კი უცხოსი იყო.

ტრიფონმა ხელით გვანიშნა, გაინაბენითო და კარის გასაღებად წავიდა.

ისე გავისუსეთ, ბუზის გაფრენასაც კი გაიგონებდით. ერთი წუთის შემდეგ მეორე ოთახიდან ტრიფონის ხმამაღალი და ცოტა არ იყოს დაბნეული ხმა შემოგვესმა.

— მობრძანდით, ჰაჯი, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.

ჰაჯის ხსენებაზე მივხვდით, რომ სახლის პატრონი მოვიდა, ცოტა დავმშვიდდით, მაგრამ რა მოხდებოდა, თუ ჰაჯი ამ ოთახში მოისურვებდა შემობრძანებას და ნახავდა, აქ რა ამბავიც ტრიალებდა?

— აბა, როგორ ბრძანდებით, კეთილო გურჯო?

— გმადლობთ, ჰაჯი, თქვენის წყალობით.

სახლის პატრონი თეთრწვერიანი მოხუცი იყო და მუსულმანები მას დიდ პატივს სცემდნენ, სათაყვანო კაცად ჰყავდათ მიღებული.

— მე მექაში მივემგზავრები, კეთილო გურჯო, — ეუბნებოდა სახლის პატრონი სიმონს, — წმინდა ვალი უნდა მოვიხადო ალაჰის წინაშე და ამ სახლს აი, ეს კაცი ყიდულობს, იგი ჩემი შორეული ნათესავია.

ამის გაგონებაზე ელეთმელეთი მოგვივიდა და ერთმანეთს გადავხედეთ. ვიგრძენით, რომ სიმონიც შეშფოთდა, რამდენიმე წუთს პასუხი ვერ გასცა. ბოლოს სიმონმა მაინც იმარჯვა და თავის შეშფოთება ამითღა ახსნა, ასეთი კარგი პატრონის დაშორება მიძნელდებაო.

— სამწუხაროა, ჰაჯი, თქვენ ისე მოგეჩვიეთ, რომ უთქვენობა გამიძნელდება. — მერე სიმონი ცოტა ხანს გაჩუმდა და იმედიანად ჰკითხა: — ახალი ბინის პატრონი ხომ არ მოითხოვს ბინის დაცლას?

— ჩვენ უნდა გვეკითხა ეგა. — უპასუხა სახლის პატრონის ნათესავმა. — მე ბევრი სახლი მაქვს, ეს სახლი არა მჭირდება და თვითონ გურჯი მდგმური ხომ არ გაიქცევა აქედან?

— არა, რას ამბობთ, — შეიცხადა სიმონმა.

სიმონის პასუხმა მომავალი სახლის პატრონი, ეტყობა, დააკმაყოფილა.

ისინი ოთახიდან ოთახში დადიოდნენ და ბინას ათვალიერებდნენ. აგერ ბოლოს ჩვენს ოთახსაც მოადგნენ, სადაც საბეჭდი მანქანა იდგა, პირდაპირ სუნთქვა შეგვეკრა და ამ დროს სიმონის ხმაც გაისმა:

— ეს ოთახი დედაჩემისა და ჩემი დისაა. თუ ჰაჯის სურს მისი დათვალიერება, მაშინ დაე, მოითმინონ სტუმრებმა, ვიდრე მათ ოთახიდან გადაიყვანენ.

სიმონმა კარგად იცოდა მუსულმანთა ადათ-წესები და ის-

იც, რომ ამაზე ისინი უსათუოდ უარს იტყოდნენ. მართლაც, უარის ნიშნად, მოხუცებმა ხელები გაასავსავეს და ოთახს მაშინვე გაეცალნენ.

შვებით ამოვისუნთქეთ და ერთმანეთს გადავხედეთ ღიმილით. ხუთიოდე წუთის შემდეგ კი სიმონი ისევ უკან მობრუნდა. ოთახის კარი შემოაღო და მხიარულად გვითხრა:

— აბა, ეზოში გამოდით, რა გაჩვენოთ.

გალავანშემორტყმულ ეზოში იდგა თეთრი, შავი ხალებით დაწინწკლული ვეება ვერძი და ამაყი თვალებით მოგვჩერებოდა. თავი და რქები მწვანედ ჰქონდა შეღებილი, იგი ბატრონს სადღესასწაულოდ მოერთო და სიმონისთვის საჩუქრად მოეყვანა.

ვერძი გამომწვევად იყურებოდა, მერე უკან დაიწია და თავი ჩაღუნა, კისერი დაჭიმა და საიერიშოდ მოემზადა. მივხვდი, რასაც აპირებდა, წინ დავუდექი და ხელისგული მივუშვირე. ვერძი გამოქანდა და თავი გამეტებით დამკრა ხელისგულზე. მეტიც არ გვინდოდა, მთელი დღით დაქანცულ ბიჭებს მშვენიერი გასართობი გამოგვიჩნდა. რიგრიგობით ვეჭიდებოდით ვერძს, ვმხიარულობდით.

მეორე დღეს სახლის პატრონი ესტუმრა სიმონს. საჩუქრად ქათმის დედალი, მოზრდილი მამალი და მთელი მათლაფა ფლავი მოართვა.

მეტი გზა არ იყო, დღეიდან იმაზე უნდა გვეზრუნა, რომ სტამბა უფრო საიმედო ადგილას გადაგვეტანა, თუნდაც თავლაში, მაგრამ ამას კარგა ხანი სჭირდებოდა. თავლაში საიდუმლო შესასვლელი უნდა მოგვეწყო, ზარი გაგვეყვანა, ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე უნდა გაგვეკეთებინა, პოლიციაც რომ დაგვცემოდა თავზე, სტამბისთვის ვერ მიეგნოთ. ამისთვის კი საჭირო იყო რთული ნახაზები, რაშიც, ალბათ, კრასინი დაგვეხმარებოდა.

ჯერჯერობით კი ისევ ჩვეულებრივ უნდა გაგვეგრძელებინა მუშაობა.

მესამე დღეს კიდევ ერთი უცნაური ამბავი მოხდა. ტრიფონი ქალაქში იყო გასული, ჩვენ სტამბაში ვმუშაობდით. გარედან აყალმაყალი შემოგვესმა. მუშაობა შევწყვიტეთ და ყური მივუგდეთ. ჩხუბი და წყევლა-კრულვა არა ცხრებოდა. ვა-

ნო სტურუამ ვეღარ მოითმინა და გარეთ გავიდა. ნახევარი საათის შემდეგ შეშფოთებული დაბრუნდა და გვითხრა:

— ეს მამალი უნდა მოვიცილოთ.

— რაშია საქმე, კიდევ ხომ არ იჩხუბა?

წინა დღეს ჩვენი მამალი გალავანზე გადასულიყო, მეზობლის მამალს მიხტომოდა და სულ ბურტყა გაედინა. მეზობელმა მაშინ საყვედური უთხრა ტრიფონს და აი, ახლა მეორე მეზობლის მამალი დაეწიოკებინა. იმაზე იდგა ერთი აყალმაყალი.

მეზობლების უკმაყოფილებას ვერიდებოდით და გადავწყვიტეთ მამალი თავიდან მოგვეშორებინა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, სისხლში ხელის გასვრა ყველას დაგვეზარა, გვეცოდებოდა ეს ჩხუბის თავი, თვალებს რომ ყაჩაღივით აბრიალებდა. დიდი ხვეწნა-მუდარით ვანო ბოლქვაძეს შევაბით ეჟვანი.

ქალაქიდან დაბრუნებულმა ტრიფონმა ეზოში ერთად მოსეირნე ვერძი და დედალი რომ დაინახა, გაუკვირდა, მამალი რაღა იქნაო.

— მამალმა ჭირი მოგჭამა, — უპასუხა ვანო სტურუამ.

— რა მოუვიდა?

— მეზობლები აგვიჯანყა. ეს სამი დღეა გალავანზე გადადის და სხვის მამლებს აწიოკებს. უკმაყვფილო მეზობლები საყვედურებით მოდიან. ეს გვინდა ჩვენ ახლა?

იმ დღესვე მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, საბეჭდი მანქანა, რაც შეიძლებოდა დროზე გადაგვეტანა.

აპრილის შუა რიცხვებში, ერთ კვირა დღეს, ლეონიდ ბორისის ძე თავად ტრიფონმა მოიყვანა შტაბ-ბინაში. კრასინი კმაყოფილი დარჩა. ძალზე მოსწონდა ეს უბანიც და ეს გალავანშემორტყმული მყუდრო სახლ-კარიც. მან მყისვე შეამჩნია, ამ ადგილს რა ღირსებაც ჰქონდა. უბანში სულ მუსულმანები ცხოვრობდნენ. მათ აშკარად სძულდათ პოლიციელები.

გულდასმით დაათვალიერა მთელი შენობა, ეზო, ცხენების თავლა, ქერისა და შვრიის ბეღლები, თითოეული გასასვლელი თუ კუნჭული გასინჯა, ქაღალდზე ჩაინიშნა და ბოლოს ღიმილით თქვა:

— აქ სტამბა ისე მოეწყობა, მთელი ბაქოს პოლიცია თავ-

ზე რომ დაგეცეთ, მაინც ვერ მიაგნებენ, ოღონდ წესი და რიგი მტკიცედ დაიცავით.

ერთი კვირის თავზე კრასინს უკვე მზად ჰქონდა ნახაზი. ამ ნახაზის მიხედვით საბეჭდი მანქანა სარდაფში იდგმეზოდა. სარდაფის თავზე ასოთამწყობები იცხოვრებდნენ. სტამბიდან გვირაბი მიემართებოდა და იმ ოთახს უერთდებოდა, სადაც მე უნდა მეცხოვრა. მევე მევალებოდა სტამბის გუშაგობა. სტამბის გვერდით მოთავსებული იყო თავლა და ორი ბეღელი. საბეჭდი საამქრო, უფრო სწორად, გვირაბი, განათებული იყო სპირტელვარე ნათურით, სტამბაში ჩასასვლელი ისე იყო შენიღბული, ვერავითარი პოლიცია ვერ აღმოაჩენდა, თუ კვალზე არავინ დააყენებდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ყველაფერი ისე გაკეთდა და მოეწყო, როგორც კრასინის ნახაზში იყო მითითებული. ამასობაში ზაფხულიც დადგა და იატაკქვეშა ხუთკაციან ჯგუფს ორი კაცი კიდევ მოგვემატა. სულ შვიდნი გავხდით. გადაწყდა, თითოეულს თავისი მოვალეობა დაკისრებოდა და შემოგვეღო დღე-ღამის მკაცრი რეჟიმი, რასაც უსიტყვოდ უნდა დავმორჩილებოდით შვიდივე. მაშ ასე, მე ორი ამხანაგითურთ სტამბის გვერდით უნდა დამეძინა, დანარჩენები მეორე ოთახში იცხოვრებდნენ. თუ ზარი უცხოსი იქნებოდა, იატაკქვეშა ჩასასვლელს გავხსნიდი, ამხანაგებს გავაღვიძებდი, ისინი ლოგინს ჩამომაწვდიდნენ და მერე თვითონაც ჩამოვიდოდნენ.

ერთ საღამოს დაღლილ-დაქანცულები გვიან დავწექით. აღარავის მოლოდინი არა გვქონდა. ყველანი ადგილზე ვიყავით. ასეც რომ არ ყოფილიყო, წესის მიხედვით, საღამოს რვა საათის შემდეგ ბინაში დაბრუნების უფლება არავის გვქონდა. ვინიცობაა რვა საათამდე რომელიმეს ვერ მოესწრო დაბრუნება, ღამე სხვაგან უნდა გაეთია. ყველა ზარი რვა საათის შემდეგ სხვისად ითვლებოდა და განგაში უნდა აგვეტეხა. ყველაზე გვიან მე დამეძინა.

ლადო მესიზმრა. ბალახანის ქუჩაზე ერთად მივდიოდით. დღის ნათელი იყო, მაგრამ ქუჩაში კაციშვილი არა ჭაჭანებდა. სიზმარშიც ვიცოდი, რომ ლადო მკვდარი იყო და მიკვირდა, აქ საიდან და როგორ გაჩნდა-მეთქი.

წვერგაპარსული, დაღრუბლული ლადო გვერდით მიმყვებოდა, ოღონდ მიწაზე კი არ ადგამდა ფეხს, მიწის ზემოთ მიაბიჯებდა.

— შენ ხომ მოგკლეს, აქ საიდან გაჩნდი? — ვკითხე.

— გამოვიპარე. — მიპასუხა ლადომ. — ხუთი კარი გავხსენი, ერთი ცეცხლისა, მეორე ყინულისა, მესამე რკინისა, მეოთხე წყლისა და მეხუთე ხისა.

და ამ დროს შორიდან შემომესმა მკვეთრი ხმა, სწორედ ისეთი, ეკლესიის კედლებში რომ ისმის ხოლმე.

გვერდზე მივიხედე, მაგრამ ლადო აღარსად ჩანდა, მხოლოდ ზეცაში აჭრილ ნისლს მოვკარი თვალი. იგი სულ მაღლა-მაღლა მიიწევდა ზესკნელისაკენ და ამ დროს მაღლით ზარის რეკვაც მოისმა. როცა გავიღვიძე, მაშინღა მივხვდი, რომ ზარის ხმა არც ზეციდან ისმოდა და არც სიზმრისა იყო, ზარს გარედან ვიღაცა ცხარედ რეკავდა, სწრაფად წამოვხტი, სიზმარი მაშინვე დავიწყებას მივეცი და ჩემს მოვალეობას შევუდექი. განგაში ავტეხე, ბოლქვაძე გავაღვიძე და საიდუმლო ჩამოსასვლელი გავხსენით. ზემოთა ოთახში ყველა ფეხზე იდგა უკვე. ლოგინები სასწრაფოდ ჩამოგვაწოდეს, თვითონაც ჩამოვიდნენ და საიდუმლო ჩასასვლელი ჩავკეტე.

დაძაბულობამ რამდენიმე წუთს გასტანა. უცებ ბინაში გაისმა ტრიფონის ხმა:

— გამობრძანდით, ოპერაცია დიდებული იყო.

სათითაოდ ამოვლაგდით საიდუმლო ამოსასვლელიდან.

— გამოგცადეთ, მინდოდა გამეგო, ოპერაციას როგორ ჩაატარებდით. — ამბობდა ტრიფონი და ღიმილით მოგვჩერებოდა. ზოგი რევოლვერს იდებდა ჯიბეში, ზოგი ვაზნებისაგან ვცლიდით. თითქმის ყველა შეიარაღებული ვიყავით. გადაწყვეტილი გვქონდა, თუ პოლიცია თავს დაგვესხმოდა, ცეცხლით დაგვეცვა თავი.

ძილგატეხილები უხალისოდ მივლაგდით, ერთხანს ვიყბედეთ და მერე ღრმად ჩაეძინა ყველას. მე ისევ გამიფრთხა ძილი, სიზმარს მივუტრიალდი. უსიამოვნო სიზმარი იყო. ჯერ იმან გამიფუჭა გუნება, მერე კიდევ ამ განგაშმა, არ მეგონა, თუღა დამეძინებოდა, ვატყობდი, ამ ბოლო დროს ნერვები როგორ მქონდა გაწყალებული, სულიან-ხორციანად დამქანცა ციხემ, დევნამ, ძაღლმადურმა ცხოვრებამ.

ერთ დღეს ქალაქიდან დაბრუნებულმა ტრიფონმა განაცხადა:

— კრასინმა მთხოვა, სტამბა მანახვეთო, თქვენ რას იტყვით, ბიჭებო?

ბიჭებს რა უნდა ეთქვათ, კრასინი კრასინი იყო და მას უარს როგორ ეტყოდნენ. სწორედ მისი მეშვეობით ვიღებდით საბეჭდ ლიტერატურას და მთელი ეს მოწყობილობაც კრასინის ნახაზების წყალობით იყო.

მეორე დღეს ტრიფონმა მართლაც მოიყვანა ლეონიდ ბორისის ძე. შუადღის საათები იყო და სტამბაში მუშაობა დუღდა. კრასინმა ყველა კუთხე-კუნჭული რომ დაათვალიერა, თავისი კმაყოფილება ვერ დაფარა. სიხარულისაგან ერთთავად იღიმებოდა და ხელებს იფშვნეტდა.

— დიდებულია. აი, მესმის არალეგალური მუშაობა. აქ ეშმაკიც ვერ მოგაგნებთ.

— ეს ყველაფერი ხომ თქვენი ნახაზებით არის, ლეონიდ ბორისოვიჩ?

— ვიცი, ვიცი, მაგრამ ისე ოსტატურად გიმუშავნიათ, რომ პირდაპირ გაოცებული ვარ.

ტრიფონი კრასინს დღის რეჟიმს უხსნიდა. დღის რეჟიმი კი აქ ასეთი იყო. დილის რვის ნახევარზე ვდგებოდით, რვა საათამდე უნდა მოგვესწრო პირის დაბანვა და ლოგინის გადამალვა იატაკქვეშ. რვიდან მუშაობას ვიწყებდით. პირველიდან ორამდე ვსადილობდით, თან გაზეთს ვკითხულობდით ჯგუფურად, მერე ისევ სტამბაში ჩავიდოდით და საღამოს რვისნახევრამდე ვმუშაობდით. წამოსვლისას შრიფტს გავრეცხავდით, იქაურობას გავასუფთავებდით, რომ დილით უცებ შევდგომოდით საქმეს. ვახშმის შემდეგ ზოგი კითხულობდა, ზოგი ჭადრაკით ერთობოდა, ზოგიც დაბალ ხმაზე აკვნესებდა გიტარას. კვირაში სამი საღამო ეთმობოდა ერთობლივ [illegible]ვას, ანდა რაიმე საკითხის გარჩევას.

კრასინი გაოცებული მისჩერებოდა ტრიფონს.

— კი მაგრამ, ქალაქში სულ არ გადიან?

— მხოლოდ ორ კვირაში ერთხელ. დილის რვა საათიდან თერთმეტამდე. ამ კანონს არავინ არღვევს. ღამის რვა საათის შემდეგ უფლება არავის არა აქვს უკან დაბრუნებისა. ამის შემდეგ ზარი უკვე ჩვენად ღარ ითვლება.

— საოცარი კანონი გქონიათ, იცით რა, — უცებ თვალები გაუნათდა კრასინს, — ერთი სათხოვარი მაქვს, თუ წინა-

აღმდეგი არ იქნებით, ამხანაგ გლებოვს ვანახოთ თქვენი სტამბა.

სიმონი ჩაფიქრდა და დანარჩენებს გადახედა. ამ სტამბის ადგილსამყოფელი კრასინის მეტმა კაციშვილმა არ იცოდა. გლებოვი ანუ ნისკოვი მეორე ყრილობის ცაკის წევრი იყო და ახლა ბაქოში ჩამოსული გახლდათ, როგორც ლენინური „ისკრის“ წარმომადგენელი.

— რას იტყვით, ბიჭებო? — ამ კითხვით გადმოგვხედა ტრიფონმა.

ჩვენ გლებოვს ვიცნობდით, საიმედო კაცად მიგვაჩნდა და დავეთანხმეთ.

მეორე საღამოს, ბინდისას, კრასინმა გლებოვი მოიყვანა. იგი ყურადღებით ათვალიერებდა სტამბას, აქ დაბეჭდილ ლენინის ბროშურას „სოფლის ღარიბებს“ და გაოცებას ვერ მალავდა. მერე მან „ისკრის“ სტამბაში დაბეჭდილი იგივე ბროშურა აიღო, აქ დაბეჭდილი შეუდარა, მხრები აიჩეჩა და თქვა:

— გამაგებინეთ, ასე როგორ ჰგავს ნაბეჭდი ერთმანეთს? ქაღალდიც კი.

ტრიფონმა გაიცინა.

— აქ საკვირველი არაფერია. ჩვენ შრიფტი იმ სახელოსნოს დავუკვეთეთ, რომელსაც „ისკრა“ უკვეთავს.

— ლემანის შრიფტების ჩამომსხმელ სახელოსნოს?

— დიახ.

— პეტერბურგში?

— სწორედ პეტერბურგში. ქაღალდიც იქაურია. იგივე, რასაც „ისკრა“ იყენებს.

გლებოვს გაოცებისაგან ენა ჩავარდნოდა, ბოლოს, როცა ყველაფერი დაათვალიერა, კმაყოფილმა მადლობა მოგვიხადა ნდობისათვის და გვითხრა:

— თქვენი სტამბა, ამხანაგებო, სრულიად რუსეთის ღუმელია, რომელიც რუსეთის მთელ პროლეტარიატს ათბობს, არ ველოდი, თუ ასეთ საოცრებას ვნახავდი. მშურს და მეხარბება თქვენი.

დრო კი მიდიოდა, ხან ელვასავით სწრაფად, ხან კუსავით მიზოზინებდა. სტამბაში შემოღებული მკაცრი რეჟიმი არავის დაგვირღვევია და არც რაიმე ხიფათს გადავყივართ. ხანდახან მეგონა, ჟანდარმერიას ჩემი არსებობაც დაავიწყდა. ყველა-

ფერი ზუსტად და გონივრულად კეთდებოდა, დასაბეჭდ ლიტერატურას კრასინი „ისკრის“ აგენტიდან იღებდა, იგი ტრიფონს გადასცემდა და ეს უკანასკნელი ქალაქიდან ეტლით ბრუნდებოდა თავის „ჩადრიანი დედითურთ“, ვის მიმართაც ფრიად ზრდილობიანობას იჩენდა. სტამბაში ქაღალდი ვანო სტურუას შემოჰქონდა, მაგვე უნდა გაეზიდა უკვე დაბეჭდილი ლიტერატურა საყუთე სახელოსნოში, სადაც ჩემი ნახაზების მიხედვით დაუკვეთავდა ყუთს. ყუთში ჩააწყობდა ლიტერატურას, სათანადო წარწერას გაუკეთებდა და უკვე იმის ხელში გადადიოდა, ვისაც კავშირი ჰქონდა რკინიგზის აგენტთან, ნოქრებთან და სხვა ხელობის ხალხთან. ეს უკანასკნელი კი საბოლოო მისამართს აძლევდა ყუთს, ისე, რომ თვითონაც არ იცოდა შიგ რა იყო. ქვითრები და დუბლიკატები ტრიფონს ბარდებოდა, იგი მე გადმომცემდა, ზუსტ პირს გადავიღებდი და იმ მისამართზე ვგზავნიდი, რომელსაც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ტექნიკური ბიურო მიუთითებდა.

სტამბაში მუშაობასთან ერთად ფხიზლად ვადევნებდით თვალყურს საერთო პოლიტიკურ მოვლენებს. ვხედავდით, ბოლო დროს ლენინური „ისკრა“ როგორ თანდათან გადადიოდა მენშევიკების ხელში, ჩვენ კი მაინც ლენინური „ისკრის“ მხარეზე ვრჩებოდით, ლენინს ვუთანხმდებოდით და მასთან მიმოწერა არ გაგვიწყვეტია. იმ ხანებში რსდმპ მესამე ყრილობა ტარდებოდა ლონდონში, სადაც დელეგატად ლეონიდ კრასინიც იყო მიწვეული.

მოუთმენლად ველოდით, როდის დაბრუნდებოდა კრასინი, ყრილობის ამბებს დაწვრილებით ის მოგვიყვებოდა და თანაც ყველა მასალას გავეცნობოდით.

კრასინი მოგვიანებით დაბრუნდა, თან ჩამოიტანა ლენინის ახალი ნაშრომი „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“.

— ლენინი გაზეთ „პროლეტარის“ რედაქტორად დაინიშნა, — გვითხრა კრასინმა, — ეს გაზეთი, ამხანაგებო, ძველი „ისკრის“ ხაზს გააგრძელებს და ბუნებრივია ჩვენი „ნინა“ მისი „დობილი“ იქნება. მოსალოდნელია აგრეთვე, მოსკოვის სტამბა ამუშავდეს, რაც ჩვენს სტამბას ზოგიერთი სამუშაოდან განტვირთავს.

ეს ამბავი რატომღაც არ გვეჭაშნიკა, ისე გამოდიოდა, თითქოს ჩვენი სტამბა საჭირო აღარ იყო. თვითონ ლეონიდ კრასინიც ვერ იყო ამ ამბით გახარებული და არც ყრილობის შედეგებით ჩანდა კმაყოფილი.

კრასინის სიტყვა გამართლდა, მალე მართლაც ამუშავდა მოსკოვის სტამბა და მითითება მოგვეცა მარტო ბროშურები და ცალკეული კრებულები გვებეჭდა. ამას მალე ისიც დაემატა, რომ მეფის მთავრობამ აზვირთებული ხალხის დასაწყნარებლად ოქტომბერში მანიფესტი გამოსცა, რითაც ხალხს ჰპირდებოდა, მოვიწვევთ საკანონმდებლო სახელმწიფო სათათბიროს და მოსახლეობას მივცემთ დემოკრატიულ თავისუფლებებს: პრესის, სიტყვის, კრებების. ამასთან ხალხის საარჩევნო უფლებებსაც გავაფართოვებთო.

— მხეცმა დროებით დამალა ბრჭყალები და ღრიალის ნაცვლად კრუტუნი დაიწყო. — ამბობდა კრასინი ჩვენს არალეგალურ სხდომაზე, სადაც მანიფესტს ვიხილავდით. — ლიბერალური ბურჟუაზია რევოლუციას დამთავრებულად თვლის, ხოლო მიზანს მიღწეულად, მაგრამ ჩვენ, ბოლშევიკებმა ხალხს უნდა მოვუწოდოთ გააგრძელონ ბრძოლა.

— ჩვენი ვალია, მანიფესტის ნამდვილი არსი გამოვააშკარავოთ. ამიტომ სისულელეა არალეგალურ მუშაობაზე უარის თქმა. — თქვა ვანო სტურუამ.

— სწორი ბრძანდებით, — დაეთანხმა კრასინი, — ჩვენ ისევ ძველებურად მოგვიხდება მუშაობა.

სხდომა რომ დამთავრდა, ვანომ მითხრა:

— როგორც ვატყობ, აბელ, ჩვენი „ნინა" და ჩვენი არალეგალური მუშაობა აღარ სჭირდებათ. დავიხუროთ, ძამიკო, ქუდი და წავიდეთ ბაქოდან.

მე არაფერი ვუპასუხე, სტურუას ნათქვამი მენიშნა. მართლაც, სულ მოკლე ხანში ბედის ანაბარა დავრჩით. არ ვიცოდით, როგორ მოვქცეულიყავით, ბაქოში აღარ იყო ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი.

ნოემბერში კომიტეტის გადაწყვეტილებით პეტერბურგში მიმავლინეს ბოლშევიკების ცაკის წევრების თათბირზე. ვიცოდი, რომ ამ დროს ლენინი უცხოეთიდან რუსეთს იყო ჩამოსული და ამ თათბირს უსათუოდ დაესწრებოდა.

კარგად მახსოვს ის წვიმიანი დღე. შტაბ-ბინაში უკლებლივ

ვიყავით ყველა. ზოგი მზადებაში მეხმარებოდა, ზოგი ჭადრაკით ერთობოდა. მშვენიერ გუნებაზე ვიყავ, ჯერ ერთი იმ ქალაქში მივემგზავრებოდი, რომლის ნახვაც ოცნებად მქონდა გადაქცეული და მეორეც — პირადად შეეხვდებოდი ლენინს.

4.

ხანგრძლივი მგზავრობა, მრავალი სადგური, გრძელი გზა და აგერ პეტრეს ქალაქიც. ღრუბლიანი დღე იდგა, ქალაქის თავზე თხელი ნისლი იწვა.

აბელი აღტაცებული მისჩერებოდა ცაში ატყორცნილ გუმბათებს, ამ ღრუბლიან ამინდშიც რომ ბრწყინავდნენ. ნეტავ რომელი იყო მათში ისააკის ტაძარი. რამდენი სიამოვნება ელის ამ დღეებში. ლენინთან შეხვედრა, ქალაქის დათვალიერება. ვაგონშივე იგრძნო აბელმა რუსეთის სუსხი, ჩემოდნიდან ფრთხილად ჩაკეცილი პალტო ამოიღო და შეეცადა, რაც შეიძლებოდა წესიერად გამოწყობილიყო. უცებ გაახსენდა ამხანაგების ნათქვამი, ლენინს გადაეცი „ნინამ“ უსაქმოდ მოიწყინა-თქო. ნეტავ როგორ გადაწყდება მართლა „ნინას“ საქმე?

პირველ რიგში ბოლოტინის ქუჩაზე უნდა მისულიყო, იქ კაცი დახვდებოდა და აცნობებდა, სად გაიმართებოდა ცაკის წევრების თათბირი. ეტლი დაიჭირა და მისამართი უთხრა. მიუხედავად იმისა, პეტერბურგში პირველად იყო, მაინც მყისვე იგრძნო, რომ მთელი ქალაქი რაღაც უჩვეულო ცხოვრებით ცხოვრობდა. თავის მუდმივი კალაპოტიდან ამოვარდნილიყო. ეს ეტყობოდა ყველას და ყველაფერს, ქუჩაში გამგლელ ადამიანებსა თუ ტრანსპორტს. მთელი რუსეთი ბობოქრობდა. მოკლე ხანში ერთმანეთს მიჰყვა უმნიშვნელოვანესი მოვლენები: სისხლიანი კვირა, გაფიცვები, შავრაზმელთა თარეში, მეფის მანიფესტი, რამაც აღზევებული ხალხი ვერა და ვერ ჩააწყნარა. ერთი სიტყვით, რუსეთი ქარიშხლის მოლოდინში იყო.

მეეტლე უხმოდ მიერეკება ცხენებს. სქელ ტყაპუჭში ჩაჭედილს თითქოს განძრევაც უჭირს. ეტლმა ვიწრო ქუჩაზე ჩაუხვია, გაჩერდა და მეეტლემ მგზავრს უხმოდ გადმოხედა, ალბ ესეც შენი ბოლოტინის თხუთმეტი ნომერიო.

— ცოტა ხანს დამიცადეთ, — უთხრა მეეტლეს და მკვიცად ცხლად ჩამოხტა. სადარბაზოში შესულმა ერთ-ერთ კარზე ამოიკითხა წარწერა: „ექიმი ბრონშტეინი“. ზარი დარეკა. მძიმე, ყრუ კარის უკან გაისმა მსუბუქი ნაბიჯების ხმა. კარი ოდნავ გაიღო და შუახნის მიმზიდველმა ქალმა გამოიხედა.

— ვინ გნებავთ?

— მე ბაქოდან ვარ, აბელი.

— ოჰ, გასაგებია, — გაიღიმა ქალმა, კარი ფართოდ გააღო, სტუმარი შინ შეიპატიჟა.

— ეტლი მელოდება. ეგებ არცა ღირს მისი გაშვება?

— ნამდვილად არა ღირს. თქვენ ახლავე უნდა წახვიდეთ თათბირზე. პროკროვსკის მოედანი, ბადის ქუჩა, ორმოცი ნომერი, ინჟინერ ბრუსნევის ბინა.

— გმადლობთ, ქალბატონო. — აბელი მყისვე გამობრუნდა და ერთხელ კიდევ გაიმეორა ქალის ნათქვამი. ბადის ქუჩა, ორმოცი ნომერი. ბრუსნევის ბინა.

— პროკროვსკის მოედნისაკენ. ბადის ქუჩაზე. — უთხრა მეეტლეს, როცა ეტლში ჩაჯდა.

ისევ მიჰქრის ეტლი, ცხენებს ზურგზე ორთქლი ასდით, ცივი, ნესტიანი ნიავი ძვალ-რბილში ატანს, მაგრამ აბელს ახლა სიცივე სულაც არ აღონებს. რამდენიმე წუთის შემდეგ დიდი შეხვედრა ელის. აგერ ქვაფენილიანი მოედანი, თვალი მოავლო მოედნის გარშემო მოჩუქურთმებულ შენობებს და პეტერბურგში ჩასვლის წუთიდან, ვინ იცის მერამდენედ, დარწმუნდა, რომ ის ნამდვილ ევროპულ ქალაქში იყო.

ეტლმა მოედანი გადასჭრა და ლარივით გაჭიმულ ქუჩას დაადგა. ეს იყო ბადის ქუჩა. აბელმა ეტლი გააჩერებინა, ჩამოხდა და ბადის ქუჩას გაჰყვა. ფეხები თითქოს დაბუჟებოდა თუ დაზრობოდა. ნაბიჯის გადადგმა უჭირდა, მაგრამ მერე და მერე შეცივებული ტანი შეუხურდა და სიარული ესიამოვნა კიდეც. ქუჩას მიჰყვებოდა და იქაურობას ხარბად ათვალიერებდა. კანტიკუნტად დაიარებოდნენ ადამიანები, ალბათ სიცივის გამო, ყველა იჩქაროდა, ერთმანეთს არც უყურებდნენ. აბელი სახლის ნომრებს აკვირდებოდა, აგერ, სადაც არის ორმოც ნომერს მიადგება. ორმოცი ნომერი სახლი ქუჩის სიღრმეში იდგა. პატარა, ერთსართულიანი, მაგრამ კოხტა სახლი იყო, წითელი აგურით ნაშენი. სადარბაზო კარი ქუჩის

მხრიდან ჰქონდა. სამიოდე ქვის საფეხურზე შედგებოდით და მოჩუქურთმებული მძიმე კარის შუაგულზე წარწერა გაცნობებდათ, რომ აქ ცხოვრობდა ინჟინერი ბრუსნევი. წარწერის თავზე ზარი ეყენა, აბელი შეჩერდა, ყური მიუგდო. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ეს სახლი დიდიხნის მიტოვებული ყოფილიყოს, ბაიბურიც არ ისმოდა იქიდან, თორემ სხდომასა და თათბირს ვინა ჩივის. ზარს მისწვდა და ჩამორეკა. ისევ დუმილი, რამაც რამდენიმე წამს გასტანა. მერე შიგნიდან ფეხის ხმა გაისმა და კარი ნელა გაიღო. კარღიაში შუახნის კაცი იდგა, წვერმოშვებული, ახოვანი და ოდნავ ფერმკრთალი.

— ვინ გნებავთ? — კუშტად იკითხა მან.

— ინჟინერი ბრუსნევი აქ ცხოვრობს?

— დიახ, აქა ცხოვრობს. — ნირი არ შეუცვლია, ისე უპასუხა.

— მე თათბირზე ვარ მოვლინებული ბაქოდან.

— აა, — სახე გაეხსნა მას და აბელმა შენიშნა, ეს კუშტი კაცი რა უეცრად გადახალისდა, — მობრძანდით, მობრძანდით, — ხელი გაუწოდა აბელს.

ტალანში შესვლისთანავე სითბო ეცა. მასპინძლის შეთავაზებით პალტო გაიხადა.

მასპინძელმა სტუმარი წინ გაატარა და დიდ დარბაზში შეიყვანა. იქ ხალხმრავლობისგან აბელს ლამის თვალები აუჭრელდა, მაგრამ იმათში მაინც გაარჩია ნაცნობი მოღიმარი სახე ლეონიდ კრასინისა.

„როდის წამოვიდა კრასინი?“ — გაუკვირდა აბელს და თან გაუხარდა, რომ ამდენ უცხო ხალხში ახლობელი, ნაცნობი ადამიანი ნახა.

— წარმომადგენელი ბაქოდან! — წარუდგინა ხალხს მასპინძელმა, — აბელ ენუქიძე!

კრასინი ხალხს გამოეყო და ღიმილით წამოვიდა მისკენ.

— თქვენ როდისღა ჩამოხვედით, ლეონიდ ბორისოვიჩ. — ჰკითხა აბელმა.

— სამი დღის წინათ, მგონი შენ არც იცოდი, მე რომ მოვდიოდი. — კრასინმა ხელი მხარზე მოჰხვია და უჩურჩულა: — მოდი, ვლადიმერ ილიჩი უნდა გაგაცნო.

ამის გაგონებაზე ბუნებით მორიდებული აბელი მღელვა-

რებამ შეიპყრო, იქაურობა ელვის სისწრაფით მოათვალიერა, მაგრამ იქ ვერავინ შენიშნა ისეთი, ვინც შეიძლებოდა ლენინი ყოფილიყო. იგი უცებ აღმოჩნდა ტანმორჩილი მელოტი ადამიანის წინაშე. წმინდად გაპარსული პირისახე ჰქონდა, ულვაში მოშვებული. არცთუ ხშირი წარბების ქვეშ ჭკვიანური თვალები კეთილად უციმციმებდა. მაღალი თეთრი პერანგის საყელო ნიკაპზე მიბჯენოდა და ზედ სქელი, ჟილეტში ჩატანებული ჰალსტუხი ეკეთა.

„ლენინი, — გაიფიქრა აბელმა, — ვლადიმერ ილიას ძე, აი როგორი ყოფილა“.

— აა, — ლენინმა გაიღიმა და ხელი გამოუწოდა — ეს არის ამხანაგი აბელი?

აბელმა ხელი ჩამოართვა და იმ წუთიდანვე თავისუფლად იგრძნო თავი, თვითონაც ვერ მიხვედრილიყო, ასე უცებ რით დაიახლოვა ბელადმა და რა ხერხით ჩამოაცალა შემბოჭავი ძალა.

— აბა, როგორ არის, ამხანაგო აბელ, საქმე სამხრეთში, კერძოდ ბაქოში? რას აპირებენ იქაური ამხანაგები, თქვენი სტამბის მუშაკები, თავისუფლებისაკენ ილტვიან ისევ, თუ იმათაც ირწმუნეს მისი უდიდებულესობის იმპერატორის მანიფესტი? — ვლადიმერ ილიას ძემ ოდნავ მოჭუტა თვალები.

— ბაქოში ყველაფერი ისე მიდის, როგორც ოქტომბრის მანიფესტამდე, ჩვენს ამხანაგებს მანიფესტისა არაფერი სჯერათ. კარგად იციან, რომ მეფეს ამით ხალხის მოტყუება უნდა, მაგრამ... — აბელი შეჩერდა და ბელადს პირდაპირ თვალებში შეხედა. ლენინს მარცხენა ხელი ჟილეტში შეეყო, თავი ოდნავ გვერდზე გადაეღუნა და თვალები მოეჭუტა.

— მაგრამ რა, ამხანაგო აბელ? თქვით ბოლომდე.

— ჩვენ, ცოტა არ იყოს, დაბნეულები ვართ. აი, თუნდაც ჩვენი სტამბის ამბავი. არ ვიცით, განვაგრძოთ არალეგალური მუშაობა თუ, არა. საქმე თითქმის აღარაფერი გვაქვს. ამხანაგები, პირადად თქვენთან მაბარებდნენ, ვლადიმერ ილიას ძევ, „ნინამ“ უსაქმობით მოიწყინაო. ჩვენ კი გვჯერა და ასე ვფიქრობთ, რომ ისევ ძველებურად უნდა გავაგრძელოთ მუშაობა.

აბელი შეჩერდა. ლენინს დააცქერდა. ბელადს შუბლი შეეჭმუხნა და ღრმა ფიქრში ჩაძირულიყო.

— კარგია, რომ ასე ფიქრობთ, — თქვა მან ბოლოს, — მეც

ასე მგონია და ასე მჯერა. მაგრამ არიან ადამიანები, სამწუხაროდ ჩვენს პარტიაში, ვისაც ამას ვერაფრით ვერ დააჯერებ. აი დღეს, ამხანაგო აბელ, ამ საკითხზე იქნება კამათი და ალბათ ცეკას წევრები მხარს დაგვიჭერენ. დავუცადოთ თათბირს, ვნახოთ, რა გადაწყდება.

ლენინმა მაჯაზე მეგობრულად მოუჭირა ხელი, ბოდიში მოუხადა, რომ სტოვებდა და ახლა იმ ჯგუფისაკენ წავიდა, სადაც აბელისათვის უცხო ადამიანები რაღაცაზე ცხარედ კამათობდნენ.

მერვე რვეული

იმაზე აღარ ვწუწუნებ, რაც ცხოვრებაში შიში, ტანჯვა, წამება თუ დამცირება გამომივლია. არა ვწუწუნებ, რადგან დიდი რწმენა ზურგს მიმაგრებდა, მიზანი კი სულს მიმხნევებდა. ვიცოდი, რისთვის ვეწამებოდი და ისიც ვიცოდი, თუ შევეწირებოდი, რას შევეწირებოდი. კარგად არის ერთ-ერთ ფსალმუნში ნათქვამი, უღელი ჩემი ტკბილი არის და ტვირთი ჩემი მსუბუქიო. არ ვიცი, რა ბედი მელის მომავალში, რადგან იმ მიზნამდე, რისთვისაც სიყრმიდანვე ჩავები ბრძოლაში, ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი. არც გული და არც გონება არაფერს მეუბნება, ამ გრძელ გზაზე რა შემხვდება, მაგრამ თუ დღემდე ჩემს ცხოვრებაში რამე სასიხარულო შემხვედრია, რამე ნათელი გამომკრთალა, ეს პეტერბურგული დღეები იყო. დიახ, იქაური მშფოთვარე დღეები. იქ გავხდი მოწმე დიდი აზრების ჭიდილისა, იქ გავიცანი ლენინი, გორკი, ლუნაჩარსკი...

მინდა ის დღეები ამ ჩემს დღიურში ზუსტად და მხატვრულად აღვწერო, სწორედ ისე, როგორც განვიცადე. თუ ეს შევძელ, მაშინ ჩემი განცდა მკითხველსაც გადაედება და ამ რვეულის წაკითხვა მისთვის მოსაწყენი აღარ იქნება. ასეა თუ ისე, მე ბეჯითად შევეცდები, ღირსეულად ვაჩვენო ბელადის სახე, ისე დავხატო მაქსიმ გორკი, როგორიც იყო, რადგან ჩემსა შემდგომად ვიცი, დადგება დრო და ეს აღწერილობა ვინმეს გამოადგება.

მაშ, შევთხოვ ზენაარსს, შთამბეროს ძალა, რათა ეს ამბავი უნაკლოდ გადმოვცე.

Მიუხედავად დიდი დავისა და შეხლა-შემოხლისა, თათბირზე ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, ჩვენი სტამბა დაშლილიყო, ოღონდ იმ პირობით, რომ სტამბის მუშაკები არ დავფანტულიყავით და ლეგალურ სტამბაში გადავსულიყავით სამუშაოდ. ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, თუ საჭირო გახდება, ეს ამხანაგები ისევ დაუბრუნდებიან ფარულ სამუშაოსო. მაშ ასე, დაადგინეს, ჩვენი „ნინა“ პეტერბურგს გადასულიყო და ჩვენც იქ გავყოლოდით.

ამ გადაწყვეტილებამ გული ჩამწყვიტა. ურიგო როდი იყო პეტერბურგში გადასვლა, სადაც პირადად მეცა და ჩემი მეგობრებიც დიდ სკოლას გავივლიდით, მაგრამ ისე ვიყავით „ნინას“ შეჩვეულნი, ისე ავაწყვეთ ჩვენი ფარული მოღვაწეობა, რომ ახლა მისი დაშლა პირადად ჩემთვის სიკვდილი იყო.

თათბირი რომ დამთავრდა, კამათით დაღლილმა, აღელვებულმა ვლადიმერ ილიას ძემ გვერდზე ჩამიარა, უცებ შეჩერდა, თვალებმოჭუტული მომიახლოვდა, მხარზე ხელი დამადო და მითხრა:

— რას იზამ, ჩემო კეთილო, ამ ვაჟბატონებს ჯერ კიდევ სჯერათ ოქტომბრის თავისუფლებისა. სულ მალე დავრწმუნდებით, რომ ლეგალური მუშაობა ჩვენთვის ნაადრევი და არაახელსაყრელია. გული არ გაიტეხოთ, ამხანაგო აბელ, ხვალ ალბათ დაგვესწრებით სარედაქციო თათბირზე. მოდით, უსათუოდ მოდით.

ეტყობოდა, ლენინს სადღაც ეჩქარებოდა და ვეღარაფერი ვუპასუხე. ეგეც არ იყოს, ისე ვიყავი, ხმის ამოღება მიჭირდა.

მეორე დღეს გაზეთ „ნოვაია ჟიზნის“ რედაქციაში ბოლშევიკური ჯგუფის თათბირი იყო დანიშნული პარტიულ აქტივთან ერთად და ბელადმა იქ მიმიწვია, მე კი მადლობის თქმაც ვერ მოვასწარი.

— ხვალ მაქსიმ გორკი დაგვესწრება თათბირზე, — მითხრა კრასინმა.

— გორკი?

— დიახ, ხვალ გორკი და ლენინი პირველად შეხვდებიან ერთმანეთს. კრასინმა თითქოს ვიღაცა სხვას გაუღიმა, მერე მე შემომხედა და დასძინა: — კარგი სანახაობა იქნება, არა?

— როგორ, ისინი აქამდე არ იცნობდნენ ერთმანეთს? — გამიკვირდა.

— არა. პირადად არა.

ძლივს დავაღამე ის დღე. სული მესწრაფოდა, როდის გათენდებოდა, როდის ვნახავდი გორკს პირადად, ანდა როგორ იქნებოდა ლენინისა და მაქსიმ გორკის შეხვედრა.

სუსხიანი, ნამდვილი ზამთრის დღე გათენდა, ხვავრიელად თოვდა, მაგრამ მაინცდამაინც არ ციოდა. ისეთ ხასიათზე ვიყავ, საოცრად ლამაზი მეჩვენებოდა ეს უქმური ზამთრის დღე. როცა მე და ლეონიდ კრასინი ნევის პროსპექტზე გავედით, უკვე გული ამიძგერდა მოსალოდნელი შეხვედრებით და მღელვარებას ველარ ვფარავდი. ერთ მოჩუქურთმებულ მოზრდილ შენობასთან შევჩერდით, სადაც ლეგალური გაზეთის „ნოვაია ჟიზნის" რედაქცია მდებარეობდა. შევედით სადარბაზოში, ავყევით კიბეს და იმ წუთიდან თითქოს თვალები ამიჭრელდა და ყურები დამეხშო.

სიზმარივით ვიხსენებ, რაც იქ ვნახე და მოვისმინე. ვეება ოთახში თავი მოეყარათ რედაქციის წევრებსა და პარტიულ აქტივს, მახსოვს, როცა შევედი, ამ ხალხს გამოეყო ლუნაჩარსკი და მომეგება.

— აბა, რასა იქთ, ამხანაგო აბელ, ხომ არ მოიწყინეთ პეტერბურგში?

— განა შეიძლება, ანდრეი ვასილევიჩ, პეტერბურგში კაცმა მოიწყინოს. რამდენი რამეა აქ ჩემთვის საინტერესო.

ლუნაჩარსკი წინა დღეს თათბირზე გავიცანი პირველად და ახლა ისე გულთბილად შემხვდა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვიყავით. მაშინ ალბათ ვერც ვიფიქრებდი, თუ საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ ჩვენ საუკეთესო მეგობრები გავხდებოდით. იმავე წუთში ჩვენთან გაჩნდნენ ოლმინსკი და ვოროვსკი— „ნოვაია ჟიზნის" თვალსაჩინო პუბლიცისტები. ყველანი თითქოს გადაჭარბებული სითბოთი და ყურადღებით მექცეოდნენ, მთავაზობდნენ პეტერბურგის დათვალიერებაში მეგზურობას.

ამ ყოფაში ვიყავი, როცა კარი გაიღო და ყურადღება ყველას იქით გაექცა.

კარებში შემოვიდა მაღალი, ულვაშებიანი კაცი. ორმოციოდე წლის იქნებოდა. გამხდარი იყო, ღრმად ჩავარდნილ თვა-

ლებში სევდისა თუ ფიქრის ღრუბელი ეწვა. მყისვე შევატყე, ცდილობდა თამამად დაეჭირა თავი, მაგრამ სიმორცხვეს თუ მღელვარებას ვერ მალავდა. თან შემოჰყვა საშუალო ტანის სადად ჩაცმული ქალი, ვინც თავისი გარეგნობითა და იერით უბრალო რუსის ქალს ჰგავდა. გორკს ლუნაჩარსკი მიეგება, ჯერ მისი მეუღლე მოიკითხა, მერე ალექსეი მაქსიმეს ძეს ჩამოართვა ხელი და ჩვენსკენ წამოუძღვა.

მე თვალს არ ვაშორებდი სახელოვან მწერალს. იგი ლუნაჩარსკის თანხლებით მოგვიახლოვდა და თვალებდახრილმა ყველას ჩამოგვართვა ხელი.

არ ვიცი, რამდენი წუთი გავიდა, ან ამის შემდეგ რა მოხდა, ის კარგად მახსოვს, რომ მეორე ოთახიდან ლენინი გამოვიდა, იგი სწრაფად გამოეშურა გორკისკენ, მიუახლოვდა და ისინი დიდხანს მხურვალედ ართმევდნენ ერთმანეთს ხელს. ვლადიმერ ილიას ძე ხალისიანად იცინოდა, ხოლო მთლად დაბნეული, როგორღაც შემკრთალი მწერალი ბოხი, თითქოს ნაძალადევი ხმით ერთსა და იგივეს იმეორებდა:

— აი, თქვენ როგორი ყოფილხართ... კარგია! კარგი! დიდად მოხარული ვარ, დიდად!

ლენინმა ხელი გაუყარა და მეორე ოთახში შეუძღვა, თან რაღაცას ელაპარაკებოდა.

ათიოდე წუთის შემდეგ ლენინი და გორკი ისევ გამოვიდნენ იმ ოთახიდან და თათბირიც დაიწყო.

მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე არ დამავიწყდება ბელადის მაშინდელი გამოსვლა. გამაოცა მისმა რკინისებურმა ლოღიკამ და ორატორულმა ნიჭმა. ძალზე უბრალოდ განმარტა მან თათბირზე პარტიის ამოცანები. ახლაც ყურში მიდგას მისი მკვეთრი, დამაჯერებელი ხმა:

— პარტიამ უნდა უხელმძღვანელოს საბჭოებს, წარმართოს მათი მუშაობა, მაგრამ არ უნდა გასწიოს მათი მაგივრობა და არ გაითქვიფოს მათში... თქვენ ვერ გამოიჩინეთ, ამხანაგებო, — თითის აწევით მიმართავდა თათბირის წევრებს,— სიფხიზლე, ნებისყოფა და თქვენი მოუქნელობის გამო მუშათა დეპუტატების საბჭოს მენშევიკები ჩაუდგნენ სათავეში.

ამ დღიდან ლენინმა ხელში აიღო გაზეთის ხელმძღვანელობა და „ნოვაია ჟიზნი“ რსდმპ ცენტრალურ ორგანოდ გადაიქცა.

ასე გადიოდა პეტერბურგული დღეები, რაც ჩემთვის ზღაპარს ჰგავდა.

მეორე დღეს მე ბაქოში გამოვემგზავრე. მეძნელებოდა პეტერბურგის მჩქეფარე ცხოვრების დათმობა, ჩემი ახალი მეგობრებისა და თანამებრძოლების დაშორება, მაგრამ უნდა მეჩქარა, რადგან რკინიგზასაც მოსდებოდა საყოველთაო გაფიცვა და შესაძლო იყო, მატარებელიც გაჩერებულიყო. ეგეც არ იყოს, სტამბა დროზე უნდა დამეშალა, პეტერბურგს გამეგზავნა და მეც თან გავყოლოდი. ეჭვი არ იყო, დედაქალაქში ცხოვრება თუ მუშაობა, განსწავლულ ხალხში ტრიალი და ურთიერთობა ბევრ რამეს შემძენდა, გარდა ამისა, უფრო უშიშრად ვიქნებოდი.

ქვეყნის არევ-დარევა მატარებელშიც იგრძნობოდა. რკინიგზის სადგურზე უწესრიგობა სუფევდა, მატარებელი თითქოს თვითდინებით მიდიოდა. ყველა სადგური აფორიაქებული იყო, მიტოვებული. გზაში აღარ ხვდებოდნენ სხვა მატარებლები, აღარსად ჩანდნენ მომწესრიგებლები, მემანქანეები თავის ნებაზე დახეტიალობდნენ და მგზავრებთან ერთად ლოთობდნენ. გამკითხავი აღარავინ იყო, აღარც მგზავრებისა და აღარც მემანქანეებისა.

როგორც იყო, ათ დეკემბერს, დილით, ჩამოვაღწიე ბაქოში. სადგური თითქმის მთლად დაცარიელებულიყო. ერთადერთი ჩვენი მატარებელი გახლდათ ამ დღეებში რომ ჩამოკინკილდა რუსეთიდან, სულ სხვაგვარი ელფერი ედო რკინიგზის სადგურსაც და თვითონ ქალაქსაც. საყოველთაო გაფიცვა ბაქოსაც მოსდებოდა.

ვაგზალში ჩვეულებისამებრ ხალხი აღარ ტრიალებდა, აღარც დამხვდურთაგანი იყო და აღარც გამცილებელთაგანი. ასე თუ ისე, მაინც მახსოვდა, სად ვიყავი და ფხიზლად გახლდით. სადგურზე ეტლი ვიქირავე და ჩვენი შტაბ-ბინისაკენ გავწიე, მუსულმანთა უბანში. ქალაქში ცხოვრება ჩამკვდარიყო, თითქოს სადღაც გადაკარგულიყო ხალხი. ეტლმა მარჯვედ გაიარა ქუჩები და რამდენიმე წუთში ჩვენს შტაბ-ბინასთან ვიყავი. როცა ეტლი გაბრუნდა, ქუჩა ყურადღებით მოვათვალიერე და ჩვენი ბინისკენ უხალისოდ გავწიე. დიახ უხალისოდ, რადგან ვიცოდი, რომ ჩვენს ბიჭებს არ ესიამოვნებოდათ ის ამბავი, რაც მე უნდა მეუწყებინა: „ნინას“ დაშლა

და მისი პეტერბურგში გადატანა. როცა სამი გრძელი ზარი დავრეკე, რაღაც ერუანტელმა დამიარა. წუთი საუკუნედ მომეჩვენა. კარი ფრთხილად გაიღო და ტრიფონმა გამოიხედა.

— აბელ! — შესძახა მან. მერე მიბრუნდა და ბიჭებს ახარა, — აბელი ჩამოგვივიდა.

5.

აბელმა დარბაზს გადახედა. ხალხში თვალი მოჰკრა თბილისის წარმომადგენლებს. მათ შორის ბევრი ახლო ნაცნობი იყო, აი, თუნდაც მისი თანამემამულე ალიოშა ჯაფარიძე. შეამჩნია თბილისელები, როგორ გაოცდნენ და აჩურჩულდნენ მის დანახვაზე.

თვალები უჭრელდებოდა. ამოდენა ხალხის წინაშე პირველად უხდებოდა გამოსვლა, ღელავდა, მაგრამ ცდილობდა მშვიდად დაეჭირა თავი. ახლა მას ლენინი ედგა თვალწინ, ის ჰყავდა მისაბაძ მაგალითად. რა თავისუფლად გამოდიოდა იგი აუდიტორიის წინაშე, მაშინაც კი, როცა დარბაზში მისი მოწინააღმდეგენი სჭარბობდნენ და რა დამაჯერებლად, რა თამამად ლაპარაკობდა.

აბელი მიხვდა, რატომ აჩურჩულდნენ თანამემამულენი. სამი წლის მანძილზე მისი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა, არ იცოდნენ, რომ იგი ბაქოს იატაკქვეშა ორგანიზაციაში მუშაობდა და მისი დანახვა ახლა მკვდრეთიდან აღდგომასავით იყო.

სწორედ იმ დღეებში, როცა პეტერბურგიდან ბაქოში ჩამოვიდა, მოულოდნელი ამბავი დახვდა. ოცდაორი წლის პეტრე მონტინი ტამერფოსში მიემგზავრებოდა კონფერენციაზე, სადაც იგი დელეგატად იყო არჩეული, მაგრამ უცხოეთში გამგზავრების წინა დღეს მოთარეშე შავრაზმელებს ქუჩაში ვერაგულად მოეკლათ. რსდმპ კავკასიის კომიტეტმა საგანგებო კომისია გამოჰყო, რათა სახელოვანი რევოლუციონერი ღირსეულად დაეკრძალათ. ბაქოში ჩამოვიდნენ თბილისიდან და ერევნიდან, ბოლშევიკები აშკარად და გაბედულად მოქმედებდნენ, რადგან ახლა მთელი ქალაქის ბატონ-პატრონი ბაქოს კომიტეტი იყო თითქმის. პოლიცია და ჟანდარმერია შიში-

ნაგან დამალულიყო. და აი ახლა, აბელი სიტყვით გამოდიოდა თათბირზე, რასაც ამიერკავკასიის სამივე ორგანიზაცია მართავდა მონტინის დაკრძალვის საკითხზე.

— ამხანაგებო, — დაიწყო აბელმა და თვალებაჭრელებულმა ერთხელ კიდევ გადახედა თავშეყრილ ხალხს. იგრძნო, ნელ-ნელა მოემატა გამბედაობა და სათქმელსაც თავი მოაბა — აი, კიდევ ერთი მსხვერპლი თვითმპყრობელობისა, ჩვენი სული სულთაგანი და სისხლი სისხლთაგანი, თავისუფლებისათვის ერთგული მებრძოლი პეტრე მონტინი. ნება მიბოძეთ, მოკლედ გადმოგცეთ ამ სრულიად ახალგაზრდა კაცის ბიოგრაფია. იგი საქართველოში დაიბადა, თბილისიდან არც თუ შორს სოფელ თეთრწყაროში. ჩვიდმეტი წლის ჭაბუკი ჩაება რევოლუციურ მუშაობაში და მძიმე ქარიშხლიანმა ცხოვრებამ ბევრჯელ გვემა და აწამა. რამდენჯერმე დააპატიმრეს, ბაქოს ციხე, ლენქორანის და ბოლოს შემანიის ციხე, მაგრამ ციხემ და დევნამ ვერ გატეხა ამ ჭაბუკის სული. სიცოცხლის ბოლო ხანს ხელმძღვანელობდა ბაქოში მუშათა გაფიცვას. და აი, ორიოდე დღის წინ, როცა ის ტამერფოსში მიემგზავრებოდა კონფერენციაზე, ვერაგულად მოკლეს შავრაზმელებმა.

ამხანაგებო, დღეს ჩვენ თავი მოვიყარეთ აქ სათათბიროდ, როგორ დავდოთ უკანასკნელი პატივი ჩვენს თანამებრძოლს. აქ თითქმის ყველა ერის შვილები არიან: სომხები, რუსები, აზერბაიჯანელები, ქართველები და სხვანი. პეტრე მონტინი ხომ ყველა ჩვენთაგანის ღვიძლი შვილი და ძმა იყო. განსვენებული ალბათ თბილისში დაიკრძალება, სადაც ძირითადად ცხოვრობდა, მუშაობდა, მოღვაწეობდა და იმედი მაქვს, რომ მისი დაკრძალვა გადაიქცევა მძლავრ პოლიტიკურ დემონსტრაციად, რომელშიც ათასობით ადამიანი მიიღებს მონაწილეობას.

დაე, დაინახონ ხელისუფლებამ და მათმა ჯალათებმა როგორ აფასებს ხალხი თავისუფლებისათვის მებრძოლებს, დაე, დარწმუნდნენ, რომ ახლოვდება მათი განკითხვის დღე, დარწმუნდნენ, რომ სიკვდილით ვეღარ დათრგუნავენ ხალხს, რომელსაც თავისუფლება და თანასწორობა მოსწყურებია, დაე, იცოდნენ, რომ ყველას ვერ მოგვკლავენ.

დიდება მათ, ვინც თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაეცნენ!

ძირს თვითმპყრობელობა!

გაუმარჯოს თავისუფლებას!

თათბირი ღამის ორ საათზე დამთავრდა. დამკრძალავმა კომისიამ გადაწყვიტა სასწრაფოდ გამოეშვათ მუშებისა და მოსახლეობისადმი მოწოდება მონტინის დაკრძალვასთან დაკავშირებით.

თათბირის შემდეგ აბელს თბილისელები შემოეხვივნენ.

— როგორ ხარ?

— სად იყავი, რომ არ ჩანდი?

— ბაქოში საიდან აღმოჩნდი?

აი, ის კითხვები, აბელს რომ დააყარეს ერთბაშად.

აბელი ძუნწად აძლევდა პასუხს, უხსნიდა, ბოლო სამ წელს ბაქოში ვმუშაობდი იატაკქვეშო. მაგრამ ის მაინც არ გაუმხელია, რომ სტამბაში მოღვაწეობდა.

— აბელ, — მიმართა მას შეწუხებუმა ალიოშა ჯაფარიძემ, — საქმე ცუდად არის.

— რატომ? — აბელმა შეატყო, რომ ალიოშა დაღონებული იყო.

— დადგენილება კი მივიღეთ, რომ მოწოდება გამოვუშვათ მუშებისადმი, მაგრამ ასე სწრაფად სად დავბეჭდავთ. მოწოდება ხვალვე უნდა იყოს მზად.

აბელს გაეღიმა, რამაც ალიოშა უარესად დააბნია.

— დილის ოთხ საათზე რამდენიმე ეგზემპლარი მზად იქნება, ამხანაგო ალიოშა.

ჯაფარიძემ მხრები აიჩეჩა და აბელს ანიშნა, ვერაფერი გავიგეო.

— ახლა ორი საათია, — საათზე დაიხედა აბელმა, — ტექსტს თუ ახლავე გამატანთ, ოთხ-ხუთ საათზე მზად იქნება.

ალიოშა ჯაფარიძე, ეტყობა, მაინც ბოლომდე ვერ გაერკვია რა ხდებოდა, ამ შუაღამით ტექსტი სად უნდა დაებეჭდათ, მაგრამ მეტი რა გზა იყო, მაინც სიამოვნებით დეთანხმა.

აბელი იმ წუთსავე გავარდა სტამბაში, ბიჭები გააღვიძა, სახელდახელოდ ააწყვეს ტექსტი და ორ საათში საუკეთესო ქაღალდზე, საუკეთესო შრიფტით დაბეჭდილი ათასობით ეგზემპლარი მოწოდება უკვე მზად იყო. ამის შემხედვარე ჯაფარიძე ღამის გადაირია. აბელს მხარზე მოჰხვია ხელი და გაოცებულმა ჰკითხა:

— ამიხსენი, აბელ, ეს როგორ მოახერხე?

— დასამალ-დასაფარავი აღარაფერია, ამხანაგო ალიოშა,— მიუგო აბელმა,—მით უფრო, რომ დღეს თუ ხვალ„ნინა“ პეტერბურგში უნდა გადასახლდეს. ცენტრალური კომიტეტის სტამბა ბაქოში მუშაობდა და ჯერჯერობით ისევ აქაა. ამ სტამბაში ვმუშაობდი წლების მანძილზე და ახლაც იქ ვმუშაობ.

ალიოშა გაოცებისაგან დამუნჯდა, ერთხანს მდუმარედ უყურებდა აბელს და მერე ესღა თქვა:

— ამას ვერ წარმოვიდგენდი, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი!

მეორე დღეს ბაქოს რკინიგზა ხალხით გაიჭედა. საგანგებო მატარებლით მიასვენებდნენ მონტინის ცხედარს თბილისში. ათასობით მუშა მოაწყდა სადგურს. თითქოს მთელ ქალაქს ფეხი აედგა. წესრიგს თვითონ მუშები იცავდნენ. ასეთი რამ აბელს არ ენახა, ეს იყო არნახული პოლიტიკური დემონსტრაცია უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებული ხალხისა და მაშინ ნათლად იგრძნო აბელმა, რომ მეფის ხელისუფალნი ვეღარ შეაკავებდნენ იმ ზვავს, ცარიზმის დასანგრევად რომ მოექანებოდა.

საგანგებო მატარებელი პირდაპირ თბილისში მიიჩქაროდა, არც ერთ სადგურზე არ ჩერდებოდა. ყველაფერი წინასწარ იყო გაანგარიშებული, ორიოდე დღეს მონტინს თბილისში, გროზნოს ქუჩაზე დაასვენებდნენ, სადაც იგი ადრე ცხოვრობდა, მანამდე კი დამკრძალავი ბიუროს წევრები მოწოდებებს გაავრცელებდნენ და მონტინის დაკრძალვას დემონსტრაციად აქცევდნენ.

დილის თერთმეტი საათიდან გროზნოს ქუჩაზე ხალხმა იწყო დენა. პირველ საათზე მთელი ქუჩა უკვე სავსე იყო. ცხედართან გამოთხოვების საშუალება ყველას არა ჰქონდა და არც ცდილობდნენ. მხოლოდ ახლობლები და შინაურები ტრიალებდნენ იქ. დღის ორ საათზე ბოლო აღარ უჩანდა ხალხს, ყველაფერი ისე აეწყო, როგორც ნავარაუდევი იყო.

სამ საათზე პატარა, ძველი სახლიდან, ვაგზლის გადაღმა ვიწრო ქუჩაზე რომ მდებარეობდა, გამოასვენეს ოცდაორი წლის ჭაბუკის უბრალო, შავი ძაძებით შემოვლებული კუბო და კუკიის სასაფლაოსკენ წაიღეს, სადაც ათასობით უბრალო ადამიანი განისვენებდა.

კუკიის სასაფლაოზე მიტინგი დიდხანს გაგრძელდა. აბელს საშინელი სევდა დაეუფლა. პეტრე მონტინის სიკვდილის არსი თითქოს აქამდე არ შეუგრძვნია, უბრალოდ აღშფოთებული იყო ხელისუფალთა უსამართლობით. უცებ შემოენთო სინანული, უცებ მიხვდა, რომ სამუდამოდ დაბნელდა მზე ჭაბუკისა, ვინც ვერ გაძღა ცისა და მიწის ყურებით. ამ ქვეყანაზე სიყმაწვილიდან სიმწრის მეტი არაფერი უნახავს, ჯაფა, დევნა, ციხე და აუხდენელი ოცნება. და ჰა, ოცდაორი წლის ასაკში, მაშინ, როცა ქვეყანა ჯერ კიდევ ფერად-ფერადად აკაშკაშებული გეჩვენება, როცა მიილტვი და ელი ცხოვრებას შენი წილი სიტკბოება წასტაცო, სწორედ მაშინ ამოუღამეს სიცოცხლე. გვერდზე გადაწეულ ქოჩორს ურხევდა ნიავი, გულზე უძრავად ეწყო ფერმკრთალი ხელები, წარბებშეჭმუხნული ისე იწვა, თითქოს ეს წუთია ჩაეძინაო.

აბელმა ვეღარ გაუძლო მის ცქერას, უცაბედად შეცნობილმა სიკვდილის არსმა სულხორციანად შესძრა. გული ისე ჰქონდა დაცარიელებული, თითქოს სისხლისაგან წვეთიწვეთ დაწრიტესო. ცრემლმორეული განზე გადგა და თითქმის აღარ ესმოდა ხალხის ხმაური, აღარც ორატორების ლაპარაკი. საკუთარ ფიქრებში ჩაძირული მიშტერებოდა ჩამავალ ცრიატ მზეს, მომაკვდავივით რომ ჩადიოდა მთებს იქით და ქვეყანას ცივი მდუმარებით ავსებდა.

6.

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება დამარცხდა. აბობოქრებული ზღვა ნელ-ნელა ცხრებოდა და თავის კალაპოტში დგებოდა. აჯანყებულნი უკან იხევდნენ. ხოლო ხელისუფალნი შურს იძიებდნენ. დროებით დამცხრალი მხეცი გახელდა, თვალებიდან ელვა დააკვესა, ფოლადის ბრჭყალები გადმოჰყარა, ყალყზე დადგა და შურისმაძიებელი სისხლს დაეწაფა.

ყველა ქალაქში დამსჯელი რაზმი თარეშობდა და განუსჯელად იყრიდა ჯავრს ყველაზე, ვისზედაც კი ცოტაოდენი ეჭვი ჰქონდათ მიტანილი.

აბელი დროზე უნდა გასცლოდა ბაქოს და საერთოდ ამიერკავკასიას. კარგად იცოდა, პოლიცია იმ დღიდან ეძებდა,

რა დღესაც წკადისიდან გაიქცა. ეს იყო 1903 წლის ზაფხულის მიწურული.

გადაწყვეტილი იყო სტამბა დაეშალათ და პეტერბურგში გაეგზავნათ. ეს, რაც შეიძლება, ჩქარა უნდა გაეკეთებინათ, რომ ყველაფერს უხიფათოდ ჩაევლო. კომიტეტის გადაწყვეტილებით პეტერბურგში თან უნდა გაჰყოლოდნენ სტამბას თვით აბელი, ვანო სტურუა და ვანო ბოლქვაძე.

ცხრამეტ იანვარს დილიდანვე შეუდგნენ საბეჭდი მანქანის დაშლას. წინა დღეებში ყველაფერი მოაგვარეს, რომ უხიფათოდ გაეგზავნათ პეტერბურგში ეს სახიფათო ტვირთი. ტრიფონი დილიდანვე ქალაქში გავიდა რაღაც საქმეების მოსაგვარებლად, ხოლო დაზგას აბელი, ვანო ბოლქვაძე და ვანო სტურუა დაშლიდნენ. შუადღისას ტრიფონი ეტლით დაბრუნდა ქალაქიდან, შეფუთულ დაზგას იმავე ეტლით წაიღებდნენ პორტში და გაგზავნიდნენ.

დილიდანვე უემური ამინდი იდგა. ცივი ქვენა უბერავდა და წვრილ თოვლს ირიბად ჰყრიდა დედამიწაზე. ძაღლი არ გაიგდებოდა გარეთ.

თერთმეტ საათზე ტრიფონი ქალაქიდან დაბრუნდა, მდუმარე ბიჭებს გადახედა და სევდიანად თქვა:

— ყველაფერი რიგზეა, ახლავე უნდა დავშალოთ მანქანა. ხუთ საათზე პორტში უნდა ვიყო. — ტრიფონი ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდა და თან ულვაშს იწიწკნიდა. ასე იცოდა, როცა ბოღმა მოადგებოდა ყელში.

აქამდე თითქოს რაღაც იმედი ბჟუტავდა, იმედი იმისა, რომ „ნინა“ ამ ბინაში დარჩებოდა, მაგრამ როცა ტრიფონმა ეს ამბავი მოიტანა, თითქოს ახლაღა შეიგრძნეს, რომ აქაურობას სამუდამოდ უნდა გამოთხოვებოდნენ.

— მე კი მაინც იმედი მქონდა, რომ ისევ აქ დავრჩებოდით! — ჩაილაპარაკა ვანო სტურუამ და აბელს გადახედა.

აბელს ემწვავა სტურუას ნათქვამიც და მისი შემოხედვაც. ალბათ, მეგობრებს ჰგონიათ, რომ აბელმა პეტერბურგში ლენინი და სხვანი ვერ დაარწმუნა ამ სტამბის საჭიროებაში.

— ვანო, — მიუგო აბელმა და დანარჩენებსაც გადახედა, — ადრეც გითხარით და ახლაც გიმეორებთ. ვლადიმერ ილიას ძე ყველანაირად ცდილობდა, რომ „ნინა“ ბაქოში დარჩენილიყო და ისევ არალეგალურად ემუშავნა. მწარედ დასცინო-

და იმათ, ვისაც ოქტომბრის მანიფესტისა რამე ეჯერა, ხაზგასმით და დაბეჯითებით აცხადებდა თათბირზე, სულ ცოტა ხანში ჩვენ იძულებულნი გავხდებით ისევ არალეგალურად მუშაობას დავუბრუნდეთო, მაგრამ ხმათა უმრავლესობით მაინც ის გადაწყდა, რის წინააღმდეგიც ლენინი იყო. იქნებ გგონიათ, რომელიმე თვენთაგანი რომ ყოფილიყავით ჩემს მაგივრად მივლინებული პეტერბურგში, სხვანაირად გადაწყდებოდა „ნინას“ ბედი?

ვანო სტურუა შეიშმუშნა, აბელს რაღაცნაირი, პატიების გამომხატველი თვალებით შეხედა და მხარზე დაადო ხელი:

— ეგ რამ გაფიქრებინა, აბელ, მე უბრალოდ იმაზე ვნაღვლობ, რომ არ ვიცი, როგორ წავა ჩვენი ცხოვრება პეტერბურგში, მით უფრო შენი, ძმაო, შენ ხომ დევნილი კაცი ხარ. აქ სამი წელი ისე უშიშრად ვიყავით, კაცი უკეთესს ვერ ინატრებს.

— ასეა თუ ისეა, ბედს უნდა დავმორჩილდეთ! — თქვა ტრიფონმა, — საქმეს შევუდგეთ, დრო აღარ ითმენს.

დაძმარებულები მუშაობდნენ, ერთიმეორეს იშვიათად თუ გაელაპარაკებოდნენ ხოლმე.

შუადღის ხანს, როცა შრიფტიც და დაშლილი მანქანაც უკვე საიმედოდ ჰქონდათ შეფუთული, თათრის სახლს ჟღარუნით მოადგა ეტლი.

ტრიფონი ხალისიანად იქცეოდა, განზრახ მხიარულობდა, მეეტლის თვალის ასახვევად. როცა შეფუთული ტვირთი ეტლზე სწრაფად დააწყეს, ტრიფონმა აბელი განზე გაიხმო:

— ქალაქში შენი გამოსვლა სახიფათოა. ამ საქმეს ჩვენც აუვალთ.

აბელი უხმოდ დაეთანხმა. დანარჩენები კი ეტლს შემოასხდნენ და წავიდნენ.

უძრავად იდგა აბელი და სინანულით მიაცილებდა „ნინას“— თავის განუყრელ, ძვირფას მეგობარს, ვინც ახლა ხის ყუთში საცოდავად იყო ჩაჭედილი. აბელს გული უგრძნობდა, რომ „ნინა“ სამუდამოდ ეყრებოდა.

შორაპნის მაზრის ბოქაულის ბარნაბა კირკიტაძის ჩანაწერებიდან

თიბათვის ბოლოს ჟანდარმერიის სამმართველოდან უწყება მივიღე, სასწრაფოდ გამოცხადდი თვით ჟანდარმთა შეფთან, მის აღმატებულება გენერალ დებილთანო. მთელ ტანში დამცეცხლა, ვარაუდით ვიცოდი, რისთვისაც მიბარებდა და ისიც ვიცოდი, რომ მრისხანე შეფთან შეხვედრა კარგს არაფერს მიქადდა.

მანამდე ორჯერ დამიბარეს ჟანდარმთა სამმართველოში, ერთხელ უკვე ყაჩაღად გავარდნილ აფრასიონ მერკვილაძის საქმეზე, ვინც თავისი წითელი რაზმით მთელ იმერეთში დათარეშობდა და ადგილობრივ ხელისუფალთ და პოლიციას შავ დღეში ატარებდა, ხოლო მეორედ რუსეთიდან დასავლეთ საქართველოში მოვლინებულ პროფესიონალ რევოლუციონერ აბელ ენუქიძის თაობაზე.

აფრასიონ მერკვილაძემ 1904 წელში საიდუმლო სტამბა გამართა, რის გამოც ექვსი თვე ჩასვეს ციხეში. იქიდან გამოსულმა რაზმი შექმნა და აშკარა ბრძოლა დაგვიწყო. მერე თავი დაგვანება და ბათუმში აფარებდა თავს. მაგრამ ერთი წლის შემდეგ, როცა რეაქცია დაიწყო, ისევ შექმნა რაზმი და რისხვად დაგვატყდა თავზე. ბევრჯერ მწარე დამარცხება გვაგემა, ვერაფერი მოვუხერხეთ. სწორედ ამის თაობაზე დამიბარეს თბილისში ჟანდარმერიის სამმართველოში და იქ დირექტივა მომცეს სხვადასხვა უბნებში ქურდბაცაცების ბრბო შეგვექმნა, რომელიც მერკვილაძის სახელით იაწიოკებდა მოსახლეობას, რითაც სამუდამოდ გაუტეხდა სიხელს აფრასიონის რაზმს და ნდობას დაუკარგავდა. ასეც მოვიქეცით და ამ ხერხმა მართლაც გასჭრა, ხალხი ხომ ბრბოა და ადვილად დამჯერი. აფრასიონის რაზმი თითქმის დაიშალა, ხოლო თვითონ ორიოდე კაცით ჭიათურის რაიონში გადაძევდა და იქ დაუბნელეს მზე ჩვენმა ჩაფრებმა.

ასე რომ, აფრასიონ მერკვილაძის გამო აღარ დამიბარებდნენ, მაშ რაღა რჩებოდა თუ არა აბელ ენუქიძის საქმე?

ენუქიძემ ჩემს ჭირად შორაპანისა და ქუთაისის ახლომახლო სოფლებში საიდუმლო წრეები გახსნა და პროკლამაციებს ავრცელებდა. ჟანდარმთა სამმართველოდან რამდენიმე

სრულიად საიდუმლო უწყება მივიღე, რითაც მატყობინებდნენ, რომ ჩვენი მაზრის სოფლებში თავს აფარებდა, საიდუმლოდ მუშაობდა და ხალხს აბუნტებდა სახელმწიფო დამნაშავე, ჟანდარმერიისაგან დევნილი აბელ სოფრომის ძე ენუქიძე. მითითებას მაძლევდნენ სასწრაფოდ მიმეგნო, ადგილზევე დამეპატიმრებინა და გადამეცა ჟანდარმერიისათვის. მთელი მაზრის პოლიცია ფეხზე დავაყენე, დავგზავნე ჯაშუშები, ჩაფრები წკადისში გავუშვი, რათა საფუძვლიანად გაეჩხრიკათ სოფრომ ენუქიძის ბინა, მაგრამ მის კვალს ვერსად მივაგენით.

ყველა სოფელში გვყავდა ჯაშუში, ვისაც ევალებოდა ფხიზლად ედევნებინა თვალი ამა თუ იმ მოსახლესთვის, სადაც, ჩვენი ვარაუდით, ფარული სხდომა იმართებოდა, მაგრამ ვერც ამან მომცა რაიმე შედეგი. მამაძაღლი აფრასიონი მიშლიდა ხელს, იმის რაზმის შიშით ჯაშუშები სოროებში ძვრებოდნენ, ჩაფრები სამსახურს ტოვებდნენ. ვიცოდი, ენუქიძეს კავშირი ჰქონდა აფრასიონ მერკვილაძის ბიჭებთან და ამიტომ მიძნელდებოდა მისი მოხელთება.

ბოლოს ჟანდარმთა სამმართველოში დამიბარეს და სასტიკად გამაფრთხილეს, თუ მოკლე ხანში ენუქიძის კვალს ვერ მიაგნებ, თანამდებობიდან გაგანთავისუფლებთო. გაცოფებული ჩამოვედი თბილისიდან, რამდენიმე ჩაფარი წავიყვანე და წკადისისკენ გავწიე. ცნობა მქონდა მიღებული, რომ აღდგომის დღეს აბელ ენუქიძე ხოტევის სამლოცველოში ენახათ თავის ბიძაშვილ მანდილოსნებთან ერთად. ვითომ დიდი მორწმუნე იყო, სალოცავშიც კი წაბრძანებულა ის ქრისტეს ფეხის მკვნეტავი.

მთელი სახლ-კარი გადავჩხრიკე, არ დავტოვე ბოსელი თუ სასიმინდე, სოფელშიც გავიკითხე ჩემთვის სანდო პირები და ყველამ ის დამიდასტურა, აღდგომის დღის შემდეგ აღარ გამოჩენილაო. სამი ჩაფარი მაინც დავტოვე წკადისში. ღამით დაუდარაჯდებოდნენ სოფრომ ენუქიძის სახლს, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოვიდა. და აი, თიბათვის მიწურულს თვით მისმა აღმატებულებამ ჟანდარმთა შეფმა მესამედ დამიბარა.

როცა მის ვეება კაბინეტს მივადექი, მუხლები დამიძაბუნდა, ხოლო გულმა ისე დამიწყო ბრაგუნი, მეგონა მის ხმას შეფიც გაიგებს-მეთქი.

მისი აღმატებულება დებილი უძრავად იჯდა, მელოტი თავი დაეხარა და რაღაც საბუთებს ჩაჰკირკიტებდა. ვიდრე მივუახლოვდებოდი, ერთი სიცოცხლე გავათავე. გენერალი თავს არ იღებდა, თანაშემწემ, ვინც მე კაბინეტში შემყვა, ხმადაბლა უთხრა:

— თქვენო აღმატებულებავ, ბოქაული კირკიტაძე გეახლათ.

დებილმა თავი ასწია, სახეზე ნაკვთი არ შერხევია, ისე მანიშნა, დაჯექიო, ხოლო თანაშემწეს თავი დაუქნია, რაც ალბათ იმას ნიშნავდა, დაგვტოვეო, რადგან თანაშემწე მაშინვე ფეხაკრეფით გავიდა.

— ბატონო კირკიტაძე, — ძლივს წარმოთქვა ჩემი გვარი გენერალმა და ბატივით ცივი თვალები მომაშტერა.

— გისმენთ, თქვენო აღმატებულებავ — გული თანდათან ჩადგა საგულეში.

— რატომ ვერ დააპატიმრეთ აქამდე რევოლუციონერი აბელ ენუქიძე, ვინც თქვენს ცხვირწინ მარქსიზმით სწამლავს მოსახლეობას და ხალხს აბუნტებს?

— თქვენო აღმატებულებავ! — ჩემდაუნებურად სიმხნევე მომემატა და საკმაოდ რიხიანად დავიწყე, — აქამდე იმან შეგვიშალა ხელი, რომ აფრასიონ მერკვილაძის რაზმის შიშით ჩვენი აგენტურა ვერ მოქმედებდა.

— მერკვილაძე ხომ აღარ გიშლით ხელს, ბატონო კირკიტაძე?

— სწორედ ასეა, თქვენო აღმატებულებავ, და ალბათ მოკლე ხანში ენუქიძეს გაკოჭილს ჩაგაბარებთ.

ეს რომ ვუთხარი, დებილი წამოდგა, გაიარ-გამოიარა, მერე ცივად მომაჩერდა და მკაცრად მითხრა:

— კირკიტაძე, გადაწყვეტილი მქონდა თქვენი სამსახურიდან გადაყენება, მაგრამ ვინაიდან აქ თქვენს ერთგულებაში დამარწმუნეს და მერკვილაძის საქმეში თქვენც დიდი წვლილი მიგიძღვით, ამჟამად გაპატიებთ, ოღონდ იცოდეთ, თუ ერთ კვირაში ენუქიძეს გაკოჭილს არ მოგვიყვანთ და ფარულ წრეებს არ აღმოაჩენთ, მაშინ სამსახურიდან კი არ გადაგაყენებთ მარტო, არამედ დაისჯებით, როგორც მისი ხელის შემწყობი, — დებილი შეჩერდა, ჩაფიქრდა და განაგრძო, — ახლავე დაბრუნდით შორაპანში, წაიყვანე დამსჯელი რაზმი და თუ ენუ-

ქიძის სამყოფელს არ გეტყვიან, მისი სახლ-კარი ცეცხლს მიეცი. დაე, დაინახოს მოსახლეობამ, როგორ ვუსწორდებით სახელმწიფოს მტრებს. გასაგებია?

— გასაგებია, თქვენო აღმატებულებავ!

მეტი რა გზა მქონდა, რაკი მეფის მრისხანებას გადავურჩი, ტყავში უნდა გავმძვრალიყავი და მისი ყველა ბრძანება სასწრაფოდ შემესრულებინა, არადა ვიცოდი, რასაც ნიშნავდა მისი მუქარა.

შორაპანში დაბრუნებისთანავე ოცკაციან ცხენოსანთა შეიარაღებულ რაზმს წკადისისაკენ წავუძეხი, რათა სოფრომ ენუქიძის კარ-მიდამო ცეცხლისთვის მიმეცა, თუ აბელის ასავალ-დასავალს არ მეტყოდნენ. წინასწარ ვიცოდი, ეს არ მოხდებოდა, რადგანაც თავიანთი შვილის სამყოფელი თვითონაც არ იცოდნენ და საქმე იმით უნდა გათავებულიყო, რომ მათი სახლ-კარი გადამებუგა.

ივლისის ცხელი დღე იყო. ჩემი ოცკაციანი რაზმით ხოტევის მონასტერს ჩავუარეთ და წკადისისკენ ავიღეთ გეზი. მიყუჩებული სოფელი ერთბაშად გამოცოცხლდა, ღობეებს მოაწყდა ხალხი, ჩურჩულითა და შეშინებული თვალებით მიგვაცილებდნენ. ალბათ, ყველა მათგანმა. უკვე იცოდა, საითკენ გვქონდა გეზი და რა განზრახვით მივდიოდით.

იმ დროს საქართველოში მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკი თარეშობდა. ხელისუფლების ურჩობისთვის ცეცხლს მისცა ნახევარი საქართველო. გაუგონარი უბედურება დაატყდა ხალხს თავზე. ამით მეფის ერთგულმა სატრაპმა ორი კურდღელი დაიჭირა, თავისი ჟინიც მოიკლა და მეფესაც აამა. ისე რომ, მაშინ ცეცხლი და ხანძარი ჩვეულებრივი ამბავი იყო.

როცა ენუქიძეების სახლს მივადექით, მთელი ეზო უკვე ხალხით იყო გაჭედილი.

ნახევრად გაჭაღარავებული შუა ხნის სოფრომ ენუქიძე კანკალით გამოგვეგება. ეს კაცი ერთი თვის წინ მყავდა ნანახი და ახლა ისე მოეტეხა დარდსა თუ შიშს, ძლივსღა ვიცანი. სიმართლე გითხრათ, შემენანა, მაგრამ ასე იყო თუ ისე, ბრძანება უნდა აღმესრულებინა. ცხენი შევაჩერე და ხმამაღლა, ისე რომ, იქ მყოფთ გაეგონა, განვაცხადე:

— ხელისუფლების სახელით გიცხადებთ, თუ არ გამოაჩენთ სახელმწიფო დამნაშავეს აბელს, თქვენს სახლ-კარს ცეცხლს მივცემთ.

მთლად დაბეჩავებულ სოფრომს ვიღაც კაცი რაღაცაზე ეთათბირებოდა. ყური მოვკარ მის ნათქვამს:

— სპირიდონის სურათი თუ გაქვს სახლში? — ჰკითხა იმ კაცმა.

— სურათი კი მაქვს, მაგრამ რას გვიშველის, ილიკო?

— სპირიდონი ცნობილი კაცია, დიდად დაფასებული. ისიც ხომ ამ ოჯახის წევრია. — მერე ის კაცი ხალხს მიუბრუნდა და ხმამაღლა განაცხადა, — ხალხო, რას უდგახართ, გამოიტანეთ სპირიდონის სურათი.

მე აზრზე ვერ მოვედი, ვინ სპირიდონს ახსენებდნენ. ცოტა ხანში მართლაც გამოიტანეს სურათი. მაშინვე თვალში მეცა იგი და ვერც წარმოვიდგენდი თუ აქ დამხვდებოდა. სპირიდონ ენუქიძის სახელი იმ დროს მთელ დასავლეთ საქართველოში ქუხდა, ცნობილი და გავლენიანი პიროვნება იყო, მთავრობისაგან მრავალჯერ დაჯილდოვებული. რაჭაში ენუქიძეები ბევრნი იყვნენ და რას ვიფიქრებდი, თუ სპირიდონს ამ ოჯახთან რაიმე საერთო ექნებოდა.

— ამ ოჯახს სპირიდონ ენუქიძესთან რა კავშირი აქვს? — მივმართე ხალხს.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო, — წინ წამოდგა ის კაცი, ილიკოს რომ ეძახდნენ და დოინჯი შემოიყარა, — ამ ოჯახმა თუ ერთი შვილი მეფის ურჩი გაზარდა, სამაგიეროდ მეორე მეფის ერთგული და მეფისაგან დაფასებული სპირიდონი ამ ოჯახშია გაზრდილი. ეს მისი ოჯახიც არის.

ვიცოდი, ამ ამბავს კარგი ბოლო არ ექნებოდა და მეტი გზა არა მქონდა, განზრახვაზე ხელი უნდა ამეღო. ყოველ შემთხვევაში აჩქარებით შეიძლება საკუთარი თავი წამეგო. ცხენს დეზი ვკარი. რაზმს ვუბრძანე, უკან მომყოლოდა და შორაპნისკენ ვიბრუნე პირი.

მეცხრე რვეული

როცა ჟანდარმერია ჩვენს სახლ-კარს ცეცხლით გადაწვას უპირებდა, თურმე, სწორედ ამ დროს თბილისში ვიყავი, სადაც სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ერთიანი კავკასიის ყრილობა მიმდინარეობდა.

იქიდან ისევ ბაქოში გავემგზავრე და მხოლოდ მოგვიანე-

ბით გავიგე, ისედაც გატანჯული დედა და მამა რა ურვაში ჩავარდნილან ჩემი მიზეზით. კიდევ კარგი, ნახუცარ ილიკოს გამჭრიახობა გამოუჩენია, სპირიდონის სურათი გახსენებია და ამით დაუშინებია ჟანდარმები.

ბაქო ყველაზე საიმედო თავშესაფარი იყო ჩემთვის. ათასი ნაცნობ-მეგობარი მყავდა. მიერთგულებდნენ და გამიტანდნენ. ესეც არ იყოს, დასავლეთ საქართველოს სოფლებში აღარ მედგომებოდა, ალიხანოვ-ავარსკიმ ცეცხლს გადააძოვინა ნახევარი საქართველო და ხალხი დათრგუნა.

ბაქოში ერთხანს ბიქტორა ბაქრაძესთან შევაფარე თავი, მერე თათრების უბანში ვიშოვნე ბინა, რადგან ყველაზე საიმედო ადგილი ის იყო. კვირაში ორჯერ გავდიოდი ქალაქგარეთ აჯიკაბულში, სადაც ფარული წრე ჩამოვაყალიბე. დანარჩენ დროს მეტწილად შინ ვატარებდი. ვიცოდი, რომ ჟანდარმერიას არ ეძინა და თავქუდმოგლეჯილი დამეძებდნენ. მოდი და ნუ ვიფრთხილებდი, ბაილოვის ციხეში ყოფნისას ჟანდარმერიას ჩემი აღწერა და გაზომვა არ დავიწყებიათ, წვერ-ულვაშის ფერი, თმის ვარცხნილობა და ნიკაპის მოყვანილობაც კი ზუსტად დაესურათებინათ და, რაღა თქმა უნდა, ამ აღწერილობის გარდა სურათებსაც დაურიგებდნენ ჯაშუშებსა თუ ჟანდარმებს, მაგრამ ასე იყო თუ ისე, ჯერჯერობით ყველაფერი მშვიდად მიდიოდა. ოღონდ ერთხელ, ეს იყო მაისის თვეში, აჯიკაბულიდან რომ დავბრუნდი, საეკვო პიროვნება შევნიშნე, გვიანი ღამე იყო, თორმეტ საათს ბევრი აღარაფერი ეკლებოდა. სადგურში კანტიკუნტად მოძრაობდა ხალხი. ვაგონიდან რომ ჩამოვედი, ვიღაცის დაჟინებული მზერა ვიგრძენი. უკან მივიხედე, დაახლოებით ოცი მეტრის მანძილზე საშუალო ტანის თხელ-თხელი კაცი იდგა, კეპიანი ქუდი თვალებზე ჰქონდა ჩამოფხატული და იქნებ იმის გამო, ვერავინ გაარკვევდა მის ასაკს. მაშინვე პირი მომარიდა, ჯიბეებში ხელებჩაყოფილი გვერდულად შებრუნდა და მატარებლიდან ჩამოსულ ვიღაც მგზავრს მიაჩერდა. ტანში გამცრა, ერთხელ კიდევ მივხედე და სადგურიდან ისე გავედი, უკან აღარ მომ ხედავს, მაგრამ ისე მეგონა, თითქოს ზურგში თოფის ლულა მქონდა მობჯენილი.

ქუჩაში თითქმის აღარავინ მოძრაობდა, ცოტა რომ გავიმანძილე, მაშინღა მოვიხედე, აღარავინ ჩანდა, ასეთ უკაცრი-

ელ ქუჩაში ჯაშუში კვალში ვერ ჩამიდგებოდა. ეტლით წამოვედი თათრების უბანში ოღონდ ყოველ შემთხვევისთვის ჩემი ბინიდან ასიოდე მეტრით უკან ჩამოვხტი. როცა ეტლი გაბრუნდა, ქუჩაში ერთხანს კიდევ ვიდექი სმენადქცეული და მერე ნელა-ნელა გავაგრძელე გზა. მთელი უბანი ძილს მისცემოდა. ჩქამი არსაიდან ისმოდა, სავსე მთვარე ქათქათებდა ცაზე და ამ მიყრუებულ ქუჩას მეტად ნაზ სინათლეს ჰფენდა.

ის ღამე თეთრად გავათენე. საშინელი ეჭვი მღრღნიდა, ორსამ დღეს თავი ვეღარ დავაღწიე ამ ეჭვს, იმ ქუდჩამოფხატული კაცის სახეს ვეღარ ვიცილებდი თვალიდან და ავი წინათგრძნობა მჭამდა.

ეს წინათგრძნობა აკი კიდეც გამართლდა სამი დღის შემდეგ, ოღონდ საკვირველი ის იყო, რომ სწორედ იმ დღეს ეჭვის ნატამალიც აღარ გამაჩნდა, არაფრით არ მოველოდი ასეთ დასასრულს. უკანასკნელ მატარებელს გამოვუევი აჯიკაბულიდან ბაქოში, სამიოდე მგზავრი თვლემდა ვაგონში, ისე რომ ყურადღება არავის მოუქცევია ჩემთვის. მთავარი სადგური თითქმის ცარიელი იყო, გასაოცარი მყუდროება სუფევდა. მხოლოდ კრუალები აყრუებდნენ იქაურობას, რაც სიჩუმეს თითქოს აძლიერებდა.

სადგურიდან გავედი და დინჯი ნაბიჯით ჩავყე ქუჩას. საუკეთესო ხასიათზე გახლდით, ოღონდ ეგ იყო, რატომღაც წკადისი და ჩემიანები გამახსენდნენ. იქაურობა მომენატრა, იქ გატარებული ბავშვობის დღეები. გამახსენდა ეზოში ჩაშლილი კალო, კევრი, სახრით ხელში ზედ რომ გავიბოტებოდი და ხარებს ვერეკებოდი. ო, როგორ მენატრებოდა ის დრო, როგორ მომინდა, იმ ღამეს იქ ვყოფილიყავ. ამ გახსენებაზე ისეთი სევდა შემომაწვა, ლამის წამლეკა კაცი.

ზურგიდან აჩქარებული ფეხის ხმა შემომესმა და მაშინვე გულში სისხლი გამეყინა. ფეხები გამიშეშდა, როგორც იყო უკან მოვიხედე და გავოცდი, ქუჩაში არავინ ჩანდა, აღარც ფეხის ხმა ისმოდა.

„ნუთუ მომეჩვენა?“ — გავიფიქრე დაბნეულმა, მაგრამ გული მაინც ვერ დავიწყნარე. გზა გავაგრძელე, მთვარემ ღრუბლის ქულაში ჩაყვინთა და ქუჩას ნელ-ნელა გადაევლო ჩრდილი.

მთავარი ქუჩიდან თათრების უბნისაკენ მიმავალ ვიწრო

ჭუჩაზე რომ შევუხვიე, მკაფიოდ გავიგონე, უკან ვიღაცეები მომდევდნენ. მივიხედე და მოულოდნელობისაგან თუ შიშისაგან ფეხქვეშ დედამიწა შემერყა. ვერ ვხვდებოდი, ეს ყველაფერი მოჩვენება იყო თუ სინამდვილე. ტანში გამცრა და ყურებმა წივილი დამიწყო. აჰა, გათავდა ყველაფერი, იქ გავები, სადაც არ ველოდი. ჩემს ახლოს იარაღასხმული სამი ჟანდარმი იდგა. ხმას არ იღებდნენ, ბოროტად მომჩერებოდნენ და ნიშნის მოგებით იღრიჭებოდნენ.

— რა გინდათ, ვინა ხართ? — ძლივს ამოვღერღე რაღაც უცხო ხმით.

— ვაგზლისაკენ მიბრძანდით, თქვენო აღმატებულებავ! — მიბრძანა ერთმა და მკერდში ნაგანის ლულა წამატაკა.

ყველაფერი ამერია გონებაში. ყურებს შხუილი გაჰქონდა და საერთოდ აღარაფერზე აღარ ვფიქრობდი, ალალბედზე მიმავალი ძალით მივათრევდი ფეხებს.

ის ღამე ვაგზლის საპატიმროში გამათევინეს, ცალკე საკანში, ხოლო მეორე დღეს, სისხამ დილით, კარეტაში ჩამსვეს და ნაცნობი ციხისკენ — ბაილოვისაკენ გამამწესეს.

ვიდრე გამოძიება დამთავრდებოდა, ცალკე საკანში მამყოფეს. ხოლო მერე, საერთო საპატიმროში გადამიყვანეს, სადაც მეტწილად პოლიტიკური პატიმრები იყვნენ. გამოსაძიებელი ან კი რა მქონდა, ახალ ბრალდებას ვერაფერს მიმტკიცებდნენ და ისევ ძველი ბრალდებით, ალბათ, გადასახლებას მომისჯიდნენ, მაგრამ არ ვიცოდი სად, ისევ აღმოსავლეთ ციმბირში თუ სადმე სხვაგან.

მიუხედავად მკაცრი რეჟიმისა, ციხეში მაინც აღწევდა გარე სამყაროს ამბები. პატიმრები გაზეთის შემოტანასაც კი ახერხებდნენ, მაგრამ ჩემთვის ყოველი დღე მაინც აუტანელი იყო. მინდოდა მალე გამოეტანათ განაჩენი, ვისაც გამოუცდია, მარტო იმან იცის, რა აუტანელია, როცა პატიმარი განაჩენს ელოდება და განაჩენი კი იგვიანებს. ერთ დღეს საპატიმროში საიდანღაც გაჩნდა გაზეთი „კუბანსკიე ობლასტნიე ვედომოსტი“.

— ალიხანოვი მართლა მოუკლავთ, ბიჭებო! — რომელიღაც პატიმარი ხელში გაზეთს აფრიალებდა და ყვიროდა.

ციხეში პატიმრებმა უკვე მოვკარით ყური ალიხანოვის მკვლელობის ამბავს, მაგრამ დანამდვილებით არაფერი ვიცო-

დით და აი ახლა, რაკი გაზეთი მისი სიკვდილის ამბავს იუწყებოდა, დასაეჭვებელი რაღა იქნებოდა.

ამ შეძახილმა თითქმის მაგიურად იმოქმედა ყველაზე. ქურდების ჯგუფიც კი ცნობისწადილმა შეიპყრო, დომინოსა და ქაღალდის თამაში მიატოვეს და ყურადღება იქით მიაპყრეს.

— როდის, სადა?

— სომხეთში. ეტლით მიმავალს ტეროტისტებმა ბომბი შეუგდეს.

პატიმრები გაზეთის მფლობელს შემოეხვივნენ, მთელი საპატიმრო გაინაბა და პატიმარიც იძულებული გახდა ხმამაღლა წაეკითხა:

„კავკასიელმა ბანდიტებმა დიდი ხნის შემდეგ მიაღწიეს თავიანთ მიზანს. ყუმბარით მოკლეს იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის რევოლუციური აჯანყების ჩამხშობი, კავკასიის საუკეთესო, უმამაცესი და უკეთილშობილესი შვილი. ბედი დიდხანს ინახავდა ტახტის ერთგულსა და მამაც მსახურს თურქებისა, თურქმენებისა და ავღანელების ტყვიისაგან, ხოლო ველარ დაიფარა ვერაგი ბოროტგანმზახველის თავდასხმისაგან, ვინც ყუმბარა შეუგდო ალიხანოვის ეტლს!“

— ალიხანოვმა ნახევარი საქართველო და სომხეთი გაჟლიტა და გმირი იყოო! ამ ჩვენმა მამედამ კიდევ ერთი წუნკალი სტრაჟნიკი დასჭრა და ციხეში ჩასვეს, ეს სამართალია?!

— გაჩუმდით, ბოლომდე მოუსმინეთ!

„გასაოცარია, — ვფიქრობდი ჩემთვის, როცა გაზეთში დაწერილი ცნობა მოვისმინე, — უკეთილშობილესიო, ვინც ხალხი სისხლში ჩაახრჩო, უკეთილშობილესად მონათლეს. უცნაურად არის ეს ქვეყანა აწყობილი, ალიხანოვი ერთი სამყაროსათვის კეთილშობილია, მეორე სამყაროსთვის ჯალათი და სისხლის მსმელი. ღმერთო, სადღაა სამართალი და განკითხვა? ნუთუ ცოდო-მადლი ისეთი ძნელი ასაწონია, რომ ადამიანმა ვერ გაიგოს, სასწორი რომელ მხარეს იხრება, ნუთუ ცოდო-მადლს შორის ასეთი პატარა ზღვარია? თუ ასეა, მაშინ რიღასთვის ვიბრძვი“.

ციხეში ჩემს მძიმე მოლოდინს ენკენისთვეში დაადგა საშველი, როგორც იყო, გამომიტანეს განაჩენი — ვორონეჟში გადასახლება.

მეოთხე ნაწილი

1.

1907 წელი. სექტემბერი. შუაღამეა. შემოდგომის დინჯი წვიმა სევდიანად ხმაურობს გარეთ. პატიმრებით სავსე საბარგო მატარებელი რომელიღაც სადგურზე ჩამოდგა. გარედან ნაწვიმარი, გრილი და სუფთა ჰაერი შემოდის, აქ, ვაგონში კი შმორისა და ჭუჭყით გაზინთული ტანსაცმლის სუნი ტრიალებს. პატიმართაგან ზოგს სძინავს, ზოგი ფხიზლობს. ახველებენ, ოხრავენ, იშმუშნებიან და ხვრინავენ. გარეთ, ვაგონების გასწვრივ, დარაჯები დადიან და ალბათ გასამხნევებლად, ერთმანეთს ეხმაურებიან.

— სადა ვართ, ძმებო? — კითხულობს ვიღაცა პატიმარი ნამძინარევი ხმით. სიბნელეში არა ჩანს იგი.

— სადა ხარ და ბალ-მასკარადზე. ვერა გრძნობ?

პატიმარი, ვინც იკითხა სადა ვართო, ოხრავს და ხმამაღლა ამბობს:

— ვიცი, ძმაო, როგორ ვერა ვგრძნობ, ირგვლივ ლამაზმანების სუნამოს სუნი ტრიალებს.

აბელი ფხიზლობს, ცალი ყურით უსმენს პატიმრებს, ცოტა ხნით მიაპყრობს მათ ყურადღებას და მერე თავის საფიქრალს უბრუნდება. მისი გონება დაძაბული მუშაობს, თვალწინ უდგას ქუთაისისა და პეტერბურგში გატარებული ბოლო დღეები, დაპატიმრების დღე და ადამიანები, ახლობელი ადამიანები.

პეტერბურგიდან რომ არ წამოსულიყო, ეგებ დაპატიმრებას ასცდენოდა, მაგრამ ვაითუ იქ უარესს გადაჰყროდა, ახლა გადასახლებას დასჯერდნენ, იქ კი შეიძლება სახრჩობელაც ელოდა. ასეც იქნებოდა, თუ „ოხრანკას“ ჩაუვარდებოდა ხელში.

პირველი სათათბიროს გარეკვის შემდეგ მეფემ იმპერიის ყველა გუბერნიასა და ოლქში გახსნა „ოხრანკა“ და იგი რისხვად მოევლინა რევოლუციონერებს. „ოხრანკას“ თუ ვინმე ხელში ჩაუვარდებოდა, ან წამებით მოჰკლავდნენ, ან სახრჩობელაზე აიყვანდნენ. აქ განკითხვა აღარ იყო მტყუანსა და მართალს შორის. მის ხელში შემთხვევით ჩავარდნილ ალალ-მარ-

თალ ადამიანსაც კი აიძულებდნენ გაუგონარი წამებით „დანაშაული“ ეღიარებინა და მერე სახრჩობელაზე ასულიყო. სახრჩობელებით მოიფინა იმპერია. წამებით სიკვდილი დათესეს ციხეებში. ჯალათები და მღვდლები სამუშაოს ვეღარ ასდიოდნენ. იმპერიაში ისე გახშირდა სიკვდილით დასჯა, რომ ჯალათებს უკვე სხვა ქალაქებიდან იწვევდნენ, ზოგჯერ სიკვდილმისჯილი მიჰყავდათ იმ ქალაქში, სადაც ხელფასიანი ჯალათი მუშაობდა. ვორონეჟის გუბერნატორი გრადო-ნაჩალნიკს სთხოვდა, ვორონეჟს მოავლინეთ ჯალათი აგრარულ მოძრაობაში მონაწილეობისათვის სიკვდილმისჯილი გლეხების ჩამოსახრჩობადო. გუბერნატორს გრადო-ნაჩალნიკი დაშიფრული დეპეშით ასეთ პასუხს უგზავნის: „ვორონეჟი. გუბერნატორს. გაცნობებთ, რომ ორი ჯალათი ჩამოვა ორშაბათს, 2 აპრილს. გასამრჯელო ასი მანეთი თვითეულის ჩამოხრჩობაზე. გრადო-ნაჩალნიკი გენერალ-მაიორი ანდრიანოვი“.

მიუხედავად ასეთი სისასტიკისა, რევოლუციონერები მაინც უკან არ იხევდნენ, სისხლის წილ სისხლით იძიებდნენ შურს. არსენ ჯორჯიაშვილმა თბილისში 1905 წლის 16 იანვარს შიგ შუა ქალაქში ბომბი შეუგდო გენერალ გრიაზნოვს. ჯორჯიაშვილი პირველ მარტს ჩამოახრჩვეს. მაშინ თბილისში ჯალათი ვერ იშოვნეს და ვლადიკავკავიდან ჩამოიყვანეს ვიღაც პატიმარი ფილიპიევი, მაგრამ არც ჯალათს დაეყარა ხელირი. რამდენიმე დღის შემდეგ პატიმრებმა დანით აკუწეს.

აი, ასეთი ამბები დატრიალდა ქვეყანაზე, აბელი კი იმას წუწუნებდა, ჟანდარმერიამ გამომიჭირა და გადასახლება მომისაჯაო.

მაგრამ ასე იყო თუ ისე, პეტერბურგში გატარებული დღეები და ლენინთან ურთიერთობა მაინც დაუვიწყარი იყო.

ვორონეჟი, საითაც ეს მატარებელი მიდიოდა, არც უკიდურესი ჩრდილოეთი იყო, არც უკიდურესი აღმოსავლეთი. ბაქოდან ჩრდილოეთით მოსკოვ-ქალაქამდე მდებარეობდა მდინარე დონის მახლობლად. აბელი სასჯელით კი არ იყო შეწუხებული, არამედ იმით, რომ თავის საქმიანობას მოსწყდა. მატარებელში მყოფს ერთი იმედიღა ასულდგმულებდა, რამენაირად გზიდან გავიქცევიო, მაგრამ აგერ მატარებელი ორი კვირაა მიზოზინებს, როგორც იყო გალია კასპიის ზღვა, გაიარა ასტრახანი, აუყვა მდინარე ვოლგას, უკან მოიტოვა ცარიცინი,

მაგრამ აბელმა ვერა და ვერ გამონახა გასაქცევად ხელსაყრელი დრო. პატარა შანსიც კი არ გამოჩენილა. მატარებლიდან გაქცევაზე სხვა პატიმრებსაც ეჭირათ თვალი. უცნაური იყო, ამ განზრახვას ვითომ ერთმანეთს უმალავდნენ, არადა ერთმანეთის გუმანი კარგად იცოდნენ.

ორი კვირის მანძილზე წვერი ისე წამოეზარდა, მარტო შუბლი და თვალებიღა უჩანდა. ჭუჭყმა და უსუფთაობამ შეაღონა, არადა ეს დასაქცევი გზა აღარ ილეოდა. ვითომ შორს არ არის ვორონეჟი, მაგრამ რამოდენა გზა არის, რა დიდია რუსეთი, უკიდეგანო, და ამ ვრცელ მიწაზე რამდენი ადამიანი გმინავს.

სადგურ ჟერდევკაზე მატარებელი დილით ჩამოდგა. მოჟამული დღე იყო. თითქმის დედამიწაზე ჩამომხობილ ღრუბელს არემარე ჩაებნელებინა. წვრილი წვიმა სცრიდა. სადგურზე სხვა მატარებელიც იდგა და ბაქანი, მიუხედავად ცუდი ამინდისა, ხალხით იყო სავსე.

— დღეს რა რიცხვია? — იკითხა ვაგონში ვიღაცამ.

— ოცი სექტემბერი.

— ოცი კი არა, ოცდაერთია. — გამოეკამათა ვიღაცა.

პატიმრები უკვე წამოშლილიყვნენ. ვინ თავს ივარცხნიდა, ვის ტანისამოსი მოჰყავდა წესრიგში, თითქოს ჭიანჭველების ბუდე დაანგრიესო, ისე აფუსფუსდნენ.

— შენ ჰეი, სემიონ, რას იქექები, დაგესივნენ? — გადასძახა გრძელწვერიან ხანში შესულ კაცს იმან, ვინც წეღან იკითხა, დღეს რა რიცხვიაო. გრძელწვერიანმა, ზურგში რომ ხელი ჩაეყო და ბეჯითად იფხანდა, ცისფერი გატანჯული თვალები მიაპყრო შემკითხველს და სევდიანად უპასუხა:

— დამესივნენ, ძმაო, აბა, დამესივნენ. ეტყობა, შენები უფრო თვინიერები არიან.

შემკითხველმა ნაძალადევად ჩაიცინა, მოპასუხეს ყურადღება აღარ მიაქცია, ფანჯარაში გაიხედა და ბაქანზე მოსეირნე ყარაულს დაუძახა:

— ჰეი, ჭაბუკო, თუ იცი, აქ დიდხანს ვიდგებით?

ყარაული ახალგაზრდა იყო, ტანმომცრო, ზურგზე გადაკიდებული შაშხანის კონდახი მუხლებზე სცემდა. მან უხალისოდ ასწია თავი, ფანჯარაზე მომდგარ პატიმრებს შუბლშეჭმუხნით შეხედა და მხრები აიჩეჩა:

— აბა, მე რა ვიცი, ამბობენ, ლიანდაგები აყრილიაო.

ყარაულის ნათქვამი იმ წამსვე მთელ ვაგონს მოედო. ყველა პატიმარმა უკვე იცოდა, რომ წინ დაბრკოლება იყო და ეს მატარებლები იმიტომაც იდგნენ ამდენ ხანს. აბელს გულში იმედის სხივი ჩაუდგა. თავისდა უნებურად აღელდა, სხეულმა თუ სულმა უგრძნო, რომ დღეს შესაძლებლობა ეძლეოდა გაქცევისა. ვაგონში პატიმრები რამდენიმე წუთით დადუმდნენ, ეგებ ისინიც ახლა გაქცევაზე ფიქრობდნენ?

დაბა ჟერდევკა! თუ აბელი მოახერხებს და დღეს ხელიდან დაუსხლტება ყარაულებს, რას იზამს, სად წავა? რაღა თქმა უნდა, ისევ ბაქოში. იქ ყველაზე მეტი მეგობარი ჰყავს, ყველაზე ბევრი საიმედო თავშესაფარი ეგულება. ისევ ბაქო და სხვა არც ერთი ქალაქი. ჯიბეში ცოტაოდენი ფული შემორჩა. ესეც კარგია, წვერს მაინც გაიპარსავს და გასუფთავდება, რომ გზაში ეჭვი არავინ აიღოს.

ისე გამალებით უცემდა გული, ლამის ბუდიდან ამოვარდნოდა.

თუ მატარებელი დიდხანს შეჩერდებოდა, მეტი რა გზა ჰქონდათ, იძულებული გახდებოდნენ, პატიმრები რიგრიგობით ჩაეყვანათ ბაქანზე. აი, მაშინ, მაშინ შეიძლებოდა გაძრომა.

მატარებელი ადგილიდან არ იძვროდა. დრო ნელა, ძალიან ნელა მიიწევდა წინ. საღამოხანზე პატიმრებმა უკვე გნიასი ატეხეს. ყვიროდნენ, მუშტებით აბრაგუნებდნენ, იგინებოდნენ, გარეთ გასვლას თხოულობდნენ. ვაგონიდან რამდენიმე პატიმარი გაიყვანეს. ორ შეიარაღებულ ყარაულს სამ-სამი პატიმარი მიჰყავდა.

— წესრიგი დაიცავით! — ყვიროდა ყარაული და პატიმრებს დედას აგინებდა, — თორემ ისევ ჩავკეტავ კარს, მე თქვენი!..

პატიმრები ცდილობდნენ ერთმანეთისათვის მოესწროთ, წესრიგს არ იცავდნენ. გაგება არ იყო, ვინ რას სჩადიოდა. აბელს უნდოდა ისეთ დროს გასულიყო, როცა შებინდდებოდა. მაშინ გაქცევის შანსი უფრო მეტი იყო, მაგრამ მოთმინება ელეოდა, ეგებ მანამ სჯობდეს, ვინემ ეს არეულობაა, ფიქრობდა.

ამ დროს ერთმა პატიმარმა ხალხში რის ვაი-ვაგლახით გაშოიკვლია გზა და აბელს მიუახლოვდა.

— გამარჯობათ!

— გაოცებით დააკვირდა პატიმარს. პირისახე შავი, გრძელი წვერით ჰქონდა დაფარული. ღრმად ჩავარდნილი თვალები და პატარა, წინ წამოვარდნილი შუბლიღა მოუჩანდა.

— მაპატიეთ, ვერ გიცანით. — უპასუხა აბელმა.

— მჯერა, — სუსტი ხმით ჩაილაპარაკა პატიმარმა — აბა, რას მიცნობთ. კარლ ბერზინი ვარ. გახსოვთ პაპიაშვილის დუქანი?

ეს უცნაური გვარი და სახელი ადვილად გაიხსენა აბელმა და ბერზინიც მაშინვე იცნო. სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდა.

— გამარჯობათ, ახლაღა გიცანით. როგორა ხართ, აქ საიდან? — უცებ დააყარა კითხვები, რადგან კარი ისევ გააღეს და პატიმრების ტალღამ აბელიც კარისკენ წაიღო.

— გროზნოში ვმუშაობდი ბოლო დროს, იქ დამაპატიმრეს და აი, ხომ ხედავ, მეც თქვენსავით გადასახლებაში მიკრეს თავი.

ამასობაში აბელს ხელი ჰკრეს და პირდაპირ ბაქანზე გადაუძახეს, ბერზინი კი ვაგონში დარჩა.

ყარაულებმა, როგორც იყო, მოახერხეს კარის დაკეტვა, ვაგონიდან გამოსული სამი პატიმარი წინ გაიმძღვარეს და თვითონაც გინებით მიჰყვნენ, მაგრამ ამ დროს მოულოდნელი ამბავი დატრიალდა, პატიმრებმა ვაგონის კარი გამოამტვრიეს. ყველაფერი აირ-დაირია. გამაყრუებელი სტვენა, მუქარა, ლანძღვა...

სადგურიდან დასახმარებლად მოვარდნენ პოლიციელები, დატრიალდა კონდახები და მაშინ აბელმა გადაწყვიტა, რომ უკეთეს დროს ვერა ნახავდა.

„წადი, წადი! თავს უშველე!“ — ჩასჩიჩინებდა ვიღაცა უხილავი და თავის ნებაზე მიჰყავდა. ვაგონების ქვეშ გაძვრა, მეორე მხარეს გავიდა, მგელივით მოათვალიერა იქაურობა და გაიქცა.

„ან ახლა მესვრიან, ან ახლა“, — მარტო ამას ფიქრობდა და საშინელი მოლოდინით მაინც წინ მიიწევდა. ბუნდად გაიელვებდნენ ხოლმე მის თვალში შემხვედრი ადამიანების გაოცებული სახეები, მაგრამ გრძნობდა, რომ ისინი ჩვეულებ-

რივი მოქალაქეები იყვნენ, რომლებიც ალბათ კიდეც უთანაგრძნობდნენ.

— გაიქცნენ, პატიმრები გაიქცნენ! — ყვიროდა ვიღაცა.

როგორც ჩანს, მარტო აბელი არ გაქცეულა, ალბათ სხვებიც გარბიან, ეს კარგია, რომელ ერთს გამოედევნებიან?

სადღაც შორს სროლის ხმა გაისმა. შეჩერდა. მდევარი არსად ჩანდა. წინ მყუდრო ტყეა და სოფელი. ეს პირქუში ღამე რამენაირად გაივლის და მერე ათასი გზა და ბილიკი გამოჩნდება. მთავარი ახლა ის არის, გათენებამდე მშვიდად გააღწიოს.

სოფელში შეჩერება სარისკო იყო, შესაძლოა, მდევარი მოჰყოლოდა კვალზე. ამიტომ გადაწყვიტა, სამხრეთით დაეჭირა გეზი და თუნდაც გათენებამდე ევლო. რაც უფრო დიდი მანძილით დასცილდებოდა ამ სადგურს, მით უფრო საიმედო იყო თავის დაღწევა.

ოცდაათი წლის აბელს თავისი მოუსვენარი, გაწამებული ცხოვრების მანძილზე ბევრი ტანჯვა უნახავს, მაგრამ ამ ღამესთან ყველაფერი მოგონილი იყო.

2.

ოცდაათ სექტემბერს სუმგაიტის სადგურზე ჩამოდგა სახალხო მატარებელი. ამ მატარებელს ჩამოჰყვა წვერმოშვებული მგზავრი. იგი ერთი შეხედვით ხანდაზმული ჩანდა, მხოლოდ დაკვირვებული თვალი თუ შეამჩნევდა: რომ გამოხედვა, მიხვრა-მოხვრა თუ სიარული ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე კაცისა ჰქონდა. ეს გახლდათ გზიდან გამოქცეული ჭირვარამგამოვლილი აბელ ენუქიძე. მან ამჯერად ბაქოს სადგურს თავი აარიდა და სუმგაიტში ჩამოვიდა. ბაქოს სადგურში მისი გამოჩენა, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნობით ძნელად თუ იცნობდნენ, მაინც საშიში იყო.

პატარა სადგურში კანტიკუნტად მიმოდიოდა ხალხი. აბელი სადგურიდან გავიდა, რომ ეტლი დაეჭირა და ბაქოში ივანე მალაგინის ბინაზე წასულიყო. მალაგინი ქალაქის განაპირას ცხოვრობდა კარანტინის ქუჩაზე, თორმეტ ნომერში. იქ რამდენიმე ღამე გაუთევია აბელს.

ჯიბეში უკანასკნელი გროშები მოიჩხრიკა და იქით გასწია, საითაც მუშტრის მომლოდინე ეტლები იდგნენ... მეეტლეებმა შორიდანვე იგრძნეს, ეს წვერმოშვებული კაცი რომ მათი მუშტარი იყო და ისეთი ამბით დაუწყეს მიპატიჟება, თითქოს გამოქცეული პატიმარი კი არა, შემახიის ხანი ყოფილიყოს.

აბელი ერთ-ერთ ეტლზე დაჯდა, მეეტლეს მისამართი უთხრა და თავის საფიქრალში ჩაეფლო.

ამიერიდან საიდუმლოდ უნდა იცხოვროს ბაქოში ჟანდარმერიისაგან დევნილმა. ყოველ წამს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე უნდა ელოდეს დაპატიმრებას. გზიდან გამოქცევის დღიდანვე ხომ უკვე ეძებენ ჟანდარმები. ამ წუთიდან უფრო ღრმად ჩასწვდა აბელი, დევნილი ლადო რა განსაცდელში იქნებოდა. რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ. ხუთი თუ ექვსი. რამდენი თანამებრძოლი გამოეცალა აბელს. ბედმა ზოგი მთლად გასწირა, ზოგიც ბაქოდან გადააძევა. ვანო ბოლქვაძე და ვანო სტურუა პეტერბურგში დარჩნენ, ლეონიდ კრასინი ხან პეტერბურგშია, ხან უცხოეთში, ლენინს უდგას მხარში, პერმის გუბერნიაში გადასახლებული დიმიტრი ბაქრაძე ათას ცხრაას ხუთი წლის ამინისტიამ გაანთავისუფლა და ახლა თბილისში ეწევა რევოლუციურ მუშაობას, ბიქტორა სადღაც შუა აზიაში გაიხიზნა, რადგან „ძველი ცოდვების“ გამო დასაპატიმრებლად დასდევდნენ, მარტო აბელიღა დარჩა ბაქოში, მაგრამ მას კიდევ იმდენი ახალი, ერთგული მეგობარი ეგულება, რომ აქ უფრო უშიშრად იქნება, ვიდრე სხვაგან რომელიმე ქალაქში. აბელს ვერც წარმოედგინა ბაქოს დათმობა, მთელ ქალაქსა და ქალაქის გარეუბნებშიც ქსელი ჰქონდა გაბმული.

აი, თუნდაც ივანე მალაგინი, ვისთანაც ახლა აბელი მიემგზავრება, უკვე რამდენიმე წლის მეგობარი და თანამებრძოლია.

ეტლი ქალაქის კარიბჭეს მიუახლოვდა. დედამიწაზე საღამოს მკრთალი ბინდი დაწვა. აღმოსავლეთიდან დიდი სავსე მთვარე ამობრდღვიალდა. მეეტლე ხანდახან შეუძახებს ცხენებს და ირიბად გადმოხედავს ხოლმე მდუმარე მგზავრს, მთელი გზა რომ ხმა არ ამოუღია.

— კარანტინის ჭუჩა, ნომერი თორმეტი. — გაახსენა აბელმა მეეტლეს მისამართი და მყისვე გაიფიქრა, მალაგინი შინ დამხვდება თუ არაო.

— მახსოვს ბატონო! — უპასუხა მეეტლემ და ვიწრო ქუჩაზე შეუხვია.

ეტლმა ხუთიოდე წუთს კიდევ იარა და შეჩერდა. აგერ ქუჩის პირას ხეხილის ბაღში ჩაფლული ალიზით ნაშენი პატარა სახლი. იმ შებინდებულზე სახლს თავისი შემოგარენით ისეთი იერი ჰქონდა, თითქოს ღვთისანაბარა მიუტოვებიათო; მხოლოდ ფანჯარაში მოციმციმე შუქი, რამაც ამ წუთს აბელს გული გაუნათა, მოწმობდა იმას, რომ აქ ვიღაც სულიერი ბინადრობდა.

ეტლი გაუშვა და ერთხანს დაყოვნდა. ეტლი უკვე თვალს ეფარებოდა. თანდათან წყდებოდა ცხენების ფლოქვთა თქარუნი.

როცა სახლის კარს მიუახლოვდა, გული აუძგერდა. დიდი ხნის ნატანჯსა და ნახეტიალებს თავშესაფარი მონატრებოდა. კარზე დააკაკუნა, სიჩუმე გრძელდებოდა, პასუხს არავინ იძლეოდა. აბელს სისხლი გაეყინა გულში, ისევ დააკაკუნა და თან ხმადაბლა დაიძახა:

— ივანე!

— ვინ არის? — ახლაღა გამოეპასუხა მასპინძელი.

— მოკეთე. გააღე კარი.

კარი გაიღო და ოთახიდან გამოსულ ლამპის შუქზე გამოჩნდა ტანმაღალი სახედაღარული ივანე მალაგინი. მასპინძელი გაოცებით აკვირდებოდა წვეროსან სტუმარს.

— გამარჯობა, ივანე!

მალაგინმა სალამზე პასუხი არ გასცა. ისევ მდუმარედ აკვირდებოდა სტუმარს.

— ვერ მიცანი, ივანე?

ივანე კვლავ დუმდა, ასე გასტანა ხუთიოდე წამმა, აბელისთვის საუკუნეს რომ უდრიდა. უეცრად მას გული აუჩუყდა, თვალებში ცრემლი მოადგა და ის იყო, ივანემაც შეჰყვირა:

— ღმერთო ჩემო, აბელი ხარ?

მალაგინი გადაეხვია და სტუმარმა აქ კი ვეღარ შეიკავა თავი, ცრემლი წასკდა.

— შემოდი შინ, შემოდი! — ბუტბუტებდა გახარებული, დაბნეული ივანე და ლამპის შუქს უმარჯვებდა სტუმარს. — ღმერთო ჩემო, როგორ გამოცვლილხარ, ნუთუ ასე გტანჯეს

იმ ძაღლთაპირებმა. — მალაგინსაც ცრემლი მორეოდა თვალებში.

ოთახში შემწვარი ხორცის მსუყე სუნი იდგა, რამაც ისედაც მშიერ-მწყურვალ აბელს უარესად გაუღვივა შიმშილის გრძნობა. ეტყობოდა, მალაგინი ვახშამს ამზადებდა. პატარა ბაღში გამავალი ფანჯარა ბოლომდე გაეხსნა მასპინძელს და ფანჯრის მიღმა ლანდებივით მოჩანდა ხეხილი. საოცარი სიმყუდროვე სუფევდა ოთახშიც და ბაღშიც. მაგიდასთან პირისპირ ჩამოსხდნენ. ერთმანეთს უყურებდნენ და ვერ ახერხებდნენ, საიდან დაეწყოთ საუბარი.

— მაშ, პირველად ვერ მიცანი, ჰა? — ღიმილით ჰკითხა აბელმა და მერე სევდიანად დასძინა — ნუთუ ასე შეეცვალე?

— მე კი არა, მშობელი დედაც ვერ გიცნობდა, ისე ხარ გამოცვლილი, ცარიელა წვერი და თვალებიღა ხარ, ძმაო. გამოიქეცი?

— გამოვიქეცი, ჩემო ივანე. სადგურ ჟერდევკადან გამოვიქეცი.

— დიდი ხანია გზაში ხარ?

— ათი დღეა. — აბელმა ამოიოხრა, გრძელ, ხშირ წვერზე ხელი მოისვა და დასძინა: — ნადირი ვერ აიტანს იმას, რის ატანაც თურმე ადამიანს შეუძლია.

— შიმშილობდი?

— საკმარისად, მაგრამ შიმშილზე უარესი შიში და დამცირება ყოფილა. უძილობით გატანჯულსა და წანწალით დაღლილს ბევრჯერ მინატრია, ოღონდ ბინა და თავშესაფარი მომცა თუნდაც ცოტა ხნით და მერე დაე, სახრჩობელაზე ჩამომკიდონ-მეთქი. ქანცგამოლეულმა, გაწამებულმა რამდენჯერმე გადავწყვიტე, გამოვცხადდები პოლიციაში, ჯანდაბას, ისევ გადამასახლონ-მეთქი, მაგრამ გული არ მიშვრებოდა, დიდი რწმენა და შემართება, ბრძოლის ჟინი მაძლევდა ძალას, ყველაფრისთვის გამეძლო, თორემ გადასახლებულმა კაცმა რა ტანჯვა უნდა ნახოს ისეთი, რაც მე ამ ათ დღეში გამოვიარე, ჩემო ივანე!

მალაგინი თავჩაღუნული უსმენდა, თან პაპიროსს ზედიზედ აბოლებდა. მერე, როცა აბელმა სათქმელი დაამთავრა, მწარედ ჩაიცინა და თქვა:

— ასეთი ბედი დაგვყოლია და რას ვიზამთ. ნეტავ ის ვიცოდე, ამ წამების საზღაურად ბოლოს რას მივიღებთ?

— არ ვიცი, — მაშინვე გამოეპასუხა აბელი, — მე პირადად არ ვიცი, ივანე, საზღაურად რას მივიღებთ და ამაზე არცა ვფიქრობ. არა ვფიქრობ, იმიტომ, რომ ბავშვობიდანვე მძულდა უსამართლობა, ერთი კაცი რომ მეორეს ჩაგრავდა, ვერ ვიტანდი, მინდოდა მივხმარებოდი, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად დამჯდომოდა. მერე, როცა წამოვიზარდე და უფრო ღრმად ჩავიხედე უსამართლობის მიზეზში, როცა მის წინააღმდეგ ბრძოლის სწორ გზას მივაგენი ამხანაგების დახმარებით, გადავწყვიტე მთელი ცხოვრება ამ ბრძოლისათვის შემელია. მძულდა და ახლაც მძულს შეგუებული ადამიანი, ქედმოხრილი და მონად დაბადებული. ადამიანის მოწოდება ბრძოლაა, უნდა ებრძოლო უსამართლობას და იმაზე არ ფიქრობდე, რას მივიღებ საზღაურადო.

— უმაღლესი საზღაური იმას, ვინც მოკვდეს ბრძოლის ველზე იარაღით ხელში!—სიცილით წარმოთქვა მალაგინმა, თან ხელი შემართა და წამოდგა, — დროა, ვივახშმოთ, ჩემო აბელ, ცოტა დასალევიც მომეპოვება.

მასპინძელმა ცხელი ტაფა შემოდგა მაგიდაზე. ხორცი ისევ შიშხინებდა, წინწკლებს ისროდა და საამო სუნს აფრქვევდა. აბელი წამოდგა, ივანეს მაღალი თეთრი პური ჩამოართვა და თვითონ შეუდგა დაჭრას, ხოლო ივანემ ყველი მიამატა მაგიდას.

ცოტა რომ დანაყრდნენ, მალაგინმა არაყი დაასხა.

— შენ დაბრუნებას გაუმარჯოს, — მიმართა და გადაჰკრა.

აბელი დიდი მოყვარული არ იყო არყისა, მაგრამ ახლა ისე ხარბად და სიამით დალია, თითქოს მშობლიურ სუფთა ხვანჭკარას მიირთმევსო. არაყმა ძარღვებში დაუარა, დაღლილი სხეული თითქოს გამოაცოცხლა და გაამხნევა. როცა მეორედ გადაჰკრეს, აბელმა უკვე იგრძნო, რომ სასმელი თავში ავარდა, სასიამოვნოდ გააბრუა.

სტუმარიც და მასპინძელიც ლაპარაკის ხასიათზე დადგნენ. უკვე დანაყრებულებს, დრო იყო, ნელ-ნელა ესვათ და ლაპარაკით შეექციათ თავი. სათქმელი კი ბევრი ჰქონდათ.

— აბა, მიამბე, სად იყავ დაპატიმრებამდე, რას აკეთებდი.

აბელმა პაპიროსს მოუკიდა, ხარბად გააბოლა და დაიწყო:

— „ნინას“ გავყევით პეტერბურგში, მე, ბოლქვაძე და ვანო სტურუა. ერთხანს ლიტვის გამზირზე მოვაწყეთ სტამბა, იქ ვმუშაობდით, ხოლო მალე, როცა ფონტანკაზე ბოლშევიკების დიდი ლეგალური სტამბა „საქმე“ გაიხსნა, იქ გადავედით სამუშაოდ. გაზეთი „ვოლნა“ ჩვენს სტამბაში იბეჭდებოდა. თითქმის ორი თვე ვიმუშავე. ამ ორი თვის მანძილზე ყოველდღე ვხვდებოდი ლენინს.

— ლენინს? — მალაგინი სკამზე შეტოკდა და სმენა უფრო დაძაბა.

— კი. ლენინს. სტამბის შენობაშივე იყო მოთავსებული რედაქცია და ლენინის პატარა კაბინეტი. ყოველდღე, დილის რვა-ცხრა საათზე მოვიდოდა, ღიმილით გადმოგვხედავდა და საოცარი ხალისით მოგვესალმებოდა: დილა მშვიდობისა, ამხანაგებო, მერე ხელებს მოიფშვნეტდა და დაამატებდა, აბა შევუდგეთ საქმეს, ჰა?

ყველა გაზეთს თავიდან ბოლომდე ჩაიკითხავდა, „ნოვოე ვრემიას“ „თუ „რუსს“. თორმეტ საათამდე თავაუღებლად მუშაობდა. მერე რესტორან „გურიაში“ წავიდოდა სასადილოდ. ორ საათზე ისევ რედაქციაში ბრუნდებოდა: ამ დროს რედაქციის ყველა წევრი ადგილზე იყო და სარედაქციო თათბირი ტარდებოდა. ხან ვოროვსკი, ხან ლუნაჩარსკი, ხან ბაზაროვი ხმამაღლა კითხულობდნენ საგაზეთო მასალებს, ვლადიმერ ილიას ძე გულდასმით უსმენდა და შენიშვნებს აკეთებდა, ხოლო გაზეთის მოწინავეებს უმეტესად თვითონ სწერდა. კრების შემდეგ ან სწერდა, ან მიტინგებზე გამოდიოდა კარპოვის გვარით. ღამის თერთმეტ საათზე ისევ რედაქციაში ბრუნდებოდა, კითხულობდა ღამის დეპეშებს, ქარხნიდან თუ რევოლუციურ მუშათა ორგანიზაციებიდან რომ მოდიოდა. გაოცებას ვიყავ, ივანე, სადა აქვს ამდენი ენერგია და ძალა, როგორ უძლებს ამდენ შრომას. როცა მეფემ პირველი სათათბირო წიხლისკვრით გარეკა, შურისძიებაზე გადავიდა. გამართლდა ლენინის წინასწარმეტყველება, ერთი წელიც არ გაივლის და ჩვენ ისევ არალეგალურ მუშაობას დავუბრუნდებითო. რესტორან „გურიაში“ ჟანდარმერიამ პროკლამაციები აღმოაჩინა, ქართველები მუშაობდნენ იქ, გაქცევით უშველეს თავს, ასე რომ პეტერბურგშიც ყველაფერი აირია, მე კი ამ დროს ცეკას დავალებით ამიერკავკასიაში მომავლინეს სამუშაოდ.

ქუთაისის ახლომახლო სოფლებში გახსნილ წრეებს ვხელმძღვანელობდი. ჩამოვედი აქ და ერთ თვეში დამაპატიმრეს. ვორონეჟში გადასახლება მომისაჯეს და აგერ გზიდან გამოქცეული შენი მონა-მორჩილი აქა ვარ ახლა, ბაქოში, ვიდრე ისევ დამაპატიმრებენ.

აბელი შეჩერდა, პაპიროსის ნამწვი საფერფლეზე დასრისა, არაყი დაასხა და გააგრძელა:

— ციხეში იშვიათად შემოაღწევდა ხოლმე გაზეთი, ცოტა რამეს თუ ვიგებდით გარესამყაროსას. არ ვიცი, ჩემი პატიმრობის მანძილზე რა მოხდა და რა ხდება ქვეყანაზე, ან აქ, ბაქოში.

მალაგინმა ჭიქა აიღო და უცებ გადაჰკრა.

აბელმაც უხმოდ დაცალა ჭიქა და ყველის ნაჭერი მიაყოლა. გრძნობდა, უძილობა და დაღლილობა თანდათან როგორ ერეოდა.

— რა ხდება, ძმაო და, სტოლიპინის რეაქცია აღზევდა. გამძვინვარდა ცარიზიმი. როგორც ამბობენ, დედაქალაქის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს საგანგებო განყოფილებამ პეტერბურგის „ოხრანკის" უფროსს მოსთხოვა, აღძარით საკითხი, რათა ლენინი ფინეთიდან ჩვენ გადმოგვცენო, მაგრამ ფეხი არ ჩაუვიდათ იმ ძაღლთაპირებს!—მალაგინმა ბრაზით მუშტი დაჰკრა მაგიდას, ლამპა შეხტა და ალი აპარპარდა.

აბელმა შეატყო, რომ ივანე უცებ შეთვრა, თვალები აერია და ისედაც მოტეხილი სახე, ალბათ სიმთვრალისაგან, უფრო დაეღარა, თითქოს ნაოჭებიც მოემატა.

— ივანე! — ხმამაღლა მიუგო აბელმა, რომ მასპინძელი გამოეფხიზლებინა.

— აქა ვარ! — გამოეპასუხა ივანეც, თავი ასწია და აბელს გაუღიმა.

— კრასინი ბაქოში ხომ არ არის?

— არა. უცხოეთშია, ლენინთან.

მალაგინი ბოთლს მისწვდა და ჭიქებში არაყი დაასხა.

— იქნებ აღარ დავლიოთ? — მიუგო აბელმა, მაგრამ თვითონ კიდევ უნდოდა დალევა.

ივანემ გაოცებით შეხედა და პასუხად გაუღიმა, მერე კი უთხრა:

— მთვრალი არ გეგონო, აბელ. ჯერ ადრეა, დავლიოთ ცო-

ტა-ცოტა და დავისვენოთ, ხვალ კი ჩვენს საქმეს შევუდგებით.

აბელმა მხრები აიჩეჩა, ივანე წამოდგა, მეორე ოთახიდან ბალალაიკა გამოიტანა. აბელს გაუხარდა. თანაც იგრძნო, როგორ გააბრუა არაყმა და როგორ მიინისლა მის სულში ყველა ვარამი.

— აი, ეგ მესმის! — მხიარულად მიუგო აბელმა.

— ცოტა ხნით მაინც გავექცეთ ყოველდღიურ მწუხარებას. არა! — მალაგინმა ბალალაიკა მუხლებზე დაიდო და არაყს მისწვდა. — თითოც დავლიოთ. ჩემმა მტერმა უყურეს სულ ფხიზელმა ამ ქვეყანას. ხე, ხე, — გულიანად ჩაიცინა ივანემ.

დალიეს და თითო ლუკმა დააყოლეს.

მალაგინმა ბალალაიკას ჩამოჰკრა ხელი, ააკვნესა. ოთახი ჯერ ნაზი, სევდიანი, ხოლო შემდეგ ტკბილი და ცეცხლოვანი მუსიკით აივსო. აბელი განაბული უსმენდა, ივანეს ნახევრად დაეხუჭა თვალები, ეტყობოდა, რაღაც ოცნებაში იყო წასული, სადღაც შორსა და ღრმა წარსულში ტრიალებდა მისი სული.

უკანასკნელად ჩამოჰკრა სიმებს ხელი, გამეტებით დააჟღრიალა და აბელს მიმართა:

— აბელ, შეყვარებული თუ გყოლია?

— შეყვარებული? — აბელი დააბნია ამ კითხვამ, უცებ გამოეცხადა ეთერი მთელი თავისი თავბრუდამხვევი სილამაზით და სევდამ შებოჭა.

— მყოლია, — ამოიოხრა აბელმა, — როგორ არა მყოლია. რაზე გაგახსენდა?

— აი, ამ რომანსს ჩემს შეყვარებულს ვუმღეროდი ხოლმე ახალგაზრდობისას. მას აქეთ თხუთმეტი წელი გავიდა. ვინ იცის, სად არის ახლა. ხანდახან ისე მტკივნეულად გამახსენდება, სიმწრით თითებს ვიკვნეტავ, ის ასაკი რომ დაბრუნდებოდეს, ეგებ სულ სხვა ცხოვრება ვაჰეწყო...

— მერე, რათ მიატოვე, ივანე?

მალაგინმა მწარედ ჩაიცინა.

— რათა? იმათ, რათაც შენა. მე იმ გზას გავყე, სადაც ცოლთან ერთად ვერ ივლი. ქალს ძმაო, ალერსი უნდა, შენი იდეები და რწმენა ფეხებზე ჰკიდია, ციხის კარებთან ვერ აგეტუზება.

აბელმა აღარაფერი უპასუხა, ფიქრი უფრო შორს გაექცა, მწარედ შებოჭა სევდამ.

მალაგინი კი ისევ გატაცებით უკრავდა ბალალაიკას. პირდაპირ აკვნესებდა, ნახევრად თვალებდახუჭული ოცნებაში ჩაძირულიყო და ამჯერად თვითონაც კვნესოდა და თუ მღეროდა, კაცი ვერ გაარჩევდა.

ბაქოს ყანდარმერიის როტმისტრ ვალტერის ჩანაწერიდან

რაღაც ხუთი წუთის მისული ვიყავი სამსახურში, როცა შეფმა გამომიძახა. ვარაუდით ვიცოდი, შეფი რისთვისაც მიბარებდა, ალბათ, ისევ ენუქიძის ამბავზე. პირდაპირ სისხლი გაგვიშრო იმ „მწითურმა". სექტემბერში გვაცნობეს, ქერდეევკადან გამოიქცა და მოსალოდნელია ისევ ბაქოში გამოჩნდესო. ამ ცნობის მიღებისთანავე ყველა ღონისძიება ვიხმარეთ, ჯაშუშები მივუსიეთ სადგურს, ბაქოში შემოსულ ყველა მატარებელს ხვდებოდნენ, მაგრამ მისი კვალი ვერსად ნახეს. არადა, წარმოუდგენელი იყო, თვითონ ენუქიძე უფრო ადრე ჩამოსულიყო ბაქოში, ვიდრე ის ცნობა, მისი გამოქცევის ამბავს რომ გვატყობინებდა. მაშ, სად უნდა გამქრალიყო, რა მიწას უნდა ჩაეყლაპა. ნუთუ ისე იცვალა სახე, რომ ჯაშუშებმა ვერ იცნეს?

ერთიხანობა ვფიქრობდით, ეგებ ბაქოში არც ჩამოსულაო, მაგრამ აგენტურამ ზუსტი ცნობა მოგვაწოდა იმის თაობაზე, რომ იგი ნამდვილად ბაქოში იმალებოდა.

მინკევიჩი გადაირია, მოგვადგა და გვლანძღა, სულ დოყლაპიები და ბედოვლათები გვეძახა.

— იმდენი მოსაზრებაც არა გაქვთ, — გვეუბნებოდა შეფი, — რომ გამოქცეული ენუქიძე მატარებლით არ შემოვიდოდა მთავარ სადგურში. სადმე ქალაქის გარეთ ჩამოხტებოდა და ისე შემოიპარებოდა ქალაქში. აკი გეუბნებოდით, თქვენზე ჭკვიანები ისინი არიან-მეთქი.

შეფი მართალს ამბობდა, ეს ვეღარ მოვიფიქრეთ.

ჩემი ჯაშუშები დავატრიალე და რასაც მივაღწიე, ერთადერთი ის იყო, რომ ენუქიძის ბაქოში ყოფნა დავაზუსტე, მეტი ვერაფერი. ვერც ერთმა ჩემმა ჯაშუშმა ვერ მიაგნო მის ადგილსამყოფელს.

შეფი ბობოქრობდა, მთელ თავის რისხვას მე მატეხავდა თავზე. ბოლოს დამიბარა და მითხრა:

— როტმისტრო, ენუქიძე თითქმის ორი თვეა ბაქოში იმყოფება და მის ასავალ-დასავალს ვერ მიაგენით. გაძლევთ ერთი კვირის ვადას, ან მიაგნებთ მის კვალს, ან სამსახურიდან გადადგებით.

კარგად ვიცოდი, მინკევიჩს ხუმრობა არ უყვარდა, თუ იტყოდა, კიდეც შეასრულებდა, ასე დაითხოვა სამსახურიდან როტმისტრი გრიგორიევი და ეჭვი არ იყო, მეც მის ბედს გავიზიარებდი. ამიტომ გველის ფხაში უნდა გავმძვრალიყავი და რამე მეღონა. ჯაშუში ისაევი დავიბარე და ყველაფერი ავუხსენი, თანაც ოქროს მთებს შევპირდი, ოღონდ იმარჯვე-მეთქი. ისაევმა კავშირი გააბა რსდმპ ბაქოს ორგანიზაციის წევრთან ვინმე ეფიმოვთან და იმისაგან შეიტყო, რომ აბელ ენუქიძე ბაქოს კომიტეტის მიერ არჩეული იყო ჰელსინგფორსის კონფერენციის დელეგატად და ხუთ ნოემბერს იგი ბაქოდან პეტერბურგში მიემგზავრება, საიდანაც უცხოეთში გააგრძელებდა გზას. ეს ამბავი ისაევმა წინა დღეს მაცნობა და ჯერ ამის თაობაზე მინკევიჩმა არაფერი იცოდა. და აი, ზუსტად ერთი კვირის თავზე გამომიძახა.

გული საგულეში მქონდა და თამამად გავწიე შეფისაკენ, კარიც თამამად შევაღე. მაგიდასთან იჯდა და ისე შემომხედა, თითქოს ჩემს თვალებში უნდა ამოეკითხა, მქონდა თუ არა მასთან მისასვლელი პირი.

— დაბრძანდი, როტმისტრო, — სკამზე მიმითითა, მერე თვალებში ჯიქურ შემომხედა და დინჯი ხმით მითხრა,— ისე გატყობ, რაღაც ახალი უნდა იცოდე ენუქიძის თაობაზე. ერთი კვირა უკვე გავიდა, როტმისტრო.

ფეხზე წამოვდექი, რომ ყველაფერი მომეხსენებინა, მაგრამ ხელით მანიშნა, დაჯექი და ისე მომახსენეო.

— თქვენო აღმატებულებავ, აგენტურამ ეს-ეს არის შემატყობინა, რომ აბელ ენუქიძე ხუთ ნოემბერს პეტერბურგში მიდის, რათა იქიდან ჰელსინგფორსში გაემგზავროს კონფერენციაზე.

— კონფერენციაზე? — გაოცდა შეფი.

— დიახ, თქვენო აღმატებულებავ. ბაქოს კომიტეტი აგზავნის ამ კონფერენციაზე მონაწილეობისათვის.

შეფმა შუბლზე ხელი მიიდო და სიცილი აუვარდა. ვერ(
კი მივხვდი, რათ იცინოდა. მერე სავარძელზე გადაწვა და სი
ცილითვე განაგრძო:

— ღმერთო დიდებულო, რას არ გაიგონებს კაცი. ბაქო
კომიტეტმა კონფერენციაზე მიავლინა დეკნილი დამნაშავე ან
ელ ენუქიძე... ხე, ხე, ხე, როტმისტრო, თქვენისთანების ხელ
ში კეთილს არაფერს უნდა მოელოდეს სახელმწიფო. სასაცი
ლოა, სატირალი რომ არ იყოს! — მერე სიცილი უცებ შეწყვი
ტა და მკაცრად მკითხა: — ეგ ცნობა ზუსტია?

— ზუსტი გახლავთ, თქვენო აღმატებულებავ!

— მერე, რას აპირებთ, გაცილებას არ მოუწყობთ, როტ
მისტრო? — ისევ სიცილი აუვარდა.

— ხუთ ნოემბერს მატარებელზე დავაპატიმრებთ, თქვენი
აღმატებულებავ.

მინკევიჩი ჩაფიქრდა, პაპიროსის კოლოფი გახსნა, ურწ
მუნოდ ამოიოხრა და, როგორც სჩვეოდა, დინჯად მო
მიგო.

— ვალტერ, კმარა ხუმრობა, — მკაცრად მომიგო, — კიდე
დააზუსტეთ ეგ ცნობა და ყველანაირად ეცადეთ, დააპატიმ
როთ. გარდა ამისა, ახლავე შეადგინეთ ტექსტი, ვაცნობო
პეტერბურგის ჟანდარმერიას, როდის მიემგზავრება დამნაშა
ვე, რომ იმათ მაინც დააპატიმრონ. ტექსტში ზუსტად აღნიშ
ნეთ მთელი მისი გარეგნობა.

— ეს რაღა საჭიროა, თქვენო აღმატებულებავ? — და მა
შინვე ენაზე ვიკბინე.

შეფმა მრისხანედ შემომხედა და კბილებში გამოსცრა:

— ეს იმიტომ არის საჭირო, როტმისტრო, რომ ადვილ
მოსალოდნელია თქვენნაირ ბედოვლათებს ხელიდან გაუსხლ
ტეს დამნაშავე.

— გასაგებია, თქვენო აღმატებულებავ — ძლივსღა წავი
ბურტყუნე ნირწამხდარმა და კაბინეტიდან გამოვედი.

„თქვენნაირ ბედოვლათებს ხელიდან გაუსხლტეს დამნა
შავე".—ყურებში მედგა შეფის ეს სიტყვები და ბრაზი მომ
დიოდა.

ხუთი ნოემბრისთვის ყველაფერი ვიღონე, რათა შეფის
ვარაუდი არ გამართლებულიყო. ვაგზლის ხელმძღვანელობ
წინასწარ გავაფრთხილე, ჩვენი ნებართვის გარეშე არ გაეშ

ვა მატარებელი, ჯაშუშები სამი საათით ადრე გავგზავნე ვაგზალში, ხოლო ორი საათის შემდეგ ხუთი გადაცმული კაცით მეც უკან მივყე.

და მაინც ის მოხდა, რაც არ უნდა მომხდარიყო. ენუქიძე ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერ გავიგეთ. ამაოდ დარბოდნენ ვაგონიდან ვაგონში ენაგადმოგდებული ჯაშუშები, ამაოდ დავჩხრიკეთ ყველა ვაგონი, ენუქიძე არსად ჩანდა. ექვი არ იყო, ან წინა დღით გაემგზავრა ან მეორე დღეს მიემგზავრებოდა. სიკვდილი მერჩია ახლა შეფთან გამოცხადებას, რა გაუძლებდა იმის რისხვას, მაგრამ მოულოდნელი რამ მოხდა. ეს ამბავი რომ ვაუწყე, კი არ განრისხდა, სავარძელზე გადაესვენა და ლამის სიცილით გაიგუდა მამაძაღლი, სული ძლივს მოითქვა და მითხრა:

— ბედოვლათებო, აკი გითხარით, ასე მოხდება-მეთქი, ვაი, ჩვენი იმპერიის ბრალი თქვენს ხელში... — მერე შუბლზე ხელი დაიდო და ისევ სიცილი ატეხა.

სასწრაფოდ ვაცნობეთ პეტერბურგის ჟანდარმერიას ეს ამბავი და თანაც ენუქიძის გარეგნობა ზუსტად აღვუწერეთ.

ერთი კვირის შემდეგ პეტერბურგის ჟანდარმერიამ გვაცნობა: აბელ სოფრომის ძე ენუქიძე ვაგზალზევე დავაპატიმრეთ და „კრესტში" ჩავსვითო.

„კრესტი" პეტერბურგში ის იყო, რაც ბაქოში ბაილოვი.

და მეც მხოლოდ ამ ცნობამ მიხსნა შეფის რისხვისაგან, თორემ ვინ იცის, როგორ წავიდოდა ჩემი სამსახურის საქმე.

3.

დიდი ხნის მგზავრობამ ისე გადაქანცა, ფიქრის თავიც აღარ ჰქონდა და მაინც უნდოდა რაღაცით მოეკლა დრო. გადაწყვიტა გველესიანებისთვის წერილი მიეწერა, ვრცელი წერილი, სადაც ამ ბოლო ორი წლის ამბავს მოუთხრობდა.

„გამარჯობა, ეთერ!

აი, თითქმის ორი წელი ხდება, ერთი წერილიც კი არ გამომიგზავნია არც შენთვის და არც ჩვენებისთვის, საერთოდ არავისთვის. ჩემი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა, ეგებ ცოცხალიც აღარ გგონივართ, თუმცა სიკვდილს გრძელი ფეხები

აქვს და ასე რომ ყოფილიყო, თქვენამდე მალე მოაღწევდა ხმა.

ნუ მკითხავ, რატომ არ გწერდი წერილს, ან შენ, ან სხვას ჩემიანს. ამაზე პასუხის გაცემა, ძაანაც რომ მინდოდეს, არ შემიძლია. ყველა შინაური თუ ახლობელი მახსენდებოდით, ზოგჯერ ისე მწარედ მახსენდებოდით, ჩუმად ვიცრემლებოდი, მაგრამ წერილის გამოგზავნის სურვილი ერთხელაც არ გამჩენია. რაც უნდათ, ის იფიქრონ და სადაც უნდათ იქ ვეგონომეთქი. ასე ვსჯიდი. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს თქვენ, შინაურებს, გედოთ ბრალი ასეთი ძირგამწარებული ცხოვრება რომ არსებობს და ასეთი ბედუკუღმართი სიცოცხლე რომ მხვდა წილად. ხომ საკვირველია, აბა, თქვენ რა შუაში ხართ, მაგრამ მაინც ასეთი გრძნობა მქონდა დაუფლებული. ნოემბერში დამაპატიმრეს, შიგ პეტერბურგის ვაგზალში. ციხე „კრესტიდან“ პატარა ბარათიც გამოგიგზავნე მაშინ, თუ მოაღწია შენამდე. რამდენიმე თვეს ვიჯექი ციხეში, ხომ იცი, გადასახლება და საპყრობილე ჩემთვის უცხო ხილი აღარ არის, ჩვეულებრივ ამბად იქცა, ამიტომ შენ აღარც გაგიკვირდება. აქაური ციხე ბევრი არაფრით განსხვავდება ბაქოს საპყრობილესაგან და იქ ისე ვგრძნობდი თავს, თითქოს ჩემს ძველ ნაცნობ ბაილოვში ვიჯექი. ოღონდ ცოტა ხანს გამიჭირდა, ვიდრე წიგნის კითხვის ნებას მომცემდნენ. „კრესტში“ ხუთი თვე გავატარე, ამ ხნის მანძილზე ბევრი წიგნი წავიკითხე, რაღა თქმა უნდა, ისეთი, რისი წაკითხვის ნებასაც მაძლევდნენ. უმეტესი მხატვრული ლიტერატურა.

გაზაფხულზე არხანგელსკში გადასახლება მომისაჯეს თავისუფალი წესით.

შენ ვერ წარმოიდგენ, ეთერ, იქაურ სილამაზეს. ენით არ აიწერება. ხომ ხედავ, როგორ ზრუნავს ჟანდერმერია ჩემზე. ბაქოსა და პიტერში ჩემი ყოფნა არ უნდათ, ალბათ იციან, რომ ერთგანაც მწყინს ჰაერი და მეორეგანაც. ჩრდილოეთის ჰავამ ჩემს ჯანმრთელობაზე კარგად იმოქმედა, თითქოს სრულიად გამოვჯანსაღდი, მაგრამ მიუხედავად ამ ყველაფრისა, იქ რა გამაძლებინებდა, ისევ ბაქოსკენ მომიწევდა გული, იქ, სადაც ჩემი ცხოვრებისა და ბრძოლის მიზანი მეგულებოდა. ყველაზე მეტად იმას ვწუხდი, რომ ჰელისნგფორსში ვერ ჩა-

ვაღწიე კონფერენციაზე. ორი თვის შემდეგ, როგორც იყო, მოვახერხე და არხანგელსკიდან გამოვიქეცი. მე, ჩემო ეთერ, აღარ მიკვირს ის ტანჯვა და წამება, რაც გზაში გამოვცადე, ამასაც შევეგუე. წვრილად ვერ აგიწერ ყველაფერს, ბევრი ხეტიალი, ბევრი შიმშილი, ბევრი შიში, ბევრი დამცირება გადავიტანე, მაგრამ ამ ყველაფერს არაფრად ჩავაგდებდი, ბაქომდე რომ მომეღწია. გზაში დამიჭირეს, ქალაქ ვოლოგდაში და ახლა ონეჟის მხარეში გადამასახლეს. ვოლოგდაში ცოტა ხანს მამყოფეს, ვიდრე ბაქოს ჟანდარმერიასთან გააბამდენ მიმოწერას. მას შემდეგ ონეჟის მაზრაში ვიმყოფებოდი. აკი გითხარი, ჟანდარმერია ჩემზე ძალიან ზრუნავს-მეთქი, სილამაზე იქ იყო, თუ იყო. ონეჟი თეთრი ზღვის პირას მდებარეობს, არხანგელსკიდან არცთუ შორს, ირგვლივ ტბები და მდინარეები, უსიერი ტყეებია. ზაფხულში იქ ყოფნას არაფერი სჯობია. წადი, საითაც გული გაგიწევს, გინდა ტყეში ისეირნე და სოკოები კრიფე, გინდა მდინარეზე ითევზავე. მდნარეები იქ ბევრია. ერთი სიტყვით, თუ ამ ცხოვრებაში არც რაიმე გაწუხებს და არც რაიმე მიზანი გაქვს, იყავი იქ არხეინად, განსაკუთრებით კი ზაფხულში. ზამთარი ცოტა მოსაწყენია, ყველაფერი თეთრად იფარება, მაგრამ აქ ზამთარსაც აქვს თავისებური სილამაზე. ზამთარში ვიყავ ჩემს ქოხში ჩაკეტილი და ვკითხულობდი, ხანდახან სანადიროთაც წამიყვანდნენ ხოლმე ამ მხარეში ჩემსავით გადმოსახლებულები.

და მაინც, ჩემო კარგო, ვერაფერი ახარებდა ჩემს გულს. ვერც აქაური დიდებული ბუნება და ვერც აქ გაცნობილი ჩემს ბედში მყოფი პოლიტიკური დამნაშავენი, ვისთანაც საუკეთესო მეგობრობა დავამყარე. პირველ ხანებში იმის იმედი მასულდგმულებდა, როგორმე გავიქცევი-მეთქი, მაგრამ როცა დავრწმუნდი, რომ გამოქცევა ყოვლად შეუძლებელი იყო, შევურიგდი ბედს, თუ ამას შერიგება ჰქვია. ჩემს გულს აღარაფერი ახარებდა, ერთთავად შინაურები მესიზმრებოდით, გავიტანჯე, გავწამდი კაცი და რატომღაც ისე გავჯიუტდი, ერთი წერილიც კი არავისთან გავგზავნე.

ეთერ, ბაქოდან ალბათ ცოტა ხნით მაინც მომიწევს თბილისში ჩამოსვლა და, რაღა თქმა უნდა, გზადაც რომ გამოვიარო, თქვენთან უეჭველად მოვალ, თუმცა ვიცი, დედაშენს გულზე არ ვახატივარ, მით უმეტეს მას შემდეგ, ბოლო საუბარი რომ გვქონდა,

ბაქოში როგორც კი ჩავალ, ჩემს ზუსტ მისამართს მაშინ-ვე გაცნობებ.

მომიკითხე ყველა — ლუბა, ნადია, დედაშენი...

როგორც კი რომელიმე სადგურში გაჩერდება მატარებელი, ჩავალ და ამ წერილს ფოსტაში ჩავაგდებ.

ნახვამდის. თქვენი მეგობარი ა ბ ე ლ ი,

14. X. 1910 წელი",

აბელმა წერილის წერა მოათავა და როგორღაც შვება იგრძნო. თითქოს ყველაფერი ამოთქვა, რაც დღემდე გულში ჰქონდა დაგუბებული. ამ კმაყოფილების გრძნობამ დიდხანს არ გასტანა. ცოტა ხანში უკვე ეჭვი შეეპარა, ღირს თუ არა ამ წერილის გაგზავნაო. ზედმეტ წუწუნად მოეჩვენა. ეგებ სჯობდეს უბრალო ორიოდე სიტყვით აცნობოს ეთერს თავისი ამბავი?

ამ ჭოჭმანში იყო, როცა მატარებელი მიხაილოვის სადგურში გაჩერდა.

აბელი სხვა მგზავრებთან ერთად ვაგონიდან ჩამოვიდა. სადგური პატარა, მაგრამ ხალხმრავალი იყო. იქით გაეშურა, სადაც საფოსტო განყოფილება იმყოფებოდა და ერთხელ კიდევ ჩაფიქრდა, გაეგზავნა წერილი თუ არა.

„არ არის საჭირო", — გადაწყვიტა ბოლოს და თვალი მოჰკრა ღია ბარათებს, ხანდაზმული ჭაღარა ქალი რომ ჰყიდდა.

„აი, ვიყიდი ამ ბარათს და ორიოდე სიტყვას მივწერ, მორჩა და გათავდა".

წერილი დაუდევრად დაჭმუჭნა, გულის ჯიბეში ჩაიდო და ბარათების გამყიდველ ქალს მიუახლოვდა.

დახლზე დაწყობილი ბარათებიდან ერთმა მოსტაცა თვალი. იმ ბარათზე ნამდვილი რუსული ზამთარი იყო გამოსახული, ხელში აიღო და ყურადღებით დააკვირდა. ხშირი, მაღალი ტყე თოვლს დაეფარა. ტყის სიღრმეში პატარა ქოხი მოჩანდა. ტყეში მოხუცი და დედაბერი მიდიან, სწორედ ამ პატარა ქოხისკენ მიიჩქარიან. ორივენი ძლივს მიიკვლევენ გზას, ქარი აბრუნებთ უკან. ეტყობა, სუნთქვა უჭირთ და ქარს პირისახეს არიდებენ. უკან ძაღლი მიჰყვებათ, მარჯვედ და მკვირცხლად მიდის.

აბელს ერთი წუთით ამ მოხუცების ბედ-იღბალი გადაე-

დო, თითქოს იმათ ადგილას თვითონ იყო და ის ცივი ქარი ძვალ-რბილში ატანდა. მაგრამ აგერ ახლალა შეამჩნია, რომ იმ პატარა ქოხიდან კვამლი იზლაზნება. ამ სიცივესა და ქარბუქში ის კვამლი იმედივით ამობრწყინდა და გათოშილი სამყარო ერთბაშად გაათბო. რა ბედნიერები იქნებიან ეს მოხუცები, როცა ამ პატარა ქოხს მიაღწევენ, საიდანაც კვამლი ამოდის და შვებით ამოისუნთქავენ, ბებერ ძვლებს გაითბობენ. ასეთ ქოხში ცხოვრობდა აბელიც. შიგ ორი ღუმელი ედგა, შეშა უხვად ჰქონდა და ნავთი. გაახურებდა ორივე ღუმელს და ლამპის შუქზე წიგნის კითხვით ათევდა ღამეს. გარეთ კი ქარი წუოდა ან ხვავრიელად თოვდა.

ამ ნახატმა რა ცოცხლად და ნათლად წარმოუდგინა ყველაფერი.

ქალს ბარათი გამოართვა, საფოსტო განყოფილებაში შევიდა და ბარათის მეორე მხარეს რამდენიმე სიტყვა დაწერა:

„ეთერ, ამ ბარათს გზიდან ვგზავნი. მივემგზავრები ბაქოში. კარგად ვარ, თუ ჩემნაირ ცხოვრებას კარგად ყოფნა ჰქვია. რამდენიმე დღეში ბაქოდან ჩემს ზუსტ მისამართს გაცნობებ. მომიკითხე ყველა, დანარჩენს მერე მოგწერ.

ა ბ ე ლ ი.

14. X. 1910 წ.

თბილისის მისამართი მიაწერა და საფოსტო ყუთში ჩაუშვა. ის გრძელი წერილი კი არც გახსენებია, რადგან საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ მისი გაგზავნა საჭირო აღარ იყო.

4.

— დიდი ხნით ჩამოხვედი თუ ისევ ცოტა ხნით გამოგვეცხადე? — ჰკითხა ნადიამ, როცა პირველმა სიხარულმა და მღელვარებამ გაიარა.

— ცოტა ხნით, ჩემო ნადია. რას იზამ, ასეა ჩემი ცხოვრება აწყობილი და ეთერს გადახედა. ის ხმას არ იღებდა, აშკარად ეტყობოდა, ნაწყენი და გაბუტული იყო.

„გამხდარა და განაზებულა, ძველებურად ამაყი ალარ არის“ — გაიფიქრა აბელმა.

— სად არიან ქალბატონი მარიამი და ქალიშვილები? — იკითხა სტუმარმა, რომ უხერხული სიჩუმე გაეფანტა, თორემ გუნებაში უხაროდა კიდეც, რომ მარიამი შინ არ დახვდა.

— ბაზარში წავიდნენ, მალე მოვლენ. — უპასუხა ნადიამ.

ისევ დუმილი ჩამოვარდა, აბელი ქვეშ-ქვეშ, ღიმილით უყურებდა გაბუტულ ქალიშვილს და არ იცოდა, რა ეთქვა, რით მოეგო მისი გული.

— მშვენიერი დღეა, ხომ არ გაგვევლო სადმე?

— თქვენ გაიარეთ, მე სახლს მოვუვლი, — მაშინვე გამოეპასუხა ნადია, მან მარჯვედ აუღო ალღო იმ დაძაბულ ურთიერთობას, რაც ახლა ქალ-ვაჟს შორის იყო.

აბელი იძულებული გახდა, უფრო თამამად მოქცეულიყო. ეთერს შეხედა და უთხრა:

— ცოტა ხანს გავისეირნოთ, სალაპარაკო მაქვს შენთან.

აბელის მოულოდნელად ეთერი უხმოდ წამოდგა და რაღაც ორ წუთში უკვე მზად იყო.

როცა აბელს საგარეო ტანსაცმელში გამოწყობილი ეთერი გვერდით მიჰყვებოდა, როცა უფრო დაკვირვებით აკვირდებოდა მის გარეგნობას, სიარულს, თანდათან რწმუნდებოდა, რომ საგრძნობლად იყო შეცვლილი და გადასხვაფერებული, აღარ ჰქონდა ის რეტდამსხმელი გარეგნობა, ერთბაშად რომ გეცემა და სახტად დაგარჩენს. გველესიანი აჩრდილიღა იყო ძველი გარეგნობისა. რა მოხდა, ნუთუ ამ შვიდიოდე წელმა თავისი კვალი დაამჩნია მას? ქალიშვილი თითქოს ფიქრს მიუხვდაო, რაღაცნაირი, მწყრალი თვალებით შეხედა ვაჟს და სევდიანად უთხრა:

— რათ მიყურებ ასე, შენც მატყობ, რომ შევიცვალე, არა? იქნებ აღარ მოგწონვარ?

უცებ მოხეთქილმა სინანულმა გული ატკინა აბელს:

— არც კი გრცხვენია, აბა, ეგ რა თქვი!

ტრამვაიმ ჩამოიარა. აბელმა ქალიშვილი წინ გაატარა. ვაგონში არცთუ ბევრი ხალხი იყო. მაშინვე იგრძნეს ცნობისმოყვარეთა აშკარა და დაუფარავი მზერა, მაგრამ არც აბელ და არც ქალიშვილი ამას ყურადღებას აღარ აქცევდნენ.

— მე უკვე ეჭვი მღრღნის და გარდა ამისა, დედაჩემის საყვედურების გაძლება აღარ შემიძლია. — ხმადაბლა უთხრა ქალიშვილმა.

აბელმა ამოიხვნეშა, მხარზე ნაზად დაადო ხელი და სევდიანად უთხრა:

— ვიცი, ჩემო ეთერ, აკი მწერდი კიდეც მაგ ამბავზე, მაგრამ ცოტა ხანს უნდა მოითმინო. მე მინდა შენ ჩემი მძიმე ცხოვრება არ გაიზიარო და იმიტომ გეუბნები ამას. დამერწმუნე, ცოტა ხანიც და ჩვენ ბედნიერები ვიქნებით, ოღონდ ცოტა ხანს კიდევ მოითმინე.

დიდუბის ბაღში ხალხის ტევა არ იყო. სადღაც საჭიდაო მუსიკას უკრავდნენ, აბელს გაახსენდა ის დრო, როცა აქ ჭიდაობას დაესწრო, როცა პირველად ნახა ცნობილი ფალავანი ჟულა გლდანელი და პირველად გაავრცელა პროკლამაციები. მაშინ მოულოდნელად ვიღაცამ ჩაავლო ხელი, მოიხედა და ეთერ გველესიანი შერჩა ხელში.

— ეთერ, გახსოვს, აქ რომ შემხვდი და თქვენთან სახლში წამიყვანე?

— ნეტავ იმ დროს! — ამოიოხრა ქალმა.

— ვითომ რათა?

ქალიშვილმა მხრები აიჩეჩა.

— მაშინ ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი და ჩემი მომავალი იცი, როგორ წარმომედგინა? ფერად-ფერადად გაკაშკაშებული. თურმე როგორ იმსხვრევა ბავშვური ოცნებები. მაშინ რომ ალალბედზე არ გადაგყოდი, ვინ იცის, ჩემი ცხოვრება სულ სხვანაირად წასულიყო.

— ბედს ემდური?

ეთერს არაფერი უპასუხია. თავჩაღუნული მიჰყვებოდა გვერდზე.

— ვიცი, რომ ბედს ემდური. ვერაფერი სიხარული ვერ მოგანიჭე, რადგან ჩემი ცხოვრება სულ მუდამ აწეწილია, მაგრამ ეგებ დადგეს დრო და ბედთან სამდურავი აღარაფერი გქონდეს?

ქალიშვილს უნდოდა ეთქვა, ამ მოლოდინმა ორივე დაგვაბერაო, მაგრამ თავი შეიკავა და ესღა უთხრა:

— მოდი, აბელ, მაგაზე ნულარ ვილაპარაკებთ. ვიცი, მალე გაბრუნდები თბილისიდან და ვიდრე აქა ხარ, მინდა შენთან სიახლოვით დავტკბე. ჯანდაბას ყველაფერი, ვინც ანაფორა ჩაიცვა, ბოლომდე უნდა წიროს.

— აი, ეს მესმის! — მხიარულად თქვა აბელმა, ქალიშვილი თავისკენ მიიზიდა და აკოცა.

და კვლავ იგრძნო ის მძაფრი გამაბრუებელი სურნელი, პირველი კოცნის დროს რომ განიცადა.

შუადღისხანს დაბრუნდნენ დიდუბის ბაღიდან. მიუხედავად ხვეწნა-მუდარისა, აბელი შინ არ შეჰყოლია; ერთი, რომ ვანო ბოლქვაძის ნახვას ესწრაფოდა და მეორეც, ეთერის დედასთან შეხვედრა მაინცდამაინც არ სიამოვნებდა. დათქვეს, საღამოს ისევ ალექსანდრეს ბაღში შეხვედროდნენ. აბელი დაემშვიდობა და უკან გამობრუნდა. ვანო ბოლქვაძის სახლისაკენ მიმავალმა ერთი გაიფიქრა, ნეტავ შინ დამიხვდება თუ არაო და ისევ გველესიანს დაუბრუნდა ფიქრით. არა, მას აღარ ჰქონდა ის თავბრუდამხვევი გარეგნობა, იგი აჩრდილიღა იყო ძველი სილამაზისა. ეს შთაბეჭდილება უნდოდა როგორმე მოეცილებინა, უნდოდა იმაზე აღარ ეფიქრა, მაგრამ ამ არასასურველ ფიქრს თავიდან ვერ იცილებდა.

პატარა აღმართი აიარა და საპნის ქუჩაზე გავიდა. ესეც ნაცნობი ჩიხი და ნაცნობი, პატარა ეზო. ჭიშკარი როგორც კი შეაღო, მაშინვე დაინახა ეზოში გამოსული ვანო, ბარით რომ რაღაცას თხრიდა. ჭიშკრის ხმაურზე ბარის ტარს დაეყრდნო, მოიხედა, მერე თვალებგაბრწყინებულმა ბარი იქვე მიაგდო და სტუმრისაკენ გამოქანდა.

— აბელი ხარ თუ მეჩვენება. დედუ! ვისა ხედავს ჩემი თვალები, ბოლქვაძე მოულოდნელი სიხარულისაგან მთლად დაბნეულიყო. მეგობარს ეხვეოდა და ერთსა და იგივეს ეკითხებოდა: როგორა ხარ და სადა ხარო.

ადრეული გაზაფხულის მზე უკვე გადაწვერილიყო, ნიავი უბერავდა და ატმის ყვავილებს მიწაზე აფენდა.

— თავად შენ რასა იქ ვანო, შენ?

— ცოცხალი ვარ, სტამბაში ვმუშაობ ისევ, სამსონი იყო ერთი თვის წინ ჩამოსული აქ და მან მითხრა, ენუქიძე ბაქოშიაო. მიამბე, სად იყავი, რას აკეთებდი. რამდენი წელია აღარ მინახიხარ, ოთხი თუ ხუთი, რაც პეტერბურგში დავცილდით ერთმანეთს.

— ეხ, — ამოიოხრა აბელმა, — ეგ შორს წაგვიყვანს. ახლა კომიტეტის დავალებით ვარ ჩამოსული, ხვალვე უნდა მოვეთათბიროთ ამხანაგებს და თქვენი დაბეჭდილი ლიტე-

რატურა წავიღო. ამ ბოლო დროს აღარაფერს გვიგზავნით.

— რა დროს ლიტერატურაა, მაგასე მერე ვილაპარაკოთ, თუ ძმა ხარ.

— ხვალ ან ზეგ უკან უნდა გავბრუნდე.

ბოლქვაძე მოიღუშა.

— თუ ღმერთი გწამს ნუ ჩამიმწარებ ამ საღამოს. მაგაზე მერე ვილაპარაკოთ და საქმესაც მერე შევუდგეთ. მითხარი სად იყავი, რა ამბავია ბაქოში. ჯერ არ მოსულხარ და უკვე გაქცევაზე გიჭირავს თვალი.

— რას იზამ ვანო, ასეა ჩემი ბედი აწყობილი. სუთი წელია ჩვენები არ მინახავს, ათასში ერთხელ წერილს თუ გავუგზავნი და შევატყობინებ, ცოცხალი ვარ-მეთქი. ეგეც იმიტომ, რომ არ იფიქრონ, ვაითუ მოკლესო.

— შენ ის მითხარი, ამაღამ ხომ ჩემი სტუმარი ხარ?

— უსათუოდ.

— აღარსადა ხარ წასასვლელი?

აპელი დაიბნა და წამოწითლდა.

— ცოტა ხნით გავალ, ერთს უნდა შევხვდე.

— აჰა, გასაგებია. შუაღამემდე აღარ მოხვალ.

— არა, მალე დავბრუნდები, დაღლილი ვარ, დასვენება მინდა.

— ვერსადაც ვერ წახვალ. მოიყვანე ისიც აქ, აგერ დავსხდეთ და ვილაპარაკოთ, ჩემთან რა გაქვს დასამალი?

— სხვათა შორის ეგეც შეიძლება. კარგი აზრია.

5.

ბაქო. 20. VI. 1911 წ.

„გამარჯობა ეთერ! ბოდიშს ვიხდი, წერილი რომ დაგიგვიანე, მაგრამ რას იზამ. წერილის გამოუგზავნელობას მთლად მოუცლელობას ვერ დავაბრალებ, შენი თქმისა არ იყოს.

ძალიან მწყინს ლუბას დასუსტება. კარგი იქნება თუ სადმე აგარაკს უშოვნით. იწერები, აქ ძალიან დიდი სიცხეაო. სიცხე აქ უნდა ნახო, ჩრდილოეთის ქარი უბერავს და მტვრის ნისლში ხვევს მთელ არემარეს. ბაქოში პირველად როდი ვატარებ ზაფხულს. მაგრამ წელს ძალიან შევწუხდი. ეტყობა,

ჩრდილოეთის ჰავის შემდეგ გამიჭირდა ასე. ამ გაგანია სიცხეში ხშირად მაგონდება როგორც რაჭის მთები, ასევე ჩრდილოეთის ანკარა ტბები, იქაური ზღვები თუ უსასრულო ტყეები. ალბათ, შარშან სწორედ ამ დროს, რომელიმე ტბაზე ვნაოსნობდი და კოლო თუ შემაწუხებდა თორემ, მზე იქ სულ სანატრელია.

ეთერ, შეიძლება მარიამობის თვეში მაინც მოვახერხო ათი ღღით განთავისუფლება და მაქეთ ჩამოვიარო. რაღა თქმა უნდა, ჩვეულებრივ, მოვალ თქვენთან. მიუხედავად იმისა, დედათქვენს ესიამოვნება თუ არა. ჩემიანები მომენატრენ. ამ ზაფხულს რომ ვერ მოვახერხო იმათი ნახვა. შეიძლება გავგიჟდე.

მწერ, ციხეში გვეგონეო. მე ციხეში მარტო თქვენ როდი გეგონეთ, ვისაც კი წერილი დავუგვიანე, ყველა ამას მწერდა. ციხეში გვეგონეო. კაცმა რომ თქვას, ამაში არცა ხართ ძალიან შემცდარი, ციხეში ჯდომა ჩვეულებად მაქვს გადაქცეული.

ეთერ, ამ სიცხემ სულ გამომატვინა. ვმუშაობ რვიდან ორ საათამდე, მაგრამ აქ ექვს საათიან მუშაობას ჩვენში მამლის ყივილიდან მზის ჩასვლამდე თოხნა მირჩევნია.

მიმიკითხე დედაშენი, ნადია, ლუბა, კატო, თამარა".

16. IX. 1911 წ.

„ეთერ! ერთი კვირის შემდეგ ორი თვე გახდება, რაც თქვენი პირველი წერილი მივიღე და რაზედაც უსათუოდ მალე და ვრცლად უნდა მეპასუხა. ბოდიშს ვიხდი პასუხის დაგვიანებისთვის. გჯეროდეთ, რომ ჩემი განზრახვა და სურვილი წინააღმდეგი იყო ამისა. ასე თუ ისე, სრული იმედი მაქვს, ამ გარემოებას არ გაიხდით უკმაყოფილების საბაბად, გადავალ პირდაპირ თქვენს წერილზე და ვეცდები მოკლედ გაგცეთ პასუხი. დავიწყებ თავიდან:

ყოველ მგრძნობიარე და მოაზროვნე ადამიანს სიხარულიც ახლავს და მწუხარებაც. გარესამყაროსადმი გულგრილობა, ჩემის აზრით, გონების სისუსტეს ნიშნავს. თუ კაცი თვალყურს ადევნებს ცხოვრებას, ადამიანთა ურთიერთობას ან თავის მოქმედებას, არ შეიძლება გულგრილი იყოს ყოველივე იმის მი-

მართ, რასაც კერძო ან საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეამჩნევს. და რაკი ცხოვრებაში ბევრი კარგიც ხდება და ბევრი ბოროტებაც, ადამიანის გუნება-განწყობილებაც ამის მიხედვით იცვლება. თანამედროვე საზოგადოება ბევრ ბოროტებას მოიცავს. უმთავრესი ბოროტება დღევანდელი წეს-წყობილებისა იმაში გამოიხატება, რომ ხალხის უმრავლესობა, ეკონომიურად და პოლიტიკურად დაჩაგრულია. ეს დიდი ბოროტებაა და იგი დღევანდელი წეს-წყობილების მკვიდრი შვილია. ბურჟუაზიული წყობა წარმოშობს თავის დამმარხველ წეს-წყობილებას, რასაც სოციალიზმი ეწოდება. ეს ლიტონი სიტყვები როდია, ეთერო. ეს ჩემი ძირითადი რწმენაა, რაც წლობით შევიძინე და იგი ისე მტკიცედ გაჯდა ჩემს არსებაში, რომ ცხოვრების ვერც ერთი ვაივაგლახი ვერ შემიცვლის მას. აი, ეს რწმენა მაძლევს იმ სიმტკიცეს, იმ სიხარულს, რასაც თქვენ მეკითხებით წერილში და რომელზედაც, როგორც თქვენ მწერთ, ძალიან შემნატრით. ნუ იფიქრებთ, რომ ეს რწმენა თავის სანუგეშებლად მჭირდებოდეს, ან ამით ვამაყობდე. პირიქით... შემდეგ მეკითხებით: „ნუთუ კმაყოფილი ბრძანდებით მაგნაირი ცხოვრებითო?" ამაზე, თუ გახსოვს, ადრეც ვისაუბრეთ და ახლაც იმასვე გიპასუხებთ: არა ვარ კმაყოფილი ჩემი კერძო ცხოვრებით, ბევრი რამ მაკლია, მაგრამ ჩემს ცხოვრებას როდი ვამყარებ პირად კმაყოფილებაზე. ამით ის მინდა ვთქვა, რომ ადამიანის უმთავრეს დანიშნულებად მიმაჩნია არა თავის კეთილდღეობაზე ზრუნვა, არამედ საზოგადო მოღვაწეობა. ეჰ, ეთერ, დაივიწყე ჩემი ამდენი ხნის დუმილი და შემირიგდი. ველი წერილს. მე კარგად ვარ. თუ მალე ჩამოვედი, ზოგი მერე ვილაპარაკოთ, მომიკითხე ყველა. ნახვამდის.

თქვენი მეგობარი ა ბ ე ლ ი".

ამ წერილის გაგზავნიდან ზუსტად ორი კვირის შემდეგ მოულოდნელი ამბავი დატრიალდა. შაბათ დღეს აბელი ორ საათზე გავიდა სახლიდან. ფეხით გაჰყვა მალაკნის ქუჩას. შენობის კედლებზე თვალი მოჰკრა ახლადგაკრულ აფიშებს. აფიშები იუწყებოდნენ, ბაქოში ჩამოსულია თბილისელი ფალავანი კულა გლდანელი და საჭიდაოდ იწვევს ყველა აქაურ ფალავანს, ვისაც კი სურვილი ექნება გლდანელს შეხვდესო.

კულა გლდანელი!.. აბელს გაახსენდა დიდუბის ბაღი, „იტალიის ბაღს“ რომ ეძახდნენ თბილისში. გაახსენდა ბაქოელი ფალავანი ალთი აილუღი და ქართველი ფალავანი თედო ლილოელი. იქ ნახა მაშინ პირველად კულა გლდანელი. მაშინ ის ოცდაორი წლის თუ იქნებოდა. მას შემდეგ თორმეტი თუ ცამეტი წელი გავიდა და აი, დღეს, ოცდათხუთმეტი წლის კაცი, კიდევ ჭიდაობს, თანაც რჩეულ ფალავნებს იწვევს.

ნეტავ რამდენ ხანს დარჩება ბაქოში კულა გლდანელი? დღეს რომ სხდომაზე არ იყოს წასასვლელი, უსათუოდ დაესწრებოდა კულას ჭიდაობას.

აბელი აფიშას მიუახლოვდა და წაიკითხა, რომ ცირკში კულა ჭიდაობას გამართავდა შაბათ საღამოთი და კვირას ნაშუადღევს. მაშასადამე, აბელი ხვალ უსათუოდ დაესწრება ჭიდაობას, ხომ არ გაიაროს ახლავე და აიღოს ბილეთი? მაგრამ არა, ბარემ მივა საღამოს კრებაზე. ნახავს მეგობრებს და ალბათ ისინიც წამოვლენ. სტეფანე შაუმიანი, გიორგი ძაგნიძე და იასონ ხოხაშვილი ჭიდაობის გიჟები არიან. იასონი თვითონაც ჭიდაობდა ახალგაზრდობაში. კულა გლდანელის ჩამოსვლას რომ გაიგებენ, რას არ წამოვლენ.

ქალაქში ნაცნობი არავინ შეხვედრია. ისე იყიალა საღამომდე. საღამოს კი კლუბ „ნაუკასკენ“ გასწია, სადაც სხდომა იყო დანიშნული.

დღეს ბორის აბრამის ძე გინზბურგი, ან როგორც მას ეძახიან, ბერ აბრამოვი კითხულობდა ლექციას მიმდინარე პოლიტიკაზე.

ლექციის დაწყებამდე აბელმა აცნობა ძაგნიძეს, კულა გლდანელია საჭიდაოდ ჩამოსული და ხვალ უნდა დავესწროთო, მაგრამ როგორც გამოირკვა, ძაგნიძეს უკვე სცოდნოდა კულას ჩამოსვლა, ბილეთიც უკვე აეღო ხვალისთვის, ხოლო ხონაშვილი საერთოდ არა ჩანდა კრებაზე, ეტყობა, იმ საღამოსვე წავიდა ცირკში, ჭიდაობაზე.

საღამოს რვა საათზე სხდომა დაიწყო. კომიტეტის წევრთაგან უმეტესობა მოსულიყო კრებაზე.

სხდომა კლუბში ჩვეულებრივ მიმდინარეობდა, როცა ბაქოს ჟანდარმერიის სამმართველოს შენობიდან სამი კარეტა დაიძრა. ჟანდარმები კლუბ „ნაუკასკენ“ იჩქაროდნენ. კარეტები კლუბის შენობასთან შეჩერდნენ. ჟანდარმები სწრაფად

გადმოხტნენ, ცალი ხელით გვერდზე დაკიდებულ იარაღს იმაგრებდნენ და ისე შერბოდნენ კლუბის შენობაში. კლუბის დარბაზში ხალხი აჩოჩქოლდა, მომხსენებელმა ლაპარაკი შეწყვიტა და გაფითრდა.

— ადგილიდან არავინ დაიძრას! — დაიძახა ვიღაცამ ჟანდარმებიდან.

ორატორი მკვდარივით ჩამოვიდა ტრიბუნიდან.

ჟანდარმები სათითაოდ ჩხრეკდნენ ყველას.

„ხვალ ჭიდაობაზე ვაპირებდი წასვლას, — ფიქრობდა აბელი, — კაცი ფიქრობდა, ღმერთი იცინოდაო, განა ტყუილად არის ნათქვამი. ნეტავ ვინ გაგვცა?!“

— სახელმწიფოსა და იმპერატორის სახელით გიცხადებთ, ყველანი დაპატიმრებულები ხართ! სოკოლოვ, — მიუბრუნდა ჟანდარმთა მეთაური სოკოლოვს, — დაპატიმრებულებს შენ მიხედავ. ჩვენ კი დანარჩენებს ბინაზე დავაპატიმრებთ.

იმ დღეს კომიტეტის დანარჩენი წევრებიც, ვინც სხდომაზე არ მოვიდნენ, საკუთარ სახლებში დააპატიმრეს, ხოლო აქ დაპატიმრებულთა ბინები სასწრაფოდ გაჩხრიკეს.

ოპერაცია იმ ღამითვე დამთავრდა.

30. X. 1911 წ.

„ეთერ, უკვე ერთი თვეა დამიჭირეს. დროს წიგნების კითხვით ვკლავ. ფიზიკურად კარგად ვარ. მომწერე წერილი ასეთი მისამართით: ბაქო. ცენტრალური საპყრობილე. პოლიტიკურ პატიმარს აბელ ენუქიძეს“.

20. I. 1911 წ.

„ციხეში ჯდომა თითქმის ჩვეულებად გამიხდა, იგი ალარაფრად მიმაჩნია. როგორც იყო დამკითხეს, ახალ ბრალდებას ვერაფერს მიყენებენ, გარდა იმისა, რომ ვმუშაობდი მუშათა პარტიის სოციალ-დემოკრატიულ ბაქოს კომიტეტში და ვიყავი მისი წევრი. ალბათ მალე მომისჯიან, ჩვეულებრივ გამაძევებენ ბაქოდან, მაგრამ საით, არ ვიცი“.

25. XII. 1911 წ.

„დღეს ჩემი დაბადების დღეა და ციხეში ვზივარ. ოცდათოთხმეტი წლისა გავხდი.

გუშინ მივიღე თქვენი წერილი. შენა მწერ, ვიმედოვნებ, მალე გაგანთავისუფლებენო. ამაზე ვერაფერს გიპასუხებ, რა ვიცი, რას მომისჯიან, ამჯერად საით მიზამენ პირს. რაც ციხეში ვარ, ბევრი მწერლის წიგნი ხელახლა გადავიკითხე და ბევრი რამ სხვაგვარად გადავაფასე.

* *

რამდენიმე თვის შემდეგ ბაქოს საგუბერნიო ჟანდარმერიის სამმართველომ ასეთი დადგენილება გამოიტანა:

ДАДГЕНИЛЕБА № 1396

1912 წლის 12 მარტს ქ. ბაქოს საგუბერნიო ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსმა პოლკოვნიკმა მინკევიჩმა გადავსინჯე და გამოვიკვლიე, პოლიტიკურად თუ რამდენად საიმედონი არიან სახელმწიფოსთვის შემდეგი პირები: 1. ბორის აბრამის ძე გინზბურგი, 2. აბელ სოფრომის ძე ენუქიძე, 3. სტეფანე გიორგის ძე შაუმიანი. ყველა ზემოთ ჩამოთვლილნი ეჭვმიტანილნი იყვნენ, რომ რსდმპ ბაქოს ორგანიზაციაში ირიცხებოდნენ. ბაქოს უშიშროების განყოფილების უფროსის განკარგულებით შარშან 28—29 სექტემბერს ლიკვიდირებულ იქნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ადგილობრივი პარტია. მოსკოვში დააპატიმრეს რსდმპ დელეგატი, ვისაც გაჩხრეკვისას ჩამოერთვა ვიღაც უცნობი „სერგოს“ მიერ გადაცემული სია, აგრეთვე ბაქოში მცხოვრები მირონ ეფიმოვის, სტეფან გრიგორიევის და სხვათა მისამართები. ჩხრეკვისა და დაპატიმრების ადგილად ავირჩიეთ კლუბი „ნაუკა“, სადაც მიმდინარეობდა კრება. ზემოთ ჩამოთვლილი პირნი ზოგი ადგილზე დავიჭირეთ და გავჩხრიკეთ, ზოგიც საკუთარ ბინაზე. ბაქოს უშიშროების განყოფილების მიერ მოკვლეული მასალებიდან ყველა ზემოთხსენებული პირი სახელმწიფოსათვის საშიშროებას წარმოადგენს, რადგან პოლიტიკურად არასაიმედონი არიან და მონაწილეობენ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში. გირდგენთ თითოეული მათგანის პიიროვნულ მონაცემებს.

1. გინზბურგი ბერ აბრამოვი, 48 წლის, იუდეური სარწმუ-

ნოების, ცოლიანი, გზათა საუწყებო ინჟინერი. ცხოვრობს ბაქოში 1908 წლიდან. ბაქოს უშიიშროების განყოფილების დამოწმებით გინზბურგი ცნობილია, როგორც სოციალ-დემოკრატი. იგი ატარებდა „კოლცოვის“ ფსევდონიმს. ადრე „ისკრაში“ აქვეყნებდა სტატიებს, ხოლო შემდეგში გაზეთი „ნაშა ზარია“ და სხვა პარტიული ჟურნალები აქვეყნებდნენ მის სტატიებს. პარტიული ლიტერატორი-თეორიტიკოსი კითხულობდა ლექციებს კლუბ „ნაუკაში“. კავკასიის უშიშროების განყოფილების უფროსის დამოწმებით აბრამ გინზბურგი მონაწილეობდა რსდმპ პარტიის ყრილობაში, რომელიც გაიმართა 1903 წელს ივლისსა და აგვისტოში ქ. ბრიუსელში. 1904 წლის 2 ნოემბერს, ღამით, გინზბურგი გაჩხრიკეს და დააპატიმრეს.

2. აბელ სოფრომის ძე ენუქიძე. 34 წლის. მართლმადიდებელი. ქუთაისის გუბერნიის გლეხი, სოფელი წკადისი. უცოლო, ტექნიკოს-მხაზველი. კავკასიის უშიშროების განყოფილების უწყებით იგი, ენუქიძე, ბაქოს ქარხანა „ელექტრიჩესკაია სილას“ თანამშრომელი, 1902 წლის 21 აპრილს დააპატიმრეს ბაქოში მომხდარი დემონსტრაციის თაობაზე. შემდეგ ენუქიძე იმავე წლის ორ სექტემბერს ხელახლად გაჩხრიკეს, ისევ დააპატიმრეს და ჩასვეს ბაქოს საპყრობილეში, იქიდან კი გადაიყვანეს თბილისის მეტეხის ციხეში. 1903 წლის 23 ივლისს თბილისის სასამართლო პალატის პროკურორმა დაამთავრა დაკითხვა. 1907 წლის 2 ივნისს გამოუტანეს პოლიციის ზედამხედველობით არხანგელსკში სამი წლით გადასახლების განაჩენი, მაგრამ ენუქიძე ამ სამი წლის მანძილზე სადღაც გაქრა. მისი ძებნა გრძელდებოდა 1909 წლის აგვისტომდე.

1909 წლიდან, როგორც ამას კავკასიის რაიონის უშიშროების განყოფილების აგენტურა გვიდასტურებს, ენუქიძე კვლავ ირიცხება რსდმპ ბაქოს კომიტეტის წევრად. იგივე განყოფილების დამოწმებით 1910 წლის თებერვალს იგი ბაქოს ორგანიზაციამ აირჩია სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის წევრობის კანდიდატად. ბაქოს უშიშროების განყოფილების უფროსის ცნობით, ენუქიძე შედის გაზეთ „სოვრემენნაია ჟიზნის“ რედაქციის შემადგენლობაში, ეს გაზეთი ბაქოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლეგალური ორგანოა. აპრილის თვეში იგი მონაწილეობს ბალა-

ხანში გამართულ რსდმპ ბაქოს კომიტეტის თათბირში. მაისში ბაქოს ორგანიზაციამ ენუქიძე აირჩია დეპუტატად სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ კონფერენციაზე, რომელიც უნდა გამართულიყო სანკტ-პეტერბურგში.

1911 წლის 6 აგვისტოს ენუქიძე მონაწილეობს რსდმპ ბაქოს აღმასრულებელი კომიტეტის თათბირში, ბალახანში რომ შედგა. ბაქოს საგუბერნიო ჟანდარმერიის სამმართველოს ცნობით მოსკოვში დაპატიმრებულ ცაპლინს ჩამოერთვა შემდეგი მისამართი: ბაქო. ბალახანის ქ. № 5. „სერგო". ამ მისამართს რა კავშირი აქვს აბელ ენუქიძესთან, ან ვინ არის „სერგო", ჩვენთვის გაურკვეველია (სახელი, მამის სახელი და გვარი უცნობია). იგი მივლინებულია ბაქოში, როგორც საორგანიზაციო კომისიის წარმომადგენელი. გარდა ამისა აბელ ენუქიძეს ბინაში ჩხრეკვისას ჩამოერთვა ერთიდაიგივე დასახელების თითო ეგზემპლარი ბროშურებისა.

3. სტეფანე გიორგის ძე შაუმიანი. 31 წლის. სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოებისა. ქ. თბილისის მოქალაქე...

ყოველივე ამის საფუძველზე ჩემი განზრახვა იქნებოდა თითეულ ქვემოთ მოყვანილ პირზე შემდეგი:

1. ბორის აბრამის ძე გინზბურგს — გადასახლება კავკასიის ფარგლებიდან ხუთი წლით.

2. აბელ სოფრომის ძე ენუქიძეს და სტეფან გრიგორის ძე შაუმიანს მიესაჯოთ რუსეთის ერთ-ერთ შორეულ გუბერნიაში გადასახლება ხუთი წლით პოლიციის ზედამხედველობით.

ამით დავასრულე მიწერილობა და დავადგინე ეს საბუთი. რაც შეეხება სახელმწიფო უშიშროების საქმეს, გავუგზავნოთ ბაქოს საქალაქო მმართველობას განსასჯელად.

ბაქოს საგუბერნიო ჟანდარმერიის სამმართველოს

უფროსი პოლკოვნიკი მ ი ნ კ ე ვ ი ჩ ი"

ქალაქის მმართველობას მინკევიჩის მიერ შეთავაზებული განაჩენი რატომღაც მხედველობაში არ მიუღია და დამნაშავენი უფრო იოლად დაუსჯია. შორეულში ხუთი წლით გადასახლების ნაცვლად აბელ ენუქიძე ორი წლით გააძევეს ბაქოს ფარგლებიდან.

ბაქო, 6. VIII. 1912 წ.

„ხვალ დილით გავდივარ. გავდივარ რაღაც მწარე წინათგრძნობით. თითქოს სამუდამოდ ვემშვიდობები ქვეყნიერებას. ასეთი შიში არასოდეს მქონია. იქნებ სიბერე შემეპარა, ნაადრევი სიბერე და ამიტომ? გული ტანჯვით მეკუმშება. როგორ მინდა ახლა შენს ახლოს ვიყო, შენს სუნთქვას ვგრძნობდე, მაგრამ ეს ისევე შეუძლებელია, როგორც ცისა და მიწის შეერთება. ნეტავ ჩვენი ბოლო შეხვედრა გედის სიმღერა ხომ არ იყო?

რა ძნელია უთვისტომობა, რა ძნელია, როცა არ იცი, რას გიმზადებს ხვალინდელი დღე. შენ ერთადერთი არსება ხარ ქვეყანაზე, ვისაც ჩემი უბედურება გულს ატკენს. როგორ მინდა ამ ძნელ ჟამს ჩემთან იყო, სხვა არავინ, მარტო შენ მინდა ჩემს ახლოს იყო“.

8. VIII. 1912 წ.

„ძვირფასო ეთერ! გუშინ როგორც იყო დავაღწიე თავი ამ შეჩვენებულებს. ეს მოხდა ქალაქ განჯაში, საიდანაც ამ ორიოდე სიტყვას გწერ. რამდენიმე დღის შემდეგ წამოვალ აქედან. ცოტა ხნით რაჭაში ვაპირებ წასვლას. რასაკვირველია თქვენი უნახავი არ დავრჩები. ამიტომ თუ მანდვე ხარ, ან ყვირილაში, მომწერე მოკლე წერილი. თბილისში როცა ვიქნები, თქვენსას მოვალ, ველი წერილს. ჩემი მისამართი: ელიზავედსკოე. ილჟინსკაია 9. ტირეხოვი“.

17. VIII. 1912 წ.

„ძვირფასო ეთერ, დღეს დილით განჯიდან მოვდივარ № 3 მატარებლით, საიდანაც ამ ღია ბარათს გწერ. თბილისში ვიქნები ხვალ (8 აგვისტოს, ოთხშაბათს), ვაპირებ, მესამე ნომრითვე გამოვიდე ქუთაისისკენ, იმედია, დამხვდებით. თუ ოთხშაბათს არა, ხუთშაბათს მაინც უსიკვდილოდ ვიქნები. ბილეთს პირდაპირ ვიღებ. ვწუხვარ, რომ ათი-ხუთმეტი წუთით ვნახავთ ერთმანეთს“.

თბილისიდან გამოსული მესამე ნომერი მატარებელი ცხრამეტ აგვისტოს, საღამოს შვიდ საათზე ყვირილის სადგურს

უახლოვდებოდა. მგზავრებს დაღლილობა ემჩნეოდათ, ერთ-ფეროვანი ცხოვრებით მოწყენილები, რასაც მგზავრობის დროს განიცდიდნენ და კიდევ აგვისტოს სიცხისაგან დაოსებულები, უხმოდ ისხდნენ ვაგონებში.

როგორც კი იგრძნო აბელმა, მატარებელი ყვირილის სადგურს უახლოვდებაო, ვაგონიდან გავიდა და კართან გაჩერდა, უნდოდა დროზე ჩასულიყო მატარებლიდან, რომ თუნდაც ერთი წუთი მოეგო, ერთი წუთით გაეხანგრძლივებინა სასურველ არსებასთან ყოფნა.

როცა მატარებელი ბაქანზე შევიდა, აბელმა თვალები გააფაციცა, დამხვდურებში გველესიანს ეძებდა. მატარებელმა ყვირილის სადგურს მიაკივლა და უფრო და უფრო უკლო სვლას. აბელმა უცებ მოჰკრა თვალი ნაცნობ, ახლობელ ადამიანს. იგი ცალი ხელით შავ, გრძელ თმას ისწორებდა და თან გაფაციცებით ათვალიერებდა ვაგონებს. აბელს გულიდან ლამის კივილი აღმოხდა, მაგრამ მხოლოდ ხელიღა ასწია და ანიშნა, აქეთ წამოდიო. მაგრამ მიხვდა, რომ ქალიშვილი მას ვერ ხედავდა და მომდევნო ვაგონებს ათვალიერებდა.

აბელმა კარი გამოაღო, ვაგონის კიბიდან ჩახტა და უკან გამოჰყვა ვაგონებს. სიჩქარეში ვიღაცას მხრით დაეჯახა და ბოდიშის მოხდაც ვერ მოახერხა.

— ეთერ! — დაუძახა, როცა მიუახლოვდა.

ქალიშვილი შემობრუნდა და მაშინვე აბელის მკლავებში აღმოჩნდა.

— როგორ ხარ, ძვირფასო, რა კარგია, რომ დამხვდი, ვშიშობდი, ვაითუ წერილმა ვერ მიუსწროს და ვერ დამხვდეს-მეთქი. როგორ მეწყინებოდა, რომ არ დამხვედროდი.

— შენ რა, ისევ ამ მატარებელს მიჰყვები მართლა?

— სამწუხაროდ ასეა, საყვარელო.

— ასეა, ასეა... — სევდიანად გამოაჯავრა ქალიშვილმა,— სულ ერთთავად გეჩქარება, ყველაფრისათვის იცლი, ჩემთვის კი ვერა. გამოქცეული ხარ?

აბელმა თავი დაუქნია და უხმოდ ჩახედა უძირო, სევდიან თვალებში.

— მერე, არ გეშინია? — ისეთი ხმით ჰკითხა ქალიშვილმა, რომ ეტყობოდა, ამ წუთში უკვე ებრალებოდა იგი და თვითონაც ნანობდა, საყვედური რათ ვუთხარიო.

— აღარ მეშინია, ციხესაც მივეჩვიე და გადასახლებასაც,

ეთერი ხარბად, თითქოს მუშტრის თვალით ათვალიერებდა მის გარეგნობას, პირისახეს, თმას. მერე სუსტი, თეთრი ხელი თმაზე გადაუსვა და ხმადაბლა, ალერსით უთხრა:

— ჭაღარა მოგმატებია... ოჰ, როგორ მეცოდები, შენც და ჩემი თავიც.

— საყვედურების დრო არ არის, ჩემო კარგო, ათი წუთი დაგვრჩა, მითხარი, როგორ ხარ, როგორ ისვენებ? თქვენებიც აქ არიან თუ მარტო ისვენებ?

— ყველანი აქ ვიყავით და ეს ერთი კვირაა წავიდნენ. მე და ლუბა დავრჩით.

— თბილისში საშინელი სიცხეა. ორი საათი გავჩერდით ვაგზალზე და ლამის სული შემეხუთა. ოჰ, რა კარგია ახლა რაჭა, ნეტავ შენც მოდიოდე რაჭაში.

— მითხარი, რას აპირებ, როგორ წავა ახლა შენი ცხოვრება? როდემდე უნდა დაიმალო?

ეს იყო კითხვა, რისაც აბელს ყველაზე მეტად ეშინოდა და რასაც ყველაზე მეტად გაურბოდა. იგი უსიამოვნოდ შეიშმუშნა და მოიწყინა, თითქოს მიყუჩებული ტკივილი გაუახლდაო.

— არ ვიცი, ჩემო კარგო. ცოტა ხანს რაჭაში გავჩერდები და მერე ალბათ როსტოვში წავალ. თუ მოვახერხე, ეგებ პიტერშიაც წავიდე. პიტერი ძალიან მიზიდავს. სიამოვნებით ვიცხოვრებდი იქ.

სადგურზე პირველ ზარს ჩამოჰკრეს. აბელმა მატარებლისაკენ გაიხედა, მერე ეთერს მკლავზე მოჰკიდა ხელი და თავისი ვაგონის კიბესთან მიიყვანა.

— რაჭიდან რომ დაბრუნდები, არა მნახავ?

— აუცილებლად, ძვირფასო, აუცილებლად გნახავ. თბილისში როდის წახვალ?

— ორ დღეში წავალ.

— ჩემი დიდი მოკითხვა თქვენებს. ლუბას გადაეცი, წერილები ხშირად მოიწეროს. ამ ბოლო დროს აღარ მწერდა. მერე იცი, ციხეში წერილი რას ნიშნავს? თითო წერილი თითო სიცოცხლის ფასია.

ზარმა ორჯერ ზედიზედ ჩამოჰკრა და მატარებელი შეინძრა.

— ნუთუ თხუთმეტი წუთი უკვე გავიდა? — სასოწარკვეთით იკითხა ქალიშვილმა და ამოიოხრა, — ოჰ, ღმერთო ჩემო, სიზმარში მგონია თავი. ასე უეცარი შეხვედრა რა არის!

— არა უშავ რა. მოვა დრო და სულ ერთად ვიქნებით, საყვარელო. მაშინ სადაც გვინდა, იქ ვიცხოვრებთ, თუნდა თბილისში, თუნდა პიტერში.

მატარებელი ნელა-ნელა დაიძრა. ბაქანზე მდგომნი კიბეებს შეახტნენ. აბელმა თავისკენ მიიზიდა ქალიშვილი, აკოცა და იგრძნო, რომ ღაწვები სველი ჰქონდა.

— შენ რა, სტირიხარ?

— წადი, ჩქარა წადი!

— კარგად იყავი, მაპატიე, რომ ასე ხანმოკლედ შეგხვდი.

ორი ნახტომით დაეწია მატარებელს, კიბეზე შეხტა და ზედ შემდგარმა გადმოხედა ეთერს. იგი შეცბუნებული ჩანდა, ტანი ოდნავ წინ გადმოეხარა, თითქოს ძვირფასი ნივთი ქარმა გასტაცა და ხელებით უნდა მისწვდესო. თვალებში ცრემლი და იმოდენა სევდა ედგა, ქვეყნიერებას დაიტევდა შიგ.

მის შემხედვარე აბელს უცებ მოუზღვავდა განშორების სინანული, უცებ მოუზღვავდა და გადათელა. მატარებელი კი თანდათან უმატებდა სვლას, კივილით ეთხოვებოდა უკან მოტოვებულ სადგურს. მალე აღარც ბაქანი ჩანდა და აღარც ბაქანზე დარჩენილი ხალხი. ყველაფერი მართლა სიზმარს ჰგავდა.

...ღამის პირველ საათზე მიაკივლა მატარებელმა ტყიბულის სადგურს. დიდებული ღამე იყო, ცა ვარსკვლავებით მოჭედილი, ნავახშმი ვეება მთვარე ზედ მთის წვერზე დამჯდარიყო და აბელს ისე ეჩვენებოდა, ხელით მივწვდებიო.

გრილი ღამე, მთვარით გაკაშკაშებული გზა და მეტი რაღა უნდა მგზავრს, ვისაც წინ გრძელი გზა უდევს.

აბელს ჩემოდნის ტარება არ უყვარდა, თუ რამ ჰქონდა, ზურგჩანთაში ჩაილაგებდა ხოლმე სალდათივით. ზურგჩანთა სატარებლად იოლი იყო. ახლაც ცოტა-ცოტა საჩუქრები შინაურებისთვის და რამდენიმე წიგნი, გზაში რომ იყიდა, ყველაფერი ზურგჩანთაში ეწყო. ტყიბულის სადგურიდან გზა მოკლეზე გადასჭრა და ნაქერალასკენ აიღო გეზი.

ყოველივეს ეძინა, მიწასაც და ცასაც, მხოლოდ უკან, სადგურისკენ, ჯერ კიდევ ისმოდა მატარებლიდან ჩამოსული მგზა-

ვრების ხმაური, მერე ესეც მისწყდა და აბელი სრულ მყუდროებას შეერია. წინ იყო მთვარით განათებული გზა, ალაგ ტყვიანი, ალაგ მოტიტვლებული გორები. ეს გზა ზამთარში საშიშია, შესაძლოა ქარიშხალი ამოვარდეს და თოვლმა მიგნამქროს ან მშიერი ნადირის ლუკმა გახდე. ზაფხულში ნადირი იშვიათად შეგეფეთება, მაგრამ უამისობა მაინც არ არის გამორიცხული, მით უფრო ღამე, როცა კაცი მარტო მიდის. აბელმა უნებურად მოუჭირა ხელი რევოლვერს და იმ წუთიდან, როგორც კი რკინის სიცივე და სიმყარე იგრძნო, ნადირზე ფიქრიც გაუქრა გონებიდან.

მთვარე მაღლა და მაღლა იწევს, თითქოს თანდათან პატარავდება, მაგრამ სიკაშკაშე უფრო ემატება. არემარე ისე ქათქათებს, თოვლიან ზამთარში რომ იცის ხოლმე. შორს უკვე გამოჩნდნენ რაჭის მთების ლანდები. ჰაერი თანდათან შეიცვალა, დაიწმინდა, უკვე იგრძნობოდა მთის სამყარო. აღმოსავლეთით, სადღაც ცის სიღრმეში, მოახლოვებული დღის ნათელი კიაფობდა, ეს გახლდათ ნიშანი იმისა, რომ ღამე უკვე ტყდებოდა.

როცა აბელმა ხოტევს მიაღწია, გათენების მაცნე ნიავმაც დაუბერა. აღმოსავლეთი გადაიწმინდა და მზის წინამორბედი ცისკარიც დაბრძანდა თავის საბრძანებელზე.

აბელი შეჩერდა და გულაძგერებულმა გადახედა სოფელს, აი, შეიძლება ითქვას, რომ ის უკვე თავის სახლშია. მდუმარედ გადასჩერებოდა მამისეულ პატარა სახლს, ნაცნობ კარმიდამოს.

ახლა მივა აბელი და ააფორიაქებს თავისიანებს, დროებით მიძინებულ ტკივილს გაუღვიძებს, რამდენიმე დღით გაახარებს, ვიდრე პოლიცია შეიტყობს მის აქ ყოფნას და მერე ისევ უღვთოდ მიატოვებს, სასოწარკვეთილებს დატოვებს. ეგებ სჯობდა, სულაც არ წამოსულიყო რაჭაში?

უცაბედად დაბადებულმა ამ აზრმა ფეხები გაუკავა, შეაყოყმანა. ღირდა თუ არ ღირდა რაჭაში წამოსვლა?

ყორეზე ჩამომჯდარი სევდიანად გადაჰყურებდა თავის სახლს. ნეტავ შეიძლებოდეს ჩუმად მივიდეს, დახედოს თავის დედ-მამას, ძმას, ნახოს როგორ არიან, როგორც ცხოვრობენ და ასევე ჩუმად გამობრუნდეს. რა სიხარულით მოისწრაფოდა აქეთ და რა უცებ ჩაუქრა ეს სიხარული.

აღმოსავლეთი კი თანდათან ბაცდებოდა, ვარსკვლავებს ფერი ეკარგებოდა, ცოტა ხანიც და სოფელში პირველი ხმები დაირხეოდა.

„რა სულელური აზრი მომდის თავში, — გაიფიქრა — აქ მოსული უკან გაბრუნებას ვნატრობ".

ზანტად წამოდგა და თავის ეზოსკენ დაეშვა. სიმინდის ყანაზე გამავალ ვიწრო ბილიკს გაჰყვა. მხრებით სიმინდის ფოთლებს ედებოდა და ისეთი შრიალით მიდიოდა, ეგონა, მთელ სოფელს გავაღვიძებო. ბილიკმა პირდაპირ თავისი სახლის ჭიშკარს მიაყენა. შეჩერდა, ხარბად ათვალიერებდა ეზოს. ჭიშკართან წამოდგმული სასიმინდე თითქოს გვერდზე გადმოხრილიყო. ეზოში ბალახი მთლად გადაეტრუსა გვალვას. აბელმა ჭიშკარი შეაღო და ამ დროს ძაღლმაც დაიყეფა. სახლის გვერდით დიდი, ჭრელი ნაგაზი გაიზმორა და ნელა-ნელა წამოვიდა მისკენ.

„ოჰო, ამას უყურე, შენ ძმაო, შინაურებს ვერა სცნობ?"— გაიფიქრა აბელმა და ეზოს სიღრმეში შევიდა, ძაღლს არ შეეპუა.

— ცუგრი, რა იყო! — ძაღლს ხმა თუ ეცნაურა, მაშინვე შეჩერდა და გაიტრუნნა.

ძაღლმა კუდი გააქიცინა, აბელს მიუახლოვდა, ფეხებზე დაყნოსა და უცებ წკმუტუნი და საალერსო ყეფა მორთო. ეტყობა, პატრონის ნაცნობი სუნი იგრძნო. ტანის გრეხვით მიუძღოდა წინ, ხანდახან მოხედავდა და ალერსით შეჰყეფდა. როგორც კი ზღურბლზე ფეხი შედგა, მაშინვე გაიგონა მამის აღელვებული ხმა.

— ვიღაცაა, ბარბარე, აბა გაიხედე!

— აბელი შეჩერდა და ჩაახველა.

— ვინა ხარ მანდ?

სტუმარი ხმას არ იღებდა.

— ვინ უნდა იყოს ნეტავ ამ დილაადრიანად? — ეს უკვე ბარბარეს ხმა იყო.

აბელმა ვეღარ მოითმინა და ხმადაბლა გამოეპასუხა:

— შინაური ვარ, გააღეთ კარი.

ორიოდე წამს უცნაური სიჩუმე ჩამოვარდა, მერე ლოცვასავით გაისმა დედის ხმა.

— ღმერთო, მეჩვენება თუ ცხადია?

ცოლაცა მიუახლოვდა კარს, გამოაღო და აბელმა დაინახა მთლად გაჭაღარავებული, სახემოტეხილი ბერიკაცი.

და როგორ გაუკვირდა, როცა ამ ბერიკაცში საკუთარი მამა შეიცნო.

7.

პეტერბურგში, სამსონოვსკაიას ქუჩაზე წითელი აგურის შენობას მიადგა ეტლი.

დეკემბრის კვირა დილა იყო. ქალაქი თოვლს დაეფარა; ყინვას ჭახჭახი გაუდიოდა. თოვლით გადასიპულ ქვაფენილზე ცხენებს ფეხი უსხლტებოდათ და ფორხილობდნენ.

აბელმა მეეტლეს ანგარიში გაუსწორა და ყინვისაგან გათოშილი ფეხები ძლივს გადმოათრია ეტლიდან.

„ბინა მეათე“ — გაიმეორა გუნებაში, ზურგჩანთა მხარზე მოიგდო და კიბეს აჰყვა. ნეტავ შინ მაინც დამხვდეს ტრიფონი, არადა ამ ყინვაში სად წავა, ვის მიადგება კარზე?

მესამე სართულზე ავიდა, ხელმარცხნივ წაბლის ჩუქურთმიან კარებზე ლამაზად ეწერა ციფრი 10. სული მოითქვა და ზარს თითი დააჭირა.

წამის შემდეგ ვიღაც მოუახლოვდა კარს, ცოტა ხანს შეყოვნდა და მერე გააღო. პირველი, რაც აბელმა შენიშნა ნათლად, ეს იყო გაოცებისაგან გაფართოებული, სიხარულით გაბრწყინებული ტრიფონის თვალები.

— აბელ, — შესძახა და გადაეხვია, — საიდან, რა ქარმა გადმოგაგდო!

— აი, ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ! — ღიმილით მიუგო აბელმა, თან პალტოს იხდიდა და გაოცებული ათვალიერებდა მშვენივრად მოწყობილ მოზრდილ ბინას.

— სიზმარია თუ ცხადია, ჰა? — ამბობდა ტრიფონი და ბიძაშვილს თავით ფეხამდე სიყვარულით ათვალიერებდა. —შენ ისევ ისეთი ხარ, არ შეცვლილხარ, ცოტა ჭაღარა კი მოგმატებია. აბა, დავსხდეთ და მომიყევი, რასა იქ, როგორა ხარ, სად იყავი და როგორ მოხვდი აქ. რაჭაში არ ყოფილხარ?

— ვიყავი, — გულგრილად მიუგო აბელმა, — ერთი კვირით ვიყავი ამ ზაფხულს.

— მართლა. ნეტავ ერთი დღით მაინც ჩამიყვანა, ვერ წარ-

მოიდგენ, როგორ მომენატრა იქაურობა. წუხელ ნიკორწმინდის მონასტერი დამესიზმრა, ისეთი ლამაზი იყო, ჟრუანტელი მივლიდა. ალბათ, შენ რომ ჩამოხვედი, მაგაზე ამიცხადდა. აბა, მიამბე ყველაფერი, საიდან გაჩნდი, სად იყავი.

აბელმა თამბაქოს მოუკიდა.

— ამჟამად როსტოვიდან მოვდივარ.

— მანამდე სად იყავი, ბოლო დროს როდის დაგაპატიმრეს, მიამბე ყველაფერი, ნუ გეზარება.

ორი წელი ხდებოდა აბელს ბიძაშვილი არ ენახა. ბოლო დროს ბაქოში ცხოვრობდნენ ორივენი, ტრიფონი რკინიგზის სადგურში მუშაობდა მექანიკოსად. მის ბინაზე აფარებდნენ ხოლმე თავს დევნილი პარტიული მუშაკები. 1911 წელს, ერთი წლით ადრე, ვიდრე აბელს დააპატიმრებდნენ, ტრიფონი ბაქოდან გაასახლეს. მას შემდეგ აღარ უნახავს აბელს ბიძაშვილი...

— შარშან მარტში მთელი ორგანიზაცია დაგვაპატიმრეს. კლუბი „ნაუკა“ ხომ იცი, იქ გვქონდა კრება და თავზე დაგვეცნენ. ახალი დანაშაული ვერაფერი დაგვიმტკიცეს და როსტოვში გადასახლება მომისაჯეს ორი წლით. განჯიდან გავიქეცი და სოფელში ამოვყავი თავი.

აბელი შეჩერდა, სული მოითქვა. ბაპიროსი საფერფლეზე დააჭმუჭნა და ტრიფონს შეხედა. იგი მოუთმენლად ელოდა, როდის გააგრძელებდა საუბარს.

— განჯიდან გამოქცეული ერთი კვირა დავრჩი სოფელში. საშინელი სიცხისაგან შეღონებულს რაჭა სამოთხედ მეჩვენა. იქ გამომაჩნდა მთელი ის ტანჯვა-წამება, რაც გზაში ხეტიალისას გადავიტანე. ძილს ვეღარ ვართმევდი თავს, სულ ერთთავად მეძინა და მეძინა. მაშინ ვიგრძენ, რა ნეტარება ყოფილა თავისუფალი ცხოვრება, მინდოდა, სამიოდე კვირა მაინც დავრჩენილიყავი სოფელში, რომ ცოტა ღონე მომეკრიფა, მაგრამ ეჭვიც არ მეპარებოდა, დღეს თუ ხვალ პოლიცია გაიგებდა ჩემს იქ ყოფნას და რომც არ გაეგო, თავისით მაინც მომაკითხავდა. მამაჩემი შიშით ვეღარაფერს მეკითხებოდა, უხმოდ იკლავდა ბოლმას გულში და ვიდრე იქ ვიყავი, ცდილობდა სიყვარულის ჟინი მოეკლა. ღამღამობით მოვიდოდა ჩემს საწოლთან, ვითომ საბანს გამისწორებდა, სინამდვილეში კი მეფერებოდა.

მარტო სპირიდონმა იცოდა ზუსტად ჩემი ასავალ-დასავალი. მეორე დღესვე, როცა მარტონი დავრჩით, მკითხა: რა გაქვს მისჯილიო. ამჯერად როსტოვში გადასახლება-მეთქი. ალბათ გზიდან გამოიქეცი. რაღა თქმა უნდა-მეთქი. სპირიდონი ჩაფიქრდა და მითხრა: ეჭვი არ არის პირველად აქ მოგაკითხავენო. ამიტომ ალიოშა მიქელაძეს ვთხოვ, წინასწარ შეგვატყობინოს, რომ აქაურობას დროზე გაერიდოო. ალიოშა მიქელაძე და მე ერთად ვსწავლობდით ახალი სენაკის სასწავლებელში. ძმებივით ვიყავით. ახლა ბოქაულია, ადრეც გამიწია სიკეთე, როცა რაჭაში ვიმალებოდი.

ერთი კვირა მშვიდად ვიყავ, ხანდახან მამაჩემს დავყვებოდი სათიბში, ვეხმარებოდი და აი, ზუსტად ერთი კვირის თავზე დილაადრიან მოვიდა სპირიდონი და მითხრა: დღესვე უნდა წახვიდე, ალიოშა მიქელაძემ შემოთვალა, გაგვერიდოს, პოლიცია მოდისო. სპირიდონმა ისიც მირჩია, შენთან წამოვსულიყავ პეტერბურგში, მაგრამ ჯერ როსტოვში წავედი, მაინც იქ მქონდა მისჯილი გადასახლება. მწარე მოგონებად ჩამრჩა ის დღე. მამაჩემი ეზოში ჯირკზე იჯდა, ლოყა ხელისგულზე დაეყრდნო და გაშეშებულიყო. დედაჩემი იცრემლებოდა, თავშლის ბოლოთი იწმენდდა ცრემლს. როგორც კი ჩვენს სახლს გამოვცდი, საშინელი წინათგრძნობა ამეკვიატა — მამაჩემს ცოცხალს ვეღარ ვნახავ-მეთქი. მთელი გზა ამაზე ფიქრმა დამიღრღნა გული და გამაწამა. ჯერ როსტოვში ჩავედი, ორიოდე კვირა, როგორც იყო, გავაჯახირე იქ, მაგრამ დასაყრდენი ვერაფერი ვნახე, მერე გროზნოში ჩავედი. არც იქ დამიდგა გული, ისევ როსტოვში ჩავედი და მერე გადავწყვიტე შენთან წამოვსულიყავი. აი, ეს არის ჩემი მოკლე ისტორია.

— გასაგებია. — თქვა ტრიფონმა, — კარგი მოგიფიქრებია აქ რომ წამოსულხარ. სამუშაოზე მოგაწყობ და იცხოვრე არხეინად.

— სამუშაოზე? სად?

— სადაც მე ვმუშაობ „სიმენსშუკერტის“ ქარხანაში. ხელფასიც კარგია და ბინასაც მოგცემენ. თუ არადა, აქ ვინ გვიშლის ხელს, ვიცხოვროთ ერთად.

— დიდი ხანია რაც მაგ ქარხანაში მუშაობ?

— სამი თვეა, რაც გადასახლებიდან დავბრუნდი. ჯერჯერობით ხმას არვინ მცემს. ერთი რამე მაფიქრებს მარტო. გერ-

მანია ომს ამზადებს, თუ ომი დაიწყო, შეიძლება ყველა, ეგ-
რეთწოდებული „არასაიმედონი“ დაგვაპატიმრონ.

— დაპატიმრება არც შენთვის და არც ჩემთვის ახალი ხი-
ლი არ არის. ომს გერმანია ხვალ და ზეგ ვერ დაიწყებს და თუ
დაიწყო, ეგებ უკეთესიც იყოს რევოლუციის საქმისათვის. მთა-
ვარი ის არის, რომ ცოტა სულს მოვითქვამთ.

მეორე დღეს აბელ ენუქიძე „სიმენსშუკერტის“ ქარხანაში
მიიღეს ტექნიკოსად, კარგი ხელფასიც დაუნიშნეს და მოკლე
ხანში ბინასაც შეპირდნენ.

24. II. 1913 წ.

„ძვირფასო ეთერ! ოთხი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ
ხუთიოდე წუთით ვნახეთ ერთმანეთი, წერილი მალე ვერ მო-
გწერე, დაპირება ვერ შეგისრულე. ალბათ იფიქრე, რომ
ჩვეულებისამებრ ისევ ხიფათს გადავეყარე; ეს ასე არ იყო,
თუმცა უსიამოვნება კი ბევრი გადავიტანე ამ ცოტა ხანში.
ვიყავი გროზნოში, როსტოვში და ეს ორი თვეა, რაც პეტერ-
ბურგში ვარ. კარგ სამუშაოზე მოვეწყე, საქმეც მიზიდავს და
ჯამაგირიც საკმარისი მაქვს.

რომანოვთა სამასი წლის დღესასწაულმა დიდი ზეიმით ჩა-
იარა, ოღონდ ეგ არის, ხალხს ამნისტიის იმედი გაუცრუვდა.
მომწერე თქვენი ოჯახის ამბავი. ველი წერილს“.

10. VIII. 1913 წ.

„გამარჯობა ეთერ!

შენი წერილი მივიღე და ძალიან გავიხარე. რათ დარდობ
და რათ სწუხარ? არ არის საჭირო ყოველ წუთს შავი ფიქ-
რები გიტრიალებდეს თავში, უნდა ეცადო მწუხარება გულში
ჩაკლა. ცხოვრება ისე უნდა მოვაწყოთ, როგორც ჩვენ გვინ-
და, აი, თავი და თავი მიზანი ჩვენი არსებობისა. ნუ გეწყინე-
ბა, ეთერო, შენ სულაც არ ხარ უბედური ადამიანი ანდა თუ
ხარ, იმდენად, რამდენადაც ყოველი ჩვენთაგანი. მაშ რაღად
ემდური ბედს? შენ უყვარხართ და შენ გიყვარს. ტყუილად
როდია ნათქვამი ძველი სიბრძნე „ადამიანის ბედნიერება თვით
მასზეა დამოკიდებულიო“. ეტყობა, მართლაც ასეა. აგერ,
მე უკვე რამდენიმე თვეა პიტერში ვცხოვრობ, მშვენიერი ბი-
ნა, კარგი ჯამაგირი, მეტი რაღა უნდა ისურვოს ადამიანმა, არა?

მაგრამ სულაც არა ვგრძნობ თავს უკეთ ახლა, ვიდრე სხვა დროს, როცა უარეს პირობებში ვიყავი, მაგრამ ვიცოდი, რას ვაკეთებდი. ჩემი ფათერაკიანი ცხოვრების გამო ბევრს შეიძლება უბედური ვეგონე, მაგრამ არა, მე არასოდეს მიგრძვნია თავი უბედურად, რადგან ვიცოდი და ვიცი, რისთვის ვცხოვრობ და ისიც ვიცი, თუ მოვკვდები, რისთვის მოვკვდები. ვაი რწენადაკარგული ადამიანის ბრალი, ვისაც თითქოს ცხოვრებაში არაფერი აკლია, მაგრამ უმიზნოდ ცხოვრობს, არ იცის, რას ემსახურება და რასა სწირავს თავს. ყოველთვის მჯეროდა და მჯერა, რომ იმ ადამიანებზე ბედნიერი მე ვიყავი და ვარ.

არ ვიცი, როდის დამაპატიმრებენ, უკვე დენთის სუნსა ვგრძნობ, ალბათ ომი გარდაუვალია და ამით დასრულდება რუსეთის თვითმპყრობელობის ისტორიაც, თვითმპყრობელობისა, რომელიც უკვე დალპა და გაიხრწნა. გული და სხეული მიგრძნობს, რომ ამ მოკლე ხანში დიდი ამბების მოწმე გავხდებით. ამიტომ მინდა ვიცოცხლო, მინდა ჩემი თვალით ვნახო ის, რასაც მთელი ახალგაზრდობა შევწირე მეც და ათასობით ჩემნაირმა ადამიანმაც. მანამდე კი, ეთერ, ნურც შენ დაგეზარება წერილის მოწერა და არც მე მოგაკლებ ბარათებს.

ველი პასუხს. ჩემი მისამართია: პეტერბურგი. სამსონოვ-

სკაიას ბინა 15. ა. ე ნ უ ქ ი ძ ე."

მეათე რვეული

დიდხანს ვინ გაუხარებია ბედს, რომ მე გავეხარებინე. ჩემნაირი კაცისთვის პეტერბურგული ცხოვრება სანატრელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩემი მოწოდება ბრძოლა იყო და რამდენიმე ხანში უკვე ყელში ამომივიდა, ასე ვთქვათ, ჩემი „თავისუფალი და უხიფათო ცხოვრება".

ერთი რამით ვიიმედებდი თავს, ცოტა ხანს სულს მოვითქვამ-მეთქი და მართლაც ასე მოხდა, დიდხანს ვინ დამაცალა. ეტყობა, ხელისუფლებას დავიწყებული არა ვყავდი. როგორც კი გერმანიასთან ომი გამოცხადდა, მეორე დღესვე „მესტუმრნენ", ვისაც არ ვავიწყდებოდი.

ასეც ვიცოდი. საერთაშორისო ვითარება ძალიან რომ დაიძაბა, ტრიფონმა მითხრა:

— თუ ომი დაიწყო, აბელ, შეიძლება დაგვაპატიმრონ.

ამას მეც მოველოდი, პოლიტიკურად არასაიმედონი ვინც ვიყავით, გარეთ არ დაგვტოვებდნენ, უფრო სწორად ისეთ ადგილას გადაგვასახლებდნენ, სადაც დენთის სუნიც ვერ აღწევდა. ყველა სახელმწიფოს კანონად აქვს ქცეული, ომის დროს უნდობელ ხალხს შორს აძევებენ.

ორი თვე მაყურყუტეს ჩემთვის უკვე კარგად ცნობილ „კრესტის“ ციხეში და წერილების მიმოწერაც კი ამიკრძალეს. არ ვიცი რატომ, ჩემს ბედად ტრიფონი არ დაუპატიმრებიათ. ის იყო ჩემი ჭირისუფალი, კვირაში ერთხელ ახერხებდა ციხეში წერილისა და საჭმლის შემოგზავნას.

ორი თვის მანძილზე იკვლიეს ჩემი წარსული, ყველა ბრალდება თუ დანაშაული წინ გადამიშალეს და ორი წლით გამაციმბირეს.

ციმბირი ისეთი საშინელი სიტყვა იყო, როგორც ჯოჯოხეთი და მეც იმ ქვეყნისაკენ მიმავალი კარგ გუნებაზე ვერ ვიქნებოდი. სამი თვე იზოზინა მატარებელმა, პირველ ხანებში გაქცევაზე მეჭირა თვალი, მაგრამ ვერაფრით ვერ მოვახერხე. მერე კი, როცა მატარებელი უკვე ციმბირის სიღრმეში შევიდა, ამაზე ფიქრიც ზედმეტი იყო, კიდეც რომ გავქცეულიყავ, შუა გზამდე ვერ მივატანდი სულს.

თებერვალში, როგორც იყო, მიადგა ჩვენი მატარებელი ქალაქ კრასნოიარსკს, სადაც უკვე რკინიგზის ხაზი წყდებოდა. იქიდან მარხილებით უნდა გაგვეგრძელებინა გზა და, როცა გავიგე, ექვსასი კილომეტრი კიდევ უნდა გაგვევლო, ყოველგვარი იმედი გადავიწყვიტე. დარწმუნებული ვიყავი, ველარ ავიტანდი ამ ჯოჯოხეთურ ყინვას და სადმე გზაში ამომხდებოდა ეს ტანჯული სული. ჩრდილოეთში სიცივის მეტი რა მენახა, მაგრამ აქაური ყინვა და საშინელი ქარბუქი სულ სხვა იყო.

მეორე დღეს დილით გაგვიყენეს გზას ბადრაგის თანხლებით. ან ბადრაგი რაში სჭირდებოდათ, რომელი ჭკუათამყოფელი გაბედავდა გაქცევას, ან სად დაიმალებოდა ამ ცივ ოკეანეში. თეთრ, გაუთავებელ უდაბნოზე მიჰქროდნენ და მიჰქროდნენ მარხილები, ზოგჯერ ქარი ამოვარდებოდა, თეთრი კო-

რიანტელი ფარავდა ირგვლივ ყოველივეს ისე, რომ ცისა და დედამიწის გარჩევა ჭირდა, მაგრამ ჩვენ მაინც მივდიოდით ვარაუდით და ალღოთი. კიდევ კარგი საფოსტო სადგურები ახლო-ახლოს იყო, იქ ვაფარებდით თავს, სულს იქ ვითქვამდით.

მეხუთე დღეს, როგორც იყო, მივაღწიეთ სოფელ ნაზიმოვსკოეს და როცა იქ ოროთახიან ქოხში დავბინავდი და რუსულ ღუმელში ცეცხლი აგიზგიზდა — კურთხეულ იყოს იმის მომგონი — მაშინ კი ვიფიქრე, მგონი განწირული არა ვყოფილვარ-მეთქი. ისევ დამიბრუნდა სიმხნევე და სიცოცხლის რწმენა.

პირველ ხანებში მტანჯავდა იქაური გაუთავებელი ღამეები, მაგრამ, მოგეხსენებათ, ადამიანი ყველაფერს ეგუება და არც მე ვიყავ გამონაკლისი. მადლი გამჩენს, კითხვის გასაქანი და დრო უხვად მქონდა, უფრო სწორად შემეძლო, რამდენიც მინდოდა, მეკითხა, თუკი წასაკითხი რამე მექნებოდა.

ჩემდაგასაოცრად რუსული ჟურნალ-გაზეთები აქამდეც აღწევდა. ესენი იყო „რეჩ“, „დენ“, „სოვრემენი ჟიზნ“, „სოვრემენი მირ“, „სოვრემენიკი“ და სხვა.

ოროთახიან ქოხში ორი ღუმელი მედგა, ჩვეულებრივი და რუსული ღუმელი. ლამპა კარგი მქონდა და ნავთი ბლომად. მერე და მერე, როცა ღამემ თანდათან იკლო, სანადირო დაც გავივლიდი ხოლმე სხვა პატიმრებთან ერთად. ნადირობა უებარი წამალი იყო ჩემნაირი მოწყენილი ხალხისათვის, მაგრამ ტყვია-წამალი ცოტა ძვირად იშოვებოდა, მსოფლიო ომი ნთქავდა მას.

ხანგრძლივი ზამთარი, როგორც იყო, გავაჯახირე. დადგა ხანმოკლე, მაგრამ საოცარი ზაფხული. მაშინ შევიცან აქაური ბუნების ზღაპრული სილამაზე, თეთრი სუდარა გადაიძრო დედამიწამ, მდინარეებმა თავი აიშვეს, ყვავილებით მოიფინა მინდორ-ველი, ერთი სიტყვით, ყველაფერი გამოცოცხლდა და ამოძრავდა.

ციმბირში მოხვედრილი ყველა ადამიანი ერთ ზნეს იჩენს, როგორც კი გამოზაფხულდება, ცდილობს სეირნობით იჯეროს გული, რადგან იცის, რომ მალე დადგება გრძელი, მომაბეზრებელი ზამთარი და შინ ჩაჰკეტავს, ფეხებზე ბორკილს დაადებს. მეც ვცდილობდი, დავხარბებოდი ზაფხულის დღეებს,

ხან ვნაოსნობდი, ხან ვთევზაობდი, ვსეირნობდი ენისეის წაპირზე, ტყესა თუ მინდორში და ნაირფეროვან ყვავილებში სურნელოვანს ვეძებდი, რაც ესოდენ იშვიათად მოიპოვებოდა ამ მხარეში. მეტადრე ის დღე იყო კარგი, როცა ნიავი ქროდა, მაშინ კოღო-ბუზები ნაკლებად მაღონებდა. გული იმაზე მწყდებოდა, რომ აქ არავითარი კულტურული გართობა არ იყო. ვიღაც ვაჭარს ნავზე ერთი მოშლილი გრამაფონი ედგა და იმას ვუსმენდით ხოლმე ხანდახან.

ზაფხული თვალისდახამხამებაში გარბის აქ. სექტემბრიდან მდინარეები იყინება. ერთადერთი გასართობი ნადირობაღა იყო და იმასაც ველარ ვახერხებდი ტყვია-წამლის უქონლობით.

აგვისტოს მიწურულს მოულოდნელი ამბავი გამოქვეყნდა გაზეთში. შინაგან საქმეთა და სამხედრო სამინისტროების თანხმობით კრასნოიარსკის სამხედრო სამმართველოს ზოგიერთი პატიმარი სამხედრო სამსახურში უნდა გაეწვიათ.

ეს ბრძანება არ მეჭაშნიკა, რადგან სასჯელის მოხდისთანავე პეტერბურგში ვაპირებდი ისევ წასვლას, ჩემს ძველ სამსახურს უნდა დავბრუნებოდი, სადაც, ეჭვი არ მეპარებოდა, სიამოვნებით მიმიღებდნენ და ცოტა ხნით საქართველოში გავმგზავრებულიყავი, მაგრამ მერე, როცა დავფიქრდი, მივხვდი, რომ ჩემი ადგილი სწორედ არმიაში იყო.

როგორც თავიდან იყო ნათქვამი, ნაპატიმრალნი პროპოშჩიკთა სკოლაში უნდა ჩავერიცხეთ, მაგრამ ხელისუფლება პირს გადავიდა, პოლიტიკურად უნდობელთ ოფიცრებად ვერ გაგაგზავნითო. თორმეტი პოლიტიკური პატიმარი სხვადასხვა პოლკში დაგვანაწილეს. მე კრასნოიარსკის მახლობლად ლაგერში მოვხვდი და კანცელარიის მწერლად დამნიშნეს. მთელ ლაგერში მარტო მე მეცვა სამოქალაქო ტანსაცმელი. ყოფილ პოლიტიკურ პატიმარს, აწ კანცელარიის მწერალს დიდი მოწიწებით მექცეოდა ჯარისკაცობა თუ ოფიცრობა, ხანდახან მორიდებით მემასხრებოდნენ, სამოქალაქო ტანსაცმელში გერმანელს ჰგეხარო, ალბათ, ეს ჩემი ქერა თმისა და ცისფერი თვალების ბრალი იყო. რამდენიმე დღის შემდეგ თანამდებობა შემიცვალეს, ციმბირის სათადარიგო მე-14 პოლკის მე-13 როტის ინჟინერ-პროპოშჩიკად დამნიშნეს, ორიოდე დღის შემდეგ კრასნოიარსკში გადმომიყვანეს, სადაც მე-14 პოლკი იყო დაბანაკებული და ჩემს მოვალეობას შევუდექი.

დილის რვა საათიდან ოთხამდე ვმუშაობდი. ყუმბარებს ვამოწმებდი, ვარგისს თავის გზაზე ვგზავნიდი, დაზიანებულებს ვამსხვრევინებდი. ოთხი საათის შემდეგ თავისუფალი კაცი ვიყავი. უქმე დღეებშიც ვისვენებდი, სადაც მინდოდა, იქ წავიდოდი, მაგრამ მეტ წილ დროს კახეთიდან გადმოსახლებულ ტკაჩევთან ვატარებდი. ამ უცხო, შორეულ მხარეში ყველაზე ახლობელ ადამიანად იმას ვთვლიდი, მეგონა, საქართველოს მიწის სუნი ასდიოდა.

ვგრძნობდი, რევოლუცია უკვე ახლოვდებოდა და მოუთმენლად ველოდი მოქმედ არმიაში როდის გამამწესებდნენ. ახლა იქ ვიყავი საჭირო, მეცა და ჩემისთანებიც.

ახალი წლის წინა დღეებში პოლკმა პეტერბურგში მიმავლინა. წერილებიდან ვიცოდი, ტრიფონი ისევ ძველ სამუშაოზე მუშაობდა და რაკი მის უნახავად უკან ვერ გამოვბრუნდებოდი, საჩუქრად ერთი ყუთი ერბო წავუღე. იმ ხანებში ცხოვრება უცებ გაძვირდა ყველგან, მაგრამ ციმბირში, შედარებით იაფი იყო ყველაფერი. გირვანქა ერბო ექვს აბაზად ვიყიდე, დედაქალაქში კი სამი მანეთი ღირდა.

პიტერში ჩასვლისთანავე მოვინახულე ტრიფონი. იმას ვერც კი ავწერ, რაც ჩემს დანახვაზე დაემართა, სიხარულისგან ცრემლი ჩამოსდიოდა, თან იცინოდა თავისივე საქციელზე და მეუბნებოდა.

— კარგ დროს ჩამოხვედი, აქ უკვე რევოლუცია მწიფდება, მორჩა, ახლა კი დარეკა ჟამმა.

მაგრამ როცა გაიგო, ისევ უკან უნდა გავბრუნებულიყავი, მოიწყინა. პეტერბურგში ვერც თეატრში შეევედი, ვერც კონცერტებს დავესწარი, საგანგებო ნებართვა არა მქონდა და ისე, უბრალო ჯარისკაცებს არსად არ უშვებდნენ. რამდენიმე დღეში აფორიაქებული დავბრუნდი უკან, აფორიაქებული იმის გამო, რომ რევოლუცია უკვე მოაბიჯებდა დედაქალაქში.

* * *

— ენუქიძე!

აბელს ძილში ჩაესმა ნაცნობი ხმა. თვალები გაახილა, ამომავალი მზე ფანჯარას მოსდგომოდა და შიგ თვალებში აჭყეტდა.

კარი გაიღო და ტკაჩევი შემოვიდა. მაღალყელიანი რეზინის ჩექმები ეცვა. ზურგზე ჩანთა მოეგდო და იღლიაში ანკესის ტარები ამოეჩარა.

— აბელ სოფრომიჩ, ისევ გძინავს, კაცო?

აბელმა გაიღიმა და თვალები მოიფშვნიტა.

ტკაჩევი უხმოდ მისჩერებოდა სკამზე დახვავებულ წიგნებსა და ჩამქრალ ლამპას.

— ეტყობა, წუხელ დიდხანს კითხულობდი, მწოლიარე რად კითხულობ, იმიტომ გტკივა თვალები. აი, აი, რა ჯიუტი ხარ, კაცო.

— გვიან ჩამეძინა, ალექსი ვასილიჩ, იმიტომ დამათენდა თავს, ხომ არ დავიგვიანეთ?

— რაც ადრე გავალთ, უკეთესია. ჯერჯერობით წყნარი დილაა. მერე შეიძლება ქარი ამოვარდეს. ქარი არ უყვარს თევზს.

— ხუთ წუთში მზად ვარ, ალექსი ვასილიჩ.

ეს ორი კვირაა, რაც ერთბაშად მოვარდა გაზაფხული ენისეის პირზე. ორი კვირის მანძილზე გამდნარ ყინულს მოაქანებდა მდინარე ენისეი, ნელა-ნელა ჩამოიწმინდა ყინულისაგან, სადღაც კარელიის ზღვაში ჩაზიდა ხანგრძლივი მკაცრი ზამთარი და მერე დაწყნარდა, გვირგვინივით დაიდგა თავზე გაზაფხული, ნაირ-ნაირი ყვავილებით მორთო ველ-მინდვრები, ხოლო ტაიგაში უკვე დაიბერნენ, ალაგ-ალაგ კიდეც დასკდნენ ხეთა კვირტები. გუშინ ტკაჩევმა და აბელმა გადაწყვიტეს სათევზაოდ გასულიყვნენ მდინარეზე. ეს იყო პირველი თევზაობა მას შემდეგ, რაც ადრეულად დაზამთრდა და მდინარე გაიყინა. თუმცა იცოდნენ, რომ წყალი ჯერ კიდევ ცივი იყო და თევზი ანკესს იშვიათად მიეტანებოდა, მაგრამ მაინც უნდა ეცადათ ბედი.

ალექსი ტკაჩევი ორი წლის წინათ გადმოსახლდა კრასნოიარსკში. როგორც კი აქ ჩამოვიდა და აბელი გაიცნო, მაშინვე დამტვრეული ქართულით უთხრა:

— შენ საიდან, კაცო?

აბელს გაუკვირდა, რუსეთის ამ შორეულ მხარეში ქართულად რომ დაელაპარაკა რუსი.

— წარმოშობით რაჭველი ვარ, საიდან იცით ქართული?

— საქართველოში ვცხოვრობდი ცოტა ხნით, კახეთში.

მერე და მერე ასეთი ამბავი გამოირკვა. ტკაჩევი სოფელ შილდაში ჩასახლებულიყო ამ ათიოდე წლის წინათ. შვილი და ძირი არ ჰყავდა, ცოლითურთ ცხოვრობდა ნაქირავებ ბი-

ნაში, ფოტოგრაფობით ირჩენდა თურმე თავს. სახლში არაფერი გააჩნდათ, გარდა მდიდარი ბიბლიოთეკისა. ცოლიც და ქმარიც იშვიათი მწიგნობრები იყვნენ, რა გინდოდათ, რომ წაკითხული არა ჰქონოდათ.

— ბოლო დროს საშამ, — უყვებოდა ტკაჩევის ცოლი აბელს, — იქაურ აბრაგებთან გააბა კავშირი. არ ვიცი, საიდან და როგორ, აბრაგებმა პრისტავი მოკლეს, თვითონ ტყეში დაიმალნენ, საშა კი აქ გადმოასახლეს, იმათი თანამზრახველი ხარო. მეც ავდექი და გამოვყე. საშა იქ ხშირად სვამდა და მცემდა ხოლმე. იქაურები კარგად იტანენ სასმელს, ჩემი ქმარი კი ძალიან თვრებოდა. მადლობა ღმერთს, აქ ღვინო და არაყი ძნელად იშოვება.

მართლაცდა, ამ შორეულ მხარეში გუგულებივით ცხოვრობდნენ ცოლ-ქმარი. ცოლს, ანა ნიკოლაევნას, ან საქსოვი ეჭირა ხელში, ან წიგნი. საშა თავის ხელობას აქაც არ ივიწყებდა, ციმბირის დიდებულ ბუნებას იღებდა და ინახავდა სურათებს.

აბელს კარგი ურთიერთობა ჰქონდა ცოლ-ქმართან, ისინი საქართველოსთან იყვნენ ასე თუ ისე დაკავშირებულნი და ამიტომ ახლობელ ადამიანებად მიაჩნდა.

მდინარე ენისეიმდე ათი წუთის სავალი იყო. მთელი ზამთარი აბელს მდინარის ხმაური არ გაუგია, ყინულის ქვეშ უხმოდ მიედინებოდა ენისეი. ამ ორი კვირის მანძილზე კი, რაც ყინული ჩატყდა და მდინარე მარწუხებიდან განთავისუფლდა, მისი ხმაური აქაურობას აყრუებდა.

მთელი ველი ნაირ-ნაირი ყვავილებით მოფენილიყო. შარშან აბელმა ეს ყვავილები პირველად რომ ნახა, სიხარულით ცას ეწია, მაგრამ როგორ ეწყინა, როცა აღმოჩნდა, რომ არცერთ მათგანს სურნელი არ ჰქონდა. ისინი უბრალოდ თვალს ახარებდნენ და მეტი არაფერი. მას შემდეგ ყვავილებს აღარ სწყვეტდა.

— შენ ახალი ამბავი თუ გაიგე? — ჰკითხა აბელს ტკაჩევმა.

— არა, რაო?

— შეიძლება პეტერბურგში გაგზავნონო ჯარისკაცები.

— პეტერბურგში? ვინა თქვა?

— ასეთი ხმა დადის. ეჰ, ნეტავ მეც ჯარისკაცი ვიყო, კაცო.

— შენ რა განაღვლებს, საშა, ერთი წელიც აღარ დაგრჩენია, მერე წახვალ, საითაც გინდა. — უთხრა აბელმა და გაიფიქრა:

„აი, ესეც ახალი ამბავი, ამ ბოლო დროს რაღაც სასიკეთოდ მიდის ჩემი საქმე, მოულოდნელობა და მოულოდნელობა. რას ვიფიქრებდი, როცა ამ გადასაკარგში გადმომასახლეს, რომ ჩემი ცხოვრება ასე შეიცვლებოდა. ჯერ ჯარში ჩამრიცხეს, ახლა პეტერბურგში ჯარისკაცებად გვიპირებენ გაგზავნას. ეს ყველაფერი ომმა გამოიწვია. გაუჭირდა რუსეთს. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიას მოკავშირეები ებრძვიან, მაინც რუსეთის ზურგზე ტყდება ყველაფერი“.

ახალმა ამბავმა აბელი მთლად ააფორიაქა. თუ ტკაჩევის ნათქვამი მართალი იყო, მაშინ აბელის ცხოვრება სულ სხვანაირად წავა, მაგრამ რატომ თვითონ არ მოჰკრა ყური ამ ამბავს? არა, ტკაჩევმა ტყუილი არ იცის“.

ამ ფიქრებით გაოგნებულმა მიაღწია მდინარემდე. ყურები თითქოს დახშული ჰქონდა, მის წინ გაშლილი, ვეება მდინარის ხმაც აღარ ესმოდა. საშას უკვე მოეხსნა ზურგჩანთა და ანკესს აწყობდა.

როცა აბელი პირველად მოვიდა ამ მდინარესთან, რაღაცნაირი შიში იგრძნო, ეს იყო სიდიდისა და სივრცის შიში, ამოდენა მდინარე არასოდეს ენახა და ვერც წარმოედგინა, მაგრამ სულ მალე გაქრა პირველი შემზარავი შთაბეჭდილება და ისე მალე მიეჩვია, აღარაფრად აგდებდა.

საშამ ანკესი წყალში ჩაუშვა და ამ წუთიდან უცხო ადამიანად იქცა. მთელი არსებით მიეცა ამ საქმეს, აბელისკენ არც იყურებოდა, აღარც ელაპარაკებოდა. კარგად იცოდა, რომ თევზი ხმაურზე ფრთხებოდა.

აბელმა ზანტად ააწყო ანკესის ტარი, ნემსკავზე მოხალული პურის გული წამოაგო და მდინარეში გადაისროლა. და იმ წუთიდან წეღანდელ ფიქრს დაუბრუნდა, ანკესის დარდი აღარ ჰქონდა.

თუ მართლა პეტერბურგში გაგზავნეს, რევოლუცია სწორედ იქ მოუსწრებს. აბელი კი ფიქრობდა, ეს ბოლო წლები წყალში ჩამეყარაო.

...წყალში ტივტივა შეირხა, ანკესმა დაიწია და აბელი ფი-

ქრებიდან გამოიყვანა. ანკესის ტარი გვერდზე გაჰკრა და მაშინ იგრძნო, როგორ მოედო თევზს.

— წაიღო ანკესი თევზმა, წაიღო! — დაუძახა ტკაჩევმა,— შენ რა, ჩაგეძინა?

აბელმა ერთი მიიხედა ტკაჩევისკენ და ხმა არ გაუცია, წყალდაწყალ მიათრევდა თევზს, რომ ძაფი არ გაწყვეტილიყო. მოზრდილი ჭანარი იყო, როგორც კი წყლიდან ამოაგდო, ისე გაისხმარტალა, ლამის ლარი გაწყვიტა. რამდენჯერმე კიდევ გაიბრძოლა, მერე პირი გააღო და აქასქასდა.

— ყოჩაღ ბიჩო, ეგ ერთი და სხვა მრავალი! — ყიჟინებდა საშა.

აბელმა ლაყუჩებიდან ფრთხილად გამოაძრო ანკესი და ჯერ კიდევ სულთმობრძავი ჭანარი საშას წყლიან ვედროში ჩააგდო, სადაც უკვე სამიოდე მოზრდილი თევზი დაფეთებული აწყდებოდა აქეთ-იქით. ისევ გააწყო ანკესი და წყალში გადაუძახა, არა, აბელს არა ჰქონდა ის მოთმინება, ჭეშმარიტ მეთევზეს რომ სჭირდებოდა. ამიტომ ისევ თავის ფიქრს უნდა დაბრუნებოდა, თორემ ასე ყოფნა გაუძნელდებოდა.

ისევ და ისევ საშას ნათქვამს დასტრიალებდა აბელის ფიქრები: შეიძლება პეტერბურგში გაგზავნონ ჯარისკაცებიო. აბელისთვის მისწრებაა ახლა ეს ამბავი, რაც დედაქალაქიდან ჩამოვიდა, მას აქეთ სულ მაგაზე ოცნებობს. იქ ხომ უკვე ბობოქრობს რევოლუცია.

ფიქრში გართულს აღარც თევზი ახსოვდა, აღარც ტკაჩევი, მაგრამ საშას ყვირილი ისევ აფხიზლებს:

— აბელ, კაცო, წაიღო თევზმა ანკესი, წაიღო!

აბელი გამოცოცხლდა, ანკესის ტარი ამოსწია. ნემსკავზე სატყუარა აღარ ება, თევზს უკვე მოესწრო თავის დაღწევა, მაგრამ აბელს ეს აინუშიც არ ჩაუგდია.

* *

ტკაჩევის ნათქვამი გამართლდა. ერთი თვის შემდეგ მეთოთხმეტე პოლკის ჯარისკაცები პეტერბურგში მიემგზავრებოდნენ მოქმედ არმიაში.

ზაფხულის თბილი საღამოა. კრასნოიარსკის რკინიგზის

სადგურზე პეტერბურგში მიმავალი მატარებელი ჩამომდგარა, ჯარისკაცები იქაურობას ყიჟინით აყრუებენ.

აბელს პეტერბურგში მიუხარია და თან იდუმალ სინანულს განიცდის, თითქოს ეწანება იქაურობის დატოვება.

შეზარხოშებული საშა ტკაჩევი ხელისგულით იწმენდს ცრემლს და ეუბნება:

— ეჰ, ბიჩო, ჩვენ რა გვეშველება უშენოდ.

ანა ნიკოლაევნაც ემოწმება ქმარს და მასაც ცრემლი მოსდის.

— აბა, აბა, ალექსი ვასილევიჩ, რა გვეშველება.

— ნუ გეშინია, საშა, — აიმედებს აბელი, — საქართველოში ვნახავთ ერთმანეთს. რაღა დარჩა, სამიოდე თვე და შენც თავისუფალი იქნები.

სადგურზე ზარს რეკავენ. ჯარისკაცები ჯგუფ-ჯგუფად შემომდგარან ვაგონის კიბეებზე.

ცოლ-ქმარი მაგრად ჰკოცნიან აბელს და თან ცრემლს იწმენდენ.

როცა მატარებელი დაიძრა, აბელმა ერთხელ კიდევ გადმოხედა ბაქანზე მდგართ. ხელიხელგაყრილნი ერთმანეთს ისე მიხუტებოდნენ, თითქოს გუშინდელი ჯვარდაწერილნი არიანო.

8.

ათას ცხრაას ჩვიდმეტი წლის ოცდახუთ თებერვალს რუსეთის იმპერიის დედაქალაქს სამასი ათასი კაცის შეძახილი აზანზარებდა. თვით ხელისუფალთა მესვეურებიც კი გრძნობდნენ, რომ ახლოვდებოდა ჟამი, რისთვისაც წლობით იბრძოდა უფლებააყრილთა სამყარო და რასაც ათასობით ადამიანი შეეწირა.

რუსულ მიწაზე დაღვრილი სისხლი თავის საზღაურს მოითხოვდა.

გენერალმა ხაბალოვმა აზვირთებულ ხალხზე იარაღი ვერ იხმარა, რამეთუ გარნიზონის ჯარის იმედი აღარ ჰქონდა, ხოლო ჯარის ბევრი ნაწილი ამბოხებულთა მხარეს გადავიდა.

ფრონტიდან ლტოლვილმა მაწანწალად გადაქცეულმა ჯარისკაცებმა ხელისუფლებას მიუბრუნეს იარაღი.

იმავე საღამოს მისმა უდიდებულესობამ ნიკოლოზმა მკაცრი ბრძანება გაუგზავნა ხაბალოვს: გიბრძანებ, დედაქალაქში უწესრიგობა ხვალვე აღკვეთოო.

ხაბალოვი ამაოდ ძვრებოდა გველის ფხაში, ვეღარც ტყვიით, ვერც თავისი საომარი გამოცდილებით ვეღარ აკავებდა ხალხს, მეორე დღეს მთლად უმწეო გენერალმა ასეთი დეპეშა გაუგზავნა გენერალური შტაბის უფროსს — ალექსეევს:

„გადაეცა 27 თებერვალს, 20 საათსა და 10 წუთზე.

მიღებულია 28 თებერვალს, 0 საათსა და 55 წუთზე.

გთხოვთ გადასცეთ მის იმპერატორულ უდიდებულესობას, რომ დედაქალაქში წესრიგის აღდგენის თაობაზე მისი ბრძანების შესრულება ვერ შევძელი. სამხედრო ნაწილის უმრავლესობამ ერთიმეორის მიყოლებით უღალატა თავის მოვალეობას და უარი თქვა მეამბოხეთა წინააღმდეგ ბრძოლაზე. სხვა ნაწილები დაუძმობილდნენ მეამბოხეებს და თავიანთი იარაღი მიმართეს მისი უდიდებულესობის ერთგული ჯარების წინააღმდეგ. ისინი, ვინც თავისი მოვალეობის ერთგულნი დარჩნენ, მთელ დღეს იბრძოდნენ მეამბოხეთა წინააღმდეგ და ფრიად დაზარალდნენ. საღამოსთვის მეამბოხენი დაეუფლნენ დედაქალაქის მეტ ნაწილს. ფიცისადმი ერთგულება შეინარჩუნეს სხვადასხვა პოლკების პატარ-პატარა ნაწილებმა, ზამთრის სასახლესთან რომ არიან განლაგებულნი. ამ ძალებითღა ვაგრძელებ ბრძოლას“.

ამ დეპეშის მიღებიდან ექვსი საათის შემდეგ იგივე ხაბალოვი, იგივე ალექსეევს უკვე ასეთ დეპეშას უგზავნიდა:

„მიღებულია 28 თებერვალს, 11 საათსა და 30 წუთზე.

1. მთავარ საადმირალოს შენობაში ჩემს განკარგულებაშია ოთხი გვარდიული ასეული, ხუთი ესკადრონი და ასეული, ორი ბატარეა. სხვა ჯარები გადავიდნენ რევოლუციონერთა მხარეზე, ან მათთან შეთანხმებით ნეიტრალურნი რჩებიან. ჯარისკაცები ცალ-ცალკე ჯგუფებად დაძრწიან ქალაქში, ესვრიან გამვლელებს, განაიარაღებენ ოფიცრებს.

2. ყველა ვაგზალი რევოლუციონერთა ხელშია და ისინი მათ მტკიცედ იცავენ.

3. მთელი ქალაქი რევოლუციონერთა ხელშია. ტელეფონი არ მუშაობს, ქალაქის ნაწილებს შორის კავშირი გაწყვეტილია...

4. მინისტრები რევოლუციონერებმა დააპატიმრეს...

5. ჩემს განკარგულებაში არავითარი სურსათი არ არის...

6. ყველა საარტილერიო დაწესებულება რევოლუციონერებმა ჩაიგდეს ხელში...

7. ჩემს პირად განკარგულებაშია ოლქის შტაბის უფროსი, სხვა საოლქო დაწესებულებასთან კავშირი არა მაქვს".

როცა პეტერბურგში ასეთი ამბები ხდებოდა, ციმბირიდან თვეობით მომავალი მატარებელი, აბელი რომ მოჰყვებოდა, უკვე დედაქალაქს უახლოვდებოდა.

მატარებლის მგზავრებმა ბუნდოვნად იცოდნენ ყველაფერი ის, რაც მთელ რუსეთში ხდებოდა, მაგრამ პეტერბურგში ჩანოსულებს თუ ასეთი ამბავი დახვდებოდათ, ეს კი ვეღარ წარმოედგინათ.

ოცდაშვიდ თებერვალს, ნაშუაღამევს, ჩამოდგა ციმბირის მატარებელი პეტერბურგის სადგურზე. დედაქალაქში უკვე განკითხვა აღარაფრისა იყო. რამდენიმე საათის შემდეგ აბელმაც და სხვა რევოლუციონერებმაც, ვინც ციმბირიდან მოდიოდნენ, უკვე იცოდნენ თავიანთი მოვალეობა, იცოდნენ, რა უნდა ეკეთებინათ ამ დღეებში ჯარისკაცთა შორის, რა სჭირდებოდა რევოლუციას.

იმავე დღეს აბელი სიტყვით გამოვიდა ჯარისკაცების კრებაზე და წაიკითხა ბოლშევიკთა პეტერბურგის კომიტეტის მოწოდება ჯარისკაცებისადმი.

„ძმებო, ჯარისკაცებო!

მესამე დღეა, რაც ჩვენ, პეტროგრადის მუშები, აშკარად მოვითხოვთ თვითმპყრობელური წყობილების მოსპობას, რადგან იგი დამნაშავეა ხალხის სისხლის ღვრაში, მიზეზია ქვეყანაში გამეფებული შიმშილისა, რაც სასიკვდილოდ სწირავს ჩვენს ცოლ-შვილსა, ჩვენს დედებს, ძმებს და დებს.

გახსოვდეთ, ამხანაგებო, მხოლოდ მუშათა კლასისა და რევოლუციური არმიის ძმური კავშირი უზრუნველყოფს დამონებული ხალხის განთავისუფლებას და ბოლოს მოუღებს ძმათა უაზრო ომს.

ძირს მეფის მონარქია! გაუმარჯოს რევოლუციური არმიისა და ხალხის ძმურ კავშირს!

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პეტერბურგის კომიტეტი".

ოცდაშვიდ თებერვალს შეიქმნა სახელმწიფო სათათბიროს

დროებითი კომიტეტი, რასაც როდიანკო მეთაურობდა. დროებითმა კომიტეტმა მანიფესტი გამოაცხადა, სახელმწიფო და საზოგადო წესრიგის აღდგენას მე ვკისრულობ და ახალ მთავრობასაც მე შევქმნიო. ბურჟუაზიის მესვეურები შეეცადნენ რამენაირად ეხსნათ მეფის მონარქია. მეფეს მოეთათბირნენ და დაითანხმეს ტახტიდან იმ პირობით გადმომდგარიყო, თუ მის ძმას მიხეილს დარჩებოდა ქვეყნის მმართველობა, მაგრამ წინდახედულმა მეფის ძმამ თავისი პირით განაცხადა ტახტზე უარი.

ბურჟუაზიის მესვეურებს, ვისაც მენშევიკები და ესერები უჭერდნენ მხარს, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, მაგრამ იმას მაინც მიაღწიეს, რომ ხელისუფლება, რომელსაც მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები ფლობდნენ, თვითონ ჩაეგდოთ ხელში სამართავად. ასე შექმნეს დროებითი მთავრობა — ბურჟუაზიის დიქტატურის ორგანო.

აბელ ენუქიძე, ვინც იარაღით იცავდა ამ დღეებში რევოლუციის საქმეებს, მაშინვე მიხვდა, რომ რევოლუცია ბოლომდე არ იყო მისული, რომ ეს არ იყო ის, რისთვისაც წლების მანძილზე იბრძოდა. მაგრამ ისიც კარგად უწყოდა, რომ მალე, სულ მალე რევოლუციის ნამდვილი ზარი დარეკავდა.

მანამდე კი აქ, დედაქალაქში, უნდა ეკეთებინა რევოლუციური საქმე.

ათ მარტს აბელი თბილისში ასეთ წერილს აგზავნის:

„ძვირფასო ეთერ! გწერ წერილს თავისუფალი ქალაქიდან, იმ ქალაქიდან, სადაც ამ დღეებში უდიდესი რევოლუცია მოხდა. მე ჩამოვედი აქ ციმბირიდან ოცდაშვიდ თებერვალს, სწორედ იმ დღეს, როცა რევოლუციის ცეცხლი ჩაღდებოდა. შემდეგ მე თვითონ ვიყავი ამ მნიშვნელოვანი მოვლენის მონაწილე. ოცდარვა თებერვალს და პირველ მარტს მეც თოფით ხელში მთელი დღეები პეტერბურგის ქუჩებში გავატარე.

კრებებს, სხდომებს. პარტიულს, საზოგადოს, ჯარისკაცებისას ბოლო არ უჩანს. ისევ შევხვდი ჩემს ძველ მეგობრებს: ლუნაჩარსკის, ტრიფონს და სხვებს“.

მეთერთმეტე რვეული

რუსეთი დუღდა და დუღდა. ერთხელ აზვირთებული ველარ დაწყნარდებოდა, ვიდრე ნამდვილ თავისუფლებას არ მიაღწევდა.

სამ აპრილს დედაქალაქში ხმა დაირხა, უცხოეთიდან გამომგზავრებული ლენინი ამ საღამოს პეტერბურგში ჩამოვაო: მიუხედავად იმისა, რომ აღდგომის სადღესასწაულო უქმე იყო და არც გაზეთი გამოვიდა იმ დღეს, არც ქარხნები მუშაობდნენ, ეს ხმა მაინც სწრაფად მოედო მთელ ქალაქს. მუშები, ჯარისკაცები თუ მეზღვაურები ყალყზე დადგნენ, ლენინის შესახვედრად ემზადებოდნენ. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კრონშტადტის კომიტეტმა ყველა ხომალდზე საბრძოლო განგაში გამოაცხადა. მეზღვაურებმა რჩეული რაზმი გაგზავნეს ბელადის დასაცავად.

შუაღამე იყო. პროჟექტორებით განათებულ პეტროგრადის ფინეთის ვაგზალზე ხალხი ზიმზიმებდა. მანქანაზე მეზღვაურები და ჯარისკაცები ჩამწკრივდნენ. მატარებელი ნელა-ნელა შემოვიდა, სადგურში გაჩერდა. ვაგონიდან ლენინი გადმოვიდა. კრონშტადტელებმა სამხედრო სალამი მისცეს. ორკესტრმა კი მარსელიოზა დააგუგუნა.

სიხარულით გულაჩუყებული მივჩერებოდი პროჟექტორების სხივებით განათებულ ლენინის ნაცნობ სახეს და პეტროგრადი მაგონდებოდა, ბრუსნევის ბინაზე ლენინთან პირველი შეხვედრა.

— აა, ეს არის ის ამხანაგი აბელი? — ასეთი სიტყვებით შემხვდა მაშინ ბელადი. მერე ისევ პეტერბურგში, ფონტანკაზე ლეგალური სტამბა, სადაც „ნოვაია ვოლნა“ იბეჭდებოდა და სადაც ყოველდღიურად ვხვდებოდი ლენინს. მას შემდეგ თითქმის ათი წელი გავიდა და ლენინს პირადად აღარ შევხვედრივარ.

„მოტეხილა ვლადიმერ ილიას ძე, დროს თავისი გააქვს“,— გავიფიქრე და ამ დროს თვალი მოვკარი კარლო ჩხეიძეს, იგი ტრიბუნაზე შემდგარიყო სიტყვის სათქმელად. მენშევიკი ჩხეიძე პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენელი იყო.

ისევ ლენინს დავაკვირდი, იგი გულგრილად უსმენდა ჩხე-

იძის „მისალმებას“ და აშკარად ეტყობოდა, რომ არა სიამოვნებდა. როგორც იყო, მოათავა სიტყვა ჩხეიძემ და აგერ ტრიბუნაზე ლენინი შედგა. მან ხელი ასწია, მოზიმზიმე ზღვა ხალხი ისე გაინაბა, თითქოს ერთ არსებად გადაიქცა და ვიღაც უხილავმა სუნთქვაც კი შეუკრაო.

— ძმებო და ამხანაგებო! — ამბობდა ლენინი. — მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი იმედით შეჰყურებს თქვენს — რუსეთის მუშათა გაბედულ ნაბიჯებს. მუშებო და ჯარისკაცებო, ჩვენი ამოცანაა ბოლომდე ვიბრძოლოთ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის...

ამის შემდეგ უკვე აღარ მესმოდა ბელადის სიტყვები. თვალს ვადევნებდი კარლო ჩხეიძესა და მის გარშემო შემოკრებილ მენშევიკთა მცირე ჯგუფს. მათ აშკარად არა სიამოვნებდათ ბელადის მოწოდება. ლენინის სიახლოვეს იდგნენ უცხოეთიდან ჩამოყოლილი ემიგრანტები: ცხაკაია და უსევიჩი. აგრეთვე აქ დახვედრილი მისი თანამებრძოლები: სტალინი, თეოდოროვიჩი, ლუნაჩარსკი და სხვანი.

— გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას! — გაისმა ბელადის მოწოდება და იქაურობა ვაშას ძახილმა შესძრა. დაიგუგუნა „ინტერნაციონალმა“, გრიალებდა ტაში.

ლენინი მოედანზე გავიდა, თან მცირე ჯგუფი გაჰყვა. ხალხის ტალღამ მოედნისკენ იქცია პირი, ვაშას ძახილით მიაცილებდა ბელადს.

მოედანზე მუშებმა და ჯარისკაცებმა ხელში აიტაცეს და ჯავშნიან მანქანაზე აიყვანეს. ბელადი მანქანიდან ესალმებოდა ხალხს, მოუწოდებდა ბოლომდე მიეყვანათ რევოლუცია. ხალხით გარშემორტყმული ჯავშნოსანი ქშესილსკაიას სასახლისკენ გაემართა, სადაც ბოლშევიკების ცენტრალური და პეპერბურგის კომიტეტები იყო მოთავსებული.

მთელი ღამე გასტანა მუშათა და ჯარისკაცთა მიტინგმა. მიტინგის შემდეგ, როცა ბოლშევიკების ცენტრალური და პეტერბურგის კომიტეტის წევრებიღა დარჩნენ, ლენინმა განაცხადა:

— კმარა, ამხანაგებო, ამდენი მილოცვა, დროა, საქმეს მივხედოთ და ბოლომდე მივიყვანოთ რევოლუცია.

ლენინი ყველას სათითაოდ ართმევდა ხელს, გამარჯვებას ულოცავდა. შორიდან ვუყურებდი ყოველივე ამას და ბელად-

თან ახლოს მისვლა ვერ გამებედა. ამ დროს ვიღაცამ მხარზე დამადო ხელი, მივიხედე და ლუნაჩარსკი იყო.

— აბელ სოფრომიჩ, რა ფეხი გიდგება უკან, წამოდი, ვლადიმერ ილიჩი გკითხულობს.

„ვლადიმერ ილიჩი გკითხულობსო?“ — ლუნაჩარსკის ნათქვამი არ მეჯერა. ნუთუ ლენინი მართლა მე მკითხულობდა? ასე იყო თუ ისე, მთლად დაბნეული მორჩილად მივყევი ლუნაჩარსკის ხალხით გარშემორტყმულ ბელადისკენ.

— გამარჯობათ, ვლადიმერ ილიჩ!

ლენინმა თვალი შემავლო, წამით დამაკვირდა და მერე ისე გამიღიმა, გულში ქვეყნის ნათელი ჩამიდგა.

— აა, ენუქიძე, ჯარისკაცი ხარ? ალბათ, ციმბირის პოლკიდან. აბა, ჯარისკაცო, ახლა უნდა ივაჟკაცოთ და რევოლუცია ბოლომდე მივიყვანოთ, — მხარზე მომითათუნა ხელი და ხმადაბლა დასძინა:

— აბელ, აბელ!.. მიხარია, რომ შენც აქა ხარ და კარგადა ხარ. რევოლუციას ახლა სჭირდება შენისთანები.

ბელადი ნაცნობების ხელის ჩამორთმევასა და მილოცვებს ვერ ასდიოდა. ულოცავდნენ რევოლუციას და უცხოეთიდან მშვიდობით დაბრუნებას.

ბოლოს ლენინმა ხმამაღლა განაცხადა.

— ვფიქრობ, ამხანაგებო, უკვე კმარა ვულოცოთ ერთმანეთს რევოლუცია.

იგი წამოდგა და მთელი საათნახევარი ლაპარაკობდა დღევანდელ ვითარებაზე. დარბაზი განაბული უსმენდა. ბელადი ითხოვდა დროებითი მთავრობის დაუყოვნებლივ დამხობას, ძალაუფლების საბჭოებზე გადაცემას და ომის შეწყვეტას.

— წინადადება შემომაქვს, — ამბობდა იგი, — მოვიწვიოთ პარტიის ყრილობა და შევცვალოთ პარტიის პროგრამა. პარტიის ძველ სახელწოდებას სოციალ-დემოკრატიულს მხოლოდ კომუნისტური უნდა ეწოდოს.

გათენებამდე დუღდა და ბობოქრობდა დარბაზი. ცხარედ კამათობდნენ თათბირის მონაწილენი. დილით ლენინი დაგვემშვიდობა და თავის ბინაზე წავიდა.

იმ დღეს საკუთარი თვალით ვეკვრეტდი, ლენინის სიტყვამ როგორ ააფორიაქა მენშევიკები და ესერები. კუდმომწვარი კარლო ჩხეიძე ხმამაღლა გაჰკიოდა:

— ლენინი ამ რევოლუციიდან ხელდაბანილი დარჩება, ჩვენ კი ჩვენი გზით წავალთ.

მივჩერებოდი შუბლწამოზნექილ წვრილკისერა ჩხეიძეს და მახსენდებოდა რამდენიმე საათის წინ, როცა იგი ლენინს ესაუბრებოდა, რა გულმოდგინედ უსმენდა ბელადი.

„ეტყობა დღეიდან დიდი ბრძოლის მოწმე გავხდები“, — ვფიქრობდი ჩემთვის.

ლენინის ჩამოსვლამ დედაქალაქში ისე გამამხნევა და ისეთი რწმენა მომანიჭა, თითქოს ათასობით ჩემიანი მედგა გვერდით.

ჩვიდმეტ აპრილს გაზეთებში გამოქვეყნდა საგარეო საქმეთა მინისტრის მილიუკოვის ნოტა, იგი მოკავშირე სახელმწიფოებს ატყობინებდა, დროებითი მთავრობის მიზანია, ომი საბოლოო მიზნამდე მიიყვანოსო. ამ ნოტამ მუშები და ჯარისკაცები აამხედრა. ოცდაერთ აპრილს ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებით ასი ათასამდე მუშა და ჯარისკაცი მოედო ქუჩებს. მათ ასეთი ლოზუნგები მოჰქონდათ: „ძირს ომი“. „ძირს დამპყრობლური პოლიტიკა!“

მაისში სრულიად რუსეთის საბჭოების კრება გაიმართა. ჩემდამოუკიდებელად, როცა აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლებს ასახელებდნენ, ჩემი გვარიც დაასახელეს.

იმ დღიდან თავზე საყრელად გამოჩნდა საქმე. დილიდან საღამომდე თავრიდის სასახლეში ვიჯექი საქმეში ჩაფლული. აქ ქართველები ბლომად იყვნენ, მათ შორის ცრუ სოციალისტი კიტა აბაშიძე.

ხუთი თვის განმავლობაში ისეთი სწრაფი მოვლენების მოწმე გავხდი, რაც ათეული წლის მანძილზე არ მინახავს. განსაკუთრებით ოთხი ივლისი დამამახსოვრდა, როცა დროებითმა მთავრობამ მენშევიკებთან შეთანხმებით დემონსტრანტი მუშები დახვრიტა. ცოტა ხნის შემდეგ ორხელისუფლებიანობა დაემხო. ძალაუფლება კონტრრევოლუციონერებმა აიღეს ხელში.

აგვისტოში უმაღლესმა მთავარსარდალმა კორნილოვმა ფრონტიდან მოხსნა ჯარისკაცები და ქალაქისკენ დაიძრა. კორნილოვს უნდოდა ამ გზით ხელი მოეთბო და ძალაუფლებას თვითონ დაპატრონებოდა. აქ კი ჯუნგლის კანონმა იჩინა თავი,

კერენსკიმ მეამბოხედ გამოაცხადა იგი და ბრძანა დაეტუსაღებინათ.

მთლად აირია ქვეყანა. ამ არეულობამ დაარწმუნა მუშები, ჯარისკაცები თუ მეზღვაურები, რომ ერთადერთი გზა ხსნისა სოციალისტური რევოლუცია იყო.

ათ ოქტომბერს ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე ბელადი გამოვიდა. მან დაწვრილებით გაარჩია შექმნილი ვითარება და დაასკვნა, შეიარაღებული აჯანყება უკვე მომწიფდა და გარდუვალი გახდაო.

თხუთმეტი დღის შემდეგ, ოცდახუთ ოქტომბერს დარეკა იმ ზარმა, რისთვისაც ათეული წლობით იღვრებოდა სისხლი.

ოცდაექვსში შუა ღამით დაეცა ზამთრის სასახლე, იმავე დღეს სმოლნში საბჭოების მეორე ყრილობა გაიმართა, ესერებმა, აქაოდა ბოლშევიკებთან შედარებით ცოტანი ვართ დელეგატებად წარმოდგენილნი, ყრილობას ზურგი აქციეს. ლენინი ამ დროს აჯანყებას ხელმძღვანელობდა და ყრილობას ვერ დაესწრო. მისი ისტორიული მოწოდება ლუნაჩარსკიმ წაიკითხა ტაშის გრიალში.

დამქანცა იმ დღეებმა. კრებიდან კრებაზე, ყრილობიდან ყრილობაზე, თათბირიდან თათბირზე მივდიოდი, მაგრამ დაღლილობას რაღას დავუდევდი, როცა ყველაფერი გულის გასახარად მიედინებოდა. მეორე საღამოს თავრიდის სასახლიდან შებინდებულზე გამოვედი და სმოლნისკენ გავეშურე. რაზდენიმე წუთში ყრილობის მეორე სხდომა უნდა დაწყებულიყო. დღეს ლენინი მოხსენებას აკეთებდა.

სმოლნის სასახლე გაჩირაღდნებული იყო.

სარჩევი

მოთხრობები

მგლები 5
ბაქანზე ჩაცლილი სიყვარული 14
სევდის ბალი 30
ცხრა ძე ადამისა 44
დაჭკნება ყვავილი უდაბნოში... 52
გაზაფხული და უცხო ქალიშვილი 61
კაცები 67
ნეტარ არიან მორწმუნენი 85
შეხვედრა უღელტეხილზე 99
ბექა ჩორჩანელი 109
საკვირაო გასეირნება 113
ლაპუა 123
სუნსულას დატირება 130
ლაზარე 134
შხამა 143
დიდი მარკოზის სიზმარი 148
ესტატე 152
ი ო 159
ბეთჰოვენის სიკვდილი 169
ჯავარა 175
მეოცნებე გაბო 185
უკანასკნელი ზარი 192

მზის მოქცევა (რომანი) . . 351

რედაქტორი რ. ხირაძე
მხატვარი გ. ღლონტი
მხატვრული რედაქტორი თ. შარიფაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. ქავთარაძე
კორექტორი ნ. მჭედლიშვილი
გამომშვები ა. საკაძე

ს. ბ. 5609

გადაეცა წარმოებას 3.12.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.03.88. საბეჭდი ქაღალდი № 1, 84×108 1/32. გარნიტური ვენა. ბეჭდვის ხერხი მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 35,7. პირ. საღ.-გატ. 35,7. საალრ.-საგამომც. თაბახი 31,67. ტირაჟი 15.000. შეკვ. № 2813.

ფასი 2 მან. 30 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.